ბორის დარჩია

ფილოლოგიური ძიებანი

I

თბილისი
2013

წიგნის უმთავრესი ნაწილი ლიტერატურას ეძღვნება. განხილულია ძველი, ახალი და უახლესი ქართული მწერლობის ლიტერატურულ-თეორიული და ისტორიულ-თეოლოგიური საკითხები. მთელი თავი ეთმობა პოლემიკურ სტატიებს; ცალკეული წერილები და მოგონებანი ასახავს იმ გამოჩენილი მეცნიერებისა და მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებას, რომლებთანაც ურთიერთობის პატივი გვქონდა. მეორე ნაწილი ენათმეცნიერულია და არსებითად ონომასტიკური ძიებებია.

წიგნი მეცნიერულია და განკუთვნილია ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის მკვლევართა, სტუდენტთა და ამ საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

ეს წიგნიც, ისე როგორც 2011 წელს გამოცემული „ბაგრატ ბატონიშვილი“, გამოდის *სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული ჰრემიის* თანხით, რომელიც 2011 წელს კონკურსის შედეგად ერგო 2009 წელს გამოცემულ ჩემს წიგნს „იაკობ შემოქმედელი“.

რედაქტორი — **მურმან თავდიშვილი**

გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი. 2013.

წინასიტყვა

ამ წიგნის მცირე ნაწილი ადრე, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობის დროს, საინსტიტუტო სამეცნიერო-თემატიკური გეგმითაა შესრულებული. საკმაო ნაწილი იმდროინდელია, ოღონდ სახელმწიფო გეგმის გარეშეა შექმნილი, დანარჩენი ბოლო წლებს განეკუთვნება. თუ რომელი სად გამოქვეყნდა, იქვეა მითითებული.

აქაც უნდა აღვნიშნო: მას შემდეგ, რაც 2006 წლის ე. წ. სამეცნიერო რეფორმის დროს „მეცნიერულმა“ ბანდამ ირმა რატიანის, ელგუჯა ხინთიბიძისა და რევაზ სირაძის თაოსნობით ლიტერატურის ინსტიტუტიდან გამაგდეს[1], ჩემი ყოველმხრივი დევნა ისევ გრძელება. სადაც ხელი მიუწვდებათ, ჩემს სახელსა და ნაშრომებს არსად აჭაჭანებენ. არადა, ამ გაგდების შემდეგ ყოველ წელიწადს თითო წიგნსა ვცემ. წინამდებარე მეექვსეა (სულ გამოვეცი 9 წიგნი, კიდევ სამი ჩემი და ერთიც ჩემი ხელმძღვანელობით სხვებთან ერთად შედგენილი სქელტანიანი წიგნები გამოსაცემად მზადა მაქვს). თუ როგორ უგულვებელყოფენ ჩემს ნაშრომებს, ამაზე წინა პუბლიკაციებშიაც აღვნიშნე, აქ კი ახალს დავუმატებ.

2011 წლის მეორე ნახევარში გამოვიდა შოთა რუსთაველის (სახელობის) ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის *„ლიტერატურული ძიებანის“* 31-ე კრებული, რომელსაც თარიღად 2010 წელი უზის. აქ დაბეჭდილია დარეჯან მენაბდის, ქეთი ნინიძისა და ადა ნემსაძის საცნობარო წერილი – *„2009 წლის სამეცნიერო პუბლიკაციათა მიმოხილვა“*, სადაც ასახულია მონოგრაფიული წიგნები, კრებულები, ჟურნალები, თეზისებიც კი (გვ. 335-341). ჩანს, ძველი ქართული ლიტერატურის ნაწილი დარეჯან მენაბდეს ეკუთვნის (გვ. 335-338).

ამ წელს გამოვიდა ჩემი მონოგრაფია *„იაკობ შემოქმედელი“* (575 გვ.), რომელმაც დაიმსახურა სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემია. **რა თქმა**

---

[1] ამ საკითხზე იხ. ჩემი წიგნები: „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ (2008), „იაკობ შემოქმედელი“ (2009), „რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I“ (2010).

უნდა, ამ „მიმოხილვაში“ ჩემი ეს წიგნი ნახსენები არაა. ქალბატონმა დარეჯანმა მისი არსებობა კი კარგად იცის – გამოსვლისთანავე ვაჩუქე.

ამავე *„ძიებანში“* ანოტაციებითა და სურათებით წარმოდგენილია 2009–2010 წლებში გამოსული წიგნები (გვ. 342–349). შემდგენელი, აღნიშნული არაა. 2010 წელს კი გამოვიდა ჩემი ასევე სქელტანიანი წიგნი – *„რუსთველოლოგიური გამოკვლევების“* პირველი ტომი (580 გვ.). **რა თქმა უნდა, „იაკობ შემოქმედელი“ და „რუსთველოლოგიური ნარკვევები“ არც აქაა ნახსენები.**

¤

დასასრულ, უნდა შევნიშნო: გამოკვლევაში ლიტერატურა, მცირე გამონაკლისის გარდა, მითითებული გვაქვს იმ გამოცემებით, რომლებიც მისი წერისა და პირველი პუბლიკაციისას გამოვიყენეთ. ციტატებში, სადაც მითითება არ არის, დაყოფა (ხაზგასმა) ჩემია. ავტორები წიგნში დასახელებულია სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის აღუნიშნავად.

წიგნი ძველ და ნათხოვარ კომპიუტერზე ჩემი აწყობილი და დაკაბადონებულია. ტექსტის ნაწილ-ნაწილ და მთლიანად ამობეჭდვაში მეხმარებოდა და ჩემთვის, „ჩარეცხილი“ მეცნიერისათვის, ძნელად ასატან ხარჯებს გადამარჩინა მ ე რ ა ბ ც ი ნ ც ა ძ ე მ, რისთვისაც მისი უღრმესი მადლობელი ვარ.

უღრმეს მადლობას ვუხდი ამ წიგნის უბადლო რედაქტორს, ჩემს გულითად მეგობარ მ უ რ მ ა ნ თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ს, რომელმაც ეს ნაშრომიც, ისე როგორც წინა ჩემი ხუთი წიგნი, მისთვის ჩვეული ენერგიულობით, საქმის ცოდნით, გულითადობითა და პატიოსნებით წაიკითხა.

¤

ზედა ყდაზე წარმოდგენილია ბაილეთის ეკლესიის ფოტოსურათი, ქვედა ყდაზე – ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსის ფოტოსურათები.

წიგნი სტამბას ჩაბარდა 2013 წლის 6 მარტს.

პირველი ნაწილი

ლიტერატურა

აქ საუბარი გვაქვს ძველ, ახალ და უახლეს ქართულ ლიტერატურაზე და მათ სხვადასხვა (ისტორიული და თეორიული) კუთხით განვიხილავთ. ცალ-ცალკე გამოვყოფთ გამოკვლევებსა და სხვადასხვა დანიშნულების კომპილაციურ, მეორე მხრივ, პოლემიკურ და მემუარულ ნაშრომებს.

პირველი თავი

ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები

იოვანე საბანის ძის ერთი მხატვრული სურათი[1]

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გაიმართა საგანგებო მსჯელობაა VIII საუკუნის ჩინებული ქართველი მწერლის, **იოვანე საბანის ძის**, ბრწყინვალე ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში *„მარტკლობად წმიდისა ჰაბოდ ტფილელისად“* დახატული ერთი უჩვეულო მხატვრული სურათის შესახებ. როცა ამირასთან დასასჯელად მიჰყავთ ჰაბო, გზაში ის, როგორც გარეშე თანმხლები პირი, ისე ხედავდა თავის გარდაცვლილ, მკვდარ სხეულს: „გამოიუვანეს იგი ეგრეთვე ბორკილითა ფერჩთა და კელთადთა; და მიჰუვანდა იგი შორის ქალაქსა, და რომელნი ჰხედვიდეს მას ქრისტიანენი და მეცნიერნი მისნი, ცრემლოოდეს მისთჳს, ხოლო წმიდა მან ჰაბო ჰრქუა მათ: «ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ; ლოცვით წარმგზავნეთ

[1] დაბეჭდილია ჟურნალში „სამი საუნჯე“ (ივნისი, 2012, № 2, გვ. 210-216).

და მშვდობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუენ!» ხო-ლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაური ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰხედვიდა თჳსსა მას გუამსა. და სულითა თჳსითა მოგზაურ ქმნული თჳთ იტუოდა ფსალმუნსა...“[2].

რევაზ ბარამიძე მასში ხედავს არა რაიმე განსაკუთრებულ, არამედ ჩვეულებრივ მხატვრულ სურათს, სადაც გმირის სულიერი სიძლიერე ჩანს: „აბო თითქოს ამაღლდა ამქვეყნიურ ინტერესებზე, სიკვდილიც არად მიაჩნია“[3].

სხვა თვალით განიხილავს მას **გრივერ ფარულავა** და, როგორც იშვიათი შინაარსის მაღალმხატვრულ ქმნილებას, დიდ შეფასებას აძლევს. „ჩვენს წინაშეა დახვეწილი ჰოეტური სახე სასიკვდილო ეშაფოტზე მიმავალი კაცის სულის მოძრაობისა. ანტიკური გმირივით ამაყი და თავაწეული მიაბიჯებს აბო სიკვდილის გზაზე, ანუგეშებს კიდევაც მისთვის ცრემლის მღვრელთ. მაგრამ მოწამის სულში მთელი არსების შემძვრელი ზმანება დაბორიალობს: იგი ისე მიდიოდა, როგორც ვინმე მიაცილებს სამგლოვიარო ჰროცესიას, ასევე «ჰხედვიდა თჳსსა მას გუამსა». და ასე საკუთარი გვამის სულიერ თანამგზავრად «ქმნული თჳთ იტუოდა ფსალმუნსა». ეს არის ჰოეტური ნათელმხილველობის იშვიათი ნიმუში არა მხოლოდ ქართული მწერლობის მასშტაბით“[4].

აკაკი გაწერელიამ აღტაცება გამოთქვა გ. ფარულავას ამ მიგნებასა და შეფასებაზე: „ახალგაზრდა მკვლევარის ეს მიგნება

---

[2] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V–X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჯანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 69–70.

[3] რევაზ ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 50.

[4] გ. ფარულავა, მხატვრული ფანტაზია და შინაგანი ხილვა ქართულ ჰიმნოგრაფიაში, „მაცნე“, 1969, № 3, გვ. 193. შესულია ავტორის წიგნში: მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბ., 1982, გვ. 133. ქვემოთ ციტატებს ამ წიგნიდან ვიმოწმებთ.

მთელ გამოკვლევად ღირს. ჩვენ არ ვიცით არც ერთი (ვიმეორებთ – არც ერთი!) ჰასაჟი თვით სტერნთან, თომას მანთან ან ჯოისთან, რომელიც მოტანილი ეჰიზოდის მსგავსი ფსიქოლოგიური სიღრმით გადმოსცემდეს ჰერსონაჟის ცნობიერების ირრაციონალურ ვითარებას. ეს მხატვრული აბსტრაქციის უკიდურესი ზღვარია, ესთეტიკურად გამოუნებელი“[5].

გ. ფარულავა და ა. გაწერელია საგანგებოდ სვამენ საკითხს, თუ რამ განაპირობა აღნიშნული სურათის შექმნა და ორივე მას ავტორის წმინდა წარმოსახვით, ფანტაზიით შექმნილად მიიჩნევს. ბატონი გრიგერი იმ ქვეთავს, სადაც ამ საკითხს განიხილავს, ისევე ასათაურებს, როგორც პირველად „მაცნეში“ დაბეჭდა: „მხატვრული ფანტაზია და შინაგანი ხილვა“. გამოკვლევის ტექსტში ფართოდ მსჯელობს და თავის შეხედულებას ასე აყალიბებს: „ის, რაც არ არის (ფაქტობრივად, ემპირიულად შეუძლებელია კაცი საკუთარ ცხედარს მიაცილებდეს), არსებობს (ვითარცა ადამიანის ღრმა სულიერი სინამდვილე), – გვიმტკიცებს იოანე საბანის ძე, ისევე, როგორც უველა ნამდვილი ხელოვანი. ფაქტობრივი სინამდვილე აქ «გადატრიალებულია» ჰერსონაჟის წარმოსახვაში. მაგრამ ემპირიული სინამდვილის სწორედ ეს უცნაური სურათი ანათებს და საცნაურს ხდის თვალშეუდგამ სიღრმეს ადამიანის სულის სინამდვილისა. ხელოვნების უმაღლესი ამოცანაც სხვა არაფერია. გარემომცველ სინამდვილეს იგი ადამიანის თვალებით უცქერის და ბუნების თვალწარმეტაც სურათშიც ჩვენს საოცარ სულზე გვესაუბრება“ (გვ. 134).

ავტორი აქ გარკვევით და გამოკვეთილად არ გვეუბნება, აღწერილ სურათს აქვს თუ არა სინამდვილესთან რაიმე შეხება. მაგრამ, მას რომ ოდენ ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევს, აშკარად

---

[5] ა. გაწერელია, დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 10 ოქტომბერი, 1969; გადაბეჭდილია ავტორისავე წიგნში: ნარკვევები, პორტრეტები, ლექსმცოდნეობა, თბ., 1988, გვ. 390. ორივე დაყოფა ავტორისაა.

ჩანს მის მიერ დამოწმებული ლიტერატურიდანაც. მკვლევარი განაგრძობს: „ქრისტოფერ კოდუელი ამბობს: «არავის ძალუძს შეხედოს თავის თავს უშუალოდ, მაგრამ ხელოვნება გადააქცევს სამყაროს სარკედ, რომელშიც ჩვენ ვიჯერთ წარმავალ შთაბეჭდილებებს ჩვენსავე შესახებ. მათში ჩვენ ვხედავთ ჩვენს თავს არა ისეთებად, როგორიც ვართ სინამდვილეში, არამედ როგორც შეგვიძლია ვიყოთ, შევიცვლებით რა საზოგადოების ზეგავლენით. ხელოვნება მოგვითხრობს იმის შესახებ, რაზეც არ ძალუძს მოგვითხროს მეცნიერებამ, რომლის წინაშე უძლურია რელიგია». ანიჭებს რა გარემომცველ სინამდვილეს ადამიანის გულიდან მომდინარე ემოციურ ხმიანობას, ხელოვნება გადააქცევს «მთელს ჩვენს სინამდვილეს, თვით სიკვდილსაც, უფრო საინტერესოდ, ვინაიდან იგი უფრო მართალი ხდება»“ (იქვე, გვ. 134).

გ. ფარულავა თავის სათქმელს, რომ საძიებელ სურათს რაიმე კავშირი არა აქვს სინამდვილესთან და იგი თავიდან ბოლომდე მხოლოდ მწერლის გამონაგონია, უფრო ნათლად მომდევნო სტრიქონებში გამოხატავს: „ჰაგიოგრაფს ადამიანური სინამდვილის ისეთ სფეროში შეუყავართ, რომელიც, მართლაც, მიუწვდომელია შემეცნების სხვა დარგებისათვის. მწერალი ადამიანის შინაგან სამყაროზე, გრძნობებზე, ემოციებზე მოგვითხრობს, ხოლო თხრობა იმავე სამყაროს, გრძნობებისა და ემოციების ენაზე მიმდინარეობს. იოანე საბანისძე სინამდვილეს შესაძლებლისა და შეუძლებლის, ერთეულისა და ზოგადის, უსახოსა და მშვენიერის მთლიანობაში აღიქვამს. ეს კი განმსაზღვრელია ხელოვანის მსოფლაღქმაში, მაგრამ არა ისტორიკოსისა“ (იქვე, გვ. 134).

ავტორი ამ მაგალითს ჰაგიოგრაფიაზე აზოგადებს და ასკვნის: „ხელოვანის მსოფლაღქმა წარმმართველია ქართულ ჰაგიოგრაფიაში. იგი ჩვენ უხვად წარმოგვიდგენს ჰერსონაჟის ქცევის ან სულიერი მდგომარეობის ისეთ მომენტებს, რომელთა წაკითხვის, მწერლის წარმოსახვის გარდა, ვერაფერს მივიჩნევთ“ (იქვე, გვ. 134).

როგორც ვნახეთ, აკაკი გაწერელია ეთანხმება მკვლევარის ამ მოსაზრებას. მასაც აღწერილი სურათი „ჰერსონაჟის ცნო-

ბიერების ირრაციონალურ ვითარებად“ ესახება. თავის ამ გამოხმაურებას თვითონ ასე ასათაურებს: „ბრწყინვალე ჰროზაიკოსის თვისება – ირრაციონალურის დაჭერაა“. მსგავს მაგალითად ის ასახელებს ლევ ტოლსტოის „ანა კარენინაში“ მონათხრობს: „როცა ანა ღამით ლოგინში მწოლი თავისსავე ბრწყინვალე თვალებს შესცქერის“ (გვ. 390).

ბატონი აკაკი ამ მონათხრობს უფრო ფართოდ ეხება საგანგებო ნარკვევში „*ტოლსტოის მხატვრული მეთოდის შესავალი*“, რომელიც ზემორე დამოწმებულ წიგნშია გადმობეჭდილი (გვ. 84–97). ავტორს რუსულადვე მოჰყავს „ანა კარენინას“ ეს ადგილი, იმოწმებს მის შესახებ ა. ჩეხოვისა და ი. ბუნინის საუბარს და ხაზგასმულად, დაყოფით წერს: „ტრაგიკულად ბედნიერად თავისსავე შეფაკლულ სახეს შესცქერის სიბნელეში! შეუძლებელია, ასეთი რამ მომხდარიყო, მაგრამ შეუძლებელია ასეთი რამ არ მომხდარიყო. ტოლსტოის წვრილმანების სჰექტრს ანტინომიური შინაარსი აქვს და მისი ლოგიკური შემოწმება შეუძლებელია, მიღება ან უარეოფა. დიად ხელოვნებას დაუჯერებელი აჰყავს ხელშეუვალ მხატვრული აბსოლუტის რანგში. ამ მხრივ ტოლსტოი უფრო უდიდესი ჰოეტია, ვიდრე ბელეტრისტი“ (გვ. 92).

გრივერ ფარულავას წიგნს ჰაგიოგრაფიის ჟანრულ თავისებურებათა თვალსაზრისით გამოეხმაურნენ **თეიმურაზ დოიაშვილი** და **ლევან ბრეგაძე** ერთობლივი წერილით „*ჰაგიოგრაფიის პოეზია და პროზა*“[6]. მათაც აინტერესებთ, რა მიმართება აქვს, საზოგადოდ, ჰაგიოგრაფიას სინამდვილესთან, სახელდობრ, ისტორიასთან და არ იზიარებენ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ზოგიერთი ადგილის მისეულ შეფასებას. მაგალითად, შეხედულებას, რომ „მწერალი სცილდება შექმნილი მდგომარეობის საგნობრივ სიმართლეს და ფანტაზიას მიმართავს, როცა ამბობს: «*კარე შეადგეს კარვები იგი მათი, ვითარცა თოვლი...*». წმინდა წარმოსახვის ნაყოფია ასეთი ხატიც: «*სიმრავლე*

[6] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 14 თებერვალი, 1986, გვ. 12–13.

ტყორცებულთა მათ ისართად შეიპყრობდა ჰაერსა მზისასა...»“ (გვ. 132).

თ. დოიაშვილი და ლ. ბრეგაძე შენიშნავენ: „ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ემპირიული სინამდვილის ნორმებისა და საზღვრების დარღვევასა და «საგნობრივ სიმართლესთან დაცილებაზე ლაპარაკი გამართლებული არაა»“.

ეს ავტორებიც იმოწმებენ იოვანე საბანის ძის ჩვენთვის საინტერესო სურათს, მაგრამ სინამდვილესთან მის დამოკიდებულებაზე არაფერს ამბობენ.

საკუთარი თავისა და, განსაკუთრებით გვამის, დანახვის რეალობა და წარმომავლობა იმთავითვე მაწუხებდა, რაც გ. ფარულავას აღნიშნული თვალსაზრისი და ა. გაწერელიას გამოხმაურება გამოქვეყნდა. არც „აბოს წამებასა“ და არც „ანა კარენინაში“ უცნაურის დანახვა, მეტადრე, რაიმე სინამდვილეს მოკლებულად, მხოლოდ და მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფად მიჩნევა გადამეტებულად მესახებოდა.

როგორც ვთქვით, ბატონი აკაკი იმოწმებს ლ. ტოლსტოის ტექსტის დედანს. აი ისიც: „– Поздно, поздно, уж поздно, – прошептала она с улыбкой. Она долго лежала неподвижно с открытыми глазами, блеск которых, ей казалось, она сама в темноте видела“.

მე არ მესმის, რაა უჩვეულო და უცნაური, ქალს, რომელსაც სარკეში ათასჯერ დაუნახავს თავისი სახე და თვალები, სიბნელეში, თუნდაც სინათლეში, თვალწინ დასდგომოდა იგივე სურათი სარკის გარეშე. ავტორი იმასაც პირდაპირ გვეუბნება, რომ მან თავისი თვალები თითქოს დაინახა, ეგონა დაინახა, წარმოუდგა, მოეჩვენა. ბატონი აკაკი თავის თარგმანში ტოვებს დედნისეულ სიტყვებს – „ей казалось“.

დაახლოებით იგივე უნდა ვთქვა იოვანე საბანისძეზეც.

ბავშვობისას, პაპანაქებაში, მთელი დღე წყალში, მდინარე სუფსაში, გავატარე, გავცივდი და მაღალი სიცხე მომცა. ბებიაჩემმა, ვიდრე დედაჩემი საღამოს სამუშაოდან დაბრუნდებოდა, დამაწვინა და კეჟერა მხლის ფოთლებით შუბლი და გულმკერდი

შემიხვია. ბევრჯერ მინახავს ამ ფოთლებით თავშეხვეული შინაურები და მეზობლები, მე კი პირველად მაშინ ვიგემე და სხვა დროსაც გამოვცადე მისი სამკურნალო ძალა.

გავიდა ხანი. ამ ათი-თორმეტი წლის წინათ, როცა უკვე არც ბებია და არც დედაჩემი ცოცხალი აღარ იყვნენ, მაგრად გავცივდი, ნაღვლის ბუშტიც გამიღიზიანდა და მაღალი სიცხით გავითანგე. ისეთი შეგრძნება მქონდა, ვითომცდა ზევით და ზევით უსიამოვნოდ მივფარფატებდი. ალბათ, ძილ-ღვიძილში ვიყავი, ვიცი, ავადა ვარ, ჩემს ოთახსა და საწოლში ვწევარ და გარედან ვხედავ, ზევიდან დავჰყურებ მთელ ჩემს სხეულს, არ ვიცი ვინ, ბებია თუ დედაჩემი კეჟერათი თავს მიხვევენ და საბნის ქვეშ გულმკერდს მიფარავენ. ზევიდანვე ვხედავდი საბნიდან გამოყოფილ ჩემს ფეხებსაც და ვფიქრობ თუ ველი, ამ ფოთლებს ფეხებზეც შემომახვევენ.

მეორე: ტელევიზორში მომისმენია, კლინიკური სიკვდილის აღწერისას რამდენს მოუყოლია, რომ თვითონვე გვერდზე მყოფნი თუ ზევიდან დამყურე როგორ ხედავდნენ თავიანთ სხეულს დაშორებით მდებარესა თუ მყოფს. და ამას რელიგიურ ნიადაგზე ხსნიდნენ: სული ეყრება თუ გაეყარა სხეულსო.

განა არ შეიძლება, რომ იოვანე საბანის ძეს მსგავსი ამბები, თუ თავად არ განუცდია, სხვებისგან მოესმინა და თხზულებაში გამოეყენებინა?!

ივანე ამირხანაშვილმა ყურადღება მიაქცია, რომ იოვანე საბანის ძის მსგავს სურათს გვიხატავს მე-20 საუკუნის ინგლისურენოვანი მწერალი **რეი დუგლას ბრედბერი**. მის მოთხრობაში „კალეიდოსკოპი“ აღწერილია ფანტასტიკური ამბავი: კოსმოსში რაკეტა აფეთქდა და „კოსმონავტები სივრცეში გაცვივდნენ“. „ყოველ მათგანს ჰერმეტულად დახშული კოსმოსური სკაფანდრი ეცვა და გაფითრებულ სახეებს მინის ნიღბები უფარავდათ“. ერთ-ერთ პერსონაჟზე ნათქვამია: „ის თითქოს განუდგა საკუთარ სხეულს და გვერდიდან შეჰყურებდა, როგორ მიქროდა იგი უკიდეგანო სივრცეში. შეჰყუ-

რებდა, როგორც უცხო საგანს, როგორც ზამთრის პირველ ფიფქს დიდი ხნის წინათ“[7].

ბატონი ივანე ისე, რომ არ ასახელებს გ. ფარულავას, ა. გაწერელიასა და დოიაშვილ-ბრეგაძის მოსაზრებებს, დამოუკიდებლივ ცდილობს ახსნას, რას უნდა გამოეწვია ეს მსგავსება (ეტყობა, ეს მასალები მას მხედველობიდან გამორჩა). „ერთი შესედვით, მართლაც საკვირველი მსგავსებაა, — წერს იგი, — სად ფანტასტიკის ჟანრი და სად აგიოგრაფია, მაგრამ მხატვრული აზროვნების ზოგად სპეციფიკას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის არა უბრალოდ დამთხვევა, არამედ თანხვედრა, წარმოსახვის იდენტური სტრუქტურის შეხვედრა. ჩვენ წინაშეა აღქმის არქეტიპული ანალოგიები, რომელიც ადასტურებს, რომ ლიტერატურაში მოვლენათა აღქმის მექანიზმი მუდმივია. იცვლება მხოლოდ გამოხატვის ფორმა, თუმცა ზოგჯერ არქეტიპი თავს იჩენს გადმოცემის ფორმაშიც, რის შედეგადაც ვღებულობთ ასეთ მსგავსებას.

მხატვრული ტალანტი სამუაროს აღთმის ასოციაციურ სისტემას გულისხმობს და სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ ინტუიციის, ფანტაზიისა და გონების ურთიერთქმედება მსგავს ფორმებს ბადებდეს სხვადასხვა ეპოქის მწერლობაში.

აგიოგრაფოსს ჟანრის კანონი არ ავალებს მხატვრული გამონაგონის შექმნას, მაგრამ იგივე კანონი არ უკრძალავს ისეთი გამონაგონით ოპერირებას, რომელიც რეალობას უკეთესად წარმოაჩენს.

რაც რეი ბრედბერის ევალება, ის ეკრძალება იოანე საბანისძეს, მაგრამ სადღაც წარმოსახვისა და ქვეცნობიერის გადაკვეთაზე, ისინი ხვდებიან ერთმანეთს და ჩნდება ფიგურა, რომელიც საერთოა ორივე ავტორისათვის, ოღონდ ფორმალურ დონეზე, შინაარსობრივი თვალსაზრისით კი, რა თქმა უნდა, სხვაობაა, — იო-

---

[7] რეი ბრედბერი, 451° ფარენჰაიტით, მარსის ქრონიკა, მოთხრობები, თბ., „მერანი“, 1973, გვ. 420.

ანე საბანისძე იდეოლოგიურ შინაარსს დებს ამ ფიგურაში, რეი ბრედბერი კი მხატვრულს.

რა მიზეზიც უნდა დაუსახო, იდეოლოგიური თუ მხატვრული, მწერალი მაინც მწერლად რჩება, თავისდაუნებურად ერთვება შემოქმედებით პროცესში, რადგან მასზე მოქმედებს ქმნადობის ძალა, რომელიც სიტყვის შინაგანი არსიდან მომდინარეობს"[8].

აქ ზოგი რამ ბუნდოვნად არის გამოთქმული. მაგალითად: „იდეოლოგიური შინაარსი" და „მხატვრული" არა მგონია, სადმე ერთმანეთს უპირისპირდებოდეს. სხვა მხრივ, აქაც იგივე უნდა გავიმეორო, რაც გ. ფარულავასა და ა. გაწერელიას შეფასებაზე ვთქვი. რა თქმა უნდა, სამივე თხზულებაში, როგორც ეს ავტორები ამბობენ, მსგავსი სურათები მხატვრული აზროვნების ზოგადი წესითაა შექმნილი, მაგრამ, რაც ამჯერად გვაინტერესებს, ლიტერატურული გამონაგონი განყენებული, ოდენ ფანტაზია არ არის. იგი რეალობის, მატერიალური, ნივთიერი თუ არა, რაღაც კონკრეტული ან აბსტრაქტული სახით ცალკე არსებულის, წარმოსახულის გამომხატველია. უპირველესად ამით ემთხვევა, ემსგავსება ეს სურათები ერთმანეთს.

აქ ძალაუნებურად გვაგონდება ლათინური ხატოვანი, ფრთიანი გამოთქმა: Nihil est intellectu, quod non fuit in sensu — არაფერია გონებაში ისეთი, რაც გრძნობაში არ იყო[9].

ბოლოს ერთი საკითხი. ცნობილია, რომ რელიგიები, მათ შორის ქრისტიანული, სულსა და ხორცს ერთმანეთს უპირისპირებს, იმდენად რომ, ხორცის დათრგუნვას მოითხოვს.

სახარებაში ვკითხულობთ: „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვდნენ პორცნი თქუენნი, ხოლო სულსა ვერ კელ-ეწიფებიან მოკლვად..." (მათე 10. 28).

---

[8] ივანე ამირხანაშვილი, სიტუაციის კომპოზიცია აგიოგრაფიაში, ჟურ. „სჯანი", 2011, № 12, გვ. 9.

[9] ლათინური ხატოვანი სიტყვა-თქმანი ქართული შესატყვისებით, შეადგინა აკაკი ურუშაძემ, თბ., 1987, გვ. 84.

„ხოლო გეტყვ თქუენ, მეგობართა ჩემთა: ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყჳდნენ კორცნი და ამისა შემდგომად ვერარად აქუს უმეტეს, რად გიყონ თქუენ“ (ლუკა 12. 4).

„სული არს განმაცხოველებელ, ხოლო კორცნი არად სარგებელ არიან“ (იოანე 6. 63).

პატერიკის ექვთიმე ათონელისეულ თარგმანში მოწოდება მტკიცე და ნათელია: „მოიძულე უოველივე ამის სოფლისად და განსუენებად კორცთად!“ (გვ. 6), „მოიძულეთ სოფელიდ უოველი, რად არს მას შინა; მოიძულეთ განსუენებად კორციელი და განეშორენით ცხოვრებისგან მისგან კორციელისა (...). იმშიეთ, ძმანო, და იწუურეთ, შიშულ იუვნით, იღძებდით, იგლოვდით და ტიროდეთ (...), რადთა აცხოვნეთ სულნი თქუენნი“[10]. ამიტომ მორწმუნე ქრისტიანისთვის სიკვდილი ძნელი არ არის, პირიქით, მეტადრე, სულის საცხოვნებელი, სანეტარო და სასურველია.

„ჰაბო ტფილელის წამებაშიაც“ სიკვდილი მხოლოდ ხორცისგან გასვლაა. საპყრობილეში მყოფი ჰაბოს თვალწინ უდგას იესუ ქრისტეს მდინარე იორდანეში განბანვა და ნათლისღება: „და თქუა ნეტარმან მან: «დიდ არს ჩემდა დღჱ ესე, რამეთუ ვხედავ ორკერძოვე ძლევასა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტჱსსა, რამეთუ დღესასწაულსა ამას შთაკდა მდინარესა მას იორდანისასა განშიშულებული ნათლის-ღებად და სიღრმესა მას შინა წუალთასა დამალულსა მის ვეშაპისა თავები ძალითა ღმრთეებისაჲ შემუსრა. ჯერ არს ჩემდაცა დღესა ამას, რაჲთა განვიძარცო შიში კორცთა ამათ ჩემთაჲ, რომელნი სამოსელნი არიან

---

[10] შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი XI ს. ხელნაწერის მიხედვით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მანანა დვალმა, თბ., 1966, გვ. 25.

სულისა ჩემისა და შთავკდე, ვითარცა სიღრმესა ზღვისასა»“ (გვ. 68).

წინ ჰაბო გამოკვეთილად ამბობს, რომ სულისთვის, რწმენისათვის თავშეწირვა, სიკვდილი სამუდამო ბედნიერებაში გადასვლაა. საპყრობილეში მყოფი ჰაბო თავის გულშემატკივრებს ასე ამხნევებს: „ხვალე განსლვად არს ჩემი კორცთაგან და მისლვად უფლისა ჩემისა და ღმრთისა იესუ ქრისტჱს თანა“ (გვ. 67).

„ჰაბო ტფილელის წამებაში“ სხვა მინიშნება არ არსებობს, მაგრამ, ზემორე აღნიშნული რწმენიდან გამომდინარე, პირადად მე ასე მესახება: იოვანე საბანის ძე დასასჯელად მიმავალ ჰაბოს თავის გვამს გარედან იმიტომ ახედებს, რომ ამით გვეუბნება: რადგან იგი თავისი გვამისაგან განცალკევებით არის, ამიტომ არ ენაღვლება თავის სხეულს, გვამს, ლეშს მტარვალი რას უზამს. როგორც ეს ამბროსი ხელაიამ ჯალათებს უთხრა: *ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული – სამშობლოს და ჩემი გვამი თქვენთვის დამითმიაო.*

არჩილის ერთი ნაწარმოების გაგებისა და დათარიღებისათვის[1]

საუბარი გვაქვს მეფე და პოეტ არჩილ მეორის (1647–1713) მოზრდილ ნაწარმოებზე, რომელიც გამოცემაში ძველი ხელნაწერის შესაბამისად ორგვარი, გრძელი და მოკლე, სათაურით არის წარმოდგენილი: *„მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“* და *„მეფეთა“*[2]. ეს პოეტური თხზულება სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით

---

[1] გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია, 1995, №1–4, გვ. 75–84).

[2] არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, არჩილიანი, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ., 1936, გვ. 225–247; არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი, საძიებელი და გამოკვლევა დაურთეს ივანე ლოლაშვილმა, ლიანა კეკელიძემ, ლალი ძოწენიძემ, თბ., 1999, გვ. 160–186.

რამდენიმეჯერ განხილულ-გაანალიზებულიც. როგორც ნაწილობრივ სათაური მიგვანიშნებს, იგი ეხება მსოფლიოს გამოჩენილ ცალკეულ გვირგვინოსნებს, „ქვეყნიერთ მეფეთ სახელდებულთა“, მოყოლებული უძველესი ხანიდან, დამთავრებული მისი თანამედროვეებით.

უწინარესად დახასიათებულია „წარმართ მეფენი საქმით კეთილნი“, რომელთაც „საქმენი ქმნიან მართლმორწმუნეთა“. ასეთად მიჩნეულია **ალექსანდრე მაკედონელი**. ამას მოჰყვება „ღვთისმსახურთ მეფეთ ქებულებანი“. ცალ-ცალკეა შექებული ებრაელთა მეფეები — **დავითი, სოლომონი, იოსია, მანასე**, ბიზანტიის იმპერატორები — **კონსტანტინე დიდი** და **ივბიმიანე**. მათ გვერდით „მხილებულნი“ არიან **იერობოამი** და **ივლიანე განდგომილი**.

შემდეგ მოდიან ქართველი მეფეები — „სახელოვანნი, კვლავ გულოვანნი, ავ საქმეშიდა არ გარეულნი“. ესენი არიან: **დავით აღმაშენებელი, გიორგი მესამე** და **თამარი**. ავტორი საგანგებოდ შენიშნავს, ამ შემთხვევაშიაც იგი შეგნებულად იზღუდება: „ორისამი ვთქვა, თუცა ზოგდენ სხვაც ბევრეულნი“.

მწერალი აქედან გადადის **შაჰ-აბასისა** და **პეტრე პირველის** დახასიათებაზე. მოკლედ მოგვითხრობს მათთან ურთიერთობასა და პირად შეხვედრებზე.

მომდევნო სტროფებია მეფეთა „სამხილებელი კარგ-ავებისა“. აქ ზოგადად არის საუბარი: „ვიეთთა ხელუყვეს, ცუდ საქმეს მიჰყვეს, რჩეულთ მეფეთა არად საქნარსა“. გვერდი აქვს ავლილი და არავინაა მოხსენიებული, თუ ვინ რა საძრახისი ჩაიდინა.

დასასრულ, არჩილი ლაპარაკობს **თავის თავსა** და თავის ძმაზე, ქართლის მეფე **გიორგი მეთერთმეტეზე**, იმ მძიმე ხვედრზე, რაც მათ მეფობისას ერგოთ.

თხზულება შედგება 114 სტროფისაგან. აბსოლუტური უმრავლესობა (96 სტროფი) შესრულებულია **ჩახრუხაული** საზომით. აქედან ერთი (30-ე სტროფი) კოჭლია, ყველა სტრიქონი შიდარითმებით გაწყობილი არაა და, ამდენად, სანახევროდ *ფისტიკაურია*. დანარჩენთაგან 8 სტროფი 16-მარცვლოვანი საზომითაა დაწერილი, ოღონდ სუფთა შაირის სახე აქვს სამს — მე-8 (გარდა პირველი სტრიქონისა), 54-ე და 93-ე სტროფებს, ხუთი

სტროფი (1, 29, 34. 79, აგრეთვე მე-8 სტროფის პირველი სტრიქონი), ჩახრუხაულის მსგავსად, შიდარითმებიანია, ხოლო ერთი სტროფი (70-ე) მთლიანად ერთმანეთთან გარითმული სიტყვებისაგან შედგება. სულ ბოლოს მოთავსებულია ურითმო, არათანაბარმარცვლიანი, ორმხრივ კიდურწერილობის შემცველი 10-სტრიქონიანი ტექსტი, რომელიც გამოცემაში დაუნომრავია და სამეცნიერო ლიტერატურაში *იამბიკოდ* იწოდება.

ჩახრუხაძის შემდეგ არჩილამდე ჩახრუხაულით შესრულებულია თეიმურაზ პირველის ლექსი *„შვიდთა კრებათათვის“*[3], რომელიც მეფე-პოეტის იმერეთში განდევნილობის ჟამს, 1649-1656 წლებშია შეთხზული[4]. კ. კეკელიძის აზრით, თეიმურაზის ამ ნაწარმოების მიბაძვით არის დაწერილი არჩილის *„მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“*. „რაც შეეხება არჩილის ლექსს, - წერს იგი,— ფორმის მხრივ, წინა დროის მწერლებთან შედარებით, ის საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. მთავარი ლექსთწყობა მისი არის 16-მარცვლიანი შაირი. მეორე ადგილი უკავია ჩახრუხაულს, რომელშიც ის არანაკლები ვირტუოზია, ვიდრე თვით ამ ლექსთწყობის მამამთავარი. ამ საზომის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს «მეფეთა ქება და მხილებანი», სადაც ავტორს მოუცია «თამარ წუნარი, შესაწუნარი»-ს საუკეთესო ჰარალელი, შედარებებითა და აფორიზმებით **არჩილის ლექსი მისი მასწავლებლის თეიმურაზ პირველის საუკეთესო მიბაძვაა**“[5].

ეს შეხედულება სამართლიანი არ არის. თვით არჩილი „მეფეთას“ დასაწყისში დაბეჯითებით გვეუბნება, რომ ამ ნაწარმოების შეთხზვა მისთვის შთაუგონებია ჩახრუხაძესა და მის „თამარიანს“. მაგრამ, ვიდრე შესაბამის ტექსტს დავიმოწმებდეთ,

---

[3] თ ე ი მ ურ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს და გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს რედაქციით, ტფ., 1934, გვ. 161-167.

[4] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, არჩილიანის ტექსტისათვის, არჩილიანი, I, გვ. 024.

[5] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 590. შდრ.: გვ. 592.

უნდა აღვნიშნოთ, რომ, საერთოდ, არჩილი რუსთველის შემდეგ ჩახრუხაძეს დიდი მოწიწებით ეპყრობა და მის ლექსს, სალექსო ფორმას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. *„თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“* იგი *„ძველ და ახალთ საქართველოს მელექსეთა“* დახასიათებას ჩახრუხაძით იწყებს:

„სხვას ლექსით ჩახრუხაძემა შეამკო მეფე თამარი,
არ მებრალების საქებრად თამარი, მისი ამარი,
ვა ამით, რომე სრულ ვერ ჰყო, ადრე უთხარეს სამარი.
მუდამ სხვას წიგნებს ვიკითხავთ, მაგრამ ისიცა სამ
არი“ (24).

როგორც ვხედავთ, მეფე-პოეტი ჩახრუხაძეს თამარის ღირსეულ მეხოტბედ, ანუ კარგ, საუკეთესო მწერლად, მიიჩნევს და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მის ნაწარმოებს სათანადო დაფასება არა აქვს, – „მუდამ სხვას წიგნებს ვიკითხავთ“.

ამავე ნაწარმოებში რუსთველის ნათქვამზე „მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზედ შენობს“ (79.1), თეიმურაზის პასუხით ჩახრუხაძე ერთგვარად რუსთველზე წინაც კია დაყენებული:

„ჩახრუხაძემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველ
თქმასა?
რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა!
ვეჭვ, მას დარჩეს პირველობა, დაგიხიოს შენი მასა,

თორემ ვჰკითხოთ ქორანიკონს, გაგიჩნდების შენი
ბასა!“ (80).

ჩახრუხაძის ხოტბა და დიდება კიდევ უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი ლექსში – *„მეფეთა“*. „ჩახრუხაძე ბრძენთ ვაბაძნეთ“, – აცხადებს არჩილი პირველ სტრიქონშივე და იქვე მიუთითებს თავისუფლად და ლაღად მომდინარე მის ლექსზე, რომელიც თავისთავად რთულია და ძნელად შესაქმნელი:

„იარება, შებრკოლება არ ეტყობა დრკუდ რომ სლვასა...
დია ამკობს, ვით იაკობს, თამარს მაშრიყს-დასავალსა“
(1. 2, 4).

არჩილისათვის ჩახრუხაული ლექსი ქართული პოეზიის იშვიათი სახეობაა. *„თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების“* ზემორე დამოწმებულ სტროფში მას „სხვა ლექსს“ უწოდებს, *„მეფეთაში“* – **უცხოს**:

„ჩახრუხაული, ვით რეხეული, ძეგლად უწესა თავისა
ლექსსა.
სიტყვის სიმტკიცით, ვინცა ვინ ვიცით, იგი მთიული
უ ც ხ ო დ რამ ლესსა“ (2. 1-2).

არჩილის დროს, როცა ქართულ მწერლობაში 16-მარცვლოვან შაირს გაბატონებული ადგილი ეჭირა, უფრო მეტიც, პოეზიის ერთადერთ კანონიკურ ნორმად მიიჩნეოდა, ჩახრუხაული, მართლაც, იშვიათი ხილი იყო. ამიტომაც არის, ქართული ლექთსწყობის განახლებისათვის შემართული არჩილი ფერებს არ იშურებს ჩახრუხაძის პოეზიის სილამაზისა და მიმზიდველობის წარმოსაჩენად:

„ვისმე ხევითა, საროს ხე ვითა, უთქვამს ლექსები რტო-
გარდაფენით.
ყვავილთ მრავალფერთ, ფერად შესაფერთ, ვარდი უპყრია
ბაგეთ მოფენით...“ (2. 1-2).
„შაირთ მოჯრობით, ლექსთ დარაჯობით, სწორად
შეამკობს ფინიკს და ლელსა“ (3. 4).

მეფე-პოეტი საგანგებოდ მსჯელობს *„თამარიანის“* თემატიკაზე. მისი აზრით, ამ ნაწარმოებში თამართან ერთად შექებულია საქართველოს სხვა ხელისუფალნიც, ერისა და ქვეყნის გამოჩენილი შვილები, მაგრამ ძირითადი მაინც მეფეებია. თუ პირველ სტროფში ჩახრუხაძეზე ამბობს, რომ იგი „დია ამკობს, ვით იაკობს, თამარს...“, მეორე სტროფში ვკითხულობთ:

„ქალნი თუ ყრმანი, არსად უხმარნი, მჭევრად უქია ერნიც
მეფენით“.

მესამე სტროფში კი აღნიშნულია:

„ქვეყნის მპყრობელთა, სვეთ შემსწრობელთა, ნარნარად
აქებს მის დროს მოსულსა“.

არჩილი პირდაპირ გვაუწყებს, რომ „*მეფეთა საქებენი და სამხილებელნის*“ შექმნა მას შთააგონა „*თამარიანის*“ როგორც მხატვრულმა ფორმამ, ისე შინაარსმა. ჩახრუხაულის თაობაზე ნათქვამია:

„მო, ნახე, ესუ რის, მონა ხევსურის სიყვარულითა მ ი ს
ხ მ ი თ ვთქვა მეცა“ (4. 1).

„მოხეველისამ, ჩახრუხელისამ, ლ ე ქ ს თ ა სიტკბომა
ამიყოლია“ (5. 1).

თავისი თხზულების თემატიკის შესახებ მწერალი ამბობს:

„ხელვჰყო, მცნობელო, დაუცთომელო ქვეყნის მ ე ფ ე თ ა
სახელდებულთა,
ჩვენ წინ მოსულთა, აწ გარდასულთა, ახლად მზრახ-
ველთად დადუმებულთა,
მხნედ და ძლიერთა, საძებნიერთა, ახოვნად, ქველად
გმირებ გებულთა.
ღრმად აღმოვიწყო, გარ შემოვიწყო ქება ღვთის მიერ
დაბადებულთა“ (7).

თუმცა ისიც აშკარაა, რომ „თამარიანთან“ შედარებით „მეფეთა“ თემატიკურად კიდევ უფრო ფართო და მრავალფეროვანია. სულ სხვა თემას ეძღვნება თეიმურაზ პირველის „*შვიდთა კრებათათვის*“.

არჩილი თავმდაბლურად აღნიშნავს, რომ იგი ჩახრუხაძის მსგავს ნაწარმოებს ქმნის, მაგრამ ოსტატობით მასთან ახლოსაც ვერ მიდის:

„ვინ ვაფრქვევთ ლალთა, ცუდებრ მოლალთა, მ ი ს თ ა
თ ქ მ უ ლ თ ა ნ ა გავიაფენით“ (2. 3).

„ვითა აჩრდილად, არ თუ სადილად გარნა იქნების
დღესთან ღამეცა.
მე ქვე მეთრევსა, ი გ ესრეთ მრევსა, დაბალს იატაკს, თუ
სთქვა, აღმეცა“ (4. 2–3).

ეს ის მონაცემებია, რასაც არჩილი თავად აღიარებს და საგანგებოდ აღნიშნავს. ახლა იმის შესახებ, რასაც ავტორი პირდაპირ არ იუწყება და თვალით ვხედავთ.

„*თამარიანში*“ შიგადაშიგ ჩახრუხაულის გვერდით გამოყენებულია სხვა საზომები. ასევეა „*მეფეთაშიც*“. პირველში მთელი მერვე თავი, ოთხი სტროფი ფისტიკაურითაა გამართული:

„ასრე მეწყალი, რომე თვალთაგან ცრემლთა ნაკადი
ღვარულად მოდის,
ვითა მოვკვდები, რომლის ჭირითა მაგალითები აღარ
ითქმოდის,
შენთა მ ო ყ მ ე თ ა რა ჰქმნან, რ ო მ ე ლ თ ა დედა და
მამა აღარა სმოდის? –
მუნ დაიკოცნეს, სადა სახელი ქვეყანისაცა აღარ ისმოდის.
შენ გულსა ესე იმედად უთხარ: «ვითამცა შორით კვლა
მოვიდოდის».
მაღრიბსა დაყვნეს ჟამნი მრავალნი, აჰვაზს, მოსულსა
ქვა-ოქრო ჰქონდის.
ანუ ხაზარეთს, ჩინთა დავ ხანთა გზა შეამოკლოს,
მოისწრაფოდის,
კონსტანტინპოლის ნავნი ააგეს, ზღვა წყნარად იყვის,
ტაროსი ჰქონდის.

მობაღდადენი ბარდავს მოვიდნეს, მახარობელნი ჩვენთანა

რბოდის;
ათი ათასი მარ-გაკვეთილი ბიბი მოჰყვანდის, მოეზაოდის.
აქლემთა ტურფათ მძიმედ ტვირთითა მონა მკევლები წინა
უძღოდის.
შენ გაეგებო სურნელთა კმევად, მუჯამრი გქონდის, ალვა
იწოდის.

მარა მარმარნი მკლავნი მოგხვიენეს, სიხარულითა სული
იწოდის.
მას გაუმთელდეს გული მოკლული, აღარა ოდეს ლახვარს
ისოდის.
ქაბასა მფლობი დიდი ემირი მას შიგან მთხრებლსა თვისად
ისმოდის,
მოჰმადის კ მ ო ბ ა დ, მიზგითად შ ე ს ლ ვ ა დ, თაყვანის
ცემად მასშიგან გცოდის“ (52-55).

უნდა შევნიშნოთ, რომ აქ პირველ სტროფში მესამე სტრიქონი შიდარითმიანია. სუსტი შიდარითმა შეინიშნება ბოლო სტრიქონშიაც, მაგრამ ორივე ადგილას ეს შემთხვევითი უნდა იყოს. „*მეფეთას*“ 30-ე სტროფში შიდარითმებია მეორე და მეოთხე სტრიქონებში, დანარჩენ ორს შიდარითმები არ მოეპოვება:

„დიდს კონსტანტინეს ნუ დავივიწყებთ, მეფედ მთიებად
დამტკიცებულსა.
ე ლ ი ნ ო ბ ა ს ა ც, კერპთ მ ო ნ ე ბ ა ს ა ც, ყოვლის
სიკეთით დიდად ქებულსა;
სულის მობერვით განახლებულსა, ცათა მწვერვალთა
დადგინებულსა.
ამას პ ა ტ ი ვ ს ვ ც ე მ და თ ა ყ ვ ა ნ ი ს ვ ც ე მ თავთ
მოციქულებრ განათლებულსა“.

ვფიქრობთ, თუ არჩილი თავს უფლებას აძლევს, რომ 20-მარცვლოვან სტროფში შიდარითმებს გვერდი აუაროს, ესეც „*თამარიანის*“ ერთგვარი გამოძახილი უნდა იყოს.

„*თამარიანის*“ ორი სტროფი, მეცამეტე და მეთოთხმეტე თავები, 16-მარცვლოვანი შაირითაა შესრულებული:

„შენ მწუნობი ხარ მნათობთა, არ ისასმენლებ, არიდენ;
შენ შუქნი ელვა-ეთერთა მზისა მწვერვალთა არიდენ;
შენ სისხლთა შენთა ურჩთასა უზღო-უმსგავსოდ არ იდენ;
არცა ნათლისა ისარი მჭვრეტსა გულებსა არიდენ!

გვიან შენებრთა ძებნანი რკინისა კამლთა შესხმანი,
შენთვის კმდა არისტოტელი, დიონოს წიგნთა შესხმანი,
მსგავსად აქილევ-ტროელთა უმიროსისგან შესხმანი,
ვერცა დამეტებს სოფოკლი, არა თუ ჩემნი შესხმანი“
(78-79).

როგორც წინ მივუთითეთ, „მეფეთას“ ორი სტროფიც წმინდა 16-მარცვლოვანი შაირითაა დაწერილი:

„მეფეთა შორის მთიებო, დიდო დიდებავ დედათა,
სულით ხორცამდე ბრწყინვალევ, წარჩინებულო შვებათა,
სიწმინდით, ქვეყნის მფლობლობით ვინა შესხმა თქვას
ქებათა,
ფუფუნეულო სამოთხის, განშორებულო ვნებათა“ (54).

„ერთი კვერცხი სჯობს ახალი მრავალს ლაყს, სულ-
დაღებულსა,
უქმი სიტყვისად ვაყენებ, ვის გინდა, პირდაღებულსა,
სიბრძნის მოყვარემ აჯობოს კაცს უგბილს, სულ-
დაღებულსა,
ვინ სულსა იღვწის, დაიდებს აღაპსა კარ-განღებულსა“
(93).

აღარაფერს ვამბობთ იმ ექვს სტროფზე, რომლებიც შაირითაა შესრულებული და, ჩახრუხაულის მსგავსად, შიდარითმებს შეიცავენ (მე-8 სტროფში ასეთი პირველი სტრიქონია).

არჩილი იმდენად მიჰყვება *„თამარიანს“*, რომ მის იმ ერთადერთ სტროფსაც ჰბაძავს, რომელიც ერთ რითმაზეა აგებული და ჩახრუხაულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. *„თამარიანში“* ეს სტროფი 16-მარცვლოვანი კატრენია:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი, კმა-ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე-მცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი, მომდინარი,
მისთვის ქნარი რა არს?– ქნარი არსით მთქნარი, უჩინარი,
ვარდ-შამბნარი, შამბ-მაღნარი, ღაწვ-მწყაზარი, შუქ-
მფინარი“ (24).

არჩილის ნაწარმოებშიც ერთ სტროფს ზუსტად ამგვარი აგებულება აქვს, ოღონდ პირველი სამი სტრიქონი 16-მარცვლოვანია, მეოთხე – ოცმარცვლიანი:

„გონიერი, მეცნიერი, ბედნიერი, კადნიერი,
მშვენიერი, ნივთიერი, არ მცბიერი, სახნიერი,
მქონიერი, ცნობიერი, მძნობიერი, მგრძნობიერი,
ამდონი ერი, ამ-ქვეყნიერი, მონებრი არი გამგონიერი“ (70).

ალბათ, ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ორი ნაწარმოები სიდიდითაც დაახლოებით ერთნაირია. „*თამარიანი*“ ხელნაწერებში 110-112 სტროფს შეიცავს, „*მეფეთა*“ – 114 სტროფს, მაშინ როდესაც თეიმურაზ პირველის „*შვიდთა კრებათათვის*“ 27-სტროფიანია (ბოლო, 27-ე, სტროფი 16-მარცვლოვანი შაირია).

ამრიგად: არჩილის სიტყვით და სხვა მონაცემებითაც თვალნათლივია, რომ „*მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი*“ ჩახრუხაძის „*თამარიანის*“ გავლენით, მისი შთაგონებითაა შექმნილი.

ახლა საკითხავია: ეს არის უბრალო მიბაძვა თუ უფრო ღრმა და შორს გამიზნული შემოქმედებითი მიზანდასახულობის შედეგი?

არჩილს ჩახრუხაულისათვის ადრეც მიუმართავს. ამ საზომით არის შესრულებული მისი ლექსი „*ანბანთქება ცხრა თავნი*“, რომელიც ცხრა ჩახრუხაული სტროფისგან შედგება და თითოეული სტრიქონის დასაწყისი ასო ანბანის რიგს ქმნის (არჩილიანი, I, გვ. 251-253):

„ა სულ ასულა, მჭვრეტნი დასულა, ესე ვინაა ჩემი ასულა?
ბროლ-მინა რევით, მზისა მორევით, თვალნი მორევით

მესამე სტრიქონი იწყება **ბ** ასოთი, მეოთხე – **დ**-თი, მეორე სტროფის პირველი სტრიქონი – **ე** ასოთი, მეორე სტრიქონი– **ვ** ასოთი და ა. შ. ირკვევა: მაშინ მეფე-პოეტს უფრო აინტერესებდა ჩახრუხაულით გამოხატული ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა, ვიდრე „*თამარიანის*“ თ ე მ ა ტ ი კ ი ს განმეორება-გავრცობა.

არჩილს სამი ჩახრუხაული სტროფი შეუქმნია და თავ-ბოლო კიდურად ჩაუწერია სამების, ღვთისმშობლის, 12 მოციქულისა და წინასწარმეტყველთა საქებარ შვიდ იამბიკოში:

„სამებით ღმერთო, ბუნებით ერთო, დამკსენ სახმილსა
უშრეტად მწველსა;
მიშველე რამე, შენ მნახო რა მე, სათნოებითა რომ ვგევარ
მწველსა.
შენ ნებაზედან, შენებაზედან, აღარ მიმიშვა ბელიერ
მწველსა,
ჩამსომს მწვირესა, მის ნამწვირესა, ვ(ა)ი, რა ავია მის
დანასველსა!

ქალწულად მშობო, ქებით სამკობო, და სალმობისა არასა
მგრძნობო;
გამოუთქმელად, მიუწდომელად, დამბადებლისა ვისცა
ვერ იტევს,
ისიც მომიტევს, შენ მეოხ მეყავ, ქებას გიმკობო!
თუ ცადა ვები, თუცა დავები, განსაცდელშიგან მებრ მქმენ
იობო.
მოციქულთ ა თორ, ვეევედრო ათ-ორთ, თორე მიზმენა
საქმეს ქნელ ავსა,
წინასწარმეტყველთ, მით გამომეტყველთ, ღმერთმან იგინი
სულით აავსა;
მღდელთა მოძღვრითა, ცრემლისა ცვრითა, ამით უფალმა
ალი დაავსა;
მოწამებითა, ქალწულ-ყრმებითა მტერთა განვერო და
ვითხოვ დავსა“.
(არჩილიანის ტექსტისათვის, გვ. XV).

ეს ნაწარმოებიც ადრე, 1681–1682 წლებშია დაწერილი (იქვე, გვ. XVI).

როცა ვმსჯელობთ, თუ რა ხასიათისაა „*მეფეთას*“ დამოკიდებულება „*თამარიანისადმი*“, ყურადღებას იპყრობს აგრეთვე არჩილის ვრცელი პოეტური თხზულება „*გაბაასება კაცისა და სოფლისა*“, რომელიც დავით ჯაფარიძის პატარა, ერთსტროფიანი, ლექსის გამოხმაურებაა:

„თქვეს, ჩალხი სოფლის სიმუხთლის სამუდმოდ არის
მბრუნავი,
ლხინს მოგვცემს, ჭირი გვერთს ახლავს, ხან შვება, ხან
საჭმუნავი,
ნურვინ სდევ, ვერვინ მისწვდები, ცხენი გყავს, ანუ თუ ნავი,
თქმულა, რომ: არვინ დარჩება ბოლომდინ მოუმდურავი“
(არჩილიანი, I, გვ. 19–62).

იქვე, დასაწყისში, მინაწერი გვამცნობს: „ეს ერთი ჰირველი ლექსი დავით მამუკაშვილს ჯაფარიძეს ეთქვა სოფელზედ აშთარხანს. ამას ქვეითი სოფლისა და კაცის გაბაასება ამ ერთმან ლექსმან მოახდინა. ასრე არის უოვლისფერის, კარგისა თუ ავის, საქმისა ორისა მიზეზი: ჰირველ ასრე ცოტათ იწუების და შემდგომად ასრე განმრავლდების!...“.

როგორც ამ მინაწერშია აღნიშნული, მეფე-პოეტს დამოწმებული ლექსის თემა მნიშვნელოვნად გაუფართოებია. თუ დავით ჯაფარიძე სოფელზე ცალმხრივად, მხოლოდ მის სიმუხთლეზე ლაპარაკობს, არჩილი შუასაუკუნეების ამ აქტუალურ საკითხს მრავალმხრივი თვალთახედვით წარმოგვიდგენს: რა ბრალდებებს უყენებს ადამიანი სოფელს და სოფელი — ადამიანს?

„*მეფეთა საქებელნი და სამხილებელნის*“ ინტერესების სფერო გაცილებით ფართოა. ზემოთ ვაჩვენეთ, ავტორი „*თამარიანიდან*“ იღებს როგორც ლექსის ფორმას, უფრო ზუსტად, ფორმებს, ისე თემას და ამ უკანასკნელს ბევრად ავრცობს.

არჩილი თავისი დროის ნოვატორი პოეტია. მისი პოეზიის ძირითადი მეტრი 16-მარცვლოვანი შაირია, მაგრამ იგი ცდილობს

მის მოდერნიზებას – შიგადაშიგ იყენებს შიდარითმებს. ქმნის ისეთ ფორმალისტურ ლექსებს, როგორიცაა *„ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“* და *„თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“* ძნელად გასაშიფრავი სტროფი – *„მოაბასითა, მო აბა სითა, მო ესო. მითხარ, ვით მოგე კიდე“* (სტრ. 201).

ვფიქრობთ, გარკვეული დასკვნების უფლებას იძლევა ისიც, რომ ყველაზე ძველ, **გივი თუმანიშვილის** მიერ გადაწერილ, არჩილის პოეტურ ქმნილებათა კრებულში (S–424) შესული სხვა ავტორთა თხზულებანი ორი პრინციპით არის შერჩეული: ისინი ან არჩილის ქებაა, როგორიცაა **იაკობ შემოქმედელის** (გვ. 299), **პეტრე მგალობელის** (გვ. 335–336) და **გივი თუმანიშვილის** (გვ. 455) ლექსები, ან თავისებური სახის ნაწარმოებები: **იაკობ შემოქმედელისა** (გვ. 300) და **სვიმონ კოპაძის** (იქვე) **წაღმა-უკულმა** საკითხავი სტროფები და **სულხან-საბა ორბელიანის** (გვ. 299), **პეტრე მგალობელისა** (გვ. 323–334) და **გივი თუმანიშვილის** (გვ. 455) *ანბანთქებანი*. აქედან პირველი ანბანთქება შინაარსობრივად *„ამიცანა“* არის. აქვე უნდა შევნიშნოთ, თვით არჩილს აქვს *„ანბანთქება სულხანის პასუხად“* და *„ანბანთქება ამიცანად სათარგმანებელნი“* (არჩილიანი, I, გვ. 271–287), ხოლო თვით აღნიშნული კრებული არჩილის დავალებით არის დამზადებული.

ალბათ, ისიც საყურადღებოა, რომ **პეტრე მგალობელის** სამივე ანბანთქებაში თითო სტროფი ჩახრუხაულითაა შესრულებული. აი, ეს სტროფები:

„არსთა მაარსმა, თვით დაუარსმან, სამოთხე შექმნა აქ
ადამისთვის,
ალაგო მიწით, იგ ჯმნულყო ბიწით, მაშინა მკვიდრყო აქა და
მისთვის,
ამად ბრალს ვარდა, მუნით განვარდა, ვის ძალუცს ოხად
აქა და მისთვის,
ამანვე იკსნა, იგ ვინ დაიხსნა, ძმა არ დტრვინვიდა, აქადა
მისთვის“ (გვ. 323).

„აჰა, ცად მპყობო, კმელთათა მფლობო, ძისა მშობელო,
მვლენო სულ ისა,

ანგელოს დასნი, ბევრ რიცხვად ასნი, მსახურ ჰყვენ შენდა
ცეცხლ დასულისა,
ადამ კელით ქმენ, სამოთხე უქმენ, ნაყოფიერ ჰყავ ყვავილ
სულისა,
ამას მოველი, ლოცვით მშოველი, სასოება არს ჩემი
სულისა“ (გვ. 329).

„ეს ღვთის მოსავ არს, გლახაკთ მმოსავ არს,
წარმართებულმც აქვს განსაგებელი,
მშვიდი და ურცხვ არს, სიმდაბლე უყვარს ნარნარად
მეტყველ განსაგებელი,
მე, მისგან მონამ, ანბანთ ლექსთ მგონამ, ეს ვთქვი სულთ
სნეულთ განსაგებელი,
სულ სათარგმანო ვერვინ მიგმანო, ბრძენი უკმს ამას
განსაგებელი“ (გვ. 336).

ეს მონაცემები და, საერთოდ, არჩილის პოეტური შემოქმედება თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ **მეფე-პოეტი დაუცხრომლად იღვწის ქართული პოეზიის ვერსიფიკაციული და თემატიკური განახლებისათვის. ვფიქრობთ, აშკარაა, ამ შეგნებული შემოქმედებითი მიზანსწრაფვის შედეგია *„მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“* ლექსიც.**

დასასრულ, კიდევ ერთი საცილობელი საკითხი: ნაწარმოებში როგორ — ცოცხლად თუ გარდაცვლილად — არის წარმოდგენილი **გიორგი XI**, რითაც განისაზღვრება ამ თხზულების დაწერის დრო?

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხს საგანგებო ყურადღება ექცევა. აღნიშნული თარიღის დასადგენად უპირველესად გამოყენებულია არჩილის თხზულებათა ხელნაწერული კრებულების მონაცემები. ყველაზე ძველი და სანდო კრებულის მიხედვით, რომელიც ავტორის დავალებით გივი თუმანიშვილის მიერ არის გადანუსხული (S-424), ალ. ბარამიძე წერს: „არჩილის უკანასკნელი პოეტური ძეგლია *«მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი»*... *«მეფეთას»* შესახებ ტექსტის სათაურშივე შენიშნულია: «ამ ლექსებს მეფეთა ეწოდება და ამ წიგნის ბოლოს

არის ნათქვამი, აქ უნდა დაიწეროს»-ო. ხოლო «ზანდუკში» ვკითხულობთ: «ჰირველთა და შემდგომით-შემდგომთა მეფეთა ქება და სამხილებელნი მოსკოვს არის ნათქვამი»" (არჩილიანის ტექსტისათვის, გვ. XIX).

ეს კრებული თარიღიანია. გ. თუმანიშვილი გვაუწყებს, რომ მას იგი გადაუწერია 1701 წელს. მაგრამ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია გარკვეული, ხსენებული თარიღი ეხება ხელნაწერის *ძირითად* ნაწილს, კალიგრაფს კრებულში სუფთა ფურცლები დაუტოვებია, რომელიც მასვე მოგვიანებით შეუვსია. როგორც ზემორე დამოწმებული „ზანდუკი" და სათაური გვამცნობს, ერთი ასეთი გვიანდელი ჩანაწერია ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოები.

ვინაიდან „*მეფეთა*" შესული არაა არჩილის პოეტურ თხზულებათა მეორე კრებულში, რომელიც დაუთ თურქისტანიშვილის მიერ 1705 წელს გ. თუმანიშვილისეული ნუსხიდანაა გადაწერილი, სამეცნიერო ლიტერატურაში თავიდან სწორად იქნა განსაზღვრული, რომ ეს ნაწარმოები 1705 წლის შემდეგ არის შექმნილი. ალ. ბარამიძე ზემორე დამოწმებულ მსჯელობას ასე აგრძელებს: „სხვათა შორის, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ «მეფეთა» და «ანბანთქება ახლად შემოღებული» არაა თურქისტანიშვილის ნუსხაში (ეს ნუსხა ძირითადად გადაწერილია 1705 წელს), საფიქრებელი ხდება: ეს ორი ტექსტი 1705 წლის შემდეგ იყოს შეთხზული" (იქვე, გვ. XIX).

ამ ნაწარმოების ქრონოლოგიას საგანგებო ნაშრომი უძღვნა ლევან მენაბდემ. მან 1958 წლის 18 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „ახალგაზრდა სტალინელში" (№ 2 [220]) გამოაქვეყნა წერილი „*არჩილის ერთი თხზულების დათარიღებისათვის*", რომელიც შემდეგ მცირეოდენი შემოკლებითა და მსჯელობათა გადაადგილებით შევიდა მისსავე გამოკვლევაში „*ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან*", რომელიც 1963 წელს დაიბეჭდა „*თბილისის უნივერსიტეტის შრომების*" 96-ე ტომში (გვ. 203-206).

აქ უადრესი თარიღის განმსაზღვრელად მოხმობილია პეტრე პირველის საქებარი სტროფი, სადაც აღნიშნული უნდა იყოს პოლტავის ბრძოლაში კარლოს მეთორმეტის დამარცხება:

„ვისცა იტყვიან, მართ დაუტყვიან, მეფის წილ კ ო რ ლ ა დ
სახელდებულად,
ვინა სვეთია, სიტყვით მკვეთია, კნინღა და მიაჩნს
განქიქებულად.
მოწყდა ვით ისრით, განაძო ი სრით, სხვათა არესა მართ
აგდებულად,
ციხენი მისნი, ზღვათ აქათისნი, ყველა ხელთ იდვა სულ
აგებულად“ (65).

„არჩილის ცნობით, – განმარტავს ლ. მენაბდე, – «მეფის წილ კორლად სახელდებულად» ვინც იყო მიჩნეული, იგი ჰეტრე პირველმა სასტიკად დაამარცხა და განდევნა. ძლეულმა მოწინააღმდეგემ უცხოეთს შეაფარა თავი, ხოლო რუსთა მხედრობამ დიდძალი დავლა იგდო ხელთ“. აქედან გამომდინარე, მკვლევარი ასკვნის: „საკამათო არ უნდა იყოს, რომ აქ რუსთა სახელოვანი მხედრობის მიერ პოლტავის ბრძოლაში (1709 წ.) კარლოს მეთორმეტის არმიის სასტიკი დამარცხება, შვედთა მბრძანებლის სამარცხვინო გაქცევა და მის მიერ თურქეთში თავშეფარება უნდა იგულისხმებოდეს. ეს გარემოება კი საფიქრებელს ხდის, «მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი» 1709 წლის შემდეგაა დაწერილი. სხვათა შორის, პოლტავის ბრძოლაში ჰეტრე პირველის გამარჯვების გამო არჩილმა რუსულ ენაზე დაწერა სპეციალური ლექსი“.

ამავე თარიღის სასარგებლოდ და განსამტკიცებლად, მეორე საბუთად მოყვანილია ბოლო სტროფი, იამბიკო, რომელიც გიორგის, ანუ გიორგი XI-ს, ეძღვნება და გვაძლევს თავ-ბოლო კიდურწერილობას: „თუ შენ არა, ვინ ა გამოცდილ?!“. ლ. მენაბდის აზრით, ამ სტროფთა და კიდურწერილობის მიხედვით გიორგი გარდაცვლილია. მისი სიტყვებია: „თხზულებას ბოლოს ერთვის ერთი აკროსტიხული იამბიკო («თუ შენ არა, ვინა გამოცდილ?»), რომელშიც არჩილი მიმართავს თავის ძმას, ქართლის

მეფეს – გიორგი მეთერთმეტეს, და საგანგებოდ ჩერდება მის ღვთისმოყვარეობაზე (...). არჩილის იამბიკოში გიორგი მეფე, რომელიც 1709 წელს მოკლეს მირვეისის მეომრებმა, უკვე გარდაცვლილად ჩანს".

თხზულების დაწერის უგვიანეს დროდ ლ. მენაბდე ასახელებს 1713 წელს, არჩილის გარდაცვალების თარიღს. „ამრიგად, – დაასკვნის მკვლევარი, – ეს მეორე დეტალიც მოწმობს, რომ «მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი» 1709–1713 წლებშია დაწერილი (1713 წელს გარდაიცვალა თვითონ არჩილი)".

ლ. მენაბდის ეს მოსაზრება იმთავითვე უყოყმანოდ იქნა გაზიარებული[6].

ჩვენი დაკვირვებით, ტექსტი საშუალებას იძლევა, დაზუსტდეს ამ ნაწარმოების უგვიანესი თარიღი და თვით დაწერის დროც. ჯერ ერთი, არ ჩანს, აღნიშნულ იამბიკოში გიორგი ნამდვილად გარდაცვლილად იყოს წარმოდგენილი. მეორე, და რაც მთავარია, წინა სტროფში გიორგი XI აშკარად ცოცხლად არის გამოყვანილი.

არჩილი გიორგის მიმართავს, როგორც სპარსეთის მთავარსარდალს, რომელიც მისგან შორს, სპარსეთსა თუ ავღანეთში, იმყოფება, და ნატრობს იმ დროს, როცა ღვთის შეწევნით, „ბილწთ სამეფოს" ჯავრს ამოიყრიან, ანუ, ჩვენი გაგებით, უცხოეთში ყოფნას თავს დააღწევენ და სამშობლოში ერთად იცხოვრებენ:

„სიფასალარსა, სპარსთა სალარსა მოგენიჭნეს რამ ჩემს შორს მყოფისა;
ძმასა ზიარსა, ნეტარძი არ სა? საქმე არ იყო განაყოფისა,
რამე ხელვყარო, ან მოვიყარო მე აქა მყოფმან, შენ მანდ მყოფისა;
ნუთუ ქნას ღმერთმან, სამებით ერთმან, ჯავრთა ამოყრა ბილწთ სამყოფისა" (110).

---

[6] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 584; ვ. შადური, ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, თბ., 1962, გვ. 93.

პოეტი მომდევნო სტროფშიაც ასევე ცოცხალ გიორგის მიმართავს და რაღაც საჩუქრებზე ესაუბრება, კვლავ ნატრობს თავიანთ სამეფოში ერთად შეყრას ისე, რომ წინანდებურად იქიდან გაძევება და რაჭას თავშეფარება არ მოუხდეთ:

„ვისცა მიკითხავ, არ მოგიკითხავ, ვიდრე დრო არ მცეს,
რაცა მე მინდა;
გინდა მო ბადეს, ვინ მოგიბადეს, წაყრა საფერხთა აწღა
მოგინდა.
ქირმან ქირმანით, სადათ საძოვრით, ძლით დაინახე, აწყ ღა
გაგგინდა:
შენთა მრჩეველთა, ცრუდ მაკლეველთა, წყევა, გინება დია
მომინდა.

მითვე რიცხვითა, არ ურიცხვითა, მოგიძღვენ რამე აგრევ
ჭრელ-ჭრული,
თითო-ოროლი, არა ოროლი, გრძელი და ვრცელი, არ თუ
ნაჭრული,
არ ერთი ორად, საფასე შორად, ნივთი არ იყოს ქცევა
ვაჭრული.
ღმერთმან შეგვყარნეს, ერთად მიგვყარნეს, საქმე არა
ქმნას მისებრ რაჭული“ (111-112).

არჩილი რომ ცოცხალ ძმას ებაასება, კიდევ უფრო ნათლად ჩანს მომდევნო სტროფებში, რომლებიც 16-მარცვლოვანი შაირითაა შესრულებული. ახსენებს მას ძველ დროს, როცა გალაღებულად ცხოვრობდნენ, და მხნეობისაკენ მოუწოდებს:

„ოდეს ვსჭვრეტდით ურთიერთსა მამაჩვენსა მხიარულსა,
სად წარგვიხდეს იგი ჟამნი, ვინა ვ ხ ე დ ა ვ თ აწ რამ
რულსა,
ვითა ორბსა ცასა ქვეშე, ჩვენც აგრევ ქვე მოარულსა?
ნუცა მ ტ ი რ ი, ნუცა მ ი გ ლ ო ვ, ჩემო ჩემსა
სიყვარულსა!

გიკინას არუთენასგან მ ო კ ი თ ხ ვ ა სიცოცხლისანი,
მოკლე რამ იყო მოყვსობა, განზრახვა მის შამხლისანი;
ჟ ა მ ი ი თ ხ ო ვ ე მაღლისგან ჩვენის სიბერის ხსნისანი,
დროცავე მასღა წინ უ ყ ო თ ორთავე გამოხსნისანი“
(113–114).

რაც შეეხება უკანასკნელ სტროფს, იამბიკოს, ვიმეორებთ, არც იქ ჩანს, გიორგი რომ გარდაცვლილი იყოს, მეტადრე აკროსტიქულ ტექსტში – „თუ არა შენ, ვინ ა გამოცდილ?!“, რომელიც არის პასუხი ბოლო სტრიქონისა: „იხილე ისწავების სხვათა მიმართ არა თვით გამოუცდელილ“. აი, ეს იამბიკოც:

„**თ**ანა წარჰხედ წარმავალსა, წარუვალი მოიგონე**ნ**,
უტრფიალე უხილავსა იელუსალემის, მომძაგებელი
სოდომის**ა**,
შეინანე ვითარცა პეტრე, ჰოი, გიორგ**ი**!
ეც ნაწილი აწ ზენასა უფროს უქვენაენის**ა**,
ნივთი ესენი ავლ და აჩრდილთა უფროს მიმრდომ**ი**,
აღირჩიე გულვებადი რჩეულისა გონების**ა**,
რამეთუ წარხდენ პირველნი და ეგრეთვე გარდახდენ
მძაფრიად ცანი**ც**,
არამედ იყავ მონანულ ჭეშმარიტ და სცხონდე შემდგომა**დ**.
ვიელტოდი მეცა არა უმეცრებით, არამედ მაგისდამ**ი**,
იხილე, ისწავების სხვათა მიმართ არა თვით
გამოუცდელი**ლ**“.

არა გვგონია, „თანა წარხედ წარმავალსა“, „უტრფიალე უხილავსა იელუსალემს...“, „სცხონდე შემდგომად“ და კიდევ უფრო ნაკლებად სხვა გამოთქმები გიორგის გარდაცვალებაზე მეტყველებდეს.

მაშასადამე, ტექსტიდან ჩანს: როცა არჩილი ამ ნაწარმოებს წერს, მას თავისი ძმა, გიორგი, ცოცხლად ეგულება. გიორგი ავღანელთა ბელადმა მირვეისმა ღალატით მოკლა 1709 წლის 21

აპრილს, დიდ ხუთშაბათს[7]. ცხადია, მოსკოვში მყოფ არჩილამდე ამ ამბის მისვლას გარკვეული დრო (ალბათ, რამდენიმე თვე) დასჭირდებოდა. თუ ზემოთ დამოწმებულ სტროფში ნამდვილად პოლტავის ბრძოლა იგულისხმება, რაც, ჩვენი აზრითაც სარწმუნოა (ეს ბრძოლა კი ძველი სტილით 1709 წლის 27 ივნისს მოხდა), გამოდის, რომ მწერალმა იმ დროს, შუა ივლისს, ძმის სიკვდილი არ იცის. უნდა ვიგულისხმოთ, ამას იგი თუ ივლის-აგვისტოში არა, სექტემბერ-ოქტომბერში მაინც გაიგებდა, ყოველ შემთხვევაში,ეს ამბავი წლის ბოლოს არ გადაშორდებოდა.

ამრიგად: 1. თუ უადრეს თარიღად პოლტავის ბრძოლას ავიღებთ, ხოლო უგვიანესად არჩილის მიერ გიორგის გარდაცვალების შეტყობის დროს, ვღებულობთ: *„მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“* დაწერილია 1709 წლის ზაფხულის ბოლო თვეებში ან შემოდგომაზე[8].

2. ეს ნაწარმოები იმის მაჩვენებელია, რომ სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული და მზრუნველი მეფე-პოეტი არჩილი ამ დროს მშობლიური ქვეყნიდან შორს, მოსკოვში, მყოფი, კვლავ თავის ხალხსა და მის კულტურაზე ფიქრობს და მრავალმხრივ საქმიანობასთან ერთად (პოლიტიკა, შრიფტი, სტამბა, „ბიბლიის“ გამოსაცემად მომზადება...) ქართული პოეტური სიტყვის მრავალფეროვნების გამოვლენისა და აღდგენა-დამკვიდრებისათვის იღვწის.

---

[7] სეხნია ჩ ხ ე ი ძ ე, საქართველოს ცხოვრება, დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, ს-პბ, 1854, გვ. 324; ვახუშტი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, 1973, გვ. 484.

[8] აღსანიშნავია, რომ არჩილი პოეტურ თხზულებებს საოცრად სწრაფად წერდა. *„თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასება“* — ეს ვეებერთელა ნაწარმოები, რომელიც 1 100-ზე მეტ სტროფს შეიცავს, მას ცხრა თვის განმავლობაში შეუქმნია (არჩილიანის ტექსტისათვის, გვ. XVI).

ვახტანგის ერთი ლექსის დათარიღებისათვის[1]
(სიტყვა ასტრონომებს ეკუთვნით!..)

საუბარია უფროსი ძმისადმი მიძღვნილ ვახტანგ მეექვსის ერთსტროფიან ლექსზე:

„აწ გიძღვნი ძმასა უხუცესს ვახტანგ მონურად მოსველი,
რომ იქნას შენდ(ა) გამწმენდლად ახალი, მერმე მოსველი,
ეს გნ(ა)ხავს, ვნატრი სიშორით, შემქმნია თვალი მოსველი,
და ხელით პყრობს მომიგონებდე, საფერიც ჰპოე მოსველი“.

ამ ნაწარმოების ძირითადი საკითხები — შესწავლის ისტორია, ვახტანგისადმი კუთვნილება, ქრონოლოგია — საგანგებოდ გვაქვს განხილული წიგნში — *„ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო“ (თბ., 1988, გვ. 6–8).* ამჟამად მას ვუბრუნდებით იმ მიზნით, რომ დავაზუსტოთ მისი შეთხზვის დრო.

ლექსი ვახტანგის ხელით მიწერილია ბიბლიურ თხზულებათა კრებულზე, რომელიც მისი დავალებით გადაუნუსხავს და ორ წიგნად დაუმზადებია სიონის ღვთისმშობლის ეკლესიის დეკანოზის **იესე მიქაძის** შვილს **გაბრიელს** და ახლა ორივე აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ამჟამად: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) ინახება (A 909 და 910). მეფე-პოეტის ლექსი მიწერილია კრებულის მეორე წიგნზე (გვ. 456v). კრებულის ამავე ნაწილს ახლავს კალიგრაფის, გაბრიელის, ანდერძი, სადაც დამკვეთი, ვახტანგი, ქართლის გამგედ არის მოხსენიებული. ქარაგმების გახსნის შემდეგ იგი ასე იკითხება: „ნებითა ღმრთისაჲთა და ბრძანებითა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

[1] შემოკლებით დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (23 ივლისი, 1993, № 30, გვ. 7).

გამგის, პატრონის ვახტანგისითა, მე, ფრიად ცოდვილმან და უოველთა კერძო დიაკონთა უნარჩევესმან, სიონთა ღმრთისმშობლის დეკანოზის შვილმან გაბრიელ, აღვწერე წმიდად და სულთა განმანათლებელი სახარებად, სამოციქულო, იოვანეს მოხილვა და დავითი. ესე უწეის უფალმან, განკრძალვით ვსწერე და, თუ რამ მცდარ ვიუო, ნუ მწუევთ, გევედრები! უფალნო, მრავალიმცა არიან წელნი ცხორებისა ძისა მეფისა ვახტანგისნი“ (გვ. 90).

ცნობილია, ვახტანგი ქართლის გამგებელია 1703 წლიდან.

ლექსს წინ უძღვის ვახტანგის ხელით შესრულებული წარწერა, რომელიც იმასვე გვამცნობს, რაც ლექსშია ნათქამი: „დიად, (ს)ნეული (შევი)ქენ და, თუ ვერა გნახო ცოცხალმა, ამაზე მოიგონე. ღმერთმან ხომ იცის, ე(რთხელ თუ) გნახავ, მას უკან სიკვდილს აღარას ვინაღვლი“.

ვახტანგს ერთადერთი უფროსი ძმა ჰყავდა — **ქაიხოსრო (ხოსრო, ხოსრო-ხანი)**, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი, ბოლო პერიოდი კი მთლიანად, ირანში სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე გაატარა. ერთხანს იყო სპარსეთის მდივანბეგის (მსაჯულთუხუცესის) ნაიბი (მოადგილე), ხოლო 1709 წელს, როდესაც ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლაში ბიძამისი, გიორგი XI მოკლეს, სპარსეთის ყაენმა შაჰ-ჰუსეინმა იგი მის ადგილას — ქართლის მეფედ და სპარსეთის სპასალარად — დანიშნა. 1711 წლის 26 ოქტომბერს ქაიხოსროც ყანდაარს ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა.

ლექსიდან და პროზაული მინაწერიდან აშკარად ჩანს: კრებული, რომელიც მდიდრულად, უდიდესი მხატვრული ოსტატობით არის შესრულებული, ვახტანგს ქაიხოსროსათვის გასაგზავნად დაუმზადებია. იმჟამად ავადმყოფ პოეტს ლექსიც ამასთან დაკავშირებით შეუთხზავს.

ეს მონაცემები უეჭველს ხდის, რომ ლექსი დაწერილია ვახტანგის ქართლის განმგებლად დანიშვნის შემდეგ ქაიხოსროს გარდაცვალებამდე — 1703–1711 წლებში, როდესაც ძმები ერთმანეთისაგან შორს იმყოფებიან.

ხომ არ შეიძლება, უფრო დავაზუსტოთ ეს თარიღი?

დასახელებულ ნუსხათა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი აღმწერელი **მოსე ჯანაშვილი** გაბრიელის დამოწმებული ანდერძის მიხედვით ორივე კრებულის თარიღს ვახტანგის განმგებლობის ხანით, 1703–1711 წლებით, განსაზღვრავს[2], ხოლო **ქრისტინე შარაშიძე** კრებულებსა და ლექსსაც გაკვრით ეხება, ორივე კრებულის გადაწერის დროდ 1709 წელს ასახელებს, ლექსის თაობაზე კი შენიშნავს: „ხელნაწერს ვახტანგის საკუთარი ხელით მიწერილი აქვს ძმის, ქართლის ტახტზე ახლად დამკვიდრებული ქაიხოსრო (იგივე ხოსრო) მეფისადმი“[3]. მკვლევარი არაფერს ამბობს, რის საფუძველზე ასკვნის, რომ კრებულები და ლექსიც განეკუთვნება იმ დროს, როდესაც ქაიხოსრო „ქართლის ტახტზე ახლად დამკვიდრებულია“. თუ მას მხედველობაში აქვს ლექსის პირველი სტრიქონის სიტყვები — „*აწ გიძღვნი ძმასა უხუცესს ვახტანგ მონურად მოსველი*“, ეს მონაცემი ამგვარი აზრის მისაღებად საკმარისი არ იქნება. სავსებით დასაშვებია, „*მონურად მოსველი*“ ჰიპერბოლური გამოთქმა იყოს და გამოხატავდეს უფროსი ძმისადმი უმცროსის მოკრძალებას, პატივისცემას, ერთგულებას, მორჩილებას და არა თანამდებობრივ განსხვავებას, მეფისადმი მოადგილის დაქვემდებარებას. ნიმუშად შეიძლება აკაკი წერეთლის მიერ დედისა და უფროსი და–ძმისადმი მიწერილი ბარათები დავასახელოთ.

ახალგაზრდა აკაკი დედისადმი გაგზავნილ წერილებს ხელს ასე აწერდა: „მ ო ნ ა შვილი აკაკი“[4], „შენი მ ო ნ ა შვილი აკაკი“ (გვ. 17), „თქვენი მ ო ნ ა შვილი აკაკი“ (22, 25), სხვაგან კი — „მარად მ ო რ ჩ ი ლ ი შვილი აკაკი“ (27).

---

[2] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სასულიერო ეპარქიის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, რუსულ ენაზე, III, ტფ., 1908, გვ. 164, 170.

[3] ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში (1709–1722), თბ., 1955, გვ. 129.

[4] ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა კრებული, XV, თბ., 1963, გვ. 12. 15.

უფროსი ძმის ილიკოსადმი გაგზავნილ წერილებში გვაქვს: „შენი მონა ძმა აკაკი“ (29). „შენი ერთგული მონა ძმა აკაკი“ (31), მეორე მხრივ: „შენი მოყვარული ძმა აკაკი“ (35). უფროსი ძმის, დავითისადმი გაგზავნილ წერილშია: „შენი მორჩილი ძმა აკაკი“ (41).

ვახტანგის ლექსის თარიღის დასაზუსტებლად ყურადღებას იპყრობს ფურცლის პატარა ნაგლეჯი, რომელიც კრებულს შემოუნახავს და რომელზედაც ვახტანგის უწვრილესი ხელით წერია: „სეკტენბერს: იგ: ოთხშაბათს: ზ: სათს (!): გასულს: მზე დაბნელდა“.

ვინაიდან ფურცლის ეს ნაგლეჯი ამ ნუსხაში მოიპოვება, სავარაუდოა, იგი იმდროინდელი იყოს, როდესაც კრებული დამზადდა და მასზე მეფე-პოეტმა თავისი წარწერები გააკეთა. ფურცელი კი გვაუწყებს, მზის დაბნელება მომხდარა 13 სექტემბერს, ოთხშაბათ დღეს.

სხვადასხვა მუდმივი კალენდრები, მათ შორის, **ვარლამ კალანდაძის** მიერ შედგენილი ბრწყინვალე „*მუდმივი უნივერსალური კალენდარი*“, რომელიც ავტორმა 1973 წელს რუსულად და 1977 წელს ქართულად თბილისში გამოსცა, გვიჩვენებს, რომ 1703–1711 წლებში 13 ოქტომბერი ოთხშაბათ დღეს მხოლოდ 1710 წელს მოდიოდა (რა თქმა უნდა, იგულისხმება ძველი სტილი).

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, გამოდის, ქაიხოსროსადმი გასაგზავნი რჩეულ ბიბლიურ თხზულებათა ორივე ხელნაწერი კრებული 1710 წლის 13 სექტემბრისათვის უკვე დამზადებულია და ძმისადმი მიძღვნილი ვახტანგის ლექსიც ამავე დროს (რამდენიმე თვით ადრე თუ გვიან) არის შეთხზული და ზედ წარწერილი. მაშინ ქაიხოსრო, როგორც ქართლის მეფე და სპარსეთის მთავარსარდალი უცხოეთშია და ირანის ყაენის, **შაჰ-ჰუსეინის**, წინააღმდეგ ამხედრებულ ავღანელებსა და მის ბელადს, მირვეისს, ებრძვის, ვახტანგი კი, როგორც ქაიხოსროს მოადგილე (ჯანიშინი), ქართლის გამგებელი, სამშობლოშია.

ეს ფაქტები მრავალმხრივ არის საყურადღებო. გარდა იმისა, რომ აქედან ჩანს ვახტანგ მეექვსის ფაქიზი პოეტური სულიერი სამყარო, შორს, ბრძოლის ველზე, მყოფი ძმისადმი ყურადღება, სიყვარული და ზრუნვა, ამასთანავე, ნიშანდობლივად მეტყველებს იმ უზარმაზარ შინაგან მამოძრავებელ ძალაზე — რწმენაზე, რომლითაც საქართველოს, ამ ერთი ბეწო ქვეყნის, მეფეები არ ეპუებიან დიდ და მრისხანე უცხოელ დამპყრობლებს და ირანშიაც, მაჰმადიანთა სრულ გარემოცვაში მყოფნი, ცდილობენ და ახერხებენ, არ დაივიწყონ და თან იქონიონ თავიანთი რჯულის, ხოლო იმჟამად ეროვნულობის, თვითმყოფობის განმსაზღვრელი და დამცველი უპირველესი საყრდენი — ქრისტიანული საღვთისმეტყველო წიგნები.

ახლა სიტყვა ასტრონომებს ეკუთვნით — რამდენად ვარგისიანია მოხმობილი საბუთი, მოხდა თუ არა 1710 წლის 13 სექტემბერს საქართველოში მზის დაბნელება?

მინაწერი: ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მივმართეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ლაბორატორიისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი კათედრის თანამშრომლებს. წინამდებარე წერილი 1992 წლის 15 მაისს წავიკითხეთ თბილისის უნივერსიტეტ „გეორგიას“ პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესიაზე. სესიის თეზისები გავუგზავნეთ აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას. თეზისები და ეს წერილი მივართვით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელ პრეზიდენტ ევგენი ხარაძეს. სამწუხაროდ, ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ვერც ჰო მივიღეთ და ვერც **არა**.

საბა თუ სულხან-საბა?[1]

ამას წინათ დაწესდა კერძო ლიტერატურული პრემია „საბა“ და მისი პირველი ლაურეატებიც გამოვლინდნენ. სხვებმაც იკითხეს და ჩვენც დაგვაინტერესა, რას ნიშნავს „საბა“, ვისი სახელობისაა ეს პრემია? მივმართეთ ამ საქმესთან ახლო მდგომ პირებს, — ზოგიერთ მის ლაურეატსა და ჟიურის წევრს. წარმოიდგინეთ, მათ შორის აღმოჩნდა ისეთიც, ამაზე დაბეჯითებით რომ ვერ გვიპასუხა. დანარჩენებმა აგვიხსნეს, მასში იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანიო.

ცნობილია, რომ ჩვენი სასიქადულო მწერალი, მეცნიერი, სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე, ბრწყინვალე მეიგავარაკე სულხან ორბელიანი (1658–1725) მაშინდელი პოლიტიკური ვითარების გამო 1698 წელს საბას სახელით ბერად აღიკვეცა.

ამჟამად ჩვენში გავრცელებული და დამკვიდრებულია მისი ორივე, საერო და სასულიერო, სახელით აღნიშვნა — სულხან-საბა ორბელიანი. ასეა ის წარმოდგენილი მის თხზულებათა ოთხტომეულში, რომლებიც გამოსაცემად მომზადებულია ჩვენი გამოჩენილი სპეციალისტების ილია აბულაძის, ალექსანდრე ბარამიძის, რევაზ ბარამიძის, ივანე ლოლაშვილის, ელენე მეტრეველისა და სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ, რედაქტორები კი გახლდნენ ვარლამ დონდუა, გიორგი ლეონიძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე. ასევე იხსენიება ის მაშინაც, როცა მისი სახელი ამა თუ იმ დაწესებულებას ეწოდება. მაგალითად, ცნობილია *სულხან საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი.*

რამდენად გამართლებულია ეს და გვაქვს თუ არა რაიმე საბაბი, გადავხედოთ ამ ტრადიციას?

აქა-იქ არის შემთხვევები, როგორც სულხან-საბას ეპოქაში, ისე შემდეგ და ჩვენს დროშიაც, როცა ეს საერო და სასულიერო მოღვაწე სასულიერო სახელით, „საბად“, იხსენიება, —

[1] გამოქვეყნებული იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2 ივნისი, 2003, № 142, გვ. 6).

უფრო ლექსებში. უპირველესად უნდა დავასახელოთ ვახტანგ მეექვსე. სულხან-საბას ლექსიკონის, „სიტყვის კონის“, გამო ის წერს:

„რადგან დაშვრა ასრე ს ა ბ ა,
ქება მმართებს აწყა მეცა...“

„ორბელიანმან ს ა ბ ა მ ა ნ სახელითა ქნა სახელი..“ [2]

სულხან-საბას ძმა დემეტრე ორბელიანი მისდამი მიძღვნილ ლექსში მას „საბასაც“ უწოდებს და „სულხან საბასაც“:

„ვის ძალუძს ს ა ბ ა ს სწორება,
თუ ვსტყუი, ესე ამარტოს...“

„ს ა ბ ა ძმად ნეტარხსენებით
მომშორდა ხანსა გრძელადო“.

იქვეა:

„სიბრძნის ტრფიალთა დამზირონ,
რასა სწერს ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ნ ი“[3].

კათალიკოსი ანტონ პირველი მას სხვაგანაც უწოდებს „საბას“ და მისდამი მიძღვნილ იამბიკოსაც ასე იწებს: „ს ა ბ ა ს არ ვაქებ ამად, ვითარმედ ესე ეკლესიასა წმიდასა მტერ განუდგა“, მაგრამ თავად ამ ნაწარმოებს ორივე სახელით ასათაურებს: „თვის

[2] ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ვ ს ე, ლექსები და პოემები, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1975, გვ. 69.

[3] ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ნარკვევები, ხალხური ზეპირსიტყვაობის, ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხი, I, სტალინირი, 1955, გვ. 129.

ს უ ლ ხ ა ნ – ს ა ბ ა ორბელიანისა“ და იამბიკოსაც ამგვარადვე ამთავრებს: „... რაცა სოფლიოთ გამოთქვა ს უ ლ ხ ა ნ – ს ა ბ ა “[4].

იგავ-არაკის „წიგნი სიბრძნე სიცრუისას“ სათაურში ავტორი ყველა ხელნაწერში (თუ ის დაზიანებული არ არის) საერო, ს უ ლ ხ ა ნ ორბელიანის, სახელითაა მოხსენიებული, მაგრამ 1834 წელს გადაწერილ თავის ნუსხას პავლე მესარკიანი (პოლოს მესარკოვი) ურთავს საკუთარ ლექსს და ჩვენს მეიგავარაკეს სასულიერო სახელით ახსენებს:

„სიბრძნისა მიერ აღვსწერე, წიგნი ესე სიცრუეა,
ნათქვამი ს ა ბ ა ორბელიანისგან, თვინიერ ცრუ სრულია“[5].

„საბა“ – ასე ასათაურებს 1928 წელს მისდამი მიძღვნილ ლექსს გიორგი ლეონიძე, რომელსაც, როგორც ერთ-ერთი რედაქტორი, ურთავს სულხან-საბას აღნიშნულ პირველ ტომს (გვ. 531). ამავე სახელით იმოწმებს მას მეორე ლექსშიაც „ნუ გათათრდები“[6]. თუმცა სხვა ლექსში „სულხან-საბადაც“ იხსენიებს:

„რუსთავი – შოთას აკვანი,
ტანძია – ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ს ი...“[7]

გ. ლეონიძე თავის გამოკვლევებში ზოგჯერ ცალ-ცალკე „სულხანსაც“ ხმარობს და „საბასაც“, მაგრამ ძირითადად „სულხან-საბას“ იყენებს.

მუხრან მაჭავარიანის ლექსების სათაურია „საბა“[8], „ისევ საბა“ (გვ. 14). სტრიქონებია:

---

[4] ანტონ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლ ო – ლ ა შ ვ ი ლ მ ა , თბ., 1980, გვ. 282.

[5] სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, I, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა და რ. ბ ა რ ა მ ი ძ ე მ , თბ., 1959, გვ. 279.

[6] ლექსები, თბ., 1978, გვ. 139.

[7] იქვე, გვ. 154.

[8] ლექსები, პოემა, თბ., 1983, გვ. 67.

„კურთხეულ იყოს სახელი შენი – ს ა ბ ა!“
(გვ. 14)
„დროდადრო ცრემლი ისევ წვეთავს ს ა ბ ა ს წვერიდან“.
(გვ. 119)
„ხელმწიფემ ს ა ბ ა ს ნაუბარი მოისმინა რა...
ს ა ბ ა ს ხმა როდის წააგავდა კნავილს კატისას...
წვიმა არ არი! ს ა ბ ა ს კაბა დაუსველა რამ?!
თოვლი არ არი! ს ა ბ ა ს თავი გაუთეთრა რამ?!“
(გვ. 67–68) და ა. შ.

მაგრამ პოეტი იქვე ორივე სახელსაც ერთად იყენებს:

„ყინვა არ არი! ს უ ლ ხ ა ნ–ს ა ბას აკანკალებს რა?...
ეს სიცხადეა, ს უ ხ ა ნ–ს ა ბ ავ, თუ ფანტაზია?!
ასე ფიქრობდა ს უ ლ ხ ა ნ–ს ა ბ ა ხელჯოხიანი“.
(გვ. 68) და სხვა.

მ. მაჭავარიანი თავის გამოკვლევაში „*რამდენიმე სიტყვა*“ (1989) ჩვეულებრივ იყენებს სახელს „*საბა*“.

„საბას“ სახელით ასათაურებს თავის ლექსს მურმან ლებანიძეც[9] და ა. შ.

ბოლო წლებში, როდესაც ჩვენში 70–წლიანი ათეისტური სახელმწიფო წყობილების დამხობის შემდეგ განსაკუთრებით გამოცოცხლდა რელიგია და რელიგიურობის თვალსაზრისით ბევრი რამ გადაფასდა, ზოგიერთი ამ თვალით უყურებს ჩვენი ამ დიდი სასულიერო მოღვაწის სახელსაც. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ კრებულში „*კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა*“ (№ 3, 2000), რომლის რეცენზენტები არიან ინსტიტუტის დირექტორი და დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ძველ ქართულ მწერლობაზე მომუშავე ამავე ინსტიტუტის მეცნიერ–თანამშრომელი ლაშა ხე–

[9] ერთტომეული, თბ., 1979, გვ. 103.

ცურიანი გამოთქვამს ასეთ აზრს: „ტერმინი სულხან-საბა დამკვიდრებულია ბოლშევიზმის ეპოქაში და არ არის მართებული“ (გვ. 64).

ნამდვილად კი საკითხის თვალის ერთი გადავლებითაც ნათლად ჩანს, ეს ასე არ არის. აღნიშნული ტრადიცია ძველ და მკვიდრ ნიადაგზე დგას და მომდინარეობს თავად მწერლისა და მისი თანამედროვე მოღვაწეებიდან.

თავისი ლექსიკონის შესახებ სულხან-საბა წერს ორსტროფიან ლექსს, რომლის სათაური ხელნაწერებში ამგვარადაა ჩაწერილი: „ს ა ბ ა ს ნათქვამი“[10], მაგრამ ავტორი თავის საერო სახელს არ კარგავს და იქვე ახსენებს:

„ახლად შევკრიბე, შევაწყევ, ჩემი ვიშრომე სულ ხანი
ს ა ბ ა მ ა ნ ორბელიანმან, ვის ერად მერქვა ს უ ლ ხ ა ნ ი “.

თუმცა ამავე ლექსიკონის ორიოდე ნუსხის ბოლოსიტყვაში იკითხება: „ვინც ეს ლექსიკონი გადაწეროს და ს ა ბ ა ს სახელი არ დაწეროს, მის მაგივრად უფალმან ის გაიკითხოს“ (გვ. 643). ამ და სხვა ნუსხებში სხვაგან, ყველგან, აღნიშნული სახელები ერთად წერია. თავშია: „ამა წიგნისა მომღვაწებელსა ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ორბელიანს ლოცვით მოიხსენიებდეთ“ (იქვე, გვ. 643). მეორე ადგილას: „დაბადებულა ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ორბელიანი ქართულის ქ(ორონი)კ(ონ)ს ტ-მჯ ოქტონბერს“ (გვ. 644). ხოლო, რაც მთავარია, ლექსიკონის „ანდერძნამაგში“ ავტორი თავად წერს: „მე, ულა ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყმესა ფრიად შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა...“ (იქვე, ნაკვეთი I, 1965, გვ. 31).

სულხან-საბას სასულიერო ნაშრომის, *„სწავლანის“*, იმ ნუსხაშიც, რომელიც მისი ძმის, ზოსიმეს, მიერ 1729 წელს არის გადაწერილი, ზოგიერთ ქადაგებას ბოლოს მიწერილი აქვს:

---

[10] სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. IV, ნაკვეთი II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია ა ბ უ ლ ა ძ ე მ, თბ., 1966, გვ. 655.

„ქრისტე, შეიწყალე ს ა ბ ა ორბელიანი!“[11]. მაგრამ იქვეა: „ქრისტე, შეიწყალე ულა ს უ ლ ხ ა ნ – ს ა ბ ა !“ აგრეთვე პირველ სწავლას სათაურად აქვს: „სწავლა ეკლესიისათვის, თუ არს შეკრება მუნ, თქმული ულა ს უ ლ ხ ა ნ – ს ა ბ ა ორბელიანისა მიერ“ (იქვე). თვით თხზულება ასეა დასათაურებული: „სწავლანი, თქმულნი ს უ ლ – ხ ა ნ – ს ა ბ ა ორბელიანის მიერ“ (გვ. 19).

ავტორის მეორე ამავე ხასიათის ნაშრომის, „*საქრისტიანო მოძღვრების*“, ერთ ნუსხაში, რომელიც ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ XVIII საუკუნის მეორე ნახევარშია გადაწერილი, სათაური ასეა ჩაწერილი: „სწავლა მეცნიერთათვის თქმული აღვიარება, რომელ არს ღმერთი ან შჯული ორბელიანის-ყოფილის ს ა ბ ა – წოდებულის ნათქვამი“ (გვ. 227, 339). მაგრამ მეორე ნუსხაში, რომელიც ავტოგრაფია და 1713 წელსაა გადაწერილი, მწერლის ორივე სახელი ერთადაა მოცემული: „საქრისტიანო მოძღვრება ჰირველად სასწავლო ურმათათვის, აღწერილი ულა ს უ ლ ხ ა ნ – ს ა ბ ა ორბელიანისაგან“ (გვ. 227, 339). ორივე სახელით იხსენიება ავტორი ამავე თხზულების სხვა ნუსხებშიაც (გვ. 340).

ასევე ნათლად და გარკვეულად ერთიანი სახელით წარმოგვიდგება მწერალი „ქილილა და დამანას“ თავის გადამუშავებულ ვერსიაზე მესამე პირით დართულ ანდერძშიაც. ანდერძის სათაურია: „ანდერძი ულა ს უ ლ ხ ა ნ – ს ა ბ ა ორბელიანისა დიდად შეჯერვებულ-შეღონებულისა“[12].

გამომცემლები იქვე მიუთითებენ: „ხელნაწერში ს უ ლ ხ ა ნ ორჯერ წერია“. ანდერძის ტექსტი იუწყება: ვახტანგ მეფეს „ქილილა და დამანა“ „რა გაეთავებინა, ქართულში ულა ს უ ლ ხ ა ნ – ს ა ბ ა ორბელიანისათვის გამოეგზავნა (...) და ებრძანა: ეს ჩემი ჯირნახული გაჩალხე გემოიანად და, სადაც ლექსები ჩართული იუ-

---

[11] სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები, და ლექსიკონი დაურთო ივანე ლ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1963, გვ. 339.

[12] სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. II, ნაკვ. I, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს რედაქციით, თბ., 1962, გვ. 40.

ოს, აგრეთვე ქართულად ლექსები ჩაურთეო. ეს ულა ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ორბელიანი გიორგი მეფის დედის ძმისწული იყო...“ (გვ. 41).

ამ იგავარაკულ ძეგლთან დაკავშირებით ორივე ერთიანი სახელით იხსენიებს მას მისი უმცროსი თანამედროვე მამუკა ბარათაშვილი. მისი სიტყვებია: „ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ორბელიანმა «ქილილა და (და)მანა» გალექსა“[13].

ბოლოს მოვიხმოთ ძველადვე ნათქვამი უცნობი ავტორის ლექსი:

„ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ორბელის ძე
სიბრძნით აღხდა ორბების ზე“.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, სურათი ნათელია: ამ ჩვენს დიდ ორბელიანს თავის საკუთარ სახელად მიაჩნია არა ცალ-ცალკე აღებული მისი საერო და სასულიერო სახელი „სულხანი“ ან „საბა“, არამედ ორივე ერთად, გაერთიანებულად – „სულხან-საბა“. ეს არის მისი ბოლო ნება! როცა კონტექსტი ნათელია, ვიცით, ვისზეა საუბარი, სიმოკლისათვის, გამონაკლისის წესით, ის აქედან ერთ-ერთი მათგანით, რა თქმა უნდა, შეიძლება მოვიხსენიოთ, მაგრამ სხვა შემთხვევაში, ჩვეულებრივ და, მეტადრე, ოფიციალურ ვითარებაში, მეტი პატივი უნდა მივაგოთ მის ნება-სურვილს და ტრადიცია დავიცვათ – ის გახლავთ **სულხან-საბა ორბელიანი**!

მამუკა გურამიშვილი[1]

მამუკა გურამიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მასალები ძალიან მწირია. ყოფა–ცხოვრების რამდენიმე

---

[13] მამუკა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო გივი მ ი ქ ა ძ ე მ, თბ., 1969, გვ. 132.

[1] გამოქვეყნებულია ალმანახში „მწიგნობარი-05“ (თბ., 2005, გვ. 125-134).

ეპიზოდი გადმოცემულია დიმიტრი სააკაძის ლექსებში, ნაწარმოებები კი გიორგი ავალიშვილმა შემოგვინახა. მათი მეშვეობით ვგებულობთ, რომ მამუკა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა. ცხოვრობს ვახტანგ მეექვსის ამალის წევრებთან ერთად რუსეთში — ხან მოსკოვში, პრესნასა და ვსესვიატსკოეში, ხან კიდევ პეტერბურგში. ახლო ურთიერთობა აქვს მირიან ბატონიშვილთან, დიმიტრი სააკაძესა და დიმიტრი ბაგრატიონთან. კ. კეკელიძე ვარაუდობდა, რომ პოეტი „დაბადებული უნდა იყოს რუსეთში XVIII საუკუნის ორმოციანი წლების დამდეგს“[2].

რამდენადაც მისი ენა და საყოფაცხოვრებო გარემო გვიჩვენებს, ძნელი სარწმუნოა, რომ იგი რუსეთში დაბადებული და აღზრდილი იყოს. ამ მონაცემებით უფრო მოსალოდნელია, დიმიტრი სააკაძისა და დიმიტრი ბაგრატიონის მსგავსად, მამუკა საქართველოდან რუსეთში მოგვიანებით ჩასულიყო.

ბარათების სახით დაწერილი დიმიტრი სააკაძის ლექსებში, რომლებშიც ქართველ ემიგრანტთა ულიმღამო ცხოვრება იუმორისტული ფერებითაა აღწერილი, მამუკაც ამგვარადვეა წარმოდგენილი. ერთ-ერთ ლექს-ბარათში მამუკასთან ერთად ნახსენებია „სახლთხუცესი“:

„სიბერით მოვუსუსურდი, აწ ჩემზედ შეჰქმნეს ყრილობა.
ჩემსა მეფის ძეს დავრჩები, სხვასთან კი შევჰქნა ცილობა,
სახლთხუცესს ვუზამ თავაზას,
მიკვირს მამუკას ზრდილობა,
სიბრძნეს ჰსჩემობს და არა აქვს მას ბრძენთა
მონაწილობა“[3].

ეტყობა, ეს ცნობა აქვს მხედველობაში კ. კეკელიძეს, როცა მამუკაზე წერს, რომ პეტერბურგში „უკირავს მას სახლთუხუცესის

---

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 630.

[3] დავით ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII ს.), I, თბ., 1958, გვ. 297.

თანამდებობაც და ამით აიხსნება მისი სიახლოვე გავლენიან ჰირებთან“ (იქვე). ამ აზრს იმეორებს და წყაროსაც უფრო გამოკვეთილად ასახელებს ტრიფონ რუხაძე: „დიმიტრისავე ბარათებიდან ჩანს, რომ მამუკას სახლთუხუცესის თანამდებობა სჭერია, რითაც მეტად დაახლოებული ყოფილა ბატონიშვილების წრეებთან“[4].

დიმიტრი სააკაძის დამოწმებული ტექსტიდან გარკვევით და უცილობლად არ ჩანს, ეს სახლთხუცესი მამუკა არის თუ სხვა ვინმე.

მამუკა პეტერბურგში სხვა ქართველებთან ერთად დიდ სიღარიბესა და გაჭირვებაში ნაღვლიანად ცხოვრობს. დ. სააკაძე ირონიანარევი სევდით ჰყვება:

„ჩვენ დავუტევეთ მოსკოვი, მოვედით მცირეს ოლესა...

მ ა მ უ კ ა გ უ რ ა მ ი ს შ ვ ი ლ ი მაგრა ჰსდგას ვითა
ლოდია–
მეც გვერდთ ვახლავარ მებრძოლად, ჯერ არვინ დაგვიკოდია,
დავლონებულვართ ო რ ნ ი ვ ე, გულს დაგვცემია, ოჰ, დია,
არცა გვაქვს სასმელ–საჭმელი და არცა ოქროს ზოდია.

ღმერთმან ჰქმნას, იყვნეთ მშვიდობით ვსესვიატს
მეოხებითა,
პრესნაში კიდევ მეხილვნეთ თქვენს სასახლეში შვებითა,
თუ თოვლმა წამოგვაყარა, ჩვენ აქ ვერ დაუდგებითა,
მიწიდამ ამოძრობილნი ვერსად ვერ გამოვჰსდგებითა“ (გვ. 287).

პოეტი ამ დუხჭირ და მოსაწყენ ყოფაში თავს იმით ირთობს, რომ არაგვის ერისთავის ასულს, დიამბეგ ოტია ანდრონი–

[4] ტ. რ უ ხ ა ძ ე, მეთვრამეტე საუკუნის ქართული ემიგრანტული პოეზიის ისტორიიდან, კრებულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, 1939, გვ. 122.

კაშვილის ცოლის დას, როდამს, დილიდანვე ნარდს ეთამაშება. დ. სააკაძე მეგობარს ღიმილით კენწლავს:

„მ ა მ უ კ ა ვ, რისთვის გაგვიშვი, პრესნას გაგვიჯეგ ბეგათა,
რაზნოშჩიკები[5] გახლავან, უზიხარ დიამბეგათა,
დათვსავით სოროს შემძვრალხარ, ხან გაღმა გახვალ
ქედათა,
ამისთვის გებრალებოდე, კოპი გამიხდა ღვედათა.

ჰხშირად ეწყობი როდამთან დილაზე ნარდის მღერასა,
რად არ ასწავლი ჭადრაკლსა, ხელთ ლაზიერის ჭერასა?
მე ხომ მოვსცილდი მაგისგან ჩემსა სვესა და წერასა,
არას ვინაღვლი გაქონდესთ ყვავსა, ყორანსა, ძერასა.

წყეულიმც არის იგ კაცი, ვინც ასწავლა მაგას ნარდი,
ენას ხმარობს კამათელად, მაგის ენით გარდავარდი,
გავეყარე საყვარელსა, ჩამივარდა გულსა დარდი,
დავა ხარობს პრესნაშია, ხელთ უჭირავს ხშირად ვარდი“
(გვ. 296).

სამშობლოსაგან შორს მყოფი ქართველები ხანდახან სუფრასაც უსხედან და თითქოს დროს მხიარულადაც ატარებენ, მაგრამ ლექსიდან ჩანს, პოეტ დიმიტრი სააკაძესა და მის თანამეინახეებს იმ დიდი ჭმუნვის ვითარებაში ამგვარი შემთხვევები შვებას ვერ ჰგვრით:

„ციცისთან ვახლდი მ ა მ უ კ ა ს, ცოტად რამ გავიხარეთა,
წამობრძანდა და ვიახელ, მოვედით პრესნას არეთა,
წარექცა, მე თავს დავადეგ, ცრემლს მოვიდენდი მწარეთა,
დავსწყევლეთ, ვინც რომ მოვიდა პირველ რუსეთის მხარეთა“
(გვ. 299).

ქართველი ემიგრანტებისათვის უცხო არ ყოფილა ერთმანეთს შორის კინკლაობა და მომდურაობა, რასაც უმეტეს შემ-

[5] დედნისეული ახსნით, „რაზნოშჩიკი“ არის „დალალი“.

თხვევაში ჭორიკნობა და ენატანიობა იწვევდა. მამუკაც მონაწილეა ამ შეხლა-შემოხლისა. ლექს-ბარათში, რომლის სათაურია *„მისივე თ. დ. სააკაძეს მიერ მოწერილი ჩემს მწყალობელს ბატონს, თავადს მ ა მ უ კ ა გ ურ ა მ ო ვ ს მიერთვას“*, წერია:

„პეტერბულს ზიხარ დარვიშად, ტანს წამოგისხამს ჩულები,
ჩვენ ხმას არა გვცემ, არ ვიცი, ვის ეშმაკს ეჩურჩულები,
ვინ გადაგრივა წყევულმან, ვის მიეც შენი გულები?
მაგ შენის აგრე დუმილით აქ ვსხედვართ დანაწყლულები!

ეგ შენი ეგრეთ დუმილი ვერ შეგვიტყვია, რაზია,
ვინ მოგეევლინა, ვინ არის, რა ფერი ანგელოზია?
როცა გესტუმროს, დაუხვდი, დაუკარ შენი საზია,
შენს საქმეს განჰკვირვებიან ევროპია და აზია.

მანდ გახლავს წმინდა კრებული, ან ხარჭაშნელი, მროველი,
შემოკრებულან მამანი, წინათმხედველი ყოველი,
ღმრთის ხვეწნით მღვიძარებითა ცრემლით ღაწვნი აქვს
სოველი,
რაც სასწაული მათთა ჰქმნან, წვრილათ მოწერას მოველი“
(გვ. 286).

ტ. რუხაძის შეხედულებით, მამუკა „ბოლოს ასტრახანში დასახლებულა. ალბათ სიბერის ჟამს მიაშურა ჰოეტმა ამ ადგილს“ (იქვე). იგი ეყრდნობა დიმიტრი სააკაძის სტრიქონებს:

„ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ი ა ს ტ რ ა ხ ა ნ შ ი ა, მაინდამ
მექადაგები,
სიტყვანი შემოგეთვალა, სულისა დასადაგები“ (გვ. 291).

სინამდვილეში ეს სიტყვები არა მამუკა გურამიშვილს, არამედ გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონისადმია მიმართული. პოეტი ბარათების ამ წყებას ასე ასათაურებს: „გ ი ო რ გ ი ც ა რ ე ვ ი ჩ ზ ე დ თქმული მიხედვისამებრ ვსესვიატსკის დაბისა“ (გვ. 288).

მამუკას პოეტური მემკვიდრეობის შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგში აღნიშნულია: „თავადის მამუკა გურამიშვილის ლექსნი, დიახ მცირედნი, მაგრამ ფრიად საქებელნი“[6].

დღეისათვის ცნობილია მამუკას სამი ლექსი, რომლებიც გიორგი ავალიშვილის ანთოლოგიითაა (S 303) მოღწეული.

ერთია ვრცელი სასულიერო შინაარსის ლექსი, რომელიც პოეტს დავით გურამიშვილის ნაწარმოების *„მზეთა–მზის შესხმის“* მიხედვით შეუქმნია (49 r – 55 r).

დავითის თხზულება მცირე მოცულობისაა, შვიდი 14-მარცვლოვანი სტრიქონისაგან შედგება. თითოეული სტრიქონი დიდ ცეზურაზე 8 და 6-მარცვლიან ნაწილებად იყოფა. ავტორი სხვა სახელებთან ღმერთს უპირველესად „მზეთა მზის“ სახელით იხსენიებს, ქება-დიდებას უძღვნის მას და განსაცდელისაგან ხსნას ევედრება:

„დიდება შენდა, დიდება, საჴით მზეთა-მზეო,
მიუწვდომელო ნათელო, გრძელო, ძველო დღეო,
უფალო უფლებათაო, მეფეთ მეუფეო!
უბერებელო, უკვდავო, მყოფო, შეურყევო, –
შენ გაქებ და გეაჯები დაკარგულო ტყვეო,
მომიხსენე მონა შენი, ნუ დამივიწყეო!
და ვით მე გთხოვე, ჭეშმარიტი შენ გზა მაუწყეო!“[7]

მამუკა თავად გვაუწყებს, რომ ის დავით გურამიშვილს ბაძავს. მისი ნაწარმოები ბევრად უფრო ვრცელია, 296 სტრიქონისაგან შედგება, სტროფებად დალაგებული არაა და თავიდან ბოლომდე იმეორებს დავითის ლექსის როგორც ფორმას, ისე მის შინაარსობრივ ქარგას. აქაც „მზეთა–მზე“ ღვთის სიმბოლური სახეა და მთელი თხზულება მის ქებას ეძღვნება:

---

[6] გურამ შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი – ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი, გამოკვლევა და ტექსტები, თბ., 1974, გვ. 129.

[7] დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 78.

„ეო, მეო, დ ა ვ ი თ ს მ ი ვ ბ ა ძ ე ო,
გამიგონე, რას მოგითხრობ, ყური მამიგდეო,
ყველას მოგწონდესთ შვენებით ჩემი მ ზ ე თ ა მ ზ ე ო,
არავინ არის საბითა მისგან უკეთეო,
დიდად არის საყვარელი, ჩემგან იცოდეო,
ასეთი შვენიერია კიდით-კიდემდეო,
ანათებს უფსკრულამდინა, მიუწვდომლამდეო,
შენ ეს ის მზე ნუ გგონია, ამას ვამბობდეო,
რომელიც აქა ანათებს, ქვეყანათამდეო!
მაგისი შუქის მიმცემი არის მაღლა მზეო.
არავინ არის მისთანა, ამად ამკობდეო,
ცასა და ქვეყანაშია ყუელას უდიდეო,
გამოგიცხადო ამბავი, აქეთ მამხედეო,
ვინც არის ჩემი მ ზ ე თ ა მ ზ ე, მოდი გეტყოდეო,
ღმერთია ყოვლის მპყრობელი უკუნისამდეო...“[8]

მწერალი მაცხოვარს ალაპარაკებს და მისი პირით გადმოგვცემს მის უზენაესობასა და ყოვლისშემძლეობას :

„ბრძანებს: ვარ ყოვლთა მაარსი ცასა ცათამდეო,
დამტკიცდა ჩემის სიტყვითა უხილავადმდეო,
სულით მიპყრია ესენი, ვსძარ, ვამოქმედეო;
ყოვლი ბუნება მმორჩილობს, ვიდრე კაცათმდეო...“

---

[8] გადაბეჭდილია მხოლოდ ეს ნაწყვეტი. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე მ მცირე შესავლი ნაწილი გამოაქვეყნა (ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, XVI- XVIII საუკ., რედაქტორი ია ე კ ა ლ ა ძ ე, ტფ., 1928, გვ. 256). სხვა პუბლიკაციები აქედან არის გადაბეჭდილი.

აქ და ქვემოთ მამუკას ყველა ტექსტი გამარტივებული ორთოგრაფიით არის დამოწმებული.

ცალკეული ბიბლიური ამბების გახსენებითა და დამოწმებით უამრავ რჩევა–დარიგებასა და შეგონებას იძლევა. მაგალითად, მდიდარსა და ღატაკს ასე მოძღვრავს:

„თუ მდიდარ იყო, გაფთხილდი, გულში დაიდეო,
ყოველი ნიჭი ჩემია, რაც ვის ვუბადეო,
სიმდიდრემ არ მოგატყუოს, კარგად იცხოვრეო,
ხელს აღუპყრობდე გლახაკსა, შეიწყალებდეო.
იმას არა აქვს, ამისთვის შენ მას მისცემდეო,
ორნივ მადლობით იყვენით, ღმერთსა მაქებდეო.
გლახაკო, ნუ შესწუხდები, მოითმინებდეო!...“

პოეტი გმობს ქრისტიანულ მცნებათაგან განდგომას, კერპთაყვანისმცემლობას, ურწმუნოებას, სიძულვილს, მტრობას, ურთიერთგაუტანლობას, სიბილწეს, ტყუილს, ცრუფიცს, სიხარბესა და ა. შ. საპირისპიროდ ქადაგებს: ღვთისმოსაობას, ეკლესიისა და სამღვდელოებისადმი მორჩილებასა და პატივისცემას, სიყვარულს, კეთილგანწყობას, ურთიერთგამტანლობას, გონიერებას, სიბრძნესა და განათლებას, მოსმენას, სულის სისპეტაკეს, მარხვასა და ლოცვას, მოთმინებას, ცოდვის მონანიებას, ნათლისღებას და ა. შ.

დასასრულს ავტორი იუწყება, რომ ეს ნაწარმოები მირიან ბატონიშვილის დავალებით შეუქმნია:

„ეო, მეო, დია გავეწყეო,
ბატონის შვილმან მიბრძანა: ასე ეცადეო,
დავით გურამის შვილსავით შენც
დამიწერეო!
მისის ბრძანებით მეცა ვსთქვი, აღარ
დავაგდეო,
რაცა შემეძლო, დავსწერე, ეს ვიმოქმედეო“.

სქოლიოში გ. ავალიშვილი მიუთითებს, რომ „ბატონის შვილი“ არის „საქართველოს მეფის ირაკლის ძე მირიან“.

ხელნაწერში ამ თხზულების შემდეგ არის მამუკას 7–სტროფიანი ლექსი *„კაფლანის კაბის მაგიერი“* (55 r–v). ნაწარმოების სათაურს ახლავს განმარტება: „მისივე თავადის მამუკა გურამოვის მიერ თქმული“.

მასში ჯერ შექებულია ქველი ვაჟკაცი, რომლის ფიზიკური სიძლიერე, განსწავლულობა და სიბრძნე აღმატებული ფერებით არის დახატული:

„ვახ, ქველო, თქვენი ქებანი უხამს ქუხილსა ჭეხითა,
ბრძენთა, რიტორთა შემკობა დრვინვა კლდის გამო ეხითა,
ზეიმი ფილოსოფოსთა, მუშაითს წედში წნეხითა,
მძლეველთა მძლეო კისკასად, რა საჭურველთა ეხითა.

ღომერს უქია ახილეს, მარტო დამშვრალა წერითა,
თქვენი ხამს ქება მრავალ ბრძნულ მუსიკთა ზედან მღერითა,
უფსკრული მელნად იხმარონ, ხმელი ქაღალდად ერითა,
მაშინ დასრულდეს საფერი ქებანი მისთვინც ვერითა.

ელვამან გრგვინვით ცეცხლისფრად ზე გამოსწერა ცაზედა,
საქებრად თქვენი სახელი სამოვნო მჭახეს ხმაზედა,
გაისმის კიდით კიდემდე ღმერთთა მამისა თქვმაზედა,
მოკეცო სული მხნე, ბრძენი, სიმაგრე მტკიცე გუამზედა.

საყვირით აღჰხდა უმიროს ოლიმპსა ზედან დგომითა,
დაბერავს მუნით ძლიერად, საზაროდ საყვირთ შვრომითა,
დრვინვიდეს მუნით საოცრად თქვენის ქებისა ნდომითა,
ბრძენად არავის გადრიდეს, არცა ვის ბრძოლად ომითა...“

შემდეგ საუბარია *„კაფლანის კაბაზე“*, რომელსაც რაღაც ზიანი მოუტანია. ავტორი სერიოზულად თუ ხუმრობით ათვალწუნებით ახსენებს ლექსს, რომელიც ერთგვარად მწვალებლური ხასიათისა ყოფილა:

„კაფლანის კაბამ წაართვა მაღალს სადგმელი ფერხისა,
კალმად გამოსჭრა უგბილმან ნახეთქი დიდის მეხისა,
მელნად იხმარა სტიქსისა სიმყრალე ჯოჯოხეთისა,

ჰყავს მასწავლელად სატანა, ბოროტად სულთა მკვეთისა.

ლექსი ესრედ უმეცრული სად სმენილა, მითხარ, ჳ, როს,
ჯოჯოხეთი აღმოაწოს, ღმრთისა ფერხთან მოაწეროს,
მეხი კალმად გამოეჭრას, ჰგონებს ამით გამაშტეროს,
მერმე უთხრას ბელიარსა, ზედ სატანა დაამღეროს!

აწე გასინძე სიკეთე კაფლანის კაბის ჩაქისა,
ძლივ ესე ვპოვე ნაჭერი, ქება მესმოდა ბაქისა,
ვინ მარტო ადგენს ჯაგლაგსა, მოსწონს ფიცხელად აქისა,
მისთვის რომ არის მნახავი შამახია და შაქისა".

ავტორი, როგორც ჩანს, ქართველ ემიგრანტთა ცხოვრების რომელიღაც ეპიზოდს ეხმიანება. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ლექსი მირიან ბატონიშვილს ეძღვნება. წერს: „მამუკას კალამს ეკუთვნის აგრეთვე «კაფლანის კაბის მაგიერი», რომელიც შეიცავს ბატონიშვილის მირიანის ქებას ან ხოტბას" (გვ. 630). ამასვე იმეორებს ტ. რუხაძეც: „მამუკას ეკუთვნის აგრეთვე ქება მირიან ირაკლის ძის ბატონიშვილისა" (გვ. 123).

ნაწარმოებიდან ლექსის ადრესატი ნამდვილად არ ჩანს. იგი მას შემდეგ გახდება ცნობილი, როცა *„კაფლანის კაბის"* საიდუმლო გაირკვევა და მისადმი მიძღვნილი სტროფების შინაარსი გაიშიფრება.

მამუკა გურამიშვილის მესამე ლექსი, რომელიც სამსტროფიანია, დიმიტრი ბაგრატიონის ლექსებშია ჩართული (81 r —v), სათაურად აქვს: „თავადისა მამუკა გურამის შვილისა მიერ თქმული" და ქრისტიანულ სწავლებას — ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობას, სიმშვიდეს, სიწმინდეს, სიკეთეს, მიმტევებლობას ქადაგებს:

„იქმენ მშვიდ, წმინდა გულითა, სიყვარულითა სრულითა,
რაც შენ გავნებდეს — ნუ ავნებ, სრულ იყავ მოყვასთ სჯულითა,
აღზარდე შენში სიტკბონი, თვითვე დაგატკბოს სულითა,
სხვათ ავნებ, თვითცა ივნები მართლ საუკუნოდ წყლულითა.

თვით თავისათვის სიყვარულს მოაქვს მშვიდობა, შუებანი,
დაინდევ, დანდობილ იქმნე: განაგდე მზაკვარებანი,
დაიცევ სხვანი ქებითა, თვით განიმრავლე ქებანი,
სიძულილს შორეთ განევლტე, დაშრიტე ალთა ხვებანი!

ეს ვუწყი: ესე სოფელი ველსა ჰგავს ყვავილოვანსა,
დროს მოუზიდავს, მოსლვულა მდაბალთა ანუ კლდოვანსა,
ჟამი ორთავე დააჭნობს, მოშორდეს დღეთა მზოვანსა,
რადა სთქვას ერთმან: «მაღლა ვზი, შენ – ცუდსა
მდაბალოვანსა»“ [9].

ტ. რუხაძე მიიჩნევს, ეს ლექსი არის „დარიგება დიმიტრი ბაგრატიონისა“ (გვ. 123). თუ რატომ? – არ ასაბუთებს. შესაძლებელია, ამგვარი დასკვნა გამოჰქონდეს იმის გამო, რომ ის დიმიტრი ბაგრატიონის თხზულებებშია ჩართული და მას მოჰყვება ამ პოეტის (დიმიტრის) საპასუხო ლექსი, სადაც მამუკასადმი გამოთქმულია საყვედური, რომ ავტორი თავის შეგონებას თვითონ არ ასრულებს:

„სიტყვით ბრძნობ, საქმით განევლტი ფილოსოფოსთა
მცნებასა.
თუ ისწავლები, რად ჰშორავ შენ მაგა ქადაგებასა?!
პირველ სჯობს ცნობა თავისა, მოყვასთა განქიქებასა;
ვინც სხვის წვლილს ეძებს, ვერ ხედავს თვის თვალთა
დვირეს დებასა!“ (81 v).

აქედან არ ჩანს, დიმიტრი ბაგრატიონი მამუკას ლექსს თავისი თავისადმი მიძღვნილად მიიჩნევდეს. ამგვარი რამ არც იმ ბარათისაგან (№ ოც) და არც მასზე დართული ლექსიდან ჩანს, რომელიც მამუკას თხზულებას წინ უძღვის (81 r).

---

[9] ეს ლექსი ალ. ბარამიძემ მთლიანად შეიტანა დასახელებული ანთო-ლოგიის მეორე წიგნში (გვ. 256). სხვა პუბლიკაციები აქედან მომდინარეობს.

ეს ბარათია: „კელმწიფეო ჩემო! ოდიდგან შეცურვილი გონებისა ზღუათა მიმოვაქეს განკურვებისა ღელუათა უვიცობისა ნავსა მჯდომელი, კსოვის აფქიო განჰებული, მოგონებისა ძელ-დალეშილი და სასოწარკუეთილობისა ტომონ მიღებული. მიმოვეკუეთები უტომონოდ ცუდ მაშვრალი და ვეძიებ ნავთსაეუდელად დაკარგული ბრალთა კიდურსა, რათამცა შევიფერკნე დანთქმად განწირულმან, და მჰოვნელ ვიქმნე თავსა შორის ჰატა-ჰაწოთაცა დანაშთთა ჩემთა და მით განვერე სასოწარკუეთილებისა ჰელაგონთა და ვჰსთქუა: აჰა, გიკურანო? გარნა არა ჩემთანა არს ღმერთი და შენთანა არს გული ჩემი მიუცილებლად მჯმუნავი შენისა ჩემდა ჩუეულებრივ მოწუალებით აღსავსის წერილის მოკლებისათჳს, რომლისა ხილვა მობრეკლულთა თუალთა ხედუასა ჰსცემდის თაფლმწრთოლვარეთა ბაგეთა? საუკუდოვანი, საუბარნი მოუძლურებულთა ძუალთა განაჰოხებდიან და უურთა დამძიმებულთა სასმენელთა ჰმატებდიან და ყოველითურთ შეება-განცხრომით ვიუავ. რად მიმიღენ, ჰატრონო, და რად შეიშურვენ ხვედრი ჩემნი ზემო ნანიჯარნი? ნუთუ მტერმან მოღვარგლნა კეთილსა ქუეყანასა დანათესვარნი ერთგულებისა უანობნი, რომელნი მომცემდიან ასეულად სიხარულისა სინოეიეროთა სიმაძღრეთა?! და მომეშარი სამ წელ ელიაურითა მელანთა უწვიმარობითა ვზი ჰირქუშად, რადგანაც...“.

ამ მრავალწერტილის შემდეგ მოდის ერთსტროფიანი ლექსი:

„შაირსა მწერ წყობილ-რვულად, შეთხზვით შექსვულს
შენართვულად,
მომჭევრ-მეთქვობ რიტორულად, პერიპატელთ
მოსიბრძნულად,
მოკლედ დაჭრილ-დაკვეცულად პეტრიწს გვაცნობ ლამაზთქვმულად,
ერთმანეთზედ გარდაბმულად ტაეპთ ჰკინძავ კეთილ
კრვულად“.

კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ეს „მოკლე ეპისტოლე თავად დიმიტრი ბაგრატიონისადმი“ არის მიძღვნილი და მამუკა გურამიშვილს ეკუთვნის (იქვე). ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ხელნაწერი, სადაც გარკვევით არის ნაჩვენები, რომ დიმიტრი ბაგ-

რატიონი ადრესატი კი არა, ავტორია. სულ წინ „ვ“ ბარათს სათაურად აქვს: „მისუც თავადისა დიმიტრის მიერ საქართველოს მეფის ირაკლი მეორის ფარნავაზისადმი მიწერილი“ (78v). მომდევნო ყველა თხზულებას, რომლებიც ლექსებია, აწერია: „*მისვე თავადისა*“, „*მის მიერვე*“ და „*მისგანვე*“. თვით ამ ბარათს წინ უძღვის: „*მის მიერვე*“.

ქ. შარაშიძის მიხედვით, ეს ბარათი და მიმყოლი ლექსი დიმიტრი ბაგრატიონის კალამს ეკუთვნის და ისინი მამუკა გურამიშვილისადმია მიძღვნილი. ავტორის სიტყვებია: „როგორც ამის («შაირსა მწერ...» – **ბ. დ.**) ქვემოთ მოთავსებული ლექსი («იქმენ მშვიდ...» – **ბ. დ.**) მოწმობს, დ. ბაგრატიონის ეს ბარათი **ოც**, დაბოლოებული ადრესატის ჰოეტური უნარის დახასიათებით (ლექსად) («შაირსა მწერ...» – **ბ. დ.**) მიმართულია მამუკა გურამიშვილისადმი“[10].

ამ მონაცემებით არ ჩანს, ბარათის ან ლექსის ადრესატი მამუკა იყოს. ბარათი იმდენად მოწიწებითა და მოკრძალებით არის დაწერილი, რომ მეფის ძისა და თავადის ან ახლო მეგობართა დამოკიდებულებასა და ურთიერთობას იგი ნაკლებად ესადაგება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მამუკას ამ ლექსს (*„იქმენ მშვიდ...“*) პეტრიწთან არავითარი შეხება არა აქვს. თუ მივიღებთ, რომ ლექსი *„შაირსა მწერ...“* მამუკას მიემართება, მაშინ უნდა დავუშვათ, იგი მის სხვა ნაწარმოებს ეხება, რომელსაც პეტრიწის შემოქმედებასთან რაღაცნაირი კავშირი ჰქონდა.

საკითხი, თუ ვინ არის დამოწმებული „**ოც**“ ბარათისა და მომდევნო ერთსტროფიანი ლექსის ავტორი, შემდგომ კვლევას მოითხოვს. მანამდე კი უფრო სავარაუდოა, გიორგი ავალიშვილმა მამუკას ლექსი*„იქმენ მშვიდ...“* დიმიტრი ბაგრატიონის

---

[10] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, I, შედგენილი და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძის და ქრ. შარაშიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 352.

თხზულებებში იმიტომ გადაიტანა, რომ ერთი მათგანი (*„სიტყვით ბრძნობ...“*) მისი პასუხი იყო. ან სულაც თავიდანვე ეს ორი ლექსი ერთს ან მეორე ავტორს გვერდიგვერდ ჰქონდა მოთავსებული.

ასე, რომ მამუკას დამოწმებული ლექსი *„იქმენ მშვიდ...“* ზოგად შეგონებას უნდა შეიცავდეს და რომელიმე ცალკე პირის დარიგება არ უნდა იყოს.

მამუკა გურამიშვილი ეპიგონი მწერალია და მისი პოეზია მხატვრული თვალსაზრისით არ გამოირჩევა.

ილია ჭავჭავაძის ერთი ცნობა ბესიკის შესახებ[1]

ილია ჭავჭავაძე „კაცია-ადამიანში?!“ ბესარიონ გაბაშვილს მიაწერს ფრთიან გამოთქმას: ***„ერთი მაქვს, სჯობს ათას მქონდას“***. მწერალი მთავარ მოქმედ გმირ ლუარსაბ თათქარიძეს მიმართავს: „ეჰ, ჩემო ლუარსაბ! ვიცი, გულწრფელი კი ხარ, როგორც უველა ძველი ქართველი, მაგრამ ძველს დროს ტუუილად შეჰნატრი. რომ არც კი იცი, რა იყო სანატრელი ძველს დროში? ცხენი განა ეხლა კი არ არის? თოფი განა ეხლა ნიშანში ვერ მივა? მარჯვე მკლავი ცოტაა? ეხლაც არის ეს უველაფერი, მაგრამ ის გული აღარ არის, ის გულის სიმხურვალე, ის თავგამოდება მამულისათვის, რომელიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახმარებდა. უწინ კაცი ამშვენებდა ცხენსაც და თოფსაც, ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს ამშვენებს. კარგი იყო ძველი დრო, მიაგრამ არც ეს **ბესარიონ გაბაშვილის** სიტყვებია **ურიგო: «ერთი მაქვს, სჯობს ათას მქონდას»**, ესა ვთქვათ და ენა მოვიკვნიტოთ, თორემ...“[2].

---

[1] წაკითხულია მოხსენებად შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეთექვსმეტე სამეცნიერო სესიაზე 1981 წლის 14 აპრილს. მაშინ დაიბეჭდა თეზისები (გვ. 13–14). სრულად პირველად ქვეყნდება.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი II, მოთხრობები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს,

ილიას ეს მოთხრობა მრავალჯერ დაიბეჭდა, მაგრამ არც ერთხელ, მათ შორის სამეცნიერო პუბლიკაციებში, მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია: რამდენად სწორია ილიას ცნობა და, თუ სწორია, სად ამბობს ამას ბესიკი?

ერთადერთი მკვლევარი, ვინც ეს საკითხი დასვა და იძია, იყო ჩვენი სიძველეების დაუცხრომელი მაძიებელი **ვახტანგ სიდამონიძე** (1912–1991), განათლებით იურისტი. მან 1969 წელს გაზეთ „წიგნის სამყაროში" გამოაქვეყნა წერილი *„ბესიკის ერთი პოეტური ფრაზა"* (№ 24, გვ. 7). წერს: „როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძემ «კაცია–ადამიანი?!» 1858–1859 წლებში დაწერა. მისი ბოლო რედაქცია კი 1863 წელს ეკუთვნის. ილია, უნდა ითქვას, შეუვარებული ყოფილა ბესიკის ამ პოეტურ თქმაზე" და იმოწმებს პოემას *„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან"*, სადაც ავტორი ბატონს ათქმევინებს:

„მირჩევს ჩემიო გერჩივნოს შენსას...
არა, ერთი მაქვს, სჯობს ათას მქონდეს"[3].

ვახტანგ სიდამონიძე მიუთითებს, რომ ეს პოეტური ფრაზა „აკაკი წერეთელმაც ავტორის დაუსახელებლად გამოიყენა 1910 წელს თავის ლექსში «საუნჯე» (დაიბეჭდა იმავე წელს ჟურნალ «განათლების» ფურცლებზე, № 6)" და მოჰყავს სტროფი:

„«ერთი მაქვს, სჯობს ათას მქონდას»,
ჭკუას უთქვამს, გულს უგრძვნია".

ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ეთერ შარაშენიძემ და ლეილა სანაძემ, თბ., 1988, გვ. 38–39.

[3] იგივე კრებული, ტომი პირველი, პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო რუსუდან კუსრაშვილმა, თბ., 1987, გვ. 221.

ბატონი ვახტანგი აყენებს საკითხს: „ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ბესიკის რომელ ნაწარმოებში ამოიკითხეს ეს შესანიშნავი ბრძნული სტრიქონი?“ და გვაცნობს, საამისოდ რა იღონა: „ჩვენ საგანგებოდ გადავსინჯეთ ბესიკის ნაწარმოებები, განსაკუთრებით თხზულებათა სრული გამოცემები, რომლებიც 1932 და 1962 წლებში გამოიცა ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, მაგრამ ბესიკის აღნიშნული ფრაზა არც ერთ ნაწარმოებში არა გვხვდება. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, ილიასა და აკაკის ხელნაწერში წაეკითხოთ ბესიკის უცნობი ნაწარმოები (ლექსი თუ ჰოემა) და იქიდან ჰქონდეთ ამოღებული ეს სტროფი, ან იქნებ ნაწარმოები, ამ ფრაზას რომ შეიცავს, ილიასა და აკაკის ბესიკის ნაწარმოებად მიაჩნდათ. შემდეგ მკვლევარებმა, რომლებმაც შესაძლოა არ იცოდნენ ილიასა და აკაკის აზრი, სადავოდ მიიჩნიეს და ბესიკის თხზულებათა გამოცემებში (ასეთი კი დღემდე ექვსია) აღარ შეიტანეს. უველა ეს საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს“.

ამ წერილის შემდეგ მეც შევუდექი ამ აფორიზმის ავტორის ძიებას.

ეს აფორიზმი შესულია სხვადასხვა გამოცემაში:

ა) **თამარ სვინიტიძე** მას ბეჭდავს ასეთი ფორმით: *„ერთი მაქვს, სჯობს ათას მქონდეს“*[4].

ბ) **ბორის კანდელაკი** ჯერ ბეჭდავს ასე: *„ერთი მაქვს — სჯობს ათასს მქონდეს“*, მეორეჯერ: *„ერთი მაქვს — სჯობს ათასს გქონდას“* და მას ილია ჭავჭავაძეს მიაწერს[5]. წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ „ილიას ნაწერებში უხვად არის გაბნეული მახვილი გამოთქმები და აფორიზმები როგორც მსოფლიო

---

[4] ქართული ანდაზები, შემდგენელი თამარ სვინიტიძე, თბ., 1955, გვ. 51. აქ მოთავსებულია როგორც ავტორიანი, ისე ხალხური ანდაზები.

[5] ილიას აფორიზმები, ამოკრებილი ბორის კანდელაკის მიერ, თბ., 1957, გვ. 15; ილია ჭავჭავაძე, სხარტულა, ამოკრებილია ბორის კანდელაკის მიერ, თბ., 1962, გვ. 15.

კლასიკოსების ნაწერებიდან, ისე თვითონ ილიას მიერ შექმნილი", მაგრამ ამ გამოცემებში არ არის გარჩეული, რომელია ილიასი და რომელი — სხვისი.

გ) *„ერთი «მაქვს», სჯობს ათას «მქონდას»* (ბესიკი)"—ასე ბეჭდავს **ლია ლეჟავა**. როგორც ვხედავთ, ქალბატონი ლია იმეორებს ი. ჭავჭავაძის შეხედულებას[6]. წინ „ლიტერატურული ანდაზები" უწერია: „იბეჭდება იმ სახით, როგორც ადრე გამოცემულ კრებულებშია შეტანილი" (გვ. 219).

ჩვენმა ძიებამ შედეგი გამოიღო. პირდაპირ უნდა ვთქვათ: ილია ჭავჭავაძის წყარო უნდა იყოს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილებაში დაცული თეიმურაზ ბატონიშვილის ხელნაწერი კრებული (E–23), სადაც მოთავსებულია ერთსტროფიანი ლექსი სათაურით *„დიმიტრი მდივანთან პასუხად მიწერილი"* და ბოლო სტრიქონად საძიებელი პოეტური თქმა იკითხება:

„დიმიტრი მდივანთან პასუხად მიწერილი

ქ. სამყაროდმდე ამქუხარებ შენის შტილის მაღალ თქმასა,
ზოგჯერ გვასმენ ლექსსა აზრით, ზოგჯერ ოდენ გვაბგერ ხმასა,
წარსულს ჟამ ჰკვეხ სიქადულით, ამით ოდენ არ გვყოფ კმასა,
ერთი მაქვს — სჯობს ათას მქონდას, მეგობრულად გეტყვი ძმასა"
(99 v).

ეს ლექსი ამ კრებულში ამავე გვერდზე მოსდევს ჭაბუა ორბელიანზე დაწერილი ბესიკის პამფლეტის („დამპალო ლეშო...") ბოლო ოთხ სტრიქონს, რომლისაგან იგი ხაზით არის გამოყოფილი:

„... ვინც კარგად გიცნობს, გაიღიმებს, დიდი ცრუაო,
ღამით ეშმაკსა შეგადრიან, დღისით ბუაო,

---

[6] ხალხური სიბრძნე, ანდაზები, მახვილსიტყვაობა, გამოცანები, V, შედგენილია ლია ლ ე ჟ ა ვ ა ს მიერ, თბ., (1965), გვ. 220.

რა კარგი რამ დაბადებულხარ, მაგ პირს ფუაო,
მაგ შენმა სახემ სიცოცხლე ხომ დაგამწარაო“.

წინა (99 ɾ) გვერდი მთლიანად უკავია ბესიკის ამ პამფლეტის წინა სტროფებს და სათაურად აქვს: **„ბესარიონ გაბაშვილისაგან თქმული“**. აშკარაა: სტუდენტობისას ილიამ (თუ მისმა ინფორმატორმა) ნახა ეს კრებული და, რადგან ბესიკის სათაურიან ლექსს უშუალოდ მოჰყვებოდა **„დიმიტრი მდივანთან პასუხად მიწერილი“** სტროფი, რომელიც პირველისაგან მხოლოდ ხაზითაა გამოყოფილი, ეს უკანასკნელი ბესიკის ქმნილებად მიიჩნია.

ამის შემდეგ საძიებელია, ვისია ეს ერთსტროფიანი ლექსი და მასში შემავალი ჩვენთვის საინტერესო ფრთიანი გამოთქმა?

თეიმურაზ ბატონიშვილის კრებულის აღნიშნულ მონაცემს დაახლოებით იმავე შეცდომაში შეუყვანია პროფესორი **ტრიფონ რუხაძეც**. მასაც უნახავს ეს კრებული, ბეჭდავს ამ ლექსს და, წინააღმდეგ მისი სათაურისა, რატომღაც მას დიმიტრი თუმანიშვილის თხზულებად მიიჩნევს. სტატიაში „დიმიტრი თუმანიშვილი“ აღნიშნავს: „დასასრულ, უნდა მოვიხსენიოთ დიმიტრი თუმანიშვილის ლექსი – «მიძღვნა ბესიკ გაბაშვილისადმი», რაც არსებითად შეადგენს მეგობარ პოეტის მიერ ბესიკის კილო-ხმის პირველ ობიექტურ შეფასებას. აი ეს ლექსი, რომელიც გამოუწვევია ბესიკის ლექსს «დამპალო ლეშო». იგი უძველესი ლექსი უნდა იყოს დ. თუმანიშვილისა“. იმოწმებს მას და ასახელებს თეიმურაზის კრებულის ძველ შიფრს – E-49. ასე წერს: „ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართული ხელნაწერი E-49“[7]. ვიმეორებთ: ჩვენს დროს მისი ნომერი E-23 იყო.

---

[7] ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, თბ., 1954, გვ. 177-178.

გარდა ამისა, ბატონი ტრიფონი ამავე წიგნში ამ სტატიას ურთავს დიმიტრი თუმანიშვილის ნაწარმოებებს და ამ და მომდევნო ლექსს „ბაიათი“ მისი სახელით ბეჭდავს. ჩვენს სტროფს ასათაურებს: „დიმიტრი მდივნის მიწერილი ბესიკთან, ჰასუხად ლექსზე «დამჰალო ლეშო»“. წყაროდ ასახელს: „სათაური: გაფი... A 1164, გვ. 114 v“ (გვ. 179).

A–1164–ში ამ გვერდზე „გაფი“ მართლაც წერია, ოღონდ ის არა „სამყაროლმდე ამქუხარებ...“ სტროფია, არამედ დ. თუმანიშვილის ლექსია *„ახალ აღნაგო“*. საერთოდ, ჩვენი საძიებელი სტროფი ამ ხელნაწერში არ ჭაჭანებს. მიკვირს და გამკვირვებია, ბატონ ტრიფონს რის საფუძველზე მოსდის ეს შეცდომა.

„ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში[8] ტრიფონ რუხაძეს ეკუთვნის თავი *„გარდამავალი ხანის მწერლობა“*, სადაც დიმიტრი თუმანიშვილზე იგივეა გამეორებული: „ახალგაზრდა დიმიტრი თუმანიშვილი მოესწრო ბესიკ გაბაშვილს და ასეთი მიძღვნა დაუწერა“ (მოყვანილია ჩვენი ლექსი, გვ. 695).

თეიმურაზის კრებულში იმავე ფურცელზე ჩვენს საძიებელ ლექსს დაუსათაურებლად ებმის ლექსები:

„ქ. ბაიათი

წიგნი შენი მეცა რა,
ლექსი ნასთებრ მეცარა,
რადგან იჩენ სიქადულს,
აჰა, გიკრთი მეც არა.

ქ. თეჳნისის პასუხად

არვის მართებს მის ვარდისა მიხუედრა,
ვის გლახ გული დაემონა და ესვა,
ბედმა იგი მე მხოლოსა მიხუედრა...“

---

[8] ტომის სარედაქციო კოლეგია: ალექსანდრე ბარამიძე (რედაქტორი), გაიოზ იმედაშვილი, გივი მიქაძე, თბ., 1966.

მომდევნო გვერდზე გრძელდება:

„გულს ისარი შურით ყვავს რად დაესვა.

მტილს ეარნა, ალვას მნახთა ეხარათ,
მის სატკვირთოდ იათ თავი ეხარათ,
ვნახე ვარდი, სწითლდა და ესთქუ: ეხა რათ?!
მითხრეს: ფერი მორცხობისა დაესვა.

უკვირსთ მჭვრეტთა, ესე მბადმან არსა რა,
ზოგნი ხმობენ: რებეკაა, არ სარა,
ესე მნათი შვიდთაგანი არს არა,
მაშა ესა თუ აპოლონს დაესვა.

ვინც მხელთავად მისად თავი იგულოს,
გული ჰკარგოს და იგიც ვერ იგულოს,
გინა ოხრვით ბაგეც ალარ იგულოს,
არ ესმინოს მან ეს ოხრვა და ეს ვა.

აქებ წელსა, მეტყვი: მისგან რა მი ნა,
ვით რა მინა, ხელ ვარ, ვნახე რა მინა,
შენ თუ ვისობ, სხვა ეძიე რამინა,
ცუდ მაშვრალობ, შენ სჯექ, სად ბედს დაესვა“.

ეს ლექსები კი, ცნობილია, ალექსანდრე ჭავჭავაძისაა[9]. ვიმეორებთ: ტრიფონ რუხაძემ „ბაიათი“ დიმიტრი თუმანიშვილის სახელით გამოაქვეყნა.

ჩვენთვის საინტერესო პოეტური გამოთქმის შემცველი სტროფი და კიდევ მომდევნო ალ. ჭავჭავაძის ორივე ნაწარმოები ცალკე ფურცლად, მცირე ვარიანტული სხვაობით მოიპოვება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღნიშნულ ფონდში (E–115), ოღონდ ავტორზე მითითება არც აქ ახლავს. ეს

[9] ალ. ჭავჭავაძე, რჩეული ლექსები, ი. გრიშაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1940, გვ. 9.

ფურცელი უფრო ადრინდელია, ვიდრე თეიმურაზის კრებული. მისი ჭვირნიშანია 1805 წელი, თეიმურაზის კრებული თარიღიანია და უჩვენებს 1819 წელს. მთელი ფურცელი, სამივე ნაწარმოები, ალ. ჭავჭავაძის ხელითაა ნაწერი. ჩვენ მაშინ სესიაზე ეს ფაქტი აღვნიშნეთ, მაგრამ, რადგან არც ერთში ავტორი აღნიშნული არ იყო, თავი შევიკავეთ, რომ აფორიზმი და მისი შემცველი სტროფი ალექსანდრე ჭავჭავაძის ქმნილებად გამოგვეცხადებინა.

ჩვენს წრეში ხელწერის მიხედვით ავტორობის განსაზღვრა მიუღებელი იყო. მაგალითად ცნობილ პალეოგრაფ **ანა ბაქრაძეს** აღნიშნული აქვს: „ჩვენი აზრით, მ ა რ ტ ო პალეოგრაფიულ მხარეზე დაყრდნობით ხელნაწერის მიკუთვნება კონკრეტულად რომელიმე პირისათვის ძნელია. ამ საკითხის გადასაწყვეტად მეტი საბუთიანობაა საჭირო“[10]. ამავე აზრს გამოთქვამს სარგის ცაიშვილი[11].

ამიტომ იყო, მაშინ მხოლოდ ამ დასკვნით შემოვიფარგლე, რაც თეზისებშიაც გამოვხატე: „მოპოვებული მასალების მიხედვით არ მტკიცდება, რომ აღნიშნული აფორიზმული გამოთქმა, ისე როგორც მისი შემცველი ლექსი, ბესიკს ეკუთვნოდეს, მისი ავტორი საძიებელია“.

1979 წლის ივლისში სამეცნიერო მივლინებით გახლდით იმდროინდელ ლენინგრადში. მაშინ გავეცანი E–23 და E–115 ნუსხებს და მათი ფოტოები გადავაღებინე. თითქმის ორი წლის განმავლობაში ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში სხვა მასალებთან ერთად დავამუშავე დიმიტრი თუმანიშვილისა და ალ. ჭავჭავაძის ხელნაწერული მემკვიდრეობა. მაგრამ, გარდა იმისა, რომ დავადგინე, E–115 ალ. ჭავჭავაძის ავტოგრაფია, სხვა მნიშვნელოვანი ვერაფერი ვნახე.

---

[10] ანა ბ ა ქ რ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის გადამწერნი, კრებ.: შოთა რუსთაველი, ისტორიულ–ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966, გვ. 90.

[11] სარგის ც ა ი შ ვ ი ლ ი, წერილები და გამოკვლევები, I, თბ., 1984, გვ. 250.

სესიას ესწრებოდა ირაკლი კენჭოშვილი, რომელმაც სესიის მომდევნო დღეებში მომიტანა ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ალ. ჭავჭავაძის ავტოგრაფის ფოტოსურათი, შეადარა E-115-ის ჩემ მიერ გადაღებულ ფოტოს და დარწმუნდა, რომ E-115 მართლაც ალ. ჭავჭავაძის ხელითაა შესრულებული. მთხოვა, ჩემ მიერ გადაღებული ფოტო მიმეცა, მაგრამ არ მივეცი.

გადის ხუთი წელი და ირაკლი კენჭოშვილი ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულს აქვეყნებს და მასში ჩვენი სტროფი შეაქვს[12].

„შენიშვნებში“, თუ რა მასალას ეყრდნობოდა ამ სტროფის კრებულში შეტანისას, ი. კენჭოშვილს მოჰყავს მხოლოდ ჩემ მიერ მოპოვებული მასალები, რომლებიც „თეზისებში“ შევიტანე, ახალს არაფერს იძლევა, მაგრამ არსად მასალებს (გვ. 274-275). წერს: „ავტოგრაფში – ლ E 115 (ჯვირნიშანი – 1805 წ.) ერთ ფურცელზე გადაწერილია უსათაუროდ ეს ლექსი, «წიგნი შენი მეცა რა» და «არჯის ჰმართებს», თეიმურაზ ბაგრატიონის კრებულში ლ E 23, გვ. 99“ (გვ. 274). მეორეგან ტ. რუხაძის წიგნზე მითითებით აღნიშნავს: „ერთ ნუსხაში – ლ E 49 – «სამყარომდე ამქუხარებ...» დ. თუმანიშვილს მიეწერება და სათაურად აქვს «ჰასუხად ლექსზე – დამჰალო ლეშო»“ (გვ. 275). ჩვენმა ძვირფასმა ირაკლიმ არ იცის, რომ E-23 და E-49 ერთი და იგივე ხელნაწერია (ზემოთ უკვე ვთქვით, პირველი ჩემს დროინდელი შიფრია, მეორე – ადრინდელი). კიდევ მეტი კურიოზია: თითქოს თეიმურაზის კრებულში ჩვენი სტროფი „დ. თუმანიშვილს მიეწერება და სათაურად აქვს «ჰასუხად ლექსზე – დამჰალო ლეშო»“. ზემოთ უკვე ვთქვი, ეს სიტყვები ტ. რუხაძეს ეკუთვნის და თეიმურაზის კრებულში მსგავსი არაფერი წერია!

---

[12] ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებები, ლექსები, ნარკვევები, დრამის თარგმანები, წერილები, შეადგინა, რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ირაკლი კენჭოშვილმა, თბ., 1986, გვ. 102.

ასეთია ირაკლი კენჭოშვილის, ბედის ირონიით ორგზის პარლამენტარის, ამ პატარა ქურდბაცაცობის ამბავი.

ჩვენი მოხსენებიდან 31 წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ჩემი სხვადასხვა საკითხზე კვლევა-ძიების გვერდით ყოველთვის გაფაციცებით ვეძებდი, ხომ არ არსებობდა დასმულ საკითხზე რაიმე სხვა მასალა? ვერაფერს წავაწყდი!

ახლა უნდა დავასკვნა: **ფრთიანი გამოთქმა „ერთი მაქვს – სჯობს ათას მქონდას“ ბესარიონ გაბაშვილს არ ეკუთვნის, იგი ალექსანდრე ჭავჭავაძისა უნდა იყოს.**

რევაზ ერისთავის კუთვნილი სახარება და მისი მინაწერები

1960 წლის სექტემბრიდან მუშაობა დავიწყე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში და შევუდექი ჩვენი სასულიერო მწერლების **ბაგრატ ბატონიშვილისა** (მუხრანბატონის, XV–XVI სს.) და **იაკობ შემოქმედელ-სამებელ დუმბაძის** (XVII ს.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას. ამავე დროს, **აკაკი შანიძესთან** მისივე შემოთავაზებით გავდიოდი ასპირანტურის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბატონი აკაკი ასეთი წესით გვამეცადინებდა: შინ და სემინარებზეც ვკითხულობდით მის მიერ გამოცემული ბიბლიის ნაწილს და ვარჩევდით გრამატიკულ ფორმებს. ხედავდა რა ჩემს საქმიანობას, მონდომებასა და უფულობას, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა ანზორ ონიანმა (1939–1981), პროფესიით მეღვინემ, დასახმარებლად საგანგებოდ დაიწყო ბუკინისტურ მაღაზიებში სიარული და ჩემთვის აღნიშნული დარგის წიგნების შეძენა. სხვა წიგნებთან, კერძოდ, „ლოცვანის“ სხვადასხვა გამოცემასთან ერთად მიყიდა და მაჩუქა 1879 წელს თბილისში გამოცემული ახალი აღთქმა, რომლის სატიტულო ფურცელზე წერია: „**უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი წმიდა სახარებაჲ მათესი, მარკოსისი, ლუკასი და**

იოანესი, საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფილისს. კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის გამგეობის სტამბაში. 1879".

წიგნის ეს ცალი ჰკუთვნებია XIX საუკუნის შუა წლების ცნობილ მწერალსა და მთარგმნელ **რევაზ შალვას ძე** ერისთავს. ამას ადასტურებს წიგნზე არსებული მინაწერები და პატარა ოთხკუთხა მოვარდისფრო ცელულოიდზე შესრულებული წარწერა, რომელიც წიგნში ძევს: „КНЯЗЬ РЕВАЗЪ ШАЛЬВОВИЧЪ ЕРИСТОВЪ". ამ ფირფიტაზევე ზემოთ, შუაში, გამოსახულია ერისთავთა საგვარეულო გერბი.

ეს წიგნი ყურადღებას იპყრობს სწორედ იმ წარწერებით, რომლებიც გვაუწყებენ რევაზ ერისთავისა და მისი ოჯახის წევრთა და ახლობელთა ასაკსა და გარდაცვალების თარიღებს. მაგრამ, ვიდრე მათ წარმოვადგენდე, თვალი გადავავლოთ **ნოდარ ალანიას** პატარა საენციკლოპედიო წერილს რევაზ ერისთავის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე:

„**ერისთავი რევაზ შალვას ძე** დაიბადა 1827 წელს ახლანდელი დუშეთის რაიონის სოფელ ოძისში, გარდაიცვალა 1899 წ. ქართველი ჰოეტი, მთარგმნელი. XIX საუკუნის 50–60-იან წლებში თანამშრომლობდა ჟურნალ «ცისკარში». ჰოჰულარული იყო მისი ლექსები «ბიძაჩემს უაფლანს» და «უაფლან ორბელიანს». მან თარგმნა ა. ჰუშკინის, მ. ლერმონტოვის, ვ. ჟუკოვსკის ნაწარმოებები. ი. კოზლოვის ჰოემის «შეშლილის» ერისთავისეული თარგმანი მკაცრად გააკრიტიკა ი. ჭავჭავაძემ («ცისკარი», 1861, № 4), რითაც დაიწყო «მამებისა» და «შვილების» ბრძოლა. რ. ერისთავის წერილს «ჰასუხი თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა» («ცისკარი», 1861, № 5) ი. ჭავჭავაძე გამოეხმაურა სტატიაში «ჰასუხი» («ცისკარი», 1961, № 6)" (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 4, თბ., 1979, გვ. 194).

ახლა მინაწერები. წიგნი დაზიანებულია და ყდა არა აქვს. პირველი და ბოლო საცავი ფურცლები ამოვარდნილია. პირველი საცავი ფურცლის პირველი ნაწილის მინაწერები ეკუთვნის რევაზ ერისთავის ქალიშვილს, რომლის სახელი აქ არ ჩანს.

მინაწერები გვამცნევენ (სახელებისა და გვარების დაყოფა ჩვენია – ბ. დ.):

„დედა ჩემი ნ ი ნ ო 33 წლისა გარდაიცვალა 25 ოქტომბერს 1879 წ.“.

„ბებია ჩემი ე კ ა ტ ე რ ი ნ ე – 75 წ. („75 წ.“ შემდეგაა ჩაწერილი) 26 დეკემბერს 1877 წ.“.

„მამა ჩემი თ~ რ ე ვ ა ზ ე რ ი ს თ ა ვ ი 72 („72“ შემდეგაა ჩაწერილი. – ბ. დ.) გარდაიცვალა 23 მაის 1899“. მომდენო ერთი სიტყვის ადგილი მოხეულია, ხოლო ამავე წინადადების დასაწყისში შემდეგ არის მინაწერი: „[1]827 დაიბადა“.

„მამიდა ჩემი ქ ე თ ე ვ ა ნ გარდაიცვალა 82 წ. 1905 წ. აპრილს თბილის[ს]“. მთელი ეს წინადადება შემდეგაა ჩაწერილი. ამ წინადადების გასწვრივ მეორე გვერდზე მოხეული ნაწილის შემდეგ არის: „...ტასია ამილახვრის“.

„ძმა ჩემი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე 49 („49“ შემდეგაა ჩაწერილი) გარდაიცვალა თბილისს 14 დეკემბერს 19...“ (შემდეგ მოხეულია).

„მამიდა ჩემი ე ლ ე ნ ე 78 წ. გარდაიცვალა 5 აგვისტოს 1907 წ. კარალეთს“.

„ჩემი დისწული ე ლ ო ბ ა რ ა თ ო ვ ი ს ა 6 წლისა გარდაიცვალა 1914 წ. 5 ფებერვალს“.

„ჩემი დისწული შ უ რ ა ბ ა რ ა თ ო ვ ი 12 წლისა გარდაიცვალა 12 ფებერვალს 1914 წ. თბილის(ს)“.

„ჩემი ძმა მ ი ხ ე ი ლ ი 64 წ. და მისი შვილი ბ... (არ იკითხება, ფურცელი ამოჭმულია) 20 გარდაიცვალა (შემდეგ არ იკითხება, ფურცელი გაცრეცილია) 1924 წ. სექტემბრის ხუთს ს...“. შემდეგ ფურცელი ამოჭმულია.

„1942 წ. აპრილის 3 გარდაიცვალა ჩემი და ლ ი ზ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. დასაფლავდა კუკიის სასაფლაოზე შვილებთან“.

ამით მთავრდება პირველი თავფურცლის მინაწერები. ამას მოსდევს სატიტულო ფურცელი, სადაც იმავე ხელით არის მინაწერი: „ჩემ დაუვიწყარ ე ლ ე ნ ე მამიდასაგან 1906 წ. სექტემბ[ერი]“.

წიგნის ბოლოს, 122-ე გვერდზე, მსგავსი ხელით, ოღონდ უფრო დიდი ასოებით მიწერილია:

„[მ ა] რ ო მოვიდა 1909 წ. 7 წლისა კასპში“.

„დაიბადა მ ა რ ო 1902 წ. ვანიშვილი(.) [19]39 წ. გარდაიცვალა 26 აპრილს ღამის პირველ საათზე“.

ეს ორი მინაწერი, შეიძლება, პირველს არ ეკუთვნოდეს.

სულ ბოლოს, მეორე საცავი ფურცლის პირველი გვერდის მინაწერები (იგივე ხელი უნდა იყოს, რაც პირველ თავფურცელზეა):

„1890 წ. ოქტომბრის 30-ს გარდაიცვალა ჩემი მული ნ ი ნ ო პეტერბურგ[ს]“.

„1903 აპრილში გარდაიცვალა ჩემი მაზლი ლ ა დ ო. ასაფლავია სამთავის{ს]“.

„1909 წ. ოქტომბრის 6-ს დ ე დ ა გარდაიცვალა 84 წ. კასპს“. „84“ შემდეგაა ჩაწერილი, თანაც კარგად არ იკითხება. ჯერ სხვა ციფრი დაუწერია და შემდეგ ასე გადაუკეთებია.

„ჩემი დ ი მ ი ტ რ ი გარდაიცვალა 1915 წ. 4-ს ივნის(ს), ხუთშაბათს, 5 საათზე საღამოს (*„ხუთ საათზე საღამოს“* შემდეგაა ჩაწერილი) 73 წლისა, კვირას დასაფლავდა კასპში“.

„ჩემი მ ი შ ა გარდაიცვალა (ეს სიტყვა გაცხოველებულია და იკითხება: „გარდაცვლილი“) 1924 წ. სექტემბრის 22, 38 წ.“.

„კ ო ლ ა ნ ო ეკატერინფელდში (?) ლუქსენბურგ. (ჩაწერილია შემდეგ) დაიბადა 1886 წ. იანვ. 2-ს“.

„მიტო ჭავჭავაძე გარდაიცვალა 17-ს ივნის. დასაფლავებულია პეტრე პავლეს სასაფლაოზე № 174. იქვე № 12, 562“.

„1932 წ სექტემბრის 24-ს გარდაიცვალა ჩემი დისწული მ ა რ ი კ ა ბ ა რ ა თ ო ვ ი ს ა 2 საათზე დღისით“.

„1938 წ. 16-ს ივლის გარდაიცვალა ჩემი ძმისწული რ უ ს უ დ ა ნ ექ(ვ)ს საათზე საღამოს 36 წლისა“.

„1938 წ. (შემდეგაა ჩაწერილი) 14-ს ოქტომბერს გარდაიცვალა ჩემი რძალი ე ლ ე ნ ე ე რ ი ს თ ა ვ ი“.

„1942 წ. აპრილის 3 გარდაიცვალა ჩემი და ლ ი ზ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. დაიმარხა 5-ს კუკიის სასაფლაოზე შვილებთან(.) ჟ ო რ ჟ ი კ ა გარდაიცვალა 1941 წ. ფებერვალში“.

ვიმეორებთ, ეს ხელწერაც ძალიან ჰგავს პირველს და შინაარსითაც მას ესადაგება.

ამავე მეორე საცავი ფურცლის მეორე გვერდზე იმავე ხელით გრძელდება, პირველ გვერდზეა:

„1917 წ. ფებერვალს 26-ს დაიბადა ჩემი მ ი შ ა ს ვაჟი დ ი მ ი ტ რ ი ახალზე 11 მარტს“.

„1936 წ. 26 ფებერვალს ახალზე დაიბადა ნ ი ნ ა მ ა კ ა ე ვ ა ს ქალი, პარასკევს 8 საათზე(,) ივლისი“.

„1930 წ. დაიბადა ნ ი ნ ა მ ა კ ა ე ვ ა ს ვაჟი აპრილის ცამეტს რ ე ვ ა ზ ი “.

წიგნში ძევს პატარა ფურცელი, რომელზედაც იმავე ხელით წერია:

„განუსვენე(,) უფალო(,) მხევალსა შენსა მ ა ი ა ბ ი წ ი შ ვ ი ლ ს ჩვენს მოამაგე ძიძას და გამზდელს(.) გარდაიცვალა 70 წლისა 1912 წელსა(,) მაისის ოთხსა“.

წარწერები ამით მთავრდება. როგორც ვთქვით, მათი ხელწერა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ისინი (უმთავრესი ნაწილი მაინც) გაუკეთებია რევაზ შალვას ძე ერისთავის ერთ-ერთ შვილს, ალბათ, ყველაზე უმცროს ქალიშვილს, რომელიც 1942 წელს ცოცხალია. ოღონდ თ ა ვ ფ უ რ ც ლ ე ბ ზ ე მიწერილები ყველა მისია თუ არა, საეჭვოს ხდის ერთი გარემოება: თუ პ ი რ ვ ე ლ ი თავფურცლის მინაწერი იუწყება: „დედა ჩემი ნ ი ნ ო 33 წლისა გარდაიცვალა 25 ოქტომბერს 1879 წ.“, ბ ო ლ ო თავფურცლის მინაწერის მიხედვით დ ე დ ა სხვა დროსაა გარდაცვლილი: „1909 წ. ოქტომბრის 6-ს დ ე დ ა გარდაიცვალა 84 წ. კასპს“. თუ ამ უკანასკნელში სხვის დედაზე (დედამთილზე) ან დედინაცვალზეა საუბარი და არა გადამწერის ბიოლოგიურ დედაზე, მაშინ ყველაფერი რიგზეა.

ამ ცნობების მიხედვით, მწერალ **რევაზ შალვას ძე ერისთავის** მშობლები და შთამომავლები არიან:

1. მწერლის დედა **ეკატერინე** (1802–1877) და დები: **ქეთევანი** (1823–1905) და **ელენე** (1839–1907).

2. მწერლის ოჯახი: **რევაზ შალვას ძე** (1827–1899) + **ნინო** (1846–1879). შვილები: **მიხეილი/მიშა** (1860–1924), **ლიზა** († 1942),

ალექსანდრე (გარდაიცვალა 49 წლისა), **ავტორი**, რომელსაც ჰყავს მული **ნინო** († 1890) და მაზლი **ლადო** (†1903).

3. მწერლის შვილების ოჯახები:

ა) **ლიზა** († 1942) + **ბარათაშვილი/ბარათოვი**. შვილები: **შურა ბარათაშვილი/ბარათოვი** (1902–1914), **ელო ბარათაშვილი/ბარათოვი** (1908–1914), **მარიკა ბარათაშვილი/ბარათოვისა** († 1932).

ბ) **მიხეილ/მიშას** მეუღლე უნდა იყოს **ელენე ერისთავი** († 1838. თუმცა არც ისაა გამორიცხული, ის **ალექსანდრეს** მეუღლე იყოს). შვილები **ბ...** († 1824) **დიმიტრი** (დაიბადა – 1917), **რუსუდან** († 1938). თუმცა ისიც შესაძლებელია, რუსუდანი ალექსანდრეს შვილი იყოს.

კიდევ არიან: **ჟორჟიკა** († 1941), რომელიც ლიზა ბარათაშვილის შვილი უნდა იყოს. ავტორის ძიძაა **მაია ბიწიშვილი** (1842–1912).

4. აქედან არ ჩანან, თუ ვინაა: **ნინა მაკაევა** და მისი ვაჟი **რევაზი, ტასია ამილახვარი, კოლანო, მიტო ჭავჭავაძე, მარო**.

მინაწერი: 2013 წლის პირველ თებერვალს ეს წიგნი საჩუქრად გადავეცი „საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას“ (დოკუმენტი № 7. ხელს აწერს მიმღები: ბიბლიოთეკის დაკომპლექტების განყოფილების უფროსი **ნინო გურგენიძე**). წიგნს მიეცა ნომერი – **K 279. 849/ 3.**

გადმომცეს სამადლობელი ბარათი, რომელსაც ხელს აწერს ბიბლიოთეკის რესურსების დეპარტამენტის დირექტორი **ლევან თაქთაქიშვილი.** ბარათში წერია:

„ღრმად ჰატივცემულო ბატონო ბორის. კეთილშობილ მამულიშვილთა განწყობა ჰარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიმართ გვაიმედებს, რომ, მიუხედავად რთული ეპოქისა – ჩვენი სამშობლო იქნება წარმატებული და საჩინო მსოფლიოსათვის. წიგნზე თქვენი ზრუნვა და შემოწირული გამოცემა «წმინდა სახარება» (1879 წ.) ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ხელნაწერი ჩა-ნართებით ამის დასტურია“.

ილია ჭავჭავაძის ლექსიკიდან[1]

კარგა ხანია, რაც შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, ძირითადად, ტექსტოლოგიის განყოფილების თანამშრომლები მთელი დატვირთვითა და გატაცებით მუშაობენ ჩვენს ერთ-ერთ ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე, — დიდი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადებაზე. ეს საკმაოდ რთული და შრომატევადი სამუშაო ზოგჯერ მთელ რიგ სიძნელეებს ქმნის, უმთავრესად ატრიბუციისა და ტექსტის დადგენის მხრივ, რაც ხშირად აზრთა მკვეთრ სხვადასხვაობასა და ცხარე კამათს იწვევს.

ახლახან ჟურნალ „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია) გამოქვეყნდა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლების ლეილა სანაძისა და ცისანა ყიფშიძის საყურადღებო გამოკვლევა — *„ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი ლექსიკური თავისებურების გამო“* (1987, № 1, გვ. 73–82), რომელშიც სხვა სადავო ლექსიკურ ფორმებთან ერთად განხილულია სიტყვა **„ესტიბარი“**.

როგორც ავტორები აღნიშნავენ, ეს ერთი იმ სიტყვათაგანია, რომელსაც ილია ჭავჭავაძე იყენებს და რომელიც არ ჩანს არა მარტო თანამედროვე ქართულში, არამედ ილიასდროინდელ ენაშიც.

მათი ცნობით, ეს სიტყვა დასტურდება ილიას ნაწერების ავტოგრაფებში, მწერლის სიცოცხლეში განხორციელებულ პუბლიკაციებსა და იმ დროს სხვათა მიერ გამოსაცემად მომზადებულ ხელნაწერებში. ერთგან კი, კერძოდ, ილიას მიერ შედგენილ ქართული ენის ლექსიკონის ნაწყვეტში, რომელიც მის თხზულებათა კრებულებში აქამდე არ შესულა, იგი ცალკე სალექსიკონო ერთეულად არის გამოტანილი. ჩვეულებრივ კონტექსტების მიხედვით, მისი შინაარსია: *ნდობა, სახელი, ავტორიტეტი*, თუმცა ზო-

[1] მცირე შემოკლებით დაიბეჭდა ალმანახ „კრიტიკაში“ (1987, № 5, გვ. 41–51).

გიერთ პუბლიცისტურ წერილში და ხსენებულ ლექსიკონში მწერალს მისთვის „ყისტის“, „კრედიტის“ სპეციფიკური გაგებაც მიუსადაგებია.

ილიას თხზულებათა შემდგომ გამოცემებში, სახელდობრ, 1925–1929 წლებში გამოსულ ათტომეულში, 1937–1961 წლების ხუთტომეულში, 1950–1961 წლების ათტომეულში, რომლებსაც ეყრდნობა მომდევნო პუბლიკაციები, ეს სიტყვა შეცვლილია სიტყვით „ე ხ ტ ი ბ ა რ ი “, რომელსაც, უფრო გავრცელებული ფორმით „ი ხ ტ ი ბ ა რ ი “, სულ სხვა გაგება აქვს, საზოგადოდ, ქართულში და, კერძოდ, ილიას ენაში. ყოფილა ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც პოეტ იოსებ გრიშაშვილის სახელს უკავშირდება. გამოკვლევის ავტორები იუწყებიან: „მან (ი. გრიშაშვილმა,– **ბ. დ.**) მიაკვლია ილია ჭავჭავაძის მიერ «კაცია-ადამიანიდან» გადმოკეთებული კომედიის ავტოგრაფს და მის დასაბეჭდად გამზადებული ტექსტი გადასცა ჰაჯლე ინგოროყვასა და ალექსანდრე აბაშელს, რომელთაც ეს ტექსტი დაბეჭდეს ილიას თხზულებათა ხუთტომეულის პირველ ტომში 1937 წელს, საიდანაც იგი უცვლელად გადაბეჭდა ჰ. ინგოროყვამ ათტომეულის მეორე ტომში 1950 წელს. აი, აქ, ამ გამოცემაში «მაჯანკლის» ტექსტში გვხვდება სიტყვა «ესტიბარი» – ილიასეული ფორმით, რომელიც ავტოგრაფის თანახმად ი. გრიშაშვილმა ხელუხლებლად დატოვა“ (გვ. 79–80) .

ამ ერთ მაგალითს საჭირო ძალისხმევა ვერ გამოუჩენია ამ სიტყვის აღდგენა-გადარჩენაში, თუნდაც ილიას თხზულებათა გამოცემებში.

იმავე ი. გრიშაშვილს ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ავტოგრაფსა და პირველნაბეჭდ პუბლიკაციებზე, აგრეთვე სხვა წყაროზეც დაყრდნობით, მათზე მითითებით, ეს სიტყვა შეუტანია თავის *„ქალაქურ ლექსიკონში“*[2].

---

[2] ახლა ეს საარქივო მასალა წიგნადაა გამოსული (გამოსაცემად მოამზადა რუსუდან კ უ ს რ ა შ ვ ი ლ მ ა , თბ., 1997). აქ ვკითხულობთ: **„ესტიბარი //ესტიბარი** – (ანუ ე ხ ტ ი ბ ა რ ი და ე ი თ ი ბ ა რ ი)

ავტორები იმასაც მიუთითებენ, რომ საძიებელი სიტყვა „ეხტიბართან“ ერთად ქართულისაგან განსხვავებული მნიშვნელობით არის არაბულში, ხოლო ქართულში, ვერც ძველსა და ვერც ახალში, ვერსად დაადასტურეს. იგი ლექსიკონებში შეტანილი არ არის. მხოლოდ ესაა, *„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“* „ეხტიბარს“ ილია ჭავჭავაძის სათანადოდ შეცვლილი ტექსტის დამოწმებით ემატება განმარტება — „ნდობა, სახელი“.

ჩვენი მხრივ დავუმატებთ: იგივე ვითარებაა დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ (1887, 1984 წწ.), სადაც შეტანილია სიტყვა „ეხტიბარი“ და განმარტებულია ამგვარად: „**ეხტიბარი** (არაბ[ული], ს[ახელი]). სარწმუნოება, სასოება, доверие, სამ[ართალი] ვახ[ტანგისა], 147; **ეხტიბრიანი**, ზედ[შესრული სახელი], სარწმუნო, надежный, დასტ[ურლამალი], 6“.

ლ. სანაძისა და ც. ყიფშიძის დასკვნით, „ესტიბარი“ ილია ჭავჭავაძის ენის კუთვნილი სიტყვაა, რომელიც მის ნაწერთა გვიანდელ პუბლიკაციებში ტექსტის მომმზადებლებმა გადაიკეთეს. შეცვლა მოხდა, ალბათ, იმის გამო, რომ ის კორექტურულ შეცდომად იქნა მიჩნეული. ამიტომ დიდი მწერლის

ნდობა, სახელი. «... თორემ ეხტიბარს გამიტეხ» (ილია, «მაჯვანკალი», 1 მოქ.). «კაცს რაკი ერთხელ და ერთხელ ეხტიბარი წაუხდება, აღარ დაუჯერებენ» (ილია, «კაცია-ადამიანი», «ფუდურაცია», 1937 წ., გვ. 228). ეს ადგილი ილიას თავის ჰიესა «მაჯვანკალში» ასე აქვს: «რაკი ერთხელ და ერთხელ შენს თვალში აბრუ გამიტყდა, რაღას დაიჯერებ» (რუსთ. თეატრის ხელთ., გვ. 18). «გაკუტრებული ქარხანა, რომელსაც ეხტიბარი გატეხილი ჰქონდა, ერთბაშად გამოცოცხლდა» («იზა», ილიას თარგ., ტ. 1, გვ. 199, 1892 წ.). «ვარდისთვისა ვარ ნიადაგ მკვდარი, არა ჰქონია მას ეხტიბარი» (ლექსი ზაქ. ჩაჩიკაშ., ეთნოგ. მუზ. ხელთ., № 2559)“.

თხზულებათა ახალ, აკადემიურ გამოცემაში ეს სიტყვა უნდა აღდგეს.

ეს მოსაზრება, რომელიც ჩვენთვის სრულიად სარწმუნოა, ზოგთათვის მიუღებელი ან საყოყმანო აღმოჩნდა იმის გამო, რომ საძიებელი სიტყვა ქართულში სხვაგან არ ჩანდა. ეს ეჭვი ამ მოტივით ხმამაღლა და საჯაროდ გამოითქვა კიდეც, მათ შორის ცნობილ, სახელგანთქმულ მეცნიერთა მიერ ინსტიტუტის 41-ე სამეცნიერო სესიაზე 1981 წლის 14 აპრილს, სადაც ამ საკითხზე ც. ყიფშიძე მოხსენებით გამოვიდა.

ძველი ქართული სამართლის ძეგლების, მათ შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, ძველი ეპისტოლური და სხვა მასალების გაცნობის შედეგად აღნიშნულ საკითხს ნათელი ეფინება. საკვლევი სიტყვა ზუსტად იმ გაგებით, როგორც ჩვეულებრივ ილიას ნაწერებშია, ქართულ წერილობით ძეგლებში ბევრად ადრე და მრავლად მოგვეპოვება. მოგვეპოვება სხვადასხვა ფორმით — *ეხტიბარი, ეთიბარი, ერთიბარი.*

მივყვეთ ბოლოდან. ვახტანგ მეექვსის მიერ 1707–1709 წლებში შედგენილ „დასტურლამალში“ წერია: „ერბო ფურზედ ხუთი სტილი გამოიღონ ამ წესით: ერთი ეხთიბარიანიკაცი წავიდოდეს, ფურს დასთვლიდნენ, სოფელსა და სოფელს რაც ფური დადგეს, თავთავის სოფლის მამასახლისებს დააწერდენ“.

ასე დაბეჭდა ეს სიტყვა ამ თხზულების კრიტიკულად გამომცემელმა ივანე სურგულაძემ[3]. უფრო ადრე ამავე ფორმით დაბეჭდა იგი ისიდორე დოლიძემაც[4]. პირველი გამომცემელი პეტრე უმიკაშვილი კი იცავს ფორმას „ერთიბრიანი“[5].

ი. დოლიძე, რომელმაც პუბლიკაციისას ისარგებლა ყველაზე ძველი, 1729 წელს გადაწერილი, გორის ისტორიულ-

---

[3] ქართული სამართლის ძეგლები, თბ, 1970, გვ. 613.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დ ო ლ ი ძ ე მ, თბ., 1965, გვ. 310.

[5] დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, 1986, გვ. 10.

ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ნუსხით, სქოლიოში მიუთითებს, რომ ხელნაწერისეული წაკითხვაა „*ერთიბრიანი*“.

ი. სურგულაძის ცნობით, ამ თხზულების ავტოგრაფი უცნობია, ხოლო მის მიერ გამოყენებული 14 ნუსხაში ერთნაირად არის „ერთიბრიანი“, მხოლოდ ერთადერთ გვიანდელ, 1842 წელს გადაწერილ ი. ნაზარაშვილის ხელნაწერში (S–3684) ყოფილა „*ეხთიბრიანი*“ (გვ. 789).

როგორც ჩანს, ამ ხელნაწერს ეყრდნობოდა დ. ჩუბინაშვილი, როცა თავის ლექსიკონში შეიტანა „ეხტიბრიანი“ და დაიმოწმა „*დასტურლამალი*“. ი. სურგულაძე მიუთითებს, რომ ამ ხელნაწერში „ეხთიბრიანი (...) სიტყვის გასწვრივ (...) დავით ჩუბინაშვილს მოუწერია «ეხთიბრიანი, верный, надежный», გვ. 613“ (იქვე, გვ. 789).

პ. უმიკაშვილი და ი. სურგულაძე ჯეროვან ყურადღებას უთმობენ ამ სიტყვას, გააქვთ ძეგლზე დართულ ლექსიკონთა თუ ტერმინთა საძიებელში და მასთან კავშირში ასახელებენ „*ესტიბარ*“ ფორმას. პ. უმიკაშვილი განმარტავს: „ეხთიბრიანი, ესტიბრიანი, ისტიბრიანი – სანდო“. წყაროდ აღნიშნულია არაბული სიტყვა: „ეეთიბარ – ნდობა“ (გვ. 22).

ი. სურგულაძის ახსნა: „**ეხთიბრიანი** (...) არაბ(ულ)–სპ(არსული) ე´თიბარი (...). 1. კრედიტი. 2. ჰატივისცემა. ავტორიტეტი, გავლენა, ნდობა, იმედი. აქედან არის «ეხთიბრიანი კაცი», ე. ი. სანდო, საიმედო კაცი. ეს სიტყვა სხვა ფორმით გვხვდება ქართულში. ერთი ბარი, ეთიბარი, ესთიბარი (...), იხტიბარი, იხტიორი და სხვა“ (გვ. 789).

„ეთიბარ“ ფორმა გვხვდება კახეთის მეფის დავით მეორის (იმამყულიხანის) ვახტანგ მეექვსისადმი 1720–1722 წლებში გაგზავნილ წერილებში. ერთში წერია: „...ჩვენგან სხვა რა მოგეხსენებათ: ჯკუა და ცოდნა თქვენს უკეთესი არავისა აქვს. კემწიფის

ერთგულნი ერთიბრიანი ბეგი ბრძანდებით და ჩვენთვის ამ ქუეყნის საქმეს ყოვ(ე)დღეთ ხედავთ...“[6].

მეორე წერილი „მონაზონ ბატონ ანნას“[7] იერუსალიმში გამგზავრებას ეხება: „ამდენი წუალობა უყავით ამას (ანნას – **ბ. დ.**) და ჩვენის გულისთვისაც მოიწადინეთ, რომე ერთიბრიანს კაცს გაატანოთ და იქ (იერუსალიმში – **ბ. დ.**) მოარულს, რომე ღთისა შეწევნით უმიზეზოდ იმ ალაგებში მიიუვანონ“ (იქვე, შესაბამისად გვ. 174 და 59).

„ეთიბარ“ ფორმა დაცულია 1710 წლის ერთ „განჩინებაში“: „თუ წააუენოს საამის შვილებმა ორი თავისი უმა ენაგელი მემკვიდრე ეთიბრიანი კაცი ასრე ამ სამზღვარზედ, რომელიც მაღლა დამიწერია, იმაზედ იფიცოს, რომ: რომ იმ სამძღვარს ზევით ცხვკვისა იუოს და დურნუკელთ ხელი არ ჰქონდეს, დარჩეს საამის შვილებსა და დურნუკელნი ნუღარ (მ)იედავებიან“[8].

ი. დოლიძეს, რომელსაც ტერმინთა საძიებელში გააქვს ხოლმე „*ესთიბარი*“, „*ესტიბარი*“ და „*ეხტიბარიც*“, ამჯერად „*ეთიბარი*“, ისე როგორც „**დასტურლამალის**“ „*ეხთიბარი*“, სათანადოდ არ აღურიცხავს.

„ერთიბართან“ ერთად „ეთიბარი“ ნახმარია დავით მეორის ვახტანგ მეექვსისადმი გაგზავნილ წერილში: „ბატონს რომე წიგ-

---

[6] დ. მეგრელაძის პუბლიკაცია: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 166; ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I, XV–1762 წ., შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძნიშვილმა, თბ., 1989, გვ. 65.

[7] პ. იოსელიანი, მ. ბროსე და სხვები ამ ანნას ერეკლე პირველის (ნაზარალ–ხანის) მეუღლედ ანა ჩოლოყაშვილად მიიჩნევენ, რაც საეჭვოა (ამ საკითხზე იხ.: მ. ქავთარია, XVIII საუკ. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან, მარიამ–მაკრინა ბაგრატიონის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა, მრავალთავი, ფილოლოგიურ–ისტორიული ძიებანი, II, თბ., 1973, გვ. 95–96. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I, გვ. 138.

[8] ქართული სამართლის ძეგლები, IV, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 229.

ნში მოვახსენეთ, რომე კელმწიფის რაემის სავადი მოგვირთმევიაო, სავადი კი აღარ მოვართვით. ისევ უფრო ეთიბრისათვის ასლი რაყამი მოვართვით“[9].

ვახტანგის სამართლის წიგნში, რომელიც აგრეთვე მე-18 საუკუნის დასაწყისშია დაწერილი, 147-ე მუხლად იკითხება: „იქნების, რომე კაცს კაცთან ესთიბარი ქონდესთ, უთამასუქოდ, უთავდებოდ თეთრი ევალებინოს, მერმე ან ღარიბობით, ან ქიშპობით მიმბარებლის სიკვდილს უკან მის სახლისკაცს უარი უთხრას, - ჯერ გამოძებნით, მოწმით შეტუობას ეცადნით...“.

ამ თხზულების გამომცემლები თინა ენუქიძე (1955 წ.) და ისიდორე დოლიძე (1972 წ.) მიუთითებენ, რომ ავტორიზებულ ხელნაწერში (Q-575) არის ფორმა „ესთიბარი“, სხვებში – „ეთიბარი“, „ერთიბარი“. როგორც ზემოთ დავიმოწმეთ, დ. ჩუბინაშვილს კი ამ ტექსტზე მითითებით თავის ლექსიკონში შეაქვს ფორმა „ეხტიბარი“.

ი. დოლიძემ *„ქართული სამართლის ძეგლების“* პირველ ტომში (1963 წ.), სადაც ეს საკანონმდებლო თხზულება დაბეჭდა, ეს სიტყვა ტერმინთა საძიებელში და ლექსიკონშიაც შეიტანა. მისი განმარტებით, *„ესთიბარი“* ნიშნავს „ნდობას, სარწმუნოებას, იმედს“ (გვ. 760). უკანასკნელ, ცალკე გამოცემაში კი (1981 წ.) გააქვს ტერმინთა საძიებელში (გვ. 285).

1762 წელს შედგენილ „განჩინებაში“ წერია: „იმ მაზლის ჰირისაგან შევიტყევით, სამღთოს კაცებისაგანაც შევიტყევით, სხვა კაის ესთიბრიანის გლეხის კაცებისაგანაც - ოთხის-ხუთის გლეხის კაცებისაგან ვირწმუნეთ...“[10].

პაპუნა ორბელიანის საისტორიო თხზულება *„ამბავნი ქართლისანი“* გვაუწყებს: „ჩავიდა ჩაფარი, მოხსენდა ეს ყოველი კელმწიფეს, ებოძა მაშინვე რაყამი მეფის თეიმურაზისათვის წუალობისა: «რაც გინდოდეს, ჩემი ხაზინა დახარჯეო, უველა შენთან ეს

---

[9] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 174; ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I, გვ. 55.

[10] ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 482.

ეხტიბარი გვაქვსო»". ასეა დაბეჭდილი ბოლო გამოცემაში[11]. ამ თხზულების დ. ჩუბინაშვილისეულ გამოცემაში აღნიშნული სიტყვა ასეა წარმოდგენილი „ეს თბარი (ეხთიბარი)"[12]. ე. ცაგარეიშვილი თანდართულ ვარიანტებში მიუთითებს, რომ ერთ ნუსხაში (E–30), რომელიც თეიმურაზ ბაგრატიონის გადაწერილია (1838 წ.), იკითხება ერთი ბარი.

გვაქვს ეჰთიბარიც. 1716–1719 წლებში ვახტანგ მეექვსისადმი მიცემულ ერთ საბუთში, რომელიც სპარსულიდან არის ნათარგმნი და დედანი შაჰ-სულთან ჰუსეინს უნდა ეკუთვნოდეს, წერია: ვახტანგმა „ამ საკელოებში ფეხი დადვას და ერთს წამს თაფაუული არ ჰკრას და ნიზამი და ნასაუვისათვის და შეკვრა და გახსნისათვის ვილაიათების საქმეებშიგან და თავისი თივილის მოსავლისათვის ნაიბი და ეჰთიბარიანები დააუნოს".

ამ საბუთის გამომცემელი ნ. ხუციშვილი თანდართულ ლექსიკონში განმარტავს: „ეჰთიბარი – არაბ. – ავტორიტეტი, გავლენა", ხოლო დამოწმებულ ტექსტს ასე თარგმნის: „მან უნდა შეძლოს და ამ საგამგებლოებში ფეხი მოიკიდოს. უშუალოდ თავის თავზე ვალდებულებები არ აიღოს და ველაიათების საქმეების მოსაწესრიგებლად და თიულის ამოსაღებად ნაიბი და გავლენიანი ჰირები დააუნოს"[13].

როგორც ვთქვით, გვაქვს ზუსტად ესტიბარი ფორმაც. ცხენის კარაბადინში (Q–281) აღნიშნულია: „უნდა ცხენის მხედარი მულაიმი და ესტიბრიანი იყოს, რომ რა გინდ კვიცმა აწუე-

---

[11] პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 94.

[12] ქართლის ცხოვრება, II, ახალი მოთხრობა, 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე, გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან, სანკტ-პეტერბურღი, 1854, გვ. 378.

[13] ნ. ხუციშვილი, საბუთი ვახტანგ VI-ისათვის ირანის სპასალარისა და აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგის წოდების მინიჭების შესახებ, „მრავალთავი", XVI, 1991, გვ. 209, 212.

ნინოს და გააჯავროს, უნდა დაუთმოს, ნებიერად და წუნარად დაამშვიდოს“ [14].

მე-19 საუკუნის დასაწყისში შედგენილ საკანონმდებლო თხზულებაში *„საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებული სჯულნი“* ვკითხულობთ: „თამასუქი და ხელწერილი, რომელიც მიმცემისაგან ნამდვილ აღიარებულ იქნებოდა, უკეთუ ისი მიაწევდა სასამართლო ადგილთა შინა, იმას არარაი დააყენებდა, თუ არა ბათილამა; და დასაცველად საზოგადო ესტიბრისა და ვაჭრობის წარმართებისათვის აიძულებდენ ყოვლის ღონითა მოვალეს გარდახდისათვის“[15].

ამ ძეგლის გამომქვეყნებელ **ი. დოლიძეს** აღნიშნული სიტყვები ორივე შემთხვევაში ტერმინთა საძიებელში აქვს აღნუსხული.

ახალციხური „მღებრებისადმი“ 1786 წლის 1 იანვარს დაწერილი თარხნიშვილების *„შართლამის წიგნი“*: სამღებრო „ორს წელიწადს თქვენს ხელში უნდა იყოს, რომ ამისი თქვენი მცილე არავინ იყოს და მას უკანაც, როგორც თქვენი ესტიბარი ვნახოთ, კიდევ თქვენვე მოგაბაროთ“.

ასეა ეს სიტყვა დაბეჭდილი ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებულ *„ქართული სამართლის ძეგლების“* VIII ტომში (1985 წ.), — როგოც ტექსტში (გვ. 931), ისე ტერმინთა საძიებელში (გვ. 1063). შევამოწმეთ და ხელნაწერში (Hd-3859) გარკვევით წერია ესტიბარი.

ვახტანგ მეექვსის მიერ 1727 წლის 1 აპრილს რუსეთის კანცლერ გ. გოლოვკინისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც გიორგი პაიჭაძემ გამოაქვეყნა, ვკითხულობთ: „თქვენც მოგეხსენებათ, ამისი გარიგება არც უცდელათ და ულაპარაკოთ იქნებოდა და არც უხარჯოთ. თუ ასე იყო, მართებული იყო, რომ ერთი წიგნი ჩემთვისაც გებოძებინათ, რომ არც ამდენი ხარჯი დამმართებოდა, არც ერთი ეს დამრჩომოდა, რომ ჩემი სიტყვა ამათში გა-

---

[14] აღწერილობა, I, გვ. 293.

[15] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 567.

ვიდოდა და დაიჯერებდნენ, რომ ის არ წამხდენოდა და არც ე ს ტ ი ბ ა რ ი გამტეხოდა“[16].

საყურადღებოა, რომ თვით გ. პაიჭაძის წიგნში „*ვახტანგ მეექვსე*“, რომელიც აღნიშნული წერილის გამოსვლიდან ორიოდე წლის შემდეგ გამოვიდა (1966 წ.) და სადაც შეტანილია ეს წერილი, „ესტიბარი“ შეცდომით „ეხტიბარად“ არის წარმოდგენილი. იგი სწორად წერია ვახტანგ მეექვსის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ დავით ბრეგაძის წიგნში – „*მეგობრობის მეკვლე*“ (1986 წ.), სადაც ეს საბუთი ზუსტი მისამართითაა მითითებული (გვ. 113), რაც იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ იგი მკვლევარმა პირველწყაროში გაიცნო.

ჩვენი აზრით, აღნიშნული შეცდომები თუ ცვლილებანი, რომლებიც გვაქვს დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში, ილია ჭავჭავაძის თხზულებების, „*დასტურლამალის*“, ვახტანგის წერილის პუბლიკაციებში, არც ერთი შემთხვევითი არ არის და ყველა ერთი მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული: მიუხედავად დამოწმებული მასალების სიუხვისა, საძიებელი სიტყვა უცხოდ და უცნობად რჩებოდა და რჩება ჩვენში.

შემდგომი ძიება, უეჭველია, ამ სიტყვის გამოყენების სხვა მაგალითებსაც გამოავლენს, რაც საშუალებას მოგვცემს, სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მის ისტორიაზე. თუმცა, ჩანს, იგი მაინცადამაინც გავრცელებული ჩვენში არც ძველად უნდა ყოფილიყო. მის ნაცვლად ჩვეულებრივ იხმარება ქართული სიტყვა „*სარწმუნო*“ და სხვა. მაგალითად: იმავე ვახტანგის სამართლის წიგნის კრებულიდან ერთ-ერთში („ბერძნული სამართალი“) გვაქვს: „...რაგინდ უცოდინარნი იყუნენ (ანდერძისა – **ბ. დ.**), თუ იქმს ვინმე ანდერძს, დაიჯერება, მაგრამ მოწამენი უნდა უუანდენ მოწმობისა ღირსნი შვიდნი ანუ ხუთნი. უკეთუ შვიდნი და ხუთნი არ იყუნენ, სამნი იყუნენ ს ა რ წ მ უ ნ ო კაცნი, დაიჯერება“[17].

ან კიდევ: 1770 წელს დაწერილი განჩინება: „ამ ჩხუბიდამ ნიკოლოზ შინ რომ წაეყვანათ, არდაშელ მოსწეოდა. ნიკოლოზი-

[16] ჟურ. „ცისკარი“, 1964, № 8, გვ. 153.
[17] ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 162.

სათვის ჯოხი დაეკრა და თავი ცოტად გაეტეხა. გატეხილობა კი აღარ აჩნდა, მაგრამ ს ა რ წ მ უ ნ ო მოწმე(ები მოწმობდნენ, რომ სისხლი ჰდენოდა“[18].

საყურადღებო და შესასწავლია ის ფაქტიც, რომ საძიებელ სიტყვას ჩვენში სხვადასხვა ფორმა აქვს. ხომ არ არის ის იმით გამოწვეული, რომ იგი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გზით შემოსული სიტყვაა? ანდა არაბულსა და სპარსულში ასე თუ ისე განსწავლულნი ჩვენი წინაპრები თავიანთი ცოდნის შესაბამისად ხომ არ ასწორებდნენ მას ქართულში? რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება ისიც, ზოგიერთი ცვლილება ქართულ ნიადაგზე მომხდარიყო. ასეთად გვესახება ჩვენ ფორმა „ერთიბარი“, რომელიც შეიძლება ვიფიქროთ, „ესთიბარის“ ან „ეთიბარის“ გადაკეთების შედეგადაა მიღებული. შესაძლებელია, დამახინჯება გამოეწვია იმავე მიზეზს, რაზედაც ზემოთ არის საუბარი: ალბათ, მაშინდელი მწიგნობარ-გადამწერთათვისაც ეს იშვიათი სიტყვა უცხო და გაუგებარი იყო.

დასმული საკითხის გარკვევა აღმოსავლეთმცოდნე-ლინგვისტთა საქმეა და მასზე სიტყვას აღარ გავაგძელებთ. ოღონდ ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ მართებული არაა ი. სურგულაძის ცნობა, თითქოს ამგვარივე შინაარსი ჰქონდეს ქართულში „იხტიბარ“ და „იხტიორ“ (თუ „იხტიარ“) სიტყვებსაც.

„იხტიბარი“ ჩვენში საყოველთაოდ ცნობილი სიტყვაა და, როგორც „ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით ჩანს, მას ქართულში „ესტიბარისაგან“ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ ეგ არის, ზოგიერთი ნიუანსური გაგებით ცოტათი ენათესავება. მაგალითად: „უიხტიბრო“ ზოგჯერ სახელგატეხილს, უნამუსოსაც აღნიშნავს.

რაც შეეხება „იხტიორს“, აქ უთუოდ გაუგებრობაა. ი. სურგულაძე წყაროს არ ასახელებს. როგორც ჩანს, იგი ეყრდნობა დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონს“, სადაც „იხტიბარი, იხტიარობა“ ცალკეა გამოტანილი და განმარტებულია როგორც „ეხტიბარი“, წყაროდ კი „ქართლის ცხოვრებაა“ მითი-

[18] იქვე, ტ. IV, გვ. 601.

თებული. ამ უკანასკნელში, ისე როგორც სხვა ქართულ ძეგლებში, ეს სიტყვა სულ სხვა გაგებით იხმარება.

მაგალითად: პაპუნა ორბელიანის საისტორიო თხზულებაში „*ამბავნი ქართლისანი*“ გვაქვს: ერანის ხელმწიფემ „განუახლა უველა ჯამაგირი, განუწესა ბატონიშვილს აბდულაბეგს სამასი თუმანი და ქვეყნის იხტიარობა, ორბელიანს მდივანბეგს ქაიხოსროს ორასი თუმანი და ქართლის ვექილობა, მეორე ვექილობა, ერისთაობა ქსნისა – გივს (!) ამილახორს, ასი თუმანი, ამილახორს ოთარს – ორმოცდაათი თუმანი და ქეშიქბაშობა, აბაშიძისშვილსა ჰაატას – ბაზიერთუხუცესობა და ორმოცდაათი თუმანი, ორბელიანს ელისბარს – ეშიკაღაბაშობა...“[19] ე. ცაგარეიშვილი განმარტავს: „იხტიარობა სჰარს. ეჰთიბარი, ეხტიარი – რწმუნება, უფლება, არჩევანი“ (გვ. 259).

შანშე ერისთავის მიერ დაახლოებით 1724–1735 წლებში მანუჩარ გლურჯიძისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც მამისა ბერძნიშვილმა გამოაქვეყნა, წერია: „თუ არდაგებაში ამ თათარმ(ა) კაცი დაჭრა, ჩემი მეზრე უბრალოა. ეს დამიჯერეთ, თავის სისხლს აიღებს, თორემ და იხტიარი თქვენია“[20].

მ. ბერძნიშვილის განმარტებით, „იხტიარი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს: „უფლება, რწმუნება, უპირატესობის მიცემა, არჩევანი. აქ – არჩევანის მნიშვნელობით“ (გვ. 146).

1749 წლის განჩინება: „რაც ძველთაგან ბარათში ნარგები ეშები თუ მამულები ქონდათ, თავთავისი წილი დარჩათ. ჰა(ა)ტას წილი მამული საბატონოთ დარჩა. იხტიარი ბატონისა არის; ვისაც უნდა, ბატონი წყალობას უზამს“[21].

1776 წელს დაწერილი „განწესება“: „ეს რაც დაგვიწერია, ამისი იხტიარი სარქარდისა და თქვენთვის გვიბოძებია. ამას ასე აღასრულებდეთ, ჩვენ ნუღარ შეგვატუობინებთ, ამისთვის, რომ ამ

---

[19] ე. ცაგარეიშვილის პუბლიკაცია, გვ. 49; დ. ჩუბინაშვილისა – გვ. 347.

[20] ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I, გვ. 75.

[21] ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 377–378.

გვარის საქმისათვის ნიადაგ ჩვენ ვერ მოვიცლით“ (იქვე, ტ. VI, გვ. 722).

1805 წლის „განჩინება“: „წახდენის უწინ გოგია ფარეში ეს ნიკოლოზას თავის ქალს აძლევს და თავის სახლში ზედსიძეთ შეჰყავს. და თუ რამ ამ ნიკოლოზას მამული ქონება აქვს, ისიც თავის ხელში და თავისი ი ხ ტ ი ა რ ო ბ ა შ ი იყოს“ (იქვე, ტ. VI, გვ. 357).

ეს მაგალითები გვიჩვენებს, დასახელებულ სიტყვებს ქართულში განსხვავებული მნიშვნელობები აქვს.

დასასრულ, ჩვენს საკვლევ თემას, ი. ჭავჭავაძის თხზულებებში *„ესტიბარ“* სიტყვის გამოყენების საკითხს რომ დავუბრუნდეთ, უნდა ვთქვათ: ზემოთ მოყვანილი მაგალითების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილას დგება — ჩვეულებრივი და ნიშანდობლივია, რომ დიდ ილიას, განათლებით იურისტსა და ძველი ქართული მწერლობის ჩინებულ მცოდნეს, ყურადღება მიუქცევია ამ სიტყვისათვის და უცდია მისი, როგორც ტერმინის, გაცოცხლება და მშობლიურ ენაში დამკვიდრება.

ამრიგად: *„ესტიბარი“* და მისი პარალელური ფორმები ქართული ენის იშვიათ და თითქმის უცნობ სიტყვად რჩება. დამოწმებული მაგალითები მხარს უჭერს და უეჭველს ხდის ლეილა სანაძისა და ცისანა ყიფშიძის თვალსაზრისს, რომ ეს სიტყვა აღდგენილ იქნეს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ახალ, აკადემიურ გამოცემაში, ხოლო მას ქართული ენის ლექსიკონებში *„იხტიართან“* ერთად თავისი კუთვნილი ადგილი მიეჩინოს .

ლესინგის ერთი გამონათქვამი და ილია ჭავჭავაძე[□]

ჩემი მამიდაშვილის შვილის, **ზაირა ვადაჭკორიას**, ნაშრომს ვკითხულობდი, რომელიც კომპოზიტორ **იოსებ კეჭაყმაძის** საგუნდო ნაწარმოებებს ეხება. შესავალში ავტორი საუბრობს ლადო აღნიაშვილსა და მის გუნდზე; იმოწმებს ამ მუსიკოსის მიერ

□ დაბეჭდილი იყო ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ (25 იანვარი, 2013, № 2, გვ. 4–6).

გამართული კონცერტისადმი მიძღვნილ ილია ჭავჭავაძის სტატიას, რომელიც 1886 წლის 18 და 19 ნოემბერს გაზეთ „*ივერიაში*“ ხელმოუწერლად, მეთაურ წერილებად დაიბეჭდა. აქ ილია „*ლაოკოონზე*“ მითითებით **ლესინგს** მიაწერს სიტყვებს: „მუსიკა არის უტყვი პოეზია და პოეზია მეტყველი მუსიკაო“.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე, რუსი კრიტიკოსებისა და პუბლიცისტების, ნიკოლოზ ჩერნიშევსკის, ნიკოლოზ დობროლიუბოვისა და სხვათა მსგავსად (რომლებსაც უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვით სტუდენტობის წლებში მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში), უდიდეს შეფასებას აძლევდა ლესინგის შემოქმედებას, სახელდობრ, მის ტრაქტატ „*ლაოკოონს*“. მას არაერთხელ დაუმოწმებია იქ გამოთქმული შეხედულებები.

აღნიშნულმა ციტატამ ორი რამის გამო დამაეჭვა. ჯერ ერთი, პოეზიასა და მუსიკას შორის დაპირისპირება შინაარსობრივად მეუცხოვა: კარგი, პოეზია მეტყველი მუსიკაა, მაგრამ რატომაა მუსიკა უ ტ ყ ვ ი პოეზია?! მეორეც, ვიცით, რომ „*ლაოკოონში*“ არის არა პოეზიისა და მ უ ს ი კ ი ს, არამედ პოეზიისა და ფ ე რ წ ე რ ი ს, მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ი ს ა და ქ ა ნ დ ა კ ე ბ ი ს საზღვრების ძიება. რომ ლესინგი პირველის — პოეზიისა და მუსიკის ურთიერთმიმართების — თაობაზე საგანგებო ნაშრომის დაწერას აპირებდა და ვერ მოასწრო.

ილიას სტატიაში წერია: „მთელს ქვეყანაში სახელგანთქმულმა გერმანელმა ლესსინგმა ერთს თავის სახელოვანს თხზულებაში, რომელსაც «ლ ა ო კ ო ო ნ ი» ჰ ქ ვ ი ა ნ, ს თ ქ ვ ა: «მ უ ს ი კ ა ა რ ი ს უ ტ ყ ვ ი ჰ ო ე ზ ი ა და ჰ ო ე ზ ი ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ი მ უ ს ი კ ა ო». ჩვენ კიდევ ამას ვიტყვით, რომ სიმღერა, გალობა სხვა არა არის რა, გარდა ბედნიერად შექსოვილის ჰოეზიისა და მუსიკისა“[1].

---

[1] ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი V, კრიტიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ეთერ შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე მ, ლამარა მ ე გ რ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა, ცისანა ყ ი ფ შ ი ძ ე მ, ლამარა შ ა ვ გ უ ლ ი ძ ე მ და ლევან ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1991, გვ. 275. როგორც წიგნზე

ამავე სტატიაში ილია ისევ აგრძელებს მსჯელობას მუსიკასა და პოეზიაზე და კვლავ ლესინგს იმოწმებს: „ჩვენა ვსთქვით, რომ სიმღერა გულისთქმაა. როგორც ცალკე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არა ჰგავს... ამის გამო გულისთქმაც, გულის გამომეტყველებაც სულ სხვა არის ხოლმე და უოველს ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის. იგი უტუვი ჰოეზია, რომელსაც ლესსინგი მუსიკას ეძახის, იგივე ენაა, მხოლოდ ხორცშესხმული, სიტუვით არგანსაზღვრული, სიტუვით არ გამორკვეული – იგი მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, იგი ძახილია აღფრთოვანებულის სულისა“ (გვ. 277).

რამდენიმე წლის შემდეგ, 1890 წლის 18 თებერვალს, გაზეთ *„ივერიის“* მეთაურად (№ 37) გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც *„წასაკითხის კარგ წაკითხვას“* ეხება, ილია აღნიშნულ მოსაზრებას ისევ იმეორებს: „ხმა სიტუვას ჰშველის და სიტუვა ხმაა. მოჯარბებული არ მოგვივა, ვსთქვათ, რომ აქ, ცოტად თუ ბევრად, სიტუვიერება ჰმუსიკობს და მუსიკა ჰსიტუვიერობს. სწორედ მუსიკა და სიტუვიერება აქ ხელიხელ ჩართულნი არიან საუვარელ დამძახავით, რომ ერთმანეთის შემწეობით ერთიანი გრძნობა აღმოშობონ მთელის ზედმიწევნილობით და ძალ-ღონით. ტუვილად კი არა სთქვა სახელოვანმა ლესსინგმა, რომ ჰოეზია ენამეტუველი მუსიკაა და მუსიკა უტუვი ჰოეზიაო. აქ რომ სიტუვა «ჰოეზია» «სიტუვიერებად» შევცვალოთ, დიდი შეცდომა არ მოგვივა, იმიტომ რომ ხმა-შეწყობილი გამოთქმა სიტუვისა, თუნდა უბრალო ლაპარაკში, თუ მთლად მუსიკა არ არის, მისი ერთი დარგია მაინც, რადგანაც მის კანონს ცოტად თუ ბევრად ექვემდებარება“[2].

რას გვიჩვენებს თავად „ლაოკოონი“? დავიწყოთ ბოლოდან. ჯერ ჩავხედოთ ქართულ თარგმანს. ლესინგი აქ (და სხვაგანაც)

დართულ შენიშვნებშია აღნიშნული, ეს სტატია აქ ლ. მეგრელიშვილს მოუმზადებია – გვ. 618).

[2] იგივე, V ტომი, გვ. 483. წერილი მოუმზადებია ლევან ჯრელაშვილს.

„მუსიკის“ ნაცვლად ხმარობს სიტყვას „ფერწერა“, „მხატვრობა“ და აღნიშნავს, რომ ეს გამონათქვამი ეკუთვნის ცნობილ ბერძენ ლირიკოსს სიმონიდე კეოსელს, რომელიც დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვით 556–486 წლებში ცხოვრობდა. ლესინგი მას „ბერძენ ვოლტერს“ უწოდებს. ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „ბერძენთა ვოლტერის ბრწყინვალე ანტითეზა, რომ მხატვრობა მუნჯი პოეზიაა, პოეზია კი მეტყველი მხატვრობააო, რა თქმა უნდა, არც ერთ სახელმძღვანელოში არ ეწერა. ეს იყო მხოლოდ ერთ-ერთი მახვილგონივრული მიგნება, ასეთები სიმონიდეს მრავალი აქვს და მათი მართალი ნაწილი იმდენად ნათელია, რომ უნებლიედ გვავიწყდება მცდარი და ბუნდოვანი, რასაც ისინი შეიცავენ“[3].

ილიას დროს „ლაოკოონის“ ქართული თარგმანი არ არსებობდა. სამეცნიერო ლიტერატურაში კამათია იმაზე, იცოდა თუ არა ილიამ გერმანული ენა. ერთნი გადაჭრით ამტკიცებენ, არ იცოდაო, მეორენი – პირიქით: გერმანელი ჰაკეს პანსიონში, შემდეგ თბილისის გიმნაზიასა და ბოლოს პეტერბურგის უნივერსიტეტში იგი ფრანგულთან ერთად გერმანულსაც სწავლობდა და ეს ენა იმდენად მაინც იცოდა, რომ ლიტერატურა გამოეყენებინაო. „ილია ჭავჭავაძის მრავალრიცხოვან მკვლევართა შორის, – წერს ვენერა კავთიაშვილი, – მიუხედავად უმეტესი მათგანის შესანიშნავი გამოკვლევებისა, თითქმის სრულიად არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, იცოდა თუ არა მან უცხო ენები და, თუ იცოდა, დაახლოებით რა დონეზე. თუ ფრანგული და ინგლისური ენების ცოდნაზე დაახლოებით წარმოდგენა მაინც გაგვაჩნია, მსგავსს ვერ ვიტყვით მის მიერ გერმანული ენის ცოდნასთან დაკავშირებით. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ალექსანდრე კალანდაძის ნაშრომი «ქართული ჟურნალისტიკის ისტორია», სადაც ერთგან შენიშნავს ავტორი: «როგორც ჩანს, უნივერსიტეტში სწავლის დროს ილია გერმანულ

[3] გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი, ლაოკოონი, ანუ მხატვრობისა და პოზიის საზღვრების შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, ნარკვევი და კომენტარები დაურთო აკაკი გელოვანმა, თბ., 1986, გვ. 46.

ენას იმდენად ფლობდა, რომ შეეძლო მხატვრული ნაწარმოები უშუალოდ ორიგინალიდან ეთარგმნა» (თავად ალ. კალანდაძემ გერმანული ენა კარგად იცოდა, — ბ. დ.). ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ვიტუვით შემდეგს: ...“[4].

მრავალი ნიმუშის მოყვანის შემდეგ ვ. კავთიაშვილი გადაჭრით ამბობს: „უოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს, განვაცხადოთ, რომ ილიას შეეძლო უველა სახის ლიტერატურის კითხვა გერმანულ ენაზე“ (გვ. 33).

აქ უნდა ჩავურთოთ: ჩვენს ყურადღებას იპყრობს ილიას პირადი ბიბლიოთეკის კუთვნილი გერმანელი არტურ ლაისტის გერმანულ ენაზე 1885 წელს გამოცემული წიგნი *„გოეთეს გალერეია“*, რომელიც ავტორს ილიასათვის ფრანგული წარწერით მიუძღვნია (TS-3022/09). რატომ ფრანგულით, თუ ილიამ გერმანული, ასე თუ ისე, იცოდა? იქნებ, იმიტომ, რომ მან ფრანგული გერმანულზე უკეთესად იცოდა?

ჩვენი საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ილია სად გაეცნო ამ თხზულებას, — დედანსა თუ თარგმანში. დედანი და რუსული თარგმანიც იმასვე გვიჩვენებს, რასაც ქართული თარგმანი.

საძიებელი ანტითეზა 1859 წელს გამოსულ *„ლაოკოონის“* რუსულ თარგმანში, რომელსაც 1857–1861 წლებში პეტერბურგს მყოფი ილია შეიძლებოდა გასცნობოდა და რომლის ერთი ცალი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ მის პირად ბიბლიოთეკაშიც მოიპოვება (TS-3152/09), ვკითხულობთ: „Блестащая антитеза греческого Вольтера, который назвал живопис немою поэзиею, а поэзию говорящею живописю, не была, конечно, помещена ни в одном учебнике“[5]. ილიას ცალში სიტყვები „немою поэзиею, а

---

[4] ვენერა კავთიაშვილი, ჰაინრიხ ჰაინე ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1978, გვ. 31–32.

[5] Лаокоон, или о границах живописи и поэзии. Соч. Лессинга, Перевод Е. Едельсона, Москва, 1859, გვ. IV.

поэзию говорящею живописю“ ლურჯი ფანქრით არის გახაზული.

რა თქმა უნდა, „მუსიკა“ არც დედანშია. ამ ტექსტსაც დავიმოწმებთ: „Die blendende Antithese des grichischen Voltaire, daß die Malerei eine stumme Poesie und die Poesie eine redende Malerei sei, stand wohle in keinem Lehrbuche...“[6].

მაშ, რა ხდება, რა უნდა ვიფიქროთ?

ილიას ნაწერებში უამრავი შემთხვევა გვაქვს, როცა ესა თუ ის წყარო ზუსტადაა აღნიშნული, მათ შორის ისეთიც კი, რომელიც შემდეგ დავიწყებას მიეცა და საძიებელი გახდა. მაგალითად, ილიას *„ივერიაში“* ავტორზე სათანადო მითითებით დაიბეჭდა ვახტანგ მეექვსის აფორიზმი *„ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი!“*. შემდეგ მის ავტორად ხან შოთა რუსთველს ასახელებდნენ, ხან დავით გურამიშვილსა და ხან ხალხურადაც მიიჩნევდნენ[7].

ილია ზოგჯერ ამა თუ იმ ლექსს ან აფორიზმს შეგნებულად ცვლის იმისდა მიხედვით, თუ როგორ ან რამდენად შეესაბამება და შეეხამება იგი ამა თუ იმ პირს ან მოვლენას. ამ ცვლილებას ხან აღნიშნავს და ხან არა[8].

სამწუხაროდ, ილია ამ მხრივ შეცდომებსაც უშვებს და არც ისე იშვიათად. მაგრამ უმეტესობას ახსნა მოეპოვება, — უზუსტობის მიზეზი ჩანს უმთავრესად მაშინ, როდესაც ზეპირად წერს და წყაროს არ ამოწმებს. მაგალითები:

---

[6] ხელთა გვაქვს ბერლინსა და ვაიმარში გამოცემული ლესინგის თხზულებათა 5-ტომეულის მეოთხე ტომი, 1965, გვ. 164.

[7] ამაზე იხ. ჩვენი წიგნი: ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა, თბ., 1986, გვ. 3-10.

[8] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ., 1975, გვ. 276-278; ლ. მენაბდე, რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების... (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1992, გვ. 37).

ილია 1859 წელს ჟურნალ „ცისკარში“ აქვეყნებს რუსი პოეტის იაკობ პოლონსკის ბალადის „*ბედა მქადაგებლის*“ საკუთარ თარგმანს, რომელიც პეტერბურგში შეუსრულებია. ლექსის ავტორად კი გოეთეს ასახელებს (№ 1). ასევეა იგი წარმოდგენილი მის სიცოცხლეშივე, 1892 წელს, დაბეჭდილ მისივე თხზულებების პირველ ტომში. ირაკლი კენჭოშვილმა გაარკვია, რომ ეს ლექსი ეკუთვნის არა გოეთეს, არამედ იაკობ პოლონსკის[9].

ი. ჭავჭავაძე თავის განთქმულ პოლემიკურ ნაშრომს „*ქვათა ღაღადი*“ ეპიგრაფად უმძღვარებს ერთსტროფიან ლექსს:

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს.
მოყვარესა-მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს...“

და მის ავტორად რუსთველს ასახელებს. იოსებ გრიშაშვილმა გაარკვია, რომ იგი „*ქილილა და დამანადან*“ მომდინარეობს[10]. ჩვენი მხრივ დავუმატეთ, რომ იგი სულხან-საბა ორბელიანის თარგმანია[11].

აქ ვხედავთ, შეცდომა რას გამოუწვევია. ვიდრე „*ქვათა ღაღადი*“ დაიწერებოდა (1899 წ.), შოთა რუსთველის სახელით ეს

---

[9] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, III, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს იზა დობორჯგინიძემ, მანანა იამანიძემ (დასავლეთ ევროპის ლიტერატურის თარგმანები) და თეიმურაზ ჩავლეიშვილმა (რუსული ლიტერატურის თარგმანები), თბ., 1985, გვ. 10, 662; ი. კენჭოშვილი, ილია ჭავჭავაძის ერთი პოეტური თარგმანის გამო, „ლიტერატურული გაზეთი“, 7 აპრილი, 1961, № 15, გვ. 3.

[10] საანდაზო ლექსები, ვეფხისტყაოსანი, ქილილა და დამანა, გურამიანი, ილია ჭავჭავაძის ამოკრეფილი, წინათქმა და შენიშვნები ი. გრიშაშვილისა, ტფ., 1935, გვ. 58.

[11] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 ოქტომბერი, 2003, № 274, გვ. 3.

ლექსი რამდენიმეჯერ დაიბეჭდა, მათ შორის, 1886 წელს რუბრიკით „დამაკვირდი“ – ჯერ „ივერიაში“ და შემდეგ – ცალკე წიგნად.

ილიას, ახალგაზრდობიდან დაწყებული, მთელი ცხოვრების მანძილზე ეგონა, რომ გავრცელებული აფორიზმი *„სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“* შოთა რუსთველისა იყო. გავარკვიეთ, იგი ხალხური ყოფილა[12].

ზოგჯერ ჩანს შეცდომის მიზეზი. ზემოთ უკვე ვნახეთ, რატომ მიაწერს იგი ბესიკს ფრთიან გამოთქმას: *„ერთი მაქვს, სჯობს ათას მქონდას“*.

ახლა თუ ლესინგს დავუბრუნდებით, უნდა ვთქვათ: არ ვიცით და უინტერესო არ უნდა იყოს იმის გარკვევა, აღნიშნული შეცდომა თუ ცვლილება რამ გამოიწვია – ილიას (ან სხვა ვინმეს, რომლისაგანაც ილიამ გადმოიღო) გულმავიწყობამ თუ შეგნებულმა ქმედებამ?

ამ მიზნით გავეცანით საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ილიას პირადი ბიბლიოთეკის სხვა წიგნებსაც[13]. აქ არის ლესინგის შესახებ ორი რუსული წიგნი: სანკტ-პეტერბურგში 1857 წელს გამოსული ნ. ჩერნიშევსკის წიგნი: „Лессинг, Его время, Его жизнь и деятельность“ (TS-2681/09) და 1891 წელს დაბეჭდილი მ. ფილიპოვის წიგნი „Лессинг, Его жизнь и литературная деятельность“ (TS-3022/09). მ. ფილიპოვის ნაშრომი ჩვენთვის საინტერესო არ არის, რადგან იგი 1891 წელსაა გამოცემული, ხოლო ილიას სტატიები ადრინდელია. ნ. ჩერნიშევსკის გამოკვლევამ კი რაიმე საყურადღებო ვერ მოგვცა. ავტორი, თხზულების სათაურის შესაბამისად, საუბრობს პოეზიისა და ფერწერის ურთიერთმიმართებაზე. აი, ერთი პატარა ამონაწერი: „Нужно было создать новую теорию, разрушив оши-

---

[12] ჩვენი წიგნი: რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I, თბ., 2010, გვ. 10-20.

[13] თავაზიანი დახმარებისათვის უღრმეს მადლობას ვუხდი ამ განყოფილების თანამშრომლებს ფერიდე კვაჭანტირაძესა და დალი მაჩაიძეს.

бочныя теории, на которыя опиралась формулистика и безжизненность. Это сделал Лессинг своим «Лаокооном» (...). Тепер, надобно только сказать о том общем принципе, который поставил Лессинг в «Лаокооне» существенным характером п о э з и и, в отличие от других искусстве, особенно от ж и в о п и с и ...“ (გვ. 171).

ამრიგად: ადვილი შესაძლებელია, ილიას ლესინგის ტექსტი ისე შეცვლილად დამახსოვრებოდა, როგორც სტატიებში აქვს. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, თავისი მიზნისათვის მწერალს იგი შეგნებულად შეეცვალა. რაც შეეხება საკითხს, რომელიმე სხვა წყაროდან მისი მომდინარეობის შესახებ, ვფიქრობთ, თუ ამაზე თავის მტვრევა და საგანგებო კვლევა-ძიება არ ღირს, იმად მაინც ღირს, მხედველობაში გვქონდეს იგი, რომ, იქნებ, პასუხს სხვა საკითხების კვლევისას სადმე გადავაწყდეთ!

ბაბუაჩემი, სისონა დარჩია და ეგნატე ნინოშვილი[1]

ბაბუაჩემი **ელისო** (ასე ეძახდნენ და საბუთებშიაც ასე ეწერა) **დარჩია**, რვა შვილის აღმზრდელი და სამი წლის განმავლობაში ფირალად ნამყოფი, პირადად იცნობდა ცნობილ ფირალ **სისონა დარჩიას**, რომელიც მეზობელ სოფელში, ჯუმათში, ცხოვრობდა (იქაურმა დიმიტრი დარჩიამ მაცნობა, მის ეზოში ახლაც დარჩია ცხოვრობსო). ბაბუას ზოგი რამ მოუყოლია სისონას შესახებ.

— პატარა ტანის კაცი იყო, მაგრამ საოცრად ღონიერი, მოქნილი და მოხერხებულიო. ქუსლები, როგორც ჩვეულებრივ არის, უკან გამოწეული არ ჰქონდა. ამიტომ, ფეხებზე რომ ბორკილებს შეაბამდნენ, ზევიდან დააწვებოდა და ადვილად იძრობდაო.

---

[1] დაიბეჭდა ალმანახში „მწიგნობარი-12“.

პირველად მისგან გავიგე, სუფსის ხიდზე მოჩიხული სისონა სტრაჟნიკებს როგორ გაექცა. ასევე პირველად მისგან მოვისმინე სისონას მიერ ძმის დატირების ამბავი. მასზე შექმნილი ლექსებიც საკმაოდ იცოდა.

ბაბუას ჩემთვის და სხვებისთვისაც რამდენიმეჯერ უამბია, რაც სისონამ რაშტიელ გოგუაძეს უყო.

რაშტიელ გოგუაძე ტყის მცველი ყოფილა, მაღალი და მაგარი კაცი, *იოლად ხელს ვერვინ მოჰკიდებდაო*. იგი მაზრაში მისულა და უთქვამს: ერთი „ბერდენკა“ მომეცით და, თუ სისონა ცოცხალი ან მკვდარი არ ჩაგაბაროთ, ეს ყური მომჭერითო. სისონას გაუგებარი რა დარჩებოდა, კილაძეების სასაფლაო რომ არის, იქ შეხვედრია და შეიარაღებულსა და იარაღმომარჯვებულს მისთვის მისალმებისთანავე პირდაპირ მიუხლია:

— რაშტიელ, რომელი ყური იყო, რომ გითქვამს: თუ სისონა არ დავიჭირო, ეს ყური ჩამომათალეთო?

— რასა ბრძანებთ, ბატონო, მაგას ვიკადრებდი მე?! — იუარა რაშტიელმა.

— შენით მითხარი, თორემ მე კარგად ვიცი, რომელიც იყო. - სისონას ერთ ყურზე მოუკიდია ხელი.

— არა, ბატონო, არა... — არ ტყდებოდა რაშტიელი.

— მაშინ ეს ყოფილაო! მეორე ყურზე უტაცნია ხელი და სატევრით იგი ლოყიანად ჩამოუთლია. — ვისაც დაჰპირდი, მიუტანე ახლა ესო.

— მე რომ მომიყვანეს, რაშტიელა ცალი ყურით დადიოდა. — დააყოლა ერთხელ ბებიაჩემმა ბაბუას მონაყოლს.

¤

მეორე მსოფლიო ომის დროსა და მომდევნო წლებში სკოლის სახელმძღვანელოები არ იშოვებოდა, სოფელში თითო-ოროლას თუ ჰქონდა. ალბათ, მეშვიდე კლასში ვიქნებოდი, *„ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“* ბაბუამ თბილისიდან ჩამომიტანა. ვიდრე სკოლაში თხზულებებს თანდათანობით გვასწავლიდნენ, მთელი წიგნი ერთბაშად გადავიკითხე. განსაკუთრებული შთაბეჭდილება ჩემზე მოახდინა ეგნატე ნინოშვილის

„სიმონამ“. მაშინ კინოფილმი „დარიკო“ არა თუ ნანახი, გაგონილიც არ მქონდა. ვისარგებლე იმით, რომ მამაჩემი შინ არ იყო და ჭრაქის შუქზე შუაღამემდე ვკითხულობდი. დედა და ბაბუა მეჩხუბებოდნენ, *ამოდი და დაწექიო*, მაგრამ მოთხრობას ვერა და ვერ მოვწყდი, სანამ ბოლომდე არ გავედი.

მეორე დღეს „სიმონა“ ბებიასა და ბაბუას წავუკითხე. ისინიც გაუნძრევლად და ხმაამოუღებლივ მისმენდნენ. მხოლოდ მაშინ, როცა სიმონას სიკვდილია აღწერილი, ბაბუამ, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოდ თქვა: *ეს სიმონა ძალაძის კი არა, სისონას ამბავიაო!*

ზემოთ ვთქვით, ბაბუა სისონა დარჩიას პირადად იცნობდა და ჩემთვის ბევრჯერ მოუყოლია მისი ცხოვრებისა და გარდაცვალების ეპიზოდები. კერძოდ: სისონა ავად გახდა, ჯიხანჯირში (შედიოდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათის საბჭოგადოებაში. – **ბ. დ.**) ერთ ნაცნობ ოჯახში მივიდა და იქ გარდაიცვალა. მასპინძელმა პოლიციას გააგებინა: წუხელ ჩემთან ღამის გასათევად მოსული კაცი გარდაიცვალა და ნახეთ, სისონა არ იყოსო. პრისტავმა მიცვალებულს რამდენიმეჯერ ესროლა, აქა–იქ ხმალიც დაჰკრა და ჭრილობებში ახალდაკლული ქათმის სისხლი ჩაასხა, ვითომცდა მე მოვკალიო. პრისტავი მაგრად დაავჯილდოვეს და დააწინაურეს კიდეც, მაგრამ სისონას დედამ იჩივლა, ესენი ჩემს შვილს ვერ მოერეოდნენო. სიყალბე გაირკვა და პრისტავი ციხეში გამოამწყვდიესო.

ცნობილია, რომ ეგნატე ნინოშვილი პუბლიცისტურ სტატიაში საგანგებოდ წერს ფირალ სისონა დარჩიაზე და „სიმონაშიც“ მისი სახეა გამოყენებული. მოთხრობაში ვკითხულობთ: „ერთ ზაფხულის დილას წაბლისერში გაისმა: მოკლესო. ხალხი მიეჩქარებოდა მოკლულის სანახავად და უერთდებოდა ერთ ადგილას შეკგუფებულს ქალებსა და კაცებს. ხიდის თავში, გზის ჰირას, იდო ერთი ვაქკაცურის სახისა და ტანის გვამი (...). ისე ორი–სამი დღის მკვდარი უნდა იყოსო, იფიქრებდა ამ გვამის მნახველი, მაგრამ ჭრილობა და შიგ ახალი სისხლი ამტკიცებდა, რომ აი, ამ საათში მოუკლავთო. ჭრილობა ჰქონდა როგორც ტუვიისა, ისე ხმლისაც. ეს გვამი გახლდათ სიმონა ძალაძისა, რომელიც ერთ დროს

სამაგალითო მუშა გლეხი იყო და შემდეგ განთქმული უაჩაღი. სიმონა მოეკლა თითონ ჰოლიციის ჰრისტავს თავის საკუთარი ხელით, როგორც თითონ ჰრისტავი ამბობდა, რომელიც ეხლა აქ ბრძანდებოდა და ოქმს სწერდა ამ საქმის შესახებ (...). კარგა ხნის შემდეგ, როცა ჰრისტავმა უაჩაღი ძალაძის მოკვლით ორდენი მიიღო, სოფელ წაბლისერში უველამ იცოდა, რომ სიმონა არავის არ მოუკლავს, თითონ მომკვდარიყო ავადმყოფობით, მამასახლისს და ჰრისტავს მოეხერხებინათ, ეშოვნათ მიცვალებულის გვამი, დაეჭრათ, დაჭრილში ქათმის სისხლი ჩაესხათ და ამ გვარად ახალმოკლულად გაესაღებინათ. ერთი აზნაური დიდხანს ამბობდა: «კაი ასი მანეთი ჩამითვალეს ჯიბეში, – არ გაგვამხილოო»"[2].

იმავე 1892 წელს, როდესაც „სიმონა" დაიბეჭდა, ეგნატე ნინოშვილი წერს კორესპონდენციას „საბაასო", რომელიც ასე იწყება: „– ეშველა, მოჰკლეს! მოდის გურიიდან თანისთან ამბავი. ვინ მოკლეს? აი ღლონტი, მეხუშლაი, დათუნაიშვილი, გოგიტიძე, დ ა რ ჩ ი ა და, რა ვიცი, რავდენი კიდევ სხვაი" (იქვე, გვ. 521). შემდეგ მწერალი საუბრობს, როგორ აიძულებენ მშრომელ გლეხკაცებს, ოჯახი მიატოვონ და ტყეში ყაჩაღად გაცვივდნენ. „«ფირალის» მდევარნი, – ვკითხულობთ წერილის ბოლოს, – რომლებიც ისე თავგადადებულნი არიან «ჰრაჰორჩიკობის» და «ორდენების» მიღებისათვის, არ იმსხვერპლებენ ალალ-მართალ ადამიანს თავიანთი მიზნის მისაღწევად? ჯერ არ შეუწუობენ ხელს რომელიმე გოგიტიძის ან დ ა რ ჩ ი ა ს «ვაფირალებას» და ... მერე არ დაუწუებენ დევნას – მოჰკლავთ და «ჩინს» მოგვცემენო"? (გვ. 523).

ივანე ლოლაშვილი წერილში *„რას მოგვითხრობენ ნინოშვილის თანამედროვენი"* წერს: „მოხუცებულ გურულებს დღემდე ახსოვთ, ვინ იყვნენ ნინოშვილის მოთხრობების გმირთა ჰროტო-

---

[2] ეგნატე ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, გერონტი ქ ი ქ ო ძ ი ს რედაქციით, თბ., 1954, გვ. 194.

ტიპები (...): ისინი ჰყვებიან ამბებს სისონა დარჩიას (სიმონას) ფირალობის შესახებ "[3].

როცა ბაბუას „სიმონა" წავუკითხე, ვკითხე, ეგნატე ნინოშვილს თუ იცნობდი-მეთქი?

ბაბუამ, ელისო ალექსანდრეს (აცანდრეს) ძე დარჩიამ, როგორც თავის წლოვანებას თვითონვე აღნიშნავდა და შვილები და მეზობლებიც გვიდასტურებდნენ, 105 წელი იცოცხლა (გარდაიცვალა 1963 წელს) და დაახლოებით ეგნატეს კბილა ყოფილა (ეგნატე დაბადებულია 1859 წლის თებერვალში, ბაბუა — გამოდის 1858-ში). იგი, სანამ შეეძლო, ჩალვადრობას, ანუ, როგორც გურიაში უწოდებენ, „ჩალანდრობას" ეწეოდა: ქვემო იმერეთსა და მთიან გურიაში ღვინოს ყიდულობდა და ფოთში ჰყიდდა. ამიტომ სოფელ ჩოჩხათის გავლა-გამოვლა ყმაწვილკაცობიდანვე ხშირად უწევდა. ეგნატეს სოფელი ჩიქვეთი კი ჩოჩხათის თემში შედიოდა, მისი უბანი იყო. 1894 წელს, როცა ეგნატე გარდაიცვალა, ბაბუა 36 წლისა უნდა ყოფილიყო.

კითხვის დასმისას, ალბათ, არ ვიცოდი თუ ყურადღება ვერ მივაქციე, რომ ნინოშვილი მწერლის ფსევდონიმი გახლდათ. ბაბუა დაფიქრდა და მერე მითხრა. ეგნატე ნინოშვილი არა, მარა დუქნის წინ მინახავს ეგნატა რ ო ყ უ ა. მასზე ზოგი ამბობდა, დიდი ნასტავლი კაციაო, ზოგი — აბდალიაო.

მაშინ არა, მაგრამ მერე მივხვდი, ბაბუა ეგნატე ინგოროყვაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს მაგივრად რ ო ყ ვ ა იმიტომ თქვა, რომ ჩემს სოფელში რ ო ყ ვ ე ბ ი ცხოვრობენ და არც ერთი – ინგოროყვა.

*

გავიდა ხანი. გარდაიცვალა პავლე ინგოროყვა. გამოასვენეს მწერალთა კავშირის სასახლიდან. ალექსანდრე ბარამიძე მაშინ ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი იყო, მე კი — სწავლული მდივანი. მან სამსახურის მანქანაში ჩამისვა და დიდუბის

[3] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 15 იანვარი, 1950, № 3, გვ. 2.

პანთეონში მიმიყვანა, სადაც ბატონ პავლეს კრძალავდნენ. გადის დრო და პროცესია არა და არ ჩანს. მალე გავიგეთ, ახალგაზრდებმა ბატონ პავლეს კატაფალკა არ აკადრეს და ხელით მოასვენებდნენ.

როცა პროცესიას ველოდებოდით, ვისაუბრეთ „ყვა“ დაბოლოებიან გვარებზე და ბატონ ალექსანდრეს მოვუყევი ბაბუაჩემის ნაამბობი, თუ როგორ აერია მას ინგოროყვასა და როყვას გვარები.

ბატონმა ალექსანდრემ ყურადღება გაამახვილა ეგნატე ნინოშვილის ბაბუაჩემისეულ შეფასებაზე – „აბდალიაო“ და მოაყოლა თავისი მამის, გიორგი მღვდლის, ნაამბობი. მას ეგნატეზე უთქვამს: ცოტა უცნაური კაცი იყოო. ერთხელ ეკლესიაში ძაღლი შემოიყვანა, ვუსაყვედურე, ამას რატომ კადრულობთ-მეთქი? მიპასუხა: ეს შენი მრევლის ბევრ წარმომადგენელზე უფრო პატიოსანიაო.

სტატიები „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მრავალტომეულისათვის[1]

აქ შესული სტატიები საგანგებოდ დაიწერა *„ქართული ლიტერატურის ისტორიის“* მრავალტომეულისათვის, რომლის გამოცემას შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი აპირებდა. მაგრამ 2006 წელს ჩატარებული *„სამეცნიერო რეფორმის“* შედეგად, რასაც ლიტერატურათმცოდნეობის სხვა რელსებზე გადაყვანა, არსებითად, ქართული ლიტერატურის ისტორიის აკადემიური კვლევა-ძიების ნგრევა მოჰყვა, ეს დიდი ეროვნული საშვილიშვილო საქმე ჩაიშალა.

ამ მრავალტომეულისათვის დავწერე აგრეთვე სტატიები **ბაგრატ ბატონიშვილის (მუხრანბატონის), იაკობ შემოქმედელისა** და **ვახტანგ მეექვსის** შესახებ, მაგრამ მათზე მონოგრაფიები წიგნებად მაქვს გამოცემული და მათი შემოკლებული სახით აქ წარმოდგენა ზედმეტად მივიჩნიე.

ეს სტატიები ინსტიტუტის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით არის შესრულებული და არსებითად კომპილაციური ხასიათისაა.

XVIII–XIX საუკუნეთა სამოგზაურო პროზიდან

გაბრიელ გელოვანი

პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი სამოგზაურო–მემუარული ხასიათის თხზულების ავტორია გაბრიელ გელოვანი. მან რუსულიდან თარგმნა მსოფლიოს გეოგრაფიის სახელმძღვანელო და დაურთო მას *„მცირე ანდერძი“*, რომელშიც აღწერილია ვახტანგ მეექვსისა და მისი ამალის რუსეთის ემიგრაციაში გამგზავრების ერთი ეპიზოდი.

---

[1] ქვეყნდება პირველად.

გაბრიელის შესახებ მხოლოდ ზოგიერთი ცნობა მოგვეპოვება და უმთავრესს თვით „ანდერძი“ იძლევა. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, წარმოშობით სვანეთის მთავარი იყო, მამიდამისმა, სამეგრელოს მთავრის (1715–1728) ბეჟან დადიანის მეულღემ, თამარმა, „მიზეზისათვის სწავლისათვის“ მიაბარა გელათში მონაზვნად შემდგარ იმერეთის მეფე ბაგრატ მეოთხის (1660, 1663–1681) ასულ ნინოს. 1724 წელს ნინო ვახტანგ მეექვსეს გაჰყვა რუსეთში და გაბრიელიც თან გაიყოლია. 1737 წელს შედგენილ ვახტანგის ამალის ნუსხაში სვიმონ ბატონიშვილის მხლებლად იხსენიება[1]. მალე იმდენად დაეუფლა რუსულ ენას, რომ სახელმწიფო სამსახურშიც მუშაობს და მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწევა.

რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩის, ათანასე თბილელის (ამილახვრის), მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისა და ვიცე-კანცლერ მიხეილ ვორონცოვისადმი 1754 წლის მაისსა და 9 ივნისს გაგზავნილ მიმართვებში დასახელებულია მთავარი საპოლიცმაისტერო კანცელარიის კაპიტნად[2].

როგორც თავად იუწყება, აღნიშნული გეოგრაფიული ნაშრომი უთარგმნია 1737 წელს მოსკოვში 1710 წლის გამოცემიდან[3]. რუსული ტექსტი კი გადმოღებული ყოფილა ლათინურიდან. ქართული თარგმანის სათაურია: „ღეოღრაფია, ანუ მოკლედ ქვეყნის სიმრგვალისათვის აღწერა, ჰირველ ლათინთა ენისაგან რუსულად თარგმნილი, ხოლო აწ მეორედ რუსულთა ენისაგან ქართულთა ენასა ზედა თარგმნილი გაბრიელ გელოვანის მიერ წელსა ჩღლზ (=1737) სამეუფოსა ქალაქს მოსკოვს“. წყაროს შესახებ ნათქვამია: „... რომელიცა დაბეჭდილ არს ბძანებითა დიდის

---

[1] სოლ. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, თბ., 1955, გვ. 151.

[2] ი. ციცაძე, ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში (1752–1754), „საისტორიო მოამბე“, 6, თბ., 1952, გვ. 163–164.

[3] შესულია რამდენიმე ხელნაწერში: A 1007, H 136, S ფონდი: № 1131, 1222, 1523, 1529, 1743.

ხელმწიფის, მეფეთ მეფის პეტრე ალექსის მის მიერ წელსა განპორციელებათაგან სიტყჳსა ღმრთისა ჩღი (=1710), თჳსა მარტსა პირველსა, სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს".

ნაშრომში ცალ-ცალკე თავების მიხედვით დახასიათებულია ოთხი კონტინენტის — ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის ქვეყნები.

„*მცირე ანდერძი*" ამ თარგმანის ბოლოსიტყვაობაა[4]. ავტორი წერს: „განსრულდა თარგმანი წიგნისა ამის. აწ მოგითხრობთ თვით ჩვენდამო მცირეს რასმე ანდერძსა". ჩანს, ეს ნაწილიც 1724 წელს არის დაწერილი. მასში გადმოცემულია, ვახტანგ მეფემ და მისმა თანმხლებ პირებმა 1724 წელს რა ვითარებაში განვლეს გზა რაჭიდან (როდესაც მას შეუერთდა გ. გელოვანი) ასტრახანამდე.

დასაწყისში მოკლედ აღნიშნულია აჯანყებულ ავღანელთა მეთაურ „მირვეიზის" მიერ სპარსეთის ყაენ შაჰთამაზის შევიწროება, მეორე მხრივ, კასპიისპირეთში პეტრე პირველის ძლევამოსილი სამხედრო წარმატება. არაფერია ნათქვამი ქართლში დატრიალებულ იმ საშინელ ამბებზე, რამაც ვახტანგ მეფეს სამშობლო დაატოვებინა. გამგზავრების მიზეზი, პეტრე პირველის მიწვევა, ასეა აღნიშნული: პეტრემ კასპიისპირეთიდან „წარმოსცა ელჩი რომელიმე – გვარ-წოდებით ტოლსტოვი – მისსა სიმაღლესა მეფესა ქართლისასა ვახტანგ ლევანის ძესა და მოიწია ფარულად ქალაქსა ტფილისისასა და მიუძღვნა ებისტოლე გრაგნილი. იხილა მეფემან და წარიკითხა უზომო ძმებრივი და იმედი ებძანა, რამეთუ განცვიფრებულ იქმნა ფრიად და არა უარჰყო ბძანება მისი".

---

[4] თითო ხელნაწერის მიხედვით რამდენიმეჯერ არის გამოქვეყნებული: ჟურნ, „ივერია", 1879, №5–6, გვ. 196–200. М. Джанашвили, Описание..., 1908, გვ. 261–265 (აქვეა მისი რუსული თარგმანი). ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, თბ., 1955, გვ. 117–120. გადაბეჭდილია კრებულში: ქართული მწერლობა, ტ. 8, 1990, გვ. 49–52.

იმერეთის მეფე (1720–1752) ალექსანდრე მეხუთე[5] წინააღმდეგი ყოფილა ნინო ბატონიშვილის რუსეთში გაშვებისა, მაგრამ ნინო არ შეჰპუებია მას და მოტყუებით მიუღწევია ვახტანგამდე, ვითომცდა სურდა, „გამოვეთხოვო ძმასა ჩემსაო, მეფესა ქართლისასაო“.

მწერალი შთამბეჭდავად აღწერს, თუ რა ძნელ ბუნებრივ პირობებში გადალახეს კავკასიონის ქედი, როცა მათ მრავალი ქალი და ბავშვი ახლდა: „მაშინ აღდგა მეფე და განვლო მდინარე რიონისა და შეუდგნენ მთასა მაღალსა კავკასიისასა, მსგავს ჯოჯოხეთისა, სადაცა იყო ჯურღმული მრავალი გამომდინარე თოვლთა და ყინულთაგან. ესრეთ მნიად გასასვლელ იყო, ქვესკნელსა მას შინა უფსკრულსა ყინულისასა ორბი, გინა ურიცხვთა დედა-წულთა“[6].

ვახტანგმა რაჭაშივე დაიჭირა თადარიგი და „უბრძანა ... ერისთავს შოშიტას, რათა მთავართა ოვსთასა წარმოუვლოს მზევალნი“ (მხევლები). მაგრამ ოსეთის გავლისას ამან იგი გამომძალველებისგან ვერ იხსნა: „რაოდენთაცა გავვლიდით ადგილსა ანუ სოფელსა, მოვიდიან და ენუკვოდიან მეფესა საბოძარსა და არა განუტევიან. მეფემანცა რაზომცა ძვირფასი თვალი გინა მარგარიტი უბოძის, ესრეთ უგუნურ იყვნენ, რამეთუ კვალად შილის (=წითელი სამოსელი) ნახევისათვის ეეედრებოდნენ“.

სოფელ დიდგორში ვახტანგს შემოეგება ცოლისძმა, „ჩერქეზთა ბატონისშვილი“, რომელმაც სტუმრები თავის ქვეყანაში მშვიდობიანად მიიყვანა, სადაც მას „ფრიად ეტრფიალენ და უმასპინძლეს“, ხოლო, თავის მხრივ, „მეფემანცა გარჯისა მათისა მუქაფად, რადცა ოდენ ჰფერობდათ, ეოველსავე თვითოეულად მიანიჭა“.

---

[5] თხზულებაში ალექსანდრე მეფე ნინოს ძმისწულად იხსენიება, სინამდვილეში იგი ძმის, ალექსანდრე მეოთხის, შვილი კი არა, შვილიშვილია (მეფე გიორგი მეოთხის, გოჩიას, შვილია).

[6] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ აღწერილობის გავლენით უნდა იყოს შექმნილი ი. ჭავჭავაძის „განდეგილის“ შესავალი სტროფი — „სადაც დიდებულს მთასა მუინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან...“ (ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, წინამორბედნი და თანამედროვენი, თბ., 1986, გვ. 38–39).

ამის შემდეგ ლტოლვილებს მეგზურობას რუსეთის ხელისუფლება უწევს. ჯერ აცილებენ „ჩინგიზთა მხედრობათა სჰანი, თვალით წვრილნი, ჰირით ბრტყელნი, სრულიად ქარქაშ-ხილიფოსანი“, შემდეგ — „სხვათა უმჯობესი, განსწავლული რუსეთისა სჰათა მხედრობანი“, ბოლოს, „კვალად... უმჯობესი ჯარი ქვეითოსანი“. ამ უკანასკნელმა ისინი „საკრავითა, დროშებითა და დაფებითა“ „სრულიად დაღესტანი, ქვაბ-ავაზაკთა ადგილი უვნებელად გამოაროინეს“.

ქართველები მიიყვანეს სოლაღის ციხეში, სადაც მათ დიდი პატივით შეხვდა სარდალი გაბრიელ კროპოტოვი: „განახვნეს კარნი ციხისანი და მოსცეს ხმა ქუხილისანი ზღუდეთა ზედა გარდმოკიდულთა ზარბაზანთაგან დაწყობილთა სჰათა ხელის თოფთაგან“. ვახტანგმა აქედან პეტერბურგს ელჩად გაგზავნა „თავისი სარდარი ამილახვარი“.

ვახტანგი და მისი მხლებლები ერთხანს სოლაღის ციხეში დარჩნენ, შემდეგ კასპიის ზღვის პირას „მოიხვნეს რაოდენნიმე სვამალდნი“ და ასტრახანს ჩავიდნენ, სადაც მათ „გამოეგება მოურავი ქალაქისა მის ჰატივითა“.

მწერალი ასტრახანიდან პეტერბურგს გამგზავრებულ მეფეს არ გაჰყოლია და ამიტომ მისი შემდგომი „ამბისა მოთხრობასა აღწერით ვერ შემძლებელ“ იქნა. მხოლოდ მოკლედ აღნიშნავს, რომ ვახტანგი პეტრე პირველის გარდაცვალების გამო „მისსა დიდებულებისა გლოვასა და ტუებასა... ესწრა“ და მას „დედოფალმან ეკატირინამ ვითარ ნუგეშინისცა, ანუ რაგვარად უზომოებით წყალობა მიანიჭა“.

გაბრიელ გელოვანის *„მცირე ანდერძი“* თვითმხილველის მიერ დაწერილი მნიშვნელოვანი საისტორიო პირველწყაროა, რომელიც მთელი სიმართლით, სადა და ნათელი ენით, საკმაოდ მხატვრულად და შთამბეჭდავად გადმოგვცემს საქართველოს წარსულის აღნიშნულ პატარა მონაკვეთს, ადასტურებს, აზუსტებს ან ახალი მონაცემებით ავსებს ამავე შემთხვევაზე ვახუშტი

ბატონიშვილის, ოტია ფავლენიშვილისა და სხვათა მონათხრობს[7].

ვახტანგ ორბელიანი

ვახტანგ ორბელიანი ქართლის სამეფო კართან დაახლოებული და დაწინაურებული ძლიერი ფეოდალური გვარის წარმომადგენელია, შვილიშვილია მდივანბეგ ვახტანგ ორბელიანისა და შვილი სულხან–საბა ორბელიანის ძმის – ვახუშტისა. მამამისი – ვახუშტი – სამხედრო საქმესა და მწიგნობრობაში დახელოვნებული პიროვნება იყო. დედის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ის ადრე გარდაცვლილა.

ბიძამისის – ერასტი ორბელიანის – ანდერძიდან ირკვევა[1]: ვახტანგი დაბადებულა 1700 წელს. 1703 წელს, როდესაც ვახუშტი ქართველ მებრძოლებთან ერთად სპარსეთში გიორგი მეთერთმეტესთან წავიდა (სადაც იგი 1707 წელს გარდაიცვალა), ვახტანგი და მისი უფროსი ძმა ელიზბარი აღსაზრდელად ერასტისა და მის მეუღლეს, ანას (ანახანუმს), აუყვანიათ. ერასტის ვაჟი

---

[7] გაბრიელ გელოვანსა და მის თხზულებაზე საუბარია შემდეგ ნაშრომებში: ლ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი, XVIII საუკუნის ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, თბ.,1954, გვ. 24–25; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 596–598 (ავტორი გ. მ ი ქ ა ძ ე); დარეჯან მ ე ნ ა ბ დ ე, ქართული სამოგზაურო–მემუარული მწერლობის ისტორიიდან, წიგნში: „მწიგნობარი–97“, თბ., 1997, გვ. 149–154.

[1] ვახტანგ ორბელიანის ცხოვრება და შემოქმედება ვრცლად განხილული აქვს დ. ბ რ ე გ ა ძ ე ს თავის წიგნში: ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთში, თბილისი–ქუთაისი, 1974, გვ. 159–179. ვახტანგის გენიალოგიისა და ქრონოლოგიის შესახებ იხ.: მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, ორბელიშვილთა (ყაფლანიშვილთა) ფეოდალური სახლის ისტორია, კრებ.: მრავალთავი, XVI, თბ., 1991, გვ. 148–172. ცალკეული ნარკვევები: გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 313 – 314. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 604–606 (ავტორი გ. მ ი ქ ა ძ ე). ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, XVII – XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა, თბ., 1997, გვ. 126 – 133. დ. მ ე ნ ა ბ დ ე, ქართული სამოგზაურო–მემუარული მწერლობის ისტორიიდან, „მწიგნობარი–97“, გვ. 154–160.

არ შესძენია, ორი ქალიშვილი ჰყავდა. სიგელ–გუჯრებში კი ელიზბარი და ვახტანგი ხშირად ერასტის ძეებად იხსენიებიან და მემკვიდრეობით მამის ქონებასთან ერთად ერასტის ქონებაც მიულიათ, 1723 წელს (თუ ცოტა ადრე) ვახტანგმა ცოლად შეირთო ვახტანგ მეექვსის მოლარეთუხუცესის – ცნობილი მემატიანის, სეხნია ჩხეიძის, ასული ანახანუმი, რომლისგან გაუჩნდა ვაჟი ერასტი (დაიბადა 1725 წ.) და ქალი ქეთევანი (მეფე ერეკლე მეორის პირველი მეუღლე), რომელიც ბოლოს მონაზვნად აღიკვეცა და 1750 წელს გარდაიცვალა.

1735–37 წლებში ვახტანგი რუსეთში – მოსკოვსა და პეტერბურგშია. 1738 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – საქართველოში, ამავე წელს მისი ასული ქეთევანი ცოლად შეირთო ერეკლე მეორემ, სხვა ორბელიანებთან ერთად მიიღო კათოლიკობა და უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ დასახმარებლად რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილს ისიც ხელს აწერს, ერთხანს განიცდის დევნას და დასავლეთ საქართველოს აფარებს თავს, გარდაიცვალა 1752 წელს[2].

ვახტანგ ორბელიანის თხზულებათა უმთავრესი ნაწილი რუსეთშია შექმნილი, მოსკოვში უმუშავნია კალენდარულ ნაშრომზე „კვინკლოსი“, რომელიც ერთადერთი ხელნაწერითაა ცნობილი (Q 225). თუ ვის ეკუთვნის იგი ან საიდან არის აღებული მასში წარმოდგენილი ცხრილები, საგანგებო კვლევას მოითხოვს, ვახტანგს შეუდგენია მისი სარგებლობის წესი (გვ. 22v) და დაურთავს ორსტრიქონიანი ბიბლიოგრაფიული შინაარსის ლექსი:

„პირველ ასურს ბრძენთგან ფარვით ეს კინკლოსთა
საუბარი
ვახტანგ მოსკოს ცხადად ვწერე სათანადო საუბარი“ (გვ. 85 V).

---

[2] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902. გვ. 346 – 352.

ვახტანგს დაუწერია რამდენიმე ანბანთქება. ერთი ერთსტროფიანი ჩახრუხაული ლექსია, სადაც შექებულია ქალის სილამაზე. მასში შემავალი სიტყვები (საწყისი ასოებით) ანბანის რიგს მიჰყვება.

„ **ა**ლალებს **ბ**აგეს, **გ**ულთ **დ**ასამდაგეს, **ე**ლვარებს- **ვ**ფუცავ,
ზე **თ**ერულად,
თვალთ **ი**ნდნი **კ**აზმავს, **ლ**აშს **მ**ინა **ნ**აზავს, **ო**დენ პირით
შღერს **რ**იტორეულად
სუმბულთ **ტ**ევანსა **უ**ზამს **ფ**შევანსა, **ქ**ონან **ღ**აწვ–ყელი
შემკულ **ჩ**ენულად,
და **ც**ვარობს **ძ**ოწს **წ**ყალნი, **ჭ**ვირნობენ **ხ**ალნი, კიმობს
ჯავარით **ჰა** **ჱ**ცნეულად“[3].

მეორე ანბანთქება, როგორც სათაურშია მითითებული, იმერეთის მეფე სოლომონ დიდის დედის, თამარის, ცხრასტროფიანი ხოტბაა. შესრულებულია 16–მარცვლოვანი შაირით და თითოეულ სტრიქონში შემავალი სიტყვები ერთ ასოზე იწყება: აი, მისი პირველი სტროფი:

„აჰა ამბად აღვამაღლოთ **ა**წ ალვისა აღნაგობა,
ბეწვ ბნელობა, **ბ**როლ ბადრობა, **ბ**აგეების ბადახშობა,
გულთ გარემო, გიშრის **გ**რუზვამ **გ**ანგაშოროს განგაცნობა,
და **დ**იდებითა **დ**ავლა **დ**აძვრამ **დ**აგიმტკიცოს **დ**ღეთა **დ**რობა“
(იქვე).

ვახტანგ ორბელიანის მწერლური მოღვაწეობიდან უფრო მნიშვნელოვანია სამოგზაურო–მემუარული პროზაული თხზულება „*პეტერგოფის აღწერა*“, ანუ, როგორც თავად ასათაურებს, – „ამბავნი პეტერღოფისა სრა–სახლთა და ბაღჩა– ბაღთა“[4].

---

[3] დ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII ს.), I, 1958, გვ. 342.

[4] გამოქვეყნებულია რამდენიმეჯერ: ჟურნ, „ცისკარი“, 1857, №9, გვ. 27–44; დ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი მწერლები რუსეთში, გვ.

ნაწარმოების დასაწყისშივეა აღნიშნული, რომ ეს ღირსშესანიშნაობანი ავტორს დაუთვალიერებია 1736 წლის 6 (სხვა ხელნაწერის მიხედვით 15) აგვისტოს, მას შემდეგ, რაც „ქართველთა მეფის ძენი და მათნი თავადნი“ ამ „უცხოობაზე“ უამბობდნენ და „აიძულებდნენ“ „ნახვას მის ადგილისასა“.

მწერალს შემოუკლია მთელი პეტერგოფი და ნანახით გაოგნებულს ესახება, რომ მისი მეათედიც ვერ გაითავისა და ვერ გადმოსცა: „დავიწყე მიმოვლანი და სინჯვანი მათ ადგილთა და მიდამოთანი და რომელ მოვლე ფეხითა ჩემითა და ვიხილე თვალითა ჩემითა და ანუ რასაცა მივხვდი, იგი აღვსწერე და, რასაც ვერ მივხვდი, დაუტევე, მაგრამ ნაათალიცა ვერ შევიგენ“.

ყველაფერი უსაზღვროდ მდიდრული და გრანდიოზული-გასაოცრად უჩვეულო და უცნაური, ლამაზი და მშვენიერია.

თხზულებაში ზოგადად აღნიშნულია, რომ „იყო ადგილ-ადგილ შენობათა ხელოვნებანი, უკეთილეს არა ვუწყი და არცა მისილავს“. მაგრამ შენობების, სასახლეების, როგორც დამოუკიდებელ ნაგებობათა, აღწერილობას მცირე ადგილი ეთმობა. უმეტესად ისინი უბრალოდ ან მოკლე ეპითეტებით არის დასახელებული:

„ზღვის ნაპირსა უცხო ხელოვნებით ნახელოვნარი სახლი იდგენ ნატიფად ანაგებარნი“. იმ სასახლეში, სადაც „საგანსასვენო საწოლი ადგილი ჰეტრე ხელმწიფისა“ იდგა, „უცხოს ინდოსა ულამქართაგან კეკლუცად კედელ-ურნი მოფარდაგულნი ქონდენ“. სხვაგან: „ჰირველად შევიდოდი სახლსა დიდსა და ნათელსა კედელ ღამითაც სურვილად ცხოველსა მსგავსად მონახატავსა“. იქვე: „მას დღესა სახლსა გარემო ეხვივნეს წვრილმანი სახლნი, რომელნიმე უცხოდ ნახატნი სხვადასხვა იგავთა და სახეთა მაჩვენებელნი“.

ბევრად მეტი ყურადღება ექცევა ბაღების, ხეივნების, საჩრდილობელ და დასასვენებელ ადგილთა ჩვენებას: „ჯალაკნი

323–3411; ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, შემდგენელი ვ ა ნ ო შ ა დ უ რ ი, თბ., 1962, გვ. 99–109.

ტევნართაგან დანაშვენებნი“, „ტალავარი უცხო თლილთა ფიცარ-თანი“, რომელსაც „სვეტნი ედგნენ დია მრავალნი“, „საამოვნოდ საჩრდილონი თალარნი ფანჩატურნი“, „უცხო უცხონი საჩრდილო-ბელნი და გულის სათქმელნი მისაჯდომ-მისაწოლნი“.

მწერალი, როგორც სამხრეთელი კაცი, გაოცებულია: ეს ჩრდილოეთი მხარე როგორ გამოირჩევა სურნელოვანი ყვავი-ლებისა და ხეხილის ჯიშების სიუხვითა და მაღალხა-რისხოვნებით: „...მოველ, სადა იდგენ სახლი ზამთარ ყვავილთა აევავებული, მრავალთა უცხო ხეხილთა მანორჩებელნი და გა-მაკვირვა ყვავილთ სხვა სხვაობამან და მრავალფერობით საამომან სურნელობამან... დია ძნელის სიცივისა ადგილი იყო, მაგრამ ინ-დურთა ხესილთა დაუკლებელთაგან იგი ისე მოცულ იყო ვითა ზაფხული, ეგრე ზამთარცა არა დაიკლიან არც ხილნი, არცა ყვა-ვილნი... ესცა მოგახსენო, ქვეყნისა ხისა მხრის კაცი ვიყავ და საქართველოს შინა აღზრდილი და მუნ უცხო მდგართა ვაშლთა გამაკვირნეს...“.

თხზულების უდიდესი და უმთავრესი ნაწილი ნაირ–ნაირი სახეობის აუზებსა და შადრევნებს წარმოაჩენს. ზოგიერთი მათ-განი ბიბლიურ ამბებს გამოხატავს: ერთგან „დიდსა ხელთუწ-ლობითა ქვათაგან განათალი სამსონ გამოეყვანათ და მას ლომი შეეხურა და ზე შეჯდომოდა და მას ლომსა ჰირთაგან... წყალი აღმოსდიოდა... და ... ეთერისა ამბავსა გვიამბობდა“. მეორეგან: „მარმარილოსა ტახტსა ზედა ერთზედ ადამ იდგა, ერთსა – ევა. ქვედივდაღმე შეჩქერდენ თექვსმეტ-თექვსმეტნი შადრევანნი და მათ თავსა ზედა გარდმოსდიოდენ“. სხვა მოსესა და ფარაონის ბრძო-ლას ასახავს: „იყო დიდნი აუზნი და ისინი ავზანი მეწამულისა ზღვისაგან იგავით მოეყვანათ, რომელსა მოსე განვიდა და მას შემოჰყოლოდა ეტლთა მჯდომელი ფარაო...“ მხლებელთა „მათ უო-ველთავე ცხენებთა თვალთა, ჰირთა, უურთა და საუნოსელთა, ჩლოქთა, ნაფირთა. უუროსტვირთა საკვირველად ზე მაღლობით წყალი აღმოსჩქერდენ და იგი კაცნი და ცხენნი, რომელნიმე ნა-სევრამდის დაღუპილ იყვნეს და რომელიმე თავამდის დაფარულ იყვნეს...“ და ა. შ.

არა ერთი და ორი შადრევანი საერო და ცხოვრებისეულ ამბებზეა აგებული: ნახა „უცხო თლილთა ქვათაგან, გინა მარმარილოთაგან კაცნი, მხეცნი თუ ქვეწარმავალნი შუიდწილ გამოქანდაკებულთა არაბიელთა ოქროთაგან მოვარაუული მოხატულები... ერთი ერთსა თოფით თუ ტანბაჩით, ჰირით თუ უურით და ეოველით ასოთ... და ვეშაჰნი და ნიანგნი, ლომნი თუ ვეფხვნი უსვად წუალსა შორ თუ ახლო ერთმანერთსა დამოადინებდენ“. კიდევ: „სხვა ადგილსა აუზი იყო და შიგან ოთხი იხვი და ერთი გომიში ცურვიდნენ. გომიშა იხვთა დასდევდა. იხვი წინა მიცურვიდენ. გომიშა ჰეეფდა, იხვნი ეიეინებენ და ეველას ჰირსა წუალი ამოსჩქერდენ“.

აღწერილია სხვა სახის უცნაური სანახაობებიც: ერთ „ადგილსა სახლი იყო, რომელსა შინა შევედით. სკამი იდგა, რომე სამი კაცი მიჯდებოდა. რა მას ზედან დავსხედით, ანაზდად აგვიტაცა მან სკამმან და მიგვცვალნა ზემორე სახლსა ტურფად ნატიფად ანაშენარსა და არცა კაცი დაგვხვდა და არცა სულიერი“. იქ მხოლოდ „ნალბაქნი იევნეს გაწყობილნი. რა საჯმელსა მო-ვინდომებდით, წარვიდენ ნალბაქნი იგი და მსწრაფლ მოგვართვეს სანოვაგენი ამონი“.

ავტორი ყოველივეს მიმართ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას და მიუთითებს მათ სასულიერო და საერო ესთეტიკურ და შემეცნებით მნიშვნელობებზე. ისინი „ორისავე სოფლისა ტრფიალებისა მასწავლებელნი“ არიან: „ვინცა ედემისა ტრფიალი არს, მას მისთვის ტრფიალებასა მოაწადებს და, ვინცა სოფლისა მოეეარეა, საეეარელთანა სვლა ალერსსა მოანდომებს“.

ნაწარმოებში საკმაოდ ვრცლად არის საუბარი დამთვალიერებელთა ლაღობასა და მხიარულებაზე: „ზოგნი ლალისა მსგავსისა ბაგე-ჰირითა შეენიერად სიცილითა მღიმარობდიან, სხვანი ლხინობდიან და ნადიმობდიან...“ მწერალი თუმცა ყველაფრით მოხიბლულ-აღტაცებული და დამტკბარია, მაინც სევდიან გუნებაზეა: „მათსა ეგრე უოფაქცევასა მე, დია, მჯუნვარე, გაკვირვებითა ვსინჯევდი და უეურებდი“. ეს განწყობილება გამოწვეული უნდა იყოს იმ პირადი ძნელბედობით, რამაც ის პეტერბურგში ჩაიყვანა

და რაც მისი ქვეყნისა და ხალხის მა-შინდელ მძიმე ხვედრს უშუალოდ ეჯაჭვებოდა.

თხზულების ენა სისადავითა და დახვეწილობით არ გამო-ირჩევა, მაგრამ საკმაოდ სახოვანია. უხვად არის გამოყენებული ეპითეტები და თვითმყობადი შედარებები. ნათლად იგრძნობა ავ-ტორის მწერლური დაკვირვებისა და აღქმის უნარი, განსწავ-ლულობა სასულიერო და საერო მწერლობაში. ყველაზე კარგად და თავმოყრილად ეს მოცემულია ბაღის შემდეგ აღწერილობაში: „სხვათა ყოველთა ხეთა და ფერად ფერადთა ყვავილთა... სი-ტურფენი, ვის ვისი სწადებოდა, მოეპარათ. ესრედ რომელ ხევნა-რობასა ქოჩრისა სიმშვენიერე იოსებისა მოეპარა და ნაფუჩნარსა ნარდიონსა ზილიხანისა ცალუკავ მოწაკნი მოეტაცა. მშვენიერად ნაზებულთა ნაძვებთა სიწლო-სიკოჭლენი მაჯნუნისა ესესხებინა და უარაფლისა მეწამულობა ლეილისა ბაგეთაგან ევასხებინა. ფერ-მიხდილსა ნარგისობასა ტარიელის ხელობისა ფეროვნება დაეს-წავლა და ვარდებთა მაელვარობასა ნესტან-დარეჯანისა ღაწვისა შეგირდობა მიეთვალა. არღავანსა სისხლთა მღვრელობა ხოსროვისა მიეტაცა და კუკურსა ზამბახსა შირინის ცხვირთა სოთობა მოეშვა. ალვისა უსულობა ავთანდილისა მოეყიდა და უაუჩოსა ძოწეულობა არაბელისა თინათინისა მოევაჭრა, ხაშხაში დარეჯანის-ძისა უძლე-ველსა ლახტსა დარობდა, სუმბული ხორაშანის კინამოსა ემო-უსებოდა, სოსანი ომაინის ტანსა ეჯუფთებოდა და მიხაკი გუ-ლანდამისა ტუჩსა ჰგვარობდა. სხვა მრავალთა ხეხილთა და ყვა-ვილთაგან კაცთა ცნობანი მიეღებოდენ, ლიმონი სუნითა სიმ-გვრგვალითა კეკლუცთა ქალთა მუმუსა ედარებოდენ...“.

„პეტერგოფის აღწერას“ თარიღი არ ახლავს, მაგრამ მასში ვახტანგ ორბელიანი ნანახსა და განცდილს იმდენად და-წვრილებით წარმოგვიდგენს, რომ იგი ცოცხალი შთაბეჭ-დილებით იმავე 1736 წლის აგვისტოსვე ან მომდევნო თვეებში უნდა იყოს დაწერილი.

გიორგი ავალიშვილი

გიორგი ავალიშვილმა 1819–1820 წლებში, ერთი წლის განმავლობაში, იმოგზაურა თბილისიდან იერუსალიმამდე და პირუკუ. გადასერა საბერძნეთის, ეგვიპტის, პალესტინის, თურქეთის ტერიტორიები და ნანახი და განცდილი დღიურების სახით ვრცლად აღწერა. ნაშრომი ერთადერთი ავტოგრაფული ნუსხით არის წარმოდგენილი, რომელიც შეისწავლა და ვრცელი გამოკვლევითა და სხვა სამეცნიერო აპარატითურთ გამოაქვეყნა ელენე მეტრეველმა[1]. მასვე საგანგებოდ განიხილავს აგრეთვე ლია კიკნაძე[2]. ავტორი ნაწარმოებს ასე ასათაურებს: „მგზავრობაჲ თბილისით იერუსალიმისადმი საბერძნეთსა ზედა და უკუნქცევაჲ იერუსალიმით თბილისისადმივე კიპრიის ჴალაკისა, მცირისა აზიისა და ანატოლიისა ძალით“ და ჰყოფს ორ ნაწილად: მოგზაურობას იქით და აქეთ.

ამ ქვეყნებში სამოგზაუროდ მწერალი ჯერ კიდევ 1804 წელს ზრუნავდა, მაგრამ მაშინ მისი განხორციელება ვერ მოახერხა. თხზულების „წინასიტყვაობაში“ მგზავრობის მიზნად ის უცხო ქვეყნების ნახვას, „წმინდა ადგილების“ თაყვანისცემას ასახელებს, მაგრამ წასვლის ნებართვისათვის მთავრობისადმი მიმართვაში წერს, ნაწარმოებიდანაც გამოკრთის და იოანე ბატონიშვილის *„ხუმარსწავლაში“* გარკვევით აღნიშნულია, რომ არანაკლებ აინტერესებს ეგვიპტეში აღზევებულ თავის ნაყმევ მამლუკთა მემკვიდრეობის მიღება. გარკვეულწილად, ალბათ, ამანაც განსაზღვრა ის, რომ მგზავრობისას თან ახლდა რამდენიმე ყმა-მსახური, რომელთაგან ზოგიერთის ახლო ნათესავს იქ შეხვდნენ. გიორგიც მოინახულა მისმა ყმადყოფილმა ანდრია **კნოტიშვილმა**, მაგრამ მემკვიდრეობასა და ვალებზე *„დღიურებში“* საუბარი არსად ჩანს.

---

[1] გიორგი ავალიშვილი, მოგზაურობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ., 1967.

[2] ლია კიკნაძე, გიორგი ავალიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1993, გვ 151–211.

თხზულებაში არაფერია ნათქვამი იმაზეც, ჰქონდა თუ არა გიორგის რუსეთის ხელისუფლებისაგან რაიმე დავალება. ამის დამადასტურებელი არც სხვა პირდაპირი ცნობა მოიპოვება. რადგან იყო რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის თანამშრომელი, ატარებდა ტიტულს „*სახელმწიფო მრჩეველი*“, სამოგზაუროდ მიცემულ პასპორტში კი ჩაუწერეს უფრო მაღალი ჩინი – „*ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი*“, რომლითაც დაბრუნების შემდეგ აღარ იხსენიება, ყველა ქვეყანაში მთავრობის უმაღლესი წარმომადგენლები, როგორც რუსეთის დიდ მოხელეს, ისე ხვდებიან, „დღიურებში“ დაწვრილებით არის აღწერილი სამხედრო ობიექტები, ციხეები და გამაგრებული პუნქტები, ყოველივე ამის გამო ადვილი შესაძლებელია, მას დიპლომატიური და დაზვერვითი მისიაც დაკისრებოდა.

დღიურები იწყება 1819 წლის 6 ივლისით, თბილისიდან გასვლის დღიდან, და მთავრდება 1820 წლის 17 ივლისით, ამავე ქალაქში დაბრუნებით. ავტორმა ნაშრომს დაურთო რუკა და ცალკეულ ღირსშესანიშნაობათა (ეკლესია-მონასტრების, მეჩეთის, პირამიდის, მოედნის, ობელისკის, მუმიების) სურათები და გეგმები.

მიმოსვლის გზა იყო: თბილისი – გორი – ქუთაისი – სოხუმი – გემით ყირიმამდე (სევასტოპოლი – სიმფეროპოლი – ევპატორია) – ისევ გემით კონსტანტინეპოლამდე – გემითვე მარმარილოს ზღვა – დარდანელის სრუტე – სრუტის სანაპირო ქალაქი – ეგეოსის ზღვის უმთავრესი კუნძულები (ხიოსი – სამოსი – როდოსი) და მისი ქალაქები – ხმელთაშუა ზღვით ალექსანდრიამდე – კვლავ ხმელთაშუა ზღვა – კვიპროსის კუნძული – ანატოლიის სამხრეთი ნაპირიდან მთელი ანატოლიის აღმოსავლეთი არზრუმამდე – ყარსი– გუმრი – თბილისი.

„*დღიურებში*“ სათაურებით გამოყოფილია და დაწვრილებით მოთხრობილი, რომელ დღეს სად მივიდა, სად დაბინავდა, რა ნახა და დაათვალიერა, ვის შეხვდა (მისი პორტრეტი, განსწავლულობა) და რაზე ისაუბრეს. აღწერილია დაბისა თუ ქალაქის მდებარეობა, ბუნება, ჰავა, მცენარეულობა და ცხოველები, ისტორია, ღირსშესანიშნაობანი, კულტურის ძეგლები, სასახლეები,

ხიდები, მოსახლეობა, რა ერისა და სარწმუნოებისანი ცხოვრობენ, მათი რაოდენობა, ურთიერთდამოკიდებულება, ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი, საკულტო ნაგებობანი, სნეულთა და გლახაკთა სახლები, სკოლები (მოწაფეთა კონტინგენტი, სასწავლო საგნები), სამეცნიერო დაწესებულებანი, მმართველობა, ვაჭრობა, მუშაობის პირობები, ხელფასი და ა. შ. დახასიათებულია თითოეული ქვეყნის აწმყო და წარსული, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, კულტურა, განათლება, ფოსტა, სამეურნეო, სოციალური და სამხედრო გარდაქმნები.

ავტორი გადმოგვცემს როგორც ნანახსა და გაგონილს, ისე წერილობითი წყაროებით მოპოვებულსა თუ შემოწმებულს და ყოველივეს მიმართ თავის დამოკიდებულებას ნათლად გამოხატავს

გიორგი ავალიშვილი შესანიშნავად ასახავს იმ ფარულ და დაძაბულ პოლიტიკურ ურთიერთობას, რომელიც იმჟამად, ერთი მხრივ, რუსეთსა და ოსმალეთს შორის არსებობდა და, მეორე მხრივ, ოსმალეთთან მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს, საბერძნეთსა და ეგვიპტეს, ჰქონდათ. ის დიდი ინტერესით უსმენს ამ უკანასკნელთა საერო და საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლებს, თანაუგრძნობს მათ მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ და მათგან ღებულობს საიდუმლო პაკეტებს რუსეთის გავლენიანი პირების ან სხვა სამოგზაურო ადგილებში მყოფ თავიანთი მომხრეებისათვის გადასაცემად. აღწერს სომხურ დიასპორასთან შეხვედრებს და გვაცნობს რუსეთზე აღებულ მათ ორიენტაციას.

მწერალი-მოგზაური განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ყოველივე ქართულს და საქართველოსათვის საჭიროსა და საყურადღებოს. დაწვრილებით და მეცნიერული თვალთახედვით აღწერს გორსა და ქუთაისს, იტრიის, გელათისა და მოწამეთას მონასტრებს. საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმერეთის აჯანყებაზე, რომელიც საქართველოში რუსეთის ხელისუფლების რეფორმას, საეკლესიო მამულების სახაზინო მართვა-გამგეობაში გადაცემას მოჰყვა და მის იქ ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო, მერმე მთელ გურიას, სამეგრელოსა და აფხაზეთს მოედო; შეხვდა და ესაუბრა როგორც აჯანყების მოწინააღმდეგეებს

(ეგზარქოს თეოფილაქტესა და მის მხლებლებს, იმერეთის მმართებელ კურნატოვსკის, ნიკოლოზ გაბაშვილსა და ზურაბ წერეთელს), ისე მოთავეებსა (დოსითეოს ქუთათელს, ეფთვიმე გენათელს) და ამ ამბის სხვა მცოდნეებსაც.

ეგეოსის ზღვაში პატარა კუნძულ ბოღჩაადზე გიორგი ათვალიერებს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარს, რომელიც, ადგილობრივთა ცნობით, აშენებულია „კონსტანტინეჰოლით მოყვანილისა“ ქართველის მიერ. მოგზაურის ვარაუდით, ეს უნდა ყოფილიყო ვახტანგ მეექვსის ძმა დომენტი კათალიკოსი (გვ. 89). სხვა ცნობები ამ ეკლესიის შესახებ არ მოგვეპოვება.

ასევე არაფერია ცნობილი მის მიერ ნანახი კიზილქილისის ეკლესიის ქართული ასომთავრული წარწერის შესახებ, რომელიც დრო-ჟამს წაუშლია და ვეღარ ამოუკითხავს, „არზრუმ-კარსელნი სომეხნი“ კი ეკლესიას თამარ მეფის აშენებულად მიიჩნევდნენ (გვ. 336).

პალესტინის ქართული ეკლესია-მონასტრებიდან ახერხებს მხოლოდ ოთხის გაცნობას: იაკობისა და ჯვრის მონასტრებს, ეკატერინესა და აბრაჰამის ეკლესიებს. გულისტკივილით აღნიშნავს, რომ იაკობის ტაძარში ქართველთა ნაკვალევი მთლიანად წაშლილია. იგივე ვითარებაა წმ. ეკატერინეს ტაძარშიც. მისი აზრით, ეს ეკლესია აშენებულია „საქართველოს მეფეთა ანუ მთავართა მიერ“ იოანე ღვთისმეტყველის სახელზე. ძეგლი შემდეგ „ლათინთა“ მიიტაცეს და სახელიც შეუცვალეს (გვ. 240). იერუსალიმში მხოლოდ ერთადერთ ქართველს, აღდგომის ეკლესიის დიაკვანს, ხვდება. საგანგებოდ შენიშნავს, რომ „ადგილი წმიდისა გოლგოთისა... ყოფილა ქართუ Ⴑლთი, გარნა დღეს ჰფლობენ მათ ბერძენნი“ (გვ. 252). მიაგნო და გადმოიწერა აბრაჰამის ეკლესიის კარიბჭის თავზე 1599 წელს შესრულებული ქართული მხედრული წარწერა, რომელიც გამორჩენიათ ტიმოთე გაბაშვილსა და სხვა მეცნიერ-მოგზაურებს (გვ. 211). ასევე სხვებთან გამოტოვებულია და მასთან ვეცნობით ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მიერ ჯვრის მონასტრისათვის შეწირულ ძვირფასად შემკობილ წარწერიან ოქროს ხატსა და ჯვარს (გვ. 214).

დაეძებს, აგროვებს ცნობებს და ხვდება სამშობლოდან ადრე თუ გვიან ტყვეთა მოვაჭრეების მიერ გატაცებულ და უცხოეთში გაყიდულ ან ბედის მაძიებელ, თავისი ნებით გადახვეწილ, რჯულშეცვლილ თანამემამულეებსა და მათ შთამომავლებს, როგორც თვითონ უწოდებს, ნაქართველართ; გვაცნობს მათ მონათხრობ თავგადასავალს, იმჟამინდელ ყოფასა და საქმიანობას. ნაჩვენებია, რომ უმეტესობა საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობს. ზოგი იმდენად გადაგვარებულა, მალავს თავის ქართულ წარმოშავლობას. სიტყვითა და საქმით ეხმარება ყველას, ვისაც სამშობლოში დასაბრუნებლად გული მოუწევს.

გ. ავალიშვილმა საჩუქრად მიიღო და წამოიღო ჯვრის მონასტრის კოლექციის ცხრა ქართული ხელნაწერი, რომლებიც დღეს საქართველოსა (ხელნაწერთა ინსტიტუტი) და სანკტპეტერბურგში (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი) ინახება[3]. ასევე, ზოგი საჩუქრად და ზოგი შესყიდვით შეიძინა და წამოიღო უცხოური ნუსხები და წიგნები, სხვადასხვა სიძველენი, მუმიები და წმინდა ნაწილები (სპირიდონ საკვირველმოქმედის ნეკნის ძვალი, წმინდა საფლავისა და გოლგოთის ქვანი, ცხოველმყოფელი ძელის ნაწილი), რომელთაგან ზოგი თავის მხლებლებს დაურიგა, უმეტესობა რუსეთის მთავრობას განძეულთა საცავში შესანახავად გადასცა.

„*მოგზაურობა*“ დღიურების კრებულია და მისი კომპოზიციაც ამით განისაზღვრება — ყველაფერი წარმოდგენილია იმ თანამიმდევრობით, როგორც მოგზაურმა იხილა. დაწერილია ანტონის სკოლისათვის დამახასიათებელი მძიმე, მაღალფარდოვანი და საკმაოდ ბუნდოვანი ენით, რომელიც უხვად არის გაჯერებული ფსევდოარქაული და დიალექტური ქართულით, რუსული და სხვა ენების გავლენით შექმნილი გრამატიკული ნორმებითა და ლექსიკით. არ გამოირჩევა მხატვრულობით, თუმცა ზოგი ამბავი შესანიშნავი იუმორითაა გადმოცემული და დრა-

---

[3] ვრცლად იხ.: ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, გიორგი ავალიშვილი — ბიბლიოფილი და კოლექციონერი, საიუბილეო კრებული, კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავზე, თბ., 1959, გვ. 247—261.

მატურგის გაწვრთნილი ხელით შესრულებულ დიალოგით დამშვენებულ ნოველებად წარმოგვიდგება. ზოგჯერ ღირსშესანიშნაობათა ნახვით აღტაცება აღზევებული სტილით, „შესხმით“, ანუ „ალერსით“, არის გამოხატული[4].

მიუხედავად აღნიშნული ენობრივი ნაკლისა, გ. ავალიშვილის „იერუსალიმში მოგზაურობა“ დიდად მნიშვნელოვანი სამოგზაურო-მემუარული ჟანრის თხზულებაა, რომელიც უხვ, მრავალფეროვან და პირველხარისხოვან ცნობებს იძლევა საქართველოსა და სამხრეთ-დასავლეთის ქვეყნების შესახებ.

XVII, XVIII საუკუნეთა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართული ემიგრანტული მწერლობის საკითხები

ონანა ქობულაშვილი-მდივანი

ონანა გიორგის ძე ქობულაშვილი, ანუ, როგორც ძველად და ახლაც იწოდება, ონანა მდივანი, XVII საუკუნის 80-იანი წლებისა და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის კახეთისა და ქართლის სამეფოთა კარზე დაწინაურებული პირი და თანამედროვე (ვახტანგ მეექვსე) და მომდევნოთაგან (დავით გურამიშვილი) აღიარებული და დაფასებული პოეტი იყო[1]. თავის შედგენილ საბუთებსა და მხატვრულ თხზულებებზე დართულ ცნობებში თვითონვე გვაუწყებს, რომ არის კახელი თავადი, კახეთის სამეფო კარის მდივან-მწიგნობრის შვილი, თავადვე მდივან-მწიგნობარი, ანუ, მოკლედ, მდივანი. მდივნად მოიხსენებენ მას იჟამინდელი (ვახტანგ მეექვსე, მამუკა ბარათაშვილი) და მომდევნო ხანის (დავით რექტორი) მოღვაწენი. დავით რექტორის ცნობით, რომელსაც ად-

---

[4] ვრცლად: ლია კიკნაძე, გიორგი ავალიშვილის ენა („იერუსალიმში მოგზაურობის“ მიხედვით), ფილოლოგიური ძიებანი,I, თბ., 1964, გვ. 137–179.

[1] მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მონოგრაფიულად განხილულია დ. ბრეგაძის წიგნში: ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთში, თბ., 1974, გვ. 87 – 124.

ასტურებს ერეკლე პირველის მიერ გაცემული სიგელის XIX საუკუნის 20-იან წლებში შესრულებული რუსული თარგმანი, ონანა გვარად ქობულაშვილია[2].

ონანას დაბადების დროის შესახებ პირდაპირი ან მყარი ცნობა არ მოგვეპოვება. საამისოდ დ. ბრეგაძე ეყრდნობა ერეკლე პირველის სიგელის აღნიშნულ რუსულ თარგმანს. სიგელი დაწერილია დავით ჯაფარიძის მიერ და თარიღად უზის 1677 წელი, რასაც იგი მთარგმნელის შეცდომად მიიჩნევს და 1687 წლად ასწორებს. ვინაიდან ამ საბუთში ონანა ცოლშვილიანია[3], მკვლევრის ვარაუდით, იმ დროს იგი 30 წლისა, ხოლო დაბადებული 1657/58 წლებში უნდა იყოს.

ონანა ერეკლე პირველის შემდეგ მისი შვილების, თეიმურაზ მეორისა და კონსტანტინეს მდივანია 1724 წლამდე; 1717–1723 წლებში, სანამ ქართლ-კახეთს შორის ომი ატყდებოდა, ონანას ლიტერატურულ-შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ვახტანგ მეექვსესთან. ეს კავშირი იმით გაგრძელდა, რომ, როდესაც ვახტანგი რუსეთში გადაიხვეწა, ონანაც თან გაჰყვა, ცხოვრობდა ჯერ ასტრახანში, ბოლოს – მოსკოვში.

იმის გამო, რომ ბაქარის ამალის სიაში იხსენიება „Секретарь князь Онана Тангулов“ და იქვე მითითებულია მისი

---

[2] ამ გვარს ეს თანამდებობა საუკუნეთა განმავლობაში ეჭირა, გარდა ონანას მამის, გიორგისა, კახეთის მეფის მდივან-მწიგნობრები იყვნენ: სიმონ იოანეს ძე (1765 –1807), ევგენი დავითის ძე (1773 – 1842), ოთარ დავითის ძე († 1830) ქობულაშვილები (მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 204 – 206).

[3] ამ საბუთში ონანას შვიდი შვილია დასახელებული (თამაზი, ზურაბი, გიორგი, ნიკოლოზი, დიმიტრი, გურგენი და მამუკა). რადგან ქობულაშვილების გვარის გენეალოგიურ სიაში მისი სამი (თამაზი, ზურაბი და დიმიტრი), ხოლო ჯვრის მონასტრის აღაპებში ორი (თამაზი და ზურაბი) შვილია მოხსენიებული, დ. ბრეგაძეს ერეკლე პირველის სიგელის რუსული თარგმანის ცნობის სისწორეში ეჭვი შეაქვს და ფიქრობს, „ადვილი შესაძლებელია, რომ სიგელის მთარგმნელს ონანას ახლო ნათესავები შვილებად მიეჩნია“ (გვ. 98).

გარდაცვალების წელი – 1728, ხოლო XIX საუკუნეში გადაწერილ და საქართველოს ცენტრალურ-საისტორიო არქივში დაცულ № 396 ლექსების კრებულში შესული ონანას სამი ანბან-თქვიდან მესამეს სათაურად აქვს – „კახის მდივნის ონანასაგან არის ნათქვამი გვარად ვიდრემე თ ა გ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ს ა“, დ. ბრეგაძე ფიქრობს, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია, თ ა გ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ონანას ზედწოდება უნდა იყოს, მიღებული მამამისის, გიორგის, თ ა ნ გ უ ლ ა მეტსახელიდან, და პოეტის გარდაცვალების წელია 1728.

ონანა მდივნის შემოქმედებაში[4], როგორც XVII–XVIII საუკუნეთა ქართული მწერლობისათვის, კერძოდ, არჩილისა და ვახტანგ მეექვსის პოეზიისათვისაა დამახასიათებელი, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ანბანთქებებს. ჩანს, ამით დაიწყო მისი პოეტური მოღვაწეობა, რასაც სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა. ქმნიდა სხვადასხვაგვარი აგებულების 16–მარცვლოვან ანბანთქებებს.

მაგალითები:

თითო სტრიქონის დასაწყისი ანბანის რიგს მიჰყვება:

„**ა**ხალსა ყმასა, პირმზესა, ვიტყოდე ტანად საროსა,
ბარამ ჭაბუკსა, მისთანა სხვა გამოსულა აროსა...“ (გვ. 210).

ანბანის რიგს მიჰყვება ყოველი სტრიქონის პირველი ორი სიტყვის დასაწყისი:

„**აქ ბ**არამისთვის ლახვარი მუნით საკვდავად ვინასა,
გულიჯან **დ**ახსნა შვებასა, თქვა საცნობელნი მინასა...“ (გვ. 209).

ანბანის რიგს მიჰყვება პირველი სამი სიტყვის დასაწყისი:

---

[4] ონანას პოეტური მემკვიდრეობა, რელიგიურ თემაზე შექმნილი რამდენიმე ანბანთქების გამოკლებით, გამოქვეყნებულია დ. ბ რ ე გ ა ძ ი ს წიგნში: ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII ს.), I, გვ. 65–255.

„აქ ბულბულთ ბალობისაგან ხმა აღარ ჩავარდებიან,
დღე ერთ ვარდისა შვენებით ძახილით შემოკრბებიან...“
(გვ. 212).

სტროფში შემავალი თითოეული სიტყვა ანბანის რიგით არის დალაგებული:

„აქ ბრმა ბვდევს დასვა, ეგ ვერ ზის, ცაერს თვით იტყვის ძლდეებსა...“ (გვ. 211 და 213).

აქვს ისეთი გავრცელებული სახეობებიც, როგორიცაა: ერთი სტროფის ოთხივე სტრიქონის *დასაწყისი* ერთ ანბანს მიჰყვება – პირველ სტროფში ა-ს (*„აღმითქვამ სიტყვა ლექსითურთ...“*), მეორე სტროფში ბ-ს (*„ბარამიანი სახელად...“*) და ა. შ. (გვ. 212–213). მისი სახემონაცვლე – ერთი ასო მთელი სტროფის თითოეული სტრიქონის პირველ და მეორე სიტყვებში მეორდება:

„არსთა არე შეუმზადე, სამთვითებით მონაშენობს,
აღთქმა არსა ქმნული შენდა, ვინ გულისხმევს, მონაშენობს...“.

უწერია ისეთი ანბანთქებაც, როდესაც სტრიქონების საწყისი ანბანი წინ სრული სახელწოდებით არის მოყვანილი:

„ანო – ალვ, სარო, ნაძვი ძირს უდგიან სავარდესა,
ბანო – ბროლსა ვარდ-გიშერი ზანგად რასმე დავარდესა...“
(გვ. 211–212) და სხვა.

ონანას ანბანთქებები ძირითადად რელიგიური და სატრფიალო შინაარსისაა[5].

მასვე უწერია აგრეთვე ოთხსტრიქონიანი წაღმა-უკუღმა საკითხავი, ფორმალისტური ლექსი, ანუ პალინდრომი:

---

[5] ონანას ანბანთქებებს სხვა ქართველ მწერალთა ანბანთქებებთან ერთად განიხილავს გ. მ ი ქ ა ძ ე: ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 89–119.

„ესერა მსურის სიმდაბლე ელბადმის სირუსმ არესე,
ესერა პირსა მომხადა ადახმომ ასრიპ არესე...“ (გვ. 27).

ამ სახის ლექსი XVII–XVIII საუკუნეთა ქართულ მწერლობაში რამდენიმე გვხვდება[6].

ონანას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი *„ქილილა და დამანას“* ლექსების პოეტურად დამუშავებაში. ვახტანგ მეექვსემ ამ თხზულების თავისი თარგმანი სულხან-საბა ორბელიანთან ერთად გასაჩარხავად მასაც გადასცა. როგორც ამ თხზულებაზე დართული ანდერძებიდან ჩანს, მეფე-პოეტს მისთვის მხოლოდ ლექსების გამართვა დაუვალებია. ონანა წერს: მეფემ მოუცლელობის გამო „წიგნი თვით აღარ გალექსა... და ჩვენ გვიბძანა ეს ძნიად მისახდომი სამსახური“ (გვ. 215). იქვე ის ყველგან ლექსებზე საუბრობს: ვახტანგს *„ჰირველ ამის ნუსხის შიგდამიგ ლექსები ჩაერთო და მუნით იგივე დაესწერეთ“* (გვ. 216). მან „შიგ შერთო ლექსები... მეც რასმე ვამბობ...“, „ამად გავლექსავ ონანა...“ (იქვე) და სხვა. ამასვე აღნიშნავს ვახტანგიც:

„მერმე უბძანეთ მდივანსა, ჩვენსა კარისა მონასა,
სპარსულის რიგით გალექსოს...“.

მართლაც, ონანას *„ქილილა და დამანას“* მხოლოდ ვახტანგის მიერ პროზაულად გადმოღებული ლექსები გაულექსავს[8], ხოლო სწავლული მეფის პოეტურად გაწყობილი ლექსები არშიაზე მითითებით **„ბ“** (= *მეფის ნათქვამი*) ხელუხლებლად ან მცირე ცვლილებებით თავის ნაშრომში დაუტოვებია. ის ზედმიწევნით მიჰყვება დედანს, ვახტანგისეულ პწკარედს და შესაბამისი დასათაურებით უფრო მეტად ერთ („ტაეპი“ ან „მუხლი ა“), ორ („ლექსი“), ოთხ („შაირი“), შიგადაშიგ ექვს („მუხლი ვ“), შვიდ

---

[6] იქვე, გვ. 85–119.

[8] „ქილილა და დამანას“ ონანასეული რედაქცია ერთადერთი, ავტოგრაფული, ნუსხით არის ცნობილი (Q 1564), რომელსაც დაზიანების გამო ბოლო ნაწილი აკლია.

(„შვიდმუხლი“ ან „მუხლი ზ“), რვა („მუხლი ჳ“), ცხრა („მუხლი თ“) და ათ („მუხლი ი“)-სტრიქონიან 16-მარცვლოვან ლექსებად აყალიბებს.

ონანამ წარმატებით შეასრულა მეფის დავალება. ვახტანგი კმაყოფილი წერს:

„...მანცა არ ცუდად მონასა,
შეჰკრავს და ტურფად შეაწყობს წალკოტის ვარდის
კონასა...“ (იქვე).

მწერალი ასტრახანში წერს ვრცელ რომანტიკულ ეპოსს *„ბარამგულიჯანიანს“*, რომელშიც ასახულია ჩინეთის ხელმწიფე ჯონშერის უმშვენიერესი ასულ გულიჯანისა და ამავე ქვეყნის სპასალარის, უებრო სილამაზისა და ვაჟკაცობის მქონე ჭაბუკის, ბარამის, სასიყვარულო თავგადასავალი.

მსგავსად „ვეფხისტყაოსნისა“, გულიჯანი ჯონშერის ერთადერთი შვილია, ბარამი კი ჩინეთის ერთ-ერთი სამეფო გვარის შთამომავალი და ჯონშერის კარზე შვილივით აღზრდილი. ერთხელ საზაფხულო აგარაკზე გამგზავრებისას, როგორც „ვისრამიანშია“, ქარმა სახურავი ახადა კუბოს, რომელშიც გულიჯანი იჯდა, გულიჯანმა და ბარამმა ერთმანეთი დაინახეს და გაუნელებელი ურთიერთსიყვარულით განიმსჭვალნენ. ამას მათ შორის მოჰყვა ნესტან-ტარიელისებურად აჯიღოსანი ქალის მეშვეობით მიწერ-მოწერა, გულიჯანის საწოლ ოთახში ფარული შეხვედრა და სიყვარულის ფიცი, გაყრის შედეგად ბარამის დასნეულება და ლოგინად ჩავარდნა, ბოლოს, გულიჯანის ნახვის შემდეგ გამოჯანმრთელება.

ჯონშერი განარისხა შვილსა და შვილად მიღებულის გამიჯნურებამ, დავარისებურად საშინლად სცემა გულიჯანი და ბარამის დაჭერა მოინდომა. ბარამი შინიდან გადაიხვეწა და ტირილითა და მოთქმით უდაბნოში და ველად დაეხეტება. ავთანდილივით შვიდ მნათობს ესაუბრება. წალკოტში ესიყვარულება ყვავილებს, განსაკუთრებით ვარდს, რომელიც სატრფოს სახეს აგონებს. იქვე, როგორც თეიმურაზ პირველის „ვარდბულ-

ბულიანშია“, უსმენს ვარდისა და ბულბულის სამიჯნურო ბაასს. ზღვაზე ავთანდილისებურად ამოწყვიტა მეკობრეები, გადაარჩინა და სამშვიდობოზე გაიყვანა ვაჭართა ქარავანი. ბალხეთის ქვეყანაში შეხვდა, თავისი თავგადასავალი უამბო და დაუმეგობრდა იქაურ მეფე ნარიმანის სპასალარ მილადს. ნარიმანი თავისი ჯარით ბარამს დასახმარებლად ჩინეთში მიჰყვება. გზაში შემოხვდებათ ბარამის საძებრად წამოსული ჯონშერის ვაზირი ბარზამი, რომლისაგან შეიტყობენ, რომ ჯონშერი გარდაცვლილა და გულიჯანი ბარამის გარეშე სამეფო ტახტზე არ ადის. ჩინეთი აღფრთოვანებით ეგებება ბარამის დაბრუნებას, რომელიც გულიჯანზე ქორწინდება და 150 წლის განმავლობაში მასთან ერთად ბედნიერად მეფობს.

თხზულება დაწერილია 16–მარცვლოვანი შაირით, ახლავს შესავალი და პროზით და ლექსად შესრულებული „*ანდერძი*“. შესავალში მოცემულია ღვთის დიდება, აღნიშნულია საღმრთო ნაწარმოებთა საეროზე უპირატესობა და დაგმობილია სოფლის სიმუხთლე. „*ანდერძი*“ შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ცნობებს. აქედან ვგებულობთ, რომ ავტორს ეს ნაწარმოები შეუთხზავს ასტრახანში 1726 წლის თებერვალ–აპრილში.

შესავალსა და „ანდერძში“ პოეტი იუწყება, რომ ლექსავს სპარსული ამბის ქართულ პროზაულ თარგმანს (სტრ. 10, 34, 36, 50), სპარსული ტექსტის ავტორი კი ჩუბინ ქირმანელია (სტრ. 26. გვ. 205).

მიუხედავად ჩატარებული კვლევა–ძიებისა, არც ჩუბინ ქირმანელი ჩანს და არც რაიმე უცხოური წყარო. სარწმუნო უნდა იყოს ბოლო დროს გამოთქმული თვალსაზრისი, რომ აღნიშნული ბიბლიოგრაფიული ცნობა ლიტერატურული ფიქციაა, ხოლო ეს ვრცელი პოემა „*ვეფხისტყაოსნისა*“ და ზოგიერთი სხვა ქართული ნაწარმოების გავლენით შექმნილი ონანას საკუთარი ქმნილებაა[9].

---

[9] მერი გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ონანა მდივანი და მისი „ბარამ–გულიჯანიანი“, „ლიტერატურული ძიებანი“, XXII, თბ., 2001, გვ. 102 –106.

ავტორი ბარამისა და გულიჯანის სიყვარულის თემით იმდენადაა გატაცებული, რომ მას რამდენიმე ანბანთქებასაც უძღვნის.

„*ბარამგულიჯანიანის*“ მხატვრული სახე მისი წარმომავლობითაა განპირობებული. გარდა იმისა, რომ სიუჟეტურად, ცალკეული ეპიზოდებით ის „*ვეფხისტყაოსანს*“ ემთხვევა, ენობრივად, პოეტური სახეებითაც დიდად არის მისგან დავა-ლებული. თანაც აქვე ვხვდებით ე. წ. „*აღორძინების ხანის*“ ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ ნიშნებსაც. ესაა სევდისა და სოფლის გმობის მოტივის წინ წამოწევა, ომონიმური რითმებისაკენ სწრაფვა და ა. შ. აქა-იქ ვხვდებით სამშობლოს დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებასაც, რაც ემიგრანტული ლიტერატურისათვის ნიშანდობლივია:

„მოვშორდი საგაზრდილოსა, სახლი მაქვს ოხერვერანი,
აწ მმართებს მისა მგონესა ძაძა და ამოწერანი“
(გვ. 207).

სავარაუდოა, ონანა, როგორც სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი, კალიგრაფიულ საქმიანობასაც ეწეოდა. მიჩნეულია, მისი გადაწერილია თეიმურაზ პირველის თხზულებათა საუკეთესო კრებული[10] S 403.

დიმიტრი (დემეტრე) ორბელიანი[1]

არის შვილი დიდი ფეოდალის, ქართლის მდივანბეგის ვახტანგისა და უმცროსი ძმა სწორუპოვარი ქართველი მეიგავარაკისა და ლექსიკოგრაფის სულხან-საბასი. დაბადებული

---

[10] თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული..., ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს რედაქციით, ტფ., 1934, გვ. 011.

[1] ვრცლად მის შესახებ იხ: ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დიმიტრი ორბელიანი, წიგნში: სულხან-საბა ორბელიანი, 1658—1958, საიუბილეო კრებული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1959, გვ. 151—175. საკმაოდ ვრცლად მიმოიხილავს გ. მ ი ქ ა ძ ე (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 599 — 604).

ჩანს XVII საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს სოფელ ტანძიაში. მამამისის სწავლა-განათლების სიყვარულმა, მწერლობის მეცნატობამ და ბიბლიოფილობამ მასზეც მოახდინა გავლენა. მანაც თავისი უფროსი მწიგნობარი ძმების — სულხან-საბას, ზაალ-ზოსიმეს, ნიკოლოზ ტფილელისა და სხვათა მსგავსად, იმ დროის შესაფერისი საფუძვლიანი განათლება მიიღო.

დიმიტრის ახლო ნათესაური კავშირი ჰქონდა ქართლის მეფეებთან, არჩილი, გიორგი XI, ვახტანგ მეექვსის მამა ლევანი მისი მამიდაშვილები იყვნენ. ვახტანგ მეექვსეს შემდეგში სხვა მხრივაც დაუახლოვდა: ცოლად შეირთო მისი ცოლისდა, ჩერქეზთა ბატონის ასული მარიამი, და მრავალი წლის განმავლობაში დედოფლის სახლთუხუცესის თანამდებობა ეჭირა.

1724 წელს თავისი ოჯახითურთ დიმიტრიც გაჰყვა ვახტანგს რუსეთის ემიგრაციაში. 1726 წელს მოსკოვში ჩავიდა და პრესნაზე დამკვიდრდა. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ქართულ ჰუსართა ასეულში დაბალი ოფიცრის ჩინით ჩაირიცხა და უკრაინაში საცხოვრებლად ადგილი მიიღო. როგორც დიდგვაროვანი თავადი და მეფის ქვისლი, ის ამ მდგომარეობით უკმაყოფილო იყო და დაიწყო ბრძოლა ყიზლარში გადასვლისათვის, მაგრამ არ დასცალდა — 1739 წლის 6 თებერვალს გარდაიცვალა.

დ. ორბელიანი, თავისი ოჯახის ტრადიციისამებრ, მწერალი და მწიგნობარია. მან ცალკე კრებულად შეადგინა და გადაწერა ვახტანგ მეექვსის პოეტურ თხზულებათა ბოლო რედაქცია (S 171). თავისთვის თავის ძმა ზოსიმეს დაუკვეთა და დაამზადებინა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, სულხან-საბას უძღვნა ორი ლექსი, რომლებიც მისი ლექსიკონის ნუსხებშია ჩაწერილი. ერთი ოთხსტრიქონიანია, დაწერილია 1715—1716 წლებში და შეიცავს ამ სწორუპოვარი ნაშრომისა და მისი ავტორის ქებას:

„ვის ძალუძს საბას სწორება, თუ ვსტყუი, ესე ამარტოს,
კითხვა, წერა და გამოთქმა სრულად მას ჰქონდა ა მარტოს,
სირვანდად ასხის სიტყუანი, ვით მძივი ძაფზე ამარტოს,
და ხეს ძირნი მიწას არ ებნეს, ნაყოფს ვით ისთვლი ამა

რტოს?“[2]

მეორე ხუთსტროფიანია, დაწერილია სულხან-საბას გარდაცვალების შემდეგ ნაწილ-ნაწილ, სხვადასხვა დროს და მისი ლექსიკონის ქებასთან ერთად გადმოგვცემს იმ მძაფრ სულიერ განცდებს, რაც მასში ამ უახლოესი ადამიანისა და უდიდესი მოღვაწის გარდაცვალებას გამოუწვევია:

„სიბრძნის ტრფიალთა დამზირონ, რასა სწერს სულხან-
საბანი,
მოსურნეთ გემასპინძლებათ, გიშლიათ სნატის საბანი,
ჭირით მოისთვლო, ლხინ გიდვათ, არ ღაწვი ცრემლით
საბანი,

და რადგან მომშორდა, ჭმუნვა მაქვს და ზრუნვა გულთა
საბანი.

ვაჲ მმართებს, რადგან დავკარგე, ვინ მიმატებდა
იგავსა...
ბედმან მიმუხთლა, არ მომხუდა მისის სიბრძნისა
იგავსა...

საბა ძმად ნეტარხსენებით მომშორდა ხანსა გრძელადო,
კავშირთ დაჰხსნამდე თვით თავით საქმე ქმნის ყველა
ქველადო...

თუ ვისმე გწადის ეს წიგნი- ეგრე გმატსთ- ვითა
რუსთველსა-
ფრიად მაშურალი მუშაკი მოკუდა- დაეფლა რუსთ
ველსა“[3].

---

[2] ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957, გვ. 8- 50.

[3] ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ნარკვევები..., I, სტალინირი, 1955, გვ. 129.

ეპოქის შესაბამისად, დიმიტრის დაუწერია ვრცელი სასულიერო შინაარსის ლექსი და ორი ანბანთქება. პირველში გალექსილია სახარების ეპიზოდები – ხარება, შობა, მირქმა, ნათლისღება, ფერისცვალება, ბზობა, ვნება, აღდგომა, ამაღლება და სხვა[4].

ერთი ანბანთქება ერთსტროფიანია, რომელში სიტყვები ანბანის რიგზეა დალაგებული და ქალის სილამაზეს გადმოგვცემს:

„**ა**ხ **ბ**აგე **გ**უგით **დ**ამწველო **ე**ს **ვ**ინ **ზ**ი **ჭ**, **თ**მით
ინებო,
კბილ **ლ**ამაზ მანგად **ნ**ათელო **ო**მ **პ**აემანთა
ჟინებო...“
(Q 548, 131 r).

ჩვენში ამ ტიპის ანბანთქების შემომღებად სულხან-საბა ითვლება.

მეორე ანბანთქება ვრცელი, 36-სტროფიანია და თავისებური აგებულებისა არის, რომელიც ავტორს ხალხში (მესხეთში) გავრცელებული თამაშობის მიხედვით ყმაწვილკაცობაში შეუთხზავს. ყოველ სტროფში, რომლებიც თითოეულ ასო-ნიშანს ეძღვნება, პასუხი აქვს გაცემული კითხვებს: ვინ არის, საიდან სად მიდის, რა მასალისაგან დამზადებული მშვილდ-ისარი აქვს, რომელი ცხოველი ან ფრინველი უნდა მოკლას, სად მოარტყას ისარი და სხვა. თუ პირველ სტროფში ყველაფერი ეს **ა**ნზეა ჩამოთვლილი, მეორე სტროფი **ბ**ანს ეთმობა, მესამე **გ**ანს და ა. შ. პირველი პასუხის ნიმუშია:

ანის ქალაქით წამოველ **ა**ლავერდისკენ რებული,
არჩილის მოყმე **ა**ვთანდილ, ცეცხლი მისგან მაქვს
ვსებული,
ალუჩის მშვილდი მიჭირავს, **ა**რყის ისარი
წებული,

[4] A 1432 (11 r–15 v), A 1735 (124 r – 125 v), s 3706 (104 r– 112 v) და სხვა.

ალალს ვკრა აფსკას ქუც დავცე, მოისრედ ვიყო
ქებული“ (H 1103, 1 r).

დ. ორბელიანის შემოქმედებაში და, საერთოდ, ძველ ქართულ მწერლობაში გამორჩეულია ლექსად და პროზად, ანუ „შიგ ჩართვის“ პრინციპით, შეთხზული ეპისტოლური სახის ნაწარმოები „ცოლთან მიწერილი ალერსი გაურისათვის“[5], სადაც ის მეუღლისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და მასთან განშორებით გამოწვეულ უღრმეს სევდასა და მწუხარებას გვიხატავს. თხზულება ეპისტოლეთათვის დამახასიათებელი მაღალფარდოვანი სტილით იწყება: „აღვიძრობ შუბლზე კანსა და ჩინურისა ეტრატსა შევმზადებ, მოვიდგამ შენისა სიშორითა ბნელქმნულსა გულსა ჩემსა მელნისა ჭურჭლად, აღვიღებ ლელწამსა შენისა ტანისა მოხარულსა, აღმოვაწებ ნაღველთა შინა ჩემთა და ორენას კაცსავით ვალაპარაკებ კალამსა. და ვჰსწერ შენსა და ჩემსა გაურისა შეჯირვებასა“.

ეს სტილი ბოლომდე გასდევს ნაწარმოებს, თუმცა იქვეა ხალხურ კილოზე შექმნილი ლექსიც:

„ჩემო აია, მომხუდა ვაია,
შენსა გაყრილსა მათრევს ნავია,
ღამეს ვინ ჰსჩივის, დღეცა შავია,
რასათვის მტანჯავ, დაჰსცხერ, კაია“ (გვ. 227).

ავტორი აღმოსავლური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხით ამკობს მეუღლეს: „შენ ჩემის სიშორისათვის ჩემთვის დამწუელს, ქაღალდს რა ვნახავ, შენ გამოგჰსახავ. მელანი შენთა თუალთა წუალი მგონია. **ონს** წარბად ვუწოდ **სანს** წამწამად, **მანი** უურად მეჩვენება და **ტარი** წინამოსავით დაგრეხილა, ხოლო რაე შენს მიხრა-მოხრით სლუას მაჩუვენებს“ (გვ. 228).

---

[5] გამოაქვეყნა ალ. ბარამიძემ ია ეკალაძის მიერ გამოცემული ანთოლოგიის მეორე წიგნში (1928, გვ. 227–229). სხვა პუბლიკაციები აქედან არის გადაბეჭდილი.

ნაწარმოებში არ ჩანს, თუ სად ან რის გამო მოხდა ეს განშორება. სამართლიანი არ იქნება, ეჭვი შევიტანოთ ავტორის მონათხრობის რეალურობაში, მაგრამ, ვინაიდან ქართული ყოფა და სიტყვაკაზმული მწერლობა მეუღლეობრივი ტრფიალების ჩვენებას ერიდება, ადვილი შესაძლებელია, ეს თხზულება გარკველწილად შთაგონებული იყოს მ. ბარათაშვილის „ჭაშნიკის“ მოთხოვნით, „თუ ქალის აშიყობაზე გინდა, ცოლქმრობის სიყვარულზედა თქვი და იმის გზაზე“.

დ. ორბელიანი თავისი ეპოქის მწერლურ მოთხოვნებს იმითაც უსწორებს მხარს, რომ ქმნის 10-მარცვლიან და ომონიმურრითმიან ლექსებს.

თომა ბარათაშვილი

თომა ავთანდილის ძე ბარათაშვილი მამუკა ბარათაშვილის ძმა არის. მის შესახებ მოიპოვება შემდეგი ცნობები[1]: ზედმეტ სახელად „კანჭა თომას“ ეძახდნენ და „კანჭაშვილადაც“ იხსენიება. 1721 წელს ცხოვრობს ალგეთში, მებატონეა და ჰყავს ყმები.

1724 წელს თავის ორ ძმასთან (მამუკასა და ზაალთან) ერთად ერთი მსახურის თანხლებით ვახტანგ მეექვსეს გაჰყვა რუსეთში. ირიცხებოდა ბაქარის ჯგუფში. ერთხანს, ვიდრე ურთიერთობა გაუფუჭდებოდა, ცხოვრობდა ვახტანგ მეექვსის ძესთან — გიორგი ბატონიშვილთან. 1730—1731 წლებში საბუთებს აგროვებს და ემზადება სამშობლოში წამოსასვლელად. 1736 წლის თებერვალში საქართველოშია (ალბათ, მეორედ ჩამოვიდა). 1738 წლიდან ისევ რუსეთშია და ვახმისტრის ჩინით სამსახურს იწყებს საგარეო სა-

---

[1] რუსეთში დაცული ცნობები მოიპოვა და გამოაქვეყნა ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960 № 3, გვ. 133—151). უფრო ადრე მნიშვნელოვანი მასალები გამოავლინა გ. მ ი ქ ა ძ ე მ (გაზეთები: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951, № 46; „ახალგაზრდა სტალინელი“, 1957, № 20), რომლებიც აისახა წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, 1966, გვ. 591 — 593.

ქმეთა კოლეგიაში დიპლომატ-შიკრიკის თანამდებობაზე. უცხო ენებიდან იცის სპარსული და რუსული. 1740–1741 წლებში დიპლომატიურ საქმეებზე სამჯერ მიავლინეს ისპაჰანსა და დერბენტში (ცოლის რუსეთში წასაყვანად დერბენტიდან საქართველოშიაც ჩამოსულა). 1741 წელს წესდების დარღვევის გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს. 1747 წელს ისევ დანიშნეს იმავე თანამდებობაზე. 1748 წელს ეძლევა ჰუსართა პოლკის პორუჩიკის ჩინი. ამავე წელს სენატს სთხოვს და ღებულობს თანხმობას ასტრახანში დასახლებაზე, მაგრამ ეს გადაწყვეტილება აღარ შეუსრულებია. 1754 წელს დაუმტკიცდა თავადობა და მიეცა ჰუსართა პოლკის კაპიტნის ჩინი, თუმცა არ ჩანს, მოქმედ არმიაში როდესმე ემსახუროს. იმავე წელს აზიური ჯიშის ცხენების შესაძენად ჩამოდის საქართველოში. მოიარა ქართლი, კახეთი, ახალციხე, იმერეთი, ოდიში, გურია და დავალების შესრულებასთან ერთად აღწერა და თავის სამსახურს მიაწოდა აქ ნანახი და გაგონილი ამბები, აგრეთვე — თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის 1755 წლის 14 მაისს დაწერილი წერილები. ასევე წაიღო ქართველი დედოფლის, ანას, მიერ რუსეთის დედოფალ ელისაბედისადმი გაგზავნილი საჩუქარი და წერილი. 1756 წელს იდგა საკითხი ყიზლარში მის მივლინებაზე, რათა იქ ქართული ჰუსართა პოლკისათვის შეეგროვებინა და წამოეყვანა თავისუფალი ქართველები. 1757 წელს კვლავ ჩამოდის საქართველოში რუსეთის მეფის კაბინეტისათვის ცხენების შესასყიდად. ყიზლარში რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისათვის წერს ვრცელ დაზვერვითი ხასიათის მოხსენებით ბარათს აზატხანის მიერ ქართლის წი-ნააღმდეგ დაღესტნელთა ამხედრების თაობაზე.

1758 წელს გარდაიცვალა მოსკოვში.

თომა ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობიდან სამიოდე ლექსია ცნობილი[2]. ყველაზე დიდი, 12-სტროფიანი ლექსი, რომ-

---

[2] პირველი („ექსორიანი") პირველად გამოაქვეყნა გ. მ ი ქ ა ძ ე მ („ახალგაზრდა სტალინელი", 1957, №20), მეორე (ორსტროფიანი) — ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე მ (ნარკვევები, III, 1952, გვ. 295), მესამე — გ. ლ ე ო ნ ი ძ ე მ („ჭაშნიკი" მამუკა ბარათაშვილისა, 1920).

ელსაც სათაურად აქვს „*ექსორიანი*“, გამოხატავს ავტორის მძიმე სულიერ განწყობილებას, რაც თავის მფარველ და ყოველმხრივ პატრონ გიორგი ბატონიშვილთან კონფლიქტსა და მასთან დაშორებას გამოუწვევია. პირველ სტრიქონშივე გვაუწყებს:

„ექსორიანი ვუწოდე ამ წერილს ჩემგან თქმულებსა“.

განხეთქილებისა და გაძევების მიზეზი შური და ენატანიობა ყოფილა, რასაც შეთქმულების სახე მიულია:

„ექსორი მიყვეს, კრება ჰქმნეს, არჩივეს ჩემი გდებანი,
ავის ენის და ბეზღობით ჰყვეს ჩემი ამოგდებანი...“ (2. 1–2).

„შურმან სანთელი წამართუა და შემქმნა ერთობ ბნელია“
(3. 4)..
„მაბეზღარი რომ არ მყავდეს, მე ის როდი გამიყრისა“ (11. 3).

პოეტი სინანულითა და ტირილით იგონებს იმ სიახლოვესა და უშუალობას, რომელსაც **გიორგი ბატონიშვილი** მის მიმართ იჩენდა:

„აღარც ხელს მხარზე გადამდებ, არც ყურში მეჩურჩულები,
რა ეს დღე მომაგონდება, ღაწვი მაქვს ცრემლით რწყულები“
(6. 3–4).

მწერალი უკიდურეს სინანულს განიცდის, თავს დამნაშავედაც გრძნობს და სიკვდილს ნატრობს:

„ნაღვლად შესცვალა შარბათი და დამამწარა ლხინები,
ცოდვის ჯურღმულში ჩამაგდო, გულს გავა ლახვარ-
რკინები“ (7. 3–4).
„სჯობს მიმიბაროს მიწამან, რადგან სიკვდილი მმართებსა“
(9. 4).

სამივე ს. ყუბანეიშვილმა დაურთო თავის გამოკვლევას (დასახელებული „მოამბე“, გვ. 145–151).

თომა ბარათაშვილიც ამ უბედურებას ადამიანის ცოდვილიანობასა და სოფლის გაუტანლობის თვისებას აბრალებს:

„სოფელმან პატრონს გამყარა, დღენი მითენა შავები...“
(5. 2).
„ვაი, ცოდვამ მიმცა სოფელსა და დამიკვნესა გულები“ (6. 1).
„ცოდვამ დაჰფარა თვალი და დამიბრმავა ჩინები...“ (7. 1).
„ჩემ(მ)ა ცოდვამ აკანათში თავი ამად გამიყო, და...“ (12. 1).

პოეტი განაჩენს ღვთისგან მოელის და იმედი აქვს, ზენაარი დამნაშავეებს თავისას მიუზღავს:

„ვინც რომ გამყარა, რისხვევდეს, ვინცა იქმს სასწაულებსა“
(1. 4).
„მან სამართალი მაღირსოს, ვინ არის ცათა მპყრობელად“
(4,.4).
„ხრისტე არის ამომგდები ავის კაცის ოჯახისა“ (11. 4).

მეორე ლექსიც, რომელიც ორსტროფიანი და უსათაუროა, ამავე თემას – გიორგი ბატონიშვილთან გაყრას – ეძღვნება. აქაც იგივე მწარე წუხილია:

„მღვთისგან კეთილად შობილი გიორგი მეფის ძეო, და...
თუცა არა ვჭვრეტ, გავხმები, დაცხრების ჩემ წილ მზეო,
და...“

ავტორი ღმერთს შესთხოვს:

„...პა(ა)ტრონისთვის თავი ჩემი გ(ან)ამტვეროს, დანაცაროს,
არ გამყაროს, მაჭვრეტინოს, ზენა(ა)არმანც დანაცაროს...“

მესამე, ასევე უსათაურო ერთსტროფიან ლექსში, რომელიც ძმის, მამუკას, გალექსილ „*ჯიმშედიანის*“ ნუსხაზეა მიწერილი, საწუთროს თვითნებობასა და ვერაგობაზეა საუბარი:

„ბარათაშვილის თომასგან ისმინეთ ამა თქმულება:
რამთენიც დავყოთ ამ სოფელს, დღეს ვნახავთ

ნაკვნესულებსა...
თვითონ რაცა სწადს, იმას იქს, ჩვენ ამოგვართომს
სულებსა“.

თომა ბარათაშვილი თავის წრეში პოპულარული პოეტი ყოფილა. მას სხვა ლექსებიც ჰქონია. ამას ადასტურებს დავით გურამიშვილი, რომელიც ლექსის ერთ სახეობაში დასესხებია მას და მოწიწებით აღნიშნავს:

„თომავ, დავით მეო, ამ წიგნს მოგართმეო,
წაიკითხე, შენ გასინჯე, კარგად შეიტყეო,
რომელი კმა შენ შეგეწყო, მეც ეს შევაწყეო,
თუ რამ შენთვის მამეპაროს, შენთვის გარდიწყეო...
შენს ქალთა-მზეს ბევრითა სჯობს ჩემი მზეთა-მზეო...
გამოვარჩივე მე იფქლი, შენ შახვეტე ბზეო,
ჩემს თეთრს თულუნს არვინ გაცვლის შენს შავს არაბზეო“[3].

თომა ბარათაშვილის მოღწეული ლექსები 16-მარცვლოვანი შაირითაა შესრულებული და არ ჩანს როგორც, საზოგადოდ, დ. გურამიშვილის აღნიშნული *„ხმის“*, ისე კონკრეტული ლექსი *„ქალთა მზის“* შესახებ. რაც შეეხება განხილული ლექსების ღირსებებს, ისინი შესრულებულია მსუბუქი, სხარტი და ნათელი ენით, პოეტიკურად (იყენებს ომონიმურ რითმებსაც) და თემატიკურად ეხმიანებიან XVIII საუკუნის რუსეთში შექმნილ ქართულ ემიგრანტულ პოეზიას.

დიმიტრი სააკაძე

დიმიტრი სააკაძეც ვახტანგ მეექვსის მხლებელთა მოსკოვის ქართული კოლონიის წევრია[1]. საქართველოს ისტორიაში XVII

---

[3] „დავითიანი“, 1955, სტრ. 394 – 397.

[1] მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მონოგრაფიულად შეისწავლა და პოეტური მემკვიდრეობა გამოაქვეყნა დ. ბ რ ე გ ა ძ ე მ (ქართველი მწერლები რუსეთში, I, გვ. 276–301. ნარკვევი მეორედ დაბეჭდა წიგნში: ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთში, 1979, გვ. 140–158). საგ-

საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის 80-იან წლებამდე რამდენიმე დიმიტრი (დემეტრე) სააკაძე ჩანს. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისით, პოეტად მიჩნეულია რუსეთში მყოფი ის დიმიტრი სააკაძე, რომლის შვილთაშვილის, პეტრე პეტრეს ძე სააკაძის, მიერ 1854 წელს მემკვიდრეობის დასადგენად აღძრული საქმის მიხედვით, შთამომავალია დიდი მოურავის, გიორგი სააკაძისა; მამამისის სახელია ვასილი და ჰყავს ორი შვილი — დავითი და ელისაბედი. დიდი მოურავის მემკვიდრეობასა და ვაჟიშვილ დავითის არსებობას მხარს უჭერს გიორგი XII-ის მიერ 1800 წლის დამდეგს ამავე დავითისადმი მიცემული სიგელი. დიმიტრის ლექსების სათაურშიც ის ვასილის ძედ არის მოხსენიებული. რ. ფირცხალაიშვილის გამოკვლევით, პოეტი დიმიტრი სააკაძე გიორგი სააკაძის პირდაპირი შთამომავალი (მოურავიშვილი) არ არის, მაგრამ წარმომავალია მისი წინაპრის (ბაბათაშვილის) საგვარეულო შტოსი. ნათესაურად იგი უფრო ახლოა იოსებ სააკაძე-თბილელთან, ვიდრე დიდ მოურავთან. მამამისის სახელია შიო, რომელიც რუსულად გადაკეთდა ვასილად (შიო/სიო→ვასილი). საქართველოში დატოვებული ჰყავს პირველი შვილი შიოშ[2].

1713 წელს დიმიტრი სააკაძის მიერ შედგენილი ნასყიდობის საბუთისა და მისი თარიღიდან გამომდინარე მიღებულია, რომ ეს არის საძიებელი პოეტი და დაბადებულია XVII საუკუნის ბოლოს.

ანგებოდ განიხილავენ: ალ. ბარამიძე (ნარკვევები..., II, თბ., 1940, გვ. 462—465); გ. მიქაძე (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 607—610); ნ. მახათაძე („უწყებაჲ და კსენებაჲ“, თბ., 1996, გვ. 61—78) და სხვები.

[2] რიმა ფირცხალაიშვილი, იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბ., 1978, გვ. 44 — 54.

ტ. რუხაძე პოეტად მიიჩნევდა დემეტრე ბახუტას ძე სააკაძეს (მისი: ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVII სს), თბ., 1960, გვ. 84-210); „დავითიანი“, 1955, სტრ. 394 — 397.

რუსეთში დაწერილ ლექსებში ავტორი მონატრებით იხსენებს სოფელ ბობნავს და ოცნებობს მასზე:

„მე მექადის ეს სოფელი, ველარ მიხვალ ბობნავშიო!“
(ბარათი ბ),
„მაშინ იცნობთ ბობნავშია, როცა ნახავთ სააკაძეს“ (ლე).

ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, სოფელ ბობნავიდან არის.

1726 წლის სიგელის მიხედვით, საქართველოში იმყოფება. 1737 წელს შედგენილ ვახტანგის მხლებელთა სიაში კი აღნიშნულია, რომ 1734 წელს ჩასულა მოსკოვში. სხვა ცნობით, 1741 წელს შესულა სამხედრო სამსახურში. შესაძლებელია, იმდროინდელ სინამდვილეს ასახავდეს მის ლექსში ნახსენები დილეგში ჯდომა:

„მე უგუნური არ გახლდი, მაგრამ აწე ვარ ხელია,
დილეგში ხანგრძლივ ჯდომითა სრულ ცნობა გამომელია“
(დ).

ლექსებიდანვე ვგებულობთ, ბოლოჟამს ცხოვრობდა მოსკოვში — ჯერ პრესნასა და შემდეგ ვსესვიატსკოეში. ლექსებშივე უჩივის სიბერეს. ამ და მის მიერ გადაწერილი ნუხის დათარიღების მიხედვით, მიჩნეულია: გარდაცვლილი უნდა იყოს XVIII საუკუნის 80-იან წლებში.

გარდა იურიდიული საბუთისა, ცნობილია დ. სააკაძის მიერ გადაწერილი რამდენიმე ხელნაწერი[3]. თავის გადაწერილ ან წაკითხულ ნუსხებში ზოგჯერ ურთავს შენიშვნებსა და თითოსტროფიან ლექსებს[4]. ამ გამონაკლისის გარდა, არ მოგვეპოვება

---

[3] კერძოდ, არჩილისა (A 586) და სარიდან ჩოლოყაშვილის (A 293, H 2319) თარგმანები.

[4] დიმიტრი ბაგრატიონისადმი უნდა იყოს მიძღვნილი ერთსტროფიანი ლექსი, რომელიც გ. ავალიშვილის ანთოლოგიაში არ შესულა და სანკტ-პეტერბურგის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხაზეა (№ 14) მიწერილი: „დიმიტრი, მელშის დიმიტრის მე შენი უშენობანი...“. იქვე მიწერილია: „ღმერთო, შეიწუალე

მისი უმთავრესი ლექსების ავტოგრაფები. ისინი შემოგვინახა გიორგი ავალიშვილის ანთოლოგიამ (S 303). აქედან განხორციელდა მისი პოეტური მემკვიდრეობის პუბლიკაციაც[5].

პოეტს ახლო ურთიერთობა ჰქონია ვახტანგ მეექვსის ვაჟ გიორგი ბატონიშვილთან, პოეტებთან – დიმიტრი ბაგრატიონსა და მამუკა გურამიშვილთან. მისი ლექსების უმრავლესობაც მათდამი მიწერილი ბარათების სახით არის შესრულებული. ხვდებოდა და თავის ლექსებში ახსენებს დავით გურამიშვილსაც. მხოლოდ ორიოდე ნაწარმოებია, რომლებიც არავის მიემართება.

ერთ მათგანში გადმოცემულია ძვირფასი თვლების, „ანთრაკისა“ და „იაკინთის“, დაკარგვით გამოწვეული გოდება (გვ. 276–279):

„მოვთქვამ ჩემსა სასურველსა ანთრაკსა და ალმას
სრულსა...
ვინ მაჩვენებს დაკარგულსა, მისთვის დავსდებ სულსა,
გულსა“ (276).

„მათ ველარ ვხედავ უბადო, შუქსა რას ვაქნევ მზისასა,
ვაი, შორს მყოფსა, ვამეო, ლამაზის თვალებისასა!“ (277).

მსგავსად ვახტანგ მეექვსის „*ვახტანგურისა*“ („*ორი მისი თვალი – ორი ჯერანი...*“), ეს ლექსიც ქრისტიანულ სიმბოლურ-

---

ამისი დამწერი კნიაზ დიმიტრი სა(ა)კაძე“ (ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, წერილები და გამოკვლევები, I, თბ., 1984, გვ. 467).

აღნიშნული მინაწერი, რომელიც ლექსს ეხება, ლ. ტატიშვილს მთელ ხელნაწერზე ნათქვამად ესახება და დ. საკაძეს „ვეფხისტყაოსნის“ ამ ნუსხის გადამწერად მიიჩნევს, რაც არასწორია (ლ ა მ ა რ ა ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერნი, თბილისი-კოპენჰაგენი, 2000, გვ. 196–197).

ალბათ, ეს მონაცემი აძლევდა საფუძველს დ. ბრეგაძეს, როცა წერდა: „როგორც ირკვევა, დიმიტრი ბაგრატიონის თხოვნით დიმიტრი საკაძეს გადაუწერია «ვეფხისტყაოსანიც»“ (გვ. 148).

[5] ამიტომ აქ არ შესულა ცალკეულ ხელნაწერებზე არსებული თითოსტროფიანი ლექსები.

ალეგორიული შინაარსისა უნდა იყოს და ასახავდეს სასუფევლის დაკარგვის შიშით გამოწვეულ მწუხარებას. დაკარგული ძვირფასი თვლები აქვს სატრფოს, ანუ ღმერთს:

„ამ თვალთა ნათლად ვუყურებ, ვითა ვარსკვლავსა ცისასა,
მას სამკაულად მიეცა, შუქს ვემონები ვისასა.
მონამცა ვიყო, ვისმენდე ბრძანებას მისის ხმისასა,
ვნახევდე სხივთა კრთოლვასა ლამაზის თვალებისასა“ (იქვე).

პოეტს მაინც მისი, ღვთის, იმედი აქვს, ვინც განმსჯელია და მის ცოდვილიანობას ხედავს:

„ვინცა მკლავს, იგივ მაცოცხლებს გულითა დანასულითა“
(278),

რადგანაც ის ეუბნება:

„ღირსი არა ხარ, არა გაქვს ბრწყინვა კამკამი დარითა,
ამად ნუ ნახავ, გიფარავ თვალთა გიშრისა ფარითა“
(იქვე).

დასასრულ, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილი მფარველობას სთხოვს მნათობებს, აქაც მწერალი ამავე მიზნით მიმართავს კრონოსს, მუშთარს, არიას, აფროდიტსა და ასპიროზს (279).

დანარჩენ ლექსებში ასახულია ქართველ ემიგრანტთა მაშინდელი ცხოვრება და საქმიანობა, ფიქრები და განწყობილებანი, ურთიერთდამოკიდებულება და მისწრაფებანი. თითქმის ყველა ლექსი ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევის გამოა შეთხზული და გულწრფელობითა და უშუალობით გამოირჩევა. ზოგ მათგანს აშკარად გასართობი, თავშესაქცევი დანიშნულება აქვს და სატირულ-იუმორისტული ფერებით არის შეზავებული. ისინი იმდენად პირადულია, ავტორი უწმაწურ გამოთქმებსაც არ ერიდება.

ცალკეულ ლექსებში გადმოცემულია ერთმანეთს შორის არსებული კინკლაობა, შუღლი და გაუტანლობა, რასაც ხშირად ენატანიობა იწვევდა. ასეთია ჩერქეზი ოქროქალასაგან მიყენე-

ბული უსიამოვნების გამომხატველი ლექსი (გვ. 280–281). ეს მანდილოსანი, შესაბამისად სახელისა, მომხიბლველი გარეგნობისა ყოფილა:

„ოქროქალა გძეს სახელად, ლამაზი გიჩანს კიჭია“.

მასთან სიახლოვეს პოეტისათვის გულისტკივილი მიუყენებია:

„ჩერქეზის ქალმან, მზად ჰქონდა, ლაფი დამასხა თავზედა“.

იმდენად გაუმწარებია, რომ მის მიმართ წყევლა–კრულვას აღავლენს :

„ღმერთო, მიაგე პასუხი, რომ არაოდეს ლხენოდეს,
ჩააგდე ჯოჯოხეთშია, იუდა ზედ ემღეროდეს“.

ოქროქალას ღალატს მწერალი აზოგადებს და ლექსის ბოლოს, საერთოდ, ქალთა გმობამდე მიდის:

„ნურვინ ენდობით დედაკაცს, ვისაც რომ ჩემი
გჯეროდეს,
თუ არ მოისმენთ, უთუოდ თქვენ ემსგავსებით ეროდეს,
პირველვე დაერიდენით, სანამდის დაგემტეროდეს...“.

პოეტი საყვედურს გამოთქვამს სხვა მანდილოსნების მიმართაც. დიმიტრი ბაგრატიონისადმი მიძღვნილ ლექსში წერს:

„იცით, მარია პავლოვნამ რა ხრიკი მიგდო ბოლოსა,
მან მომაშორა თქვენს კარსა, გარს ცეცხლი
მოუბოლოსა...“ (ბარათი **ზ**).

„გველსავით ენა შხამითა დააქვს და დაიარება...
უწყალოდ დაკლავს მრავალთა, სისხლითა ეზიარება...“
(**ლ**).

იმავე მარიასა და მისთანების ენაგესლიანობაზე პოეტი ჩივის სხვა ბარათებშიაც: „ენით მწარედ მე დამკოდეს...“, „ის დაემოწმა

ტეუილად...“, „გულზე მასვია ისარი მისის ენისა მწარისა“ და ა. შ. (იქვე). არაგვის ერისთავის ასულ როდამზე ამბობს:

„ენას ხმარობს კამათლადა, მაგის ენით გარდავარდი“ (ლბ).

მიუხედავად ქალებისადმი ამგვარი დამოკიდებულებისა, პოეტი გვერდს არ უვლის სატრფიალო განწყობილებისა და ამბების გადმოცემას. შთამბეჭდავად და საკმაოდ ორიგინალურად აღწერს ქალის სილამაზესა და მშვენიერებას:

„ჰე, მზეო, ვინ ხარ, სით მოხვალ? ჩვენ გაგვაშმაგე ყოველი,
ვისი ხარ ეგე ნათელი, ვარდი ცვარითა სოველი?
ლელწამო, შაქარს ვისთვის სწვიმ, ვითა ჰაერი მთოველი?
ლალის ბაგეთა დაძვრითა სიტყვასა რასმე მოველი.

ღაწვნი იაგუნდს მიგიგავს, ტანი – წყალს ჩამდინარესა,
პირი – მთვარესა გავსილსა, სრულ განანათლებ არესა...“
(თ).

სიყვარულის „ცეცხლით დამწვარი, დაგული“ პოეტი გულგრილობის გამო სატრფოს საყვედურით მიმართავს:

„...დიდსა და მცირეს ახარებ, ყველას ჰყოფ მოცინარესა,
მე ქაცვსა მიძღვნი ნიადაგ სალხენად საწყინარესა...“

დ. სააკაძის ზოგიერთ ლექსში აქა-იქ გადმოცემულია სისარული და სალხინო ამბები, რომლებიც ზოგან იუმორითაა შეზავებული:

„დაჯდა ნადიმად «ცარევნა», სმა ბრძანა დოსტაქანისა,
გასცა საჭურჭლე მრავალი, ლალი ბადახშის ქანისა,
«ბუტილკით» ღვინო დაგვიდგა, ვგონებ, რომ აწ ინანისა“ (კზ).

„დღესასწაული ვიხაროთ, ვევედრნეთ წმიდას პავლესა...“
(კთ).

„ციცისთან ვახლდი მამუკას, ცოტად რამ გავიხარეთა...
წარიქცა, მე თავს დავადეგ ცრემლს მოვადენდი მწარეთა...“
(მბ).

„თალარი ესე კეკლუცი, არესა დაამშვენებსა...
ლხინისა მოწადინეთა მრავალთა განუსვენებსა...“ (მდ).

დ. სააკაძის შემოქმედების ძირითადი და წამყვანი თემა სევდა-მწუხარება და სოფლის გმობაა, რაც აგრერიგად დამახასიათებელია ქართული ემიგრანტული პოეზიისათვის. პოეტი, ისე როგორც ქართველი ემიგრანტების დიდი ნაწილი, სიღატაკეში – უსმელ-უჭმელი, ჩაუცმელ-დაუხურავი, სიცივეში ცხოვრობს:

„აღარც შეშა მაქვს, ზამთარმან წამომაყარა ბუქია“.
„ჩულიც არა მაქვს საზამთროდ, გულსა მედება ალები“ (ვ).
„არცა გვაქვს სასმელ-საჭმელი და არცა ოქროს ზოდია“ (ი).

მეორე მხრივ, მწერალს ტანჯავს სიბერე და უძლურება: „სიბერით დასუსტებული ცრემლსა ვღვრი ღაჰა-ღუჰებსა“ (ვ), „სიბერით მოვუსუსურდი“ (ლე), „თმა გამითეთრდა, კბილი დამცვივდა, კიჟი დამიდგა, იქმს ვეღარასა..., სიკვდილს მოველი...“ (მა) და სხვა.

დ. სააკაძე, ისე როგორც მის გვერდით მყოფი ქართველები, განსაკუთრებით მწვავედ განიცდის მამაპაპეული სამკვიდროს, მშობლიური კერის დაკარგვასა და უცხო ქვეყანაში გადმოხვეწას:

„სიყრმით ჩემით ბედით კრული სამყოფთაგან გამომაძეს...“ (ლე).

„მე ესე მიყო სოფელმან, გამხადა უნაწილოსა,
სამკვიდროსაგან აღმომფხვრა, მომაგდო აქა ჩრდილოსა...“ (ლვ).

„სვე და ბედმა მუხანათმან სამყოფთაგან აღმოგვხოცა.
სამყოფთაგან იავარ-გვყო, სიზმარშიაც არ გვეოცა...

ჩვენ მოგვივლინა უფალმან პირველ მოსესგან თქმულები,
სამკვიდროსაგან განგვასხნა, სხვაგან გვქმნა დაკარგულები,
რუსეთს მოვედით, ყინვითა გულსა გვაჩნია წყლულები,
აქაც შევსცდით და დავკარგეთ გული, ცნობა და სულები“ (მბ).

მისთვის იმდენად გაუსაძლისია რუსეთში ხიზნობა, რომ არ ერიდება განაცხადოს:

„სწყეველეთ, ვინც რომ მოვიდა პირველ რუსეთის მხარეთა“ (იქვე).

მწერალი ყოველივე ამ ძნელბედობას სოფლის სიჭრელით, მუხანათობითა და გაუტანლობით ხსნის და ხშირად უჩივის და გმობს მას:

„მიწყივ მბრუნავმან სოფელმან მიმუხთლის, რაც რომ ვინები“ (ე).

„ერთხელ მეც გახლდი მამაცი, ჩემთა მებრძოლთა მზარავი,
შორით მომცემდენ სალამსა, ქარი მიქროდა არავი...
ბოლოს მიმუხთლა სოფელმან, გამხადა გაუხარავი“ (იქვე).

„ესე სოფელი ცრუთა მყოფელი, მბრუნავი ვითა კამათელია,
მიმყოლი მისი – მტერი თავისი უგუნურთაგან უფრო ხელია...“ (გ).

„რა რომ კაცი უბედობით სოფლის ბადით დაებადოს,
მყისვე შექმნას მწუხარება, რა მის ბადით დაებადოს...“ (იდ).

„ზოგს ასე სჯის ეს სოფელი, ზოგს სამეფოს ტახტზედ ვამსა...“ (თ).

„მუხანათმა ამ სოფელმა მე მომიდგა ესრეთ ბადე...“ (კა) და სხვა.

დ. სააკაძის ლექსთა უმრავლესობა 16-მარცვლოვანი შაირითაა შესრულებული, ეპოქის შესაბამისად, ურევს ჩახრუხაულსა და ფისტიკაურ სტროფებს (გ, კც, მა), ზოგჯერ მიმართავს ომონიმურ რითმებსაც (გვ. 281, ბარათები: თ, იდ, იე, ით, კგ, კზ, კთ, ლთ). შეიმჩნევა „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა, აქა-იქ გამოყენებულია რუსული ლექსიკა.

დიმიტრი ბაგრატიონი

დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონი არის ქართლის მეფე იესეს შვილიშვილი და ვახტანგ მეექვსის ძმისწულის შვილი[1]. დაიბადა 1746 წელს საქართველოში. აქვე გაატარა ბავშვობა და ყმაწვილკაცობა. 1764 წელს მონაწილეობა მიიღო ერეკლე მეორის საწინააღმდეგო პოლიტიკურ შეთქმულებაში, რომელიც ქართლის ბაგრატიონთა შთამომავლებმა ვახტანგ მეექვსის ძე პაატა ბატონიშვილის მეთაურობით მამაპაპური სამეფო ტახტის დასაბრუნებლად მოაწყვეს. ამისთვის ის საქართველოდან გააძევეს. ერთხანს იმყოფებოდა ყიზლარში. 1767 წელს, როდესაც რუსეთის იმპერატორის ნებართვა მიიღო, მოსკოვს გაემგზავრა და იქ ცხოვრობს. როგორც ბევრი სხვა ქართველი ემიგრანტი, ისიც სამხედრო სამსახურში შედის და კაპიტნის ჩინამდე წინაურდება. 1791 წელს ეკიდება ოჯახს. 1805 წელს ითხოვს საქართველოში დატოვებული მამულების დაბრუნებას და სანაცვლოდ ღებულობს ფულად ანაზღაურებას. მონაწილეობს ამავე წელს გამოსულ *„სადღესასწაულო თვენის“* გამოცემაში. 1826 წელს გარდაიცვალა და დაასაფლავეს ვესვიატსკოეს ქართველთა სასაფლაოზე.

დ. ბაგრატიონი იმ მცირერიცხოვან ძველ ქართველ მწერლებს განეკუთვნება, რომელთა ავტოგრაფებმა ჩვენამდე მოაღწია. უფრო მეტიც, ერთ-ერთი პირველთაგანია მათ შორის, რომელთაც თავიანთი ნაწარმოები ბეჭდური სახით იხილეს. ას-

---

[1] გარდა ქართული ლიტერატურის ისტორიებისა, დ. ბაგრატიონზე გამოქვეყნებული ნაშრომებიდან აღსანიშნავია: ნ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, ჟურნალი „ცისკარი“, ჟურ, „ჩვენი თაობა“, 1937, № 8, გვ. 61–63; ტ. რ უ ხ ა ძ ე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, თბ., 1939, გვ. 116–133; მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ფოლკლორული ჩანაწერები ლენინგრადში, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1948, № V, გვ. 102–103, 110–116; რ. ნ ა კ ა შ ი ძ ე, დიმიტრი ბაგრატიონი (ბიოგრაფიული ნარკვევი), „მაცნე“, 1967, № 3, გვ. 160–167; მ ი ს ი ვ ე, შესავალი წერილი წიგნისა: დ ი მ ი ტ რ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დიმიტრიანი (ლექსები და პოემები), გამოსაცემად მოამზადა რარა ნ ა კ ა შ ი ძ ე მ, თბ, 1978, გვ. 3–24.

ეთი ბედი ერგო მის პოემას „*წამება ქეთევან დედოფლისა*“, რომელიც პეტერბურგში გამოქვეყნდა 1819 წელს.

დ. ბაგრატიონის მწერლური შემოქმედება საკმაოდ უხვი და მრავალფეროვანია. ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. რუსული ენიდან თარგმნა ამავე ენაზე გადმოღებული სამუელ რაბინის „*ოქროს აღნასკვი*“ და გეოგრაფიული ნაშრომი „*განყოფა ევროპის იმპერატორთ სახლისა*“. მან თავისი ორიგინალური პოეტური მემკვიდრეობა ერთ ხელნაწერ კრებულად გააერთიანა და მას „*დიმიტრიანი*“ უწოდა[2].

მის ლექსებში, როგორც ეს ჩვენი ემიგრანტული პოეზიისათვისაა ნიშანდობლივი, მძლავრად გაისმის სევდა და მწუხარება, ჩივილი და მოთქმა სოფლის სიმუხთლესა და გაუტანლობაზე. ასეთია ლექსები: „შორით მომესმა ხმა გოდებისა“, „«ეი, რა ვნახეს» ხმაზედ თქმული“, „მდურვა სოფლისა“, „სოფლის მდურვა სიბერისათვის“.

ლექსში „მდურვა სოფლისა“ მძაფრად ისმის სულიერი ტკივილი, წუხილი და კვნესა მოახლოებული სიკვდილის გამო:

„საწუთრო მდევნის ჩემს ჟამში ლხინისა უნაწილოსა,
მუხთლად მიპირებს სიკვდილსა ხმალ-კაპარჭ-
უმახვილოსა...“.

„ჩემთვის მოზიდა სოფელმან მუხთლად მშვილდისა კილოსა,
ფიცხი ისარი ურვისა მკრა გულსა სატკივილოსა...“ (გვ. 67).

„სოფლის მიმდომთა პატიჟნი არ მოაკლდების აროსა,
ვერ დაემალვის, რაზომცა თავი უჩინოდ აროსა...“ (გვ. 69).

აქ პირდაპირაა დასახელებული მწუხარების ერთი უმთავრესი მიზეზი — მშობლიური ქვეყნისა და კერის, მამულებისა და ადრინდელი დიდების დაკარგვა და უცხო ქვეყანაში, რუსეთში, მიუსაფრად ყოფნა:

---

[2] ცალკეული ნაწარმოებები გამოქვეყნებულია სხვადასხვა დროს. ერთ წიგნად გამოსცა რ. ნაკაშიძემ (მითითებული პუბლიკაცია).

„არ დამაცალა სოფელმან აზიას, არცა ჩრდილოსა;
მუნ მომაშორვა სამყოფსა, მას ჩემსა საგაზრდილოსა,
ვთქვი: წავალ, რუსეთს მივმართე, გულისა გასაგრილოსა,
და თვალსა ცრემლისა ნაკადი ვითა არ გამენილოსა“ (გვ. 67).

პოეტს გულს უკლავს იმის შეგრძნება, რომ სამუდამო განსასვენებლად მშობლიური მიწა არ ერგება:

„საფლავს მიმზადებს ღარიბსა, უცხოსა, უადგილოსა“
(იქვე).

მწარე ფიქრებს იწვევს თავისი შთამომავლების მომავალიც. ლექსში „ამაოება ყოველთადმი“ წერს:

„მე მივის ორი ასული, უმკვიდრო, უმამულოსა,
უცხოსა თემსა მწირობით, უსახლო-უსართულოსა,
ამისთვის ვჭმუნავ, ვერ ვხედავ მათსა საუფლისწულოსა,
და არ ვიცი, ღმერთი რას ბედით დაახვევინებსთ შულოსა“
(გვ. 60).

ლექსში „«ეი, რას ვნახეს» ხმაზედ თქმული“ ქართველ მანდილოსანთა სიმშვენიერესა და სიძლიერესთან ერთად ნაჩვენებია „ივერთ მნათობნი, მზე და მთვარენი“, „ქალნი კეკლუცნი, შვენიარენი“, „ქვეყნის მჭერობელნი, გამგებარენი“, „მტერთა მზარავნი, მომედგარანი“ „საწუთროს ნაში ჯდომამ და ცურვამ“ როგორ აქცია არარაობად.

ლექსში „სოფლის მდურვა სიბერისათვის“ სოფლის წარმავალი სიკეთე და მოღალატეობრივი ბუნება დაკავშირებულია ადამიანთა მოდგმის ცოდვილიანობაზე, რომელიც მომიდინარეობს ადამ და ევას შეცოდებიდან. ევამ „ცნობადის ხეს კადრა შე-ცა-ხებანი“. ამის გამო მასა და ადამს „წამსავე მიხვდა ნაცვალგებანი, სამოთხით გარე გამოძებანი“, ხოლო კაცობრიობას — ამქვეყნიური უბედურებანი. ამითვე ხსნის პოეტი სიკვდილის გარდაუვალ საშინელებასა და თავისი სიბერის ტკივილებს, რომლებიც ერთმანეთზე მწარე და გაუსაძლისია:

მეც მით მეწვევა დღეთ აღვსებანი, ბუნებით წესთა აღსრულებანი...
მაშინ დამიწყეს თვალთა კლებანი, ყურთა დამძიმდნენ მოსმინებანი.
წამიხდა პირის ფეროვნებანი, სანახაობა-ჰაერნებანი,
გამიჭაღარდნენ წვეროვნებანი, ამით დამეწყო ბეროვნებანი...
ხელფეხთა რთოლა, წელთ მტკივნებანი, შემიქმნეს კბილთა
მოცვივნებანი..." (გვ. 71).

დ. ბაგრატიონის მთელი პოეზია ქრისტიანულ-რელიგიური მრწამსითაა გამსჭვალული, რაც თითქმის ყველა მის ნაწარმოებში მეტ-ნაკლებად გამოკრთის. აქვს ოდენ სასულიერო შინაარსის თხზულებანიც. ასეთია მის მიერ გალექსილი „*შესაქმე*" და „*გოდება ადამისი*".

თეიმურაზ პირველის დარად, წერს პოემას ქეთევან დედოფლის წამებაზე, რომელიც შინაარსობრივადაც მეფის ტექსტს ემთხვევა. აქაც წინ წამოწეულია რელიგიური მხარე. ტრადიციისამებრ, შესავალი ღვთის დიდებას შეიცავს. საქართველოსადმი სპარსეთის დამპყრობლური პოლიტიკა რელიგიურ ნიადაგზეა ახსნილი:

„სპარსნი სძულობდენ სჯულთათვის ქართველთა დანამცირებთა,
უარისყოფას აწვევდენ ქრისტეს რჯულისა მჭირებთა.
გრწამდესთო ერთი არსება, ნუ ესავთ სამთა პირებთა,
და ამათ სტანჯვიდენ, მრავალთა შეამთხვევდიან ძვირებთა" (გვ. 81).

პოემაში შთამბეჭდავად ნაჩვენებია ქეთევან დედოფლის ქრისტესადმი მტკიცე, შეუდრეკელი რწმენა, მისადმი და, ამდენად, სამშობლოსადმი ბოლომდე თავდადება და თავგანწირვა. მან შესანიშნავად იცოდა, რაც ელოდა სპარსეთში ჩასვლით, მაგრამ მტარვალ შაჰ-აბაზს მოთხოვნისამებრ გამოეცხადა:

„კახთ დედოფალი ქეთევან სახვეწრად, საოხებელად,
ნუთუ დაიცვას ქვეყანა მტერთაგან უოხრებელად,
თავი გასწირა საკვდავად, უკვნესრად- უოხებელად" (გვ. 82).

რამდენადაც ვრცელი და შემზარავია ქეთევანის წამების სურათები, იმდენად მძლავრად იკვეთება ქართველი დედოფლის გმირული სულისკვეთება და მოქმედება. ჯერ „შვილიშვილთ სიკვდილს შეესწრა“, რითაც „მისთვის დაბნელდა ქვეყანა, მზე შეიმოსა შავებით“ (გვ. 82). შემდეგ მას სხვადასხვანაირი წამების იარაღით სული ამოხადეს: „მიწად განართხეს..., ქვეშ გაუშალეს ხალებად ლურსმნები განაცხელები, საბნად დახურეს რკინანი...“. „ცეცხლით მოტყინარე გაზებით“ „დახლიჩეს უცხო ძუძუნი..., ტანთ დააცვეს შამფურნი...“ (გვ. 88) და ა. შ.

მწერალი ქრისტიანული სიმბოლიკით მრავალგზის გვიჩვენებს, რომ ქეთევან დედოფალმა თავისი მოწამებრივი სიკვდილით ორივე ქვეყანას, საიქიოსა და სააქაოს, უკვდავება დაიმკვიდრა:

„სძალი იწოდა ზეცისა სიძისა სიყვარულითა“ (გვ. 91),
„აწ ფარავს საქმრო-სამშობლოს მარად ნეტარის ხსენება“
(გვ. 92).

თხზულებას წინ უძღვის ერეკლე მეორის ასულ ქეთევანისადმი მიძღვნილი საქებარი სტროფი. ქეთევან ბატონიშვილი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მოთავე და მონაწილე იყო. ჩანს, ამ პოემით ავტორი აცოცხლებს ქართველი მანდილოსნის ძველ გმირობას და ამით როგორც ქეთევან ბატონიშვილს, ისე სხვებსაც, ნივთიერად და მორალურად წელში გაწყვეტილ რუსეთში გადახვეწილ თანამედროვეებს, მხნეობასა და გამძლეობას შთააგონებს.

პროზაულ ნაწარმოებში „ღამის ალერსი“, რომელსაც წინ სამსტროფიანი ლექსი უძღვის, გაიდეალებულად აღწერილია ქართველი ხალხის, უფრო ზუსტად, აღმოსავლეთ საქართველოს არისტოკრატიის ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი. ამ მხრივ მწერალი აგრძელებს არჩილის, ვახტანგ მეექვსის, განსაკუთრებით, თეიმურაზ მეორის ტრადიციებს და ახალი ფაქტების აღნუსხვით ამდიდრებს ჩვენი ეთნოგრაფიული ყოფის ისტორიას.

დ. ბაგრატიონის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს სატრფიალო,სამიჯნურო მოტივს. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსები: „სულის ყვავილო“, „ჩემო მთვარეო“, „რუსულს ხმაზედ“, „«სევდის ბაღში შეველის» ხმაზედ“, „შაირი“, „ვარდის ალერსი“, „აქა-იქ თქმული“, „წალკოტს მეწადა“, „მალხენს, მახარებს ჩემი ასული“. მწერალი მთელი გატაცებით, რეალისტური ფერებით აღწერს ქალის გარეგნულ სილამაზესა და მომხიბლველობას. ბევრი მათგანი თვითმყოფადი მხატვრული სახით გამოირჩევა:

„მიხაკს ვუდარო ტუჩნი, ბაგები,
უნდსა – ყელ-ყური, უცხოდ კარგები,
სუმბულს – სითეთრე, გულთ მაშმალები...“ (გვ. 40).

„მელნის ტბათა მოხვევიან ზანგთ მაზრაკი გარე ჯარად,
მიჯნურთათვის შეუწყალად ატეხილნი საომარად,
ისწრაფიან დახოცილად, ფიცხლად გულსა გასაჯარად,
და არვის ვურჩევ მოსაწვევლად, საალერსოდ, საუბარად“
(გვ. 44).

მწერალი არ მისდევს შუა საუკუნეებში გავრცელებულ მისტიკური მიჯნურობის დამახასათებელ სიმბოლურ-ალეგორიულ სახისმეტყველებას, თუმცა შესანიშნავად იცის, რომ არსებობს ორგვარი სიყვარულის გამოხატულება:

„ზოგთა მოგვითხრეს საზეო, ზოგთა ამბავნი ქვენები“ (გვ. 42).

პოეტს არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი თავისი შვილების – ელისაბედისა და ანასტასიასადმი. ამ ციკლის ნაწილს „ელისაბედიანს“ უწოდებს. ავტორი უხვი საალერსო სიტყვებითა და მშობლიური სათუთი გრძნობებით ესიყვარულება ხანდაზმულობაში შეძენილ პაწაწინა მემკვიდრეებს. ლექსში „ღმერთმან ინება“ პირმშოს შეძენით მიღებული აღფრთოვანებაა გამოხატული:

„ღმერთმან ინება აღორძინება...
მაქვან ძეობა, დღეთ სიგრძეობა...

ასულად- ბედო, ელისაბედო,
მაღალმან მომეც დაუფასედო..." (გვ. 33).

„მამისა ბედო, დედისაც მწვედო,
უკვდავება ხარ ჩვენთვის სწორედო..." (გვ. 34).

სააკვნო სასიმღერო ლექსში „ნანინა" ვკითხულობთ:

„ვეტყვი ახოს ნანასა, მისსა შესაგვანასა...
ჩემსა ლიზუტანასა, პირმზე ლელწამტანასა,
მივუჯდები აკვანსა, ვურწებ ხანის-ხანასა..." (გვ. 35).

მწერალი შესთხოვს ღმერთს:

„შვილთა არ კითხოს ცოდვანი, მამას რაც გარდახდენია!"
(გვ. 60).

შვილებს გაზრდას, გამრავლებასა და გახარებას უსურვებს. ელისაბედისადმი მიძღვნილ ლექსებში წერია:

„შვილო! შენც მივი ღმრთისაგან კურთხევით ზედა-ზედითა,
დღეთა სიგრძითა, სიბრძნითა, ქცევითა სვე და ბედითა"
(გვ. 61).
„ცამ დაგიფაროს, შენს ნებად აროს,
ქმრით გაგახაროს, გაშვილიეროს!" (გვ. 62).

ასევე ლოცავს ანასტასიასაც:

„გაკურთხოს, შვილო, მაღალმან დღეთ სიგრძით,
მრავალწელობით,
ჭკუით, ცოდნით და ზრდილობით იყოფცა საშურველობით..."
(გვ. 62).

„იყავცა შვებით, ჭირ—აცილებით, შენს წადილ-ნებით, კარგ
ქმარ-შვილებით!" (გვ. 64).

პოეტი-მამის ლოცვა და ოცნება, ენახა თავისი გვარის „აღორძინება“, ფუჭი გამოდგა. ორივე ასული უმემკვიდროდ გადაშენდა: ანასტასია არ გათხოვილა, ელისაბედი გაჰყვა მწერალსა და საზოგადო მოღვაწე გიორგი ავალიშვილს, მაგრამ შვილი არ გასჩენია.

დ. ბაგრატიონს ცალკეული ლექსები აქვს შექმნილი თანამედროვეებზე — გრიგოლ მუხრანელ ბაგრატიონსა და რუსეთის პირველი სამამულო ომის გმირ პეტრე ბაგრატიონზე, მროველ მიტროპოლიტ იონასა და არქიეპისკოპოს დოსითეოზზე, სხვებზეც.

პოეტს მრვალი ქართული ანდაზა და შეგონება დაუმუშავებია — გაურითმავს და მათთვის ახალი მხატვრული სული შთაუბერავს. მისი პოეზიიდან აღსანიშნავია აგრეთვე გამოცანები, ზმები, აკროსტიქები. აგრძელებს XVII—XVIII საუკუნეებში შემუშავებულ ქართული ლექსწყობის გამრავალფეროვნების გზას და ქმნის სხვადასხვა ხმაზე გაწყობილ ლექსებს. წერს „*ქილილა და დამანასებურად*“ ლექსთა „*შიგ ჩართვის*“ წესით პროზაულ თხზულებას, რომლის დამთავრება ვერ მოუსწრია (გვ. 139—147).

თავისი თემატიკითა და მხატვრული გადაწყვეტით დიმიტრი ბაგრატიონის პოეზია ქართულ რომანტიზმს ენათესავება და ამ ლიტერატურული მიმდინარეობის ერთ-ერთ წინამორბედად გვევლინება.

მესამე თავი
ფორმალისტური ლიტერატურული მიმდინარეობები და კლასიკური ქართული ლიტერატურა[*]

საქართველოში XXI საუკუნის პირველი ათეული წლის მეორე ნახევრიდან განათლებისა და მეცნიერების ე. წ. რეფორმების შედეგად მნიშვნელოვანწილად დაეცა როგორც განათლება, ისე მეცნიერება. ოპტიმიზაციის სახელით დაიხურა უამრავი სკოლა, გაუქმდა სამეცნიერო ცენტრი – მეცნიერებათა აკადემია და მასში შემავალი რამდენიმე სამეცნიერო (ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის...) ინსტიტუტი. დარჩენილთაგან, რომლებიც განათლების სამინისტროს შეუერთდა, ყველა უკიდურესად შემცირდა – ბევრი ღირსეული მეცნიერ-თანამშრომელი ინსტიტუტებიდან მიზანმიმართულად გააძევეს და ბევრი უღირსი დატოვეს.

ჩვენი თემა განათლება არ არის, მაგრამ ზოგადად მაინც უნდა აღინიშნოს, თუ „დამოუკიდებელ“ საქართველოში რა დიდი სიამაყით, აღფრთოვანებითა და ზარ-ზეიმით დავანგრიეთ ჩვენში უკვე ტრადიციად ქცეული განათლების სისტემა, რომელიც წარმოშობით ევროპული, კერძოდ გერმანულიდან მომდინარე, იყო, და მის ნაცვლად ამერიკულსა ვნერგავთ. თუ რა შედეგები მივიღეთ და როგორ დავამსგავსეთ ერთი მეორეს, ამაზე ამ საქმის მცოდნეთა შეფასებიდან ორიოდე ამონაწერს დავიმოწმებთ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ განათლების სისტემას, რბილად რომ ვთქვათ, ათვალწუნებით უყურებს არაერთი იქაური გამოჩენილი მოაზროვნე-პოლიტიკოსი. მოვუსმინოთ, რას ამბობს ამის შესახებ პრეზიდენტ **კარტერის** ყოფილი მრჩეველი **ზბიგნევ ბჟეზინსკი** გაზეთ

---

[*] გამოქვეყნებული იყო: ჟურნალი „სამი საუნჯე“, დეკემბერი, 2012, № 4 (6), გვ. 72–104.

„კომსომოლსკაია პრავდის“ კორესპონდენტთან საუბრისას. დიახ, ეს ის ბეჭზინსკია, რომელმაც საბჭოთა წყობილების დამხობის დრო ზუსტად გამოიცნო. კორესპონდენტი ახასიათებს აღნიშნულ სისტემას, რომელიც ზედმიწევნით შეესაბამება საქართველოში არსებულ სინამდვილესაც: *„ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყანა ამერიკის საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემაზე გადადის: სწავლა ფასიანი ხდება, მცირდება სავალდებულო საგნების სია, უმაღლესში ჩასაბარებლად ერთიანი ეროვნული გამოცდები ტარდება...“*.

ბეჭზინსკის პასუხი-შეფასებაა: „თქვენ ამერიკისათვის მეტად მტკივნეულ თემას შეეხეთ. ძალიან მაწუხებს განათლების ჰრობლემა ჩვენს ქვეყანაში. დიახ, ჩვენ დემოკრატია ვართ, რომელიც რთულ სამყაროში გადარჩენას ლამობს გონივრული საგარეო ჰოლიტიკის განხორციელებით. მაგრამ ეს იმ ჰირობით არის შესაძლებელი, თუ ქვეყნის მოსახლეობა გონიერი და ჯანსაღად მოაზროვნეა. სხვაგვარად ჩვენ წინაშე მდგომ ამოცანებს ვერ გადავჭრით.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამერიკელი ხალხი უვიცია. მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს გარესამყაროზე. ჩვენს სასწელმწიფო სკოლებში არ არის საგანი *«მსოფლიო ისტორია»*. ჩვენ ბავშვებს ამერიკის ჰატრიოტულ ისტორიას ვასწავლით, სინამდვილეში კი ეს შელამაზებული «საშობაო» ისტორიაა, რომელიც შორს არის წარსულის რთული და წინააღმდეგობრივი რეალობისაგან.

მაგალითად ავიღოთ, თუნდაც დამოკიდებულება ამერიკის მკვიდრ მოსახლეობასთან – ინდიელებთან. რა საწყენიც უნდა იყოს, უნდა ვაღიაროთ, რომ ჰირველი ეთნიკური წმენდები «კანონის სახელით» სწორედ ამერიკულ მიწაზე მოხდა! ათასობით ინდიელი აყარეს საკუთარი მიწებიდან ჰრეზიდენტ ჯექსონის დროს...

გეოგრაფია ავიღოთ. ჩვენ მას არ ვასწავლით! ამერიკული კოლეჯების ახლანდელი აბიტურიენტების 52%-ს არ შეუძლია რუკაზე გაჩვენოთ, სად მდებარეობს ნიუ-იორკი. 2003-

2010 წლებში უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა 70%-ს რუკაზე ერაყის პოვნა არ შეუძლია. ეს კი ის ქვეყანაა, რომლის წინააღმდეგაც ვომობდით! ერთხელ მომავალ სტუდენტებს შესთავაზეს რუკაზე ცისფრად დატანილი ტერიტორიის იდენტიფიცირება. მათგან 30% ვერ მიხვდა, რომ ეს წუნარი ოკეანე იყო! თქვენ გეღიმებათ, მაგრამ ეს სულაც არ არის სასაცილო...“[1].

ახლა მოვუსმინოთ ჩვენს მუხლჩაუხრელ დემოგრაფ **ანზორ თოთაძეს**: „უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნაციონალები მოვიდნენ ხელისუფლებაში, ფაქტობრივად მთლიანად მოიშალა საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემა. ჩვენი ახალგაზრდობის უმრავლესობას ელემენტარული ცოდნაც აღარ გააჩნია, ზოგად განათლებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. განათლების სფეროში დაუსრულებელმა, ვითომ მასშტაბურმა, მაგრამ არაფრისმომცემმა რეფორმებმა ახალგაზრდების დიდი ნაწილის ცოდნის დონე ნულამდე დაიყვანა. რა დაუჯერებლადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საკმაო ნაწილს დიდი რიცხვის, ვთქვათ, მილიარდის ან მილიონის დაწერაც კი არ შეუძლია[2]. მათ წარმოდგენაც არა აქვთ ჩვენს გამოჩენილ მოღვაწეებზე მე-20 საუკუნეში, რომ არაფერი ვთქვათ მე-19 საუკუნეზე. ოცდახუთკაციან ჯგუფში ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღი ვერც ერთმა სტუდენტმა ვერ

---

[1] გაზ. „*საქართველო და მსოფლიო*“, 22–29 თებერვალი, 2012, № 7, გვ. 15. აქ აღნიშნულია, რომ ეს ინტერვიუ გამოქვეყნებულია გაზ. „კომსომოლსკაია პრავდაში“, მაგრამ, თუ როდის, მითითებული არაა. ინტერნეტში ვნახე, საუბარი შემდგარა 2012 წლის 5 თებერვალს.

[2] ახალგაზრდებს რა უნდა მოსთხოვო, როცა ქართველი კაცი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ალექსანდრე (კახა) ლომაია** სკოლაში გაკვეთილზე მოსწავლეთა წინაშე „ბავშვის“ დაწერას ვერა და ვერ ახერხებს! (შენიშვნა ჩემია. — **ბ. დ.**).

დაასახელა, ბოლოს ჯგუფი შეთანხმდა იმაზე, რომ ილია ჭავჭავაძე დაბადებულია 1917 წელს. ჯერ კიდევ ამ ორი-სამი წლის წინათ თითქმის 300 სტუდენტის გამოკითხვის დროს არც ერთმა არ იცოდა, ვინ იყო აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი. ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტთა საქმაო ნაწილმა ჰროცენტის გამოანგარიშებაც კი არ იცის, მაშინ როდესაც ადრე მეექვსე-მეშვიდე კლასის მოსწავლეებისათვის ჰროცენტის გაანგარიშება არავითარ სიძნელეს არ წარმო-ადგენდა. ზემოაღნიშნული იმასაც ნიშნავს, რომ ახალგაზრდებს წარმოდგენაც კი არა აქვთ მე-19 და მე-20 საუკუნეებში საქართველოში მიმდინარე ჰოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ჰროცესებზე. თუ ვინმეს რაიმე საეჭვოდ მოეჩვენა, დამამტკიცებელი ფაქტები იმისა, რაც ვთქვით, საკმაოდ მოგვეჰოვება"[3].

ერთხელ დავბეჭდე და აქ უნდა გავიმეორო: **თამაზ კარანაძე**, რომელიც ათეული წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიკის კათედრას განაგებდა და სხვადასხვა ფაკულტეტზე ამ საგანს ასწავლიდა, ჰყვება:

— ფილოლოგიის ფაკულტეტზე (ფილოლოგიას ხაზს ვუსვამ!) ჰედაგოგიკაში გამოცდები რომ მოახლოვდა, სტუდენტი გოგონა მეკითხება: რომელი სახელმძღვანელოთი მოვამზადოთო. კაცმა რომ თქვას, ამაში მოულოდნელი და საძრახისი არაფერია. მაგრამ, რადგან თავიდანვე და შემდეგ ყველა ლექციის ბოლოს საჭირო ლიტერატურას საგანგებოდ ვაწერინებდი, შეკითხვამ გამაღიზიანა და ვუთხარი: „დეკამერონით".

... და რას ვხედავ, გოგონა ამას იწერს და ირგვლივ მყოფი 10–15 სტუდენტი რაიმე რეაქციას არ ამჟღავნებს!

---

[3] ანზორ თოთაძე, დემოგრაფიული ვითარება და ერის სულიერი ცხოვრება, ჟურ. „სამი საუნჯე", 2012, № 1, გვ. 110.

ახლახან „იმედის“ ტელეარხმა რუბრიკით „*ქალური ლოგიკა*“ გადმოსცა: ორ სტუდენტ გოგონას აჩვენეს გალაკტიონ ტაბიძის ფოტოსურათი და ჰკითხეს, ვინ არის ეს კაციო. სავარაუდო პასუხებიც დაუსახელეს: *ქართველი მწერალი, რუსი მწერალი, ინგლისელი ბიზნესმენი.* გოგონებმა საკმაოდ იფიქრეს და „გამოიცნეს“, *ქართველი მწერალიო,* ოღონდ დაასახელეს *აკაკი წერეთელი* – წვერი აქვს და წვერი აკაკი წერეთელს ჰქონდაო. ამავე არხით აჩვენეს, ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა ვერა და ვერ თქვეს, ტონა რამდენ კილოგრამს შეიცავს.

ნიშანდობლივი მსგავსებაა, არა?! და რამდენი ამგვარი კურიოზი მოიძებნება!

ახლა, რაც ჩვენ გვაინტერესებს, – მეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა.

¤

ამჟამად ჩვენთან ლიტერატურათმცოდნეობაში სახელმწიფო დონეზე, ხელისუფლებისა და საზღვარგარეთიდან დაფინანსებული სხვადასხვა ანტიეროვნული ფონდებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მძლავრი ძალისხმევით ჩვენი გიგანტი მეცნიერების – **ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძისა** და მრავალ სხვათა მიერ დანერგილი კვლევა-ძიების ა კ ა დ ე მ ი უ რ ი მეთოდი, რომელიც (ესეც!) წარმოშობით სწორედ ე ვ რ ო პ უ ლ ი ა, გვერდზეა მიგდებული და მის ადგილს (აქ ფართო ასპარეზის თქმა ცოტაა) უმთავრესად და წამლეკავად იჭერს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ზოგ ქვეყნაში არსებული საწინააღმდეგო ლიტერატურულ-მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობანი. ეს არის ნაწილი გლობალიზაციის და ამერიკანიზაციისა, რისი დანერგვა საქართველოში ჯიქურ და შეუპოვრად მიმდინარეობს.

თუ ადრე მათ ყურადღებას მხოლოდ თითო-ოროლა სწავლული აქცევდა და მუშაობისას იყენებდა, ახლა, XXI საუკუნის დასაწყისიდან, განსაკუთრებით ე. წ. სამეცნიერო

რეფორმის შემდეგ, რასაც, ვიმეორებთ, ჩვენში მეცნიერების ნგრევა მოჰყვა, ეს „სიახლე“ ყოვლისმომცველი ხდება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებში გავრცელებულ თეორიებს, მას ათვალწუნებით უყურებდა და კიდევაც ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ეს დამოკიდებულება მარტო საბჭოთა იდეოლოგიის შედეგი როდი იყო. აკადემიზმი ჩვენთან ოქტომბრის რევოლუციამდე კარგა ხნით ადრე დამკვიდრდა და მას ჩვენი ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარები მთელი შეგნებითა და არსებით იცავდნენ.

ახლა, როდესაც ყოველგვარი საბჭოურის გადაფასება მიდის, ნაბან წყალს ბავშვსაც აყოლებენ ხოლმე. ამ „უცხოსადმი“ ინტერესს ისიც აღვივებს და აძლიერებს, რომ ზოგს იგი აკრძალულ ხილად მიუჩნევია. არადა, იმ ქვეყნებშიაც, სადაც ეს თეორიები აღმოცენდა და არსებობს, მათ საკმარისი მოწინააღმდეგე ჰყავს.

სამეცნიერო დაწესებულების ბევრმა მდარე მუშაკმა განათლებისა და მეცნიერების ამ მოთხოვნას იოლად აუბა მხარი და იგი მისთვის კარგი თავშესაფარი გამოდგა.

ამავე დროს, ეს თეორიები სახელმძღვანელო გახდა არა მარტო ლიტერატურათმცოდნეობაში, არამედ კიდევ უფრო მეტად მწერლობაში. საქმე იქამდე მივიდა, ახლახან ტელევიზორით გვაუწყეს, რამდენიმე მწერალი შეუდგა ტელემაყურებლებთან ერთად მხატვრული ნაწარმოებების შეთხზვასო!

ბუნებრივია, ამ მეთოდებით შექნილი მხატვრული თხზულებანი ამავე თვალთახედვით უნდა გაანალიზდეს და შეფასდეს. მაგრამ, როცა ჩვენს ადრინდელ, კლასიკურ ლიტერატურას ამავე თვალსაზრისით მივუდგებით, სასიკეთოს ვერაფერს მივიღებთ.

ამ მხრივ საქართველოში იმდენი მასალა დაგროვდა, მათ განხილვას ტომები დასჭირდება. აქ მხოლოდ ერთ ნიმუშს შევეხებით. შევეხებით იმ პიროვნების, პროფესორ ირმა რატიანის, „მეცნიერებას“, რომელიც ამ „სიახლეების“

ერთ-ერთი მეთაურ-შემომტანი, თავგადაკლული დამცველი-დამნერგავი და გამავრცელებელია.

ადრე ნაჩვენები მაქვს, ქალბატონი ირმა ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის რა უვიცაა[4]. ამიტომ, სანამ მის წიგნზე გადავიდოდე, იმის ნიმუშად, რომ საძიებელი მეთოდები ქართული კლასიკური ლიტერატურის კვლევისას სასარგებლო არ გამოდგა არა მარტო უნიჭო და ხელმოცარულთა ხელში, არამედ სასურველ შედეგებს არც გამორჩეული ნიჭითა და ცოდნით დაჯილდოებულთა შემოქმედებაში იძლევა, სანიმუშოდ შევეხებით ერთ სტატიას.

გალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის ინტერპრეტაცია

2011 წელს ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ დაიბეჭდა ლიტერატურის ჩინებული თეორეტიკოსისა და, რაც ამჟამად გვაინტერესებს, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ასევე ჩინებული მკვლევრის, **თეიმურაზ დოიაშვილის** სტატია „*და მენანება ... მოხუცი მამა*“ (11 ნოემბერი, № 23, გვ. 32–39). როგორც ქვესათაურში იუწყება, ეს ყოფილა ნაწილი მის მიერ დამუშავებული ციკლისა „*გალაკტიონი და ილია*“.

ავტორი განიხილავს გალაკტიონის ცნობილ ლექსს „მამული“ და განმარტავს: „ეს წერილი «*მამულის*» ინტერპრეტირების კიდევ ერთი ცდაა, ოღონდ კულტურულ-ლიტერატურული კონტექსტის აქცენტირებით“ (გვ. 32.).

მოვიგონოთ ეს სამსტროფიანი ლექსი:

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა

---

[4] ჩვენი წიგნები: „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ (თბ, 2008) და „რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I“ (თბ., 2010).

არ გაეიარე – რაა მამული?!
წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.

გაშალა ველი ნელმა ნიავმა
და მელანდება მე მის წიაღში
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის ვენახში.

აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაემგვანება!
ისევ ამწვანდა მდელო და კორდი!..
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!"

აქ ყველაფერი ნათელია და რაიმე ოდნავ ბუნდოვანსა და საჩოთიროს არაფერს შეიცავს. თ. დოიაშვილის შეფასებით, იგი, „თავისუფალი რთული, აბსტრაჰირებული ტროპულობისაგან, თავისი მოჩვენებითი სისადავით ტექსტის იოლად წვდომის ილუზიას ქმნის" (გვ. 32). მკვლევარი ცალ-ცალკე ქვესათაურებად გამოყოფს გამოთქმებს: I. „ცვრიან ბალახზე...", II. „სხვა ხალხი", III. „მოხუცი მამა", IV. „დავდივარ, ვწუხვარ და მენანება" და მათში სულ სხვა, ერთობ განსხვავებულ შინაარსს ხედავს.

მისი აზრით, „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი გაევლა სახე კონცეპტია, ჰიპოთეტურად, ერთდროულად მომდინარე ეროვნული წიაღიდან (აკაკი) და დასავლური «ახალი პოეზიიდან» (რემბო)" (გვ. 33–34).

მეორე ფრაზაში, თურმე, კონკრეტული პირები იგულისხმებიან. „ჩემი აზრით, – წერს ავტორი, – ამ სიტყვით («ყველა» – ბ. დ.) ოდენ ისაა ნათქვამი, რომ უველა, ვისაც პოეტი წინაპრად მიიჩნევს, წასულია, ცოცხალი აღარაა. აქედან გამომდინარე, ეს «წინაპართაგან წავიდა უველა», სავარაუდოდ, სულიერ წინამორბედთ ლიტერატურულ წინაპრებს უნდა გულისხმობდეს" (გვ. 35). სახელდობრ: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელსა და ვაჟა-

ფშაველას, სხვას არავის. ავტორი განაგრძობს: 1915 წელს, როდესაც „მამული“ დაიწერა, „ზამთარში ჯერ აკაკი გარდაიცვალა, შემდეგ, ზაფხულში ვაჟა, პირველ ლანდად კი, ცხადია, ილიაა ნაგულისხმევი, უფრო ადრე მოკლული წიწამურთან. გალაკტიონი ნიუანსების ენით, მინიშნებით გვამცნობს, რომ დიდი «ლანდების» – ილიას, აკაკის და ვაჟას გარდაცვალების გამო ქართულ ჰარნასზე ღამე ჩამოწვა“ (იქვე, გვ. 35).

ასევე „მოხუც მამაში“, რომელიც ვენახში სასხლავით დადის, სწორედ ილია ჭავჭავაძე უნდა დავინახოთ: „და მაინც... თუ წინაპრის სახის დაკონკრეტებას შევეცდებით, «მოხუცი მამის» სიმბოლოში, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძე უნდა იყოს ნაგულისხმევი!“ (გვ. 37).

როგორც ვხედავთ, თ. დოიაშვილი ყველა ამ გაგებას ვარაუდის სახით გამოთქვამს და შთაბეჭდილება მრჩება, მას მეცნიერული პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს. ავტორი საკმაოდ სწორად წერს: „მხატვრული ტექსტის რეცეფცია თავისი ბუნებით სუბიექტურია, ამიტომ ყველა ინტერპრეტაციას არსებობის უფლება აქვს, მაგრამ(,) თუ მას მეცნიერულობის პრეტენზიაც ახლავს, აუცილებელია ობიექტური არგუმენტირება“ (გვ. 34).

არის თუ არა რაიმე სიმართლე წამოყენებულ და, საერთოდ, ამგვარ თვალსაზრისში, ზუსტი პასუხის გაცემა მხოლოდ ავტორს, მწერალს, შეუძლია. მაგალითად, ფელეტონში, რომელიც ამგვარი ხილვების წინააღმდეგ გამოვაქვეყნე, **შარლოტა კვანტალიანის** ლექსი „ამი“ ორპლანიან ნაწარმოებად „მივიჩნიე“, სადაც თითქოს პირდაპირი მნიშვნელობით პოეტი, ქალი, **ცოლი, მეუღლე** მიმართავს და ესიყვარულება **საკუთარ ქმარს**, გადატანითი და ძირითადი მნიშვნელობით, **სძალი, წმინდანი**, აქებს და ადიდებს **ღმერთს, ქრისტეს**. ამაზე ქალბატონმა შარლოტამ გუ-

ლწრფელად მიპასუხა, რომ „არასოდეს მომსვლია აზრად (...) ჩემი ლექსის ორჰლანიანობაო“[1].

გავკადნიერდები და დავიტრაბახებ: ჩემი „საბუთები“ საგრძნობლად უფრო „მყარი“ და სიმართლეს მიმსგავსებულია, ვიდრე თეიმურაზ დოიაშვილისა.

ასე რომ, რადგან გალაკტიონი პირადად ვერაფერში დაგვეხმარება, წამოყენებული თვალსაზრისის სერიოზულად განხილვას აზრი არა აქვს. ეს ის შემთხვევაა, თქმა რომ იციან, *გინდ დაიჯერე* და *გინდ არაო*. მიუხედავად ამისა, ზოგი რამ მაინც უნდა ითქვას.

1915 წელს, როდესაც „მამული“ დაიწერა, ჩვენში სიმბოლისტური პოეზია მნიშვნელოვნად იყო გავრცელებული და მასთან გალაკტიონ ტაბიძესაც გარკვეული კავშირი ჰქონდა, მაგრამ მაშინ რ ე ც ე ფ ც ი უ ლ ი ესთეტიკა არ არსებობდა და შეუძლებელია, ჩვენს პოეტს მის კვალობაზე რამე შეეთხზა. რას უნდა აეძულებია ის, „მინიშნებით“ ელაპარაკა?! რეცეფციული ესთეტიკის მიხედვით, საგანგებოდ იწერება ნაწარმოებები, რომლებიც შგნებულად სხვადასხვა პლანიანია და საშუალებას იძლევა, იგი სხვადასხვანაირად გავიგოთ. გალაკტიონს ის შინაარსი რომ მასში ჩაედო, რასაც თეიმურაზ დოიაშვილი ვარაუდობს, პოეტი ამაზე რაღაც მინიშნებას მაინც მოგვცემდა, თორემ რაღაცა რაღაცას ყოველთვისა ჰგავს.

იმაშიაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აღნიშნული ფორმალისტური ლიტერატურული თეორიები რომ არ არსებობდეს, მეტადრე მათი შემოტევები არ იყოს, თეიმურაზ დოიაშვილის ეს სტატიაც არ დაიწერებოდა. მაგრამ რას იზამ, მოდა ძალიან გადამდებია, მან ბევრი ქალი გააშიშვლა — ნახევრად ტიტვლებს დაატარებს!

ერთი კი გულწრფელად უნდა ვაღიარო. განხილული სტატია იმდენად უხვი მასალითაა გაჯერებული და ნიჭიერად ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ იგი ბრწყინვალე

[1] რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I, თბ., 2010, გვ. 224-226.

ნაშრომად წარმოგვიდგება, ოღონდ ერთი პირობით: **თავზე უნდა ეწეროს „პ ა რ ო დ ი ა“ ან „ფ ე ლ ე ტ ო ნ ი“ !**

ოჰ, როგორ სჭირდება დღეს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას **ოთარ ჩხეიძის** ა ხ ა ლ ი „ღვინია გადაიჩეხა“!

ახლა გადავიდეთ ჩვენს უმთავრეს საკითხზე.

ილია ჭავჭავაძე სტრუქტურალიზმის სარეცელზე

მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ ლიტერატურის თეორიის უპირველესი და არსებითი დანიშნულება არის მხატვრულ თხზულებათა ზოგადი კანონების დადგენა და მათი მეშვეობით ამა თუ იმ სიტყვაკაზმული ნაწარმოების ღრმად შესწავლა, მისი იდეურ-მხატვრული ნიშნებისა და თავისებურებების გამოვლენა.

შოთა რუსთაველის (სახელობის) ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი და ივანე ჯავახიშვილის (სახელობის) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი **ირმა რატიანი** ლიტერატურის თეორეტიკოსად წარმოგვიდგება. ამ დარგში დაიცვა მან საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები და ორივე „ნაშრომი“ ცალ-ცალკე წიგნებად გამოსცა. პირველად, 2005 წელს, დაბეჭდა სადოქტორო დისერტაცია – *„ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში, ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ინტერპრეტაციისათვის“*, მომდევნო წელს – საკანდიდატო დისერტაცია – *„ქრონოტოპი ილია ჭავჭავაძის პროზაში (ბუთი თხზულების ანალიზი)“*. ამ უკანასკნელში ავტორი იუწყება: ეს „ნაშრომი თორმეტი წლის წინ დაიწერა როგორც (...) საკანდიდატო დისერტაცია“ და „გასული თორმეტი წლის მანძილზე ჩვენ მუდმივად ვცდილობდით გაგვეღრმავებინა ცოდნა და ქრონოტოპის კვლევა გაგვეფართოებინა მასშტაბური ლიტერატურულ-თეორიული და კულტუროლოგიური ანალიზის მიმართულებით“ (გვ. 3).

ეს ორი ნაშრომი ავტორმა გააერთიანა, დაუმატა ამავე ტიპის სხვა გამოქვეყნებული სტატიები და 2010 წელს ერთ წიგნად გამოსცა სათაურით **„ტექსტი და ქრონოტოპი“**. იგი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი უჭირავს სადოქტორო დისერტაციას, მეორე – საკანდიდატოს და მესამე – ცალკეულ სტატიებს. „ბოლოთქმაში“ აღნიშნულია: „წიგნმა «ტექსტი და ქრონოტოპი» ავტორის ხანგრძლივი შრომის შედეგებს მოუყარა თავი“ (გვ. 314).

პირველი ნაწილის, ანუ სადოქტორო ნაშრომის, თითქმის ორი მესამედი ა ნ ტ ი უ ტ ო პ ი უ რ ჟანრსა და ქ რ ო ნ ო ტ ო პ ზ ე არსებულ შეხედულებებს გადმოგვცემს, დანარჩენში ამ თეორიის მიხედვით „განხილულია“ ვ. ნაბოკოვის რომანები „მოპატიჟება სიკვდილზე“, „Bend Sinister“ და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“.

საკანდიდატო ნაშრომი, რომელიც სარეცენზიო წიგნის მეორე ნაწილია, ეთმობა ილია ჭავჭავაძის ხუთი ნაწარმოების ქრონოტოპს. ეს ნაწარმოებებია: „მგზავრის წერილები“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“ და „სარჩობელაზედ“. წიგნის მესამე ნაწილიც ქრონოტოპის საკითხებსა და ილიას იმავე თხზულებების „ანალიზს“ ეძღვნება.

ამჯერად ჩვენი განსჯის საგანია წიგნის ის ნაწილები, რომლებიც ილია ჭავჭავაძეს ეხება.

¤

წიგნის დიდ ნაწილი, როგორც ვთქვით, *დროისა და სივრცის* შესახებ არსებულ შეხედულებებს გვაცნობს, დაწყებული უძველესი დროიდან, თანამედროვეობამდე. მაგალითად, როგორ განსაზღვრავდნენ დროს, ერთი მხრივ, პარმენიდე, ზენონი, პლატონი, არისტოტელე, მეორე მხრივ, – ჰერაკლიტე, პითაგორა, დემოკრიტე. ესენი ისეა მოწოდებული, ვითომცდა ქალბატონ ირმას ყველა გადაბულ-ბულებული ჰქონდეს! პირველთა „თვალსაზრისით, დრო არის კოსმოსის თვისება, «მარადისობის მოძრაჲი ხატი» და არ

ემორჩილება არითმეტიკული გაზომვის კანონს: მეორე თვალსაზრისით, დრო უფრო მატერიის თვისებაა და მჭიდროდ უკავშირდება რიცხვისა და საზომის ცნებას“ (გვ. 95).

ქვემოთ ვნახავთ, ი. რატიანის დაქალი, ენათმეცნიერი **თინათინ ბოლქვაძე** ამბობს, „რომ ვერ გაიზიარებს ვარაუდს, თითქოს ილია ამ („მგზავრის წერილების“ – **ბ. დ.**) ტექსტის წერისას არ ფიქრობდა ქრონოტოპზე“–ო, მაგრამ მე ღმერთმა მაშოროს და მშვიდობაში მოახმაროს მას და ყველას, თუ კიდევ ვინმე ფიქრობს, რომ ილია ჭავჭავაძე ან მიხეილ ჯავახიშვილი ამ თეორიებით იყვნენ ნასაზრდოები და მათი თხზულებანი – ამათ კვალობაზე შექმნილი.

ტერმინი „ქრონოტოპი“, რომლის დამნერგავი მიხაილ ბახტინი გახლავთ და მას მრავალი ეხება, ქართულ ენაზე ნიშნავს დროსა და სივრცეს ერთად. მაგრამ მას ნაკლებად იყენებენ ამ პირდაპირი, ჩვეულებრივი გაგებით. ასე რომ იყოს, ჩვენი მწერლების დასახელებულ მოთხრობებში დროცა და ადგილიც გარკვევითაა მოცემული და ამ მხრივ საძიებელი არაფერია.

მაშ, რა ხდება?

ი. რატიანი სხვა „ქრონოტოპისტების“ შეხედულებათა საკუთარი გააზრების მიხედვით, ილიას შემოქმედებაში არა აღნიშნულს, არამედ სხვა დროსა და სივრცეს ეძებს. „ჩვენი თვალსაზრისით, – წერს იგი, – მხატვრული დრო განხილული უნდა იქნეს როგორც მხატვრულ ნაწარმოებში აღწერილ ესთეტიკურ ფასეულ მოვლენათა დრო, რომელიც წარმოადგენს დროის ჰირობით ჰროექციას ლიტერატურის ჰირობით სისტემაში“ (გვ. 180).

ამგვარივე ყოფილა „მხატვრული სივრცეც“: „ტერმინი «მხატვრული სივრცე» ასახავს ილუზორულ, წარმოსახვით სამყაროს, (...) მხატვრული დროისა და სივრცის განუყოფელობის ჰრობლემა ლიტერატურათმცოდნეობის ერთერთი უველაზე სადავო ჰრობლემაა. განსაკუთრებით

სიმწვავით დგას მხატვრული დროისა და სივრცის ერთობლივი ე. წ. კომპლექსური კვლევის საკითხი“ (გვ. 181).

აი, ამ და ამდაგვარი „ინოვაციური“ ცოდნითა და მეთოდით შეიარაღებული ი. რატიანი იკვლევს ილია ჭავჭავაძის ძირითად პროზაულ თხზულებებს. ახლა ვნახოთ, ლიტერატურათმცოდნეობის საჭეთმპყრობელმა ჩვენმა ქალბატონმა, აღნიშნული თეორიების მიხედვით, რა გაარკვია ქართულ ლიტერატურაში, — აქამდე რა არ ვიცოდით ილია ჭავჭავაძის პროზის შესახებ და ამჯერად რა აღმოაჩინა მან?

თავიდანვე უნდა გავაფრთხილო მკითხველი: საკითხის ი. რატიანისეული შეხედულებების ჯეროვანი გადმოცემისათვის, მის მიერ დამოწმებული მაგალითები და შესაბამისი მსჯელობანი რომ სრულად იქნეს წარმოდგენილი, თუ მეტი არა, ნახევარი წიგნი მაინც უნდა გადმოგვეწერა, რაც აქ შეუძლებელია. ამიტომ მხოლოდ ზოგიერთ მხარეს, უფრო არსებითსა და ნიშანდობლივს, შევეხები. მეორე: ისინი იმდენად უინტერესო და არაფრის მომცემია, წიგნის წაკითხვაცა და მათზე მსჯელობა საშინლად ჭირს.

1. კატეგორია „დრო“

თავში *„მხატვრული, ანუ სიუჟეტური დრო და სივრცე“* (გვ. 203–224) ჯერ საუბარია „დროზე“, სახელდობრ, **„კრიტერიუმზე“** **„ადრე–გვიან“**. თურმე, „მიმართულების «ადრე გვიან» დადგენას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოებში ლოკალიზებული მხატვრული დროის სპეციფიკის განსაზღვრისათვის“ (გვ. 208).

რა სპეციფიკა ვლინდება ი. ჭავჭავაძის მოთხრობებში? „ანალიზი“ იწყება **„მგზავრის წერილებიდან“**. „მხატვრული დროის მაჩვენებლების მიმართებიდან გამომდინარე, — წერს ავტორი, — მართებული წესრიგის იდეალურ მაგალითად თხზულება «მგზავრის წერილები» უნდა მივიჩნიოთ: მოქმედებები თანამიმდევრული სიმწყობრით ცვლის ერთი–მეორეს და სრულიად ლოგიკურად მიედინება ნაწარმოების ფინალისაკენ. რამდენადმე განსხვავებული სურათი გვაქვს თხზულებებში «გლახის

ნაამბობი», «კაცია–ადამიანი?!», «სარჩობელაზედ», და «ოთარაანთ ქვრივი»“ (გვ. 208).

„მგზავრის წერილებზე“ კიდევ ნათქვამია: აქ თხრობათა „წარმოდგენილი თანამიმდევრობა სრულიად სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ ძლიერ თანამიმდევრობად: მოქმედებათა განვითარების ერთიანი ხაზი არ ირღვევა და არ იმიჯნება დროული ჰაუზებით, სიუჟეტური ქარგა მხატვრული დროის უწყვეტი ხანგრძლივობითაა აღნიშნული. მუორდება მიმართება **ადრე–გვიან**“ (იქვე, გვ. 208).

ახლა ვნახოთ, **„გლახის ნაამბობში“** რა არის ეს „არათანმიმდევრული დროის კატეგორია“, რომელიც ი. რატიანმა აღმოაჩინა: აქ „წარმოდგენილი დროის ხანგრძლივობის რაოდენობრივი მაჩვენებლის განმსაზღვრელი ფორმულა იწყება შედეგით, შედეგი გამომდინარეობს მიზეზიდან, რომელიც მხოლოდ შედეგის წარმოჩენის შემდეგ მოგვხსენდება და გვისაბუთებს შედეგის ლოგიკურობას. რეალიზდება მხატვრული დროის მახასიათებელი – მისი შექცევადობა. გაბრიელი დაგლახავებულია, იგი ეცება საკუთარი ცხოვრების ისტორიას და მხოლოდ შემდეგ ირკვევა გაუბედურების მიზეზი“ (გვ. 209).

ესენი ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, ამ ნაწარმოებთა კომპოზიციებია, რასაც საშუალო სკოლაში ვსწავლობდით! რა არის აქ ახალი და მნიშვნელოვანი? – არაფერი, მხოლოდ ესაა, ჩვენმა „რეფორმატორმა მეცნიერმა“ საყოველთაოდ ცნობილი უცხოურად და დახვლანჯულად „აგვიხსნა“.

„კაცია–ადამიანში?!“ „დროის მდინარება“ განსხვავებული და თავისებური, თურმე, იმ მხრივაა, რომ „მისი ხანგრძლივობის რაოდენობრივი მაჩვენებლის განმსაზღვრელი ფორმულა ასეთ სახეს იღებს: **გვიან–ადრე–გვიან**“ (გვ. 210).

პირველ „გვიანზე“ აღფრთოვანებით წერია, რომ „გამოეყოფილი სამი დროული მონაკვეთიდან ჰირველის ფარგლებში აღწერილი მოვლენები არათანმიმდევრული წუობის ბრწყინვალე ნიმუშად უნდა ჩაითვალოს“ (გვ. 210). შემდეგ: „კატეგორიით «გვიან» აღნიშნულ ჰირველ დროულ მონაკვეთზე

მოხსენილია მოვლენათა ურთიერთგამომდინარეობის საკითხი და თხრობა ერთ იდეას დაქვემდებარებული ფაქტების აღნუსხვის კონცენტრატს წარმოადგენს: დარეჯანისა და ლუარსაბის მიერ მსახურთა «დაწიოკების» ეპიზოდი სტრუქტურულად არ განაპირობებს ელისაბედის სტუმრობის ეპიზოდს, ელისაბედის სტუმრობის ეპიზოდი ვახშმის თაობაზე გამართული კინკლაობის ეპიზოდს და ა. შ. დრო წუვეტადია, მაგრამ ზუსტი რიცხობრივი ნიშნების მითითება არ ხდება, ვიდრე კატეგორიას «გვიან» არ ცვლის კატეგორია «ადრე»“ (იქვე).

სად არის ეს „ადრე“? „კატეგორიით «ადრე» აღნიშნულია ლუარსაბისა და დარეჯანის შეუღლების ფაქტი. იგი ოცი წლით უსწრებს წინ კატეგორიით «გვიან» აღნიშნულ მოვლენებს: «*ოცი წელიწადია თურმე, რაც ლუარსაბი და დარეჯანი ერთ უღელში შებმულან*»“ (იქვე. მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ ბოლო ციტატა მწერლისაა).

დაგვრჩა ბოლო „გვიან“. იგი ასეა წარმოდგენილი: „ქორწინების ეპიზოდის შემდეგ კვლავ იჩენს თავს კატეგორია «გვიან», რომელიც წინარე აღწერილი მოვლენებისაგან გამომდინარეობს. მოვლენათა თანამიმდევრობა რადიკალურად განსხვავდება მოვლენათა იმ თანამიმდევრობისაგან, რომელიც კატეგორიით «გვიან» აღნიშნულ ჰირველ სიუჟეტურ მონაკვეთზე დაფიქსირდა: დაწყებული ცოლ-ქმრის თელეთში მოგზაურობის ეპიზოდიდან, ვიდრე ლუარსაბისა და დარეჯანის მხიარული ქეიფის ეპიზოდამდე, მოვლენათა განვითარება აბსოლუტურად თანამიმდევრული და ლოგიკურია, თუმცა დროის წუვეტადობა სუსტი თანამიმდევრობის ვარიანტს გვთავაზობს. განსხვავებით კატეგორიით «გვიან» აღნიშნული წინა ეტაპისაგან დროული ჰაუზები ზუსტადაა მითითებული“. თხზულებიდან დამოწმებულია ამონაწერები: „*ოცი წლის შემდეგ*“, „*მეხუთე დღეს*“, „*გავიდა სამი თვე... გავიდა ექვსი თვე... გავიდა ცხრა თვეც*“ (გვ. 210–211).

უფრო რთული *დროული კონსტრუქციის* შემცველი ყოფილა **„სარჩობელაზედ“**. ი. რატიანი თავიდანვე გვიხსნის:

„თხზულებაში «სარჩობელაზედ» გადმოცემულ მოვლენათა განლაგება დროში ასე გამოიყურება: **ადრე–გვიან–ადრე–გვიან**". „პირველ ეტაპზე, – წერს იგი პირველი „ადრეს" შესახებ, – დროული ამპლიტუდა ზუსტადაა მითითებული". ასახელებს ნაწარმოების ტექსტს, რომელიც გვაუწყებს, რომ პეტრე გაძარცვიდან ოთხი წლის შემდეგ ქალაქში ისევ მიემგზავრება. მეორე „ადრეს" შესახებ კი თხულობთ: „მოვლენათა განვითარება დროში სუსტი თანამიმდევრობით გამოიხატება: კატეგორია «ადრე» ხელმეორედ იჩენს თავს უცნობი ყმაწვილის წერილში. დროული ჰაუზა, რომელიც ჰერსონაჟთა წარსულში გვაბრუნებს, თავდაჰირველად ზოგადია, შემდეგ კონკრეტდება" და მოჰყავს ამონაწერები ამ ყმაწვილის წერილიდან: „... *გახსოვს, ამ **ოთხის წლის** წინად ლოჯინის ხევის პირს რომ ურმები გამოშვებული გქონდათ?*" და „*და ამ **ორი წლის** წინად ისე მოხდა, თითქო თითონ ბედმა მიგვიყვანა მამინაცვლის სახლშიო*". ქალბატონი ირმა დასკვნის სახით წერს: „მიმართებით «ადრე–გვიან–ადრე» აღნიშნული სიუჟეტური მონაკვეთები მჭიდრო კავშირში იმეოფება ერთმანეთთან და ლოგიკურად ასაბუთებს თხზულების ჰერსონაჟთა სულიერ ტრანსფორმაციას, რაც თხზულების დამამთავრებელ, კატეგორიით «გვიან» აღნიშნულ სიუჟეტურ ჰასაჟში ხდება საცნაური: უფროსმა ძმამ სახრჩობელაზე დაამთავრა სიცოცხლე, უმცროსი დარჩა ქვეყანაზე გულაურილი და გაბოროტებული, ჰეტრე კი საზოგადოებისა და ადამიანის ურთიერთობის ამოცნობის დილემის წინაშე აღმოჩნდა" (გვ. 211).

ამის შემდეგ ი. რატიანი უშუალოდ გადადის **„ოთარაანთ ქვრივის"** განხილვაზე. აქ, თურმე, „დროული მიმართების სქემა ასე გამოიყურება: **«გვიან–ადრე–გვიან»**" (გვ. 211).

ჯერ საუბრობს „ადრეზე": „კატეგორიით «ადრე» აღნიშნული მოვლენები სოლიდური დროული ჰაუზებით იმიჯნება" (გვ. 211). მაგალითებად იმოწმებს თხზულების შემდეგ ტექსტებს: *„ოცდაოთხის ძლივ იქნებოდა, როცა დაქვრივდა და ერთის წლის შვილი დარჩა. ის დღეა და ეს დღე... აი, ეს ოცი*

წელიწადია მხიარული ფერი არ მიუკარებია ტანზედ“, „ერთხელ - ჯერ გიორგი ათი-თორმეტი წლისა ძლივ იქნებოდა“, „ამ ორი წლის წინათ თოფ-იარაღი აისხა ზედ... წავიდა და სამი დღე შინ არ დაბრუნებულა“ (გვ. 212).

ვიმეორებთ: ი. რატიანის შეფასებით, ეს იყო „სოლიდური დროული ჰაუზები“. თურმე, „აღინიშნება შედარებით მოკლე ჰაუზაც“. ნიმუშად დამოწმებულია ტექსტი: „ამას წინად სულ ორი კვირა არ იქნება კინაღამ სოფლის სასამართლომ გომურში არ ჩაამწყვდია“ (იქვე).

პირველ „გვიანსა“ და **„ადრეს“** შორის დამოკიდებულება ასეა დახასიათებული: „მიუხედავად ესოდენ ზუსტი გამიჯნულობისა, *კატეგორიით «ადრე»* აღნიშნული სიუჟეტური ეპიზოდების მიმართება «გვიან» აღნიშნულ სიუჟეტურ ეპიზოდებთან ერთგვარი თანამიმდევრული წუობით გამოირჩევა: ამკარად ფიქსირდება მხატვრული დროისათვის ნიშანდობლივი ტიპოლოგიური მახასიათებელი მოუწესრიგებლობა: სხვადასხვა კატეგორიით აღნიშნულ მოვლენათა სტრუქტურული სხვაობა არ არის გამუარებული - ერთმანეთშია აღრეული ადრინდელი და გვიანდელი მოვლენები, თხრობა ხან ერთს ეხება, ხან მეორეს. სწორედ ასეთ გარემოცვაში ფიქსირდება ჰერსონაჟთა ტრანსფორმაცია როგორც მარტივი, ოდენ ვიზუალური, ისე რთულიც, მომდინარე ჰერსონაჟის ხასიათიდან“ (იქვე, გვ. 112).

მეორე „გვიანზე“ წერია: „კატეგორიით «გვიან» აღნიშნული მეორე მონაკვეთი ნაწარმოების ფინალურ ეპიზოდებს გულისხმობს: გიორგის სიკვდილის ეპიზოდიდან, ვიდრე დასასრულამდე“. მოთხრობის საილუსტრაციო ტექსტი: „შუა-ხანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისკენ ჰირი ჰქმნა... მოვიდა ზამთარი და მოიტანა თოვლი“.

და ბოლოს დამაგვირგვინებელი, „წყალგაუვალი“ დასკვნა: „კატეგორიით «გვიან» აღნიშნული მოქმედებები მომდინარეობს წინამორბედი მოვლენებისაგან და ჰერსონაჟის ოთარაანთ ქვრივის ცხოვრების დასასრული საკვებით ლოგიკურად გვეჩვენება“ (იქვე, გვ. 212).

ეს არის და ეს! დიახ, დიახ, თურმე, რომ არა ეს მწერლისეული *დროის კატეგორიის* მანიპულაციები, ოთარაანთ ქვრივის ცხოვრების დასასრული ლოგიკური აღარ იქნებოდა!

როგორ მოგწონთ, ძვირფასო მკითხველო, ილია ჭავჭავაძის მოთხრობათა ეს ანალიზი? მადლობა ღმერთს, ეს ნაწარმოებები სკოლის მერხიდან შეთვისებული გვაქვს, მაგრამ დამატებით რა გავიგეთ აქედან, მეტადრე, საყურადღებო და მნიშვნელოვანი? სიახლე და გასაკვირი ყოფილა, თურმე, ის, რომ მასში აღნიშნულია „დრონი“: რა ასაკისაა ესა თუ ის პერსონაჟი, როდის ხდება მოქმედებანი, წლის რომელ დროს ან პირველად რა ამბავი ხდება და შემდეგ რა, ე. ი. დროის თვალსაზრისით კომპოზიციურად როგორაა აგებული თხზულება და ა. შ. მე უნებურად მახსენდება ნოდარ დუმბაძის „ბოტანიკური“ ლექსი: *„ხეს გამოუბამს კვირტები, მოდი და ნუ გაკვირდები!“*

¤

ი. რატიანი ამის შემდეგ ილიას თხზულებებში განიხილავს *„ათვლის წერტილებისა“* და *„მოვლენა-ბირთვის“* **საკითხს** კი არა, — **პრობლემას**. მისი სიტყვებით: „მთელი სიმწვავით დგება მხატვრული დროის თანამიმდევრობის თვისებრივი მაჩვენებლების განსაზღვრისათვის საჭირო ათვლის წერტილის მოძიების პრობლემა“ (გვ. 214). „მოვლენა-ბირთვის“ შესახებ წერია: „მიგვაჩნია, რომ ქართულ რეალისტურ პროზაში, რომლის მეტრადაც ით-ვლება ი. ჭავჭავაძე, უდავოდ შეინიშნება ერთი კანონზომიერება: მხატვრული დროის მთლიან მოდელში არსებული დროული პლანები – მხატვრული აწმყო, წარსული და, გარკვეულწილად, მომავალი – კონცენტრირებულია რომელიმე ერთი ძირითადი მოვლენის ე. წ. მოვლენა-ბირთვის გარშემო“ (იქვე).

ახლა ვნახოთ, როგორ ესახება ი. რატიანს ეს „დროული პლანები“ **„მგზავრის წერილებში“**: „მოვლენა-ბირთვად

გვევლინება მგზავრის შეხვედრა ლელთ ღუნიასთან"; „მხატვრული დროის წარსულ ჰლანს მიეკუთვნება მგზავრის მოგზაურობა ვლადიკავკასიდან ვიდრე ფასანაურამდე, მაგრამ მასში, ამასთანავე, ფიქსირდება ათვლის სხვა წერტილები და სხვა დროული ჰლანები, რომლებიც განსხვავებულ სიუჟეტურ ეპიზოდებს ასახავენ და სხვადასხვა სტრუქტურულ რგოლს ესადაგებიან" (გვ. 215). კიდევ: ორი დიალოგი: „მგზავრის დიალოგები «რუსის აფიცერთან» ლელთ ღუნიასთან მთავარი ჰერსონაჟის მგზავრის აწმოა, თუმცა მოვლენა-ბირთვთან მიმართებაში ისინი მხატვრული წარსულის ჰლანის ჰოზიციაში იმყოფებიან. თავის მხრივ, ორივე დიალოგი გვთავაზობს მიკრო-წარსული ჰლანის ინვარიანტებს" (გვ. 216) და სხვა.

„გლახის ნაამბობის" შესახებ ნათქვამია: აქ „«მოვლენა-ბირთვი» გაბრიელისაგან დათიკოს მოკვლა" არის, რომელიც „მხატვრული დროის წარსულს მიეკუთვნება". „ათვლის წერტილებად შეიძლება მივიჩნიოთ გაბრიელისა და დათიკოს გამგზავრება ქალაქში, გაბრიელისა და თამროს შეხვედრა ორღობეში, დათიკოსაგან თამროს ნახვა საუდარში, გაბრიელისა და დათიკოს კონფლიქტი და ჰეჰიას სიკვდილი. თითოეული ეს ეპიზოდი მიჯნავს მხატვრული დროის იმ მიკროჰლანებს, რომლებიც ესადაგებიან აღნიშნულ სიუჟეტურ მონაკვეთს და, ცხადია, წინ უსწრებს მოვლენა-ბირთვს".

აქედან ვღებულობთ ამგვარ შედეგს: „ამრიგად, რამდენად ჰარადოქსულადაც უნდა გვეჩვენოს ეს კონცეფცია, «გლახის ნაამბობში» წარმოდგენილი დროული ჰლანების ურთიერთმიმართება გვაძლევს შემდეგი დასკვნის უფლებას: ნაწარმოებში დაფიქსირებული ათვლის ნებისმიერი წერტილი აერთიანებს უკვე მომხდარ, კრისტალიზებულ წარსულს, უშუალოდ განცდილ აწმოს და განუხორციელებელ, მაგრამ ჰროგნოზირებად მომავალს" (გვ. 215–217).

ახლა ვნახოთ დანარჩენ თხზულებათა „ანალიზი". სურათი რომ უფრო სრულყოფილი გამოვიდეს, „კაცია-ად-

ამიანზე?!“, „სარჩობელაზედ“ და „ოთარაანთ ქვრივზე“ მსჯელობანი დიდი არ არის და მათ მთლიანად წარმოვადგენ:

„თხზულებაში «კაცია–ადამიანი?!» მოვლენა–ბირთვი მხატვრული წარსულის ჰლანშია მოცემული. ლუარსაბისა და დარეჯანის ქორწინება თხზულების მთავარ, ცენტრალურ ეპიზოდს წარმოადგენს და სრულიად სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ ნაწარმოების დროული ჰლანების გამმიჯნავ ათვლის წერტილებად. ლუარსაბისა და დარეჯანის ქორწინების ეპიზოდი მიჯნავს ლუარსაბის სიუმაწვილის ჰერიოდს, როგორც მხატვრულ აწმყოს. გარდა ათვლის ძირითადი წერტილისა, «სიუჟეტურ ველზე» მოიძიება ათვლის მცირეხარისხოვანი წერტილები, რომლებიც მხატვრული დროის მიკროჰლანებს წარმოადგენენ. მსგავსი ათვლის წერტილებია: სუტ–კნეინას ვიზიტი ლუარსაბთან, ლუარსაბისა და დარეჯანის მგზავრობა თელეთში და მკითხავის სტუმრობა ლუარსაბის ოჯახში. სუტ–კნეინას ვიზიტი უმაწვილ ლუარსაბთან მიჯნავს ლუარსაბის სიურეს, როგორც მხატვრულ წარსულს და ლუარსაბის უმაწვილკაცობას, როგორც მხატვრულ აწმყოს. მოვლენა–ბირთვი ლუარსაბისა და დარეჯანის ქორწინება – თხზულების დროული ჰლანების ცენტრალურ წუალგამოფად გვევლინება: მის მიღმა რჩება ლუარსაბის ოჯახური ცხოვრება, როგორც მხატვრული აწმყო. ლუარსაბისა და დარეჯანის თელეთს მოგზაურობისა და მათ ოჯახში მკითხავის მოსვლის ეპიზოდები თითქმის ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებს: ერთმანეთისაგან მიჯნავს ლუარსაბის რადიკალურად განსხვავებულ სულიერ მდგომარეობებს“ (გვ. 217–218).

ამას უშუალოდ ებმის **„სარჩობელაზედ“**: „ს ა ი – ტ ე რ ე ს ო სტრუქტურულ სურათს წარმოადგენს «სარჩობელაზედ». გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი თ თხზულებებისაგან «მგზავრის წერილები», «გლახის ნაამბობი» და «კაცია–ადამიანი?!» მოთხრობის «სარჩობელაზედ» მოვლენა–ბირთვი მ ხ ა ტ ვ რ უ – ლ ი აწმყოს ჯრილშია მოცემული. უმაწვილი კაცის ჩამოხრჩობის ეპიზოდი ჰეტრეს, უცნობი უმაწვილისა და მისი

ძმის მხატვრულ აწმყოს წარმოადგენს. «სარჩობელაზედ» დროული ჯრილისა და ათვლის წერტილების მიმართების ორიგინალური ფორმას გვთავაზობს: მოვლენა-ბირთვი მხოლოდ ორ დროულ ჯრილს მიჯნავს – ჰეტრესა და უმაწვილების აწმყოსა და ჰეტრესა და ჩამოხრჩობილი ბიჭის ძმის მომავალს. მხატვრული წარსული ათვლის სხვა, მეორეხარისხოვანი წერტილებიდან მომდინარეობს: ჰეტრეს წარსული ჯრილი ჰეტრესა და ჰატარა ძმების შეხვედრის ეპიზოდს უკავშირდება, ჩამოხრჩობილი უმაწვილისა და მისი ძმის წარსულის ჰლანი კი ათვლის ორ წერტილს გულისხმობს: ჰეტრესა და ჰატარა ძმების შეხვედრის ეპიზოდს და უცნობი ბიჭის წერილს, რომელთა შორისაც სრულიად აშკარად მყარდება დამოკიდებულება ადრე-გვიან“ (გვ. 218).

აქაც ავტორი პირდაპირ გადადის **„ოთარაანთ ქვრივზე“**: „თხზულებაში «ოთარაანთ ქვრივი» მოვლენა-ბირთვი მხატვრული წარსული დროის ჰლასტის კუთვნილებაა: გიორგის სიკვდილი უკვე მომხდარი და გარდასულია. ათვლის ძირითადი წერტილიდან სათავეს იღებს ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის აწმყო და მომავალი დროის ჯრილები, არჩილისა და კესოს მომავალი დროის ჰლასტი როგორც ჰროგნოზი. მოვლენა-ბირთვის მიღმა რჩება მხატვრული წარსული, რომელიც, თავის მხრივ, ათვლის რამდენიმე წერტილს შეიცავს: ოთარაანთ ქვრივის სიკვდილს, რომელიც მიჯნავს ოთარაანთ ქვრივის პერსონაჟის წარსულსა და აწმყოსა და გიორგის წასვლას შინიდან, რომელიც მიჯნავს გიორგის პერსონაჟის წარსულ, აწმყო და მომავალი დროის ჰლასტებს“ (გვ. 218).

ამის შემდეგ ი. რატიანი მსჯელობს „მომავალი დროის“ შესახებ და თავად აღიარებს: „მომავალი დრო, გარკვეულწილად, ეფემერული კატეგორიაა, ჯერ არ დამდგარი დრო, რომელიც არ განიზომება და არ აღიქმება. (...) გამომდინარე აქედან, ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, მიდგომა დროის მომავალი ჯრილისადმი სრულიად არაერთგვაროვანი და ურთიერთგამომრიცხავიც კია“ (გვ. 218). იქვე ამ

„დროს“ ის „ბუნდოვანსა და სადავო კატეგორიასაც“ უწოდებს (გვ. 219).

ჩვეულებრივმა მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ აქ საუბარია მწერლის იდეაზე, მისი პერსონაჟის მომავლის პერსპექტივაზე. არა! იგი სხვა რამეს — სტრუქტურას ეხება, რომელიც „მოვლენა-ბირთვს“ უკავშირდება. „სტრუქტურული თვალსაზრისით, — განმარტავს ავტორი, — ი. ჭავჭავაძის თხზულებებში არსებული მომავალი დრო მარტივი და რთული კონსტრუქციების სინთეზს წარმოადგენს. მარტივი კონსტრუქცია გულისხმობს მომავალი დროის ერთი ძირითადი მოდელის არსებობას, რომელიც კონცენტრირებულია მოვლენა-ბირთვის გარშემო, რთული კონსტრუქცია კი აერთიანებს მომავალი დროის რამდენიმე მოდელს, რომლებიც ათვლის არა მარტო ძირითადი, არამედ მეორეხარისხოვანი წერტილებიდანაც მომდინარეობენ“ (გვ. 219).

პირველის, ანუ მარტივი კონსტრუქციის, ნიმუშად დასახელებულია „მგზავრის წერილები“ და „კაცია-ადამიანი?!“, მეორესი — დანარჩენი სამი მოთხრობა, რომელთა „მომავალი დროის ჰლანი არაერთგვაროვანია“ (გვ. 219–220).

სამაგალითოდ დავიმოწმებ, თუ როგორაა დახასიათებული „მგზავრის წერილების“ „მომავალი დროის პლანი“. მოტანილია ამონაწერი მგზავრის, ანუ ილია ჭავჭავაძის, კითხვებიდან, რომელიც მას ლელთ ღუნიასთან საუბრისას გაუჩნდა: *„მიგიხვდი, ჩემო მოხევე, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი. (...) უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა. (...) როდემდის დამრჩეს ეს ტკივილი გულში, როდემდის, ოხ, როდემდის, როდემდის?“*. ამას წინ უძღვის ი. რატიანის სიტყვები: მგზავრი, ანუ ილია, „აქტიური მოქმედებისათვის ემზადება, მომავალს ეგებება კითხვით, რომლის ჰასუხიც მხოლოდ ჰოტენციაში შეიძლება ვეძიოთ“ (გვ. 220). თუ ეს ახსნა არა, მკითხველი დაიბნეოდა?!

ძვირფასო მკითხველო, ამ „სიახლეებიდან“ რომელიმე საჭირო და სასარგებლო არის?! აქაც დროის მიხედვით ამ

თხზულებათა კომპოზიციის წარმოჩენა იმდნად თითიდან გამოწოვილია, ილია ჭავჭავაძის რომელიმე თხზულების რაიმე შემოქმედებით თავისებურებას, სხვა რომელიმე მწერლის შემოქმედებისაგან განსხვავებულს, არაფერს იძლევა. ასე ნებისმიერი მწერლის ნებისმიერ ნაწარმოებზე შეიძლება ვილაპარაკოთ!

2. „სივრცის კატეგორია“

დიდი რუსი მეცნიერი დიმიტრი ლიხაჩოვი გასაგებ ენაზე განმარტავს (ვიმოწმებთ ი. რატიანის წიგნიდან): „თავის ნაწარმოებში ავტორი ქმნის გარკვეულ სივრცეს, რომელშიც მიმდინარეობს მოქმედება. ეს სივრცე შეიძლება იყოს მასშტაბური, აერთიანებდეს სხვადასხვა ქვეყანას (მოგზაურობის ჟანრის რომანებში), მეტიც – სცილდებოდეს ჩვენი პლანეტის დედამიწის საზღვრებს (ფანტასტიკური ან რომანტიკული ჟანრის რომანებში) ან, პირიქით, ლოკალიზდებოდეს ერთი ოჯახის ვიწრო ჩარჩოებში. სივრცე, რომელსაც ქმნის ავტორი თავის ნაწარმოებში, შეიძლება ხასიათდებოდეს გარკვეული «გეოგრაფიული» თავისებურებებით: იყოს რეალური (როგორც მატიანესა და ისტორიულ რომანში) ან წარმოსახული (როგორც ზღაპარში)“ (გვ. 181).

მაგრამ ი. რატიანი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ამ ადამიანურად გამოთქმულ *სივრცეს* არ დაეძებს. თუმცა, რომ გავიმეოროთ, რაც დროს შესახებ ვთქვით, ილიას შემოქმედებაში ამ მხრივ საკვლევი არაფერია – სადაც ხდება მოქმედება, ყველა მოთხრობაში გარკვევით და ნათლადაა აღნიშნული.

მაშ, რაა ი. რატიანისეული მიგნებული *სივრცე*? მისივე სიტყვით, „ილია ჭავჭავაძის პროზაულ თხზულებებში ფიქსირებული ძირითადი სივრცული მოდელები – გზა, სოფელი, კარმიდამო, სახლი, ქალაქი, დუქანი, საყდარი და პეიზაჟური ფონი – მხოლოდ მხატვრული დროისა და მხატვრული

ქრონოტოპული მოდელების სპეციფიკით განისაზღვრება“ (გვ. 224).

შემდეგ კიდევ უფრო აზუსტებს: „ი. ჭავჭავაძის ჰრომანულ თხზულებებში ფიქსირებულ მხატვრულ ქრონოტოპულ სისტემაში, ჩვენი აზრით, სამი ძირითადი, მთავარი, საგულისხმო ქრონოტოპული მოდელი გამოიყოფა: ჰერსონაჟთა ინდივიდუალური ქრონოტოპი, გზისა და შეხვედრის ქრონოტოპი და ჰერცეფციული ქრონოტოპი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი სრულიად ორიგინალური სტრუქტურითა და თავისებურებებით გამოირჩევა, მათ აერთიანებს საერთო-ფუნქციური მისია: დრო-სივრცის ფსიქოლოგიური სუბლიმაციის ჰროცესის ასახვა. განვიხილოთ თითოეული მათგანი“ (გვ. 225).

„მგზავრის წერილებში“ მიგნებული „სივრცეები“ (ცხადია, „დროსთან“ ერთად): ი. რატიანს მოჰყავს ტექსტის ნაწყვეტები: *„დაღამდა, მიწყდა ადამიანის ფეხის ხმა“* და *„გათენდა. რა მშვენიერი რამა ხარ დილის რიჟრაჟო“*. მისი თეორიით, აქ, თურმე, „ფიქრის სივრცე კვლავ ზოგადი, იმიტირებული გარემოთია შემოფარგლული და ინტენსიფიცირდება ფიქრის ირეალურ-მხატვრულ დროში“ (გვ. 228).

თხზულების შემდეგი ნაწყვეტი: *„მართლა-და რა უნდა ვქნა? – ვკითხე ჩემს თავს ხმამაღლივ. – ჩაი უნდა მიირთოვო – მიპასუხა სტანციის გუშაგმა, რომელმაც ამ დროს შემოიტანა სამოვარი და ჩემს სტოლზედ დადგა“*. სამივე ნაწყვეტის ჩვენი ქალბატონისეული ქრონოტოპული ანალიზი ასეთია: „ფიქრი ერთი ხელის დაკვრით წყდება და მგზავრი ფიქრის ირეალური სამყაროდან აღმოჩნდება ლოთი რუსი ოფიცრის საზოგადოებაში. მხატვრული დრო კონკრეტდება დღე იწურება და დგება საღამო, რომელსაც უნდა მოჰყვეს მგზავრის შინაგანი ამაღლება. მგზავრი ტოვებს «სტანციის» ოთახს და გადის უფრო მასშტაბურ, *გაშლილ სივრცეში*. იგი აღარ ემორჩილება არავითარ საზღვრებს, მიჯნებსა და ჩარჩოებს. მგზავრი აღმოჩნდება *თავისუფალი სივრცის* ცენტრში, შინაგანად ფლობს დროს, რაც განაპირობებს მისი

სულიერი ტრანსფორმაციის გარდაუვლობას. მოძრაობისა და უმრაობის, ნათელისა და ბნელის უზოგადოესი ჰრობლემების დეფინიცია ცხადად გამოკვეთს გმირის შინაგან, ფსიქოლოგიურ-ემოციურ და აზრობრივ ზრდას, რომელიც ჰირდაჰირ ჰროპორციულია დრო-სივრცული თავისუფლების ზრდისა“ (იქვე, გვ. 228).

„მგზავრის წერილების“ ი. რატიანისეულ „ანალიზზე“ უფრო სრული წარმოდგენა რომ გვქონდეს, ერთ მაგალითს კიდევ დავიმოწმებ. მისი სიტყვებია: „სრულიად განსხვავებულია ლელთ ღუნიას მიმართება მიკრომშობლიურ სივრცესთან“. ავტორს მოჰყავს მგზავრის, ანუ ილიას, საუბარი ლელთ ღუნიასთან, სადაც ბარისა და მთის შესახებ ღუნია ამბობს: *„იქაველ კაცს ფერი არ აქვნ, ჯანი არ აქვნ. აქაველ ჯანმრთელნი არნ... არჩევანზედ? ამ ღორღიან კლდეთ ვიჯობდი, ჯანმრთელია. ადამის ძეი ბალახითაც, გაჭირდის, გაძლების, სატკივარს რაი ეყვის?“*

როგორ იზომება ეს ნაუბარი „დრო-სივრცული კატეგორიით“? ინებეთ: „ამრიგად, ლელთ ღუნიას ცნობიერებაში იქმნება უაღრესად საინტერესო და უცნაური სინთეზი: იდეალში ერთმანეთს ერწყმის ორი კატეგორია – არსებული ლაღი მშობლიური სივრცე და უკვე გარდასული დრო. სწორედ ასეთი დრო-სივრცული ამჰლიტუდა იწვევს იმ დიდ ტკივილსა და განცდას, რომელიც სტანჯავს მოხევეს (გავიხსენოთ მის მიერ მოთხრობილი ისტორიული ამბავი) და რეალურ ელფერს სძენს მგზავრის ჰოზიციას: ლელთ ღუნიასთან შეხვედრის შემდეგ მშობლიური სივრცე აღარ არის მგზავრისათვის მხოლოდ იდეურ-ეთიკური განწყენდის ფონი, არამედ – წარმოადგენს იმ კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ სივრცეს, რომელიც ითხოვს მისგან რადიკალურ მოქმედებას, რეალურ საქმეს და თავის წილს მსხვერჰლს“ (გვ. 229).

ნამდვილად კარგად ზის აქ სიტყვა „უცნაური“. დიახაც, აქ აღნიშნული ისევეა უცნაური და საოცარი, როგორც *„ხეს გამოუბამს კვირტები, მოდი და ნუ გაკვირდები“*!

„გლახის ნაამბობი“. ი. რატიანი თავიდანვე გვაცნობს, რა სივრცეებზე აქვს მსჯელობა: „მხატვრული სივრცე, რომლის წიაღშიც იხსნება ჰერსონაჟის (გაბრიელის – **ბ. დ.**) სასიათი, შემდეგ ძირითად მოდელებს წარმოგვიდგენს: სოფელი, ქალაქი, საყდარი, სატუსაღო, დუქანი, საბძელი და ჰეიზაჟური ფონი“ (გვ. 230).

ვნახოთ რამდენიმე მათგანი. მოყვანილია თხზულების ტექსტი – დაგლახავებული გაბრიელის პირველი გამოჩენა: *„ეხლა კი რომ ამოვიარე... დავინახე ერთი კაცი, გომურის კარებთან მიწოლილი. ეგ არაფერი. დილაზედ ჩამოვიარე, შევიხედე, ის კაცი ისევ-ისე მწოლიარე დავინახე. სალამოზედ, ჯერ ბინდი არ მოჰრეოდა სინათლესა, ამოვიარე – ის კაცი ისევ-ისე ვნახე“*. ი. რატიანის კომენტარი: „აქ საგულისხმოა ერთი გარემოება: ჰერსონაჟის სტატიკური მდგომარეობა არ იწვევს ჰერსონაჟის ინდივიდუალური დროის გასტატიკურებას, ან შეჩერებას, გაქვავებას. პირიქით, ჰერსონაჟის ინდივიდუალური დრო მაქსიმალურად მოძრავი და რიტმულია, რაც მწვავე დროული ცაიტნოტით აღინიშნება“.

აქ „მკვლევარი“ ორწერტილს სვამს და აგრძელებს მოთხრობის ტექსტს: *„მე სწორედ მოგახსენოთ... ჩემს ვინაობას არ გეტყოდი, თუ ჩემი აღსასრული არ მოახლოებულიყო. ვიცი – ჩემი დღე დათვლილია“*. ქალბატონი ირმა ამ პასაჟზე აკეთებს დასკვნას: „ამრიგად, თხზულების მთავარი ჰერსონაჟის ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი ქ რ ო ნ ო ტ ო პ ი ს ის მონაკვეთი, რომელიც მხატვრული დროის აწმყოს ჰლანშია გახსნილი, აერთიანებს ვიწრო, ლოკალურ ს ი ვ რ ც ე ს ა და დინამიკურ დ რ ო ს“ (გვ. 230).

ი. რატიანი შემდეგ იმოწმებს ნაწარმოების ტექსტებს, სადაც, მისი სიტყვებით, „ორჯერ ფიქსირდება სივრცული მოდელი «ქალაქი». პირველ შემთხვევაში იგი უკავშირდება ორ

სივრცულ მოდელს – «საუდარსა» და მღვდლის «სახლს», მეორე შემთხვევაში სივრცულ მოდელს «დუქანი»“ (გვ. 231).

გასაგებად რომ ვთქვათ, დამოწმებულია მოკლე ამონაწერები აღნიშნულ ადგილებში მომხდარი ამბებიდან. რა ჩანს ამ ეპიზოდებიდან? მოვუსმინოთ ქალბატონს: „ვფიქრობთ, აღნიშნული ორი სივრცული კონსტრუქცია: «ქალაქი – საუდარი – მღვდლის სახლი» და «ქალაქი – დუქანი» ქმნის სივრცული კონტრასტის პრეცედენტს, რომლის ფონზეც ჰერსონაჟის ტრანსფორმაციის თვისობრივად განსხვავებული სახეებია მოცემული: თუ ერთ შემთხვევაში ქალაქის მასშტაბური სივრცე გაბრიელის ღვთისნიერ ადამიანად გარდაქმნას ემსახურება, მეორე შემთხვევაში ნათელუოფს შურისძიების გზაზე დამდგარი ჰერსონაჟის სისუსტეს. სივრცული კონტრასტის ხერხის ესოდენ სწორად გამოუენება ი. ჭავჭავაძის, როგორც მწერლის, უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს“ (გვ. 232).

შემდეგ განხილულია „სივრცული მოდელები“ „სატუსაღო“, „პეიზაჟი“ და ა. შ.

„კაცია–ადამიანის“ ქრონოტოპის დახასიათება ასე იწყება: „ჰერსონაჟთა ინდივიდუალური დრო მხატვრული დროის სხვადასხვა ჰლანში განისაზღვრება და ორ სტრუქტურულ ინვარიანტს გვთავაზობს: ინდივიდუალურ–ეოფით და ინდივიდუალურ–ბიოგრაფიულ დროს. ინდივიდუალური დროის თითოეული ჰლასტი მხატვრული სივრცის გარკვეულ მოდელს უკავშირდება და თხზულების «კაცია–ადამიანი» ჰერსონაჟთა ინდივიდუალური ქრონოტოპი შეიძლება გავიაზროთ როგორც ე ო ფ ი თ ი დრო–სივრცისა და ბ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი დრო–სივრცის მთლიანობა“ (გვ. 234).

რას ეყრდნობა ეს „გააზრებანი“?

თურმე, „ეოფითი ქრონოტოპი განისაზღვრება სივრცული მოდელით «სოფელი–კარმიდამო–სახლი»“. დამოწმებულია ტექსტები: *„კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ–კარი...“*; *„ქვეშ იყო მარანი...“* და ა. შ. გარემოს ეს აღწერილობა შედარებულია ლუარსაბის პორტრეტთან: *„კარგად ჩასუ-*

ქებული... მორგვივით სქელი კისერი...“ და ა. შ. ქრონოტოპული პრინციპით მათ შორის, აი, რა განსხვავება ყოფილა: „სივრცის დეტალური აღწერა ფაქტობრივად გამორიცხავს მხატვრული დროის მდინარებას. მხატვრული დრო ამ ეტაპზე გაუჩინარებულია. მასშტაბური სივრცული მახასიათებლები ჰირდაპირპროპორციულია მცირე სივრცული მახასიათებლებისა, რომლებიც ჰერსონაჟთა გარეგნული მონაცემებით განისაზღვრება“ (იქვე, გვ. 234).

იმის ნიმუშად, რომ „ინდივიდუალური დრო ლუარსაბის სულიერ ჰლასტებს აირეკლავს“, მოყვანილია ლუარსაბის მსჯელობა ძველი და ახალი დროების შესახებ: *„...კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავი პატიოსანი“.*

ი. რატიანი იმოწმებს სუტ-კნეინას არეულ-დარეულ მონათხრობს ლუარსაბის ბავშვობის დროინდელ ამბებზე და მას ასეთ კომენტარს ურთავს: „სუტ-კნეინას თხრობას თან ახლავს სჰეციფიკური დრო-სივრცული ატმოსფეროს შექმნა, რასაც შეიძლება ცრუ ქრონოტოპი ვუწოდოთ“ (გვ. 236).

ერთი ამონაწერი კიდევ „კაცია-ადამიანის?!“ ქრონოტოპზე: „დროისა და სივრცის მაქსიმალური მობილიზება აღინიშნება ლუარსაბის ქორწილის ეპიზოდში: ჰერსონაჟის ინდივიდუალური დრო კონკრეტდება სამშაბათი, ღამე, სივრცული მოდელი კი საუდრის სახითაა წარმოდგენილი. საინტერესოა ის გარემოება, რომ სივრცული მოდელი - «საუდარი» სრულ წინააღმდეგობაში მოდის ეპიზოდის იდეურ-ზნეობრივ ფაქტორთან: საუდარი ღვთის სახლია და მის ფონზე გაცილებით უფრო მკვეთრად ისახება თხზულების ჰერსონაჟთა ყოველგვარი სიმდაბლე“ (გვ. 237).

ამგვარივეა დანარჩენ თხზულებათა „ანალიზიც“. სიტყვა გაგვიგრძელდა. ძნელია ამ არაფრისმთქმელი ამბების მოსმენა. ამიტომ აქ თითო-თითო ნიმუშის ჩვენებით დავკმაყოფილდებით.

მოყვანილია ნაწყვეტები მოთხრობისა **„სარჩობელაზედ“** ლოჯინისხევისა და ყმაწვილი ძმების პორტრეტული აღწერილობებიდან და ეს „პეიზაჟურ“ და „პორტრეტულ“ „მოდელთა“ თუ „ფონთა“ ურთიერთობა ასეა დახასიათებული: „მხატვრული დრო თავდაპირველად ზოგადად განსაზღვრულია – შუა ზაფხული. მხატვრული სივრცე ორ კონსტრუქციას აერთიანებს. პირველი მათგანი მასშტაბურ სივრცულ მოდელს წარმოგვიდგენს პეიზაჟური ფონის სახით: გვალვისაგან დასიცხულ ლოჯინის ხევს, ძლივს მოწანწკარე წუალს, ქანცგაწუვეტილ მეურმეებსა და კამეჩებს, მეორე კი – შედარებით მცირე სივრცულ მოდელს – «ჰორტრეტს» – ორი ჰატარა ძმის გარეგნობის დახასიათებას. პეიზაჟური ფონიცა და ჰორტრეტული ფონიც სივრცის ვიზუალურ აღქმას ეფუძნება, დეტალები მაქსიმალური სიზუსტით ფიქსირდება და წუდება მხატვრული დროის ფუნქციონირება. (...) პეიზაჟურ და ჰორტრეტულ მხატვრულ სივრცულ მოდელში კონცენტრირებული უველა დეტალისა და მოვლენის ესოდენ კორექტული ფიქსაცია იწვევს დასახელებული სივრცული მოდელების გამიჯვნას მხატვრული დროის ქსოვილიდან“ (გვ. 238).

ამას მოსდევს მწერლის სიტყვები: *„უეცრად ხევის ყურედამ ორი ყმაწვილი გამოვიდა გზაზედ“*. ეს „უეცრად“ თუ რა ყოფილა, მოვუსმინოთ ი. რატიანის ახსნას: „სიტყვა «უეცრად» არ შემოდის ნაწარმოებში როგორც მხოლოდ ლექსიკური ერთეული. მის გამოჩენას თან ახლავს გარკვეული ემოციური ჰლანის შექმნა, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ნაწარმოების დასაწუისში აღწერილი ემოციური ვითარებისაგან: «უეცრად» წუვეტს ნაწარმოების მშვიდ ვითარებას და ახდენს დროული ჰარამეტრების მაქსიმალურ დაძაბვას. ფიქსირდება ავანტიურული ელემენტი და იქმნება შემთხვევითობის ატმოსფერო. შემთხვევით განპირობებული ავანტიურული დრო უკავშირდება კონკრეტულ თვისებრივად ახლობელ, მშობლიურ სივრცეს“ (გვ. 238–239).

ვისაც ამის გააზრება შეგიძლიათ, ღმერთმა შეგარგოთ.

ამგვარადვეა წარმოდგენილი **„ოთარაანთ ქვრივიც“**. აქაც საუბარია დრო-სივრცულ მოდელებზე – **სოფელი–კარ–მიდამო–სახლი, პეიზაჟური ფონი**. დამოწმებულია ტექსტები, სადაც აღწერილია მთავარ პერსონაჟთა ცხოვრებისა და მოქმედების გარემო, მათი ასაკი და გარეგნობა. მაგალითად, არჩილისა და კესოს ბაღზე ნათქვამია: „სივრცული მოდელის – «უკავილების ბაღის» – ვიზუალური აღწერა სინთეზირებულია პერსონაჟთა ინდივიდუალური დროის მდინარებასთან. პეიზაჟთა აღწერილობა უკავშირდება პერსონაჟის მოქედების დინამიკას, ამდენად, ინარჩუნებს დროულ მახასიათებლებს. მოქმედებები დინამიკური, რიტმულ-განმეორებადია, რასაც მიუთითებს ფრაზები: «უოველ დღე», «უოველ ცისმარე დღეს», მხატვრული სივრცე ინტენსიფიცირებულია დროში და, შესაბამისად, დრო არის მხატვრულად აღქმადი. გიორგისა და კესოს ქრონოტოპული მოდელები სრულიად ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს“ (გვ. 244–245). მხოლოდ ერთგან მითითებულია ერთი თავისებურება: „განსხვავებით წინარე განხილული ნაწარმოებებისაგან, «ოთარაანთ ქვრივში» კონცენტრირებული მხატვრული დროის ბრუნვა ხაზგასმულად სპირალურია და მოიცავს პერსონაჟთა ინდივიდუალურ დროულ სეგმენტებს“ (გვ. 243).

დასასრულ ი. რატიანი ამ თავის (*„პერსონაჟთა ინდივიდუალური ქრონოტოპი“*) საბოლოო დასკვნას ასე აყალიბებს: „ი. ჯავჯავაძის პროზაულ თხზულებებში ფიქსირებული პერსონაჟთა ინდივიდუალური ქრონოტოპული სისტემა უაღრესად საინტერესო და არაერთგვაროვანი სტრუქტურული შემადგენლობით ხასიათდება: ინდივიდუალური ქრონოტოპის თითოეული დამოუკიდებელი კონსტრუქცია მხატვრული სივრცის, მხატვრული დროისა და ინდივიდუალური დროის განსხვავებულ ჰლასტებს აერთიანებს. ანალოგიური სივრცული მოდელების გამოუენება სხვადასხვა ნაწარმოების დონეზე არ გულისხმობს მათი სტრუქტურული და ესთეტიკური ფუნქციების

ანალოგიურობას. თითოეული ჰერსონაჟის ქრონოტოპული მოდელის ორიგინალობას სივრცული მოდელების, მხატვრული და ინდივიდუალური დროული მახასიათებლების მიმართებისა და შერწყმის ჰროცესის მრავალფეროვნება უზრუნველყოფს“ (გვ. 247).

¤

ამის შემდეგ მოდის თავი *„გზისა და შეხვედრის ქრონოტოპი“* (გვ. 248–258), რომელიც წიგნის მესამე ნაწილში მცირე ცვლილებითა და სხვა სათაურით მეორდება: *„გზის მეტაფორიზებული მოდელები: «გლახის ნაამბობიდან» «ოთარაანთ ქვრივამდე»“* (გვ. 294–306).

აი, ეს ქრონოტოპი რა თვალსაზრისით ყოფილა საინტერესო და საკვლევი: „გზა, როგორც სივრცული მოდელი, მასშტაბურია და აერთიანებს ტექსტის დანარჩენ სივრცულ მოდელებს. იგი მოვლენათა შერწყმისა და მოქმედებათა დასრულების ასპარეზს წარმოადგენს. გზა შეიძლება მიემართებოდეს **მშობლიურ** ან **უცხო** ტერიტორიაზე, იყოს **გრძელი** ან **მოკლე**. (...) შეხვედრა შეიძლება **შედგეს** ან **არ შედგეს**. ჰირველ შემთხვევაში შეხვედრის მოტივის თვისებრივი მაჩვენებელი **დადებითია**, მეორე შემთხვევაში – **უარყოფითი**. (...) შეხვედრა შეიძლება იყოს **სასიამოვნო** ან **არასასიამოვნო**, **მიზანშეწონილი** ან **არამიზანშეწონილი**, **საშიში** ან – ჰირიქით **უწუინარი**, **მეტაფორული** ან ნაწილობრივ **მეტაფორული**. კომჰოზიციური ასჰექტი ავლენს შეხვედრის მოტივის კომჰოზიციურ ფუნქციას: შეხვედრა შეიძლება წარმოადგენდეს ნაწარმოების **კულმინაციურ** წერტილს, შეიძლება აღნიშნავდეს **კვანძის** შეკვრას ან გახსნას. ტექსტში შეხვედრის მოტივი ჰირდაჰირ დამოკიდებულებაშია **დაშორების**, **ქორწინების**, **გაქცევის**, **შეძენის**, **დაკარგვის**, **ცნობის**, **ვერცნობის** და სხვა ფასეულ მოტივებთან“ (გვ. 248–249, 294–295).

ამდენ ამბავს ნაწარმოებში თუკი აღმოვაჩენთ, მეტი რალა გვინდა, ავშენდით და ეს არის!

აქაც სამაგალითოდ ამ თავის მხოლოდ ერთ ნაწილს – „კაცია-ადამიანის“ გარჩევას – მთლიანად წარმოვადგენთ, რადგან იგი შედარებით მოკლეა: „თხზულებაში «კაცია-ადამიანი» გზისა და შეხვედრის ქრონოტოპის მართლაც მ ა ლ ი ა ნ ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო და ს ა უ უ რ ა დ ღ ე ბ ო მ ო დ ე ლ ე ბ ი ა წარმოდგენილი: სიუჟეტური ხასაჟი, რომელშიც ლუარსაბისა და დარეჯანის წინასაქორწინო მოვლენები და ქორწილის ამბავია გადმოცემული, შეხვედრათა საკმაოდ ვრცელ სპექტრს გვთავაზობს – სუტ-კნეინა ხვდება ლუარსაბს, დავითი – მოსე გმელაძეს, ლუარსაბი – დარეჯანს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულიად აშკარა და თვალშისაცემია გზის სივრცული მოდელის ერთგვარი იგნორირება: გზა არ იხსენიება, არ აღიწერება, არ მოინიშნება, მხოლოდ – იგულისხმება“. დამოწმებულია წინადადებები: *„ლუარსაბმა მარტო ერთი დავითი და ერთი კიდევ ვიღაცა გამოისტუმრა“*; *„დიდის პატივით მიიღო მოსემ დავითი“*; *„მოვიდა სიძე დიდის მაყრიონით“*. ჩემმა მზემ, დიდებული შემჩნევაა, არადა ილიას რომ დაეწერა, რა გზით და რამდენ ხანს იარეს, ტალახიანი იყო გზა თუ მოკირწყლული, უტალახო, ხიდი შეხვდათ თუ არა, გზაზე ვინმეს გამოელაპარაკნენ თუ არა და ა. შ. მაშინ კიდევ რამდენ რაიმეს მოიფიქრებდა ი. რატიანი! მწერალი კი ყველაფერ ამას რატომღაც გვერდს უვლის და არც იმას გვეუბნება, რატომ უვლის გვერდს?!

„გამოკვლევა“ გრძელდება: „გზის მოტივით განსაზღვრული შეხვედრების მოტივი გზის სივრცული მოდელის ფიქსაციის გარეშე მოიაზრება. გზისა და შეხვედრის მოტივთა ამგვარი შ ე უ ს ა ბ ა მ ო ბ ი ს საჰირისჰირო ვარიანტს წარმოგვიდგენს ცოლ-ქმრის თელეთში გამგზავრების ეპიზოდი: გზა, ამ შემთხვევაში, იძენს როგორც რეალურ-მხატვრულ, ისე სიმბოლურ ფუნქციასაც. რეალურ-მხატვრული თვალსაზრისით, გზა მოიცავს მანძილს ლუარსაბის სახლიდან თელეთის საუდრამდე, ს ი მ ბ ო ლ უ რ ი თვალსაზრისით კი წარმოადგენს იმ სივრცულ მოდელს, რომლის საშუალებითაც ლუარსაბი, ჰირ-

ველად ნაწარმოების სიუჟეტის განვითარების მანძილზე, არღვევს საკუთარ ლოკალურ, ილუზორულ-იდილიურ სამყაროს და თავის კნეინასთან ერთად მიემგზავრება სალოცავად". საილუსტრაციოდ დამოწმებულია ტექსტი: *„თედოს შეაბმევინეს ურემი, გადააფარეს ფარდაგი, ერთი კარგი ცხვარი დააკრეს ურმის ბოლოს, ახსენეს ღმერთი და ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას შეუდგნენ ქალაქის შარა-გზას"*.

მივყვეთ „გამოკვლევას": „მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ გზა გრძელია და მოგზაურობის დრო ათ დღეს ითვლის, გზას არ ენიჭება გადამწყვეტი ესთეტიკური ფუნქცია. გზის ქრონოტოპი არ უკავშირდება შეხვედრის ქრონოტოპს და, შესაბამისად, არ უკავშირდება ჰერსონაჟთა შემეცნებით-ეთიკური ტრანსფორმირების პროცესს. ამ ეპიზოდში გზის როგორც რეალურ-მხატვრული მოდელის ფუნქცია ბუტაფორულია, საცნაურია გზის ოდენ სიმბოლური დანიშნულება: გზას, ერთი მხრივ, გამოჰყავს ლუარსაბი და დარეჯანი ვიწრო, შემოზღუდული სამყაროდან, მაგრამ, მეორე მხრივ, უფრო საიმედოდ, მტკიცედ ამწყვდევს მათ თავიანთ ბუნაგში" (გვ. 254-255, 301-302). მეორე ადგილას ბოლო სიტყვა შეცვლილია, წერია „ნაჭუჭში".

ვშიშობ, მკითხველმა არ მკითხოს, რატომაა ეს მგზავრობა სიმბოლური, რას ნიშნავს „არღვევს", ლუარსაბს ალთქმა ჰქონდა დადებული, ჩემი კუთხიდან არ გავალო?! ი. რატიანი კი ამას არ გვიხსნის.

აქვე დავძენ: ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ ი. რატიანი ამ თავს შემდეგ მთლიანად იმეორებს. ვინც ჩემს წიგნებს იცნობს, იქ თვალნათლივ მაქვს ნაჩვენები, რომ გამეორებებით წიგნების გაზრდისა და გახვავრიელების დიდოსტატი რ. სირაძე ბრძანდება. ისინი ამ შემთხვევაშიაც ერთმანეთს მხარს უმშვენებენ?!

3. პერცეფციული ქრონოტოპი

შემდეგაა *„ქრონოტოპული სისტემის მესამე მოდელის“* დახასიათება. ამ თავის სახელწოდებაა: *„პერცეფციული დრო და სივრცე, ანუ პერცეფციული ქრონოტოპი“* (გვ. 258–263). „კლასიკური განმარტებით, — წერს ი. რატიანი, — ჰერცეფციული დრო-სივრცის უკიდურეს გამოვლინებას ორი ტიპის ფსიქოლოგიური მდგომარეობა წარმოადგენს: მ ი ლ ი ს ა და ღ რ მ ა ჰ ი პ ნ ო ზ ი ს ფსიქოლოგიური მდგომარეობები. ი. ჯავჯავაძის ჩვენთვის საინტერესო თხზულებებში ორივე ტიპის ნიმუშებია წარმოდგენილი. ჰირველი მათგანი ფიქსირებულია ორ ნაწარმოებში: «გლახის ნაამბობსა» და «კაცია-ადამიანში?!»“ (გვ. 260).

აქ ჰიპნოზზე არაფერია ნათქვამი. ძირითადად გაბრიელის, ლუარსაბისა და ოთარაანთ ქვრივის ზმანებებზეა საუბარი. თითოეული მათგანი, თურმე, „ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკური მისიის ლოგიკურ კომპონენტებს წარმოადგენს, თუმცა ერთმანეთისაგან თ ვ ი ს ო ბ რ ი ვ ა დ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ დ ე ბ ა“ (იქვე, გვ. 260). თუ რა არის ეს „თვისობრივი განსხვავება“, აქ გამოყოფილად და გარკვევით ნაჩვენები არ არის.

რ. რატიანი გაბრიელის სიზმარს არ გადმოგვცემს, მაგრამ, რადგან პატარაა, მთლიანად მოვიყვან: „იქნება არ დამიჯეროთ, მაგრამ ჯოჯოხეთს მიეცეს ჩემი სული, თუ იმ კვირაღამეს ჩემი მღვდელი სიზმარში არ მომჩვენებოდა. ის დაღონებული იდგა ჩემ წინა და, რასაც დავეკითხებოდი, ჰასუხად სულ ამას მეტყოდა ხოლმე:

ხამს მოუვარე მოუვრისათვის თავი ჯირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

ბოლოს მე მითამ მუხლებზედ მოვეხვიე, ცრემლით და ტირილით შევჩივლე ჩემი ამბავი და ვუთხარ: მიბძანე, საით რას გავხდე? იმან არა მითხრა-რა და წავიდა. რომ გადიოდა

გარეთ, შემოშხედა მე და მაშინ კი მითხრა – რასაცა გასცემ, შენია, რაც არა დაკარგულია“[1].

ი. რატიანი ამაზე წერს: „... სიზმრის დრო ჰერსონაჟის ცხოვრების დროის ოპოზიციურია: სიზმრის მოკლე, წამიერი დრო უპირისპირდება შედარებით ხანგრძლივ დროს ჰერსონაჟის მომავალი ცხოვრებისა, რომლის კონტურებიც უკვე ასახულია სიზმარში“ (გვ. 260–261).

ლუარსაბის სიზმარს კი ვრცლად, ციტატებითურთ წარმოგვიდგენს. აი, რამდენიმე ამონაწერი მისი შეფასებიდან: „სიზმარში ფიქსირებული სივრცე ჰერსონაჟის მიერ წარმოებული რეალურ-მხატვრული სივრცის აღქმის შედეგს წარმოადგენს – მოქმედება მოიცავს ნაცნობ, სრულიად ახლობელ ტერიტორიულ არეალს: ლუარსაბის სახლსა და კარმიდამოს. თვით სიზმრის, ე. ი. უკიდურესად ჰერცეფციული აქტის, დონეზეც ჰერსონაჟი უძლურია დაარღვიოს სივრცის შემოზღუდულობა და გაიჯრას წარმოსახულ, მიღმურ, კოსმოსურ სივრცეებში. მეტიც: სიზმრის განვითარების ჰარალელურად აღინიშნება სივრცის მაქსიმალური ლოკალიზაცია – სახლის სივრცე ტრასფორმირდება და გადაინაცვლებს ჯერ კუბოში, შემდეგ– მიწის ქვეშ, საფლაში. სივრცის ლოკალიზება ჰერსონაჟის სრული დესტრუქციის პროცესის იზომორფულია“ (გვ. 261).

„სიზმრის დრო მრავალგანზომილებიანი და უაღრესად დინამიკურია. იგი ამთლიანებს არა მარტო ჰერსონაჟის ცნობიერებაში კოდირებულ გამოცდილებას, არამედ მიმდინარე და წარმოსახულ პროცესებსაც. ამ თვალსაზრისით, სიზმრის დროულ ველი სამ ნაწილად შეიძლება გაიყოს: დროის ერთი მონაკვეთი ჰერსონაჟის შინაგანი გამოცდილების ხანგრძლივობის მაჩვენებელია, მეორე – აწმყოში განვითარებული მოვლენებისა, მესამე კი – ჰერსონაჟის წარმოსახვისა“ (იქვე).

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, II, თბ., 1988, გვ. 185.

„სიზმრის ფინალი უაღრესად დაძაბულია. კალეიდოსკოპურად აჩქარებული დ რ ო ი თ ა და მაქსიმალურად ლოკალიზებული, შემოზღუდული ს ი ვ რ ც ი თ განსაზღვრული ჰერსონაჟი გრძნობს აღსასრულს და უკანასკნელად ცდილობს გადარჩენას“ (გვ. 262).

„სიზმრის მიმდინარეობის რ ე ა ლ უ რ ა დ მცირე, წამიერი დ რ ო არ შეესაბამება სიზმრად ნახულის გაცილებით მასშტაბურ დ რ ო ს ა და შთაბეჭდილებას“ (იქვე).

„ოთარანთ ქვრივის“ ზმანების ქრონოტიპი ასეა დახასიათებული: „ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო დეტალი ფიქსირდება თხზულებაში «ოთარაანთ ქვრივი» – აქ თავს იჩენს ჰერცეფციული ქრონოტოპის არასრული მოდელი“. დამოწმებულია ტექსტი: *„ოთარაანთ ქვრივიც მოჰლალა ფიქრმა... თვლემა მოერია, ღვიძილი ძილად ექცა და ცხადი – სიზმრად. სჩანს ამ ფიქრების ზარი ძილშიაც ჩაჰყვა, რომ მძინარემ რამდენიმეჯერ წამოიძახა: – ღმერთო, მიხსენ!“*.

აქ, ი. რატიანის თვალსაზრისით: „ჰერსონაჟის მდგომარეობა განისაზღვრება როგორც ძილ-ღვიძილი. ჰერსონაჟი თვლემს, იგი ვერ ეძლევა ღრმა ძილს – «ფიქრი ლანდად გადაექცა... *ფიქრების ზარი ძილშიაც ჩაჰყვა*» (ჯავჯავაძე). ფიქრისათვის სპეციფიკური დ რ ო-ს ი ვ რ ც ე მეარად ეჯაჭვება სიზმრისათვის სპეციფიკურ დ რ ო-ს ი ვ რ ც ე ს, ძილის პროცესი ექვემდებარება ფიქრის პროცესს და სიზმრის დ რ ო-ს ი ვ რ ც უ ლ ი ჰლასტების სტრუქტურები არ არის გარკვეული. ჰერცეფციული ქ რ ო ნ ო ტ ო პ უ ლ ი მ ო დ ე ლ ი, შესაბამისად, ა რ ა ს რ უ ლ ი ა, მაგრამ იგი ზედმიწევნით ესადაგება ჰერსონაჟის ემოციურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ჰერცეფციული ქრონოტოპის აღნიშნული მოდელი სუბიექტის ცნობიერებითი ჰლასტების მეტამორფოზების ურთულეს პროცესს აირეკლავს“ (გვ. 263).

რა არის აქ ახალი, „საინტერესო“, საჭირო და მნიშვნელოვანი? ნუთუ ავტორი იმას გვიმეორებს (თანაც რამდენიმეჯერ!), რასაც ფიზიოლოგები გვიმტკიცებენ, რომ

სიზმარში ნანახი ხანგრძლივი ამბავი სინამდვილეში ძილის დროს ერთ წამში ხდება? რა თავისებურებაა ის, რომ სიზმარშიაც იმ სივრცეს, ადამიანებსა და საგნებს ვხედავთ, რაც ცხადში ვიცით? ანდა იქ ნანახი რომ ბევრჯერ სინამდვილეს არ შეესაბამება? ანდა ის, რომ მწერალი სიზმარს იყენებს პერსონაჟის ხასიათის, ნაწარმოების თემისა და იდეის გახსნისა და დახატვის მიზნით? განა დრო-სივრცული მოდელით **პლატონ სამანიშვილის** სიზმარი ილიას გმირთა სიზმრებისაგან განსხვავდება?

4. მწერალი, მკითხველი და ტექსტი

დასასრულ, აღნიშნული თეორიის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ი. ჭავჭავაძეს ეხება. ესაა წერილი „*ილია და მისი მკითხველი*“, რომელიც პირველად 2007 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოშვებულ ილია ჭავჭავაძის დაბადების 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში გამოქვეყნდა (გვ. 98-107) და სარეცენზიო წიგნში ორჯერ – მთლიანად (გვ. 307-313) და ნაწილობრივ (გვ.267-269) არის დაბეჭდილი.

აქ ასახულია პოსტმოდერნისტული შეხედულება ე. წ. „ტექსტის“ შესახებ. ამ ქრონოტოპული გაგების მიხედვით (ვიმოწმებთ ი. რატიანს), „მხატვრული ტექსტი ხანგრძლივობის სამ ტიპს ითვალისწინებს: შ ე ქ მ ნ ი ს პ რ ო ც ე ს ი, რომელიც მიმდინარეობს დრო-სივრცული პარამეტრების ფარგლებში და ტ ე ქ ს ტ ი ს მ ე კ ა ვ შ ი რ ე დ ა ვ ტ ო რ ს მოიაზრებს, მხატვრულ კონტინუუმს (ანუ ხანგრძლივობას – **ბ. დ.**), რაც გულისხმობს კონკრეტული ტექსტისათვის ნიშანდობლივი ინდივიდუალური მხატვრული ქრონოტოპული მოდელის ფორმირებას და აღქმის პროცესს, რომელიც, აგრეთვე, ხორციელდება რეალური დრო-სივრცის კონტექსტში, მხოლოდ ტ ე ქ ს ტ ი ს მ ე კ ა ვ შ ი რ ე დ ამჯერად გვევლინება მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი. შესაბა-

მისად ლიტერატურული ნაწარმოები სამი ტემპორალური[2] მოდელის ფარგლებში ფუნქციონირებს – ავტორისეული, მხატვრული და მკითხველისეული მოდელებისა“ (გვ. 307).

ვაი, საცოდავო მწერალო, თავს რომ იკლავ და შედევრებს ქმნი, შენ, თურმე, იმგვარივე „ტექსტის მეკავშირე“ ყოფილხარ, როგორც შენი „მკითხველი“!

მწერლებს ერთ ხანს საქმე უფრო მძიმედაც ჰქონიათ. გავყვეთ ი. რატიანს: „რეალიზმის ლიტერატურული სკოლა ხაზგასმული უურადღებით მოეკიდა ავტორისა და მკითხველის ურთიერთმიმართების საკითხს. მართალია, მოგვიანებით, მე–20 საუკუნის ლიტერატურულმა კრიტიკამ არაერთხელ გადასინჯა «ავტორის» ჰრობლემა ლიტერატურაში და, რბილად რომ ვთქვათ, მინიმალურად შეაფასა მისი როლი ტექსტში (ტ. ელიოტი, რ. ბარტი, ჟ. ჟენეტი და სხვ.), მე–19 საუკუნის ლიტერატურული ტრადიცია ვერ თავსდება ამ ინოვაციური გააზრების ფარგლებში: რეალისტური ლიტერატურის წიაღში ავტორი და ავტორისეული ქრონოტოპი გვევლინება თხრობის კომპოზიციური და დრო–სივრცული ორიენტაციის ღერძად“ (გვ. 308).

მადლობა ღმერთს, „*ორიენტაციის ღერძობაზე*“ მეტი რალა უნდა ავტორს, მწერალს!

ი. რატიანი გვაცნობს ქრონოტოპისტთა შეხედულებას იმ დროის შესახებ, რომელსაც ისინი *ავტორის, ტექსტისა* და *მკითხველის* ურთიერთობაზე საუბრისას აყენებენ: დრო, რაც

---

[2] ი. რატიანის თანაავტორობით, რედაქტორობითა და წინათქმით ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ „ლიტერატურის თეორიის“ სახელმძღვანელოში, რომელსაც ერთვის **ვენერა კავთიაშვილისა** და **რუსუდან ცანავას** მიერ შედგენილი *„ტერმინოლოგიური სიტყვარი“* „ტემპორალობა“ ასეა ახსნილია: „ამ ტერმინს ხშირად იყენებენ ფილოსოფიაში, როდესაც საუბრობენ დროზე. ტემპორალობის ტრადიციული მოდელი გულისხმობს წარსულის, აწმყოსა და მომავლის დროთა თანმიმდევრობას“ (გვ. 346)

ნაწარმოების შ ე ქ მ ნ ა ს ა და მკითხველის მხრივ მის ა ღ ქ მ ა ს სჭირდება: „მხატვრული და მკითხველისეული ტემპორალური მოდელები ესადაგება ლიტერატურული ტექსტის გარეგან ფორმას და მხატვრული ტემპორალური მოდელის გააზრებისა და აღქმის სხვადასხვა პოზიციებად გვევლინება. ამ პოზიციათა სტრუქტურული ურთიერთმიმართების დარეგულირების მიზნით, სპეციალურ ლიტერატურაში შემუშავებულია **ფიზიკური** და **მხატვრული მეტრიკის** ცნებები. *ფიზიკური მეტრიკა*, თუმცაღა, თავისთავად, აღნიშნავს თ ხ რ ო ბ ი ს და ა ღ ქ მ ი ს ს ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ბ ე ბ ს, მაგრამ მუდმივად განიხილავს მათ მ ო თ ხ რ ო ბ ი ლ ი ს ს ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ბ ა თ ა ნ, ანუ «მხატვრულ მეტრიკასთან» მიმართებაში: ავტორი მოგვითხრობს კონკრეტულ ამბავს გარკვეული დ რ ო ი ს განმავლობაში და, ასევე გარკვეული დ რ ო ი ს განმავლობაში, მის მონათხრობს აღიქვამს მკითხველი, ანუ ნაწარმოებში ფიქსირებული მოვლენა წარმოადგენს როგორც ავტორის, ისე მკითხველის ინტენციის[3] საგანს, მაგრამ განსხვავებული ჰერსპექტივიდან. აქედანვე ვგებულობთ, თურმე, „ა ღ ქ მ ი ს დროის ხანგრძლივობა ჰირდაპირ დამოკიდებულებაშია თ ხ რ ო ბ ი ს დროის ხანგრძლივობასთან“ (გვ. 307)

საკითხი, თუ როგორ აღიქვამს მკითხველი, სახელდობრ და მეტადრე მკვლევარი, ამ თუ იმ მხატვრულ ქმნილებას, ზოგადთეორიულად და, კიდევ უფრო მეტად, კონკრეტულ შემთხვევებში, მართლაც საკვლევია. გარკვეული თვალსაზრისით უინტერესო არც ის არის, მწერალმა ესა თუ ის ნაწარმოები რამდენ ხანში შეთხზა. მაგრამ, შესაძლებლობას რომ თავი დავანებოთ, საერთოდ, და, კერძოდ, ილიას მოთხრობათა შეცნობისათვის რა სარგებლობის მოტანა შეუძლია იმის გარკვევას, თუ მის (ნაწარმოების) აღქმას რა დრო სჭირდება ან დასჭირდა, ჩვენი თეორეტიკოს-მკვლევარი

[3] იმავე „ტერმინოლოგიურ სიტყვარში“ ახსნილია: „განზრახვა, მიზანი, სწრაფვა რაიმესაკენ“ (გვ. 323).

არაფერს გვეუბნება, ჩემთვის ხომ გაუგებარი და გაუგებარია!

ი. რატიანი ი. ჭავჭავაძეს უსადაგებს ქრონოტიპისტთა შეხედულებას მწერლისა და მკითხველის დიალოგის თაობაზე. გვიხსნის: ზემორე განხილვისას „ავტორი გამოიკვეთა კონცეპტუალური ლიდერი, ტექსტის წარმმართველი (...), ხოლო მკითხველი წარმოჩნდა როგორც ავტორთან აქტიურ დიალოგში ჩაბმული მოსაუბრე, ინტელექტუალური პარტნიორი, რომელიც უსმენს ავტორს და რომლის მხარდაჭერასაც მუდმივად საჭიროებს ავტორი. გამომდინარე აქედან, რეალისტური ლიტერატურა და, ცხადია, ქართული რეალისტური ლიტერატურაც, დაეფუძნა ორატორული პრაგმატიკის მოდიფიცირებულ, დიალოგურ მეთოდს და მაქსიმალურად გააქტიურა ავტორისა და მკითხველის ურთიერთობა ტექსტში“ (გვ. 309).

„მკვლევარი“ იმაზე არაფერს ამბობს, თუ როგორ „აქტიურობს“ მკითხველი, მაგრამ ილიას მკითხველთან „კავშირზე“ ნათლად და გარკვევით წერს: „ილია ღიად იწვევს დიალოგში თავის მკითხველს: უცვება, უსაბუთებს, უხსნის, განუმარტავს, ეკითხება, ჰასუხობს, ანუ მოუღლელად და თავდაუზოგავად ესაუბრება თავის ერს“ (გვ. 310).

ეს ზმნები რამდენადმე ილიასა და, საერთოდ, პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილებს უფრო შეეფერება, ვიდრე მხატვრულ თხზულებებს. მხატვრულ თხზულებებში მწერალი, მათ შორის ილია ჭავჭავაძე, თავის სათქმელს მოგვითხრობს, გვიყვება მხატვრულად და ამისათვის მრავალფეროვან პალიტრას, სიტყვიერ გამომსახველობით ხერხებს, იყენებს. მათში შიგადაშიგ შედის მკითხველთან „გასაუბრებაც“.

ი. რატიანი, როგორც რაღაც განსაკუთრებული მხატვრულ მოვლენას, ილიას მოთხრობებიდან იმოწმებს იმ ტექსტებს, სადაც ილია მკითხველს მიმართავს.

„მგზავრის წერილებიდან“ მოჰყავს მწერლის სიტყვები: *„ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია!“*. რატიანი წერს: ეს „მიმართვა «მგზავრის წერილების» კონცეპტუალურ ლაიტმოტივს წარმოადგენს: მას ეფუძნება თხზულების შინაარსობრივი და კომპოზიციური ჰირამიდა. სახეზეა მკაცრად მოტივირებული რიტორიკული დიალოგი მკითხველთან...“ (გვ. 267, 311).

„ოთარაანთ ქვრივი“: „აქ ავტორის ერთადერთი ჰირდაპირი მიმართვა მკითხველისადმი გიორგის ჰერსონაჟს უკავშირდება, რაც წარმოაჩენს მკითხველის მიერ გიორგის ჰერსონაჟის გააზრების მნიშვნელობას ავტორისათვის“ (გვ. 268, 311). დამოწმებულია წინადადება: *„გიორგი კი როგორც ჩემთვის, მკითხველო, ისე მათთვის გამოცანა იყო“*.

ი. რატიანი კიდევ განიხილავს **„კაცია–ადამიანს?!“**. წერს: „ჩვენთვის საინტერესო მესამე თხზულება «კაცია–ადამიანი?!» გამორჩეულად უხვადაა დატვირთული მკითხველისადმი მიმართვებით. როგორც ჩანს, თხზულების ჰრობლემატიკის მაქსიმალური ექსპონირებით ფრთაშესხმულმა ილიამ ზედმიწევნით კარგად მოირგო ორატორის ტრიბუნა. მკითხველისათვის განკუთვნილი რიტორიკული მიმართვები, შეკითხვები თუ შეძახილები კლასიკური ლიტერატურის სტილშია შესრულებული და ლიტერატურული რიტორიკის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს“ (გვ. 268, 311–312).

ვიდრე „კაცია–ადამიანზე“ სიტყვას გავაგრძელებდე, ვჩქარობ, „აღტაცება“ გამოვთქვა: ჰა, ილიას რავარი ქებაა, რომ **„მაქსიმალური ექსპონირებით[4] ფრთაშესხმულმა ილიამ**

[4] აქაც აუცილებელია, იმავე „ტერმინოლოგიური სიტყვარიდან“ წარმოვადგინოთ „ექსპონირების“ განმარტება: „საჯაროდ ჩვენება“ (გვ. 318).

ზედმიწევნით კარგად მოირგო ორატორის ტრიბუნა“, თანაც „კლასიკურ სტილში შესრულებული“!

ი. რატიანი იმოწმებს მოთხრობის ტექსტებს (მოგვყავს ზოგიერთი მათგანი და ისიც შემოკლებებით): „*არ გეგონოთ, მკითხველნო, რომ ეს სახლი ეკუთვნოდეს ერთს ვისმეს ღარიბსა და...*“; სახლი „*რალად სდგას ეგრე ცუდად? მკითხავს გაკვირვებული მკითხველი. იმიტომ რომ ქართველია*“; „*...მაგრამ ეს უნდა იცოდე, შენ, მკითხველო, ...*“; „*...მე მინდა ამ მოთხრობამ ჩააფიქროს მკითხველი...*“; „*მე მინდა, რომ მკითხველმა იმიტომ კი არ მოიწყინოს, რომ გასართველი არ არი...*“; „*...ნეტავი იმათ, მკითხველო...*“; „*მე გავათავე, და შენ, რაც გინდა, ჰქმენ, მკითხველო*“: „*სხვა მხრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდე მონასა თქვენსა...*“ და სხვა.

საინტერესოა, ვიკითხოთ, მწერალს მკითხველისადმი მიმართვის ეს ფორმა რომ არ გამოეყენებინა, თავის სათქმელს ისე ვერ გაგვაგებინებდა?

ი. რატიანი ილიას დანარჩენ მოთხრობებზე არაფერს ამბობს. ჩანს, სხვა თხზულებებში მკითხველისადმი მწერლის პირდაპირი მიმართვა ვერ აღმოაჩინა. საინტერესო კი იყო, ქრონოტოპის თვალსაწიერიდან როგორ აიხსნება ეს! რაიმე „კონცეპტუალური“ ხომ არ იმალება მასში?!

5. საერთო სურათი

ახლა რომ მთლიანად თვალი გადავავლოთ ამ „კვლევა-ძიებას“, აქვს მას რაიმე მეცნიერული ღირებულება ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლასა და გარკვევაში? ისე რომ არ გამოგვივიდეს, – *კაცს რომ თავსა სჭრიდნენ, და იხვეწებოდა, მუწუკი არ მატკინოთო*, – სხვა ნაკლოვანებებზე აღარაფერს ვამბობთ. მხოლოდ ზოგადად შევნიშნავთ: ი. რატიანს ის თეორიები, რომლებსაც ეყრდნობა, ჯეროვნად დამუშავებული, ათვისებული და გათავისებული არა აქვს. ისინი რუსული და ინგლისური ენებიდან უმად გად-

მოაქვს და ამიტომაც გატენილია უცხო სიტყვებით, გამოთქმებითა და სინტაქსით.

ბევრი მათგანი, ვინც მხატვრულ ლიტერატურას სტრუქტურალიზმის თვალსაზრისით იკვლევს, აღიარებს, რომ ეს მეთოდი უკიდურესად სუბიექტურია. მაგალითად: **ზაზა შათირიშვილი**, რომელიც ი. რატიანის თაობისაა, გატაცებულია „დასავლური თეორიებით“ და ცდილობს ქართული ლიტერატურისადმი მათ მისადაგებას. იგი შენიშნავს: „თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნება ესაა «მცირე დროში» (ბახტინის ტერმინია) ჩაკეტილი უსასრულო სივრცე – ანუ «ქრონოლოგიური ჰროვინციალიზმი» (ეს ლუისის კონცეპტია). მაგრამ არსებობს «დიდი დრო» (იმავე ბახტინის თანახმად), სადაც «გვიან» და «მერე» ჩვენი საკუთარი ინტერპრეტაციის მახასიათებელია და არა ტექსტისა“[5].

ამგვარი კვლევის ობიექტურობაში ერთგვარ ეჭვი თვით ი. რატიანსაც შეაქვს: „გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: ნებისმიერ შემთხვევაში ძალზე რთულია ერთი რომელიმე დრო-სივრცული თეორიის მორგება ზოგადად ლიტერატურის მოდელზე და მისი დაკანონება. ჩვენი აზრით, დრო-სივრცული ჰარამეტრების ურთიერთმიმართება ლიტერატურულ ტექსტში არასოდეს არის ერთნაირი და უცვლელი. მიგვაჩნია, რომ მიზეზი ამისა მდგომარეობს თავად ლიტერატურის სპეციფიკაში“ (გვ. 183).

მიუხედავად ამ შეგნებისა, გლობალიზაციის ზეწოლისა და თავიანთი მეცნიერული უნიათობის გამო მეცნიერებაში ჩვენი ხელმოცარული „მკვლევარები“ ამ საქმეს უტეხად და დაჟინებით ეპოტინებიან. ვისაც სათანადო ნიჭი და ცოდნა აქვს, მისგან რაციონალურს იღებს და ჯეროვნადაც იყენებს. მაგალითად: **სერგი სერებრიაკოვი** თავადაც აღნიშ-

[5] ზაზა შათირიშვილი, ნარატივის აპოლოგია, თბ., 2005, გვ. 182–183.

ნავს, რომ ის მ. ბახტინისა და მის მიმდევართა თეორიას ემყარება, მაგრამ მისი წიგნაკი „*დროისა და ჟანრის პრობლემისათვის «ვეფხისტყაოსანში»*“ (თბ., 1990) ნათელი და გასაგები ენით დაწერილი საყურადღებო და ანგარიშგასაწევი გამოკვლევაა. თუნდაც ის ნაწილი ავიღოთ მაგალითად, სადაც პოზიტიურად იკვლევს, თუ რას ნიშნავს პოემაში „ჟამი“, „ხანი“, „დრო“ და ა. შ.

¤

შეიძლება ვინმემ, თუკი ამ ტლაპოში იარა და აქამდე მომყვა, საყვედურიც მითხრას, *რა საჭირო იყო ტვინის ამ ჭყლეტაზე გამოდევნება; ან თვითონ რას ცდები, ან ჩვენ რას გვაწვალებო. ამ ხელმოცარულმა დილეტანტმა თავისთვის რამდენიც უნდა, იმდენი იჩირთიფირთოს, მის ბეჟუტურს რას ვუყურებთო*?! რა თქმა უნდა, ი. რატიანი თავისთვის რომ ცოდვილობდეს, ამ აბდაუბდას ვინ ცოდვილი მიაქცევდა ყურადღებას, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ მის ხელშია ჩვენი ეროვნული მეობის ერთ-ერთი გამომხატველი და გამსაზღვრელი დარგი, ლიტერატურათმცოდნეობა. იგი ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ლიტერატურის თეორიის მიმართულების მეთაურია, რომელიც, თვითნებაზე მიშვებული, ცეცხლითა და მახვილით იბრძვის ამ დარდუბალას დასანერგავად. ამ მხრივ თუ რამდენად საგანგაშო ვითარება სუფევს, ერთ უაღრესად ნიშანდობლივ შემთხვევას მოვიყვან: **როგორ შეხვდა სამეცნიერო საზოგადოება ი. რატიანის ამ „მეცნიერებას“?**

6. ხბოს აღტაცება

ამ „ნაშრომს“ ერთვის „*ბიბლიოგრაფიული შენიშვნები*“ (გვ. 325), სადაც აღნიშნულია, რომ წიგნებად გამოცემულ მის პირველ და მეორე ნაწილებზე გამოქვეყნდა ბელა წიფურიასა და გაგა ლომიძის რეცენზიები. **ბ. წიფურიამ** „ანტი-

უტოპიური რეალობა და ანტიუტოპიური რომანი“ 2009 წელს დაბეჭდა ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეულის „წახნაგის“ პირველ ნომერში (გვ. 344-347), **გ. ლომიძემ** – 2010 წელს ამავე ალმანახის მეორე ნომერში მოათავსა *„ქართული რეალისტური პროზის პოეტიკა“* (გვ. 372-377). ქალბატონი ბელა ი. რატიანის ბავშვობის მეგობარია და, როცა ბედის ირონიით, ანუ ალექსანდრე ლომაიას ცოლის დაქალობით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ბრძანდებოდა, თავის დაქალს სამეცნიერო კარიერულ აღზევებაში ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო. ბატონი გაგა ლიტერატურის ინსტიტუტში ქალბატონი ირმას დაწინაურებული ხელქვეითია. ამიტომ ადვილი მისახვდრია, რა ყაიდისა იქნება მათი მოსაზრებები! ერთსა და მეორეშიც მხოლოდ აღმატებული საქებარი სიტყვებით მეტ-ნაკლებად გადმოცემულია მათი შინაარსები, მაგრამ კონკრეტულად არც ერთი არ გვიჩვენებს, მეცნიერულად რამდენად ღირებული და დასაბუთებულია მასში აღძრული ესა თუ ის საკითხი. ვიმეორებთ, ორივეში მხოლოდ ზოგადი საუბარია. რა თქმა უნდა, რაიმე შენიშვნა არსად ჭაჭანებს.

მაგრამ ამავე დროს ქალბატონი ირმა ა რ ა თ უ ე ხ ე ბ ა და პ ა ს უ ხ ს ა ს ც ე მ ს, კრინტსაც არ ძრავს იმაზე, რომ მის პირველ ნაწილზე, რომელიც 2005 წელს ცალკე წიგნად გამოიცა, მძაფრი და გახმაურებული კრიტიკული წერილები გამოაქვეყნეს **რევაზ მიშველაძემ** [6], **მურმან თავდიშვილმა**[7] და **სოსო სიგუამ**[8]. მათში ნაჩვენებია, თუ რა საშინლად აქვს ათვისებული და ქართულად გადმოცემული ის ლიტერატურულ-თეორიული მოძღვრებანი, რომელთა მიხედვითაც ქართულ მწერლობას განიხილავს.

---

[6] მერებუსე ვაიმეცნიერი, „მწერლის გაზეთი“, 2007, № 18; „ასავალ-დასავალი“; 2008-2009, № 1.

[7] ქრონოტოპოსანი, „მწერლის გაზეთი“, 2008, № 2.

[8] ირმა რატიანი – მეცნიერების ჟოზეფინა, „მწერლის გაზეთი“, 2009, № 14.

ი. რატიანის ამ გაერთიანებული წიგნის პრეზენტაცია, ანუ წარდგინება, გამართულა თბილისის „ევროპის სახლში“ 2011 წლის 18 ნოემბერს (გაზ. „კალმასობა“, დეკემბერი, 2011, № 1, გვ. 19), სადაც გამოსულან ი. რატიანის ორიოდე ახლობელი და სხვა ხელქვეითი თანამშრომლები. როგორც დირექტორის მარჯვენა ხელი **მირანდა ტყეშელაშვილი** ჟურნალ *„ჩვენს მწერლობაში“* იუწყება, ყოფილა დიდი ქებადიდება და არც ერთი – რაიმე შენიშვნა ან სურვილი (24 თებერვალი, № 4, გვ. 41–42). დავიმოწმებ აქედან ზოგიერთ მათგანს:

ლიტერატურის ინსტიტუტში არაფრის გამკეთებელ ორგზის პარლამენტარ **ირაკლი კენჭოშვილს** განუცხადებია: „ამ წიგნის წარდგენა «ევროპულ სახლში» სიმბოლურია, რადგან ნაშრომი ქართული ლიტერატურის ევროპულ რადიუსზე გამართვის ნიმუშია. ქართულ მეცნიერებაში ასეთი წიგნის არსებობა თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ახალი ერის (უნდა „ერა“ – **ბ. დ.**) დასაწყისად. ესაა საქმიანი, მოტივირებული და არგუმენტირებული მეცნიერული გამოკვლევა“.

ინგა მილორავა: მას, თურმე, „...ირმა რატიანის წიგნმა უამრავი იმპულსი შესძინა, ბევრი სიახლე გააცნო და ნაცნობი პრობლემები სხვა თვალით დაანახა: (...) ირმა რატიანის «ტექსტი და ქრონოტოპი» წმინდა თეორიული, მეცნიერული წიგნია. (...) როდესაც ტექსტს ვკითხულობდი, ვფიქრობდი, რა სასწაულია ადამიანად ყოფნა, რომ მას შეუძლია მოახერხოს, ასე მწუობრად დაალაგოს და გადმოსცეს ამგვარი აზრები...“. ჩემმა მზემ, ადამიანი ხანდახან ნამდვილად სასწაულია, ასეთი სისულელეები წაიკითხოს და მაინც მისი მიაქებარი იყოს!

კონსტანტინე ბრეგაძე: „დღეს, როდესაც ასე აქტუალურია ქართული ლიტერატურის ინტეგრაცია ევროპული კვლევების სივრცეში, მსგავს ნაშრომთა დაბეჭდვა სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია. შეიძლება ითქვას, ირმას წიგნი ერთერთი პირველია ამ მიმართულებით. ეს არ არის წმინდა

კომპარატივისტული კვლევა, არამედ ინტეგრალური ლიტერატურათმცოდნეობის ნიმუში(ა), სადაც ჩართულია სხვადასხვა დისციპლინები, ინტერდისციპლინური კვლევები. ნაშრომში გამოყენებულია გონის მეცნიერებათა უკეღა მიღწევა: ანთროპოლოგია, ფილოსოფია, ლიტერატურათმცოდნეობა. ირმა რატიანმა ლიტერატურათმცოდნეობაში დაამკვიდრა ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორია. მეტიც, ეს თეორია მან ძალიან კარგად მოარგო სულ სხვადასხვა ტიპის, სხვადასხვა ესთეტიკური მიმართულების მწერლობასა და ტექსტებს. წიგნი იმითაც არის განსაკუთრებული, რომ ამ ნაშრომში პირველად მოხდა ქრონოტოპის ჭრილში ილიას ჰროზის ფუნდამენტური შესწავლა. აქამდე ის მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის ჭრილში განიხილებოდა. ახალი თეორიებით მიდგომა ილიას ტექსტებისადმი მნიშვნელოვანი მოვლენაა...“.

თინათინ ბოლქვაძის სიტყვა ასეა გადმოცემული: „...დასაწყისში «მოიბოდიშა», რომ ლიტერატურათმცოდნეების წრეში მას დაჟინებით ლინგვისტად მოიხსენიებენ (...). ქრონოტოპის კვლევა ილიას «მგზავრის წერილებში» სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში. აღნიშნა ისიც: რომ ვერ გაიზიარებს ვარაუდს, თითქოს ილია ამ ტექსტის წერისას არ ფიქრობდა ქრონოტოპზე. შეუძლებელია არ ეფიქრა და ისე შეექმნა ამ ტიპის თხზულება: ოთხი წელიწადი არის ქრონოსი, თერგი ტოპოსი, ლელთ ღუნია კი ორივე ერთად...“. და სხვა.

ლევან ბრეგაძე: „ლიტერატურათმცოდნეები თეორიის გარეშე ახლომხედველები ვართ, რაღაცას კი ვამჩნევთ, მაგრამ როგორც კი თეორიის სათვალეს მოვიმარჯვებთ, მაშინვე უკეღაფერი გამოიკვეთება, მკაფიო კონტურებს შეიძენს. ახალი თეორიები დროსთან ერთად მოდის, ცხოვრება გვასწავლის, ხოლო მეცნიერული საჭიროება მოითხოვს. კომპარატივისტიკა თავის დროზე შეცვალა სტრუქტურალიზმმა, შემდეგ პოს-

ტსტრუქტურალიზმმა. და როგორც ერთ დროს უმწეო ვიუავით სტრუქტურალიზმისა და პოსტსტრუქტურალიზმის ტერმინების წინაშე, ასევე ვართ ახლაც – ლამინალობის წინაშე. შევეჩვევით ერთ თეორიას, გავითავისებთ და მერე მოდის ახალი. თავზარი გვეცემა, განსაკუთრებით უფროსი ასაკის მეცნიერებს, რამდენჯერ მოგვიწია გადაიარაღება. აქამდე მე და ჩემი თაობა ვსწავლობდით უფროსი კოლეგებისაგან, ახლა კი ვსწავლობთ უმცროსი თაობისაგან“.

ქალბატონი **მირანდა** ასკვნის: „ეველა გამომსვლელის რეზიუმე იყო: «წიგნი წარმოადგენს ახალ სიტყვას ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში»“.

ერთი სიტყვით, ისეთი შეფასებებია, რომ იტყვიან: *ონ გენიი, ნო ნი ბოლშე!*

მკითხველს ყოველივე ეს არ გაუკვირდება, თუ გაითვალისწინებს: ქალბატონ ირმა რატიანს ირგვლივ მყოფნი, თავისი ხელქვეითი თანამშრომლები, იმდენად დაშინებული და დაბრიყვებული ჰყავს[9], იქ დამსწრეთაგან ვერვინ გაბედავდა, ეთქვა: *მეფე შიშველია!* კაცმა რომ თქვას, ძნელზე ძნელია, მის ულუფაზე დასმულთ გმირობა მოსთხოვო. კუჭზე მარტო სიყვარული როდი გადის! აქედანაც კარგად გამოჩნდა: კუჭზე გადის აზროვნება და სინდის-ნამუსიც!

[9] ამაზე იხ. ჩემი „რუსთველოლოგიური გამოკვლევების“ პირველი წიგნი, გვ. 372-388.

პოლემიკური წერილები

რაზე ვდავობთ?![1]

ამას წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ (13. II. 70) დაიბეჭდა ისტორიკოს ნოდარ ნ ა კ ა შ ი ძ ი ს პოლემიკური წერილი: *„თეიმურაზი — მეფე და თეიმურაზი — მგოსანი“*, რომელიც ეხება ჩვენი წარსულის სახელოვანი წარმომადგენლის, თეიმურაზ პირველის (1589–1663), მეფობასა და ლიტერატურულ მოღვაწეობას. ავტორი ცდილობს ამ საკითხში ერთმანეთს დაუპირისპიროს ჩვენი ისტორიული და ლიტერატურული მეცნიერებანი. მისი აზრით, ქართული ლიტერატურის ისტორიაში სათანადოდ არ არის გამოყენებული ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მონაპოვარი თეიმურაზ პირველის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ, რომ თითქოს ქართველ ლიტერატურათმცოდნეობაში თეიმურაზი მიჩნეულია არაეროვნულ, არახალხურ და არაპროგრესულ მოღვაწედ. ისტორიკოს ნ. ნაკაშიძის მიზანია თეიმურაზ პირველის ვითომცდა შელახული სახელის აღდგენა და ლიტერატურათმცოდნეთაგან მისი დაცვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორი ეკამათება ქართველ ლიტერატურათმცოდნეებს და ასახელებს მ ხ ო ლ ო დ პრფესორ ალექსანდრე ბ ა რ ა მ ი ძ ე ს.

ნ. ნაკაშიძე წერს: „... როდესაც ხელოვნების, ლიტერატურისა თუ საზოგადოებრივი აზრის ესა თუ ის მოღვაწე ჩვენი ქვეყნის წარსულის ფაქტებს ეხება, ის მოვალეა ქართული ისტორიოგრაფიის თანამედროვე მიღწევები გაითვალისწინოს“. ასახელებს კი ასეთ ფაქტს: „როცა აკაკი წერეთელი თეიმურაზ პირველზე წერდა «პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზიაში პოლიტიკობდა ის

[1] გამოქვეყნდა გურამ შ ა რ ა ძ ი ს თანაავტორობით გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (5 ივნისი, 1970, № 23, გვ. 3).

დალოცვილი და მით საზარელ მომავალს უმზადებდა სამეფოს», მისი შაირები ლაზღანდარობაოო. – ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თეიმურაზის ჰოლიტიკური ან ლიტერატურული მემკვიდრეობა ამომწურავად და უტეუარად იქნა შეფასებული". ავტორი განაგრძობს: „ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერება თეიმურაზ პირველის ჰოლიტიკურ მოღვაწეობას დადებითად აფასებს და მიიჩნევს, რომ მისი მოღვაწეობა სავსებით შეესაბამებოდა ქართველი ხალხის საციცოცხლო ინტერესებს მაჰმადიან გარემოცვის წინააღმდეგ სამკვდრო-საციცოცხლო ბრძოლაში". ამ დებულების საილუსტრაციოდ ნ. ნაკაშიძე იმოწმებს ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, შოთა მესხიასა და იასე ცინცაძის მოსაზრებებს.

ყოველივე ეს სავსებით სწორია, მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიაში და, კერძოდ, ალ. ბარამიძის შრომებში თეიმურაზ პირველის პოლიტიკური მოღვაწეობა განა სხვაგვარად არის შეფასებული? შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1966 წელს გამოცემულ *„ქართული ლიტერატურის ისტორიის"* მეორე ტომში ალ. ბარამიძე წერს: მიუხედავად მძიმე პირადი მდგომარეობისა, „თეიმურაზი ყურადღებას მაინც არ აკლებდა საზოგადოებრივ-ჰოლიტიკურ ცხოვრებას. ის ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა, რათა მტრების იერიშების მოსაგერიებლად შეეკავშირებინა ქართული სამეფო-სამთავროები. თეიმურაზი აქტიურ საგარეო ჰოლიტიკასაც ეწეოდა. მას მოლაპარაკება ჰქონდა ევროპულ ქვეყნებთან შაჰ-აბასის წინააღმდეგ სამხედრო კოალიციის შესაქმნელად... განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა თეიმურაზი ერთმორწმუნე რუსეთზე. მან რეგულარული მიმოწერა გააჩაღა და ელჩების საშუალებით ცოცხალი კავშირი დაამყარა რუსეთის სამეფო კართან... მას მოქნილი დიპლომატიური სვლები ჰქონდა" და ა. შ. (გვ. 313). ეგეთე აზრებია გამოთქმული კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის ავტორობით გამოსულ *„ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის"* 1954 (გვ. 340) და 1969 (გვ. 318) წლების გამოცემებში. განა 1968 წელს ჟურნალ „დროშაში" დაბეჭდილ ალ. ბარამიძის წერილში (რომლის სიტყვებითაც იწყებს ნ. ნაკაშიძე

თავის წერილს) არ არის დახასიათებული თეიმურაზ პირველი, როგორც „მისდროინდელი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, უიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი, ქართველობისა და თავისუფლების მებაირახტრე"? სად არის აქ საპირისპირო გაგება ჩვენს ისტორიკოსებსა და ლიტერატურათმცოდნეებს (კერძოდ ალ. ბარამიძეს) შორის? რა თქმა უნდა, არსად!

თეიმურაზ პირველის პოლიტიკურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას ერთგვარი უარყოფითი შეფასება მართლაც მისცა გასულ საუკუნეში და ჩვენს დროშიც ზოგიერთმა ჩვენმა მოღვაწემ, მაგრამ რა მოსატანია ეს? განა მათ აზრს იზიარებს დღეს ქართული ლიტერატურათმცოდნეობა? საქმეში ჩახედულმა მკითხველმა იცის, მათი ნიჰილისტური შეხედულებანი თეიმურაზის შესახებ სათანადოდ არის განხილული და უარყოფილი სწორედ ჩვენი ძველი ლიტერატურის მკვლევარების კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის მიერ[2].

ნ. ნაკაშიძე უფრო შორს მიდის: იგი ეკამათება და საეჭვოს ხდის ჩვენს ლიტერატორთა შეხედულებებს თეიმურაზის ლიტერატურული მოღვაწეობის, განსაკუთრებით, სპარსულ-ქართული ენებისა და ლიტერატურისადმი თეიმურაზისა და არჩილის დამოკიდებულებათა შესახებ.

ქართული ლიტერატურის ისტორიკოსები აქცევენ იმ გარემოებას ყურადღებას, „თეიმურაზს, რომელიც სპარსული ორიენტაციის უდიდესი მტერი იყო ჰოლიტიკაში, მწერლობაში თავიდანვე აღებული ჰქონდა აშკარა სპარსული კურსი"[3]. ამ მხრივ განსხვავებულ ლიტერატურულ პოზიციაზე იდგა არჩილი. ქართული ლიტერატურის ისტორიაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, „სპარსულ-ქართული ენებისადმი და სპარსულ-ქართული ლიტერატურისადმი დამოკიდებულება ორ ბანაკად ჰყოფდა იმდროინდელ განათლებულ ქართულ საზოგადოებას. საზოგადოების ერთი ნაწილის

---

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II , 1958, გვ. 558; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები..., II , 1940, გვ. 143–145.

[3] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები..., II, გვ. 149.

ზრახვებს გამოხატავდა თეიმურაზი, მეორისას – არჩილი. თეიმურაზი და არჩილი არსებითად ასახიერებდნენ ორ გარკვეულ მიმართულებას ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში. თუ თეიმურაზი სპარსოფილურ ტენდენციას გამოხატავდა, არჩილი იდგა ხალხურ, ეროვნულ ნიადაგზე"[4]. თეიმურაზი აღტაცებული იყო სპარსული ენითა და პოეზიით („სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი"), ქართულ ენას კი სიმძიმეს საყვედურობდა („მძიმე არს ენა ქართველთა"). არჩილს კარგად ესმოდა სხვათა ენის მნიშვნელობა, მაგრამ იგი ბეჯითად იცავდა მშობლიური ენის სიწმინდეს („მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია"). უწინარეს ყოვლისა, თეიმურაზი ჰყავს მხედველობაში, როცა არჩილი ამბობს: „ეგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით". თავის მხრივ, არჩილი თეიმურაზს ათქმევინებს:

„მე ოდენ ქართულ ენასა მარილად ვურთე სპარსული,
თათრულიც გამირევია, მიქია მათი არსული".

არჩილი გაემიჯნა თეიმურაზის მიერ გადმოქართულებული პოემების სპარსულ წარმოშობილობას და შინაარსის ფანტასტიკურობას. თეიმურაზის პოემების სიუჟეტურ-შინაარსობრივ მხარეს არჩილი უწოდებდა „ნაჭორს", „ზღაპრულს", „ტყუილად გასაგონარს", ამდენადვე, მიუღებელსა და „საკიცხარს". თეიმურაზის ნაწარმოებთა უცხოურ სიუჟეტსა და ზღაპრულ შინაარსს არჩილმა დაუპირისპირა *„მართლის თქმის"* პრინციპი (თავისებური რეალისტური შემოქმედებითი მეთოდი) და ისტორიულ-ეროვნული თემატიკა. ეს ახალი ლიტერატურული პრინციპები (ენის სიწმინდე, ისტორიულ-ნაციონალური თემატიკა, და ამბის დამუშავების რეალისტური მეთოდი) არჩილმა განახორციელა თავისი შემოქმედებითი პრაქტიკით. მან შექმნა ვრცელი პოემა

---

[4] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 344–345. შდრ. 1954 წლის გამოცემა, გვ. 367.

„გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, რომლითაც პირუთვნელად ასახა იმდროინდელი საქართველოს სინამდვილე.

ნ. ნაკაშიძე წერს: „არც თეიმურაზის მემაჯამეობა და არც მისი მთარგმნელობითი საქმიანობა არ იძლევა იმის საბაბს, რომ ასე ჰრინციპულად დავუპირისპიროთ ერთმანეთს თეიმურაზი და არჩილი, ერთი გამოვაცხადოთ «ეროვნული ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლად», მეორე კი ჰროგრესულობას, ეროვნულობასა და სალხურობას მოკლებულად“. ბოლოს კი ასკვნის: „ასე, რომ აზრი, რომლის მიხედვით «თეიმურაზი და არჩილი ასახიერებენ ერთმანეთისაგან ჰრინციპულად განსხვავებულ მიმდინარეობას ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში», კატეგორიულად მიუღებელია“.

ჯერ-ერთი, ნ. ნაკაშიძე ლიტერატურის ისტორიკოსთა აზრს სწორად არ გადმოგვცემს. როდესაც ჩვენი ლიტერატურის მკვლევრები ერთმანეთს უპირისპირებენ თეიმურაზისა და არჩილის ლიტერატურულ პოზიციებს, მხედველობაში აქვთ ძირითადად ერთი ასპექტი — ამ ორი მწერლის დამოკიდებულება უცხო მწერლობისა და ენისადმი და არა მათი მთლიანი შემოქმედება. თეიმურაზისა და არჩილის პოეზია სრულიად არ არის ისე ერთიანი და ერთფეროვანი, როგორც ეს ნ. ნაკაშიძეს წარმოუდგენია. ამდენად, ავტორის მიერ მოხმობილი თითქოსდა ამ დებულების საპირისპირო შეხედულებანი თვით ალ. ბარამიძის, გიორგი ჯაკობიას, სარგის ცაიშვილისა და სხვათა შრომებიდან ნ. ნაკაშიძისათვის საკამათო მოსაზრებას სრულიად არ ეწინააღმდეგება და არ გამორიცხავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, ს. ცაიშვილი შენიშნავს: „მართლაც, ასეთი მწვავე ბრძოლა წარმოადგენს ამ ეპოქის მწერლობის იდეურ შინაარსს. ეს მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა დიდხანს გრძელდებოდა. როგორც ცნობილია, მხოლოდ ქართველი რომანტიკოსების გამ-

ოსელის შემდეგ საბოლოოდ გათავისუფლდა ქართული მწერლობა სპარსული მწერლობის ყოველგვარი ზეგავლენისაგან“[5].

მეორე, განა თეიმურაზის „სპარსოფილობა“ მისი „მემაჯამეობითა“ და „მთარგმნელობითი საქმიანობით“ განისაზღვრება? ან რომელი ლიტერატორი ახასიათებს თეიმურაზს დღეს არაეროვნულ, არახალხურ და არაპროგრესულ მოღვაწედ?

გარდა ამისა, ჩვენ უნდა მოვახსენოთ მკითხველს, რომ **ის თვალსაზრისი, რომელსაც ასე კატეგორიულად უარყოფს ნ. ნაკაშიძე, თანმიმდევრულად გატარებულია არა მარტო ქართულ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში, არამედ თანამედროვე ისტორიოგრაფიაშიც.** ჩვენს ხელთ არის ნ. ბერძენიშვილის, ვ. დონდუას, მ. დუმბაძის, გ. მელიქიშვილის, შ. მესხიას და პ. რატიანის ავტორობით 1958 წელს გამოცემული *„საქართველოს ისტორია“* (მთავარი რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი), სადაც 324-ე გვერდზე ვკითხულობთ: „XVII საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელია ქართულ პოეზიაში **ირანული მიმართულებისა და გავლენის დამკვიდრების წინააღმდეგ ბრძოლა.** XVII ს. **ქართულ პოეზიაში ირანული უაიდის ერთ-ერთი მთავარი გამტარებელი იყო** დიდი პოლიტიკური მოღვაწე და ნიჭიერი ქართველი პოეტი თეიმურაზ პირველი. **მიუხედავად იმისა, რომ მთელი მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ირანის წინააღმდეგ ბრძოლას შეეხია, თეიმურაზ I ირანული პოეზიის ძლიერ გავლენას განიცდიდა“.** იქვე ნათქვამია: **„თეიმურაზის ლიტერატურული ტრადიციებისა და სკოლის ძლიერი მოწინააღმდეგე იყო არჩილი,** რომელიც ირან-ოსმალეთის წამლეკავ გავლენას ლიტერატურულ სფეროშიაც ბრძოლას უცხადებდა. არჩილის მოღვაწეობამ მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ-პატრიოტულ მიმართულებას საზოგადოებრივ აზროვნებასა და პოეზიაში. არჩილი ქართულ პოეზიაში იცავდა რეალისტური შემოქმედებითი მეთოდის ძირითად პრინციპს – «მართლის თქმას», ეროვნულ-ისტორიულ თემატიკას და ქართული

[5] ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1966, გვ. 48-49.

ლიტერატურული ენის სიწმინდეს. **ამ ახალი ლიტერატურული ჰრინციპების მიხედვით** არის დაწერილი მისი ისტორიული ჰოემა «გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა»...“ (გვ. 325).

ერთი სიტყვით, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო წიგნში თეიმურაზ პირველისა და არჩილის ლიტერატურული მიმართულებანი ერთმანეთთან ისევე არის დაპირისპირებული, როგორც ეს მიღებულია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. იგივე ვითარება გვაქვს სხვა ისტორიკოსთა შრომებშიაც. მაგალითად, მივუთითებთ 1968 წელს გამოცემულ დავით გვრიტიშვილის წიგნზე *„ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“* (ტომი III), სადაც თეიმურაზისა და არჩილის ლიტერატურული მოღვაწეობის დახასიათებისას მოყვანილი და გამეორებულია ჩვენი ლიტერატურული ისტორიკოსების შეხედულებები (გვ. 13–17, 34–48).

დასასრულ, არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ ნ. ნაკაშიძის მიერ მოხმობილი ყოვლად შეუფერებელი ანალოგია. ნ. ნაკაშიძე კითხულობს: „განა ვინმეს მოუვა აზრად, რომ ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლების მებაირახტრეებს XIX საუკუნის მოწინავე რუსული კულტურის გავლენა უსაუვედურონ?“. ჯერ-ერთი, საკითხი შეეხება არა საყვედურს, არამედ მოვლენის ახსნას. მეორე და, რაც მთავარია, თეიმურაზ პირველი ნებსით თუ უნებლიეთ ქართულ სინამდვილეში ნერგავდა მაჯამური და ვარდბულბულიანური ყაიდის სპარსული პოეზიის ტრადიციებს. ნუთუ, ახლა ჩვენ ვე-კითხებით ნ. ნაკაშიძეს, ასევე უნდა შეფასდეს და ერთ სიბრტყეზე მოთავსდეს ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაო-ბის მესვეურებზე XIX საუკუნის მოწინავე რუსული კულტურის ზემოქმედების ხასიათი?!

უპასუხისმგებლობა?![1]

1988 წელს ალმანახ „განთიადში“ გამოქვეყნდა ალექსანდრე სიგუას წერილი *„განა მხოლოდ უპასუხისმგებლობა“* (№5, გვ. 220–225). მასში გამრუდებულად და გაყალბებულად არის წარმოდგენილი ძველი ქართული მწერლობის ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის, *„ქილილა და დამანას“* ქართულ თარგმანთა რაობა, მისი კვლევისა და გამოცემის ისტორია. თანაც ეს ისეა მოწოდებული, თუ ამ საკითხებს არ იცნობ, ყოველივე იქ ნათქვამი სიმართლე გეგონება.

არადა საკითხიძალიან მარტივი და ნათელია.

ვინც ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ჯეროვნად ჩახედულია, კარგად მოეხსენება, *„ქილილა და დამანას“* ქართულმა ტექსტმა რა რთული გზა განვლო, ვიდრე მის სრულყოფილ თარგმანს მივიღებდით, რა ძნელი და შრომატევადი სამუშაოები შესრულდა, სანამ მისი ისტორიის საიდუმლოება ამოიხსნებოდა.

უკვე კარგა ხანია, გარკვეულია, თუ რას წარმოადგენს ამ ძეგლის ცალკეული თარგმანები, ის ღვაწლი, რომელიც ვახტანგ მეექვსესა და სულხან-საბა ორბელიანს მიუძღვით. კერძოდ, დადგენილია, რომ, მიუხედავად დედნისაგან ზოგიერთი რელიგიური, მორალური და სხვა ხასიათის გადახვევისა, ვახტანგის თარგმანი უპირატესად სიტყვა-სიტყვითი, პწკარედულია, ხოლო სულხან-საბამ სწავლული მეფის ეს თარგმანი, მისივე დავალებით, თავიდან ბოლომდე, — როგორც მასში ჩართული ლექსები, ისე მთელი პროზა, — იმდენად საფუძვლიანად გადაამუშავა, რომ შექმნა ახალი, დამოუკიდებელი ლიტერატურული რედაქცია. ეს უტყუარი ფაქტები თითქმის ამ ნახევარი საუკუნის წინათ პირველად გაარკვია და წარმოაჩინა ალექსანდრე ბარამიძემ.

აღნიშნული დებულებანი, ახალ-ახალი მასალებით გამდიდრებული, დადასტურებულია შემდგომ გამოქვეყნებულ ნაშრომებში, რომლებიც ეკუთვნით ისე გამოჩენილ სპეციალისტებს, როგორიც არიან: კორნელი კეკელიძე, მაგალი თოდუა, ელენე

---

[1] გამოქვეყნდა ჟურნალ „განთიადში“ (№3, 1989, გვ. 259–267).

მეტრეველი, ალექსანდრე გვახარია, დავით კობიძე, დავით ბრეგაძე, ლევან მენაბდე და სხვები.

ალექსანდრე სიგუა იბრძოდა და იბრძვის იმის წინააღმდეგ, რომ „*ქილილა და დამანას*“ სულხან-საბასეული რედაქცია არ იქნეს შეტანილი მის თხზულებათა ტომეულებში. ეს მოთხოვნა მან უმალვე წარმოჭრა, როგორც კი 1959 წელს ცნობილი გახდა, რომ სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავზე გამოდიოდა მწერლის თხზულებათა ოთხტომეული და მეორე ტომად „*ქილილა და დამანას*“ მისეული რედაქცია იბეჭდებოდა.

მაშინ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე პოეტი ვიქტორ გაბესკირია.

ჯერ იყო და 1960 წლის მე-7 ნომერ „მნათობში“ დაიბეჭდა ალ. ბარამიძის განმარტება, თუ ასე რატომ გადაწყვიტა ოთხტომეულის მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ (გვ. 177-178). მასში მოკლედ დახსიათებულია „*ქილილა და დამანას*“ რედაქციები. აღნიშნულია, რომ ამ ნაწარმოების „სამი ქართული რედაქციიდან ყველაზე მნიშვნელოვანია და დამოუკიდებელი ლიტერატურული ღირებულების მქონეა საბასეული რედაქცია“, რომ იგი „უნდა შევიდეს სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა კრებულში. ამასთან, რასაკვირველია, ა რ უ ნ დ ა დ ა ვ ი ვ ი წ ყ ო თ ა რ ც ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ღ ვ ა წ ლ ი“.

ალ. ბარამიძის წერილს ახლავს სარედაქციო შენიშვნა: „«მნათობის» რედაქციაში შემოვიდა რ ა მ დ ე ნ ი მ ე ჰ ი რ ი ს შეკითხვა, თუ რატომ არის შეტანილი სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებთა კრებულში «ქილილა და დამანა», რომლებიც მკვლევარების აზრით საბას ნაშრომს არ წარმოადგენს. ამ საკითხის გამო რედაქციამ მიმართა ჰროფ. ალ. ბარამიძეს, რომლის განმარტებას აქ ვბეჭდავთ“-ო.

ცოტა ხნის შემდეგ ქვეყნდება ალ. სიგუას „*ვინ არის «ქილილა და დამანას» მთარგმნელი*“ (ჟურ. „დროშა“, 1961, № 3) და ვ. გაბესკირიას „*«ქილილა და დამანას» გარშემო*“ („მნათობი“, 1961, № 3). ავტორები ენერგიულად „იცავენ“ ვახტანგს. წერენ, რომ ამ „ნაწარმოების ნამდვილი ჯირისუფალია“ ვახტანგი და, თუ მას

თავისი ქმნილების „სულ მთლად ჩამორთმევას დავუპირებდით – ამას როგორ წარმოიდგენდა“ (ვ. გაბესკირია); „ნუ შევედავებით ვახტანგ VI თავის ჯირნახულში – «ქილილა და დამანას» თარგმანში“ (ალ. სიგუა) და ა. შ.

ნამდვილად არავის არასოდეს დაუპირებია ამ თხზულებისათვის ვახტანგის სახელის ჩამოშორება, ოღონდ მტკიცე მოთხოვნა კი იყო და არის იმისა, რომ არც სულხან-საბას დაჰკარგოდა თავისი ნაღვაწი.

ვინაიდან ვ. გაბესკირიამ ეჭვი გამოთქვა, სულხან-საბა ორბელიანის შრომებში „*ქილილა და დამანას*“ შეტანის თაობაზე „სარედაქციო კოლეგიის წევრებს შორის ერთსულოვნება არ სუფევს“-ო, 1961 წლის 28 აპრილს „*ლიტერატურულ გაზეთში*“ გამოქვეყნდა ოთხტომეულის სარედაქციო კოლეგიის ხუთ მუხლად ჩამოყალიბებული ეთობლივი განცხადება, რომელსაც ხელს აწერს ყველა წევრი: ი. აბაშიძე, ილ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, ვ. დონდუა, კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, ა. შანიძე. აქ ცალკე მუხლში საგანგებოდ აღნიშნულია: „«ქილილა და დამანას» ტექსტის გამოცემის საკითხში სარედაქციო კოლეგიის წევრთა შორის სუფევდა და სუფევს სრული ერთსულოვნება“. წინ კი ნათქვამია: „არავის აზრად არ მოსვლია «ქილილა და დამანას» გადმოქართულებაზე ვახტანგის ღვაწლის მიჩქმალვა. მაგრამ ასევე უმართებულო იქნებოდა სულხან-საბა ორბელიანის ამა გის შეუფასებლობაც. ოთხტომეულში შევიდა «ქილილა და დამანას» საბასეული ვერსიის ტექსტი, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, დამოუკიდებელი ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს. გამოცემა ითვალისწინებს «ქილილა და დამანას» ქართული ვერსიის მიმართ ვახტანგის განსაკუთრებულ ღვაწლს“.

მალე ალ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით გამოვიდა სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა მეორე ტომი ორ ნაკვეთად, რომელიც მოიცავს „*ქილილა და დამანას*“ საბასეულ ტექსტს.

ეს არის ამ ნაწარმოების ქართული თარგმანის მესამე გამოცემა, რომლის უპირველესი ღირსება წინამორბედებთან შედარებით ის გახლავთ, რომ მას საფუძვლად დაედო საბას ავტოგრაფი, რომელიც ალ. ბარამიძემ გამოავლინა, და რამაც რედაქტორებს საშუალება მისცა, გაესწორებინათ მრავალი შეცდომა, ამ თხზულების პირველ, ილია ჭყონიასეულ გამოცემას (1886 წ.) რომ ახლავს. მეორე გამოცემასთან შედარებით კი მას ძირითადად უპირატესობა აქვს თავისი სისრულის გამო. მეორე, 1949 წლის პუბლიკაციაც, რომელიც ალ. ბარამიძემ და პ. ინგოროყვამ განახორციელეს, საბას ავტოგრაფს ეყრდნობა, მაგრამ იგი მკითხველთა ფართო წრისათვის იყო განკუთვნილი, ამიტომ მასში ტექსტი შემოკლებით დაიბეჭდა.

ახალ, 1962 წლის გამოცემაში თარგმანის ავტორობა ასეა წარმოდგენილი: „ქილილა და დამანა, საბასეული რედაქცია (ვახტანგ VI-ის თარგმანი)“.

ვ. გაბესკირია ასეთმა ფორმულირებამ დააკმაყოფილა, თუმცა, მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ამ სიტყვათა გადასმით დაწერა: „ვახტანგ VI-ის თარგმანი (საბასეული რედაქცია)“. რატომღაც ვ. გაბესკირია ამ დაწერილობას თავის დამსახურებად და გამარჯვებად მიიწერდა[2], მაშინ როდესაც იგი ზუსტად გამოხატავდა ალ. ბარამიძისა და სარედაქციო კოლეგიის თვალსაზრისსა და მოთხოვნას. ასეა თუ ისე, ჩვენი საკითხისათვის მთავარი ისაა, რომ, მართალია, სულხან-საბას მეორე ტომის გამოსვლის შემდეგ ვ. გაბესკირიასა და ალ. ბარამიძეს (აგრეთვე მის მომხრეთა) შორის კამათი გაგრძელდა, მაგრამ იგი ეხებოდა *„ქილილა და დამანას“* სხვა მხარეს, უმთავრესად ამ ნაწარმოებში ჩართულ ვახტანგისა და სულხან-საბასეულ ლექსების ღირსება-ნაკლოვანებებს, და არა სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებში ამ ძეგლის შეტანას. ეს საკითხი ვ. გაბესკირიას შემდეგ სადავოდ აღარ გაუხდია.

ალ. სიგუა კი ბრძოლას აგრძელებს და აგრძელებს სწორედ იმის წინააღმდეგ, რომ აღნიშნული ვერსია დაიბეჭდა სულხან-

---

[2] ვ. გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა, თხზულებანი, III, 1974, გვ. 361-362.

საბა ორბელიანის ოთხტომეულში; იბრძვის არა სამეცნიერო ან სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, არამედ მთავრობაში ჩივილით. 1962 წლის ივნისში განცხადებით მიმართავს საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველ მდივან ვასილ მჟავანაძეს და სთხოვს, „ჩაერიოთ ამ საქმეში, რათა ვახტანგ VI დაუბრუნდეს თავის(ი) კანონიერი უფლება, როგორც «ქილილა და დამანას» მთარგმნელს“.

ამ ჩივილით არაფერი გამოვიდა. „ქილილა და დამანას“ საქმე თავისი ჭეშმარიტი გზით წარიმართა და, აი, 1975 წელს იგი გამოსცა მისმა ერთ-ერთმა ამაგდარმა მკვლევარმა მაგალი თოდუამ, რომელმაც სატიტულო ფურცელზე დააწერა: „სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ“ . ზუსტად ისე, იმ შინაარსით, როგორც მიღებული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში. ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას 1949 წლის გამოცემას აწერია: „ქართულად გადმოღებული ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ“.

არაფერს ვამბობთ პირველი, 1886 წლის, გამოცემის დასათაურებაზე, რადგან მაშინ სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლი ცნობილი არ იყო. მას, ვიმეორებთ, პირველად XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ნათელი ალ. ბარამიძემ მოჰფინა.

ასეთია მოკლედ ის ცხარე პაექრობა, სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულში „ქილილა და დამანას“ დაბეჭდვას რომ მოჰყვა.

ალ. ბარამიძე, რომლის მეცნიერულ მოღვაწეობაში *„ქილილა და დამანას“* კვლევას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, თავის მემუარებში *„ახლო წარსულიდან“* იხსენებს იმ დაბრკოლებებსა და წინააღმდეგობებს, რაც მას ამ ნაწარმოების შესწავლა-გამოცემისას შეხვდა და ალ. სიგუასაც ახსენებს[3]. სწორედ ამ ამბავს გამოუწვევია ალ. სიგუას ის წერილი, რომელიც *„განთიადში“* დაიბეჭდა.

ალ. სიგუა აქაც შეუვალად დგას ადრინდელ პოზიციაზე. იმის საწინააღმდეგოდ, რომ *„ქილილა და დამანა“* შეევიდა სულ-

[3] მეორე გამოცემა, 1987, გვ. 52-53.

ხან-საბა ორბელიანის თხზულებებში, იგი აქაც თავგამოდებით „ამტკიცებს“ იმას, რაც, ვიმეორებთ, საკამათოდ არავის და არასდროს გაუხდია, რომ ვახტანგია ამ ნაწარმოების მთარგმნელი და უდიდესი ამაგდარი. „ისე კი,- წერს იგი, - უკეთესი იქნებოდა, საკამათოდ და სადავოდ არ გამხდარიყო ქვეყნისათვის დამაშვრალი მეფის ვახტანგ VI-ის ის ღვაწლი და ამაგი, რაც მას მიუძღვის «ქილილა და დამანას» თარგმნაში“ (გვ. 222).

ალ. სიგუას ტექსტოლოგიურ მეცნიერებაში შემუშავებული მტკიცე ტერმინი „რედაქცია“ ადრე და ახლაც „რედაქტირების“ მნიშვნელობით ესმის. ამის გამოა, ნიჰილისტურად რომ უდგება სულხან-საბას ნამუშევარს. მისთვის უცხოა ალ. ბარამიძის თვალსაზრისი და განმარტება: „რა თქმა უნდა, საბას ღვაწლი სცილდება ჩვეულებრივი რედაქტორული საქმიანობის ფარგლებს. საბას შემოქმედებითად გადაუმუშავებია ვახტანგის თარგმანი, არსებითად გარდაუქმნია იგი და დამოუკიდებელი ნაწარმოების ხასიათი მიუცია ნათარგმნი ძეგლისათვის. სულხან-საბა ორბელიანს ვერ ჩავთვლით «ქილილა და დამანას» მ ა რ ტ ო ო დ ე ნ რ ე დ ა ქ ტ ო რ ა დ, იგი ამ ძეგლის ქართული რედაქციის ერთგვარი თ ა ნ ა ა ვ ტ ო რ ი ა“[4].

ალ. სიგუა 1961 წელს „დროშაში“ წერდა: „მართალია, საბას დიდი ღვაწლი მიუძღვის «ქილილა და დამანას» რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ ა შ ი (...), მაგრამ საბას როლი «ქილილა და დამანას» თარგმნაში რედაქციის ფარგლებს მაინც არ გასცილებია“. „განთიადში“ კი აღნიშნავს: „საბა მ ხ ო ლ ო დ ს ტ ი ლ ი ს ტ ი იყო და არა «ქილილა და დამანას» მთარგმნელი“ (გვ. 225).

ალ. სიგუა ადრეც და ახლაც მხოლოდ ამგვარი ზოგადი განცხადებით კმაყოფილდება და არც ერთხელ არ უცდია, „*ქილილა და დამანას*“ თარგმანთა ერთი ნიმუში მაინც გაეანალიზებინა.

სულ სხვა იყო საკითხისადმი ვ. გაბესკირიას მიდგომა. იმის გამო, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში „*ქილილა და დამანას*“

[4] „მნათობი“, 1961, № 11, გვ. 181.

სულხან-საბასეული რედაქციის დახასიათებისას საგანგებო ადგილი ეთმობა და მაღალი შეფასება ეძლევა იქ ჩართულ მის მიერ გაწყობილ ლექსებს, მან ვრცლად განიხილა ეს ლექსები, შეუპირისპირა ისინი ვახტანგის პოეტურ თარგმანებს და ამ უკანასკნელთათვის უპირატესობის მინიჭება სცადა.

დღეს ალ. სიგუა თავისი აზრის განსამტკიცებლად, ვ. გაბესკირიას კვალდაკვალ, გვიკიჟინებს: „საბას გენიალობა ჩვენ უნდა ვეძებოთ არა ამ ლექსებში, არამედ მის ორიგინალურ მხატვრულ შემოქმედებაში“ (გვ. 221).

ამ საკითხზე ვრცლად მსჯელობის დრო და საშუალება აქ არაა, მით უმეტეს, მასზე ერთობლივი პასუხი გაცემული აქვთ ალ. ბარამიძეს, ე. მეტრეველსა და ალ. გვახარიას[5], ოღონდ შევნიშნავთ: სულხან-საბას, როგორც პროზაიკოსის, გენიოსობის, უპირატესობის გამო არ უნდა უარვყოთ მისი, როგორც პოეტის, დამსახურება.

სულხან-საბა ორბელიანის პოეზიაზე ვ. გაბესკირიას თვალსაზრისის სისუსტეს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სულხანისეულ ლექსებს, ისე როგორც მთელ მის ნამუშევარს, უპირატესობა მისცა თვით ვახტანგ მეექვსემ. მეორეც: აღნიშნული ლექსების ვახტანგისეულ პოეტურ თარგმანებს დიდი ინტერესითა და პასუხისმგებლობით ეკიდება სულხან-საბა,— თავის ნაღვაწში მან სათანადო აღნიშვნით შემოიტანა (თუ დატოვა) დედნისეული, ვახტანგის მიერ პოეტურად გაწყობილი რამდენიმე ლექსი. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ხსენებული ლექსების ვახტანგისეულ თარგმანს სულხანისაზე ბევრად უფრო მაღალმხატვრულად მივიჩნევთ, ეს მაინც ვერ უარყოფს ამ უკანასკნელის მიერ შექმნილი რედაქციული ტექსტის თავისთავად, დამოუკიდებელ ლიტერატურულ ღირებულებას. თუ ვახტანგ მეექვსე დედნისეულ ლექსებს ერთი საზომით, შაირით, მართავს, სულხან-საბა სხვადასხვა ზომისა და ფორმის ლექსებს ქმნის, როგორიცაა: „შაირი“, „ჩახრუხაული“, „ლექსი“, „ფისტიკაური“,

---

[5] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1962, № 1, გვ. 306–328.

„რვული“, „შეწყობილი“, „წყობილი“, „მრჩობლედი“, „იამბიკო“ და ა. შ.

გ. ლეონიძე წერს: „რაც საბას ჰოეტურ რეჰუტაციას შეეხება, იგი ძველადვე საკმაოდ შეფასებული იყო. – «უცხო ჰიიტიკოსი, ქებული და ძველთა მოშაირეთა შესადარი». თვით საბას ანტაგონისტი კათალიკოზი ანტონ ჰირველი დიდი აზრისაა საბას საერო ჰოეტურ შემოქმედებაზე: «უცხო არს იგი, საქებელ ჰიიტიკა, რაცა სოფლიოთ გამოსთქვა სულსან-საბა». ამას მოწმობენ «ქილილა და დამანაში» დართული მის მიერ «გაკეთებული» ლექსები, რომელნიც საბა გვევლინება დიდი ჰორიზონტის ჰოეტად, შესანიშნავ ოსტატად, ქართული ლექსის რეფორმატორად“[6].

თუ სულხან-საბას ლექსებს ჩვენი პოეზიის კორიფეების, შოთა რუსთველის, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა, თხზულებებთან ან თუნდაც საბას პროზასთან შეპირისპირებით განვიხილავთ, რა თქმა უნდა, ის მხარს ვერ გაუსწორებს ამ მწვერვალებს. ამას აღნიშნავენ ა. გაწერელია, გ. მიქაძე, მაგრამ არც ერთი არ უარყოფს საბას პოეზიის თავისთავად, დამოუკიდებელ მნიშვნელობას.

გ. მიქაძე, რომელიც ეკამათება ვ. გაბესკირიას, წერს: „ჩვენ გვგონია, რომ ვ. გაბესკირიას ასეთი შეფასება გამოწვეულია ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტებთან ჰოლემიკის გამო. უნდა გავასხოვდეს, რომ დასახელებულ ლექსს („უცხოს“ – ბ. დ.) სპეციალისტები აფასებენ ისტორიული თვალსაზრისით, ვ. გაბესკირია კი მას განიხილავს თანამედროვეობის თვალით (დაყოფა ავტორისაა. – ბ. დ.). რა თქმა უნდა,

[6] გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 178–179.

გალაკტიონის ლექსის ფონზე «უცხოს» შეფასება ეოვლად გაუმართლებელია“[7].

ა. გაწერელია აღნიშნავს: „ცნობილია, რომ სულხან-საბა ორბელიანმა «ქილილა და დამანას» ქართულ თარგმანში ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ა ზ ო მ ი ს მ ქ ო ნ ე ლ ე ქ ს ე ბ ი შ ე ი ტ ა ნ ა. ამით აიხსნება თავის დროზე საბას ჰოეტური ავტორიტეტი, ამჟამად გაუგებარი ჩვენთვის (...). როგორც ჩანს, თვალსაჩინო ჰოეტური რეპუტაცია გამოწვეული იყო მ ი ს ი უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ ი ზ მ ი თ მ ე ტ რ ი კ ი ს დ ა რ გ ში: საბამ აღადგინა ჩახრუხაული საზომი, რომელიც შაირის ბატონობამ განდევნა ქართული ლექსიდან, შ ე მ ო ი ღ ო ს ხ ვ ა ს ა ზ ო მ ე ბ ი ც (რვული და სხვ.). ეოველივე ეს საბაბს აძლევდა მამუკას (...) სახოტბო სტრი-ქონები დაეწერა მის შესახებ“[8].

სხვაგან წერს: „ცნობილია, სულხან-საბა ორბელიანი დ ი დ ი რ ე პ უ ტ ა ც ი ი თ სარგებლობდა, როგორც ჰოეტი, განსაკუთრებით «ქილილა და დამანას» ლექსებში გამოჩნდა მისი ორნამენტური ხატვის ნიჭი. მამუკა ბარათაშვილი წერდა: სულხან-საბა ორბელიანმა «ქილილა და დამანა» გალექსა. თუმცა რუსთველის ნათქვამი არ არის, მაგრამ ნაკლებადაც სათქმელი არ არის («ჯაშნიკი»). ასეთი შეფასება იმით არის გამოწვეული, რომ «ქილილა და დამანის» ლექსით ადგილებში საბა საკსებით აკმაეოფილებს ეპოქის მოთხოვნილებას: მხატვრული შედარებისა, მეტაფორებისა და მოზაიკური ფერების ჯარბად ხმარებისა“[9].

ღმერთმანი, რატომ უნდა ვენდოთ მხოლოდ ვ. გაბესკირიასა და ალ. სიგუას და არა ამ ავტორთა და სხვათა ცოდნასა და გემოვნებას?!

---

[7] გ. მ ი ქ ა ძ ე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 73-74.

[8] ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, რჩეული ნაწერები, III[1], თბ., 1981, გვ. 42.

[9] რჩეული ნ;აწერები, I, თბ., 1962, გვ. 53-54.

ერთი სიტყვით, ვერც ვ. გაბესკირიამ და, მით უფრო, ალ. სიგუამ ოდნავადაც ვერ დაასაბუთეს უმართებულება იმ ჭეშმარიტებისა, რომ სულხან-საბას ხელიდან გამოსული „ქილილა და დამანას“ ტექსტი ღრმა რ ე დ ა ქ ც ი უ ლ ი ნამუშევარია, ამ სიტყვის მეცნიერული გაგებით, და არა ჩვეულებრივი რ ე დ ა ქ ტ ო რ უ ლ ი, სტილისტური სწორების შედეგი.

სამწუხაროდ, ალ. სიგუა ვერც ადრე და ვერც ახლა შესაბამისად, ღირსეულად ვერ აფასებს „ქილილა და დამანაზე“ შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურას, კერძოდ, ალ. ბარამიძის ღვაწლს.

კორნელი კეკელიძის სიტყვით, „ქართულ ენაზე ნათარგმნ არც ერთ თხზულებას ისეთი რთული ისტორია არა აქვს, როგორც იგავ-არაკთა იმ კრებულს, რომელსაც «ქილილა და დამანა» ეწოდება“[10].

დავით კობიძის თვალსაზრისით, „ახლა, ჩვენი მეცნიერების ზრდისა და აუვავების პირობებში, გახდა შესაძლებელი «ქილილა და დამანას» ქართული ვერსიების მეცნიერული შესწავლა, რაშიც ალ. ბარამიძეს უ დ ა ვ ო დ დიდი ამაგი მიუძღვის. დღეს საბოლოოდ გარკვეულია ის გარემოება, რომ «ქილილა და დამანას» ქართულ რედაქციებს შორის უპირატესობა ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანის მიერ ჩამოუალიბებულ ტექსტს ეკუთვნის. დღეს შეიძლება ითქვას, ს ა ბ ო ლ ო ო დ გ ა რ კ ვ ე უ ლ ი ა ს ა ბ ა ს რ ო ლ ი ამ თხზულების ქართულად შემუშავების საქმეში“[11].

მაგალი თოდუას თქმით, „ალ. ბარამიძის შრომამ «ანვარი სოჰაილის ქილილა და დამანას ქართული ვერსიები» მ თ ე ლ ი ე ჰ ო ქ ა შ ე ქ მ ნ ა ამ ძეგლის შესწავლის საქმეში“[12].

---

[10] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 462.

[11] დ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, თბ., 1969, გა. 293.

[12] მ. თ ო დ უ ა, „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, თბ., 1967, გვ. 84.

ალ. ბარამიძის ნაშრომს ანგარიშს უწევს და სხვა საკითხთა გადასაწყვეტად იყენებს ივანე ჯავახიშვილი[13].

ალ. სიგუას შეფასებით კი, „ჯუმარიტი კვლევა-ძიების შედეგი რომ იყოს ალ. ბარამიძის დამოკიდებულება «ქილილა და დამანას» მთარგმნელისადმი, ამაზე ვის რა უნდა ჰქონდეს სათქმელი და სასაუვედურო, მაგრამ მეცნიერი ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს არაობიექტურად ეპყრობა და ამიტომ მისი მსჯელობა მოკლებულია მეცნიერულ ანალიზს, რასაც ყველა შენიშნავს, ვინც კი ალ. ბარამიძის გამოკვლევასა და სტატიებს წაიკითხავს «ქილილა და დამანას» შესახებ“ („განთიადი“, გვ. 222).

ამას წერს ავტორი, ვიმეორებთ, რომელსაც ალ. ბარამიძის მიერ მოპოვებული და გაანალიზებული უამრავი საბუთიდან არა თუ რომელიმე დაურღვევია, არც ერთს არ შეხებია. სხვა რა უნდა იფიქროს კაცმა, თუ არა ის, რომ ან ალ. სიგუას ჯეროვნად არ შეუწუხებია თავი და არ გასცნობია *„ქილილა და დამანაზე“* არსებულ ალ. ბარამიძისა და სხვათა ფუნდამენტურ შრომებს, ხოლო, თუ გასცნობია, სათანადოდ ვერ ჩასწვდომია ან კიდევ ამ-ბიციურობის გამო შეგნებულად აყალბებს მათ.

ეს უკანასკნელი უფრო სარწმუნო ჩანს, როცა ვეცნობით მის მცდელობას, საქმე ისე წარმოგვიდგინოს, თითქოს დისკუსიის მონაწილენი, მათ შორის, სულხან-საბა ორბელიანის ოთხტო-მეულის სარედაქციო კოლეგიის წევრები ა. შანიძე და კ. კეკელიძე მის თვალსაზრისს იზიარებდნენ, ვითომ ისინიც წინააღმდეგი იყვნენ *„ქილილა და დამანას“* სულხან-საბას თხზულებებში შეტანისა. აი, რას წერს ა. შანიძის შესახებ: „როდესაც ახლახან გამოცემულ ქილილა და დამანას შესახებ ვესაუბრე აწ განსვენებულ აკადემიკოს აკაკი შანიძეს და ვუთხარი, რომ ქილილა და დამანა სულხან-საბა ორბელიანის ტომებში შეუტანიათ-მეთქი, აკადემიკოსმა მიპასუხა: «ეს დიდი გაუგებრობააო»“ (გვ. 224).

---

[13] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 24.

აქ, ალბათ, მკითხველი გაოცდება და იკითხავს: მაშ, როგორ არის ზემოთ დამოწმებულ „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნებულ სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ორტომეულის სარედაქციო კოლეგიის ერთობლივ განცხადებას ა. შანიძეს ხელს რომ აწერს?

ალ. სიგუა ნირშეუცვლელად გიპასუხებთ, ალ. ბარამიძის მოწყობილი საქმეაო! აი, მისი სიტყვები: „არის შემთხვევა, როცა ალ. ბარამიძე სარედაქციო-საგამომცემლო კომისიის დაუკითხავად კოლეგიასთან შეუთანხმებლად თვითონ წუვეტს ამა თუ იმ თხზულების ტექსტოლოგიის საკითხებს. ხოლო ამის შემდეგ იწყება კოლეგიის წევრთა შორის ცხარე დავა და კამათი“ (გვ. 221). ნიმუშად ასახელებს 1956 წელს ა. შანიძესა და ალ. ბარამიძეს შორის „ვეფხისტყაოსნის“ 1951 წლის გამოცემასთან დაკავშირებით გამართულ კამათს. „ამის მაგალითად — აგრძელებს ავტორი — ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ აკაკი შანიძის წერილი «საჭირო განმარტება», სადაც ვკითხულობთ: «ვეფხისტყაოსანი მაინც ვერ დაიბეჭდა ისე, როგორც საჭირო იყო: ნებსით თუ უნებლიეთ შიგ ისეთი ფორმები გაუშვიათ, რომელსაც მე ვერ მოვაწერდი ხელს-მეთქი». აქ ნათლადაა გამოთქმული დიდი მეცნიერის გულისტკივილი და საყვედური, ამიტომ ჩვენ ვერაფერს დავუმატებთ. ალ. ბარამიძეს აკ. შანიძის «უსაჭიროესი განმარტება» არ მოეწონა და ჰასუხი გასცა, მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ ჰასუხს, როდესაც, ვისთვისაც ჰასუხი დაიწერა (აკაკი შანიძე), იგი განმარტავს, მე არ ვიცოდი, ტექსტი ისე დაბეჭდილა და ამას მე ხელს ვერ მოვაწერდიო“ (გვ. 221–222).

დიახ, აკაკი შანიძემ „ვეფხისტყაოსნის“ 1951 წლის გამოცემის შესახებ, რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრები მასთან ერთად ალ. ბარამიძე და კ. კეკელიძე იყვნენ, მართლაც დაწერა: „შიგ ისეთი ფორმები გაუშვიათ, რომლებსაც მე ვერ მოვაწერდი ხელს“-ო[14]. ისიც სწორია, ამ სიტყვებში დანახულ იქნეს კოლეგიის სხვა წევრებისადმი, კერძოდ, ალ. ბარამიძისადმი ბრალდება.

[14] ა. შანიძე, თხზულებანი, V, თბ., 1985, გვ. 92.

ამიტომ იყო, მაშინ ალ. ბარამიძემ უპასუხა: „ორიოდე კორექტურული შეცდომის გარდა“ 1951 წლის გამოცემის ტექსტი ისე გამოვიდა, როგორც ის გამართა სარედაქციო კოლეგიამ, რომელშიც ა. შანიძე შედიოდაო (იქვე, გვ. 134). სხვათა შორის, ალ. ბარამიძეს შემონახული აქვს პოემის ამ გამოცემის საკორექტურო თაბახები, რომლებიც ა. შანიძის ხელით არის ნასწორები. მაგრამ ეს არ არის მთავარი. არც ის, ა. შანიძე რომ წერს „ნებსით თუ უნებლიედო“. მთავარი ის არის, რომ *„უსაჭიროესი განმატების“* შემდგომ პუბლიკაციებში ა. შანიძე უბრუნდება ამ საკითხს, სადაც ნათლად და გარკვევით აღნიშნავს, რომ მ ა ს ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს მ ი მ ა რ თ ა რ ა ვ ი თ ა რ ი პ რ ე ტ ე ნ ზ ი ა ა რ ა ა ქ ვ ს. ა. შანიძის სიტყვებია: „ჰროფ. ა. ბარამიძე თავის წერილში ლაპარაკობს გადაბრალებაზე. მე უნდა განვაცხადო, რომ მ ე თ უ ვ ი ს მ ე რ ა ს მ ე ვ ა ბ რ ა ლ ებ, ი ს ე ვ თ ა ვ ი ს თ ა ვ ს. ყოველ შემთხვევაში ჰროფ. ა. ბარამიძე დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ ჩემს წერილში რომ აღნიშნულია, 1951 წლის გამოცემას აკლია ენათმეცნიერის თვალიო, ამაში მას არავინ დასდებს ბრალს, რადგან **ეს ბრალი მთლიანად ჩემია**, ენათმეცნიერისა, და არა მისი, ლიტერატურათმცოდნე ა. ბარამიძისა“ (იქვე, გვ. 138).

ეს ფაქტები ალ. სიგუამ არ იცის თუ განგებ უმალავს მკითხველს?

კარგი, ალ. ბარამიძე არ მოგწონთ, არ აფასებთ მის ღვაწლს, არ ერიდებით ხრიკებს, ჩირქი მოსცხოთ მას, ა. შანიძე ხომ გიყვართ, თბილ მოგონებებს წერთ მასზე, ა. შანიძისათვის, ამ მართლაც ურყევი და მტკიცე უდიდესი მეცნიერისათვის, შეურაცმყოფელი არ არის ის, რომ ისე გამოგყავთ, თითქოს იგი ერთს აწერდეს ხელს და მეორეს ამბობდეს? ან თავს ახვევდნენ მას ისეთ მოსაზრებას, რომელსაც არ იზიარებს და ამაზე ხმას არ იღებდეს? ან კიდევ ხელს აწერდეს იმას, რაც არა სწამს? (შემონახულია სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულის სარედაქციო კოლეგიის განცხადების დედანი, სადაც ა. შანიძის ხელრთვა დასტურდება). შეიძლება ა. შანიძეზე ასე

წერა?! ამის შემდეგ რა ფასი უნდა ჰქონდეს ა. შანიძეზე დაწერილ ალ. სიგუას მოგონებებს?!

ალ. სიგუა ამგვარადვე ეპყრობა კ. კეკელიძესაც. აი, როგორ იმოწმებს მას: „საკამათოდ არ გამხდარიყო (...) მეფის ვახტანგ VI-ის ის ღვაწლი და ამაგი, რაც მას მიუძღვის «ქილილა და დამანას» თარგმნაში, განა ამისთვის საკმარისი არ იყო გაგვეზიარებინა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ფუძემდებლის აკად. კორნელი კეკელიძის შეხედულება, რომ «აქ მოწყენილობისა და უსაქმობის გამო, როგორც თვითონ ამბობს, მწერლობისათვის მოუკიდია ხელი და დაუმთავრებია თარგმნა «ქილილა და დამანასი», რომელიც ქართლში გამოუგზავნია შესასწორებლად სულხან-საბა ორბელიანისა და ონანა მდივნისათვის». ისიც ხომ ცხადია, რომ კორნელი კეკელიძე მოწმე იყო იმ დისკუსიისა, რომელიც გაიმართა სამოციან წლებში ქართულ პრესაში «ქილილა და დამანას» მთარგმნელის ვინაობის შესახებ, მაგრამ მკვლევარს თავისი აზრი, თავისი შეხედულება არ შეუცვლია, ვახტანგ მეფე საყვედურით არ მოუხსენებია, რატომ დაწერა(,) «ქილილა და დამანა» მე ვთარგმნეო, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი აკეთებს: «რომ ტექსტის თარგმანი ეკუთნის ვახტანგ მეექვსეს, ხოლო ლიტერატურული რედაქციის ავტორია სულხან-საბა ორბელიანი»“ (გვ. 222).

ალ. სიგუა ასეთი უცნაური, უკიდურესი სოფისტური მსჯელობით ცდილობს ფონს გასვლას. სინამდვილეში კ. კეკელიძე თავის ბოლოდროინდელ ნაშრომებში იმავე აზრს იცავს და ავითარებს, რაც ალ. ბარამიძემ დაადგინა. საამისოდ რომელი ერთი ამონაწერი მოვიყვანოთ? აი, მისი ზოგიერთი გამონათქვამი: „ვახტანგი (...) სხვებზე უკეთ გრძნობდა თავისი შრომის ნაკლს (...). საბას მეტი გაუკეთებია, ვიდრე დავალებული ჰქონდა: მას ჰროზის «გაჩალხვაზე» არანაკლებ უმუშავნია, ვიდრე ლექსისაზე, მას «ჩალხი» გაუკრავს ვახტანგის შრომისათვის მთლიანად და თავიდან ბოლომდე გაუტარებია სარედაქციო ქარცეცხლში. ის იცავს ვახტანგის რედაქციის ზედმეტსა და დანაკლის (დედანთან შედარებით) ადგილებს, მის ნიუანსებს, სამაგიეროდ, გადაკეთებულია სტილი,

შეცვლილია ფრაზები და წინადადებათა კონსტრუქცია, სპარსიზმები წაუშლია. მისი სტილი არის უაღრესად მწიგნობრული, განსწავლული, რიტორიკულ-ენაწყლიანი და დარბაისლური. რელიგიურ-მორალური ადგილების შეკეთება-გაშალაშინებაში საბა ვახტანგზე შორს წასულა (...). ამრიგად, საბამ მოგვცა ქართული «ქილილა და დამანას» ა ხ ა ლ ი, მეოთხე რედაქცია"[15].

კ. კეკელიძე „ქილილა და დამანაზე" მსჯელობისას ეყრდნობა ალ. ბარამიძის ნაშრომს და სათანადოდ უთითებს კიდეც[16].

გასაოცარზე გასაოცარია, რომ ალ. სიგუას კ. კეკელიძე 60-იანი წლების დისკუსიაშიც თავის თანამოაზრედ გამოჰყავს. ის აქაც არაფრად აგდებს იმ ფაქტს, რომ კ. კეკელიძეს ხელი აქვს მოწერილი სულხან-საბას თხზულებათა სარედაქციო კოლეგიის განცხადებაზე, უფრო მეტიც, ის ურთავს შენიშვნას: „საბას ტექსტის გამოცემას საჭიროდ ვთვლი, მიუხედავად ამა თუ იმ მკვლევარის შეხედულებისა, მისი ღირსება-ნაკლოვანების შესახებ". ამ განცხადების დედანზე ეს სიტყვები კ. კეკელიძის ხელით არის მიწერილი.

შეიძლება ვინმეს და, მით უფრო, კ. კეკელიძეს ასე მოეპყრო?!

აი, ასეთი „სიმართლე" უძევს საფუძვლად ალ. სიგუას განცხადებას: „ალ. ბარამიძის კონცეფცია მცდარია და ამიტომ დ ი ს კ უ ს ი ი ს ა რ ც ე რ თ მ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე მ მას მხარი არ დაუჭირა" (გვ. 223). ვითომცდა არ არსებობდეს ჩვენი გამოჩენილი მეცნიერებისა და მწერლების კ. კეკელიძის, ა. შანიძის, ილ. აბულაძის, ვ. დონდუას, გ. ლეონიძის, ი. აბაშიძის მიერ „ლიტერატურულ გაზეთში" შავით თეთრზე დაბეჭდილი სიტყვები: ალ. სიგუა და ვ. გაბესკირია „სწორად არ აშუქებენ «ქილილა და დამანას» ქართულ ენაზე ჩამოყალიბების ისტორიას" (28. 4. 61). ანდა „მნათობის" სარედაქციო დასკვნა: „რედაქციას საკითხის მართებულ გადაწყვეტად მიაჩნია სულხან-საბა ორბე-

---

[15] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 465.

[16] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 464; ეტიუდები ..., I, გვ. 194, და სხვა.

ლიანის თხზულებათა სრული კრებულის რედაქტორის ალ. ბარამიძის განცხადება (...). რედაქცია ამით კამათს ამოწურულად თვლის“ (№ 11, 1961, გვ. 181).

ალ. სიგუა ალ. ბარამიძეს იმაშიაც ადანაშაულებს, რომ მან „მნათობის“ მე–7 ნომერში რედაქციის შეკითხვას, „თუ რატომ არის შეტანილი სულხან–საბა ორბელიანის ნაწარმოებთა კრებულში «ქილილა და დამანა»“, ისე გასცა პასუხი, რომ დასჯერდა რედაქციის განცხადებას – „შემოვიდა რამდენიმე ჰირის შეკითხვა“ – და არ დაზუსტდა, ვინ იყვნენ ეს პირები. „საინტერესოა, – წერს იგი, – რატომ არ ასახელებს «მნათობის» რედაქცია თავის შენიშვნებში, ან ჰროფ. ბარამიძე თავის განმარტებაში, თუ ვინ არიან რედაქციაში შემოსული შეკითხვების ავტორები“ (გვ. 220). შემდეგ: „აქ საინტერესოა, გავიგოთ, თუ ვის ეკამათება ჰროფ. ალ. ბარამიძე, ვის აძლევს პასუხს. საზოგადოებისათვის არაა ცნობილი ავტორთა ვინაობა, მეცნიერი კი პასუხობს ანონიმურ შეკითხვებს, ანონიმურ განცხადებებს. ჩემთვის რომ ვინმეს დაეკალებინა ანონიმურ შეკითხვებზე პასუხის გაცემა და ისიც სამეცნიერო საკითხებზე, ძალიან შეურაცხყოფილად ვიგრძნობდი თავს და, რაღა თქმა უნდა, უარს ვიტყოდი“ (გვ. 220–221).

ამ ფაქტს, გარდა იმისა, რომ მიიჩნევს „ლიტერატურული ეთიკის დარღვევად, იგნორირებად, რომელიც არავის ეპატიება“, ამასთან ერთად აფასებს „ფანდად“. მისი სიტყვებია: „ამისთანა ფანდზე წერდა ვაჟა–ფშაველა: საით და როგორა ხდება, ეს უკვლამ კარგად იცის“ (გვ. 221).

ალ. სიგუას იქითკენ მივყევართ, დაგვარწმუნოს, „ფანდის“ მხმარებელი ალ. ბარამიძეაო. იგი წერს: „1959 წელს, როდესაც წავიკითხეთ გამომცემლობა «საბჭოთა საქართველოს» მიერ გამოცემული სულხან–საბა ორბელიანის თხზულებათა პირველი ტომი, სადაც გამომცემლობა აცხადებდა, რომ მეორე ტომში «ქილილა და დამანა» დაიბეჭდებაო, ჩვენ გაგვაოცა ამ ამბავმა, წერილი დავწერეთ და დასაბეჭდად «მნათობის» რედაქციას გადავეცით. შემდეგ, როცა რედაქციას რამდენჯერმე შევახსენეთ წერილის ბედი, ოფიციალურად გვპასუხობდნენ: «თქვენი წერილი გადავუგზავნეთ ჰროფ.

ალ. ბარამიძეს და მის ჰასუხთან ერთად დაიბეჭდებაო». ჩვენ ამაოდ ველოდით წერილის გამოქვეყნებას ჟურნალ «მნათობში», – რედაქციამ დაბეჭდა მხოლოდ ბარამიძის ჰასუხი «ქილილა და დამანას» ახალი გამოცემის გამო“ (გვ. 221).

შეიძლება ვენდოთ ალ. სიგუას სიტყვას, იყო კი ეს ასე? რომც დავუშვათ, იყო, შეიძლება პრეტენზია გამოთქვა „მნათობის“ რედაქციის მიმართ, მაგრამ რა შუაშია ალ. ბარამიძე? „მნათობში“ რომ დაბეჭდილიყო ალ. სიგუას წერილი ან იქ ეხსენებინათ მისი გვარი, როგორ, ალ. ბარამიძეს შეეშინდებოდა და პასუხის დაწერას ვერ გაბედავდა? ალ. სიგუამ თავისი წერილი შემდეგ ხომ „დროშაში“ გამოაქვეყნა და ვიცით, რა ბარაქაცაა!

მეორეც: სამწუხაროდ, ალ. სიგუა არც აქ იძლევა სწორ ცნობას. გვიმტკიცებს, თითქოს მას დაეყენებინოს აღნიშნული საკითხი და არა ვ. გაბესკირიას, ალ. ბარამიძე კი ვითომც ჩქმალავდეს ამას. „მთელი დავა და კამათი, – წერს იგი, — «დროშაში» დაბეჭდილი ჩვენი წერილის გამოა გამართული, მაგრამ ამას რატომღაც მ ა ლ ა ვ ს ჰატივცემული ჰროფესორი. მართალია, ჟურნალ «მნათობში» (№ 3) ვ. გაბესკირიამ გამოაქვეყნა წერილი «ქილილა და დამანას» გარშემო, მაგრამ ის დაიბეჭდა ჩემი წერილის შემდეგ და ჰოეტი ძირითადად ეხება «ქილილა და დამანაში» ჩართულ ლექსებს, მაგრამ თუ იგი თავის წერილში გზადაგზა «ქილილა და დამანას» თარგმნის საკითხსაც წ ა ს წ ვ დ ე ბ ა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ალ. ბარამიძე საბას მიერ გაჩალხულ ლექსებს დიდ(ი) ჰოეტური შემოქმედების ნიმუშად თვლის და ამით საზოგადოებას არწმუნებს, რომ, ვინც ასე დიდებულად გაჩალხა ლექსები, ის მთელ ნაწარმოებსაც კარგად გაჩალხავდაო“ (გვ. 221).

დასმულ საკითხზე „მნათობის“ რედაქცია მარტო ალ. სიგუას რომ არ შეუწუხებია, ზემოთ დამოწმებული სარედაქციო მინაწერიდან ჩანს. იქ გარკვევით არის ნათქვამი: „«მნათობის» რედაქციაში შემოვიდა რ ა მ დ ე ნ ი მ ე ჰ ი რ ი ს შეკითხვა“–ო.

ალ. სიგუასა და ვ. გაბესკირიას წერილები თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა, პირველი — „დროშაში“, მეორე — „მნა-

თობში“, ორივე მე-3 ნომერში. შეიძლება მაშინ „დროშამ“ გამოსვლა დაასწრო, მაგრამ ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა.

ალ. სიგუა არ არის მართალი, როცა ამბობს, თითქოს, ვ. გაბესკირია თავის ნაშრომში არ აყენებდეს სულხანა-საბა ორბელიანის ოთხტომეულში „ქილილა და დამანას“ შეტანის საკითხს და ის მხოლოდ ლექსების განხილვით იფარგლებოდეს. გარდა ზემორე დამოწმებულისა, ალ. სიგუა წერს: „ამ საკითხის გამოკვლევის ჰრეტენზიები ვიქტორ გაბესკირიას წერილს არა აქვს. უფრო მეტიც, ჰოეტმა ჰირად საუბარში მითხრა: «მნათობში» «ქილილა და დამანას» თარგმნის შესახებ დასაბეჭდად შეტანილი თქვენი წერილის შემდეგ რედაქციამ რატომღაც მე მთხოვა დამეწერა წერილი საბას მიერ გალექსილი «ქილილა და დამანაში» ჩართული ლექსების შესახებ და ჩემი წერილი მხოლოდ ამას შეეხებოდაო“ (გვ. 221).

ვინ არის *„ქილილა და დამანას“* მთარგმნელი, როგორც ამას ალ. სიგუა წერს, ეს საკითხი, რა თქმა უნდა, ვ. გაბესკირიას არ ურკვევია, მაგრამ უნდა დაიბეჭდოს თუ არა ეს ნაწარმოები სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებში, რაც ალ. სიგუას წერილის მთავარი თემაა, ვ. გაბესკირიას ნაშრომშიაც აქტუალურია. ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც კი მის წერილს გაეცნობა. აი, თვითონ ავტორი შემდგომ როგორ აყალიბებს თავისი წერილის მაშინდელ მიზანდასახულობას: „ამ წერილში ჩვენ ვამტკიცებდით იმას, რაც ღრმად გვწამდა და, რაც, ძირითადად ორ მოსაზრებაში გამოიხატება: უსამართლოდ მიგვაჩნდა «ქილილა და დამანას» თარგმანის სულხან-საბა ორბელიანისადმი მიკუთვნება, რასაც ადრე აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე ლამობდა (?! — **ბ. ლ.**) და აგრეთვე სარწმუნოდ ვერ მივიჩნიეთ იმავე ალ. ბარამიძის თავგამოდებული მტკიცება, რომ საბა «უაღრესად ორიგინალური და დიდი ჰოეტია»“[17].

---

[17] ვ. გაბესკირია, თხზულებანი, III, გვ. 361.

ასე რომ, უსაფუძვლოა ალ. სიგუას ჩვენება, ვითომცდა მაშინდელი დისკუსია მხოლოდ მის ნაშრომს გამოეწვიოს და ალ. ბარამიძე ამას მალავდეს, პირდაპირ საკვირველებაა, რა არის იმაში არაეთიკური, სალიტერატურო ჟურნალის რედაქციამ მკითხველთა სახელით, მათი გვარების დაუსახელებლად შეკითხვა მოგცეს და მას პასუხი გასცე?! ამაში „ფანდის“ დანახვა მართლაც რომ ფანდია!

ალ. სიგუას სიტყვას ერთ ნაბიჯზე ვერ ენდობი. იგი წერს, ვითომც „ალ. ბარამიძე თავის მოგონებათა წიგნში (გვ. 56) აღნიშნავს, რომ «ქილილა და დამანას» გარშემო გამართულმა დისკუსიამ დადებითი როლი შეასრულა“ (გვ. 223). აქედან კი თავისთვის სასარგებლო აზრს ავითარებს: „დიახ, დადებითი როლი შეასრულა, — აგრძელებს ალ. სიგუა თხრობას, — გაირკვა, რომ «ქილილა და დამანას» მთარგმნელი არის ვახტანგ მეექვსე და არა საბა ორბელიანი. ნათლად გაირკვა, რომ ალ. ბარამიძის კონცეფცია მცდარია“ და ა. შ.

ყოველივე ეს ტყუილია. სიტყვები „«ქილილა და დამანას» გარშემო გამართულმა დისკუსიამ დადებითი როლი შეასრულაო“ არის ალ. სიგუასეული პერიფრაზი წინადადებისა „ამ კამათს ჰქონდა გარკვეული დადებითი მნიშვნელობა“ და იგი ეკუთვნის არა ალ. ბარამიძეს, არამედ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიას (№ 11, 1961, გვ. 181), რომელსაც ალ. ბარამიძე თავის მოგონებათა წიგნში სათანადო მითითებითა და ბრჭყალებში ჩასმით იმოწმებს (პირველი გამოცემა, გვ. 56, მეორე გამოცემა, გვ. 52).

აღნიშნულ სიტყვებს ალ. ბარამიძე ვერ იტყოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ თავსმოხვეულ დისკუსიას მისთვის არაფერი მიუცია, გარდა დროს დაკარგვისა და წვალებისა. „მნათობის“, „დროშის“ რედაქციათა თანამშრომლებისათვის კი, ჩანს, იგი მართლაც სასარგებლო იყო. ალ. სიგუას წერილიდან ვგებულობთ (თუ იგი სიმართლეა!), იმჟამად მისთვის მხარი დაუჭერიათ „დროშის“ მაშინდელ რედაქტორ ალიო მირცხულავას და პასუხისმგებელ მდივან ნიკოლოზ ჩაჩავას (გვ. 221). „მნათობის“ რედაქცია თუ რა შინაარსით ამბობს „დადებითი მნიშვნელობა

ჰქონდაო“, იქვეა ახსნილი: მისთვის დამარწმუნებელი გამხდარა სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულის სარედაქციო კოლეგიის პოზიცია.

ხედავთ, ალ. სიგუას რისაგან რა გამოჰყავს?!

ალ. სიგუა უსამართლოდ მიიჩნევს იმ შეფასებას, რომელიც ალ. ბარამიძის წიგნში ეძლევა მის წერილსა და მოქმედებას. მეცნიერი ალ. სიგუას „დროშაში“ დაბეჭდილ წერილს „არაკვალიფიციურს, მაგრამ უაღრესად აგრესიულ სტატიას“ უწოდებს.

ალ. სიგუა „არაკვალიფიციურის“ შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ გულისწყრომით უარყოფს მეორე გამონათქვამს. „ახლა კი, — წერს იგი, — ალ. ბარამიძისაგან მინდა გავიგო, თუ რას ნიშნავს «აგრესიული სტატია»“ (გვ. 223). იმოწმებს *„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“* ახსნას „აგრესიის“ და „აგრესიულის“ შესახებ, სადაც სხვა მნიშვნელობებთან ერთად ჩამოთვლილია: „შეტევა, იერიში“, „თავდასხმითი“. თვითონ ავტორი ვერ ატყობს, მაგრამ, ვინც მის სტატიას წაიკითხავს, უმალვე დარწმუნდება, არც ერთი ეს თვისება მას არ აკლია. ამას ადასტურებს აგრეთვე ალ. სიგუას მომდევნო ნაბიჯი...

როგორც ალ. სიგუას „განთიადში“ დაბეჭდილი წერილიდან გავიგეთ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმდროინდელი პირველი მდივნის, ვასილ მჟავანაძის, სახელზე დაწერილი განცხადების ავტორი თვითონ ყოფილა. ალ. ბარამიძემ მემუარებში არ გათქვა ალ. სიგუა და ეს ფაქტი ავტორდაუსახელებლად აღნიშნა: „ჩანს, «მნათობის» რედაქციის დასკვნამაც ვერ დააკმაყოფილა დისკუსიის უველა მონაწილე. ზოგმა მათგანმა უკუღმართ ხერხს მიმართა, დაბეზღებასა და ცილისწამებას. ასე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის სახელზე შევიდა განცხადება 1962 წლის 22 ივნისის თარიღით“ (გვ. 52).

ალ. სიგუას ახლა მთლიანად მოჰყავს განცხადების ტექსტი და გაოცებით წერს: „ბევრი ვეძიე ჩემს განცხადებაში სტრიქონები, სადაც მართლა დაბეზღება და ცილისწამება იქნებოდა, მაგრამ ვერ ვნახე, ვერ მივაგენი“ (გვ. 223).

ავტორი ვერ ამჩნევს და ვერ ხვდება, რომ სხვანაირად არ აღიქმება უმაღლეს ადმინისტრაციულ ინსტანციაში გაგზავნილი მისი ყოვლად უსამართლო სიტყვები: „ქართული კულტურის დიდი მოამაგეების – ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანისათვის არავის არ მიუქნებია ისეთი შეურაცხყოფა, როგორც მას მიაქნეს ალ. ბარამიძემ და ე. მეტრეველმა, როდესაც ვახტანგ VI ნათარგმნი «ქილილა და დამანა» საბას თხზულებათა მეორე ტომში შეიტანეს“ (გვ. 224). „ჩვენ გულისწყრომით გვინდა განვაცხადოთ, რომ ზოგიერთი ნაკვლევისა და აღმოჩენილის მკვლევარებს (!) უფლება არ უნდა ჰქონდეს დიდებულ ძეგლებს ისე მოეპყრან, როგორც მათ მოესურვებათ. მეცნიერება მეცნიერებაა და არა ლაუსორტელის ფილოსოფია“(გვ. 225).

განცხადება კი წყევლით მთავრდება: „მე კი ჩემს განცხადებას დავამთავრებდი ვახტანგ VI შემდეგი სტრიქონებით: «არ ვეჯობ, შე რჩეს ღვთისაგან, ვინც ჩემთვის ესე ინება»“ (გვ. 225).

შეტევა, თავდასხმა, ტყუილი, ცილისწამება აკლია ამ სტრიქონებს?!

ამ სულისკვეთებით არის გაჟღენთილი „დროშაში“ გამოქვეყნებული მისი წერილიც. ამას თავად ავტორი აღიარებს: „ცენტრალური კომიტეტის მდივნის სახელზე განცხადება ჩვენ დავწერეთ იმ წერილის მიხედვით, რომელიც დაებეჭდეთ «დროშაში» (3)“ (გვ. 224).

განა „უკუღმართი ხერხი“ არაა, მეცნიერულ-ლიტერატურული საკითხის გადაწყვეტას რომ არასპეციალისტს მიანდობ და ამას მბრძანებლურ-ადმინისტრაციული გზით მოითხოვ? რა არის აქ გაუგებარი და საკამათო?!

ასეთია „სიმართლე“, რომელსაც ალ. სიგუა გაგულისებით გვაწვდის ალმანახ „განთიადის“ ფურცლებზე. ახლა, ვფიქრობთ, მკითხველს არ გაუჭირდება იმის შეფასება, თუ ვის შეეფერება ალ. სიგუას წერილის სათაური „განა მხოლოდ უპასუხისმგებლობა“ –

„ქილილა და დამანას“ დამაშვრალ, დამსახურებულ მკვლევარ ალექსანდრე ბარამიძეს თუ აღნიშნული წერილებისა და საჩივრის ავტორ ალ. სიგუას?!

ისევ სიყალბე და ცილისწამება[1]

ზემორე კრიტიკულ წერილში *„უპასუხისმგებლობა“* კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ, მ უ ხ ლ ო ბ რ ი ვ ა დ გავეცით პასუხი (მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ) იმ ს ი ყ ა ლ ბ ე ს ა და ც ი ლ ი ს წ ა მ ე ბ ას, რითაც თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია „განთიადის“ 1988 წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნებული ალექსანდრე სიგუას წერილი *„განა მხოლოდ უპასუხისმგებლობა“* (გვ. 220–225). ბატონი ალექსანდრე იმავე ალმანახში ბეჭდავს პასუხის პასუხს *„განა ესაა პასუხი?!“* (1990, № 9, გვ. 178–185). იმის ნაცვლად, რომ ასევე კონკრეტულად, თუ მთლიანად არა, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, ეჩვენებინა რაიმე სიმართლე, იგი ისევე ძველი მეთოდით გვერდს უვლის აღძრულ საკითხებს და ბრტყელ-ბრტყელი, განყენებული სოფისტური მსჯელობებით მკითხველ საზოგადოებას კვლავ თვალში ნაცარს აყრის და უკულმართად წარმოგვიდგენს კარგა ხნის წინათ წაღმართად გადაჭრილ მარტივსა და ნათელ საკითხს.

ჩვენს წერილში აღნიშნულია და აქვე უნდა გავიმეოროთ: ალ. სიგუამ მთელი დავიდარაბა ატეხა იმის გამო, რომ 1962 წელს სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულში დაიბეჭდა ამ დიდი მეიგავისა და ლექსიკოგრაფის მიერ შექმნილი *„ქილილა და დამანას“* ნარედაქციევი მხატვრული ვერსია. ბატონი ალექსანდრე თავიდანვე წინააღმდეგი იყო ამ გადაწყვეტილებისა და ეს გრძნობა დღემდე თუ არ განელებია და მისთვის კვლავ შეუპოვრად იბრძვის, ეს იმით არის გამოწვეული, რომ მას ა რ ე ს მ ი ს მარტივი მეცნიერული, ტექსტოლოგიური ცნება

[1] გამოქვეყნებულია ალმანახ „განთიადში“ (1990, № 9, გვ. 185–190) სათაურით – „ისევ დასანანი შეცდომა“, რაც რედაქციისეულია.

„რედაქცია“. იგი გაიგივებული აქვს თანამედროვე სიტყვასთან „რედაქტირება“. ამიტომ სულხან-საბას მიერ ამ თხზულებაზე გაწეული ღრმა და ფართო საქმიანობა დაკნინებულად, „რედაქტირებულად“ ესახება („დროშა“, 1961, № 3) და ამ ჭეშმარიტ შემოქმედს *„მხოლოდ სტილისტად“* მიიჩნევს („განთიადი“, 1988, № 5, გვ. 225).

ისიც უნდა გავიმეოროთ, თავისი თვალსაზრისის დასასაბუთებლად ალ. სიგუას არაფერი გაუკეთებია, *„ქილილა და დამანას“* ქართულ თარგმანთა ა რ ც ე რ თ ი ფრაზა არ გაუანალიზებია, მაშინ როდესაც სამეცნიერო ლიტერატურაში, სახელდობრ, ალექსანდრე ბარამიძის, ელენე მეტრეველის, ალექსანდრე გვახარიას, მაგალი თოდუასა და სხვათა ნაშრომებში უამრავი მასალაა მოხმობილი იმის დამადასტურებლად, თუ სულხან-საბა ორბელიანს იგი თავიდან ბოლომდე, როგორც ლექსები, ისე მთელი პროზა, რა შემოქმედებითად გადაუმუშავებია, ძირფესვიანად გარდაუქმნია და დამოუკიდებელი ღირებულების მქონე ლიტერატურულ-მხატვრული სახე მიუცია ვახტანგ მეექვსის მიერ სპარსულიდან გადმოღებული ამ იგავარაკთა კრებულისათვის, რომელიც არსებითად სიტყვა-სიტყვითი, პწკარედული თარგმანია.

„ქილილა და დამანას“ აღნიშნული რედაქცია სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ტომეულებში შეიტანა ავტორიტეტულმა სარედაქციო კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ: ირაკლი აბაშიძე, ილია აბულაძე, ალექსანდრე ბარამიძე, ვარლამ დონდუა, კორნელი კეკელიძე, გიორგი ლეონიძე, აკაკი შანიძე. ტექსტი კი გამოცემად მოამზადეს ალ. ბარამიძემ და ე. მეტრეველმა.

ალ. სიგუამ არად ჩააგდო სარედაქციო კოლეგიის მიერ 1961 წლის 28 აპრილის „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნებული ერთობლივი განცხადება, რომ *„«ქილილა და დამანას» ტექსტის გამოცემის საკითხში სარედაქციო კოლეგიის წევრებს შორის სუ ფ ე ვ დ ა და სუ ფ ე ვ ს ს რ უ ლ ი ე რ თ ს უ ლ ო ვ ნ ე ბ ა“* და 1988 წელს „განთიადში“ დაბეჭდილ თავის წერილში საქმე ისე წარმოადგინა, თითქოს, სულხან-საბას ტომეულებში ამ ნაწარმოების შეტანა და „ლიტერატურულ გაზეთში“ სარედაქ-

ციო კოლეგიის განცხადების გამოქვეყნება ალ. ბარამიძის მიერ თვითნებურად მოწყობილი საქმე ყოფილიყოს. ის ურცხვად წერდა: „არის შემთხვევა, როცა ალ. ბარამიძე სარედაქციო-საგამომცემლო კომისიის დაუკითხავად, კოლეგიასთან შეუთანხმებლად თვითონ წუვეტს ამა თუ იმ თხზულების ტექსტოლოგიის საკითხებს. ხოლო ამის შემდეგ იწყება კოლეგიის წევრთა შორის ცხარე დავა და კამათი“ (№ 5, გვ. 221).

ამგვარი რამ არასდროს მომხდარა. ალ. სიგუა ნიმუშად განზოგადებული შინაარსით ასახელებდა „ვეფხისტყაოსნის“ 1951 წლის გამოცემის გამო ა. შანიძის განცხადებას: რომ იგი „ვერ დაიბეჭდა ისე, როგორც საჭირო იყო: ნებსით თუ უნებლიეთ შიგ ისეთი ფორმები გაუშვიათ, რომელსაც მე ვერ მოვაწერდი ხელს“ (ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბ., 1956, გვ. 015).

ჩვენს საპასუხო წერილში ვაჩვენეთ (გვ. 264), რომ ა. შანიძე თავად წერს: „ეს ბრალი მთლიანად ჩემია, ენათმეცნიერისა და არა მისი, ლიტერატურათმცოდნე ა. ბარამიძისა“. ა. შანიძის ეს განცხადება სამჯერაა გამოქვეყნებული და ავტორის მიერ ასეა დასათაურებული „უსაჭირო ესი განმარტება“. პირველად იგი დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში“ (21 სექტემბერი, 1956, № 38), მეორედ — ავტორის კრებულში „ვეფხისტყაოსნის საკითხები, I“ (1966, გვ. 131), ბოლოს მისივე „თხზულებანის“ მე-5 წიგნში (1985, გვ. 138).

იქვე გვაქვს აღნიშნული, რომ შემონახულია „ვეფხისტყაოსნის“ 1951 წლის გამოცემის საკორექტურო თაბახები, რომელიც ა. შანიძის ხელითაა ნასწორები.

ახლა უნდა ვიკითხო: განა ეს არ არის პასუხი?!

ალ. სიგუა საპასუხოდ ისე წერს, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, მაშინ ყველაფერი სიმართლე ეთქვას. მისი სიტყვებია: „ჩემ წერილში აღნიშნული (!) აკაკი შანიძის და ალ. ბარამიძის ურთიერთ დამოკიდებულებას (!) «ვეფხისტყაოსნის» ტექსტის დამდგენ სარედაქციო კოლეგიაში, ჩვენ ამაზე ვრცლად ვილაპარაკეთ ქურნალ

«ვანთიადში» დაბეჭდილ ჩემ წერილში «ვანა მხოლოდ უპასუხისმგებლობა?!». ამაზე აქ არ შევჩერდებით“ (გვ. 181).

აი, ნიმუში ალ. სიგუასეული კამათისა!

ალ. სიგუა როგორც ა. შანიძეს, ისე ეპყრობა კ. კეკელიძესაც. მისი ნაშრომებიდან ციტატებს ისე წმასნის, ისიც თავის თანამოაზრედ გამოჰყავს, მათ შორის, 60-იანი წლების დისკუსიაშიც. საპასუხო წერილში ვაჩვენეთ, რომ კ. კეკელიძე თავის ბოლოდროინდელ ნაშრომებში „*ქილილა და დამანას*“ თაობაზე იმავე თვალსაზრისს იცავს და ავითარებს, რაც ალ. ბარამიძემ გამოიკვლია და დაადგინა. მივუთითეთ იმაზეც, რომ „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნებულ სარედაქციო კოლეგიის განცხადებას ერთვის კ. კეკელიძის საგანგებო შენიშვნა: „საბას ტექსტის გამოცემას საჭიროდ ვთვლი, მიუხედავად ამა თუ იმ მკვლევარის შეხედულებისა, მისი ღირსება-ნაკლოვანების შესახებ“. ვთქვით ისიც, რომ შემონახულია ამ განცხადების დედანი, სადაც ეს შენიშვნა კ. კეკელიძის ხელით არის ჩაწერილი (გვ. 264-265).

განა ეს პასუხი არ არის?!

არა, ალ. სიგუასათვის არ არის!

პასუხის პასუხში ის ისევ იმოწმებს კ. კეკელიძის წიგნს, სადაც ლაპარაკია „*ქილილა და დამანას*“ ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ე ულ ს ა მ რ ე დ ა ქ ც ი ა ზ ე და მკითხველს უმალავს ნაშრომის იმ ნაწილს, სადაც მეცნიერი ამ თხზულების მ ე ო თ ხ ე, ს ა ბ ა ს ე ულ, რედაქციას ახასიათებს (გვ. 182). კ. კეკელიძის სიტყვებია: „მართალია, მას (სულხან-საბას. — **ბ. დ.**) ხელახლა არ გადმოუთარგმნია «ქილილა და დამანა», როგორც ამას ამტკიცებდა ე. თაყაიშვილი, მაგრამ მ ა ინ ც მ ე ტ ი გ ა უ კ ე თ ე ბ ი ა, ვ ი დ რ ე დ ა ვ ა ლ ე ბ უ ლ ი ჰ ქ ო ნ დ ა (...). ამრიგად, ს ა ბ ა მ მ ო გ ვ ც ა ქ ა რ თ უ ლ ი «ქილილა და დამანას» ა ხ ა ლ ი, მ ე ო თ ხ ე რ ე დ ა ქ ც ი ა“ (ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 465). განა კ. კეკელიძის ეს აზრი ჩვენს წერილში დამოწმებული არ იყო? იყო და უფრო სრულადაც, მაგრამ რად გინდა, ალ. სიგუას თვალში მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს!

ვამხილეთ ალ. სიგუას ის ცრუ ბრალდებაც, რომელიც მან ალ. ბარამიძეს წაუყენა: ვითომც ის ჩქმალავდა ალ. სიგუას პრიორიტეტს საკითხის დაყენებაში – დაიბეჭდოს თუ არა „*ქილილა და დამანას*“ შესაბამისი რედაქციული ტექსტი სულხან-საბა ორბელიანის შრომებში და ვითომც მან ხელი შეუშალა მისი სტატიის გამოქვეყნებას; ვაჩვენეთ, როგორ მიაწერს იგი ალ. ბარამიძეს ისეთ შეხედულებებს, რომლებიც მას არ ეკუთვნის და ა. შ. (გვ. 256–267).

განა ეს პასუხი არ არის?!

პასუხის პასუხში ალ. სიგუას საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს ჩვენი საპასუხო წერილი „ძირითადად მიძღვნილია და ეხება ალ. ბარამიძის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას“, მის დამსახურებას „*ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის*“ კვლევაში.

ჩვენს წერილში იმის საილუსტრაციოდ, რომ „სამწუხაროდ, ალ. სიგუა ვერც ადრე და ვერც ახლა ღირსეულად ვერ აფასებს «ქილილა და დამანაზე» შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურას, კერძოდ, ალ. ბარამიძის ღვაწლს“, ვიმოწმებთ მის გამონათქვამს, თითქოს ალ. ბარამიძის გამოკვლევები დაუსაბუთებელი და არამეცნიერული იყოს („განთიადი“, გვ. 222). ამ უსამართლო შეფასების გასაქარწყლებლად საპასუხო წერილში იძულებული გავხდით, დაგვემოწმებინა სპეციალისტების – კ. კეკელიძის, დ. კობიძის, მ. თოდუას შეფასებანი და ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება „*ქილილა და დამანას*“ ქართულ ვერსიათა შესახებ ალ. ბარამიძის გამოკვლევათა მნიშვნელობაზე (გვ. 263). ვიმეორებთ, ჩვენი წერილი, სადაც კი ალ. ბარამიძის ღვაწლზეა საუბარი, მხოლოდ და მხოლოდ იგავ-არკთა ამ კრებულს ეხება და უშუალოდ პასუხია ალ. სიგუას უმართებულო, ცილისმწამებლური ბრალდებისა!

ალ. სიგუა ამას პასუხად არ მიიჩნევს, აყალბებს მას და „საკამათო საგნიდან მოხერხებულად გვერდის ავლად“, „ალექსანდრე ბარამიძის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე“ განყენებულ მსჯელობად გვიხატავს არა მარტო წერილის ამ მცირე მონაკვეთს, არამედ წერილის „ძირითად“ ნაწილსაც!

ალ. სიგუა გაკვირვებით გვსაყვედურობს, თუ რატომ ჩავებით კამათში, როდესაც მისი „წერილი ეხება ალ. ბარამიძეს, მის აზრსა და შეხედულებას «ქილილა და დამანას» თარგმანის საკითხში“ და არა პირადად მე, ვითომცდა ეს იყოს მათი კერძო საკითხი და მას კავშირი არ ჰქონდეს ჩვენი ლიტერატურის, მეცნიერების, კულტურის ისე უმნიშვნელოვანეს საკითხთან, როგორიცაა „*ქილილა და დამანას*“, ამ უძვირფასესი, მსოფლიო ღირებულების მქონე ძეგლის, თარგმანთა რაობა, როგორ მივაწოდოდ იგი ქართველ მკითხველთა ფართო ფენებს; ან თუნდაც ჩვენთვის უმნიშვნელო იყოს კ. კეკელიძის, ა. შანიძის, ალ. ბარამიძის მეცნიერული მემკვიდრეობა ან კიდევ მათი პიროვნულ ღირსებათა დაცვა. მაშინ როდესაც ალ. სიგუა ა. შანიძეს, კ. კეკელიძეს და სარედაქციო კოლეგიის სხვა წევრებსაც — გ. ლეონიძეს, ი. აბაშიძეს, ილ. აბულაძეს, ვ. დონდუას ისე ინერტიულ, უპრინციპო პირებად წარმოგვიდგენს, რომლებიც ვითომც ბრმად ემორჩილებიან ალ. ბარამიძის ნებას, უფრო მეტიც, მაქინაციებს, რომ ვერც ერთი საჯაროდ ხმის ამოღებას ვერ ბედავს, ვერ ახერხებს იმის თქმას, რომ მან, ალ. ბარამიძემ, თითქოს სულხან-საბა ორბელიანის შრომებში თვითნებურად მოათავსა ვახტანგ მეექვსის ნაჭირნახულევი და „ლიტერატურულ გაზეთში“ მათი სახელით განცხადება გამოაქვეყნა. მხოლოდ ეს არის, ერთხელ, თურმე, ა. შანიძეს „*ქილილა და დამანას*“ სულხან-საბას ტომეულებში მოთავსების გამო ალ. სიგუასათვის გაუნდვია თავისი გულისწყრომა!

დიახ, არც მეტი და არც ნაკლები, ასე გვიხატავს ალ. სიგუა თავის ნაფანტაზიევს და ამაზეც მოგვიხდა პასუხის გაცემა. ყველაფერი კი, თურმე, მხოლოდ ალ. სიგუასა და ალ. ბარამიძის ერთმანეთში გასარჩევი საგანი ყოფილა და სხვას მასთან არაფერი ესაქმება. ამგვარია ბატონი ალექსანდრე სიგუას ლოგიკა!

ალ. სიგუა ახლაც, პასუხის პასუხში, თავისი ნაცადი ძველი ხერხით, ტყუილითა და ოინბაზობით კვლავ იმეორებს ადრინდელ შეხედულებებს: რომ ვიღაც „მონდომებულია და ცდილობს, ვახტანგ მეექვსეს წაართვას თავისი ნაღვაწი და ამაგი“ (გვ. 180), რომ ვითომ ალ. ბარამიძემ „ვახტანგ VI ნათარგმნი «ქილილა და და-

მანა» საბა ორბელიანს მიაკუთვნა, მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ა დ გ ა მ ო ა ც ხ ა დ ა და შემდეგ კი მის თხზულებათა ტომში შეიტანა“ (გვ. 178), ნამდვილად კი პირიქით არის: სანამ ალ. ბარამიძის გამოკვლევა გამოქვეყნდებოდა, ზოგიერთი, მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილი, მართლაც ფიქრობდა, რომ „ქილილა და დამანა“ სულხან-საბა ორბელიანმა უშუალოდ სპარსულიდან თარგმნა, მაგრამ ალ. ბარამიძის გამოკვლევის შემდეგ არსად და არავის სულხან-საბა ორბელიანი ამ თხზულების უშუალო, დამოუკიდებელ მთარგმნელად არ გამოუცხადებია, ისე როგორც ამის შემდეგ არავის და არასდროს უარუყვია ვახტანგის მთარგმნელობა! ალ. სიგუას აღნიშნულ ბრალდება, რომელიც ძირითადად ალ. ბარამიძეს მიემართება, მისივე გამონაგონია და, ვიმეორებთ, იმას ეყრდნობა, რომ ამ იგავ-არაკთა შესაბამისი ტექსტი სულხან-საბა ორბელიანის ტომებში დაიბეჭდა. აი, როგორი სათაურითაა ის წარმოდგენილი: „ქილილა და დამანა, საბასეული რედაქცია (ვახტანგ VI-ის თარგმანი)“.

სად არის აქ სულხან-საბა ორბელიანი მთარგმნელად გამოცხადებული ან ვახტანგის ღვაწლი, როგორც მთარგმნელისა, მიჩქმალული, მით უფრო, უარყოფილი?! ცხადია, არსად!

ვითარებას არ ცვლის ის გარემოება, რომ ზოგიერთ მაგალითზე დაყრდნობით ე. მეტრეველი და ალ. გვახარია ვარაუდობენ, რომ ამ თხზულების დამუშავებისას სულხან-საბა სპარსულის მცოდნე პირს იშველიებდა[2], ხოლო მ. თოდუა ფიქრობს, სულხან-საბა საკმარისად ფლობდა სპარსულ ენას და ტექსტის დამუშავებისას შიგადაშიგ თვითონ იხედებოდა სპარსულ დედანში[3]. ამიტომაც და უპირველესად იმ უზარმაზარი სამუშაოს გამო, რომელიც სულხან-საბას ნამუშევრიდან ჩანს, მ. თოდუა ქართველ მეიგავეს ვახტანგის თანამთარგმნელად აცხადებს და 1975 წლის თავის მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემაში ამ ნა-

---

[2] სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თბ., 1959, გვ. 185.

[3] მ. თ ო დ უ ა, „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, თბ., 1967, გვ. 109.

წარმოებს ასეთ განმარტებას აძლევს: „სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ“.

ალ. სიგუა კვლავ ღია კარებს ამტვრევს, იმოწმებს სხვადასხვა ავტორის გამოქვეყნებულ ან შინაურ რეცენზიებში გამოთქმულ შეხედულებებს, რომ „*ქილილა და დამანას*“ მთარგმნელია ვახტანგ მეექვსე, სულხან-საბას კი არ უთარგმნია, არამედ რედაქციულად დაუმუშავებია ვახტანგისეული ტექსტი და ა. შ. ვითომცდა ისინი, ვისაც ალ. სიგუა ეკამათება, ამას უარყოფდნენ?! „*ქილილა და დამანას*“ თაობაზე აკაკი გაწერელიასა და ლევან მენაბდის მოსაზრებანი დაბეჭდილი და ცნობილია, ამ თხზულების საბასეული რედაქციის დამოუკიდებელი ლიტერატურული ღირებულება, მხატვრული თვითმყოფობა არც ერთისათვის საკამათო არაა (ა. გაწერელიას შეხედულებანი ჩვენს საპასუხო წერილში დამოწმებულიცა გვაქვს). დიმიტრი ბაქრაძე და მანანა ქიქოძე აღძრულ საკითხს არ ეხებიან. ალ. სიგუამ არც ის იცის, დ. ბაქრაძის თვალსაზრისი დღეს მთლიანად გამოსადეგი ვერ იქნება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მის დროს იგავ-არაკთა ამ კრებულის თარგმნის ისტორია, კერძოდ, რა ეკუთვნის ვახტანგ მეექვსეს და რა — სულხან-საბა ორბელიანს, გარკვეული არ იყო. რაც შეეხება ალექსანდრე ღლონტის სიტყვებს, რამდენადაც ჩვენ ვიცით, „*ქილილა და დამანას*“ რედაქციები მისი შესწავლის საგანი აქამდე არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, მის შესახებ არაფერი გამოუქვეყნებია. და, თუკი ის გულწრფელად ასე ფიქრობს, როგორც ალ. სიგუა იმოწმებს, ძალიან სავალალოა და სავალალო უპირველესად მისთვის.

ალ. სიგუა „*ქილილა და დამანას*“ სულხან-საბას ტომეულებში მოთავსებას დღესაც „ერთჰიროვნულ გადაწყვეტილებად“ სახავს. უკვე რამდენიმეჯერ ვთქვით, სარედაქციო კოლეგიის პოზიცია მისთვის ანგარიშგასაწევი ოდნავადაც არ არის. სამაგიეროდ, მთელი ძალით მიმართავს დემაგოგიას. იგი დეკლარაციულად, ყოველმხრივ უსაბუთოდ აცხადებს, რომ ჩვენთვის საინტერესო თხზულების კვლევისას მიღებული შეხედულებანი და გადაწყვეტილებანი „შედეგია იმ მძიმე წლების სულშემხუთავი აზროვნებისა, როცა სამეცნიერო დაწესებულებებში ე. წ.

მძლავრები განაგებდნენ ხელოვნებისა და მეცნიერების ურთულეს საკითხებს, როდესაც უველაფერი კაბინეტებში ჩუმად, ბრძანებით კეთდებოდა“ (გვ. 178); ვითომცდა „ვახტანგ VI-სა და სულხან-საბა ორბელიანის ურთიერთ დამოკიდებულებას, ურთიერთ მეგობრობას“ „XX საუკუნის 30-იანი წლების უაჩაღური, დაწუვლილი, არამეცნიერული და უალბი მორალური ნორმებით“ უდგებოდნენ (გვ. 180). სურათის გასამუქებლად, იმის დასადასტურებლად, რომ „დიქტატურა ხორციელდებოდა არა მარტო ჰოლიტიკაში, არამედ მეცნიერების უველა დარგში“, აღნიშნავს, რა უმსგავსო თემებზე ხდებოდა დისერტაციების დაცვა (გვ. 179–180), მაგრამ საამისოდ ერთ მაგალითსაც არ ასახელებს, თუ როგორ შეეხო ჩვენი ცხოვრების ეს საშინელებანი იგავ-არაკთა ამ კრებულის კვლევისა და გამოცემის საქმეს. თუმცა, რა უნდა დაესახელებინა, როდესაც საკამათო თხზულების მიმართ ამგვარი რამ არ ყოფილა. ალ. ბარამიძის რა „მძლავრობაზე“ შეიძლება ლაპარაკი? როდესაც მან *„ქილილა და დამანაზე“* გამოკვლევა დაწერა და გამოაქვეყნა, ის უნივერსიტეტის ჩვეულებრივი ასისტენტი, 29–30 წლის კაცი გახლდათ და კამათი უხდებოდა ისე სახელმოხვეჭილ მეცნიერებთან, როგორიც ე. თაყაიშვილი და კ. კეკელიძე იყვნენ. თუ ვინმემ ამ საქმეში „მძლავრობასა“ და ადმინისტრაციულ მეთოდს მიმართა, ეს უპირველესად თავად ალ. სიგუა გახლავთ. ერთადერთი ალ. სიგუა იყო, რომელმაც მეცნიერულ კამათს თავი აარიდა და, როგორც თვითონ გვაუწყებს, 1962 წლის 22 ივნისს მიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივან ვ. მჟავანაძეს, „გთხოვთ ჩაერიოთ ამ საქმეშიო“ („განთიადი“, № 5, გვ. 225).

დღეს ალ. სიგუა გვიკიჟინებს, რომ, თურმე, ვერც მე და ვერც ალ. ბარამიძეს ამ განცხადების შინაარსი ვერ გაგვიგია. ჯერ ერთი, რა არის აქ გაუგებარი?! მეორეც, ალ. სიგუა იმაზე არ ფიქრობს, რასაც *„ქილილა და დამანას“* მკვლევარები ვერ იგებენ, როგორ უნდა გაეგო ამ დარგიდან უსაზღვროდ შორს მყოფ ვ. მჟავანაძეს, რომელსაც ეს თხზულება წაკითხული კი არა, ალბათ, გაგონილიც არ ჰქონდა (თუ რამდენად ზერელედ იცნობს ამ ძეგლს ჩვენი საზოგადოება, მათ შორის ინტელიგენცია, კარგად გამოჩნდა 1980

წლის 6 აპრილის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილიდან *„ვისაუბროთ სიყვარულზე“*, სადაც ქილილასა და დამანას, რომეოსა და ჯულიეტას სიყვარული გვედი-გვერდაა დაყენებული, და მისმა ავტორმა, ამ გაზეთის თანამშრომელმა, და სხვებმაც, ვინც იგი დაბეჭდვამდე წაიკითხა, არ იციან, რომ ქილილა და დამანა ... ტურებია!).

ალ. სიგუა ისე მიგვანიშნებს, თითქოს მის პოზიციას მხარს უჭერდეს ახალგამოსული ლიტერატურა, სახელდობრ, 1988 წელს დაბეჭდილი მანანა ქიქოძის წიგნი *„ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა (პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საქმიანობა)“*. ნამდვილად კი ამ ნაშრომის კვლევის საგანი აღნიშნული თხზულება არაა. აქ მასზე გაკვრით არის მსჯელობა და დადასტურებულია დასკვნა: „ვახტანგი ასწორებს მხოლოდ «ქილილა და დამანას» სიტყვა-სიტყვით თარგმნას“ (გვ. 179), რასაც ალ. სიგუა ჯეროვან ანგარიშს ვერ უწევს. რაც შეეხება ამ წიგნიდან ამოწერილ სიტყვებს — „ვახტანგ VI-მ მელქისედეკ კავკასიძეს 1733 წელს დაავალა აგრეთვე თავისი თარგმნილი «ქილილა და დამანას» ქართული ვარიანტის გალექსვა. ცხადია, ესეც არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ეს იყო ქართველი ადამიანის სულიერი სამყაროს გამდიდრების კიდევ ერთი შესაძლებლობა“-ო (გვ. 192), — რასაც ალ. სიგუა თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად რიხიანად იმოწმებს, სინამდვილეს არ შეეფერება. აქ რაღაც გაუგებრობაა. წიგნში წყარო მითითებული არაა და არსაიდან ჩანს, მელქისედეკ კავკასიძეს ამგვარი დავალება მიეღოს. უფრო მეტიც, ამგვარი რამ გამორიცხულია, რადგან მელქისედეკი მწიგნობარი კალიგრაფია და არა პოეტი. თუმცა ეს ასეც რომ ყოფილიყო, ამით არაფერი შეიცვლებოდა — სულხან-საბას ნამუშევრის ლიტერატურულ-მხატვრულ თავისთავადობას არაფერი დააკლდებოდა.

ალ. სიგუამ არ იცის ან მკითხველებს განგებ უმალავს, რომ უკანასკნელ ხანს გამოსულ საგანგებო გამოკვლევებში საძიებელი ნაწარმოების ქართულ თარგმანთა რედაქციის საკითხები ისევეა შეფასებული და გადაწყვეტილი, როგორც ეს ალ. ბარამიძისა და სხვათა შრომებშია მოცემული. მაგალითად, ნანა

ჩხეიძე თავის წიგნში *„«ქილილა და დამანას» ქართული ვერსია“* (თბ., „მეცნიერება“ 1986) იმეორებს და ემოწმება ალ. ბარამიძის სიტყვებს: „რა თქმა უნდა, საბას ღვაწლი სცილდება ჩვეულებრივი რედაქტორული საქმიანობის ფარგლებს. საბას შემოქმედებითად გადაუმუშავებია ვახტანგის ჰწკარედი, არსებითად გარდაუქმნია იგი და დამოუკიდებელი ლიტერატურული ნაწარმოების სასიათი მიუცია ნათარგმნი ძეგლისათვის. სულხან-საბა ორბელიანს ვერ ჩავთვლით «ქილილა და დამანას» მარტოოდენ რედაქტორად, იგი ამ ძეგლის ქართული რედაქციის ერთგვარი დამოუკიდებელი ავტორია“ (გვ. 15).

თამარ აბულაძე კი თავის წიგნში *„ვახტანგ მეექვსის მთარგმნელობითი მოღვაწეობა“* (თბ., „მეცნიერება“, 1990) ალ. ბარამიძის გამოკვლევის შედეგებს ასე აფასებს: „«ქილილა და დამანას» ქართულ ვერსიათა კვლევა ახალ საფეხურზე აიყვანა ალ. ბარამიძემ. მის ფუნდამენტურ ნაშრომში მოცემულია დაკითისა და ანონიმთა კოლექტიური თარგმანის, ასევე ვახტანგისა და საბას ვერსიათა ღრმა მეცნიერული ანალიზი, მათი შედარება-დახასიათება ფაბულურ-სიუჟეტური, სტილურ-ლექსიკური თვალსაზრისით. ამასთან ეს ვერსიები ჰირველად იქნა შედარებული სპარსულ ტექსტთან, ვახტანგის ვერსიის (მისი ავტოგრაფული ჩანაწერის შემცველი ხელნაწერის), ასევე საბას ავტოგრაფული ცალის მის მიერ მიკვლეულმა და შესწავლილმა ნუსხებმა ნათელი მოჰფინა საკითხთან დაკავშირებულ მრავალ ბუნდოვან მხარეს და განსაკუთრებით, ვახტანგის როლსი გავ-არაკთა ამ კრებულის ქართულ ვერსიათა ჩამოყალიბებაში. ნაშრომმა სწორი მიმართულება მისცა «ქილილა და დამანას» ქართული ვერსიების კვლევის საქმეს“ (გვ. 80–81).

კი ვიმოწმებთ ამ შეხედულებებს, მაგრამ არავითარი გარანტია არა გვაქვს, ალ. სიგუა ხვალ-ზეგ არ დამიწერს მეორე პასუხის პასუხს, ერთი ხელის აქნევით ყოველივე ამას არ გა-

მიქარწყლებს და ისევ ნირშეუცვლელად არ იტყვის: „ავტორი გაცხარებით მეკამათება, რომ დაიცვას და წარმოაჩინოს ალ. ბარამიძის ღვაწლი ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლისათვის“, ხოლო „ჩვენ მიზნად არ გვქონდა დასახული, შევხებოდით ალ. ბარამიძის ღვაწლს ქართული ლიტერატურის კვლევის საკითხში“–ო.

„განთიადის“ მკითხველს ისიც უნდა ვაუწყოთ, რომ ნ. ჩხეიძე და თ. აბულაძე სპარსული ენის ცოდნით არიან აღჭურვილნი და მათი დასკვნები ამ ნაწარმოების საგანგებო კვლევის შედეგად არის მიღებული.

ვინაიდან მეცნიერთა ნაკვლევი და ნააზრევი ალ. სიგუასთვის ჩირადაც არ ღირს, რადგან მასში ყველგან „მძლავრის“ ზეგავლენას ხედავს, დავიმოწმებთ ჩვენი სასიქადულო პოეტისა და მოაზროვნის მუხრან მაჭავარიანის შეხედულებას. მის ნაშრომში *„რამდენიმე სიტყვა“*, რომელიც გამომცემლობა „მერანმა“ 1989 წელს ცალკე წიგნად გამოუშვა, მანამდე კი ალმანახ „საუნჯეში“ ნაკვეთებად ქვეყნდებოდა, ალ. სიგუას მიერ დაყენებულ საკითხზე პირდაპირაა პასუხი გაცემული.

ბატონი მუხრანი ჩამოთვლის არსებულ შეხედულებებს და სვამს კითხვას: „სინამდვილეში ვ ი ნ ა ა მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი საბასეული «ქილილა და დამანას»?!“. „გამოცემათა მიხედვით, – წერს იგი, – საბასეული «ქილილა და დამანას» მთარგმნელი პირველით მარტო ვახტანგია, მეორითა და მეოთხით – ვახტანგი და საბა, მესამით თარგმანი ვახტანგისაა, რედაქცია – საბასი“. „ვ. გაბესკირიას მიაჩნია, – გრძელდება მსჯელობა, – რომ «ქილილა და დამანას» მთარგმნელი ვახტანგია, საბა – მხოლოდ რედაქტორი... ალ. ბარამიძე, ე. მეტრეველი და ალ. გვახარია ფიქრობენ: «ვადმომთარგმნელი ვახტანგი კია, მაგრამ ტექსტი საბას ისე შეუცვლია სტილისტურად, რომ მარტო ვახტანგის თარგმანიაო, ვერ იტყვის კაცი» ... მელიგზად ბებუდაშვილითა და მ. თოდუათი მთარგმნელი ორივეა“.

მ. მაჭავარიანის დასკვნით, სულხან-საბა ორბელიანის ნამუშევარი იმდენად თავისთავადი ღირებულების მქონეა, მის

თანააავტორად ვახტანგ მეექვსის მიჩნევა ზედმეტია, ამ რედაქციის ავტორად მარტოდმარტო სულხან-საბა ორბელიანი უნდა ვაღიაროთ. არ გჯერათ? აი, მისი სიტყვები: „ჩემი აზრით, ვახტანგი ისეთივე თანააავტორია საბასი, როგორც სამისეული ვერსიის (იგულისხმება „ქილილა და დამანას“ დავითის, სპარსელისა და სომხის ქართული თარგმანები. — **ბ. დ.**) ავტორები – ვახტანგისა, ვინაიდან საბამ მხოლოდ იმდენი იხელმძღვანელა ვახტანგისეული ვერსიით, რამდენადაც სამისეულით – ვახტანგმა, და, თუკი სამისეული ვერსიის ავტორები არ ითვლებიან ვახტანგის თანააავტორებად, **საბას თანავტორად რატომღა უნდა ჩაითვალოს ვახტანგი?!** მით უმეტეს, როცა «ქილილა და დამანას» მისეული (ვახტანგისეული) ვერსია სუფთა ჰწკარედია და არა მხატვრული თარგმანი. ყოველ შემთხვევაში (წინათ არ ვიცი და), დღეს ამგვარია საერთოდ თარგმანის ავტორობის გაგება“.

ყველაფერი ეს დაბეჭდილია 54-ე გვერდზე, რომელიც, სხვათა შორის, ისე როგორც მთელი წიგნი, მ. მაჭავარიანის საკუთარი ხელით ნაწერის ფოტოპირია.

ვერც ჩვენ ვიტყვით, საკუთრივ „ქილილა და დამანას“, როგორც ძველი ძეგლის მიმართ, ეს გაგება უცილობელი იყოს, მაგრამ ის კი ნაღდზე ნაღდია, თანამედროვე თარგმანის ავტორობის გაგება ახლა სწორედ ამგვარია და ამ პოზიციიდან დასმული საკითხის იმგვარად გადაწყვეტა, როგორც ალ. სიგუა დაჟინებით ცდილობს, ამაოზე ამაოა.

უნდა ვთქვა ისიც, რომ ალ. სიგუა ჩვენი წერილის ენობრივ-სტილისტურ მხარეზეც დავობს. იმოწმებს ჩვენს წინადადებას — „ნამდვილად არავის არასოდეს **დაუჰირებია** ამ თხზულებისათვის ვახტანგის სახელის ჩამოშორება“ (გვ. 260), შენიშნავს: „ხომ არ აჯობებდა «დაჰირებას» ნაცვლად დაგეწერათ: არავის უფიქრია, არავის განუზრახავს“ (გვ. 180).

არა, ბატონო ალექსანდრე, არ აჯობებდა, რადგან ჩვენი წინადადება უშუალოდ ებმის ვ. გაბესკირიას სიტყვებს და მისი ზუსტი შესატყვისი პასუხია. აი, ეს სიტყვები: ამ „ნაწარმოების

ნამდვილი ჭირისუფალია“ ვახტანგი და, თუ მას თავისი ქმნილების „სულ მთლად ჩამორთმევას დ ა ვ უ ჰ ი რ ე ბ დ ი თ, ამას როგორ წარმოიდგენდა“.

დასასრულ, მთელი პასუხისმგებლობით უნდა ვიკითხოთ: როდემდის იქნება ეს უკვანტავი საქმე საკვანტავად გადაქცეული?!

მინაწერი: ბატონმა ალექსანდრე სიგუამ კვლავ გააგრძელა პოლემიკა და აქვეყნებს ამ პასუხის პასუხს – *„პასუხი თუ გაუგებრობა?“* („განთიადი“, 1991, გვ. 166–167). მე მიკიჟინებს და ნამდვილად კი თავის აკვიატებულ აზრს ის აქაც მართლაც გლახა ჭრიაშვილივით იმეორებს.

ამ წერილს კი ახლავს მინაწერი *„რედაქციისაგან“* (ალმანახის მთავარი რედაქტორი იყო მწერალი რეზო ჭეიშვილი), სადაც ვკითხულობთ: „ვახტანგ მეექვსის სახელის «ქილილა და დამანას» თარგმანისათვის ჩამოშორება მართლაც არავის დაუჭირებია (ქილილა და დამანა, საბასეული რედაქცია, ვახტანგ VI-ის თარგმანი). ისიც ნათელია, რომ საბა არ არის უბრალო გამსწორებელი, სტილისტი, რედაქტორი «ქილილა და დამანას» ქართული ტექსტისა...

და მაინც, ალბათ, არ იყო საჭირო საბას თხზულებათა ტომეულებში «ქილილა და დამანას» შეტანა. როგორც ბატონი აკაკი გაწერელიაც აღნიშნავს, საბას ლიტერატურული მემკვიდრეობა ისედაც მდიდარია“ (გვ. 167).

უცნაური მსჯელობაა! „ქილილა და დამანას“ საბასეული რედაქცია მაინცადამაინც ცალკე უნდა გამოიცეს? ამ დიდი მწერლის ნაღვაწი, თუ მის ტომეულში არ შევიტანთ, როგორ მივაწოდოთ ხალხს? და კიდევ: სულხან-საბას შემოქმედება რომ ღარიბი იყოს, მაშინ უნდა ვაღიაროთ მისი ავტორობა?!

ასეთ თარიღებს შესწორება არ სჭირდება[1]

შარშან, დეკემბრის ბოლოს, გაზეთ „კალმასობაში“ (№ 10, 2002, გვ. 4) დაიბეჭდა ჩვენი (ლიტერატურის) ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატ ფირუზ მეტრეველის რეპლიკა – *„აღვადგინოთ ჭეშმარიტება“*. იმის გამო, რომ მთელი XX საუკუნის მანძილზე და დღესაც ჩვენს კალენდარში ძველსა და ახალ სტილს შორის დროს დაცილება 13 დღეა, ხოლო XIX საუკუნეში შობილ მწერალთა და სხვათა დაბადების თარიღები მათ ბიოგრაფიაში 12-დღიანი სხვაობით არის წარმოდგენილი, ავტორს ეს შეცდომად მიაჩნია და გვთავაზობს – აღვადგინოთ ახლანდელი, 13-დღიანი, დაშორება. სახელდობრ: რადგან გალაკტიონ ტაბიძე დაბადებულია 1891 წლის 5 ნოემბერს, წმინდა მოწამე კალაკტიონის ხსენების დღეს და ამჟამად ამ წმინდანის ხსენების დღე ახალი სტილით 18 ნოემბერია, პოეტის დაბადების თარიღი, თურმე, უნდა დაიწეროს: ძველით 5, ახლით კი 18 ნოემბერი. „იმედს გამოვთქვამთ, – დაასკვნის ავტორი“, – რომ გალაკტიონის დაბადების დღედ აღვადგენთ 5(18) ნოემბერს, ნაცვლად 17 ნოემბრისა და ამით გამოვასწორებთ დაშვებულ შეცდომას“.

ბატონი ფირუზი ამ მოთხოვნას ავრცელებს XIX საუკუნის სხვა თარიღებზეც. „სხვათა შორის, – წერს ის, – ცამეტდღიანი სხვაობის გაუთვალისწინებლობამ მიგვიყვანა ისეთ აბსურდამდე, რომ ქართული თეატრის დღეს 2 იანვარს (ძვ. სტილით)“ 14 იანვარს ვზეიმობთ, ნაცვლად 15 იანვრისა (2;13). ან მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების თარიღად ვასახელებთ 8(20) ნოემბერს, მაშინ როცა იგი 8(21) ნოემბერს წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ხსენების დღეს დაიბადა. ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დაბადების თარიღები გადასახედია, რადგან ხშირად ძველი

---

[1] გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კალმასობაში“ (იანვარი, 2003, № 1, გვ. 19).

სტილიდან ახალზე გადმოყვანისას, ცამეტდღიანი სხვაობის ნაცვლად, რატომღაც, გათვალისწინებულია თორმეტდღიანი განსხვავება“.

სამწუხაროდ, რეპლიკა გამოუწვევია ჩვენსა და უმთავრეს (უფრო ქრისტიანულ) ქვეყნებში მოქმედი კალენდრის ერთი უმარტივესი მახასიათებლის უცოდინარობას — რამ გამოიწვია დროის აღრიცხვის ძველი და ახალი სტილის გაჩენა და როდის როგორ გამოიხატება იგი. ამის ახსნას ახლა „*კალმასობის*“ მკითხველებს არ ვკადრებთ, ზოგიერთის გასაგონად ვიტყვით მხოლოდ ერთს: როდესაც XVI საუკუნეში იულიუსის კალენდარი გრიგორიანულით (ახალი სტილით) შეიცვალა, მაშინ მათ შორის სხვაობა 10 დღე იყო, შემდეგ გახდა 11. XIX საუკუნეში 12 დღეს მიაღწია, ხოლო XX საუკუნეში და ამჟამად 13-დღიანია.

ამ უბრალო ჭეშმარიტებას სკოლაში ასწავლიან და, შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენს ენციკლოპედიაშიც შეგვიძლია გავეცნოთ. ასე რომ, აღნიშნულ თარიღებს შესწორება არ სჭირდება.

შენიშვნები ვახტანგ მეექვსის შემოქმედების ბაროკოსადმი მიმართების საკითხზე[1]

1977 წელს გამოცემული „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ცნობით, „ქართულ ლიტერატურაში ბაროკოს სტილის ჰრობლემა შესწავლილი არ არის. უკანასკნელ დროს გამოითქვა მოსაზრება ქართული ავთენტიკური ბაროკოს შესახებ“ (ტ. 2, გვ. 215) და დასახელებულია **გიორგი გაჩეჩილაძისა**[2] და **ირაკლი კენჭოშვილის**[3] სტატიები.

---

[1] იბეჭდება პირველად.

[2] გ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, ბაროკოს პრობლემა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ამოცანები, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1972, 14 ივლისი, № 29, გვ. 2-4; 28 ივლისი, № 30, გვ. 2-3.

[3] ი. კ ე ნ ჭ ო შ ვ ი ლ ი, ქართული ავთენტიკური ბაროკოს გამო, ჟურ. „ცისკარი“, 1973, № 9, გვ. 252-256.

ამის შემდეგ საქმე წინ წავიდა და **მაია ნაჭყებიამ** ამ საკითხზე გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია, რომლებიც გააერთიანა და 2009 წელს ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით: *„ქართული ბაროკოს საკითხები“* (გამომცემლობა „მერანი“, 166 გვ.). აქვე შემოიტანა სტატია *„ბაროკოს ელემენტები ვახტანგ მეექვსის შემოქმედებაში“* (გვ. 40–68), რომელიც ადრე იყო დაბეჭდილი კრებულში *„ლიტერატურული ძიებანი“* (XIX, თბ., 1998).

მე ვახტანგ მეექვსის პოეზიის მკვლევარი ვარ და მის შესახებ ყველაფერი მაინტერესებს. ამიტომ ჩემი მსჯელობის საგანი ამჯერად მ. ნაჭყებიას სტატია იქნება. გ. გაჩეჩილაძე და ი. კენჭოშვილი ვატანგის შემოქმედებას არ განიხილავენ. როგორც გ. გაჩეჩილაძე გვაუწყებს, მისი წერილი არის ნ ა წ ყ ვ ე ტ ი მონოგრაფიისა *„ბაროკოს პრობლემა და XVI–XVIII საუკუნეების ქართული კულტურა“*. იმასაც თავად აღნიშნავს: წარმოდგენილ წერილში „არ შევეხებით თეიმურაზის, არჩილის, ვახტანგ VI, გურამიშვილის, ბესიკის და სხვათა შემოქმედებასაო“ (№ 30, გვ. 3).

მაია ნაჭყებია ქალიშვილია **ციალა (მარიამ) კარბელაშვილისა**. ჩვენ კი ლიტერატურის ინსტიტუტში, ვიდრე აქედან გამაძევებდნენ, ათეული წლობით ერთ განყოფილებაში ვმუშაობდით და ვმეგობრობდით. მაია ჩემ თვალწინ გაიზარდა და ჩინებულ მეცნიერად ჩამოყალიბდა. მისი საკანდიდატო დისერტაციის ექსპერტი გახლდით და ძალა და ენერგია არ დამიშურებია, მასში რაიმე უზუსტობა არ გაპარულიყო.

ასევე შევხვდი *„ლიტერატურულ ძიებანში“* ვახტანგის შესახებ დაბეჭდილ სტატიასაც და პირუთვნელად მივუთითე, რაც არ მომეწონა. წიგნში ავტორს ზოგი რამ გაუთვალისწინებია და გაუსწორებია, მაგრამ – ყველა არა. ახლა მინდა, ამ

ბატონი ირაკლი ამ საკითხს შემდეგაც ეხება. 2000 წელს გაზეთ „კალმასობაში“ დაბეჭდა წერილი: „გარდამავალი პერიოდი: XVII–XVIII საუკუნეები (A la recherché du perdu)“ (№ 2, გვ. 10–12) და შეიტანა თავის წიგნაკში: კრიტიკული ძიებანი, თბ., 2000, გვ. 3–12.

საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართ გავუზიარო ჩემი შენიშვნები და მოვახსენო იმის თაობაზე, რაც კვლავ სადავოდ და მიუღებლად მიმაჩნია. ეს ჩემს მოვალეობად მესახება თუნდაც იმიტომ, რომ, დავაზუსტებ ნათქვამს, ვახტანგ მეექვსის პოეტურ შემოქმედებაზე ორი წიგნის ავტორი ვარ, სათანადო მეცნიერული აპარატის დართვით გამოსაცემად მომზადებული მაქვს ვახტანგის პოეტური თხზულებების სრული კრებული, რომელიც მოცულობით აქამდე არსებულზე თუ სამჯერ არა, ორჯერ მეტი მაინცაა.

უპირველესი და უმთავრესი საკითხია: ძველი ქართული ლიტერატურისათვის რამდენად თავისებური, სპეციფიკურია ის ნიშნები, რასაც ბაროკოს დამახასიათებლად ასახელებენ მ. ნაჭყებია და მისი წინამორბედები? ან, პირიქით: ის საერთო, რაც ქართულ ლიტერატურას ბაროკოსთან აქვს, თვით ბაროკოსთვის თუა სპეციფიკური?

უთუოდ საყურადღებო და მოსაწონია ის, რომ მაია ლაპარაკობს ვახტანგის შემოქმედებაში „ბაროკოს ელემენტებზე“ და არა მთლიან ბაროკოზე. მისი სიტყვებითაც, „ბაროკო *განსაკუთრებული* სახის იდეურ-კულტურული მიმართულებაა, რომელიც სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შეეხო და XVII საუკუნის ევროპულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში *სპეციფიკური მხატვრული სისტემა შექმნა*“ (გვ. 3).

ზუსტადაა მითითებული ბაროკოს არსებობის ხანა. მაია წერს, რომ ევროპაში „ლიტერატურას «რენესანსსა და კლასიციზმს შორის» ბაროკოს უწოდებენ“ (გვ. 3). თარიღებიც ზუსტადაა განსაზღვრული: „ბაროკოს ხელოვნება ისევე, როგორც მისი თეორია, XVII საუკუნის ევროპის *ველა* ქვეყანაში გავრცელდა; სცენიდან კი თითქმის *ველგან* XVIII საუკუნის დასაწყისში ჩამოვიდა“ (გვ. 9).

ქართულ ლიტერატურაში კი ეს ასე არის?

1. ზოგადად რომ ვთქვათ, ქართული ლიტერატურა ამგვარ მკვეთრ დაყოფას არ შეესაბამება. თავი რომ დავანებოთ სადავო საკითხს, იყო თუ არა ჩვენში ლიტერატურული მიმდი-

ნარეობა კლასიციზმი და მთლიანად დავეთანხმოთ ამ თეორიის მამამთავარ **ალექსანდრე კალანდაძეს**, რომ იყო, ერთი მაინც უდავოა: მას წინამორბედ ლიტერატურასთან იმდენად გამოკვეთილი და წინააღმდეგობრივი სახე არ ჰქონია, როგორც ევროპულში. XVI–XVIII საუკუნეების ქართული მწერლობა არსებითად ერთიანი, მონოლითური ხასიათისა გახლდათ და არა თუ უპირისპირდებოდა წინამორბედ ჩვენს ლიტერატურას, არამედ მისგან მომდინარეობდა, მის გზას აგრძელებდა და ამრავალფეროვანებდა. ამგვარივეა ვახტანგ მეექვსის შემოქმედებაც.

2. მ. ნაჭყებია, ისე როგორც გ. გაჩეჩილაძე და ი. კენჭოშვილი, ბაროკოს ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშნად პესიმიზმსა და სოფლის სამდურავის, გმობის მოტივს გამოყოფს და ვახტანგის პოეზიას ამ მხრივ განიხილავს.

იმოწმებს „სალბუნად გულისა“-ს სტროფს: „გამსაჯა მიწყივ სოფელმან, (...) არ შემიწყალა არათი, (...) ამავსებინა ცრემლითა კალთა, ფიალა ა ჯამა, მწვე მომაწყინა სოფლისა ასე უბრალოდ გარჯამა“ და წერს: „ესეც ტიპიური «სოფლის სამდურავია», რაც ასე ახასიათებს ბაროკოს, როგორც ეპოქალურ სტილს“ (გვ. 53).

როგორც გ. გაჩეჩილაძე და ი. კენჭოშვილი, მ. ნაჭყებიაც იმოწმებს „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა სტროფებს, სადაც გვაქვს „ისეთი მსოფლხედვა და ისეთი მსოფლგანცდა, როგორიცაა ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობის მძაფრი შეგრძნება“ და წერს: „ეს ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში «სოფლის მდურვის» სახელწოდებით შევიდა, მთლიანად თავსდება ევროპული ბაროკოს ჩარჩოებში“ (გვ. 67).

მე არ ვიცი, ეს თემატიკა რამდენად სპეციფიკურია ბაროკოსთვის, მაგრამ ეს კი კარგად ვიცი: ვახტანგის შემოქმედებაში ამ თემას დიდი ადგილი უჭირავს არა იმიტომ, რომ მასთან (ბაროკოსთან) რაიმე პირდაპირი და ორგანული კავშირი აქვს. წიგნში *„ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო“* საგანგებო თავი მაქვს გამოყოფილი — *„სევდისა და სოფლის გმობის*

მოტივი“ (გვ. 167–212), სადაც ვასკვნი: „ამრიგად: სევდისა და სოფლის გმობის მოტივს, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს ვახტანგ მეექვსის პოეზიაში, ასაზრდოებს ორი გარემოება: საქართველოს, კერძოდ, ქართლის მნელბედობით გამოწვეული მეფე-პოეტის მძიმე ხვედრი – თავისი ქვეყნის, სამეფოს, მამაპაპური კერის მიტოვება, ძალაუფლების დაკარგვა, ახლობლებთან დაშორება, მათი დაღუპვა, თავისიანთა და შინაურთა ორგულობა და ღალატი, – უველაფერი საშინელება, რაც კი ირანში ტუვეობასა და რუსეთში ემიგრანტობას მოჰყვა; მეორეა ქრისტიანულ-თეოლოგიური მსოფლმხედველობა ამქვეყნიური ცხოვრების ამაოების, წუთისოფლის გაუტანლობისა და ვერაგობის შესახებ, რომლითაც გაჟღენთილი იყო მთელი ჩვენი მაშინდელი და წინარე მწერლობა, ოფიციალური საზოგადოებრივი აზრი“ (გვ. 212).

თუ სევდისა და სოფლის გმობის თეორია ბაროკოა, მაშინ მთელ ქრისტიანულ-რელიგიურ თეორიაზე დამყარებული მრავალსაუკუნოვანი მწერლობა ბაროკო ყოფილა!

3. იგივე უნდა ითქვას თხზულებათა ე. წ. ორპლანიანობის შესახებაც. ასეთია ვახტანგის „სატრფიალონი“. მე უამრავი მაგალითის მოხმობით ვაჩვენე, რომ იგი არ არის არც სუფიური და არც ნეოპლატონური თხზულება, როგორც მანამდე იყო მიჩნეული. იგი ოდენ ქრისტიანულ-თეოლოგიური ნაწარმოებია. მასში აღწერილია ამქვეყნიური რეალური ამბები, სახელდობრ ქალის სილამაზე, მისდამი ტრფობა და ამით სიმბოლურ-ალეგორიულად გადმოცემულია ქრისტიანულ-რელიგიური შეხედულება; იმქვეყნიურ სამყაროში, სასუფეველში, დამკვიდრებისათვის ღვთისადმი სიყვარული და ტრფობა[4]. რადგან ასევე ყოფილა ევროპულ ლიტერატურაში, ამიტომ მაია „სატრფიალონს“ ბაროკოდ მიიჩნევს. წერს: „ანალოგიურ მოვლენას ვხვდებით XVII საუკუნის სლოვაკურ ლიტერატურაში, რომელსაც მკვლევარნი სლოვაკურ სასულიერო

[4] ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო, გვ. 237–302.

ჰოეზიას მიაკუთვნებენ. ამ დროს იქმნებოდა სასულიერო ლექსები, რომელთაგან აღსანიშნავია **იურაი ბაიანის** (1721–1792) ჰიმნები, რომლებშიც სასულიერო სიყვარული მაცხოვრისა და ღვთისმშობლის მიმართ გამოიხატებოდა საერო-სამიჯნურო ჰოეზიის ელემენტებით" (გვ. 50).

მეორე ადგილას: „ვეფხისტყაოსნის გმირთა მიჯნურობის საღვთო მიჯნურობად ინტერპრეტაცია, «სატრფიალ(ონი)ს» «სასძლოს» სახით ღვთაების წარმოსახვა ბაროკოს სტილის ცხად ნიშნებს ატარებს" (გვ. 51).

კიდევ: „«სატრფიალონის» ჰირველი სტროფი არაორაზროვნად აუწყებს მკითხველს, რომ ეს ნაწარმოები «გულისხმიერებას» მოითხოვს მისგან, რადგან «სამ-ოთხ» რიგად არის განასინჯი ანუ განსამარტავი. (...) «სამ-ოთხ რიგად განასინჯი», როგორც თეორიული დებულება, მაღალ ჰოეტურ კულტურას გულისხმობს და სრულ თანხმობაშია ევროჰული ბაროკოს შინაგან არსთან, რომელიც ამა თუ იმ თხზულების რამდენიმე ჰლანს გულისხმობს" (გვ. 51–52).

მაია ასევე აფასებს ვახტანგის ლექსს *„მუხრანული"*. მე გავარკვიე, რომ ეს ლექსი ვახტანგის ხელით ჩაწერილია მამუკა ბარათაშვილის *„ჯაშნიკის"* ერთ-ერთ ხელნაწერში, იგი ვახტანგის ორიგინალური ალეგორიული შინაარსის თხზულებაა, ეფუძნება სახარებას და იგავურად გადმოგვცემს ქრისტიანულ-თეოლოგიურ ესქატოლოგიურ მოძღვრებას მეორედ მოსვლისა და განკითხვის შესახებ. თხზულების მიმართვის ობიექტი ძალი (ძალა) ღმერთი, ქრისტე[5].

მაია წერს: „ეს ლექსიც ბაროკოს სტილის თხზულებაა, რომლის ინტერპრეტაციაც სასულიერო ლიტერატურის ცოდნას მოითხოვს. (...) იგი ქრისტიანული სულით არის გამსჭვალული. მთელი თავისი ფაქტურით – შინაარსითაც და ფორმითაც – საუსებით ჯდება ბაროკოს ფარგლებში" (გვ. 53).

---

[5] ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო, გვ. 188–213.

განზოგადებულად აღნიშნავს: „«ამოცნობის», «გაშიფრვის» მომენტი ბაროკოს სტილის ერთ-ერთი კონცეფციური ელემენტია“ (გვ. 61).

ცნობილია: სხვაგან რომ არ ვეძიოთ, სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნება იმ ხნისაა, რამდენისაც ... ქრისტიანული მოძღვრება. ბიბლიის ორი ძირითადი ნაწილი ერთ-მანეთს, ახალი აღთქმა ძველს, სწორედ სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნებით უკავშირდება. ამ მეთოდს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახარებაში, ხოლო ეკლესიის მამების ნაშრომები ხომ უიმისოდ წარმოუდგენელია. საამისოდ არსებობს ქრისტიანული ლიტერატურული დარგი ეგზეგეტიკა, რომლისთვისაც ძირითადი და წარმმართველი სწორედ ამგვარი აღქმა გახლავთ.

სიმბოლო-ალეგორიებით გაჭედილია მთელი ქრისტიანული ლიტერატურა და რა გასაკვირია, ამ მხრივ ქართული და ევროპული მწერლობა ერთმანეთს ემსგავსებოდეს? და ეს მსგავსება მარტო XVII-XVIII საუკუნეებით შემოიფარგლება?!

4. რაკი „მუხრანულზე“ ვილაპარაკეთ, ბარემ აქვე ვიტყვით მისი დაწერის თარიღზეც, რადგან მას მაია საკამათოდ სახავს. წერს: ბ. დარჩიას „ვარაუდი იმის შესახებ, თითქოს ვახტანგი შეიძლება რუსეთში გასცნობოდა ამ განსაკუთრებული წყობის ლექსს, წინ ეღობება ის გარემოება, რომ ლექსის დაწერის თარიღი მიახლოებითაც კი არ არის განსაზღვრული: როდის დაწერა იგი ვახტანგმა – რუსეთს წასვლამდე, თუ რუსეთში ყოფნისას“ (გვ. 61). შემდეგ გადაჭრით ამბობს, რომ ის „მოსკოვში წასვლამდეა შექმნილი“ (გვ. 65).

ცნობილია და კამათს არ იწვევს, რომ მამუკა ბარათაშვილმა თავისი ორიგინალური სახელმძღვანელოს, პოეტიკური ტრაქტატის „სწავლა ლექსის თქმისა“, ანუ „ჯაშნიკის“, წერა დაამთავრა 1731 წლის პირველ თებერვალს ქალაქ მოს-

კოვში. თავად იუწყება: „გასრულდა მოსკოს წელთა ქრისტეს აქეთ ჩღლა (1731), თვესა თებერვალსა ა (1)“[6].

„მუხრანული“ ვახტანგის ხელით ჩაწერილია პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერში. მანამდე იგი არსად ჭაჭანებს. ვახტანგი გარდაიცვალა 1737 წელს. უფრო დაზუსტება რომ არ დავიწყოთ, უდავოა, რომ „მუხრანული“ შეთხზულია რუსეთში 1731-1737 წლებში. ამიტომ ჩემს ვარაუდს, რომ ვახტანგი აღნიშნული ლექსის სახეობას შეიძლებოდა რუსეთში გასცნობოდა, „წინ არაფერი ეღობება“!

5. მაია ბაროკოდ მიიჩნევს ვახტანგის ვერსიფიკაციულ ძიებებს. ვახტანგ მეექვსე მთელი ცხოვრების მანძილზე დაუცხრომლად იღვწის ქართული ლექსის შინაარსობრივი და ვ ე რ ს ი ფ ი კ ა ც ი უ ლ ი განახლებისათვის. ჩანს, ამ მიზნით შეუთხზავს „მუხრანული“ და შეუტანია მამუკა ბარათაშვილის პოეტიკურ თხზულებაში; მეორე მხრივ, ვხედავთ, ჩაუწერია გაყოფილად, გვერდიგვერდ და ისინი ერთნაირი შინაარსის შემცველია როგორც თარაზულად, ერთ სტროფად, ისე ვერტიკალურად, ორ სტროფად წაკითხვისას. ამის გამო მივიჩნიეთ, რომ იგი ე. წ. კვადრატული ტიპის ნაწარმოებია. მაია ამის გამოც „მუხრანულს“ ბაროკოდ ნათლავს. სწორედ ეს იგულისხმება ზემორე დამოწმებულ მის სიტყვებში: „მუხრანული“ „მთელი თავისი ფაქტურით – შინაარსითაც და ფ ო რ მ ი თ ა ც – სავსებით ჯდება ბაროკოს ფარგლებში“.

ბაროკოდ ნათლავს იგი ვახტანგის შეთხზულ ფორმალისტურ, „*წალმა-უკულმა საკითხავ ლექსს*“, ანუ, როგორც პოეტიკაში უწოდებენ, პალინდრომს, რომლის თითოეული სტრიქონი ერთნაირად იკითხება როგორც მარცხნიდან მარჯვნივ, ისე პირუკუ:

---

[6] მამუკა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო გივი მ ი ქ ა ძ ე მ, თბ., 1969, გვ. 132.

მაია ამგვარ თხზულებას *„სარკისებურ ასახვას“* უწოდებს და განმარტავს: „ბაროკოს ჰოეტიკის მრავალი დამახასიათებელი თვისება იმით აიხსნება, რომ შემოქმედი თავისებურად განიცდის და ჯვრეტს სამყაროს. ამ მხრივ «არეკვლა», «სარკისებრი ასახვა», ბაროკოს სტილის ერთ-ერთი უველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა“ (გვ. 56).

ვახტანგის პალინდრომზე საუბრისას, გ. მიქაძის ნაშრომზე მითითებით, მაია აღნიშნავს, რომ „ასეთი ლექსები ცნობილია მრავალი სალხის ლიტერატურაში, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, მაგრამ უველაზე დიდი გავრცელება მან ბაროკოს ვერსიფიკაციულ ძიებებში ჰპოვა, რაც ქართული შესაბამისი მასალითაც დასტურდება, თუმცა“-ო, ბაროკოს რომ არ ვეძახით, ჩვენ, ქართველ ავტორებს, გვსაყვედურობს, — „მათი სტილური კვალიფიკაცია არ მომხდარა“-ო (იქვე, გვ. 56).

გივი მიქაძის ნაშრომში, რომელსაც მაია ასახელებს, გარკვევითაა ნათქვამი: „წაღმა-უკუღმა წასაკითხი ლექსები ცნობილია შორეული წარსულიდან. მართალია, გავრცელებულია აღმოსავლურ სამყაროში, მაგრამ ის უცნობი არ იყო ძველბერძნული ჰოეზიისთვისაც“[7].

6. მაია ბაროკოს უკავშირებს აგრეთვე „ანბანთქებებსა“ და *„სატრფიალონში“* ერთგან ჩაწერილ ქართულ ასოებს. შევჩერდებით ამ უკანასკნელზე, რადგან მაია არ იცნობს ამ საკითხზე გამოქვეყნებულ ერთ საგანგებო ნაშრომს.

ჩემს წიგნში *„ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო“* დაწვრილებით განვიხილავ *„სატრფიალონში“* 140–141 სტროფებს შორის ერთ სტრიქონად ჩაწერილ ქართული ანბანის თავისებურ რიგს, რომელსაც ახლავს ერთი სიტყვა *„სიავესა“* (გვ. 410–411):

---

[7] ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 87.

„ძოწ ტურფით ხჩ გჯკებნ ქცლლდს ჟამზჰც კი შჭყპ სიავესა“.

ვაჩვენე, ხელნაწერებში რა ცნობები მოიპოვება ამ ასოთა რიგის შესახებ და გამოვთქვი ვარაუდი: „ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს თ ა ვ ი ს ე ბ ურ ა მ ო ს ა ც ნ ო ბ ანბანთქმასთან, რომლის გაშიფვრა საგანგებო კვლევას მოითხოვს. კერძოდ, დასაძებნი და შესასწავლია ანალოგიური ტიპის ანბანთქმები სხვა ერების, განსაკუთრებით კი სპარსულ და რუსულ ჰოეზიაში“ (გვ. 411).

მაია იზიარებს ჩემს შეხედულებას, რომ ანბანის ეს რიგი თავისებური ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა ა და მას სხვა ფორმალისტურ ლექსებთან ერთად ბაროკოს ნიმუშად მიიჩნევს: „ნიშანდობლივია, რომ ამგვარ არაორდინალურ მოვლენებს ქართული ლიტერატურათმცოდნეობა ტრადიციულად ჰირველ რიგში სპარსული ჰოეზიის გავლენას უკავშირებს, მაგრამ არასოდეს არ დასმულა კითხვა იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რატომ, რა მიზნით უნდა მიემართა ვახტანგს მისთვის: უველაზე მარტივი ახსნა ისაა, რომ ამგვარი მოვლენა ვახტანგის ეჰოქის ქართულ ჰოეზიაში მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური ძიებებითაა გამოწვეული; შესაბამისი მასალები განიხილება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე და არა ერთმანეთთან კავშირში, როგორც გარკვეული ლიტერატურული მიმდინარეობის სტილური თავისებურება, რის გამოც მათი ლიტერატურათმცოდნეობითი ახსნა-განმარტება, როგორც გარკვეული ფაქტისა, არ არსებობს“ (გვ. 63).

ჩემს წიგნს გამოეხმაურა გივი მიქაძე, რომელმაც ანბანის ამ რიგს საგანგებო ნაშრომი უძღვნა და მისი საყურადღებო ახსნა მოგვცა. პირველად იგი წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის საკოორდინაციო საბჭოს, შალვა ნუცუბიძის სახელობის თბილისის დამოუკიდებელი ინსტიტუტის, *„გეორგიკისა“*, და *„ვეფხისტყაოსნის საზოგადოების“* მიერ გამართულ სამეცნიერო

კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა 1996 წლის 3–4 ივნისს (თეზისები, გვ. 17–18)[8]. მოხსენება სრულად გამოქვეყნდა ქართველ ენათმეცნიერთა ყოველთვიურ გაზეთში *„სიტყუად“* (1998, № 6, გვ. 7). სტატიას ჰქვია: „ვახტანგ VI-ის ერთი ტაეპის გაგებისათვის“. ბატონი გივი გადაჭრით ამბობს: „ვახტანგის «ტაეპი» ანბანთქება არ არის“. იგი „სასწავლო-პრაქტიკული დანიშნულების ანბანთა რიგის დასამახსოვრებელი“ ანბანია, რომელიც ძველად გავრცელებული იყო. სახელდობრ: „დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ძველთაგანვე ადგენდნენ ანბანების, «დედა ენის» წიგნებს, რომლებშიც შეჰქონდათ ცნობები მშობლიური და ლათინური ანბანების შესახებ. მას ეწოდებოდა **აბეცედარი** (გვიანლათინური abecedarium)“. სახელწოდება წარმოდგება ლათინური ანბანის პირველი ოთხი ასოსაგან: **ა, ბე, ცე, დე**“.

ბატონი გივი იმასაც მიუთითებს, რომ 1770 წელს რომში **ფრანცისკ მარია მაჯოს** გამოცემულ პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნში „ქართული ანბანის ზეპირად დასასწავლად მაჯოს ასოთა რიგი გაულექსავს“, რაც ლათინური ასოებითაა წარმოდგენილი, შემდეგ ნუსხურად, ბოლოს – მთავრულად:

„აბაგა, დევეზეი, თიკლიმ, ნიოპ, ჟოროსო, ტუფუ, ქულუყ, შორიცო, ძეწი, ჭახ, კაჯაჰა, ჰოე“.

გ. მიქაძე არ შიფრავს ვახტანგის „სტრიქონს“ და წერს: „როგორც ირკვევა“, ასეაო. ამიტომ დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ეს ახსნა უეჭველია-მეთქი, მაგრამ ის კი უთუოდ მართალია, რომ იგი *„ანბანთქება“*, როგორც ასეთი, ნამდვილად არ არის, თუნდაც – *„თავისებური“*. კაცმა რომ თქვას, მეც არ მინდოდა, მისთვის „ანბანთქება“ მეწოდებინა, მაგრამ, რადგან გალექსვის ნიშნები ჩანდა, უკეთეს სიტყვას ვერ მივაგენი.

ასეა თუ ისე, არც გ. მიქაძისეული ახსნა უჭერს მხარს, აღნიშნული ანბანი ბაროკოს სპეციფიკურ გამოხატულებად

[8] თუმცა მუშაობის გეგმასა და თეზისებს აწერია „23–24“ მაისი.

მივიღოთ. ბატონი გივი გადაჭრით ამბობს: ეს „დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ძველთაგანვე“ იყოო.

7. არსებითად ამგვარივე პრაქტიკული სასწავლო დანიშნულებისაა ვახტანგის გალექსილი **ციფრები**, რომელსაც „*ათცხრამეტური*“ დავარქვი. იგი პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილებაში დაცულ ყუთში სხვა ჩაყრილ ქაღალდებთან ცალკე ფურცელზე ვახტანგის ხელით ნაწერი ვიპოვე. დავადგინე და გავშიფრე, რომ იგი ეკუთვნის ვახტანგს და კალენდარული დანიშნულებისაა, — არის ე. წ. „ხელთა“. მასში ადვილად დამახსოვრების მიზნით ჩამოთვლილი და გალექსილია ციფრები, თუ მთვარის მოქცევის 19-წლიან ციკლში გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ რომელ თვესა და რიცხვშია პირველი სავსე მთვარე. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებლური აღდგომის გამოსაანგარიშებლად — აღდგომა მომდევნო კვირა დღესაა. ამავე ფურცელზე მოთავსებულია ვახტანგის ხელით შესრულებული მთვარისა და მზის მოქცევათა ცხრილები და ხელის გულის ნახატი, რომელზედაც განლაგებულია „ლექსში“ ჩამოთვლილი პირველი მთვარის თვე და რიცხვები[9].

მაია მიიჩნევს, რომ ვახტანგის ეს ნამუშევარი ბაროკოა, სადაც „ლექსისა და დეკორატიული ხელოვნების შერწყმა“ ხდება. იგი ასე მსჯელობს: „ათცხრამეტურის“ „ეს განსაკუთრებული სახე თავისებურ პარალელს პოულობს სხვა ქვეყნებში განვითარებული ბაროკოს ისეთ გამოვლინებასთან, როგორიცაა ამა თუ იმ თხზულების გარეგნული კომპოზიციური მხარე, რომელიც მხედველობითი აღქმის ელემენტს შეიცავს და დეკორატიული გაფორმებით იქცევს ყურადღებას. პარალელად შეიძლება დავასახელოთ სიმეონ პოლოცკის ერთი თხზულება, რომელსაც Орел Росиский ეწოდება და ემბლემატური პანეგირიკის ნიმუშია, რომელიც ხოტბას

[9] ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა, გვ. 223–239.

ასხამს რუსულ აბსოლუტიზმს. იგი ლექსის და დეკორატიული ხელოვნების შერწყმის თვალსაჩინო ნიმუშია, რომელზეც მზის ფონზე დახატულია რუსული ორთავიანი სამეფო არწივი რეგალიებით – ერთ ჭანგში სკიპტრა უჭირავს, მეორეში – მახვილი. აქ ბევრი სხვა ემბლემატური ჩანახატიცაა, რომლებიც ოდის შინაარსის გახსნას ემსახურებიან, ჩაწერილია ლექსები სხვადასხვა ფიგურების სახით, არის კრიპტოგრამაც და დაშიფრული ლექსებიც, ხოლო ზოდიაქოს განმმარტებელ ეპიგრამულ ციკლს მოსდევს ლექსი, რომელიც გრაფიკულად გულის სახითაა წარმოდგენილი, რომელშიც კარის ჰოეტი მეფის ოჯახს თავის კეთილ სურვილებს უძღვნის (მითითებულია ბლინინის ნაშრომი. — **ბ. დ.**). ჰოეზიისა და გრაფიკის ეს შერწყმა თავისი ზოგადი სახით ერთნაირია როგორც ვახტანგის, ასევე ჰოლოცკის ნაწარმოებში და ბაროკოს მხატვრულ-დეკორატიული ბუნების გამოვლენას წარმოადგენს, რომელმაც ვახტანგის შემოქმედებაში თავისთავად იჩინა თავი" (გვ. 65).

სინამდვილეში ვახტანგის „ლექსი" **გასაშიფრავი**, ხოლო ცხრილები და ნახატი **დეკორატიული ხასიათისა** არ არის. ცხრილებსაც ისეთივე პრაქტიკული დანიშნულება აქვს, როგორც ლექსს. უფრო ზუსტად, იგი საყოველთაოდ მიღებული კალენდარია, რომელიც „ლექსში" გარითმულადაა წარმოდგენილი.

ვახტანგის ეს ნამუშევარი ისევე არ შეიძლება რომელიმე, მეტადრე ბაროკოს, ლიტერატურული მიმდინარეობის გამოხატულებად მივიჩნიოთ, როგორც აკაკი შანიძის მიერ გალექსილი ქართული ანბანი:

„აბგად, ევზჱით, იკალ, მანო,
პაჟა, რასტა, უფქა, ღაყაშ,
ჩაცა, ძაწა, ჭახა, ჯაჰა"[10].

[10] ა. შ ა ნ ი ძ ე, თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბ., 1980, გვ. 2.

8. მ. ნაჭყებიას მთელი ეს სტატია – ვახტანგის ნაწარმოებთა თითოეული საკითხის ისტორია, წყაროები, მასალები – მთლიანად ჩემს გამოკვლევაზეა დაფუძნებული, მას ეყრდნობა და იმას იქით არ მიდის. ერთადერთი, რაც შემოაქვს, ესაა კ. კეკელიძის მიერ 1940 წელს ქართულ და რუსულ ენებზე შედგენილი *„ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის“* გეგმის პროექტი[11], რომელსაც ის იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ მის გამოუყენებლობას ნაკლად გვითვლის. წერს: „...ძველ ქართულ ლიტერატურაში სუფიზმის გავლენის შესახებ იდეის დამუშავებას კორნელი კეკელიძის ნაშრომში მეტად ვიწრო დროით ლოკალში აქცევს, რისთვისაც უნდა დავიმოწმოთ მისი ორი ნაშრომი[12], რომელთათვის სუფიზმთან დაკავშირებით მსჯელობისას არავის მიუქცევია ყურადღება“ (გვ. 43). ბოლოს: ბ. დარჩიას „ვახტანგ მეექვსის ჰოეტური სამყაროსადმი მიძღვნილ ნაშრომში ეს (სუფიზმის. – ბ. დ.) საკითხი ვრცლადაა განხილული (ოღონდ არაა გათვალისწინებული კორნელი კეკელიძის ზემოდასახელებული ორი ჰროექტი)“ (გვ. 46).

რა სიახლესა და მნიშვნელოვანს იძლევა ეს პროექტი?

მაია საქმეს ისე წარმოგვიდგენს, ვითომც ამ პროექტში კ. კეკელიძე XVI–XVIII საუკუნეთა ძველი ქართველი მწერლების ევროპეიზმთან ყოველ მხრივ კავშირზე მიგვანიშნებდეს, ანუ ბაროკოსაკენ მიგვახედებდეს. მისი სიტყვებია: „საყურადღებოა ის, რომ ჰირველი ჰერიოდი (საუბარია ქართული ლიტერატურის კ. კეკელიძისეულ პერიოდიზაციაზე. – ბ. დ.) «ფორმირების ხანა» – IV–X საუკუნეებს მოიცავს, ხოლო ბოლო, მეოთხე ჰერიოდს, XIX, XX საუკუნეებს, ავტორი

---

[11] კორნელი კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIII, ტომი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანეიშვილმა, თბ., 1974, გვ. 244–259.

[12] სინამდვილეში ის ერთი ნაშრომია, ორ ენაზე დაწერილი.

უწოდებს «ევროპულ ხანას», მაგრამ ეს ქვეთავი მხოლოდ დასათაურებით არის წარმოდგენილი. ჩვენთვის საინ-ტერესო საკითხი შეტანილია «მესამე პერიოდში», რომლის ფარგლები XVI-XVIII საუკუნეებია და «აღორძინების ხანა» ეწოდება. მისი ზოგადი დახასიათება, წარმოდგენილი გეგმის დასაწყისში, ასეთია: «ქართული კულტურის ზრდის შეჩერება XII-XV საუკუნეებში მონღოლთა მიზეზით. გაბატონება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისტიკურ-ჰესიმისტური და ესქატალოგიური სულისკვეთებისა. ნიშნები კულტურული გამოღვიძებისა XVI-XVII საუკუნეებში: რენესანსი მეთვრამეტე საუკუნისა და მისი მიზეზები. ქართული რენესანსის განსხვავება ევროპულისაგან». საერთოდ, სიმპტომატურია, რომ ევროპა ამ ნაწილში სხვადასხვა კონტექსტში იხსენიება: მაგალითად, პირველ ქვეთავში «პოლიტიკური პრობლემები»: «პრობლემა პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ორიენტაციისა. ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ორიენტაცია ევროპაზე». ამავე ქვეთავის მესამე მუხლში: «პოლიტიკური რეფორმების საკითხი. ორი მიმართულება ამ საკითხში: სპარსოფილური (როსტომ მეფე) და ევროპული. საზოგადოების პროგრესული ნაწილის სიმპატიები ევროპეიზმისადმი». IV ქვეთავში: ზოგადი კულტურული და ფილოსოფიური პრობლემები: «ორი კულტურული ნაკადი ეპოქისა: აღმოსავლური და დასავლური - ირანული და დასავლური - რუსულ-ევროპული». ასევე: «სწავლა-აღზრდისა და სასკოლო განათლების პრობლემები სწავლა-განათლებისა და ევროპული უნივერსიტეტის პროექტი იოანე ბატონიშვილისა»; «თანდათანობით გადასვლა ძველი ფილოსოფიიდან ახალზე ევროპულზე; დასავლეთიდან შემოსული ფილოსოფიური შეხედულებანი საფრანგეთის განმანათლებლობისა»; «რუსეთის მეშვეობით ევროპის ფილოსოფიურ-საგანმანათლებლო შეხედულებათა შემოტანის საქმე»" (გვ. 44).

ამ გეგმა-პროექტზე, ევროპისადმი მის მიმართებაზე მაია ნაჭყებიას შეხედულება, მიუხედავად მისი სივრცელისა, მაინც

სრულად დავიმოწმე, მაგრამ მის განხილვას არ ვაპირებ იმის გამო, რომ მასში ახალი, განსხვავებული არაფერია. საკმარისია, ვთქვათ: ამ გეგმა-პროექტით არის აგებული ბატონი კორნელის *„ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“* ორტომეული, სადაც სწორად არის აღნიშნული ის საერთო, რაც ქართულ ლიტერატურას ევროპულთან აქვს, მაგრამ ვერსად ნახავთ მასში (ისე როგორც ამ გეგმა-პროექტში), ვახტანგ მეექვსის პოეზიას ის ევროპეიზმს, მეტადრე ბაროკოს, რაიმეთი უკავშირებდეს.

ეს გეგმა-პროექტი არც იმ მხრივაა მნიშვნელოვანი, რომ იგი თითქოს „ძველ ქართულ ლიტერატურაში სუფიზმის გავლენის შესახებ იდეის დამუშავებას კორნელი კეკელიძის ნაშრომში მეტად ვიწრო დროით ლოკალში“ წარმოგვიდგენდეს, განსაზღვრავდეს.

მაიას ჰგონია: კ. კეკელიძე ვახტანგის ნააზრევში სუფიზმს ხედავდა მხოლოდ 1936–1940 წლებში, საქართველოში ნიზამის დაბადების 800 წლითავის იუბილეს ზეიმისადმი მიძღვნილი ნაშრომის დაწერიდან აღნიშნული გეგმა-პროექტის შედგენის ჩათვლით. წერს: „...მასალა, სადაც კორნელი კეკელიძე სუფიზმს ახსენებს: იგი 1936–1940 წლების ვადით არის განსაზღვრული. ის გარემოება, რომ *«ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის»* შემდგომ გამოცემებში ვახტანგ მეექვსის ჰოეზიის განხილვისას მკვლევარი სუფიზმს საერთოდ არ ახსენებს, თავისთავად მრავალისმთქმელია. ჩანს, 1936–1940 წლებში სჰარსული სუფიზმის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას იგი დასაბუთებულად არ თვლიდა და ამიტომაც აუარა გვერდი. (...) ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ კორნელი კეკელიძის მიერ ვახტანგის ჰოეზიის ერთი ნაკადის სუფიზმთან დაკავშირება მხოლოდ და მხოლოდ ეპიზოდური მოვლენაა და მკვლევარის შემდგომ ნაშრომში მას არც განვითარება, დაზუსტება და დასაბუთება არ მიუღია. თავისთავად საინტერესოა, რამ წარმოშვა მკვლევარის მოღვაწეობის ამ ერთ პერიოდში, რომელიც ოთხი წლით განისაზღვრება, სჰარსული სუ-

ფიზმის გავლენის თეორია. ათვლის წერტილი რომ ნიზამი განჯელის იუბილეა, ეს ცხადია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ კეკელიძემ ეს მოსაზრება ისეთ ნაშრომებში არ შეიტანა, როგორიცაა ქართული ფილოსოფიის ისტორიის გეგმის პროექტები. მთელი მისი ხანგრძლივი შემდეგდროინდელი მოღვაწეობა ცხადყოფს, რომ ეს საკითხი სუფიზმისა მას შემდგომ არა თუ გაუღრმავებია, არამედ, პირიქით, აღარც უხსენებია“ (გვ. 45).

აქ გამოთქმული ყველა მოსაზრება უსწოროა და მიუღებელი.

დავიწყოთ იმით, კ. კეკელიძე თავის გეგმა-პროექტში ეხება თუ არა სუფიზმს. წინა გვერდზე მაია სხვას წერს და სწორად აღნიშნავს: „...1940 წელს კორნელი კეკელიძემ შეადგინა გეგმის პროექტი ქართული ფილოსოფიის ისტორიისათვის: «История грузинской философии». ამ ნაშრომში მესამე ქვეთავი არსებითად ემთხვევა ქართულ ენაზე შედგენილ პროექტს პერიოდიზაციის თვალსაზრისით, ხოლო, რაც შეეხება სუფიზმს, უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი, ვიდრე პროექტში «ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესახებ»“. და მთლიანად მოჰყავს როგორც ქართული, ისე რუსული ტექსტები (გვ. 44–45).

მაია ქართულ ტექსტს (ეტიუდები, გვ. 252) იმოწმებს და წერს: „ქვეთავის მეხუთე პუნქტში შეტანილია საკითხი ჩვენთვის საინტერესო სუფიზმისა ამგვარ კონტექსტში: «5. *წუთისოფლის პრობლემა ლიტერატურაში. უარეოფითი შეხედულება წუთისოფელზე და აქედან წარმომდგარი პესიმიზმი, ფიედიზმი, მისტიციზმი და პესიმიზმი ცხოვრებასა და ლიტერატურაში. საეკლესიო მწერლობის აღიარება. რელიგიურ პატრიოტული აღმაფრენა პოეზიისა, როგორც ანარეკლი სპარსული სუფიზმისა*»“ (გვ. 44).

რუსული ვარიანტის შესახებ კი აღნიშნავს: „ამ ნაშრომში მესამე ქვეთავი არსებითად ემთხვევა ქართულ ენაზე შედგენილ პროექტს პერიოდიზაციის თვალსაზრისით, ხოლო რაც შეეხება სუფიზმს, უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი, ვიდრე (ქართულ – ბ. დ.) პროექტში. (...) აქ სუფიზმის შესახებ მოსაზრება ასეა ჩამოყალიბებული: «Суфизм. Отражение суфизма в творчестве поэтов Теймураза I, Арчила, **Вахтанга VI**, Мамуки Бараташвили, Давида Гурамишвили»“ (გვ. 44–45; ეტიუდები, გვ. 258).

დიახ, მაიას წიგნის ამ გვერდზე ყველაფერი ასე სწორად და ლამაზად არის აღნიშნული, მაგრამ იგი იმდენად არის მონდომებული და გატაცებული, რომ ვახტანგ მეექვსის პოეზია ევროპეიზმს, ბაროკოს, დაუკავშირდეს, კ. კეკელიძისა და თავისი ნათქვამიც ავიწყდება და რამდენიმე სტრიქონის შემდეგ გვეუბნება: კ. კეკელიძემ სუფიზმის შესახებ თავისი „მოსაზრება ისეთ ნაშრომებში არ შეიტანა, როგორიცაა (...) პროექტები“-ო.

უფრო მეტიც: კ. კეკელიძეს ვახტანგის ნააზრევი სუფიურად მიჩნეული აქვს არა მარტო 1936–1940 წლებში, არამედ 1945 წელსაც. ნიზამის იუბილეს დროს დაწერილი ჩვენთვის საინტერესო სტატია „Отражение восточного суфизма в древе-грузинской поэзии“ სწორედ კ. კეკელიძემ და არა სხვა ვინმემ შეიტანა 1945 წელს გამოცემულ თავის წიგნში: „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, II (გვ.281–286).

ეს უკანასკნელი მე ხომ გარკვევით, ნათლად და სრულადაც წარმოდგენილი მაქვს ჩემს წიგნში *„ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო“* (გვ. 242–248).

ჩვენ დანამდვილებითა და ზუსტად არ ვიცით, კ. კეკელიძემ 1945 წლის შემდეგ შეიცვალა თუ არა შეხედულება. ამის დამადასტურებლად არ გამოდგება მაიას მოხმობილი საბუთი, რომ კ. კეკელიძის თეორიას „შემდგომ ნაშრომში არც განვითარება, დაზუსტება და დასაბუთება არ მიუღია“. უნდა ვიცოდეთ, სულ მალე, 1948–1949 წლებში, კ. კეკელიძემ *კოს-*

მოპოლიტიზმის, ანტიპატრიოტიზმის, უცხოურის წინაშე ქედის მოხრისა და ლიტერატურული გავლენების გაზვიადების წინააღმდეგ ჩატარებული კამპანიის დროს რა მეხთატეხა განიცადა. ამის შემდეგ სხვა მრავალ მიზეზთან ერთად ისედაც დაშინებული ბატონი კორნელი ქართული მწერლობის სუფისტურად ახსნას კვლავ გაბედავდა?

კ. კეკელიძის თეორიას „განვითარება, დაზუსტება და დასაბუთება არ მიუღია“ არც მისი ქართული ლიტერატურის ისტორიის 1942 წლის ორტომეულის გამოცემაში, მაგრამ სამი წლის შემდეგ სუფიზმის შესახებ თავის ნაშრომს „ეტიუდების“ მეორე ტომში უყოყმანოდ, უშენიშვნოდ ბეჭდავს.

ასე რომ, კ. კეკელიძის მიერ შედგენილი გეგმა-პროექტი ახალსა და განსხვავებულს არაფერს იძლევა. იგი არ გამომრჩენია, მაგრამ რისთვის უნდა დამესახელებინა, როცა 1945 წელს დაბეჭდილ ნაშრომში კ. კეკელიძე თავად გვამცნობდა, რომ იგი დაწერა ნიზამი განჯელის 800 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით.

9. მ. ნაჭყებიას ნაშრომს ახლავს სხვა, აზრობრივი და გამოხატვითი უზუსტობანი.

სტატია იწყება სიტყვებით: „ბაროკო, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის იმ განსაკუთრებულ აღქმაში გამოვლინდა, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში «მისტიკურ-ალეგორიული სიყვარულის» სახელით დამკვიდრდა (კეკელიძე 1945: 283-285; ბარამიძე 1940: 449; მენაბდე1966: 115)“ (გვ. 40).

ვინც ამას წაიკითხავს, ლიტერატურა ისე ცუდად არის მითითებული, ეგონება, ამ ავტორებს ეკუთვნით ვახტანგის პოეზიაში არა „მისტიკურ-ალეგორიული სიყვარულის“ წარმოჩენა, არამედ ბაროკოს „აღქმაში“ მისი გამოვლინება.

მაია ეხება საკითხს: ქართულ ლიტერატურაში სუფიზმის შემოსვლა რით იყო განპირობებული და ასახელებს ო რ პ ი რ ო ბ ა ს, რომელთაგან ე რ თ ი, თურმე, კ. კეკელიძეს დაუსახელებია, ხოლო მ ე ო რ ე — მე, ბორის დარჩიას: „რას უნდა გამოეწვია ქრისტიანული აღმსარებლობის ბურჯად მიჩნე-ულ

საქართველოში მისთვის უცხო მუსლიმური მოვლენის გადმოღება? ამას მკვლევარი (კ. კეკელიძე. — ბ. დ.) XVI–XVIII საუკუნეების საქართველოს ჰოლიტიკური და სოციალური მიზეზებით განმარტავს. (...) ბორის დარჩია საგანგებოდ შეეხო ამ საკითხს თავის გამოკვლევაში «ვახტანგ მეექვსის ჰოეტური სამყარო», რომელშიც აღნიშნა ის მ ე ო რ ე ჰ ი რ ო ბ ა ც, რასაც აღნიშნულ ეჰოქაში სუფიზმის შემოჭრა-დამკვიდრებისათვის უნდა შეეწყო ხელი: მ ე ო რ ე ჰ ი რ ო ბ ა დ დასახელებულია «სუფიური სიყვარულის სიახლოვე ქრისტიანობასთან და, ამდენად, ქართულ სინამდვილესთან»“ (გვ. 41).

აქ საკითხის ისტორია ჩემი წიგნიდან არის ამოღებული და, როგორც სხვა ადგილასაცაა, ცუდად არის ამოგლეჯილი. რა თქმა უნდა, მე და არც კ. კეკელიძეს არ შეიძლება გვეკუთვნოდეს შეხედულება სუფიზმის ქრისტიანობასთან კავშირის შესახებ. საუბარია მხოლოდ ვახტანგ მეექვსის სუფიზმთან კავშირზე და ო რ ი ვ ე შ ე ხ ე დ ულ ე ბ ა ბ ა ტ ო ნ კ ო რ ნ ე ლ ი ს ე კ უ თ ვ ნ ი ს. ჩემს წიგნში მიწერია: „კ. კეკელიძეს არც აქ („ეტიუდების“ მეორე წიგნში. — ბ. დ.) და არც სხვაგან (ვახტანგის. — ბ. დ.) ხსენებულ თხზულებათა სუფიური ხასიათის დასაბუთება არ მოუცია. აღნიშნული აქვს მხოლოდ ო რ ი ჰ ი რ ო ბ ა, რასაც უნდა გამოეწვია სუფიური სიყვარულის შემოსვლა ჩვენს მწერლობაში. ე რ თ ი ა აღმოსავლეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირი (მომყავს „ეტიუდების“ მეორე წიგნიდან კ. კეკელიძის სიტყვების ერთი ნაწილი. — ბ. დ.). ავტორი თვლის, რომ გვიანი ფეოდალიზმის ეჰოქაში ჩვენში გარკვეული ნიადაგი იყო მომზადებული სუფიური მისტიკური ესთეტიკის კიდევ უფრო ფეხმოკიდებისა და აღორძინებისათვის (აქ ვიმოწმებ კ. კეკელიძის სიტყვების მეორე ნაწილს იმავე „ეტიუდებიდან“. — ბ. დ.). მ ე ო რ ე ჰ ი რ ო ბ ა დ დასახელებულია სუფიური სიყვარულის სიახლოვე ქრისტიანობასთან და,

ამდენად, ქართულ სინამდვილესთან (აქ უკვე „ეტიუდებიდან“ კიდევ ერთ სათანადო ამონაწერს ვიმოწმებ. – ბ. დ.)“[13].

10. როგორც ვხედავთ, ის საერთო, რომელსაც მ. ნაჭყებია ბაროკოსა და ვახტანგის შემოქმედებას შორის ხედავს, სპეციფიკური არ არის. არც ერთმანეთთან ორგანული კავშირი აქვთ. ვახტანგი ქართული მწერლობის მაგისტრალურ ხაზს მიჰყვება და ავითარებს. ავითარებს და ამრავალფეროვნებს როგორც თვით ძველი ქართული მწერლობის თემატიკურ და ვერსიფიკაციულ თავისებურებათა გაცოცხლება-განახლებით, ისე უცხოური, ძირითადად სპარსული ლიტერატურის საინტერესო ფორმების გადმოღებითა და დანერგვით. განხილული მასალებიდან ბევრ შემთხვევაში ჩანს, რომ ევროპელ მწერლებსა და ვახტანგს საერთო წყარო აქვთ და ტიპოლოგიური მსგავსებაც ამითაა გამოწვეული. მაგრამ ისე სპეციფიკური არ ჩანს, ჩვენს ლიტერატურას, სახელდობრ ვახტანგის პოეზიას, ევროპული სახელი დავარქვათ.

მ. ნაჭყებია თვითონვე წერს: „ბაროკოს ლიტერატურას ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდა. მაგალითად, ინგლისში ეს იყო **ეფუიზმი**, ანუ მეტაფიზიკური პოეზია, საფრანგეთში – **პრეციზული** ლიტერატურა, ესპანეთში – **კულტერანიზმი** და **გონგორიზმი**, იტალიაში – **მარინიზმი** და სხვა“ (გვ. 4–5).

ახლა ჩვენს ენაში გამალებულად, კისრისტეხით მიმდინარეობს ინგლისური სიტყვებისა და გამოთქმების შემოტანა და გაბატონება იმ შემთხვევებშიაც კი, როცა ამისი საჭიროება არ არის. განა სახელის შეცვლით საგანი იცვლება? ჩემს ბავშვობაში გარკვეული სახეობის თბილ ნაქსოვ პერანგს „ფუფაიკა“ ეწოდებოდა, ახლა „როლინგსტონი“ ჰქვია!

კორნელი კეკელიძემ XVI–XVIII საუკუნეთა ქართულ ლიტერატურას ჩვენი სინამდვილის შესაბამისი სახელი შეურჩია – **ალორძინება**, მაგრამ, ვინმეს ის ევროპული **რენესანსის**

[13] ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო, გვ. 243–244.

გამომხატველ ტერმინად რომ არ მიეღო, **ეგრეთწოდებული აღორძინების ხანის ლიტერატურა** უწოდა.

მას შესაცვლელი არაფერი სჭირს!

ეგრეთ წოდებული „აბდულმესიანი“ და სირაქლემობა[1]

ყოველგვარი მოგონილი თავმდაბლობის გარეშე უნდა განვაცხადო: ვინც ძველი ქართული მწერლობის კვლევა-ძიებას თვალყურს ადევნებს და ჩემს მეცნიერულ საქმიანობას იცნობს, მოეხსენება, რომ ბედმა მარგუნა, გადამეჭრა თითქმის ორსაუკუნოვანი თავსატეხი – ე. წ. „*აბდულმესიანის*“ პრობლემა. გავარკვიე: „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში ნახსენები „*შავთელის აბდულმესია*“ დაკარგულია, ხოლო ის სახოტბო თხზულება, რომელიც 1822 წელს დავით რექტორის მცდარი ვარაუდის შედეგად XII–XIII საუკუნეთა მიჯნის სასულიერო პირისა და ჰიმნოგრაფის, იოანე შავთელის, „აბდულმესიანად“ იქნა მიჩნეული და შემდეგ საყოველთაოდ მიღებულ-გავრცელებული, სინამდვილეში ეკუთვნის XVII საუკუნის საელესიო მოღვაწესა და პოეტს, შემოქმედის მიტროპოლიტს, იაკობ შემოქმედელსამებელს, გვარად დუმბაძეს; რომ ეს თხზულება არის არა თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა, არამედ მიძღვნილია იაკობის თანამედროვე მეფე-პოეტის **არჩილ მეორისადმი**, ჰქვია „*ქება მეფისა არჩილისა*“ და შეიცავს მისა და, საერთოდ, ქრისტიანობისა და ქრისტიანობისათვის თავდადებულ მეფეთა ქება-დიდებას; რომ იგი დაწერილია ჩახრუხაძის „თამარიანის“ შთაგონებით, მის თემატიკურ და პოეტიკურ თავისებურებათა აღდგენა-დანერგვის მიზნით. ამგვარივეა თვით არჩილის ნაწარმოები „*მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი*“. ეს არის

---

[1] იბეჭდება პირველად. მკითხველს ახსნა არ დასჭირდება, მაგრამ მაინც ვიტყვი: გადმოცემით, როცა სირაქლემა საფრთხეს წააწყდება და სხვა გამოსავალს ვერ ხედავს, თავს ფრთის ქვეშ ამოიდებს და უბედურებას თვალს ასე არიდებს.

ქართული ლექსის განახლება-გამრავალფეროვნებისათვის თავდადებული ბრძოლის ერთ-ერთი ნიმუში. ამ მხრივ იღვწოდნენ ადრეც, მერე თვით **არჩილი**, „ნარგიზოვანის“ ავტორი (**გარსევან ჩოლოყაშვილი**?), **სულხან-საბა ორბელიანი**, **ვახტანგ მეექვსე**, **მამუკა ბარათაშვილი**, **დავით გურამიშვილი**, **ბესიკი** და შემდგომ კიდევ სხვები.

ეს ნაშრომი სხვადასხვა დროს, დაწყებული გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან 2000 წლის ბოლომდე, სტატიების სახით ჟურნალ-გაზეთებსა და კრებულებში თითქმის მთლიანად დავბეჭდე, ხოლო წიგნად („*იაკობ შემოქმედელი*“) 2009 წლის ზაფხულში გამოვეცი (576 გვ.). მან 2010 წელს კონკურსის წესით *სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემია* დაიმსახურა.

ამ ნაშრომის მითვისება მოინდომა ჩემმა უახლოესმა „მეგობარმა“ **აკაკი ხინთიბიძემ** და, რომ არ დავუთმე, მისი **ძმის**, ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევრის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ძლევამოსილი **ელგუჯა ხინთიბიძის** ძალისხმევით ბევრი უსიამოვნება შემხვდა, — სამსახურიდან, ლიტერატურის ინსტიტუტიდან, გამაძევეს. ამის შესახებ ვრცლად და ნათლად მაქვს მოთხრობილი ჩემს წიგნში „*იაკობ შემოქმედელი*“ და სხვაგანაც.

მას შემდეგ ამ დაჯგუფების მიერ მუდმივ დევნას განვიცდი. ამ დევნის ერთ-ერთი გამოვლინება ის გახლავთ, რომ ყოველნაირად ცდილობენ, ეს ნაშრომი გააუფასურონ. ერთ-ერთ მეთოდად იყენებენ: ვითომცდა ყურადღების ღირსი არ იყოს, მას არც ასახელებენ. ამას უპირველესად მხარს უბამენ ისინი, რომელთაც სათანადო ნიჭი და უნარი არა აქვთ, პრობლემაში თავად გაერკვნენ. აღიარება უჭირთ იმათაც, რომელნიც თავიანთ ადრინდელ ნაშრომებში ძველ შეხედულებას იმეორებდნენ, ქადაგებდნენ და ამა თუ იმ საკითხს ამისდა მიხედვით განსაზღვრავდნენ. ამ დუმილის შედეგია ისიც, რომ ლიტერატორთა ფართო წრემ ამ ნაშრომის შესახებ არაფერი იცის, არც გაუგონია.

ვინც ძველი ქართული ლიტერატურის დარგში არ მუშაობს, მისთვის ამის არცოდნა არცოდვაა. მაგალითად: **მერაბ გეგია** განიხილავს **სერგი კაკალაშვილის** მშვენიერ ლექსებს და ერთგან მის შინაგან რითმებს შავთელურად მოიხსენიებს. წერს: „*«ნოემბერი–ნოემ ბერი, მოვარდება–მოვარდისფრო»*, ეს შინაგანი რითმებია, შ ა ვ თ ე ლ უ რ ი წყობილსიტყვაობის კიდევ ერთი ნაირსახეობა“[2]. ამ კარგი და საქმიანი სტატიის ავტორმა, ბატონმა მერაბმა, არ იცის, რომ „შავთელური“ გაუგებრობის ნიადაგზე 1926 წელს შექმნილი ტერმინია. მანამდე იგი არსად ჭაჭანებს (ამაზე „იაკობ შემოქმედელში“ საგანგებო მსჯელობა მაქვს). უნდა ეთქვა – „ჩახრუხაული“.

სულ სხვა ამბავია, როცა ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი ამგვარად იქცევა. მას ან სინამდვილის გაგების ნიჭი და უნარი არ მოსდგამს, ან სინდის-ნამუსის ნაკლებობას განიცდის.

ამის სანიმუშოდ დავიმოწმებ **ელგუჯა ხინთიბიძისა** და **ნესტან სულავას** ნაშრომებს. მათ იმიტომ გამოვყოფ, რომ ორივეს ჩემს დევნაში ლომის წილი უდევს და ორივემ შესანიშნავად იცის, რა მიწერია იაკობის შესახებ და თავად რას სჩადიან.

ბატონი **ელგუჯა** ცუდი მკვლევარი ნამდვილად არ არის. მან თავისი ორი უთუოდ მნიშვნელოვანი რუსთველოლოგიური წიგნი გააერთიანა და 2009 წელს ერთ დიდ წიგნად გამოსცა – *„ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო“*. როგორც წინა წიგნებში, აქაც იგი იაკობ შემოქმედელის სახოტბო თხზულებას იოანე შავთელის *„აბდულმესიანად“* მიიჩნევს და მას XII–XIII საუკუნეთა საკითხების გადასაწყვეტად იყენებს.

ერთგან არისტოტელეზე მსჯელობისას წერს: „... საქართველოს XII საუკუნის მოწინავე ლიტერატურული აზროვნება სწორედ არისტოტელეს ავტორიტეტს აუენებს უველაზე მაღლა როგორც საერო, ასევე სასულიერო მოაზროვნეთა შორის (...).

---

[2] ჟურ. „ჩვენი მწერლობა“, 11 ნოემბერი, 2011, № 23, გვ. 48.

შავთელი თავისი ქების ობიექტს, თამარს, არისტოტელეს ადარებს; უფრო მეტიც, ერთგვარად არისტოტელესთან აიგივებს. მეხოტბე მას ჰერიპატოელი სკოლის მეუფეს უწოდებს (...). ჩახრუხაძე, «თამარიანის» ავტორი, კი არისტოტელეს გამოჰყოფს უველა, როგორც წარმართულ-საერო, ასევე ქრისტიანულ მოაზროვნეთაგან და აუენებს უველაზე მაღლა" (გვ. 432).

ამავე საკითხზე მეორე ადგილას ვკითხულობთ: „შავთელისა და ჩახრუხაძის ციტირებული შესედულებანი, ვფიქრობ, უცილობლად ადასტურებს, რომ თამარის სამეფო კარზე არისტოტელეს, როგორც მოაზროვნის, ავტორიტეტი ძალზე დიდი იყო (უურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ შავთელი და ჩახრუხაძე თამარის კარის მეხოტბენი არიან; ამდენად ისინი, საუარაუდოა, რომ გადმოსცემენ არა მხოლოდ საკუთარ აზრს, არამედ სამეფო კარზე საზოგადოდ გავრცელებულ აზრს)" (გვ. 704–705).

„ვეფხისტყაოსნის" სიტყვა *„მედგარზე"* საუბრისას, მისი შინაარსის დასადგენად ისევ „შავთელს" იშველიებს: „ამას გვაფიქრებინებს მისი (ამ სიტყვის – ბ. დ.) დამოწმება ე. წ. «აბდულმესიანში»". და იმოწმებს 75-ე სტროფს – *„დრო შემოიგდო, დროში მოიგდო..."* (გვ. 538).

ბოლოს, ეროვნული იდეის განხილვისას, აღნიშნავს: „იდეის ჰირდაჰირი განვითარებაა XII საუკუნის დასასრულის ქართულ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ აზროვნებაში ფორმირებული ე. წ. მესიანისტური კონცეფცია, რომელიც გამოვლენილია ქართველ მეხოტბეთა (ჩახრუხაძის «თამარიანი» და შავთელის «აბდულმესიანი»)" და თამარის ისტორიკოსთა თხზულებებში" (გვ. 697).

ყველა ეს მოსაზრება ბატონი ელგუჯას წინა ორ წიგნში ასევეა წარმოდგენილი. როგორც ვხედავთ, იგი აშკარად მცდარ და დამყაყებულ შეხედულებას ჩემი ნაშრომის შემდეგაც ვერ ელევა. თვალს ხუჭავს იმაზე, თუ ე. წ. *„აბდულმესიანსა"* და ჩახრუხაძის *„თამარიანს"* შორის რატომაა მსგავსება: იმიტომ,

რომ ისინი ერთი ეპოქის ძეგლებია თუ ერთი მეორის შთაგონებით, აშკარა და გარკვეული მიზანდასახულობითაა შექმნილი?!

თქმა არ უნდა, როცა ამოდენა საკითხებს ეჭიდები, განა მეცნიერული ზნეობა არ მოითხოვს, მკითხველი საქმის კურსში ჩააყენო და ის მაინც უთხრა, პატარა შენიშვნა გააკეთო, ამაზე ასეთი და ასეთი მოსაზრებაც არსებობს და არ ვიზიარებო. თუ აქ იმის ახსნის ადგილი არ არის, რატომ არ იზიარებ მას, რატომაა იგი თქვენთვის მიუღებელი, უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, საერთოდ, ქართული და, კერძოდ, ძველი ქართული ლიტერატურის დარგის საჭეთმპყობელი რომ ბრძანდები და „მეტრად“ მოგაქვს თავი, თუ არ გეშინია და საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ბრძანდები, განა ვალდებული არა ხარ, ამისთვის მოიცალო და საგანგებოდ განიხილო, საკუთარი მოსაზრება გამოთქვა ჩვენი ჰუმანიტარული მეცნიერების ისეთ ორსაუკუნოვან პრობლემაზე შექმნილ 600-გვერდიან ნაშრომზე, რომელშიც ე. წ. აბდულმესიანის რაობაა წარმოდგენილი?!

ვიმეორებთ, ამას არა მარტო მეცნიერული, არამედ ჩვეულებრივი ადამიანური ზნეობაც მოითხოვს; მაგრამ რა ზნეობასა და სინდის-ნამუსზე უნდა ელაპარაკო იმ კაცს, რომელმაც იმის გამო, რომ მის პლაგიატორ ძმას ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი ვერ მივართვი, ე. წ. სამეცნიერო რეფორმის დროს „ნასედკასავით“ შემომიგდო, დამიპირისპირა თავისი და, საერთოდ, ხინთიბიძეების მოსამსახურე, ელემენტარულ მეცნიერულ აზროვნებას მოკლებული მამალი პლაგიატორი **ნესტან სულავა**?! სინდისის ოდნავ ქენჯნას რად არ განიცდის, რომ მე ვირეშმაკულად სამსახურიდან გამაგდო, რომელიც, მიზერულ პენსიაზე მყოფი, მას შემდეგ ყოველწლიურად თითო სქელტანიან წიგნსა ვბეჭდავ. 2008-2012 წლებში ხუთი წიგნი უკვე გამოვეცი, მეექვსე წინამდებარეა. მისი პატრონობით კი ქალბატონი ნესტანი ორ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში უმაღლესი თანამდებობების მქონე ლექტორია. ყველაფერი ეს კონკრეტულად და ნათლად ნაჩვენები მაქვს ჩემს წიგნებში – „უვი-

ცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ (თბ., 2008), *„რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I“* (თბ., 2010) და *„იაკობ შემოქმედელშიც“*.

ახლა „აბდულმესიანის“ პრობლემისადმი თვით ამ ნესტან სულავას დამოკიდებულების შესახებ.

2012 წელს გამოვიდა მონუმენტური, დიდად მნიშვნელოვანი კრებული *„ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები“*[3].

აქ ნესტან სულავა ე. წ. „აბდულმესიანის“ რაობაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას ისე მიმოიხილავს, ვითომ რაიმე ახლს ამბობდეს და იგი თავმოყრილად და სრულად ჩემს წიგნში არ იყოს წარმოდგენილი. მისი დასკვნა ასეთია: „ჩვენ არ ვიცით, ამჟამად ე. წ. «აბდულმესიანის» სახელით ცნობილი სახოტბო ნაწარმოები ეკუთვნის თუ არა იოანე შავთელს, რადგან იგი არაა «აბდულმესიანი», იგი თამარისა და დავითის ქებაა. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ჰოემა იხსენიება ე. წ. «აბდულმესიანად» ან «თამარისა და დავითის ქებად». რაც შეეხება იოანე შავთელის «აბდულმესიანს», დღესდღეობით იგი დაკარგულად ითვლება“.

ორიოდე სტრიქონის შემდეგ ამასვე ამავე სიტყვებით იმეორებს: „«აბდულმესიანის» სახელით ცნობილი სახოტბო ნაწარმოები, ე. წ. «თამარისა და დავითის ქება» ეკუთვნის თუ არა იოანე შავთელს, გარკვეული არ არის, უწინარეს ყოვლისა, იგი არაა თამარისა და დავითის ქება. ამიტომ მისაღები ჩანს ელ. მეტრეველის მიერ ჰოემის მოხსენიება ე. წ. «აბდულმესიანად» ან «თამარისა და დავითის ქებად»“ (გვ. 353).

აქ კი ქალბატონმა ნესტანმა, განსხვავებით ელგუჯა ხინთიბიძისაგან, პატივი დამდო და სქოლიოში მახსენა, მაგრამ

---

[3] გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ, ნესტან სულავამ და როინ ყავრელიშვილმა, გამომცემლობა „ნეკერი“.

მახსენა უკუღმართად. წერს: „ბოლოდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში მეცნიერთა ნაწილი (ს. ცაიშვილი, ა. ხინთიბიძე, ბ. დარჩია) მის ავტორად იაკობ შემოქმედელს ვარაუდობს და იგი მიაჩნია არა თამარის ეპოქაში შექმნილად, არამედ XVII საუკუნის ბოლოს დაწერილად. საკითხი მოითხოვს საგანგებო და მიუკერძოებელ კვლევა-ძიებას მხატვრული, ლიტერატურულ-ესთეტიკური, ენობრივი, ჰოლიტიკური, მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური თვალსაზრისით“.

გადაუჭარბებლად უნდა ვთქვა: აქ რამდენი სიტყვაცაა, იმდენივე სიცრუე და ვირეშმაკობაა.

დავიწყოთ იმით, რაც მთავარია: ქალბატონი ნესტანი მკითხველს უმალავს, ამ ავტორებმა ეს ახალი და განსხვავებული თვასაზრისი სად, რომელ ნაშრომებში გამოთქვეს? ეს კი გულმავიწყობით როდი მოსდის, – გასაძრომ-გამოსაძრომად სჭირდება! უპირველესად – ჩემს დასაკნინებლად. მე, თურმე, ამ საქმეში მესამე ადგილზე გამოვდივარ. ჩემს *„იაკობ შემოქმედელში“* ამ საკითხსაც ვრცელი ადგილი უჭირავს და ნაჩვენები მაქვს: ბატონ სარგის ცაიშვილს ამაზე ერთი სიტყვაც არ უწერია, ხოლო ბატონი აკაკი ხინთიბიძის ის მცირეზე მცირე ნათქვამი უვარგისი და არაფრის მაქნისია. იგი მხოლოდ პლაგიატორია. იცის, იცის ეს ქალბატონმა ნესტანმა, მაგრამ მაინც ასე წერს!

თუ ამ თეორიის მომხრეთა ჩამოთვლა უნდოდა, ქალბატონ ნესტანს რამდენიმე მკვლევრის დასახელება შეეძლო, უპირველესად **მურმან თავდიშვილისა**, რომელმაც ამაზე რამ-დენიმე სტატია და საგანგებო წიგნი – „დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში“ (თბ., 2010, 128 გვ.) გამოაქვეყნა. მან ჩემ მიერ დამტკიცებული თვალსაზრისი არა მარტო გაიზიარა, დამატებითი მასალების მოძიებაც შეძლო. **ალექსი ჭინჭარაულმა** კი დაწერა: „ამ ბოლო წლებში ბორის დარჩიამ მონოგრაფიულად შეისწავლა «აბდულმესიანის» ავტორის ვინაობის საკითხი და დაამტკიცა, რომ ეს სახოტბო ლექსების კრებული ეკუთვნის XVII საუკუნის ცნობილ სასულიერო მოღვაწეს

იაკობ დუმბაძეს (შემოქმედელს) და ეძღვნება მეფე-პოეტს არჩილ II-ს. ნაშრომს არგუმენტაცია არ აკლია“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2006, №31, გვ. 13).

მეორე: ჩემი მოსაზრება აღნიშნული სახოტბო თხზულების იაკობისადმი კუთვნილების თაობაზე „სავარაუდო“ კი არა, ისევე ზუსტია, როგორც ორჯერ ორი ოთხია. ამას უამრავი წყალგაუვალი მონაცემი ამტკიცებს. თუ რომელიმე მიუღებელი და ყალბია, ამას სირაქლემის პოზაში დგომა კი არა, განხილვა და ჩვენება უნდა!

მესამე: ზუსტი არაა ნ. სულავას ცნობა, თითქოს იაკობის კუთვნილ არჩილზე გამოთქმულ ვრცელ ქებას, ანუ ე. წ. აბდულმესიანს, „XVII საუკუნის ბოლოს“ დაწერილად მივიჩნევდე. ამ საკითხს მე ძალიან ფრთხილად ვეკიდები და მას ჩემს წიგნში საგანგებო თავი ეთმობა (გვ. 406–416). სავარაუდოდ ვფიქრობ, ეს თარიღია „1670 წლის ახლო ჰერიოდი, 5-ოდე წლით ადრე ან გვიან“. მეცნიერებას სიზუსტე უყვარს!

მეოთხე: ქალბატონი ნესტანი თვალდაუხამხამებლად ტყუის, რომ, თურმე, საკითხი მოითხოვს „მხატვრული, ლიტერატურულ-ესთეტიკური, ენობრივი, პოლიტიკური, მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური თვალსაზრისით“ შესწავლას. მკითხველს ურცხვად უმალავს, რომ ჩემს წიგნში სხვა მრავალ მონაცემთან ერთად ეს საკითხებიც, უკლებრივ ყველა, ფართოდ და დაწვრილებით არის განხილულ-გაანალიზებული! ვინც ჩემს „*იაკობ შემოქმედელს*“ გადაშლის, ამისი ძებნა არ დასჭირდება, მათ ცალ-ცალკე თავები ეძღვნება!

ზემორე დასახელებულ ჩემს წიგნებში მისხალ-მისხალ აწონილი და ნაჩვენები მაქვს: ბატონი ელგუჯასაგან განსხვავებით, ნესტან სულავას ნამდვილად არ ძალუძს რთულ კი არა, ზოგჯერ მარტივ ლიტერატურულ საკითხებშიც გარკვევა. მას ძალიან ხშირად მოჩვენებები და ხილვები ეძალება. ამიტომ არ მიკვირს, რომ იგი ჩემი ნაშრომის ღირსებას ვერ მიხვდა. მაგრამ ეს კი თვალნათლივი და ნიშანდობლივია: რაც ხელისგულზე დევს, იმას ჩქმალავს და საპირისპიროს იგონებს! ეს კი

ნამდვილად შეესაბამება და ზუსტადაც გამოხატავს მის მეცნიერულ „სინდის-ნამუსს“!

ჩვენი დასკვნა და მოწოდება ერთია და იგი მარტო ელგუჯა ხინთიბიძესა და ნესტან სულავას არ ეხება: „სირაქლემებო“, სინამდვილეს თვალებში ჩახედეთ!

მეცნიერება და იუბილეობანა[1]

მიხეილ სააკაშვილმა თავის პარტიას „ნაციონალური“ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) დაარქვა და ასე მოვიდა ხელისუფლებაში. ამავე მთავრობამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას *„მეცნიერებათა ეროვნული* აკადემია“ უწოდა და იგი დაშალა: ჩამოართვა შემავალი ინსტიტუტები, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადასცა, და დატოვა მხოლოდ მანამდე არსებული ხელმძღვანელი ბირთვი — აკადემიის პრეზიდიუმი.

ამ პრეზიდიუმმა განიზრახა, 2011 წლის სექტემბერში გადაეხადა აკადემიის დაარსების 70-ე წლისთავის იუბილე, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ხელისუფლებამ ამის ნება არ მისცა, ყოველ შემთხვევაში, ეს ვერ შეძლო; თუმცა, კაცმა რომ თქვას, ნება როგორ უნდა დაერთო, როცა, ჩვეულებრივ, გარდაცვლილის დაბადების საიუბილეო წლები გარდაცვალების წლების აღნიშვნით ხდება ხოლმე! ამიტომ აკადემიის პრეზიდიუმმა მარტო ის მოახერხა, რომ გამოსცა **ლევან მგალობლიშვილის** წიგნი: *„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. 1941–2011“*. სამწუხაროდ, ამ წიგნში ჯეროვნად არც ის მეცნიერული მიღწევებია ასახული, რაც ამ მართლაც უდიდესმა ეროვნულმა სამეცნიერო ცენტრმა მოიპოვა, ხოლო, რაც ახლა გვაინტერესებს, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საკვლევაძიებო საქმიანობაზე შიგ არაფერია ნათქვამი.

თავის დროზე მეცნიერებათა აკადემიას, როცა იგი აკადემიობდა, განზრახული ჰქონდა აღენიშნა თავისი საიუბილეო თარიღები, ჯერ დაარსების 50-ე და შემდეგ მე-60 წლისთავები. მა-

[1] ქვეყნდება პირველად.

შინ თითოეულ ინსტიტუტს დაევალა, დაეწერათ თავ-თავიანთი ისტორიები. ლიტერატურის ინსტიტუტმა იგივე დავალება თავის განყოფილებათა ხელმძღვანელებს მისცა.

ვინაიდან მე რუსთველოლოგიის განყოფილების თანამშრომელი ვიყავი და 2002 წელს ამ განყოფილებას არარუსთველოლოგი **რევაზ სირაძე** განაგებდა, რუსთველოლოგიის განყოფილების ისტორიის დაწერა მე თვითონ საინსტიტუტო გეგმისა და რაიმე ანაზღაურების გარეშე ჩემი ნებით ვიკისრე. ეს ნარკვევი 2011 წელს დავბეჭდე ალმანახში „მწიგნობარი-11“ (გვ. 112-134). მასში ასახულია თითოეული თანამშრომლის არა მარტო რუსთველოლოგიური, არამედ ყოველმხრივი სამეცნიერო ღვაწლი.

როგორცა ჩანს, 2012 წელს ლიტერატურის ინსტიტუტსაც დაავალეს თავისი 70-წლიანი იუბილეს აღნიშნვა, მაგრამ მისმა „რეფორმატორმა“ დირექტორმა **ირმა რატიანმა** ინსტიტუტი ისე დაანგრია, ამ ისტორიის დამწერი ხელში აღარავინ შერჩა. ამიტომ, საიუბილეო თარიღს რომ რაღაცნაირად გამოხმაურებოდა, ლიტერატურის ინსტიტუტმა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედის, მისი სახელითაც (აქ ი. რატიანი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურის თეორიის მიმართულების სრული პროფესორია) გამოსცა ბიბლიოგრაფიული წიგნი: *„კვლევის 70-წლიანი ისტორია. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემათა ბიბლიოგრაფია (1935-2011 წწ.)“*. შემდგენლები არიან: **ადა ნემსაძე, ანა ლეთოდიანი** და **დარეჯან მენაბდე**, კონსულტანტი – **ხათუნა კვაჭაძე**, რედაქტორები – **ი. რატიანი** და **დ. მენაბდე**. წიგნი დაუფინანსებია *„შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს“*.

დანარჩენ ავტორებს არ ვიცნობ და არ ვიცი, ვინ არიან ისინი. კარგად ვიცნობ რეფორმის დროს ინსტიტუტში დატოვებულ დარეჯან მენაბდეს. იგი წელიწადში 2-3 საშუალო დონის სტატიას ძლივსღა ბეჭდავს, აქტიურად კი მონაწილეობდა ინსტიტუტიდან ჩემს გაძევებაში, მაშინ როდესაც გაძევებიდან ყოველ წელს თითო სქელტანიან წიგნს ვაქვეყნებ. ამ ექვს წელიწადში 5 წიგნი უკვე გამოვეცი, ხოლო, ვიმეორებ, წინამდებარე მეექვსეა.

იცოცხლე, ინსტიტუტის ისტორიის შექმნასთან შედარებით, ბიბლიოგრაფიის შედგენა, ეს სალაბორანტო საქმე, რომელსაც გამორჩეული ნიჭი და ინტელექტი არ სჭირდება, იოლზე იოლი შესასრულებელია, მით უმეტეს, მისი მესამედზე მეტი გაკეთებული აქვს **ლალი პატარაიას**, რომელმაც ბევრად უფრო პროფესიულ დონეზე 1968 წელს გამოაქვეყნა ზუსტად ამგვარი წიგნი – „*რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გამოცემათა ბიბლიოგრაფია*“. იგი მოიცავს 1967 წლამდე გამოსულ ნაშრომებს.

თავიდანვე უნდა ვთქვა, სამწუხაროდ, ი. რატიანის ხელქვეითების შედგენილი ბიბლიოგრაფია დაბალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. როგორც წინასიტყვაობაში ი. რატიანი იუწყება, წიგნში შესულია მ ხ ო ლ ო დ „ლიტერატურის ინსტიტუტის გ რ ი ფ ი თ ქ ა რ თ ულ ენაზე დასტამბული წიგნები. (...) არ არის შესული თეზისები და ავტორეფერატები მათი სიმრავლისა და არასრული რაოდენობის გამო“.

ნეტავი მაცოდინა, რა დააშავა ლიტერატურის ინსტიტუტის გრიფით რუსულ ენაზე გამოსულმა წიგნებმა, მაგალითად: ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლის **იოსებ მეგრელიძის** მომზადებულმა და 1964 წელს თბილისში დაბეჭდილმა **ნიკო მარის** 282-გვერდიანმა წიგნმა „Об истоках творчества Руставели и его поэме“; სერგი სერებრიაკოვის რუსულ და არაბულ ენებზე გამოქვეყნებულმა თითქმის ორასგვერდიანმა წიგნმა „Трактат Ибн Сины (Авиценны) о любви“, ან კიდევ 1977 წელს მოსკოვში ჩვენი ინსტიტუტისა და მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის გრიფებით გამოცემულმა 416-გვერდიანმა წიგნმა „История грузинской советской литературы“. ესენი აღნიშვნის ღირსი არ არიან? თუ ამგვარი უცხო ენებზე გამოსული წიგნები იმდენად ბევრია, საიუბილეო ბიბლიოგრაფიამ ვერ დაიტია?!

კიდევ: ბოლოს და ბოლოს თეზისები და ავტორეფერატები ნუთუ იმდენად უსაშველოდ ბევრია, რომ წაგვლეკავდა?! 1967 წლამდე დაბეჭდილი ავტორეფერატები და თეზისები შესულია

ლალი პატარაიას ხსენებულ წიგნში. ქალბატონი ლალი წერს: „პერიოდული გამოცემები, ერთდროული კრებულები და სამეცნიერო სესიების თეზისები აღწერილია მათი შინაარსის გახსნით. ვინაიდან თეზისები და ავტორეფერატები ბიბლიოთეკაში მთლიანი სახით არ არის დაცული, ბიბლიოგრაფიაში შეიმჩნევა ხარვეზები“ (გვ. 3). ნაცვლად იმისა, რომ ჩვენს ავტორებს ეცადათ ამ ხარვეზების გამოასწორება და დანარჩენი წლებისა დაემატებინათ, ამ საქმეს მათ გვერდი სულ აუარეს. თუ ქალბატონ ლალი პატარაიას განცხადებას არ იცნობ, სრულ გაუგებრობას იწვევს მათი ნათქვამი – *„არასრული რაოდენობის გამო“*. მიზეზი ცხადია: მომდევნო წლების ავტორეფერატები და თეზისები, სხვების მიერ ერთად თავმოყრილი, ვერ ნახეს და ძებნა დაეზარათ თუ ვერ შეძლეს! გიორგი არაბული *ანოტირებული რუსთველოლოგიური ლიტერატურის* IV წიგნში (2009) წერს: ბ. დარჩიამ *„გვათხოვა საკუთარი ბიბლიოთეკიდან სხვადასხვა წლების სამეცნიერო კონფერენციების მოხსენებათა თეზისების 30-მდე კრებული, რომლებსაც ბიბლიოთეკებში ვერ მივაგენით“* (გვ. 3). ი. რატიანსა და დ. მენაბდეს ჩემთან მოსასვლელი პირი არა ჰქონდათ, მაგრამ, მეცნიერება რომ მართლაც აინტერესებდეთ და არა თვალში ნაცარშესაყრელი, გასაძრომ-გამოსაძრომი ფორმალური ამბები, მეტად მოინდომებდნენ და უშედეგოდაც არ დარჩებოდნენ.

დარეჯან მენაბდე ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევრად მიიჩნევა. ბიბლიოგრაფიის ამ ავტორსა და რედაქტორს გამოტოვებული აქვს ისეთი სქელტანიანი წიგნები, რომლებიც შინ ულაგია. მაგალითად: გამორჩენია 1968 წელს გამოსული **გაიოზ იმედაშვილის** 430-გვერდიანი წიგნი – *„ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა“*. გამორჩენის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ლიტერატურის ინსტიტუტის ქართულ და რუსულ ენებზე შესრულებული გრიფი წინ, ცალკე ფურცელზეა მოთავსებული და არა იმ თავფურცელზე, სადაც ავტორი და წიგნის სათაურია მოცემული. რაღა გასაკვირია, თუ გამოტოვებულია ბატონი გაიოზის 1942 წელს გამოსული მომცრო ტანის

წიგნი *„ქართული კლასიკური ხანის მწერლობის პატრიოტიკა“* (83 გვ.), რომელიც აღრიცხულია გივი მიქაძის *„ძველი ქართული მწერლობის ბიბლიოგრაფიაში“* (II, თბ., 1968, გვ. 98, № 1157) და ლალი პატარაიას ბიბლიოგრაფიაშიც (გვ. 7, № 35). სარეცენზიო წიგნში არ ჩანს რუსთველოლოგიური კრებული — *„ვეფხისტყაოსნის უახლესი თარგმანები ევროპულ ენებზე“*. ქალბატონ დარეჯანს გამორჩენია 1988 წელს გამოსული 440-გვერდიანი ჩემი წიგნი — *„ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო“*, რომელიც მამამისის, ლევან მენაბდეს, ასე აქვს შეფასებული: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგოლოგიაში (თუ შეიძლება ეს სიტყვა ვიხმაროთ) იწყება თვისებრივად ახალი ეტაპი“. როგორც მისმა მფარველმა ირმა რატიანმა არ იცის საკუთარი მამის, შალვა რატიანის, ნაშრომები (ვითომცდა ბევრი ჰქონდეს!), იგივე ემართება ქალბატონ დარეჯანსაც.

აღარაფერს ვამბობ წიგნის აგების პრინციპებსა და სხვა შეცდომებზე. მაგალითად: 1970 წელს გამოვიდა **სარგის ცაიშვილის** *„ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის“* მეორე ტომი, რომელსაც ავტორის სახელი და გვარი ისე ნათლად და თავის ადგილას აწერია, როგორც მის სხვა წიგნებს. „ბიბლიოგრაფიაში“ კი მოხვდა არა მისი წიგნების გვერდით, პირველ თავში, რომელსაც *„მონოგრაფიული გამოცემები“* ჰქვია (გვ. 29), არამედ — მესამე თავში („პუბლიკაციები“), სადაც ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა მწერლების მ ხ ა ტ ვ რ უ ლ თხზულებათა გამოცემებია აღრიცხული. თანაც ავტორი მითითებული არაა! (გვ. 206, № 615).

ესენია, რაც თვალის ერთი გადავლებით დავინახე. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად სრული ბიბლიოგრაფია, ისე როგორც უნაკლულო ლექსიკონი, არ არსებობს, მაგრამ მნიშვნელობა აქვს იმას, რა და რამდენია გამორჩენილი!

სარეცენზიო წიგნის ყველაზე დიდი ნაკლი ისაა, რომ მასში ასახულია მ ხ ო ლ ო დ ლიტერატურის ინსტიტუტის გ რ ი ფ ი თ გამოსული ნაშრომები. ამგვარივე იყო ლალი პატარაიას წიგნიც. აქ მიზეზი გასაგებია: ქალბატონი ლალი ამ ინსტიტუტის თანამშრომელი არასოდეს ყოფილა. მაგრამ, როცა შენც, დიდი არმიის მქონე, ამასვე აკეთებ, არ გეპატიება! ამის გამო აქ ვეღარ

მოხვდა ინსტიტუტის თანამშრომელთა თუ მეტი არა, ერთი ამდენი წმინდა მეცნიერული კვლევა-ძიებანი, რომლებიც ცალკე წიგნებად ინსტიტუტის უგრიფოდ და სტატიებად არა მარტო მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალებში („აკადემიის მოამბე", „აკადემიის საზოგადოებრივ განყოფილებათა მოამბე"; „მაცნე"...), არამედ ინსტიტუტის გაზეთ „კალმასობასა" და უამრავ საზოგადოებრივ ჟურნალ-გაზეთში დაიბეჭდა. ასე რომ, ამ ბიბლიოგრაფიის მიხედვით სანახევროდაც ვერავინ მიხვდება ლიტერატურის ინსტიტუტის იმ გარჯასა და მიღწევებს, რაც მას არსებობის მანძილზე ჰქონდა. ხმამაღლა უნდა განვაცხადო: ჩემს ნაშრომს ეს შეზღუდვა არ ახასიათებს!

... ასეთია მიხეილ ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი ს ყოფილი მთავრობის — *განათლებისა და მეცნიერების* მინისტრ ალექსანდრე (კახა) ლ ო მ ა ი ა ს, თავის მოადგილედ დაწინაურებული თავისი ცოლის დაქალის ბელა წ ი ფ უ რ ი ა ს, პარლამენტის *განათლების, მეცნიერების, კულტურისა* და *სპორტის კომიტეტის* თავმჯდომარე ნოდარ გ რ ი გ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს, მათ მიერ აღზევებული ელგუჯა ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ი ს ა და კახა ლომაიას მეუღლის დაქალ ირმა რ ა ტ ი ა ნ ი ს მიერ მეცნიერებაში გატარებული რეფორმის ერთი ნიშანდობლივი შედეგი!

მეხუთე თავი
პორტრეტები და მოგონებანი

აქ ვიგონებ და საუბარი მაქვს ჩვენს გამოჩენილ მოღვაწეებზე, მეცნიერებსა და მწერლებზე, რომლებთანაც ბედმა მარგუნა, გარკვეული სიახლოვე მქონოდა და მეთანამშრომლა. ისინი დაიწერა და გამოქვეყნდა სხვადასხვა მიზნით, უფრო მეტად, ამა თუ იმ საზეიმო თუ სამგლოვიარო თარიღებთან დაკავშირებით. ბოლო ორი მოღვაწე მხოლოდ იმ ნიშნით შევარჩიე, რომ ჩემი თანასოფლელები იყვნენ.

1. კორნელი კეკელიძე
(თვალის რამდენიმე შევლებით)

1954 წელს, როცა უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, ცოტა ხანს გონზე ვერ მოვედი, — მიჭირდა გამერჩია, თუ ვინ ვინ იყო. დერეფანში ხშირად ვხედავდი საქმიანად მოსიარულე მაღალ და წარმოსადეგ კაცს, რომელსაც, როგორც ჩემს სოფელში იცოდნენ, გალიფე შარვალი, რბილი ჩექმები, „აზიურები“ და ზემოდან გადმოშვებული, წელზე ბრტყელი ქამრით შემოჭერილი ხალათი ეცვა. თავდაპირველად იგი უნივერსიტეტის რექტორი მეგონა. შემდეგ გავიგე, მნე ვალოდია კარგიშვილი ყოფილა.

სტუდენტი ისე გავხდი, კორნელი კეკელიძის სახელი არ გამეგონა. მხოლოდ მაშინ ვიგრძენი მისი ფასი, როდესაც ძველ ქართულ ლიტერატურაში პრაქტიკული მეცადინეობის ლექტორმა ტრიფონ რუხაძემ იგი ყოველ შეხვედრაზე დიდებით მოიხსენია და მანაც, როგორც ალექსანდრე ბარამიძემ, სახელმძღვანელოდ მისი „*ძველი ქართული მწერლობის*“ ორტომეული დაგვისახელა და გაგვაცნო.

პირველად ბატონი კორნელი დერეფანში დავინახე, **კატუშა (ეკატერინე) კეკელიძეს** ხელკავით მოჰყავდა. თეთრი მოგ-

რძო, მგონი, „ჩიჩონჩის“ პიჯაკი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა. მაშინვე მომხიბლა მისმა გარეგნობამ: თეთრი თმით, ულვაშით, ბლანჟეთი და მზის სხივივით განათებული ფეროვანი პირისახით დამშვენებული იგი ოლიმპოს ბინადარ ღვთაებრივ არსებად წარმომიდგა. ისე მძიმე-მძიმედ მოდიოდნენ, მწიფე მოხუცად მეჩვენა. დიდი დღე არ უნდა ჰქონდეს დარჩენილი-მეთქი, გულში მწარედ გავიფიქრე.

მერე და მერე ბატონ კორნელის საპროფესოროსა და ლიტერატურის კაბინეტში ვხედავდი, — ბევრად უფრო მხნედ გამოიყურებოდა.

ერთ დღეს პრაქტიკულ მეცადინეობაზე დაგვესწრო. პირველ მერხზე დაჯდა, თვალდახუჭული გვისმენდა, მეგონა, ეძინა, მაგრამ ბოლოს იმდენი შენიშვნა მოგვცა და ისეთი რამეები თქვა, უმალვე ყველანი დავრწმუნდით: გულისყურით გვისმენდა და მხედველობიდან არაფერი გამორჩენია.

ბატონი ტრიფონი საკურსოებისა და სტუდენტთა კონფერენციებზე გასატანი თემების დამუშავებისას ხელმძღვანელობას თვითონ გვიწევდა, მაგრამ აფორმებდა ბატონი კორნელის სახელზე. 1957 წელს უნივერსიტეტის სტუდენტთა XIX სამეცნიერო კონფერენციაზე წამაკითხეს საკურსოდ შესრულებული ნაშრომი *„აღორძინების ხანის საეკლესიო მწერლები «ვეფხისტყაოსნის» შესახებ“*. დაიბეჭდა თეზისები. იქაც და აქაც ხელმძღვანელად ბატონი კორნელია გამოცხადებული. მაგრამ, როცა ეს თემა სადიპლომო ნაშრომად და ხელმძღვანელად ისევ ბატონი კორნელი დამიტოვეს, ბატონმა კორნელიმ წაიკითხა იგი, შინ (პლეხანოვზე) დამიბარა, მესაუბრა და მირჩია, ნაშრომიდან ამომეღო ან ეჭვის თვალით შემეხედა „ვეფხისტყაოსნის“ დევნისა და ფიზიკური განადგურების თაობაზე ზეპირი გზით გავრცელებული მოსაზრებებისათვის, აგრეთვე ზაქარია ჭიჭინაძისა და პლატონ იოსელიანის ცნობებისათვის. იგივე რჩევა ამ სადიპლომო ნაშრომის თავფურცელზეც წაეწერა.

როცა მე ლიტერატურის ინსტიტუტში ჩავირიცხე (1960), ბატონი კორნელი აქ აღარ მუშაობდა. 1960 წლის ოქტომბერში

ინსტიტუტმა მას შეხვედრა მოუწყო და თანამშრომლებთან ერთად სამახსოვრო სურათიც გადავიღეთ. წინ შოთა რუსთველის იერუსალიმური სურათის შესახებ მოხსენება წაგვიკითხა, რომელსაც სარგის კაკაბაძეც ესწრებოდა. დამამახსოვრდა: რაღაცასთან დაკავშირებით ბატონმა სარგისმა ღიმილით ახსენა, რომ ერთ დროს ორივეს „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღი მე-14 საუკუნეში გადმოჰქონდა. ამაზე ბატონმა კორნელიმ ღიმილითვე უპასუხა: *მაშინ შენ გადამაცდინეო.*

1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან ლიტერატურის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენი კომისია ილია აბულაძის, ალექსანდრე ბარამიძის, კორნელი კეკელიძის (თავმჯდომარე), აკაკი შანიძის (თავმჯდომარე), გიორგი წერეთლისა და მამია ებრალიძის (მდივანი) შემადგენლობით. ბატონი კორნელი 1961 წელს ერთ სხდომას დაესწრო, შემდეგ აღარ მობრძანებულა.

ბატონი კორნელი გარდაიცვალა 1962 წლის 7 ივნისს და უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში დაკრძალეს. პანაშვიდის დღეებში უნივერსიტეტის დერეფანში, რუსთველის კაბინეტის წინ, ფანჯარასთან, აკაკი ხინთიბიძე და მე ვიდექით. ჩამოიარა აკაკი შანიძემ, ჩვენთან მოვიდა და გამოგველაპარაკა. ბატონი კორნელის შესახებ დიდი სინანულით თქვა: რა *ძალა დავკარგეთ და რა ცოდნა წაიღოო.*

მაშინ ლიტერატურის ინსტიტუტში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი „პატარა“ კომისია უკვე ტექსტის დადგენაზე მუშაობდა. სხდომა გვქონდა 5 ივნისს. ბატონი კორნელის გარდაცვალების გამო მორიგი სხდომა აღარ შემდგარა. შევიკრიბეთ 16 ივნისს. აქ, აკაკი შანიძის წინადადებით, ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივი ვეცით ბატონი კორნელის ხსოვნას. ბატონმა აკაკიმ აქაც გაიმეორა ის სიტყვები, რაც უნივერსიტეტში გვითხრა.

2. ალექსანდრე ბარამიძე[1]

ქართული კულტურის დიდი მოამაგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი **ალექსანდრე გიორგის ძე ბარამიძე** დაუცხრომელი ძალითა და ენერგიით, მაღალი მამულიშვილური გზნებითა და თავდადებით, საოცარი სიმსუბუქითა და სილამაზით 75 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეწეოდა ფართო მეცნიერული, პედაგოგიური და სხვადასხვა საზოგადოებრივი საქმიანობის მძიმე ჯაპანს.

ბატონი ალექსანდრე დაიბადა 1902 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯუნჯუათში, სოფლის მღვდლის ოჯახში და ბავშვობაც აქ გაატარა. ადგილობრივი ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ფოთისა (1912–1918) და ხაშურის (1918–1920) გიმნაზიებში; 1920–1925 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების (ფილოლოგიის) ფაკულტეტის სტუდენტი, 1925–1927 წლებში — ქართული მწერლობის კათედრასთან პროფესორობისათვის მოსამზადებლად დატოვებული, ანუ, შემდეგი გამოთქმით, ასპირანტი (ხელმძღვანელი — კ. კეკელიძე).

სტუდენტობის პერიოდში მსახურობდა ჯერ რკინიგზის სამმართველოში უმცროს მოანგარიშედ (1920–1921 წწ.), შემდეგ — განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობაში საქმეთა მმართველად (1921–1925 წწ.). 1927 წლის სექტემბრიდან უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასისტენტია. 1929/30 სასწავლო წლიდან აქვე იწყებს ლექციების კითხვას. 1932 წელს დაამტკიცეს დოცენტად. 1936 წლის მარტში დაიცვა დისერტაცია *„ანვარი სოჰაილის, ანუ ქილილა და დამანას*

---

[1] ეს წერილი სხვადასხვა ვარიანტული სხვაობით სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ჟურნალ-გაზეთებსა და კრებულშიც. მისი შემოკლებული ვარიანტი გახლდათ ბატონი ალექსანდრეს ნეკროლოგი, რომელიც მე დავწერე და მთავრობისა და გამოჩენილ მოღვაწეთა ხელმოწერით გამოქვეყნდა.

ქართული ვერსიები“ და მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1936 წლის შემოდგომაზე მიენიჭა პროფესორის წოდება. 1962–1969 წლებში თბილისის უნივერსიტეტში ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგეა. 1970 წლის 12 იანვრიდან ურივერსიტეტში რჩება პროფესორის თანამდებობაზე შეთავსებით.

სხვადასხვა დროს განაგებდა ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრებს ქუთაისის, გორისა დ თბილისის (როგორც მაშინ ერქვა, პუშკინის სახელობის) პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

1930–1938 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის (მეცნიერ-მცველის) თანამდებობაზე. 1942 წლიდან, დღიდან დაარსებისა, ხელმძღვანელობდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის (თავდაპირველად, 1936 წლიდან ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტის, ანუ „ელხის“) განყოფილებას. 1966–1985 წლებში ამ ინსტიტუტის დირექტორია.

1946 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1960 წელს — ნამდვილ წევრად. 1946 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1944–1945 სასწავლო წელს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, 1945–1949 წლებში — პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში. 1953–1955 წლებში ასრულებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობას.

საზოგადოებრივ-პედაგოგიურ საქმიანობას ყოველთვის უთავსებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. აღვნიშნავ ზოგიერთს: 1946 წლიდან, დღიდან დაარსებისა, იყო წევრი საზოგადოება „*ცოდნის*“ რესპუბლიკური გამგეობისა, 1960 წლიდან — იმავე საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე; თავმჯდომარის მოადგილე საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობისა, ამ

საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე და საქართველო-უნგრეთის კავშირის „ხიდის“ საპატიო წევრი. საზოგადოებრივი საწყისით ასრულებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ და შემდეგ ენისა და ლიტერატურის განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნის მოადგილის თანამდებობას; უძღვებოდა უაღრესად შრომატევად საქმეს — „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის რედაქტორობას.

1947 წლიდან იყო საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი და წლების განმავლობაში საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი. იყო სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოებისა და კომისიების თავმჯდომარე, საქართველოს საისტორიო საზოგადოებისა და თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი და ა. შ.

დაჯილდოებული გახლდათ ლენინის ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენით, მედლებით (მათ შორის, მამაცური შრომისათვის), სომხეთისა და უკრაინის უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმთა საპატიო სიგელებით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალური მედლით და სხვა.

¤

მოწაფეობისა და ნაწილობრივ სტუდენტობის ჟამს მომავალი მეცნიერი ენერგიულად იყო ჩაბმული პოლიტიკურ საქმიანობაში, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ეროვნული საკითხებისადმი, თანაუგრძნობდა სოციალისტ-ფედერალისტებს და მუშაობდა ამ პარტიის მოწაფეთა ორგანიზაციაში, კორესპონდენციებსა და პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებდა ქუთაისისა და თბილისის ჟურნალ-გაზეთებში.

1918 წლის 4 მარტს გაზეთ *„მებრძოლთა ხმაში“* დაბეჭდილ მის ერთ-ერთ ამგვარ წერილში მხილებულია საბჭოთა და პირადად ლენინის დამპყრობლური ნაციონალური პოლიტიკა. ნათქვამია, რომ „მოხდა რევოლუცია, გამოცხადდა ერთა თავისუფლება, (...) სრული თვითგამორკვევა, მაგრამ ლენინის თვითგამორკვევა დარჩა ქაღალდზე“.

1921 წლის თებერვალში, როდესაც წითელი რუსეთი საქართველოს თავს დაესხა, სტუდენტი ალექსანდრე ბარამიძე

სამშობლოს დამცველ მოხალისეებს შეუერთდა, როგორც სანიტარული რაზმის წევრი. იგი სოღანლულის ცენტრალურ ფრონტზე გაემგზავრა, ვაზიანში ჩავიდა და იქიდან უკანდახეულ ქართულ ლაშქარს ბათუმამდე გაჰყვა.

1922 წლის 26 მაისს მონაწილეობა მიიღო ამ ეროვნული საზეიმო დღის აკრძალვის გამო გამართულ გაფიცვაში.

ამის შემდეგ ბატონი ალექსანდრე პოლიტიკას თავს ანებებს.

¤

სამეცნიერო მუშაობა დაიწყო სტუდენტობაშივე. ერთხანს იყო სტუდენტთა სამეცნიერო წრის მდივანი, შემდეგ — თავმჯდომარე.

1927 წელს უნივერსიტეტში ასისტენტად დატოვებული ახალგაზრდა მეცნიერი მუშაობას იწყებს აქვე მოთავსებულ სიძველეთსაცავში, მხარში უდგას თავის მასწავლებლებს — კორნელი კეკელიძეს, ივანე ჯავახიშვილს, აკაკი შანიძეს და მათთან ერთად საკვლევაძიებო და პედაგოგიურ საქმიანობაში ებმება. ზედიზედ აქვეყნებს ფუნდამენტურ გამოკვლევებს ჩვენი კლასიკოსი მწერლების უმთავრეს წარმომადგენლებზე და უკვე თავისი განთქმული „*ნარკვევების*“ ორ ტომში, რომელთაგან პირველი ჯერ კიდევ 1932 წელს (მეორე გამოცემა 1945 წ.), ხოლო მეორე 1940 წელს გამოვიდა, ძველი ქართული საერო ლიტერატურის ისტორია ძირითად ხაზებში ჩამოყალიბებულია. აღსანიშნავია, რომ „*ნარკვევების*“ პირველი ტომის მეორე გამოცემას თბილისის უნივერსიტეტის პირველი პრემია მიენიჭა. ამჟამად, გარდა ცალკე წიგნებად გამოცემული მონოგრაფიებისა, გამოქვეყნებულია „*ნარკვევების*“ ცხრა ტომი. გამზადებულია მეათე ტომი.

მეცნიერმა უპირველესად კვლევის არეში მოაქცია სპარსულ ლიტერატურასთან დაკავშირებული პრობლემები და ახალი ეტაპი შექმნა ქართულ ირანისტიკაში. დიდი ამაგი დასდო საყოველთაოდ განთქმული, უზარმაზარი ირანული ეპოსის „*შაჰ-ნამეს*“ ქართული ვერსიების შესწავლის მეტად რთულ საქმეს. ვეებერთელა ქართული ტექსტი შეუდარა სპარსულ დედანს და

წარმოაჩინა მათი ურთიერთმიმართება; აღმოაჩინა და გამოსცა XV საუკუნის უნიკალური ქართული პროზაული თარგმანი, გამოავლინა საყურადღებო ნუსხები, გაარკვია ზოგიერთი ქართული ვერსიის ურთიერთკავშირი; მნიშვნელოვანი მასალები მოიძია მთარგმნელთა შესახებ.

ალ. ბარამიძის ნაშრომებმა ახალი მიმართულება მისცა *„ამირანდარეჯანიანის“* კვლევა-ძიებას. გარდა იმისა, რომ შეისწავლა მისი შედგენილობა, დაადგინა ზოგიერთი ეპიზოდის წარმომავლობა და შექმნის დრო, ამასთანავე, მოიპოვა და ამ თხზულებას შეუდარა *„ყისაი ჰამზას“* სპარსული ტექსტი და დაასაბუთა ქართული თხზულების მისგან მომდინარეობის ნიკო მარის მიერ ჩამოყალიბებული და ჩვენს მეცნიერებაში ფეხმოკიდებული შეხედულების უსაფუძვლობა, თითქოსდა *„ამირანდარეჯანიანი“* *„ყისაი ჰამზას“* თარგმანი იყოს.

მანვე სპარსულ დედანს შეადარა *„ვისრამიანი“* და ნათელყო ქართული თარგმანის თავისებურებანი.

საკითხის სირთულით, მრავალმხრივობით, კვლევის შედეგების სიახლითა და მასშტაბურობით გამოირჩევა ალ. ბარამიძის ვრცელი მონოგრაფიები *„ქილილა და დამანას“* და სულხან-საბა ორბელიანის შესახებ. ამ ნაშრომებში მკვლევარმა საბოლოოდ აღადგინა მსოფლიოში განთქმული იგავ-არაკთა კრებულის *„ქილილა და დამანას“* თარგმნის დახლართული ისტორია, გამოავლინა თხზულების მანამდე უცნობი თარგმანის ტექსტი, რომელიც ვახტანგ მეექვსეს ეკუთვნის, და დაადგინა, რომ აქედან მოდის სულხან-საბასეული რედაქცია. მოგვცა რა თითოეული მათგანის ღრმა ფილოლოგიური ანალიზი, შუქი მოჰფინა ჩვენი ლიტერატურის არაერთ დიდმნიშვნელოვან მოვლენას. კერძოდ, წარმოაჩინა ის დიდი ძვრები, რომლებიც მოხდა ქართული ლექსის ვერსიფიკაციული განახლების სფეროში და გვიჩვენა ამ უმნიშვნელოვანესი კულტურულ-ლიტერატურული პროცესის განვითარებაში სულხან-საბა ორბელიანის დამსახურება. რად ღირს თუნდაც ის შედეგები, რომელიც მოჰყვა, ერთი შეხედვით, პატარა საკითხს — მის მიერ სულხან-საბა ორბელიანის ხელის დადგენას! სწორედ ამის მეოხებით მოხდა შემდეგ სულხან-საბას

ავტოგრაფული ნუსხების გამოვლენა, რამაც მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ჩვენი სასიქადულო მწერლისა და ლექსიკოგრაფის თხზულებათა გამოცემა და მისი მხატვრული და მეცნიერული მოღვაწეობის შესწავლა. ზემოთ უკვე ვთქვით, ამ გამოკვლევისთვის მიენიჭა მას ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მეცნიერმა თავისი წვლილი შეიტანა ჩახრუხაძის ერთობ ძნელად გასაგები სახოტბო პოემის „თამარიანის“ შესწავლაში. განხილული აქვს მისი თითქმის ყველა ძირითადი საკითხი — შედგენილობა, ავტორის ვინაობა, სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, დაწერის თარიღი, მხატვრული ენის თავისებურებანი.

ამავე თვალთახედვით დამუშავებული აქვს მას აგრეთვე ე. წ. „აბდულმესიანი“. ის იცავდა ტრადიციულ შეხედულებას, რომ ეს პოეტური თხზულება ეკუთვნის ი ო ვ ა ნ ე შ ა ვ თ ე ლ ს და არის დ ა ვ ი თ ს ო ს ლ ა ნ ი ს ა და თ ა მ ა რ ი ს ხოტბა. საამისოდ ეძებდა ახალ მასალებს და თავისებურად განმარტავდა მათ. ჩვენ ამ მოსაზრებას არ ვიზიარებთ და მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ოდა ეკუთვნის XVII საუკუნის პოეტსა და სასულიერო მოღვაწეს ი ა კ ო ბ შემოქმედელ-სამებელს, გვარად დ უ მ ბ ა ძ ე ს, ეძღვნება მეფე-პოეტ არჩილ მეორეს, არის მ ი ს ი და ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს თ ა ვ დ ა დ ე ბ ულ მ ე ფ ე თ ა ქ ე ბ ა-დ ი დ ე ბ ა. მაგრამ სწორედ ბატონი ალექსანდრეს გამოკვლევაში აღძრული საკითხების შესწავლა დაგვეხმარა, აღნიშნულ დასკვნამდე მივსულიყავით. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მოპოვებულ მასალებს იქით სხვა საძებარი არაფერი იმალებოდა.

საგანგებოდ არის აღსანიშნავი ალ. ბარამიძის დამსახურება რუსთველოლოგიის დარგში. იგი, დაწყებული თავისი მოღვაწეობის გარიჟრაჟიდან ბოლომდე, შეუნელებლივ იკვლევდა რუსთველისა და მისი პოემის ყველა არსებით მხარეს. წევრი იყო 1937 წლის საიუბილეო ტექსტის დამდგენი კომისიისა, ხელმძღვანელობდა 1951 და 1957 წლების გამოცემათა მომზადებას. განსაკუთრებით ფასეულია აკაკი შანიძესთან თანამშრომლობით განხორციელებული 1966 წლის პუბლიკაცია, რომლის ტექსტის

დადგენაზე ისინი ოთხ წელზე მეტ ხანს მუშაობდნენ. ეს არის რუსთველოლოგიის ისტორიაში მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ერთადერთი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა, რომელსაც ხელნაწერთა და ძირითად ბეჭდურ გამოცემათა ვარიანტები ახლავს.

გარდა იმისა, რომ არაერთი საგანგებო გამოკვლევა გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე, ბატონმა ალექსანდრემ შექმნა ვრცელი, შემაჯამებელი მონოგრაფია რუსთველზე, სადაც თავმოყრილია, სისტემურად დალაგებულია და საფუძვლიანად განხილული „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორთან დაკავშირებული ყველა ძირითადი პრობლემა. ამ ნაშრომს 1978 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის რესპუბლიკური პრემია მიენიჭა.

უაღრესად დიდი და ნაყოფიერია ალ. ბარამიძის ღვაწლი გვიანფეოდალური, XVI–XVIII საუკუნეთა, ქართული საერო მწერლობის შესწავლაში. მან ბევრ შემთხვევაში ყამირი გატეხა და მთელი სისრულით გაგვაცნო ამ პერიოდის უდიდესი წარმომადგენლების — თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგ მეექვსის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ბესიკისა და სხვათა შემოქმედება; ამომწურავად დაახასიათა იმდროინდელი ლიტერატურული პროცესები — ადრინდელი რეალიზმი, ვერსიფიკაციული ძიებანი და სხვა.

სწავლულმა შექმნა განმაზოგადებელი ხასიათის ძველი ქართული საერო ლიტერატურის მეცნიერული კურსი. ნიშანდობლივია, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ერთტომეულში, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ 1954 წელს გამოსცა და შემდეგ რამდენიმეჯერ გამეორდა, ნარკვევები საერო ლიტერატურაზე ბატონ ალექსანდრეს ეკუთვნის (სასულიერო ლიტერატურის მონაკვეთის ავტორია კ. კეკელიძე). გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას (რაც სამეცნიერო ლიტერატურაში კიდევაც აღნიშნულია), რომ ძველი ქართული ლიტერატურის შესახებ არსებული ცოდნა უმეტესწილად სწორედ ალ. ბარამიძის გამოკვლევებიდან მომდინარეობს.

1982 წელს წიგნისათვის *„ძველი ქართული მწერლობის პრობლემები“* (1980) ალ. ბარამიძეს პირველს მიეკუთვნა მისი მას-

წავლებლის, აკად კ. კეკელიძის სახელობის რესპუბლიკური პრემია.

ბატონი ალექსანდრეს კვლევის სფეროს განეკუთვნება აგრეთვე ლიტერატურულ-კრიტიკული ურთიერთობანი ძველ საქართველოში, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა, კერძოდ, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანისა და სხვების შემოქმედებათა მიმართება ძველ ქართულ მწერლობასთან; ეროვნული მეცნიერების უდიდესი წარმომადგენლების — ნ. მარის, ე. თაყაიშვილის, ივ. ჯავახიშვილის, ა. შანიძისა და სხვათა დამსახურება ჩვენი ქვეყნის წარსულის, უპირველესად, სიტყვაკაზმული მწერლობის შესწავლაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი მისი მონოგრაფია და მოგონებების წიგნი „*ახლო წარსულიდან*“, რომელიც მეცნიერმა სიცოცხლის ბოლო ხანს დაწერა.

ალ. ბარამიძე ორგანულად იყო დაკავშირებული თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებასთან. პრესიდან თუ ტრიბუნიდან მუდმივად ეხმაურებოდა ჩვენი მწერლობისა და მეცნიერების აქტუალურ საკითხებს. უდიდესი სარგებლობა მოგვიტანა მისმა საქმიანობამ ქართული ლიტერატურისა და კულტურის რესპუბლიკის გარეთ გატანასა და სხვადასხვა ხალხისათვის გაცნობაში. შესაძლებლობისდა მიხედვით, დიდი ხიფათისა და რისკის ფასად მას იმ ძნელბედობის ჟამსაც პირადი და წერილობითი ურთიერთობა ჰქონდა უცხოელ ქართველოლოგებთან, განსაკუთრებით ვიკტორ ნოზაძესა და სალიებთან (ნინოსა და კალისტრატესთან).

ბატონი ალექსანდრეს ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია რუსულ ენაზე, ნაწილობრივ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე (უკრაინულსა და ბელორუსულზე, სომხურსა და აზერბაიჯანულზე). ზოგიერთი ნაშრომი დაბეჭდილია ფრანგულად, ინგლისურად, ესპანურად, სპარსულად, ებრაულად, უნგრულად, პოლონურად.

ცალკე სასაუბრო თემაა ალ. ბარამიძის მოღვაწეობა პედაგოგიურ და საგანმანათლებლო სარბიელზე. აღვნიშნავ მხო-

ლოდ, რომ მას დიდი წვლილი მიუძღვის საშუალო და უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოების შექმნაში, სხვადასხვა მეთოდიკური ლიტერატურის შედგენაში. იგი უებრო ლექტორი და მეცნიერ-ხელმძღვანელი გახლდათ. მისი სასწავლო ლექციები თუ საჯარო გამოსვლები თავისი მეცნიერული სიღრმითა და მჭევრმეტყველებით ყოველთვის მომხიბლავი და მიმიზიდველი იყო.

ბატონი ალექსანდრეს მიერ აღზრდილია მთელი თაობები საშუალო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისა და ძველი ქართული ლიტერატურის დარგის მეცნიერ-მუშაკებისა. ამ უკანასკნელთაგან ბევრი, კარგა ხანია, სამეცნიერო უბნებსა და დარგებს ხელმძღვანელობს. მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან დაწყებული და ახლაც, მიმდინარე საუკუნეშიაც, იშვიათად თუ შეხვდებით ქართული კულტურის ასპარეზზე მომუშავეს, რომელსაც მისი ლექციები არ მოესმინოს ან მისი ნაშრომებიდან არ ესწავლოს ჩვენი ძვირფასი ძველი ლიტერატურა, მისადმი სიყვარული და პატივისცემა.

ალ. ბარამიძე მრავალი ღირსებით დაჯილდოებული პიროვნება გახლდათ. დიდი ნიჭისა და შრომის უნარის გარდა, იგი გვხიბლავდა თავისი ლამაზი, ახოვანი გარეგნობითა და შინაგანი მშვენიერებით, კეთილშობილური, მიმტევებლური ბუნებით, საოცარი თვითდისციპლინითა და პუნქტუალობით, უმაღლესი, კრისტალური ზნეობით... იმ დროს, როდესაც კორუპციამ ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი წალეკა და ინტელიგენციაშიაც შეაღწია, ბატონი ალექსანდრე 19 წლის განმავლობაში შოთა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის დირექტორი ბრძანდებოდა და არც ერთხელ თავსი თავისათვის უფლება არ მიუცია, წლიური პრემია აეღო, თუმცა წელი არ ჩაუგდია, რაიმე მნიშვნელოვანი საინსტიტუტო სამეცნიერო ნაშრომი არ შეექმნა!

ქართველ ხალხს ალ. ბარამიძისადმი სიყვარული, პატივი და დიდება არასოდეს დაუკლია. ვინც მის განვლილ გზას ჯეროვნად არ იცნობს, იგი ყოველთვის ია-ვარდით მოფენილი ეგონება, სინამდვილეში კი მასაც დასდგომია ყოფნა-არყოფნის დღეები! დიდი შიში ჭამა 1927 წელს, როდესაც სუკის ბობოლა ულმობელმა მოხელემ, დეკანოზოვმა, თავისთან დაიბარა და ტკბილი სიტ-

ყვებით... თანამშრომლობა მოსთხოვა, უარი რომ მიიღო, გვიანობამდე დაიტოვა და შინ მუქარით გაუშვა. მთლიანად იწვნია 30-იანი წლების დასაწყისში მძვინვარე „*კონდრატიევშჩინისა*“ და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში „*კოსმოპოლიტიზმის*“ წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიათა მთელი სიმწვავე. თავადაც არ უწყოდა და ბოლო დროს გახდა ცნობილი, 1937 წლის მრისხანე დღეებში რა დამოკლეს მახვილი ჩამოკიდებულა მის თავს: სუკის განწირულთა სიაში იგი ალურიცხავთ როგორც ფაშისტური, კონტრრევოლუციური, ნაციონალისტური ორგანიზაციის აქტიური წევრი!

მადლობა ღმერთს, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა!

ასე გაიარა ცხრა ათეულმა წელმა. მიუხედავად წელთა სიმძიმისა, ალ. ბარამიძე გაუნელებელი ენთუზიაზმით აგრძელებდა თავის მრავალმხრივ მოღვაწეობას: ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბრძანდებოდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მრჩეველი და, როგორც ავტორი და რედაქტორი, ენერგიულად მუშაობდა ქართული ლიტერატურის ისტორიის მრავალტომეულის მომზადებაზე, ხოლო, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სარედაქციო კოლეგიის მთავარი რედაქტორი, დაუღალავად იღვწოდა ფართო პროგრამით დასახული რუსთველის დიდებული ქმნილების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის საშვილიშვილო საქმის განხორციელებისათვის. ბოლო დროს დაამთავრა და გამომცემლობას გადასცა მოგონებათა წიგნის („*ახლო წარსულიდან*“) მეორე ნაწილი. უკანასკნელ ხანს, ისე როგორც ადრე, არ გამოსულა რაიმე საყურადღებო ნაშრომი ძველი ქართული ლიტერატურის დარგში, რომელსაც ბატონი ალექსანდრე არ გამოხმაურებოდეს და თავისი პურუთვნელი შეფასება არ მიეცეს.

ღვაწლმოსილი მეცნიერი ასევე სისტემატურად ეხმაურებოდა ერის მნიშვნელოვან საჭირბოროტო საკითხებს. ტელევიზიით გადმოიცა და ბევრს ახსოვს 9 აპრილის ტრაგედიის გამო მისი უაღრესად შთამბეჭდავი, გაბედული, მიმართულების მიმცემი გამოსვლა 11 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში

უმაღლეს ფორუმზე, საქართველოს მთავრობისა და საკავშირო ხელისუფლების წარმომადგენელთა წინაშე, და ეს მაშინ, როდესაც ჯერ არავინ იცოდა, მოვლენები როგორ და საითკენ განვითარდებოდა! (ამ გამოსვლის ტექსტი ავტორმა აღადგინა და კიდევაც გამოაქვეყნა).

ბატონი ალექსანდრე ჭაბუკური გატაცებით შეხვდა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას და ყოველნაირად დაუჭირა მხარი ახალარჩეულ მთავრობას, მაგრამ არც კრიტიკას მორიდებია. ამის დასტურია მისი გამოსვლა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1991 წლის 30 სექტემბერს, რომელიც პრინციპულობითა და ემოციური ძალით არაფრით ჩამოუვარდებოდა აკადემიაში მის ადრინდელ გამოსვლას.

¤

იმ დიდი ეროვნული საგანძურის გვერდით, რომელიც ალ. ბარამიძემ თავისი მეცნიერული ძიებებით შექმნა, უნდა მოვიხსენიოთ მისი ბიბლიოთეკა. იგი ბატონი ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, თანახმად მისი ანდერძისა, გადაეცა აკად კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს (აქ ამ ბიბლიოთეკას წარმოვადგენთ იმ სახით, როგორიც მას 1986 წელს ჰქონდა).

ბატონი ალექსანდრეს ბიბლიოთეკა მოთავსებული იყო მის სამუშაო ერთ მოზრდილ ოთახში. უმეტესი წილი წიგნებისა ელაგა ყველაზე გრძელი კედლის გასწვრივ ჩვენებური დურგლის კუსტარულად ნაკეთებ ერთიან ღია თაროებზე, იატაკიდან ჭერამდე. დანარჩენი სამი კედელიც დახურულ ფაბრიკულ თაროებში მოთავსებულ წიგნებს ეჭირა. უადგილობის გამო წიგნები თითქმის ყველა თაროზე რამდენიმე წყებად ელაგა. ამავე მიზეზით ბევრიც ყუთებში ჩაწყობილი ინახებოდა. ფართო ძველებური საწერი მაგიდაც მუდამ ახალი წიგნებით იყო სავსე.

ალ. ბარამიძის ბიბლიოთეკა ორი ნაწილისაგან შედგება. ერთია ქართველოლოგია (ქართული ენა, ლიტერატურა, ისტო-

რია, ხელოვნება, საერთოდ, ქართული კულტურა), მეორე – აღმოსავლეთმცოდნეობა, საკუთრივ ირანისტიკა. აქ წარმოდგენილია სპარსული და სპარსულენოვანი მწერლობა დედნებითა და თარგმანებით. მაგალითად: *„ვის-ო-რამინის“*, ანუ *„ვისრამიანის“*, დედნის კალკუტური და თეირანული სამი იშვიათი გამოცემა; ფირდოუსის *„შაჰ-ნამეს“* რამდენიმე გამოცემა, მათ შორის, მოსკოვური აკადემიური ათტომეული, მისი ქართული ვერსიების სამტომეული. აქვეა რუდაქის, ნიზამის, ომარ ხაიამის, ხოსრო დეჰლევის, საადის, ჰაფიზის, ჯამისა და სხვათა გამოცემები სპარსულ, რუსულ, ქართულ და სხვა ენებზე; სპარსულენოვანი ლიტერატურის ისტორიისა და სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ამსახველი სპეციალური ლიტერატურა, ლექსიკონები, სახელმძღვანელოები და ა. შ.

რა თქმა უნდა, ბიბლიოთეკის ძირითადი ნაწილია მისი ქართველოლოგიური განყოფილება. აქ დაცულია *„ქართლის ცხოვრების“* იმდროინდელი ყველა გამოცემა, მათ შორის, მარი ბროსეს და დავით ჩუბინაშვილისა, რომელიც XIX საუკუნის 50-იან წლებში პეტერბურგში განხორციელდა; თედო ჟორდანიას *„ქრონიკების“* სამივე ტომი, დიმიტრი ბაქრაძის, მოსე ჯანაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილისა და სხვათა პუბლიკაციები..

ბიბლიოთეკაში ინახება ძველი და ახალი ქართული მწერლობის ძეგლთა ბევრი იშვიათი გამოცემა: *„საქართველოს სამოთხე“* მიხეილ საბინინისა (პეტერბურგი, 1882 წ.), პლატონ იოსელიანის პუბლიკაციები, ნიკო მარისეული გამოცემები – *„ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“*, *„ძველი ქართველი მეხოტბენი“* და სხვა.

ახალი მწერლობიდან აღსანიშნავია აკაკი წერეთლის თხზულებანი, რომლებიც ივანე ელიაშვილის მიერ არის ნასწორები, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მიხეილ გედევანიშვილისეული გამოცემა და სხვანი.

ბიბლიოთეკა განსაკუთრებით მდიდარია რუსთველოლოგიური ლიტერატურით. აქ არის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი, 1712 წლის ვახტანგ მეექვსისეული, გამოცემა, 1841 წელს მ. ბროსეს, დ.

ჩუბინაშვილისა და ზ. ფალავანდიშვილის მიერ პეტერბურგში განხორციელებული მეორე და ასევე პეტერბურგში 1846 და 1860 წლებში გამოსული დ. ჩუბინაშვილისეული მესამე და მეოთხე გამოცემანი. ალ. ბარამიძეს აქვს გ. ქართველიშვილისეული გამოცემის (1888) სანიმუშო ეგზემპლარი, სადაც მ. ზიჩისეული სურათების პროტოტიპებია დასახელებული; აქვეა დ. კარიჭაშვილის, იუსტ. აბულაძის, ს. კაკაბაძისა და სხვათა რევოლუციამდელი პუბლიკაციები, საბჭოთა ხანის ყველა გამოცემა, მათ შორის სამივე საზღვარგარეთული.

ბიბლიოთეკაში დაცულია „ვეფხისტყაოსნის“ თითქმის ყველა თარგმანი; შვიდივე გერმანული (ა. ლაისტის, ჰ. ჰუპერტის, ჰ. ბუდეზინგის, რ. ნოიკომის, მ. წერეთლის, ვიქტორია რუიკა ფრანცის, ნ. ჯანელიძისა), ოთხივე ინგლისური (მ. უორდროპის, გ. ურუშაძის, რ. სტივენსონის, ქ. ვივიანისა), ოთხივე ფრანგული (ა. ბორენის, , გ. გვაზავას, ე. ორბელიანისა და იორდანიშვილის, ს. წულაძისა), აგრეთვე იტალიური, ესპანური, ჩინური, ორივე იაპონური (მათ შორის, იპეი ფუკუროს თარგმანის რიობეი კომიამას მდიდრული გამოცემა, ტოკიო, 1972 წ.), ებრაული (ბ. გაპონოვისა), პოლონური (კ. ლაფჩინსკის, ე. ზაგურსკისა), უნგრული (ბელა ვიკარის, შანდორ ვერეშისა), ჩეხური, ბულგარული, რუმინული, სლოვენური, სპარსულ-ტაჯიკური, მონგოლური, არაბული, საბჭოთა კავშირის ენებზე არსებული თარგმანები; რასაკვირველია, ყველა რუსული თარგმანი, მათ შორის, კ. ბალმონტის პირველი, არასრული, მ. და ს. საბაშნიკოვებისეული მოსკოვური (1917 წ.) და სრული, მონუმენტური პარიზული (1933 წ.) გამოცემები.

ბიბლიოთეკაშია საკვლევაძიებო ხასიათის დიდძალი ლიტერატურა სხვადასხვა ენაზე, განსაკუთრებით, ძველი ქართული მწერლობის საკითხებზე: *„ბედი ქართლისას“* სრული კომპლექტი, კ. სალიას *„ქართველი ერის ისტორიის“* ორივე ფრანგული გამოცემა (პარიზი, 1980, 1983 წწ.) და მისი ინგლისური თარგმანი (პარიზი, 1983 წ.); სანტიაგო-დე-ჩილესა, ბუენოს-აირესსა და პარიზში დასტამბული ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური ნაშრომების ექვსტომეული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟურნალებიდან ამოკრებილი და წიგნებად აკინძული სპეციალური ლიტერატურის ოცამდე დიდი ტომი (ეს ნამდვილად უნიკალური რამ არის!).

ბიბლიოთეკის ერთი კუთხე დაკავებული ჰქონდა ხელნაწერებისა და წიგნების კატალოგებსა და აღწერილობებს (თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ე. თაყაიშვილი, ალ. ცაგარელი, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, რ. ბლეიკი, ჟ. გარითი, დ. ბარეტი, ი. ასფალგი, რ. ორბელი, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდების აღწერილობანი და სხვა).

ბიბლიოთეკა მდიდარია საცნობარო მასალებით — ენციკლოპედიებით, ლექსიკონებით, გზამკვლევებით...

ბიბლიოთეკაში შენახულია ზოგიერთი წიგნი, კრებული, ჟურნალი, რომლებიც სტამბაში კი ჩავიდა, ოღონდ აღარ დაბეჭდილა, ანდა გამოქვეყნდა სხვა რედაქციით.

ალ. ბარამიძის ბიბლიოთეკაში შესულია მისი სიმამრის, ცნობილი ექიმის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ელიაშვილის შედარებით მცირე, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი წიგნადი კოლექცია ავტორთა სამახსოვრო წარწერებით. ასეთებია, მაგალითად, ნ. მარის შრომები, ალ. ხახანაშვილის რუსული „ნარკვევების“ სამტომეული, მ. თამარაშვილის *„ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“*, ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ნაწერები და სხვა.

სამახსოვრო წარწერები ამკობს ალ. ბარამიძის ბიბლიოთეკის ბევრზე ბევრ წიგნს. ნიმუშად დავიმოწმებ ზოგიერთ მათგანს:

„დ-დ პატივცემულ ალ. ბარამიძეს ავტორისაგან, 1928. 15. II“ (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სამართლის ისტორია, I, 1928).

„შეგულითადესი სიყვარულით ძვირფას საშა ბარამიძეს. ჰ. ინგოროყვა. 27. V. 1938 წ.“ (პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, 1938).

„ალექსანდრე ბარამიძეს, ისტორიკოსს, პოეტს, მეგობარს, ავტორისაგან, 1949. 24. XI“ (ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ერთტომეული, 1949).

„პროფესორ ალექსანდრე ბარამიძეს, ქართული მწერლობის დიდ მოამაგეს. კ. გ ა მ ს ა ხ ურ დ ი ა“ (კ. გამსახურდია, დავით აღმაშენებელი. ტეტრალოგია, I, 1954).

„პროფესორ ალექსანდრე ბარამიძეს მშური სიყვარულით. სიმონ ჩიქოვანი, 1963 წელი, თბილისი“ (ს. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ლექსები, პოემა, 1960).

„ძვირფას ალექსანდრე ბარამიძეს, ერთ დროს მოწაფეს, ამჟამად კოლეგას. ავტორისაგან. 25. I, 1966“ (ა. შ ა ნ ი ძ ე, დღევანდელი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში, 1965).

„აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს ღრმა პატივისცემით და მშური სიყვარულით. ირაკლი აბაშიძე. 1965“ (ი. ა ბ ა შ ი ძ ე, რუსთაველის ნაკვალევზე, 1965).

„ბატონ ალექსანდრე ბარამიძეს! დიდებულ მწერალს, მეცნიერსა და ერისკაცს უზომო პატივისცემით. ნ. დუმბაძე. 17. IV. 74 წ.“ (ნ. დ უ მ ბ ა ძ ე, ოთხი რომანი, 1973).

„Моему дорогому, любимому, учителю, наставнику, научному вдохновителю и инициатору этой книги – высокодостойному Александру Георгиевичу, академику Барамидзе с чувством благодарности от автора – Косарика Дмитро. 5. 04. 84. Миргород“ (დმიტრო კ ო ს ა რ ი კ ი, Братні зорі, 1983).

ეს წარწერები და მიძღვნები ყოველთვის არ არის მარტო ჩვეულებრივი კეთილიურთიერთობისა და პატივისცემის გამოხატულება. ზოგჯერ ისინი გარკვეული ისტორიული მოვლენების, დაძაბული მეცნიერულ-შემოქმედებითი თანამშრომლობის ამსახველია. ასე, მაგალითად:

თავის დროზე სერიოზული საფრთხე შეექმნა კ. კეკელიძის *„ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“* მეორე ტომის მესამე გამოცემას. მას შემდეგ, რაც მის რედაქტორად ალ. ბარამიძე დაინიშნა და მან საჭირო რედაქციული სამუშაოები ჩაატარა, წიგნმა 1952 წელს დღის სინათლე იხილა. თავისი კმაყოფილება ავტორმა რედაქტორისადმი მიძღვნილ წიგნზე ასე

გამოხატა: „ღრმად პატივცემულ პროფესორს ალექსანდრე ბარამიძეს, ნიშნად უღრმესი მადლობისა, ავტორისაგან. 1952. IX, 4".

მსგავსი სიძნელეები შეიქმნა შ. ნუცუბიძის წიგნის *„რუსთაველის შემოქმედება"* რუსულ ენაზე გამოცემის დროსაც. აქაც საკმარისი გახდა ბატონი ალექსანდრეს რედაქტორული ხელის ჩარევა და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ავტორის მიერ ნაჩუქარ წიგნზე იკითხება: „ჩემს უბადლო რედაქტორს, სახელოვან რუსთველოლოგს პროფ. ალექსანდრე ბარამიძეს. ავტორისაგან. 5. II, 59, თბილისი".

1963 წლის 31 ოქტომბერს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, საიათნოვას იუბილეზე სიტყვით გამოვიდა ალ. ბარამიძე. სხვა ქართველებთან ერთად იუბილეს დასწრებია იოსებ ნონეშვილი. თანამემამულე ორატორის გამოსვლით გამოწვეული აღფრთოვანება პოეტს იმით გამოუხატავს, რომ მისთვის უჩუქნია საიათნოვას ლექსების რუსული თარგმანი, რომელიც იმხანად დაიბეჭდა და, როგორც ჩანს, იქვე იყიდებოდა. წიგნს კი ასეთი წარწერა გაუკეთა: „სახელოვან მეცნიერსა და მამულიშვილს ალექსანდრე ბარამიძეს ვუძღვნი საიათნოვას ლექსთა კრებულს მოსკოვ-ქალაქში, სვეტებიან დარბაზში, სადაც ჯუმბარიტად გავიხარეთ მისი – ა. ბარამიძის – მგზნებარე და შინაარსიანი სიტყვით საიათნოვასადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე. იოსებ ნონეშვილი. 31. X. 63. მოსკოვი".

მიკოლა ბაჟანს თავისი წიგნები ბატონ ალექსანდრესთვის უკრაინულ ენაზე შესრულებული წარწერებით მიუძღვნია, რომლებშიაც უღრმესი მადლობით არის აღნიშნული ქართველი მეცნიერის მიერ მისთვის *„დავითიანის"* თარგმნისას გაწეული დახმარება.

ალ. ბარამიძეს აქვს საკმაოდ მდიდარი არქივი: მიმოწერა, დოკუმენტები, დღიურები, ჩანაწერები და მისთანანი. მაგალითად, მეცნიერს შემოუნახავს იოსებ გრიშაშვილის ექსპრომტი, რომელიც პოეტს მისთვის უძღვნია თბილისის უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე:

„პროფ. ალ. ბარამიძეს

(ექსპრომტი)

რატომღაც შენი სინათლე
ყველგან დამყვება მამულში,
შენა ხარ დიდი სინდისი,
შენა ხარ დიდი ნამუსი.

იქნება ცეცხლი აენთო,
თუ არწივებმა მოგბაძა,
შაბაშ, ეგ შენი კაცობა,
შაბაშ, შენს ქართველობასა!

18. 4. 52
დედაქალაქი
უნივერსიტეტი
კონფერენციის სხდომაზე!“

ბატონმა ალექსანდრემ პატარა ბიბლიოთეკა გაუხსნა თავისი მშობლიური სოფლის ჯუნჯუათის სკოლას, რომელსაც, ვიდრე ქვეყანა აირეოდა, ჟურნალ-გაზეთებს უწერდა და ახალი წიგნებით ამარაგებდა.

შემთხვევით არ მოგვიხსენებია ალ. ბარამიძის ბიბლიოთეკა ეროვნულ საგანძურად. ჯერ ერთი, ამ ბიბლიოთეკის იშვიათი წიგნებით ბევრი სარგებლობდა, უმეტესად მისი მოწაფეები და თანამშრომლები. მეორეც, მეცნიერს ადრიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა, თავისი ბიბლიოთეკა და არქივი ანდერძით დაეტოვებინა რომელიმე სამეცნიერო დაწესებულებისთვის. საამისოდ მან გარკვეული თადარიგიც დაიჭირა: გამოყო და ცალკე დაალაგა ის წიგნები, რომელთა ოჯახში დატოვება სურდა. სიცოცხლის ბოლოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არჩევანი აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტზე გააკეთა. მისი წადილი ოჯახმა უმალვე აღასრულა.

¤

ალექსანდრე ბარამიძის კაბინეტში, წიგნების ამ სამყაროში, როგორც იტყვიან, სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა. აქ გვიან

საღამომდე შუქი არა ქრებოდა და ჩვენი წარსულის არა ერთ მნიშვნელოვან მოვლენას შუქი ეფინებოდა. 90 წელს გადაშორებული ალექსანდრე ბარამიძე თავისი შრომისმოყვარეობით, ნიჭითა და უნარით კვლავ და კვლავ სამაგალითო მოაზროვნედ რჩებოდა!

მწუხრი მეცნიერისა[1]

ალექსანდრე ბარამიძემ ბოლომდე შეინარჩუნა შრომის საოცარი უნარი. ცხრა ათეული წლების სიმძიმის მიუხედავად, კვლავ სისხლსავსე ცხოვრებას ეწევა. 1990-1993 წლებში ლექციებს ისევ კითხულობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში; არის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მრჩეველი და, როგორც ავტორი და რედაქტორი, ენერგიულად უძღვება ქართული ლიტერატურის მრავალტომეულის მომზადების სამუშაოებს. ადგენს პირველი ტომის — *ძველი ქართული ლიტერატურის* — გეგმას და მისთვის წერს ნარკვევებს; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეოდ წერს *ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ისტორიას*; როგორც „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სარედაქციო კოლეგიის მთავარი რედაქტორი, დაუღალავად იღვწის შოთა რუსთველის უკვდავი ქმნილების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის საშვილიშვილო საქმის განხორციელებისათვის. ამავე წლებში მუშაობს თავისი *მემუარების* მეორე წიგნის („*ახლო წარსულიდან*“) მომზადებაზე. უყურადღებოდ არ რჩება ძველი ქართული მწერლობის დარგში გამოქვეყნებული არც ერთი დიდი თუ პატარა, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო გამოკვლევა და წერილი; ყველას კითხულობს და, რომლებსაც მიუღებელი ან სადავო აზრის შემცველად მიიჩნევს, წერილობით ეხმაურება.

---

[1] გამოქვეყნებული იყო „*ნაკადულის სალიტერატურო გაზეთში*“ (ოქტომბერი, 1997, № 18, გვ. 6).

ბოლო კორექტურა გაუკეთა თავისი „*ნარკვევების...*“ მეცხრე ტომს, რომელიც, ჩვენდა სამარცხვინოდ, 1997 წლამდე ვერ დაიბეჭდა. მაშინ დაიბეჭდა, მაგრამ პრივატიზაციასთან დაკავშირებული არეულობის გამო სტამბაშივე განადგურდა და ოცდაათიოდე ცალი გადარჩა. გამოსაცემად გამზადებული დატოვა ამავე „*ნარკვევების...*“ მეათე ტომი, რომელიც აქამდე არ გამოცემულა და ოჯახშია დაცული.

აღნიშნულ წლებში, პრესის ბუმის დროს, როცა ზედიზედ ნაირნაირი გაზეთი და ჟურნალი გამოდის და ათასგვარი ათეული წლობით ტაბუდადებული მასალები ქვეყნდება, მხცოვანი მეცნიერი ქართულ და რუსულ ენებზე არსებულ ამ ზღვა მასალას საოცარი სისრულით ეცნობა და ყურს უგდებს ქვეყნის მაჯისცემას. ახალგაზრდული შემართებით მონაწილეობს სამეცნიერო სესიებსა და დისკუსიებში.

და ყველაფერ ამას აკეთებს ცალი, ნაოპერაციევი, ხელოვნური ბროლჩასმული თვალის ამარად დარჩენილი საუკუნის თანატოლი კაცი.

მაგრამ სანამდე შეიძლება დროს გაუმკლავდე?! ასაკმა თავისი გაიტანა. 1993 წლის სექტემბრიდან ბატონი ალექსანდრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების კითხვას თავს ანებებს. დეკემბრის ბოლოს უკანასკნელად მიდის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე....

1994 წლის იანვარ-თებერვალში სოფელში ვიყავი. დედის გარდაცვალების შემდეგ მარტომყოფ მამას ზამთრის გადატანა გავუადვილე. თებერვლის ბოლოს რომ ჩამოვედი, მეზობლებმა სულმოუთქმელად მამცნეს, ბატონი ალექსანდრე ყოველდღე გკითხულობსო. იმავე წუთში ვეახელი (ჩვენ ერთ სადარბაზოში ვცხოვრობდით). მან თავისი „*ნარკვევების...*“ მეათე ტომის მასალები მიჩვენა და საქმიანად მითხრა: *ამით ჩემი მეცნიერული მუშაობა დამთავრდაო.*

ბატონი ალექსანდრე ბოლო წლებში, რასაც კი დაწერდა, გადაბეჭდვამდე მაკითხებდა ხოლმე. როცა თავისი მოგონებების „*ახლო წარსულიდან*“ მეორე შევსებული გამოცემისათვის გამ-

ზადებულ სტატიებს გავეცანი, ვნახე, ბოლოსიტყვაობისთვის *„ეპილოგი“* დაერქმია. შევიშნე: შესანიშნავ ფორმაში ბრძანდებით, დასაწერი უამრავი გაქვთ, ძველებური წარმატებით მუშაობთ და თქვენს ამ წიგნის *„ეპილოგს“* რატომ ურთავთ-მეთქი. მაშინ დამიჯერა და იგი შეცვალა სიტყვებით – *„ეპილოგის მაგიერ“* (ეს წიგნი 1987 წელს გამოვიდა).

თებერვლის ბოლოს, აღნიშნული შეხვედრისას, ეს ამბავი შევახსენე. მანამდე, როცა ერთხელ გამანდო, წერა მიჭირს, ხელი მელღებაო, ვუთხარი: რომან დოლიძე აკაკი შანიძის მოგონებებს მაგნიტოფონზე იწერს და იქნებ, ეს საშუალება თქვენც გამოგეყენებინათ-მეთქი. ეტყობა, ესეც გაახსენდა და მიპასუხა: *მაშინ სხვა იყო, ახლა არც წერა და კითხვა შემიძლია და არც ჩემს გონებაზე დაყრდნობა შეიძლებაო.* აქვე ვიტყვი: ბოლო წერილი, რომელიც მან გაზეთ *„ლიტერატურულ საქართველოში“* 1994 წლის ოქტომბრის დასაწყისში დაბეჭდა, 26 სექტემბრით არის დათარიღებული.

ბატონმა ალექსანდრემ მაშინ (რისთვისაც დამეძებდა) თავისი *„ნარკვევების“* ის მეათე კრებული, სუფთად გადაბეჭდილი და საქაღალდეში მოთავსებული, გადმომცა და ალექსანდრე გვახარიასთან ერთად მისი რედაქტორობა მთხოვა. მე შევთავაზე, რედაქტორი ალექსანდრე გვახარია ყოფილიყო, ხოლო მე რეცენზიას დავწერდი. *არაო, რასაც გთხოვ, ის შემისრულეო.*

ამ სტატიების უმრავლესობა წაკითხული მქონდა და დავალებას ერთ კვირაში მოვრჩი. ავტორს რამდენიმე შენიშვნა შევუთანხმე, შემდეგ ნინო მახათაძესა და ბონდო არველაძეს რეცენზიები დავაწერინე და ნაშრომს მის თვალწინ დავაწერე: *რედაქტირებულია-მეთქი.* ბატონ ალექსანდრე გვახარიას, ისე წავიდა ამქვეყნიდან, იგი არ უნახავს, ამბობდა, მეტი რა რედაქტორობა უნდა, ბეჭდვისას გავეცნობიო. მას შემდეგ ამ კრებულის გამოცემა არავის უცდია, როგორც ზემორე აღვნიშნეთ, იგი ალექსანდრე ბარამიძის ოჯახში ინახება და საჭიროა, მან დღის სინათლე იხილოს.

ალექსანდრე ბარამიძემ, ყოველმხრივ ვალმოხდილმა, თავისი ფიზიკური შესაძლებლობა მთლიანად ამოწურა, ბოლომდე დაიხარჯა. ცხოვრებას ქართული პოეზიით გამოეთხოვა.

ერთ გვიან საღამოს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონების ხმამაღლა წარმოთქმა დაიწყო. უმცროსი ვაჟიშვილის, გიორგის შენიშვნაზე, *რას შვრები, მამა, შუაღამეა, რა დროს რუსთველიაო,* სიკვდილს შებმულმა სწავლულმა გაოცებით უპასუხა; *რუსთველის დრო ყოველთვის არისო!* „ვეფხისტყაოსანს“ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსები მიაყოლა. ღამის პირველ თუ ორ საათამდე გაგრძელდა ასე. მეორე დღეს უმცროსი შვილიშვილის, ეკას, ალერსზე ცოტა ხანს გაახილა თვალები. გაუჭირდა თავისი სისხლხორცის ცნობა.— შენა ხარ, ეკუნა, ჩემო ციცინათელაო? — წუთით გონს მოსულმა სუსტი ხმით მიესათუთა შვილიშვილს. მერე თვალები დახუჭა და აღარ გაუხელია.

ხუთი დღის შემდეგ, 29 დეკემბერს[1], დაახლოებით 12 საათზე ალექსანდრე ბარამიძე გარდაიცვალა. 5 იანვარს დავასაფლავეთ. განისვენებს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მტკიცედ მჯერა: ვიდრე ქართველი ერი იარსებებს, რუსთველის, ბარათაშვილის, გალაკტიონის პოეზიის, ქართული კლასიკური მწერლობის დრო ყოველთვის იქნება. ასევე დარჩება მათთან წილნაყარი დიდი მეცნიერის, ალექსანდრე ბარამიძის, სახელიც.

---

[1] ენციკლოპედია *„საქართველოს“* პირველ ტომში (1997) ბატონი ალექსანდრეს გარდაცვალების თარიღად დასახელებულია 30 დეკემბერი, რაც სწორი არ არის (გვ. 355. ამ სტატიის პირველი რედაქციის ავტორი იყო სარგის ცაიშვილი, დამატებითი ცნობები ეკუთვნის გურამ შარაძეს). ეს უზუსტობა გამეორებულია ალექსანდრე გვახარიას წერილშიც: ქართული ფილოლოგიის დიდოსტატი („მწიგნობარი-02“, თბ., 2002, გვ. 278).

ანდერძი

ვინაიდან ბატონი ალექსანდრეს ანდერძი (ავტორი მას „ანდერძნამაგს“ უწოდებს) ძირითადად და არსებითად მის ბიბლიოთეკასა და არქივს ეხება, ბარემ აქვე მას სრულად წარმოვადგენ[1]:

ანდერძნამაგი

1976 წ. „14“ მაისი. ქ. თბილისი

ამ „ანდერძნამაგს“ ვწერ სრულ ცნობიერ ვითარებაში (მაგონდება მამაჩემის სიტყვები ანდერძი კაცს არ მოკლავსო). კაცმა რომ თქვას, საანდერძო დასაბარები, მით უფრო გასაუოფი სამემკვიდრო, თითქმის არაფერი მაქვს. მაინც ვამჯობინებ ნაფიქრის წერილობითს ფიქსაციას.

1. ჩემი მთავარი ქონებაა არქივი და ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა თუმცა ჰატარაა, თავისი ჰროფილის კვალობაზე რიგიანია (მაქვს ზოგიერთი იშვიათი წიგნი). არქივი უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს ხელნაწერთა ინსტიტუტს. ბიბლიოთეკას გამოეყოს ენციკლოპედიები (БСЭ, МСЭ, ქსე) და უცხოელ კლასიკოსთა მხატვრული თხზულებანი. ესენი დარჩეს შინ. შინვე უნდა დარჩეს ორი თაროს ლიტერატურა, რომელიც მოიცავს ჩემს ნაწერებს (წიგნებს, ანაბეჭდებს, კრებულებს ჩემი სტატიებით...). ბიბლიოთეკის ძირითადი ნაწილი სასურველია შეიძინოს ხელნაწერთა ინსტიტუტმა ან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ (ლიტერატურის ინსტიტუტსა და უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტს, სამწუხაროდ, ბიბლიოთეკის შესაფერისად მოვლა-დაცვის საშუალება არა აქვთ). ჩემი თხოვნაა: ჩემი კოლექციის წიგნებს, გარდა დუბლიკატებისა, ხელზე ნუ გას-

---

[1] ადრე გამოვაქვეყნეთ იქვე, სადაც ზემორე მოყვანილი მცირე წერილი „*მწუხრი მეცნიერისა*“ დავბეჭდეთ („ნაკადულის სალიტერატურო გაზეთი“, 1997, № 18, გვ. 6). შემდეგ იგი არ გამოქვეყნებულა. დაყოფა ჩვენია.

ცემენ. ბევრი წიგნი ნაჩუქარია და საავტორო სამახსოვრო წარწერები ახლავს.

ჰატარა ბიბლიოთეკა შევუქმენი ჩემი სოფლის სკოლას. მის შევსებაზე კვლავაც ვიზრუნებ.

2. თუ ჩემი ნაწერების გამოცემის საკითხი დაისვას, სასურველია ეს საქმე მიენდოს ჩემი მოწაფეების ჯგუფს (ელენე მეტრეველს, ლევან მენაბდეს, ივანე ლოლაშვილს, სარგის ცაიშვილს, ალექსანდრე გვახარიას, ელგუჯა ხინთიბიძეს, გივი მიქაძეს, ბორის დარჩიას, გურამ შარაძეს).

გამოცემიდან მიღებული ჰონორარი თანაბრად გაუნაწილდეს ჩემს სამივე შვილს – არჩილს, ლეილას და გიორგის.

3. წავკისის აგარაკი გადავიდეს ჩემი უმცროსი შვილის გიორგის მფლობელობაში. მასვე დაუმტკიცდეს ფიატის მარკის („ჟიგულის“) მსუბუქი ავტომანქანა.

4. ჩემი საკუთარი ერთოთახიანი ბინა ჩემი დის თამარის შემდეგ დაუმტკიცდეს ჩემს შვილიშვილს ლევან გიორგის ძე ბარამიძეს.

5. ჩემი შვილიშვილების – ნინო არჩილის ასულ ბარამიძისა და ქეთევან გივის ასულ გაფრინდაშვილისათვის დაგროვილი მაქვს მცირეოდენი თანხა შემნახველ სალაროში; თუ სიცოცხლეში ვერ მოვასწარი შემნახველი სალაროს წიგნაკების დანიშნულებისამებრ გადაცემა, ეს განხორციელდეს ჩემი სიკვდილის უმალვე.

მცირეოდენი თანხა „შავი დღისათვის“ სიცოცხლეშივე გადავუნახე ჩემს დას თამარს.

6. შემნახველ სალაროში ჩემს ჰირად ანგარიშზე არსებული თანხა, ისე როგორც ბიბლიოთეკის რეალიზაციისაგან მიღებული თანხა, გადავიდეს ჩემი შვილის გიორგის განკარგულებაში ჩვენი კოოპერატიული ბინის დავალიანების დასაფარავად, დასაფლავების ხარჯების გაწევისათვის და აგრეთვე ჩემი, ჩემი მეუღლისა და მშობლების საფლავების მოვლა-ჰატრონობისათვის.

7. მე ბეჯითად მოვითხოვ, არავითარ შემთხვევაში არავითარი „ქელეხი“ და „ორმოცი“ არ მოეწყოს. კარგი იქნება, თუ ჩემიანები ტრადიციისამებრ შეიკრიბებიან და მოიგონებენ ჩვენი ბედნიერების დღეს 14 იანვარს.

8. ბიბლიოთეკა და არქივი ერთხანს დარჩეს ჩემს ბინაში.

9. ფოტო-არქივი საერთოდ დარჩეს შინ. საჭირო შემთხვევაში შეიძლება მათი ჰირების (ფოტო-ჰირების) გადაღება.

10. შვილებსა და შვილიშვილებს ვთხოვ ერთმანეთის სიყვარულს და გარდაცვლილი მშობლების („ბაბულინკას“ და ბაბუს) სხოვნის ჰატივისცემას.

11. ყველა ჩემიანს, ჩემს მახლობელსა და ჰატივისმცემელს, ჩემს მოწაფეებსა და თანამშრომლებს ვემშვიდობები გულითადი სიყვარულით. ყველა ჩვენგანისათვის სანატრელი ბრძენი სულხან-საბა ორბელიანის სიტყვებით: „ჩემს უკან, ღმერთმან ქმნას, ჩვენს ქვეყანაში უკეთესობა შეიქმნასო“.

ალექსანდრე გიორგის ძე ბარამიძე

თბილისი, 27 აჰრილი, 1976 წელი.

ეს „ანდერძნამაგი“ ხელის მანქანაზეა გადაბეჭდილი და იმავე წლის 14 მაისს სათანადოდ დამოწმებულია ქ. თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის სახელმწიფო ნოტარიუს გ. ამისულაშვილის მიერ.

1984 წელს ალექსანდრე ბარამიძეს დაუწერია *„ანდერძნამაგის დამატება“*, რომელიც იმავე დალუქულ კონვერტში ხელნაწერის სახით იდო.

ანდერძნამაგის დამატება

I. არქივი და ბიბლიოთეკა ხელნაწერთა ინსტიტუტს გადაეცეს უსასყიდლოდ, ოღონდ შემდეგი აუცილებელი ჰირობით:

1. ჩემი წიგნები არ შეერიოს ინსტიტუტის წიგნად ფონდს (არ შეერწყას, არ გაითქვიფოს მასში);

2. საარქივო მასალები და წიგნები არ გაიცეს ხელზე (ინსტიტუტის გარეთ);

3. ჩემი არქივითა და წიგნებით ისარგებლონ მხოლოდ სამეცნიერო მიზნით;

4. ჩემი დიდი სურვილია, რომ ინსტიტუტში შეიქმნას ჩემი სახელობის ცალკე კუთხე; თუ მოხერხდება, რა თქმა უნდა, აჯობებს დაარსდეს კაბინეტი.

II. ბიბლიოთეკიდან შინ დარჩეს БСЭ, МСЭ, ქსე. ორენოვანი ჩვეულებრივი ლექსიკონები, გარდა ორიენტალისტური ლექსიკონებისა (ეს უკანასკნელნი გაჰყვეს ბიბლიოთეკას ინსტიტუტში); შინ დარჩეს აგრეთვე ქართველ კლასიკოსთა ნაწერების თითო გამოცემა, როდესაც რამდენიმე გამოცემაა (დარჩეს უფრო ახალი, ნაკლებ მეცნიერული, საკითხავი გამოცემები); შინ დარჩეს რუსული და უცხოური (დასავლეთევროპული) კლასიკა (ლიტერატურისმცოდნეობითი ნაშრომები კი ძირითადად ბიბლიოთეკას გაჰყვეს); შინ დარჩეს მხატვრული ალბომებიც (რეპროდუქციები); მათ სამეცნიერო მნიშვნელობა არა აქვთ.

III. შინ დარჩეს მარცხენა კარადაში (ახლა ოთხი თაროა) თავმოყრილი ლიტერატურა ჩემი და ჩემზე. ეს დუბლიკატებია. მათი საბადლო ცალები დაცულია ძირითადად ბიბლიოთეკაში (სამწუხაროდ, „ჩემი და ჩემზე“ სრული არ არის).

IV. დუბლიკატად ჩაითვლება წიგნის (ან ანაბეჭდის) ისეთი ცალი, რომელსაც არა აქვს ტექსტში რაიმე შენიშვნა, ან არ მოეპოვება ჩემ მიერ გახაზული ადგილები (ე. ი. სრულიად სუფთაა).

V. ჩემი სოფლის ბიბლიოთეკისათვის გადასაცემი ლიტერატურა ცალკე მაქვს გამოყოფილი.

VI. ბიბლიოთეკას უნდა დაუბრუნდეს უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტში დაცული და ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისათვის დროებით სარგებლობისათვის გადაცემული ჩემეული წიგნები (სია აქვეა).

VII. ფოტოარქივი შინ დარჩეს (მათი საჭირო ფოტოპირები ინსტიტუტმა თვითონ გადაიღოს; შეიძლება ინსტიტუტს გადაეცეს ფოტო-არქივის მასალათა დედნებიც, მაგრამ ფოტოპირები მაინც უნდა დარჩეს შინ).

ალ.ბარამიძე
წავკისი,
29. 8. 84

P. S. რუსთველის კაბინეტშია ვეფხისტყაოსნის თარგმანები ჩინურ (ორი სხვადასხვა თარგმანია თუ ერთი და იმავე თარგმანის ორი გამოცემა), იაპონურ (პირველი ჰარიზული თარგმანი იჰეი ფუკუროსი), ჩეხურ, რუმინულ და უნგრულ ენებზე.

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას აქვს ღაფაროვის სპარსულ-რუსული ლექსიკონი.

კონვერტი გაიხსნა ბატონი ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ.

ამ ანდერძების თანახმად, აღნიშნული არქივი და ბიბლიოთეკა უკვე 1996 წელს უსასყიდლოდ გადაეცა აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს. ხოლო თავისი მშობლიური სოფლის – ლანჩხუთის რაიონის ჯუნჯუათის სკოლას ბატონმა ალექსანდრემ ადრიდანვე შეუქმნა ბიბლიოთეკა და სისტემატიურად ამარაგებდა მას ახალი წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით.

რამდენიმე მოგონება

ბატონი ალექსანდრე, ვიდრე 1954 წლის სექტემბერში ჩვენთან, პირველკურსელებთან, აუდიტორიაში ლექციების წასაკითხავად შემოვიდოდა, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში ტაატით მომავალი დავინახე. მანამდე ასე ნელა მოსეირნე ადამიანი არ მენახა და ამან ჩემი ყურადღება მიიპყრო.

პირველ ლექციაზე ძველი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები რომ ჩამოგვითვალა, ახალგამოცემული *„ქართული ლიტერატურის ისტორიის“* პირველი ტომი დაგვისახელა და კორნელი კეკელიძესთან ერთად თანაავტორად თავისი თავი ახსენა, ძალიან გამიკვირდა. მაშინ მეგონა, წიგნებს, სახელმძღვანელოებს, სადღაც ზემოთ ქმნიდნენ და, თუ მათში ჩემი ლექტორები მონაწილეობდნენ, ვერ წარმომედგინა. ამან ჩემს თვალში იგი ძალიან აამაღლა.

ბატონი ალექსანდრე ძველი ქართული ლიტერატურის კურსს ორ წლის განმავლობაში, პირველ-მეორე კურსზე, გვი-

კითხავდა. შემდეგ მესამე თუ მეოთხე კურსზე რუსთველოლოგია წაგვიკითხა. პრაქტიკულ მეცადინეობაში ჩვენს ჯგუფს, რაიონიდან ჩამოსულები რომ შევადგენდით, ტრიფონ რუხაძე უძღვებოდა, მეორე ჯგუფს, თბილისელებს, — ლევან მენაბდე.

ბატონ ალექსანდრეს შესანიშნავი ლექციები ჰქონდა და მუდამ მონუსხულები ვუსმენდით. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ლექცია ბალავარის სიბრძნეზე.

პირველი კურსის ბოლოს ძველ ქართულ ლიტერატურაში გამოცდები ორივე ჯგუფს ერთად ჩაგვიტარდა. მთელი კურსი ერთ აუდიტორიაში ვიყავით თავმოყრილი, ოღონდ ალექსანდრე ბარამიძე, ტრიფონ რუხაძე და ლევან მენაბდე ცალ-ცალკე გვცდიდნენ. ბატონმა ალექსანდრემ ჩემსა და რევაზ სირაძეზე ბრძანა: *ეს ორი ყმაწვილი მე გამომიგზავნეთო.* დაწვრილებით გამოგვკითხა, ორივეს „ხუთიანები“ დაგვიწერა და გვკითხა: *რომელი წიგნებით იხელმძღვანელეთო.* როცა მე მივუგე, თქვენსა და ბატონი კორნელის *„ქართული ლიტერატურის ისტორიის“* პირველ ტომი ძალიან მოკლეა, ამიტომ კორნელი კეკელიძის *„ძველი ქართული მწერლობის“* პირველი ტომი სრულად დავამუშავე-მეთქი, გაიკვირვა, მაგრამ შევატყვე, კმაყოფილიც დარჩა.

მაშინ ბატონმა ალექსანდრემ ხმამაღლა თქვა: *ჩემი ბებია დარჩია იყოო.*

¤

თავიდან ისე მეჩვენებოდა, ბატონი ალექსანდრე ცივი და მიუკარებია იყო. როგორ გავვოცდი, როდესაც რაღაც საქმეზე მასთან შინ მივედი და მისმა მეუღლემ, ყოველმხრივ ბრწყინვალე მანდილოსანმა **ნინო ელიაშვილმა,** ჩემზე და მაშინ საავადმყოფოში მწოლიარე დედაჩემის შესახებ ყველაფერი იცოდა. იცოდა კი ბატონი ალექსანდრესაგან, რომელსაც ჩემთან ამაზე რაიმე საუბარი არა ჰქონია.

რადგან ქალბატონი ნინო ვახსენე, ერთ პატარა ამბავსაც გავიხსენებ: ერთხელ, გამარტებაზე, მათთან ბინაზე რომ მივდიოდი, სადარბაზოსთან იების გამყიდველი კაცი შემომხვდა. სამი პატარა კონა ია გამოვართვი და ქალბატონ ნინოს მივართვი. ოო,

როგორ გაუხარდა და ამას ჩემთან და სხვებთანაც რამდენჯერ იხსენებდა!

ბატონმა ალექსანდრემ და ქალბატონმა ნინომ 14 იანვარს, ნინოობა დღეს, იქორწინეს. ეს დღე მათ ოჯახში ახალი სტილით ყოველ წელს სუფრით აღინიშნებოდა ხოლმე, რომელსაც ნათესავებსა და ახლობლებთან ერთად ბატონი ალექსანდრეს მოწაფეებიც ესწრებოდით.

ამ და სხვა სუფრებზე, რომლის მონაწილეც მე ვყოფილვარ, ბატონი ალექსანდრე რაიმე აქტივობით არ გამოირჩეოდა. გაოცებული კი დავრჩი, როდესაც ფოტოსურათი ვნახე, სადაც თავისი რძლის, ლალი ლომთათიძის, სოფელში, მეწიეთში, ამ კუთხის სადღეგრძელო ხეზე ასულს წარმოუთქვამს და დაულევია. ამის შემდეგ აღარ გამკვირვებია, როდესაც ირაკლი გოგოლაურის საკანდიდატო დისერტაციის სუფრაზე, რომელიც ფასანაურში გაიმართა, 90 წელს მიტანებულმა ბატონმა ალექსანდრემ არაგვის ნაპირას მიგვიყვანა, დაიჩოქა, მიწას ემთხვია და საქართველოს სადღეგრძელო ყანწით დალია. რა თქმა უნდა, ჩვენც ასე მოვიქეცით.

ბატონი ალექსანდრე ყოველთვის გამოირჩეოდა უაღრესი სიდინჯითა და თავშეკავებულობით, მაგრამ ერთ-ერთ სამეცნიერო სესიაზე ისე შეება სარგის კაკაბაძეს, ყველასთვის ცხადი გახდა, მასთვის გურული სიფიცხეც უცხო როდი ყოფილა.

¤

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, როგორც ურყევი წესი, ეძლეოდათ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს. 1987 წელს მოხდა გამონაკლისი, — მიეცა მეცნიერს, აკაკი შანიძეს, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერული დადგენის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის. გავიდა რამდენიმე წელი, მაგრამ სხვა ამგვარი შემთხვევა თუ გამონაკლისი აღარ გამეორებულა (ახლა კი სულ სხვა ვითარებაა).

1994 წელს (გარდაცვალებამდე 10-ოდე თვით ადრე) სიტყვას მოჰყვა და ბატონ ალექსანდრეს ვეუბნები: *კარგი და სამართლიანი საქმე გაკეთდა, ბატონ აკაკის რუსთველოლოგიური დამსა-*

ხურებისათვის რუსთაველის პრემია რომ მიანიჭეს... და ცოტა პაუზის შემდეგ დავუმატე: *უსამართლობად კი მიმაჩნია, ეს ჯილდო ამავე დამსახურებისათვის თქვენ რომ არა გაქვთ, მაგრამ ამის გამოსწორება ახლაც შეიძლება–მეთქი.* ბატონ ალექსანდრეს სახეზე კმაყოფილება შევნიშნე, ხელჩაქნევით კი თქვა: *ახლა მე ვილას ვახსოვარო.*

მისგან რომ წამოვედი, რამდენიმე დღე ამაზე ვფიქრობდი. გადავწყვიტე, დამეწერა საჭირო ტექსტი, შემეთანხმებინა იგი უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე ლევან მენაბდისა და ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელ რევაზ სირაძისათვის და ერთიანი ხელმოწერით მიგვემართა თბილისის უნივერსიტეტის რექტორისა და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისათვის, რათა მათ სათანადო წარდგინება განეხორ–ციელებინათ.

იმ დღეებში სხვა საქმეზე ბატონ ალექსანდრესთან მივედი. წამოწოლილი იყო და გაზეთს კითხულობდა. მისალმებისთანავე წამოიწია და შუაზე გაკეცილი რამდენიმე თაბახის ფურცელი გადმომცა. იმ დღეს რომ მითხარით, მე წარდგინების პატარა გეგმა დავწერე და შეგიძლიათ გამოიყენოთო. აი, ეს ნაწერი:

შავი თეზისები

ალ. ბარამიძის პრემიაზე წარდგინება[1]

გ ე გ მ ა

1. ვეფხისტყაოსნის შედგენილობა.

2. პროლოგის ნამდვილობის დასაბუთება (იზიარებს ნ. მარის თეორიას და უარეყოფს დ. კარიჭაშვილის, კ. კეკელიძის, ალ. სვანიძის და სხვათა შეხედულებას).

---

[1] თავფურცელზე წერია „ალ. ბარამიძის წარდგინება პრემიაზე“ და ქვემოთ თარიღად უზის „1994“.

3. პროლოგის ნამდვილობის დასაბუთება („მაცნე“, 1994, № 2, გვ. 5–9).

4. პროლოგის შედგენილობის თაობაზე (იხ. იქვე).

5. პროლოგი ვეფხისტყაოსნის ორგანული ნაწილია და შიგ ერთგვარი თეორიული ასპექტით აღბეჭდილია ჰოემის თითქმის უველა მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული მოვლენა.

5 (ასეა – ბ. დ.). პროლოგში შემჭიდროებულად და კონცენტრირებულად ხორცშესხმულია უველა ის იდეურ-თემატიკური მოტივი, რაც ნიშანდობლივია ჰოემისათვის. პროლოგის ზოგიერთ მონაცემს ადასტურებს ეპილოგიც („ტარიელ მისსა რუსთველსა“), თუმცა მისი ავთენტიკურობის საკითხი შეიძლება სადავოც იყოს.

6. ვეფხისტყაოსანში დუბლირებულია სიუჟეტური ამბები (ინდოეთისა და არაბეთის ამბები), ასევე პერსონაჟები (ნესტანი-თინათინი, ტარიელი-ავთანდილი, ფარსადანი-როსტევანი). ამ ამბებიდან ეროვნული სინამდვილე უფრო არეკლილია არაბეთის ეპიზოდში, თუმცა ის უცხო არ არის არც ინდოეთის ნაწილისათვის. საქმე შეეხება ქალის გამეფებისა და გათხოვების საკითხებს. ფარსადანის კონსერვატიული შეხედულების მიხედვით, ტახტის მემკვიდრე ქალისათვის უნდა მოიყვანოს ზედსიძე ან თვითონ ზედსიძეც შეიძლება გახელმწიფდეს. რუსთველის პოლიტიკური კონცეფციით, ქალისთვის მთავარია გრძნობის თავისუფლება, საქმროს ნებაყოფლობითი გზით არჩევა და არა გადამთიელი კაცის თავზე მოხვევა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თვითონ საქართველოს სინამდვილე იძლეოდა სათანადო მაგალითს (თამარს თავზე მოახვიეს რუსი უფლისწულის მეუღლეობა, თუმცა არც მის ვინაობას იცნობდა და არც ხასიათს. ამ გარემოებამ არსებული წესის დარღვევა შეაჩერობა) (დედანში ფრჩხილი დახურული არ არის – ბ. დ.).

7. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ თვითონ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი იძლევა საჭირო მასალას (როსტევანმა თავისი ქალი გაამეფა და სიძედ აიყვანა თავისივე ქვეშევრდომი, თუმცა სავსებით ღირსეული ადამიანი – ავთანდილი).

ვეფხისტყაოსნის კონფლიქტური სიტუაცია გათამაშდა ინდოეთში. თუმცა მეფემ და დედოფალმა კარგად იცოდნენ ნესტანისა და

ტარიელის სიყვარულის გარემოება, გადაეღობნენ მათ გრძნობებს, რამაც გამოიწვია უდანაშაულო ხვარაზმშაჰის მის მკვლელობა. აი, ეს არის ვეფხისტყაოსნის მირითადი კონფლიქტური სიტუაცია. ეოველივე თქმულის შედეგად ნესტანი გადაკარგეს, იგი აღმოჩნდა ქაჯების ჯოჯოხეთურ ტყეობაში. საჭირო გახდა ავთანდილის ძმური თავგამოდება, რომ საბოლოო ანგარიშით ნესტანი (აბსოლუტური სიკეთისა და სილამაზის სიმბოლო) დახსნილი ეოფილიეო საშინელი ტყეობიდან. თქმულს იმასაც დავსძენთ, რომ ნესტანის განთავისუფლების საქმეს დიდად დაეხმარა მესამე ძმად შეფიცული მეგობარი ფრიდონი. ამრიგად, მტკიცედ შეიკრა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტური რკალი და გამოიკვეთა ჰოემის უძირითადესი იდეა სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე („ბოროტსა სძლია სიკეთემ (ასეა – ბ. დ.), არსება მისი გრძელია“). არ უნდა დავივიწეოთ, რომ რუსთველის ჰოემაში ასახული ამბავი ეფუძნება უძველესი ქართული ეოფის ვითარებას, ძმადნაფიცობისა და სიყვარულის იდეას. რაღა თქმა უნდა, ქალის კულტის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ქრისტიანობის გავრცელებამ საქართველოში, ღმრთისმშობლის სახელის არაჩვეულებრივმა ჰოპულარობამ ჩვენში და წმ. ნინოს მოღვაწეობამ. დასასრულ იმასაც ვიტყვი, რომ ვეფხისტყაოსანმა წინ წამოსწია დედობრიობის თვითმყოფი რწმენა, რაც ასე არის ჩაქსოვილი ქართულ ენასა და ქართულ აზროვნებაში და რასაც ჰირველად ეურადღება მიაქცია ილია ჭავჭავაძემ (დედამიწა, დედაქალაქი, დედაბოძი, გუთნისდედა, და-ძმა, ცოლ-ქმარი და მისთანანი).

8. ვეფხისტყაოსნის იდეური მრწამსი და რელიგიური აღმსარებლობა ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს და ჰქმნის მსოფლმხედველობრივ ერთიანობას. ამასთან ერთად ისიც სათქმელია, რომ რუსთველის სარწმუნოებრივი აღმსარებლობა ემყარება ქრისტიანობას, სახელდობრ, ქრისტიანობის იმ სახეობას, რომელიც უკავშირდება დიონისე არეოპაგელის (ფსევდო დიონისე არეოპაგელის) სახელს. შ. ნუცუბიძემ და ერნესტ ჰონიგმანმა საკმაოდ დამაჯერებლად დაამტკიცეს, რომ დიონისე არეოპაგელი და ჰეტრე იბერიელი (V ს. ქართველი მოაზროვნე) ერთ და იმავე ჰიროვნებას წარმოადგენენ. კ. კეკელიძემ არ გაიზიარა ეს მოსაზრება, იგი

თვითონ სამართლიანად თვლიდა, რომ რუსთველის ჰოემით ნაგულისხმევი ღმერთი იყო შემოქმედი (კრეაციონისტი) ღმერთი. კ. კეკელიძემ სავსებით დამაჯერებლად დაასაბუთა ჰ. ინგოროყვას კონცეფციის მცდარობა რუსთველის მანიქეველობის თაობაზე. უსაფუძვლო აღმოჩნდა რუსთველის ჰოემით გამოსახული ღმერთის პანთეისტობა. სწავლულმა კათალიკოსმა კალისტრატე ცინცაძემ განავითარა კ. კეკელიძის თვალსაზრისი რუსთველის აღმსარებლობის შესახებ, მაგრამ დაუშვა მძიმე შეცდომები, როცა ვეფხისტყაოსნის წარმოშობა გიორგი მესამის სახელს დაუკავშირა. ვეფხისტყაოსნის ტექსტი საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა და ირყვნებოდა სხვადასხვა გადამწერისა თუ ინტერპოლატორის მიერ. ალ. ბარამიძე ერთი იმათთაგანია, რომელმაც ბევრი დრო და ენერგია მოახმარა ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენის საქმეს. ამჟამად ალ. ბარამიძე არის ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ალ. ბარამიძე 1928 წლიდან მოკიდებული დღემდის განაგრძობს რუსთველოლოგიური ხასიათის კვლევა-ძიებას. 1993 წელსაც კი დაიბეჭდა გაზეთ „მამულში“ (2 მაისი? კარგად არ იკითხება – **ბ. დ.**) ორი საყურადღებო ნარკვევი (ტარიელის ლაშქრობა ხატაეთში, სისხლისა და „სისხლის“ გამო). ჟურნალ „ლაშარში“ მიღებულია დასაბეჭდად მისი გამოკვლევა „ქმნა მართლისა სამართლისა“.

ალ. ბარამიძე ავტორია შეჯამებული ხასიათის დიდი მონოგრაფიული ნაშრომისა „შოთა რუსთველი“, რომელიც პირველად 1958 წელს გამოქვეყნდა. შემდეგ კი ორჯერ გამოიცა გავრცობილ-გადამუშავებული სახით (1966, 1975).

ალ. ბარამიძეს გარკვეული ღვაწლი მიუძღვის როგორც ტექსტოლოგს. მისი მონაწილეობით მომზადდა 1937, 1951, 1957, 1966, 1988 წლების გამოცემები. მას ეკუთვნის რუსთველის ჰოემის ტექსტის რიგი მნიშვნელოვანი გასწორებანი.

ალ. ბარამიძის სამეცნიერო მოღვაწეობას აფასებდნენ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ ჩვენი თანამემამულენიც და უც-

ხოლი ქართველოლოგები (დ. ლანგი, რ. სტივენსონი, ქ. ვივიანი, რუთ ნოიკომი, გ. ჰეჩი, ჰაინც ფენრიხი, ლ. ტარდი, იაროშირ იედლიჩკა და სხვ.). საზღვარგარეთელ თანამემამულეთაგან კი უნდა მოვიხსენიოთ ვიკტორ ნოზაძე, კალისტრატე სალია, მიქელ თარხნიშვილი, ალ. მანველიშვილი. ალ. ბარამიძის ღვაწლს კერძოდ რუსთველოლოგიის სფეროდან ასევე აფასებდნენ კ. კეკელიძე, ექვ. თაყაიშვილი, გ. წერეთელი, გ. ლომიძე, ე. მეტრეველი, ლევან მენაბდე, ს. ცაიშვილი, ა. გვახარია, ბ. დარჩია და ბევრი სხვაც.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ალ. ბარამიძეს დამსახურებისამებრ უნდა მიენიჭოს შოთა რუსთაველის ჰრეშია.

ბატონ ალექსანდრეს „წარდგინება“ ხელმოუწერლად დატოვებია, თუმცა თავიდანვე გავანდე, რომ მას ხელს ლევან მენაბდესა და რევაზ სირაძესთან ერთად მეც მოვაწერდი.

შინ რომ დავბრუნდი და ეს წავიკითხე, გული მეტკინა. ბატონი ალექსანდრე ის ალექსანდრე ბარამიძე აღარ იყო, რომელიც სათქმელს ყოველთვის ზედმიწევნით გამოხატავდა. იმ დღეებში ვატყობდი, თავიდან საუბარს კარგად იწყებდა, მაგრამ მალე იღლებოდა და სიღრმეს კარგავდა. აქაც იგივეა. საქმეს მხოლოდ ტექსტის დასაწყისი და ბოლო ნაწილი ეხება.

როდესაც ბატონი ალექსანდრეს ოთახიდან გამოვედი, გასაცილებლად და კარების დასკეტად მის ვაჟიშვილ გიორგის შევეხიანე და ჩემი განზრახვა გავაცანი. გოგი სასტიკი წინააღმდეგი წავიდა, *რა დროს ეს არისო!* ვუთხარი, ეს სამართლიანი და საჭირო საქმეა და ბატონი ალექსანდრეც თანახმა არის–მეთქი. მან ისევ გაღიზიანებულად მიპასუხა, *ეს მოხუცებულობის მარაზმია და მას ნუ ავყვებითო.*

რაღა მექნა, მეც უკან დავიხიე. მალე ბატონ ალექსანდრეს მოხუცებულობამაც იმძლავრა და ეს საქმე ჩაიშალა.

როცა ამ ამბავს ვიხსენებ, მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო: ბატონ ალექსანდრეს იმდენი მეცნიერული დამსახურება აქვს, მათ შორის რუსთველოლოგიაში, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა იქნება, თუ მას შოთა რუსთაველის

სახელმწიფო პრემია ახლა, გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგ, მაინც მიეცემა[9].

¤

1992 წელს, როდესაც ალექსანდრე ბარამიძის დაბადების 90-ე წლისთავი აღინიშნებოდა, ჩემმა მეგობარმა, საქართველოს რადიოს ლიტერატურულ-დრამატული პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარმა რედაქტორმა, მიხეილ კოპალეიშვილმა, შემომთავაზა, ჩაგვეწერა ბატონ ალექსანდრესთან ინტერვიუ და კითხვარის შედგენა დამავალა. მე უარი ვუთხარი, რადგან ასეთი ინტერვიუ უკვე იყო და დაბეჭდილიც გახლავთ-მეთქი.

ცოტაოდენი ხნის შემდეგ ეს შემოთავაზება ბატონ ალექსანდრეს ვუამბე და ვუთხარი: *ორი რამ კი მარლაც მაინტერესებს. ერთი ის, რომ როგორ აფასებთ თქვენს გავლილ გზას და რაზე გწყდებათ გული? მეორე, მღვდლის შვილი და ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი ბრძანდებით და ხართ თუ არა მორწმუნე?* ამ მეორე კითხვას მე თვითონ დავძინე: *ეს ძალიან დელიკატური საკითხია და ახლანდელ ვითარებაში ამაზე საუბარი, ალბათ, ყოვლად უადგილოა-მეთქი.*

ბატონმა ალექსანდრემ არც ერთ ჩემს დაინტერესებაზე პასუხი არ გამცა, მხოლოდ აღნიშნა: *ივანე ჯავახიშვილი ათეისტი იყო; კორნელი კეკელიძემ ერთხელ ჩემთან საუბრისას კი თქვაა, მე,*

---

[9] 2011 წელს გამოცხადდა ეროვნული და რუსთაველის პრემიებისათვის კონკურსი, სადაც რუსთველოლოგიაცაა დასახელებული: „შოთა რუსთაველის სახელობის ჰრემიაზე განცხადება მიიღება შემდეგ დარგებში: მხატვრული ლიტერატურა, მუსიკალური, კინო, სახვითი და თეატრალური ხელოვნება, არქიტექტურა, რ უ ს თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ა, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები". მაგრამ აქ ასეთი პირობაა წამოყენებული: „გარდაცვლილ შემოქმედს ან მეცნიერს ჰრემია ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ იგი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი ი ყ ო ს ი ც ო ც ხ ლ ე შ ი ვ ე, ან მ ო გ ვ ი ა ნ ე ბ ი თ გ ა მ ო ქ ვ ე ყ ნ დ ა მ ი ს ი ა ხ ა ლ ი, მანამდე უცნობი მნიშვნელოვანი ნაწარმოები" (გაზ. „ახალი თაობა", 3 თებერვალი, 2011, № 28, გვ. 7).

კაცო, არც ისე მორწმუნე ვარო, მაგრამ იგი ნამდვილად მორწმუნე იყო. (აქ უნდა დავუმატო ამ საკითხთან დაკავშირებით კორესპონდენტის შეკითხვაზე მიხეილ ქავთარიას პასუხი. კითხვა: „ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობდა აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე?“ მ. ქავთარიას პასუხი: კორნელი კეკელიძეს „ერთ ადგილას ასეთი ფრაზა უწერია: «მე ვარ ღრმად მორწმუნე ქრისტიანი». მახსოვს, იტყოდა ხოლმე, დღეს მარხვა იწყებაო, მაგრამ მის რაციონს ექიმები განსაზღვრავდნენ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ამიტომ არ მარხულობდა. სხვა რა ვითხრათ, მე მისი არც ლოცვა მინახავს, არც ეკლესიაში სიარული. მაგრამ, ალბათ, ისიც გასათვალისწინებელია, მაშინ როგორი დრო იყო“ (ჟურ. „თბილისელები“, № 51, გვ. 21).

გავიდა კიდევ ხანი და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში სამეცნიერო სესია — *„კორნელი კეკელიძის დღე“* ჩატარდა. ეს სამეცნიერო ღონისძიება ყოველ წელს უნივერსიტეტში, ლიტერატურისა და ხელნაწერთა ინსტიტუტებში მორიგეობით აპრილის ბოლოს იმართებოდა. მაშინ კი პირველი შემთხვევა იყო, რომ ალექსანდრე ბარამიძე მას არ დასწრებია. ამიტომ ლევან მენაბდის თაოსნობით, სესიამ შეადგინა ბატონი ალექსანდრესადმი მიმართვა, სადაც მისალმების შემდეგ დიდი გულისტკივილით იყო აღნიშნული, რომ ეს პირველი შემთხვევაა და იმედს გამოვთქვამთ, შემდგომ ამ შეხვედრის ხელმძღვანელი და მონაწილე კვლავაც ძველებურად იქნებითო. ტექსტს ხელი ყველა მონაწილემ მოაწერა.

ბატონმა ლევანმა ამ ადრესის ცხლად გადაცემა გადაყვიტა და, ვინაიდან ბატონი ალექსანდრე და მე ერთ სახლში, ერთ სადარბაზოში, ვცხოვრობდით, ერთად წამოვედით. სადარბაზოსთან რომ მივედით, ბატონ ლევანს შევთავაზე: *ბატონი ალექსანდრე კოლეგებთან შეხვედრის ნატრულია, უცებ არ გამოგვიშვებს და ჯერ ჩემთან ავიდეთ, ვისადილოთ-მეთქი.* უარი მითხრა, *ამდენი დრო არა მაქვსო.*

მივედით. ბატონი ლევანი წასვლას ჩქარობს, მაგრამ მასპინძელი ვერ მალავს, რომ ლაპარაკი სწადია და არ უშვებს. მოკლე საუბრის შემდეგ უცებ ყოველგვარი საბაბის უქონლად ბატონი

ალექსანდრე აცხადებს: *მე ბევრი ვიფიქრე, მაგრამ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ათეისტი ვარ.* ამაზე ბატონ ლევანს ყურადღება არ გაუმახვილებია, სიტყვა ბანზე აუგდო და სხვა საუბარი წამოიწყო. სულ მალე კიდევაც წამოვედით.

ეს რწმენის საკითხი იმიტომაც მაინტერესებდა, რომ საბჭოთა წყობილების დამხობისა და რელიგიის აღორძინების შემდეგ ჩვენში მორწმუნე გახდნენ ისეთნი, რომლებიც ადრე უკომპრომისო და მებრძოლი ათეისტები იყვნენ.

აკაკი შანიძის მორწმუნეობის შესახებ ვკითხე მის ქალიშვილს, მზექალას. მან გადაჭრით მითხრა: *მტკიცე ათეისტი იყოო.* ასევე ვკითხე ივანე იმნაიშვილის შესახებ მის ვაჟს, ვახტანგს. ბატონი ივანე ძველი სასულიერო ძეგლების ჩინებული მცოდნე და გამომცემელი გახლდათ. მანაც იგივე დამიდასტურა, რაც ქალბატონმა მზექალამ.

საკითხის დამატება

დასკვნა
აკად. ალექსანდრე ბარამიძის წიგნზე „ახლო წარსულიდან“ (მეორე შევსებული გამოცემა)[1]

1983 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ დასტამბა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ ალექსანდრე ბარამიძის წიგნი *„ახლო წარსულიდან“*. ეს ლიტერატურულ-მეცნიერული ნაშრომი განეკუთვნება მემუარულ ჟანრს, რომლითაც ძლიერ ღარიბია ქართული ლიტერატურა. ეს კიდევ უფრო მეტად ითქმის ქართულ სამეცნიერო მემუარისტიკაზე. მხოლოდ რამდენიმე ჩვენმა მეცნიერმა (ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე, სერგი დურმიშიძე, ელეფთერ ანდრონიკაშვილი, ვუკოლ ბერიძე) შეძლო გამოენახა დრო, დაეწერა და გამოექვეყნებინა თავიანთი მემუარები.

---

[1] ეს დასკვნა დაიწერა ამ ნაშრომის გამოსაცემად და წარედგინა გამომცემლობა „მეცნიერებას“. წიგნი გამოვიდა 1987 წელს.

ალ. ბარამიძის სარეცენზიო წიგნი ეხება და აცოცხლებს ჩვენი სამეცნიერო ცხოვრების არაერთ მნიშვნელოვან ფაქტსა და მოვლენას, დაწყებული გასული საუკუნის 20-იანი წლების მისადგომებიდან წლევანდელ (1985) გაზაფხულამდე. ავტორი პირუთვნელი, მიუკერძოებელი მემატიანეა; ყველგან ეყრდნობა დოკუმენტებსა და საკუთარი თვალით დანახულს. როგორც თვითონ წერს, თავიდანვე სისტემატურად უგროვებია შესაფერისი მასალები. დოკუმენტურობასა და სიზუსტესთან ერთად წიგნის დიდ ღირსებას განსაზღვრავს ისიც, რომ იგი დაწერილია დიდი ოსტატობითა და მხატვრულობით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული თავები დამოუკიდებელ მხატვრულ ნოველათა სიმაღლეზე დგას.

ჩვენი სამეცნიერო, სამწერლო და ფართო საზოგადოება დიდი ინტერესითა და კმაყოფილებით შეხვდა წიგნს, რომლის მთელი ტირაჟი გამოსვლისთანავე გაიყიდა. აღფრთოვანებული რეცენზიები გამოაქვეყნეს გაზეთებმა „თბილისმა“ (26 სექტემბერი, 1983, № 221) და „კომუნისტმა“ (7 დეკემბერი, 1983, № 287).

ამჟამად ალ. ბარამიძემ დასახელებული წიგნი გამოსაცემად წარმოადგინა მნიშვნელოვნად შევსებული და გაფართოებული სახით. ამოღებულია რამდენიმე თავი, რომლებიც ზოგიერთ ადრე ნათქვამს იმეორებდნენ, შესწორებულია უნებლიე, უმთავრესად კორექტურული, შეცდომები. ახალი თავები წიგნის დაახლოებით მესამედს შეადგენს.

ახალ ნაწილში მოთხრობილია საინტერესო ეპიზოდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული მწერლობის კათედრათა და რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ისტორიიდან, ქართულ ხელნაწერთა ფონდების შექმნის შესახებ, რაც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არასწორად არის გაშუქებული. ავტორი ახალ-ახალ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის რუსთველოლოგიური კვლევის ისტორიაზე.

ცალკე თავები ეძღვნება ნიკო მარის, კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, შალვა ნუცუბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო კეცხოველის, ივანე ლოლაშვილის, მიხეილ მახათაძის,

პეტრე შარიას, სერგო ქავთარაძის, ბორის გაპონოვის მოღვაწეობას. ცოცხლად და მიმზიდველად არის დახატული მათი, როგორც მეცნიერ-მკვლევართა, საზოგადო მოღვაწეთა და ადამიანთა, პორტრეტები; ნაჩვენებია მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიპეტიები, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვს ამა თუ იმ სამეცნიერო საკითხის ისტორიასთან.

დიდი ინტერესის აღმძვრელია ის თავები, რომლებიც ეძღვნება მწერლებსა და მეცნიერებს გიორგი ციციშვილსა და სარგის ცაიშვილს, კინორეჟისორ ლანა ღოღობერიძეს.

ავტორს გაუფართოებია გიორგი ჯაკობიასადმი მიძღვნილი მოგონება, რითაც საგრძნობლად იზრდება წარმოდგენა ამ უდროოდ წასულ, მივიწყებულ ნიჭიერ მოღვაწეზე.

წიგნის ეს ახალი თავებიც მტკიცე საბუთებზეა დაფუძნებული და ისეთივე ინტერესით იკითხება, როგორც წინა ნაწილი. ამ მასალებშიაც ჩვენი ეროვნული მეცნიერების, ლიტერატურისა და კულტურის არაერთი დიდად საყურადღებო ფაქტი და მოვლენაა დაკარგვას გადარჩენილი და გამომზეურებული, რომელთა ღირსება მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება და თვალნათლივი გახდება.

აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის მემუარული ნაშრომის „*ახლო წარსულიდან*“ მეორე შევსებული და გაფართოებული გამოცემის განხორციელება ყოველმხრივ მისასალმებელი და მხარდასაჭერია.

21 დეკემბერი, 1985

3. რამდენიმე სიტყვა გაიოზ იმედაშვილზე[1]

1960 წლის სექტემბრიდან მუშაობა დავიწყე, როგორც მაშინ ერქვა, *შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის* რუსთველოლოგიის განყოფილებაში უფროს ლაბორანტად. რუსთველოლოგიის განყო-

[1] იბეჭდება პირველად.

ფილება სამი წლის ჩამოყალიბებული იყო და იქ დამხვდნენ: უფროსი თაობიდან — ალექსანდრე ბარამიძე (განყოფილების ხელმძღვანელი), გაიოზ იმედაშვილი, ივანე ლოლაშვილი და იოსებ მეგრელიძე, დანარჩენები ახალგაზრდები იყვნენ: მერი გუგუშვილი, სარგის ცაიშვილი, ლია ანდღულაძე, ნანა ხუნდაძე, მზია ჩაჩავა, კობა იმედაშვილი, რიმა ფირცხალაიშვილი და ახალმიღებული ციალა (მარიამ) კარბელაშვილი.

უპირველესად თვალში ბატონი გაიოზის გამორჩეული პიროვნულობა მომხვდა. რაც უნივერსიტეტში ქართული ლიტერატურის შესახებ ვისწავლეთ და სტუდენტობის ხანიდან ჩვენს უახლეს წარსულზე ვიცოდით, იგი ბევრ რამეს სხვა თვალით უყურებდა. ამ გამორჩეულობაზე სხვადასხვა დროს სხვებთანაც მქონია საუბარი და თანდათანობით ვცდილობდი, გამეცნობიერებინა, თუ, სახელდობრ, რა ჰქონდა მას ის თვითმყოფადი, რითაც პირადად მე და ბევრ სხვას ასე გვხიბლავდა. თუმცა იყვნენ საპირისპირონიც. ერთი სიტყვით, ჩვენ და მათ ჩვენ-ჩვენი გაიოზ იმედაშვილი გვყავდა და გვყავს.

ბატონი გაიოზის შესახებ ბევრი არ დაწერილა[2], არადა მისი მეცნიერული მემკვიდრეობა მეტ ყურადღებასა და მზრუნ-

---

[2] გამოქვეყნებულია წერილები მხოლოდ მისი დაბადების საიუბილეო და გარდაცვალების თარიღებთან დაკავშირებით: ს. ბაიშვილი, ძველი ქართული კულტურის მკვლევარი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1975, 5 მარტი; ივანე ლოლაშვილი, ამაგდარი მკვლევარი, გაზ. „თბილისი", 1976, 28 თებერვალი: ამავე წელს დაიბეჭდა სარგის ცაიშვილის წერილი *„ძველი ქართული კულტურის სამსახურში (გაიოზ იმედაშვილი)"*, რომელიც ავტორმა შეიტანა თავის წიგნში: „წინამორბედნი და თანამედროვენი", თბ., 1986, გვ. 420-422; რევაზ ბარამიძე, სულიერების რაინდი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 2001, 9-15 თებერვალი, № 6, გვ. 15; მარიამ კარბელაშვილი, „დიდი მეცნიერი და მამულიშვილი", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 8 მარტი, № 54, გვ. 4). იქვეა კობა იმედაშვილის მოგონება: „ბიძაჩემი გაიოზ იმედაშვილი"; ლელა ხაჩიძე, სამშობლოს ჩრდილი, „ახალი ეპოქა", 2001, 1-4

ველობას მოითხოვს, თუნდაც იმ მხრივ, რომ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუქვეყნებელია.

¤

ბატონ გაიოზის მოქალაქეობრივი და მეცნიერული სახის ჩამოყალიბება უპირველესად და უმთავრესად მისმა ოჯახურმა გარემომ განსაზღვრა. იგი დაიბადა 1906 წლის 11 თებერვალს საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში[3]. ბავშვობა და ცხოვრება თბილისში გაატარა. მამამისი, ცნობილი მოღვაწე – მწერალი, ლექსიკოგრაფი, ჟურნალისტი, ორი სახალხო თეატრის დამფუძნებელი, ჟურნალ *„თეატრი და ცხოვრების“* დამფუძნებელ-რედაქტორი – **იოსებ იმედაშვილი** (1876–1952) გახლდათ. იგი, როგორც რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი, ღია და გულითადი მასპინძელი, ნიადაგ საქართველოს მღელვარე ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და მის ირგვლივ მაშინდელი მოწინავე საზოგადოება გამუდმებით იყრიდა თავს. ბატონი გაიოზი ყოველივე ამის მომსწრე და მონაწილე იყო. იმთავითვე ეზიარა ეროვნულ კულტურულ-ლიტერატურულ ფასეულობებს და მათდამი მსახურებისათვის მოწიწებით განიმსჭვალა. დღეს ამ სიკეთეზე საუბარი იოლი და ამამაღლებელია, მაგრამ თავის დროზე ყოველივე ამას გაუსაძლისი სიძნელეები, გაჭირვება და სიღატაკე თან ახლდა.

მწყემსობაში გაზრდილ იოსებ იმედაშვილს იმ მხრივაც დიდად გაუმართლა, რომ მეუღლედ და მეგობრად შეხვდა დიდებული ქალბატონი, ქართველი აზნაურიშვილი **ანნა ჟუ-**

ივნისი, გაზ. „ჩვენი მწერლობა“ (სალიტერატურო ჩანართი), 1–8 ივნისი, გვ. 4; იმედაშვილი გაიოზ (მასალა მოამზადა თამარ მ ა ლ ა ზ ო ნ ი ა მ), იგივე გაზ. 2009, 18–19 იანვარი, სალიტერატურო ჩანართი, № 3, 18–25 იანვარი, გვ. 11; გამოსათხოვარი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 17–24 თებერვალი, გვ. 15.

საკმაოა მის წიგნებზე დაწერილი რეცენზიები და გამოხმაურებანი.

[3] ბატონმა გაიოზმა იცოდა თქმა: ჩვენში კი არ იტყვიან, ხ ა შ – მ შ ი წავედიო, არამედ ხ ა შ მ ზ ე წავედიო.

რული. იოსებმა მთელი თავისი ნაშოვარი და მეუღლის მზითვად მიღებული ქონება იმდენად უშურველად მოახმარა საზოგადოებრივ სამსახურს, რომ შიგადაშიგ, უმთავრესად რევოლუციური საქმიანობისათვის ორგზის პატიმრობის ჟამს, ოჯახს დიდი ჭირ-ვარამის გადატანა მოუხდა; იმდენად დიდი, რომ ბატონ გაიოზსა და მის დას, **თამარს**, ერთხანს „პრიუტში“ ყოფნაც მოუწიათ.

როცა წამოიზარდა, 18-19 წლის ჭაბუკი მამამისის ჟურნალში აქვეყნებს ლექსებსა სხვა მასალებს **კაიუს//კაჲუს პელის** ფსევდონიმით. მაგალითად, ბეჭდავს სადისკუსიო წერილს *„ქართული კინოხელოვნება და მისი გზები“* („თეატრი და ცხოვრება“, 1925, № 2, გვ. 5-6).

ბატონმა გაიოზმა 1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. აქ ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, იუსტინე აბულაძისა და სხვათა წყალობით ოჯახიდან მიღებული პატრიოტული და მეცნიერული სულისკვეთება კიდევ უფრო გაუღვივდა, გაუძლიერდა და სამოღვაწეო დარგი ზუსტად გაისიგრძეგანა. როგორც მისმა დისშვილმა კობა იმედაშვილმა გადმომცა, სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულება იმდენად უარყოფითი და აშკარა ყოფილა, ასპირანტურიდან გაურიცხავთ, სადაც მერე თავისი მასწავლებლების მეოხებით აღუდგენიათ.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბატონი გაიოზი ერთხანს ქართლ-კახეთის სოფლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია, შემდეგ სტილისტად მუშაობდა ჟურნალ-გაზეთებსა და გამომცემლობებში, ხოლო 1935 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მოღვაწეობდა.

ძირითადად იკვლევდა ძველ ქართულ საერო და სასულიერო მწერლობას. თავის მეცნიერულ ნაშრომებს სტატიებად დროდადრო ძუნწად აქვეყნებდა. გამოცემული აქვს ხუთი ს ქ ე ლ ტ ა ნ ი ა ნ ი წიგნი:

1. რუსთველოლოგია, ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა, თბ., 1941, – 259 გვ.

2. რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712-1956 წლები, თბ., 1957, – 952 გვ.

3. ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ., 1968, 432 გვ.

4. იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზებზე, თბ., 1984, – 348 გვ.

5. ვეფხისტყაოსანი და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1989, – 392 გვ.

აღარაფერს ვამბობ 1942 წელს გამოცემულ მის მომცრო წიგნზე *„ქართული კლასიკური ხანის მწერლობის პატრიოტიკა“* (84 გვ.), რომელიც უფრო მიმოხილვითია, ვიდრე ბატონი გაიოზისათვის დამახასიათებელი ღრმა კვლევის შედეგი (მაშინ მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა და ამგვარი ნაშრომების შექმნას ხელისუფლება მოითხოვდა).

ბატონი გაიოზის პირველი და მნიშვნელოვანი გამოკვლევა *„ვისრამიანისა“* და *„ტრისტან და იზოლდას“* ურთიერთობას ეხება (1942), რაზედაც მან 1941 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. სოლიდური ნაშრომები აქვს *„ამირანდარეჯანიანის“* (1966), *„სეილანიანის“* (1956), *„სირინოზიანის“* (1958), სულხან-საბა ორბელიანის *„სიბრძნე სიცრუეში“* ეკლესიასტეს ერთი მოტივის ასახვისა (1959) და სხვათა შესახებ, რომლებიც ამგვარი რიგით შესულია მის ბოლო წიგნში *„ვეფხისტყაოსანი და ძველი ქართული მწერლობა“*.

სათანადო გამოკვლევითურთ დაბეჭდა ქეი-ქაუსის *„ყაბუს-ნამეს“* ვახტანგ მეექვსის მიერ პროზაულად ნათარგმნი *„ამირნასარიანი“*[4]. გამოკვლევა: „თეიმურაზ პირველის «წამება ქეთევან დედოფლისა» და მარტვილოლოგიური ჟანრი“[5].

ვრცელი და ფუნდამენტური ნაშრომი უძღვნა *ქართული საგალობლების პოეტიკასა და მეტყველებას*, რომლის მხოლოდ

---

[4] „ლიტერატურული ძიებანი“, IX, თბ., 1955.

[5] „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, II, 1964.

ნაწილია გამოქვეყნებული[6] და რომელიც მისი სადოქტორო დისერტაცია იყო (1961 წ.). ამავე თემაზეა: თეიმურაზ ბაგრატიონის უცნობი ნაშრომი ქართულ პოეტიკაზე[7] და ძველი ქართული მხატვრული ენის სტილის შესახებ[8]. სტილის საკითხებს ეძღვნება აგრეთვე მისი ერთ-ერთი გამორჩეული ნაშრომი *„ეროვნული სტილისა და სინამდვილის პარადოქსები“* („ლიახვი“, 1988). აქვს ასეთი ნაშრომიც: *„«წიგნის სიბრძნე-სიცრუისას» სათაურის გაგებისათვის“*[9]. ყურადღებას იპყრობს მისი ნაშრომი *„რაინდული რომანი ქართულ მწერლობაში“*. როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში[10] თავად ამბობს, ეს პირველი და ბოლო ნაშრომები მას გამოსაცემად მზადა აქვს, მზის სინათლეზე გამოტანას კი დღემდე ელის.

ბატონი გაიოზის უმთავრესი სარბიელი მაინც რუსთველოლოგია იყო. ამ მხრივ სტატიებიდან აღსანიშნავია: „ვეფხისტყაოსანი და ქართული სინამდვილე“ (1966), „ვეფხისტყაოსნის პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში“ (1944), „ვეფხისტყაოსნის «მოცალეობა»“ (1966), „ზოგი რამ რუსთაველის შვიდი მნათობის შესახებ“ (1950), „ორი მზე ვეფხისტყაოსანში“ (1950), „რუსთაველის ლომი და მზე“ (1951), „მზიანი ღამე «ვეფხისტყაოსანში»“ (1953), „ასტრალური სინამდვილე ვეფხისტყაოსანსა და «იგორის ლაშქრობის ამბავში»“ (1966), რომლებიც ამ თანამიმდევრობით თავმოყრილია მის წიგნში *„ვეფხისტყაოსანი და ძველი ქართული მწერლობა“*. ამ საკითხებზე შემდეგ სხვა ავტორთა ნაშრომებიც დაიბეჭდა და განსხვავებული მოსაზრებანიც გამოითქვა, მაგრამ მათ თავიანთი მეცნიერული ღირებულება არც ერთს არ დაუკარგავს.

---

[6] „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1959; კორნელი კეკელიძის საიუბილეო კრებული, 1959; „ლიტერატურული ძიებანი“, XIII, 1961.

[7] „ლიტერატურული ძიებანი“, IV, 1948.

[8] კრებ.: ძველი ქართული მწერლობის სტილის საკითხები“, 1965.

[9] „მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, 1954, XIV, № 5.

[10] თუ სიმართლის თქმა საშიში აღარ არის..., გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 25 აგვისტო, 1989, გვ. 3–4.

ადრევე გამოეხმაურა ისეთ სადავო საკითხს, *რომელიც იყო ბრძოლა რუსთველის გარშემო*. 1940 წელს დაბეჭდა სტატია „ვეფხისტყაოსნის ეკლესიური დევნა“, სადაც გამოთქმულია დასკვნა: „რუსთაველის დევნა საქართველოში ატარებდა ეკლესიის მეტად მწიგნობრულ, კლერიკალური თვალსაზრისით გრიგორიანის ხასიათს“[11].

გვაცნობს „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურად მთარგმნელ **გუხტავო დე ლა ბოტაროსა** და მის თარგმანს[12].

ბატონ გაიოზს ჩვენი წარსულის მკვლევართა ფართო წრე უპირველესად და უმთავრესად მისი მონუმენტური *რუსთველოლოგიური ანოტირებული ბიბლიოგრაფიით* იცნობს და აფასებს. იგი მართლაც სამაგიდოა რუსთველოლოგთა და ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევართათვის, მაგრამ „ვეფხისტყაოსანს“ ჩვენი ერის ცხოვრებაში ისე დიდი ადგილი უჭირავს, რომ გადაუჭარბებლად უნდა ითქვას: ეს წიგნი ამგვარივეა ჩვენი წარსულისა და ყოფის — ისტორიის, ენათმეცნიერების, რელიგიის, ეთნოგრაფიისა და ა. შ. — მეცნიერ-მკვლევათათვისაც. ეს არ არის ჩვეულებრივი საცნობარო ბიბლიოგრაფია. იგი ყოველ მხრივ უმაღლეს მეცნიერულ დონეზეა შესრულებული და ბევრი ანოტაცია გამოკვლევათა ტოლფასია. ამ წიგნს არაერთი რეცენზია მიეძღვნა[13]. ამ ბიბლიოგრაფიის მეთოდით აიგო შემდეგ გამოცემული წლების ბიბლიოგრაფიული ტომებიც, რომლებიც ავტორთა კოლექტივებმა მოამზადეს.

ბატონი გაიოზი ამ საქმეს აგრძელებდა და მის არქივში დაცული 1957–1965 წლების ნაშრომებზე მის მიერ დაწერილი

---

[11] ჟურნალი „მებრძოლი ათეისტი“, №№ 10, 11.

[12] გაზ. „კომუნისტი“, 27 ივნისი, 1965.

[13] რევაზ თ ვ ა რ ა ძ ე, რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია („ცისკარი, 1957, № 7“); მიხეილ მ ა ხ ა თ ა ძ ე, მნიშვნელოვანი შენაძენი რუსთველმცოდნეობაში (გაზეთი „სტალინელი“ – ქუთაისი, 1958, № 91); იოსებ მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, რუსთველოლოგიური ლიტერატურა („მნათობი“, 1958, № 3); შალვა ღ ლ ო ნ ტ ი, რუსთველოლოგიის ძვირფასი მიატიანე („ლიტერატურული გაზეთი“, 1957, № 50).

ანოტაციები შევიდა 2002 წელს გამოსულ მეორე ტომში. ასევეა შესული მესამე ტომშიაც, რომელიც 1966 წლის ლიტერატურას მოიცავს და ჯერ არ გამოსულა.

ბატონი გაიოზის პირველი წიგნი „რუსთველოლოგია“ ამ დარგის პირველი განმაზოგადებელი ნაშრომია, სადაც საფუძვლიანად წარმოდგენილია რუსთველოლოგიის ისტორია ვახტანგ მეექვსის 1712 წლის პოემის გამოცემაში მოცემული კომენტარებიდან 1937 წლამდე. აქ მეცნიერულ-კრიტიკულად გაანალიზებულია ყველა ძირითადი რუსთველოლოგიური პრობლემა: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, დაწერის თარიღი, ფაბულა და სიუჟეტი, წყაროები, ტექსტი, მხატვრული აგებულება, სოციოლოგია, წყაროები და მასალები რუსთველოლოგიის პრობლემათა შესასწავლად და ა. შ.[14]

ასევე განმაზოგადებელი ხასიათისაა მისი წიგნი *„ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა“*. აქ არსებითად პასუხი აქვს გაცემული ნიკო მარის ნააზრევს — „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ ლიტერატურაში მართლაც მეტეორივით გაელვება იყო თუ იგი ჩვენი სინამდვილის გამომხატველი, მხატვრული აზროვნებით ნასაზრდოები, ჩვენივე კულტურიდან ამოზრდილი სწორუპოვარი ქმნილებაა.

აი, სანიმუშოდ ზოგიერთი თავის შინაარსი: **შესავალში** განხილულია: *„ვეფხისტყაოსნის გაგება“: შემეცნებითი ასპექტები; რუსთაველი და ქართული ენა, მხატვრული მეტყველების თავისებურებანი; კანონიკური ტექსტის გაგება და ორიგინალობის პრობლემა; მეტაფორის გახსნა; ტექსტის განმარტება და პოემის მთლიანი გააზრება.*

პირველ თავში *„ვეფხისტყაოსანი და ქართული ერი“* განხილულია: *ეროვნული ეპოსის პრობლემა; ეპოსი და ეროვნული თვითშეგნება; ისტორიული ტრადიციის შთაგონება „ვეფხისტყაოსნში“ და მისი როლი ქართული ენისა და ხასია-*

---

[14] ამ წიგნს გამოეხმაურა ა. მდივანი, გაიოზ იმედაშვილი — რუსთველოლოგია, ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა („მნათობი“, 1941, № 12).

თის ჩამოყალიბებაში; ეროვნული სინამდვილის მხატვრული გარდასახვა; ქართული ზოგადი ხატი; პიროვნული და ხალხური საწყისი „ვეფხისტყაოსანში“; ეროვნული ნიჰილიზმი და პოემის სპარსული წარმოშობის თეზა; ეროვნული და მხატვრული სინამდვილე „ვეფხისტყაოსანში“; ქართული ცხოვრების მოტივები „ვეფხისტყაოსანში“; ქართველი ერის წარსული და მომავალი „ვეფხისტყაოსნის“ გაგებაში.

ასევე დაწვრილებითაა საუბარი დანარჩენ ხუთ თავშიაც: *რუსთაველი და სოციალური გარემო; რუსთაველის იდეოლოგიური საკითხები; ქართული რენესანსი და რუსთაველის ჰუმანიზმი; „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კონსტრუქციის საკითხები და ქართული პოეტური კულტურა.*

აქედან საკითხის დასმით ბევრი მათგანი ორიგინალურია, წიგნში კი ყველა საკითხი მთლიანად თავისებურადაა გაანალიზებული და გადაჭრილი.

ამ წიგნის გამო ბატონმა გაიოზმა დიდი უსიამოვნება გადაიტანა. ზემოთ აღვნიშნეთ, როდესაც ლიტერატურის ინსტიტუტში სამუშაოდ მივედი, ბატონმა გაიოზმა ქართული ლიტერატურის კვლევა-ძიების საქმეს სხვა კუთხით შეგვახედა. კერძოდ, თვალი აგვიხილა და გაგვაცნო ამ დარგის ემიგრაციაში მყოფი ჩვენი სწავლულების ნააზრევი და ღვაწლი. ინსტიტუტში მასთან ხშირად მოდიოდა **გრიგოლ რობაქიძის** და **ლიდა,** რომლისაგანაც ახალგაზრდებს შეგვაძენინა **ვიქტორ ნოზაძის** წიგნები, რომლებიც ჩვენში მალე ორი ათეული წლით კიდევაც აიკრძალა.

ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის ალექსანდრე ბარამიძის ინიციატივით მოეწყო ამ წიგნის განხილვა. ვინაიდან დაფარული არ იყო და ბატონმა გაიოზმა კარგად იცოდა ამ ნაშრომისადმი ბატონი ალექსანდრეს აგრესიული დამოკი-დებულება, განხილვას არ დაესწრო. მთავარი მომხსენებელი გახლდათ სარგის ცაიშვილი, რომელმაც მოკლე სიტყვაში ზოგიერთ შენიშვნასთან ერთად წიგნს მაღალი შეფასება მისცა. ძალიან მკაცრი, უსამართლო და მისთვის უჩვეულო იყო ბატონი ალექსანდრეს გამოსვლა. ყველაფრიდან ჩანდა, მის უმთავრეს

გულისწყრომას ის იწვევდა, რომ წიგნში ემიგრანტ მოღვაწეთა დამსახურება ფართოდ იყო წარმოდგენილი, რაც იმ დროისათვის სიახლე გახლდათ. ბატონმა ალექსანდრემ თავისი რეცენზია მალე ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა (1969, № 4). ამ გამოსვლისა და წერილის გამო უკმაყოფილონი დავრჩით. ერთხელაც გავბედე და ბატონ ალექსანდრეს გულწრფელად ვუთხარი: გავა დრო და ჩვენი ემიგრანტი მოღვაწეები გმირებად დაგვიბრუნდებიან, თქვენ კი ხელთ რა დაგრჩებათ? მან თავი იმართლა: *ამით ჩვენი ინსტიტუტი დარბევას გადავარჩინეო*. ეს სწორი არ იყო. შემდეგ ბატონმა ალექსანდრემ ეს რეცენზია თავისი *„ნარკვევების“* მერვე ტომში მნიშვნელოვნად შერბილებული სახით შეიტანა (1985, გვ. 25–62). ამ ვნებათა ღელვის შედეგად მხოლოდ ის მივიღეთ, რომ ბატონ გაიოზსა და მას შორის ურთიერთობა ერთობ გაფუჭდა. ბატონმა გაიოზმა პასუხის გაცემა მხოლოდ 1992 წელს შეძლო („ცისკარი“, № 6).

ბატონმა გაიოზმა რუსთველოლოგიას უდიდესი ამაგი დასდო იმ მხრივაც, რომ შეისწავლა ძველი დროის გამოჩენილი სწავლულის, თეიმურაზ ბატონიშვილის რუსთველოლოგიური ნაშრომი *„განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“* და იგი სათანადო სამეცნიერო აპარატითურთ წიგნად გამოსცა (თბ., 1960, – 328 გვ.).

აღარაფერს ვამბობ მის ცალკეულ რუსთველოლოგიურ წერილებზე, რომლებიც მის წიგნებში არ შესულა და 1966 წლის იუბილეს დროსა და შემდეგ გამოქვეყნდა.

ბატონი გაიოზი განყოფილების სხდომებზე საინსტიტუტო წლიური თემატიკური გეგმის შესაბამისად გვიკითხავდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის თანამედროვე ქართულ ენაზე შესრულებულ მისეულ პწკარედულ თარგმანს, რომელიც არ გამოქვეყნებულა და მისი დაბეჭდვა, რა მოცულობისაც უნდა იყოს იგი, საშური საქმეა.

უაღრესად ფასეულია მამისადმი მიძღვნილი მისი მეცნიერულ–მემუარული წიგნი, სადაც, გარდა იმისა, რომ წარმოჩენილია ამ გამოჩენილი მოღვაწის ცხოვრება და ერის წინაშე დამსახურება, ამავე დროს, გვაცნობს XIX საუკუნის ბოლოსა და

XX საუკუნის პირველი ნახევრის უცნობ მოვლენებს, იმდროინდელ მოღვაწეთა სახეებს...

საგანგებო სტატიებს აქვს ივანე ჯავახიშვილის[15], კორნელი კეკელიძის[16], ლადო გუდიაშვილისა[17] და სხვათა შესახებ.

ბატონი გაიოზი ახლოს იყო თანამედროვე ქართულ მწერლობასთან. იოსებ გრიშაშვილი მისი ნათლია გახლდათ; მეგობრობდა ტერენტი გრანელთან, ნიკო სამადაშვილთან, ერეკლე ტატიშვილსა და სხვებთან. მიუსაფარი ტერენტი გრანელი ერთხანს მის ოჯახში კიდევაც ცხოვრობდა. ერთ ლექსში იგი ამბობს: „და გახდა ჩემი თავშესაფარი სახლი იოსებ იმედაშვილის“.

ბატონი გაიოზი წერილებით ეხმაურებოდა მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენებს. გამოქვეყნებული აქვს სტატიები: *„ზოგი გახსენება და ფიქრი აკაკიზე, ვაჟაზე, გალაკტიონზე“* („ცისკარი“, 1975, № 6); *„გიორგი ლეონიძე და ქართული კულტურა“* („ლიტერატურული გაზეთი“, 1959, № 52); იოსებ გრიშაშვილის[18], ტერენტი გრანელის[19], ჭაბუა ამირეჯიბის *„დათა თუთაშხიას“* („ცისკარი“, 1974, № 6) შესახებ.

1969 წელს ბატონ გაიოზს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

¤

ბატონ გაიოზს კარიერისათვის არასდროს უზრუნვია. როგორც იოსებ იმედაშვილის დღიურზე დაყრდნობით კობა იმედაშვილმა მიამბო, ჯერ კიდევ 1921 წელს 15 წლის გაიოზმა

---

[15] ღირსახსოვარი შეხვედრები დიდ მოძღვართან („რიწა“, 1987, № 1).

[16] დიდი მეცნიერი (ივანე ლოლაშვილთან ერთად), „ლიტერატურული გაზეთი“ (15 ივნისი, 1962), გადაბეჭდილია კრებულში „დიდი ქართველი მეცნიერი“ (თბ., 1965).

[17] ქართული ფერისა და სახის ჯადოქარი („მნათობი1982, № 10“).

[18] თბილისური მეტამორფოზების პოეტი და მოქალაქე (ალმანახი „კრიტიკა“, 1978, № 3)..

[19] სიცოცხლეში ადრე დაღამებული პოეტი („ლიახვი“, 1982).

საქართველოში მე-11 არმიის შემოსვლისას ბოლშევიკებს აგინა და მილიციელს სცემა. ამის შემდეგ მას ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა ერთხელაც არ უცდია. თვალს უსწორებდა რა ჩვენში დატრიალებულ სისხლის კალოს, შემოიფარგლა მეცნიერებით და საზოგადოებრივი ცხოვრების ჩრდილქვეშ ყოფნა ჩვეულებრივ წესად გაიხადა. იგი პოლიტიკას მთლიანად განუდგა და, ასე ვხედავდი, ცხოვრებისეულ მძაფრ ვნებათა-ღელვასაც თავს არიდებდა. მაგალითად: 1978 წელს, როდესაც ქართული ენის სტატუსის დასაცავად ახალგაზრდობა ფეხზე დადგა, ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა თავი გაწირა, სტუდენტები დარაზმა და მათ წინაც წარუძღვა, მეორე ნაწილმა, უფრო მეტად თანამდებობების მქონე პირებმა, პირიქით, სირცხვილი ჭამეს და კრემლს მხარი დაუჭირეს, ბატონ გაიოზს თავისი პატრიოტული მრწამსი ხმამაღლა, საჯაროდ არ გამოუთქვამს. არადა, მის გულში თუ რა ცეცხლი ენთო, მისმა ახლობლებმა და ინსტიტუტის თითო-ოროლა თანამშრომელმა ვიცოდით.

გავიდა ხანი და წინა საუკუნის 90-იანი წლების წინ, როდესაც ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ჯეშმარიტი პირობები შეიქმნა, 83 წლის ბატონი გაიოზი იძლევა ზემომითითებულ ინტერვიუს — „თუ სიმართლის თქმა საშიში აღარ არის...“ და შთამბეჭდავად გვიყვება, ჩვენი ისტორიის ამ უახლეს წარსულში რა და როგორ იყო.

დიახ, ბატონი გაიოზი მთელი 70 წლის განმავლობაში ნამდვილად ჩრდილში იდგა. მისი საზოგადოებრივი თვალთახედვა და მეცნიერული სიდიადე მხოლოდ მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ვიწრო წრემ იცოდა. ამ წრეში კი დაფასება ნამდვილად არ აკლდა.

ლიტერატურის ინსტიტუტში მასთან მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე რჩევა-დარიგებისათვის უამრავი მოღვაწე მოდიოდა; ხელნაწერის სახით თავიანთი ნაშრომები მოჰქონდათ და ენობრივად და სტილისტურად მათ გასწორებასა და

დახვეწას სთხოვდნენ. ის ხომ ქართულის შესანიშნავი მცოდნე გახლდათ.

ბატონი გაიოზი დიდად აფასებდა მეცნიერულ პატიოსნებასა და თავდადებას. ერთხელ რუსთველოლოგიის განყოფილების სხდომაზე განყოფილების ხელმძღვანელ ბატონ სარგის ცაიშვილისათვის შემინიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სტროფგამყარ „და“ კავშირის შესახებ მოხსენებაში იგი ბატონი გაიოზის ნაშრომს არ ასახელებდა. არც კი მახსოვდა, კარგა ხნის შემდეგ სხვებთან ერთად რაღაც საუბარში ეს ამბავი ბატონმა გაიოზმა მადლიერებით მოიხსენია.

ბატონ გაიოზს ძალიან აწუხებდა, რომ ბოლო ხანს მეცნიერების გაუფასურების ჭირი თანდათანობით ძველ ქართულ ლიტერატურასა და რუსთველოლოგიასაც მიადგა. არადა, ეს დარგები ლიტერატურათმცოდნეობაში მუდამ მდგრადი აკადემიურობით გამოირჩეოდა.

ბატონი გაიოზი ყოველთვის უარყოფითად უყურებდა იმ ახალგაზრდების სულსწრაფობას, რომლებიც, ჯერ კიდევ დაუღვინებელნი, კარიერისათვის სამეცნიერო ხარისხებისაკენ მიისწრაფოდნენ.

ადრე დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოპოვება ძალიან გაძნელებული იყო. რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რაღაც მაქინაციებით, „ჩაწყობებით“ ამ სიძნელეს საკმაოდ იოლად ძლევდნენ. მაგრამ ივანე ჯავახიშვილმა, კორნელი კეკელიძემ, აკაკი შანიძემ და სხვა ჩვენმა გამოჩენილმა მოღვაწეებმა ქართულ ფილოლოგიასა და ისტორიოგრაფიაში ისეთი ვითარება შექმნეს, რომ „ხალტურას“ გასავალი ნაკლებად ჰქონდა. ბატონი გაიოზი ამ წესის განუხრელი დამცველი იყო. როგორც ვთქვით, თვითონ მან საკანდიდატო დისერტაცია 1941 წელს 35 წლის ასაკში, ხოლო სადოქტორო 1961-ში 55 წლისამ დაიცვა, მას შემდეგ, რაც მან და მისმა ნაშრომებმა მეცნიერებაში საყოველთაო აღიარება მოიპოვეს. ბატონი გაიოზი ამგვარივე პატიოსნებას მოითხოვდა სხვებისაგანაც, რაც ზოგიერთში უკმაყოფილებას იწვევდა.

ბატონმა გაიოზმა ჩვენ თვალწინ ბატონ იოსებ მეგრელიძეს არ მოუწონა, რომ მან ინსტიტუტსა და ჩვენ არ გაგვაგებინა და სადოქტორო დისერტაცია მაშინდელ ლენინგრადში ისე დაიცვა. ამის შემდეგ მათ შორის ადრინდელი მეგობრობა და კეთილი ურთიერთობა განელდა.

მეცნიერებისათვის „ამგვარი“ თავდადება უფრო მეტად ახალგაზრდებს არ მოსწონდათ. ამის მიზეზი იყო ის, რომ, როგორც ზემოთ ვთქვით, „ჩვენი“ და „მათი გაიოზი“ გვყავდა.

რადგან დისერტაციის დაცვაზე ჩამოვარდა საუბარი, თავს უფლებას მივცემ, აღვნიშნო: ბატონმა გაიოზმა ჩემი სადოქტორო დისერტაციის გამო შემაქო. თემა იყო *„ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა“*, დაცვა შედგა 1990 წლის 8 მაისს ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებულ სამეცნიერო-საკვალიფიკაციო საბჭოზე, რომლის წევრიც ბატონი გაიოზი ბრძანდებოდა. გახლდით კი 54 წლისა. ამ ნაშრომის ცალკეული ნაწილები სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში საკმარისად მქონდა დაბეჭდილი და შემეძლო, ხარისხი ამისდა მიხედვით ადრევე მომეპოვებია. კიდევ უფრო მეტად, როცა 1986 წელს პირველი ნაწილი წიგნად გამოვეცი – *„ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა“* (248 გვ.). ეს არ გავაკეთე, ვიდრე 1988 წელს მეორე, 440-გვერდიანი წიგნი *„ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო“* არ დავუმატე. ბატონმა გაიოზმა ორივე წიგნი მომიწონა და მომილოცა, ხოლო სადოქტორო დისერტაციის დაცვის დღეს თავისი ახალგამოსული წიგნი *„ევფხისტყაოსანი და ქართული მწერლობა“* ასეთი წარწერით მაჩუქა: „მეცნიერების დოქტორს, უანგარო შრომისა და მეგობრობის მაგალითს ბ. დარჩიას ჰატივისცემით. ავტორი“.

¤

ბატონი გაიოზი მრავალმხრივი პიროვნული ხიბლით იყო დაჯილდოებული: ფაფარდაყრილი თმით, ტრადიციული ულვაშითა და ცისფერი თვალებით ერთბაშად იპყრობდა ყურადღებას. მე თვითონ რამდენჯერ მინახავს, ქუჩაში მას ქალბატონები თვალს როგორ აყოლებდნენ.

კობა იმედაშვილს ჩემთან უთქვამს და დაწერილიც აქვს, რომ ბატონი გაიოზისათვის ბოჰემური ცხოვრებაც უცხო ხილი არ ყოფილა. მე კი მომსწრე ვარ, რა საკრალური პატივისცემით ეპყრობოდა იგი ქართულ სუფრას. გაშლილ სუფრასთან მის ოჯახშიაც ვყოფილვარ და, რომ მკითხოთ, ვერ გეტყვით, რითი გამოირჩევოდა იგი. არადა, არ მავიწყდება, – რაღაც თავისებური ნამდვილად იყო.

1960 წელს ბატონი ალექსანდრე ბარამიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. ბატონმა გაიოზმა იგი ჩვენი დარგის გამარჯვებად მიიჩნია და გვაზეიმა: გვიმეთაურა და ზედაზნის წყაროსთან დაუვიწყარი სუფრა გაგვაშლევინა.

1972 წელს სამდღიანი ექსკურსია მოვაწყვეთ და მოვიარეთ საფარა, ვანის ქვაბი, ვარძია, კუმურდო, აბასთუმანი. ახლაც თვალწინ მიდგას: ბატონი გაიოზი აბასთუმანში საქმის ცოდნით, დაკაპიწებული ხელებით და ჭაბუკური გატაცებით ამუშავებდა ცხვრის ხორცს (ცხვარი ადგილზე მისი წინადადებით ვიყიდეთ), თუმცა გოგონები ბლომად გვახლდა.

Უფრო ადრე ინსტიტუტი ექსკურსიით საინგილოში ვიყავით. ბა-ტონმა გაიოზმა ათლიტრიანი „ბაჩონკით“ ღვინო წამოიღო. გვეხვეწა: *დავსხდეთ და წესიერად მოვილხინოთო.* ჩვენ კი საამისოდ ვერ მოვიცალეთ, მუჭში ვილუკმებოდით. ბატონი გაიოზი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვენს ტრადიციულ სუფრას, ის ღვინო ფეხზე მდგომელთათვის არ „გააფუჭა“, უკან წამოიღო და ჩვენთან მყოფი ინსტიტუტის ბუღალტრის, ელენე შავგულიძის, ოჯახში დატოვა. მერე გავიგეთ, ღვინო შოთა ვაშაყმაძეს გამოეტანებინა.

ვერ ვიტყვი, ბატონი გაიოზი ენაწყლიანი მოსაუბრე იყო-მეთქი, მაგრამ, როცა სიტყვა მოიტანდა, საინტერესო ამბების მოყოლა იცოდა. გვიამბო: როგორ გადაეყარა თბილისში სერგო ორჯონიკიძესა და იოსებ სტალინს, რასაც შემდეგ ზემორე მითითებულ ინტერვიუში იხსენებს; რა ჩაღლეტილი და საშინელი სანახავი იყო 1921 წელს თბილისში შემოჭრილი მე-11 არმია; რომ პირველი დამოუკიდებლობის მოპოვების ჟამს როგორ დაპბერა

ჩვენში ეროვნულმა სიომ და თბილისში როგორ გაბატონდა ქართული წარწერები...

¤

ბატონი გაიოზი, ისე როგორც მამამისი, ამ ქვეყნიდან უჩვეულოდ და, ვიტყვი, უცნაურად წავიდა. მასვე აღწერილი აქვს, რომ დედა 1927 წლის 5 მაისს 42 წლისა გარდაეცვალა. მამას, იოსებს, ეს ელდა სიცოცხლის ბოლომდე გაჰყოლია და ავადმყოფობით დაუძლურებულს რამდენიმე თვით ადრე უწინასწარმეტყველებია, 5 მაისს აღვესრულებიო. ასეც მომხდარა!

ბატონ გაიოზს სამსახურის მაგიდის უჯრაში ყოველთვის მოეპოვებოდა ნუგა. არ მახსოვს, როდესმე ჩვენ თვალწინ ეჭამოს. თუ ვინმეს ნაშრომს შეუქებდა ან ნათქვამს მოუწონებდა, მას ამ ნუგათი აჯილდოებდა. ამ გამოულეველ უჯრაზე საუბრისას, ერთხელ ხუმრობით უთქვამს: *აქ ერთი სკივრიც მაქვს, რომ გავხსნა, ბევრი ოჯახი დაინგრევაო.* ამას ხანდახან ღიმილით შეახსენებდნენ და ჰკითხავდნენ: *სკივრის გახსნას როდის აპირებო.*

ბონდო არველაძემ მიამბო: როცა ბატონი გაიოზი დაუძლურდა და სამსახურში ვეღარ დაბრძანდებოდა, ხანდახან შინ ტელეფონით მიკავშირდებოდა, სხვადასხვა საკითხზე მესაუბრებოდაო. ერთხელაც (ეს ბოლო ზარი აღმოჩნდა) გავეხუმრე: *იმ სკივრს როდის ხსნით-მეთქი?* მცირე შეყოვნების შემდეგ მითხრა, *მე ყოველ დილით ველოდებიო.* მაშინვე მივუგე, *ვის ელოდები-მეთქი?* დინჯად მიპასუხა: *სიკვდილის მოსვლასო.*

როგორც კობა იმედაშვილი აღწერს, 1995 წლის 11 თებერვალს ბატონ გაიოზს, რომელსაც 89 წელი შეუსრულდა, დაბადების ეს დღე ახლობლებთან ერთად სუფრით აღუნიშნავს. არადა დაბადების დღეს იშვიათად იხდიდა ხოლმე. სუფრაზე ცუდად გამხდარა, სტუმრებისათვის უბრძანებია, ლხინი განეგრძოთ. როცა ერთ ოთახში სადღეგრძელოს სადღეგრძელო ენაცვლებოდა, მეორე ოთახში ნემსი ნემსსა ცვლიდა. სადარბაზოსთან სასწრაფო დახმარების მანქანა გვიან ღამემდე იდგა. ღამის სამ საათზე ბატონმა გაიოზმა ჩაცმა მოითხოვა, სუფრას

მიუჯდა და საზეიმოდ გამოწყობილმა გემო ყველაფერს გაუსინჯა. მეორე ღამეს ძლიერ მისუსტებულმა დაიძინა. 13 თებერვალს გამთენიისას ძილში გარდაიცვალა.

პიროვნების სიდიადე ზოგჯერ სიკვ-დილშიაც გამოჩნდება ხოლმე!

4. იოსებ მეგრელიძე[1]

საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იოსებ მეგრელიძე დაიბადა 1909 წლის 9 აპრილს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში, სახალხო მასწავლებელთა ოჯახში (ჩემთვის ნათქვამი აქვს, სინამდვილეში დაბადებული ვარ 1908 წლის 29 დეკემბერსო). იქაური რვაწლედისა და ფოთის ათწლედის დამთავრების შემდეგ შედის და 1931 წელს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის დარგებს.

ეს ის წლებია, დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობს დიდი ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ. ბატონმა სოსომ მიამბო: ერთ დღეს, როცა გაჭედილ აუდიტორიაში ბატონი ივანე ლექციის წასაკითხავად შემოვიდა, რამდენიმე თავგახურებული სტუდენტი თავხედურად წინ წამდგა და მთელი აგრესიით განაცხადა: *ჩვენ ბოიკოტს ვუცხადებთ ბურჟუაზიული მეცნიერების წარმომადგენელ ჩვენს ლექტორებსო* და მოგვიწოდა, აუდიტორია დაგვეტოვებინა. აუდიტორიაში ოთხი-ხუთიოდე სტუდენტი დავრჩით, დანარჩენები ხმაურით გარეთ გაიკრიფა. ბატონი ივანე ცოტა ხანს იჯდა, დარჩენილებს მადლობა გადაგვიხადა და ნელი ნაბიჯით წაბ-რძანდა.

1931–1935 წლებში ბატონი სოსო ლენინგრადში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტუ-

[1] დაიბეჭდა: ჟურ. „მაცნე“ (ელს), № 3, 1991, გვ. 61–85; მცირეოდენი ცვლილებით ადრე და შემდეგაც გაზეთებშიც გამოქვეყნდა.

ტის ასპირანტია, 1935–1939 წლებში – ამავე ინსტიტუტის უმცროსი და შემდეგ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 1939–1942 წლებში მუშაობს მაშინდელი ა. ს. პუშკინის (შემდეგ, რამდენიმე წელს, სულხან-საბა ორბელიანის, ახლა ილიას) სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტად, ხელმძღვანელობს ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული ენების კათედრას, შეთავსებით ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის დარგებში ლექციებს კითხულობს გორის, ცხინვალისა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში ქართულ და რუსულ განყოფილებებზე.

1942 წლის 2 აგვისტოს ღამით ბატონი სოსო დააპატიმრეს და 1943–1947 წლებში მოსკოვის *„ოსობოე სოვეშჩანიეს“* დადგენილებით, მოსე გოგიბერიძესთან, მიხეილ ზანდუკელსა და სხვებთან ერთად ე. წ. თავისუფალი გადასახლებით იმყოფება ყაზახეთში, სადაც მრავალი ტანჯვის გამოვლის შემდეგ მუშაობს რამდენადმე მსუბუქ საქმეზე, – ჩკალოვის რაიონის (კოკჩეტოვის ოლქი) განათლების განყოფილების ინსპექტორად და საშუალო სკოლის რუსული ენის, სსრ კავშირის ისტორიის, გეოგრაფიისა და კონსტიტუციის მასწავლებლად. 1947 წელს ბრუნდება თბილისში. ნიშანდობლივია: დაპატიმრებისას იგი 82 კილოგრამს იწონიდა, გათავისუფლებისას – 49 კილოგრამს.

შინ დაბრუნებული იოსები პედაგოგიურ მოღვაწეობას აგრძელებს თბილისის, გორის, ცხინვალის, სოხუმის პედაგოგიურ და რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტებში. 1959 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების უფ-როსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1987 წლის ბოლოდან გარდაცვალებამდე – ინსტიტუტის უფროსი კონსულტანტი, სამეცნიერო საბჭოსა და საკვალიფიკაციო საბჭოს წევრი. გარდაიცვალა 1996 წლის 23 იანვარს. განისვენებს საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში.

ბატონი იოსები, როგორც იტყვიან, ავკარგიანი, პრინციპული და კარგი სამეგობრო კაცი გახლდათ. ყოველთვის გამოირ-

ჩეოდა ფიზიკური სიძლიერითა და შეუპოვრობით. მას, უკვე ხანდაზმულს, შინ რამდენიმე ახალგაზრდა ყაჩაღი შეუვარდა და ფიროსმანის სურათების წართმევა მოუნდომა. მან მომხდურებს ისე ძლიერად შეუტია და ერთ-ერთს ისე მაგრად ჩაავლო ხელი, ისინი თავის დახსნაზე გადავიდნენ და ბინიდან კუდამოძუებულები გაცვივდნენ.

ბატონი იოსები ასევე დიდი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. პედაგოგიურ და საკვლევაძიებო საქმიანობაში ადრიდანვე ჩაება. უნივერსიტეტში შესვლამდე, როცა 18 წლისაც არ იყო, ერთი წლის განმავლობაში მასწავლებლად მუშაობს საინგილოში, სადაც მამამისმა ბართლომე გრიგოლის ძე მეგრელიძემ (1883–1943), ადრე აჭარასა და ართვინში ქართული სკოლების დამაარსებელმა, აქ მრავალი ქართული სკოლა გახსნა. სტუდენტი იოსები არდადეგებზე დადის გურია-აჭარის სოფლებში და დიალექტოლოგიურ, ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მასალებს აგროვებს. მალე, 1930 წელს, ჟურნალ *„მნათობსა“* და გაზეთ *„კომუნისტში“* ზედიზედ აქვეყნებს წერილებს ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე. აქედან მოყოლებული სისტემატურად იბეჭდება მისი გამოკვლევები, წერილები, რეცენზიები, პუბლიკაციკები, რომელთა საერთო რიცხვი 600-მდე აღწევს; მათგან სამ ათეულზე მეტი ცალკე წიგნებად არის დასტამბული.

ეს ნაშრომები, რომლებიც შესრულებულია ქართულ და რუსულ, ხოლო ზოგი თარგმნილია სომხურ, უკრაინულ, ფრანგულ, აფხაზურ, ადიღეურ, ოსურ და სხვა ენებზე, აშუქებენ ქართული, ქართველური და დაღესტნური ენების, ქართული ლიტერატურის, რუსთველოლოგიის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, ეპიგრაფიკის მნიშვნელოვან საკითხებს. ბატონი იოსები წარმატებით აგრძელებს იმ ქართველ სწავლულთა ტრადიციებს, რომლებიც ქართველოლოგიის დარგებს ერთმანეთსა და კავკასიოლოგიის შესაბამის დარგებთან კავშირში შეისწავლის.

1938 წელს ლენინგრადში რუსულ ენაზე გამოსულ წიგნში *„ლაზური და მეგრული ფენები გურულში“*, რისთვისაც მას მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა, განხილული და წარმოჩენილია დასავლური ქართული კილოებისა და კილოკავების

თავისებურებანი და ურთიერთმიმართება; დადგენილია, რომ „ქვემო იმერული კილო ძველი ენობრივი ფენებით უფრო მეგრულს უახლოვდება, ხოლო გურული და აჭარული – ლაზურს“. ცალკე აღნიშვნის ღირსია აქ აღნუსხული ტოპონიმები და მათი ეტიმოლოგიური ანალიზები.

ასევე ენათმეცნიერული საკითხებია დამუშავებული მის გამოკვლევებში: *„ქალთა გვარების დაბოლოება სამხრეთ კავკასიურ ენებსა და ფოლკლორში“*, *„მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში“*, *„ძე-ზე დაბოლოებული გვარების ნათესაობითი ბრუნვა დასავლურ ქართულში“*, *„უწყვეტლისა და მეორე კავშირებითის ადგილისათვის ქართული ზმნის დროთა სერიებში“* და სხვა.

ქართული ენის გრამატიკის საკითხები ფართოდ არის წარმოდგენილი მის წიგნში *„იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა“*, რომლის მეორე, შევსებული, გამოცემა 1988 წელს განხორციელდა. ამ ნაშრომში მონოგრაფიული სისრულით ნაჩვენებია ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლისა და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი ახალი ქართული ენის ცხოვრებასა და სკოლაში დასამკვიდრებლად, საერთოდ ჩვენი ერის წინაშე.

სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევენ ი. მეგრელიძის გამოკვლევებს დაღესტნურ ენათა ჯგუფის, დიდოურისა და მის მახლობელ ენათა შესახებ. იგი ამ დარგის ერთ-ერთ პიონერად ითვლება, რითაც თავისი წვლილი შეაქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებით შესწავლაში.

გორისა და ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტებში მუშაობისას მკვლევარმა აღწერა, შეისწავლა და ამით ბევრ შემთხვევაში მეცნიერებისათვის დაღუპვას გადაარჩინა შიდა ქართლის ტერიტორიაზე და ლიახვისა და ქსნის ხეობებში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები. შეაგროვა და ჩაიწერა იქაური ხალხური თქმულებანი, ისტორიული გადმოცემები, ზნეჩვეულებანი, ცნობები საქართველოს ამ კუთხიდან გამოსული მწერლების შემოქმედებითი ბიოგრაფიებისა და ქართველთა და ოსთა ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობათა შესახებ. ერთი

ნაწილი ამ დიდი შრომისა „*სიძველენი ლიახვის ხეობაში*“ 1984 და 1997 წლებში ორ წიგნად გამოვიდა.

ბატონმა იოსებმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის განვითარებაში. იგი, როგორც შოთა რუსთველის პირველი საიუბილეო აკადემიური კომიტეტის სწავლული მდივანი, 1936–1937 წლებში აქტიურად მონაწილეობდა ლენინგრადში, მოსკოვში, კიევში, ერევანში, ბაქოსა და შუა აზიის ქალაქებში ჩატარებულ საიუბილეო ღონისძიებებში. გამოაქვეყნა გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და ლექსიკის საკითხებზე. აი, რამდენიმე ნიმუში:

პოემის ტექსტში „*ჯაჭვი მეცვა საკურტაკე*“ ძველად და ზოგი ახლაც „*კურტაკს*“ ჯაჭვის პერანგად მიიჩნევს. ი. მეგრელიძემ განმარტა, რომ ეს არის „*ქურთუკი*“, „*კურტკა*“ ფარჩის სამოსელი, რომელსაც ჯაჭვის ჯავშნის ქვეშ იცვამდნენ.

პოემის ადრინდელ გამოცემებში, ორიოდე გამონაკლისის გარდა, იკითხება: „*სჯობს სიცოცხლე აკლებასა...*“. ბატონმა იოსებმა 1962 წელს აღნიშნა, რომ ავტორი აფორიზმისა „*სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი*“ არავითარ შემთხვევაში ამას ასე არ იტყოდაო და ხელნაწერებზე დაყრდნობით შემოგვთავაზა ვარიანტი: „*სჯობს სიკვდილი აკლებასა*“, რაც შემდგომ გამოცემებში გაზიარებულია.

რუსთველოლოგიაში კარგა ხანს გრძელდებოდა კამათი, თუ რას უნდა ნიშნავდეს და როგორ ითარგმნოს „ვეფხისტყაოსნის“ „ვ ე ფ ხ ი “, „**ტიგრია**“ იგი თუ „**ბარსი**“. ამასთან დაკავშირებით ბატონმა იოსებმა გურული და იმერული დიალექტების საფუძველზე აჩვენა, რომ „*ტიგრ*“ სიტყვა ცნობილია ქართულისათვის და იგი ჩვენს ენაში რუსთველზე ადრე ბერძნულიდან უნდა შემოსულიყო. მანვე დააზუსტა პოემაში „**რვალის**“, „**კარაბაკი — ჩაკარაბაკება**“, „**ჭოჭმანი — საჭოჭმანო**“, „**ლაყფობა — ვილაყფეთანი**“ და სხვა სიტყვების მნიშვნელობანი.

ი. მეგრელიძემ მონოგრაფიულად შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ მიმართება ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან და 1960 წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა წიგნი „რუსთაველი და ფოლკლორი“ (სადოქტორო დისერტაცია). აქ, გარდა იმისა, რომ

თავმოყრილი და გაანალიზებულია გადმოცემები რუსთველის შესახებ, უხვი მასალებით დასაბუთებულია „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ორიგინალობა, ნაჩვენებია, რა სახით გადავიდა პოემა და მისი აფორიზმები ხალხურ შემოქმედებაში, ამავე დროს ყურადღება ექცევა იმასაც, თუ რა უნდა გამოეყენებინა პოეტს მსოფლიო კლასიკური მწერლობისა და ხალხური სიტყვიერებიდან.

მანვე 1970 წელს გამოსცა ვრცელი წიგნი *„რუსთველოლოგები“*, რომელშიც, დაწყებული ვახტანგ მეექვსიდან ჩვენი დროის 70-იან წლებამდე, დახასიათებულია ქართველ, საბჭოთა და უცხოელ მოღვაწეთა დამსახურება შოთა რუსთველისა და მისი პოემის შესწავლასა და პოპულარიზაციაში.

ბატონი იოსები კონსულტაციას უწევდა „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებს: ნ. ზაბოლოცკის, ე. ტარლოვსკაიას, ბ. ბრიკს, აფხაზ დ. გულიას, ბერძენ იმ. მიტაფიდის, ოს გ. ბესთაუთს, იაპონელ ი. ფუკუროს, ებრაელ ბ. გაპონოვს, ბალყარელ ს. გურტუევს, ყაბარდოელ ზ. თხაგაზიტოვს და სხვებს.

მანვე გამოსცა *რჩეული რუსთველოლოგიური ლიტერატურის* სამი კრებული და ამავე პრობლემის შემცველი რამდენიმე წიგნი სხვადასხვა ავტორისა.

ი. მეგრელიძის კვლევის არეშია მოქცეული ძველი, ახალი და უახლესი ქართული მწერლობის საკითხები — დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის *ეპიტაფიები*, სულხან-საბა ორბელიანის *„წიგნი სიბრძნე სიცრუისა“*... ჯერ კიდევ ჭაბუკობისას გამოავლინა და გამაქვეყნა *საიათნოვას უცნობი ლექსები*. მრავალი წლის რუდუნებითი შრომით ხალხში შეგროვილი და სიძველეთსაცავებში მოპოვებული მასალების საფუძველზე ცალკე წიგნებად გამოსცა დიდად საყურადღებო ნარკვევები *ჭოლა ლომთათიძის* (1979), *ეგნატე ნინოშვილის* (1984) და მოღვაწე გურული *გუგუნავების* (1987) შესახებ. რადა ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელიდან ვგებულობთ: ცნობილი სიმღერის — *„შავი შაშვი ჩიოდა“* — ტექსტისა და მელოდიის ავტორი ყოფილა დათა გუგუნავა; ვეცნობით მის ბიოგრაფიას და იმ მძიმე ხვედრს, რამაც ნიჭიერ შემოქმედს აღნიშნული სიმღერა შთააგონა.

საინტერესო წერილები და მოგონებები აქვს გამოქვეყნებული ლევ ტოლსტოის, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, შალვა ნუცუბიძისა და სხვათა შესახებ.

ი. მეგრელიძე ავტორია ისე განსხვავებული დარგების ნაშრომებისა, როგორიცაა *„სახელმძღვანელო ავტორებისა და აღმოსავლური შრიფტების ასოთამწყობთათვის“* (იური მარის თანაავტორობით), რომელიც ოთხჯერ გამოიცა ლენინგრადში, მოსკოვსა და თბილისში და *„მცირე თეატრალური ლექსიკონი“*, *„ლაზური (ჭანური) სასიმღერო ლექსები“* და *„აფხაზთმცოდნეობის სათაურებთან“*...

ბატონ იოსებს დიდი შრომა აქვს გაწეული ნიკო და იური მარების, იუსტინე აბულაძის, ვუკოლ ბერიძის, მოსე გოგიბერიძის, სოლომონ იორდანიშვილის, სარგის კაკაბაძის, ჯემალ ნოღაიდელისა და სხვა მრავალთა ნაშრომების გამოქვეყნებაში (35 კრებული!). ამ მხრივ პირდაპირ სანიმუშოა ის თავდადება, რომელიც მან თავისი დიდებული მასწავლებლის — ნიკო მარისა და უფროსი მეგობრების — მოსე გოგიბერიძისა და კიტა მეგრელიძის — მიმართ გამოიჩინა. უთუოდ გმირული თავგანწირვის ტოლფარდია მისი მოქმედება, რითაც მან რეპრესიების მძვინვარე დროს გადაარჩინა კიტა მეგრელიძის წიგნის *„აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემების“* საკორექტურო ცალი. ბატონმა იოსებმა მანახვა ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების შენობის მეორე სართულის ის ადგილი, სადაც იგი ერთი ოთახის ფანჯრიდან გადასულა, ვიწრო კარნიზს გაჰყოლია და ფანჯრიდანვე შეუღწევია ბატონი კიტას იმჟამად დალუქულ სამუშაო ოთახში და იქიდან იმავე სახიფათო გზით აღნიშნული წიგნის ცალი მალულად გამოუტანია, სხვა წიგნის ყდაში ჩაუსვამს და შინაურებისგანაც ფარულად რამდენიმე ათეული წელი ასე შეუნახავს. ცნობილია, შემდგომ ამ ნაშრომმა სპეციალისტებში ფართო გამოხმაურება და უდიდესი აღიარება გამოიწვია.

პირადი ურთიერთობა ჰქონდა მრავალ გამოჩენილ მოღვაწესთან და ცოცხლად გვიამბობდა მათთან შეხვედრების თა-

ობაზე, მათ ცხოვრებისეულ საინტერესო ამბებზე. ერთგვარი ხიდი იყო ძველ და ახალ თაობებს შორის. ბევრ მათგანს საყურადღებო ნარკვევები, წერილები და მოგონებები უძღვნა. კერძოდ: ივანე ჯავახიშვილს, ლეონ მელიქსეთ-ბეგს, სანდრო ახმეტელს, ალიოშა სვანიძეს, ივანე მეშჩანინოვს, გრიგოლ ფერაძეს, ვიკტორ ნოზაძეს, კალისტრატე სალიას, იარომირ იედლიჩკას, რენე ლაფონს, ჰანს ფოგტს... ორჯერ (1983, 1987 წწ.) გამოვიდა მისი მონო-გრაფია იოსებ ორბელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (რუსულ ენაზე), ხოლო უფრო ვრცელი და მრავალმხრივ საყუ-რადღებო მონოგრაფიული ნაშრომი ექვთიმე თაყაიშვილზე (1989).

ბატონ იოსებს ფართო მეცნიერული კავშირები ჰქონდა დამყარებული ქართველ და უცხოელ მოღვაწეებთან და ამის ნი-ადაგზე მან მდიდრული არქივი შექმნა და დაგვიტოვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბატონი სოსოს ამაგი, რაც მან მშობლიურ კუთხეს, სოფელსა და, საერთოდ, გურიას დასდო. გარდა იმისა, რომ გურიის მონაცემებს განუწყვეტლივ აგროვებდა და ხშირად იყენებდა სამეცნიერო ნაშრომებში, უპატრონა ამ კუთხიდან გამოსულ მრავალ მოღვაწეს, ამავე დროს, გამუდმე-ბული კავშირი ჰქონდა მის რაიონულ ცენტრებთან, სოფლებ-თანაც და აქტიურად მონაწილეობდა იქაურ კულტურულ-სა-მეცნიერო და, საერთოდ, საზოგადოებრივ ღონისძიებებში.

ი. მეგრელიძე სტუდენტთა მრავალი თაობის აღმზრდელია. როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელმა და ხელდამსხმელმა, მან მეც-ნიერებაში გზა ბევრ ახალგაზრდას გაუკაფა.

ბატონი იოსები დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, ვაჟა-ფშაველასა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიებით.

იოსებ მეგრელიძის ნაღვაწის წიგნებად გამოცემა ჩვენს მეცნიერებასა და კულტურას დიდ სამსახურს გაუწევს.

რამდენიმე მოგონება

ბატონი სოსო დიდი სამეგობრო კაცი გახლდათ. ვისაც აფა-სებდა, ყოველგვარ გასაჭირში გვერდით ხმალამოღებული ედგა. ვაი იმას, ვისაც ორგულობას, უსამართლობასა და ღალატს შე-

ამჩნევდა! მიტევება არ იცოდა და სამაგიეროს გადახდა მისი დევიზი იყო.

ადრე მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში შტატების შოვნა ძალიან გაძნელებული იყო. 1966 წელს უცებ „ცა გაიხსნა“ და ლიტერატურის ინსტიტუტში ორი თუ სამი ახალი თანამშრომელი მიიღეს და ამდენივე ლაბორანტი უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად გადაიყვანეს, მე კი გვერდზე დამტოვეს. არადა, იმ დაწინაურებულ ლაბორანტებთან შედარებით უპირატესობა მქონდა, — რამდენიმე სტატიის ავტორი ვიყავი. ამ დროს, ისე რომ ჩემთვის არაფერი უთქვამს და მოგვიანებით სხვისგან გავიგე, ბატონი სოსო ისიდორე დოლიძესთან მისულა და ამაზე აღშფოთებით მოუხსენებია. ბატონი ისიდორე მაშინ ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ. სულ მალე უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის შტატი ჩემთვისაც დაუშვეს.

ბატონ სოსოსთან ერთად ორჯერ, 1961-1962 წლების მიჯნაზე — დეკემბერ-იანვარსა და 1979 წლის ივლისში, სამეცნიერო მივლინებით ვიყავი მოსკოვსა და მაშინდელ ლენინგრადში. ეს მივლინებები ჩემთვის განსაკუთრებული და შთამბეჭდავი იმ მხრივაც იყო, რომ ბატონი სოსო გვერდიდან არ მიშორებდა, მივყავდი ლიტერატურის, ენისა და ისტორიის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტებში, მაცნობდა იმ ადგილებსა და იმ ხალხს, რომლებთანაც ქართველობას შეხება ჰქონდა. რომელი ინსტიტუტის ოთახის კარსაც კი შეაღებდა, ყველანი წამოიშლებოდნენ და შეძახილით „დარაგოი სასო“ ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ მას.

ერთ პოლარულ დღეს ალექსანდრე მეფის ძეგლთან ისე დიდხანს ვისხედით და ლაპარაკს შევრჩით, რომ ვერ შევატყვეთ, თავზე დაგვთენებოდა. ბატონი სოსო მათვალიერებინებდა ქალაქს, სად რა კავშირი ჰქონდა იქ მოღვაწე ქართველებს; ქართველ ბატონიშვილთა საფლავებს, როგორი იყო და რა წარწერები ჰქონდა მათ ადრე და მოგვიანებით რა შეიცვალა შემდეგ. მაჩვენებდა ერმიტაჟის იმ ფანჯრებს, სადაც იოსებ ორბელს კაბინეტი ჰქონდა, სად იჯდა კიტა მეგრელიძე და ა. შ.

მაცნობდა იმჟამად იქ მოღვაწე ქართველოლოგებსა და სხვა სწავლულებს, დავყავდი მათ ოჯახებში. ვიყავით რუსუდან ორ-

ბელის, საურმაგ კაკაბაძის ქვრივის, ნიკო მარის შთამომავლის, თეირანის კონფერენციაზე, და საერთოდ, სტალინის შეფმზარეულის, ასე მახსოვს, გვარად გოგიბერიძის, ოჯახებში.

ამ უკანასკნელმა ძალიან საინტერესო თავგადასავალი გვიამბო. ბავშვობაში ჩოხატაურის სოფლიდან ბათუმში გამოპარულა და გემზე მტვირთავად მუშაობა დაუწყია. ერთხელაც გემი ისე დაძრულა, ჩამოსვლა ვერ მოუსწრია და გაჰყოლია. ჩასულა ინგლისში, ერთხანს რესტორანში უფასო მრეცხავად უმუშავია, მერე მზარეულად დაწინაურებულა. იქ მუშათა მოძრაობაში ჩაბმულა და რუსეთში რევოლუციონერის სახელით დაბრუნებულა. აქედან მოხვედრილა კრემლის მზარეულად.

გვიამბობს: *სტალინმა თეირანის კონფერენციაზე დამავალა: ინგლისის დელეგაციაში ერთი ქართველია, გაიგე, რომელია და თვალი ადევნეო.* აქ უნდა ჩავურთო: მაშინ არც მე და არც ბატონმა სოსომ ინგლისის დაზვერვის ამ უმაღლესი ჩინოსნის, კვიტაშვილის, შესახებ არაფერი ვიცოდით. იგი რამდენიმე წლის შემდეგ გიორგი გაჩეჩილაძემ გაგვაცნო, როდესაც მისი მოგონებები გამოაქვეყნა. *გავიგე,* – აგრძელებს მასპინძელი თხრობას, – *ჩერჩილს რა კერძები უყვარდა. ერთხელ მან გაკვირვებით მკითხა: საიდან და როგორ დაოსტატდი ასეო. გამოთხოვებისას ხელი ჩამომართვა, მადლობა გადამიხადა და მკითხა: თქვენ და სტალინი რომელ ენაზე საუბრობთო. მე ვუთხარი, რუსულად–მეთქი. მერე სტალინმა, ჩვენს საუბარს რომ შორიახლოდან უცქერდა, გამომკითხა: რას გელაპარაკებოდაო.*

ვიყავით აკადემიკოს ივანე მეშჩანინოვის ოჯახში. გამაოცა ბატონმა სოსომ: იმდენი რამ უამბო მას საქართველოში მიმდინარე სამეცნიერო კვლევა–ძიებათა შესახებ, რომ მე ნახევარიც კი არ მქონდა გაგონილი. მაშინ მეშჩანინოვმა თქვა: *ჩემი ახლი წიგნი გიორგი მელიქიშვილის მოპოვებულ მასალებზე მაქვს დამყარებულიო.* აქ, თურმე, სკამის ქვეშ კატა შემომძვრომოდა და კუდზე თუ თათზე უნებურად ფეხი დავადგი. კატამ განწირულად დაიჩხავლა. ბატონი სოსო ამას შემდეგ ღიმილით იგონებდა და მეუბნებოდა, იმ მოხუც ცოლ–ქმარს ის კატა თავს ერჩიათ და ამაზე მეტს ვერაფერს დაუშავებდიო.

მოსკოვში დაეძებდა ვინმე მიქავას. *როცა მოსე გოგიბერიძე დააპატიმრეს, ისე ვიცი, დაწერილი ნაშრომი ჰქონდა და დაიკარგა. ეს კაცი მისი ასპირანტი იყო და, ეგებ, იმ ნარკვევის შესახებ რაიმე იცოდესო.*

ბატონმა სოსომ წამიყვანა ლენინგრადთან ახლო შესანიშნავი ბუნების წიაღში მდებარე აკადემიის მოხუცებულთა თავშესაფარში. რამდენიმე ხანდაზმულ ქალს სიცილ-ხარხარით ახსენებდა მათთან მომუშავე ქართველთა ამბებს და მათზე მოგონებების დაწერასა სთხოვდა.

არ მავიწყდება და ხალისით მაგონდება 1962 წლის ახალწლის შეხვედრა. წინა საღამოს ბატონმა სოსომ წამიყვანა იოსებ ორბელის ქვრივის აგარაკზე, ლენინგრადთან ახლო მდებარე სოფელსა თუ დაბა კომაროვოში. 45 წუთი „ელექტრიჩკით" მშრალი თოვლით გადათეთრებულ შესანიშნავ ბუნებაში ვიმგზავრეთ. მასპინძლის ეზოიანი აგარაკიც საუცხოოდ გამოიყურებოდა.

იოსებ ორბელის ქვრივი, რომელიც მისი მეორე თუ მესამე ცოლი გახლდათ, სილამაზითა და მიმზიდველობით კვლავ რომ ყურადღებას იპყრობდა, ერმიტაჟში მუშაობდა და ამ საღამოზე ხელოვნების ელიტის წარმომადგენლებს მოეყარათ თავი. იქვე ბრძანდებოდა კინოში პეტრე პირველის როლის შემსრულებელი დიდებული გარეგნობის მამაკაცი — ნიკოლოზ ჩერკასოვი. რამდენიმე თვის წინ მოსკოვში, მანეჟზე, გაიხსნა საბჭოთა კავშირის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. ეს იყო საბჭოეთში პირველი გამოფენა, სადაც ფორმალისტური მიმდინარეობანი დაუშვეს. გამოფენა ჩვენც, ბატონმა იოსებმა და მე, დავათვალიერეთ.

ამ საღამოზე ბევრ სახუმარო ამბავს ჰყვებოდნენ ნიკიტა ხრუშჩოვზე. ერთმა თქვა: მხატვრების ეს გამოფენა ხრუ-შჩოვმა დაათვალიერა და ერთ-ერთ ფანქრით შესრულებულ ნახატზე, რომელიც ორ ბორცვს გამოხატავდა, იკითხა, რას ნიშნავს ესო? აუხსნეს: სხვადასხვანაირად შეიძლება გავიგოთ, მაგალითად, ნაყოფიერების სიმბოლოდაცო. ხრუშჩოვი „აფეთქებულა": *ნიჩვეო პადობნო, ეტა ჟ-პა!* ჩერკასოვი მერე იმეორებდა და იმეორებდა ამ

სიტყვებს: *რაზ ნიკიტა სერგეევიჩ სკაზალ, ჩტო ეტა ჟ-პა, ზნაჩიტ ჟ-პა არისო.*

როცა თანამეინახენი შექეიფიანდნენ, ეზოში გამოცვივდნენ, გუნდაობა და ყმაწვილობა დაიწყეს, მე მათზე ბევრად უმცროსი ვიყავი, შემრცხვა, დავტოვე ისინი და ლენინგრადში, სასტუმროში, დავბრუნდი.

კიდევ ერთი ამბავი: 1979 წლის ჩახუთულ ივლისში სამ-ოთხ რიგად მოკეცილი ერმიტაჟში შემსვლელთა უზარმაზარი რიგი იდგა. ბატონი სოსო ტელეფონით ერმიტაჟის დირექტორ ბორის პიოტროვსკის დაუკავშირდა და მოიკითხა. ის დიდი აჟიოტაჟით შეხვდა ბატონი სოსოს ხმის გაგონებას. უთხრა: *ახლავე მოდი, ისეთ ხალხს გაგაცნობ, გაგიხარდებაო.* ჩვენი სასტუმრო იქვე იყო, მაშინვე მივედით და სამომსახურო შესასვლელიდან შევედით. ბატონ ბორისს, რომელსაც სომეხი ცოლი ჰყავდა, სტუმრად ერევნის ბალეტის დასი სწვევოდა. მათთან ერთად ოქროულობის სეიფში ჩაგვიძღვა, გიდობა თავად გაგვიწია და ეს უზარმაზარი ფასეულობა დაგვათვალიერებინა. ერმიტაჟში ადრე ნამყოფი ვიყავი, მაგრამ ამ ბედნიერებას მე ვინ მაღირსებდა. ერევნელებმა თავიანთ სპექტაკლზე დაგვპატიჟეს და საღამოს არამ ხაჩატურიანის ბალეტი „გაიანე" გვანახვეს, რომელსაც ძალიან ბევრი უცხოელი ესწრებოდა.

ბატონი სოსო უამრავ საინტერესოზე საინტერესო ამბავსა ჰყვებოდა, კერძოდ, მიხეილ ზანდუკელთან ერთად გადასახლებულს რა პირობებში უხდებოდა ყოფნა. შიმშილსაგან როგორ იხსნა ისინი ერთმა მათთან გადასახლებულმა აფხაზმა ექიმმა იმით, რომ მუნისა და სხვა დაავადებებისაგან ჰკურნავდა იქაურ ხალხსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს. როცა გადასახლებიდან მომავალმა ბატონმა სოსომ, საშინლად მშიერმა, იმ იმედით, *იქაურ ამბებს გავაგებინებ და რალაცას მაჭმევენო,* მატარებლიდან ჩამოვიდა და ამ ექიმის ოჯახს მიაკითხა, მისი ცოლი კი ჯოხით გამოედევნა, — *იქ იგი, თურმე, კარგ დროს ატარებს და ჩვენს ამბავს არ კითხულობსო.*

— ძლივს გამოვასწარი, — ღიმილით კია არა, თხრობა სევდიანი კილოთი დაამთავრა ბატონმა სოსომ, — სამშვიდობოზე

რომ გამო-ვედი, შიმშილისა და ნერვიულობისაგან, ტრანსპორტიც რომ დავკარგე, მუხლები მომეჭრა და ჩავიკეცეო.

ბატონმა სოსომ საკმაო მოგონებები დაბეჭდა, მაგრამ გული მწყდება, რომ ამგვარ ამბებზე არაფერი დაუწერია.

დასასრულ, აღვნიშნავ: ბატონი სოსო დღიურებს ადგენდა. მაჩვენა, ამგვარი რვეულებით ორი თარო ჰქონდა გავსებული. დარწმუნებული ვარ, მათში ბევრი საყურადღებო ფაქტი და მოვლენა იქნება გადმოცემული.

5. ივანე ლოლაშვილი[1]

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ლოლაშვილი გამოჩენილი მეცნიერ-მკვლევარი, ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერ-პედაგოგი, ჩინებული მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე, სათნო პიროვნება და კეთილსამეგობრო კაცი გახლდათ.

ბატონი ივანეს ცხოვრების გზა იყო ნარეკლიანიც და შემოქმედებითი გამარჯვებებით აღსავსეც.

ივანე ალექსანდრეს ძე ლოლაშვილი დაიბადა 1918 წლის 26 დეკემბერს, სიღნაღში. ფათერაკი თავიდანვე დაჰყვა. დაბადებისას დიდხანს ხმა ვერ ამოალებინეს. თოთო ბავშვი ხან ცხელ წყალში ჩასვეს და ხან ცივში. ბებიაქალს უთქვამს, ამ ბოლო სპაშუალებას ვცდიო და შუბლზე ცეცხლზე გახურებული შაურიანი დაუდვია. ასე გაჩნდა მის შაგვრემან სახეზე, გრუზა თმის ქვემოთ, შუბლის მარცხენა მხარეს მრგვალი, შავი ნაჭდევი, რომელიც შემდგომ ზოგს ტყვეობასა და პატიმრობაში გადატანილი წამების კვალი ეგონა, ზოგს — ჭაბუკობისას უიღბლო სიყვარულის გამო გასროლილი ტყვიის დანატოვარი.

ბავშვობა სიღნაღში გაატარა. 1936 წელს ფრიადზე დაამთავრა ადგილობრივი საშუალო სკოლა, 1941 წელს ასევე წარჩინებით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

---

[1] გამოქვეყნებულია („მწიგნობარი-03“, თბ., 2003, გვ.. 25-43).

დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ასპირანტობისათვის გამზადებული ჭაბუკი რამდენიმე დღეში, 11 ივლისს, წითელ არმიაში გაიწვიეს. ჯერ სწავლობდა ხარკოვის სამხედრო საინტენდანტო აკადემიაში, შემდეგ — საშუალო მეთაურთა გადასამზადებელ კურსებზე ხარკოვის ოლქში, სოფელ სამოელოვკაში. აქ მიენიჭა ლეიტენანტის წოდება და გაგზავნეს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე მსროლელი პოლკის ოცმეთაურად. იბრძოდა კურსკის მიმართულებით ქალაქ იზიუმთან, მდინარე დონზე, კალაჩთან, სადაც სოფელ მალოკლეცკთან 1942 წლის აგვისტოში ტყვედ ჩავარდა. აქედან მოყოლებული 1945 წლის აპრილამდე იმყოფებოდა ტყვეთა ბანაკებში, მუშათა ბატალიონებში, ხან გერმანიაში, ხან საფრანგეთსა და იტალიაში. აქ ბევრჯერ ჩახედა სიკვდილს თვალებში. ერთხელ იტალიაში, როცა სამუშაოდან პატიმართა მანქანით ბანაკში ბრუნდებოდნენ, შიმშილისაგან დასუსტებული ბატონი ივანე იმდენად ზედმეტ ბარგად მიუჩნევიათ, რომ ზედამხედველებს ძარადან ჩამოუთრევიათ და მის მოსაკლავად იარაღი შეუმართავთ. იტალიელ მძღოლს უთქვამს: შავგვრემანია, იტალიელი იქნება, ნუ ვესვრით, თავისით მოკვდებაო და ამ სიტყვის გამო იქვე დაუტოვებიათ. რამდენიმე საათის შემდეგ ქალებს გამოუვლიათ, შესცოდებიათ, ერთს თავის სახლში წაუყვანია. ერთი კვირის შემდეგ, როცა ფეხზე დამდგარა, გერმანელებისათვის ჩაუბარებიათ.

ტყვეობისას ისეც მოხდა, რომ თურქ ხალხთა ე. წ. სამთარმგნელო სკოლაში სწავლობდა.

1946 წელს, ორეხოვო-ზუევოში ჩატარებული ფილტრაციის შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა. 1951 წლის 3 აპრილს, როგორც ტყვედ ნამყოფი, დააპატიმრეს. ციხეში ბევრი წამება გადაიტანა. გაასამართლეს „*სამშობლოს მოღალატის*“ ბრალდებით და 25 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

პატიმრობისას ძლიერ ავად გახდა, ტუბერკულოზის ნიშნები გამოაჩნდა. გადასახლებასა და სიკვდილს იმით გადაურჩა, რომ მისი სიმამრი გიორგი ჯიღაური, გამოჩენილი ეკონომისტი, მაშინდელი მთავრობის პირველ კაც კანდიდ ჩარკვიანთან (როგორც კოლეგა ეკონომისტთან) მივიდა და, გამონაკლისის წესით,

საქართველოში დატოვება სთხოვა. თხოვნამ გაჭრა. ციხის ექიმმა (ბატონი ივანეს მეუღლის, მელიტა ჯიღაურის, მამიდაშვილმა) დუშიკო კეზელმა მოახერხა, ბორჯომთან ახლოს, დვირის ტუბერკულოზიანთა დახურულ კოლონიაში გადაეყვანა, სადაც ერთი წელი დაჰყო და გამოჯანმრთელდა. შემდეგ სასჯელს რუსთავის კოლონიაში იხდიდა. გაათავისუფლეს 1955 წლის 11 სექტემბერს საერთო ამნისტიის საფუძველზე.

ბატონი ივანე თავის მოწოდებას გვიან დაუბრუნდა. დაპატიმრებამდე, 1947–1951 წლებში, გიორგი ლეონიძის დირექტორობის ჟამს, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის სწავლული მდივნია, შინ დაბრუნების შემდეგ, 1656–1975 წლებში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი (ასრულებდა ბიბლიოთეკის სწავლული მდივნის მოვალეობას). 1957 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია. 1971 წლიდან აქვე ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილებას ხელმძღვანელობს.

1958 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1965 წელს სადოქტორო დისერტაციები. 1973 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

აღესრულა 1984 წელს. განისვენებს საბურთალოს სასაფლაოზე.

ტყვეობამ და გადასახლებამ ბატონ ივანეს მსუსხავი დაღი დაასვა. კარგა ხანს ამჩნევდა, როგორ უთვალთვალებდნენ. ცხოვრებაში თავს წელგამართულად ვერ გრძნობდა, ბევრ რამეში უკან იხევდა, ჩრდილში დგომასა და დუმილს ამჯობინებდა. ამ მიზეზით უარი თქვა სასულიერო სასწავლებელში შემოთავაზებულ თანამშრომლობაზე. ასევე უარი თქვა თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორობაზეც: როცა აწონ-დაწონა, მიხვდა, თავისი ბიოგრაფიის გამო უმაღლეს სასწავლებლებში გამეფებული მექრთამეობისა და სხვა უმსგავსოებათა წინააღმდეგ ბრძოლას ვერ შეძლებდა. აღნიშნული შებოჭილობა თვალნათლივ მჟღავნდებოდა მასთან გამართულ პოლემიკაშიც: რამდენადაც თავდამსხმელი თამამი და აგრესიული იყო, იმდენად

თვითონ თავშეკავებულად და მოკრძალებულად გა-მოიყურებოდა. მიუხედავად ამისა და იმისაც, რომ ბუნებით თბილი და კეთილმოსურნე პირად ურთიერთობაში დამთმობიც იყო, მეცნიერულ საქმიანობაში უდიდეს შეუპოვრობას ამჟღავნებდა, ვაჟას თუ დავესესხებით, „ბილწთ არ ეკვროდა ზავითა“.

ერთხელ მაღალი თანამდებობისა და გავლენის მქონე პირმა თავის უსახურ წიგნზე რეცენზიის (რა თქმა უნდა, ქების) დაწერა სთხოვა. უარის თქმა ვერ მოახერხა, მაგრამ არც დაწერა უცდია. ამასობაში დააპატიმრეს და პირველ შეხვედრაზევე მეუღლეს ღიმილით უთხრა: ამ დაჭერით ერთი კარგი საქმე მაინც გაკეთდა — „ის“ აღარ მოგვაკითხავსო.

ბატონი ივანე შესანიშნავი მეოჯახეც იყო და მეცნიერებისათვის თავდადებულიც. რის სიმყუდროვე! — ყოველგვარ პირობებში მუშაობდა. ერთხელ ვიხუმრე, ბრძოლის დროს ზარბაზნის ლულაზეც რომ იჯდეს, წერა-კითხვაში არც იქ შეეშლება ხელი-მეთქი და მან და სხვებმაც ღიმილით დამიდასტურეს.

მწიგნობრობისადმი, ჩვენი ენის, ლიტერატურისა და ისტორიისადმი გაუნელებელი სიყვარული ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს ოჯახმა და სკოლამ, განსაკუთრებით, როგორც თვითონ იგონებს, პაპამ, მისმა სეხნიამ, ივანე ლოლაშვილმა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, დიმიტრი გონაშვილმა (გამოჩენილი მომღერლის, ჰამლეტ გონაშვილის, მამამ).

უნივერსიტეტში მისი მასწავლებლები იყვნენ ჩვენი სახელოვანი მეცნიერები: კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ყაუხჩიშვილი, იუსტინე აბულაძე, ნიკო ბერძენიშვილი, დიმიტრი უზნაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, სოლომონ იორდანიშვილი და სხვები, მაგრამ მისი საკვლევაძიებო ნიჭის გაღვივებაში გადამწყვეტი როლი კ. კეკელიძემ და ალ. ბარამიძემ შეასრულეს. მოგონებაში წერს: „კ. კეკელიძის დიდმა ავტორიტეტმა, შეუდარებელმა ლექციებმა და უკვდავმა წიგნებმა განსაზღვრეს ჩემი მომავალი სამეცნიერო ინტერესები და მიზნები (...). ჰირველი მზრუნველი თვალი მე, როგორც ძველი ქართული მწერლობით დაინტერესებულ სტუდენტს, მომპყრო ალ. ბარამიძემ“.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა სტუდენტობიდანვე დაიწყო. საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით აქვეყნებს წერილებს ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის სამეცნიერო მოღვაწეობაზე, რეცენზიას — „ამირან-დარეჯანიანის“ სარგის კაკაბაძისეულ გამოცემაზე, გამოკვლევებს — „ამირან-დარეჯანიანის კვლევის ისტორიისათვის“ და „აკად ნ. მარი და ამირან-დარეჯანიანის სადაურობის პრობლემა“; ეხმაურება კ. კეკელიძის ნარკვევს აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ წყაროს დადგენის თაობაზე და ახალ, დასაბუთებულ თვალსაზრისს იძლევა, რომელიც დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია.

ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიაზე ფიქრი და ზრუნვა ომის, ტყვეობისა და პატიმრობის უმძიმეს დღეებშიაც არ შეუწყვეტია.

ერთხელ, როცა რუსთავის სასჯელ-აღმასრულებელ კოლონიაში დამქანცველი სამუშაოდან დაბრუნებულ პატიმრებს ეძინათ, ის დაღლილობას არ შეეპუა, პავლე ინგოროყვას ახალგამოსულ ვეებერთელა წიგნს *„გიორგი მერჩულეს“* უჯდა და კითხულობდა, კოლონიის უფროსი თავზე დაადგა და რეჟიმის დარღვევა მკაცრად უსაყვედურა, თან ღვარძლიანად დააყოლა: *რას კითხულობ, ხომ არ გგონია, აქედან ცოცხალი გახვალო.*

ალბათ, არც ამ ამბის გაგრძელება იქნება უინტერესო: გავიდა ხანი და, როცა ბატონი ივანე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენასა და ლიტერატურაში მიმღები საგამოცდო კომისიის წევრი ბრძანდებოდა, ეს კაცი, საერთო ახლობელთან ერთად, შინ ესტუმრა და შვილისთვის დახმარება სთხოვა... და მან ეს დახმარება მიიღო!

ივანე ლოლაშვილი ფართო ინტერესების, უაღრესად ნაყოფიერი მკვლევარი იყო. ავტორია 190-ზე მეტი გამოკვლევის, რეცენზიის, გამოხმაურებისა და სხვადასხვაგვარი წერილისა, რომელთაგან სამ ათეულამდე ცალკე წიგნად არის გამოქვეყნებული. ისინი, ისე, როგორც მათზე გამოხმაურებანი და სხვა სამუშაოები, აღრიცხულია მეცნიერის ბიბლიოგრაფიაში, რომელიც მისმა მოწაფე ზურაბ კუტიბაშვილმა დიდი სიყვარულითა და

რუდუნებით შეადგინა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ 1992 წელს გამოსცა.

ბატონი ივანეს უპირველესი და უმთავრესი შესწავლის ობიექტი იყო ძველი ქართული ლიტერატურა. ამუშავებდა როგორც სასულიერო, ისე საერო, როგორც უძველეს და კლასიკურ, ისე ე. წ. აღორძინებისა და გარდამავალი ხანის მწერლობას. ყოველთვის სიახლეებისკენ ისწრაფოდა; იზიდავდა დიდი თემები, რთული პრობლემური საკითხები. მისი სტიქია იყო „შავი სამუშაო“: მტვრიანი, სქელტანიანი ფოლიანტების ჩხრეკა, უცნობ ავტორთა და თხზულებათა ძიება, გაშიფრვა, ისტორიულ-ფილოლოგიური მხარეების გარკვევა და მზის სინათლეზე გამოტანა.

თავიდანვე ყურადღება ქართულ კლასიკურ მწერლობას მიაპყრო. ლიტერატურის ინსტიტუტში სამსახურის დაწყებიდან კარგა ხანს (1957–1970) რუსთველოლოგიის განყოფილების თანამშრომელი გახლდათ და რუსთველისა და მისი ეპოქის ძეგლებს იკვლევდა.

ადრიდანვე ხელი ჰქონდა მოკიდებული და ამ წლებში გაარმავა მუშაობა ე. წ. მეხოტბეებზე. უპირველესად შეისწავლა ჩახრუხაძის „თამარიანი“. ნ. მარის გამოცემის შემდეგ, რომელიც რამდენიმე გვიანდელ ხელნაწერს ეყრდნობოდა, მნიშვნელოვნად წინ წაწია მისი კვლევა: შეისწავლა ყველა ხელნაწერი, გამოავლინა და ერთმანეთს შეუჯერა არაერთი ახალი მასალა და ეს ურთულესი ტექსტი 1957 წელს ფართო მეცნიერული აპარატის დართვით გამოაქვეყნა. დღემდე მკვლევარები და მკითხველთა ფართო წრე, ჩვეულებრივ, ამ გამოცემით სარგებლობენ. ეს სოლიდური ნაშრომი გახლდათ მისი საკანდიდატო დისერ-ტაცია.

ჩახრუხაძესა და მის თხზულებაზე ფიქრსა და ძიებას მკვლევარი შემდეგაც აგრძელებს. სწავლობს და შიფრავს გრიგოლ ჩახრუხაისძის ცნობილი ანდერძის უცნობ ნაწილს და ადგენს, რომ პოეტი ჩახრუხაძე და გრიგოლ ჩახრუხაისძე, როგორც მანამდე სამეცნიერო ლიტერატურაში იყო მიჩნეული, ერთი და იგივე კი არა, ორი სხვადასხვა პირი, სხვადასხვა ეპოქის მოღვაწეა და მათი გაიგივება არ შეიძლება. ამავე პრობლემას ეძღვნება მისი ბოლოდროინდელი ორი ნარკვევი – „შამქორის ომის

გამოძახილი ჩახრუხაძის «თამარიანში»“ და „ჩახრუხაძის «თამარიანის» რუსული თარგმანის ისტორიისათვის“. ეს უკანასკნელი ბიბლიოგრაფიის გამოსვლის შემდეგ დაიბეჭდა (გაზ. „კალმასობა“, 1999, № 6) და მასში არ ასახულა.

1964 წელს კიდევ უფრო სრულყოფილი სახით ბეჭდავს მეორე სახოტბო ნაწარმოებს — იოანე შავთელის თხზულებად მიჩნეულ „აბდულმესიანს“. თუმცა ესეც არანაკლებ რთული ძეგლი გამოცემული ჰქონდა ნ. მარსა და სხვებსაც, აქაც უდიდეს წარმატებას მიაღწია. პირველმა შეისწავლა და გაარკვია მის შემცველ ხელნაწერთა რედაქციული სახე და წარმომავლობა, გამოავლინა ძველი ნუსხები და მათზე დაყრდნობით მოამზადა ტექსტი, დაურთო მას ვრცელი გამოკვლევა, ხელნაწერთა და ბეჭდურ გამოცემათა ვარიანტები, თითოეულ სტროფთა და სტრიქონთა ახალ ქართულზე თარგმანი და კომენტარები, ვრცელი ლექსიკონი, აგრეთვე საძიებლები, რომლებშიც არაერთ ძნელად გასაგები სიტყვისა და გამოთქმის განმარტებას იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნი მთლიანად გამსჭვალულია ტრადიციული შეხედულებით, თითქოს ეს სახოტბო თხზულება ეკუთვნის კლასიკურ ხანას, იოანე შავთელს, და არის დავით სოსლანისა და თამარ მეფის შესხმა, ხოლო ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების მიხედვით, მისი ავტორია XVII საუკუნის პოეტი და საეკლესიო მოღვაწე იაკობ დუმბაძე შემოქმედელსამებელი, შეიცავს მეფე-პოეტ არჩილ მეორისა და, საზოგადოდ, მეფეთა და ქრისტიანობის ქებას, გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, მასში (ბატონი ივანეს ნაშრომში) იმდენი ახალი და უმნიშვნელოვანესი ფაქტია მოყვანილი და დადასტურებული, რომ დასმულ პრობლემას მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე აყენებს. უპირველესად მან მოგვცა ამ ახალი თვალსაზრისის შემუშავებისა და ჩამოყალიბების ბიძგი.

ამ ნაშრომისათვის მას ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. მსგავსად „თამარიანისა“, საყოველთაო გამოყენებისათვის ეს გამოცემაა მიღებული.

ამ სახოტბო ძეგლზე მუშაობას ისევ აგრძელებს და აქვეყნებს ნარკვევს — *„კვლავ «აბდულმესიანის» პერსონაჟთა ვინა-*

ობისათვის“ (1969). განზრახული ჰქონდა ჩახრუხაძესა და შავთელზე დაეწერა მესამე წიგნი, მაგრამ არ დასცალდა.

ძვირფასია ბატონი ივანეს რუსთველოლოგიური ღვაწლი. იკვლევდა რუსთველის ბიოგრაფიას, იკონოგრაფიას, მსოფლმხედველობას, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, ძველი ქართული მწერლობისადმი მის მიმართებას.

1961 წელს გამოსცა წიგნი *„რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა“*, რომელშიც განხილულია რუსთველოლოგთა წინაშე ბევრჯერ დასმული საკითხი რუსთველის არმოღწეული თხზულებების თაობაზე. კერძოდ, შესწავლილია, რამდენად სანდოა ანტონ კათალიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ გენიოსი პოეტი საისტორიო თხზულების ავტორიცაა. ამ თვალთახედვით დამუშავებულია კლასიკური ხანის საისტორიო ძეგლები – *„ცხოვრება მეფეთა-მეფისა თამარისი“* (ავტორის ვინაობა, შედგენილობა, დაწერის თარიღი) და *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“* (აქაც: შედგენილობა, ავტორი, მხატვრულ-სტილისტური თავისებურებანი და „ვეფხისტყაოსადმი“ მათი მიმართება). საგანგებო ყურადღება ექცევა იმის გარკვევასაც, თუ რა წყაროებს ეყრდნობოდნენ ვახტანგ მეექვსის „სწავლული კაცები“, როდესაც თამარ მეფის შევსებული ისტორია შექმნეს. ამ საკითხების ანალიზის შედეგად გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსი, *„ისტორიანი და აზმანის“* ავტორი, არის შოთა რუსთველი. საერთოდ, საქართველოში მოღვაწე მეცნიერებისათვის და, მათ შორის ივანე ლოლაშვილისათვის, მაშინ უცნობი იყო, რომ იგივე საეგებიო შეხედულება ადრე გამოთქმული ჰქონდა დასავლეთ ევროპაში გადახვეწილ მეცნიერ-რუსთველოლოგ მიხაკო წერეთელს. ამ ვარაუდს ზოგმა მკვლევარმა მხარი დაუჭირა, მაგრამ საბოლოოდ მან აღიარება ვერ პოვა. მიუხედავად ამისა, წიგნში იმდენი ახალი მასალაა მოხმობილი და ისტორიულ-ლიტერატურული მხარეები გაშუქებული, მისი მეცნიერული ღირებულება უცილობელია.

რუსთველის ბიოგრაფიის საკითხებს ეხება ნარკვევი *„ჟამთა აღმწერლის ერთი ადგილის განმარტებისათვის (შოთა კუპრი, ავაგი თუ ეგარსლანი)“*.

ვრცელ გამოკვლევაში *„რუსთველის მსოფლმხედველობის ისტორიული და ეროვნული საწყისები“*, რომელიც 1966 წელს შოთა რუსთველისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში დაიბეჭდა, ნაჩვენებია „ვეფხისტყაოსნის“ მიმართება, ერთი მხრივ, საქართველოს ისტორიული სინამდვილისადმი (გიორგი მესამის მიერ თამარის გამეფება, გიორგი რუსზე იძულებითი დაქორწინება და სხვა), მეორე მხრივ, ქრისტიანული ფილოსოფიურ-თეოლოგიური მწერლობისადმი. უამრავი ნიმუშია მოხმობილი იმის საილუსტრაციოდ, თუ რა საერთო აქვს პოემას ძველქართულად არსებულ ბიბლიურ, ჰიმნოგრაფიულ და ფილოსოფიურ მწერლობასთან. სახელდობრ, ამ თვალსაზრისით გაანალიზებულია არეოპაგიტიკული წიგნები, იოანე დამასკელის, პროკლე დიადოხოსის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწისა და სხვათა ნაშრომები.

ბატონი ივანე ჩაბმული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტების გამოცემაში. გარდა იმისა, რომ ასრულებდა შავ სამუშაოს — ხელნაწერებიდან იწერდა ვარიანტებს და ამოწმებდა სხვათა მიერ ამოწერილებს, მანვე შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ამ მეტად მნიშვნელოვანი წიგნის მეოთხე ნაკვეთი (1963).

მონაწილეობდა ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით მომზადებული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის (1966) ტექსტის დადგენაში. სტატიებად გამოაქვეყნა უაღრესად საყურადღებო ნაშრომები პოემის ტექსტის დადგენასა და გაგებაზე (შეისწავლა სიტყვები: „მოლი“, „ესე გუჰარი“ თუ „ესე გვარი“, კონიექტურები — „ფრდილობა“ და „გააფრდილებს“; გამოთქმები — „მზე უშენოდ ვერ იქმნების“, „სახე ყოვლისა ტანისა“, „მიჯნურთა სურვილი“). რუსთველის ეპოქაზე საუბრობს პოპულარულ წერილებში: „რუსთაველი და მისი დრო“ , „რუსთველის ეპოქის საერო მწერლობა“, „რუსთველის ეპოქის სიბრძნე“... პოლემიკურ ნარკვევებში განიხილავს: ფანსტატიკასა და სინამდვილეს „ვეფხისტყაოსნში“, მის გეოგრაფიულ გარემოს, რუსთველის იკონოგრაფიასთან დაკავშირებით ნინოწმინდის 1708 წლის სიგელის პორტრეტებს... ცალკე ბროშურად გამოსცა ნარკვევი —

„რუსთაველის ეპოქის ჩვენამდე არმოღწეული სალიტერატურო მემკვიდრეობის გარშემო“ (1965), რომელიც შემდეგ შევიდა „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში (1966).

ცალკე წიგნებს უძღვნის რუსთველის ეპოქის ისტორიის საკითხებს. 1971 წელს დაბეჭდილ წიგნში *„დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება“* განიხილავს საკითხებს: ჩამომავლობით ვინ იყო დავით სოსლანი, რა ვითარებაში გარდაიცვალა და სად არის დაკრძალული. ამ მიზნით იმოგზაურა ოსეთში, არდონის ხეობაში, შეისწავლა ნუზალის ეკლესიის მხატვრობა და წარწერები, იქაური ისტორიული ძეგლები და ადგილები.

ამგვარივე ხასიათის მეორე წიგნში *„თამარ მეფის აკლდამა გელათში“*, რომელიც 1989 წელს გამოვიდა, საკითხი ეხება თამარ მეფეს, მის ავადმყოფობას, გარდაცვალებასა და დაკრძალვას. გაანალიზებულია ხალხური გადმოცემები და ჯვაროსანი მხედრის გ. დებუას წერილი თამარის ნეშტის გელათიდან იერუსალიმში გადასვენების შესახებ, შესწავლილია თამარ მეფის ეკვდერის ფრესკები. მიღებული დასკვნით, თამარი დასაფლავებული უნდა იყოს გელათში, ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთის მინაშენში, თამარის ეკვდერში.

1969 წელს უშვებს წიგნს *„სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი“*, რომელშიც შესულია კლასიკური და „აღორძინების“ ეპოქებში შედგენილი აღმზრდელობით-დამრიგებლური შინაარსის კრებულები. მათში წარმოდგენილია ანტიკური ხანის, ბიბლიური, ეკლესიის მამათა და სხვათა მიერ გამოთქმული ბრძნული შეგონებანი, მათ თავს გადამხდარი ჭკუისასწავლი ამბები... ეს კრებულიც დამშვენებულია ავტორისათვის დამახასიათებელი გამოკვლევითა და ლექსიკონით.

ივანე ლოლაშვილმა უდიდესი ამაგი დასდო რუსთველის ეპოქის წინარე ხანის ქართული ლიტერატურის შესწავლას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომები ისე ურთულეს დარგში, როგორიცაა ფილოსოფიურ-თეოლოგიური მწერლობა. მანვე დააარსა სერია *„ძველქართული ფილოსოფიური ძეგლები“* და ამ სერიით მრავალი პირველხარისხოვანი თხზულება გამოაქვეყნა.

პირველად ამ სერიით 1968 წელს წიგნად გამოსცა იოანე პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიურ-დიდაქტიკური თხზულება *„სათნოებათა კიბე“*, ანუ *„კლემაქსი“*, რომელიც არის იოანე სინელის *„კლემაქსის“* ეფთვიმე ათონელისეული პროზაული თარგმანის იამბიკურად და აკროსტიქურად გალექსილი ვერსია, ძვირფასად შემკული გამოკვლევით, შენიშვნებითა და ლექსიკონით.

გამოკვლევა ვრცელია და ეხება როგორც ნაწარმოებს, ისე იოანე პეტრიწის ბიოგრაფიისა და შემოქმედების უამრავ მნიშვნელოვან მხარეს. აი, საკითხები, რომლებიც აქ დასმული და პასუხგაცემულია იოანე პეტრიწის ბიოგრაფიაზე: ტრადიციული ცნობები პეტრიწზე; ეფრემ მცირისა და „იოანე სამღრთო ფილოსოფოსის“ ურთიერთობისათვის; რა ცნობები არსებობს პეტრიწონის მონასტერში იოანე პეტრიწის მოღვაწეობის თაობაზე; არსენ ბერისა და არსენ იყალთოელის იდენტურობა; რა ეკუთვნის იოანე პეტრიწს და რა პეტრე გელათელს; ვინ არის ავტორი საისტორიო თხზულებისა *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“* და სხვა.

უშუალოდ პეტრიწის ნაშრომებზე გამოყოფილია საკითხები: საზოგადოდ, რა ფილოსოფიური ნაშრომები მიეკუთვნება მას; რა ურთიერთმიმართება არსებობს *„სათნოებათა კიბესა“* და *„კლემაქსის“* რედაქციებს შორის; ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანები და პეტრიწის დამსახურება ამ საქმეში; პეტრიწის აგიოგრაფიული და საისტორიო თხზულებანი, იამბიკოები და ა. შ.

ცალკეა განხილული იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მსოფლმხედველობა: კვლევის ისტორია, უზენაესი ერთი; ცა-სახლი გონებითი და მისი აჩრდილი; ოთხთა კავშირთა შეზავება, რღვევა და სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა და ა. შ.

ფაქტობრივად, ეს გამოკვლევა პირველი მონოგრაფიული ნაშრომია იოანე პეტრიწზე.

ამგვარივე მონოგრაფიულია წიგნი *„არსენ იყალთოელი (ცხოვრება და მოღვაწეობა)“*, რომელიც 1978 წელსაა გამოცემული. აქაც უამრავი პრობლემური საკითხია დასმული და ახალ-ახალი მასალების გამოვლენის შუქზე მეცნიერულად გადაჭ-

რილი: ვრცლად და კრიტიკულად მიმოხილულია XVIII–XX საუკუნეთა ცნობები არსენის შესახებ; ნაჩვენებია, ვინ იყო ის, სად მოღვაწეობდა და რა კვალი დატოვა ჩვენს მწერლობაში. ბოლოს შესწავლილია არსენ იყალთოელის ორიგინალური და მის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნი ფილოსოფიურ–თეოლოგიურ და დოგმატიკურ–პოლემიკურ ნაშრომთა ვეებერთელა კრებული „*დოგმატიკონი*“; დადგენილია მისი შედგენილობა და რედაქციები, ნაჩვენებია მასში გამოვლენილი „XI–XII საუკუნეების ქართველ მეცნიერ–მოაზროვნეთა და მწერალ–მთარგმნელთა ინტერესები, განათლების დონე, დიდი შემოქმედებითი უნარი, ქართული ენის სიდიადე, ფილოსოფიურ აზრთა და მხატვრულ სახეთა გამოსახვის ეროვნული მრავალფეროვნება, წერის კულტურა, მეცნიერული მუშაობის ხერხები და მეთოდები“, აგრეთვე ამ კრებულის „ის ლიტერატურული ანარეკლი, რომელიც შეიმჩნევა ძველქართულ მწერლობაში «ვეფხისტყაოსნიდან» «კალმასობამდე»“.

1994 წელს წიგნად დაიბეჭდა მის მიერ მომზადებული გიორგი მცირის აგიოგრაფიული ნაწარმოები „*ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა*“. ამ გამოცემასაც ახლავს ლექსიკონი და ვრცელი გამოკვლევა, სადაც ცალ–ცალკე განხილულია საკითხები: ამ ძეგლის ხელნაწერები, გამოცემები და შესწავლის ისტორია; ავტორი და დაწერის თარიღი; მისი გამოძახილი ძველქართულ მწერლობაში; გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ქრონოლოგია; გიორგი მთაწმინდელისა და გიორგი მცირის ლიტერატურული გარემო; ბიზანტიური კულტურა და ქართველი მოღვაწენი; გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა საქართველოში; ბოლოს, გამოცემული თხზულების კომპოზიცია და მხატვრულ–გამომსახველობითი საშუალებანი.

ბატონმა ივანემ ოთხი წიგნი უძღვნა მსოფლიო მეცნიერებისათვის ისე საინტერესო და სადავო პრობლემას, როგორიცაა უდიდესი ბიზანტიელი საეკლესიო თეორეტიკოსისა და მწერლის ფსევდო–დიონისე არეოპაგელისა და მეხუთე საუკუნის გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე პეტრე იბერიელის ვინაობის დადგენა.

წიგნში — *„არეოპაგიტიკის პრობლემები“* (1972), როგორც ანოტაციაშია აღნიშნული, შესწავლილია ძველქართული აგიოგრაფიული ძეგლები, არეოპაგიტიკულ წიგნთა ეფრემ მცირისეული ქართული თარგმანი, საგალობლები, სვინაქსარული და მოსახსენებელი თხზულებანი, ცალკეული ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები. მათი და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, თუ ძველ საქართველოში რა იცოდნენ დიონისე არეოპაგელსა და პეტრე იბერიელზე. იქვე განხილულია *„პეტრე იბერიელის ცხოვრების“* ასურული და ქართული რედაქციები, მათი ურთიერთობა და გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში, საეკლესიო ისტორიკოსის, ზაქარია რიტორისა, და პეტრე იბერიელის მოწაფე ზაქარია ქართველის ვინაობა და მოღვაწეობა, მათთან დაკავშირებული ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები.

ამ ნაშრომების შეფასება და გაგრძელებაა მკვლევრის მეორე წიგნი — *„ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერიელის იდენტურობის პრობლემა ქართულ და ევროპულ მეცნიერებაში“* (1973), სადაც ძველქართული მასალების შუქზე განხილულია და უარყოფილი ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია, რომ არეოპაგი-ტიკის კორპუსის ავტორი პეტრე იბერია. იქვე დამატების სახით პირველად დაბეჭდილია ეფრემ მცირის ორიგინალური ნაშრომი დიონისე არეოპაგელის შესახებ: — „წინაბჭე სიტყჳსა - თხრობაჲ დიდისა დიონისისათჳს და წიგნთა მათთჳის მიერ აღწერილთა“.

მესამე წიგნში — *„არეოპაგიტიკული კრებული“* (1983) — თავმოყრილი და დაბეჭდილია ძველი ქართული მწერლობის ტექსტები, რომლებიც დიონისე არეოპაგელსა და პეტრე იბერიელს ეხება.

მეოთხე წიგნში —*„ცხოვრება პეტრე იბერისა“*, — რომელიც მკვლევრის გარდაცვალების შემდეგ, 1988 წელს, გამოვიდა, დაბეჭდილია ხსენებული თხზულების ასურული რედაქციის გერმანული თარგმანიდან მის მიერ შესრულებული ქართული თარგმანი. ტექსტს აქაც ახლავს გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი. გამოკვლევას საფუძვლად უძევს უცხო-

ური და ქართული წყაროები, რომლებიც პეტრე იბერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას წარმოგვიდგენს.

ადრინდელი და კლასიკური ქართული მწერლობიდან აღსანიშნავია მისი ბოლოდროინდელი წიგნი – *„ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი“* (1982), გამოკვლევები *„«ილარიონ ქართველის ცხოვრების» ვრცელ და მოკლე რედაქციათა ურთიერთობისათვის“*, *„ეფთვიმე ზიღაბენის «დარღვევა ბოგომილთა წვალებისა» და მისი ქართული რედაქცია“*. კრებულში დაბეჭდილია მანამდე გამოუქვეყნებელი ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულებანი: არსენ იყალთოელის ნათარგმნი ფსელოსის *„პირმოისათვის“*; *„ვედრებანი მეფისათვის დიმიტრისა“*; ეფთვიმე ზიღაბენის დასახელებული ტრაქტატი; არსენ იყალთოელის თარგმნილი ანტიპლატონური შინაარსის ტრაქტატი – *„მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ: «სულნი კაცთანი პირველვე იყვნეს კორცთასა»“*; ორიგინალური ქართული ძეგლი დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა პაექრობაზე – *„სიტყს-გება ბერისა ეფთვიმე გრძელისა სოსთენის მიმართ, სომეხთ მოძღვრისა“*; იოანე პეტრიწის ნათარგმნი ამონიოს ერმისის *„რად ვიდრემე არს ფილოსოფობად“*; პოლემიკური ტრაქტატი, რომელიც, შესაძლებელია, არსენ იყალთოელს ეკუთვნოდეს – *„კსენებად სიტყს-გებისად და სასჯელისად შჯულისთჳს ქრისტიანეთადსა და სარკინოზთა“*.

მანვე სათანადო შენიშვნებისა და ლექსიკონის დართვით გამოსცა *„ჩვენი საუნჯის“* ოცტომეულის მეორე ტომი (1960). მასში, გარდა *„თამარიანის“* და ე. წ. *„აბდულმესიანისა“*, დაბეჭდილია *„ვისრამიანი“* და *„ამირან-დარეჯანიანი“*, რომელთა ტექსტები მის მიერვე არის დადგენილი.

ივანე ლოლაშვილს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის „აღორძინების ხანის“ ქართული მწერლობის შესწავლაში. წიგნი (1959) და ცალკეული ნარკვევები უძღვნა სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას. შესაბამისი შესავლით, ლექსიკონითა და საძიებლით გამოსცა მისი თხზულებების ოთხტომეულის მესამე ტომი (1963), რომელშიც შესულია მწერლის

მანამდე გამოუქვეყნებელი სასულიერო შინაარსის თხზულებანი – „სწავლანი“ და „*საქრისტიანო მოძღვრება*“.

დააარსა სერია „*ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები ძველ ქართულ მწერლობაზე*“ და ამ სერიით გამოსცა ორი წიგნი:

1. ანტონ ბაგრატიონის „*წყობილსიტყვაობა*“ (1980), რომელიც შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ცნობებს ძველ ქართველ მწერალთა, მთარგმნელთა, მეფეთა, საეკლესიო მოღვაწეთა და სხვა ბრძენკაცთა შესახებ. დამატების სახით დაბეჭდილია ანტონის მოწაფეთა და „*წყობილსიტყვაობის*“ გადამწერთა იამბიკური ლექსები, რომლებშიც შექებულია ანტონი და მისი ეს ნაწარმოები. ამ პუბლიკაციასაც ერთვის გამოკვლევა თხზულების შინაარსისა და აღნაგობის, დაწერის თარიღის, ლიტერატურული წყაროების, მხატვრული თავისებურებებისა და ტექსტის ცალკეული მხარეების შესახებ, აგრეთვე პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა, იშვიათ და არქაულ სიტყვათა ლექსიკონი.

2. „*მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის*“ (1982). მასში ვრცელი გამოკვლევითა და განმარტებებით წარმოდგენილია XVI–XIX საუკუნეთა მწერლების – ბაგრატ ბატონიშვილის, იაკობ შემოქმედელის, არჩილ მეფის, ზაქარია გაბაშვილის, გერმანე მონაზონის, იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონების თხზულებათა ის ნაწილები, რომლებიც ქართულ მწერლობაზე ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ ცნობებს შეიცავენ.

კრებულებში დაბეჭდა გამოკვლევა და ტექსტი გაბრიელ მცირის „*მემუარულ თხრობაზე*“, ნარკვევი „*შაჰნავაზიანის*“ ხელნაწერებსა და სტროფულ წყობაზე, სტატია „ძველქართული მწერლობის შესწავლის ისტორიისათვის საბჭოთა საქართველოში“ (1981) და სხვა.

ივანე ლოლაშვილს საფუძვლიანი გამოკვლევები აქვს აგრეთვე ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია წიგნი „*ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა*“ (1968), ა. გაწერელიასთან ერთად განხორციელებული ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა (1972), წერილები გიორგი ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის,

ვაჟა-ფშაველას, ეგნატე ნინოშვილისა და სხვათა შესახებ. თანაავტორია წიგნისა *„ახალი ქართული ლიტერატურა (XIX ს.), ქრესტომათია, სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, ნაწილი I“* (1979).

1980 წელს გამოსცა მემუარული წიგნი *„ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან“*. ნარკვევში *„ზოგიერთი ძველქართული მხატვრული სახის განმარტებისათვის“* გააანალიზა და ახსნა წარმომავლობა ილია ჭავჭავაძის *„განდეგილში“* ნახმარი გამოთქმისა *„ღელე გლოვისა“*, გიორგი ლეონიძის პოეზიაში გამოყენებული სიტყვებისა და სახეებისა – *„წვიმილი“*, *„ცხენ-მხედარი“*, *„ნიავი სამინდორული“*. წერილები უძღვნა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე მწერლებს – ივანე შაიშმელაშვილს, ნიკო ტატიშვილსა და დავით პატაცაშვილს. ბოლო ორზე მოგონებანი გვიან, 1999 წელს *„სალიტერატურო გაზეთში“* (№ 2) დავ-ბეჭდეთ და მის ბიობიბლიოგრაფიაში არ ასახულა.

ნარკვევები და წერილები გამოაქვეყნა ალექსანდრე ცაგარელის, ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, იუსტინე აბულაძის, ალექსანდრე ბარამიძის, პავლე ინგოროყვას, სოლომონ ყუბანეიშვილის, გაიოზ იმედაშვილის, იოსებ მეგრელიძის, ნიკო ტატიშვილის მეცნიერულ ღვაწლზე. ექვთიმე თაყაიშვილისაგან ჩაიწერა და გამოაქვეყნა მოგონებები.

ავტორია *„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“* დაბეჭდილი სტატიებისა: „არსენ იყალთოელი“ (თანაავტორი შ. ხიდაშელი), „არსენ I დიდი“, „ათონის კრებული“, „ასკეტურ-მისტიკური მწერლობა“, „ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი“, „ბასილ ბაგრატის ძე“, „ბასილი ვაჩეს ძე“, „ბასილი საბაწმინდელი“, „ბასილი ხანძთელი“, „გნომა“, „გრიგოლ დოდორქელი“, „გულანი“, „დოგმატიკა“, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, „იეზეკიელი“, „იოანე პეტრიწი“, „იოანე ტარიჭის ძე“, „კონსტანტი კახის მარტვილობა“, „ნინოს ცხოვრების რედაქციები“, „პეტრე გელათელი“, „პროკობი მღვდელი“, „საკაძე დიმიტრი“, „სეით თარგმანი“, „სიბრძნენი ფილოსოფოსთანი“, „სპილენძისქალაქიანი“, „ფავლენიშვილი ჯაგლაგა“, „ფეშანგი ფაშვიბერტყაძე“, „ფირმალიანი“, „ფისტიკა“, „ფისტიკაური“, „ქართული მო-

ნასტერი პალესტინაში“, „ქება“, „ქვარიანი დათუნა“, „ჩახრუხაული“, „ჩოლოყაშვილი გარსევან“, „ჩხატარაის ძე პეტრე“, „ცხოვრება პეტრე ქართველისა“, „ძაგნაკორული“, „ჰარნაკი ადოლფ“, „ჰონიგმანი ერნესტ“.

ივანე ლოლაშვილი თავგამოდებით იღვწოდა სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის. ამჟამინდელ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მაშინდელ ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ქართული ლიტერატურის სპეცკურსებს, ხელმძღვანელობას უწევდა ასპირანტებსა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებს, იყო რამდენიმე სამეცნიერო საბჭოსა და სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს წევრი.

ბატონი ივანე წიგნის ტრფიალი გახლდათ. მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან გზაზე წიგნი იყო მისი თანამგზავრი. დიდი ძალა და ენერგია შეალია ქართული წიგნის სამსახურს. საქართველოს მეცნიერებათა (ეროვნული) აკადემიის ცენტრალურ-სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მუშაობის შემდეგაც მჭიდროდ იყო დაკავ-შირებული საბიბლიოთეკო საქმიანობასთან. იყო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საბიბლიოთეკო საბჭოს წევრი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკათა საბჭოების თავმჯდომარე. ამ უკანასკნელთან თანამშრომლობის შედეგად წამოიწყო სერია *„ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები ძველ ქართულ მწერლობაზე“*.

როცა კინორეჟისორმა გურამ პატარაიამ გადაიღო და ჩამოიტანა ათონის ივერთა მონასტრის ძველქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები, რომელთა ასლები თბილისის უნივერსიტეტმა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკას გადასცა, ბატონი ივანე ბიბლიოთეკას კონსულტაციას უწევდა ამ ხელნაწერთა ფოტოპირების დამუშავებაში, რის შედეგადაც დაწერა ზემოაღნიშნული წიგნი *„ათონის ხელნაწერთა სიახლენი“*.

ივანე ლოლაშვილი *„წიგნის მოყვარულთა საზოგადოების“* (ამჟამად *„მწიგნობართა ასოციაცია“*) აქტიური წევრი იყო. 1977 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ამ საზოგადოებასთან არსებული

სახალხო უნივერსიტეტ „წიგნის“ რედაქტორია, 1979 წლიდან – ამავე საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის წევრი, 1981 წლიდან – ალმანახ „*მწიგნობრის*“ მთავარი რედაქტორის მოადგილე (მთავარი რედაქტორი – ირაკლი აბაშიძე) და ამ საქმის უშუალო შემსრულებელი.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების დავალებით დაწერა და გამოაქვეყნა ბროშურა „*ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან*“ (1978), მოამზადა და დაბეჭდა მეცნიერული აპარატით შემკობილი „*შუშანიკის წამების*“ მინიატურული გამოცემები ქართულ და რუსულ ენებზე, საიუბილეო ბუკლეტები გიორგი ლეონიძის დაბადების 80, „*შუშანიკის წამების*“ დაწერის 1 500 წლისთავთან დაკავშირებით და სულხან-საბა ორბელიანზე სახალხო დღესასწაულ „გარეჯობის“ გამო.

ბატონი ივანეს სახელი ჩაწერილი იყო წიგნის მოყვარულთა საკავშირო საზოგადოების ცენტრალური გამგეობის „*საპატიო წიგნში*“, მიღებული ჰქონდა სამკერდე ნიშანი „*წიგნის მოყვარულთა საზოგადოების აქტივისტი*“.

როგორც სახალხო უნივერსიტეტ „წიგნის“ რედაქტორმა, არაერთი, მათ შორის გასვლითი, ლექცია ჩაატარა ქართული წიგნის, ძველი ქართული ლიტერატურის კერებისა და ძველ ქართველ მწიგნობართა შესახებ.

იმ საბედისწერო დღესაც ასეთი გასვლითი ლექცია ჰქონდა. 1984 წლის 12 მაისს, სახალხო დღესასწაულ „*გარეჯობის*“ წინა დღეს, მან სახალხო უნივერსიტეტის მსმენელები დავით გარეჯაში წაიყვანა. ის შესანიშნავად იცნობდა ამ გარემოს და მის ისტორიას. პირველხარისხოვანი გამოკვლევები ჰქონდა გამოქვეყნებული აქაურ ლიტერატურულ სკოლაზე.

... და, მას შემდეგ, როცა ლექცია დაასრულა და მსმენელებს დავით გარეჯის ისტორიულ ადგილებს აცნობდა, ეს საოცრად დინჯი და აუჩქარებელი კაცი, ყველასგან მოულოდნელად, ღრმა ქვაბულში გადაიჩეხა.

ესეც ბოლო ფათერაკი!

როგორც ჯარისკაცი საბრძოლო დავალების შესრულებისას, ისე წავიდა ჩვენგან ივანე ლოლაშვილი, დიდად ღვაწ-

ლმოსილი, მაგრამ შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე მეცნიერი-მკვლევარი. შეუსრულებელი დარჩა მამულისათვის საკეთილდღეო მრავალი ფიქრი და ოცნება, დაუმთავრებელი და დასაწყები გამოკვლევები... მაგრამ, რისი გაკეთებაც მოასწრო, უკვდავ ძეგლებად დგას მისი სახელის სადიდებლად.

6. გივი მიქაძე[1]

ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარი, მეცნიერ-პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ ი ვ ი მ ი ქ ა ძ ე დაიბადა 1924 წლის 18 აპრილს (საბუთებში კი მცდარად 18 თებერვალი უწერია) ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. მამა – ვარლამ ანდრიას ძე მიქაძე (1896–1971) – ცნობილი ჟურნალისტი და გამომცემელი იყო. ახალგაზრდობისას წერდა და აქვეყნებდა ლექსებს, პატარ-პატარა მოთხრობებს, მხატვრულ ნარკვევებსა და თარგმანებს. გასული საუკუნის 20-იან წლებში მუშაობდა ჯერ ჟურნალების „ერთობისა“ და „პირველი ნაბიჯის“ კორექტორად, შემდეგ – გაზეთ „სპარტაკისა“ და ჟურნალების „საზღვარზე“ და „მომავლის“ რედაქციების პასუხისმგებელ მდივნად. 30-იან წლებში არის გაზეთ „საბჭოთა აჭარისტანის“ რედაქტორის მოადგილე და რედაქტორი, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ პასუხისმგებელი რედაქტორი, გამომცემლობა „სახელგამის“ პოლიტიკური ლიტერატურის სექტორის გამგე. 1937 წლიდან ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-გამომცემლობას. ბოლო წლებში ამავე უნივერსიტეტის „შრომების“ რედაქციის გამგეა.

დედა – თამარ ტატიშვილი (1900–1957) – გახლდათ დიასახლისი, დამთავრებული ჰქონდა ხაშურის გიმნაზია და მწერლობისადმი სიყვარული ოჯახიდან მოსდგამდა. მამამისი – ალექსანდრე, ცნობილი რევოლუციონერი, დევნის გამო გაიქცა ამე-რი-

[1] გამოქვეყნებული იყო: „მწიგნობარი-04“, თბ., 2004, გვ. 75-92.

კაში, ათი წელი ცხოვრობდა ბუენოს-აირესში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხელი მიჰყო კომისიონერობას, თბილისში ჰქონდა დუქანი „ბუენოს აირესი“, ეწეოდა ქველმოქმედებას და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცისფერყანწელებთან, რომლებმაც მას თბილი მოგონებები მიუძღვნეს, ხოლო ტიციან ტაბიძემ 1928 წელს მასზე გამოაქვეყნა პატარა ლირიკული პოემა „ალეხანდრო (ანუ ალექსანდრე – ბ. დ.) და კასტილია“.

1942 წელს გივი მიქაძემ დაამთავრა საშუალო სკოლა და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით. მაგრამ სწავლის გაგრძელება არ დასცალდა. მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა და სწავლას მოწყურებული ჭაბუკი საბჭოთა არმიაში გაიწვიეს. სამეთაურო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ფრონტზეა. ირიცხება 147-ე გვარდიულ მსროლელთა პოლკში, რომელსაც გენერალი პორფირე ჩანჩიბაძე მეთაურობდა. იბრძვის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე, უკრაინის ველებზე, ქ. სტალინოს (მაღაროების) მიმართულებით. მდინარე მიუსთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში 1943 წლის 22 აგვისტოს ერთ-ერთი შეტაკებისას ნალმმტყორცნი ყუმბარის ნამსხვრევებით მარჯვენა ფეხსა და ხელში მძიმედ დაიჭრა. აფეთქების ძალამ შორს მოისროლა, კონტუზია მიიღო და კარგა ხანს უგონოდ ეგდო. სიკვდილს გადაარჩინა თანამებრძოლმა თენგიზ მზარეულაშვილმა, რომელმაც იგი ზურგზე მოკიდებული დიდი წვალებით სამშვიდობოზე გამოიყვანა და ჰოსპიტალში გაგზავნა. განუშორებელი მადლიერებით აღსავსე ბატონმა გივიმ თავის გადამრჩენს (რომელიც შემდეგ ბრძოლაში დაიღუპა) მოგვიანებით თბილი მოგონება უძღვნა და მის გმირულ თავდადებაზე მოგვითხრო (გაზ. „საბჭოთა პედაგოგი“, 1985, № 16).

დაჭრილი გივი მიქაძე დემობილიზებულ იქნა. 1944 წლიდან სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იგი დიდი ნიჭიერებითა და ბეჯითი სწავლით გამოირჩევა. 1946–1949 წლებში სახელობით სტიპენდიას ღებულობს. 1949 წელს უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებისათვის პირველი პრემია მიაკუთვნეს. იმავე

წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და იქვე კონკურსით ასპირანტურაში ჩაირიცხა (ხელმძღვანელი — კორნელი კეკელიძე), რომელიც 1952 წელს დაამთავრა.

1954 წელს სამსახურს იწყებს საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში სწავლულ მდივნად. 1955 წელს დანიშნეს დავით გურამიშვილის დაბადებიდან 250 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური გამოფენის მოწყობის ხელმძღვანლად.

1956–1974 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია, 1974–1987 წლებში — თბილისის ა. ს. პუშკინის (შემდეგ სულხან-საბა ორბელიანის) სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდეგ უნივერსიტეტის) ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფმცოდნეობის კათედრის გამგე, 1988 წლიდან — ამავე კათედრის პროფესორი.

1954 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1974 წელს სადოქტორო დისერტაციები. 1963 წელს მიენიჭა უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, 1980 წელს — პროფესორის წოდებები.

წლების განმავლობაში ასრულებდა სხვადასხვა სამეცნიერო-საზოგადოებრივ საქმიანობას. პედაგოგიურ ინსტიტუტში იყო ინსტიტუტთან არსებული კულტურის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, ლიტერატურისა და ხელოვნების სახალხო უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკათა სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს, ინსტიტუტის საბჭოსა და რექტორატის საბჭოს წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ესთეტიკის პრობლემათა სამეცნიერო საბჭოსა და ამავე აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული „მსოფლიო ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებანი თანამედროვე ეპოქაში“ საკავშირო სამეცნიერო საბჭოს საქართველოს სექციის წევრი, ინფორმაციის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, აკად. გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი, საზო-

გადება „ცოდნის“ რესპუბლიკური ორგანიზაციის ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნების სექციის მეთოდ-საბჭოს წევრი და ა. შ.

ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობისადმი მიდრეკილება ადრიდანვე გამოამჟღავნა. 1943 წელს ფრონტზე ყოფნისას კორესპონდენციებს აქვეყნებს სამხედრო გაზეთ „მებრძოლში“. შინ დაბრუნების შემდეგ, 1945 წლიდან, იწყებს ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების ბეჭდვას. ამ წელს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ (№ 100) დადებითი რეცენზიით ეხმაურება სევერიანე ისიანის ლექსთა კრებულის გამოსვლას.

ასპირანტობიდანვე ებმება სამეცნიერო საქმიანობაში. მეოთხე კურსის სტუდენტი 1948 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების მესამე კრებულში ბეჭდავს საკმაოდ ვრცელ და საყურადღებო გამოკვლევას „ანბანთქება ძველ ქართულ ლიტერატურაში“. აქედან მოყოლებული, ნახევარ საუკუნეზე მეტია, შეუნელებელ, ღრმა და ფართო კვლევა-ძიებას ეწევა და პირველხარისხოვანი ნაშრომებით ავსებს და ამდიდრებს ქართველოლოგიას. უაღრესად მრავალმხრივი და ნაყოფიერი მკვლევარია. ავტორია 250-ზე მეტი დასახელების ნაშრომისა. უმეტესი ნაწილი გამოკვლევებია, რომლებიც წერილების სახითაა გამოქვეყნებული, ათიოდეა წიგნებად გამოცემული.

ბატონი გივის შესწავლის საგანია ქართული ლიტერატურა, რომელსაც იგი სხვადასხვა კუთხით ამუშავებს. ძირითადად იკვლევს ძველი ქართული, უფრო ე. წ. „ალორძინებისა“ და „გარდამავალი ხანის“ (XVII-XVIII საუკუნეთა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის) მწერლობის ისტორიას.

უწინარესად აღსანიშნავია პოეტისა და ლექსის პირველი ქართველი თეორეტიკოსის მამუკა ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ნაშრომები, რისთვისაც მას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. ოფიციალური ოპონენტი ალექსანდრე ბარამიძე რეცენზიაში წერდა: „სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ გივი მიქაძის სახით ჩვენ გვყავს თეორიულად მომზადებული და პრაქტიკულადაც საკმაოდ გაწაფული ტექსტოლოგი. გ. მიქაძეს დიდი კეთილსინდისიერებითა და

საქმის ცოდნით შეუსწავლია მამუკა ბარათაშვილის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რაც კი მოიპოვება საქართველოსა და რუსეთის სიძველეთსაცავებში...

უცილობელი მეცნიერული ღირსებანი გააჩნია სადისერტაციო ნაშრომის პირველ წიგნსაც (დისერტაცია წარმოდგენილი იყო ორ წიგნად – ბ. ლ.). ამ წიგნის მიხედვით დისერტანტი გვევლინება როგორც საკმაოდ დახელოვნებული მკვლევარი, მახვილი კრიტიკული ალღოს პატრონი და დაკვირვების უნარით დაჯილდოებული. სარეცენზიო ნაშრომით გ. მიქაძეს გარკვეული წვლილი შეაქვს XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლაში... დისერტანტს თანმიმდევრულად და დამაჯერებლად აქვს მიმოხილული მამუკა ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. მიმოხილვა ეძღვნება XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების კარგ ცოდნას...“

ბატონი გივი თავს უყრის თავისი კვლევის შედეგებს და 1958 წელს აქვეყნებს წიგნს „*მამუკა ბარათაშვილი (ცხოვრება და შემოქმედება)*“, სადაც მონოგრაფიული სისრულით წარმოჩენილია იმჟამად სრულიად შეუსწავლელი ამ თვალსაჩინო მოღვაწის დამსახურება ქართული კულტურის ისტორიაში. ცალ-ცალკე თავებში განხილულია მისი ბიოგრაფიული მასალები, შემოქმედება, მხატვრული მხარე, ლიტერატურული წყაროები, გავლენა ქართულ მწერლობაზე და ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. იქვეა დართული მამუკა ბარათაშვილზე არსებული შრომების სია და წიგნში ნახსენებ პირთა და თხზულებათა საძიებლები.

1969 წელს ცალკე წიგნად ბეჭდავს მამუკა ბარათაშვილის თხზულებათა სრულ კრებულს, რომელიც მწერლის ყველა ცნობილ ხელნაწერს ეფუძნება. მასში წარმოდგენილია მწერლის როგორც ლექსები, რომელთა უმეტესობა ქართული ლექსთწყობის მრავალფეროვნების გამოვლენასა და დამკვიდრებას ემსახურება, ისე ვრცელი გალექსილი პოემა „ჯიმშედიანი“ და, რაც მთავარია, პოეტიკური ტრაქტატი „სწავლა ლექსის თქმისა“, ანუ „ჭაშნიკი“.

კრებულში, დროის შესაბამისად, სრულად არ შესულა მამუკას სასულიერო შინაარსის თხზულება „წამებული“, რომელშიც კალენდარული სისტემით ჩამოთვლილია ქრისტიანული წმინდანების სახელები, შეტანილია მისი მხოლოდ დასაწყისი და ბოლო ნაწყვეტები.

გამოცემას ერთვის გამოყენებულ ხელნაწერთა აღწერილობა, ვარიანტული წაკითხვები და საძიებლები.

გივი მიქაძემ მონოგრაფიულად დაამუშავა და თავიანთი თხზულებებითურთ წარმოგვიდგინა გიორგი თუმანიშვილის (კრებ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, I, 1962), იესე ბარათაშვილის (იგივე კრებული, II, 1964), დავით თუმანიშვილის („ლიტერატურული ძიებანი“, XIV, 1963) ცხოვრება და შემოქმედება. განიხილავს აგრეთვე ლექსთა კრებულის „ნარგიზოვანის“ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს (კრებ. „XVIII საუკუნის ქართული მწერლობის საკითხები“, I, 1965), იოანე ბაგრატიონის (იქვე), დავით რექტორის („ლიტერატურული ძიებანი“, XIII, 1960), გიორგი ბაგრატიონისა („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1993, № 1) და სხვათა ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ამ ნაშრომებისათვის სახელდებით *„XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მწერლები და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა“* მას მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ოფიციალური ოპონენტი დავით გამეზარდაშვილი აღნიშნავდა: „ძველი ქართული მწერლობის ფილოლოგიურ შესწავლას შეუდარებელი ამაგი დასდო აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ, რომლის მიერ დაწყებულ საქმეს დღეს აგრძელებენ მისი მოწაფეები. მათ შორის უნდა დავასახელოთ გივი მიქაძეც, რომელსაც თავისი სადოქტორო დისერტაციის თემად ასეთი ჰრობლემის შესწავლა გაუხდია...

სადისერტაციო ნაშრომი ხანგრძლივი და ბეჯითი ფილოლოგიური კვლევა-ძიების შედეგია. მისი წუალობით უკვე დადგენილად უნდა მივიჩნიოთ დღემდე სადაოდ გამხდარი ბევრი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის საკითხი. ამასთან, ნაშრომი აშკარად

გვარწმუნებს იმაში, რომ გ. მიქაძის სახით ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას ჰყავს საიმედო ფილოლოგი, რომელიც კარგად ფლობს ფილოლოგიური კვლევა-ძიების მეცნიერულ მეთოდოლოგიას და ნაყოფიერადაც მოღვაწეობს ძველი ქართული მწერლობის ბურუსით მოცული საკითხების დასაზუსტებლად".

მეორე ოფიციალური ოპონენტი ვანო შადური რუსულად წარმოდგენილ რეცენზიაში წერდა: „Главным достоинством диссертации является, по-моему, насыщенность новыми материалами – рукописными и печатными. Она очень богата малоизвестными и неизвестными фактами, сведениями, добытыми автором в архивных фондах, в периодических изданиях, в различных источниках. Перед нами – исследование, созданное на основе многолетнего интенсивного кропотливого труда. Я особенно хочу отметить ту колоссальную работу, которая проделана автором.

...Надо сказать, что преставленная к защите диссертационная работа написана на высоком научном уровне, что ее основные положения правильны. Автор проявляет блестящее знание материала по теме, поразительное трудолюбие, добросовестность, эрудицию и хорошие исследовательские способности. Наша общественость знает диссертанта как превосходного исследователя. Его многочисленные статьи и книги давно получили признание и высокую оценку".

გივი მიქაძეს მრავალი ნაშრომი აქვს აგრეთვე დაბეჭდილი ძველი ქართული მწერლობის ცალკეულ სხვა საკითხებზე. ნაწილი სერიალების სახითაა გამოქვეყნებული. ასეთებია „ფილოლოგიური ძიებანი" ოთხ ნაკვეთად და „ლიტერატურულ-ისტორიული ფრაგმენტები" ორ ნაკვეთად.

სწავლობს ბესიკის სადავო ლექსებს („მაცნე", ელს, 1972, № 1), ავლენს „ქილილა და დამანას" უცნობ ვერსიას („მაცნე", 1968, № 5). გამოკვლევაში „ძველი ქართველი პოეტი ქალები" ვეცნობით ბარბარე ბაგრატიონის, ანასტასია ბარათაშვილისა და ანა თუმანიშვილ-ამილახვრის შემოქმედებით ბიოგრაფიებს („ძველი

ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, IV, 1973).

ზოგი წერილი კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობებს ეხება. გამოვლენილი და განხილულია „აღათოკლეს“, („მაცნე“, 1954, № 6), „ოდისეას“ (კრებ. „ლიახვი“, 1966), ეზოპეს იგავების (გაზ. „თბილისი“, 1959, № 198), ვოლტერის (კრებ. „ლიტერატურული ურთიერთობანი“, II, 1969), ვ. ჰიუგოს („საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები“, IV, 1978), პიერ კორნელის („ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, V, 1973), გ. დერჟავინის („მაცნე“, 1964, № 6), მ. ლომონოსოვისა და მ. ლერმონტოვის („ლიტერატურული ურთიერთობანი“, I, 1965. გაზ. „ახალი თაობა“, 1996, № 104) თხზულებათა ქართული თარგმანები. დადგენილია მთარგმნელები და მათი წყაროები. წერილში „ანაკრეონტისებური ლექსი“ („მაცნე“, ელს, 1972, № 1) ალ. ჭავჭავაძის თარგმანს გვაცნობს.

გამოკვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელნაწერებს ეხება. ჯერ კიდევ 1957 წელს აქვეყნებს მეთოდიკური ხასიათის წიგნს: *„ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა“*. ნუსხები, რომელსაც მეცნიერი შეისწავლის, უმეტესად არქეოგრაფიული და კოდიკოლოგიური თვალსაზრისითაა დახასიათებული. ოდენ ქრონოლოგიურ საკითხებს ეძღვნება: „როდის არის გადაწერილი «ბარამ-გულანდამიანი»?“ (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951, № 46), „შიომღვიმის ხელნაწერთა დათარიღებისათვის. I. «შიომღვიმის ოთხთავი». II. «შიომღვიმის ტიბიკონი»“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, № 4). დადგენილია „ჯიმშედიანისა“ (გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1953, № 2) და „ბარამიანის“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1956, № 25) გადამწერთა ვინაობა (გიორგი გარსევანიძე და ანა თუმანიშვილი-ამილახვარი), ალ. ხახანაშვილის კუთვნილი ნუსხები (კრებ. „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, 1966) და სხვა.

დიდად ფასეულია ავტორის გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შესახებ. მონაწილეობს პოემის ხელნაწერთა ვარიანტების ოთხ ნაკვეთად (1960–1963) გამოცემაში. ადრე

პოემის ნუსხებზე ბეჭდავს წერილებს სამ ნაკვეთად („ლიტერატურული ძიებანი“, XI, 1958. XII, 1959). ავლენს „ვეფხისტყაოსნის“ ახალ ნუსხებს (გაზ. „თბილისი“, 1965, № 241. 1966, № 198. „მაცნე“, ელს, 1968, № 5. 1971, № 2), იკვლევს მათ კალიგრაფებს (კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“, 1966). განსაკუთრებით შთამბეჭდავია ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ მზეხათუნისეულ ნუსხაზე. ერთ-ერთ მათგანში („ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, VI, 1974), რომელიც დეტექტიურ მოთხრობასავით იკითხება, გამოვლენილია მისი რედაქციულობის განმსაზღვრელი ნიშნები, გაშიფრულია მასზე არსებული წარწერები, დადგენილია მათში მოხსენიებული პირები, რომელთა მეოხებით ვეცნობით XVIII–XIX საუკუნეთა მიჯნაზე იმერეთის სამეფო კარზე დატრიალებულ კონფლიქტურ ამბებს, გიორგი ბაგრატიონის ტრაგიკულ ცხოვრებასა და ლიტერატურულ მოღვაწეობას.

გივი მიქაძე ავტორია ლიტერატურისმცოდნეობისა და ერთმანეთისაგანაც ისეთ მნიშვნელოვნად განსხვავებულ თემატიკაზე დაწერილი სტატიებისა, როგორიცაა „ბაგრატიონთა სამეფო გერბის უცნობი ნიმუში“ („მწიგნობარი–03“), „გრიგოლ ხანძთელის პორტრეტის მხატვარი“ (გაზ. „სახალხო განათლება“, 1987, № 99), „მარიამ დედოფლისეული ოლარი“ („მაცნე“, ელს, 1972, № 1), „იერუსალიმის უცნობი ქართული სამშენებლო წარწერა“ (კრებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, 1971), „პეტერბურგში დაკრძალულ ქართველ ბატონიშვილთა ეპიტაფიები“ (იქვე), „ათონის ივერთა მონასტრის სიძველენი“ („ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, 1978, № 3) და სხვა.

ძველი ქართული ლიტერატურის შესახებ აქვს მიმოხილვითი და განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომები. ასეთებია: *„რუსთველოლოგიური პრობლემატიკა საბჭოთა საქართველოში“* (კრებ. „ქართული საბჭოთა მწერლობის საკითხები“, 1967), *„ძველი ქართული მწერლობის შესწავლა 50 წლის მანძილზე“* („ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, III, 1968). თანაავტორია *„ქართული ლიტერატურის ისტორიის“* ექვსტომეულის მეორე ტომისა

(1966). მისია თავები: „გარსევან ჩოლოყაშვილი“, „ვახტანგ VI“, „ქართული მწერლობის კერები რუსეთსა და უკრაინაში“, „მამუკა ბარათაშვილი“, „მამუკა გურამიშვილი“, „ნარგიზოვანი“ და „იოანე ბაგრატიონი“. ალ. ბარამიძესა და გ. იმედაშვილთან ერთად არის ამ ტომის რედაქტორი.

ნარკვევების ავტორია ლექსიკაზე. შესწავლილი აქვს ტერმინები: „ალბეჭდულნი“ (გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1953, № 38), „საცერე“ (იგივე გაზეთი, 1954, № 10), „გამზევნება“, „კასმათი“ („მწიგნობარი -03“).

გივი მიქაძის ყურადღების არეშია მოქცეული აგრეთვე ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა. ახალ მასალებს გვთავაზობს ილია ჭავჭავაძის შესახებ (ჟურ. „ბალავერი“, 1988, № 1, 2). ბატონი გივის მეუღლე ლალი პატარაია (დრამატურგ ვასო პატარაიას ასული და კინორეჟისორ გურამ პატარაიას და) XIX საუკუნის გამოჩენილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის შთამომავალია. ბატონმა გივიმ შეისწავლა და გამოამზეურა თავის ოჯახში დაცული ამ დიდი მოღვაწის კუთვნილი საყურადღებო რელიკვიები – წერილები, სურათები, სილოვან ხუნდაძის „ეპიტაფია“ („მწიგნობარი – 03“) და სხვა. 2009 წელს გამოქვეყნდა დიდი ალბომი „დიმიტრი ყიფიანი, ცხოვრება და მოღვაწეობა, ფოტომატიანე“. ერთ-ერთი მისი შემდგენელი, გივი მიქაძის ქალიშვილი თამარი, წერს: „ჩვენს ოჯახში დიმიტრი ყიფიანის არქივი ინახება. ეს მამაჩემის გივი მიქაძის დამსახურებაა. მან რუდუნებით შეაგროვა მასალები, რის საფუძველზეც ალბომი გამოიცა. მასში მხოლოდ საოჯახო მასალები არ შესულა, საქართველოში არსებული უველა საინტერესო ცნობით თუ ფოტოთი შეივსო“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 16 აპრილი, 2011, № 71, გვ. 6).

ბატონმა გივიმ დიდი ამაგი დასდო ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებათა ორტომეულის (1958–1959) გამოცემას. სხვადასხვა კუთხით განიხილავს ტიციან ტაბიძის („მაცნე“, ელს, 1971, № 2), გალაკტიონ ტაბიძის (გაზ. „თაობა“, 1999, № 6), გიორგი ლეონიძის (გაზ. „წიგნის სამყარო“, 1972, № 16), იოსებ გრიშაშვილის („პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები“, IV, 1978), ლეო ქია-

ჩელის (გაზ. „საბჭოთა პედაგოგი“, 1984, № 17), დავით კასრაძის (იგივე გაზეთი, 1984, № 19), ალექსანდრე ჭეიშვილის (იგივე გაზეთი, 1990, № 9), ედიშერ ყიფიანის (გაზ. „წიგნის სამყარო“, 1984, № 12) და სხვათა შემოქმედებას.

სხვადასხვა თარიღთან დაკავშირებით წერილები აქვს გამოქვეყნებული ქართველი მეცნიერების, კორნელი კეკელიძის (კრებ. „ქართველი მეცნიერი აკად. კორნელი კეკელიძე“, 1965), ალექსანდრე ბარამიძის (მისი „ბიობიბლიოგრაფიის“ შესავალი წერილი, 1988), ბიძინა ქიქოძისა (გაზ. „საბჭოთა პედაგოგი“, 1974, № 37) და სხვათა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ცალკე და საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბატონი გივის დამსახურება ქართული, უფრო ძველი ქართული, პოეტიკის შესწავლაში. გარდა იმისა, რომ გვიჩვენებს ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიას და კრიტიკულად მიმოიხილავს ამ დარგის თანამედროვე ნაშრომებს, წარმოგვიდგენს და დაწვრილებით გვიხასიათებს ძველ ქართულ ლექსთა სახეებს, როგორიცაა: „ტაეპი“, „ლექსი“, „მრჩობლედი“, „ფისტიკური“, „ჩახრუხაული“, „შაირი“, „გრძელი შაირი სამკვეთი“, „მუხრანული“, „ყარიბული“, „ვახტანგური“, „შეწყობილი“, „გრძელ-შეწყობილი, ანუ მდენარი“, „შერეული“, „რვული“, „წყობილი“, „წყობილი მრავალმუხლი“, „უცხო, ანუ ოთხ-ხუთ ლექსი“, „ჩახრუხაული ძაგნაკორული“, „ძაგნაკორული“, „ეგროსული“, „აგარული“, „წაღმა-უკუღმა წასაკითხი ლექსი“, ანუ „პალინდრომი“, „ანბანთქება“, „ქართული სონეტი“. ავტორმა ამ დარგში თავისი ნაშრომები გააერთიანა და სათაურით *„ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან“* 1974 წელს წიგნად გამოსცა. წიგნს ახლავს ქართულ ლექთსწყობაზე არსებული ნაშრომების ბიბლიოგრაფია.

შეისწავლა აგრეთვე ძველი ქართული საგალობლები და ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა, რომ ძველი ქართული საგალობლების სტროფებში მარცვალთა რაოდენობას (მეტ-ნაკლებობას) გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ისინი გალობით სრულდებოდნენ (იხ. ნარკვევი: „არსენ ბულმაისიმისძე“, „ლიტერატურული ძიებანი“, XV, 1964). ასევე გაარკვია,

რომ დავით იმამყულიხანის ანბანთქება პროზაული ნაწარმოები კი არ არის, როგორც მანამდე იყო მიჩნეული, არამედ ლექსად დაწერილი თხზულება, ანუ საგალობელი. ამით საბოლოოდ დადასტურდა, რომ ქართულ ლიტერატურაში არ არსებობს პროზაული ანბანთქება.

მკვლევარმა თავიდანვე გაიზიარა აკაკი გაწერელიას მოსაზრება ქართული ლექსის სილაბურ-ტონურობაზე და მას ამჟამადაც ბეჯითად იცავს.

ბატონმა გივიმ ადრე, 1954 წელს, წიგნად გამოსცა „*ქართული პოეტიკის ქრესტომათია*“, რომელშიც მოთავსებულია XVIII-XIX საუკუნეთა მოღვაწეების – მამუკა ბარათაშვილის, ევგენი ბოლხოვიტინოვის, იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონების, ანონიმი ავტორის, ლავრენტი არდაზიანის, დავით ჩუბინაშვილის, კოტე დოდაშვილის, ლუკა ისარლიშვილის, არქიმანდრიტ კირიონისა და გრიგოლ ყიფშიძის ერთობლივი, მელიტონ კელენჯერიძისა და გრიგოლ ყიფშიძის პოეტიკური ნაშრომები. წიგნს დაურთო წინასიტყვაობა, ცნობები წარმოდგენილ თხზულებებსა და მათ ავტორებზე, ტექსტებზე შენიშვნები, ხელნაწერთა ვარიანტები, ლექსიკონი, პირთა და თხზულებათა საძიებლები.

გივი მიქაძის კვლევა-ძიების სფეროს განეკუთვნება ქართული საიდუმლო დამწერლობა, ანუ კრიპტოგრაფია. ამ საქმეს ის ასპირანტობიდან ჰკიდებს ხელს და ფრიად მნიშვნელოვან გამოკვლევებს აქვეყნებს: „ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა“ (ჟურ. „დროშა“, 1951, № 3. 1953, № 6), „ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის უცნობი ნიმუშები“ (კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კრებული, 1959), „ზურაბ და გრიგოლ წერეთლების კრიპტოგრაფიული წერილები“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, № 2), „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრამები“ (შოთა რუსთველი, საიუბილეო კრებული, „მეცნიერება“, 1966), „დეკაბრისტების თანამგრძნობი ქართველი ბატონიშვილი“ („საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები“, IV, 1978) და სხვა. მიაგნო და გაშიფრა არაერთი უცნობი კრიპტოგრამა, რომ-

ელთა მეშვეობით მრავალ ისტორიულ და ლიტერატურულ ფაქტსა და მოვლენას აეხადა ფარდა.

ბატონმა გივიმ დიდი ძალა და ენერგია მოახმარა ქართველ მოღვაწეთა ფ ს ე ვ დ ო ნ ი მ ე ბ ი ს შესწავლას. ამ პრობლემაზე მას მრავალი წერილი აქვს გამოქვეყნებული, რომელთა უმეტესი ნაწილი წიგნებად არის გამოცემული.

1984 წელს გამოსულ *„ფსევდონიმების ლექსიკონში“* აღნუსხული და გაშიფრულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა უამრავი ფსევდონიმური ხელმოწერა. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. ჯერ მოცემულია ანბანის რიგზე დალაგებული ფსევდონიმების ნუსხა, მერე ავტორთა ანბანური საძიებელი. წიგნს წინ ერთვის საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა ქართული ფსევდონიმების შესახებ.

1998 წელს გამოსული წიგნი *„ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში“* მოიცავს ნარკვევებს საქართველოში მოღვაწე პირებსა და მათ ფსევდონიმებზე. ისინი მოპოვებულია როგორც საარქივო ძიებების, ისე ცალკეულ მოღვაწეებთან პირადი ურთიერთობის საშუალებით. ვის არ შეხვდებით აქ, – XIX და XX საუკუნეთა დიდად გამოჩენილ, ცნობილ თუ უცნობ და უჩინარ უამრავ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს!

უნდა შევნიშნოთ, რომ ფსევდონიმთა კვლევასა და გამოცემაში მას არაერთი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა, რომელთაგან ზოგი კურიოზულ ხასიათს ატარებს. მაგალითად: როდესაც ერთ პროფესორს, სერგი დანელიას, რომელიც მის მეზობლად ცხოვრობდა, დასადასტურებლად შეუტანა თავისი გარჯის შედეგად მოპოვებული და დადგენილი მისი ფსევდონიმები, მასპინძელი აღშფოთდა და შეძახილით, ვის სჭირდება ესო, მკვლევარი თითქმის სახლიდან გამოაძევა. ასევე უარყოფითად შეხვდა თავისი ფსევდონიმების გახსნას მეორე დიდი მეცნიერი და თანამდებობის პირი ნიკო კეცხოველი. მანვე, როდესაც საგამომცემლო გეგმის პროექტში *„ქართულ ფსევდონიმთა ლექსიკონი“* ამოიკითხა, დაუყოვნებლივ ამოაგდო იგი იქიდან. მიზეზი მალე თავად ბატონმა გივიმ გაარკვია: ახალგაზრდობაში

ორივეს ანტისაბჭოთა ნაწერები ფსევდონიმებით ჰქონდა გამოქვეყნებული!

ნამდვილად კი ფსევდონიმთა აღნიშნული წიგნები ქართული მეცნიერების ძვირფასი შენაძენია. ბოლო წიგნზე დაბეჭდილ რეცენზიაში ალექსანდრე ღლონტი სწორად წერდა: „მისი ახალი წიგნი მთელ მიმართულებას უდებს სათავეს ქართულ ფსევდონიმთა შესწავლაში“ (გაზ. „სიტყვა ქართული“, 13 იანვარი, 1998).

ბარემ აქვე ვიტყვით: ფსევდონიმების გამოყენება უცხო არ არის არც თავად გივი მიქაძისთვისაც. მისი ფსევდონიმებია: გ. თამარაშვილი (გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1953, № 38. 1959, № 17. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1962, № 74), გ. ვარლამიძე (გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1952, № 196), კ. ბასილაშვილი (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1956, № 76), ბანძელა აბედათელი (გაზ. „ტყუილ-მართალი“, 1993, № 2).

დიდია ბატონი გივის ღვაწლი ს ა ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ო და ს ა მ უ ზ ე უ მ ო საქმიანობის, წ ი გ ნ თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ი ს ა და, განსაკუთრებით, ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ მ ც ო დ ნ ე ო ბ ი ს დარგში. გარდა იმისა, რომ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ კათედრის გამგედ და, ბოლოს, კათედრის პროფესორად, 30 წელია, იღვწის და ამ განხრით მრავალი თაობა აღზარდა, იგი წლების განმავლობაში იყო საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო და სამუზეუმო საბჭოების წევრი, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდიკური საბიბლიოთეკო კომისიის საბჭოს წევრი, აკად. გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი. საბიბლიოთეკო და სამუზეუმო საკითხებზე ავტორია რამდენიმე ნაშრომისა: „მხარის ლიტერატურული ცხოვრების ასახვა მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში“ (ბროშურა, 1955), „ბიბლიოთეკართა მაღალკვალიფიციურ კადრებს, მეტი ყურადღება“ (გაზ. „საბჭოთა პედაგოგი“, 1978, № 13), „საბიბლიოთეკო საქმის სრულყოფისათვის“ (იგივე გაზეთი, 1978, № 20), „დავით დადიანის ბიბლიოთეკა“ („მწიგნობარი – 80“), „სა-

ბიბლიოთეკო საქმის დიდი ქომაგი“, ნიკო ლორთქიფანიძე (გაზ. „საბჭოთა პედაგოგი“, 1982, № 20), „ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფმცოდნეობის კათედრა“ – მისი ისტორია (წიგნში: „თბილისის... სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი“, 1988).

აქვე დავძენთ: მას აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლითაც პირადად ჩვენც ხშირად გვისარგებლია. ბევრია მასში მეცნიერთა და მწერალთა ნაჩუქარი წიგნები, რომლებსაც ავტორთა საგულისხმო წარწერები ახლავს. ფრონტზე ყოფნისას ჩვენი სასიქადულო მეცნიერის სიმონ ყაუხჩიშვილისაგან წარწერით „ახალგაზრდა ნიჭიერ ფილოლოგს გივი მიქაძეს მასწავლებლისაგან“ ღებულობს წინა წელს მის მიერ გამოცემულ ანა დედოფლისეული ნუსხის შემცველ „ქართლის ცხოვრებას“. წარწერას თარიღად უზის 1943 წლის 21 იანვარი. საჩუქარს ჭაბუკი ჯარისკაცი დიდად აღუფრთოვანებია და გაუმხნევებია.

აი, კიდევ რამდენიმე ნაჩუქარ წიგნზე არსებული წარწერა: კორნელი კეკელიძე: „ჩემს მოწაფეს, ჰატივცემულ გივის. არ შეანელო დაწყებული საქმე! ავტორი“. მასვე თავისი ფოტოსურათი ასეთი ავტოგრაფით უსახსოვრებია: „ასპირანტს გივი მიქაძეს, მასწავლებლის მოსაგონებლად. «ისა სჯობს მამულისათვის, რომ შვილი ჯობდეს მამასა», 1951 წლის, IV, 16“.

აკაკი შანიძე: „პოეტიკის საკითხების ტრფიალს, გივი მიქაძეს ავტორისაგან, 1/ IX, 1959“.

ალექსანდრე ბარამიძე: „ძვირფას გივი მიქაძეს სიყვარულით ავტორისაგან. 24. VI, 66“.

აკაკი გაწერელია („რჩეული ნაწერების“ მესამე ტომზე): „ძვირფას გივი მიქაძეს, რომლის შრომებისგან დიდად არის დავალებული ჩემი რჩეული ნაწერების ეს ტომი. ძმური სივარულით მარად მისი აკაკი გაწერელიასაგან. 15 აპრილი, 82 წ.“

ალექსანდრე ღლონტი: „ძღვნად ქართული მეცნიერების, კულტურის, უმაღლესი სკოლის გამოჩენილ მოღვაწეს, ჩემს ძვირფას მეგობარს, ბროფ. გივი მიქაძეს. გულითადი სივარულითა და ღრმა ჰატივისცემით ალ. ღლონტი, 10. 01. 1985“.

ალექსანდრე გვახარია: „გივის, «ბიბლიოგრაფიის ღმერთს», – ჰატივისცემით – შურა, 16/ II, 64 წ.“ და სხვა.

ბატონი გივი წლების განმავლობაში არის საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის (ყოფილი წიგნის მოყვარულთა საზოგადოების) პრეზიდიუმისა და ალმანახ „მწიგნობრის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, იყო აქვე არსებული სახალხო უნივერსიტეტის „წიგნის“ რექტორი, წინათ გამომავალ გაზეთ „წიგნის სამყაროს“ რედკოლეგიის წევრი. წიგნთან დაკავშირებით საყურადღებო რჩევები აქვს გამოთქმული წერილებში: „დავაარსოთ წიგნის მუზეუმი (წერილი რედაქციას)“ (გაზ. „თბილისი“, 1986, № 44), „ღია წერილი «საქწიგნის» ხელმძღვანელობას“ (გაზ. „საბჭოთა პედაგოგი“, 1990, № 7).

რაც მეტად საყურადღებოა, მას უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის გამოსაქვეყნებლად გამზადებული აქვს „წიგნთმცოდნეობის“ სახელმძღვანელო.

დიდად დასაფასებელია გივი მიქაძის **სარედაქციო-საგამომცემლო** საქმიანობა. ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე იყო, როცა იძულებული გახდა, ამ საქმისთვის ხელი მოეკიდა. იმჟამინდელი რეპრესიები მის მამასაც შეეხო. ბატონი ვარლამი, როგორც არასანდო პიროვნება (ყმაწვილობაში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ პარტიის წევრი ყოფილა), სამსახურიდან დაითხოვეს და ორი წელი უმუშევრად ამყოფეს. ყოველდღე დაპატიმრებას ელოდა. თავი რომ ერჩინა და ოჯახსაც შეშველებოდა, მან შვილს აუხსნა და ასწავლა წიგნის ბეჭდვის პროცესები, კორექტურის სწორება, წიგნზე დართული საძიებლების შედგენა... და გამომცემლობაში ხელშეკრულებით მუშაობა დააწყებინა.

სტამბა-გამომცემლობებში მრავალწლიანი პრაქტიკული მუშაობის შედეგად მომავალი მეცნიერი საფუძვლიანად დაეუფლა, საერთოდ, სარედაქციო-საგამომცემლო საქმეს და ერთ-ერთი აღიარებული სპეციალისტი გახდა. მის ხელში გაიარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების გახმაურებულმა წიგნებმა. ეს მისთვის, როგორც სტუდენტისათვის, ერთგვარი სამეცნიერო-ლაბორატურული მუშაობა იყო.

შემთხვევითი არ არის ისიც, რომ მისი მასწავ-ლებლის, კორნელი კეკელიძის, „ძველი ქართული ლიტერა-ტურის ისტორიის“ ორივე წიგნზე ავტორის მოთხოვნით დაეწერა: „სწავლული კორექტორი გივი მიქაძე“.

ჩვენი იუბილარის მიერ სიჭაბუკეში შედგენილმა ანოტი-რებულმა საძიებლებმა იმთავითვე მაღალი შეფასება დაიმ-სახურეს. პაატა გუგუშვილი წერდა: „...მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ივ. ჯავახიშვილის თხზულება «ქართული ჰალე-ოგრაფია», გამოცემული ილია აბულაძის რედაქციით (1949). ამ წიგნისათვის ტერმინთა (საგნობრივი), ჰირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები წიგნიერად შეუდგენია პროფ. გივი მიქაძეს (ბატონი გივი მაშინ სტუდენტი გახლდათ – ბ. დ.). მე იმ აზრისა ვარ, რომ ასეთი გამოცემები სანიმუშოდ უნდა იყოს გამოფენილი, რათა ავტორებმა, რედაქტორებმა, გამომცემლობათა ხელმძღვანე-ლებმა გაითვალისწინონ ისინი თავიანთ მუშაობაში“ (ავტორის წიგ-ნი: „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX საუკუნეებში“, თბ., 1984, გვ. 83).

განსაკუთრებით აღსანიშნავია გივი მიქაძის ბ ი ბ ლ ი ო გ -რ ა ფ ი უ ლ ი ნაშრომები. გამოავლინა და შეისწავლა რამდენიმე ბიბლიოგრაფიული ცნობების შემცველი თხზულება და ნაწერი: „დავით რექტორის კატალოგი“ („საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები“, V, 1978), „ტარასი არქიმანდრიტის ბიბლიოთეკის წიგნების სია“ (იგივე შრომები, VII, 1978), „ქარ-თული წიგნის სავაჭრო კატალოგები“ („მწიგნობარი-96“), „ქარ-თული წიგნის სავაჭრო კატალოგების ისტორიისათვის“ („მწიგ-ნობარი-98“), სადაც მ. ვორონცოვის კუთვნილ ქართულ წიგნებსა და ავეტიქ ენფიანჯიანცის მაღაზიის წიგნების სიაზეა საუბარი, „იოანე ბაგრატიონის ნათარგმნი შრომების სია“ („მწიგნობარი-99“), „დავით ბაგრატიონის შრომების სია“ („მწიგნობარი-02“) და სხვა.

გამოაქვეყნა წერილი ღვაწლმოსილ ბიბლიოგრაფ თამარ კუცია-ღვალაძეზე (გაზ. „წიგნის სამყარო“, 1986, № 19). ალ-ექსანდრე ბარამიძის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით

დაბეჭდა მისი შრომების ბიბლიოგრაფია („ძველი ქარ-თული მწერლობის საკითხები“, II, 1964).

ყველაზე დიდი და ქართველოლოგიისათვის უმნიშვნე-ლოვანესი საქმე, რაც მან ამ დარგში გააკეთა, არის ძველი ქარ-თული მწერლობის ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ი ს შედგენა, რომელიც მოიცავს ხანას პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვიდან (1629) გასული საუკუნის 80-იან წლებამდე. 1968 წელს გამოვიდა ამ წიგნის მეორე ტომი. მასში შევიდა საბჭოთა პერიოდში, 1921–1965 წლებში, ქართულ ენაზე გამოქვეყნებული მასალები, თუმცა შრომების აღწერილობას დართული აქვს როგორც ქართულ, ისე რუსულ და უცხოურ ენებზე დაბეჭდილ გამოხმაურებათა ნუსხა. იქვეა წარმოდგენილი უცხოურ ენებზე დასტამბულ ნაშრომებზე ქართულად გამოქვეყნებული რეცენზიები და გამოხმაურებანი. ბიბლიოგრაფიაში ასახულია ყოველგვარი მასალა, რომელიც კი რაიმე თვალსაზრისით საინტერესოა ძველი ქართული მწერლო-ბის გასაცნობად. ცალკე გამოცემული წიგნების, სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში მოთავსებული წერილების გარდა, მასში შეტანილია მეთოდური ხასიათის წერილები, პოპუ-ლარული და სასწავლო პუბლიკაციები, ავტორეფერატები, მეც-ნიერ-მუშაკთა, ასპირანტთა და სტუდენტთა სამეცნიერო ღონის-ძიებებზე წაკითხულ მოხსენებათა თეზისები, ბიბლიოგრაფიები, ე. წ. პერსონალია, როგორც ცენტრალურ, ისე რაიონულ და სა-უწყებო ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები, მიმო-ხილვები, კორესპონდენცია-ქრონიკები და ა. შ.

ბიბლიოგრაფიაში ფსევდონიმები გახსნილია. როცა თხზუ-ლება ხელმოუწერელია, იგი სახელწოდების მიხედვით არის წარმოდგენილი. იმ შემთხვევაში, როდესაც სათაურის მიხედვით შრომის შინაარსი გაუგებარია, მოცემულია მისი მოკლე დახასი-ათება, ზოგჯერ კი, თუ ეს აუცილებელი ხდება, — მოკლე ანოტა-ცია.

წიგნი ბიბლიოგრაფიული საქმისა და ქართული ლიტერა-ტურის დიდი ცოდნით არის შედგენილი. იგი გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ბიბლიოგრაფიული ცნობარები; ჭეშმარიტად

მეცნიერული ნაშრომია, რომელიც საქართველოს წარსულით დაინტერესებული ყველა პირისათვის სამაგიდო წიგნია.

ავტორს დასაბეჭდად გამზადებული აქვს ამ ნაშრომის პირველი ტომი მთლიანად, მესამე ტომის მასალები კი ბარათებზეა აღნუსხული.

ასპირანტობის წლებიდან მოკიდებული, რეცენზიებითა და შენიშვნებით ეხმაურება ახალ გამოსულ ნაშრომებს, რომელთაგან ზოგი პოლემიკური სიმძაფრითაც არის გაჯერებული. ეხება: საქართველოს ცენტრალური არქივის *„ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“* მეორე ტომს („მნათობი“, 1951, № 5), პროფესორ ჩ. ლოუკოტკას რუსულად გამოცემულ წიგნს, სადაც ცნობები ქართულ დამწერლობაზე ჯეროვნად არ არის წარმოდგენილი (იგივე ჟურნალი, 1951, № 11), ტრიფონ რუხაძის (იქვე, 1955, №3), გურამ შარაძის (კრებ. „ჟურნალისტიკის საკითხები“, 7–8, 1981. გაზ. „კომუნისტი“, 1985, № 14) წიგნებსა და სხვათა ნაშრომებს.

წლების განმავლობაში აქტიურად მოღვაწეობდა „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, სადაც გამოქვეყნებული აქვს სტატიები ძველ ქართულ ლიტერატურაზე, ქართულ ლექსთწყობაზე, ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე, სხვადასხვა ტერმინზე და ა. შ. სახელდობრ, მას ეკუთვნის სტატიები: აკროსტიქი, ალექსანდრიანი, ანბანთქება, ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო (ლ. ტუხაშვილთან ერთად), არსენ ბულმაისიმისძე, ბაგრატიონი დიმიტრი გიორგის ძე, ბარათაშვილი თომა, ბარათაშვილი მამუკა, ბესიკური, გაბაასება, გაბრიელ მცირე, გელოვანი გაბრიელ, გურამიშვილი მამუკა, ეპიტაფია, ერისთავი ელიზბარ, ექსპრომტი (ხელმოუწერლად), ვარლამი (ერისთავი, ბ. ლომინაძესთან ერთად), ზმა, თავაქალაშვილი მამუკა (ხელმოუწერლად), თეკლას მონასტერი, თეკლე ბატონიშვილი, თუმანიშვილი ავთანდილი, თუმანიშვილი გივი, თუმანიშვილი გიორგი, თუმანიშვილი დავითი, თუმანიშვილი დიმიტრი, ბიბლიოთეკები (ნ. გურგენიძესა და ა. ლორიასთან ერთად. ეს სტატია შესულია აგრეთვე 1981 წელს რუსულად გამოსულ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“), ლარაძე პეტრე, ლიტერატურული მუზეუმი, ლიტერატურული ფონდი, მანანა, მდენარი, მემუარები,

„მეფეთა სალარო“, მთვარელიშვილი ნიკოლოზ, მიმოხილვა, მიძღვნა, მრჩობლედი, მუნასიბი, „ნარგიზოვანი“, ოთხ-ხუთ ლექსი, ონანა მდივანი, ორბელიანი დავით რევაზის ძე (გ. ჯამბურიასთან ერთად), ორბელიანი დიმიტრი ვახტანგის ძე, ორბელიანი ვახტანგ ვახუშტის ძე, პალინდრომი, პაპუნიშვილი, — ქსიფილინოსი იოანე მიხეილის ძე, პენტელაშვილი იოანე, პროტოტიპი, რვული. აქედან ნაწილი სტატიებისა შესულია აგრეთვე ქართულ ენციკლოპედიაში „საქართველო“. რუსულ ენაზე გამოსულ (1962) „მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედიის“ პირველ ტომში მას ეკუთვნის სტატია „ბაგრატიონი იოანე გიორგის ძე“.

აღსანიშნავია ბატონი გივის თანამშრომლობა საქართველოს ტელევიზიის დოკუმენტური ფილმების რედაქციასთან. იგი იყო კინორეჟისორ გურამ პატარაიას მიერ გადაღებული დოკუმენტური ტელეფილმების („რუსთაველის ნაკვალევზე“, 1966; „პალესტინის სიძველეთა საიდუმლოებანი“, 1968; „შორია გურჯისტანამდე“, 1970; „ათონის მატიანე“, 1978) პირველი მნახველი, შემფასებელი და მეცნიერ-კონსულტანტი. ამ ტელე-ფილმების შესწავლის შედეგად დაწერა რამდენიმე გამოკვლევა, რომლებიც ზემოთ არის დასახელებული.

ბატონი გივის როგორც ზემორე ნახსენები „ძველი ქართული მწერლობის ბიბლიოგრაფიის“ პირველი და მესამე ტომების, ისე წერილებად გაფანტული მისი მეცნიერული მემკვიდრეობის, წიგნებად გამოცემა ჩვენი მეცნიერებისა და კულტურისათვის მეტად საჭირო და სასარგებლო იქნება.

ცალკე უნდა აღინიშნოს გივი მიქაძის პედაგოგიური მოღვაწეობა. სლხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის გარდა, ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებულ კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ რესპუბლიკურ კურსებზე და სხვაგანაც. იგი აღმზრდელია სტუდენტთა და ასპირანტთა მრავალი თაობისა, მეცნიერ-ნათლიაა ბევრი მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორისა.

ბატონი გივი, როგორც ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწე, სიტყვითა და საქმით ეხმაურება ჩვენი ქვეყნის აქტუალურ საზეიმო თუ საჭირბოროტო საქმეებს. წერილები აქვს გამოქვეყნებული მეორე მსოფლიო ომზე: „იმ დღეების გახსენება“ (გაზ. „საბჭოთა პედაგოგი“, 1979, № 15), „რაც დავიწყებით არ იბინდება!“ (იგივე გაზეთი, 1985, № 16); 9 აპრილზე: „დახოცილი ბულბულები და... 9 აპრილი“ (იქვე, 1989, № 29); აფხაზეთის ტრაგედიაზე: „აფხაზეთის წართმევა რუსეთს ყოველთვის სურდა (ერთი პოლიტიკური პაექრობის გამო)“, სადაც ნაჩვენებია ჟურნალისტ ს. რუდაკოვისა და მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას შორის გასული საუკუნის 20-იან წლებში გამართული პაექრობა (გაზ. „საქართველო“, 1994, № 12); ბაზალეთის ტბის მიდამოებში თურქული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე: „მოვუაროთ საქართველოს!“ („ახალი თაობა“, 1996, № 11) და სხვა.

ჩვენი იუბილარი დაჯილდოებულია მეორე მსოფლიო ომის პირველი ხარისხის ორდენით, მედლებითა და სიგელებით. რამდენიმე წლის წინ დაჯილდოვდა ჯერ ღირსების მედლით, მერე – ღირსების ორდენით, 1998 წელს ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელმა კავშირმა ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია მიანიჭა, უფალმა კი დაასაჩუქრა ორი ქალიშვილითა (თამარი და ქეთევანი) და სამი შვილიშვილით (ნიკოლოზ და სოფიო ისაკაძეები და დალი ვაჩნაძე). შვილებიც ქართულ მწერლობას ემსახურებიან. თამარმა, რომელიც ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატია, 2003 წელს საკუთარი ნოველების წიგნიც გამოსცა.

ბატონ გივი მიქაძეს დაბადების 80 წლისთავზე „სამკალი ფრიად“ უხვად აქვს. ვუსურვოთ მას, თავის მრავალფეროვან სამკალს კვლავაც ძველებური შემართებით გამკლავებოდეს!

მინაწერი: ბატონი გივი გარდაიცვალა 2008 წლის 14 იანვარს. დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე.

7. რამდენიმე მოგონება აკაკი შანიძეზე[1]

ბატონი აკაკი სტუდენტობისას ცოტა ხანს ძველ ქართულ ენას გვასწავლიდა (კურსი გააგრძელა მისმა ქალიშვილმა მზექალამ). იმასთან შედარებით, რაც მისი სახელის სადიდებლად გვესმოდა, მაშინ მისი ლექციებით არ მოვხიბლულვართ. მშრალი და დუნე მეჩვენებოდა, მჭევრმეტყველური ხიბლი არ ახლდა. თუმცა ზოგჯერ ძველსა და ახალ ქართულს შორის ისეთ პარალელს გაავლებდა, აღფრთოვანებული ვრჩებოდით. თანაც, ამ ძიებებში ჩვენც გვაბამდა ხოლმე. ამნაირი კითხვა-პასუხები კი ლექციას აცოცხლებდა და ახალისებდა. ერთხელ ძველ ქართულ სიტყვა „სამსჭვალს“ ეხებოდა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, იგი არის „ლურსმარი“ (ანუ „ლურსმანი“), „რაიც გაეჩრება ყოველივე“, „ხოლო ხეთა სამსჭვალთა ხეთაგე შინა გასაწონსა ჯ ა ნ ჯ ი კ ი ეწოდების“. სულხან-საბასვე ცნობით, მას მეორენაირად „მანჭუალი“ ჰქვია. ბოლოს შეგვეკითხა, ეს სიტყვა ოდნავ სახეშეცვლილი გურულმა შემოინახა და, ვინ იცის, როგორ? აუდიტორია გაინაბა. მაშინვე მომაგონდა ჩემს სოფელში არაერთხელ გაგონილი „მარჭვალი“, ცოტა ყოყმანის შემდეგ ხელი ავწიე და ვთქვი. მომიწონა, სწორიაო (სხვათა შორის, ეს სიტყვა შეტანილი არაა ალექსანდრე ღლონტის მიერ შედგენილ დიალექტურ ლექსიკონთა გაერთიანებულ *„ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“*).

ბატონ აკაკისთან ახლო ურთიერთობა მქონდა 1960–1966 წლებში. ამ დროს ლიტერატურის ინსტიტუტში მისი თავმჯდომარეობით მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია. ამ კომისიის სხდომებს ვესწრებოდი, საჭირო მასალებს ვაწოდებდი და კომისიის მიერ დადგენილ პოემის ჩანართ სტროფებსა და დანართ ეპიზოდებს ხელნაწერთა და ბეჭდურ გამოცემათა ვარიანტებს ვურთავდი. ამას დაემატა ისიც, რომ ბატონმა

[1] ამ მოგონებათა მცირე ნაწილი გაზეთებში დაიბეჭდა. მეტი, უფრო იუმორისტული შინაარსისა, შევიტანე ჩემს წიგნში *„სალაღობო და ნაღვლიანი ამბები“*. აქ სრულად მაქვს წარმოდგენილი.

აკაკიმ მე და ქალბატონ მარიამ (ციალა) კარბელაშვილს ნება დაგვრთო (დაგვრთო კი არა, დაგვავალა), დავსწრებოდით იმ მეცადინეობებს, რომელთაც იგი კვირაში ერთხელ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასპირანტებს უტარებდა.

ამის შემდეგ ერთ ხანს ბატონ აკაკის სხვადასხვა საქმესთან დაკავშირებით კიდევ ვხვდებოდი, მაგრამ იშვიათად.

1986 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი „*ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა*“ და მაშინვე ბატონი აკაკისთვის გადასაცემად მასთან (შინ) წავედი. ქვემოდან, სადარბაზოს შესასვლელიდან, ზარი დავრეკე. მასთან მცხოვრები უმცროსი ქალიშვილი ქალბატონი ლელა გამომეპასუხა. ვუთხარი, რისთვისაც ვიყავი მისული. კიბეები ავათავე, კარები ღია დამხვდა და ბინაში შევედი. ბატონი აკაკი ადრე თითქმის ყოველთვის სამუშაო მაგიდასთან მხვდებოდა. ახლა იმავე პატარა სამუშაო ოთახში კედელთან მდგარ სავარძელში იჯდა. როგორც კი დამინახა, ფეხზე წამოდგა, შემომეგება და მომიკითხა, როგორ ბრძანდებით, ბატონო ბორისო (ადრეც ყოველთვის ბატონობით მომმართავდა). უცებ მეკითხება, ცოლი თუ შეირთეო. გავწითლდი. ბატონი აკაკი დიდი ხანი იყო (1967 წლიდან) სალაპარაკოდ არ მენახა და, რომ ვფიქრობდი, მიცნობს თუ არა–მეთქი, აღმოჩნდა, არათუ მიცნო, ჩემი სახელიც არ დავიწყებოდა და ისიც ახსოვდა (და ჩანს, აწუხებდა), უცოლო რომ ვიყავი! (ქუჩიდან ზარის დარეკვისას ქალბატონ ლელას არ უკითხავს და არც მე მითქვამს, ვინ ვიყავი).

ყოფა–ცხოვრება

როცა ბატონი აკაკი კორნელი კეკელიძის ქუჩაზე ახალაშენებულ კოოპერატიულ ბინაში საცხოვრებლად გადავიდა, ერთხანს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საგამომცემლოდ მომზადებაზე იქ დავდიოდით. ბიბლიოთეკა და სამუშაო მაგიდა შედარებით პატარა ოთახში ჰქონდა მოთავსებული, მაგრამ გადაშლილი წიგნები, ქაღალდები, ფანქრები და საწერ–კალმები თითქმის ყველა ოთახში ელაგა. პირველად ალექსანდრე ბარამიძესთან ერთად რომ მასთან მივედი, ბატონმა ალექსანდრემ ამას

ყურადღება მიაქცია და უთხრა: *მთელი ბინა კაბინეტად გიქცევიაო* (თვითონ შინ ყოველთვის თავის კაბინეტში მუშაობდა).

სამუშაო რეჟიმზე საუბარი რომ ჩამოვარდა, ბატონმა აკაკიმ ბრძანა: *რაც უნდა მოძალებული საქმეები მქონოდა, ღამე არასოდეს მითევიაო.*

ბატონი აკაკი შაქრიანი დიაბეტით იყო დაავადებული და დიეტას განუხრელად იცავდა. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, ციალა კარბელაშვილთან ერთად ლიტერატურის ინსტიტუტიდან იქვე, ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე, კოტე ფუთურიძის ბინაზე (სადაც დროებით ცხოვრობდა), მუშაობის გასაგრძელებლად ერთად წამოვსულვართ და ვერის ბაზარში შეგვივლია, ბატონი აკაკი ყოველთვის ჩემი და ქალბატონი ციალასათვის ნაირ-ნაირ ხილს ყიდულობდა, თავისთვის კი მხოლოდ ერთი ჯიშის ვაშლს იღებდა. ადრე ჩემთვის უთქვამს: *ყოველთვის თავის დროზე ვიკვებებოდი. მხოლოდ ერთხელ პეტერბურგში, სტუდენტობის დროს, სტიპენდიის აღება ვერ მოვასწარი და მშიერი დავწევიო.*

ბატონი აკაკი კარგად მღეროდა და სუფრაზე ლაზათიანი მოლხენა იცოდა. ერთხელ მითხრა: *დათრობა ყოველთვის მეჯავრებოდაო.*

ქართველის სირცხვილი

აკაკი შანიძე ბოლომდე იბრძოდა, რომ საშუალო სკოლებში ძველი ქართული ანბანის სწავლება შემოეღოთ. მიამბო: ბოლნისის სიონის ეზოში გახლდით და მასწავლებელმა ქალმა ტაძრის კედლის ხუცურ-ასომთავრულ წარწერაზე მკითხა, რა წერია იქო? მე მივუგე, ასე წერია: „შემირცხვენია ქართველი, ვინც მე ვერ წამიკითხოსა!“.

თოფურია-თოფურიძე

ცნობილია, რომ ზოგიერთმა მეგრელმა თავისი გვარის „ია“ დაბოლოება „ძესა“ და „შვილზე“ შეცვალა. მაგალითად „დგებია“ გვარიდან მივიღეთ „დგებუაძე“. ვარლამ თოფურიას გვარის შესახებ ბატონმა აკაკიმ მიამბო: როდესაც ვარლამი პირველად გამოსაცდელად დამიჯდა და გვარი ვკითხე, „თოფურიძეო“ მითხრა.

მე, ვითომ, ეს ვერ გავიგონე, „თოფურია“, „თოფურია“ – ასე მივმართავდი. ამის შემდეგ მას არსად, არც საბუთებში „თოფურიძე“ აღარ უხსენებია.

დამნაშავე ცოლი

აკაკი შანიძის და თეოლინე ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთაში კონსტანტინე ლეჟავაზე იყო გათხოვილი. კოლექტივიზაციის დასაწყისში კონსტანტინე გააკულაკეს, ხოლო 1932 წელს, როგორც მაშინ ეძახდნენ, ვითარცა „შავსიელი“, დააპატიმრეს და ზესტაფონში გამოამწყვდიეს.

ამის გამო ბატონი აკაკი არგვეთაში დასთან ჩავიდა. დამ უამბო, რომ ქმარს არ აჩვენებენ, კვირის ბოლოს „პერედაჩი“ – სადილი და თეთრეული – მიაქვს და უკან გამონაცვალსა და ცარიელ ჭურჭელს უბრუნებენ.

ბატონ აკაკის სამუშაო წამოღებული ჰქონდა და დასთან დარჩა. კვირას სატუსაღოდან დაბრუნებული გასარეცხი თეთრეული და ალუმინის ქვაბი თავად ჩაიბარა და საცვლების ხვეულებში წერილს დაუწყო ძებნა. ბოლოს, ქვაბის ძირში, ძროზე, ქიმიური ფანქრით მინაწერი აღმოაჩინა. მორიგი „პერედაჩის“ დროს პასუხად მან კონსტატინეს იმავე ქვაბის ძროზე ლექსად დაუწერა:

„სიძის ნახვა მომენატრა,
ვეწვიე შინაო.
თურმე იმან ზესტაფონში
ნახა სხვა ბინაო.
თეოლინე არას მაჭმევს,
მშია, მწყურიაო,
დასაჭერი ეს ყოფილა,
შენ რას გერჩიანო!“

ცნობილი ენათმეცნიერი ლევან კიკნაძე ოჯახურად და სამსახურებრივად აკაკი შანიძისათვის ახლობელი კაცი იყო: გახლდათ მისი სიძე, დისშვილის, ნელი ლეჟავას, მეუღლე. მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძველი ქართული ენის კათედრაზე, რომელსაც ბატონი აკაკი განაგებდა. რადგან ბატონი ლევანი მაღალი და ბრგე იყო და მამამისს ნიკოლოზი ერქვა, ბატონი აკაკი მას დიდი რუსი მწერლის, ლევ ნიკოლაევიჩ ტოლსტოის, ანალოგიით „ლევ ნიკოლაევიჩ ვისოკის“ ეძახდა.

გრიგოლ ბაკურიანის ძის ვინაობა

ლენინგრადში ისტორიისა და ფილოლოგიის საკითხებზე დიდი საკავშირო სამეცნიერო სესია ჩატარდა. საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ერევნელი მეცნიერი პარუირ მურადიანი, რომელსაც ასპირანტურის კურსი თბილისში კორნელი კეკელიძისა და აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით ჰქონდა გავლილი, თავის მოხსენებაში ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მეთერთმეტე საუკუნის ბიზანტიის იმპერიის სახელგანთქმული პოლიტიკური მოღვაწე და პეტრიწონის მონასტრის დამაარსებელი გრიგოლ ბაკურიანის ძე ეროვნებით სომეხი იყო. წამოყენებული საბუთები იმდენად ყოველმხრივ უსუსურად გამოიყურებოდა, რომ, როგორც იტყიან, ჩიტი ბრდღვნად არ ღირდა. მაგრამ სიმპოზიუმის წესი მოითხოვდა, მისთვის შეფასება მიეცათ. მაშინ აკაკი შანიძემ მეცნიერთა ფორუმი უხერხულობიდან ადვილად გამოიყვანა. განაცხადა: *გრიგოლ ბაკურიანის ძე თავად გარკვევით ამბობს, ქართველი ვარო, და ახლა აღარ ვიცი, ვის დავუჯერო, – თვითონ გრიგოლს თუ ჩემს მოწაფე პარუირ მურადიანს?* დამსწრეებს ღიმილმა სახეზე გადაუარა და ეს საკითხიც ამით ამოიწურა.

ბინა უნივერსიტეტის წინ

აკაკი შანიძემ გვიან, ძალიან გვიან, უნივერსიტეტის წინ, ვარაზის ხევში, კორნელი კეკელიძის სახელობის ქუჩის დასაწყისში, ოთხოთახიანი კოოპერატიული ბინა აიშენა. როცა პირველად ამ ბინაში მივედი, ბატონ ალექსანდრე ბარამიძესთან ერთად გახლდით. ბატონმა აკაკიმ ბინა დაგვათვალიერებინა და გაგვანდო: ამით მამაჩემის სურვილი ავასრულე. ჩემი სოფლიდან წამოსული ერთი ვაჭარი კაცი აქ ახლოს ცხოვრობდა. მამაჩემმა მითხრა, სირცხვილია, უნივერსიტეტთან ახლოს ვაჭარი ცხოვრობდეს და არა ამ უნივერსიტეტის პროფესორიო. ეს სიტყვები არასდროს მავიწყდებოდა და მაწვალებდაო.

ნიკო კეცხოველის შესახებ

აკაკი შანიძესთან ერთად ოჯახის წევრები სადილად ვსხედვართ, – იგონებს ბატონი აკაკის დის შვილიშვილი ზაზა კიკნაძე, — სიტყვა მოსწრებულ სიტყვა-პასუხზე ჩამოვარდა და აკაკიმ გვიამბო:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მსუბუქი მანქანით მე, ნიკო ბერძენიშვილი და ნიკო კეცხოველი აეროდრომზე რომელიღაც დელეგაციის დასახვედრად მივდივართ. წინ, მძღოლის გვერდით, ვზივარ. მე და ნიკო ბერძენიშვილი სხვადასხვა ამბებს ვყვებით. ნიკო კეცხოველი თავისთვის ზის. უნივერსიტეტის რექტორობიდან ახალგადაყენებულია, საოცრად დაღონებულია, დანა პირს არ უხსნის და საუბარში მონაწილეობას ოდნავადაც არ ღებულობს.

(ბატონი აკაკი 1948–1950 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ, მაგრამ აკადემიის პრეზიდიუმის ადმინისტრაციულ საქმიანობაში მონაწილეობას შემდეგაც ღებულობდა. ჩანს, ეს ამბავი 1953 წლის ივლის-აგვისტოში ხდება. ბატონი ნიკო უნივერსიტეტის რექტორი 1945 წლის ივლისიდან 1953 წლის ივლისამდე ბრძანდებოდა. ცნობილია, რომ იგი სახელგანთქმული რექტორი გახლდათ. მან ამ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ დაწესებულებას, მის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს უამრავი სიკეთე მოუტანა.

მაგრამ, ამავე დროს, ყველას მიმართ იყო მოურიდებელი და მკაცრი).

– კარგი რა, ნიკო, – მივუბრუნდი კეცხოველს, – რა მოგივიდა, შე კაცო, გამაგრდი, ცოტა ხანში ეს ყველაფერი გაგივლის.

– ეჰ, ჩემო აკაკი, კი, გამივლის, მაგრამ, სანამ გამივლიდეს, გაძლება არ უნდა?! – მიპასუხა თუ არა, ელვის სისწრაფით მივუგე:

– ნიკო, ჩვენ შენ გაგიძელით, შენ კი ამას ვეღარ უნდა გაუძლო?!

– მოხდა ნამდვილი საოცრება. ნიკომ დევივით გადაიხარხარა, კარგა ხანს იცინა და თანამგზავრებს გამოგვეცხადა ძველებურად ხალისიანი, ჩინებულად მოსაუბრე, მრავალმხრივი მამულიშვილური მეცნიერული და ლიტერატურული იდეებითა და ინტერესებით აღსავსე ნიკო კეცხოველი.

„ნუ გააღებ დარიალსა“

აკაკი შანიძეს დაბადების 80 წლისთავი საქართველოში საკმაოდ ფართოდ აღინიშნა. შეხვედრა მოვუწყვეთ ლიტერატურის ინსტიტუტშიაც. მისასალმებელ სიტყვაში ბესო ჟღენტმა გაიხსენა აკაკი შანიძის ქართული ეროვნული ჰიმნი *„ალიფაშას ხმაზე“* და რიხიანად დაიწყო:

> „აბა, ფხიზლად, ქართველებო! მივჰყვეთ მამა-პაპათ კვალსა!
> წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩავუფიქრდეთ მომავალსა!
> ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგან ცალსა!
> ყური ვუგდოთ გურჯი ბოლაზს და ნუ ვაღებთ დარიალსა!... “

ამ ლექსს არავინ ახსენებდა. თავად ავტორიც გულდაგულ მალავდა. ახალგაზრდებმა მის შესახებ უფრო ყურმოკვრით ვიცოდით და ბევრს წაკითხულიც არ გვქონდა. ახლა კი ბატონი ბესო ამას ასე მოურიდებლად და ხმამაღლა წარმოთქვამდა. განსაკუთრებით შეგვაშინა სიტყვებმა *„და ნუ ვაღებთ დარიალსა“*. დარბაზი ერთბაშად შეიშმუშნა და გამოცოცხლდა. ბესო უნ-

იჭიერესი ორატორი იყო, მაშინვე იგრძნო დარბაზის განწყობილება და ლექსს ერთბაშად მიაყოლა: *დიახ, დიახ, ნუ გავაღებთ დარიალსაო. მაშინ იქიდან დენიკინი მოდიოდა და ნუ შემოვუშვებთო,* და მისებურად – ჰი, ჰი, ჰიო, – ჩაიქირქილა. სიცილი მთელ დარბაზს გადაედო!

¤

ბოლოს **მედეა ოყრეშიძისა** და **თამარ ოქროშიძის** ბინაში ბანკეტი გადავიხადეთ. ბატონმა აკაკიმ შესანიშნავად მოულხინა და თავის ვოკალურ ხელოვნებას გვაზიარა. გათლილ საქონლის ბეჭზე პურობის მონაწილეებმა ხელი მოვაწერეთ, იუბილარმა კი დაწერა: „ამ ბეჭის ხორცი მეც მიჭამია. ა. შანიძე“.

ლავრენტი ბერიასთან შეხვედრა

აკაკი შანიძემ მიამბო: ბერიამ გამომიძახა (საუბარია იმ დროზე, როცა ჯერ კიდევ იგი მოსკოვში არ გადაუყვანიათ და საქართველოში პირველი კაცია. – ბ. დ.) და მითხრა: მთავრობამ გადაწყვიტა, გამოვცეთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. გვინდა, ამ საქმეს თქვენ უხელმძღვანელოთ. გთხოვთ შეადგინოთ გეგმა, უპირველესად, რამდენი კაცი და რა დრო დაგჭირდებათო. როცა გაიგო, ტელეფონი არ მქონდა, თქვა, დაგიდგამთო. შინ რომ დავბრუნდი, კარებთან ხელოსნები დამხვდნენ და ტელეფონი დამიდგეს.

რამდენიმე დღეში ბერიას ვეწვიე და გეგმის ძირითადი მონახაზი წარვუდგინე. ვადაზე არ დამეთანხმა, ასე შორს ვერ გადავდებთო და ისე მცირე დრო დამისახელა, ამ უზარმაზარი საქმის ხარისხიანად მოსწრება ყოვლად შეუძლებელი იყო. ვერ შევთანხმდით. სულ მალე გავიგე, ეს საქმე არნოლდ ჩიქობავასთვის მიენდო.

— დიდი შეცდომა დავუშვი, — განაგრძობს ბატონი აკაკი, — ბერია მოსკოვში გადაიყვანეს, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და *„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“* მომზადება და გამოცემა როდის დასრულდა! (ბოლო, მე-8 ტომი 1964 წელს

დაიბეჭდა. – ბ. დ.). მე რომ გამეკეთებინა, სულ სხვა იქნებოდა. ახლა ამ ლექსიკონში „მოვიდა“ „მ“-ზე უნდა ეძებო და „წავიდა“ – „წ“-ზე (ბატონი აკაკის სურვილი გახლდათ, ეს ლექსიკონი ბუდობრივად, ფუძეების მიხედვით ყოფილიყო შედგენილი. აქ უნდა შევნიშნოთ: „ვეფხისტყაოსნის სიმფონიაში“, რომელიც „*შედგენილია აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით*“ და 1956 წელს გამოიცა, მკაცრი ბუდობრივი წესი გატარებული არაა, როგორც ეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 1973 წელს დაბეჭდილ „*ვეფხისტყაოსნის სიმფონიაშია*“. მას აწერია: „*ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი*“ და იგი სპეციალისტებისთვისაც უფრო ძნელი გამოსაყენებელია, ვიდრე პირველი).

– მეორე შეცდომაც დავუშვი. – ისევ განაგრძობს ბატონი აკაკი, – რაღაც საზეიმო ღონისძიება ტარდებოდა და ოპერისა და ბალეტის თეატრში ვართ. წინა რიგში ვზივარ. სცენაზე მთავრობა გამოჩნდა, წინ ბერია მოუძღვის, დარბაზი ფეხზე დგომითა და ტაშით შეეგება. მე ფეხზე კი წამოვდექი, მაგრამ ტაში არ დამიკრავს. ვხედავ, ბერიამ გამიღიმა და თავის დაკვრით მომესალმა. საშინელი შეცდომა დავუშვი, არ ვუპასუხე, პირი ავარიდე, გვერდზე გავიხედე. ამის გამო შეიძლებოდა, კიდევაც მოვესპე!

როცა ეს ამბავი ზაზა კიკნაძეს ვუამბე, ამ შეხვედრების შესახებ მან არაფერი იცოდა, მაგრამ გამაცნო ასეთი შემთხვევა: მე და ბატონი აკაკი ერთად ვსადილობდით. საბჭოთა რეპრესიებზე ჩამოვარდა საუბარი და ვკითხე, როგორ გადაურჩი იმ საშინელ წლებს-მეთქი.

– მე თვითონ არ ვიციო, – მიპასუხა და თან დააყოლა: როცა 1931 წელს „*ქართული ხალხური პოეზია*“ გამოვეცი, ერთი ცალი სტალინს გავუგზავნე. ამბავი მომივიდა, ძალიან მოეწონაო.

მუქარა

ლექციაზე რომელიღაც თავისებური აღნაგობის სიტყვა აკაკი შანიძემ ვერა და ვერ გაიხსენა. საკმაო ხანს იწვალა და ბოლოს „მუქარით“ თქვა: – ვერსად წამივა, ჩაწერილი მაქვს და, შინ რომ დავბრუნდები, შავ დღეს დავაყრიო.

მცირე დაბნეულობა

ჩემი პარალელური კურსის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს აკაკი შანიძის ლექცია კვირაში ორჯერ ჰქონდათ: ერთ დღეს დილით, პირველ კორპუსში, მეორეჯერ – საღამოს, მეორე კორპუსში. ზამთარია, მეორე სემესტრია და, ისე აეწყო, საღამოს რამდენიმე ლექცია ყველა ჯგუფელმა გააცდინა. ბატონი აკაკი დღისით პირველ კორპუსში მოსულებს ეუბნება:

– თქვენ რა კარგად დადიხართ, თქვენი პარალელური ჯგუფი ჯერ ერთხელაც არ მოსულა!

ცნობათა ბიურო

სანამ უნივერსიტეტის წინ, კორნელი კეკელიძის ქუჩაზე, კოოპერატიულ ბინას აიშენებდა, ბატონ აკაკის კარგა ხანს **კოტე ფუთურიძემ** ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე თავის ბინაში ერთი დიდი ოთახი დაუთმო, ტელეფონი გაუყვანა და, რომ არავის შეეწუხებინა, ნათესავები და მეგობრები გააფრთხილა, აუცილებელი შემთხვევის გარდა, არ დაერეკათ. იმხანად ამ ტელეფონში ხშირად ერთვოდა რუსთაველის მოედანზე მდებარე აეროპორტის სალაროს ცნობათა ბიუროს ტელეფონი. ერთ დღეს **რეზო სურგულაძე** ამ ცნობათა ბიუროში რეკავს და ხარკოვის თვითმფრინავის გაფრენის დროს კითხულობს.

– ეს ცნობათა ბიურო არ არის, მაგრამ, მოითმინეთ და საათს ამ წუთში მოგახსენებთ. – ესმის მამაკაცის ნაცნობი ხმა. როცა პასუხი მიიღო, იცნო, რომ ეს ხმა აკაკი შანიძისა იყო და ძალიან გაოცდა.

რეზო კოტე ფუთურიძის ვაჟს, თემურს, მეგობრობდა, ხშირად დადიოდა მასთან და ბატონ აკაკისთანაც არაერთხელ უსაუბრია და ჭადრაკიც უთამაშია. ამ ამბის შემდეგ, როცა ფუთურიძეების ოჯახში მივიდა, მან ყურადღება მიაქცია, რომ აკაკი შანიძეს გაზეთ „*ზარია ვოსტოკადან*“ თვითმფრინავის ფრენის განრიგი ამოუჭრია და ტელეფონთან კედელზე მიუმაგრებია.

გამოუჯავრდი წიგნს

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის ხელმძღვანელობით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია მუშაობს.

– გამოუჯავრდი მაგ წიგნს აქეთ! – გურულად უქცევს ბატონი აკაკი და ხელით *„ვეფხისტაოსნის სიმფონიის“* წიგნზე მანიშნებს.

„გამოუჯავრდიო“, სოფელში საქონლის, პირუტყვის გამოდენაზე იტყვიან ხოლმე, ბატონი აკაკის თხოვნასა და ხუმრობას ადვილად ვხვდები და წიგნს უმალვე ვაწვდი, ისიც ღიმილით მართმევს.

მეგობრის გამხნევება

1928 წელს აკაკი შანიძემ გიორგი ახვლედიანთან ერთად მონაწილეობა მიიღო ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, რომელიც ინგლისში, ოქსფორდში, გაიმართა. როდესაც იმ დღეებზე გვიამბობდა, ბატონმა აკაკიმ გაიხსენა: ლონდონში ყოფნისას ქალაქის ქუჩების სქემა მე მქონდა და გზის გაგნება მე მევალებოდა. პეტერბურგთან შედარებით ავტომანქანების მოძრაობა აქ ბევრად უფრო ხშირი იყო. ერთ დღეს ქუჩაზე გადასვლა რომ დავაპირეთ და წინ მივდივარ, ავტომანქანამ ისეთი სისწრაფით ჩამიქროლა, ორივენი შევკრთით.

– ფრთხილად, აკაკი, მანქანამ არ გაგიტანოს! – ხელს მკიდებს გიორგი.

– ნუ გეშინია, გიორგი, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, მანქანას გავეტანე! – ვამხნევებ მეგობარს.

პატარა მოგონება კონსტანტინე გამსახურდიაზე

„ვეფხისტაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში მუშაობისას აკაკი შანიძეს წავუკითხე *„ლიტერატურულ გაზეთში“* გამოქვეყნებული კონსტანტინე გამსახურდიას მოგონებების, „ლანდებთან ლაციცის“, ის ნაწილი, რომელიც მას ეხებოდა. ბატონი კონსტანტინე მოგვითხრობს, რომ პეტერბურგის უნივერსიტე-

ტში სწავლისას ლექციაზე პატკანოვისა და ილია ჭავჭავაძის პოლემიკის ტენდენციურად გაშუქებისა და შემდეგ დეკანატში ქართულად ლაპარაკის გამო ნიკო მართან კონფლიქტი მომივიდა, რის გამოც, პროტესტის ნიშნად, უნივერსიტეტი დავტოვეო. ბინად აკაკი შანიძესთან ვიყავი და მას რჩევა ვთხოვე, სასწავლებლად სად წავსულიყავი. „აკაკიმ მომიტანა ევროპის რუკა. თვალები დამიხუჭა და მითხრა: საეგებიოდ დაადევი რომელიმე ქალაქს თითი. თითი მოხვდა კენიგსბერგს“ და მეც ამ ქალაქში გავეშურეო.

ბატონ აკაკის ამ სიტყვებზე გაეღიმა და თქვა: რუკისა და თვალების დახუჭვის ამბავი არ მახსოვს: კენიგსბერგი კი იმიტომ შევარჩიეთ, რომ პეტერბურგთან ახლოს იყოო. ის მართალი გახლდათ, მარი რომ გაუჯავრდა, ქართულად დეკანატში რად დამელაპარაკეო. ეს მარმა თვით მე შემომჩივლა. მარი ცოტათი კარიერისტი იყო. ივანე ჯავახიშვილი არ გაჯავრდებოდა. ერთხელ ივანეს (მაშინ პრივატ–დოცენტი იყო) ლექციის შემდეგ გამოვედევნე და რუსულად ვკითხე, სახლში როდის იქნებით–მეთქი. – საღამოობით მუდამ შინა ვარო, – ქართულად მიპასუხა. სხვა დროს მასთან რუსულად არასდროს აღარ მილაპარაკია.

ბოლოს ბატონმა აკაკიმ ასეთი ეპიზოდი მოიგონა:

კონსტანტინემ კენიგსბერგიდან წერილი გამომიგზავნა, სადაც მწერდა, ჩემი სატრფო მარო დონდუა მომიკითხეო. მე ასეთ ქალს არ ვიცნობდი. ახლაც მგონია, ეს მისი ფანტაზიის ნაყოფი უნდა ყოფილიყო. პასუხად სახუმარო ლექსი გავუგზავნე:

მოგიკითხო? რომ არ ვიცნობ დონდუას ქალს, იმ შენს
მაროს?!
ღმერთმა ტკბილად შეგაბეროთ და სიკეთით მოგახმაროს.
შენ მანდ იყო, ის კი – აქა, ვა, თუ ვინმე დაემუშტრა?
ასეთია ეს ცხოვრება – ასე ამბობს ზარატუშტრა!

ქუდი

ანტირელიგიურმა მოძრაობამ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოჰყვა, საქართველოში განსაკუთრებულად მძაფრი ხასიათი 1923–24 წლებში მიიღო, რის გამოც

ისტორიულ–კულტურული ძეგლები, მეტადრე ეკლესია-მონასტრებში დაცული განძეულობა, განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და ბევრი განადგურდა კიდეც. ამ საქმის მოსაგვარებლად სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის დავალებით 1924 წლის პირველ აპრილს გურიაში აკაკი შანიძე და შალვა ამირანაშვილი ჩავიდნენ. მათ აქ დაადგინეს და აღნუსხეს დაღუპული ნივთები, გადარჩენილები აღწერეს, დიდი და უფრო მნიშვნელოვანი თბილისში წამოიღეს, ნაწილი კი, აკაკი შანიძის ინიციატივით, ოზურგეთში დაარსებულ *„გურიის საეთნოგრაფიო მუზეუმში“* მოსათავსებლად დატოვეს. როგორც შალვა ამირანაშვილი თავის მოხსენებით ბარათში წერს, „ა. შანიძემ ადგილობრივ ხელისუფლებას ხაზგასმით მიუთითა იმ მიუტევებელ უგულვებელყოფაზე“, რასაც იქ ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებისადმი იჩენდნენ.

ბატონმა აკაკიმ იმჟამინდელი მივლინების ერთი ასეთი შემთხვევა მიამბო:

— როდესაც შემოქმედის მონასტრის ეზოში სანაგვეზე მიყრილი საეკლესიო ნივთები ვნახე, ხმამაღლა შევიცხადე: ეჰ, იაკობ შემოქმედელო, წამით წარმოიდგენდი, რომ შენი რჯულის შენივე ხალხი ასე ბარბაროსულად მოეპყრობოდა სულით და გულით, დიდი გარჯით შესრულებულ შენს ნასაქმარს?! (იაკობ შემოქმედელი, გვარად დუმბაძე, იყო XVII საუკუნის თვალსაჩინო პოეტი და საეკლესიო მოღვაწე, შემოქმედის მიტროპოლიტი).

საღამოს, ოზურგეთში რომ ჩამოვედი, ერთ ადგილას მიხმეს. შევედი. ოთახში სამი-ოთხი კაცი დამხვდა. ციოდა. ტყავის ქურთუკები აცვიათ, ტყავისავე ქუდები ახურავთ და ფეხზე დგანან.

— თქვენ, პროფესორო, თურმე, ეკლესიაში შედიხართ, ქუდს იხდით, ლოცულობთ და ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწევით! — მკაცრად მეუბნება ერთი.

— რომ ვლოცულობდე და რაიმე ანტისაბჭოთას ვლაპარაკობდე, სიმართლე არ არის! — მტკიცედ ვამბობ მე, — რაც შეეხება ეკლესიაში შესვლასა და ქუდის მოხდას, ეს სწორია. მე, მართლაც, ეკლესიაში და, საერთოდ, შენობაში შესვლისას ქუდს

ყოველთვის ვიხდი. ასეა ეს მიღებული... აი, ახლაც, თქვენთან რომ შემოვედი, ქუდი მოვიხადე, თქვენ კი ყველას გახურავთ!...

ერთმანეთს უხერხულად გადახედეს.

— კარგი, კარგი, ხალხის წინაშე უფრო თავდაჭერილად უნდა მოიქცეთ! — უსიამოვნოდ ჩაილაპარაკა იმანვე და გამომიშვეს.

— ასე მიშველა ქუდის ამბავმა, — ღიმილით ასრულებს ბატონი აკაკი თხრობას.

წყნეთში

1966 წლის ზაფხულის ცხელი დღეებია. ყოველდღე ან დღეგამოშვებით აკაკი შანიძესთან (თბილისში) ბინაზე დავდივარ და მისი და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით მომზადებული „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ვარიანტებიანი ტექსტის გამოცემაზე ვმუშაობთ. წიგნს გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბაში აწყობენ, ჩვენ ერთად, და ბატონი ალექსანდრე ცალკე, ვაკეთებთ კორექტურას და ვაზუსტებთ ცალკეულ ადგილებს.

— ნამეტანი ჩამოცხა, ხვალ ჩემი სიძე მანქანით წყნეთში ამოგიყვანთ და იქ ვიმუშაოთ, — მეუბნება ბატონი აკაკი.

მეორე დღეს, დილის ცხრა საათზე, ლელას მეუღლე რობერტ კახაძეს წყნეთში ავყავარ.

— სანამ მუშაობას შევუდგებოდეთ, მანამ ჩემს აგარაკს დაგათვალიერებინებთ, — მკლავში ხელს მკიდებს ბატონი აკაკი და ეზოში გავდივართ.

— აი, გახედე, იმ ტოტზე ჩიტის ბუდეა. აბა, ისე კი არ არის საქმე, ზოგიერთს რომ ჰგონია! — იღიმება მასპინძელი.

დათვალიერებას რომ მოვრჩით და, ის იყო, სამუშაო მაგიდასთან მივედით, ბატონი აკაკი იქვე სანახევროდ აშლილ ჭადრაკის დაფაზე მითითებს და ღიმილით მიხსნის: გუშინ რობერტს ვეთამაშებოდი. მან ეს სვლა გააკეთა, მე ასე ვუპასუხე და ნახე, როგორი შამათი მიიღო.

— ასე რომ ეთამაშა? — ვაკეთებ მე სხვა სვლას.

ვარჩევთ ამ და სხვა ვარიანტებსაც და სიძე მაინც წაგებული გამოდის.

– ჭადრაკის მოყვარული თუ იყავით, არ ვიცოდი, – ამბობს და მთავაზობს, ერთი ხელი ვითამაშოთო.

მე დიდი მონდომებითა და დაკვირვებით ვაკეთებ სვლებს, ის ჩქარობს. ამის შედეგი იყო, რომ პარტია მოვიგე. მეორე ხელზე კი მან მეტი გულმოდგინება გამოიჩინა და მომიგო.

– წუხელ ფეხბურთს უყურე? – მეკითხება ბატონი აკაკი.

მაშინ მსოფლიო ჩემპიონატი ტარდებოდა ფეხბურთში და თითოეული მატჩის ტელერეპორტაჟი მეორე დღეს მეორდებოდა.

– კორეამ რა დღე აყარა საბჭოთა კავშირს! – ახალგაზრდულად გაიცინა მხცოვანმა მეცნიერმა და ტელევიზორი ჩართო.

თუმცა საბჭოთა კავშირისა და კორეის ნაკრებთა წინა დღის თამაში ორივეს ნანახი გვქონდა, თავიდან ბოლომდე კვლავ ვუყურეთ. ამასობაში სადილობის დროც მოვიდა.

ქალბატონმა ლელამ სუფრასთან მიგვიწვია. სხვა საჭმელებთან ერთად მოტანილია ინდაურის საცივი, ღომი და სულუგუნი. ბატონმა აკაკიმ ჩემს თეფშს ხელი წაავლო.

– ნუ შეწუხდებით, თვითონ გადავიღებ. – ვეწინააღმდეგები მე.

– თქვენ კარგ ნაჭრებს შეარჩევთ! – კვლავ იღიმება ბატონი აკაკი და თეფშზე ინდაურის ბარკალსა და გულ-მკერდის ნაჭრებს მილაგებს. საჭმელს რამდენიმე ჭიქა შავი „*ადესის*“ ღვინოც მივაყოლეთ.

– დღეს მუშაობა არ გამოგვივიდა, ხვალ თბილისში ჩამოვალ და ჩვენს საქმეს იქ მივხედოთო. – სუფრიდან წამოშლისას ამბობს ბატონი აკაკი.

უკვე ნაშუადღევი იყო, მე და ბატონი რობერტი მანქანით წყნეთის დაღმართს რომ ჩამოვუყევით.

ცხელი დღე და ცხელი ჩაი

აკაკი შანიძე, რომ იტყვიან, ჭადრაკის დიდი ტრფიალი იყო. ამ საკითხზე მას საგანგებო წერილიც აქვს დაბეჭდილი „*ცოტა რამ ჭადრაკისა და ნარდის შესახებ*“, სადაც იკვლევს ჭადრაკის ფიგურების სახელწოდებებსა და წარმომავლობას; მიმოიხილავს ძველ ქართულ მწერლობაში მასზე არსებულ ცნობებს; ჰყვება ამ

თამაშისადმი თავის დამოკიდებულებაზე (ჟურ. „დროშა“, 1968, № 6, გვ. 13–14).

ბატონ აკაკის ჭადრაკის თამაში ნასადილევს უყვარდა. რადგან შაქრიანი დიაბეტი აწუხებდა, ამ დროს გვერდზე უშაქრო ცხელი ჩაი ედგა და ნელ-ნელა წრუპავდა. ერთ დღეს იგი ჭადრაკს თავისი დისშვილის ქმარს, **ლევან კიკნაძეს**, ეთამაშება. დისშვილმა, **ნელი ლეჟავამ**, უმალვე ჩაი მიართვა. ბატონი აკაკი მონუსხულივით დასჩერებია ჭადრაკის დაფას.

— ბიძია, გაცივდება ჩაი. — შეახსენა ნელიმ.

— დამაცათ, კაცო, ცხელი ჩაის თავი მაქვს ახლა? მოდი ერთი აქ და ნახე, რა ცხელი დღე მადგას!

„დარჩია“ სახელისა და გვარის შესახებ

აკაკი შანიძემ ჩემ თვალწინ გამოიკვლია „დარჩი“, „დარჩია“ სახელთა წარმომავლობა, საიდანაც, მისი აზრით, მიღებულია ჩემი გვარი — „დარჩია“ და ამავე ფუძის შემცველი გვარები — „დარჩიაშვილი“, „დარჩიძე“ და სხვა.

სანამ ამ გამოკვლევას გამოაქვეყნებდა, მითხრა, რომ ფშავშიც „დარჩია“ კაცის სახელია (მე მახსოვდა თბილისის მელიქი დარჩია), ისე როგორც ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“ ნახსენები „ბერიძე“ სახელია („ბერიძე მუჯანდა ქმარია“). მიამბო ხევისბერ დარჩია მისრიაულზე, რომელმაც ამ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ თამარ მეფისა და ლაშარის ჯვარნიშნები არაგვის ხეობიდან თავის სახლთან ახლოს, ივრის ხეობაში, გადაიტანა. ამის გამო მას ლექსი გამოუთქვეს:

ნურც დარჩენიხარ დედასა,
შე მისრიათ დარჩიაო!
თამარ-ნეფე და ლაშარი
ჩაიტანე ბარჩიაო.

ერთ დღეს, დათქმულ დროს, ბატონ აკაკისთან ბინაზე მივედი. ვხედავ, კარებში პატარა ქალალდია გარჭობილი და ზედ

წერია: „შე მისრიათ დარჩია, ბინის ქირის გადასახდელად გავედი და ახლავე დავბრუნდები“.

ორი წუთიც არ გასულა, ლიფტი ჩერდება და იქიდან ბატონი აკაკი გადმოდის. ჩემს ხელში მისივე დანატოვარი ქაღალდი რომ შენიშნა, სახეზე ღიმილი მოეფინა.

სტადიონზე

ბატონი აკაკის დის შვილიშვილმა **ზაზა კიკნაძემ** მიამბო:

თბილისში რომელიღაც ევროპული ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი იყო ჩამოსული და მე და მამაჩემი სტადიონზე რომ მივდიოდით, აკაკი გვესტუმრა. მან გვითხრა, რა გინდათ სტადიონზე, აგერ ტელევიზორს მივუსხდეთ და თამაშს აქ ვუყუროთო. ჩვენ ავუხსენით, რომ საქართველოს ნაკრებს სართაშორისო შეხვედრა აქვს და ადგილზე მისი ნახვა სულ სხვა რამ არისო. *მაშინ მეც წამოვალო,* — თქვა. ჩვენ ორი ძლივს ნაშოვნი ბილეთი გვქონდა, ისიც სხვადასხვა ადგილისა. მამაჩემმა შესთავაზა: თქვენ და ზაზა წადით, ზაზა თქვენს ადგილას დაგსვამთ და შემდეგ წამოგიყვანთო.

აკაკიმ დაიჟინა, სამივე წავიდეთო. წავედით. ყველა ბარიერზე აკაკი იცნეს და მოწიწებით ხვდებოდნენ: *მობრძანდით, ბატონო აკაკიო.* სტადიონზე ისე შევედით, ჩვენი ბილეთები არვის გაუსინჯავს. მამაჩემი **ბორის პაიჭაძეს** იცნობდა და მივაკითხეთ. მან დაკეტილ ლოჟაში შეგვიყვანა და მთელ თამაშს მეფურად ვუყურეთ.

თამაში წავაგეთ. მე ცალკე წამოვედი და შინ ადრე მოვედი. როცა ისინი მოვიდნენ და კარი გავუღე, წინ აკაკი გაბრწყინვებული სახით იდგა, მამაჩემს წაგების გამო სახე ჩამოსტიროდა. აკაკი აღფრთოვანებული იყო: *რა კარგი ვქენი, რომ წამოგყევით, რამდენი ახალი სიტყვა გავიგონეო.* დამამახსოვრდა, ამბობდა: *ნახე, ორივე გვარში — მოქმედებითსა და ვნებითში — იძახდნენ: გაგვაპაზორეს და გავპაზორდითო.*

კურიოზები

დიდ მეცნიერებზე ბევრჯერ გაიგონებთ კურიოზულ ამბებს, რომლებიც მათ თავიანთი საკვლევაძიებო საქმიანობის უზომოდ გატაცების გამო ყოფითს ცხოვრებაში ხვდებათ ხოლმე. უმეტესად ამგვარი მონათხრობი ტყუილია ან გაზვიადებული. ვის არ სმენია ნიუტონის დაბნეულობაზე. ერთი ვარიანტი ასეთია: თითქოს მან ბაყაყი დაიჭირა, ჯიბის საათი ამოიღო, პულსი გაუსინჯა, ბოლოს საათი მდინარეში გადააგდო და ბაყაყი ჯიბეში „ჩაიდო“.

გამიგონია კი არა, მგონი, წამიკითხავს: ვითომც, ივანე ბერიტაშვილი ვარაზისხევით უნივერსიტეტში ქანაობითა და კოჭლობით ამოდიოდა. როცა აღმართი აათავა, მაშინ მიხვდა, რომ ცალ ფეხს ქვაფენილზე ადგამდა, მეორეს – ტროტუარზე.

ფილოლოგები ჰყვებიან: ცნობილ პედაგოგსა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენ სილოვან ხუნდაძეს ცოლმა ჩხუბისას მიახალა: *ძაღლმა მიგაკვდა სულშიო*. სილოვანმა მას დინჯად აუხსნა: „*ძაღლმა მიგაკვდა*“ კი არა, „*ძაღლი მიგაკვდა*“ უნდაო.

სინამდვილე, როგორც მათმა შვილიშვილმა **ნანა თოთიბაძემ** გადმოგვცა, ამგვარი ყოფილა: უამრავი საქმით დაღლილ სილოვანის მეუღლეს **პატუ (პარასკევა) მიქელაძეს** დაუჩივლია: *ამისთანა ცხოვრებას ძაღლმა მიაკვდა სულშიო*. სილოვანის ენობრივ შენიშვნაზე ქალს უკან არ დაუხევია და მეუღლისათვის იუმორით შეუტევია: *სილოვან, ძაღლმა მიაკვდა მაგ შენს გრამატიკასო*.

ამ ამბავსაც ფილოლოგთა წრეში გაიგონებთ: ერთი მოღვაწის პანთეონში დაკრძალვის სათხოვნელად **აკაკი შანიძე** და **გიორგი ახვლედიანი** მთავრობაში გიორგი ძოწენიძესთან (ზოგიერთის თქმით, – გიორგი სტურუასთან) მივიდნენ. კაბინეტში ბატონი აკაკი შევიდა. დამხვდურმა მას აუხსნა: პანთეონში ადგილი აღარ არის. ცოტა გვაძროვეთ, ახალ პანთეონს გავხსნით და შემდეგ მწერლები და მეცნიერები, რამდენიც გნებავთ, *კვდით* და *კვდით*, ადგილი საკმარისი გვექნებაო.

– *კვდით* და *კვდით*, ასე ბრძანეთ არა? ხომ ვამბობდი, ეს ფორმა არსებობს-მეთქი! – გახარებული აკაკი ფეხზე წამოიჭრა

და აღფრთოვანებული გარეთ გამოვარდა. გიორგი ახვლედიანმა სახეგაბრწყინებული მეგობარი რომ დაინახა, იფიქრა, საქმე გაკეთებულიაო.

იმასაც ჰყვებიან: აკაკი შანიძეს უთხრეს, თქვენი ქალიშვილი *მაშინამ გაიტანაო. აკაკიმ უპასუხა: მაშინამ კი არ გაიტანა, მანქანა დაეჯახაო.*

როგორც აკაკი შანიძის შვილებმა, ქალბატონებმა მზექალამ და ლელამ, დამიდასტურეს, არც ერთი და არც მეორე ამბავი სინამდვილეს არ შეესაბამება. ორივე ანეკდოტია.

რაც შეეხება „კვდით“ ფორმას, ისიც გამიგონია: როცა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი გააფართოვეს, მაშინ, თითქოს, მთავრობის წარმომადგენელს, **ბენო გოგუას**, რომელიც კულტურას განაგებდა, ეთქვას: ა, ბატონო, ახლა ადგილები გვაქვს, *კვდით* და *იმარხეთო*. მაგრამ ესეც მოგონილი ამბავი უნდა იყოს.

მინაწერი: ეს ამბები ადრე გაზეთში დავბეჭდე და შევიტანე ჩემს წიგნშიაც – „*სალაღობო და ნაღვლიანი ამბები*“. როცა ეს ბატონი აკაკის დის შვილიშვილ **ზაზა კიკნაძეს** გავაცანი, მითხრა: მე აკაკისგან ისე მახსოვს, რომ „კვდი“ ფორმა რომელიღაცა ხელისუფლების წარმომადგენელს მართლაც უთქვამსო.

უმადურობა

1962 წლის ივნისში, როდესაც კორნელი კეკელიძე გარდაიცვალა და უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში დაასვენეს, მე და აკაკი ხინთიბიძე „რუსთველის კაბინეტის“ წინ, ფანჯარასთან, ვიდექით. მობრძანდა აკაკი შანიძე და საუბარი გაგვიბა. ბატონ კორნელიზე თქვა: აფსუს, რა ცოდნა მიაქვსო!

მერე რაღაც ამბავს მოაყოლა: სამი წელი რომ ჩავჯდომოდი, ქართული ანბანის წარმოშობას გავარკვევდიო.

გავიდა წლები. 1966 წელს ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოვიდა ე. წ. ვარიანტებიანი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ნაწილი, რომელშიაც ძირითად ხელნაწერთა და ბეჭდურ

გამოცემათა ვარიანტებითურთ შევიდა რუსთველისეულად მიჩნეული ტექსტი. მეორე ნაწილში უნდა შესულიყო პოემის ჩანართი და დანართი სტროფები და ეპიზოდები (ასევე ვარიანტებითურთ), რომელსაც უნდა დართვოდა მთლიანი, ორივე წიგნის, ტექსტების კომენტარები და ლექსიკონი. ამ უკანასკნელის დაწერა ბატონმა აკაკიმ თვითონვე დაივალა.

ერთხელ, პოემის პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ, მასთან შინ რომ მივედი, მითხრა: ახლა კიტა ჩხენკელის შედგენილ ქართულ-გერმანულ ლექსიკონს რედაქციას ვუკეთებ, ამას რომ დავამთავრებ, მაშინვე „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებსა და ლექსიკონებზე გადავალ და ტყავს გავაძრობო. მე სითამამე მეყო და შევნიშნე: *ლექსიკონებს სხვებიც მოუვლიან, ქართული ანბანის წარმოშობას, თქვენ გარდა, თუ ვინმე გაარკვევს, მე არ ვიცი-მეთქი.*

ბატონი აკაკი დაფიქრდა და ნაღვლიანად თქვა:

— კარგი საქმისათვის მადლობას ვინ გეტყვის?!

მაშინ ჩვენს წრეში ბატონ აკაკის იმდენად ვეთაყვანებოდით და უფრო შორს ვერ ვიხედებოდი, მისი ასეთი განწყობილება ძალიან გამიკვირდა. მერე და მერე, ბატონ აკაკისთან რა სახსენებელი ვარ, მაგრამ ჩემს თავზე ვიწვნიე, კარგ საქმეს, თურმე, ვინ დაგიმადლებს?!

ამბავი რომ დავასრულო, დავძენ: ბატონი აკაკი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ვერც „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებისა და ფართო ლექსიკონის შედგენა და ვერც სხვა ბევრის გაკეთება ვეღარ მოასწრო. მეც კორნელი კეკელიძის მიმართ მისივე ნათქვამი უნდა გავიმეორო: აფსუს, რა ცოდნა წაიღო!

მშობლებთან დამშვიდობება

1977 წელს აკაკი შანიძეს დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით მშობლიურ სოფელ ნოღაში შეხვედრა მოუწყვეს. მერე დიდი ვახშამიც გაიმართა.

ბატონმა აკაკიმ მაშინ მშობლების საფლავი მოინახულა და დაემშვიდობა, მეტს თქვენთან ვეღარ მოვალო.

ამის შემდეგ ათი წელი კიდევ იცოცხლა, მაგრამ ნოღაში მარ-თლაც აღარ ჩასულა.

აკაკის სახლ-მუზეუმის გახსნა

1998 წლის 27 სექტემბერს **აკაკი შანიძის** მშობლიურ სოფელ **ნოღაში** მისი სახლ-მუზეუმი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა (უსახსრობის გამო იგი მალევე დაიხურა და დღემდე ასეა).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ნოღაში მრავალი სტუმარი ჩავიდა. სტუმრებს წინ მოეგებნენ სოფლის წარმომადგენლები და უნივერსიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელს, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკან **ამირან გომართელს** განუცხადეს: ჩვენ, სოფელს, გადაწყვეტილი გვქონდა, ეს ღონისძიება ჩაგვეშალა და სოფელში არც შემოგვეშვით. აქ გაუსაძლისი ვითარებაა, შუქი არა გვაქვს, ხელფასებსა და პენსიებს არ იძლევიან და ა. შ. მაგრამ მერე ვთქვით, აკაკი შანიძეს რა ბრალი მიუძღვის ამაში და ბოიკოტი გადავიფიქრეთო.

საზეიმო სხდომის დაწყება 12 საათისთვის იყო დანიშნული და იგი იმერეთის გუბერნატორ **თემურ შაშიაშვილს** უნდა გაეხსნა. მაგრამ იგი არა და არ ჩანდა. თურმე, იმავე დღეს ქუთაისში მასვე გაუხსნია ე. წ. გამარჯვების მემორიალი. იგი შემდეგ მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ ააფეთქა, რასაც ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ორი საათი რომ შესრულდა და გუბერნატორი მაინც არ ჩანდა, საზეიმო მიტინგი ამირან გომართელმა გახსნა და სიტყვა **ზურაბ ჭუმბურიძეს** მისცა. ამ დროს ბატონი თემურიც მობრძანდა და ზურაბის შემდეგ გამოვიდა. მან თავისი გამოსვლა ასე დაიწყო: *ნოღელებს ერთი სასიხარულო ამბავი უნდა გამცნოთო.* და ხალხს რომ ეგონა, ახლა გვეშველებაო, გუბერნატორმა განმარტა: ***ნოღა ინტერნეტქსელში ჩაერთოო.***

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ინტერნეტქსელი და კომპიუტერი რა ხილი იყო, არავინ იცოდა!

8. რამდენიმე მოგონება გიორგი ლეონიძეზე[1]

დიდი ბავშვი

გიორგი ლეონიძე 1957 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1966 წლის ზაფხულამდე) ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ. მას, როგორც მრავალმხრივ მოღვაწეს, დიდ მწერალსა და მეცნიერს, ეროვნულ-საზოგადოებრივი საქმეებისათვის მუხლჩაუხრელ და თავდადებულ მამულიშვილს, გამორჩეულსა და თვითმყოფად პიროვნებასა და დირექტორს, რა თქმა უნდა, მთელი ინსტიტუტი, მცირე გამონაკლისის გარდა, განსაკუთრებული სიყვარულით, მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდა. მისი დირექტორული მუშაობის თავისუფალი სტილი რამდენადმე განსხვავდებოდა კორნელი კეკელიძის მიერ ინსტიტუტში დანერგილი მკაცრი სამეცნიერო-აკადემიური სტილისაგან, რაც, ცოტა არ იყოს, ზოგიერთს, უფრო ძველ მუშაკებს, კიდეც ეხამუშებოდათ. ბატონმა გიორგიმ ინსტიტუტში ცხოვრებისეული სილაღე შემოიტანა. თანამშრომლები, მეტადრე ახალგაზრდობა, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს სუფრაზე. ბატონი გიორგი პურმარილის დიდად დამფასებელი გახლ-დათ, უაღრესი თავმდაბლობით გამოირჩეოდა და, რაგინდ უბრალო და ღარიბული სუფრა გქონოდა, არ დაგძრახავდა.

თავად დიდებული თამადა იყო. თუ ვინმეს თამადობა არ მოეწონებოდა, თქმა იცოდა, რა „პრავესია“ ფუჭდებაო. პირველად ბატონი გიორგი სუფრაზე 1960 წლის აგვისტოს ცხელ დღეს ვნახე. მაშინ ინსტიტუტს ჩეხი ქართველოლოგი იერომირ იედლიჩკა ესტუმრა და მას ტკბილეულის, ხილეულის, კონიაკისა და შამპანურის სახელდახელო სუფრა გაუშალა. ბატონმა გიორგიმ ითამადა და რა ითამადა! მე თვითონ საქართველო სულ სხვანაირად, უაღრესად ლამაზად და აღმატებულად დამანახვა.

---

[1] ამ მოგონებათა ნაწილი ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა და უმეტესობა, უფრო იუმორისტული შინაარსისა, შევიტანე ჩემს წიგნში *„სალაღობო და ნაღვლიანი ამბები“*.

ერთხელ სუფრაზე ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები უჩა ცინდელიანი, თამაზ ბარამიძე და სხვები ისე კარგად მღეროდნენ, ბატონმა გიორგიმ იხუმრა: ესენი ილია აბულაძეს უნდა ჰყავდეს და მე სოლომონ ყუბანეიშვილი და ვალიკო მაცაბერიძე?! (ილია აბულაძე, ხელნაწერთა ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი, სოლომონ ყუბანეიშვილი და ვალერიან მაცაბერიძე სწორედ ზემოთ ნახსენები აკადემიზმის განსახიერებანი იყვნენ და ქეიფითა და მოლხენით არ გამოირჩეოდნენ).

გიორგი ლეონიძეს ზოგიერთი უცნაურობაც ახასიათებდა. მაგალითად, ზოგჯერ ინსტიტუტის ოთახებში ჩამოიელიდა და ქალებს უსაყვედურებდა: კიდევ აქა ხართ, ოჯახები არა გაქვთ, შვილები არა გყავთ, წადით შინ და ქმარ-შვილს მიხედეთ!

მაგრამ ხან იმავე ქალებს სამსახურის გაცდენისა და დაგვიანებისთვისაც დაუბუხუნებდა: — არა, ასე არ შეიძლება, ოჯახი ოჯახია, მაგრამ სამსახურიც სამსახურია!..

ამგვარი თავისებურებების გამო ინსტიტუტში მასზე გაიგონებდით, — დიდი ბავშვიაო.

სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, ბატონ გიორგის სხვაგან და ჩვენთანაც ჰყავდა მოწინააღმდეგეები და მტრებიც. ჯონდო ბარდაველიძეს აღწერილი აქვს, დიდი ფოლკლორული ექსპედიციის მოწყობისთვის როგორ დააბრალეს მას ანგარება, რის გამოც ინსტიტუტში თითქმის ერთი თვე 5–6 კაციანი რევიზორთა ჯგუფი მუშაობდა. ან როგორ გააშავეს ის პარტბიუროს წევრად არჩევისას (გაზ. „კალმასობა“, 1999, სექტემბერი, № 7, გვ. 8–9).

ეს, უმეტესად ფარული, ოპოზიციონერები ხელიდან არაფერს უშვებდნენ. როცა იმხანად ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების ორ ხანდაზმულ და ფრიად დამსახურებულ მეცნიერს თავში სისხლის გაჟონვა დაემართა (მაშინ მათ ავადმყოფობა გადაიტანეს და კარგა ხანს იცოცხლეს და იმუშავეს), ამასაც გოგლას აბრალებდნენ. მაშინ გავრცელდა ლექსი:

„თუ გსურს, კაცი გაყო ორად
ან ინფარქტით მოკლა,

დაუნიშნეთ დირექტორად
ლეონიძე გოგლა.

ბუდე ლიქვნთა მანქანების,
ჭორთა, მითქმა-მოთქმის,
რიშელიეს გაქანების,
თათქარიძის მოდგმის!“

წარმოიდგინეთ, ამ ლექსს მაშინ მაინცადამაინც არ აღეუშფოთებივართ. იმდენად კარგად გვესმოდა ჩვენი დირექტორის ფასი, ამ პასკვილსაც კი ერთგვარ მეგობრულ შარჟად აღვიქვამდით.

ტუიას ხალი

ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება ლიტერატურის მუზეუმში გალაკტიონ ტაბიძის არქივს ამუშავებს. იქვეა ამავე განყოფილების თანამშრომელი, ლამაზი და მომხიბვლელი ქალი ტუია (მარინე) ჭყონია, რომელსაც გიშრისფერი ხალი ამშვენებს. დირექტორი, გიორგი ლეონიძე, მოვიდა და თავის თანამშრომლებს დახედა. ამ დროს (ვიღაცას ნაჩიქლები ჰქონდა) ლიტერატურის ინსტიტუტის ბუღალტერიაში რევიზია ზის და ყველაფერს ამოწმებს. ტექსტოლოგები დაინტერესდნენ რევიზიის მუშაობით და დირექტორს ჰკითხეს, როგორ მიდის საქმეო. ბატონმა გიორგიმ არაფერი უპასუხა, იქვე ქაღალდს ყუა მოახია, რაღაც დაწერა და წავიდა.

ნახეს, ეწერა:

„ჩემს ინტრიგანებს

თქვენი აზრები და განზრახვები
შავია, როგორც ტუიას ხალი!

გ. ლეონიძე, 1963 წ., დეკ“.

ღვინჯუას მენიუ

ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ლეონიძე სამსახურში უფრო მეტად დღის მეორე ნახევარში მოდიოდა, ზოგჯერ მაშინ, როცა თანამშრომლები შინ მიდიოდნენ ან წასული იყვნენ. სამაგიეროდ, თავის კაბინეტში გვიან საღამომდე რჩებოდა და მუშაობდა.

ერთ დღეს, ეს იყო 1960 წლის ბოლო თუ მომდევნო წლის დასაწყისი, ბატონმა გიორგიმ ტელეფონით გვაცნობა: არ წახვიდეთ, მოვდივარ და ახალ მოთხრობას გაგაცნობთო.

ეს ის დროა, დიდი პოეტი თავის განთქმულ მოთხრობების ციკლზე, „ნატვრის ხეზე“, მუშაობს.

დააგვიანდა. შეწუხდნენ მშიერი თანამშრომლები. რომ მოვიდა, წაგვიკითხა ბრწყინვალე მოთხრობა „ღვინჯუა“. გიორგი ლეონიძის მთელი შემოქმედება, მხატვრული და სამეცნიეროც, საოცრად მდიდარი, ძარღვიანი, მონოლითური ენით არის შესრულებული და ეს მოთხრობა ამ მხრივ კიდევ უფრო გამოირჩევა. სიტყვის ჯავარითა და ფერადოვნებით განსაკუთრებით გვხიბლავს სუფრის აღწერა.

მონუსხულივით ვუსმენთ მწერალს და, როცა ნათლისღების სუფრის აღწერას შეუდგა, ამბერკი გაჩეჩილაძემ წამოიძახა:

— აღარ შეგვიძლია, ბატონო გიორგი, ახლა ჩვენ ამ მენიუს ვერ გავუძლებთო!

რატომ უყვარს ბულბულს ვარდი?

ლიტერატურის ინსტიტუტის კანცელარიაში ვარ. კანცელარიის გამგის მოვალეობის შემსრულებელ ლია ბერიძეს მაგიდაზე დიდი, ფუშფუშა ვარდი უძევს. შემობრძანდა დირექტორი გიორგი ლეონიძე, ვარდი აიღო, დაყნოსა და მეკითხება: რატომ უყვარს ბულბულს ვარდი?

შეკითხვა მეუცნაურა. გულში გავიფიქრე, რა საკითხავია ესმეთქი და თავდაჯერებით ვუპასუხე:

— ვარდი განსაკუთრებით სურნელოვანი ყვავილია, ბულბულიც იშვიათი და გამორჩეული მგალობელია და იცის მისი ფასი.

— არა, — მპასუხობს ბატონი გიორგი, — აი, აქ, ძირში, გადამწიფებულ ვარდს ჭიები უჩნდება და ბულბულიც იმას ეტანება.

— სახტად დავრჩი. ამის შემდეგ დიდხანს, სანამ ჭაბუკობიდან არ გამოვედი, ეს ჭეშმარიტება მაშფოთებდა და გულს მიკლავდა, მეტადრე იმად, რომ ამას დიდი პოეტი მშვიდად, აღუშფოთებლად ამბობდა.

ცეცხლის შენთება

1961 წელს დამლაგებლებს მასტიკასთან შერევისას ბენზინი აუფეთქდათ და ინსტიტუტის შენობა თვალის დახამხამებაში ხანძარმა მოიცვა. ჯერ ცეცხლმა და შემდეგ მეხანძრეთა მიერ გამეტებით მიშვებულმა წყალმა შენობა ძლიერ დააზიანა. ამაზე მწერალთა კავშირში ზოგიერთი ქილიკობდა: ლეონიძემ ინსტიტუტი დაწვაო. ამ ხმამ ბატონი გიორგის ყურამდეც მიაღწია.

ერთ დღეს, სამუშაო საათებში, ინსტიტუტის თანამშრომლები ნოდარ ალანია და ბენო დობორჯგინიძე დირექტორს ქუჩაში გადაეყარნენ.

— აქა ხართ, სამსახურში არ დადიხართ! — მისებურად დაიბუხუნა ბატონმა გიორგიმ.

— შესვენებაზე დასანაყრებლად გამოვედით და, აი, უკან ვბრუნდებითო. — თავი იმართლა ნოდარმა.

— არა, არა, არ დადიხართ! თუმცა, — დააყოლა დირექტორმა, — როგორც საჭიროა, არც მე დავდივარ!

იმხანად გიორგი ლეონიძეს ერთი თანამშრომელი უპირისპირდებოდა, ინსტიტუტისადმი გულგრილობას აბრალებდა და ხმას ავრცელებდა: ჩვენი დირექტორი ნაშუადღევს მწერალთა კავშირში მაგიდიდან თავის სამუშაოს აკრეფს და იტყვის, წაველი ახლა ლიტერატურის ინსტიტუტში ჩემს კრეტინებთანო. იგივე სიცილით კი არა, ჭიხვინით ჰყვებოდა: მკითხეს, დირექტორს ინსტიტუტში თუ ხვდებიო, მე მივუგე: — შარშან ტელევიზით რომ ახალი წელი მოგვილოცა, მას მერე თვალი არ მომიკრავს-მეთქი.

ახლა, ამ შეხვედრისას, თავისი კოლეგის ეს პოზიცია და ნაუბარი რომ იცის, ბენო დობორჯგინიძე დირექტორს „იცავს“ და „ამხნევებს“:

— რასა ბრძანებთ, ბატონო გიორგი, თქვენი ყურადღება ჩვენ არ გვაკლია, როგორ არ დადიხართ, ახლახან არ იყო, რომ ჩამოგვიარეთ და ცეცხლი შეგვინთეთ!

– რას ამბობ, კაცო, როდის შეგინთეთ ცეცხლი! – უცებ იფეთქა ბატონმა გიორგიმ.

ნოდარი და ბენოც მაშინვე მიხვდნენ, რამაც გააღიზიანა დიდი პოეტი, და ახსნა დაუწყეს, რომ „ცეცხლის შენთება“ შეფუცხუნების აზრით იყო ნათქვამი და არა პირდაპირი გაგებითო.

მეტად აღარ შემაწუხოთ!..

ნოდარ ალანია პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმღებ საგამოცდო კომისიაში იმყოფებოდა. გიორგი ლეონიძემ მას ვიღაც კახელი კაცი გააცნო და უთხრა: ამის შვილი ამა და ამ ფაკულტეტზე აბარებს და მიმიხედე, არვინ დამიჩაგროსო.

მოვიდა სექტემბერი. გახარებული ნოდარი, დავალება შეეუსრულე და ვასიამოვნებო, ბატონ გიორგის კაბინეტში მის სიძე ლეო ქავთარაძესთან ერთად თამამად შევიდა და ქაღალდებში თავჩარგულ დირექტორს ახარა:

– იმ ბავშვს არა მარტო ქართულ წერაში, თქვენი სიძის მეშვეობით სხვა საგნებშიაც წაეუკარით ხელი და სტუდენტი გახდაო.

– ჰოდა, თუ კაცი ხარ, მასეთ საქმეებზე მეტად აღარ შემაწუხო! – საყვედურის ტონითვე ბრძანა ბატონმა გიორგიმ.

ნოდარი და ლეო სახტად დარჩნენ. მანამდე ლეო ნოდარს სიცილით იმასაც კი ეუბნებოდა, პურ-მარილი ვაკისრებინოთო.

– თუ გახსოვს, ვინ იყო ის კაცი? – უცებ ფიქრებიდან გამოერკვა ბატონი გიორგი.

ბატკნის გადარჩენა

ამ ამბავს ინსტიტუტში სიცილით ჰყვებოდნენ:

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს გიორგი ლეონიძემ რამდენიმე თანამშრომელი მამაკაცი წყნეთში, თავის აგარაკზე, წაიყვანა, – ბატკანი მყავს და კარგი ჩაქაფული და მწვადები ვჭამოთო.

როცა მივიდნენ, მასპინძელმა ბრძანა: დღეს ამ ბატკანს რაღაც მოწყენილობა შევატყვე, დაავადებული არ იყოს, არ გვაწყინოს, შევამოწმებინოთო.

გრიგოლ კაკიაშვილმა ბატკანი მანქანაში ჩასვა და ვეტექიმთან აფრინა. მოვიდა და კარგი ამბავიც მოიტანა – ბატკანს ცუდი არაფერი სჭირსო.

– ჰოდა, თუ ჯანმრთელია, ცოდვაა, ნუ დაეკლავთო, – დასძინა ბატონმა გიორგიმ და სტუმრები, რაც შინ ებადა, იმით გაისტუმრა.

საყვარელი ოჯახის მეგობარია?

გიორგი ლეონიძე ინსტიტუტის დირექტორობის დროს სხვადასხვა ამბავთან დაკავშირებით თავისი სახელით ხშირად უგზავნიდა მისალოც თუ სამგლოვიარო დეპეშებს რუს და საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა მწერლებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს. დეპეშის შინაარსს იგი უმეტესად თავის მოადგილეს ან სწავლულ მდივანს აცნობდა. მათ კი ტექსტისათვის საბოლოო სახის მიცემა და რუსულად თარგმნის ორგანიზაცია ევალებოდათ. ერთხელ, რუსი მწერლისადმი გასაგზავნი დეპეშა რომ წაიკითხა, სადაც ხელმოწერა იყო – *„დრუგ სემიი გოგლა“*, ბატონმა გიორგიმ წამოიძახა:

– არ ვარგა, „დრუგ სემიი“ რუსეთში საყვარელს ნიშნავს, მოაწერეთ უბრალოდ: „გიორგი ლეონიძე!“

ესეც შემოწმება!

ინსტიტუტის სწავლული მდივანი გრიგოლ კაკიაშვილი დირექტორის მითითებით მთელი ორი კვირის განმავლობაში სამსახურში თანამშრომელეთა გამოცხადებას ამოწმებდა. დღეში სამ-ოთხჯერ ჩამოივლიდა ხოლმე. ერთ დღეს ასეთი შემოვლისას ადგილზე იმდენად ცოტანი აღმოვჩნდით, რომ გრიგოლმა სიაში ჩვენ ჩაგვწერა და არა ისინი, ვინც სამსახურში არ იმყოფებოდა. ჩვეულებრივ კი გამცდენთა სიები დგებოდა.

და, აი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე დისციპლინის საკითხი განიხილება. პროექტის მიხედვით, ხელფასიდან თითოეულს ყოველი უმიზეზო გაცდენილი დღის საფასური უნდა დაექვითოს. გრიგოლი კითხულობს გამცდენთა სიას და გაცდენილ დღეთა და დასაქვითავი თანხის რაოდენობას, რასაც დამსწრეთა თავის

მართლება და ყაყანი მოსდევს. უცებ რასა ვხედავ: ჩემს გვარსაც ასახელებს. ვიდრე მე გავაპროტესტებდი, ალექსანდრე ბარამიძე ჩემზე ეკითხება, რომელ დღეს არ იყოო.

გაირკვა, სამშაბათი ყოფილა. ამ დღეს კი აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის ხელმძღვანელობით ინსტიტუტში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია მუშაობდა და მეც მისი მონაწილე ვიყავი. მაშინვე მივხვდი შეცდომის მიზეზს: ბატონ გრიგოლს დავიწყებოდა, რომ იმ დღეს დამსწრეთა სია შეადგინა და არა გამცდენთა. ალექსანდრე ბარამიძე წამოდგა და დინჯად დაიწყო:

– როგორ უნდა ვენდო იმ აღრიცხვას, როცა თანამშრომელი მთელი დღე ჩემ გვერდით თავაუღებლივ მუშაობს და მას გამცდენთა სიაში ვხედავ?!

– სწორია, სწორი, არ ვარგა ეს სია! – ყველასგან მოულოდნელად ალექსანდრე ბარამიძეს კვერს უკრავს გიორგი ლეონიძე. შემდეგ თავის სწავლულ მდივანს მიუბრუნდა:

– გრიგოლ, მეცნიერებთან, მათ ხელფასთან გვაქვს საქმე, მეტი ყურადღებაა საჭირო!

ასე გადაურჩა სამ ათეულზე მეტი თანამშრომელი რამდენიმე დღის ხელფასით დაჯარიმებას!

გიორგი ლეონიძის სტუმრობა

სოფლიდან პურ-ღვინო ჩამომივიდა და ინსტიტუტის თანამშრომლები – ნოდარ ალანია, მირიან აბულაძე, ვახტანგ ჭელიძე, მერი გუგუშვილი და გივი ლომიძე – შინ წავიყვანე. ინსტიტუტის შენობიდან რომ გავდიოდი, ქიცა (გრიგოლ) ხერხეულიძე შემომხვდა და ისიც დავპატიჟე. მან მითხრა: დირექტორთან საქმე მაქვს, ვნახავ და წამოვალო. არ დაუგვიანია. ის ის იყო, სუფრასთან ვსხდებოდით, კიდეც მოვიდა და მითხრა: გიორგი ლეონიძე დაგიპატიჟეო. რომ ვშორდებოდი, მკითხა, სად მიდიხარო. ვუთხარი, სადაც მოვდიოდი და ვთხოვე,უწამობრძანებულიყო. ჯერ იუარა, მე რომ არ დავუპატიჟებივარო. ავუხსენი, ვერ გნახათ და, თუ წამობრძანდებით, ძალიან გაუხარდება–მეთქი.

შუა ქეიფში ვიყავით, როცა ბატონი გიორგი თავის სიძე ოთარ გვინჩიძესთან ერთად მობრძანდა.

ბატონი გიორგი ერთხელ, ორიოდე წლის წინათ, ჩემს სუფრაზე ნამყოფიც იყო. 1960 წლის 15 სექტემბერს ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი გავხდი, ორი თვის შემდეგ მამაჩემმა სოფლიდან პურ-ღვინო ჩამომიტანა და დეიდაჩემთან, სადაც მაშინ ვცხოვრობდი, სამსახურის დაწყების აღსანიშნავად სუფრა გავშალე. დავპატიჟე მთელი რუსთველოლოგიის განყოფილება — გაიოზ იმედაშვილი, იოსებ მეგრელიძე, ივანე ლოლაშვილი, სარგის ცაიშვილი, მერი გუგუშვილი, ლია ანდღულაძე, მზია ჩაჩავა, ციალა კარბელაშვილი, რიმა ფირ-ცხალაიშვილი და ტუია (მარინე) ჭყონია (მაშინ ის რუსთველოლოგიის განყოფილებაში ხელშეკრულებით მუშაობდა). ვინაიდან რამდენიმე თვით ადრე ფოლკლორის განყოფილებაში ხელშეკრულებით ვიყავი, ეს განყოფილებაც დავპატიჟე, მაგრამ იქიდან მხოლოდ ჯონდო ბარდაველიძე და გურამ ბარნოვი მესტუმრნენ. სუფრაზე მყავდნენ მირიან აბულაძე და ვახტანგ ჭელიძე, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ინსტიტუტში ჩემს მიღებაზე. რა თქმა უნდა, სუფრაზე მოვიწვიე და მობრძანდნენ ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ლეონიძე და რუსთველოლოგიის განოფილების ხელმძღვანელი ალექსანდრე ბარამიძე. თამადობდა სარგის ცაიშვილი.

მამაჩემმა მაშინ სოფლიდან ჩამომიტანა კაჭიჭთან შეწნეხილი „ადესა“, რასაკვირველია, ნატურალური, — თავისებურად სურნელოვანი ღვინო. თბილისში ჩემმა ნათესავმა მაყიდვინა და სუფრაზე მქონდა საუკეთესო კახური ღვინოც. ბატონი სოსო მეგრელიძე ჩუმად ყურში ჩამჩურჩულებდა, ბატონ გიორგისთან მიიტანე და მიიტანე საჭმელებიო. ასეც ვიქცეოდი. ბატონები გიორგი და ალექსანდრე გვერდიგვერდ ისხდნენ. ცოტა ხნის შემდეგ პატონი გიორგი მეძახის და მეუბნება: *რა ამბავია, კაცო, შეხედე, სუფრა სამსართულიანი გახდაო.*

ძალიან გამიკვირდა, როცა შევნიშნე, ბატონი გიორგი „ადესას“ მიირთმევდა და ჩემი გაკვირვება კიდევაც გამოვხატე. მითხრა: *კახური ღვინო ყოველთვის ხელთა მაქვს, ასეთს იშვიათად წავაწყდები ხოლმეო.*

ახლა მისმა მობრძანებამ სუფრას სულ სხვა ეშხი შესძინა. ქიცა და ნოდარი ბრწყინვალე დეკლამატორები იყვნენ და გიორგი ლეონიძის ლექსებს შესანიშნავი ოსტატობით წარმოთქვამდნენ. ნაირფერად იღვრებოდა პოეტის ლექსები: „ყივჩაღის პაემანი“, „სიმღერა პირველი თოვლისა“, „ნინოწმინდის ღამე“, „საათნავა“, „მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო“, „ოლე“ და სხვები. დიდად ვილხენდით. მერიმ, თეთრი ხორცი გიყვართო, ბატონ გიორგის ინდაურის მკერდის ნაჭერი გადუღო.

– საიდან იცი, ქალო, შენ ეს? – კმაყოფილი კითხულობს პოეტი.

ახლა მერი ბაუეს იღებს და ამ თეთრ ხორცზე ავლებს.

– რა მიქენი, ქალო, ეს, რად დამისვარე?! – ხელებსა შლის გაოცებული.

გულიანად ვიცინით. აღარ მახსოვს, მანამდე იყო თუ შემდეგ, ბატონმა გიორგიმ ბრძანა, ხორცს საწებელი არ უნდაო.

ქიცას სადღეგრძელოს ბატონი გიორგი ექსპრომტად ამბობს:

„ვინ არის ბიჭი, რომ დასდევს
კაკიაშვილი ჭოლოკით!
– ქიცაა ხერხეულიძე,
დიდი ლეონიძეოლოგი“.

– ბოლოს რიტმი კია დარღვეული, მაგრამ არა უშავს რა, ექსპრომტია. – ჩვეული ბუხუნით თვითონვე დააყოლა.

ეს ლექსი ზოგიერთმა ჩაიწერა. მე არ ჩამიწერია და ვერ დავიჩემებ, რამდენად ზუსტად დამამახსოვრდა. შესაძლებელია, პირველი და მეორე სტრიქონი ასე ყოფილიყო: *„ვინ არის ბიჭი, თმათეთრი, გრიშა რომ დასდევს ჭოლოკით“*.

1981 წელს მეორედ დაიბეჭდა ქიცას წიგნი „გიორგი ლეონიძის პოეზია“, მაგრამ ავტორი მის გამოსვლას ვეღარ მოესწრო, გიორგი ლეონიძე კი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო.

როცა გიორგი ლეონიძემ პირველად მნახა და ჩემი სახელი გაიგო, მითხრა: *რა სახელია ბორისი, ბარძიმი უნდა გერქვას!*

სუფრაზე ბატონ გიორგისთან თავს უმცროსებიც ლაღად ვგრძნობდით. ერთი ფოკუსი ვიცი, რომელსაც ადრე და ახლაც სუფრაზე ვაკეთებ. საათს ვიბნევ მარჯვენა მაჯაზე. ქვემოდან სამაჯურში ვირჭობ ჩანგალს ისე, რომ ჩანგლის პირი შიგნიდან ხელის გულს ებჯინება. ხელში ვიღებ ღვინით სავსე ფეხიან ჭიქას, რომელიც ჩანგალს ეყრდნობა და, ვის სადღეგრძელოსაც ვსვამ, ჭიქას ისე ვაჩვენებ, მისი ფეხი ხელის ზურგს არის ამოფარებული. ვამბობ სადღეგრძელოს და განვმარტავ: როცა სადღეგრძელო მართალი და გულწრფელია, სასმისს შეგიძლია ხელი გაუშვა და ძირს არ დავარდება–მეთქი.

როცა ბატონ გიორგის ასე მივმართე და ჭიქას ხელი ნელ–ნელა გავუშვი, გაიღიმა და წამოიძახა: *ეს კაცი ჯადოქარი ყოფილაო.*

მარშალ გრუზინსკოი პოეზიი...

ლიტერატურის ინსტიტუტის დერეფანში იუსა (იოსებ) ლორთქიფანიძე, ქიცა (გრიგოლ) ხერხეულიძე, მირიან აბულაძე და კიდევ რამდენიმე თანამშრომელი დგანან და „პურის ჭამისთვის“ წასასვლელად ფრთას იწყობენ. დაინახეს: დირექტორის კაბინეტიდან სწავლული მდივანი გრიგოლ კაკიაშვილი დაფეთებული და აჭარხლებული გამოვარდა. ეტყობა, დირექტორმა რაღაცაზე "შეახურა". მალე კაბინეტის კარი ისევ იღება და თავად გიორგი ლეონიძე გამოდის.

– სმირნა! – იუსა ლორთქიფანიძემ ყველასგან მოულოდნელად დაიყვირა, ბრახუნა სამწყობრო ნაბიჯით დირექტორისაკენ გაემართა, მის წინ „დაერჭო“, „ჩესტი“ აუღო და ყვირილითვე მოახსენა:

– ტავარიშჩ მარშალ გრუსინსკოი პოეზიი! ბაიცი ბრონე-ბუტილკოვიხ ვოისკ გენერალა ხერხეულიძე... საპურმარილოდ მივდივართო.

ბატონმა გიორგიმ გაიღიმა, იუსას აკოცა, წელზე ხელი მოხვია და სხვებთან ერთად კაბინეტში შეიყვანა. ცი-

რე საუბრის შემდეგ ეს „ჯარისკაცები“ ბატონ გიორგისთან ერთად „ორთაჭალის ბაღებისაკენ“ დაეშვნენ.

კახელები და გურულები

1964 წლის 21 მაისს გიორგი ლეონიძემ თავის კაბინეტში მიხმო. გურიაში მოგზაურობიდან ახალდაბრუნებულია (17–19 მაისს მოიარა ოზურგეთისა და ლანჩხუთის რამდენიმე სოფელი). მკითხა: ამა და ამ სოფლებში ვიყავი, შენი სოფელი რომელია და სად მდებარეობსო.

ავუხსენი, ეგნატე ნინოშვილის სოფლიდან რომელ მხარეს და რამდენ კილომეტრზე მდებარეობდა. ცოტა ფიქრის შემდეგ მეუბნება:

– გურია საქართველოს ევროპაა.

მანამდე გიორგი ლეონიძე გურიაში ორიოდეჯერ იყო ნამყოფი, – პირველად ჩოხატაურის რაიონში, თავისი თანატოლი პოეტის გრიგოლ მეგრელიშვილის („მთის ნიავი“) ხსოვნის აღსანიშნავად. ბატონი გიორგი, ისე როგორც ნიკო კეცხოველი, თურქეთის ფრონტზე დაღუპულ ამ ახალგაზრდა შემოქმედს ხშირად ახსენებდა და მის პოეტურ ნიჭსაც დიდად აფასებდა.

1964 წლის მაისამდე კი ბატონი გიორგი ოზურგეთში ნამყოფი არ ყოფილა. ამ მოგზაურობის შედეგად უნდა დაეწერა მას ლექსი „გურია“, სადაც სინანულს გამოთქვამს, რომ მანამდე ამ კუთხეს ჯეროვნად არ გასცნობია. აი, ორიოდე სტროფი ამ ლექსიდან:

„რა გვიან მოგინახულე,
წლები წასულან ბრიალით,
და მხოლოდ ახლა გეხვევი
ჭაღარა, თავნამქრიანი!
მაპატიე და შემინდე,
სირცხვილი ლოყას მედება...
მაგრამ ტკბილია, როდესაც
უეცრივ გაგითენდება“.
(ჟურ. „დროშა“, 1969, № 3, გვ. 7).

გამოხდა ხანი. დირექტორის მორიგ დაძახილზე მის კაბინეტში ისევ შევდივარ. წინ რამდენიმე კაცი უსის.

— ეს კაცი გურულია, — ჩემზე უთითებს, — ესენი ჩემი მეზობლები, პატარძეულელები არიან. — ახლა მე მომიბრუნდა, — ნატანებში საპატიო კოლმეურნედ ამირჩიეს და მანდარინს მიგზავნიან; ამათ კი წყალი გამოუყვანე, ყველაფერს ვუკეთებ, ახლა კი მომდგომიან და გადასახადსა მთხოვენ.

გამეღიმა. სტუმრებს გავხედე, — იშმუშნებოდნენ.

დაპატიჟებასაც ცოდნა უნდა

ინსტიტუტის წინ, სარდაფში, რესტორანი „გემო“ იყო. ერთხელ ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომლებს იქ შესვენებაზე დაწყებული სადილი გაუგრძელდათ და ქეიფში გადაეზარდათ. ერთ—ერთმა თანამეინახემ ვიწრო სარკმლიდან ღაინახა და ფეხსაცმლებით იცნო, რომ ინსტიტუტის უფროსი თაობის თანამშრომელმა ამბერკი გაჩეჩილაძემ ჩაიარა. მოქეიფეებმა უმალვე კაცი დაადევნეს და სუფრაზე მიიწვიეს. ბატონმა ამბერკიმ მხოლოდ ერთი ჭიქა ღვინო შესვა, მადლობა გადაიხადა და სასწრაფოდ წავიდა.

არ გასულა ნახევარი საათი, სარდაფში ინსტიტუტის მნე ვალიკო ყუშიტაშვილი გაჩნდა და მოქეიფეებს აცნობა: დირექტორი გეძახით, ახლავე უნდა წამოხვიდეთო. ისინიც უმალვე აიშალნენ და რამდენიმე წუთის შემდეგ გიორგი ლეონიძის კაბინეტში ფეხაკრეფით შეიძურწნენ. იქვე იჯდა ბატონი ამბერკიც.

— რასა ჰგავს ეს, სამუშაო საათებია და რესტორანში სხედხართ! — ბრაზობს დირექტორი. ყველა შეშინებულია, დაგვსჯისო. რამდენიმე სასაყვედურო სიტყვის შემდეგ ჩაილაპარაკა: თქვენ ქეიფი და დროსტარება არა გცოდნიათ. ისიც კი არ იცით, ვინ უნდა დაპატიჟოთ (ლხინითა და ქეიფით არც ხანდაზმული ბატონი ამბერკი გამოირჩეოდა).

კუჭის ჭიხვინი

მირიან აბულაძე გვიამბობს:

ინსტიტუტის მანქანით სამსახურში მოვდივართ. უცებ წინ მჯდომი გიორგი მოგვიბრუნდა და გვეკითხება:

– გინდათ, კუჭის ჭიხვინი მოგასმენინოთ?

პასუხისათვის არ დაუცდია, მძღოლს მანქანას ტროლეიბუსის გაჩერებასთან შირიახლო მდგომი შოთა ძიძიგურის წინ აჩერებინებს.

– შოთა, კარგ სუფრაზე მივდივართ, გეპატიჟებით, წამოდი! – არც მისალმებია, ისე მიმართავს შოთას.

– აუ, ლექციაზე მივდივარ, არაფრით არ შემიძლია! – იუარა შოთამ.

– კარგი, აბა, რა გიყო! – უთხრა და მძღოლს ანიშნა, წავიდეთო. ცოტა რომ გამოეშორდით, გიორგი გაღიმებული მოგვიბრუნდა:

– გაიგეთ კუჭის ჭიხვინი?!

მძღოლის ერთგულება

გიორგი ლეონიძე თავისი სამსახურის მანქანით წყნეთიდან თბილისში მოდის. როგორღაც ცეკას მდივანი დევი სტურუა დამგზავრებია და მოჰყავს. საუბრისას სტუმარი რაღაც საკითხზე გიორგის არ დაეთანხმა. მძღოლი ჯიმშერ მჭედლიშვილი თავს უკან აბრუნებს და დევის ეუბნება:

– ეი, შენ ახლა ამას ასწავლი? – და ხელით გიორგი ლეონიძეზე ანიშნებს.

აქვე უნდა დავძინო: ახლაც თვალწინ მიდგას, ბატონი გიორგის პანაშვიდზე წყნეთში, ეზოს კუთხეში, მარტოდმარტო მდგომი ჯიმშერი როგორ იცრემლებოდა.

ვაგონის გამცილებელი

ჩვენთან, ინსტიტუტში, გიორგი ლეონიძესთან (და მწერალთა კავშირში) დადიოდა ვაგონის გამცილებელი, ჯანმრთელი, ლოყებლაჟლაჟა, ჩაფსკვნილი, მხიარული, ფანდურზე მომღერალი კაცი, რომელსაც ადვილად ემჩნეოდა, რომ, ცოტა არ იყოს, კრამიტი ჰქონდა დაცურებული. უცნაურად, შერეკილად ლაპა-

რაკობდა და ამგვარსავე ვრცელ ლექსებს წერდა, ხმამაღლა წარმოთქვამდა და ფანდურზე ამღერებდა.

ერთხელ გვიამბო: ისეთი რამ გამოვიგონე, მალე მსოფლიოში საყოველთაო მშვიდობას დავამყარებ და ომის საშიშროება აღარ იქნებაო. ხელებაწეული მივდივარ ამერიკის პრეზიდენტთან და ვეუბნები: აი, იარაღს ვდებ, შენც გადააგე იარაღი და მშვიდობიანად ვიცხოვროთ–მეთქი.

ამ დროს ვიღაცამ ჰკითხა: მან რომ რევოლვერი იძროს და გესროლოს, რასა შვრებიო.

— ესეც გათვალისწინებული მაქვს, — თავდაჯერებულად ამბობს იგი, — ჯიბეში ჩუმად მეორე რევოლვერი მიძევს, სასწრაფოდ ამოვიღებ, ვესვრი და მე თვითონ მოვკლავო.

ასეთ ბევრ რამეს ვაყოლებდით და გულიანად ვხარხარებდით. თუ მასთან რაიმეზე სერიოზული და ჭკვიანური ლაპარაკი შეიძლებოდა, ვერ წარმოგვედგინა. ის კი ბატონ გიორგის დაჟინებით თხოვდა, ოფიციალურად აღეძრა შუამდგომლობა, რათა მისი ლექსები გამოცემულიყო. გაოცებული დავრჩი, როცა ბატონ გიორგის საოცრად თბილი და ადამიანური შუამდგომლობა წავიკითხე: რომელიღაც ზემდგომ ორგანოს სწერდა, რომ იგი მოზღვავებული ენერგიის პატრონია და ამ ენერგიას რაღაც კალაპოტი უნდა მიეცესო.

მელვინე და პოეზია

ეს ამბავი ადრე ინსტიტუტში მომისმენია. ახლახან მისი სიმართლე რევაზ ბარამიძესა და კოტე ჩოლოყაშვილთან დავაზუსტე.

რომელიღაც თარიღთან დაკავშირებით საზეიმო შეხვედრას უწყობდნენ და გიორგი ლეონიძე თელავში ჩაბრძანდა. შეკრებამდე დრო ჰქონდა და ქალაქში მარტომ გაისეირნა. მოინახულა ის ადგილები, სადაც ახალგაზრდობაში ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილსა და სხვებთან ერთად დრო უტარებია. ჩავიდა ღვინის სარდაფში. ზორბა ტანის მხარბეჭიანი მელვინე ხალისიანად შეეგება მოსულს და ღვინის დაჭაშნიკება შესთავაზა. ბატონმა გიორგიმ რამდენიმე ძველი

მეღვინე მოიკითხა. მერე დაინტერესდა, თუ რა და რა ღვინოები ჰქონდა მასპინძელს.

მეღვინემ უცებ სახელდახელო სუფრა გაშალა და რამდენიმენაირი ღვინო დოქებით ჩამოდგა.

– ვხედავ, უბრალო კაცი არა ხართ, ვინ ბრძანდებით? – ორიოდე ჭიქის შემდეგ იკითხა მეღვინემ.

ბატონი გიორგი ხუმრობის ხასიათზე დადგა და უპასუხა: „საქთეეზმრეწვის“ ტრესტის მმართველი ვარო.

პოეტს გაზეთგადაფარებული კასრის თავზე მოწოდებული ყველი, პური, მწვანილი, წნილი, წითელი და ქარვისფერი ღვინოები ახალგაზრდობას აგონებდა, ნეტარებით იხსენებდა და ჰყვებოდა თელავში გატარებულ შთამბეჭდავ ეპიზოდებს. საუბარ-საუბარსა და ღვინის ნება-ნება სმაში დრომაც გაირბინა.

ამ დროს რაიკომსა და რაიაღმასკომში ერთი ამბავი ატყდა. შეხვედრის დრო ახლოვდებოდა და ღონისძიების თავიდათავი არ ჩანდა. დატრიალდნენ, გაიკითხ-გამოიკითხეს და ღვინის სარდაფსაც მიაკითხეს.

მასპინძელსა და მის სტუმარს ღვინო შესამჩნევად მოჰკიდებოდათ. მეღვინე კარგ ხასიათზე დამდგარიყო და ბატონ გიორგის სიცილითა და მხიარულებით ზურგზე ხელს უტყაპუნებდა. რაიონული მთავრობის ჩინოსნებს მეღვინის ფამილარობა არ მოეწონათ და თვალი დაუბრიალეს, – იცი, ვინ არის ეს კაცი? ეს პოეტი გიორგი ლეონიძე გახლავსო!

– პოეტი? ამხელა კაცი ლექსებსა წერს?! – გაიოცა მეღვინემ და ჩაილაპარაკა, – აფსუს ღვინო!

თბილისში დაბრუნებულმა ბატონმა გიორგიმ სხვადასხვა სახეობის ძვირფასი თევზეულობა შეიძინა და თელავში იმ მეღვინეს გაუგზავნა.

ბედის უკუღმა ტრიალი

1966 წელს, როცა გიორგი ლეონიძე გარდაიცვალა, ინსტიტუტის ახალმა დირექტორმა ალექსანდრე ბარამიძემ მისი ქალიშვილი **თინა** ჩვენთან სამსახურში მოიწვია და საინსტიტუტო-სამეცნიერო მრავალწლიან თემად მამის არქივის დამუშავება დაუმტკიცა. ქალბატონი თინა უაღრესად განსწავ-

ლული პიროვნება გახლდათ, მაგრამ ჯანმრთელობის გამო სამსახურში სიარული უჭირდა და ვერც დადიოდა. იმხანად ხან როდის და ხან როდის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს ამდენი და იმდენი პროცენტით შემცირებებს სთხოვდნენ. ბატონი ალექსანდრე ქალბატონ თინას ყოველთვის მფარველობდა, რასაც „კარგად" იყენებდნენ შემცირების სიაში მოხვედრილები. ზევით და ზევით ჩიოდნენ: *გიორგი ლეონიძის ქალიშვილი სამსახურში საერთოდ არ დადის, არაფერს აქვეყნებს, ჩვენ კი დაბალ ღობედ მივაჩნივართ და გვაძევებენო.*

ერთი ასეთი შემოტევის დროს შემცირებულთა სიაში ქალბატონი თინაც შეიყვანეს. ინსტიტუტის სწავლული მდივანი ვარ. იგი ჩემთან კაბინეტში კანცელარიის გამგე ნელი ლეჟავასთან ერთად უაღრესად მოკრძალებით შემოდის და მთხოვს: *დირექტორთან ხმა შემაწიეო.*

ზემოთ მოვყევი, რომ 1966 წლის აგვისტოში იერომირ იედლიჩკასთან შეხვედრას მეც ვესწრებოდი. ინსტიტუტში ჯერ მიღებული არ ვიყავი, მაგრამ შეხვედრაზე იმიტომ შემიყვანეს, რომ შვებულების დრო გახლდათ და სამსახურში მხოლოდ რამდენიმე თანამშრომელი აღმოჩნდა.

სტუმარი რომ გავაცილეთ, ბატონმა გიორგიმ შემომხედა და იკითხა: *ეს კაცი ვინ არისო.* ლია ანდღულაძე უხსნის. *ეს ბორის დარჩიაა, მალე ჩვენი თანამშრომელი გახდებაო.*

— არა, ჩემო ძმაო, — მომიბრუნდა ბატონი გიორგი, — ვერ მიგიღებ, აქ გურულობით მიღება ვერ იქნება. მხედველობაში ჰყავდა ალექსანდრე ბარამიძე, რომელიც მხარს მთელი ძალით მიჭერდა.

მაშინ თავზარი დამეცა, თუმცა შვებულებიდან დაბრუნებულ ბატონ ალექსანდრეს ამ მხრივ დირექტორისგან არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

რაა ცხოვრება, ბედის ირონია! — ახლა გიორგი ლეონიძის ქალიშვილი, ყოველმხრივ დიდებული ქალბატონი, მე, ინსტიტუტის საცოდავ სწავლულ მდივანს, ამ საქმეს რომ არავინ მეკითხება, დახმარებასა მთხოვს?!

9. გალაკტიონ ტაბიძე
(თვალის რამდენიმე შეხვედრით)

ეს მცირე მოგონება თეიმურაზ დოიაშვილის თხოვნით დავწერე. უნდოდა, მის მიერ დაარსებული და გამოცემული „გალაკტიონოლოგიის“ ერთ-ერთ ტომში დაებეჭდა. თავიდან უარი ვუთხარი, *რაიმე მნიშვნელოვანი და საყურადღებო სათქმელი არა მაქვს-მეთქი.* თხოვნა რომ სხვადასხვა დროს გამიმეორა, ბოლოს, ისე რომ მისთვის არ მითქვამს, დავწერე, მაგრამ მისი გამოქვეყნებისაგან აქამდე თავს ვიკავებდი. ახლა, ამ წიგნში შეტანილ მოგონებებს რომ თავი მოვუყარე, რაღაცამ მაცდუნა და მათ ესეც მივუმატე.

აქ აღწერილი ამბები ჩემი სტუდენტობის დროინდელია (1954–1959). უნივერსიტეტს რომ ვამთავრებდი, ბატონი გალაკტიონი კიდევაც დაილუპა.

¤

ხუთი ნომერი ტრამვაით უნივერსიტეტიდან შინ ვბრუნდებოდი. ახლანდელი მეტრო „რუსთაველის“ წინ ვიყავით, ჩემ წინ მჯდომმა ქალმა თანმხლებ მამაკაცს თითით მიანიშნა და ჩაულაპარაკა: *გალაკტიონი!*

მის მინიშნებას თვალი გავაყოლე და ვიცანი, ქუჩის მეორე მხარეს, აფთიაქი რომ იდგა, იმის წინ, წვერმოშვებული გალაკტიონი ვიღაც კაცს ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა და ღიმილიანი სახით გაშორდა. თეთრი ხალათი თუ მოგრძო პიჯაკი ეცვა და ხელში დიდი შავი პორტფელი ეჭირა.

¤

მწერალთა კავშირისა თუ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში ალექსანდრე ჭეიშვილის ალმანახში დაბეჭდილი მოთხრობის განხილვა მიმდინარეობდა. ამ მწერალზე მას შემდეგ, რაც ორიოდე წლის წინათ მისი „ლელო“ გამოვიდა, უამრავი ქება-დიდება იბეჭდებოდა. ამ ავტორიტეტის გამო რამდენიმე სტუდენტი მივედით და ვესწრებოდით.

სხდომას ბესო ჟღენტი თავმჯდომარეობდა, მომ-ხსენებელი გია მარგველაშვილი იყო. უცებ დარბაზს ჩურ-ჩულმა გადაუარა: *გალაკტიონი!*

მოვიხედე. კარებიდან ცოტა აქეთ გალაკტიონი დგას და პრეზიდიუმისაკენ იყურება. რამდენიმე წუთში ისევ მოვიხედე, სად დაჯდა-მეთქი. აღარ ჩანდა, წასულიყო.

¤

ვერის დაღმართის ბოლოს, ხიდთან (რომელსაც ამას წინათ გალაკტიონის სახელი მიეკუთვნა), სკვერში, მარი ბროსეს ძეგლის ადგილას, 1955 წელს დაიდგა ქვის ფილა წარწერით: *აქ დავით გურამიშვილის ძეგლი აღიმართებაო.* საზეიმო მიტინგს უამრავი ხალხი ესწრებოდა და ჩვენ, სტუდენტებიც, მიგვიყვანეს.

მიტინგის შემდეგ ახლანდელ დავით აღმაშენებლის გამზირზე, მარჯანიშვილის მოედანთან ახლოს, ბიძაჩემი ცხოვრობდა და გავუარე. ბიძაშვილებთან ცოტა ხანს ვილაპარაკე და შინისაკენ მარჯანიშვილის ქუჩას გავუყევი. მოედნიდან ასიოდე მეტრის დაშორებით სარდაფში უბრალო, მოუწყობელი სასაუზმე იყო და ლუდის დასალევად ჩავედი. დახლში არავინ დამხვედრია. დახლის გვერდით ფარდაჩამოშვებული საკუჭნაოდან, საიდანაც დახლიდარი გამოვიდა, შეზარხოშებული მამაკაცების ხმაური ისმოდა. ჩემი ყურადღება იმან მიიპყრო, რომ ძალიან ამაღლებულ პატრიოტულ სადღეგრძელოებს ამბობდნენ. გარეთ რომ გამოვედი, სარდაფის პატარა სარკმელში ჩავიხედე. გაზეთგადაფარებულ კასრთან რამდენიმე ახალგაზრდა კაცის გვერდით გალაკტიონი იჯდა.

¤

თანაკურსელთა ერთი ჯგუფი ბეთანიაში წასასვლელად ვაკეში, მაშინდელ მეცხრე საავადმყოფოსთან, ვიკრიბებოდით. ადრე დილა იყო. რაღაც ხმაური შემოგვესმა. იქვე საბარგო მანქანა იდგა, შემოვუარეთ და ვხედავთ: კაბინაში ზის მთვრალი გალაკტიონი, მას მკლავზე ჩაჰფრენია მძღოლი, ახალ-

გაზრდა სომეხი კაცი, და ძირს ექაჩება. გალაკტიონი მარჯვენა ხელით საჭეს ჩაფრენია და არ ნებდება. მივცვივდით ამ ბიჭს და შევუტიეთ: *რასა შვრები, ეს გალაკტიონია!*

— გალაკტიონია თუ ვინც არის, რას გადამეკიდა, მომეხმარეთ, მომაშორეთ, საქმეზე მაგვიანდება! — შემოგვღაღადა მან.

გალაკტიონი ტკბილი სიტყვითა და ქება-დიდებით ავავსეთ და ძირს ჩამოვიყვანეთ; შემოვეხვიეთ, მივუალერსეთ, მერე მსუბუქი მანქანა გავაჩერეთ, შიგ ჩავსვით, მძღოლს ფული გადავუხადეთ და გავუშვით.

¤

ვაგზლიდან ტრამვაით უნივერსიტეტში მივდიოდი. მეორე ცვლა ვიყავით და შუადღე იდგა. ერთი გაჩერების შემდეგ წინიდან გალაკტიონი ამოვიდა. გოგონა წამოხტა და ადგილი დაუთმო.

— გმადლობთ, გმადლობთ, მიცანით ხომ?! — თქვა გალაკტიონმა. აშკარად ეტყობოდა, ნასვამი იყო. მერე გოგონას მიმართა, *რა გქვიაო.*

რომ მიუგო, *ნათელაო*, გალაკტიონს ვკითხე: *წინანდალელი ნათელა ასეთი იყო თუ უკეთესი-მეთქი?*

— გცოდნია, ბიძიკო, გცოდნია! — ჩაილაპარაკა მან და მომდევნო გაჩერებაზე, კინოსტუდიასთან, ჩავიდა.

¤

ქუჩაში მძიმედ მიმავალი გალაკტიონი სხვა დროსაც დამინახავს.

რომ გარდაიცვალა, მწერალთა სასახლეში საპატიო „ყარაულში“ მეც ვიდექი. ახლაც თვალწინ მიდგას ზღვა ხალხით სავსე რუსთაველის პროსპექტი, მთაწმინდისაკენ რომ მიაცილებდა უბადლო პოეტს. ყურში კი ჩამესმის საფლავთან ნათქვამი გიორგი ლეონიძის გამოსათხოვარი სიტყვის პირ-

ველი ფრაზა: ახლა, როცა შენი გაჭრილი საფლავის პირას ვდგავართ...

10. მიხეილ ზანდუკელი
(ორიოდე სიტყვა)

1954 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი რომ გავხდი, **მიხეილ ზანდუკელის** სახელი ჩემთვის, სოფლელი მოსწავლისათვის, ასე თუ ისე, ნაცნობი იყო...

მეორე მსოფლიო ომის დროს და მომდევნო წლებში სოფლად სად გვქონდა წიგნები და, რაც მთავარია, დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებიც მოსწავლეებს ჰაერივით გვჭირდებოდა! ჩემი და მეზობელი სოფლის (სადაც საშუალო სკოლაში სწავლა გავაგრძელე) ბიბლიოთეკები რაღაც ნაყარ-ნუყარა წიგნებისაგან შედგებოდა და არც ერთს საქართველოსა და ქართული ლიტერატურის ისტორიები ან სხვა რაიმე მიმოხილვითი ლიტერატურა არა ჰქონა. სწორედ ამ დროს, როცა საშუალო სკოლის ბოლო კლასებში ვიყავი, მეგობარმა მითხრა, ზანდუკელის *„გარჩევის წიგნი“ ვიშოვეო* და ბატონი მიხეილის *„ახალი ქართული ლიტერატურის“* სამივე ტომის ომამდელი გამოცემა მიჩვენა. ეს წიგნები მას თავისი ნათესავის ოჯახში შეთხვევით ეპოვნა.

ამოვისუნთქეთ! იმ მწერალთა მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრება და შემოქმედება, რომლებსაც სკოლაში მხოლოდ სახელმძღვანელოებით ვსწავლობდით და აგრეთვე ბევრ სხვათა, სასწავლო გეგმაში რომ არ შედიოდა, აქ ვრცლად და ნათლად იყო წარმოდგენილი. ეს და ამგვარი წიგნები მაშინ უპირველესად გაკვეთილების მოსამზადებლად, სასკოლო თემების დასამუშავებლად გვჭირდებოდა, მაგრამ მერე თანდათან ყველანი კარგად ვგრძნობდით, თუ მათ რა განუზომელი კეთილი გავლენა მოახდინეს ჩვენზე ლიტერატურული ინტერესების, მშობლიური მწერლობის სიყვარულის ჩასახვასა და გაღვივებაში, საერთოდ, აზროვნების, გონებრივი სივრცის გაზრდასა და გაფართოებაში.

წიგნებისა და, მეტადრე, სახელმძღვანელოების, სკოლაში გამოსაყენებელი ლიტერატურის, ავტორები ღმერთკაცებად მიმაჩნდა და, უნდა გამოვტყდე, ცოტა არ იყოს, კიდევაც გამიკვირდა, როცა სტუდენტად გახდომისას შევიტყვე, აკაკი შანიძე, ალექსანდრე ბარამიძე, მიხეილ ზანდუკელი და „გარჩევის წიგნების“ სხვა ავტორები უნივერსიტეტის თანამშრომლები აღმოჩნდნენ და ჩვენი ლექტორები იქნებოდნენ. ისე წარმომედგინა, ამგვარ წიგნებს განათლების სამინისტროში თუ კიდევ უფრო სადღაც ზევით მოღვაწენი ქმნიდნენ.

მიხეილ ზანდუკელის პირველი ნახვაც შთამბეჭდავი იყო.

ერთხელ, რამდენიმე თვის სტუდენტი ვიყავი, საღამოთი, უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის კაბინეტში სამეცადინოდ რომ შევედი, პატარა კამათს შევესწარი. კაბინეტის გამგე ეკატერინე კეკელიძე, ანუ, როგორც ყველა მოიხსენიებდა, ქალბატონი კატუშა, გაცხარებით „ამტკიცებდა“ — ეგნატე ნინოშვილი არც ისე დიდი მწერალია, როგორც ახლა ვბუქავთო. შავ კოსტიუმსა და ჰალსტუხში კოხტად გამოწყობილი, წვრილ, თეთრულვაშიანი, ასაკოვანი, ლამაზი, წარმოსადეგი კაცი, რომელიც (ჩუმად ვიკითხე) მიხეილ ზანდუკელი აღმოჩნდა, ოდნავ ეშმაკური, მაგრამ აშკარად მიმტევებელი ღიმილით არ ეთანხმებოდა მას. წყნარად და ბეჯითად ამბობდა: ეგნატე, რაც დაგვიტოვა, იმითაც უთუოდ დიდი მწერალია. დასანანი და უდიდესი დანაკლისი იყო მისი ნაადრევად გარდაცვალება. იგი ყოველმხრივ თვითმყოფადი მწერალია და, რა თქმა უნდა, უგუნურებაა სხვებთან მისი დაპირისპირება, მაგრამ აქ მას არავითარი ბრალი არ მიუძღვისო.

მერე უკეთ დავინახე, ეს კამათიც „ჩვენი ეგნატე, თქვენი ილიას“, ამ მართლაც ყოვლად უგუნური, დაუნდობელი, სისხლისღვრაში გადასული ჩვენი ერის დამღუპველი ბრძოლის გამოძახილი იყო. გამოძახილი იმ ბრძოლისა, რომელიც ილია ჭავჭავაძის 1937 წლის იუბილეს დროს დაცხრა, მაგრამ მისი ექო, ახლა მეორე მხარეს, ეგნატე ნინოშვილის დასამცირებლად გადაბრილი, აქა-იქ კვლავ ხმიანობდა.

რამდენადაც ქალბატონი კატუშა გაწიწმატებული, ბობოქარი და შემტევი იყო, იმდენად ბატონი მიხეილი მშვიდი, დამნდობი და კეთილგანწყობილი ჩანდა. მაშინ იმასაც მივაქციე ყურადღება და ახლა ღიმილსაც მგვრის, რომ ეგნატე ნინოშვილს დამამცირებლად იხსენიებდა სწორედ გურული ქალი, რომლისთვისაც მისი შემოქმედება უფრო ახლობელი და გასაგები უნდა ყოფილიყო, მთიელი კაცი კი იცავდა. ერთბაშად მომხიბლა ბატონი მიხეილის გარეგნობამ და მისმა ჭეშმარიტად ჯენტლმენურმა კამათმა. დავინახე დიდბუნებოვნება და ყოველმხრივი შემკობილობა კაცისა, რომელიც თავის თავში მტკიცედ ზის.

ამის შემდეგ მიხეილ ზანდუკელს ხშირად ვხედავდი უნივერსიტეტის დერეფნებში აჩქარებით მიმომსვლელს. ეს მაღალი, ახოვანი, დარბაისელი კაცი, თითქოს ცეკვა-ცეკვით დადისო, ფეხის წვერებზე მოსიარულესა ჰგავდა.

მალე, პირველ კურსზევე, ჩვენთვის ცნობილი გახდა გრიგოლ წერეთლის, სიმონ ყაუხჩიშვილის, შალვა ნუცუბიძის სახელები. გამოჟონა მათმა და მათთან ერთად მიხეილ ზანდუკელის მძიმე ხვედრმა. შევიტყვეთ გრიგოლ წერეთლის ტრაგედია, სიმონ ყაუხჩიშვილისა და შალვა ნუცუბიძის უნივერსიტეტიდან გაძევებისა და პატიმრობის ამბები. ჩვენით თითქმის მალულად ვეცნობოდით მათ მეცნიერულ ნაღვაწს და გვიკვირდა, რა იყო მათში მიუღებელი და ასაკრძალი. ზოგიერთი ზედაკურსელი სტუდენტი ჩუმ-ჩუმად უკმაყოფილებას გამოთქვამდა და ბატონი მიხეილის პიროვნების შეზღუდვად მიიჩნევდა იმ გარემოებას, რომ ის *ახალი ლიტერატურის ისტორიის კურსს* აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებს უკითხავდა, ხოლო ფილოლოგიის ფაკულტეტზე მცირერიცხოვან ჯგუფებთან მხოლოდ *პრაქტიკული მეცადინეობები* ჰქონდა.

და, აი, ამ დროს მიხეილ ზანდუკელის *„ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაზე“* გაზეთ *„კომუნისტში“* დაიბეჭდა მკაცრი რეცენზია – *„ვულგარული სოციოლოგიზმისა და ობიექტივიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ“*. თუმცა რამდენიმე ჩემი სტუდენტი-მეგობარი ამ რეცენზიას ათვალწუნებით შეხვდა, უნ-

და ვაღიარო, ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, ბატონი მიხეილისადმი სიყვარულის გრძნობა გამიბზარა და მასზე საკმაოდ ამიცრუა გული. აქვე დავძენ: შემდეგ და შემდეგ, როცა მიხეილ ზანდუკელი და ამ რეცენზიის ავტორი დავით გამეზარდაშვილი ჩემი ლექტორები გახდნენ და საშუალება მომეცა, ისინი რამდენადმე ახლოს გამეცნო, ეს რეცენზია იმ უკუღმართი და გაუტანელი დროისა და გარემოს გამო უკვე სხვაგვარად მწყვეტდა და მტკენდა გულს. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ერთხელ ლექციაზე ბატონმა დავითმა ბატონი მიხეილი, როგორც თავისი მასწავლებელი, დიდი მადლიერებით მოიხსენია და აღნიშნა: უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სოფლად წასული, ამ საოცნებო სასწავლო და სამეცნიერო კერას მოშორებული, როგორ მონახა მან იგი და მის წიაღს დაუბრუნა — ასპირანტურაში ჩარიცხა.

მესამე თუ მეოთხე კურსზე პატივი მქონდა, ბატონი მიხეილის პედაგოგიკურ ხელოვნებას ვზიარებოდი. *ახალ ქარ-თულ ლიტერატურაში სპეცსემინარის* ლექტორად გვყავდა და მეც უნდა გავიმეორო ერთი მისი ძველი, თბილისის პირველი *საცდელ-საჩვენებელი-შრომის* სკოლადამთავრებული მოწაფის მოგონებებში ამოკითხული სიტყვები: *მიხეილ ზანდუკელი ჭეშმარიტ პედაგოგად იყო დაბადებული!*

მეხსიერებიდან არ ამომდის ბატონი მიხეილის საოცარი უნარი: სტუდენტები ლექცია-მეცადინეობის დროს როგორც კი გამოვითიშებოდით, ფიქრით აუდიტორიას მოვწყდებოდით, მას ეს ერთი წამითაც არ გამოეპარებოდა, უმალვე შეგვამჩნევდა და საქმეზე დაგვაბრუნებდა. განურჩევლად იმისა, თვითონ ლაპარაკობდა თუ სტუდენტი, საქმიანად მოგვმართავდა — აბა, გაიმეორეო. ჩვენ, შეცბუნებულთ და პირდაღებულთ, არათუ საყვედურს, შენიშვნასაც არ გვაკადრებდა. ვითომც არაფერიაო, იმ ჩვენდაუნებურად გამორჩენილ აზრს სხვას გაამეორებინებდა. ჩვენც ნამუსში ვვარდებოდით და ყოველნაირად ვცდილობდით, გონება არ დაგვფანტოდა.

მასალის ათვისებაში ჩვენს სიძნელეებს ბატონი მიხეილი მაშინვე გაითავისებდა და, სანამ საკითხს კარგად არ

გაგვირკვევდა, მანამ მოთმინებით გვიხსნიდა. როგორ შეწუხდა ერთხელ, როცა ერთ ჩვენს თანაჯგუფელს, თანაც უნივერსიტეტის პროფესორის შვილს, ხეირიანი ცოდნა არ აღმოაჩნდა და ყოველ მეცადინეობაზე მისთვის დამახასიათებელი მოკრძალებითა და ტაქტით როგორ ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას.

როცა მიხეილ ზანდუკელის პედაგოგიურ ხელოვნებაზე ვფიქრობ, რაც მე თვითონ დავინახე და განვიცადე, ბოლომდე მესმის იოსებ მეგრელიძის ამაზე ნათქვამი ორიოდე სიტყვა. ბატონი სოსო თავის მოგონებაში მოგვითხრობს, რომ ყაზახეთში, ჩკალოვოში (კოკჩეტოვის ოლქი) გადასახლებისას ის და ბატონი მიხეილი სკოლის „მასწავლებლად დაგვნიშნეს და საზოგადოებრივი დატვირთვით განათლების განყოფილების ინსპექტორობაც გვთხოვეს. მიხეილს მალე გაუვარდა დიდი პედაგოგის სახელი“ (მცირე მოგონება, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1 მარტი, 1990, გვ. 7).

მიხეილ ზანდუკელი უაღრესად ყურადღებიანი და თავაზიანი იყო აუდიტორიის გარეთაც. რა დამავიწყებს იმ სითბოსა და ალერსს, რასაც იგი ჩემ მიმართ, ერთი ჩვეულებრივი ნასტუდენტარისადმი, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წლების განმავლობაში იჩენდა. გამიცინებდა, ხელს ჩამომართმევდა, თავზე ხელს გადამისვამდა, მომიკითხავდა და გამამხნევებდა. ასე იყო ყოველთვის. ერთხელ ღიმილით ესეც „მისაყვედურა“, როგორ *გაჭაღარავებულხარო...*

მიხეილ ზანდუკელი არ ყოფილა ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელი და ცხოვრებაში გზის გამკვლევი. არათუ შინაურულად, მასთან ისე ახლოსაც არ ვყოფილვარ, რაიმე რჩევა-დარიგებისათვის შემეწუხებინა. პირიქით, შორს ვიდექი და კრძალვითა და რიდით ვეპყრობოდი. ის კი არა, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ინტერესი გამიჩნდა, გამეგო: შეიცვალა მან თავისი თვალსაზრისი თუ წინანდებურად ალექსანდრე ყაზბეგის სახელით ცნობილ თხზულებათა ავტორად ისევ დიმიტრი ყაზბეგი მიაჩნდა? მაგრამ ამის საკითხავად სითამამე ვერასოდეს გამოვიჩინე (როცა ეს მცირე წერილი ბატონი მიხეილის ძმისშვილს,

ფიქრია ზანდუკელს, წავაკითხე, მან მითხრა, ბოლომდე ასე მიაჩნდაო).

მიუხედავად ამგვარი პირადი ურთიერთობისა, ბატონი მიხეილი მაინც ახლობლად მიმაჩნდა. თავისი დიდი მოქალაქეობრივი ბუნებით, უშუალობით, სიწმინდით.... და სხვა ათასგვარი ღირსებით იგი ყოველთვის გვავსებდა და გვამაღლებდა, სიკეთეს, სილამაზეს, რწმენას, შემოქმედებითი საქმიანობისადმი და, საერთოდ, სიცოცხლისადმი სიყვარულს შთაგვაგონებდა.

ამიტომაც იყო და არის, 1968 წელს მისი გარდაცვალება ახლობელივით განვიცადე, ამ ქვეყნიდან უღრმესი გულის-ტკივილით გავაცილე და მის ნათელ ხსოვნას გულით ვატარებ.

11. სარგის ცაიშვილი
(რამდენიმე შტრიხი)

1960 წელს, როცა ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებაში მუშაობა დავიწყე, აქვე დამხვდა ბატონი სარგისი. მაშინ იგი 30 წლის ჯან-ღონით სავსე ლამაზი ვაჟკაცი გახლდათ. მას, როგორც ნიჭიერ ლიტერატორსა და მეცნიერ-მკვლევარს, მწერალთა და მეცნიერთა საზოგადოებაში გამორჩეული ადგილი ეჭირა; გახ-ლდათ ყოფილი მოკრივე, აქტიურად მოქმედი ალპინისტი და სპორტულ საზოგადოებაშიაც არანაკლებ სახელმოხვეჭილი პირი. ჰყავდა უამრავი მეგობარი და მთავრობაშიაც გავლენა ჰქონდა.

მსუბუქი ავტომანქანა ჰყავდა. მსუბუქი ავტომანქანა ჰყავდა აგრეთვე **გიორგი ციციშვილს**. მათი მანქანებით დავდიოდით ვარკეთილის მინდვრებში და ფეხბურთს ვთამაშობდით.

იმხანად ფეხბურთში მეცნიერებათა აკადემიის პირველობა ჩატარდა. პირველი შეხვედრა გვქონდა, როგორც მახსოვს, მეტალურგიის ინსტიტუტთან. დავიწყეთ თამაში. ათი წუთიც არ იყო გასული, სამი ბურთი გაგვიტანეს. ეს იმის ბრალი იყო, რომ სტადიონზე დიდი რიხით გავედით, გვეგონა, ტოლი ტოლს ვეთამაშებოდით. მალევე დავინახეთ, ისინი ჩვენზე ბევრად ძლიერები იყვნენ. მერმე ამბობდნენ, თბილისის

„ტოდოში“ ნათამაშევი .ბიჭები არიანო. გადავედით ყრუ დაცვაზე. თამაში მთლიანად ჩვენს საჯარიმო მოედანზე მიმდინარეობდა. კარებში გვეყენა ლიტერატურის ინსტიტუტში ხელშეკრულებით მომუშავე ემზარ შალიკაშვილი, რომელიც, რომ იტყვიან, დაფრინავდა და უამრავ „მკვდარ ბურთს“ იღებდა. ამან მოწინააღმდეგენი გაანერვიულა და ერთმანეთში კინკლაობა დაიწყეს.

სარგისი ვეფხვივით მოქმედებდა. დამევალა „აუტის“ მოწოდება. მშვენივრად ვიცოდი, რომ ამ დროს ბურთი თავს უკან უნდა გადაიტანო და ისე გადმოაგდო. მეგონა, ასეც ვშვრებოდი, მაგრამ მსაჯმა ერთხელ და მეორეჯერაც რომ დამისტვინა, სარგისი მსაჯს მივარდა და დაუყვირა: *ხომ ხედავ, არ იცის და რას უსტვენო?!* ამაზე კარგა ხანს ვიცინოდით და ახლაც მელიმება.

მეორე ტაიმში ძლიერი ქარი ამოიჭრა და დიდი დახმარებაც გაგვიწია. ერთხელაც ბურთი მეტოქის ნახევარზე ისე მაგრად გააფრინა, ყველაზე უწინ მას მირიან აბულაძე დაეწია და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა საპასუხო გოლი გაიტანა. იგივე გამეორდა მეორეჯერაც (ამჯერად იმარჯვა რობერტ თაგაურმა) და თამაში ორით სამზე წავაგეთ.

დავბრუნდი ინსტიტუტში. შემომხვდა ადგილკომის თავმჯომარე ამბერკი გაჩეჩილაძე და, თამაშის შედეგი რომ გაიგო, დანანებით თქვა: *აფსუს, გამარჯვებას რა პატარა მიგკლებიათო?!* არადა, სადაც სამართალია, ანგარიში ათით ნოლზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო!

ასე რომ, ჩემსა და სარგის ცაიშვილს შორის კარგი ურთიერთობა სუფევდა.

მაგრამ ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე მუშაობა დავიწყე და მის მიერ შემუშავებული თვალსაზრისის საწინააღმდეგო შედეგები მივიღე.

ბატონი სარგისის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი კვლევის საგანი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები იყო. მან აქ ბევრი საქმე გააკეთა. რადა ღირს, თუ გნებავთ, მისი პირველი

წიგნი *„ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“*, რომელიც 1957 წელს გამოქვეყნდა და მასზე საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. აქ პოემის ხელნაწერთა მემკვიდრეობიდან გამოყოფილია ის 47 ნუსხა (რამდენიმე შემდეგ დაუმატა), რომლებიც ვახტანგისეული 1712 წლის გამოცემიდან არ მომდინარეობს და დამოუკიდებელი რედაქციული ღირებულება აქვს. შემდეგ ამაზე დაყრდნობით ხდებოდა ამ ხელნაწერთა შესწავლა და „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტების შემუშავებისას მათი გამოყენება.

ბატონმა სარგისმა აქვე წარმოადგინა ერთი უტყუარი საბუთი, რომლითაც მტკიცდება აკაკი შანიძის დებულება, რომ 1712 წლის ვახტანგისეულ გამოცემას საფუძვლად უდევს არა მე-14 საუკუნის ჩვენამდე არმოღწეული რომელიღაც ნუსხა, როგორც ამას პავლე ინგოროყვა და ზოგი სხვაც ფიქრობდნენ, არამედ იგი მეფე-პოეტის კრიტიკულად შემუშავებული ტექსტია. ბატონმა სარგისმა მოხსნა ის შეუსაბამობა, რაც ბატონი აკაკის შეხედულებას ეწინააღმდეგებოდა; გაარკვია, რომ S-5006 ხელნაწერი, რომელიც მე-17 საუკუნეში გადა-წერილად მიაჩნდათ, სინამდვილეში მე-18 საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება. მისი თავ-ბოლო ნაწილი მომდინარეობს მე-17 საუკუნის ვრცელი შედგენილობის ნუსხიდან, ხოლო შუა წელი – ვახტანგისეული ტექსტიდან. ამით საბოლოოდ დაესვა წერტილი ერთ უმნიშვნელოვანეს რუსთველოლოგიურ თავსამტვრევ პრობლემას – ვახტანგისეული გამოცემის რაობას. უფრო მეტიც: ავტორმა აქვე აჩვენა, რომ ვახტანგს ხელთ ჰქონია რამდენიმე, უპირველესად და უმთავრესად ე. წ. ზაზასეული (Q-1082) ტიპის, ნუსხა.

1963 წელს გამოვიდა სარგის ცაიშვილის წიგნი *„ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები“*. აქ დამუშავებულია პოემის ვრცელი, ანუ ვახტანგისეულ გამოცემამდე არსებული, ხელნაწერები. გამოყოფილია: პროლოგში 3, ძირითად ტექ-სტში – 4, ხოლო დანართი ეპიზოდების მიხედვით – 2 რედაქციული ჯგუფი. გაზიარებული და გამეორებულია მანამდე რუსთველოლოგიაში არსებული შეხედულება, რომ ამ ვ რ ც ე ლ ი

ხელნაწერებიდან უკეთესია, ავთენტიკური ტექსტი უფრო შემონახულია სტროფული შედგენილობით შედარებით მ ო კ ლ ე პაპუნა ბებურიშვილისეული (S–2829) ტიპის ნუსხებში.

როცა ბატონი სარგისი ამ საკითხებზე მუშაობდა, *„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტები* ჯერ კიდევ გამოცემული არ იყო. თანაც იგი კვლევისას ეყრდნობოდა ერთ მონაცემს — სტროფულ შედგენილობას.

მას შემდეგ, რაც *„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტების* ოთხი წიგნი დაიბეჭდა, საშუალება მოგვეცა, პოემის ნუსხები უფრო საფუძვლიანად გაგვეხილა. სტროფულმა სტრუქტურამ (შედგენილობამ და თანამიმდევრობამ), სათაურების ადგილმა და, რაც მთავარია, ვარიანტების, წაკითხვების ერთობლივმა შესწავლამ სხვა სურათი მოგვცა: „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ნაწილში ძირითადად ერთი და იგივე რედაქციული ჯგუფები გვაქვს. ამავე დროს, აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის ხელმძღვანელობით მომუშავე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში ყველამ თვალნათლივ ვნახეთ, რომ, თუმცა არც ერთ ხელნაწერს ჩვენამდე შეურყვნელად არ მოუღწევია, მაინც სტროფულად მოკლესთან შედარებით წ ა კ ი თ ხ ვ ე ბ ი ს მიხედვით უფრო უკეთესია სტროფული შედგენილობით ვრცელი, ე. წ. სამეფო სახლის ნუსხები.

1967 წელს დასაცავად ლიტერატურის ინსტიტუტში წარვადგინე საკანდიდატო დისერტაცია *„ვეფხისტყაოსნის რედაქციები და მათი ურთიერთმიმართება ხვარაზმელთა ამბის მიხედვით“* (ხელმძღვანელი ალ. ბარამიძე). მაშინ ბატონი ალექსანდრე ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ და ბატონ სარგისს მისი, რუსთველოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის, ადგილი ახალდაკავებული ჰქონდა. რადგან „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარის (ირაკლი აბაშიძის) მოადგილე და მთავარი რედაქციის სწავლული მდივანი იყო, ლიტერატურის ინსტიტუტში იგი იშვიათად დადიოდა. ჩემი დისერტაციის გამო მობრძანდა და ხუთწუთიანი სხდომა ისე ჩაატარა, სადი-

სერტაციო ნაშრომზე არც მას და არც სხვას არაფერი უთქვამს. მასვე ევალებოდა წინასწარი რეცენზიის დაწერა, მაგრამ ეს შემდეგაც არ შეუსრულებია. მოგვიანებით მე დავწერე, რა თქმა უნდა, ძალიან მოკრძალებულად. მხოლოდ აღვწერე იგი და შენიშვნებად ჩავწერე ის, რაც მას მიაჩნდა. მაგალითად: „ჩვენთვის მიუღებელია ბ. დარჩიას მოსაზრებანი «ხვარაზმელთა ამბის» ამჟამად ცნობილი ვერსიის წარმოშობისა და რედაქციათა წარმომავლობის თვალსაზრისით გამოყოფილ რედაქციულ ჯგუფთა ურთიერთმიმართების შესახებ“. მან კი რე-ცენზიას ხელი ისე მომიწერა, არც წაუკითხავს. დაცვა შედგა 1968 წლის 23 აპრილს, მაგრამ სხდომას არ დასწრებია.

ამის შემდეგაც ვაგრძელებდი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე მუშაობას, უპირველესად პოემის შემდეგი გაგრძელებების მიხედვით, და ყველგან აღნიშნულ ახლებურ თვალსაზრისს ვავითარებდი.

ძალიან არ მსიამოვნებდა და ძალიანაც ვწუხდი, რომ ბატონ სარგისს ვუპირისპირდებოდი. ყოველთვის მოკრძალებით ვეპყრობოდი. მოხსენებებში ზოგადად აღვნიშნავდი: აქამდე მეცნიერებაში ასეთი და ასეთი მოსაზრება გაბლავთ-მეთქი და ბატონი სარგისის ნაშრომს არ ვასახელებდი.

და, აი, დადგა 1969 წელი. რუსთველოლოგიის განყოფილებაში განიხილება 1972 წლის საგამომცემლო გეგმა, რომლის ლიმიტი ჩვენს განყოფილებას ერგო. მაშინ აკადემიის საგამომცემლო გეგმა სამი წლით ადრე დგებოდა, ხოლო აკადემიის გამომცემლობისათვის ნაშრომის ჩაბარებას ორი წლით ადრე ითხოვდნენ. წარვადგინე თემა — *„ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით“*. დამიპირისპირდა გურამ შარაძე. მისი თემა გახლდათ: *„თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება“*. ინსტიტუტში მიღებული წესით, მე უპირატესობა ის მქონდა, რომ იქ რამდენიმე წლით ადრე ვიყავი მისული, თანაც ჩემი ნაშრომი რუსთველოლოგიური იყო.

სახტად და აღშფოთებული დავრჩი, როცა ბატონმა სარგისმა უპირატესობა თეიმურაზ ბაგრატიონს მისცა

(გამოვიდა 1972 წელს) და ჩემს ნაშრომზე განაცხადა, *აქ ყველაფერი უკულმა არის გაკეთებულიო.*

1970 წელს გამოვიდა სარგის ცაიშვილის წიგნი: *„ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, ვეფხისტყაოსნის რედაქციები“*. აქ, სქოლიოში, ჩემ მიმართ მკაცრი განაჩენია გამოტანილი. წერია: „ბ. დარჩიას მოსაზრება ვერც ერთ პუნქტში კრიტიკას ვერ უძლებს და სრულიად უგულვებელეოფს ვეფხისტყაოსნის ტექსტის განვითარების რეალურ ვითარებას“ (გვ. 307).

მაშინ ამ ბრალდებისაგან ალექსანდრე ბარამიძემ დამიცვა. ამ წიგნის განხილვისას ბატონი ალექსანდრე აღნიშნავდა (შემდეგ დაბეჭდა კიდეც): „ბ. დარჩიას მოსაზრება ანგარიშგასაწევია. სწორედ ისე უნდა დამუშავდეს ვეფხისტყაოსნის ძირითადი ტექსტის მოკლე და ვრცელი რედაქციების შემცველი ხელნაწერების ურთიერთმიმართება, როგორც ეს დარჩიამ გაარკვია «ხვარაზმელთა ამბის» მაგალითზე. ჩემი აზრით, ს. ცაიშვილი ცოტა მკაცრად აფასებს ბ. დარჩიას მუშაობის შედეგს“ (ნარკვევები..., VII, 1978, გვ. 120).

იმ წლებში ბატონი სარგისი სხვა მხრივაც არ მწყალობდა.

1969 წელს მზადდებოდა ალექსანდრე ბარამიძის დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, რომელიც, 1972 წლის ნაცვლად, 1974 წელს გამოვიდა. წარვადგინე წერილი *„ვეფხისტყაოსნის კეზელიანთ ხელნაწერის ტიპის ნუსხები“*. უარი მითხრა, დიდიაო (შემდეგ იგი დაიბეჭდა ენისა და ლიტერატურის სერიის „მაცნეში“, 1978, № 1, გვ. 39–55). მივუტანე მეორე წერილი – *„ხატაელთა ამბის ხელნაწერის ფრაგმენტი“*. ამაზედაც უარით გამომისტუმრა, პატარააო (გამოვაქვეყნე 1980 წელს იმავე ჟურნალში, № 4, გვ. 47–53).

1975 წლის დამდეგს რუსთველოლოგიის განყოფილებას უმცროსიდან უფროს მეცნიერ-თანამშრომლად გადაყვანისათვის ერთი ადგილი მიეცა. განყოფილებაში დისერტაცია დაცულთაგან სამი ვიყავით, მე, რიმა ფირცხალაიშვილი და ლია ანდღულაძე. მაშინ წესად იყო მიღებული, რომ ამ თანამდებობაზე ასარჩევად ნაშრომების რაოდენობასთან ერთად უპირატესობა ეძლეოდა იმას,

ვისაც დისერტაცია ადრე ჰქონდა დაცული. მე ორივე მხრივ წინ ვიდექი. ამ საკითხის განყოფილების სხდომაზე განხილვისას ბატონმა სარგისმა განაცხადა: ასაკის გამო ლია ანდღულაძეს უნდა მიეცეს უპირატესობაო. ლიამ მაშინვე განაცხადა, *ეს ადგილი ახლა მე არ მეკუთვნისო*, და, სანამ იტყოდა, თუ ვის ეკუთვნოდა, ბატონმა სარგისმა სიტყვა მყისიერად ჩამოართვა: მაშინ ბორისი იყოსო.

ლია ანდღულაძე გულითადობითა და სამართლიანობით ყოველთვის გამოირჩეოდა და, საგამომცემლო ლიმიტის განხილვისაგან განსხვავებით, ასე გადამარჩინა ბატონ სარგისთან მორიგ კონფლიქტსა და გულისხეთქვას.

დადგა 1972 წელი და რუსთველოლოგიის განყოფილებას მორიგი საგამომცემლო ლიმიტი ერგო. მე უკვე კარგად მომზადებული ვიყავი, ჩემი ნაშრომი *„ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით“* ოთხ ცალად გადაბეჭდილი მქონდა. ოთხივე ბატონ სარგისს კაბინეტში შევუტანე და, მიუხედავად იმისა, რომ თბილად მითხრა, დაბრძანდიო, მე მუქარით მივმართე: თუ ახლაც ხელს შემიშლით, უჩივლელად არც ერთ ინსტანციას არ დავტოვებ–მეთქი. მან მშვიდად მომიგო: გამოვცეთო. მერე, დირექციაში რომ გავიგე, რედაქტორად თავისი თავი დაეწერა, ხმაურით გადავხაზე და მის ადგილას ალექსანდრე ბარამიძე ჩავწერე.

ბატონი სარგისი ინსტიტუტის დირექტორ ბატონ ალექსანდრესთან აღშფოთებული შესულა და უთქვამს: ამას მამია დუდუჩავას მისი რომელიმე თანამშრომელი თუ გაუბედავსო! ბატონ ალექსანდრეს დაუმშვიდებია: ორივე ვიყოთო და თავისას მისი სახელი და გვარიც მიუმატებია. მე უკან არ დავიხიე, ეს კაცი ამ წიგნის მტერია–მეთქი და ამოვშალე. წიგნი გამოიცა 1975 წელს და მის რედაქტორად მხოლოდ ალექსანდრე ბარამიძეა დასახელებული.

აქვე პასუხი გავეცი ზემორე აღნიშნულ ჩემს კრიტიკას. რამდენიმე მწვავე შენიშვნის შემდეგ ვწერ: „...ჩვენს ამ ნარკვევებს «ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიაში» გვერდი აქვს ავლილი. ისინი არსად ნახსენებიც არ არის“. მხოლოდ ესაა,

„1987 წლის № 2 «მაცნეზე» მითითებითა და იქიდან ერთი ფრაზის მოტანით, ყოველგვარი განხილვის გარეშე უმკაცრესი მსჯავრი აქვს დადებული მთელ ჩვენს ნარკვევებს ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა რედაქციების შესახებ. ამ შენიშვნაში, სამწუხაროდ, სწორად არ არის წარმოდგენილი ჩვენი მოსაზრებანი და მოგვეწერება ისეთი შეხედულება, რომელთაგან ჩვენ შორსა ვართ“ (გვ. 22).

აი, ამ დროს, როცა მე და ბატონი სარგისი ერთმანეთთან ასე დანასისხლად ვიყავით, გავიგე ისეთი რამ, რამაც განმაიარაღა, პირადულზე ამამაღლა და სარგის ცაიშვილის ვაჟკაცობაში დამარწმუნა.

1968 წელს დავბეჭდე წერილი „სიცილი ვეფხისტყაოსანში“ (კრებული: ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები, IV, თბ., 1968, გვ. 199–212), სადაც მიწერია:

„«ვეფხისტყაოსნის» ჰერსონაჟების სიცილი დარბაისელი, ინტელექტური ადამიანის სიცილია. ჰოემაში არსად არ გვხვდება არაფრის მთქმელი, უსაგნო ღრეჯა ან აბუჩად ამგდები, ცინიკური ხითხითი. ისინი ჰოემაში არც სახელდებით იხსენიება. არ იხსენიება აგრეთვე სიცილის ისეთი ვულგარული ფორმები, როგორიცაა ფრუტუნი, რახრახი, ღინცილი და სხვა. რუსთველისათვის შინაარსითა და ფორმითაც უცხოა *ჰომერისებური ხარხარი*. «ვეფხისტყაოსანში» არის მხოლოდ სიცილი და ღიმილი ან ორივე ერთად. გამონაკლისია მხოლოდ ერთი, 1508,1–ე, სტროფი, სადაც ნახსენებია «თქართქარი»“.

ამაზე ვიღაცას (დღესაც არ ვიცი, ვის) საშინელი ფელეტონი (და საჩივარიც დაუწერია) და მისი დაბეჭდვა ბევრგან უცდია. მიუტანია გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“. მაშინ მისი რედაქტორი არმაზ სანებლიძე ბრძანდებოდა. ეს მან მოგვიანებით მითხრა: *არ დავუბეჭდე. იცი შენ ის კაციო*, მაგრამ გვარი და სახელი ვერ გაიხსენა.

ერთ დღეს, როცა გიორგი ციციშვილი ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი იყო, მეკითხება: *„ვეფხისტყაოსნის“ სიცილზე რა დაბეჭდეო?* ამონაბეჭდი მივართვი. მერე, კიდევ უფრო

გვიან, დალი ინწკირველმა მითხრა: შენი სტატიის გამო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ნიკო მუსხელიშვილის სახელზე საჩივარი იყო შემოსულიო (დალი მაშინ ნ. მუსხელიშვილის მდივნად მუშაობდა).

უცნობ ავტორს ეს წერილი მიუტანია ჟურნალ „ნიანგშიც“. რედაქტორს, ნოდარ დუმბაძეს, რომელსაც სარგის ცაიშვილთან ძალიან ახლო მეგობრობა ჰქონდა, მისთვის უკითხავს, თუ *ვინ ვიყავი მე?* როგორც იქაურმა თანამშრომელმა მიამბო, ბატონ სარგისს კარგად დავუხასიათებივარ და ურჩევია, წერილი არ დაებეჭდა. „ნიანგში“ მოხვედრა სიკვდილს უდრიდა!

ამან ჩემზე დიდად იმოქმედა და ადამიანურ სისუსტეებზე სხვა თვალით შემახედა.

ერთხელაც, როდესაც ივანე ლოლაშვილი დავით გარეჯის მონასტრის ტერიტორიაზე ტრაგიკულად დაიღუპა და მის მიმართ აკაკი გაწერელიას მძაფრ წერილებზე ვსაუბრობდით, ბატონმა სარგისმა ეს ასე ახსნა: ცხოვრება ბრძოლაა, ერთმანეთს გამეტებით ვემეტოქეებით, მაგრამ ამან გონება ისე არ უნდა დაგვიბრმაოს, ერთმანეთის ღირსება ვერ დავინახოთო. ახლა არც ის მავიწყდება, ბატონი სარგისი ბატონ იოსებ მეგრელიძეს რა ირონიით კენწლავდა, მაგრამ, როგორც ინსტიტუტის დირექტორმა, მისი დაბადების მე-80 წლისთავი ლიტერატურის ინსტიტუტში დიდი სითბოთი აღნიშნა, – გარდა საზეიმო სხდომის მოწყობისა, შესანიშნავი სუფრა გაუშალა.

რაც „ნიანგის“ ამბავი გავიგე, ბატონ სარგისთან ბრძოლას თავი დავანებე და ყოველნაირად ვცდილობდი, არ მეწყენინებინა. ურთიერთობა თანდათანობით დაგვითბა და ჯანსაღ თანამშრომლობაში გადაიზარდა. ჩემი წიგნების „ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობისა“ (1986) და „ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყაროს“ (1988) რედაქტორობა მას ალექსანდრე ბარამიძესთან ერთად მე თვითონ შევთავაზე.

ბატონ სარგისს, ამ ფიზიკურად და სულიერად ძლიერ პიროვნებას, ბოლო წლებში სხვადასხვა ავადმყოფობა მოეძალა და დროგამოშვებით სხვადასხვა საავადმყოფოში წოლა მოუხდა.

ხშირად ვნახულობდი. სამწუხაროდ, 64 წლისაც არ იყო, ამ ქვეყნიდან რომ წავიდა.

რაც დრო გადის, თანდათანობით ვრწმუნდები, ჩვენმა სამწერლობო და სამეცნიერო საზოგადოებამ რა ძალა დაკარგა. თამამად უნდა განვაცხადო: ლიტერატურის ინსტიტუტს, რუსთველოლოგიის განყოფილებასა და „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიასაც მის შემდეგ ღირსეული ხელმძღვანელი არ ღირსებია!

12. მერი გუგუშვილი[1]

(გამოსათხოვარი)

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა დიდი დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარი, მეცნიერ-პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერი გუგუშვილი.

მერი ილიას ასული გუგუშვილი დაიბადა 1929 წლის 14 აგვისტოს აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში. 1947 წელს თბილისში ვერცხლის მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა, 1952 წელს წარჩინებით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1952–1955 წლებში შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტია ძველი ქართული ლიტერატურის განხრით. მეცნიერ-ხელმძღვანელმა ალექსანდრე ბარამიძემ ქალბატონი მერი, ისე როგორც სარგის ცაიშვილი, საგანგებოდ რუსთველოლოგიაში სამუშაოდ მოამზადა და 1957 წლიდან,

---

[1] „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის“ ხელმოწერითა და მცირე შემოკლებით გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (11–17 ივნისი, 2004, გვ. 16). გადაიბეჭდა კრებულში „მერი გუგუშვილი“ (თბ., 2005, გვ. 5–8).

როცა ინსტიტუტში რუსთველოლოგიის განყოფილება გაიხსნა, ის ამ განყოფილებაში მიიღეს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა.

მერი გუგუშვილი ფართო მასშტაბის ხელხვავიანი მკვლევარი გახლდათ, რომელსაც მუდამ შეუსწავლელი და სადავო საკითხები იზიდავდა. როგორც ჩინებული ლიტერატურათმცოდნე, იკვლევდა ძველი ქართული ლიტერატურის, უფრო მეტად რუსთველოლოგიურ, პრობლემებს, რომელთა ვიწრო, სპეციფიკურ მხარეებსაც კი გლობალურად, მთელი ქართული მწერლობის თვალსაწიერით განიხილავდა. ავტორია ასზე მეტი მეცნიერული ნაშრომისა, რომელთაგან ათამდე ცალკე წიგნადაა გამოცემული.

სამეცნიერო მუშაობა რუსთველოლოგიის ერთ-ერთი პრობლემის – „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის – შესწავლით დაიწყო და მის კვლევაში ახალი ეტაპი შექმნა. ამისთვის მან, პირველმა, მთელი სისრულით დაამუშავა პოემის ყველა საჭირო ხელნაწერი, წარმოაჩინა მათი მონაცემები, კრიტიკულად განიხილა მასზე არსებული, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი, მოსაზრებანი, წამოაყენა თავისი თვალსაზრისი თხზულების ამ მონაკვეთის სტროფული შედგენილობისა და თანამიმდევრობის თაობაზე და, რაც მთავარია, ტექსტოლოგიური და ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზის მეოხებით დაასაბუთა პროლოგის ავთენტიკურობა, რომ მასში გამოთქმული თეორიული შეხედულებანი პოემაში მხატვრულად არის ხორცშესხმული.

ამ გამოკვლევისათვის, რომელიც რამდენადმე შემცირებული სახით 1958 წელს სახელწოდებით *„ვეფხისტყაოსნის პროლოგის საკითხისათვის“* წიგნად გამოქვეყნდა, იმავე წელს ავტორს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა.

მერი გუგუშვილმა დიდი შრომა გასწია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტების გამოსაცემად მომზადებაში. ის ოთხ ნაკვეთად გამოვიდა. ამ ნაშრომმა, რომლის მესამე წიგნი საკუთრივ მან მოამზადა (1962), პოემის ტექსტის

კვლევა-ძიებას მკვიდრი მეცნიერული ნიადაგი შეუქმნა და გადამწყვეტი როლი შეასრულა თხზულების შემდგომი, მათ შორის საიუბილეო (1966 წ.), გამოცემების განხორციელებაში. 2002 წელს უკვე სარეცელზე მიჯაჭვულმა გამოსცა წიგნი: *„მარგალიტი წყობილი, ვეფხისტყაოსანი, გარდათქმული პროზად ყმაწვილთათვის მერი გუგუშვილის მიერ“.*

ქალბატონმა მერიმ ქალბატონ ლალი ძოწენიძესთან ერთად დაამუშავა პეტერბურგში დაცული ნიკო მარის არქივი და სათანადო მეცნიერული აპარატის დართვით მზის სინათლეზე გამოიტანა ამ უდიდესი მეცნიერის ქართული ლიტერატურის ისტორიისა და რუსთველოლოგიის საკითხებზე დაწერილი გამოუქვეყნებელი ნაშრომები.

1965 წელს წიგნად გამოსცა *„ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები“*, რომელიც შეიცავს ნ. მარის ორ დაუმთავრებელ ნაშრომს. ერთია *„ვეფხისტყაოსანი, ნამძვილი ტექსტი“*, სადაც განხილულია ამ უდიდესი მეცნიერის მიერ რუსთველისეულად მიჩნეული სტროფები. მეორე: მის მიერვე ყალბად ჩათვლილი სტროფები – Spuria.

კრებულებში დაბეჭდა ნ. მარის ასევე საარქივო და ამდენად მეცნიერთათვის უცნობი ნაშრომები: *„ქართული ლიტერატურის ისტორია“* და ნარკვევები „როსტომიანსა“ და „რუსუდანიანზე“ („ლიტერატურული ძიებანი“, 2002, № XXIII და XXIV).

მერი გუგუშვილმა ვრცელი ნაშრომი უძღვნა XVII-XVIII საუკუნეთა ქართული მწერლობის დამოკიდებულებას შოთა რუსთველისა და მისი პოემისადმი. გამოავლინა ამ მწერლობაზე რუსთველის გავლენის ძირითადი ტენდენციები და ის იდეური პოლემიკური მიმართება, რასაც მისი ზოგიერთი წარმომადგენელი ამ უდიდესი წანამორბედისადმი ამჟღავნებდა. ორივე მხარის თხზულებათა ხელნაწერების ტექსტობრივი ანალიზის საფუძველზე ავტორმა არაერთი შესწორება შეიტანა როგორც „ვეფხისტყაოსანში“, ისე აღნიშნული ხანის მწერალთა ნაწარმოებებში. ამ ნაშრომის ძირითადი ნაწილი სათაურით *„პოლემიკა რუსთველის გარშემო“* წიგნად

გამოვიდა (1966), ხოლო სახელდებით „*რუსთაველი და აღორძინების ხანის ქართული მწერლობა*“ იყო ავტორის სადოქტორო დისერტაცია, რომლის საჯარო დაცვა 1971 წელს შედგა.

მერი გუგუშვილმა მონოგრაფიულად შეისწავლა თეიმურაზ პირველის ცხოვრება და შემოქმედება და ორ წიგნად გამოსცა: 1. „*თეიმურაზ პირველის ცხოვრების გზა*“ (1979), 2. „*თეიმურაზ პირველი, შემოქმედებითი პორტრეტი*“ (1981). პირველ მათგანში გაანალიზებულია თეიმურაზის დროინდელი ეპოქა, – XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XVII-ის პოლიტიკური ვითარება. თავმოყრილია და თანმიმდევრულად მოწოდებული ამ მეფე-პოეტის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტები. ცალკეული საკითხები დეტალურადაა დამუშავებული, გამოთქმული და სათანადოდ დასაბუთებულია არაერთი საყურადღებო მოსაზრება, გარკვეულია ზოგი სადავო საკითხი, დადგენილია თეიმურაზის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ისტორიული თარიღები.

მეორე წიგნში ნაჩვენებია, რომ თეიმურაზ პირველის შემოქმედება ახალი ეტაპია ძველ ქართულ მწერლობაში, მდიდარია ახალი თემებითა და ახალი ჟანრებით; რომ მან საფუძველი ჩაუყარა საისტორიო ეპოსს. ამ თვალსაზრისით მკვლევარი განიხილავს „*ქეთევან დედოფლის წამებასა*“ და ზოგ ლირიკულ ნაწარმოებს. თეიმურაზ პირველის სპარსულიდან მომდინარე პოემების („ლეილმაჯნუნიანი“, „იოსებ ზილიხანიანი“, „ვარდბულბულიანი“, „შამიფარვანიანი“) შესახებ უმნიშვნელოვანეს დასკვნას გვთავაზობს: თეიმურაზი მხოლოდ სიუჟეტურ მოტივებს იღებდა და ქართული სულით გაჟღენთილ ორიგინალურ თხზულებებს ქმნიდა.

ქალბატონმა მერიმ სასტამბოდ გამზადებული დატოვა თეიმურაზ პირველის თხზულებათა მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტები.

წიგნში „*რუსთველი გალაკტიონის პოეზიაში*“ (1975) ქალბატონმა მერიმ ნათელყო, თუ როგორ ასაზრდოებდა რუსთველი და მისი პოემა გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ შთაგო-

ნებას; შეუსწავლია გალაკტიონის მთელი მემკვიდრეობა, არ დაკმაყოფილებულა მისი თხზულებების ძირითადი ტექ-ტსებით და ფართოდ უსარგებლია ლექსების განსხვავებული რედაქციებითა და ვარიანტებით. სხვა ნაშრომში „*რამდენიმე შენიშვნა გალაკტიონის აკადემიური გამოცემის გამო*“ წარმოგვიდგენს ზოგიერთ ტექსტოლოგიურ დაკვირვებას, რაც გასათვალისწინებელია XX საუკუნის ამ გენიოსის პოეზიის პუბლიკაციისას („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1974).

ცნობილ და საარქივო მასალებზე დაყრდნობით ქალბატონი მერი აქვეყნებს მონოგრაფიას „*ალექსანდრე სარაჯიშვილი — რუსთველოლოგი*“ (1987), სადაც გადმოგვცემს მის ბიოგრაფიას, მუშაობის მეთოდს და გვიჩვენებს, რა არის ამ ავტორის ნაღვაწში მნიშვნელოვანი, სასარგებლო და რა — მიუღებელი.

ქალბატონი მერი იკვლევს აგრეთვე XIX საუკუნის სხვა მოღვაწეთა რუსთველოლოგიურ ნააზრევს. შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ დავით კარიჭაშვილისეული გამოცემები (1903, 1920), განსაზღვრა მათი ადგილი პოემის პუბლიკაციათა შორის.

მერი გუგუშვილი იკვლევდა და საყურადღებო ნაშრომები უძღვნა ნოდარ ციციშვილის „ბარამგურიანს“, ონანა მდივნის „ბარამგულიჯანიანს“, დიმიტრი ბაგრატიონის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ვახტანგ მეექვსეს და ისინი შეიტანა 1990 წელს გამოცემულ წიგნში „*წერილები ლიტერატურაზე*“, რომელიც მოიცავს აგრეთვე ნარკვევებს: ილია ჭავჭავაძე და „ვეფხისტყაოსანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და მე-19 საუკუნის ქართველი მოღვაწენი, თეიმურაზ პირველისა და არჩილის შემოქმედებითი ურთიერთობა, ძველი ქართველი მოღვაწე ქალები; აქვეა ნარკვევები მეცნიერებზე — ნიკო მარსა და ექვთიმე თყაიშვილზე, კორნელი კეკელიძესა და ალექსანდრე ბარამიძეზე, შალვა რადიანსა და თინა ჯიბლაძეზე; თანამედროვე მწერლებზე — ოთარ ჭილაძესა და მიხეილ ქვლივიძეზე, ოთარ მამფორიასა და რეზო ამაშუკელზე და ა. შ.

ცალკე უნდა აღინიშნოს მერი გუგუშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა. სხვადასხვა დროს *ქართული ლიტერატურისა და რუსთველოლოგიის* კურსს კითხულობდა ყოფილ ალექსანდრე პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, აფხაზეთის უნივერსიტეტსა და ტექნიკურ უნივერსიტეტში. ხელმძღვანელობდა ასპირანტებსა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებს... გარკვეული წვლილი მიუძღვის თავისი დიშვილის, ცნობილი მწერლის, აკა მორჩილაძის (გიორგი ახვლედიანის), ლიტერატურული ინტერესის გაღვივებაში. გახლდათ მისი ნაწარმოებების პირველი პროფესიული მკითხველი და კრიტიკოსი.

მიუხედავად ავადმყოფობისა, რომელმაც თერთმეტი წლის განმავლობაში ფიზიკურად მოსწყვიტა გარე სამყაროს, ქალბატონი მერი კვლავ ძველი შემართებით განაგრძობდა მეცნიერულ კვლევა-ძიებას, ასპირანტთა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა ხელმძღვანელობას, ეხმაურებოდა ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს ...

მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი ღვაწლისათვის 2001 წელს მერი გუგუშვილი *ღირსების ორდენით* დააჯილდოვეს.

წავიდა ჩვენგან ღირსეული მანდილოსანი, ვალმოხდილი, ამაგდარი მეცნიერი, ჭირსა და ლხინში მუდამ გვერდში მდგომი მეგობარი, წავიდა და დატოვა ნათელი, დაუვიწყარი კვალი...

ქალბატონი მერი საბურთალოს სასაფლაოზე განისვენებს.

მინაწერი: ეს ნეკროლოგი ამ წიგნში რომ შემოვიტანე, უსიამო გრძნობა დამეუფლა. აქ აღარ ჩანდა ის მერი, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა სიცოცხლის სიყვარულითა და სიხალისით; ჰყავდა უამრავი მეგობარი, გვხიბლავდა ენამოსწრებულობითა და იუმორით. ცირა კალაძეს *„მერი გუგუშვილის*

ნაკვესების“ მთელი რეპერტუარი ჰქონდა. აქ გავიხსენებ რამდენიმე მათგანს:

როცა მერიმ ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობა დაიწყო, დირექტორი დავით გამეზარდაშვილი გახლდათ და ხელფასი 40 მანეთი ჰქონდა. ერთხელ, ახალგაზრდები დერეფანში რომ იდგნენ და მერის ხუმრობაზე იცინოდნენ, დავით გამეზარდაშვილმა მერის ხელი მოხვია და უმალვე უთხრა: *რა არის ეს, სულ ძვლები ყოფილხარო!*

— ახლა, ბატონო დავით, 40 მანეთად ხორციც გნებავთ?! — მყისიერად მიუგო მერიმ, რასაც ისევ სიცილ-ხარხარი მოჰყვა.

¤

სუფრაზე მერი თამადას იუმორისტულ შენიშვნებს აძლევდა. თამადამ, რომელიც ამ შენიშვნებზე გულიანად იცინოდა, მერის მიმართა: *ა ბატონო, მაშინ ერთი სადღეგრძელო თქვენ გვითხარითო.*

მერიმ ღიმილით იუარა: *მე რეპლიკებში ვარ ძლიერიო.*

¤

მერის ჰკითხეს: *ვაშლი თუ გიყვარსო?* უპასუხა: *სიყვარულს ვაშლისთვის ვერ დავხარჯავო!*

¤

მერი და ლია ანდღულაძე სამეცნიერო მივლინებით მოსკოვში მატარებლით მიემგზავრებიან. ვაგონში მერის მხარეს თავთან სიფრიფანა ტიხრით გამოყოფილი გვერდითი კუპედან მამაკაცის ხვრინვა და ფშვინვა მთელი ღამის განმავლობაში ისე ახლოს და ძლიერად ისმოდა, მეორე დილით გაუთხოვარმა მერიმ იხუმრა: *მამაკაცთან წოლა გამოვცადეო.*

13. ნოდარ ალანიას გახსენება[1]

ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი, მეცნიერ-პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ჩინებული მოქალაქე და კოლორიტული პიროვნება ნოდარ ალანია დაიბადა 1924 წლის 28 ნოემბერს დაბა ხონში. ბავშვობა და მოსწავლეობის წლები გაატარა ბათუმში. მამამისი – ვასილ მიხეილის ძე ალანია (1898–1932) – მუშაობდა სახელმწიფო გამომცემლობაში, დედა – თამარ ფილიპეს ასული სანოძე (1888–1980) – ფარმაცევტი იყო.

რვა წლის ნოდარს მამა გარდაეცვალა. მასთან ერთად ობლად დარჩა მისი თორმეტი წლის ძმა ილია, შინაურობაში ილო (1920–1994), შემდეგში – იურისტი.

1942 წელს ნოდარმა ბათუმში დაამთავრა საშუალო სკოლა. ერთხანს მუშაობდა ბათუმის რკინიგზის კვანძის ბიბლიოთეკის გამგედ. 1945 წელს შევიდა და 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1950–1953 წლებში უახლესი ქართული ლიტერატურის განხრით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტია, 1955 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე — ამავე ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების თანამშრომელი (1957 წლიდან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი). 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე *„ქართული საბჭოთა პოემა“*. 1954–1956 წლებში იყო გორის ყოფილი ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი. სხვადასხვა დროს მიწვევით ახალი ქართული ლიტერატურის კურსს კითხულობდა მაშინდელ ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისისა და ასევე მაშინდელ ა. პუშკინის სახელობის თბილისის სა-

---

[1] გამოქვეყნდა: ჟურ. „ქართული მწერლობა“, ნოემბერი-დეკემბერი, 2009, № 6, გვ. 32–47. ადრე შემოკლებითა და დამახინჯებულად დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოში“ (11 თებერვალი, 2005, № 5, გვ.15).

ხელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში. გარდაიცვალა 1976 წლის 20 ნოემბერს. განისვენებს საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

¤

ნოდარს 1974 წლის გაზაფხულზე შედგენილ ბეჭდურ ნაშრომთა ბიბლიოგრაფიაში, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში დაცულ მის „პირად საქმეშია“ ჩადებული, 42 ნაშრომი აქვს მითითებული. ოჯახში დაცულ ბლოკნოტში სათაურით „ჩემი-ჩემთვის-ჩემზე“ ჩაწიკწიკებულად ჩაუწერია როგორც 1975 წლის ზაფხულამდე გამოქვეყნებული თავისი ნაწერების, ისე მასზე არსებულ გამოხმაურებათა სიები. პირველი შეიცავს 213 ერთეულს, მეორე — 67-ს. ამის მერე და გარდაცვალების შემდეგაც ნოდარისა და ნოდარზე სხვაც ბევრი გამოქვეყნდა. ამ მონაცემების მიხედვით ის ქართული ლიტერატურისა და კულტურის სარბიელზე ყოველდღიურად მოფუსფუსე ხელხვავიან მუშაკად წარმოგვიდგება.

ნოდარს 1940 წელს, როცა ჯერ კიდევ 16 წლისაც არ იყო, გაზეთ *„ნორჩ ლენინელში“* დაუბეჭდავს წერილი *„ნორჩი მეზღვაურის წინაშე“*. დანარჩენი ადრინდელი წერილები ეხმაურება საიუბილეო თარიღებს, ახალგამოსულ წიგნებს, სპექტაკლებს, საზოგადოების საჭირბოროტო საქმეებს და ა. შ.

ნოდარის კვლევის საგანი იყო ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა, თუმცა მათთან დაკავშირებით სტატიები აქვს გამოქვეყნებული ძველ ქართულ მწერლობაზეც: „სულხან-საბა ორბელიანი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“ (1959), „საიათნოვა ქართულ პოეზიაში“ (1965), „რუსთველი XIX საუკუნის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“ (1966), „თეიმურაზ ბაგრატიონის რვეულიდან“ (1960) და სხვა.

ახალი და უახლესი ქართული მწერლობიდან ცალკეული წერილები აქვს დაბეჭდილი გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ს. დოდაშვილის, გ. ერისთავის, რ. ერისთავის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ბაჩანას, თედო რაზიკაშვილის, ალ. ყაზბეგის, ა. ფურცელაძის, შ. მღვიმელის, დ. ყიფიანის, დ. მაჩაბლის, დ. კლდიაშვილის, ვ. ბარნოვის, გალაკტიონის, გ. ლეონიძის, კ. გამსახურდიას, შ.

დადიანის, ტ. ტაბიძის, გ. ქიქოძის, ი. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, ო. ჩხეიძის, ლ. ასათიანის, ანა კალანდაძის, შ. ნიშნიანიძის, მ. ლებანიძის, მკვლევარების — დ. ჩუბინაშვილის, მ. ზანდუკელის, გ. აბზიანიძის, თინათინ ჯიბლაძისა და სხვათა შესახებ.

ნაწილი ნაშრომებისა ნოდარს წიგნებად აქვს გამოქვეყნებული. ასეთია ათამდე წიგნი. 1959 წელს გამოცემულ წიგნში *„ქართული საბჭოთა პოემა“*, რომელიც მისი საკანდიდატო დისერტაცია იყო, ის ჯერ მიმოიხილავს პოემის ისტორიას, დაწყებული ანტიკური ხანიდან, მერე — ძველი და ახალი ქართული პოემის განვითარების გზებს და შემდეგ გადადის დასმულ საკითხზე. ეპოქასთან მიმართებით მეტ-ნაკლები სისრულით გაანალიზებული აქვს ოციანი, ოცდაათიანი, მეორე მსოფლიო ომისა და მომდევნო ხანის მნიშნელოვანი პოემები: კ. ჭიჭინაძის „მოგზაურობა ანთებით“, „რიონის აპოლოგია“, „შუა აზია“, „მარინა რასკოვა“; კ. ნადირაძის „წითელი მოედანი“, „1905 წელი“, „შოტლანდიელი ცეცხლფარეში“; გ. ტაბიძის „ჯონ რიდი“, „ეპოქა“, „პაციფიზმი“; კ. ლორთქიფანიძის „პარიზის კომუნა“, „ერთი მათგანი“, „მუშა გამომგონებელი“; კ. კალაძის „ძახილი აღმოსავლეთში“, „უჩარდიონი“; რ. გვეტაძის „მერკვილაძის დები“, „ახალი სახლი“, „ლელა“; ალ. მირცხულავას (მაშაშვილის) „მე და ბარათაშვილი“, „აი, ადამიანი“, „ენგური“; გრ. ცეცხლაძის „ოთხი მაუზერი“, „პოემა დამკვრელზე“; გ. ლეონიძის „ფორთოხალა“, „სტალინი, ბავშვობა და ყრმობა“, „ბერშოულა“; გრ. აბაშიძის „შავი ქალაქის გაზაფხული“, „გიორგი მეექვსე“, „ძლევის ქედი“, „ზარზმის ზმანება“; ი. აბაშიძის „წულუკიძის სიკვდილი“; ს. ჩიქოვანის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“; ი. ნონეშვილის „ამბავი ერთი ქალიშვილისა“; ხ. ბერულავას „რუსული გული“ და სხვა. გვიჩვენებს ამ თხზულებათა ჟანრულ და მხატვრულ-იდეურ თავისებურებებს.

1964 წელს გამოსულ წიგნში *„XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოემა“* დახასიათებული აქვს ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“, გ. ერისთავის „ოსური მოთხრობა“ და დ. მაჩაბლის გამოუქვეყნებელი პოემა „მთიული“.

მომდევნო, 1965 წელს, ბეჭდავს ამ წიგნის გაგრძელებას – *„ქართული პოემა, ნაკვეთი II“*, სადაც აანალიზებს ილიას *„მეფე დიმიტრი თავდადებულსა“* და *„განდეგილს“* და აკაკის *„თორნიკე ერისთავსა“* და *„გამზრდელს“*.

1966 წელს გამოსცა წიგნი *„ნათელი სიყვარულისა“*, სადაც გვიჩვენებს იმ უღრმეს სიყვარულსა და აღტაცებას, რომელსაც, საერთოდ და კერძოდ, საიუბილეოდ ა. წერეთლის მიმართ გამოხატავდნენ როგორც საქართველოში (თბილისში, გორში, ქუთაისში, ხონში, ფოთში, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმისა და კახეთის სოფლებსა და დაბებში), ისე მის გარეთ (პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ბაქოში...).

1968 წელს გამოცემულ წიგნში *„სოლომონ რაზმაძე“* საარქივო მასალებზე დაყრდნობით მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს ამ პოეტისა და მთარგმნელის ცხოვრება და შემოქმედება. თბილისის არქივებში მოპოვებული მასალების შემდეგ ნოდარი საგანგებოდ გაემგზავრა პენზაში, სადაც 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის სოლომონ რაზმაძე გადასახლებული იყო, სადაც იგი აღესრულა და დასაფლავებულია. ამ მივლინების დროს ჩავიდა ვიატკაში, გაეცნო საარქივო მასალებს სოლომონ დოდაშვილზე და მისი საფლავიც მოინახულა. ორივე ქართველ მოღვაწეს სანთლები დაუნთო და მღვდელს წირვა აღავლენინა.

ამავე წელს ბეჭდავს აგრეთვე უაღრესად საჭირო საცნობარო-სამაგიდო წიგნს *„ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიბლიოგრაფია“*, რომელიც 1852–1967 წლებს მოიცავს.

ნოდარი თანაავტორია ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემული *„ქართული ლიტერატურის ისტორიის“* ექვსტომეულის მესამე და მეოთხე ტომებისა (1969, 1974 წწ.). მას ეკუთვნის სტატიები: „სოლომონ რაზმაძე“, „დავით მაჩაბელი“, „ვახტანგ ორბელიანი“, „კირილე ლორთქიფანიძე“, „სერგეი მესხი“, „ეკატერინე გაბაშვილი“ „თედო რაზიკაშვილი“. თანაავტორია აგრეთვე ამავე ინსტიტუტის მიერ მომზადებული *„ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონისა“* (1966), რომელიც შევსებული სახით მეორედ 1972 წელს გამოვიდა

სახელწოდებით „*ლიტერატურის თეორიის მცირე ლექსიკონი*“ და განკუთვნილი იყო საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეებისა და ლიტერატურის მოყვარულთათვის.

ნოდარის წერილები და რეცენზიები ეხება ქართული ჟურნალისტიკის, პედაგოგიკის, თეატრალური ხელოვნებისა და სხვა საკითხებს: „ჟურნალ «ცისკრის» ასი წელი“ (1952), „პირველი ქართული გაზეთი გორში“ (1963), „პოეზია გაზეთ «კვალში»“, „ი. ჭავჭაძის «განდეგილის» სწავლებისათვის“ (1956), „ი. ჭავჭავაძისა და ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებითი ურთიერთობის სწავლებისათვის“ (1962), „თბილისის სომხური თეატრის წარსულიდან“ (1958), „ქართული სპექტაკლები პეტერბურგსა და მოსკოვში“ (1958), „«ქრისტინე» სომხურ სცენაზე“ (1959), „საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის“ (1961), „მოთხრობა განაწამებ სპორტსმენებზე“ (1961) და ა. შ.

ნოდარი ავტორია სხვადასხვა საცნობარო და პოპულარული ხასიათის ნაშრომებისა. შეადგინა და გამოსცა: ლ. მახარაძესა და ჯ. დადიანთან ერთად ალბომი „ილია ჭავჭავაძე, პორტრეტები და ილუსტრაციები“ (1959), ბუკლეტი „ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში“ (1962), ალბომი „ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და შემოქმედება, საგამოფენო მასალები სკოლებისა და საბავშვო ბიბლიოთეკებისათვის“ (1987), წინასიტყვაობებით ზურაბ ანტონოვის თხზულება „მზის დაბნელება საქართველოში“ (1955) და ვარლამ მალაქიაშვილის (ხუროძის) თხზულებანი (1970), წინასიტყვაობით, ლექსიკონითა და შენიშვნებით რაფიელ ერისთავის თხზულებათა კრებული (1974), „ილია ჭავჭავაძის რჩეული“ ორ წიგნად (1974,1975). „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ სერიით ივანე ლოლაშვილთან ერთად შენიშვნებითა და კომენტარებით ქართველ რომანტიკოსთა თხზულებების კრებული (1978) და სხვა.

ნოდარის ყველა ნაშრომი, რომელთაგან ნაწილი რუსულ ენაზეა გამოქვეყნებული, შესრულებულია მეცნიერული სიღრმითა და სიფართოვით, დიდი გემოვნებით, უაღრესად ნათელი, დახვეწილი ენითა და სტილით. როცა ნოდარს ვინმეს ნაშრომი

ენობრივად არ მოეწონებოდა, თქმა იცოდა, დაწოლილი უნდა წაიკითხო... თორემ წაიქცევიო.

ნოდარი შესანიშნავი ორატორი გახლდათ. ხშირად გამოდიოდა ლექციებითა და მოხსენებებით წარმოება-დაწესებულებებში, რადიოთი და ტელევიზიით...

ჩვენი ღვაწლმოსილი წინაპრებისა ყველაფერი აინტერესებდა. სანკტ-პეტერბურგში ვახუშტი ბაგრატიონის რაღაც (არ მახსოვს, რა) მემორიალს ეძებდა და ამას იმდენად თავგამოდებით აკეთებდა, ქალაქის საბჭოში მასზე ისიც კი უკითხავთ, *თქვენი ნათესავიაო?* როცა საიდანღაც შეიტყო, მანანა ორბელიანის საფლავის ქვა დააზიანესო, სასწრაფოდ წავიდა კუმისში (მე და რეზო გოგელია თან გაგვიყოლია), დარწმუნდა ცნობის სიმართლეში და პრესით განგაში ატეხა.

როცა პოლიკარპე კაკაბაძე დავასაფლავეთ, რამდენიმე კაცი მშრალ ხიდთან, მტკვრის პირას რესტორანში, წამოგვიყვანა და მთელი საღამო ამ უდიდესი დრამატურგის შემოქმედების ფანტასტიკურ სამყაროში გვატარა.

ნოდარი ბევრ რამეში სხვებისთვის უხილავს აღმოაჩენდა ხოლმე. ამ მხრივ თავისი უცნაურობებითაც გვხიბლავდა. აგროვებდა და კარგა ბლომად შექმნა ვირების სურათებისა და სტატუეტების კოლექცია, რომელსაც ყველანი დიდი ინტერესით ვათვალიერებდით. ამ უცნაურობაშიც იყო ერთგვარი პოეტური ხიბლი.

რადგან ვირისა და მის გამოსახულებათა მიმართ ნოდარის სიყვარული და გატაცება აღვნიშნე, ერთ კურიოზულ ამბავს აქვე გავიხსენებ. მიხეილ ქავთარია მოგვიყვა: სუფრაზე, სადაც ვიოლეტა ცისკარიძეც ბრძანდებოდა, ნოდარმა სადღეგრძელოში იგი ასე შეამკო: *ვირივით ჭკვიანი და ლამაზი თვალები გაქვსო.* ქალბატონ ვიოლეტას გაოცება და დაბნეულობა დაეტყო. ჩვენ კი სიცილით ძლივს ავუხსენით მას, რომ ეს უდიდესი კომპლიმენტი იყო და ისიც განვუმარტეთ, საიდანაც მოდიოდა იგი.

ნოდარი თავისი უშუალობით, გულწრფელობით, გულისხმიერებით, ავკარგიანობით, სიყვარულით და, რაც მთავარია, პოეტურობითა და ინტელექტით ყველას ყურადღებას იპყრობდა. დიდი

სამეგობრო წრე ჰყავდა. ეს გარეგნობით არაფრით გამორჩეული კაცი უდიდეს სულიერ ძალას, შინაგან სილამაზესა და მომხიბვლელობას ამჟღავნებდა. ვის არ იცნობდა და ვინ არ მეგობრობდა მას! ცხადია, ძირითადად ისინი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და სხვა შემოქმედებითი დარგის წარმომადგენლები იყვნენ. მაგრამ მათში ისეთებიც ერივნენ, გაგიკვირდებოდათ. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთთაგანი იყო აზერბაიჯანელი ჯალილა აგაჯანოვი, რომელიც მაღაზიის ექსპედიტორად მუშაობდა. ლხინსა და ჭირში ის ჩვენს გვერდით იდგა. ასევე იყო ნოდარი (და ჩვენც) მის მიმართ. მამამისის გასვენებაში გვერდიდან არ მოვშორებივართ, ხოლო ნოდარის გარდაცვალების კარგა ხნის შემდეგ, როცა თვითონაც გარდაიცვალა, ცოცხლად დარჩენილმა ნოდარის მეგობრებმა სამარემდე მივაცილეთ იგი.

როგორც ყოველმხრივ ტოლები, ისე დადიოდნენ ერთად ტანმორჩილი ნოდარი და ორმეტრიანი კალათბურთელი რეზო გოგელია. ახლაც უხერხულად ვიშმუშნები, როცა გამახსენდება რეზოს გულითადობა და თავმდაბლობა, — ნოდარის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრაპეზობაზე ხელს რომ არავის გვანძრევინებდა და გვემსახურებოდა.

როცა ნოდარს ვინმესგან რამე არ მოეწონებოდა, თვალს არავის მოუხუჭავდა, ირონიით გაკილავდა და ჩხუბსაც არ მოერიდებოდა. ერთხელ შოთა მიქაშავიძეს რაღაცაზე ისე შეუტია, მეგონა, ჩხუბში გადაიზრდებოდა. მაგრამ, რადგან ნოდარი მართალი იყო, შოთამ ქუთაისურად დაუყვავა: ნოდარა, შენი ჩანჩხალი ღმერთმა ნუ მომიშალოსო.

ნოდარი ყოველნაირი უსამართლობის წინააღმდეგ ამოღებული ხმალი იყო. დანაშაულს არავის აპატიებდა. ძალიან ახლო მეგობრობა ჰქონდა თავის თანაკურსელ ბენო დობორჯგინიძესთან. ერთ წელიწადს მე, ნოდარ ჭოლოკავა და მაგული ნატრიაშვილი უნივერსიტეტში ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღებ გამოცდაზე ვიყავით. თავმჯდომარე მზექალა შანიძე გახლდათ. თურმე, ბატონი ბენოს ახლობელი აბარებდა. მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. მხოლოდ ნოდარ ჭოლოკავას სცოდნოდა. ამ გოგონას წერაში სამიანი მიუღია, მაგრამ ეყო და

ჩარიცხულა. ბატონი ბენო ჩვენზე გაგულისებულა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ჩვენს, სამივეს, წინააღმდეგ განცხადება შეუტანია: მოწაფეები ჰყავთ, გამოცდებზე ამისთვის დადიან, მათ გაყვანას ცდილობენ და სხვებს ნიშნებს აკლებენო. მე უკვე სოფელში შვებულებას ვაგრძელებდი და არაფერი გამიგია. ქალბატონ მზექალას ცეკას წარმომადგენლის თვალწინ ის ნაწერი განუხილავს და ბატონი ბენოსთვის ტყავი გაუძვრია. ეს ამბავი რომ ნოდარ ალანიამ გაიგო, ამას თვალი არ მოუხუჭა და ბატონ ბენოს საზოგადოებაში „ანონიმშჩიკ-დანოსჩიკ“ არ დაულია. იმ ხანად გივი ლომიძესა და ცოტნე კიკვიძესთან ერთად ხონში მივლინებით ვიყავით და სუფრაზე უცხო ხალხში იგივე რომ გაიმეორა, მე თვითონ შევეხვეწე: ინფარქტგადატანილი კაცია, რამე რომ მოუვიდეს, ჩვენი საპატრონო იქნება და თავი დაანებე-მეთქი.

მეორე ამბავი: ნოდარი მეგობრობდა შალვა რატიანთან, მისი მეჯვარე იყო და ყველა საქმეში გვერდით ედგა. მაგრამ, როცა იგი ინსტიტუტთან არსებული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის თავმჯდომარე გახდა და მირიან აბულაძეს უღალატა, რაიაღმასკომს შეეკრა და კოოპერატივში მიღება ჩაუშალა, ნოდარმა თავის ნათლიმამას ზურგი აქცია, მოიკვეთა იგი და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, არ შერიგებია.

ნოდარი, როგორც იტყვიან, თხემით ტერფამდე ლიტერატორი გახლდათ. ახალგაზრდობისას თვითონაც წერდა ლექსებს, მაგრამ მათი დაბეჭდვა არასოდეს უცდია. ეს იყო, სუფრაზე იცოდა გამომზეურება. ზოგი მათგანი სატრფიალო შინაარსისაა. ერთერთი ასე იწყება:

„ხარ ჯიოკონდა ცისფერ თვალებით,
შენს გამოხედვას ცივად ვდარაჯობ,
ვიცი, არა ხართ სანდო ქალები,
შენს ღიმილს მაინც მღელვარედ ვნატრობ!..“

ზოგი ლექსი იუმორისტული შინაარსისაა. სტუდენტობისას დაწერილ ერთ ლექსში თბილი და ხალისიანი ფერებით არის დახატული მისი ლექტორები.

ნოდარმა ზეპირად იცოდა ქართული (და არა მარტო ქართული) ლირიკის შედევრები. არც ერთი ახალი კარგი ლექსი არ გამორჩებოდა, მთელი ძალით იგრძნობდა და სხვებსაც გააცდევინებდა მათ მშვენიერებას. მის მოსმენას არაფერი სჯობდა, მეტადრე ლხინში, მით უფრო, თუ იქვე იმყოფებოდა დიდებული პიროვნება, ბრწყინვალე ლიტერატორი და მეცნიერ-მკვლევარი, მომღერალი, მოცეკვავე და ლექსების მთქმელი გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძე. ორივე ბრწყინვალე დეკლემატორი გახლდათ, რომელთათვისაც უცხო იყო სცენისათვის რამდენადმე დამახასიათებელი ხელოვნური, განყენებული ზეაწეულობა. ორივენი თავიანთი სისხლხორცეული უშუალობით გამოირჩეოდნენ. უყვარდათ გალაკტიონის, გ. ლეონიძის, კ. გამსახურდიას, ლ. ასათიანის, ანა კალანდაძის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილისა და სხვათა და სხვათა საუკეთესო ლექსების თქმა. ბევრჯერ მინახავს, რა კმაყოფილი და ნეტარი სახით უსმენდა მათ გიორგი ლეონიძე. ბევრი ჩემთვის უცნობი ლექსი პირველად მათგან მოვისმინე და შევიყვარე. ახლაც თვალწინ მიდგას, სავსე ჭიქით ხელში ფეხზე მდგომი ნოდარი მთელი განცდით ამბობს კოლაუ ნადირაძის ლექსს *„ორი ქოჩორა“*:

„ორი ვარია, ორი ქოჩორა,
ერთი ნაცარა, მეორე ჭრელი,
ვიყიდე ერთხელ, ცოლმა მოჭორა,
რომ იყვნენ ერთობ ძვირი და ხმელი...“

ძალიან მოგვწონდა და ხშირად ვამეორებინებდით იუმორისტულ ლექსს *„ჰიმნი ლობიოს“*, რომელიც ასე იწყება:

„ჩვენი მგოსნები კოცნაზე წერენ,
გაიძახიან: ჰოი, სოფიო!
შენ დაგივიწყეს პილპილმოყრილო,
ამოლესილო ჩემო ლობიო...“

გვეგონა, მისი იყო. ბოლოს გაგვიმხილა, სანდრო შანშიაშვილისაა, ცოტა ჩემებურად გავჩარხეო.

უნგრელი ქართველოლოგი მარტონ იშტვანოვიჩი ჰყვებოდა: უნგრეთში ყოფნისას ნოდარს რესტორანში სკამზე შემდგარს ქართულად წარმოუთქვამს შანდორ პეტეფის საკმაოდ გრძელი ლექსი „მიყვარხარ“ (თარგმანი გრიგოლ აბაშიძისა):

„მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ,
მიყვარხარ ცხადად, მალვით,
როგორც არაფერს არვინ
არ ყვარებია არვის...“

იმდენად შთამბეჭდავად წარმოუდგენია მას ეს ლექსი, რომ მთელი დარბაზი გასუსული უსმენდა და დამთავრების შემდეგ თავიანთი აღტაცება მხურვალე ოვაციით, — ტაშით, ხელის ჩამორთმევითა და კოცნით გამოუხატავთ.

ნოდარი ზოგჯერ მეგობართა ვიწრო წრეში ხუმრობით თავისებურად გადააკეთებდა და თავის თავს დაუკავშირებდა ამა თუ იმ ლექსს. ერთხელ ანა კალანდაძის ლექსი ასე შეცვალა:

„თუ დავიხრჩვები, ღვინომ დამახრჩოს,
ვგავდე ყაყაჩოს სათის ხალიანს,
ძლივს მობარბაცებს მთვრალი ყაყაჩო , —
ნოდარ ალანია!“

იოსებ გრიშაშვილის ლექსს ასე ამბობდა:

„საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო,
ალანია შიგ ჩასმული ბადახში...“

ნოდარი უაღრესად პურმარილიანი კაცი იყო. ჯიბეზე ხელის გაკვრას ვერავინ მოასწრებდა. უყვარდა მეგობრებთან ერთად სუფრაზე ყოფნა და იქ პოეზიასა და სილამაზესთან ზიარება. ერთ თავის საკუთარ ლექსში, რომელსაც ჰქვია „შესანდობარი“, იგი წერს:

„ნუ მსაყვედურობ!
რა ვუყოთ, რომ ღვინოს ვსვამ ხშირად,

არა ვარ ლოთი, გეფიცები, თუმც მიყვარს ღვინო,
ოცნების ალმა ნედლი გული დამინახშირა,
არ მსურს ფხიზელმა თვალთა სარკეს ცრემლი
ვადინო.

ნუ მსაყვედურობ!
შენც აიღე ხელში სასმისი,
ღვინით დავლოცოთ მზე, სიკვდილი, ღამე და დარი,
ნუ მსაყვედურობ!
დამიზამთრდა გულის მაისი,
დავლიოთ ჩემი დანისლული შესანდობარი!"

ერთ „შაბათობაზე" ინსტიტუტის თანამშრომლები, ცხრა აპრილის (როგორც მაშინ ეძახდნენ, კომუნარების) ბაღის დასასუფთავებლად და დასაბარავად წაგვიყვანეს. საქმეს რომ მოვრჩით, რამდენიმე კაცი იქვე, ბაღის მხრიდან, სასტუმრო „თბილისის" ქვეშ მდებარე სასაუზმეში შევედით. სავსე, მოყაყანე დარბაზში, როგორც იქნა, თავისუფალი ადგილი ვიშოვეთ და მოგრძო, დაბალ სუფრას მივუსხედით. თამადობს ნოდარი, მისებურად, მთელი პოეტური ეშხით. მესამე თუ მეოთხე სადღეგრძელოზე შორიახლო სუფრაზე მსხდომი ბიჭებიდან (იქნებოდნენ 18-20-22 წლისანი) ერთი მოგვიახლოვდა და გვთხოვა: თქვენს სადღეგრძელოებს ყურს ვუგდებთ და ვიმეორებთ, მაგრამ კარგად არ გვესმის. თუ ნებას დაგვრთავთ, სუფრას მოვაჩოჩებთ და მოგისმენთო. რამდენადაც შესაძლებელი იყო, ასეც ვქენით. ნოდარი ახალგაზრდებს ყურადღებას არ აკლებდა და მათი სადღეგრძელოებიც მოწიწებითა და ამაღლებულად შესვა.

ნოდარისათვის ლექსი არა მარტო სულიერი მასაზრდოებელი იყო, გადამრჩენელიც აღმოჩნდა.

1973 წლის 11 ივნისს ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებისას ნოდარს ქუჩაში თორმეტგოჯა წყლულიანი ნაწლავი გაუსკდა. სასტუმროში ძლივს დაბრუნებული დროდადრო გონებას კარგავდა. ბედად იქ სამეცნიერო მივლინებით მყოფი ენათმეცნიერი ვაჟა შენგელია გადაეყარა, რომელმაც უმალვე სასწრაფო დახმარებას გამოუძახა. ისიც ბედად იყო, იმ დღეს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამედიცინო აკადემიის ჰოსპიტალური

ქირურგიის ინსტიტუტი მორიგეობდა. ბედად იმიტომ, რომ ეს სამკურნალო დაწესებულება ასეთ საქმეს არცთუ ხშირად ასრულებდა და თანაც თავისი სამედიცინო აღჭურვილობითა და კვალიფიციური კადრებით იგი ჩვეულებრივ საავადმყოფოებზე გაცილებით მაღლა იდგა.

ოპერაცია დაუყოვნებლივ უნდა გაკეთებულიყო, ნოდარი კი ოპერაციაზე უარს ამბობდა და გაიძახოდა, თბილისში გადამაფრინეთო. ქირურგმა ანატოლი კურიგინმა, რომელიც ბრწყინვალე დასტაქარი და ადამიანი აღმოჩნდა, ნოდარს აუხსნა: ათ წუთში გონებას დაკარგავ, მაინც გაგჭრით, მაგრამ გვიანი იქნება და მოკვდებიო. ნოდარმა ესენინის ლექსით უპასუხა: „В етой жизни умирать не ново“.

კურიგინი ესენინის სოფლელი ყოფილა, მის პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული. მაშინვე მიხვდა, მისი პაციენტი რომ რიგითი მოქალაქე არ იყო, თავი გადადო, როგორც განყოფილების გამგემ, თანხმობაზე ხელი თვითონ მოაწერა, ოპერაცია გაუკეთა და მორიგე ექიმთან ერთად მთელი ღამე უთია. ოპერაცია იმდენად რთული და დაგვიანებული ყოფილა, ამ დროს, თურმე, ათასში ერთი თუ გადარჩება და ეს ერთიც ნოდარი აღმოჩნდა.

დილითვე, როგორც კი ეს ამბავი ნოდარის მეულლე ლილი გოგოხიამ გაიგო და ლენინგრადში გაფრინდა, მას მირიან აბულაძე გაჰყვა.

ნოდარმა თავისი გადარჩენის ეს დღე, 11 ივნისი, თავის მეორე დაბადების დღედ გამოაცხადა და მას ყოველ წელს აღნიშნავდა. კურიგინი, რა თქმა უნდა, დაიმეგობრა და მასთან ახლო და ძმური ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. კურიგინის სახელი ჩვენთვის, ნოდარის მეგობრებისთვისაც, ახლობელი გახდა და ნოდარის გარდაცვალების შემდეგაც, ნოდარისადმი მიძღვნილ ყოველ შეხვედრაზე მის სადღეგრძელოს დიდი მოწიწებითა და სიყვარულით ვსვამთ.

„ლექსი“ იყო ბოლო სიტყვა, რითაც ნოდარი ამ ქვეყანას გაშორდა.

1976 წლის ზაფხულში ნოდარს ჰაერის უკმარისობა დაჩემდა. მალე გამოჩნდა, უკურნებელი სენი, ფილტვების სიმსივნე,

შეყროდა. ლილიმ და ცოტნე კიკვიძემ ნოდარი ისევ ლენინგრადში წაიყვანეს და კურიგინის დახმარებით იმავე სამხედრო სამედიცინო აკადემიის, ოღონდ ამჯერად პნევმოლოგიის ინსტიტუტში დააწვინეს. ნოდარის სანახავად ლენინგრადში სხვადასხვა დროს ჩავიდნენ გურამ ბარნოვი, მიხეილ ქავთარია, ოთარ გაგუა. იქ მივლინებით იმყოფებოდა და მასთან ხშირად დადიოდა ბენო დობორჯგინიძე. ბოლოს მირიან აბულაძე ჩაფრინდა და ლილის ავადმყოფის მატარებლით შინ ჩამოყვანაში დაეხმარა.

მკურნალობას რაიმე უკეთესობა არ გამოუწვევია. ნოდარი უფრო და უფრო უარესად ხდებოდა და საშინლად იტანჯებოდა. ვხედავდით, სიკვდილი ძალიან ახლოს იყო, მაგრამ 20 ნოემბერს (მისი დაბადების დღიდან ერთი კვირით ადრე), როცა საღამოს მისგან წამოვედი, ამას მაინც არ მოველოდი. მოგვიანებით ტელეფონით ამბავი ვიკითხე და მაცნობეს, ისე ცუდად არის, ამაღამ ვერ გააწევსო. უმალვე წავედი. უამრავი მნახველიდან, ყოველდღე რომ მოდიოდნენ, ღამის სათევად რამდენიმე დარჩენილიყო. ნოდარს თავზე ისევ მისი მეგობარი და მკურნალი ექიმი ოთარ ზენაიშვილი ადგა.

მისუსტებული და მიმქრალი ნოდარი მიხვდა ჩემი მისვლის მიზეზს და მკითხა, ამ შუაღამეს რამ მოგიყვანაო. თავი ვიმართლე, აქვე ახლოს მეგობართან შემოვრჩი და გამოგიარე-მეთქი.

მაჯა ძლივს უფეთქავდა, თვალების გახელა უჭირდა. ნემსს რომ გაუკეთებდნენ, ოდნავ გამოცოცხლდებოდა, მაგრამ ეს დროც მომეტებულად მცირდებოდა, ცოტა ხანში სულ მიწყდა და ხმასაც ვეღარ გვცემდა. სულის ამოხდომას რომ შევყურებდით, მოულოდნელად ნოდარმა ჩაილაპარაკა, — *ჯავახიშვილს ბოდიში უნდა მოვუხადოთო.*

მაშინ საქართველოს რუსეთთან შეერთების 200 წლისთავის იუბილეს აღნიშვნისათვის დიდი ზარ-ზეიმით ემზადებოდნენ. რამდენიმე დღის წინ მაშინდელი ჩვენი მთავრობის პირველმა პირმა ედუარდ შევარდნაძემ დიდ რესპუბლიკურ ფორუმზე ივანე ჯავახიშვილი გააკრიტიკა. ივანეს (რამდენადაც ვიცი, იოსებ სტალინის) დებულებაზე, საქართველოს რუსეთთან შეერთება ნაკლები ბოროტება იყოო, ის ამბობდა: რას ჰქვია ბოროტება, ნაკლები

ბოროტებაც ბოროტებაა და ამის თქმა ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენაზე არ შეიძლებაო. ნოდარის საწოლთან შეკრებილები ამაზე ბევრს ვლაპარაკობდით და ნოდარიც და ჩვენც მძაფრ უკმაყოფილებას გამოვხატავდით. ჩანს, ნოდარს სიკვდილის ჟამს ეს ამბავი უტრიალებდა თავში და ამის გამო მოითხოვდა ჯავახიშვილისათვის ბოდიშის მოხდას.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნოდარმა ისევ შეძლო ხმის ამოღება. ჩაილაპარაკა, *ლექსი გათავდაო და... თვითონაც გათავდა.*

დიახ, ნოდარმა მთელი ცხოვრება სამშობლოზე, სამართლიანობაზე, პოეზიაზე ზრუნვაში გალია და მათზე ფიქრით გაშორდა მას!

მაგონდება ტარიელ ჭანტურიას ლექსი *„აკაკის წამოსვლა ქუთაისიდან“*, რომელიც ავტორმა ნოდარს სიცოცხლეშივე მიუძღვნა. დღეს რემინისცენციით ამ ლექსს ნოდარის გარდაცვალებაზე დაწერილად და მასთან განშორებით გამოწვეულ ტკივილის გამომხატველად აღვიქვამ:

„შენ რომ წადი, წყალწითელამ
თვალი ცრემლით დაისია!
განშორება არ იგლოვოს,
აბა, რა ქუთაისია!..
შენთან ყოფნა დილა იყო, –
უშენობა დაისია...
რა იოლად ჩამომჭკნარა
ის მიმოზა და ის ია!
უშენობა არ დაეტყოს,
აბა, რა ქუთაისია!“

დასასრულ, რადგან ნოდარი უაღრესად სიცოცხლის მოყვარული, ხალისიანი, იუმორის ფრიად დამფასებელი და ამ ნიჭით დიდად დაჯილდოებული იყო, გავიხსენებ ზოგიერთ შესაბამის ამბავს, რომელიც მას გადახდა ან მის სახელთან არის დაკავშირებული.

¤

ნოდარს არ გამოეპარებოდა იუმორით ოდნავ შეფერადებული სიტყვა თუ შემთხვევა, მაშინვე აიტაცებდა და წინ წამოწევდა. ერთხელ ერთ ჩვენს საერთო მეგობარზე, რომელსაც თავის მოვლა ძალიან უყვარდა, ბენო დობორჯგინიძემ თქვა: *იგი, ბიჯო, ყურძენს იმიზა ჯამს, რომ იცის, სასარგებლოა.*

ნოდარი ამ უწყინარ, მაგრამ ფრიად დამახასიათებელ ხუმრობას ხშირად იგონებდა და ღიმილით იმეორებდა.

¤

ნოდარი, ახალბედა სტუდენტი, რამდენიმე მეგობართან ერთად პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საერთო მეგობრის სანახავად მივიდა. როცა გარეთ იდგა და მის გამოსვლას ელოდებოდა, შავებში ჩაცმული ქალი მიუახლოვდა და მკვეთრი მეგრული აქცენტით შეეკითხა: *შვილო, ჯანმრთელი ხომ ხარო?* ნოდარი გააკვირვა ამ შეკითხვამ, მაგრამ მალე გაირკვა, ქალს რაც აწუხებდა:

— ჩემი შვილი ჰოლიტექნიკურ ინსტიტუტში აბარებს, — აუხსნა ქალმა, — უკულა საბუთი ხელთა მაქვს, ოღონდ ჯანმრთელობის ცნობა მაკლია; თვითონ სოფელშია, ჩამოსვლას ვერ ასწრებს და, იქნებ, სამედიცინო შემოწმებაზე მის მაგივრად გახვიდეო.

ნოდარი მაშინვე უყოყმანოდ დასთანხმდა და კომისიაზე გავიდა.

— შენა ხარ, ბიჯო, არსენა? — როცა ქაღალდში ჩახედა, გაფართოებული თვალებით ჩაეკითხა სამედიცინო კომისიის თავმჯდომარე.

— დიახ, — მიუგო ნოდარმა.

ეს შეკითხვა რომ ისევ და ისევ გაუმეორეს და ნოდარიც ერთსა და იმავე „დიახს“ ბეჯითად გაიძახოდა, კომისიის წევრებში ჩოჩქოლი ატყდა, თავმჯდომარემ კი რისხვით წამოიძახა:

— ასე აფერისტობით შოულობ ხომ ფულს!?

... და ნოდარი დააპატიმრეს.

თურმე, ეს არსენა ტუბერკულოზიანი ყოფილა, სამედიცინო შემოწმებაზე რამდენიმეჯერ გასული და „დაბრაკული“.

ნოდარის დაკავების ამბავმა გარეთაც გამოაღწია. მაშინ პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი არტემ ბოჯგუა გახლდათ. მის ერთ ქალიშვილს ნოდარი და მისი მეგობრები იცნობდნენ და ერთ-ერთი ამ გოგონასთან გაიქცა.

დაპატიმრებულ ნოდარს გაახსენდა, რომ შინ ანთებულ ნავთქურაზე მოსახარშავად ლობიო ჰქონდა შემოდგმული და ნერვიულობამ კიდევ უფრო აიტანა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ტუსაღი გაათავისუფლეს. მაშინ ის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის ზედა თავში, დეიდასთან, ცხოვრობდა. ომი ახალდამთავრებული იყო, ტაქსი და სხვა ტრანსპორტი იშვიათად დადიოდა და ნოდარი შინისაკენ ფეხაჩქარებით გაეშურა. მივიდა და ... ლობიო და ქვაბი დამწვარ-დახრუკული დახვდა.

¤

სტუდენტობისას, სტუდბილეთი შინ რომ რჩებოდა, უფრო კი, ალბათ, ახალგაზრდული ონავრობით, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კარისკაცს, როგორც ვეძახდით, ძია მოსეს, რომელიც მეორე სართულზე ასასვლელ კიბესთან ხარიხის თავში იდგა და უსტუდბილეთოდ არავის ატარებდა, ნოდარი ჩქარი ნაბიჯით ჩაუვლიდა, არც შეხედავდა, საქმიანი ხმით მიუგდებდა — ალანიასთან მივდივარო და გზას განაგრძობდა. ამას ისე თამამად და დამაჯერებლად აკეთებდა, ძია მოსე ერთხელაც არ დაინტერესებულა, ვინ იყო ეს ალანია, ვისთანაც მისვლა ასე დაუბრკოლებლად იყო შესაძლებელი.

ერთხელაც უნივერსიტეტის გამოჩენილ რექტორ ნიკო კეც,-ხოველს ნოდარი თავის კაბინეტში რაღაც საქმეზე გამოძახებული ჰყავდა. საუბარი ცოტათი მას შემდეგაც გაუგრძელდა, რაც ლექციების დაწყების ზარი დაირეკა. არ გაგატარებენო და ბატონმა ნიკომ გაყოლა დააპირა. ნოდარმა, ნუ შეწუხდებით, არ მინდაო, დერეფანი სწრაფად განვლო და ძია მოსეს ნაცადი ხერხით ჩაუარა.

— მოიცა, მოიცა! — მოესმა ნოდარს რექტორის ხმა, რომელიც მას უკან მიჰყოლოდა.

— რატომ გაუშვი დაგვიანებული და თანაც უსაბუთო სტუდენტი? — ბატონი ნიკო ძია მოსეს მიადგა.

— რა ვიცი, კაცო, მითხრა, ალანიასთან მივდივარო! — დაიბნა კარისკაცი.

ნოდარმა ბატონ ნიკოს გულახდილად გაუმხილა თავისი ეშმაკობა. ამის შემდეგ ნოდარი ძია მოსესა და სხვა კარისკაცებსაც დაუახლოვდა და სტუდბილეთს კვლავ აღარავინ სთხოვდა.

¤

ესეც ნოდარის სტუდენტობისდროინდელი ამბავია. ის იაგო ვარდოსანიძესთან ერთად ახლანდელ დიმიტრი უზნაძისა და მაშინდელ კამოს ქუჩაზე ბეჟან ჯაფარიძესთან იმყოფება. რაღაცასთან დაკავშირებით ავლიპი ზურაბაშვილზე, როგორც დიდ ფსიქიატრზე, ჩამოვარდა სიტყვა. ნოდარმა თქვა: კი, მჯერა, რომ უდიდესი სპეციალისტია, მაგრამ შემიძლია, მოვატყუო და თავი გიჟად მოვაჩვენოო. მაშინ ნოდარი უნივერსიტეტის თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობდა და გარდასახვის უნარი გამახვილებული ჰქონდა. მეგობრები არ დაეთანხმნენ: ფსიქიატრებმა იმდენი ნიუანსი იციან, ვერაფერს გამოაპარებო. დადეს სანაძლეო პურ-ღვინოზე.

იქვე იყო ფსიქიატრიული საავადმყოფო და მივიდნენ. ბეჟანის მამა ვიქტორ ჯაფარიძე რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი და, როგორც თერაპევტი, ფსიქიატრიული საავადმყოფოს კონსულტანტი გახლდათ. ბეჟანი ავლიპის მამის სახელით მიადგა: ჩვენს ბათუმელ მეგობარს, ახალგაზრდა მწერალს, რაღაც გადახრებს ვამჩნევთ და მოვიყვანეთო. ის ის იყო, ბატონ ავლიპის ვიღაც ავადმყოფზე კონსილიუმი დაემთავრებინა, ჯერ არ აშლილიყვნენ და ნოდარიც იქვე მიიღეს.

— რა გაწუხებთ, უმაწვილო? — ეკითხება ბატონი ავლიპი ნოდარს.

ნოდარი „მოწყენილი“, თავჩაღუნული ზის და მარცხენა ტუჩსა და ლოყას ზევით და ქვევით ათამაშებს.

— როცა დავდივარ, ქვევიდან ხმები მესმის, ვიღაც მეძახის, ნოდარ, ნოდარო. — ხმადაბლა, დაყოვნებით, თავაუღებლივ ეუბნება ნოდარი.

— როგორია ეს ხმები? — ისევ ბატონი ავლიპი სვამს კითხვას.

— ნოტიო ხმებია. — კვლავ პაუზის გამოუცნებით ჩაილაპარაკა „ავადმყოფმა“.

— თქვენ ჭკვიანი, განათლებული უმაწვილი ბრძანდებით, განა შეიძლება ხმები ნოტიო იყოს? — საუბარში ჩაერია კონსილიუმის ერთ-ერთი მონაწილე.

ნოდარი უცებ ზეზე წამოიჭრა, თვალები გადმოკარკლა, „ნერვებაშლილმა“ დაიყვირა:

— თეოფილე გოტიეს თუ აწუხებდა უვითელი და ლურჯი აზრები, მე არ შეიძლება სველ-სველი ხმები მომდიოდეს?!

საუბარი აღარ გაგრძელებულა. ბატონმა ავლიპიმ ბეჟანი განზე გაიხმო და დატოვე, დავაწვინოთო, ურჩია.

ბეჟანმა მოიმიზეზა, ბათუმში ოჯახს გავაგებინებთ, მოვამზადებთ და მოვიყვანთო, და მადლობით გამოემშვიდობა.

იმ საღამოს ნოდარს 40 გრადუსამდე სიცხე მისცა, ბოდავდა. ორი-სამი დღე ყბამოღრეცილი იყო, თავბრუ ესხმოდა. სანაძლეო მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მოითხოვა და მაშინ კი ბიჭებმა კარგად მოილხინეს.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბეჟანს მამა ეკითხება: ვინ ავადმყოფი გყავდათ ავლიპისთან, სად არის და რას შვრება ახლა ისო?

ბეჟანი დაიბნა, რაღაც მიკიბ-მოკიბა, ბოლოს მარჯვედ მოიგონა, ნოდარის ამხანაგი იყო ბათუმიდანო. ვიქტორმა იყნოსა, ახალგაზრდებმა რაღაც იეშმაკეს და შვილს თითი დაუქნია, *მეტი არ გაბედო ასეთი რამეო.*

¤

ნოდარის ერთი მეგობარი დაბადების დღეს იხდიდა; სურსათის ყიდვასა და მოტანაში ნოდარიც ეხმარებოდა. ხელსაყრელ ფასად თევზი რომ ვერ იშოვეს, იუბილარმა გამოაცხადა, თევზი

ამოვარდაო. საღამოს რომ გოჭზეც იგივე გაიმეორა, ნოდარმა უთხრა: *მაშინ „ყვაჩკები“ ვიყიდოთ და სტუმრებს დავურიგოთო.*

¤

ერთ დღეს შალვა ნუცუბიძე, რომელიც ლიტერატურის ინსტიტუტის გვერდით ცხოვრობდა, გვეწვია და ლიტერატურის თეორიის განყოფილების ოთახში შევიდა. ხელში ბზის ხელჯოხი უჭირავს. განყოფილების ხელმძღვანელი მამია დუდუჩავა და ყველა იქ მყოფი დიდი მოწიწებით შეეგებნენ სტუმარს.

— *რომელია ნოდარ ალანია?* — იკითხა სტუმარმა.

გივი ლომიძე ოთახიდან გავარდა და ნოდარი მოიყვანა, რომელიც მოკრძალებით წარუდგა ლეგენდად ქცეულ მეცნიერს.

— ამას ხომ ხედავ, ზურგზე გადაგამტვრევ! — ბატონმა შალვამ ხელჯოხი მრისხანედ აღმართა. ყველა შეცბა.

— ახლა არავინ არაფერს კითხულობს, — განაგრძობს ბატონი შალვა, — ყველა წერს, შენ რამ წაგაკითხა ჩემი წერილი?!

თურმე, იმ დღეებში ბატონი შალვას წერილი გამოქვეყნებულა, სადაც აკაკის ლექსი უნებლიეთ ილიას მიეწერება თუ პირიქით. ეს შეცდომა ნოდარს შეუმჩნევია და პატარა ბარათით ავტორისათვის უცნობებია. თან დაუყოლებია: *თქვენმა მტრებმა ბოროტად არ გამოიყენონ, გაასწორეთო.*

ბატონი შალვა ნოდარის გასაცნობად და მადლობის სათქმელად მობრძანებულიყო.

¤

ვაკის პარკის რესტორანში სუფრაა გაშლილი. თავმოყრილთაგან უფრო მეტნი მწერლები არიან. მიპატიჟებული გახლდათ ნოდარ ალანიაც. იგი იმ დღეს მისაღებ გამოცდაზე იმყოფებოდა და აგვიანებდა. წინა დღეებში თბილისში ხმა დაირხა, მისაღებ გამოცდაზე ქრთამის აღების გამო ესა და ეს პირი დაიჭირესო. იმ კაცისათვის ფული დაუნომრათ. ამაზე საუბრისას უცებ ჯანსუღ ჩარკვიანი სერიოზული ხმით ამბობს: რომ არ ჩანს, ნოდარ ალანიაც დაჭერილი არ იყოსო. ერთ ახლობელ მანდილოსანს თვალებში შიში ჩაუდგა. ნოდარ დუმბაძემ ის ასე

დაამშვიდა: ნუ გეშინია, ნოდარ ალანია ფულს არ იღებს და მწვადებს არ ნომრავენო.

¤

სამსახურიდან შინ დაბრუნებული ნოდარი ხედავს: მეულლეს მისი ხალათი გაურეცხავს, ჯიბიდან მანამდე ჭორად დარხეული ამბის დამადასტურებელი ქალის სამიჯნურო ბარათი ამოუღია, მაგიდაზე ჭიქის ქვეშ ამოუდვია, თვითონაც მაგიდას უზის და ხელსაქმობს.

ნირწამხდარი ნოდარი სკამზე დაეშვა და გულისფანცქალით ჩხუბს ელოდება. ერთხანს იცადა და შემდეგ მოთმინებადაკარგული ცოლს მიუბრუნდა:

— ლილი, დავიწყოთ, თუ ვიწყებთ, აღარ შემიძლია, გასკდა გული!

ქალბატონი ლილი ის ქალი არ გახლდათ, ამგვარ რამეებს გამოსდევნებოდა.

¤

ლუცინა გუგუშვილი და ილია აბულაძის დისშვილი ლეილა (ქიცო) თუშმალიშვილი დიდუბის პანთეონში ბატონ ილიას საფლავზე მიდიან. გზაში ნოდარი შემოხვდათ, ოდნავ ნასვამი იყო და გოგონები ოჯახში მიიპატიჟა. მათ იუარეს, *ახლა არ შეგვიძლია, პანთეონში მივდივართო.* თხოვნა და უარი რომ რამდენიმეჯერ გამეორდა, ნოდარმა თქვა: *ახლა პირალმა დავწვები და პანთეონიც აქ იქნებაო.*

¤

ლენინგრადში თორმეტგოჯა ნაწლავზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ ქირურგმა ანატოლი კურიგინმა ნოდარს მკაცრი და ხანგრძლივი დიეტა დაუნიშნა: ალკოჰოლიან სასმელებს დიდხანს არ უნდა გაჰკარებოდა. ის კი არა, უთქვამს, ერთ ხანს მაგარი ჩაის დალევასაც ერიდეო.

ნოდარი თავიდან დარიგებას კარგად ასრულებდა. უსუფროდ ყოფნა მას არ შეეძლო და, სუფრაზე რომ არ მოეწყინა, თა-

მადად მას ვაყენებდით (მერედა, რა ნაღდი და ცოცხალი სადღეგრძელოების თქმა იცოდა!), მაგრამ ასეთ შეზღუდვებს წლამდეც ვერ გაუძლო, ქეიფს თანდათან უმატა და მალე ჩვეულ ფორმაში ჩადგა.

ერთ დღეს გვარიანად შეზარხოშებული ნოდარი ცოტნე კიკვიძემ შინ მიაცილა. ნოდარმა ლილის უბრძანა, სუფრა გაგვიშალეო. ცოტნე შეეხვეწა, *ღვინო არ გვინდა, ჩაი დავლიოთო.* ნოდარმა თავი მოისაწყლა და ღიმილით უპასუხა: *ხომ იცი შენ, ჩემდა ჩაი არ შეიძლება!*

¤

ნოდარი თავისი დაბადების დღეს, 28 ნოემბერს, ყოველწლიურად საკმაოდ გრძელი სუფრით აღნიშნავდა. ბოლოს ამას ოპერაციის, ანუ გადარჩენის დღე, 11 ივნისიც, დაუმატა. როცა 50 წლისა გახდა, დიდი ქეიფი მცხეთის პრესტიჟულ რესტორან „ფაცხაში“ გადაიხადა. ვინ არ იყო მაშინ იქ?! პირველი თამადა კოტე ჩოლოყაშვილი გახლდათ.

ნოდარის გარდაცვალების შემდეგ ეს ტრადიცია ლილიმ განაგრძო, შემდეგ – ძმამ, ილომ. საფლავზე გასვლის შემდეგ ერთხანს რესტორანში მივდიოდით, რაც დრო აირია, ილოს ბინაში ვიკრიბებოდით. ცოტ-ცოტა ჩვენც მიგვქონდა, მაგრამ ძირითადად ეს ილოს ხარჯზე ტარდებოდა, რისთვისაც ის მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდა.

1994 წლიდან, ილოს გარდაცვალების შემდეგ, ნოდარის ახლო მეგობრები მცირე თანხას ვაგროვებდით და ამ დღეს ნოდარის საფლავზე აღნიშნავდით.

გადიოდა წლები და ჩვენი საძმო თანდათან მცირდებოდა. გარდაიცვალნენ: გურამ აბესაძე, გივი და ვაჟა ჭანიშვილები, მირიან აბულაძე, ანდრო მირიანაშვილი, რეზო გოგელია... ბოლოს დავრჩით: ცოტნე კიკვიძე (2001 წლის მარტში ისიც გარდაიცვალა), გურამ ბარნოვი, ბორის დარსაძე, გივი ლომიძე და მე. ხშირად გვიერთდებიან მიხეილ ქავთარია და თეიმურაზ დოიაშვილი. ადრე შიგადაშიგ შეძლებისდაგვარად დადიოდნენ: აკაკი ხინთიბიძე, გალაქტიონ (კუსა) სიხარულიძე, შოთა ვაშაყმაძე. ერთ

წელიწადს შოთა ვაშაყმაძემ ცხვარი იყიდა და საბურთალოზე, თავის ბაღში, იქ მოწეული ღვინითა და სხვა ხარჯით ეს დღე თვითონ გადაიხადა (სხვათა შორის, ჩვენი მცირე ჯგუფი ბოლო ორ წლამდე ილოს გარდაცვალების დღეს, 6 აპრილს, მის საფლავზეც გავდიოდით).

2000 წლის 28 ნოემბერია. გაციებული ვიყავი და გარეთ პირველად წინა დღეს გავედი. თუმცა მძიმე, განუკურნებელი სენითაა დაავადებული, ცოტნე კიკვიძე დილით ტელეფონით მიკავშირდება და ნოდარის საფლავზე გასვლის საათზე ვთანხმდებით. ვიცი, დღეს კიდევ უფრო ცოტანი ვიქნებით. გივი ლომიძე თბილისში არ იმყოფება, გურამ ბარნოვი და ბორის დარსაძე შეუძლოდ არიან.

შინ პომიდვრის ახალი მწნილი მქონდა, სახაჭაპურეში იმერული და ფენოვანი ხაჭაპურები ვიყიდე და ნოდარის საფლავზე ადრიანად მივედი. სხვა დროსაც ნაადრევად მივდიოდი, რადგან წესად მაქვს, შეკრებამდე იქვე, შორიახლოს, მდებარე ჩვენი თანამშრომლების – ელენე ვირსალაძის, ქსენია სიხარულიძის, თამარ ოქროშიძის, იოსებ მეგრელიძისა და დავით გამეზარდაშვილის საფლავებს ჩამოვუარო. ახლაც ასე გადავწყვიტე. ხელბარგი რომ არ მეტარებინა, ნოდარის საფლავს ზანდუკის მსგავსი რკინის სათავსო ახლავს და შიგ ჩავდევი. ადრე ილო მასში საფლავის მოსავლელ ნივთებს ინახავდა და ბოქლომით კეტავდა. ახლა იგი ღია დამხვდა. სახურავის ახდისას დავინახე: შიგ ღვინო და პურმარილი ეწყო. ვიფიქრე, ჩვენიანია მოსული და მისი მოტანილი იქნება–მეთქი.

ცოტაც და ცოტნე კიკვიძე, მიხეილ ქავთარია და თეიმურაზ დოიაშვილი ერთად მოვიდნენ. *უნივერსიტეტში სამეცნიერო სესიაზე ვიყავით, იქიდან მოვდივართ. ამიტომ ხელცარიელები ვართ, რაც გვაკლია, აქვე ვიყიდითო.*

ვუთხარი: *არაფერი არ გვინდა, ვიღაც ჩვენიანს ყველაფერი მოუტანია–მეთქი* და სათავსოდან ჩემს მოტანილთან ერთად ამოვალაგე: ოთხი ბოთლი ღვინო, ლავაში პურის, ხაჭაპურისა და ნამცხვრების ნაჭრებით სავსე პარკი, შემწვარი გოჭის, შემწვარი და მოხარშული ქათმებისა და მწვადის ნაჭრებიანი მეორე პარკი,

რომელშიც კიტრის, წიწაკისა და ჯონჯოლის მწნილიანი პატარა პარკი იდო, და კიდევ მესამე ცალკე პარკი. მასში ბაჟეთი სანახევროდ სავსე კილოიანი მინის ქილა მოეთავსებძინათ.

ვდგავართ და ველოდებით პურ-ღვინის მომტანს. ყურადღება მივაქციეთ, რომ საფლავის ქვაზე ნოდარის დაბადებისა და გარდაცვალების შემოკლებით დაწერილი ციფრები „24-76“ (ე. ი. 1924-1976 წწ.) ახლა მეორენაირ თარიღებსაც ალნიშნავდა: ნოდარის გარდაცვალებიდან 24 წელი იყო გასული და დაბადებიდან – 76 წელი.

ამასობაში საფლავების მომვლელმა ქალმა ჩამოიარა. ვკითხეთ: *ხომ არ დაგინახავთ, აქ ვინ იყოო. არავინო*, გვიპასუხა.

ბოლოს და ბოლოს მოსული გამოჩნდებაო, ვთქვით და პური გავტეხეთ.

გადის დრო და არავინ ჩანს. ის ის იყო, შეხვედრას ვამთავრებდით, ბოთლში ორიოდე ჭიქა ღვინო გვქონდა დარჩენილი, რომ საფლავების მომვლელმა ქალმა ამოიარა. მოვიპატიჟეთ, ჭიქით ღვინო მივაწოდეთ და კითხვა ისევ გავუმეორეთ: ვიღაც ნამყოფია, პურ-ღვინო მოუტანიაო.

– უიმე, – უცებ წამოიძახა ქალმა, – ეს ჰურ-მარილი მე ჩავდეო. მესაფლავე დაასახელა, მისთვის ვიღაცას ორმოცისა თუ წლისთავის ხარჯი მიუცია. მან მე მომაბარა და აქ შევუნახეო.

ყველას სიმწრის სიცილი წაგვსკდა. რაღას ვიზამდით, ღვინო არა, მაგრამ საჭმელი მაინც ბევრი იყო. მომვლელ ქალს ხუმრობით მივამადლეთ: *თქვენისაზე ბევრი არაფერი მოგვიკლია, ა, ბატონო, ჩვენს მოტანილ ხაჭაპურებსა და პამიდვრის მწნილს გიტოვებთო* და წამოვედით.

მინაწერი: 2008 წლის 1 აპრილს ნოდარის მეუღლე ლ ი ლ ი გ ო გ ო ხ ი ა გარდაიცვალა. წინა საღამოს გვიანობამდე ტელეფონით ველაპარაკე. ჩვეულებრივად, კარგად და მხნედ გრძნობდა თავს, დილით კი საწოლში გარდაცვლილი ნახეს. ქალბატონი ლილი დამსახურებული პედაგოგი და მწიგნობარი გახლდათ და მის დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო. მე უკვე „ჩარეცხილი“ გახლდით და განვიცადე, რომ ამ მძიმე ჟამს ოჯახს

ვერაფრით ვეხმარებოდი. ამიტომ იყო, ქელეხზე არ წავედი და სასაფლაოდან გამოვიპარე.

შინ დაბრუნებული გივი ლომიძე (ჩვენ ერთ სადარბაზოში ვცხოვრობთ) ჩემთან ამბის საკითხავად ამოვიდა, *ქელეხზე ვერ დაგინახეო*. ვსაუბრობთ და კარებზე ზარის ხმა გაისმა. რას ვხედავ, კარებთან ხელში რამდენიმე სავსე პარკით დგას ლილის ძმიშვილი ძაბული (ლია) გოგოხია და მისი ვა-ჟიშვილი. ნოდარისა და ლილის ქალიშვილს, ნანას, იმდენ ხალხში არ გამოჰპარვია, რომ სუფრაზე არ ვიყავი და ქელეხის სუფრიდან ღვინო და აბსოლუტურად ყველანაირი კერძი გამოეგზავნა. დიდად შევწუხდი, რომ პირიქით გამომივიდა, ამ მოუცლელობის ჟამს ოჯახს საქმე მივუმატე. მაგრამ, ამავე დროს, შემძრა და თვალზე სიხარულის ცრემლები მომგვარა, – ამ საქციელში ნოდარისა და ლილის ხელწერა დავინახე, მათი დიდსულოვნება მათ მემკვიდრეში ჩასახლებულიყო!

14. მეცნიერი და მახვილმესიტყვე[1]

მწერლებსა და ჰუმანიტარული დარგის მეცნიერებში გავრცელებულია რამდენადმე უწმაწური სიტყვებისა და შინაარსის შემცველი სხარტულები, ეპიგრამები, ე. წ. ფუნაგორიები, კაფიები. თუმცა მათი უმრავლესობა მაღალმხატვრულად, დიდი გონებასისხარტითა და მახვილსიტყვაობით წარმოაჩენს საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს, თავისი სკაბრეზულობის (აგრეთვე საბჭოთა პერიოდში მძაფრი პოლიტიკური მამხილებელი შინაარსის) გამო ჩვეულებრივ ისინი არა გამოსაქვეყნებლად, არამედ მეგობართა ვიწრო წრისათვის სალაღობოდ იქმნებოდა და იქმნება. ისინი ერთგვარი აპოკრიფული ხასიათის თხზულებანია. მიუხედავად ამ თავშეკავებისა, ადრეც ქვეყნდებოდა კანტიკუნტად, ხოლო უკანასკნელ ხანს ბევრი მათგანი

[1] გამოქვეყნებული იყო ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ (18 ივლისი, 2008, №15, გვ. 41–44).

საყოველთად ხელმისაწვდომი გახდა — ჟურნალ-გაზეთებში და ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა.

მოსწრებული სიტყვა-პასუხით საქართველოში მწერალსა თუ არამწერალს, ვის არ გამოუჩენია თავი, მაგრამ მწერლობის ეს დარგი მაინც სულ სხვა არის. გალაკტიონის არქივში არა ერთი და ორი ამგვარი ლექსი აღმოჩნდა. ამ საქმის დიდოსტატი იყო ლადო ასათიანი. სხვა პოეტებიდან აღსანიშნავია კარლო კალაძე, ზაურ ბოლქვაძე, ჯანსულ ჩარკვიანი და სხვები; მსახიობებიდან — რუსლან მიქაბერიძე. მეცნიერებიდან განსაკუთრებით გამორჩეული და პოპულარული არიან ალექსი ჭინჭარაული და ვახუშტი კოტეტიშვილი.

ამ უკანასკნელთა გვერდით დგას მკვლევარი-ფილოსოფოსი ოთარ ტაბიძე. ბოლო დროს მისი რამდენიმე ამგვარი ლექსიც გამოქვეყნდა, რომლებიც სხვას მიეწერება. ამ ბურუსის გასაფანტავად იწერება ეს პატარა წერილი. მკითხველსა და ავტორსაც კი ბოდიში უნდა მოვუხადო, რომ აღნიშნულ საჩოთირო შინაარსის ლექსებს ერთხელ კიდევ ვახმაურებ და ახალსაც ვიმოწმებ.

ბატონი ოთარი ჩემი ბიძაშვილის მოყვარე იყო, პირადად ვიცნობდი და მასთან ბევრჯერ მქონია საუბარი, მათ შორის მის ეპიგრამულ ლექსებზეც. ვინაიდან მე ადრიდანვე ვიყავი დაინტერესებული და ვაგროვებდი ანეკდოტური ფორმის ხუმრობებს, მის ამგვარ თხზულებებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი. ამიტომ, რა ნაწარმოებებზეც ქვემოთ მოგახსენებთ, დაბეჯითებით ვიცი, მისი ნახელავია.

ბატონი ოთარისაა სხარტულა:

„როდესაც ვთარგმნეთ მარქსი მალულად,
მაშინ დაგვენძრა მაქსიმალურად!“.

თამაზ წივწივაძე მას ზაურ ბოლქვაძეს მიაწერს. იუმორით სავსე მისი სიტყვებია: „... მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით მოსული კომუნისტური მმართველობის დროს ხალხის ცხოვრება რომ არ აეწყო, მწერლებმა მაშინაც სცადეს აეხსნათ, თუ რა უნდა უო-

ფილიუო ამ წარუმატებლობის მიზეზი და, თითქოსდა, მიაკვლიეს! კერძოდ, ჩვენმა ძვირფასმა ზაურ ბოლქვაძემ, რომლის ბრწყინვალე იუმორსაც უველა ჰატივს ვცემდით, ამის მიზეზად ხუმრობაშერეული ეს მნიშვნელოვანი ფაქტი დაასახელა:

რადგანაც ვთარგმნეთ მარქსი მალულად,
მაშინ დაგვერხა მაქსიმალურად!

ეს მოსაზრება, შეიძლება, სწორია, შეიძლება არა, მაგრამ ჰოეტის მხრიდან მაინც კეთილშობილური საქციელია – გაერკვია სიმართლე" (გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 27 მაისი, 2005, № 20, გვ. 1).

როცა წინამდებარე წერილი გამოვაქვეყნე, ემზარ კვიტაიშვილმა მითხრა, ამ სხარტულას ავტორად თავს ტარიელ ჭანტურია აცხადებსო. ამაზე მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია. გადის წლები და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენასთან დაკავშირებით თავის სატირულ პუბლიკაციაში ჯაბა ხუბუა იუმორისტულად განიხილავს საკითხს, ვისია ორსტრიქონიანი ლექსი:

„არა უჩუმრად, არა ფარულად,
ბიძინა მოვა ტრიუმფალურად!"

ჩანს, ბატონმა ჯაბამ მშვენივრად იცის, ვისაც ეკუთვნის იგი, მაგრამ იუმორისტულად ხან ვის მიაწერს მას და ხან ვის, მათ შორის – ტარიელ ჭანტურიასაც. ასეთ საუბარს გვთავაზობს:

„– აბა, ვინ დაწერა ახლა ეგ, შენი აზრით?

– რა ვიცი, ვინ დაწერა, ცოტა წერს ფუნაგორიებს?

– ტარიელ ჭანტურიას დაწერილია, ვითომ?... არადა, როგორ მომწონს ბიჭო მაგის ლექსები. ფუნაგორია ვიცი ერთი ზეპირად, ზუსტად ვიცი, მაგის დაწერილია.

–რომელი?

როცა ითარგმნა მარქსი მალულად, მაშინ დაგვერხა მაქსიმალურად" (გაზ. „ასავალ-დასავალი", 31 ოქტომბერი – 6 ნოემბერი, 2011, № 44, გვ. 4).

როსტომ ჩხეიძე სწორად აღნიშნავს, რომ ამ ლექსის ავტორი ო. ტაბიძეა, ოღონდ გაკვირვებულია და ერთგვარი სკეპტიციზმით უყურებს, თუ როგორ შეძლო მან ამის დაწერა. ის ასე მსჯელობს: „ჰოჰულარობით კი ეს ორსტრიქონედი ლამის ყველას წააჯარბებდა და ავტორობა ხან ვის მიეწერებოდა და ხან ვის, ვერაფრის დიდებით ვერ იჯერებდნენ, რომ ფილოსოფოსს შეეთხზა, რომელიც ჰოეტური ტალანტით დიდად არ გამოირჩეოდა. ეს მცირე ჰოემა კი მართლაც წარმატებული გამოსვლოდა და იქნებ თვითონაც საგონებელში ჩავარდნილიყო, ნეტავი მე მომაფიქრდა თუ სხვისას ვიმეორებ უნებურადო. გვარი იშვიათი ჰოეტურობით აღბეჭდილი ჰქონდა – ტაბიძე, ოთარ ტაბიძე, მინი ჰოემა კი, ეფექტური, ორიგინალური რითმის გარდა, ეჰოქალური სიღრმითაც გა–მოირჩეოდა“.

როგორც ვნახეთ, ბატონი თ. წივწივაძე ამ ეპიგრამას რამდენადმე განსხვავებულად, ხოლო ბატონი როსტომი შემდეგი სახით წარმოგვიდგენს: „რადგანაც ვთარგმნეთ მარქსი მალულად, მიტომაც გვიჭირს მაქსიმალურად“. ვარიანტთა გამო კი შენიშნავს: „«გვიჭირს» ქარგონული შესატყვისებით უფრო ტრიალებდა – ჰირვანდელი სულაც არ იყოს, იქნებ გახალხურებამ ძალაუნებურად მოითხოვა ის უფრო მძაფრი გამოთქმა... მაგრამ მთავარი რაც არის, ამ ეპიგრამა ჰოემაში, ის ხელუხლებლად რჩება“ (ესეც ჩვენი ბედისწერა, ჟურ. „ჩვენი მწერლობა“, 1 თებერვალი, 2008, № 3, გვ. 8). დიახ, როგორც ჩვენ ვიმოწმებთ, იგი უფრო სკაბრეზულია.

ვინც ოთარ ტაბიძეს იცნობდა, მას ამ ლექსების პოეტურობა, სიღრმე და სიმახვილე არ გააკვირვებს. იგი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო. შორეულად გალაკტიონ ტაბიძეს ენათესავებოდა. როგორც ოთარის მეუღლემ, ქალბატონმა ნაზი მამაგეიშვილმა, მაცნობა, გალაკტიონისა და ოთარის მამები მესამე თაობის ბიძაშვილები გახლდნენ.

საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის არქივში დაცული მასალების მიხედვით ვგებულობთ: ოთარ ისიდორეს ძე ტაბიძე დაიბადა 1925 წლის 30 მარტს ხონის რაიონის სოფელ ივანდიდში (ივანდიდი ტაბიძეთა გვარის სამკვიდრო სოფელია და, ვინც ჭყვიშში სახლობდა, იქიდან არის გადმოსული). გაიზარდა

ობლობაში, — როგორც ქალბატონმა ნაზიმ მითხრა, მამამისი 1924 წლის ამბოხების გამო ყოფილა დაპატიმრებული და საპყრობილეში ძის დაბადებამდე გარდაცვლილა. 1939 წელს დაამთავრა ივანდიდის არასრული, 1942 წელს — ხონის პირველი საშუალო სკოლა. სამი წლის განმავლობაში მუშაობდა ტყიბულის მაღაროში და ექსტერნატის წესით გამოცდებს აბარებდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც 1945 წელს ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსზე დასწრებული სწავლების სტუდენტად ჩარიცხეს. ინსტიტუტი დაამთავრა 1947 წელს. 1948–1952 წლებში ანგია ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით გადის ასპირანტურის კურსს. ამავე წლებში მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფსიქოლოგიის კათედრის ასისტენტად, შემდეგ - გორისა (1952–1953 წწ.) და თელავის (1953–1956 წწ.) პედინსტიტუტებში უფროს მასწავლებლად, 1956–1962 წლებში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლისა და სწავლული მდივნის თანამდებობებზე, 1962 წლიდან — ამავე აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში — ჯერ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო 1982 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების გამგედ. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებული ადამიანის პრობლემის კომპლექსური შესწავლის საქართველოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. გარდა ქუთაისის, გორისა და თელავის ინსტიტუტებისა, ლექციებს კითხულობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში. 1956 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1972 წ. სადოქტორო დისერტაციები. 1979 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. გარდაიცვალა 61 წლის ასაკში — 1986 წელს.

ბატონი ოთარის მეცნიერული დამსახურება აკადემიის არქივში დაცულ ფილოსოფიის ინსტიტუტის იმ დახასიათებაში, რომელსაც სხვებთან ერთად ხელს აწერს დირექტორი თამაზ ბუაჩიძე, ასეა შეფასებული: „ო. ტაბიძეს ფილოსოფიურ და ფსი-

ქოლოგიურ მეცნიერულ საზოგადოებაში იცნობენ როგორც მაღალნიჭიერ მკვლევარს... მისი შრომები გამოირჩევიან შესრულების მაღალი თეორიული და ლოგიკური დონით, შეიცავენ მნიშვნელოვან დასკვნებს, გაბედულ და საფუძვლიან მოსაზრებებს და სახავენ კვლევის ფართო პერსპექტივებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი შრომები ფილოსოფიური ანთროპოლოგიის დარგში. ო. ტაბიძე ეკუთვნის იმ მოწინავე ქართველ ფილოსოფოსებს, რომელთაც ბევრი გააკეთეს ადამიანის ფილოსოფიის კვლევის დაფუძნებისა და განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში. მეცნიერული დასკვნებიდან, რომელთაც შეიცავენ ო. ტაბიძის შრომები, განსაკუთრებით აღსანიშნავია დასკვნები ფსიქოფიზიკური პრობლემის შესახებ, განწუობის შეცვლის ძირითადი კანონის შესახებ, ექსპერიმენტები განწუობის მთლიანობითი ბუნების დასაბუთებისათვის..., ფსიქოლოგიისა და ქცევათმეცნიერების ადგილის განსაზღვრა მეცნიერებათა სისტემაში, დასკვნები ადამიანის მოთხოვნილებების, ცნობიერების, თავისუფლების, შემოქმედების განვითარების შესახებ, რიგი დასკვნები ახალი ადამიანის ფორმირების აქტუალურ საკითხებზე. ო. ტაბიძე მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა მეცნიერული მუშაობის ორგანიზაციისა და მეცნიერული კადრების მომზადების საქმეში“ და სხვა.

გარდა მეცნიერულისა, ო. ტაბიძეს სხვა არაერთი ინტერესი და მისწრაფება ჰქონდა. ერთ-ერთი ასეთი იყო ჭადრაკი. 1999 წელს საერთაშორისო დიდოსტატმა საჭადრაკო კომპოზიციაში დავით გურგენიძემ გამოსცა წიგნი – „ოთარ ტაბიძის საჭადრაკო ფილოსოფია“, სადაც წარმოდგენილია ბატონი ოთარის 50 საჭადრაკო ამოცანა. ისინი სხვადასხვა დროს საქართველოსა და მის გარეთ დაიბეჭდა. წინასიტყვაობაში გამომცემელი წერს: „ოთარ ტაბიძე უმაწვილკაცობაში ეზიარა ჭადრაკს და სწრაფად აუღო ალღო მის აზრსა და ლოგიკას. 40-იანი წლების ბოლოს იგი ქუთაისის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე იყო. 1947 წელს ქუთაისის ნაკრებმა მისი მონაწილეობით საქართველოს ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა. მაგრამ ოთარ ტაბიძე არ გაჰყვა პრაქტიკული თამაშის გზას, თუმცა საიმედო მონაცემები ჰქონდა. მან ამჯობინა კომპოზიცია, რომელშიც თავიდანვე დიდი ფანტაზია და შრომის-

მოუვარეობა გამოამჟღავნა“. აი, კიდევ ერთი ამონაწერი ამ წიგნის შესავლიდან: ოთარ ტაბიძის „... პირველი ამოცანა 1939 წელს დაიბეჭდა... 1947 წელს მისმა ორმა ამოცანამ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გამოცხადებულ კონკურსში I-II პრიზები გაიყო, ხოლო 1957 წელს მან გაიმარჯვა საქართველოს საჭადრაკო კომპოზიტორთა პირველ ჩემპიონატში... სამოციან წლებში ოთარ ტაბიძემ თვითმეოფადი ამოცანების მთელი სერია გამოაქვეყნა იუგოსლავიის ჟურნალ «პრობლემში». ეს ჟურნალი ფიდესთან არსებული საჭადრაკო კომპოზიციის მუდმივი კომისიის ოფიციალური ორგანო იყო... «პრობლემში» 1969-1970 წლებში გამოქვეყნებული სამსვლიანი ამოცანების კონკურსში ცნობილმა დანიელმა საჭადრაკო კომპოზიტორმა ვალტერ იორგენსონმა პირველი პრიზი მიანიჭა ბატონი ოთარის ამოცანას...“ (გვ. 2).

ზურაბ ცუცქირიძე თავის მოგონებათა მშვენიერ წიგნში „დიდი ეზო“ (თბ., 2008) გვიყვება: ოთარ ტაბიძე „შესანიშნავი მოქალაქე და ღირსეული მამულიშვილი გახლდათ, ტანად სრული, სასიამოვნო მოსაუბრე და თანამეინახე. მას იცნობდნენ აგრეთვე, როგორც ნიჭიერ საჭადრაკო ეტიუდისტს. ჩვენს ეზოში (საუბარია მიხეილ ზანდუკელის ქუჩის პირველ ნომერზე, სადაც ფსიქოლოგიის ინსტიტუტი და რამდენიმე სხვა სამეცნიერო დაწესებულება მდებარეობდა. – **ბ. დ.**) ჭადრაკის თამაშში ბადალი არ ჰყავდა, ოსტატის დონეზე თამაშობდა. სხვათა შორის, ამ ეზოში განლაგებულ დაწესებულებებში, ტრადიციულად, ბევრი ძლიერი მოყვარული მოჭადრაკე იყო, ხოლო ჰედაგოგიკის ინსტიტუტში გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა დაუვიწყარი ელისო კაკაბაძე, ერთხანს კი – მანანა ტოგონიძე... ქართველ მოჭადრაკე ქალთა პირველი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლები“ (გვ. 87).

ოთარ ტაბიძე შესანიშნავი მონადირე, სოკოს მძებნელი და შემგროვებელი იყო. მახსოვს, რა გატაცებით მიყვებოდა სოკოს შესახებ გერმანულად გამოცემულ ახალშეძენილ წიგნზე, სადაც დადასტურებული იყო სხვა წიგნებშიაც აღნიშნული: საჭმელი სოკოს ერთ-ერთი სახეობა როგორ ჰგავს შხამიან სოკოს და გარეგნულად რომ მისგან არაფრით განსხვავდება.

საერთოდ, ბატონი ოთარი უკეთილშობილესი და სათნო ადამიანი, გულითადი სამეგობრო და კოლორიტული პიროვნება გახლდათ. მის პიროვნულ და შემოქმედებით მრავალფეროვნებას უფრო ფართოდ და საფუძვლიანად ახასიათებს ანზორ ბრეგაძე თავის წიგნში *„ქართველი ფილოსოფოს-ანთროპოლოგები“* (თბ., 2007, გვ. 71-93) და მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს, — ბატონი ოთარის მწერლურ მიდრეკილებას. ბატონი ანზორი გვაუწყებს, რომ იგი „მოცალეობის ჟამს მხატვრული ლიტერატურის შედევრებსაც თარგმნიდა გერმანული და რუსული ენებიდან“ (გვ. 78). ზურაბ ცუცქირიძე გვაუწყებს: „ოთარ ტაბიძეს ჩვენს ეზოს გარეთ ნაკლებად იცნობდნენ როგორც ჰოეტს, დ ი დ ე ბ უ ლ ი ლექსების ავტორს. არც არის გასაკვირი. ბატონ ოთარს არასოდეს უცდია თავისი ლექსების გამოქვეყნება. ერთხელ ჩვენმა და მისმა მეგობარმა გივი სამსონაძემ ჰკითხა: ოთარ, რატომ არ აქვეყნებ ლექსებს, სხვებს მაგის მესამედი ღირსების ლექსებიც არ აქვთ და ჰოეტებად მიიჩნევენო. მე რომ ვიყო, უსათუოდ გამოვაქვეყნებდიო.

– შენ რომ იყო, ჩემო გივი, რა გენაღვლება, გამოაქვეყნებდი, ალბათ, სახელსაც მოიხვეჭდი, მაგრამ ჩემი საქმე სხვაგვარად არის. საქართველოში ორი გენიოსი ჰოეტი ჰყავთ ტაბიძეებს – გალაკტიონი და ტიციანი. მე რა უნდა დავწერო ისეთი, რომ მესამე ტაბიძე, როგორც ჰოეტი, სასაცილო არ გახდეს? ალბათ, მართალი იყო ბატონი ოთარი...“ (დასახელებული წიგნი, გვ. 87). ბატონი ოთარის ოჯახში დაცულია მისი არა ერთი და ორი საკუთარი და ნათარგმნი ლექსი. მათგან მის მიერ პოეტურად გაწყობილი სერგეი ესენინის სამი ლექსი გამოვაქვეყნეთ ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ (7 აგვისტო, 2009, № 16, გვ. 52-53).

დავუბრუნდეთ სხარტულებს. ბატონი ოთარისაა ფუნაგორია:

„ატყდა ცეკა და, ტეკა და,
უნდა გავმართოთ დეკადა,
უნდა წავიდეთ მოსკოვში
მუხლების მოსადრეკადა“.

ამ ლექსის პირველ სტრიქონში აკაკი ხინთიბიძე „ატყდას“ მაგივრად წერს „*შესძრეს*“ („მოგონებანი გარდასულ დღეთა“, 2006, გვ. 10–11), ხოლო როსტომ ჩხეიძე პირველ სტრიქონს ასე წარმოგვიდგენს: „*შეიძრა ცეკა-ტეკა და*“ (დასახელებული ჟურნალი, გვ. 7), რაც არასწორია. უნდა შევნიშნოთ, ეს სტრიქონი დაწერილია ვახტანგ მეექვსის ლექსის ყაიდაზე: „*რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი და...*“.

აკაკი ხინთიბიძე აღნიშნულ წიგნაკში წერს: „ჩემს მოგონებებში საგანგებოდ ვუვლი გვერდს გალექსილ სხარტულებს, რომელთა რაოდენობა აურაცხელია, მაგრამ ამისგან თავს ვერ შევიკავებ“ და იმოწმებს ამ ლექსს, ავტორის ვინაობაზე კი არაფერს ამბობს.

ავტორობის საკითხზე საგანგებოდ მსჯელობს როსტომ ჩხეიძე და უფრო იმათკენ იხრება, ვინც მას კარლო კალაძეს მიაწერს. მოვუსმინოთ მას: „ვისიაო, – ჰირველმთქმელის ვინაობის გამორკვევას რომ შეეცდებოდნენ, ლიტერატურულ წრეებში ... კარლო კალაძესთან მიჰყვანდათ ძებნა-ჩხრეკა და ... დაჯერება ძალიან გაუძნელდებოდათ“. შემდეგ ჩამოთვლილია ეჭვის გამომწვევი მიზეზები: „თუ ვინმე იყო კომუნისტური რეჟიმის თავგადაკლული მეხოტბე, კარლო კალაძე მათ შორის. თუ ვინმეს სწყალობდა საბჭოთა ხელისუფლება და თავიანთ ბურჯად ეგულებოდათ, კარლო კალაძეც. თუ ვინმეს მიეშურებოდა სიხარულით მოსკოვში და თუ ვინმე არ დაიღლებოდა ამ დეკადის ქებით, კარლო კალაძეც“ და ა. შ. ბოლოს დიდი ეჭვის ერთხელ კიდევ გამოთქმის შემდეგ გადაჭრით არის ნათქვამი, რომ ავტორი კარლო კალაძეა: „შეუძლებელია კარლო კალაძის იუოსო, – უარობდა არაერთი. შეუძლებელია თუ არა, მისია და ხომ არ ჩამოვართმევთ საეჭვო წარსულის გამო, – არწმუნებდნენ საქმეში უფრო ჩახედული ჰირნი და ... გული წუდებოდათ: რა ღირსია, ასეთი ეჰიგრამა რომ შეეთხზა, ჩვენთვის უფრო უჰრიანი არ იქნებოდაო“ (იქვე, გვ. 7).

დიახ, აღნიშნული ლექსი ბატონი ოთარისაა.

ოთარ ტაბიძე ამგვარი ლექსების შესანიშნავი ოსტატი რომ იყო, მისმა მეგობრებმა და ნაცნობემა კარგად იცოდნენ და სათანადოდაც აფასებდნენ ამ ნიჭს. ანზორ ბრეგაძე წერს, რომ მისგან „დარჩა ერთი ამოსუნთქვით შექმნილი ეპიგრამები... ფუნაგორიებს არასოდეს იწერდა, სპონტანურად იტყოდა და მეისვე ვრცელდებოდა“ (გვ. 76). მოხდა უჩვეულო რამ: ბატონი ოთარის გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგ, 1998 წელს, ფსიქოლოგმა გივი სამსონაძემ და ფილოსოფოსმა ვაჟა გოგიბერიშვილმა აკადემიურ ჟურნალში, ფილოსოფიის სერიის „მაცნეში“, რუბრიკით „*ფილოსოფოსები ფილოსოფიის გარეშე*“ კარგა ბლომად გამოაქვეყნეს მისი ამგვარი ლექსები. სათაურიც შესაბამისი მისცეს: „ოთარ ტაბიძის «ფუნაგორიები»“ (№ 2, გვ. 106–109).

აქ არის დაბეჭდილი ცნობილი სხარტულა:

„«არაგეში» ვართ, არა გვშია, არა გვინდა რა,
გალეწილი გამოვდივართ «არაგვიდანა»“.

როცა მეცნიერთა ხელფასი ყოველდღიურად უფასურდებოდა და მისმა მეგობარმა, ფსიქოლოგმა უჩა ბერეკაშვილმა, საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, ბატონმა ოთარმა ციკლი შექმნა – „*უჩას დისერტაცია*“, სადაც ერთგან იკითხება:

„...უჩავ! მოეშვი კათედრას, სულერთი არის, ვინ ისმენს,
კანდიდატობა რათ გინდა – აკადემიკოს ღვინის
მსმელს?!
უჩავ ჯიგარო, ნუ ფიქრობ, რომ გამდიდრდები ხარისხით,
ორ იმდენ ხელფასს მოგცემენ, სამი იმდენის
დარიცხვით“.

და სხვა.

ვინც ამ პუბლიკაციას გაეცნობა, დიდ სიამოვნებას მიიღებს და ბატონი ოთარის ამ დარგში ნიჭზე ეჭვი აღარ შეეპარება.

გთავაზობთ ო. ტაბიძის კიდევ ორ სხარტულას, რომლებიც, ასე ვიცი, გამოუქვეყნებელია. უნივერსიტეტის იუბილეს აღნიშ-

ვნის გამო, როდესაც მისი რექტორი დიდებული მეცნიერი და პიროვნება ილია ვეკუა გახლდათ, ბატონმა ოთარმა დაწერა:

„უცხოელებს ტოლს არ ვუდებთ,
არაფერში ვეპუებით,
ანკეტებით, ბანკეტებით,
ვეჩრებით და ვეკუებით“.

ერთხელ კიდევ საგანგებოდ და ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ: არც ერთი ეს ლექსი ავტორს გამოსამზეურებლად განზრახული არა ჰქონია, არც ღრმა გულით შეუქმნია, ისინი მხოლოდ და მხოლოდ შინაურობაში სალაღობოდ, ბოლო მათგანი კი სარითმო ხელოვნების წარმოსაჩენად არის დაწერილი.

სკაბრეზული, მაგრამ მსუბუქი იუმორის შემცველია ო. ტაბიძის შემდეგი ლექსი. როდესაც თელავში რაიკომის პირველი მდივანი თეიმურაზ ბადურაშვილი გახლდათ, მას თბილისიდან ესტუმრა მეგობართა ჯგუფი, მათ შორის ოთარიც. ბატონმა თეიმურაზმა სტუმრები კარგად აქეიფა და ამხიარულა. ამაზე ბატონმა ოთარმა შექმნა მეგობრული შარჟი სათაურით *„კახური მოზაიკა“*:

„გზებზე სუფრები გაშლილი,
ქალები ვნებააშლილი,
კაცთა ვირებთან კავშირი
და ... თემო ბადურაშვილი!“

ანზორ ბრეგაძემ მიამბო: ერთხელ სამსახურის ოთახიდან გივი სამსონაძე გამოვიდა და იცინოდა. აგვიხსნა: ოთარ ტაბიძეს დაუნახავს, ფილოსოფოს ოთარ ჯიოევს, რომელსაც მეგობრები ჯ ი ო ს ეძახდნენ, როგორ ეკურკურებოდა ერთი „თავგადასავლიანი“ თანამშრომელი ქალი. ოთარ ტაბიძეს ჩაულაპარაკია (ვცვლით ზოგიერთ სიტყვას): „(იქსი) უხსნის სოფლელ ჯიოს (იმ საქმისა) სოლფეჯიოს“.

დასასრულ, გავიხსენებ ბატონი ოთარის ერთ ენაკვიმატობას, რომელიც დიმიტრი დარჩიამ მიამბო და გაზეთ „საქარ-

თველოში“ გამოვაქვეყნე (1996, №56, გვ. 7): ჩვენმა პედაგოგიურმა საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა იან კომენსკის დაბადების 300 წლისთავი. ჩატარდა სამეცნიერო სესიაც. როცა სესიაზე მოსულმა ოთარმა მოსაწვევ ბარათში ამოიკითხა, რომ ერთ ფრიად სოლიდურ მეცნიერს მოხსენებად გამოჰქონდა „*იან ა მ ო ს კომენსკის ფსიქოლოგიური შეხედულებანი*“, ჩაილაპარაკა:

— ყოჩაღ, ა მ ო ს ო ბ ა ამასაც დაუწყია!

ბატონმა ოთარმა იან ა მ ო ს კომენსკის მეორე სახელი „ამოს“ გაათამაშა.

ვიცოდი, რომ ოთარ ტაბიძეს ალექსი ჭინჭარაულსა და ვახუშტი კოტეტიშვილთანაც უწევდა ლექსთმაეგობა („მაცნეში“ დაბეჭდილ „ფუნაგორიებში“ ა. ჭინჭარაულთან ერთი ამგვარი გაპაექრებაც არის მოთავსებული). ამაზე ბატონ ვახუშტისაც ვკითხე. მან დამიდასტურა, რომ ამგვარი შემთხვევები სუფრაზე ბევრჯერ გვქონდა, მაგრამ ნიმუშები აღარ მახსოვს. ვხედავდი, მასპინძლები იწერდნენ და, შეიძლება, მათ შემონახული ჰქონდეთო. ამ მასპინძელთაგან ერთ-ერთს, ენათმეცნიერ ბელა ქობალავას, დავუკავშირდი. მან დანანებით მითხრა, რომ მის ოჯახში ეს შეხვედრები იმდენად სულმოუთქმელი ხარხარით მიმდინარეობდა, ჩაწერის დრო სად იყოო. მან მხოლოდ ორიოდე ცნობილი ლექსი გაიხსენა. იქნებ, ისინი სხვებს ახსოვდეთ ან ჩანაწერები აღმოაჩნდეთ!

ისევ სადავო სხარტულათა შესახებ

2008 წელს ჟურნალ „*ჩვენს მწერლობაში*“ (№ 15, გვ. 41–43) დავბეჭდე ცნობილი მეცნიერის, ფილოსოფოსისა და ფსიქოლოგის ოთარ ტაბიძისადმი მიძღვნილი წერილი „*მეცნიერი და მახვილმესიტყვე*“, სადაც ვცდილობ წარმოვაჩინო მისი იუმორისტული სხარტულა-კაფიები. ამავე ჟურნალში მას მაშინვე გამოეხმაურა ემზარ კვიტაიშვილი (№ 17, გვ. 29–31), რომელიც იქ წარმოდგენილი ლექსებიდან ორის ოთარ ტაბიძისადმი კუთვნილებას უარყოფს. ერთია „*«არაგვში» ვართ, არა გვშივა...*“, რომლის ავტორად ის ბატონ ჯანსულ ჩარკვიანს ასახელებს. ბა-

ტონი ემზარი წერს: „ბატონი ბორისი უნებლიეთ შეუცდენიათ ბატონებს – გივი სამსონაძესა და ვაჟა გოგიბერიძეს (უნდა: გოგობერიშვილს– ბ. დ.), აკადემიურ ჟურნალში, ფილოსოფიის სერიის «მაცნეში» 1998 წელს ოთარ ტაბიძის ფუნაგორიებთან ერთად ცნობილი სხარტულა რომ დაუბეჭდავთ. ეს სხარტულა ცნობილი ნამდვილადაა და ასევე ნამდვილად ეკუთვნის მახვილსიტუვაობით გამორჩეულ ჩვენს სახელოვან ჰოეტს ჯანსუღ ჩარკვიანს. ჰოეტმა იგი ახალგაზრდობისას, გვარის მოუწერლად, ჟურნალ «ნიანგში» გამოაქვეყნა და უყელას ჰირზე ეკერა, ოღონდ «მაცნეს» ვარიანტში ერთი სიტყვა («ვალეწილი») შეცდომით წერია; დარღვეულია ალიტერაცია, ქღერადობა. ჰირვანდელი, ავტორისეული ტექსტი ასე გამოიყურებოდა (ნახატი–კარიკატურაც ერთვოდა):

«არაგვში» ვართ, არა გუშივა,
არა გვინდა რა,
გალეშილი გამოვდივართ
«არაგვიდანა».

კარგად მახსოვს, იმ სუმრობის ჰონორარით ჯანსუღმა ზაურ ბოლქვაძე და მე მტკვრისჰირა ლუდის რესტორანში დაგვპატიჟა. მაშინ «არაგვში» არ შევსულვართ, თუმცა საკმაოდ ვისიამოვნეთ“ (გვ. 29).

უნდა შევნიშნო, მე არსად ვწერ, ეს სხარტულა ოთარ ტაბიძეს ეკუთვნის–მეთქი. გულახდილად რომ ვთქვა, არავითარი პრეტენზია არც მაშინ მქონია და არც ახლა მაქვს, დაბეჯითებით ვამტკიცო, თუ ვინაა მისი ავტორი. ამ საკითხს მე არ ვეხები. წერილში მხოლოდ ის უ ჩ ვ ე უ ლ ო ამბავი აღვნიშნე, რომ აკადემიურმა ჟურნალმა, საერთოდ, ლექსებს და, მეტადრე, ამგვარ ლექსებს ადგილი დაუთმო, ხოლო იქიდან ნიმუშად ორიოდე დავასახელე. ამაზე კი მიწერია: „აქ არის დაბეჭდილი ცნობილი სხარტულა“, დამოწმებულია იგი და მეტი არაფერი!

რადგან საკითხი ასე პრინციპულად დადგა, საჭიროა, მას ბოლომდე და ძირისძირობამდე მივყვეთ. ბატონმა ემზარმა კი პასუხგაუცემელი კითხვები დაგვიტოვა. როდის დაიბეჭდა ის „ნიანგში“, რატომ დაიბეჭდა ხელმოუწერლად და არა თუნდაც

ფსევდონიმით? ის ხომ რაიმე პოლიტიკურსა და მიუღებელს არ შეიცავს! ამ ერთ ბეწო ლექსში რა ისეთი ჰონორარი აიღეს, სამმა მგელივით ბიჭმა რომ „საკმაოდ ისიამოვნა“? ბატონმა ჯანსულმა შეიტანა თუ არა იგი თავისი ლექსების რომელიმე კრებულში? რაც ის „მაცნე“ გამოვიდა, სადაც ეს სხარტულაა დაბეჭდილი, მას შემდეგ 10 წელი გავიდა. ვინმემ რატომ ვერ შენიშნა ეს შეუსაბამობა? და ასე შემდეგ.

მეორე მხრივ, გივი სამსონაძე და ვაჟა გოგობერიშვილი აღნიშნავენ, თუ რა ვითარებაში შეიქმნა ეს ლექსი: „ერთხელ ფუნიკულიორზე ვქეიფობდით. – წერენ ისინი, – ოთარმა აიტეხა – «არაგვში» ჩავიდეთ, «შქერული» ვჭამოთო“. ჩავედით, მაგრამ საკმაოდ დამძიმებულებს ჰირში არაფერი ჩაგვიდგია, ისე გამოვედით იქიდან. უხერხულობა ისევ ოთარმა განმუხტა“ და მოყვანილია ეს სხარტულა (გვ. 108).

ანზორ ბრეგაძის ცნობით, ოთარ ტაბიძე „... ფუნაგორიებს არასოდეს იწერდა, სპონტანურად იტოდა და მეისვე ვრცელდებოდა“ (ანზორ ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი ფილოსოფოს-ანთროპოლოგები, თბ., 2007, გვ. 76). ზურაბ ცუცქირიძის სიტყვებით, ბატონი ოთარის „ლექსები, განსაკუთრებით ფუნაგორიები, ჩვენს ეზოში ბევრმა ზეპირად იცოდა“ (ზ. ც უ ც ქ ი რ ი ძ ე, ჩვენი ეზო, თბ. 2008, გვ. 88). აშკარად ჩანს, გივი სამსონაძე და ვაჟა გოგობერიშვილი ამ შემთხვევაშიც ზეპირგადმოცემით სარგებლობდნენ. ამიტომ გასაგებია და ემზარ კვიტაიშვილი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ „*გალეწილის*“ მაგივრად „*გალეშილი*“ უნდა. ასევეა პირველ სტრიქონშიაც: უნდა „*არა გვშივა*“ და „*არა გვშია*“.

ერთიც უნდა დავუმატოთ: ისე მახსოვს, ლექსში „*გამოვდივართ*“ სიტყვის ნაცვლად იყო „*ამოვდივართ*“, რაც შეესაბამება არა იმ რესტორან „არაგვს“, რომელიც ბოლოს მტკვრის ნაპირას მდებარეობდა, არამედ ადრინდელს, პუშკინის ქუჩის ბოლოს სარდაფში რომ იყო მოთავსებული.

ჩემს ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ანზორ ბრეგაძე უცვლელად იმეორებს „მაცნეს“ ტექსტს, მათ შორის, ამ სხარტულასა და მასზე დართულ ცნობას, თუ როგორ შეიქმნა იგი.

მეც ბატონი ჯანსულის, მისი ნიჭის პატივისმცემელი ვარ. რადგან ბატონი ემზარი იმოწმებს მის რუსულად შეთხზულ ამგვარ ლექსს, რომელიც ჩვენს საკითხს უშუალოდ არ ეხება, მეც მოვიგონებ მის მიერ გამოთქმულ ერთ გონებასხარტ იუმორისტულ გამონათქვამს.

სოკოს ნადირობის მოყვარული გახლავართ და ერთხელ წავაწყდი უჩვეულო დიდ სოკოს, რომელიც, არც მეტი და არც ნაკლები, ერთი კილოგრამი გამოვიდა. ამ სოკოთი დაინტერესდა გაზეთ *„საქართველოს რესპუბლიკის“* მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი, ამ სოკოსთან ერთად სურათი გადამიღო და თავის გაზეთში მოათავსა (2006, № 210, გვ. 16). რედაქციაში რომ მივედი, იქ ბატონი ჯანსულ ჩარკვიანი დამხვდა. როცა საუბრისას აღვნიშნე, რომ თბილისის შემოგარენის ტყეებში უამრავი სოკოა-მეთქი, ბატონმა ჯანსულმა „განმარტა“, ამიტომ ეწოდება ჩვენს ქვეყანას *„საქართველოო“*, მოდის სიტყვიდან – *„სოკორთველო“*.

...და მისგან რამდენი ასეთი „ეტიმოლოგია“, სიტყვასა და აზრში წვდომა მომისმენია და წამიკითხავს!

რაც შეეხება ბატონი ჯანსულის იმ რუსულ სხარტულას, რომელსაც ბატონი ემზარი გვაცნობს, წერილში ამ სახითაა წარმოდგენილი:

Не зажгутся заново
Лампочки Ульянова!

ბატონი ემზარი წერს: „რუს ჰოეტებს ძალიან მოსწონებიათ ეს ექსპრომტი (დიდი ცოდვა არაა, რომ მეორე სტრიქონში ერთით მეტია მარცვალი)“ (გვ. 29). მერამდენედ წავიკითხე და მე აქ ზედმეტი მარცვალი ვერ აღმოვაჩინე.

ახლა დავუბრუნდეთ სადავო საკითხს. სრულებითაც არ მინდა, ბატონი ემზარის ცნობაში ეჭვი შევიტანო, მაგრამ ახლა, როცა არც ოთარ ჭაბიძე და არც აღნიშნული სხარტულას გამომქვეყნებელი გივი სამსონაძე და ვაჟა გოგობერიშვილი ცოცხლები აღარ არიან, მე, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსს, პასუხგაუცემელი კითხვების დატოვების უფლება არა მაქვს. ახ-

ლახან მივიღე ბატონი ჯანსულის მეულლის, ყოველმხრივ შემკობილი ქალბატონის, ირმა ჩხეიძის, მშვენიერი წიგნი „*იცხოვრეთ სამ დროში*“ (2009). ავტორმა ის გულთბილი წარწერით მიასახსოვრა, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებ. ქალბატონ ირმას აქ მოჰყავს ბატონი ჯანსულის უაღრესად ენამოსწრებული, სხარტი, სიბრძნითა და სილამაზით დამშვენებული, სამოქალაქო და პატრიოტული სულისკვეთებით დამუხტული კაფია-სხარტულები, რომელთაც პოეტი „*სიცილნათელებს*“ უწოდებს (ეს სახელიც რა დიდებულად არის შერჩეული!).

ქალბატონი ირმა აღნიშნულ სადავო ლექსსაც ეხება და წერს: „ასეთი «სიცილნათელები» უამრავია. ყველას მოგონება შეუძლებელია. ჯანსულს ჩ ვ ე უ ღ ე ბ ა დ ჰ ქ ო ნ დ ა – იხუმრებდა და ამ ხუმრობას ს ხ ვ ა ს მ ი ა წ ე რ დ ა ხოლმე. ამიტომაც ბევრი მათგანი გ ა ფ ა ნ ტ უ ლ ი ა და დ ა კ ა რ გ უ ლ ი. არ გაუშვებდა მომენტს, რომ არ ეხუმრა. ასეთია მისი კალამბური („არაგვში ვართ“ – **ბ. დ.**), რომელიც აღრეულ სიჭაბუკეშია ნათქვამი და რ ა ტ ო მ ღ ა ც ამჯერად გაუგებრობა გამოიწვია“ (მხედველობაში აქვს წინამდებარე სტატია, რომელიც 2008 წლის ნოემბერს „*ჩვენს მწერლობაში*“ უნდა დაბეჭდილიყო).

ქალბატონი ირმა ბოლოს დასძენს: „აქვე მინდა გავიხსენო: ჯანსულის დედა – ჰისტი გელოვანი – შეწუხებული ეუბნებოდა მამამისს: «მიხედე, კაცო, ამ ბავშვის საქმე ცუდად არის, ხან არაგვშია, ხან უაზბეგში, ხან დარიალში». ჯანსულის მამას გაეცინა და უთხრა: «ქალო, ეს რესტორნების სახელებიაო». ეს კალამბურიც იმდროინდელია“ (გვ. 446–447).

ბატონი ჯანსული რომ კაფია-კალამბურების დიდოსტატია, უკვე რამდენიმეჯერ ვთქვი, ეს ყველასთვის და ჩემთვისაც ნათელია, მაგრამ, თუკი აღნიშნული ორსტრიქონიან ლექსის ავტორობაზე შევჩერდი, იმიტომ, რომ ბატონი ემზარის დასაბუთება არ მომწონს. მას რომ ერთი სიტყვით ეთქვა, ბატონი ჯანსულისააო,

ხმას არ ამოვიღებდი. მე ამ საკითხს არ ვიკვლევ და ამჯერად ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ეს დიდებული კალამბური არსებობს.

¤

მეორე საკითხი. ბატონი ემზარი წერს: „მთლად დამაჯერებელს არ ჰგავს ბორის დარჩიას კატეგორიული დასკვნა, რომ სამოსკოვე დეკადაზე დაწერილი სხარტულა ოთარ ტაბიძის ნახელავია. «ჩვენი მწერლობის» რედაქტორი როსტომ ჩხეიძე ალბათ სწორად იხრება იმ აზრისკენ, რომ იგი გონებამახვილობით განთქმულ, მწერალთა კავშირის შინაურ საქმეებში უფრო ჩახედულ კარლო კალაძეს ეკუთვნის. სენსაციური და დაუჯერებელი აქ არაფერია, მით უმეტეს, შედარებით განვრცობილ ვარიანტში ფიგურირებს მწერალთა კავშირის მაშინდელი საორგანიზაციო მდივანი სერგი ჯილაია, ვისაც მოსკოვს გასამგზავრებელი მწერლების სია უნდა შეედგინა. ეს ხდებოდა ქართველთა ჰათოლოგიურად მოძულის, უეცერი და სისხლიანი ნიკიტა ხრუშჩოვის დამხობამდე. მაშინ ითქვა, რომ მან უკვე მომზადებული ქართული კულტურის დეკადა ჰირადად ჩაშალა, რაც კიდევაც აისახა ფინალში იმ ვარიანტისა, ჩემს მეხსიერებას რომ შემორჩა:

ატყდა ცეკა და ტეკადა,
სერგიმაც ბევრი რეკა და,
მოსკოვს წავიდა დეკადა
მუხლების მოსადრეკადა.
ბოლოს წამოდგა ნიკიტა,
საჯდომი მოიქექა და
ქართველებს უთხრა: «ნეკაგდა»“ (გვ. 30).

ასე მესახება: ადრე ბატონი როსტომ ჩხეიძე კარლო კალაძის ავტორობისაკენ იმიტომ იხრებოდა, რომ უფრო დამაჯერებელ სხვა კანდიდატურას ვერ ასახელებდნენ. მე კი მიმაჩნია, სავსებით საყურადღებო და საფუძვლიანია მის მიერ გამოთქმული ეჭვები.

ერთხელ კიდევ მოვუსმინოთ მას: „ვისიაო, – ჰირველმთქმელის ვინაობის გამორკვევას რომ შეეცდებოდნენ, ლიტერატურულ წრეებში ... კარლო კალაძესთან მიჰყვანდათ ძებნა-ჩხრეკა და ... დაჯერება ძალიან გაუძნელდებოდათ. თუ ვინმე იყო კომუნისტური რეჟიმის თავგადაკლული მეხოტბე, კარლო კალაძე მათ შორის. თუ ვინმეს სწყალობდა საბჭოთა ხელისუფლება და თავიანთ ბურჯად ეგულებოდათ, კარლო კალაძეც. თუ ვინმეს მიეშურებოდა სიხარულით მოსკოვში და თუ ვინმე არ დაიღლებოდა ამ დეკადის ქებით, კარლო კალაძეც“.

არა მგონია, საბუთად გამოდგეს ის, რომ კარლო კალაძე დეკადის მოწყობის საქმეში უფრო ჩახედული ბრძანდებოდა. დეკადა რომ ჩატარდა, ფაქტია. ბატონი ემზარის ვარიანტში დეკადის ჩაშლაზეა საუბარი. მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს ვარიანტი პირველის შევსება-გაგრძელებაა. კიდევ ერთხელ წავიკითხოთ იგი:

„ატყდა ცეკა და, ტეკა და,
უნდა გავმართოთ დეკადა,
უნდა წავიდეთ მოსკოვში
მუხლების მოსადრეკადა“.

ფრიად ნიშანდობლივია, რომ, როგორც უნივერსიტეტისა და იან კომენსკის იუბილეებისადმი მიძღვნილ სხარტულებში გამოჩნდა, ბატონი ოთარ ტაბიძე შინაგანად ამ პომპეზური ღონისძიებებისადმი უარყოფითად არის განწყობილი. ამ მხრივ „დეკადის“ ლექსიც მათ გვერდით დგას[2].

---

[2] ამ სხარტულებზე მსჯელობა ჟურნალ *„ჩვენი მწერლობის“* ფურცლებზე გაიმართა. გადის წლები და ამ ჟურნალის კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი თ ა მ ა ზ ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი ამავე ჟურნალში მას, როგორც ფოლკლორულ მასალას, შეცვლილად და უავტოროდ იხსენებს. წერს: „ათას ცხრაას ორმოცდარომელიღაც წელს მოსკოვში მორიგი «გარჩევა» ტარდებოდა ქართული მწერლობისა – ჩვენი დიდი მეგობრის, ჰოეტ ტიხონოვის თამადობით (როგორც ერთი მაშინდელი

ერთი სიტყვით, ეს ძიება ალბათ ჩვეულებრივი მკითხველისათვის ზედმეტია, — მათთვის მთავარია, რომ ეს შედევრები არსებობს. მაგრამ, ვიმეორებთ, ჩემთვის და ლიტერატურის მკვლევართათვის ჩიტი ბრდღვნად ღირს!

დასასრულ, უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ძვირფას ემზარ კვიტაიშვილს ჩემდამი იქ გამოთქმული თბილი და საქებარი სიტყვებისათვის, იმ წუხილისათვის, რომ მე ლიტერატურის ინსტიტუტიდან გაძევებული ვარ. ბატონი ემზარი წერს: „ბორის დარჩია, საუკეთესო მეცნიერი, ამაგდარი რუსთველოლოგი... კონკრეტულად არავისი ბრალი არაა, მაგრამ სამწუხარო გაუგებრობად ვთვლი, რომ ეს უჰატიოსნესი კაცი რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში აღარ მუშაობს...“ (გვ. 30). გამაოცა სიტყვებმა — „კონკრეტულად არავისი ბრალი არაა“–ო. გამაკვირვა და გამაოცა იმიტომ, რომ ჩემი ეს ტრაგიკომედია ბატონი ემზარის თვალწინ გათამაშდა და, რაც მთავარია, ამაზე გამოცემული მაქვს 330-გვერდიანი წიგნი — *„უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“* (თბ., 2008).

ვაჟა-ფშაველას ლექსში *„ფშაველი ჯარისკაცის წერილი“* „რუსეთში მყოფი“, რუსეთის იმპერიის ძლიერებისათვის მებრძოლი ფშაველი დაეჭვებით კითხულობს: „ნეტავ, თუ დაგვიფასდება ქართველთა შვილებს ამაგი?!...“. ძვირფას ემზარს მეც ამავე სიტყვით უნდა ვკითხო: „დაგიფასებენ“ ამ მფარველობას ხელისუფლებისაგან აღზევებული ბატონები ელგუჯა ხინთიბიძე, რევაზ სირაძე, ირმა რატიანი, რომლებმაც ეს უსამართლობა ჩაიდინეს?!

რადგან სიზუსტეზე ჩამოვარდა საუბარი, ბარემ ბატონი ემზარის იმ მოგონებასაც შევეხები, ჩემზე ასევე გულთბილად რომ წერს: „უნივერსიტეტში ყოფნის დროსაც უაღრესად ბეჯითი სტუ-

---

შაირი გვამცნობს: «თავს სიხარული დაგვატყდა, უნდა გავმართოთ დეკადა, უნდა წავიდეთ მოსკოვში მუხლების მოსადრეკადა»...)“ („ჩვენი მწერლობა“, 27 მაისი, 2011, № 11, გვ. 36).

დენტი იყო. ზოგიერთი ლექცია ერთად გვქონდა. ქართულ ენაში ლექციების კურსს უბრწყინვალესი პიროვნება და სამაგალითო სწავლული ივანე გიგინეიშვილი გვიკითხავდა. ერთხელ ბატონმა ივანემ დაფაზე ცარცით რაღაც წრეები დახაზა, იქეთ-აქეთ ისრები გაუკეთა, კორელატი სიტყვის ამოცნობა უნდა გასწავლოთო და დაახლოებით ნახევარი საათი გველაპარაკა. მერე იკითხა, აბა, გამოდით, რაც აგიხსენით, როგორ აითვისეთო. რეზო ჯეიშვილმა, თემურ მაღლაფერიძემ, ჰავლე ჩარკვიანმა და მე თავები დავხარეთ. ბორის დარჩიამ მყისვე ასწია ხელი, დაფასთან გავიდა და ყველაფერი შეუცდომლად ჩაარაკრაკა. ლექტორმა შეაქო, წაახალისა წარჩინებული სტუდენტი, ვინც ასეთი საზრიანობა გამოიჩინა. რეზო ჯეიშვილმა და მე (რევაზ სირაძესა და გრიგერ ფარულავაზე იგივეს ვერ ვიტყვი) დაბეჯითებით ახლაც არ ვიცით, ის თავსატეხი «კორელატი სიტყვა» რას ნიშნავს. ახალშექებულ ბორის დარჩიას იმ დღეს «ბორის კორელატი» შევარქვი. გაეცინა, ოდნავადაც არ სწყენია" (გვ. 30).

სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა.

ბატონი ივანე გიგინეიშვილი ქართულ ენაში მხოლოდ ლექციას გვიკითხავდა, პრაქტიკულ მეცადინეობას კი ცოტა ხანს ფარნაოზ ერთელიშვილი და შემდეგ ელენე ბაბუნაშვილი გვიტარებდა. არ მახსოვს შემთხვევა, ბატონი ივანე რომელიმე ლექციის დროს დაინტერესებულიყოს და ჩვენთვის გამოეკითხოს, მოსმენილი როგორ გავიგეთ. ეს იცოდა: ბოლოს მოგვმართავდა, შეკითხვა რა გაქვთო.

ახლა „კორელატზე": გამოცდების წინა დღეები იყო. აუდიტორიაში შევედი. კურსელთა მოზრდილი ჯგუფი შეკრებილიყო და წინადადების გარჩევაში ვარჯიშობდნენ. დაფასთან იდგა ჩვენი კურსელი ლონდა დოლიძე და შეკითხვებს პასუხს სცემდა. მეცადინეობაში მეც ჩავები. როცა ვთქვი, ესა და ეს სიტყვა *კორელატია-მეთქი*, ემზარმა შეიცხადა: რაო, რაო?!

როცა სხვებიც დამემოწმნენ, ემზარმა მხარზე ხელი დამკრა, შენ ბორის კორელატი უნდა დაგარქვაო და ხანდახან სტუდენტობისა და შემდეგაც ამ სიტყვით ალერსიანად მომმარ-

თავდა. რა თქმა უნდა, ეს საწყენად არასდროს მიმიღია, პირიქით, ახლაც ღიმილით წავიკითხე.

ოღონდ ერთი მაინც უნდა შევნიშნო: აღნიშნული სიტყვა ჩვენში უცნობი და უცნაური სრულებითაც არ არის. რომ არაფერი ვთქვათ უცხო სიტყვათა ლექსიკონებზე, იგი შესულია „*ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიაც*“ (IV, 1955, გვ. 1339) და ახსნილია ასე: „შეფარდებითი, თანაფარდი ცნება“. ისიც უნდა დავუმატო, რატომღაც ზოგიერთ ჩვენს თანამედროვე მწერალს, მათ შორის განათლებით ფილოლოგს, გრამატიკის უცოდინარობა, ცოტა არ იყოს, თავმოსაწონადაც კი მიაჩნია.

15. ლიტერატურის ინსტიტუტის კოლორიტები

ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობის დაწყება და სამსახური ჩემთვის განუზომელი ბედნიერება გახლდა. გარდა იმისა, რომ მეცნიერული კვლევა-ძიება მოწოდებად მექცა, იქ მოღვაწეობდნენ ისეთი პიროვნებები, რომლებიც თავიანთი გამორჩეული ნიჭიერებითა და კეთილშობილებით ყოველმხრივ მხიბლავდნენ, მავსებდნენ და მამაღლებდნენ. ამიტომ სამსახურში სიარული და მათთან შეხვედრა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა და მათკენ ყოველდღიურად მიმიზაროდა.

ზოგიერთი მათგანის შესახებ საუბარი აქ და სხვაგანაც მაქვს, მაგრამ გული მწყდება, რომ ყველას ვერ გადავწვდები.

როცა ინსტიტუტში მივედი, მაშინ საინსტიტუტო ცხოვრებას **თინა ჯიბლაძე** აცოცხლებდა. ერთი თვეც არ იყო გასული, მან დავით გარეჯაში ექსკურსია მოაწყო. მე წასვლას რას გავბედავდი და ამის ფიქრი არც გულში გამივლია. ქალბატონი თინა დერეფანში შემომხვდა. ისე მომესალმა, თითქოს ნაცნობები კი არა, დიდი ხნის მეგობრები ვყოფილიყავით. მკითხა, ექსკურსიაზე ხომ მოდიხარო. *შეიძლება-მეთქი?* — ვკითხე. გაიოცა: *როგორ არა, აუცილებლად წამოდიო.* წავედი და, ახლაც მგონია, ინსტიტუტში ჩემი ნამდვილი ჩარიცხვა იმ დღეს მოხდა! სამ-

წუხაროდ, ქალბატონ თინას მალე უკურნებელი სენი შეეყარა და გარდაიცვალა. მისი თბილი ხატება კი დღესაც მათბობს!

ინსტიტუტში ნათელ სხივებს ფენდა **ლია ანდღულაძე**. კარგად მღეროდა და ჩვენი თავშეყრისა და პურობის მუდამ დამამშვენებელი იყო. ახლაც თვალწინ მიდგას, გიორგი ლეონიძე რა გაბრწყინებული სახით უსმენდა მას.

როცა თანამშრომელთა ფოთოლცვენამ ინსტიტუტს ხელი მაგრად დარია, ლიამ ჩვენი სხდომათა დარბაზი მათი ფოტოსურათებით მორთო. ერთხანს მათი ხილვა გვზარავდა, მაგრამ მერე და მერე შევეჩვიეთ და ისეთი შეგრძნება დაგვეუფლა, თითქოსდა ისინი ისევ ჩვენ გვერდით ყოფილიყვნენ.

ავადმყოფობისაგან დაუძლურებულმა ლიამ, შინიდან რომ ძლივს გამოდიოდა, ტელეფონით მთხოვა: მოდი, დიდუბის პანთეონში ჩვენი მიცვალებულების საფლავები მოვინახულოთო. შევჩერდით ალექსანდრე ბარამიძის, სარგის ცაიშვილის, გიორგი ციციშვილისა და სხვებისა და სხვების საფლავეფის წინ და მათთან გატარებულ ნეტარ წლებს ვიგონებდით.

ამის შემდეგ ლიას დიდხანს აღარ უცოცხლია — 2011 წლის ივლისში გარდაიცვალა.

მირიან აბულაძე

ახლა ცოტა უფრო ფართოდ ბატონ **მირიანზე** უნდა მოგახსენოთ.

მოსწავლეობა და სტუდენტობა ტრიუმფით განვვლე. რვაწლიანი სკოლა ქების სიგელით დავამთავრე, საშუალო სკოლა — ვერცხლის მედალზე, უნივერსიტეტი — წარჩინებით. და აი, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ არარაობად ვიქეცი. სამსახურს ვერა და ვერ ვშოულობდი. ვიღა აღარ მპირდებოდა, ოღონდ ყველა მატყუებდა.

ამ დროს, დეიდაჩემთან რომ ვცხოვრობდი, მეზობლად გვყავდა მოხუცი ცოლ-ქმარი გენადი ვოლდეიტი და დეიდა ნინა. ძია გენოს საფერშლო სასწავლებელი სერგო ორჯონიკიძესთან ერთად ჰქონდა დამთავრებული, რომელსაც მისთვის რაღაც პრობლემის მოგვარებაში დახმარება გაუწევია. ძია გენო ამბობდა, ლა-

ტვიელი ვარო, მაგრამ ომიანობის დროს, როგორც გერმანელი, ოჯახიანად გადაუსახლებიათ. ამ ოჯახმა ძალიან შემიყვარა და, სადმე რომ წავიდოდნენ, ბინაში მე მტოვებდნენ.

როცა ისინი ჩემს უმუშევრობასა და ნერვიულობას ხედავდნენ, სულ მეუბნებოდნენ, ერთი მირიან აბულაძესთან უნდა წაგიყვანოთო.

დეიდა ნინა ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლიდან იყო გამოთხოვილი. ცოლ-ქმარს ახლო ურთიერთობა ჰქონია მირიან აბულაძის მშობლებთან და ამის გამო მირიანს მოსწავლეობისას მათთან საკმაო ხანს უცხოვრია.

დეიდა ნინა და ძია გენო არ მეშვებოდნენ, მაძალებდნენ და მაძალებდნენ, მირიანთან წავიდეთო. მათგანვე ვიცოდი, გადანასახლები იყო. მე მოხუც იუსტინე აბულაძეს ხშირად ვხედავდი და წარმოვიდგინე, მირიანი მასავით ბებერი და დაჩაჩანაკებული კაცი იქნება-მეთქი. ერთ დღეს უფრო იმ მიზნით, რომ ეს ჩემი კეთილისმყოფლები თავიდან ჩამომეშორებინა, სამივენი მირიანთან წავედით. ვნახე, ჩვენთან ახლოს უცხოვრია. გაოცებული დავრჩი, რომ ხელთ საოცრად ცქვიტი, მოძრავი, ბიჭივით კაცი შემრჩა. მისი მშობლებიცა და ცოლ-შვილი (გენია და რეგინა, დავითი ჯერ არ ჰყავდათ) შინ იყვნენ, უაღრესად თბილად და პატივისცემით მიგვიღეს, შესანიშნავი სუფრაც გაგვიშალეს. წამოსვლისას მირიანმა თავისი ახალგამოსული ლექსების კრებული – „*აპრილის ხმები*“ – სათანადო წარწერით გვაჩუქა (ეს ყოფილა 1960 წლის 7 თებერვალს). ლიტერატურის ინსტიტუტის ტელეფონის ნომერი ჩამაწერინა და მითხრა, ამა და ამ დღეს დამიკავშირდიო.

ვიდრე ამის თხრობას გავაგრძელებდე, მანამდე ცოტა რამ ბატონ მირიანზე ვთქვათ.

¤

მირიან აბულაძე დაიბადა 1921 წლის 7 აპრილს ქ. ყვარელში, მოსამსახურის ოჯახში. მამა, **სოლომონი**, ექიმი გახლდათ, მუშაობდა მელიორაციის დარგში და დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი კოლხეთის ჭაობის დაშრობაში.

1938 წელს მირიანმა დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის მესამე საცდელ-საჩვენებელი სკოლა. 1939 წელს შევიდა და 1943 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება. 1943–1945 წლებში უნივერსიტეტის ასპირანტია კლასიკური ფილოლოგიის განხრით.

ამ დროს აგორდა მორიგი რეპრესიული ტალღა, ამჯერად ინტელიგენციის, მეცნიერთა, პროფესორ-მასწავლებელთა, ასპირანტთა და სტუდენტთა წინააღმდეგ და მირიან აბულაძეც დააპატიმრეს, გადაასახლეს იმიერ პოლარეთში, ინტას ბანაკში, სადაც ოთხი წელი დაჰყო. შემდეგ თავისუფალ გადასახლებაში იმყოფებოდა კრასნოიარსკის მხარეში, რაზდოლნოეში, სადაც ქვანახშირის მაღაროში მუშაობდა. აქ გაიცნო ლიტველი **გენია აუგაიტიტე**, რომლის ოჯახი გაკულაკების შემდეგ გადმოსახლებინათ; იქორწინა მასზე და შეეძინათ ქალიშვილი **რეგინა**, რომელიც ახლა კარგი ნევროპათოლოგი გახლავთ.

მირიანი გადასახლებიდან სამშობლოში 1954 წლის დეკემბერში დაბრუნდა. არავის ახსოვს, არც ოჯახის წევრებს, გადასახლებასთან დაკავშირებით ერთი სიტყვაც ეთქვას. გეგონებოდა, თითქოს ეს შემთხვევა არც ყოფილიყოს. 1966 წელს შეეძინა ვაჟი **დავითი**, რომელიც მამამისივით სამწერლობო გზას გაჰყვა და წარმატებული მწერალი და მთარგმნელია.

1957 წლის დეკემბრიდან სიცოცხლის ბოლომდე მირიანი მუშაობდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ოღონდ არა თავიდან არჩეულ დარგში, არამედ უახლოესი ქართული ლიტერატურის განხრით. გამოსცა წიგნები:

1. *„ტიციან ტაბიძის პოეზია“* (1961), რომელზედაც 1968 წლის 23 იანვარს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა.

2. გიორგი მარგველაშვილთან ერთად მოამზადა მონოგრაფია *„ოციანი წლების ქართული საბჭოთა მწერლობა“*, რომელიც ერთ-ერთ ძირითად თავად შევიდა რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში *„ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია“*.

3. 1976 წელს გამოსცა წიგნი *„კონსტანტინე გამსახურდია (ცხოვრება და შემოქმედება)“*, რომელიც მონოგრაფიის პირველი ნაწილია.

4. 1977 წელს მონოგრაფიის ნაწილი – *„ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში“*, სადაც განხილულია *„ცისფერი ყანწების“* ლიტერატურული ჯგუფის მოღვაწეობა, ჟურნალები – *„ცისფერი ყანწები“*, *„მეოცნებე ნიამორები“*, *„მშვილდოსანი“*, ლიტერატურული გაზეთი *„ბახტრიონი“* და გაანალიზებულია ამ ჯგუფში შემავალ ცალკეულ მწერალთა შემოქმედება.

აღარაფერს ვამბობ ცალკეულ სტატიებზე, სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებში მონაწილეობაზე, ინსტიტუტის გამოცემული წიგნების რედაქტორობაზე და ა. შ.

მირიან აბულაძის ყველა სამეცნიერო ნაშრომი გამოირჩევა სიღრმითა და დახვეწილი სტილით, სადაც ხელშესახებად იკვეთება მისი მწერლური ნიჭი და პოეტური სიფაქიზე.

ბატონი მირიანი ავტორია მშვენიერი ლექსებისა, რომლებიც სინათლითა და სახეობრიობით გვხიბლავენ. ვიცი, ბოლო წლებში პიესა დაწერა. თითქოს მის დადგმას გიზო ჟორდანია აპირებდა, მაგრამ ეს ჩანაფიქრი არ განხორციელებულა.

¤

ახლა ზემორე შეწყვეტილი მოგონება განვაგრძოთ.

დათქმულ დროზე ინსტიტუტში მივედი. მაშინ ინსტიტუტის დირექტორი ბრძანდებოდა **გიორგი ლეონიძე**, სამეცნიერო დარგში მოადგილე – **მიხეილ ჩიქოვანი**, სწავლული მდივანი – **ვახტანგ ჭელიძე**. გამაცნო ბატონი ვახტანგი. გამომკითხეს, სტუდენტობისას რას ვაკეთებდი და ახლა რა მიზნები მქონდა. მტკიცედ ვამბობდი, მუშაობა ძველ ქართულ ლიტერატურაში მინდა-მეთქი, რითაც გავანაწყენე ბატონი მიხეილ ჩიქოვანი, რომელიც იმავდროულად ფოლკლორის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. დაუფარავი წყენით მითხრა: ძველ ქართულ მწერლობას აქვს თავისი საგანი და ფოლკლორს – არანაკლებ მნიშვნელოვანი თავისი საგანიო.

ბატონი ვახტანგი ჩემს საქმეზე მთელი სულითა და გულით დატრიალდა. შეუთანხმდა რუსთველოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელ ალექსანდრე ბარამიძესა და, სიტყვა რომ არ გავაგრძელო, 1960 წლის სექტემბრიდან ამ განყოფილებაში უფროს ლაბორანტად ჩავირიცხე.

მირიანი და ვახტანგი ჩემს მუშაობას თვალყურს დიდი ინტერესით ადევნებდნენ. ყოველმხრივ მეხმარებოდნენ, მახალისებდნენ და აშკარად ეტყობოდათ, ჩემი წარმატებებით ხარობდნენ. როცა სამეცნიერო სესიაზე მოხსენებით გამოვდიოდი, მირიანს გვერდზე მჯდომი შალვა ჩიჩუასათვის გადაულაპარაკებია: *ნახე, რა კარგი ქართულით მეტყველებსო.* როცა ფილოსოფიაში საკანდიდატო მინიმუმის გამოცდისათვის ვემზადებოდი, ვახტანგი თვეობით კონსულტაციას მიწევდა. და რა ნათელი აზროვნება ჰქონდა!

ვახტანგს თავისი განყოფილების ხელმძღვანელთან უკმაყოფილება მოუვიდა, ჩვენგან წავიდა და მუშაობა თეატრალურ ინსტიტუტში დაიწყო. რამდენიმე წლის შემდეგ ავადმყოფობა მოეძალა, ლექციების კითხვა გაუძნელდა და ისევ დაგვიბრუნდა. რა არის ცხოვრება?! — ახლა ინსტიტუტის სწავლულ მდივნად მე დავხვდი. რა თქმა უნდა, ყოველნაირად ვცდილობდი, მის უდიდეს ამაგზე ცოტა რაიმეთი მეპასუხა. მხოლოდ ის შევძელი, რომ დირექციაში წარმოდგენილი სამსახურის გამცდენთა სიიდან რამდენიმეჯერ ამოვიღე.

მირიანმა ძალიან დამიახლოვა. აუ, რა დამავიწყებს მასთან შეხვედრებს! ერთხელ ნოდარ ალანია, ცოტნე კიკვიძე და მე ფასანაურში წაგვიყვანა, სადაც მისი ცოლ-შვილი ხევსურთა ოჯახში ისვენებდა. თბილისიდან ბევრი რამ წამოიღო, მათ შორის — შემწვარი გოჭი. იქ დევივით ხევსური დაგვხვდა, რომელიც უმალვე სახინკლე ხორცის ხანჯლით კეპვას შეუდგა. მე გავიკვირვე, ამას რატომ დანით ან ნაჯახით არ აკეთებდა. ამიხსნა, ამას თქვენთვის ვშვრები, ძველად ასე იყო მიღებულიო.

ერთ ივლისის პაპანაქება დღეს მირიანი ტელეფონით მეუბნება: ყვარლიდან ღვინო და წიწილები ჩამომივიდა, უცოლშვილო კაცი ხარ, წიწილების შეწვა გეცოდინება, ნოდარ ალანიას და-

ვუძახებ და მოდიო. მივედი, სუფრა გაშლილი დამახვედრა, წიწილებიც მას შეეწვა. ნოდარი ვერ მოვიდა. თავის ავადმყოფობას, რომელმაც რამდენიმე თვეში ბოლო მოუღო, პირველი ავი მოქმედება დაეწყო, წინა დღით ექიმს გაესინჯა და წოლითი რეჟიმი დაენიშნა. ეს იყო ის პირველი დღე, რაც ნოდარმა გარეთ გამოსვლა ვერ შეძლო. მირიანმა პატარა, წელში გამოყვანილი ჭიქები ჩამოდგა. ყოველ სადღეგრძელოზე ნოდარს ვურეკავდით და სადღეგრძელოებს ვასმენინებდით.

გამოხდა რამდენიმე წელი. გადასახლებამ და იქ გადატანილმა ტანჯვა-წვალებამ თავისი გაიტანა: 1987 წლის 8 დეკემბერს მირიან აბულაძე გარდაიცვალა. განისვენებს საბურთალოს სასაფლაოზე.

გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძე

გრიგოლ ხერხეულიძე ლიტერატურის ინსტიტუტის მშვენება იყო. ყველა „ქიცას“ ვეძახდით.

გრიგოლ (ქიცა) მიხეილის ძე ხერხეულიძე დაიბადა 1916 წლის 7 დეკემბერს თბილისში. 1936 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა. 1938 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იმავდროულად ქორეგორაფიის დარგში მუშაობდა. 1941 წელს სწავლა დროებით შეწყვიტა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მოეწყო. 1946 წლიდან სწავლას აგრძელებს უნივერსიტეტში, რომელსაც 1948 წელს ამთავრებს. 1948–1951 წლებში რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტია (უახლესი ქართული ლიტერატურის განხრით). 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — *„გიორგი ლეონიძის ეპოპეა ქართული პოემის განვითარების შუქზე“*. მომდევნო წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელია. 1973 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია — *„ოციანი წლების საბჭოთა პოეზია“*.

ქიცას გამოქვეყნებული აქვს სტატიები დავით გურამიშვილის, ტიციან ტაბიძის, ლადო ასათიანის, ნიკო ლორთქიფანიძის, კოტე მარჯანიშვილის, იოსებ გედევანიშვილის, ნოე ჩხიკვაძის, გრიგოლ აბაშიძის, გალაკტიონ ტაბიძის, ანა კალანდაძისა და სხვათა შესახებ. წიგნებადაა გამოსული: 1. გიორგი ლეონიძის პოეზია (შეხედულებანი) – 1959; 2. თანამედროვება და პოეზია (1965, მეორე შევსებული გამოცემა – 1977); 3. გიორგი ლეონიძის პოეზია (1981).

ეს ნაშრომები, გარდა სიღრმისეული დამუშავებისა, გვხიბლავს დახვეწილი სტილით, პოეტური ნიუანსების მიგნებისა და წარმოჩენის იშვიათი ოსტატობით.

ქიცას გურული დედა ჰყავდა, როგორც მახსოვს, მელექედურიდან იყო, რომელიც ადრე გარდაიცვალა. ამიტომ ძალიან უყვარდა გურული დიალექტი. ღიმილით იგონებდა ცალკეულ სიტყვებსა და გამოთქმებს. ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა: ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩემს დეიდაშვილსა და ჩემს სოფლელ გოგონას ერთად ვამზადებდი. მეორე პირველს საგრძნობლად ჩამორჩებოდა. ცალკეული თემების დამუშავებისას მათ ყოველთვის ვეუბნებოდი, „სამიანზე“ იცით, გამოცდაზე მეტს ვერ მიიღებთ–მეთქი. უნივერსიტეტში აბარებდნენ და ასეც გამართლდა, ოღონდ ზეპირ გამოცდაზე ჩემმა სოფლელმა შინ „ოთხიანი“ მოიტანა. პირიქით რომ მომხდარიყო, მაინცადამაინც არ გამიკვირდებოდა. მერე გავარკვიე, ის ქიცასა და ინგა კალაძეს გამოუცდიათ. ახსოვდა და ინგამ მიამბო: ქიცა ალაპარაკებდა და ალაპარაკებდა მას. ვხედავდი, მისი შუმი გურულით ტკბებოდა და „ოთხიანზე“ შეფასებაც მან მოინდომაო.

ქიცასთან ყოველი შეხვედრა და საუბარი უზარმაზარ ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებდა. ზეპირად იცოდა უამრავი ლექსი და ბრწყინვალე დეკლამატორიც გახლდათ. იყო ბრწყინვალე მომღერალი და მოცეკვავე.

მაგნიტოფონები ახალგამოსული იყო. ჩაწერილი ჰქონდა მის მიერ შერჩეული გამოჩენილ მომღერალთა მიერ შესრულებული უნიკალური ქართული სიმღერები, რომელთაც შიგადაშიგ თავის წაკითხულ ასევე გამორჩეულ ლექსებს ურთავდა. ვთხოვე, *გადამაწერინე–მეთქი.* უარი მითხრა, *ეს ერთადერთია,*

ჩემთან უნდა მოისმინოთ და არ მინდა, საყოველთაოდ იქცესო. როდესაც გარდაიცვალა, მაშინვე ეს კასეტა მოვიკითხე, ოჯახს აღარ ჰქონდა. მისი დაკარგვა, აბა, როგორ შეიძლებოდა!

ქიცა ბრწყინვალე მომლხენი, სუფრის კაცი იყო. რომან მიმინოშვილმა დაუწერა კაფია:

„თუკი ღვინო დავთმო, თუნდა – არაყიცა,
ვიყო არაკაცი, მერქვას არა ქიცა!“

ერთ გოგლაობა დღეს, ასე მახსოვს, 1970 წელს, ბატონი გიორგი ლეონიძე ცოცხალი აღარ იყო, ლიტერატურის ინსტიტუტის ათი-თორმეტი თანამშრომელი პატარძეულში ჩავედით. მაშინ ეს დღესასწაული საგარეჯოს რაიონმა გრანდიოზული ზეიმით აღნიშნა. ბოლოს ბლების ბაღში დიდი პურობა გაიმართა. მწიფე ბლის ხეების ჩრდილში რამდენიმე სუფრა გაიშალა. ჩვენს სუფრაზე ქიცა თამადობდა. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ სადღეგრძელოებში ყველა სუფრა შემოგვიერთდა. ქიცა სადღეგრძელოებს ისე აღმაფრენით ამბობდა, მღეროდა და სხვებსაც ამღერებდა, ყველა აღტაცებით შევხაროდით. რაიკომის პირველმა მდივანმა ოქროს მაჯის საათი მოიხსნა და ქიცას აჩუქა.

მე არ მახსოვს სუფრაზე გადამთვრალი ქიცა. ბოლოს კი მესმოდა, ისე დათვრა, ფეხზე ვერ დგებოდაო.

ერთ დღეს ინსტიტუტში ვახტანგ (გუგული) ბააკაშვილსა და მე ფული გვაჩვენა და ლუდზე დაგვპატიჟა. მე ვუთხარი, შინ შებოლილი თევზი და ჩემი გამოხდილი არაყი მაქვს და *„ბონდოს პივაზე“* წავიდეთ-მეთქი. მაშინ თბილისში სახელგანთქმული *„ბონდოს პივა“ „მალაკნების ბაზრის“* გვერდით იყო, მეც იქვე ვცხოვრობდი. გუგულის მანქანა ჰყავდა, იქ მიგვიყვანა და აღარ დარჩა, სადღაც მიმეჩქარებაო. ბაზარში შევედით, ახალი მწნილი, კიტრი და პომიდორი ვიყიდეთ და ისინი, აგრეთვე ჩემი თევზი და არაყი ბონდოს „სოსისსა“ და ხინკალს შევმატეთ. ეშმაკობა ვიხმარე: ძალიან რომ არ დამთვრალიყო, ქიცას რაც ფული ჰქონდა, თავიდანვე დავაბარჯვინე და ჩემი შემდეგ გამოვაჩინე. ვესიყვარულეთ ერთმანეთს. ვინც შემოვიდა, ვხედავდი, ჩუმად გვიყ-

ურებდა და ყურს გვიგდებდა. კარგად რომ შეზარხოშდა და სმის გაგრძელება მოინდომა, ურცხვად განვუცხადე, მეტი ფული აღარც მე მაქვს-მეთქი.

სულ მალე, 1974 წლის 23 ოქტომბერს, ქიცა გარდაიცვალა. დღემდე მაწუხებს, თუ მეტი დღე არ ჰქონდა დარჩენილი, ის სასმელი რატომღა დავაკელი-მეთქი!

ქიცა სიკვდილს საოცარი ვაჟკაცობით შეხვდა. რომ შეატყო, სული ამოსდიოდა, შინაურებს გადაჭრით მოსთხოვა, ფეხზე წამომაყენეთო, და სიკვდილს ფეხზე მდგარი შეეგება.

ქიცას სიკვდილის ამბავი ინსტიტუტში მეხივით გავარდა. რომ მივირბინე, ისევ თბილი იყო. მე, იოსებ ლორთქიფანიძემ და თეიმურაზ ჩავლეიშვილმა გავასწორეთ. შემდეგ ეს ამბავი ისე მაწვალებდა, ნოდარ ალანია რომ გარდაიცვალა და მისმა მკურნალმა ექიმმა ოთარ ზენაიშვილმა გასწორებაში დახმარება მთხოვა, ვეღარ შევძელი.

გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძე ვაკის სასაფლაოზე განისვენებს.

16. რამდენიმე მოგონება ზაურ ბოლქვაძეზე[1]

ზაურ ბოლქვაძე სტუდენტობისას გავიცანი. 1954 წელს, როდესაც უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე შევედი, ზაური ამავე ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების მეოთხე კურსის სტუდენტი იყო და თავისი ლექსებით სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღებას იპყრობდა.

ერთხელ სტუდენტობისას, მცხეთაში, ზედაზენზე ღამისთევით, ექსკურსიაზე წაგვიყვანეს. მეორე დღეს, რადგან სხვა ადგილები დათვალიერებული მქონდა, ჯგუფთან აღარ დავრჩი და მატარებლით ნაადრევად თბილისში გამოვემგზავრე. ჩემთან ერთად ნანა დარჩია და ნარგიზა მგელაძეც წამოვიდნენ. ესენი

[1] გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კალმასობაში“ (აპრილი, 2003, № 4, გვ. 20).

ჟურნალისტიკის განყოფილებაზე ერთი კურსით ჩემს უკან სწავლობდნენ. სიტყვა უნივერსიტეტელ მწერლებზე ჩამოვარდა. მე თანაკურსელ იპოლიტე შავლოხაშვილზე დავიწყე ლაპარაკი. გოგონებმა ცოტა მადროვეს და ზაურ ბოლქვაძეზე მკითხეს, რა იტყვიო. მაშინ ყველამ ზეპირად ვიცოდით მისი ლექსი ნიკოლოზ ბარათაშვილზე:

„მარადისობას მიანათეს ტატოს თვალებმა,
მარადისობაც დაეწაფა მის თვალებს ხარბად;
ტატოს ფეხთაქვეშ დედამიწა დატორტმანებდა,
კოჭლიც ამიტომ ეგონათ, ალბათ!“

და ამის გახსენებით ზაურის ქება დავიწყე. ნანა და ნარგიზამ ზაურის იმდენი სახოვანი სტრიქონი და გამოთქმა გაიხსენეს, ჩემი ცოდნა მათთან შედარებით აღარაფერი გამოჩნდა. შიომღვიმეში, ზედაზენსა და ჯვარზე ყოფნასა და მის შემოგარენში ატყორცნილი მთებისა და გორაკების ხილვის შემდეგ განსაკუთრებულ შთამბეჭდავად ჟღერდა ჭაბუკი პოეტის ახალშექმნილი სტრიქონები:

„მაოცებს მთანი დაჯანღებულნი
და ცაში მათი ღამის თევანი,
მთა არის მიწა აჯანყებული –
დედამიწაზე დაუტევარი“.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ნანა დარჩია ზაურს ცოლად გაჰყვა, ჩემთვის ნათელი გახდა, რა გადამწყვეტი როლი შეასრულა ამაში პოეზიამ და, მეორე მხრივ, რა განაპირობებდა მაშინ ამ პოეზიის ასე ღრმა ცოდნას.

ამის შემდეგ ზაურს *„სიძე ბატონის“* ვეძახდი. თვითონ, როგორც სხვებისთვის იცოდა თქმა, მეც „ლომო“-ო მომმართავდა.

ზაური ყოველთვის მაოცებდა თავისი ნაკითხობით. ამჯერად მხედველობაში მაქვს არა მხატვრული, არამედ მეცნიერული ლიტერატურის ცოდნა. სტუდენტობისას პირველად მისგან გავიგე ბუენოს-აირესში 1954 წელს გამოსული ვიკტორ ნოზაძის წიგნის,

„ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველების“, არსებობა, რომელზედაც ის აღფრთოვანებით გვიამბობდა.

1991 წელს ჩვენს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია, № 3) ჩემი სოფლის, **სილაურის** (ოზურგეთის რაიონი), ტოპონიმიაზე ვრცელი, ორთაბახიანი გამოკვლევა დავბეჭდე. ვიკვლევ, რატომ დაერქვა სოფელს ეს სახელი და რას ნიშნავს მისი ადგილების – **რობა, ცინცაურა, გოგორკული, ძეგორა** და ა. შ. სახელწოდებანი (ახლა ეს სტატია აქვე შემოგვაქვს). გამიკვირდა, ზაურს ეს ნაშრომი თავიდან ბოლომდე წაეკითხა და თავისი შთაბეჭდილება გამიზიარა. უჩვეულო აქ ისაა, რომ ეს სპეციალური სამეცნიერო ჟურნალი ყოველთვის მცირე ტირაჟით იბეჭდებოდა, ძირითადად აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრების მეცნიერთანამშრომელთა ხელმოწერით ვრცელდებოდა, ფართო სავაჭრო ქსელში არასდროს გადიოდა, მორჩენილი ცალები ორიოდე აკადემიურ წერტში იყიდებოდა. მეორეც, მასში იმდენად ვიწრო დარგობრივი, სპეციფიკური ნაშრომები თავსთებოდა, რომ ლიტერატურის ისტორიკოსს ენათმეცნიერის ნაღვაწის (ანდა პირიქით) წაკითხვა და გაგება უჭირდა, კრიტიკოსები და თანამედროვე ლიტერატურის მკვლევარებიც კი მას ნაკლებად იცნობდნენ. ამ დროს ზაური, პოეტი და განათლებითა და სამსახუროებრივად ჟურნალისტი, ამ იშვიათი და „მძიმე“ ჟურნალის მკითხველია!

1996 წელს გაზეთ „საქართველოში“ (№ 48) გამოვაქვეყნე პუბლიცისტური წერილი – *„გაპრიალებული ნაჯახი სახელმწიფოტყეში“*, სადაც ტყეების ტოტალურ გაჩეხვასა და გაჩანაგებაზე მაქვს მსჯელობა და ზაურ ბოლქვაძის ლექსს ვიმოწმებ. ვწერ: „უსახსროდ და უსაწვავოდ დარჩენილი სალხი, დიდი და ჰატარა, ვისაც ნაჯახისა და ხერხის ხმარება შეუძლია, ბარბაროსული აღტეინებით შესევია თავიანთ მასულდგმულებელ, ამ უსიტყვოდ მეტყველ მეგობრებს და უსულგულოდ, დაუზოგავად ანადგურებს მას. ვისღა აქვს ის თბილი, სათუთი განცდა, ჰოეტ ზაურ ბოლქვაძეს რომ დაუფლებია და ლექსად გამოუხატავს:

გრამატიკულად უსულო
ბალახო და ხეო,
ქვეყნად თქვენზე სულიერი
მე ჯერ ვერ ვნახეო“.

ზაურს, პრესის ამ არნახული ბუმის ჟამს, ეს წერილი გაზეთის გამოსვლის დღესვე წაეკითხა და იმავე საღამოს ტელეფონით დამელაპარაკა. იქით ის გამოთქვამდა გაკვირვებას, – *ამ დროს ეს ლექსი რამ გაგახსენაო, აქეთ მე, – ეს წერილი რამ წაგაკითხა–მეთქი?*

ზაურის ბევრი ლექსი საოცრად ხატოვანი და სურათოვანია, აზრი და შინაარსი – ნათელი და ახლობელი. ის, რაც მანამდე ჩვენში გაუთვითცნობიერებლად თვლემდა და ენით ვერ გამოგვეხატა, თვალით დასანახი და ხელშესახები ხდება, როცა მათ მის ლექსებში განივთებულსა და ჩამოძერწილს ვეცნობით.

აი, რა მკაფიო, ტევადი და თავისებური სახეებითაა გადმოცემული სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდადება, საქართველოს, ამ ისედაც ერთი ციცქნა ქვეყნის, გარშემო მტრებისა და უგუნურ შინაურთა მიერ დამცრობა, საოცრად მართალი, გულში ჩამწვდომი იმედიანი მოწოდება:

„დიდი იყავ! გფარეთ მკერდით!
გკვებეთ სისხლით, გალბეთ ოფლით!
დღეს, ერთად რომ მოვკვდეთ შენთვის,
საფლავებად არ გვეყოფი!

შენი ღვიძლი მიწა–წყალი
ახატია ქვეყნის რუკებს!...
წარიტაცა ზოგმა ძალით
ზოგს მიჰყიდეს, ზოგს აჩუქეს!...

უფრო მეტად დაგებადოს –
ერის მშვენი, ენის მშვენი!...
არ ჰყოფნიდეს აკენებადაც
შვილთა შენთა ტყენი შენი!“

პოეტისათვის ამქვეყნად არსებობა, მოსვლა და აქედან წასვლაც სამშობლოს საჭიროებითაა გაპირობებული:

„მე შენი მიწის სიყვარულს ვწერდი
და სიძულვილი, რაა არ ვიცი!
რომ შეგმატოდა სიცოცხლე ერთი,
მე დავიბადე მარტო ამისთვის!

მე შენი მარად სიცოცხლე მინდა,
მოწამე არის მაღალი ღმერთი!
მარტო იმიტომ მოვკვდები მშვიდად,
რომ შენ მოგაკლო სიკვდილი ერთი!“

სამშობლოსათვის თავდადების იგივე აზრია გამოთქმული, ოღონდ სხვანაირად ამ სტრიქონებში:

„მე იმ მიწისთვის ვანთივარ,
ვინაც სიცოცხლე მაჩუქა!“

პოეტს საქართველოზე ფიქრი და ზრუნვა არასოდეს ასვენებს, საფლავშიაც კი:

„საფლავიდან მე ლოდებით
ამოვსაქართველოვდები!“

საქართველოს დაპყრობასა და დამონებას ვინ არ ცდილობდა, მაგრამ იგი თავისი ღირსეული შვილებით, მათ შორის კალმის ოსტატების ძალისხმევით, თავისუფლებას ინარჩუნებდა. აი, ეს გრძნობა რა თავისებურადაა გამოთქმული:

„ყვარელი და სხვიტორი და
ჩარგალი და სიმონეთი!..
რა უშიშარ შვილებს ზრდიდა
საქართველო – ს ა მ ო ნ ე თ ი!“

ან კიდევ:

„«სულ ასე ვეგდოთ, ბიჭო, ჰა?!» –
და საქართველომ იჭექა!“

მწერალს აწუხებს და აწვალებს ის ვითარება, როცა ჩვენი ქვეყნის შვილები, გათითოკაცებულები, გულგრილად ხვდებიან სამშობლოს გასაჭირს, ტრაგედიას. ცნობილია, რომ ტრაგედიაში ტრაგიკულობას ქმნის სწორედ გმირის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მარცხი და დაღუპვა. კომედიას კი ამ შინაარსით გმირი არა ჰყავს, კომიკურს სასაცილო პერსონაჟები ქმნიან:

„ქართველებს გვჭირს გულგრილობა,
არ გვაქვს ერთი პირი,
ტრაგედია უგმიროდ გვაქვს,
კომედია – გმირით!“

ზაურ ბოლქვაძე თავისი პოეტური შემოქმედებითა და ყოველდღიური საქმიანობით ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, სათანადოდ გამოხატავდა და ებრძოდა იმ მღვრიე ნაკადს, რაც 1990 წლიდან შემოგვეპარა. რა ზუსტად გამოხატავს ჩვენს ყოფას მისი ფრთიანი გამოთქმა:

„თუ ფული არ გაქვს, კაცი არა ხარ,
და თუ კაცი ხარ, ფული არა გაქვს!“

ძალაუნებურად მაგონდება დიდი ჩინელი მოზროვნე **კონფუცის** სიტყვები: „კარგად მართულ ქვეყანაში ღატაკად უოფნა სირცხვილია. ცუდად მართულ ქვეყანაში კი მდიდრად უოფნაა სირცხვილი“.

აი, კიდევ რამდენიმე ნიმუში ამგვარი ფრთიანი მოკლე ლექსებისა, რომელთა შეგონებანი ყველა დროს შეესაბამება:

„ოვაციაში გადასული მქუხარე ტაშით,

სიხარულიდან გადავდივართ მწუხარებაში!“

„წახდენილ საქმეს რომ შველოდეს თითზე
კბენანი,
ჩვენ უთითებოდ დავრჩებოდით თითქმის
ყველანი!“

„მე ყოფნის ძალა არ მყოფნის,
არ მყოფნის ძალაც არყოფნის!“

„მარტო აკლდამა აკლდა მას
და მიაბარეს აკლდამას!“

რამდენჯერაც სასაფლაოზე გავალ ან გარდასულ ახლობელს გავიხსენებ, უმალვე თავში ზაურის ლექსი გამიელვებს:

„გადაუარა ბალახმა
საფლავს – სიცოცხლის წერტილს,
შენ ჩემთვის როგორ არა ხარ,
მე აღარა ვარ შენთვის!“

აქ არის მიგნებული და სულში ჩამწვდომად მოწოდებული კაცობრიობის უცვლელი გრძნობა და განწყობილება სიკვდილ-სიცოცხლეზე, რომელსაც, ვიდრე ადამიანთა მოდგმა იარსებებს, არც ყავლი გაუვა და არც გახუნდება.

ამ ცხრა წლის წინათ თოვლიან იანვარს ჩემს სოფელში მამა-შვილი - 7 წლის თეონა და 38 წლის ამირან (საქო) დარჩიები, თბილისში ავტობუსით მიმავალნი, ავარიით დაიღუპნენ. გამოსვენებამდე მიცვალებულებს კუბო „არ აკადრეს“, „საზეიმოდ“ გამოწყობილები ტახტზე გვერდიგვერდ დაეწვინათ. ამ საშინელების მნახველმა, გული არ გამსკდომოდა, ოდის კიბეები ძლივს ჩამოვათავე. გამოსვენებისას ბავშვის კუბო ფანჯრიდან გამოიტანეს, მამამისისა – კარებიდან. ვუყურებდი ამ სულისშემძვრელ სანახაობას და ჩემში ზაურის ლექსი შემზარავი სიმართლით ხმაურობდა:

„ცვიოდა თოვლი, სციოდათ ღრუბლებს,
სციოდათ ოდის გულმკვდარ პატრონებს,
გამოიტანეს პატარა კუბო
და დიდი კუბო (ოდა) დატოვეს“.

ზაურ ბოლქვაძის პოეზიაში სევდა-მწუხარებისა და სიკვდილის თემას ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს. რამდენიმე ლექსი დედის გარდაცვალებაზე შეუთხზავს. ეს მაშინ, როდესაც თვითონ 25-27 წლისა იყო და დედა არათუ ცოცხალი ჰყავდა, მოხუციც არ ეთქმოდა და სოფლის მრავალფეროვან საქმეებს ენერგიულად უძღვებოდა. აი, მაშინდელი ნათქვამი:

„ყინულს წაართვა სიცივე სისხლმა
და გააჩუმა მფეთქავი მკერდი...
ამოისუნთქა აპრილი მიწამ
და... ჩაისუნთქა სიცოცხლე დედის“.

ეს მხატვრული სურათი კიდევ უფრო ნათლად, გამოკვეთილად და გამძაფრებულად განვითარებულია იმავე პერიოდის სხვა ლექსში:

„რატომ ამიცრემლე თვალები ცისფრად,
რატომ გამიყინე მე თოვლი თმებში,
რატომ ჩაიწია საფლავის მიწა
ამ თეთრი აპრილის თვეში?...

რატომ ჩაიზნიქა საფლავი შენი,
რისი ბრალი არის, ნეტავ,
აპრილის ჰაერი ყვავილთა მტვერით
ხომ არ ჩაისუნთქე, დედავ?!“

როდესაც ეს ლექსი გამოქვეყნდა, დედიდან მომავალი ნოდარ ალანია მარჯანიშვილის მოედანზე (დედა იქვე ახლოს ცხოვრობდა) შემომხვდა და შეშფოთებით მითხრა: დედა ცოცხალი ჰყავს და

როგორ წერს ასეთ ლექსსო?! მე შევეპასუხე: განა მწერალი, რაც მოხდა, მარტო იმას უნდა ასახავდეს–მეთქი? კიდევ უფრო გაღიზიანებულმა მომიგო: არ ეშინია, დედას რომ სიკვდილს უბედებსო?

ამაზე შემდეგაც მიფიქრია. და იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ მაშინ ეს შეძრწუნება ლექსის სიძლიერემ გამოიწვია. ის რომ მხატვრულად სუსტი ყოფილიყო, შეუმჩნევლად ჩაივლიდა და ასეთი გამოხმაურბაც არ ექნეობოდა.

თითქოსდა თავისი სევდიანი ლექსების ასახსნელად თუ გასამართლებლად, სიკვდილის სიახლოვესა და მის საშინელებას თავისებური ხატოვანი სიძლიერით წარმოგვიდგენს პოეტი ლექს *„ელეგიაში“*:

„გადაუღებლად თოვს,
გადაუღებლად წვიმს!...
მიდის სიცოცხლე (SOS!),
მოდის სიკვდილი (SIK!),
ძალა ელევა ხორცს,
ძალა ელევა სისხლს
და სული ჩემი ქსოვს
სევდიან ლექსთა ციკლს!

მიდის სიცოცხლე (SOS!),
მოდის სიკვდილი (SIK!)“

ზაურ ბოლქვაძის პოეზიაში, რა თქმა უნდა, უამრავია ოპტიმისტური, სიცოცხლის შუქით განათებული ლექსები. ცხოვრებაში, პირადი შეხვედრისას, თითქმის ყოველთვის ხალისიანი იყო და ლექსებით უყვარდა საუბარი. შეგაქებდა, აგამაღლებდა და კარგ გუნებაზე დაგაყენებდა.

ჟურნალ *„ნიანგში“* მისი რედაქტორობისას რამდენიმე ფელეტონი დავბეჭდე. ერთ მათგანში (№ 8, 1991), რომლის სათაურია *„ქართული გენის კვალდაკვალ“* გამოვეხმაურე გაზეთებში „შარავანდსა“ (№ 4, 1990) და „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 50, 1990) გამოქვეყნებულ გურამ ფანჯიკიძის ხუმრობას: „სადამ ჰუსეინი – სტალინის შვილიშვილი, ჯორჯ ბუში? ...“, სადაც

ავტორი საზოგადოებას „აცნობდა“, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (მამა) გვარად ყუშია, კანონიერი შვილია ცნობილი თეატრალური რეჟისორის ვასილ ყუშიტაშვილისა, ხოლო ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი სტალინის უფროსი ვაჟის იაკობ ჯუღაშვილის შვილია. ჩემი მხრივ, „ვამტკიცებდი“, გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი ადოლფ ჰიტლერისა და ქუთაისელი დათეშიძის მემკვიდრეა-მეთქი.

ზაურს სამი ცალი „ნიანგი“ კონვერტში ჩაედო და ჩემთვის გადმოსაცემად რედაქციაში დაეტოვებინა. ერთ-ერთ მათგანში ჩემი ფელეტონის ზედა არშიაზე ლექსად წაეწერა:

„სალაღობო ლექსპრომტი ძვირფას და დიდებულ
ბორის დარჩიას
დავბეჭდე შენი უკვდავი
«ქართული გენის კვალდაკვალ».
ჩემგან ხარ თავისუფალი,
მაგრამ მიხილე ხანდახან!
ზაურ ბოლქვაძე
25. VI. 91.

ერთ-ერთი ბოლო შეხვედრისას შემართული ცერი მიჩვენა და მითხრა: *აი, ასეთი ლექსი მაქვს შენზე დაწერილი და, რომ გამოვაქვეყნებ, მაშინ გაეცნობიო* (ჯერჯერობით ეს ლექსი არსად ჩანს).

სულ ბოლოს ზაურს 1997 წლის მარტში გაზეთ „*საქართველოს*“ მთავარ რედაქტორ ნოდარ გრიგალაშვილთან შევხვდი. — *ეს რა კარგი გურულები მესტუმრნენო!* — ხელი გაშალა ნოდარმა, უმალვე თანამშრომელი აფრინა და თავის კაბინეტში სახელდახელო სუფრა გაშალა. მე აკაკი ხინთიბიძეს გადაუდებელ საქმეზე უნდა გავყოლოდი და ადრე წავედი. მეორე დღეს ნოდარმა მითხრა: ორივე ისე დავთვერით, ერთმანეთს ძლივსღა ვცნობდითო.

იმ შეხვედრაზეც ზაური, როგორც იტყვიან, ლექსებად იღვრებოდა. ბევრს ხუმრობდა და ბევრი სალაღობო ლექსიც გვითხრა,

მათ შორის, თავისი იუმორისტული პოემა ბაქოში ექსკურსიაზე ყოფნის თაობაზე. მაშინ გვიამბო თავისი ეს ხუმრობაც:

ჯანსულ ჩარკვიანი ავად იყო, საავადმყოფოში იწვა და მე და გურამ ფანჯიკიძემ მისი ნახვა გადავწყვიტეთ. შემითანხმდა, ხვალ ამა და ამ საათზე დაგირეკავ და წავიდეთო. მოხდა ისე, რომ იმ დღეს რაღაც გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა და წასვლა მეორე დღისთვის გადავუდე. დათქმულ საათზე გურამმა კვლავ დამირეკა, მაგრამ ისევ დაკავებული აღმოვჩნდი და ნახვა მესამე დღისთვის გადავადებინე. მესამე დღესაც რომ ვეღარ მივდიოდი, გურამს ვუთხარი: ახლა შენ მარტო წადი და მე პირდაპირ სასაფლაოზე, დაკრძალვაზე მოვალ–მეთქი.

ამაზე მაშინ გულიანად ვიცინეთ. მაგრამ იმ ზაფხულს ჯერ ზაური გარდაიცვალა, მერე – გურამი. ამ ხუმრობამაც ის სილაღე, იუმორისტული ძალა და პეწი დაკარგა, რაც მაშინ ჰქონდა.

რამდენიმე წლის შემდეგ, 2003 წელს, ზაურ ბოლქვაძის დაბადების 70–ე წლისთავზე, გამოვიდა მისი ლექსების შედარებით სრული კრებული *„მე სიყვარული ვიყავ უთქმელი...“*. წინასიტყვაობაში ემზარ კვიტაიშვილი წერს: „ზაურ ბოლქვაძეს საწერ მაგიდაზე დარჩა ერთი ტეტრადით ჰირდაჰირი და მართალი ლექსი... სიამაყის მომგვრელი და გადამდებია ამ ხანჯალივით მჭრელ სტრიქონებში ვაჟკაცურად დატანებული რწმენა უკვდავებისა“. საუბარია ლექსზე, რომელიც ავტოგრაფის სახით წიგნს წინ უძღვის:

„მე პოეტი ვარ – მიწა ვარ, ცა ვარ!..
მე პოეტი ვარ – სივრცე ვარ, დრო ვარ!..
მომენატრება სიკვდილი – წავალ!..
მომენატრება სიცოცხლე – მოვალ!..“

„ასე მგონია, – განაგრძობს ბატონი ემზარი, – ამ უცნაური, მოულოდნელი ლექსის დამტოვებელს თავისი დაბადების სამოცდამეათე წლისთავზე წარმოუდგენლად, ჰოეტის სიშმაგით მოენატრა სიცოცხლე, ახლობლები, მეგობრები და მოვიდა, ისე მოგვესიყვარულა ყველას. გვჯერა, ამ წიგნითვე შერჩება იგი დიდ ქართულ ჰოეზიას, რომელსაც უველაფერი დაუნანებლად შესწირა“.

2002 წლის აპრილში ქეთევან თავდიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ზაურ ბოლქვაძის შემოქმედება“. კამათში გამოსულმა მიხეილ ქურდიანმა გაიხსენა ეს ლექსი და თქვა: *აი, ზაურ ბოლქვაძე დღესაც მოვიდა და ჩვენთან არისო.*

დიახ, გაჭირვებისას, სულიერი კრიზისის ჟამს და მხიარულების, სულის აღმაფრენის დროსაც ზაურ ბოლქვაძე ჩემთანაა და, როგორც სიცოცხლეში ყოველი შეხვედრისას, ახლაც მამხნევებს და მახალისებს.

17. იპოლიტე შავლოხაშვილის გახსენება[1]

დაბადების 70 წელი შეუსრულდა ნაადრევად წასულ პოეტ იპოლიტე შავლოხაშვილს (1934–1968). დღეს ცოტა ვინმემ თუ იცის მის შესახებ. უფრო მათ ახსოვთ, ვინც პირადად იცნობდა მას. ის ჩემი თანაკურსელი გახლდათ და ყოველთვის სინანულით ვიგონებ, რომ ეს ხალასი პოეტური ნიჭის მქონე კაცი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, თავისი მწერლური შესაძლებლობის გამოვლენა და გაფურჩქვნა ვერ შეძლო.

ჩვენი ნაცნობობა ასე დაიწყო:

1954 წლის ივნისის ბოლო დღეებია. თბილისი საშინელი, სულისშემხუთავი სიცხით არის გათანგული. საშუალო სკოლის იმ წელს მედალზე დამთავრებულებს უნივერსიტეტში ჩასარიცხავად საბუთები შეგვაქვს და მისი პირველი კორპუსის ეზო და ვესტიბიული აბიტურიენტებითა და მათი მხლებლებითაა სავსე.

უნივერსიტეტის ეზოში თავისი ჩაცმულობით ჩემი ყურადღება მიიპყრო მარტოდმარტო მოსიარულე ქერა, გამხდარმა ყმაწვილმა, რომელსაც შინშეკერილი, წელსა და ტოტების ბოლოს რეზინებგაყრილი, წინ, ცალ მხარეს, ზემოდან ჯიბედაკერებული და ქინძისთავით შეკრული სატინის გახუნებული შარვალი ეცვა. შარვალში ჩატანებული ხალათიც უბრალო და გახუნებული ჰქონდა. ბევრი ჩვენგანი, მეტადრე სოფლიდან ჩამოსულები, ჩაცმულობით არ გამოვირჩეოდით, მაგრამ ყველანი, ასე თუ ისე, საგა-

[1] დაიბეჭდა „მწერლის გაზეთში“ (2–15 მარტი, 2005, № 3, გვ.8).

რეო ტანსაცმლით ვიყავით და ასე შინაურულად საზოგადოებაში, მით უმეტეს, დედაქალაქში გამოჩენამ დიდად გამაკვირვა. ვილაც უწესო, ხულიგანი ბიჭია–მეთქი, გულში გავივლე და ცქერას თავი დავანებე.

რამდენიმე წელი იყო, რაც საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებულთა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოება და უმაღლეს სასწავლებლებში მათი უგამოცდოდ მიღება დაწესეს. მაგრამ იმ წელს იმდენად დიდი იყო მედალთა ცვენა, რომ ყველა უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გეგმას უსაშველოდ გადააჭარბა. ამიტომ შემოიღეს ე. წ. გასაუბრება, რაც ფაქტობრივად გამოცდას უდრიდა.

მაშინ ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე შემსვლელებს მთლიანად 50 ადგილი გამოუყვეს, მედალოსნებს ნახევარი დაუთმეს. ამ 25 ადგილზეც დიდი კონკურსი შეიქმნა. ისე მახსოვს, ერთ ადგილზე ათზე მეტი მსურველი მოდიოდა. ვინც აქ ვერ გაიმარჯვებდა, მას უფლება ჰქონდა, შემდეგ საერთო კონკურსში მიეღო მონაწილეობა. ის გამოცდები კი პირველ აგვისტოდან იწყებოდა.

ჩვენი ეს „გასაუბრება“ ივლისის პირველ დეკადაში გაიმართა. ჯერ წერა ჩაგვიტარეს. დაგვაწერიეს განცხადება, *რატომ ავირჩიე ეს ფაკულტეტი.* სამიოდე დღის შემდეგ ზეპირი გასაუბრება მოგვიწყვეს. დიდ აუდიტორიაში თითო–ოროლა გამოძახებით შევყავდით, 5–6 კაციან კომისიას წინ ჩვენი ნაწერები ედო და მისი გათვალისწინებით შეკითხვებს გვაძლევდნენ.

როგორც კი საშუალო სკოლის გამოსაშვებ გამოცდებს მოვრჩი და მედალი გავინაღდე, აქაოდა უგამოცდოდ მიმიღებენ–მეთქი, ერთბაშად თავი ავიშვი, ნათესავებსა და მეგობრებში სიარულსა და ქეიფს მივყავი ხელი და წიგნზე აღარ ვფიქრობდი. როცა თბილისში ჩამოვედი და გაირკვა, გასაუბრებაზე, ანუ გამოცდაზე, უნდა გავსულიყავი, დავინახე, ფორმაში აღარა ვარ, ბევრი რამ დამვიწყებია, უფრო საზეპიროები, თითქმის არც ერთი ლექსი ბოლომდე აღარ მახსოვდა. გარდა იმისა, რომ კონკურსში უნდა მიმეღო მონაწილეობა, ჩემზე ისიც დამთრგუნველად მოქმედებდა, სხვებს სოლიდური გარეგნობის ხალხი ახლდა, მე კი უპატრონოდ

დავტანტალებდი. ჩარიცხვის რწმენა ერთბაშად დავკარგე და სასოწარკვეთილებამ შემიპრო.

ამ დროს, რას ვხედავ: იმ აუდიტორიის კარი გაიღო, სადაც გასაუბრება ტარდებოდა, და იქიდან გაბრწყინვებული სახით ის ქერა ყმაწვილი გამოვიდა, მე რომ უწესო და ხულიგანი მეგონა. აუდიტორიის წინ შეკრებილები „*რა ჰქენი, რა ჰქენის?*“ ძახილით მისცვივდნენ და გარს შემოეხვივნენ.

— რამდენიმე ჩემი ლექსი მათქმევინეს და ჩამრიცხეს. — სუსტი, ოდნავ ბორძიკიანი ხმით განაცხადა მან.

ერიჰა, ეს ვინ ყოფილა და მე ვინ მეგონა! — გავოცდი და მისი შემშურდა.

იქვე გაირკვა, ეს გახლდათ იპოლიტე (საბუთებით, პოლიგრატე) შავლოხაშვილი, დაბადებული 1934 წლის 25 ნოემბერს ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანში, სადაც მან ვერცხლის მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა (მისი ოჯახი ერთხანს ცხოვრობდა იმავე რაიონის სოფელ მთისძირში და იპოლიტეც იქვე რვაწლიანი სკოლის დამთავრებამდე სწავლობდა). როგორც მოგვიანებით საიმედო პოეტს, მას გასაუბრებაზე გაზეთ „*ახალგაზრდა კომუნისტის*“ წარმომადგენლები მოჰყვნენ და უნივერსიტეტში ჩარიცხვის რეკომენდაცია მისცეს.

ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. გავანდე ჩემი შიში და წავუკითხე ლექსი, რომელიც წინა საღამოს ნაღვლის გასაქარვებლად დავწერე, სადაც თბილისს გამხნევებას, ხოლო დამარცხების შემთხვევაში მიტევებასა და ნუგეშს ვთხოვდი. იგი ასე იწყებოდა:

„ჯერ კიდევ ნორჩი, გამოუცდელი,
ცხოვრებას რომ ვჭვრეტ მხოლოდ თვალებით,
შენ მოგაშურე, დედა თბილისო,
წმინდა მაღალი იდეალებით...

სინამდვილეს და ოცნებას შორის
თუ კავშირია, საქმე რიგზეა,
მომავალს უნდა ხედავდე კარგად,
სიბნელეა თუ კაშკაშა მზეა...“

იპოლიტემ ფურცელი გამომართვა და მეორე გვერდზე ოდნავი დაფიქრების შემდეგ ორი სტროფი დამიწერა:

„დამერწმუნები ამაში, მგონი,
რადგან შენც ხედავ ამას ხილულად,
სინამდვილეს და ოცნებას შორის
დიდი მანძილი გადაჭიმულა“.

მეორე სტროფის პირველი ორი სტრიქონი აღარ მახსოვს, მთავრდებოდა კი ასე:

„...უიმედობა სულს მოადუნებს,
იმედი საქმის საძირკველია“[2].

---

[2] იპოლიტეს მიერ მოგვიანებით შედგენილი თავისი ლექსების ხელნაწერ კრებულში, რომელიც მის ოჯახში ინახება, მოთავსებულია 1953 წლის 19 სექტემბრით დათარიღებული (სოფ. მთისძირი) რვასტროფიანი ლექსი *„ალბომში თამარის* (!)“, სადაც მეორე და მეოთხე სტროფებად ეს ჩემზე დაწერილი ლექსია წარმოდგენილი. განსხვავება პირველ სტროფში მხოლოდ ისაა, რომ მესამე სტრიქონად იკითხება: *„შეძლებასა და სურვილებს შორის“*. მეორე სტროფი კი შევსებული სახით წერია:

„უიმედობა კაცს მოადუნებს,
იმედი საქმის საძირკველია.
ყველა მიღწევა და წამოწყება
საოცნებო და საფიქრელია“.

ვინაიდან პირველი სტროფი ჯვარედინრითმიანია და მახსოვს, ამგვარივე იყო ჩემდამი მოძღვნილი მეორე სტროფიც, ეს სიზუსტე კი აქ დარღვეულია, ასე მგონია, ჩემთვის დაწერილი სტროფები თამარის ალბომისეულ ლექსში თავიდან არ იყო და, რადგან ისინი შინაარსობრივად მას ესადაგებოდა, ავტორმა მასში შემდეგ შეიტანა. თვით ეს საალბომო ლექსი კი ასე იწყება:

„ცდა ნაყოფიერ შედეგს მოელის,
ეცადე აზრთა შესისხლხორცებას,

ბოლოს გამამხნევებელი სიტყვებით დამშორდა. — აი, მოვა სექტემბერი და მე შენ გეტყვიო: *„ჰა, დარჩია, დარჩი ა?!“*

დაიწყო სექტემბერი და იპოლიტემ თავისი ლექსებით ერთბაშად როგორც სტუდენტთა, ისე ლექტორთა ყურადღება მიიპყრო. ყველა, მთელი უნივერსიტეტის სტუდენტობა, ცნობდა მას. 1955 წლის 25 თებერვალს უნივერსიტეტის გაზეთში *„ახალგაზრდა სტალინელი“* დაიბეჭდა მისი ლექსი *„საქართველოს ცის ქვეშ“*, რომელიც ასე იწყება:

„ჩანს სამშობლო მრავალზურმუხტბაღიანი,
ფიროსმანის ლამაზ ფუნჯით დახატული.
და სიცოცხლეც მჩქეფარე და ლაღი არის,
როგორც მთიდან მორაკრაკე ნაკადული...“

ჩვენმა ლექტორმა ანდრო ჭილაიამ, რომელიც ლიტერატურის თეორიას გვიკითხავდა, ლექციაზე თქვა: *ამ ლექსს ნებისმიერი დიდი პოეტი მოაწერდა ხელსო.*

იპოლიტე ლექსებს ძალიან იოლად თხზავდა. თავს ჩაღუნავდა, ოდნავ გაირინდებოდა და სიტყვები წყალივით მოსდიოდა. მისი ლექსები გამოირჩევა მუსიკალობით, ვერსიფიკაციული ნაირფეროვნებით, ხატოვანებით, სიმსუბუქითა და სინათლით. თანაკურსელებს ამა თუ იმ შემთხვევის გამო, ზოგჯერ უამისოდაც დაუზარებლად გვიწერდა ლექსებს. როდესაც 1954 წელს გამოსული კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის *„ქართული ლიტერატურის ისტორიის“* პირველი ტომი შევიძინე, წიგნის თავფურცელზე დამიწერა:

„ძმაო, ღვარს ჰგავდე, მთიდან მოვარდნილს,
სხივი აწვიმე გულის ხვაშიადს,
გმირს და ნოვატორს გაუტოლადდი,

რომ შეიბუმბლოს ფიქრი ყოველი,
მაღალ ლაჟვარდებს რომ ეტყორცნება“.

რომ თქვან: დიდება ბორის დარჩიას!
16. IX. 54“.

წინა დღეს იპოლიტეს შინ დაუწერია ჩემდამი მოძღვნილი ხუთსტროფიანი ლექსი, რომელიც ოჯახში დაცულ მის ნაწერებში აღმოჩნდა და რომლის შესახებაც მას ჩემთან სიტყვა არ დასცდენია. მასში ასახულია მაშინდელი ჩვენი ოპტიმიზმით სავსე სულისკვეთება, რაც ახლანდელი მკითხველისათვის გასაკვირი და მიუღებელიც შეიძლება იყოს:

„თანაკურსელ მეგობარს ბ. დარჩიას

სამშობლოც ვრცელი, ფიქრებიც ვრცელი,
თბილი გული და ტკბილი ცხოვრება, —
აი, ძმობილო, დიდება ჩვენი,
გადამთიელს რომ ეუცხოება.

წიგნი — სიბრძნის და სინათლის წყარო —
მიგვიჩნევია გულის მესიტყვედ,
რომ ეს მქუხარე დღეები ვთვალოთ,
მიტომ ვესტუმრეთ უნივერსიტეტს.

სულგანაბული ვისმენთ ლექციებს,
ლექტორი სიტყვას ვეღარ ათავებს.
ჩვენ დაწაფების გრძნობით ვეწვიეთ
ამ აზვირთებულ ცოდნის სათავეს.

ვდგავართ მშვიდობის ურყევ დარაჯად,
გულს გვიხალისებს ფრენა მტრედების.
ჩვენს წინ გაშლილა ფართო შარაგზა
ცოდნის, ნიჭის და შემოქმედების.

ძმაო, ალალის საქმის მშენებლებს
გვქონდეს სიცოცხლე დაუძრახველი,
რომ ჩვენს ცხოვრებას კვლავ ამშვენებდეს
დიდი სტალინის დიდი სახელი.
15. IX– 54. თბილისი“.

ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა თანაკურსელებში იპოლიტეს ნაწერების ძიება დავიწყე, აღმოჩნდა, ზოგი ლექსი დაკარგულა. მახსოვს, ჩვენი ნაადრევად გარდაცვლილი მეგობრის მზია დავითაიასადმი მიძღვნილი ლექსი ასე იწყებოდა: „და *ვითა ია, დავითაია...*“

იპოლიტეს 1955 წლის 20 იანვარს ჩვენი ჯგუფხელის შალვა ადომლიშვილისათვის დაუწერია იუმორით შეფერადებული ხუთსტროფიანი ლექსი „*პაემანი და სიყვარული*“, რომლის პირველი და ბოლო სტროფებია:

„შენ გრილ ღამეში
ხარ გილგამეში,
როს გული ტრფობით დაიმუხტება
და სიყვარულის გზებით დაგეშილს
ძარღვებში სისხლი აგიდუღდება, ...

მოგაგონდება თვალთა გიშერი
და სიკვდილამდე მისი მონა ხარ,
გილგამეშობა ვერას გიშველის,
ტრფობამ თვითონვე თუ არ მოგნახა! “

შალვა ადომლიშვილისვე გადმოცემით, იპოლიტეს იუმორისტული ლექსი დაუწერია ჩვენი ლექტორის, პანტელეიმონ ბერაძისათვის, რომელიც ანტიკური ლიტერატურის ისტორიას გვიკითხავდა და ბევრს გვესაუბრებოდა დაქტილურ ჰეგზამეტრზე. შალვას აქედან მხოლოდ პირველი სტროფი დამახსოვრებია:

„შენი სახელის სიგრძეს გეფიცე, –
ვერ შეგასმინე ჩემი ვედრება,
ტვინი მოსწყვიტეს სულის დეფისებს
შენმა დაქტილურ ჰეგზამეტრებმა“.

იპოლიტეს მიერ ჩვენს თანაკურსელ გრივერ ფარულავასადმი 1955 წლის 3 მარტს მიძღვნილ ხუთსტროფიან ლექსში „*მეგობრული შარჟი*“ ასეთი სტროფებია:

„ხარ პოეზიის მთა დიდებული,
გიყვარს სტროფებში ჩუმი ქუხილი.
ბწკარების ბოლოს ჩამწკრივებული
მჩატე რითმები სხედან კრუხივით...

ბავშვობიდანვე დაგყვა სიმშვიდე,
მაგრამ ლექსებში გავხარ ქარიშხალს.
აზრის ბელტები სულში იფშვნიტე
და ბრძენკაცურად მიტომ დადიხარ“.

იპოლიტეს მოსწავლეობისას და პირველი კურსის სტუდენტობისას შექმნილი სატრფიალო ლექსების ნაწილი ჩვენი თანაჯგუფელი ნანული ქანთარიასთვის უჩუქნია წარწერით: *„სახსოვრად თანაკურსელ მეგობარს ნანული ქანთარიას“*. ნანულის სასოებით შეუნახავს ისინი, რომლებიც გ. ფარულავასადმი მიძღვნილ ლექსთან ერთად გაზეთში *„მწერლური ცხოვრება“* გამოვაქვენე (2005, № 1, გვ. 12). მათგან მხოლოდ ორი ლექსი (*„მითხარი, რა ხარ?“* და *„მოთქმა“*) რამდენადმე განსხვავებული რედაქციით აღმოჩნდა პოეტის არქივში, მაგრამ ამჯერად მათთვის ყურადღება არ მიგვიქცევია.

იპოლიტეს ზოგი უცნაურობა ახასიათებდა. სექტემბრის პირველ დღეებშივე გამანდო, რომ უყვარდა თავისი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და მას სამიჯნურო ბარათებს უგზავნიდა. ერთხელ მისი საპასუხო წერილიც წამიკითხა. ის არიგებდა: *შენ ჯერ უნდა ისწავლო, დავაჟკაცდე და ნამდვილი სიყვარული შემდეგ მოგივაო.*

იპოლიტე სტუდქალაქში ცხოვრობდა და ეკონომიურად ძალიან უჭირდა. მშობლები გაყრილები იყვნენ. მამა, სამსონი, რომელიც ზედსიძედ იყო ოჯახში შესული, მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდა, დიდხანს მისგან არაფერი ისმოდა, შინ გვიან ჩამოვიდა და მალე შუააზიაში გადაასახლეს, საიდანაც სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა, მაგრამ წელში გასწორება ვერ შეძლო. ომიანობისას, რაკილა ქმარი დაღუპული ეგონა, დედა, ვერა დიადუშკინა, რომელიც დედითა და აღზრდით

ქართველი იყო (რუსული ენა თითქმის არ იცოდა), მეორედ გათხოვდა. მამინაცვალიც ზედსიძედ შემოვიდა, რომელსაც, იპოლიტეს გარდა, მისახედი ჰყავდა ერთი თავისი შვილი და ორიც იპოლიტეს და-ძმა. ამიტომაც იპოლიტეს ვერც ერთი მხარე ვერ ეხმარებოდა. მისი ერთადერთი საარსებო სახსარი სტიპენდია იყო, რაც, ცხადია, არ ჰყოფნიდა. მიამბო: მშობლები და მამინაცვალიც სთხოვდნენ, სწავლას თავი დაანებე, მუშაობა დაიწყე და ცოლი შეირთეო. ისიც მიამბო: ვიღაც ოსი ეროვნების რაიკომის მდივანს უთქვამს, ოსურად წერე ლექსები და მე გაგზრდიო. – მე ხომ ოსი არა ვარ და ამას როგორ ვიზამო?! – დააყოლა ბოლოს. შალვა ადომლიშვილმა, როგორც ჯგუფხელმა, ერთხელ იპოლიტეს კურსზე ფული შეუგროვა, რისთვისაც მას და ჩვენ ძალიან გვემადლიერებოდა.

ამ სიდუხჭირისა და თავისი დაუდევარი ხასიათის გამო იპოლიტე ლექციებს ხშირად აცდენდა. მიზეზად ყოველთვის მისახელებდა, სოფელში ვიყავი და ვერ ჩამოვედიო (სულ ახლახან, როცა ამ საიუბილეო წერილის გამო მის ოჯახს დავუკავშირდი, გავიგე, მაშინ, 1955 წლის აგვისტოში, სოფელში ცოლი შეურთავს, რასაც არ გვიმხელდა). გაცდენებს განსაკუთრებით ვერ იტანდა სამხედრო კათედრა, რომელმაც ამისთვის მას ჯერ ჩათვლა არ მისცა და მერე ნიშანი არ დაუწერა. ამიტომ იყო, მეორე სემესტრიდან თავისი მარჩენალი სტიპენდია დაკარგა, მეორე კურსზე პირობით გადაიყვანეს (ბრძანება № 507, 18 ივლისი, 1955), ხოლო შემოდგომაზე უნივერსიტეტიდან *„ამოირიცხა აკადემიური ჩამორჩენილობის გამო“* (ბრძანება № 756, 31 ოქტომბერი, 1955). სამწუხაროდ, მაშინდელ რექტორატში ნიკო კეცხოველის დარი ჭირისუფალი არვინ აღმოჩნდა, თვითნაბადი მწერლური ნიჭი რომ დაეფასებინა და გადაერჩინა.

იპოლიტე იძულებული გახდა, ისე მოქცეულიყო, როგორც შინაურები მოითხოვდნენ: დაქორწინებული რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშად მოეწყო (იყო მარტენის საამქროს საურნალო უბნის ლითონმჭრელი, ბოლოს, – ბრიგადირი) და რუსთავშივე დასახლდა.

უკვე უნივერსიტეტდამთავრებული ვიყავი, იპოლიტე თბილისში შემხვდა, დეიდასთან ვცხოვრობდი, იქ წავიყვანე და პატარა სუფრა გავუშალე. მან გაზეთებში გამოქვეყნებული თავისი ლექსები გამაცნო. ძალიან გულნაკლული დავრჩი, მათში მნიშვნელოვანი ზრდა ვერ დავინახე. ბოლოს, 1989 და 2004 წლებში კრებულებად გამოცემულ მის ლექსებს რომ გავეცანი, ეს შეხედულება ძირფესვიანად შემეცვალა. მიუხედავად ამისა, მაინც მგონია, იპოლიტე შავლოხაშვილმა თავისი ფენომენური პოეტური ნიჭის მწვერვალამდე ამაღლება ვერც ერთ ლექსში ვერ შეძლო!

გავიდა წლები. იპოლიტე თვალსაწიერიდან დამეკარგა. ხან ვისგან და ხან კიდევ ვისგან ვგებულობდი მის ამბავს.

1968 წლის აგვისტოს დამდეგს შვებულებაში მიმავალმა მატარებელში დილით ნაყიდი გაზეთი „*ლიტერატურული საქართველო*“ გადავშალე და ელდა მეცა, – შიგ იპოლიტეს ნეკროლოგი იყო მოთავსებული.

შემდეგ გავიგე, შვებულებაში მყოფს ჭიკაანში ძმა დაუსაფლავებია (ძმა რუსეთში მუშაობდა და იქ მდინარეში დამხრჩვალა), რაც ძალიან განუცდია. იმ დღეებში შეუძლოდ გამხდარა. ჯერ ყურადღება არ მიუქცევია. ბოლოს, შინაურულმა მკურნალობამ რომ ვერ უშველა, რუსთავში წამოსულა. ვიღაც ბავშვიანი ქალისთვის ადგილი დაუთმია, თვითონ სიცხიანი და ძლიერ დასუსტებული სამი საათი ფეხზე მდგარა. რუსთავში სასწრაფოდ საავადმყოფოში დაუწვენიათ, მაგრამ დაგვიანებული ყოფილა, – ანთებას ფილტვები სასიკვდილოდ დაეზიანებინა. გარდაცვლილა 28 ივლისს.

იპოლიტეს დარჩა ორი ვაჟი და ერთი ქალი: გელა, ლუხუმი და ლელა. ეზრდება ექვსი შვილიშვილი: გიორგი, ხატია, დიანა და მარიამ შავლოხაშვილები და თეკლა და კესო ქამხაძეები.

იპოლიტე, მიუხედავად ფიზიკურად მძიმე და სულიერად გამომფიტავი სამსახურისა, ლიტერატურისა და მწერლობის ერთგული ბოლომდე დარჩა. აქტიურად მონაწილეობდა რუსთავის საქალაქო ლიტერატურული გაერთიანების საქმიანობაში. ლექსებს ბეჭდავდა რუსთავისა და რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში,

ალმანახ *„რუსთავის ჩირაღდნებში“*. მისი 49 რჩეული ლექსი 1989 წელს დავით მჭედლურმა გამოაქვეყნა მის მიერ შედგენილ ნაადრევად გარდაცვლილ პოეტთა თხზულებების კრებულში – *„უკანასკნელი სიმღერა“*. 2004 წლის ბოლოს გამოვიდა იპოლიტეს რჩეული ლექსების კრებული *„ტორი ვერ დამკრა სიბერემა“*, სადაც 19 ახალი ლექსია დამატებული, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ არ შესულა ნახევარზე მეტი ის საუკეთესო ლექსები, რომლებიც *„უკანასკნელ სიმღერაშია“* დაბეჭდილი. გარდა ამისა, იპოლიტეს კარგი ლექსები, რომლებიც წიგნად გამოცემას იმსახურებს, სხვაც საკმაოდ აქვს, რომლებიც სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთშია გაბნეული, ზოგიც გამოუქვეყნებელია და კერძო პირებს მოეპოვება. რამდენადაც მათ ვიცნობ, მათგან 100-ზე მეტი მაინცაა ისეთი, წიგნს რომ დაამშვენებს და პოეზიის მოყვარულთ სიამოვნებას მიანიჭებს.

18. გაბრიელ გოგუაძე[1]

ლიტერატურის ინსტიტუტში **დანიელ რამიშვილი** მოგვიყვა: 1937 წლის რეპრესიების წინა წელია, უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი, დაიჭირეს ჩემი ახლობელი მოგვარე კაცი. მაშინ ასეთი წესი იყო: საჯაროდ უნდა გაგეცხადებინა, ამას ვიწონებო. თუ ნებით არ იზამდი, ძალით გაგაკეთებინებდნენ, მაგრამ ჩათრევას მაინც ჩაყოლა სჯობდა.

დედაჩემის დაჟინებული თხოვნით, ასეთი განცხადება მეც დავწერე და უნივერსიტეტში ჩვენი ფაკულტეტის დეკან **მიხეილ ზანდუკელს** მივუტანე. კაბინეტში ვიღაც კაცი იჯდა. მიხეილმა ჩემი განცხადება რომ წაიკითხა, ამ კაცს მიუბრუნდა:

— რომ გაიგებენ, ესეც რამიშვილია, კარგ დღეს დააყრიან?

იმხანად რამიშვილებზე პირდაპირ ნადირობა იყო გაჩაღებული. მერე გავიგე, ეს კაცი **გაბრიელ გოგუაძე** ყოფილა. იგი მომიბრუნდა და მეუბნება: *წადი და ჭადრებთან დამელოდეო.*

ცოტა ხანში მოვიდა და არ შეჩერებულა, ისე ჩამილაპარაკა: *მომყევიო.* შინ მიმიყვანა, ფანჯრები დაკეტა და მითხრა:

---

[1] იბეჭდება პირველად.

ახლა აქ შენი ყოფნა საშიშია. მოდი, საინგილოში გაგზავნი მასწავლებლად და აქაურობას გაერიდეო. წავედი. რომ ჩამოვედი, გაბრიელი დახვრეტილი დამხვდა.

აი, ეს კაცი, სიკეთით აღსავსე და ღვაწლით მოსილი გაბრიელ გოგუაძე, ჩემი სოფლელი გახლდათ. მამამისისა და მის შესახებ ცოტა რამ აღვნიშნე ჩემს წიგნში „*სალაღობო და ნაღვლიანი ამბები*“ (გვ. 87–91).

მამამისი ჯაბულო (როგორც სოფელში ეძახდნენ, — **ჯაბულიე, გაბრიელის საბუთებით — ჯამულეთი**) სოფელში გამორჩეული და სახელგანთქმული გლეხკაცი იყო. მისი პირადად მცნობი **ბ. კილაძე** საგაზეთო წერილში წერდა: „ჯაბულო ჰატიოსანი და უაირათიანი შრომით წარმართავდა თავის ოჯახს... მას არ სწამდა გვალვის, წვიმიანი ამინდების ან უინვების მომიზეზებით წარუმატებლობის გამართლება... სახელმოხვეჭილი მეურნე ცდებით მიიკვლევდა გზას ბუნების საიდუმლოებისაკენ... ჯაბულოს ახალი ჯიშის მცენარეებზე ლეგენდებიც დადიოდა“[2].

სილაურში, მოსახლეობისაგან მოშორებით, ტყეში, ღელისპირა ერთ ადგილს **ჯაბულიეს წისქვილს** ეძახიან. აქ მას თავისი ხელით გამართული წყლის წისქვილი ჰქონია. აქედან საკმაოდ შორს ნაციხურის გორის ძირში ცხოვრობდა, რომელიც მთელ სოფელს გადაჰყურებს და, შინ რომ მისულიყო, უგზოუკვლო, მაღალი, ციცაბო ადგილი უნდა გაევლო. სულ მიკვირდა და ახლაც მიკვირს, როგორ ახერხებდა ამ ტყე-ღრეში ყოველდღე სიარულს. თანაც აქედან, თურმე, ყოველთვის გოდრით ან ტომრით ღელის ქვები მიჰქონდა და ეზო ასე ჰქონდა ყორეთი შემოღობილი. ეს ღობე-ყორე ახლაც გაუქანებლად არის შემორჩენილი.

ჯაბულოს ყოფილი სახლ-კარის ახლოს მცხოვრები **კვიროსი გოგუაძე** ძველებისაგან გაგონილს მიამბობს: ჯაბულო პატარა ტანის, დაუღლელი, სხვანაირი კაცი იყო. ჰქონდა დაბალზე დადგმული დარაბებიანი ოთხთვალი ოდა-სახლი. ორი პატარა ოთახი წინ ჰქონდა, ამაზე ცოტა ნაკლები სიდიდის ორი

---

[2] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 8 ნოემბერი, 1970, გვ. 8.

ოთახი — უკან. ყველაფერი განსაკუთრებული იცოდა. წაკატი რომ წაკატია, ისიც განსხვავებული ჰქონდა.

ამგვარი მშრომელი კაცი ადგილობრივმა ხელისუფლებამ გააკულაკა: ოდა დაუშალეს და სოფლის ცენტრში (თემში) ჩამოიტანეს, თუმცა მალე დაუბრუნეს.

მამაჩემმა მიამბო: გაზაფხული იყო, კოლმეურნეობის ხარურემი მებარა და კოლმეურნეობის პირველმა თავმჯდომარე **აცანდრე (ალექსანდრე) როყუამ** ჯაბულოს გაკულაკებისას მასთან წამიყვანა, ურემი ნალიასთან (სასიმინდესთან) გამაჩერებინა და დამავალა: *ნალიის ჭერი გამოშალეო.* არ ვქენი. მაშინ მან ჭერს ურმის წინსადგარი აჰკრა და გაურჩეველი, ქუჩეჩიანი სიმინდის ტაროები ჩამოყარა. თქვა: ხალხი შიმშილით იხოცება და ამას ქუჩეჩიანი სიმინდი აქვს შენახულიო. სიმინდი თემში ჩამოვიტანეთ.

— კი, მაგრამ, რამდენი იყო ეს სიმინდი? — ვეკითხები მამაჩემს.

— რა იყო, — ნახევარი ურემი!

ჯაბულოს ორი ქალიშვილი და ორი ვაჟი ჰყავდა. ბარემ ამასაც აღვნიშნავ: ჯაბულოს შვილის, **ანანიას**, შვილიშვილი (თინას შვილი) იყო ჩემი კურსელი მეგობარი, მწერალი და ქართული ლიტერატურის მკვლევარი **თეიმურაზ მაღლაფერიძე**, რომლის შვილია მეცნიერებიდან პოლიტიკაში გადასული **ვასილ (ვასიკო) მაღლაფერიძე**.

აი, ამ ოჯახში დაიბადა და აღიზარდა გაბრიელ გოგუაძე.

ამ ნახევარი საუკუნის წინათ პედაგოგიკის არქივსა თუ მუზეუმში (რომელიც შემდეგ დაიწვა) გამაცნეს ხელის მანქანაზე გადაბეჭდილი **დიმიტრი გურგენიძის** მიერ შედგენილი გაბრიელ გოგუაძის მოკლე ბიოგრაფია, სადაც ავტორი წყაროს ასე ასახელებდა: **ორმსცა**, ფ. 475, ა. 1, ს. 36, გვ. 33.

გაბრიელი დაბადებულა 1899 წელს. იმხანად ჩემი სოფლის მეორე ნახევარი და მამათი შედიოდა ძიმითის თემში, ცენტრი კი დღევანდელი მამათის ცენტრი (თემი) იყო. 8 წლის გაბრიელი აქ მდებარე სკოლაში შეუყვანიათ. ამიტომაა, დ. გურგენიძე ამ სკოლას **ძიმითის სკოლად** იხსენიებს. სხვათა შორის, ამ სკო-

ლის შესახებ არსებობს მისი ყოფილი მასწავლებლისა და დირექტორის, ედუარდ შევარდნაძის მამის, **ამბროსი შევარდნაძის**, შესანიშნავი წიგნი – *„მამათის სკოლის ისტორია“* (თბ., 2005), სადაც გაბრიელ გოგუაძის სურათიცაა დაბეჭდილი (გვ. 83).

ამ დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ გაბრიელი შედის ოზურგეთის ოთხკლასიან *სასულიერო სასწავლებელში*. შემდეგ სწავლას აგრძელებს *ალექსანდრეს სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში*, რომლის სრული კურსი 1907 წელს დაასრულა და სახალხო სკოლების მასწავლებლის წოდება მიიღო. მუშაობა დაიწყო ერევნის გუბერნიის ქ. იმდირში არსებული საშუალო სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებლად. დაახლოებით 1910 წელს გადმოიყვანეს ოზურგეთის მაზრის ძიმითის (ანუ მამათის) დაწყებითი სკოლის გამგედ და მასწავლებლად, სულ მალე – ქ. ოზურგეთში სასულიერო სემინარიის მასწავლებლად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას გაბრიელი *ხაშურის გიმნაზიის* მასწავლებელია. 1923–1924 სასწავლო წელს ეს სასწავლებელი შეამოწმა განათლების კომისარიატის ბრიგადამ, რომელსაც მარიამ ორახელაშვილი მეთაურობდა. მოეწონათ ახალგაზრდა პედაგოგი და გადაიყვანეს თბილისში, სახალხო კომისარიატში, დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსად.

20-იან წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კაბინეტის გამგე, ლექციებს კითხულობდა პედაგოგიურ ფაკულტეტზე. 1924 წლის სექტემბრიდან დახურვამდე (1928 წ.) *მ. ორახელაშვილის სახელობის ცენტრალური პედაგოგიური ინსტიტუტის* დირექტორი და ლექტორია. აქ კითხულობდა ლექციებს *„შრომის სკოლის პედაგოგიკაში“*. 30-იან წლებში თანამშრომლობდა საქართველოს განსახკომის *პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში* და ერთ-ერთ კაბინეტს განაგებდა. განათლების კომისარიატში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობის

გვერდით 1937 წელს დაინიშნა განსახკომის *მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის* დირექტორად.

გაბრიელი, როგორც *სახალხო სკოლების სამმართველოს* უფროსი, განსახკომის თავმჯდომარის, ანუ, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, განათლების მინისტრის **მარიამ ორახელაშვილის** მოადგილე იყო და, როდესაც 1937 წელს მარიამი დახვრიტეს, გაბრიელიც ზედ მიაყოლეს.

¤

გაბრიელი, გარდა ადმინისტრაციული და პედაგოგიური საქმიანობისა, პედაგოგიკის დარგშიც დაუცხრომლად იღვწოდა. მისი სამეცნიერო სტატიები ხშირად იბეჭდებოდა პრესაში, სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში.

თანამშრომლობდა 1927 წლიდან გამომავალ ჟურნალ „განათლების მუშაკში“.

1929 წელს გამოვიდა კრებული *„შრომის სკოლის პრინციპები“*, სადაც მოთავსებულია მისი სტატია *„კომპლექსის შესახებ საზოგადოდ“* (გვ. 264–267). ავტორი ეხება შრომისა და ცოდნის ერთობლიობის საკითხს. გაბრიელის მოსაზრებას კომპლექსური სწავლების შესახებ და, საერთოდ, მის შეხედულებებს საგანგებოდ განიხილავს უშანგი ობოლაძე თავის წიგნში – *„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში“*[3].

1930 წელს გაბრიელის მოხსენება *„თათბირი სახალხო განათლების მორიგ ამოცანებზე, სკოლების პოლიტეხნიზაციის შესახებ“* იბეჭდება გაზეთ „კომუნისტში“[4].

გაბრიელ გოგუაძის სტატიები გამოქვეყნებულია ჟურნალში *„კულტურული აღმშენებლობა“*: ა) „შრომის სკოლების პროგრამების გადამუშავება სოციალისტური მშენებლობის ძირითად ამოცანებთან შეფარდებით“[5] და ბ) „უმაღლესი სას-

[3] II, თბ., 1962, გვ. 5, 203, 259–261, 331.

[4] 14 სექტემბერი, № 215, გვ. 3.

[5] აპრილი–მაისი, 1929–1930, №7–8, გვ. 661–665.

წავლებლების და სპეცტექნიკუმების მუშაობის მეთოდების შესახებ“[6].

1931 წელს პედაგოგიური ტექნიკუმებისა და მასწავლებლებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოვიდა ქრესტომათია – *„საბჭოთა პედაგოგიკის ძირითადი საკითხები“*. აქ დაიბეჭდა გაბრიელის ორი სტატია: ა) „ს. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილების საფუძველზე ვიბრძოლოთ სკოლის მუშაობის მაღალი ხარისხისათვის“ (გვ. 185–195) და ბ) „შრომის სკოლის პროგრამები“ (გვ. 195–199).

გაბრიელი სამი წიგნის ავტორია.

1. *„პოლიტექნიკური სკოლის დიდაქტიკა, ნაწილი პირველი“* (ტფ., 1934, 164 გვ.). აი, ამ წიგნის შინაარსი:

ა) სწავლების მეთოდების პრინციპული საფუძვლები.

ბ) ისტორია სწავლების მეთოდების შესახებ.

გ) სწავლების მეთოდების ფსიქო-პედოლოგიური საფუძვლები. აქ გამოყოფილია საკითხები: სტიმულირება, დამახსოვრება, ვარჯიშობანი.

დ) სწავლების მეთოდიკა. ქვეთავებია: ცოცხალი სიტყვა, წიგნზე მუშაობა, თვალსაჩინოება-დემონსტრაცია, ლაბორატიული მუშაობა, წერითი და გრაფიკული მუშაობა, ექსკურსია, კვლევითი მუშაობა სკოლაში.

ე) სწავლებისა და საზოგადოებრივ-წარმოებითი შრომის შეერთება.

ვ) გაკვეთილის ორგანიზაცია.

ზ) სასკოლო მუშაობის გეგმიანობა დ აღრიცხვა.

თ) შეგნებული დისციპლინა სწავლა-აღზრდაში.

2. *„ბავშვთა წესიერი აღზრდისათვის“* (ტფ., 1935, 72 გვ.). ამ წიგნში გამოყოფილია შემდეგი თავები: ა) „ბავშვთა წესიერი აღზრდის საკითხებს ყველა უნდა იცნობდეს“; ბ) „წესიერი აღზრდა ბავშვის ცოდნას უნდა დაემყაროს“; გ) „აღვზარდოთ ჯანსაღი თაობა“; დ) „აღვზარდოთ მტკიცე და საღი ხასიათი“; ე) „განსაკუთრებული ყურადღება გარდამავალ ასაკს“ და ვ) „მოვაწესრიგოთ ახალგაზრდობის სკოლისგარეშე ცხოვრება“.

---

[6] აპრილი- მაისი, 1931, № 4–5, გვ. 314–322.

ამ ნაშრომზე 1936 წლის 18 ნოემბერს გაზეთ „*კომუნისტური განათლებაში*“ დაიბეჭდა ბუნიატოვის წერილი „*გავწმინდოთ პედაგოგიკა პედოლოგიური შეცდომებისაგან*“. მას დიმიტრი გურგენიძე უარყოფით შეფასებას აძლევს: „წერილის ავტორი განიხილავს გ. გოგუაძის წიგნს «*ბავშვთა წესიერი აღზრდისათვის*» და მასში პედოლოგიური ხასიათის შეცდომებს ეძებს. ამ წიგნის ძირითად ნაკლად ავტორს ის მიაჩნია, რომ გ. გოგუაძე მოსწავლეთა აღზრდის გადამწყვეტ ფაქტორად სააღმზრდელო გარემოს მოწესრიგებას მოითხოვს და, საერთოდ, იგი აღზრდას პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში გადამწყვეტ როლს ანიჭებს. რეცენზენტი გ. გოგუაძეს საბჭოთა სინამდვილისადმი ცილისწამებად უთვლის იმასაც, რომ იგი შეეხო რამდენიმე ნაკლოვანებას, რომლებიც ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ არსებობდა“[7].

ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბუნიატოვის ეს წერილი იბეჭდება 1936 წლის 18 ნოემბერს, როდესაც სისხლიანი 1937 წელი კარს არის მომდგარი.

3. „*განვლილი დღეები (კოჩას ნაამბობი)*“ (ტფ. 1935, 76 გვ.). ეს არის დოკუმენტურ-მხატვრული თხზულება, სადაც გამოგონილ პერსონაჟ კოჩიას პირით ავტორი გადმოგვცემს სოფელში გატარებულ თავის მძიმე ბავშვობას, სოფელსა და შემდეგ ოზურგეთში სწავლისას გადატანილ კიდევ უფრო მეტ გაჭირვებასა და წვალებას, სკოლებში არსებულ უმსგავსოებას, სწავლის დაბალ დონესა და დასჯის შემზარავ სურათებს. ბოლოს — სოფლად 1905 წლის რევოლუციის წინა წლების გამოსვლებს.

ვინც ჩემს სოფელსა და მის შემოგარენს იცნობს, ადვილად დაინახავს, თუ რა სიმართლითაა აღწერილი იქაურობა, — მდინარე სუფსა და მისი ჭალა, გორაკები, გზები, აღმართ-დაღმართები, გურიელის სასახლე და ა. შ. ამით კი რა ნათლად და შთამბეჭდავადაა გადმოცემული XIX-XX საუკუნეთა მიჯნის

[7] ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, შრომები, 20, თბ., 1967, გვ. 31.

გურიის ყოფა-ცხოვრება, — გლეხკაცთა მძიმე და გაუსაძლისი შრომა, გაღატაკებული თავადები, ქალამნები, ტრადიციები, თქმულებები. ერთი სიტყვით, ავტორი აქ მახვილი თვალის ისტორიკოსად და მხატვრული სიტყვის ოსტატად წარმოგვიდგება.

გაბრიელის მოღვაწეობას, გარდა დიმიტრი გურგენიძის და უშანგი ობოლაძისა, ეხებიან სერგო სიგუა[8] და სხვებიც.

¤

გაბრიელს მუდამ მჭიდრო კავშირი ჰქონდა თავის სოფელთან, სილაურთან. თავიდან იგი მენშევიკი იყო და, როდესაც სილაურის, ბაილეთისა და ჯუმათის შესაყარზე მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის ცხარე კამათი იმართებოდა, გაბრიელი მათი აქტიური მონაწილე იყო. აქაც ის თავისი ნიჭითა და განათლებულობით გამოირჩეოდა. კვიროსი გოგუაძე მიყვება: გაბრიელი უაღრესად თავმდაბალი კაცი იყო. როცა სილაურში ჩამოვიდოდა, უყვარდა თანასოფლელებსა და მეზობლებთან ყოფნა. აინტერესებდა სოფლის წარსული, სახელდობრ, რა საიდუმლოს შეიცავდა ნაციხურის გორა. ეს გორაც ფოსტის საქმეს აკეთებდა. როცა მტერი მოდიოდა და გურიანთის კონჭკათის გორაზე კოცონი აინთებოდა, ნაციხურზეც იგივე კეთდებოდა, და ასე გადაეცემოდა ცნობა ლანჩხუთსა და ჩოხატაურს.

კვიროსი განაგრძობს: გაბრიელმა იმედის მომცემი საუბარი იცოდა. ერთხელ უთქვამს: გლახა დრო მოდის, მაგრამ ჩვენ ვერაფერს ვუშველით, ამას თვითონ დრო გამოასწორებსო.

სილაურელმა მასწავლებელმა **მარია დარჩიამ** მიამბო: 1930 წელს ადგილობრივი კოლმეურნეობის ახალგაზრდობის სკოლის დამთავრების შემდეგ ოზურგეთის პედაგოგიურ სას-

[8] მისი სტატია: „პედაგოგიკის მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში (1921–1931 წწ.)“, პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის შრომები, 1960, № 13, გვ. 39 და სხვა.

წავლებელში შემიყვანეს. ორი დღის შემდეგ, როგორც საშუალო გლეხის შვილი, იქიდან გამრიცხეს და ჩემს ადგილას დვაბზუელი გლეხის შვილი მიიღეს. მამამ დასახმარებლად გაბრიელს მიმართა. მისი მეშვეობით ბათუმის სამასწავლებლო სასწავლებელში ჩამრიცხეს.

ასეთია ზოგადად და მოკლედ გაბრიელ გოგუაძის ცხოვრება და მოღვაწეობა.

19. არქიმანდრიტი გიორგი (დარჩია)

არქიმანდრიტი გიორგი, რომელიც 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა, ჩემი სოფლელი და ჩემი მოგვარე იყო. ამჯერად ის ჩვენს ყურადღებას იმ მხრივ იპყრობს, რომ ერთ-ერთი სასულიერო პირია, რომელიც ათონის მთაზე „ივირონის" მონასტერში 1905 წლიდან კარგა ხანს მოღვაწეობდა და გვაცნობს, თუ მის დროს, ერთი საუკუნის წინათ, რა ვითარება სუფევდა ძველი ქართული კულტურის ამ სწორუპოვარ კერაში.

ამ სასულიერო მოღვაწეს ყურადღება მიაქციეს და მისი განვლილი ცხოვრების გზა გვიჩვენეს **გიორგი მაჩურიშვილმა** და **ლუარსაბ ტოგონიძემ**. მათვე დაბეჭდეს მისი ფოტოსურათი (ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი", 10-16 ივლისი, 2008, № 25, გვ. 18-20).

გიორგი ზურაბის ძე დარჩია დაიბადა და აღიზარდა ოზურგეთის რაიონის სოფელ **სილაურში** და არა **ჯუმათში**, როგორც ხსენებული ავტორები წერენ. დაბადებული უნდა იყოს XIX საუკუნის 70-იან წლებში. დედას ერქვა **ქრისტინე**. ჰყავდა ოთხი ძმა: სირმა, ფილიპე, სამსონი და ჯარისმანი, რომელთაც მეც მოვესწარი. მათი შთამომავლებიდან ბევრი სილაურში ახლაც ცხოვრობს. ჰყოლია დები, მაგრამ მათი სახელები აღარავის ახსოვს. სამსონის შვილთაშვილის ოჯახში მამა გიორგის ფოტოსურათი ახლაც ინახება.

გ. მაჩურიშვილისა და ლ. ტოგონიძის ცნობით, რომლებიც, როგორც წესი, წყაროს არ ასახელებენ, მამა გიორგი

1896 წლის პირველ მარტს მორჩილად მიიღეს მ ც ხ ე თ ი ს წმინდა ჯვრის სახელობის მონასტერში. აქედან 1900 წლის 17 ნოემბერს გადაიყვანეს ბ ე თ ა ნ ი ი ს ყოვლადწმინდა შობის სახელობის მონასტერში, 1901 წლის 9 მარტიდან – წმინდა დ ა ვ ი თ გ ა რ ე ჯ ე ლ ი ს სახელობის მამათა მონასტერში მორჩილად. აქვე აღიკვეცა ბერად და მღვდელ-მონაზვნად აკურთხეს.

1905 წლიდან მამა გიორგი სამოღვაწეოდ ა თ ო ნ ი ს წმინდა მთაზე „ივირონის“ მონასტერშია. XX საუკუნის ათიანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში ბრუნდება და ჭ ყ ო ნ დ ი დ ი ს ეპარქიაში მოღვაწეობს. 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა **ამბროსი ხელაიამ** მას იღუმენის წოდება მიანიჭა და გ ო რ ი ს რაიონის სოფელ რ ე ხ ი ს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. რადგან ათონზე ბერძნული ენა კარგად შეისწავლა, რეხიდან გადადის ბერძნებით დასახლებულ რაიონში – წ ა ლ კ ა შ ი, სადაც იგი მთავრობისაგან შევიწროებასა და დევნას განიცდის. გაზეთ *„კომუნისტში“* სათაურით *„«წალკის სასწაულთმოქმედთა» პროცესი“* აღწერილია მისი და სხვა სასულიერო და საერო პირთა 4-დღიანი სასამართლოს მიმდინარეობა, რომელმაც გამოიტანა განაჩენი: გიორგი დარჩიას და „26-ვე ბრალდებულს მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა“. ამასთანავე, მას რამდენიმე მღვდელთან ერთად მიესაჯა: „სოციალური საშიშროებისა და აგრეთვე იმის გამო, რომ მათ დარჩენას თბილისის, გორის, ახალციხისა და ბორჩალოს მაზრების ტერიტორიაზე შეუძლია გამოიწვიოს წალკაში მომხდარი ამბების გამეორება (...), სოციალური დაცვის დამატებითი ზომის სახით მიესაჯა მათ გადასახლება ზემოაღნიშნული მაზრებიდან“ (გაზეთი „კომუნისტი“, 20, 21, 23, 24 ნოემბერი, 1926, №№ 266-269, გვ. 2).

1928 წლის აღდგომას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა **ქრისტიფორე III-მ** (ციცქიშვილი) მამა გიორგის არქიმანდრიტის წოდება უბოძა.

ბოლოს და ბოლოს, მთავრობამ მამა გიორგი აიძულა, აღმოსავლეთ საქართველო დაეტოვებინა და დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. 1935 წელს ა ჩ კ ო ვ ი ს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად იხსენიება. მისმა ძმის (სამსონის) შვილმა, თამარმა, მიამბო: *პატარა ვიყავი და მახსოვს, ბიძია გიორგი შინ რომ დაბრუნდა, ცოტა ხანს გაჩერდა. მერე თქვა: ჩემ გამო არც თქვენ მოგასვენებენო, ლოცვით შემოიარა მთელი ეზო, ყველა დაგვლოცა და წავიდა. ამის შემდეგ იგი აღარ გამოჩენილაო.* თამარი, დაბადებული 1920 წელს, სილაურში მასწავლებლად მუშაობდა (გარდაიცვალა 2007 წელს).

1937 წელს მამა გიორგი დარჩია დააპატიმრეს და საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდების ბრალდებით დახვრიტეს.

გ. მაჩურიშვილისა და ლ. ტოგონიძის მოპოვებულ ამ ბიოგრაფიულ მასალებში არა ჩანს ჯუმათის მონასტერი. ვინაიდან ეს მონასტერი პირდაპირი საცალფეხო გზით მამა გიორგის მშობლიური სახლიდან დაახლოებით ერთ კილომეტრსა თუ ცოტა მეტ მანძილზე მდებარეობს, უნდა ვიფიქროთ, რომ მან თავიდან აქ დაიწყო ეკლესიური ცხოვრება. ამას ადასტურებს ექვთიმე თაყაიშვილისადმი მისი მიწერილი წერილი, სადაც იგი თავის თავს **ჯუმათელად** იხსენიებს.

¤

ახლა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე –„ივირონის“ მონასტერსა და იქაურ ქართველთა მძიმე ყოფის შესახებ.

გიორგი დარჩია 1913 წლის 30 ივლისს ათონიდან წერილს უგზავნის **ექვთიმე თაყაიშვილს**. ბარათი ახლა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის *ექვთიმე თაყაიშვილის ფონდშია* დაცული (№ 1623). იგი ნაწერია ლამაზი, ოდნავ გაკრული ხელით, შავი მელნით, რვეულის ოთხ ფურცელზე. მოგვყავს უმთავრესი ნაწილი (მართლწერა დაცულია, ზოგიერთი აუცილებელი სასვენი ნიშანი ჩემია):

„მის კეთილშობილებას ბ. ევთიმი თაყაშვილს. წ-ა ათონი, მღვდელმონაზონი გიორგის მიერ ჯუმათელი (დარჩია).

ბ. ევთიმე! ღმერთს ვთხოვ გულმხურვალე ვედრებით თქვენს სიმრთელეს, დღეგრძელობას და ბედნიერობას ნათესავ სამშობლოითურთ, გწუალობდეს და გფარავდეს ჩვენი ივერიის უ-დ წ-ა ღ-თისმშობელი და მოსახელე თქვენი ევთიმი ათონელი, ცათა მობაძავსა მის ივერიისა აღმაშენებელი, ცხადად მომთხრობელი და ბეჯედი ივერიელის ერის, დიდი და მაღალი დიდებულებისა და ძლიერებისა მისისისა, რომელიც არის შემოსილი ზეგარდმოითა მშვენიერებითა და დგას არხიპელაგოს და ათონაპოლლონის მთასა შუა და ჰქადაგებს ივერიელთა დიდებულებასა, და აქვს ბეჯედი ღ-თაებრივი და ეწოდების სამეუფო სასახლე ივერიის უ-ლად წ-ა ღთისმშობლისა, და ბძანდება შიგ ხატი მისი ცხადად სასწაულთმოქმედი, შემკობილი და შემოსილი გამოუთქმელი მშვენიერებითა და სიმდიდრითა, დიდებად და სიქადულად ნათესავისა ივერიელთასა (...).

ამ ადგილზედ რომთა ჰაჰამ აწამა და მოსწუვიტა ქართველები და შემდეგ ბერძნები ჩადგნენ შიგ. უკანასკნელი წარმომადგენია (ასეა! – ბ. ჯ.) ამ ადგილის მღ-ზონი ბესარიონ ქიქოძე, – ძმა გაბრიელ ეპისკ(ოპოსისა). ხოლო ვ-ა მღვდელმთავარი და შორს მხედი ამ ადგილზედ, კ-დ საფუძველი დაგვიდვეს ჩვენმა მღვდელმთავრებმა. ე. ი. გაბრიელ ტუსკია. გაბრიელ ეპისკ. ქიქოძე, ალექსანდრე ოქროპირიძე, ტარასი გაბუნია. სამწუხაროდ ჩვენდა, ამ ადგილზედ უმფროსობა ისეთმა კაცებმა ხელთ იგდეს, რომ რომელიმე მათგანი მათი მოქმედებით სიბირში უნდა წაეყვანათ. აქ სულ ერთიანად არივდარიენ საქმეები, დაიწყეს უთავბოლო ჩხუბი და მტრობა ბერძენთან და ქართველებთან. ამ ათონის სახელით შეიძინეს სიმდიდრე, მისცენ ნათესავებს, დაიწუეს სეირნობა სტამბოლ-ჰეტერბურგში, ქართველობას აღარ სცნობდნენ, 60 კაცი გაუარეს ქართველები, სხვა ტომის კაცები მოიყვანეს შიგ. გაგდებულთაგანია: ფილიპე შარაძე,- დღეს კუკიის წ-ა ნიკოლოზის ეკლესიაში მსახურობს, მელქისედეკ ნაკაშიძე, მღდ-ელი

ჯინჭარაძე, იღუმენი სოფრონ თალაკვაძე, მღ-ზონი გიორგი მოლარიშვილი, სჰირიდონ კეთილაძე, ისიდორე მღ-ზონი ჩიჩუა, სელმენტოსი, მღ-ზონი დიანოსე ხოფითგან, ბერი იაკობი თუში, შესანიშნავი კაცი, კონსტანტინე დუშელი, მღ-ზონი ჰავლე ჯაფარიძე. ამათ მე ვიცნობ და სხვები მრავალი.

მე მოვედი აქა 1905-ში. და ახლაც აგრე ჩვენი მეუფეროსე მღ-ზონი იონა ხოშტარია – ათი კაცი გააგდო უჰუროდ სავანისგან. ზოგს ფულები წაართვა, ზოგიც გაცარცვა. ამნაირ შემთხვევაში ზოგი მათგანი მიიქცა სასამართლოში და ბერძნებმა დაიბარეს ეს იონა. იონამ აგრე უთხრა მათ: თქვენ არ გცნობ უფროსად აქაო. ჩვენ რუსის კაცი ვართო, იყვერო თქვენი არ არისო, ა-დ რუსის არისო, რუსები უნდა შემევიყვანოო. ამას თავის საკუთარი სარგებლობისათვის ამბობს. რასაკვირველია, კარგია თავისუფალი ცხოვრება ნებასაებრ თვისისა: არც ბერძენს მორჩილება, არც რუსებს და არც ქართველებს. ქართველობა ს-დ ვარს უოფდა და მრავალი სავნებელი და უკეთურება გამოისახა გულში და შეუდგა იმათ საქმით აღსრულებას, ხოლო მე ისინი დავარღვიე და დავშალე და ოსტატობით მოვაგდე სასოგადოებისაკენ. მაგრამ ეშმაკი, სადაც გინდა წაიყვანო, ეშმაკურად მოქმედებს. ღ-მან დაგვიფაროს იმისი სიტყვების დაჯერებისაგან.

მე აქ ძლიერ კარგად ვარ მოწყობილი და დიდ ჰატივს მცემენ რუსები, ბერძნები, რუმილიენები. ამაზედ აიღო შური იონამ და ხან ქართველს მეძახის, ხან რუსს, ხან ბერძენს და ხან სხვას ვინმეს, როგორც მოუხდება. აი, კიდევ რას შვრება: ჩვენი სავანიდგან ვისიც გაგდება უნდა და, თუ ვერ შეძლო ადვილად, იმ შემთხვევაში მიდის რუსის მთავრობასთან და ეუბნება, რომ ესა და ეს კაციო არის სოციალისტი და გაიყვანეთო. აი, ახლა რა ქნა: ამ ათონში კანონია ისეთი, რომ მწვალებელი ვერ იცხოვრებს აქა, ხოლო რუსის ბერებმა შამოიღეს რაღაც წვალება, ხოლო ეს მწვალებლები რუსის მთავრობამ ათონიდგან გაიყვანეს ასამდი კაცი ამა იგლისში ჰატრიარხის მიერ კანონის ჩვენებით. აი, ამ ჩვენმა იონამ მო-

იონა საეშმაკო და სამარცხვინო სამშობლოისა საქმე და, რომელიც კაციც მას სურდა და გაგდება უნდოდა, ისინი წარუდგინა რუსს მწვალებლად. რუსმა შეეკითხა ამაზედ ბერძნებს, რადგანაც ჩვენ წ-ა ივეროს ვეკუთვნით. აბა, ნახეთ, რა მადლობის ღირსი არიან ბერძნები. ამაზედ ბერძნებმა სრულიად ვარი თქვეს, – ივერიელები ძირია და საფუძველი მართლმადიდებლობისაო, ამაში ამათი ნათესავი არაოდეს არა უოფილა წვალებელიო, ესენი ჩვენ ვიცითო. აი, აგრე გადაგვარჩინა ამ მღ-თის სამულველ საქმეს ივერო მონასტრი(ს) ბერძნებმა, თორემ იონას უნდოდა და ეცადა, რომ ჩვენ ამ მწვალებლობაში შავერიეთ და იგრე წავეეგანეთ სასირცხოდ. ამას იმიტომ გწერ და გატეობინებ, რომ კ-დ არა სცხრება ბოროტებას: წავიდა სტამბოლში და იქ იშოვნა ვიღაცა მშიერი მწერალი და აწერინებს ეშმაკეულს შურ-მტრობას ბერძენ-ქართველთა შორის და აგრეთვე ჩემზედაც. ამ ჩვენ სავანეს ამარაგებდა ზემოხსენებული მღ-მთავრები, რამდენჯერმე გახადა ანაფორა იონას და ვენედიკტეს. ხოლო მათ შემდეგ მათივე გამოგზავნილი მღ-ზნი თეოდორე ერისთავი (ეს ერისთავი გარდაიცვალა ჩემობას) და შემდეგ, უკეთუ მე არა ვუოფილიყავი, აქა ახლა ქართველებს ათონში არაფერი არ გვექნებოდა და ახლაც ძლიერ სცდილობს იონა, ამ სავანის დაკარგვას. ეს საქმითგან სჩანს ცხადად, მაგრამ შეკრული მაქვს მისი გზები. და ახლა ვიღაცა მწერლები მოიქრთამა, მოიყიდა და აწერინებს სიცრუეებს. ამიტომ ცნობა მიეცით «სახალხო გაზეთის» რედაკტორს და სხვებსაც, რომ არ გაუშვან აქეთგან მოწერილი რამეები, სანამ დანამდვილებით არ გაიგონ სიმართლე და ჭეშმარიტება.

P. S. ბევრი რამეები მინდა მოგწერო, მაგრამ შემდეგ იყოს. იცოდეთ დარწმუნებით, რომ ჩვენი ძლიერ მოუვარული არიან ბერძნები ამიტომ, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანობაში ივერიას დიდი სახელი და ღვაწლი აქვს. ივერია ღ-თისმშობლის წილხდომილი არის და დიდი წმიდანები ყოფილან ივერიიდგან. მე თვითონ მაქვს ბერძული სვინაქსარი. წ-ა დიდი

ვასილი კესარია კაბადუკის მღ–მთავარი შავი ზღვის ნაწილ გურიიდგან უოფილა, და სხვები მრავალი: წ–ა საბა განწმენდილი ჯაუელი უოფილა და იმისი ნათესავს მის სახელზედ საფარის მონასტერი გაუშენებია. (...) ათონში ბევრნი არიან დიდი წმიდანები. დიდი ათანასე ათონელი ჩვენი ქალის შვილი უოფილა. ამიტომ ბერძენ–ქართველებს დიდი სიუვარული ქონებიათ ერთმანეთში. ამ ათონში (ჩვენი) სსენებული იონა არის ჩვენი მტერი და არა სხვა. იყვრო მონასტრის წარმომადგენელი ღ–თისმეტყველების მაგისტრი **იოაკიმი** დიდი მოუვარული არის ჩვენი და დროთა შედარებით ბევრი რამ კარგი მოინდომა ჩვენთვის, მაგრამ ყოველივე წაშალა სსენებულმა იონამ. (...) ხოლო გთხოვ, რომ «სახალხო გაზეთში» დაბეჭდვინოთ ქვემო წერილი, რომელიც ჩვენთვის არის დიდი სარგებელი:

«ათონიდგან

*ბატონო რედაქტორო! გთხოვ, რომ მადლობა გამოუცხადოთ თქვენი გაზეთის საშუალებით წ–ა იყვროს მონასტრის მამებს და, მეტადრე, ღვთისმეტყველების მაგისტრს მ. **იოაკიმს**, რომელმანც მრავალს განსაცდელს გადაარჩინა ჩვენი ქართველთა სავანე და მას შინა მცხოვრებნი მამები, რომელიც დიდი მოუვარულია და მოსურნეა იყვრიული ერისა და თანამგრძნობი. შემდეგშიაც იმედი გვაქვს მისი, რომ უურადღებას მოგვაქცევს მის გვერდით ახლო მცხოვრებელ ქართველ ბერებს უოველ შემთხვევაში, რაზედაც მადლობას უძღვნით. **მღვდელ მონაზონი გიორგი ათონელი»**.*

ეს ნომერი ერთი გამომიგზავნე მე სსენებულ ადრესით. სხვა აქაური ცნობები თუ რამ გინდოდეს, მომწერე და უველას გაგაგებინებთ. აგრეთვე, თქვენ თუ შემწეობას მომცემთ მე აქა, ჩვენი სავანის შესახებ ბევრს კარგს გავაკეთებ, რომ თქვენც გაგიკვირდეს. მე ადვილათ შევსძლებ უველას წ–ა იყვრიის ღ–თისმშობლის წყალობით.

დავშვრები მარად თქვენთვის გულმხურვალედ მლოცველი თქვენთვის ღვთისადმი. მღ-მონაზონი გიორგი, ჯუმათელი (დარჩია). 1913 წ. ივლისის 30 დღე.

გაზეთისათვის იმიტომ გწერ ამას, რომ სხვა რასმე საჭირო ამისი გაშვება დაბეჭდვა. (...) ერთხელ რაღაც უსარგებლო გინება გაეშვათ ჩვენ გაზეთში ბერძნების შესახებ. როგორც ზემო მოგახსენე, ის გაზეთი პატრიარქის სასახლეში წამიკითხეს ბერძნებმა და შემცხვა, რომ ისე ჩვენი სავნებელი იყო.

P. S. პროფ. **ალექსანდრე ხახანოვმა** წერილი მომწერა მე, რომ ამ ცოტა ხანს ბერძნებს ნუ აჯავრებთ, ნუ ეჩხუბებითო, იმიტომ რომ პატრიარქები ჩვენთვინ საჭირო არისო და თქვენი უთავბოლო ჩხუბით აფუჭებთ საქმესო. და პროფ. **ალექსანდრე ცაგარელმა** ტფილისიდგან სიტყვით შამოგვითვალა ესენივე. ეს წერილი რომ იონას წა(ვ)უკითხე, მეორე დღეს წავიდა სტამბოლში ბერძნების საჩივლელად, მერმე სულ ტყუილი სიტყვებით. თვითონ არის პირველი ჩვენი სავანის მტერი. ქართველებს არ აყენებს, აგდებს, ქენჯნავს, სწყვეტავს და სხვებს სდებს მიზეზებს ეშმაკურად. ხსენებული ღ-თისმეტყველი იოაკიმი და ე-ლი (?) პროისტები იყვნენ ჩვენ სავანეში და ისეთი სიტყვები გვითხრა, რომ სწორეთ ის ევთიმე ქართველი და გიორგი იყო და არა სხვა ვინმე. ის სიტყვები დაწერი(ლი) მაქვს, მაგრამ იონას გულში არა რა შევიდა, აგრე შეკრული არის უკეთურებისაგან. ყველაფერის დაწერა არ შემიძლია. (...) იოაკიმ პატრიარხი დიდი მოყვარული იყო ჩვენი და სურდა ჩვენი საქმის გაკეთება და ბევრი დარიგება მისცა: რომ აგრე და აგრე მოიქცეო, როგორც შეიძლება საქმის გაკეთება, მაგრამ ყურადღება არა მიაქციეს, რაზედაც გაჯავრებული და ნაწყენი იყო პატრიარქი, რომ არ გამოიყენეს ჩემი შემწეობაო, შეასმინეთ რამე იონასო, რათ არი აგრე გაუგებელიო. ივერიისათვის ხელაპურობით ვევედრები ღმერთსო, – აგრე მითხრა მე და სხვა. ამ პატრიარქმა ერთ ქართველ ბერს ბერძული ას-

წავლა, რომ სავანეს გამოადგეს, ხოლო იონამ ის ბერი სავანიდგან გააგდო და სხვანი მრავალნი.

მღ-მზნი გიორგი“.

ვინაიდან ჩვენი მიზანი მხოლოდ ამ წერილის დღის სინათლეზე გამოტანა იყო, ამჯერად ამითვე შემოვიფარგლებით. არ შევუდგებით იმის ძიებას, რა მოჰყვა ამ წერილს ან რამდენად სწორად და სამართლიანად სჯის მისი ავტორი. ერთი ცხადია, ამ თემაზე არსებულ ლიტერატურასთან ერთად ესეც „ივირონის“ ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირველწყაროა.

მეორე ნაწილი

ენათმეცნიერული დაკვირვებანი

პირველი თავი
ონომასტიკური ძიებანი

„ოზურგეთი“ სახელის შესახებ[1]

ახლა მთელ საბჭოთა კავშირსა და საქართველოშიც სრულიად სამართლიანად დგას საკითხი — დაუბრუნდეს ჩვენს ქალაქებს, დაბებსა და სოფლებს თავიანთი ადრინდელი, ჩამორთმეული ისტორიული სახელწოდებანი, რაგინდ დიდი დამსახურებაც ჰქონდეთ იმ პირთ, რომელთა გვარ-სახელებიც მათ მიენიჭათ. ეჭვს გარეშეა, ეს მოთხოვნა იმდენად უცილობელია, რომ, დღეს იქნება თუ ხვალ, იგი უთუოდ განხორციელდება. ბრძოლა უფრო იმისთვისაა საჭირო, საქმე არ გაჭიანურდეს და, რაც შეიძლება, ადრე მოგვარდეს.

ცნობილია, ახლა პირველი ნაბიჯები გადაიდგა. ამჟამად ჩვენი მიზანია, გამოვეხმაუროთ იმ საკითხებს, რომლებიც სიტყვა „ოზურგეთისა“ და ამ ქალაქის ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით დაისვა.

დასაძებნია, თუ ძველად სად არის დამოწმებული ეს ტოპონიმი. ვიცით, **ოზურგეთი** ნახსენებია **ქაიხოსრო გურიელის** მიერ აჭის ეკლესიისადმი შეწირულობის წიგნში, რომელიც 1660 წლის ახლოსაა დაწერილი. ქაიხოსრო წმინდა გიორგის მიმართავს: „წმიდაო გიორგი აჭისაო, გევედრები მე, გურიელი ქაიხოსრო. მას ჟამსა, ოდეს თქვენს საყდარს სიმაგრეშიდ ვიუავით, გამოგვიზახა დადიანმან ვამეხმა თავს დასასხმელი დიდი ლაშქარი (...), მოგვიხდენ

[1] პირველი ნაწილი შემოკლებით დაიბეჭდა გაზ. „სოფლის ცხოვრებაში“ (19 მაისი, 1989, № 115, გვ. 4).

და შუა გურია დაარბიეს. და შენს მეტი ღონე აღარ მქონდა და შიგ თქვენს ტაბარშიდ შევიკაზმეთ, მოვედით ო ზ უ რ გ ე თ ს“[2].

ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც განეკუთვნება XVIII საუკუნის დასაწყისს თუ 20-იან წლებს, პირველ ტექსტში მას ო ზ უ რ გ ე თ ს უწოდებს, მესამე ტექსტში უ ზ უ რ გ ე თს: „მაშინ გიორგი გურიელმან ეო ეგრეთ: დაიჭირა დათულია და დაატყვევეს ო ზ უ რ გ ე თ ს“. მეორე ადგილას: „ხოლო გურიელმან უღალატა და შეიპყრა დათულია და დაატყვევა უ ზ უ რ გ ე თ ს“ (იქვე, გვ. 504).

რამდენიმეჯერ ახსენებს მას ვახუშტი ბატონიშვილი 1740-1745 წლებში დაწერილ თავის ნაშრომში: „შემოქმედს ქუეით არს ო ზ უ რ გ ე თ ი, სასახლე დიდშენი“[4]. კიდევ: „განიხარა გურიელმან, შეიპყრა ზაკვთ დათულია, არამედ თჳთ არა მოაკუდინა, ჰატიმარჰყო ოზურგეთს და დაიპყრა საჯაოხო“ (იქვე, გვ. 818).

თუ სხვა რაიონების ძველი სახელები ცილობას არ იწვევს, ერთგვარად საჭოჭმანო გამხდარა მ ა ხ ა რ ა ძ ი ს ადრინდელი სახელი „ოზურგეთი“ („მახარაძე“ ოზურგეთს დაერქვა 1934 წელს ფილიპე მახარაძის პატივსაცემად)[5].

გურიაში და სხვაგანაც გავრცელებულია აზრი, თითქოს „ოზურგეთი“ „თათრული“ სიტყვა იყოს და მას უხამსი შინაარსი ჰქონდეს. ჯერ კიდევ 1928 წელს გაზეთში „მუშა“ პ. ხომერიკი აქვეყნებს წერილს „ოზურგეთი (მგზავრის შენიშვნები)“, სადაც

---

[2] ქართული სამართლის ძეგლები, VI, სასამართლო განჩინებანი, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 667.

[3] ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიმხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1959, გვ. 262.

[4] ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიმხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1973, გვ. 791, 818

[5] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6 და 7.

წერს: „ოზურგეთს ძველთაგან ოზურგეთის სახელი დაერქვა მას შემდეგ, რაც ის თურქებმა დაიპყრეს. თურქებს წარმოდგენილი ჰქონდათ დაპყრობამდე, რომ გურიის ეს ქალაქი რაღაც დიდი ქალაქია, მაგრამ, როდესაც დაიპყრეს, სულში შერჩათ ჰატარა ქალაქი და იმედგაცრუებულებმა დაიგინეს ბინძური სიტყვებით, ამგვარათ სიტყვა **ოზურგეთი** თურქული სიტყვიდანაა წარმომდგარი და ის ძალზე ბინძურ შინაარსს შეიცავს. საჯაროა, ოზურგეთს სახელწოდება შე(ვ)უცვალოთ. ოზურგეთის სახელწოდების გამოცვლაზე კარგად უნდა მოიფიქროს და დროზე დასვას საკითხი, სადაც ჯერ არს, ოზურგეთის მაზრის სელისუფლებამ“ (7 მარტი, № 1588, გვ. 6).

რამდენიმე დღის შემდეგ, 11 მარტს, ამავე გაზეთში დაიბეჭდა **გ. ლომთათიძის** საპასუხო წერილი. მან ეს ახსნა უარყო: „სიტყვა ოზურგეთი არ წარმოსდგება თურქული სიტყვისაგან და ის არც ჰორნოგრაფიულია. (...) ოზურგეთის სახელწოდებას საფუძვლად უძევს ტოპოგრაფიული ელემენტი (№ 1592, გვ. 8).

„ოზურგეთის“ თურქულიდან წარმომავლობა უარყო აგრეთვე **იოსებ მეგრელიძემ**: „Некоторые, прислушиваяс к народной этимологии, думали, что это название происходит от турецкого осур-гет – термин, «неприличный» по своему значению, что смушало некоторых гурийцев. Считать это название происходящим от турецких слов, нет никакого реального основания, это простое совпадение в созвучии“[6].

მე ვესაუბრე რამდენიმე ჩვენს წამყვან თურქოლოგს – აკადემიკოს **სერგი ჯიქიას**, პროფესორ **ოთარ გიგინეიშვილს**, მეცნიერ-თანამშრომელს **ილია დათუნაშვილს**, რომელიც ინგილოა და აზერბაიჯანული ბავშვობიდან აქვს შეთვისებული. ო. გიგინეიშვილთან საუბარს ესწრებოდა თურქეთში დაბადებული და იმჟამად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მცხოვრები ქარ-

[6] И. В. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слои в гурийском, Москва-Ленинград, 1938, с. 77.

თველი **ილია ხიმშიაშვილი**, რომელმაც მსჯელობაში ხალისით მიიღო მონაწილეობა. მათ ამიხსნეს: „ოზურგეთი“ თურქულში ყველაზე მეტად ჰგავს „ოზურგით“ სიტყვას, რომელშიც „ო“ უმლაუტიანია (გამოითქმის „ოე“)-ს მსგავსად. მისი შინაარსია: „ბოდიში მოიხადე და წადი!“ ან „ბოდიში, წადი აქედან!“ („ოზურ დილემექ“ არის „ბოდიშის მოხდა“). უწმაწური შინაარსით კი დაახლოებით ასე გამოითქმის – „ოქსურგეთ“ (აქაც „ო“ და „უ“ უმლაუტიანია). „ოქსურ“ ლიტერატურული თურქულია და პირდაპირი მნიშვნელობა აქვს „დახველება“, გადატანითი მნიშვნელობა – „კუჭის დახველება“, მოქმედება. „გეთ“ კუთხური თურქულია და ნიშნავს „წასვლას“, „გაქცევას“. მისი ლიტერატურული ფორმაა „გით“.

მეორე თურქული უცენზურო სიტყვა, რომელიც „ოზურგეთს“ ჰგავს, მიახლოებით გამოითქმის როგორც „ოსურგეთ“. „ოსურ“ კუჭის ხმაურიანი დაცემინებაა.

„ოზურგეთი“ თურქულში ყველაზე მეტად ჩამოჰგავს იმ სიტყვას, რომელსაც უწმაწური მნიშვნელობა არა აქვს და შეიძლება მას ქართველთათვის საამაყო გაგება მიეცეს: მომხვდურს, მოძალადეს, უცხოელს ეუბნება, – *ბოდიში მოიხადე და წადიო*. მაგრამ არც ეს გაგება ჩანს სარწმუნო.

ბევრად უფრო საყურადღებოა ამ ტოპონიმის ლაზურ-მეგრულ ნიადაგზე ახსნა, რომელსაც მოსე ჯანაშვილი და თედო სახოკია იძლევიან და ბევრი იმეორებს.

მოსე ჯანაშვილს უწერია: „ოზურგეთი = საზურგეთი (ო=სა: ობუდე=საბუდე, საბუდარი, ობონალი=საბანელი, ოზიდალი =საზიდელი, საზიდავი)“[7].

თედო სახოკია იმოწმებს მ. ჯანაშვილის ამ განმარტებას და აღნიშნავს: „ამბობენ, ოსმალოს ჯარი ძველ დროში ოზურგეთამდე თუ მოატანდა, ამას იქით კი სიარული არ შეეძლოო, რადგან გურულებს ამ ადგილას ზურგი ეოველთვის მაგრად ჰქონდათ, მტერი ვერას აკლებდაო. ამ ნაამბობის შემდეგ უფრო

[7] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, რედაქცია მ. გ. ჯანაშვილისა, ტფ., 1904, გვ. 321.

საფუძველი ეძლევა მეგრულ სახელწოდებას ამ ქალაქისას. ჰრეფიქსი ო, რომელიც ემატება სიტყვას თავში, უდრის ქართულ სა-ს. მაგალითად მეგრული ო-სიმინდე – ქართული სა-სიმინდე, ო-შურეთი – სა-სულეთი (საქიო) და სხვ. აგრეთვე ო-ზურგეთი იგივე საზურგეთია"[8].

ამ მოსაზრებას მხარს ბევრი უჭერს. **გ. ლომთათიძე**, რომელიც მ. ხომერიკს შეეკამათა, წერს: „სამხრეთ გურიის ადგილებიდან დასავლეთისაკენ მიიმართება ორი ჰატარა გორაკი, ანუ ზურგი დედამიწისა. ეს «ზურგები» სიმაღლით თანასწორნი არიან და არ აღემატებიან 5 საჟენს. ისინი ერთმანეთს დაშორებულნი არიან 40–50 საჟენით. «ორ ზურგთაგან» ერთი – მარცხენა – თავდება მდ. ბუჟით, ხოლო მეორე მარჯვენა თავდება ქალაქის ბოლოში. ეს «ზურგები» ყველაზე უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს იქ, სადაც ქალ. ოზურგეთია გაშენებული. ეს ბუნებრივი მოუვანილობა ორი ჰატარა გორაკისა, რომლებიც მართლა რომ ზურგივითაა გაწოლილი, ჰქმნის საფუძველს იმ ადგილის სახელწოდებისათვის – «ოზურგეთი».

ოზურგეთი რთული სიტყვაა. იგი შესდგება ორი ფუძისეული სიტყვისაგან: «ორი» და «ზურგ-ეთ» – ორზურგეთი. ენის მექანიკის სინამდვილისათვის ამ სიტყვაში «ორზურგეთი» მომხდარა ეგრეთწოდებული ასიმილაცია ერთი ასოსი, სახელდობრ, პირველი ფუძის «რ»-სი. მეორე ფუძეში მუოფმა «რ»-მ მოკლა პირველი «რ»: ო(რ)ზურგეთი – ოზურგეთი.

აი, ამგვარად არის წარმომდგარი სახელწოდება ოზურგეთი. იგი წმინდა ქართული წყაროსაგან მომდინარეობს, არავითარი კავშირი არა აქვს თურქულ წყაროებთან. აქ არც რაიმე სიბინძურის ნატამალი ჩანს".

იოსებ მეგრელიძე, რომელმაც აგრეთვე ოზურგეთის თურქულის მეშვეობით ახსნა უარყო, იმოწმებს გ. ლომთათიძის ზემორე დამოწმებულ მოსაზრებას და ლაზურ-მეგრული გან-

---

[8] თ. ს ა ხ ო კ ი ა, მოგზაურობანი, თბ., 1985, გვ. 26.

მარტებისაკენ იხრება: „Скорее правы те, которые думают, что ოზურგეთ-ი состоит из префикс ო и ზურგ-ეთ“ (იქვე).

იური სიხარულიძე წერს: „ოზურგეთი არ არის ამ გეოგრაფიული ჰუსქტის თავდაპირველი ფორმა. უძველეს დროში იგი უფრო მარტივად, **ოზურგე**-დ იწოდებოდა. **ოზურგე ო**-ე აფიქსალური წარმოების ტოპონიმია ფუძისაგან «ზურგი»“. ავტორი განაგრძობს: „მოგვიანებით, როდესაც კოლხეთის შემკვიდრე ეგრისს ლაზიკის რაიონის სამხრეთ მხარეში ახალი ვითარება შეექმნა, ბევრმა ძველმა ტოპონიმმა იცვალა სახე, ახალ ენობრივ სამყაროს შეეწყო. ამ ახალმა თავისი კვალი კოლხურ **ოზურგე**-თშიც აღბეჭდა. კერძოდ, გეოგრაფიულ სახელთა ქართული **ეთ** მწარმოებლით გაფორმდა“. მისი აზრით, ამ სახელის გაჩენა იქაურმა ადგილმდებარეობამ განსაზღვრა: „გეოგრაფიულად **ზურგად** იწოდება სერისებურად შემაღლებული ადგილი. ასეთია სწორედ ის ზურგი, სადაც ფეხი აიდგა ოზურგეთის უძველესმა წინაპარმა ახლანდელი **მოიდანახეს** მიდამოებში“[10].

აღნიშნულ მოსაზრებას დღეს მხარს უჭერს **ზურაბ ჭუმბურიძე**. იგი წერს: „**ოზურგეთი** ნაწარმოებია **ო** ჰრეფიქსით და **ეთ** სუფიქსით **ზურგ** სიტყვისაგან, რაც კოლხურად «მთის ზურგს», «გორაკს», «ბორცვს» ნიშნავს“[11].

ასევე ფიქრობს **აბესალომ ტულუშიც**. მისი სიტყვებია: „ზ უ გ //ზ უ რ გ რომ მართლაც ბ ო რ ც ვ ს, გ ო რ ა ს ნიშნავს, ამას ადასტურებს სამეგრელოსა და გურიის ტოპონიმიკური მასალა“. ჩამოთვლილ მაგალითებში ასახელებს „ოზურგეთსაც“ და ასკვნის: „როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში ზ უ გ //ზ უ რ გ ფუძიანი ტოპონიმი აღნიშნავს გ ო რ ა ს, ბ ო რ ც ვ ს, საერთოდ, ა მ ა ღ ლ ე ბ უ ლ ა დ გ ი ლ ს. ამავე მნიშვნელობით ზ უ გ დღესაც იხმარება სვანურში“[12].

---

[10] იური სიხ ა რ უ ლ ი ძ ე, საიდან წარმოსდგა სახელწოდება „ოზურგეთი“, გაზ. „ლენინის დროშა“, 13 აპრილი, 1963, გვ. 4.

[11] ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 482.

[12] ონომასტიკა, I, თბ., 1987, გვ. 161-162.

ამავე თვალსაზრისზე დგას **რევაზ ძნელაძე**, რომელიც წიგნებად გამოცემულ თავის საკანდიდატო დისერტაციაში ასე აზუსტებს: „გურულში ზრუგი ნიშნავს მცირე ბორცვს, ამაღლებულ ადგილს [...]. ო ზ უ რ გ ე თ ი (< ოზრუგეთი < ზრუგი), ო ნ ჯ ი კ ე თ ი (< ჯინკა) წარმოადგენენ არა ზანურ სუბსტრატებს, არამედ ქართულ ტოპონიმებს, რომლებიც წარმოქმნილია გურულში არსებული ზანური მორფოლოგიური სუბსტრატისა (ო– ჰრეფიქსის სახით) და ქართულ -ეთ სუფიქსის ერთდროული გამოყენებით აბორიგენული მოსახლეობის ქართიზაციის ჰერიოდში. ვიმეორებთ: ო გამოყენებულია ტოპონიმთა საწარმოებლად აქ დამკვიდრებული ქართული მოსახლეობისა და ადგილობრივი ზანი მოსახლეობის თანაცხოვრებისას, ე. ი. ზანთა ქართიზაციის ჰირველ ჰერიოდში“[13].

ამავე შეხედულებას იმეორებენ სხვებიც. ამ ბოლო დროს ავთანდილ ფაილოძე წერს: „ო ზ უ რ გ ე თ ი ზ უ რ გ ი ა ნ ს, ს ა ზ უ რ გ ი ა ნ ს, ბ ო რ ც ვ ე ბ ი ა ნ ს ნიშნავს“[14].

ამ მეორე ახსნაზე დაყრდნობით საძიებელი რაიონის გაზეთ „ლენინის დროშის“ ფურცლებზე ზოგიერთი აყენებს საკითხს – სხვა სახელი მიეცეს ქალაქს. ერთნი გვთავაზობენ მეზობელი სოფლის სახელს – **„გურიანთა“**, მეორენი **„ორ-ზურგ-ქედის“** ფორმის აღდგენას[15]. მესამენი მის გამარტივებულ სახეს – **„ორქედს“**. ვალერიან შავიშვილი ამ გაგებას იმიტომ უჭერს მხარს, რომ მიაჩნია, ქალაქი გაშენებულია „ორ-ზურგ-ქედზე“,

---

[13] რევაზ ძ ნ ე ლ ა ძ ე, გურული დიალექტის ტოპონიმური სისტემა, თბ, 2005, გვ. 8.

[14] ავთანდილ ფ ა ი ლ ო ძ ე, დასავლურ-ქართული ტოპონიმია და გვარსახელები, ეტიმილოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი, II, ქუთაისი, 2011, გვ. 104.

[15] ენვერ გ ო გ უ ა ძ ე, „ლენინის დროშა“, 6 ოქტომბერი და 25 ოქტომბერი, 1988; დომენტი მ ჟ ა ვ ი ა, ნიკოლოზ ღ ლ ო ნ ტ ი, „ლენინის დროშა“, 15 დეკემბერი, 1988.

რაც გულისხმობს მოიდანახისა და სერის „ზურგებს“ (ბორცვებს) და ექადიის ქედს[16].

ეტყობა, ამ თვალსაზრისის გამო იყო, რომ ახლახან გაზეთ „თბილისში“ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისიის განცხადებაში ეს ქალაქი ნახსენებია ასე: „ო(რ)ზურგეთი“[17].

არსებობს მესამე და მეოთხე ტიპის განმარტებანიც.

ოზურგეთის თავისებური გაგება წარმოადგინეს ნიკო და იური მარებმა, რომლებიც მასში ტოტემურ ნაშთს ხედავენ და გამოყოფენ მეგრულ სიტყვას „ოსურ“, რაც ქართულად *ცოლს, ქალს* ნიშნავს: „Центральный город оზურგეთი требует пересмотра анализа своего имени с тотемом в основной части по элементам. Что в нем бесспорно, так это о+зур < о+сур ‘женщина’, ‘девушка’, уже от стадии установлеия матриархального строя...“. პარალელს ავლებენ სიტყვებთან: აკეთი, ერკეთი, ქაქუთი, გეგუთი[18].

იუსტინე აბულაძე ამ საკითხისადმი მიძღვნილ საგანგებო ნაშრომში, რომელიც 1939 წელს *„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების“* X ტომში დაიბეჭდა (გვ. 279-181), უარყოფს მ. ჯანაშვილისა და თ. სახოკიას ახსნას და „ოზურგეთს“ ასე განმარტავს: „ცეცხლის სახლი“. მისი აზრით, სიტყვის პირველი ნაწილში „ოზურ“ არის არაბიზებული სპარსული სიტყვა „აახზურ“, რომელშიაც დახურული „ა“ გამოითქმის როგორც „ო“ და ნიშნავს „ცეცხლს“, ხოლო მეორე ნაწილია სპარსულივე „ქედ“ ან „ქედე“ და აღნიშნავს „სახლს“. ასეთიაო, წერს იგი, სპარსული „ათეშქედ“ – ქართულად „ცეცხლის სახლი“, „მეიქედ“ – ღვინის სახლი, სამიკიტნო და სხვა.

---

[16] ვალერიან შავიშვილი, „ლენინის დროშა“, 21 თებერვალი, 1989.

[17] № 107, 1989 წ.,

[18] Н. Я. Марр и Ю. Н. Марр, Зачетки о турецком языке окрестностей Абастумани, М.- Л., 1937, с. 19.

მეცნიერის ვარაუდით, უძველეს ხანაში, ცეცხლთაყვანისმცემლობის დროს, ოზურგეთი უნდა ყოფილიყო საკერპო ადგილი, სადაც ღვთაებად მიჩნეული ცეცხლი ენთო, და აქედან წარმოდგა მისი სახელიო. ამგვარივე წარმოშობის ტოპონიმებად თვლის ის ვანის რაიონის სოფლებს ბ ა ბ ო თ ს ა და ბ ა გ ი ნ ე თ ს (ბაგინეთია აგრეთვე მცხეთაში).

რა შეგვიძლია ვთქვათ ამ ეტიმოლოგიებზე?

ჩვენი აზრით, ამთავითვე მიუღებელია აღნიშნული სპარსული და თურქული განმარტებანი. ისინი სიტყვის მხოლოდ გარეგნულ მსგავსებას ემყარებიან და არც ერთი რაიმე ისტორიული წყაროთი გამაგრებული არ არის.

თუ „ოზურგეთი" სპარსული სიტყვაა და ქრისტიანობის წინადროინდელი საღვთო-საკულტო ადგილი იყო, ასე მნიშვნელოვან ცენტრს ძველ წერილობით ძეგლებში ასახვა უნდა ეპოვა. ჩანს კი გვიანდელ საბუთებში.

რაც შეეხება თურქეთს, იგი დასავლეთ საქართველოში მართლაც ხანგრძლივად ბატონობდა. მისმა ენამაც აქაურ მეტყველებას საგრძნობი დაღი დაასვა, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ტოპონიმებზე. სამწუხაროდ, ამ კუთხით გურიის ტოპონიმიკა ჯეროვანი შესწავლისაგან შორსა დგას. ბევრი თურქოლოგი, მათ შორის სერგი ჯიქია, გადაჭრით ეწინააღმდეგება ოზურგეთის თურქულად ახსნას. მისი სიტყვით, ადგილის სახელდების ამგვარი მაგალითი თურქულისათვის უცხოა[19].

---

[19] სრულიად მოულოდნელად და დაუსაბუთებლად ჟურნალისტმა **დიტო ჩუბინიძემ** საგაზეთო წერილში კვლავ წამოაყენა უკვე უარყოფილი და დავიწყებული თვალსაზრისი „ოზურგეთის" თურქულობის შესახებ და კატეგორიულად მოითხოვა მისი შეცვლა. მისი სიტყვებია: „ოზურგეთს სახელი უნდა შეეცვალოს!.. ეს თურქული ტოპონიმი, რომელიც ოკუპანტმა ოსმალეთის იმპერიამ ამ წმინდა ქართულ მიწაზე კიბოდ და წულულად დაგვიტოვა, ჩვენი მეხსიერებიდან ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოიშანთოს! მე, ქალბატონ გიული ალასანიასაგან განსხვავებით, თურქოლოგი არ გახლავართ და რასაც ახლა ვიტყვი, ამის თაობაზე თავს ვერ გამოვიდებ, მაგრამ, როგორც

ყველაზე უფრო ანგარიშგასაწევია მეგრული ახსნა. აშკარად ჩანს, გურიისა და მისი ჩრდილოეთის გეოგრაფიული სახელები, როგორც წესი, ქართული და მეგრულ-ჭანური წარმოშობისაა. მაგრამ აქაც ბევრი რამ კითხვას ბადებს.

სინამდვილეს არ შეესაბამება გ. ლომთათიძის, ვ. შავიშვილისა და სხვათა მოსაზრებანი ოზურგეთის მდებარეობის შესახებ. ქალაქი ისტორიულად გაშენებული იყო (და ძირითადად ახლაც ასეა) არა ქედებზე, მოიდანახის, სერისა და ექადიის „ზურგებზე", არამედ დაბლობზე. რამდენადაც ძველი საბუთებიდან ჩანს, გურიელის სასახლე ყოველთვის მის ცენტრს წარმოადგენდა. **მოიდანახე** და **სერი** მისი გარეუბნებია, **ექადია** – კიდევ უფრო შორეული ადგილი, ხოლო „ორზურქედ" სიტყვას ისეთი ბოლოსართი არ ახლავს, ამ ამაღლებულ ადგილებს შორის მოთავსებულ ვაკეს რომ გვიჩვენებდეს. ისიც სათქმელია, „ქედი" იმდენად ცნობილი და გავრცელებული სიტყვაა ქართულში, დიდად საეჭვოა, უცნობ „გეთ"-ად გადაკეთებულიყო.

შინაარსობრივად არც ის ახსნა ჩანს სარწმუნო, რომელსაც მ. ჯანაშვილი, თ. სახოკია და ზოგიერთი დღევანდელი მკვლევარი გვთავაზობენ. რას ნიშნავს **საზურგეთი**? რატომ უნდა ყოფილიყო ეს მხარე საზურგეთი, – ტვირთის ზურგით გადასატანი ადგილი. განა მას ოდესმე ცხენი ან ურემი არ უდგებოდა? **საზურგენი/საზურგონი** – ასე ჰქვია მთიულეთში მთას სოფელ გოგნაურებში. გიგი ხორნაული მის შესახებ წერს: „საზურგენი (ს. გოგნაურები) სათიბი მთაა, ცუდი, მიუდგომელი. ამიტომ აქედან ზურგით გადმოაქვთ თივა და გორაზე აგებენ"[20].

მსმენია, «ოზურგეთი» თურქულად ცუდ რაღაცას ნიშნავს, რასაც გაზეთში ვერ დავწერ!.." (გაზ. „კვირის ქრონიკა", 2012, № 25, გვ. 11).

ამ წერილს უმალვე გამოეხმაურნენ **რევაზ ძნელაძე** და **მურმან თავდიშვილი** და ერთობლივად გამოაქვეყნეს სტატია: „*ოზურგეთს სახელი არ უნდა შეეცვალოს!*" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 30 ივნისი, 2012, № 124, გვ. 6).

[20] გ. ხ ო რ ნ ა უ ლ ი, მთები და სახელები (მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმიკური მასალები და ძიებანი), თბ., 1983, გვ. 89, 172.

ასევე დასაჯერებელი არაა, „ოზურგეთი“ **საზურგეთის** იმ გაგებით აიხსნას, რომ **ზურგის, უკანა, განაპირა** მხარის ადგილი ყოფილიყო. ის რომელიმე გორაკის, ბორცვის მიღმა ტერიტორია არ არის.

¤

როდესაც ოზურგეთის ეტიმოლოგიაზე ვმუშაობდი, ყოველთვის ვფიქრობდი იმაზე, სამხრეთ საქართველოდან აქ გადმოსახლებულმა ხალხმა, გურია რომ შექმნა, ეს სახელი პირვანდელი საცხოვრებელი ადგილიდან ხომ არ წამოიღო და აქ მოიტანა-მეთქი? ამიტომ მესხეთ-ჯავახეთის ტოპონიმიაზე დაბეჭდილ ნაშრომებს თვალყურს საგანგებოდ ვადევნებდი. ამ 15-ოდე წლის წინათ ერთ-ერთ ნაშრომში ამოვიკითხე, რომ „ოზურგეთი“ რქმევია, როგორც მახსოვს, მესხეთის ერთი სოფლის ერთ კუთხეს. ამის თაობაზე ტელეფონით ველაპარაკე პედაგოგიკის ინსტიტუტის ყოფილ თანამშრომელს, ახალციხელ **ლია ხმალაძეს**. მან ეს სოფელი არ იცოდა. იმ მიზნით, რომ მის ადგილმდებარეობას რაიმე ეთქვა, მინდოდა, თვითონ ჩავსულიყავი ამ სოფელში და მისი ოზურგეთი მენახა, მაგრამ მაშინდელი პირობების გამო ეს ვერ შევძელი. საქმე სამომავლოდ გადავდევი და ამოწერილი მასალაც საგულდაგულოდ შევინახე. ახლა, როდესაც წინამდებარე წიგნის გამოსაცემად მზადებას შევუდექი, მას ვერა და ვერ მივაგენი.

¤

ამიტომაც იყო, დიდი ინტერესით შევხვდი მურმან თავდიშვილის ფრიად ახალ და საყურადღებო მოსაზრებას „ოზურგეთის“ წარმომავლობის შესახებ. ფილოლოგებსა და ისტორიკოსებს ვის არ წაგვიკითხავს და გვისწავლია მეფე-პოეტ არჩილ მეორის პოემა *„გაბაასება რუსთველისა და თეიმურაზ მეფისა“*, მაგრამ არავის შეგვიმჩნევია, რომ იქ დასახელებულია ქალაქი **„ოზურხე“** და მისთვის არ შეგვიხედავს იმ კუთხით, რომ იგი, იქნებ, პირველსახეა გურიის ოზურგეთისა. მურმანის ეს ნარკვევი პირველად და შემდეგაც დაიბეჭდა სხვადასხვა

გაზეთში, შესულია მის კრებულში „კრიტიკული წერილები“ (თბ., 2011, გვ. 20–23).

არჩილი აღწერს 1191 წელს გიორგის რუსისა და მის მხარეს გადასული განდგომილი ქართველების ბრძოლას თამარ მეფისა და მისი ჯარის წინააღმდეგ. ბოლოს წერს: „დაწვეს ქალაქი ო ზ უ რ ხ ე“ (სტროფი 812. 4).

საისტორიო წყაროებში ეს ქალაქი სხვადასხვა სახელითაა წარმოდგენილი: **ოძრკე, ოძრაკე, ოძურკე, ოცხე**. მურმანის თვალსაზრისია: „ამ ტოპონიმს მეფე-პოეტი თავისი ფანტაზიით არ გამოიგონებდა! ორიდან ერთია: ან მას ხელთ რაღაც დღემდე უცნობი საისტორიო წყარო ეჭირა, სადაც ეწერა ო ძ რ ა ხ ე – ო ძ ა რ ხ ე – ო ძ რ ა ხ ო ს ი ს მოგვიანო ფონეტიკური ვარიანტი ო ზ უ რ ხ ე, ანდა თვით მეფე-პოეტის დროს ეს ადგილი ამ ფორმით უფრო იყო ცნობილი“ (გვ. 21–22).

მურმანი ასეთ ფონეტიკურ ანალიზს გვთავაზობს: „უძველესი ტოპონიმია ო ძ რ ა ხ ე. მან განვითარება ჰოვა სამი მიმართულებით. ა) ო ძ რ ა ხ ე – ო ც ხ ე (გვარი ოცხელი)–ს ა ო ც ხ ე – ს ა მ ც ხ ე; ბ) ო ძ რ ა ხ ე – ო ძ ა რ ხ ე (სადაც ფუძის შიდა გახმოვანება ხდება «ა» ბგერით); ო ძ რ ხ ე – ო ძ უ რ ხ ე (სადაც შიდა გახმოვანება ხდება «უ» ბგერით)“. შემდგომ «ძ» აფრიკატი (რთული თანხმოვანი) დაიშალა შემადგენელ ნაწილებად. დაიკარგა «დ», ხოლო «ზ» შემოგვრჩა. ასე წარმოიქმნა ო ზ უ რ ხ ე, არჩილ ბაგრატიონის მიერ «ოძრხე» ტოპონიმის ნაცვლად დაფიქსირებული“ (გვ. 22–23). ავტორის დასკვნით: „გრამატიკულ–ფონეტიკური თვალსაზრისით, ო ზ უ რ ხ ე თ ი ერთობ იოლად იძლევა ფორმას ო ზ უ რ გ ე თ ი“ (გვ. 23).

სანამ მურმანი ამ ნარკვევს დაბეჭდავდა, იგი მე გამაცნო. პირველი, რამაც დამაეჭვა, ქართულ ენაში „გ“ და „ხ“-ს ფონეტიკური მონაცვლეობა იყო. დამაეჭვა ისტორიულმა საკითხებმაც და მაშინვე ვთხოვე, საქმე ბოლომდე მიეყვანა: შეესწავლა არჩილის პოემის ხელნაწერები, – ყველა მათგანში დასტურდებოდა თუ არა ეს სახელი? და აგრეთვე: ტოპონიმი „ოზურხე“ ამ სახით სხვაგან კიდევ არის თუ არა ნახსენები?

დავიწყოთ იმის გარკვევით, რა წყაროთი სარგებლობდა არჩილი?

არჩილი ჯერ პროზაულად გადმოგვცემს: „აქა ოდეს რუსი განაძეს, თამარს შერთეს ოსთა მეფის ძე, თვით კაცი სრული სიკეთითა. ამისად შემდგომად იზრახეს გუზან, პატრონმან შაუშეთისამან, სამცხის სპასალარმან ბოცო. მისით მოკიდულით მესხთ, ყვარყვარემ ციხისჯვარელმა და მოიყოლეს იმერნი, დადიან-გურიელი, აფხაზი და სვანი. და მოიყვანეს რუსი, შემოებნეს დავითს და ამიერთა“[21]. შემდეგ ლექსად მოგვითხრობს:

„აწ იქნა საქმე ბოროტი, უშვერი, მოუწონარი,
არ ღვთის-მოყვარეთ საქნელი, მძიმეა, მოუწონარი.
ამის მოქმედსა ეკალი თვალსა ჰკარ მოუწო ნარი.
აწცა თამარის ერთგულთა შეუმკო, მოუწონ არი.

გუზან განუდგა, პატრონი შავშეთის, სულა კლარჯისა,
კვლავ სპასალარი სამცხისა ბოცო, არ გიკვირს? რა რჯისა?
სხვა მათი მოკიდულობა ყვარყვარე ციხისჯვარისა.
მით უაუგო, ორგულთა, ჯვარი ცხოველი გარჯისა.

წავიდეს გეგუთს, შეკრიბეს, ლიხთ იქით ვინ არს მყოფარი –
აფხაზნი, სვანნი, რაჭველნი, სხვათ მთის კაცთ არ-გამყოფარი,
აფიცეს რუსის სამეფოთ, რა ამის განაყოფარი,
გაგზავნეს, რუსი მოიხმეს, დააგდეს არ სამყოფარი.

---

[21] არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი, საძიებელი და გამოკვლევა დაურთეს ივანე ლოლაშვილმა, ლიანა კეკელიძემ, ლალი ძოწენიძემ, თბ., 1999, გვ. 319.

მოვიდა რუსი, გარდვიდეს, გეგუთს შეჰყარეს
ლაშქარი,
შემოიყარეს ყოველნი, დადიანიცა შაქარი,
იგინი იქით წამოდგეს, თამარ ნათელი აქ არი.
მალ წაუხდებათ რჩევისა მინაქარ-მათ-მონაქარი.

მათ გარდმოვლეს მთა ლიხისა, ქართლი
მოწვეს, მოარბიეს,
არვინ დახვდათ მეომარი, ყოვლგან ცხენი მოარბიეს,
გარდიარეს რკინის ჯვარი, დასადგურდეს
ციხისჯვარეს,
დაწვეს ქალაქი ოზურხე, ურჩისა თქვეს:
«დააბი ეს!»"
(სტრ. 808-812).

მურმანი ამ ტექსტს უდარებს ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიულ ნაშრომს, სადაც ეს ამბავი მოკლედ არის მოთხრობილი: „... გარდამოვიდნენ, მოსტუუნნეს ნაჯარმაგევი გორამდე; სოლო დადიან-ბედიელმან გარდავლეს რკინისჯუარი და დაწვეს ოძრაკე"[22].

მურმანი სწორად შენიშნავს, რომ არჩილს „ეტყობა, ხელთ ჰქონდა რომელიღაცა ჩვენთვის უცნობი წყარო" (გვ. 21); „მას ხელთ რაღაც დღემდე უცნობი საისტორიო წყარო ეჭირა" (გვ. 22). ეს წყარო გახლავთ „*ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი*": აქ ყველაფერი ისე სრულადაა მოთხრობილი, რაც არჩილის თხზულებაშია: „ჰირველად მიერთო გუზან, ჰატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი მუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწუალა ჰატრონსა. აქით ბოცო, სამცხისა სპასალარი და სისრულისაცა აღმატებით შეწუალებული, სხუთა მესხითა დიდებულ-აზნაურითურთ, თჳნიერ ივანე ციხისჯუარელისა, რომელსა ეუარეურეცა ეწოდების. (...) ესე მცი-

[22] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 177-178.

რედისა რასმე წარვიდა და მივიდა გეგუთს, რეცა ჰატრონისა წადილითა. შეუარა ყოველი სვანეთი და აფხაზეთი, საეგრო, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი. (...) გაგზავნა ლაშქარნი ქუეყანისანი და მოვიდეს გუზანისად. მუნით წარმოვიდა რუსი, და შეურილთა მიჰმართეს სამცხესა. და მოეგება ბოცო და ვინცა მისი მიმდგომი იყო და გარდამვლელნი მთისანი მივიდეს გეგუთს. (...) მაშინ თამარ, ქალაქსა მყოფი, (...) მბრძანებელ ექმნა ყოველთა ერისთავთა ერთგულთა (...). მაშინ შეკრბა კრებული ღმრთის მბრძოლი, აღიღეს მახვილები და წათები, წარმოემართნეს ჰატრონსა ღმერთ-შემოსილსა ზედა. ნახევარნი თჳთ მეფე საგონებელითურთ გარდამოვიდეს მთითა ლიზისათა: ამწყუედელნი და ამაოკრებელნი ქართლისანი მოვიდეს ნაჯარმაგევამდის და გორამდის. და ნახევართა დადიანთა წინაძღომითა, გარდაიარეს რკინის-ჯუარი და ჩავიდეს ციხის-ჯუარს და დაწუეს ქალაქი ომრპე"[23].

როგორც ვხედავთ, არჩილი ზედმიწევნით მიჰყვება „ისტორიანი და აზმანის" ტექსტს.

სამწუხაროდ, არჩილის თხზულებათა არც პირველ და არც მეორე გამოცემას ხელნაწერთა ვარიანტები არ ახლავს. მურმანმა მოგვიანებით დაგვიდგინა, არჩილისეული ბეჭდური სტროფის „ოზურხეს" ხელნაწერებში რა ვარიანტები მოეპოვება.

არჩილის ბოლო გამოცემა ითვალისწინებს 7 ნუსხას:

1. A- S 434, რომელიც გადაწერილია 1701-1705 წლებში და მიჩნეულია ავტორის ერთ-ერთ ხელნაწერ გამოცემად.

---

[23] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 49-51.

2. B — პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის M–19, გადაწერილია 1705 წელს არჩილის მეთვალყურეობით.

3. C–H 338 — გადაწერილია XVIII საუკუნის შუა წლებში.

4. D–S 2663 — გადაწერილია XVII–XVIII საუკუნეთა მიჯნაზე. ალ. ბარამიძის შეხედულებით, ავტოგრაფული მნიშვნელობისაა.

5. E–H 2116 — გადაწერილია XVIII საუკუნეში **B**–ესაგან.

6. F–S 418.

7. G– S 1729.

„არჩილიანის" ორტომეულის ალექსანდრე ბარამიძისა და ნიკო ბერძენიშვილისეულ 1936–1937 წლების გამოცემას საფუძვლად დაედო A და D ნუსხები. არსებითად იგივე გამეორდა მეორე, 1999 წლის, გამოცემაშიაც. A–ში წერია **„ოზურკე"** (გვ. 125), D–ში **„ოზრკე"** (სინგურით, გვ. 97). ამის გამო მოხვდა ეს ფორმა გამოცემებში. სამწუხაროდ, ახლა **B**–ზე ხელი არ მიგვიწვდება, მაგრამ მისგან გადაწერილად მიჩნეულ E ნუსხაში იგივე სახელი **„ოზრუხე"** (გვ. 72) წერია. ბოლო ორს, F–სა და G–ს, ეს მონაკვეთი აკლია, **ხოლო C–ში „ო ძ რ კ ე" (გვ. 79) დასტურდება.**

ეს მონაცემები ნათლად გვიჩვენებს: საძიებელი ქალაქის სახელი პირვანდელი სახით დაცულია C–ში. დანარჩენებში „ძ" გადაკეთებულა „ზ"–დ. ეს კი დედნისგან გადაწერისას მათი გრაფიკული მსგავსების გამო ადვილად შეიძლებოდა მომხდარიყო. არც ის არის გასაკვირი, რომ ავტორიზებულ ნუსხებში პოეტს, არჩილს, ეს უზუსტობა ვერ შეემჩნია, ერთი, ყურადღების მოდუნების გამო, გულდასმით ვერ წაიკითხა ის, და, მეორე, არც ხსომებოდა ქალაქის დედნისეული სახელი.

არჩილი ამავე ნაწარმოებში კვლავ ახსენებს **ოძრხე** ქალაქს.

„ბასიანს ომი რომ ბრძანე, იქ თქვენ სად იყავ მაშინა?
თამართან არ იბღუნძოდი **ო ძ რ ი ხ ე ს ა** ვითა შინა?

რა გინდ ბევრნი ყოფილიყვნენ, აგრე ვითა შეგეშინა?
ომის დღესა ქალებთან ხარ, ვა, თუ სიმხდლემ
აგაქშინა!“ (976).

ამ ქალაქს დევი ბერძენიშვილი „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ ასე გვაცნობს: „**ოძრხე**, ო ძ რ ა ხ ე, ისტორიული ციხე-ქალაქი სამხრეთ საქართველოში (ახლანდელი ადიგენის რ-ი), დაბა აბასთუმნის მახლობლად, მდ. ოძრხისწყლის მარჯვენა ნაპირზე. დგას ორ წყალგამყოფ მაღალ კლდოვან ქედზე. დარაჯობდა ოძრხისა და კურცხალისწყლის ხევებზე გამავალ გზას. სახელწოდება «ოძრხე» შესაძლოა დაკავშირებული იყოს ქართულ ეთნიკურ გაერთიანების ვიძერუხ-ვიტერუხის სახელთან. ძველი ქართული ტრადიციის თანახმად, ოძრხე საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ყოფილა. დაუარსებია ქართველთა ერთ-ერთ ლეგენდარულ ეთნარქს ოძროხოსს. მეფე ფარნავაზის დროიდან (ძვ. წ. III ს. I ნახ.) სამცხისა და აჯარის ერისთავის რეზიდენცია იყო. მეფე ვახტანგ გორგასლის (V ს.) სიკვდილის შემდეგ – სამეფო ოჯახის საზამთრო რეზიდენცია. VIII ს. 30-იანი წლებისათვის ოძრახეს უკვე აღარ ჰქონდა ადრინდელი მნიშვნელობა. XI საუკუნეში მეფე ბაგრატ IV-მ გავლენიან ფეოდალს სულა კალმახელიძეს უბოძა. 1191 წ. თამარ მეფის წინააღმდეგ აჯანყებულმა ფეოდალებმა გადაწვეს. XVI ს-ში საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა; იყო ოსმალური ადმინისტრაციული ერთეულის, ახალციხის ლი,-ვის, ერთ-ერთი ნაჰიეს ცენტრი, შემდგომში მცირე დაბა. უფრო გვიან გაუკაცრიელდა. ციხის სიგრძეა დაახლოებით 50 მ., სიგანე – 15 მ. აქვს 2 მრავალსართულიანი კოშკი. კედლები ნაგებია ფლეთილი ქვებით. წყობაში ჩანს სხვადასხვა პერიოდის გადაკეთების კვალი. (...) აქ რამდენიმე ნამოსახლარი გორაა, რომელთაგან ერთს ზადენ-გორა ჰქვია“[24].

[24] ტ. 7, თბ.,1984, გვ. 625.

ოძრხეს ისტორიასა და გეოგრაფიულ გარემოს საკმაოდ ვრცლად განიხილავენ ლ. ჭილაშვილი[25], თავად ლეკი პერძენიშვილი[26] და სხვები.

ჩვენ ისტორიულ წყაროებში სავსებით საკმარისად ვხედავთ, უპირველესად, ოძრხესთან კავშირში და, საერთოდაც, მაგრამ „ოზურხე“ ტოპონიმს ვერსად წავაწყდით. ყველაფერი ეს იმას მაჩვენებელია, რომ ბუნებაში გეოგრაფიული ადგილი „ოზურხე“ არ არსებობს. იგი მხოლოდ და მხოლოდ არჩილის თხზულების ზოგიერთ ნუსხაში მოიპოვება, რაც დედნის შეცდომით ამოკითხვისა და გადაწერის შედეგად არის მიღებული.

¤

ერთი სიტყვით, ჩვენ „ოზურგეთის“ ეტიმოლოგია დანამდვილებით არ ვიცით, მაგრამ იმ მხრივ კი საჩოთირო და ხელის შემშლელი არაფერია, აღნიშნულ რაიონულ ცენტრს ეს ადრინდელი სახელი დაუბრუნდეს.

სოფელ სილაურის ტოპონიმია

სილაური ჩემი მშობლიური სოფელია, განეკუთვნება **ოზურგეთის** რაიონს[1] . მდებარეობს მისგან ჩრდილოეთით, 11 კმ-ის დაშ-

---

[25] ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბ., 1968.

[26] დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი — თორი, ჯავახეთი, თბ., 1985.

[1] თეზისები წარდგენილი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკურ ცენტრში პირველი რესპუბლიკური ონომასტიკური სამეცნიერო კონფერენციისათვის, რომელიც გაიმართა 1980 წლის 27-28 თებერვალს (დაიბეჭდა კონფერენციის მოსაწვევი ბარათი „მუშაობის გეგმითურთ“). ნაშრომი

ორებით, მდინარე სუფსის მარჯვენა ნაპირას, მის ჭალებსა და გურიის მთების სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე. დასავლეთით ესაზღვრება სოფელი **ჯუმათი,** ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით **მამათი** (ლანჩხუთის რაიონი), აღმო-სავლეთით **ნასაკირალი** (შუაშია მამათისადმი გადაცემული სიმინდის საყანე ჭალა) — **ხაშია,** სამხრეთით — **ბაილეთი.**

სილაურს საბჭოთა დროს ეკუთვნოდა ჩაის პლანტაციები **ნასაკირალის** დასავლეთ ფერდობზე და საძოვრები **ბახმაროსა** (ჩოხატაურის რაიონი) და **მუხაგაჭრილში** (ლანჩხუთის რაიონი). ნასაკირალის აღნიშნულ ტერიტორიაზე ამ ორი ათეული წლის წინათ ჩამოსახლდნენ ხულოს, შუახევის, ქედისა და ჩოხატაურის რაიონების მთის სოფლების მცხოვრებნი, 35 კომლი, რომლებიც აგრეთვე სილაურის საბჭოში შემოდიან.

საკუთრივ სილაურის ფართობია 1100 ჰექტარი, მოსახლეობა — 230 კომლი, სულ მის გამგებლობაშია 1200 ჰექტარი, მოსახლეობა — 265 კომლი.

სილაური გურიის ერთ-ერთი ლამაზი სოფელია, — შემკული მთა-გორებითა და ჭალებით, ღელეებით, ტყეებითა და ბაღ-ვენახებით, მრავალნაირი ხეხილით და სუბტროპიკული კულტურებით. მეურნეობის ძირითადი დარგებია მეჩაიეობა, მეციტრუსეობა და მესიმინდეობა.

ამ სოფლის ზოგიერთი ტოპონიმი, უსთავრესად მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, დასახელებული და ახსნილი აქვს იოსებ მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ს [2]. ასეთებია: **თინათას ღელე** (გვ. 75), **ოროკი** (79), **ნაოჩვარი** (83-84), **ნაციხური** (49. 98). აქვე ნახსენები ზოგიერთი ადგილი მეზობელ სოფლებში შედის: **კვაჭანათი** (გვ. 73), **თაინათი**

სრულად გამოქვეყნდა: „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სე-რია, 1991, № 3, გვ. 61-85.

დიდი მადლობით უნდა აღვნიშნო, რომ ეს ნაშრომი დაბეჭდვამდე წაიკითხეს და სათანადო აზრები გამიზიარეს ზურაბ ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე მ და გურამ ბე დ ო შ ვ ი ლ მ ა.

[2] И. В. М е г р е л и д з е, Лазский и мегрельский слои в гурийском, Москва-Ленинград, 1938, с. 73-98.

(75), **ობოდირა** (77), **ონჯარეთი** (79) ეკუთვნის მამათს, **ოთარო** (87) — ჯუმათს, ხოლო **ოჩორჩხა** (88) — ძიმითს. **ჭახათის ღელე** (73) კი სილაურსა და ახლომახლო ადგილებში არ არის (**ჭახვათა ღელე** ნატანებშია).

სილაურის ტოპონიმები დაწვრილებით აღრიცხული აქვს იური სიხარულიძეს[3], თუმცა სრული და ზუსტი არც ეს აღწერილობა არის. მაგალითად, გამორჩენილია: **გოგორკული, კაჭარა, კიბულა, საყორნიე, შუაღელა, ხანიაურა** და სხვა. **ჩიჩიგურას** მაგივრად წერია „ჩიქოქურა“, ხოლო **სვანისწყარო, სასახლე, რობა, ბოგნარი** (შეცდომით დაბეჭდილია მოგნარი), რომელთაგან აქ პირველი ორი ბაილეთს (გვ. 104), ხოლო ბოლო ორი მამათის უბანს, კონჭკათს, მიეწერება (გვ. 106), ნამდვილად სილაურში შემოდის (თუმცა ალბათ ისეთი დროც იყო, როცა ეს ადგილები ადმინისტრაციულად დასახელებულ უბნებს განეკუთვნებოდა[4]).

დღევანდელი სილაურის ტოპონიმია (მივყვებით სამხრეთ-დასავლეთიდან) ასეთია:

ღელეები, რომლებიც მდინარე სუფსას ერთვიან:

ლუხმელა (ჯუმათის საზღვარზე),
ლოფართო,
მამათის ღელე,

---

[3] ი. სიხარულიძე, მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმიკა), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971, გვ. 104–105. გურიის ტოპონიმები ქვემოთ, სადაც სხვა წყაროს არ ვასახელებთ, ყველგან ამ ნაშრომის მიხედვით გვაქვს მითითებული.

[4] ამ სოფლის მკვიდრი კონსტანტინე გოგუაძე წერდა: „1919 წლამდე სოფელ სილაურის დასავლეთი ნაწილი ეკუთვნოდა ჯუმათის საზოგადოებას, აღმოსავლეთი ნაწილი კი – ძიმითის საზოგადოებას, მაგრამ მისი დასახლებით და მდებარეობით კი წარმოადგენდა ერთ განცალკევებულ კუთხეს“ (კ. გოგუაძე, მოგონებანი სილაურის რევოლუციური წარსულიდან, გაზ. „ლენინის დროშა“, 5 იანვარი, 1971, გვ. 2).

რობა,

თინათა // თინათას ღელე.

გურიაში დამდგარ, დაჭაობებულ წყალს **ტომონი** ეწოდება. სილაურშიც იყო ასეთი წყალი და მასაც ეს ზოგადი სახელი – **ტომონი** ერქვა (ახლა დამშრალია).

წყაროები

წყაროებიდან, აქ რომ საცივს უწოდებენ, სახელდებულია:

სვანისწყარო,

მაკაიეს საცივი (მაკა ლეჟავას წყარო),

ჩიჩიგურას // ჩიგურას საცივი,

წაბისწყარო (გარდა პირველისა, ყველა ძეგორაზეა).

ადგილები

მერე (როგორც გურიაშია მიღებული, აქაც ასე ჰქვია მდინარე სუფსის ჭალას).

ამ მერეში გვაქვს ადგილები:

გოგორკული,

ქვიანა,

ხანიაურა,

ნაისხარი,

ნაოჩვარი,

დამპალისპირი,

სამგელია (ყველა სიმინდის საყანე ადგილია).

სათიბე (სათიბი),

ნაბაკევი (საძოვარი და სიმინდის საყანე ადგილი),

ოროკა (ოდნავ შემაღლებული ადგილი – სათესი, საძოვარი, ჩაის პლანტაცია, ბოლოს ბევრმა თხილი გააშენა).

მერედან გურიის მთებისაკენ არის:

მაღლა სილაური (სერი; დასახლებული ადგილი),

შკერისგვერდა (ფერდობი, ჩაის პლანტაცია, ახლა მოსახლეობამ თხილი გააშენა),

საკირე,

იანელა.

თემი (სოფლის დღევანდელი ცენტრი, მანამდე **ნასათიბარი** რქმევია),

სასახლე (გურიელის ნასახლარი; ჯაგნარი, ჩაის პლანტაცია),

ძეგორა (მოგრძო ქედი, დასახლებული უბანი),

კაჭარა (ტყიანი ფერდობი, ბოლო ხანს მოსახლეობამ თხილი და ციტრუსები გააშენა),

ზეგანი (ტყიანი ფერდობი, აქაც ბოლო ხანს მოსახლეობამ თხილი და ციტრუსები გააშენა),

საყორნიე (მაღალი, ციცაბო კლდე),

შუაღელა (დავაკებული ადგილი მამათისღელის შუა წელზე, საყორნიეს ძირას),

ნაციხური: დიდი და პატარა ნაციხური (ტყიანი გორა),

ბოგნარი: დიდი და პატარა ბოგნარი (ტყიანი გორა).

ძეგორის ტერიტორიაზე არის:

ცინცაურა (ტყემლისა და მსხლის ბაღები, სასაფლაო),

ტალახა (ჩაი),

გუთანაური (ჩაი და სათესი ადგილი),

ხაზარაულა (ტუნგის ბაღი),

მაკაიეს საცივი (მაკა ლეჟავას პატარა წყარო),

შეთხრილა (მაკაიეს საცივის გაგრძელება, სადაც წყაროსთვის გამოთხრილი კლდეა),

ცინცაის ტყე (ტყე და ჩაი),

ბოლონწრილა (ლოფართოსა და ნაღვარევ წყალს შორის ვიწრო ადგილი),

საცივის პირი (5–6 ჰექტარი მანდარინის ბაღი),

ჩიგურა // ჩიჩიგურა (აქვეა ჩიგურას // ჩიჩიგურას საცივი),

წაბის წყარო (წყარო),

ზენდგური (ციტრუსები),

კიბულა (ბილიკი მამათისაკენ),

ქაშანი,

კვაჭაურა,

კიბის თავი (ამაღლებული ადგილი კვაჭაურაში),
ხერნალი.

ზოგიერთი ნასახლარი:

ჩხარტიშვილების ნასახლარი (ძეგორაზე, ჯუმათის საზღვრად),
კოტელას ადგილი (კოტე მექვაბიშვილის ადგილი),
ჯაბულიეს ტყე (ჯაბულო დარჩიას ნაქონი ტყე),
ელისოს ტყე (ელისო დარჩიას ნაქონი ტყე),
ჯაყელისოული (ახლა – დიდი ჩაი),
ტუსკიეს ნასახლარი (ტუსკიას ნასახლარი).

¤

რას ნიშნავს ეს სახელები, უპირველესად ს ი ლ ა უ რ ი?

ამგვარი დაბოლოების გეოგრაფიული სახელი საქართველოში უამრავია[5]. ბევრია გურიაშიც, ახლომახლო სოფლებში. ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს და არ დავიწყებთ იმის გარჩევას, ქვემოთ დამოწმებულ ტოპონიმებში რომელი მაწარმოებელია **–აურ–ი** თუ **ურ–ი**:

აპელაური (გვ. 85),
ბოკუჩაური (140),
ბოხვაური (87),
ბულუხაური (150),

[5] ზოგი მათგანი ერთად არის აღრიცხული: შ. ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ქართული ოიკონიმები, კრებ.: ტოპონიმიკა, II, თბ., 1980, გვ. 177–180; საქართველოს სსრ ტოპონიმია (მასალები), I, ზემო იმერეთი, თბ., 1987, გვ. 43.

გეპალაური (150),
გოგვაური (107, 112, 140),
გოგინაური (78),
გოგოლაური (88),
გოგუაური (78),
გორდელაური (106),
გუგუნაური (83),
გუთანაური(150),
გოხაური (92),
დოლაური (87),
დოჩაური (153),
ზვალაური (89),
ზულაური (90),
თათალაური (100),
თოთიბაური (149),
იანაური (146),
კაციაური (112),
კვაჭაური (150),
კვერღელაური (80),
კვიჩილაური (90),
კუკულაური (145),
კუკუნაური (132),
მანიშაური (79),
მახაური (146),
მიქენაური (106),
ნიაბაური (84),
მშვიდობაური (91),
ნაბეღლაური (96),
ონაური (143),
პატაური (82),
ჟანაური (93),
სხალაური (85),
ფოცხელაური (86),
ქილაური (140),
ქინქლაური (109),
ქომიშაური (91),
ქოქოლაური (114),
ჩოხატაური (97),
ჭედელაური (75),
ჭოკლაური (104, 150),
ჭონაური (144),
ჭუმპაური (86),
ხატილაური (84),
ჯალაბაური (153),
ჯანაური (83).

საკმაოდ არის, მაგრამ არაფერს ვამბობთ, **-აურა**-დაბოლოებიან სახელებზე.

სილაური, ერთი შეხედვით, **სილა** სიტყვიდან მომდინარეს შთაბეჭდილებას ტოვებს — ს ი ლ ი ა ნ ი ა დ გ ი ლ ი. ასე ესახებოდა ის ივანე ჯავახიშვილს. მეცნიერი წერდა: „სილას-თან დაკავშირებული ნიადაგის დამახასიათებელი ტერმინი იმერეთშია გავრცელებული, სადაც სილისაგან წარმომდგარ ნიადაგს ს ი ლ ა მ ი წ ა ეწოდება (...). მაგრამ ეს სიტყვა საქართველოს სხვა კუთხეებშიაც არის გავრცელებული. მაგ. გურიაში ამ სიტყვისგან

გეოგრაფიული სახელიც კია ნაწარმოები. იქ არსებობს ერთი ადგილი, რომელსაც ს ი ლ ა უ რ ი ეწოდება“[6].

ასევე ფიქრობენ სხვებიც[7]. ოზურგეთის (მაშინდელი მახარაძის) რაიონულ გაზეთ „ლენინის დროშაში“ ვ. მექვაბიშვილი აღნიშნავდა: „სუფსის მარჯვენა სანაპიროს წითელმიწა გორაკებს ალაგ-ალაგ სილიანი დავაკებაც გაჰყოლია. შესაძლოა, ოდესღაც აქედან წარმოსდგა ამ სოფლის სახელწოდება ს ი ლ ა უ რ ი“ (13 აპრილი, 1971, გვ. 2).

მდინარე სუფსის პირას, აქა-იქ, სილიანი ადგილები მართლაც არის, მაგრამ სილაურის ტერიტორია ამ მხრივ არაფრით გამოირჩევა. ამ მდინარეს არანაკლები და ზოგჯერ კიდევ უფრო მეტი სილიანი ნაპირები მეზობელ სოფლებში — ნაგომარში, ძიმითში, ჯუმათში, სუფსაში — აქვს. მეორეც, არც ის არის მართალი, თითქოსდა სილაურში წითელმიწა გორაკები იყოს და ისინი სუფსისპირა ადგილებთან რაღაცნაირ კონტრასტსა ქმნიდნენ. იქაური ნიადაგებიც ისეთივეა, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად, როგორიცაა ახლომახლო სოფლებში. ერთი სიტყვით, ეტიმოლოგიურად ამ სოფლის სახელის *სილასთან* დაკავშირება ბუნებრივი გეოგრაფიული მონაცემებით გამართლებული არ არის.

საკითხის ახლო გაცნობა გვიჩვენებს, რომ ამ გეოგრაფიული სახელის ფუძეა არა სილა, არამედ სირი-ი. ამ სოფლისა და აგრეთვე მეზობელი სოფლების ხანდაზმული მცხოვრებნი

---

[6] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი თორმეტ ტომად, V, თბ., 1986, გვ. 135.

[7] ერთმა სილაურელმა კაცმა, რომელიც რუსეთში სამხედრო-სავალდებულო სამსახურში იმყოფებოდა, თანამებრძოლის შეკითხვაზე, რას ნიშნავს შენი სოფლის სახელიო, ხუმრობით რუსულად ახსნა სილა ი შრა-ო. ხოლო მეორემ, როცა სოფელში ჩხუბი და შეხლა-შემოხლა მოხდა, სხვაგვარად იხუმრა: ამ სოფელში სულ აშრია არის და, ალბათ, ამიტომ ჰქვია სილაურიო.

სი№ლაურს სიროული, სილოური, იშვიათად სირაული[8] ფორმით იხსენიებენ. უფრო ადრინდელ საბუთში კი, კერძოდ, გიორგი გურიელის მიერ ბაილეთის ეკლესიისადმი მიცემულ შეწირულობის განახლების წიგნში, რომელიც 1780 წლის ახლოს არის დაწერილი, მას სირეული ეწოდება. აქ ვკითხულობთ: „ქ. სხვა სირეულს და ბოგილს ამოღმა რაც ნადირი მოიკლვის, თავი საყდრის დეკანოზს უნდა მიართვას; და საყდარს უნდა შესწიროს ოროლი ფარის სანთელი მონადირემ“.

აქ აღნიშნული სირეული რომ ჩვენი სოფელია, ამას ადასტურებს იქვე ნახსენები ბაილეთი და ბოგილი, რომლებიც მისი მოსაზღვრე ტერიტორიებია. წინ კი დასახელებულია ასევე გვერდით მდებარე ოთაროს ტყე და თვით სილაურის კუთვნილი ადგილები – რუხმელა (ლუხმელა), ტომონი, გოგორიკული (გოგორკული): „ქ. ამას გარეთ მიწა, ადგილი, ტყე და წყალი და საყანე ადგილი, ძირათ შეწირული, ოთაროს ტყე, მის ზეით და ქვეით საყანით, რუხმელას წულითგან, ღელის თავი რომ შეერთვის, იქამდის; და ქვემოთ კუდაროს ღელემდის ზღვარი უწევს. ქ. სხვა ადგილი საყანე, საბურე და საღომე მამაულეიშვილის საზღვრითგან დაწყებული ტომონის ღელემდის. ქ. კიდევ მერე გოგორიკული ოთხმოცი გოდრის მოსავალი...“ (იქვე, გვ. 727).

აქედან აშკარაა, ჩვენი სოფლის ადრინდელი სახელი ყოფილა სირ-ეულ-ი, რომლისაგანაც მივიღეთ სირ-ოულ-ი

---

[8] სილოური ჰქვია, თურმე, სახნავ ადგილს ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურში (საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, გვ. 190), სილაურა – წყაროს ყორნისის რაიონის სოფელ ავნევში (ალ. ღლონტი, ფრონეების ხეობების ტოპონიმია, თბ., 1988, გვ. 67). ნ. მარის ცნობით, მდინარე კარჩხალკის მარჯვენა მხარეს ყოფილა ტოპონიმი სილაურთ (Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийскао, грузинский текст, введение, издание, перевод Н. Марра, с днев-ником поездки в Шавшию и Кларджию, ТР, кн. VII, СПБ, 1911, с. 172).

(ფონეტიკური ვარიანტი – **სილ-ოურ-ი**) და ბოლოს – **სილ-აურ-ი**. როგორც ცნობილია, **-ეულ /-ეურ** სუფიქსების **-ოულ /-ოურ**-ად გადაკეთება დასავლეთ საქართველოს დიალექტებში, მათ შორის გურულში, ჩვეულებრივი მოვლენაა. აქედანვე ვღებულობთ **-აულ / -აურ** სუფიქსებსაც.

გურიაში **-ოულ /-ოურ** დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელებიც ბევრია. **-ოულ-ი**:

ბაბიტოული (გვ. 84),
ბარამოული (76),
ბერეჟოული (97),
ბერქოული (136),
ბერშოული (104),
ვაინცოული (132),
თეთროული (124),
კიროული (119),
კიწმაროული (134),
კონჭოროული (132),
კრიპოჭოული (128),
მახაროული (112),
ნაბაშოული (116),
ტორჩოული (151),
ფარცაკოული (92),
ქაჯაკოული (118),
ქეროული (116),
ქორთოული (137),
ჩახოული (133),
ჩხაროული (132),
ცარაკოული (125),
ჭიხაროული (129),
ხუბოული (85).
ჭანაყოული (113),

-ოურ-დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელები:

არჩილოური (100),
აფხოური (133),
აშატოური (122),
ბადოური (118),
გაგოური (127),
გამყოური (100)
გობეჭოური (121),
გოგოური (129, 133),
გოლიათოური (85),
დოური (125),
ედინოური (130),
ზახტოური (122),
თაილოური (125),
თათხოური (131),
თალაყოური (129),
კილაჯოური (123),
მამინოური (124),
მეგრელოური (129, 133).
მესხოური (129),
მიგელოური (98),
მოსიოური (136),
მჭედლოური (113),
ნატბოური (135),
ნიშოური (127),
ოხიჩოური (123),
პალიოური (137),

უკაშოური (101),
ფეტოური (95, 99),
ფილოყოური (96),
ქადაგოური (125),
ქართელოური (116),
ქობილოური (134),
ქოქილოური (124),
ღელენჯოური (118),
ყვითელოური (130),
ჩახოური (123),
ჩიჩოური (122),
ციციბოური (124),
ცქილოური (131),
ჯამოური (136),
ჯეჯოური (135),
ჯილოური (146),
ჯოგილოური (132),
ჭანტოური (125).

რა თქმა უნდა, **-ოულა** და **-ოურა** დაბოლოებიანი ტოპონიმებიც არის, მაგრამ მათზე აღარ შევჩერდებით.

დამოწმებული ნიმუშები იმ მხრივაა საინტერესო, რომ „სილაურის“ აღნიშნული ფორმების (**სიროული, სილოური**) წარმოშობასა და გავრცელებაში, გარდა შინაგანი ფონეტიკური პროცესებისა, მნიშვნელოვანი როლი ამ გარეგნულ მონაცემებს, დასახელებულ გეოგრაფიულ სახელებაც, შეიძლებოდა შეესრულებინა.

დოკუმენტურად მტკიცდება, რომ „სილაურის“ მსგავსი ცვლილებათა გზა ოზურგეთის რაიონის მეორე სოფლის, ლ ი ხ ა ურ ი ს, სახელსაც გაუვლია. დიახ, ლიხაური ასე ჰქვია დღეს ამ სოფელს. ხანდაზმული ხალხი, როგორც ამ სოფელში, ისე სილაურსა და სხვა მეზობელ სოფლებშიაც, მას **ლიხოურს** ან იშვიათად (ო-ს ასიმილაციის შედეგად) **ლეხოურს** უწოდებს. ამ სოფლის მკვიდრი ექვთიმე თაყაიშვილი მას ლ ე ხ ა ურ ს ა ც ეძახის[9] და ლ ე ხ ო ურ ს ა ც[10]. ეს უკანასკნელი ფორმა უფრო ადრინდელ წერილობით წყაროებშიაც დასტურდება. შემოქმედის გულანის საქრონიკო მინაწერში აღნიშნულია: „ამ(ა)ს ქ(რონი)კ(ო)ნსა (ე. ი. 1764 წელს. – ბ. დ.) გურიას სერესკირის ლაშკ(ა)რი

[9] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, I, ტფილისი, 1907, გვ. 26-27; მ ი ს ი ვ ე, რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1968, გვ. 182.

[10] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაშრომები, I, გვ. 189 და შემდგომი.

მოვიდა, ასკანა, ლეკური და ბუკის ციხე ეიღეს“[11]. 1818 წლის განჩინებაში წერია: ქაიხოსრო სეხნიეიშვილმა მაქსიმენა ბერიძეს უჩივლა: „მამაჩემმა ნაშოვარი ტყეები მიაბარა ბაბუაშენს და გაუყიდა და მისი ფასი ორი ფრული შერჩა და მათხოვარი ვარ. ამას გარდა, ლეხურს სიმინდი მქონდა და ჩემი ძმა გავაგზავნე მოსატანათ და დახვდა ამან, გზა შეუკრა სასიკვდილოთ და დასაჭირავად...“[12].

მე-18 საუკუნის შუა წლების წყაროებში ეს სოფელი „ლეხეური“-ს სახელით იხსენიება. ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „*აღწერა სამეფოსა საქართველოსა*“, რომელიც 1742-1745 წლებშია დაწერილი, ვკითხულობთ: „ოზურგეთის სამკრით დის მდინარე ხიხოსი, გამომდინარე აჭარა-გურიის მთისა. მოდის აღმოსავალ-სამხრეთს შუადამ. ჩრდილო-დასავლეთს შუა, ლეხეურის ციხემდე. მერმე დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, მიერთვის ზღვასა აღმოსავლიდამ. ამ მდინარისა და შემოქმედს შუა არს ციხე ლეხეურისა, მთის ძირს“[13].

---

[11] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, III, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 607.

[12] ქართული სამართლის ძეგლები, VI, გვ. 532.

[13] ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 791.

ამავე წიგნში ვახუშტი ხარაგაულს ასე მოიხსენიებს: ხარაგ-ეულ-ი (გვ. 474, 757-758, 771-772, 880, 889, 891). ხალხი კი მას ხარაგ-ოულ-საც. ეძახის. დღეს კი მას ოფიციალურად ხარაგ-აულ-ი ჰქვია (საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, მასალები, რედაქტორები: ი. გიგინეიშვილი, ა. კობახიძე, დ. უკლება, მ. ჭაბაშვილი, თბ., 1987, გვ. 134).

„ლ ე ხ ე უ რ ი ს ციხე, გურიელის“ – ასეა აღნიშნული ტიმოთე გაბაშვილის რუკაზეც, რომელიც ვახუშტის ნაშრომზე რამდენიმე წლით ადრეა შესრულებული[14].

ლიხაურის ეკლესიის სამრეკლოს კედელში ჩატანებულ ქვაზე ამოკვეთილ წარწერაში, რომელსაც დიმიტრი ბაქრაძე 1422 წლით ათარიღებს, ამ სოფელს რ ე ხ უ ე ლ ი ეწოდება: „ქ(რო-ნიკონი) ⷪი (ე. ი. 110 – ბ. დ.). უ(ოვლა)დ წ(მიდა)ო ღ(ვ)თისმშობელო რ ე ხ უ ე ლ ი ს ა ო, შ(ეიწყალ)ე გ(იორ)გი გურ(ია)ლი და დ(ე)დოფალი ელ(ე)ნე! ამინ და (კირილეი)ს(ო)ნ!“ [15].

ამ გამოცემაში ეს წარწერა მრგვლოვანი ასოებით არის დაბეჭდილი, სადაც სიტყვაში „რეხუელისაო“ ⷧ წარმოდგენილია არა ო და ჯ ასოთა ერთიანობით ან ქვემოთ ფეხდახრილი ო-თი, არამედ ფეხაწეული ო-თი, რომელიც ჩვეულებრივ ო ასოდ იკითხება (ამ თვალსაზრისით, ო და ⷧ არეულია წინა სიტყვაშიაც).

დ. ბაქრაძის ნაშრომამდე სამიოდე წლით ადრე გამოქვეყნებულ წიგნში „Кавказ в древних памятниках христианства“ (Тфл., 1875) მოცემულია ამ წარწერის რუსული თარგმანი და ჩვენთვის საინტერესო სახელი „რეხოელი“ ფორმითაა მოხსენიებული (გვ. 91). ის აგრეთვე ამგვარივე სახითაა დამოწმებული და ლიხაურის თავდაპირველი სახელი „რეხოელ“-ად არის მიჩნეული ზოგიერთ თანამედროვე ნაშრომში[16]. ჩვენ

---

[14] შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, ლიხთ იმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 194.

[15] Археологическое путешествие по Гурии и Адчаре Дм. Б а к р а д з е (С. Атласом), Санкт-Петербург, 1878, გვ. 108. ქართული თარგმანი: დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ), თარგმნა ა. ტ ო ტ ო ჩ ა ვ ა მ, ბათუმი, 1987, გვ. 98.

[16] ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1989, გვ. 14; გ. ჭ ე ლ ი ძ ე, „ლიხაურის“ თავ-

შევამოწმეთ ეს წარწერა დ. ერმაკოვისეულ ფოტოსურათზე, რომელიც ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, და აღმოჩნდა, რომ იგი ფეხაწეული ო-თია დაწერილი (ალბომი № 42, სურათი №2008). მაშასადამე, დედნისეული წაკითხვაა „რეხუელისაო“.

ამ წარწერიდან გამომდინარე, დ. ბაქრაძე დაასკვნის: „ახლანდელ ლიხაურს წარსულ საუკუნეებში რ ე ხ უ ე ლ ი ერქვა“ (რუსული გამოცემა, გვ. 111, ქართული – გვ. 101).

რადგან სიტყვა ამ სოფლის სახელზე ჩამოვარდა, ბარემ მის ეტიმოლოგიასაც შევეხოთ.

დავიწყოთ ერთი მოსაზრებით, რომელსაც სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს. ენვერ გოგუაძეს „ლიხაურის“ სახელწოდება შორეული წარსულიდან, ხურიტულ-ურარტულიდან მომდინარედ ესახება. გიორგი მელიქიშვილის წიგნზე „ურარტუ“ (თბ., 1951) მითითებით იგი წერს: „საუკუნეთა მირიადებშია დაფლული ამ დიდებული სოფლის სახელწოდების წარმომავლობა. ქართველთა შორეულ ნათესავთა, ცივილიზაციის უძველეს მეკვანეთა: ხურიტების, ნაირისა და სალდების ტომთა ლექსიკაშია საძიებელი «ლიხ»-ას და «ლეხა»-ს პირისა (...). მრისხანე ასურელი, სალამანსარ პირველი (1310–1280), ძველი ნინევია – «ლომთა ბუნაგი» რომ ჰქონდა სატახტო-საბრძანისად, ამ სამი ათას სამასი წლის წინად (!) კლდეზე ნაკვეთი ლურსმულით «ძველ აღმოსავლეთს» აუწუებდა: «ჩემი მღვდელმთავრობის დასაწყისში ურარტუს ქვეყანა ამიჯანყდა. მე ღვთაება აშურისა და დიადი ღმერთებისაკენ გავიწოდე ხელი ლოცვა-ვედრებით. შევჰკრიბე ჩემი ლაშქარი და გავემართე მათი მაღალი მთებისაკენ. ლუხას ქვეყანა დავიმორჩილე». ურარტუს მეფის – მენუა იშუინის ძის (810–781) წარწერა გვაუწუებს: «დავიპყარი ერქუას ქვეყნის დედაქალაქი ლიუხუნუნი». ძვ. წ. აღ. მე-8 საუკუნეში სარდურ მეორე არგი-

---

გადასავალი, საზოგადოებრივ პოლიტიკური და სამეცნიერო-ლიტერატურული ბიულეტენი „ლეხოური“, 26 მაისი, 1990, № 2, გვ. 15.

შტის ძის წარწერაში საუბარია **ლეუხუნის** ქვეყნის დამორჩილების შესახებ.

სარდურ მეორის მემკვიდრე **რუსა** ჰირველი (734–714) მოგვითხრობს **ლეუხუნის** ქვეყნის დამორჩილებაზე.

ძველი ხურიტული ტოპონიმების: «**ლეუხ**»-სა და «**ლიუხ**»-ის შესატყვისი ადგილთსახელები, რომელთა მიღმა იმთავითვე საძიებელია ეტიმოლოგია «**ლიხა**»-ურისა, მრავლად მოიპოვება ქართულ სინამდვილეში..." [17].

სინამდვილე კი ბევრად უფრო მარტივია.

ერთი შეხედვით, შეიძლება გვეფიქრა, რომ მასში იგივე ლიხ ფუძეა, რაც საქართველოში ფართოდ გავრცელებულ სახელებში გვაქვს; ლიხის ქედი, ლიხთ იმერეთი, ლიხეთი (ამბროლაურის რაიონში), მიკროტოპონიმებიდან: ლიხი და ლიხის სერი ხარაგაულის რაიონის სოფელ ზუარეში, ლიხი და ლიხის წყარო ამავე რაიონის სოფელ ვახანში[18] და სხვა.

ამ უკანასკნელთა ასახსნელად ზურაბ ჭუმბურიძე იშველიებს სულხან-საბა ორბელიანის განმარტებას: „*ლიხი* – *ფრიად მაღალი შამბი*" და წერს: „რა გასაკვირია, თუ ერთ ადგილს მაღალი შამბნარის გამო დაერთქვა ლიხი[19].

მაგრამ ვნახეთ, ადრე ამ სოფელს რქმევია არა ლიხაური, არამედ რეხუელი, ლეხეური, ლეხოური-/ლოხოური, სადაც ფუძე უნდა იყოს რეხუი/რეხი, რაც გურულ დიალექტში და სხვაგანაც ქვაღორღ, ქვიან ადგილს, რაჭულში კი მთის კლდოვან კალთებს ნიშნავს (შდრ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984).

---

[17] ენვერ გოგუაძე, ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესია, ოზურგეთი, 1994, გვ. (3).

[18] საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, გვ. 118.

[19] ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 465.

როგორც იოსებ მეგრელიძე იუწყება, ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, „აჯისწყალი რომ რეხს აურის ნაპირებს, ამიტომ შეიძლებოდა ამ სოფელს რეხოული–ლეხოური დარქმეოდა“[20]. ამავე თვალსაზრისს იმეორებს გიზო ჭელიძე[21].

რეხ–ფუძიანი გეოგრაფიული სახელები საქართველოში საკმაოა. **რეხი//რეხა** არის ქართლში. 1754 წლის განჩინებაში წერია: „თეიმურაზს რაც რეხზედ მამული უჭირავს, საერთო არის“[22]. 1768 წლის არზა: „როცა მოხისი აიყარა, ისიც (ბეჟან საკაძე. – **ბ. დ.**) ავუარეთ და რეხას დავასახლეთ“[23]. ქართლშივე არის მდინარე რეხულა. 1731 წლის მორიგების წიგნში ვკითხულობთ: „დღეის იქით, ვინც ჩვენმა კაცმა ან ქსანზედ ან რეხულაზე ან მეჯუდაზედ ან სხვა სამძღუარებში მამული იუიდოს, მამული თქვენი იოს და ფასიც დაეკარგოს“ (იქვე, გვ. 326). დღეს რეხა არის აგრეთვე სოფლები გორისა და წალკის რაიონებში. გ. ელიავას ცნობით, სამეგრელოში „რეხა ქვიანი კაჭარი ადგილია“ ბანძაში, „რეხი ქვიანი ადგილია“ ხუნწში, „მაღლობი, ჩირგვიანი სერია“ თამაკონში[24].

აქვე დავძენთ, ლიხაური ღელეს ჰქვია ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარში (გვ. 127).

რეხვ–ფუძიანი ტოპონიმების ეტიმოლოგიაზე რამდენიმე ნაშრომი არსებობს. მითითებულია, რომ მსგავსი ძირის მქონე გეოგრაფიული სახელები დასტურდება დაღესტნურ ენებში, რომელთა მნიშვნელობა უკავშირდება წყალს (ნაკადი, ნაკადული, ნიაღვარი...). აქედან გამომდინარე და სხვა მასალათა მიხედვით, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულში ამ ფუძიანი სიტყვის

---

[20] ი. მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, გვ. 14.

[21] გაზ. „ლეხური“, 1990, № 2, გვ. 15.

[22] ქართული სამართლის ძეგლები, IV, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, გვ. 436.

[23] იქვე, გვ., 554; იხ. აგრეთვე გვ. 116, 433, 470, 520, 522.

[24] გ. ელიავა, აბაშისა და და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, გვ. 86, 112, 165.

თავდაპირველი მნიშვნელობა იყო წ ყ ა ლ ი, მ დ ი ნ ა რ ე. დასმულია საკითხი, საძიებელფუძიანი სიტყვა ქართულში ხსენებული ენებიდან შემოვიდა თუ ის იბერიულ-კავკასიური ლექსიკური ერთეულია. უფრო ეს უკანასკნელი მოსაზრებაა ნავარაუდევი[25].

ახლა დაბეჯითებით თქმა ძნელია, აქვს თუ არა ლ ი ხ ა ურ ს ამ მნიშვნელობასთან რაიმე საერთო. დღევანდელი გეოგრაფიული მონაცემებით, ამგვარი რამ არ ჩანს. ლიხაურში ჩამომავალ მდინარეს მეზობელი სოფლის სახელი – ა ჭ ი ს წ ყ ა ლ ი ჰქვია. „რეხ“ ფუძე არც სხვა ახლომახლო მდინარეთა სახელებში შეიმჩნევა. ამიტომ ვფიქრობთ, უფრო სარწმუნო უნდა იყოს ე. თაყაიშვილის ვარაუდი, რომელსაც მხარს უჭერს გ. ელიავას ზემორე დამოწმებული ცნობები: რ ე ხ ი/რ ე ხ ა ეწოდება ქვიან ადგილებს.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ლ ი ხ ა ურ ი ს სახელი უნდა წარმოსდგებოდეს რ ე ხ უ-ე უ რ-ი სიტყვიდან, რაც ნიშნავს რ ე ხ ი ა ნ, ქ ვ ა-ღ ო რ ღ ი ა ნ ადგილს, და შემდეგ აქედან მივიღეთ მისი ფონეტიკური სახეცვლილი ფორმები: **რეხუელი, ლეხეური, ლეხოური** და, ბოლოს, **ლიხაური.**

¤

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს ძირითად საკითხს – ს ი ლ ა უ რ ს. მაშასადამე, გვაქვს პარალელური ფორმები:

რეხუელი / ლეხეური→ლეხოური →ლიხაური.

სირეული →სიროული / სილოური →სილაური.

აქედან აშკარაა, სახელში „სილაური“ ფუძისეული სილა მეორეულია, პირველადია – **სირ-ი.** ეს კი კარგად ცნობილი

---

[25] გ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკიდან. 10. ჰიდრონიმ ლ ე ხ უ რ ა-ს წარმომავლობისათვის, კრებ.: ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1991, გვ. 21–26; მ ი ს ი ვ ე, ტოპონიმ ლეხაურის წარმომავლობისათვის, წიგნში: გურია, მხარის კვლევა-ძიების შედეგები, II, თბ., 1997, გვ. 198–205. შესაბამისი ლიტერატურაც იქვეა დასახელებული.

ძველქართული სიტყვაა, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან“ დაწყებული მრავალ ლექსიკონშია განმარტებული და ნიშნავს ჩიტს. იგი სხვა სიტყვებშიაც დასტურდება: **სირაქლემა, სასირე ბადე, სირვაშლა** (დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, **ჩიტის ვაშლა**, ქვატყემალა, ყვავის ტყემალა, მელის ყურძენი), **სირკაჭკაჭი**. აქედან გვაქვს ადამიანთა სახელები და გვარები: **სირა, სირო, სირუ**[26], **სირაძე**[27], **სირაეთ**[28]. ეს სიტყვა საქართველოს უამრავ ტოპონიმში დასტურდება. აი, ზოგიერთი მათგანი, რომელიც აჭარაში გვხვდება:[29] **სასირე** (გვ. 128-129), **სასირეთი** (26), **სასირია** (52) და სხვა.

ამ გეოგრაფიული სახელებიდან ზოგჯერ ჭირს გამოცნობა იმისა, ის უშუალოდ მისი პირველადი მნიშვნელობიდან მოდის (სირი = ჩიტი), თუ მისგან მიღებული ადამიანთა გვარისა და სახელიდან. იგივე ითქმის ჩვენი სოფლის შესახებაც.

ვინაიდან **სირ**-ეულ სიტყვაში მაწარმოებლად **-ეულ** სუფიქსი გამოდის, რომელიც ჩვეულებრივ კუთვნილებას, წარმომავლობას აღნიშნავს[30], შეიძლებოდა გვეფიქრა, ეს სოფელი ან მისი ის ნაწილი, რომლისაგანაც მთელმა სოფელმა მიიღო სახელი, ოდესმე ვინმე ს ი რ ა, ს ი რ ი ა, ს ი რ ა ძ ი ს ან მათი მსგავსი გვარ-სახელის მქონე პირს ეკუთვნოდა და აქედან წარმოდგა ამ კუთხისა და შემდეგ მთელი სოფლის სახელწოდება.

---

[26] ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1986, გვ. 298.

[27] ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1981, გვ. 148.

[28] ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977, გვ. 108, №3.

[29] ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა (აჭარის ასსრ), I, ბათუმი, 1958.

[30] ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980, გვ. 129; ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 154.

ამ გზით, ე. ი. გვარ-სახელის ფუძეზე -ეულ სუფიქსის უშუალოდ დართვით, მიღებული ტოპონიმები საქართველოში საკმაოდ ბევრია და მკვლევართათვის კარგად ცნობილი[31]. თუ სოფელში ამჟამად მოსახლე გვარებისა და სიგელების (ზედმეტი, შერქმეული გვარების) მიხედვით ვიმსჯელებთ, ამისი კვალი არ ჩანს. აქაურთა ძირითადი გვარებია: გოგუაძე, დარჩია, კილაძე, ლეჟავა, ლომაძე, მეგრელიშვილი, როყუა, რუსიძე, სარიშვილი, ქილიფთარი. რამდენიმე მოსახლეა: დობორჯგინიძე, მექვაბიშვილი. თითო-ოროლა კომლია: გელაძე, ტულუში, უგრეხელიძე, ქუტიძე, ჩოლობარგია, ჩხარტიშვილი, ცინცაძე. ჩამოსახლდნენ, ცხოვრობდნენ, მაგრამ თვითონ ან მათი შთამომავლები სოფლიდან წავიდნენ: ბრეგვაძე, დარსალია, ევგენიძე, კუნჭულია, ორმოცაძე, ჩხაიძე, სეხნიაშვილი. უკანასკნელ ხანს ჩამოსახლდნენ: ალფაიძე, ბლაგიძე, ბოგიევი (ბოლიშვილი), გარაყანიძე, გოგელია, გუჯაბიძე, ვადაჭკორია, ვაშალომიძე, სალარიძე, სიხარულიძე, სოსელია, ღლონტი, შიშმანაშვილი, ხელაძე, ხინიკაძე, ხურციძე, ჯანხოთელი, ჯაჯანიძე. ნასაკირალის ფართობში დასახლდნენ: ადაძე, ანთაძე, ართმელაძე, ბერიძე, გორგაძე, ირემაძე, მელაძე, მგელაძე, ქამადაძე, ჭელიძე, ხარაბაძე.

სილაურელთა გვარებში გავრცელებული ზოგიერთი სიგელი: გოგუაძეებში: გულდამწვარიები, დარჩიებში — კინტრია, ტიგურა, წუნიაშვილი, ჩაქველები, კილაძეებში — ოსიეშვილი, კოიძნები, მექვაბიშვილებში — ტურიე, ქილიფთრებში — გოჭუნიე, დედაღორა (ამგვარი სიგელები კიდევ ბევრი იყო, მაგრამ ახლა დავიწყებულია).

ცხადია, ეს არ ნიშნავს, ძველად აქ სხვა გვარ-სახელის მქონე მოსახლეთა ან მიწისმფლობელთა არსებობა გამო-

---

[31] ა. ჭინჭარაული, ეტიმოლოგიური ეტიუდები (ეული), კრებ.: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VI, თბ., 1984, გვ. 287. შდრ.: გვ. 289-290; ლ. გვენეტაძე, ტოპონიმთა ოდენსუფიქსური წარმოება ოკრიბის ტოპონიმიის მიხედვით, კრებ.: ონომასტიკა, I, თბ., 1987, გვ. 57.

რიცხული იყოს. მაგალითად, ორი საუკუნის წინათ დაწერილ ზემოთ დამოწმებულ გიორგი გურიელის სიგელში დასახელებულია გვარები: რუსიძე, ფილია, ბაბუშია, მამულეიშვილი, კანდელაკი, ხოხონაიშვილი: „ქ. კიდევ მებეგრე ძირი იმ საუდრის კაცის რ უ ს ი ძ ი ს ე უ ლ ი და იმაზე, ვინც დასახლდება იმ ჰარტახზე. ახლა სახლობს ფ ი ლ ი ა, მეგრელი ბ ა ბ უ შ ი ა. და იმ ჰარტახზე მდგომ კაცს მართებს ამ საუდრის ბეგარა ორი ლოღარიკი სანთელი (...). ქ. სხვა ადგილი საყანე, საპურე და საღომე მ ა მ უ ლ ე ი შ ვ ი ლ ი ს საზღვრითგან დაწყებული ტომონის ღელემდის (...). ამას გარეთ კიდევ ერთი ჰატარა ზღვარი მამული დობიროგ კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ს კარზედ არის. ერთი ბიჭი კიდევ შეწირული ხ ო ხ ო ნ ა ი შ ვ ი ლ ი იყო, თუ ცოცხალი არის“.

ამ გვარებიდან დღეს ამ არემარეში ცხოვრობენ მხოლოდ რუსიძე, მამულეიშვილი (მამულაიშვილი — ბაილეთში) და კანდელაკი (ჯუმათში). ფილია და ბაბუშია აღარ შემორჩენილან. ხოხონაიშვილები (ხუხუნაიშვილები) მოშორებით, აკეთსა (ლანჩხუთის რაიონი) და მის ახლომახლო სოფლებში არიან.

ასე რომ, ვიმეორებთ, შესაძლებელია **სილაური** ← **სირეული** წარმომავლობით რომელიმე პიროვნების კუთვნილებას აღნიშნავდეს: ს ი რ ა ს ე უ ლ ი, ს ი რ ი ა ს ე უ ლ ი, ს ი რ ა ძ ი ს ე უ ლ ი და ა. შ. მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, იგი უშუალოდ **სირი** (=ჩიტი) სახელიდან მოდის.

გარკვევით ჩანს, მთელმა სოფელმა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, სახელი მიიღო ერთი მისი უბნისაგან, რომელსაც ახლა **მაღლა სილაურს** ეძახიან. ეს არის სოფლის შუაში მდებარე მომაღლო ადგილი, მოგრძო სერი (სიგრძით კილომეტრზე ნაკლები, სიგანით 200-დან 300 მეტრამდე), რომელიც უშუალოდ ებჯინება დღევანდელ სოფლის ცენტრს და საიდანაც მთელი სოფელი ხელისგულივით მოჩანს. წინათ აქ, ამ სერის თავში, ეკლესია იყო (ახლა სასაფლაოა შემორჩენილი), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს ადგილი ძველადაც ახლომახლო მოსახლეთა თავშეყრის ადგილს, ცენტრს წარმოადგენდა, რასაც მთელ სოფელზე მისი სახელის გავრცელება უნდა გამოეწვია. როგორც ვთქვით, ამ უბანს სოფლისაგან გასარჩევად დღეს **მაღლა სი-**

ლაურს ეძახიან, ძველები კი პირდაპირ **სიროულს** უწოდებდნენ. უამრავი საზრუნავისაგან თავმობეზრებული ბებიაჩემისაგან არაერთხელ გამიგონია: მე მაშინ დამასვენებენ, სიროულზე რომ ამასვენებენო (სასაფლაო ჰქონდა მხედველობაში). ბევრისგან მსმენია წყევლა: სიროულზე მიწაში დაგგოზეო!

ადვილი წარმოსადგენია, სულ ძველად აქ ტყე იქნებოდა და, როგორც მომაღლო ადგილი, ირგვლივ გაშლილი ვაკისა და ჭალებისაგან ის უსათუოდ ჩიტების სიმრავლითაც გამოირჩეოდა. ნიშანდობლივია, რომ აქედან ჩრდილოეთით, 5–6 კილომეტრის დაშორებით, არის მთაგორიანი ადგილები, რომლებსაც სასირე (ორაგვესთან) და ჩიტია (ძიმით–აცანა–აკეთის საზღვარზე) ჰქვია. დასავლეთით, ასევე ახლოს, იანეთში სასირე ეწოდება ფერდობს (გვ. 103), ბაილეთსა (80) და ლაშეში (104) – გორაკს. გურიის სხვა სოფლებში – ჭანჭათში (ყურიათი) სასირეა ტყე (112), სამებაში ერთი ტყეა ჩიტლა, მეორე მუხის სასირე (113). იქვე, ქვათორში, ერთ ტყეს ეძახიან სასირეს, მეორეს – საირაოს (114). სასირე ტყეა აგრეთვე ბახვში (91), შუა განახლების უბნებში – დობიროსა (114) და ქვიშნარში (115), გორაკებია ხვარბეთში (78), ნიგოითში (139), დაბლაციხეში (119), წიფნარში (127), ქვემოხეთში (128), სირქედი – ნიგორზღვაში (136). სასირე ყელი (ე. ი. გადასასვლელი) არის გოგორეთში (78), თხილაგანში (130), სასირის ყელი – ნასაკირალში (81).

ასეთსავე ადგილებშია ჩიტთან დაკავშირებული ტოპონიმები: ჩიტიას ფეხი ფერდობია აცანაში (108), საირაო გორაკებია შუხუთში (142), ყელაში (149), სასკვინჩია ფერდობია ჯიხანჯირში (153), ჩხიკვა გორაა ვაკიჯვარში (89). სამაგიეროდ საიხვია ვაკეა მერიაში (78), ჭაობიანი ადგილი – ძიმითში (107).

აი, ეს მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ **სირეული // სიროული** ეტიმოლოგიურად უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს ჩიტის ძველქართულ სახელს სირი და ნიშნავდეს სა-ჩიტე, ჩიტიან ადგილს.

რამდენადაც ჩვენ ენათმეცნიერულ ლიტერატურას ვიცნობთ, ქართულში **-ეულ** სუფიქსი **-იან**-ის მნიშვნელობით გამოვლენილი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ამგვარი ფუნქციით გვხვდება მისი ფონეტიკური ტყუპისცალი **-ეურ**-ი. ზემორე დამოწმებულ „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ მის შესახებ აღნიშნულია: „ძველ ქართულში გამოიყენებოდა ჰრეფიქსის გარეშე: მთ-ეურ-ი «მთიანი», «მთიანეთი»: «მთეურსა შინა საფირისასა...». ახალ ქართულში თავს იჩენს რამდენიმე ფორმაში: ხელ-ეურ-ი, ცოლ-ეურ-ი, უველეურ-ი...“ (გვ. 156).

სირ-ეურ-ისაგან **სირ-ეულ // სირ-ოულ // სილ-ოურ** ფორმების მიღება ქართული ენისათვის ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვხვდებით ტოპონიმს ჩ ი ტ ა უ რ ი, რომელიც შინაარსითა და აგებულებით ს ი რ ა უ ლ ს ეხმიანება. ეს გეოგრაფიული სახელი არის ოზურგეთის რაიონის სოფელ ფამფალეთში (გვ. 89), სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში[32], ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომში[33], საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთში[34], ჩ ი ტ ა უ რ ა — ხარაგაულის რაიონის ხევის სასოფლო საბჭოში შემავალ ნადაბურსა და გოლისში (იქვე), ჩ ი ტ ა უ რ ი ს წ ყ ა რ ო — ამავე რაიონის სოფელ მოლითში, ჩ ი ტ ა უ რ ე ბ ი — ჭიათურის რაიონის სოფელ ითხვისში (იქვე) და სხვა.

---

[32] ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ვაკე-იმერეთის ისტორიული გეოგრაფიის მასალებიდან (სამტრედიის რაიონი), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, თბ., 1982, გვ. 116.

[33] ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, გვ. 116.

[34] საქართველოს სსრ ტოპონიმიკა, I, გვ. 225.

ვინაიდან გვაქვს ადამიანთა სახელები: ჩიტო, ჩიტუა, ჩიტუმა, ჩიტუნა, ჩიტურა, ჩიტია, ჩიტიკო, ჩიტოლია, ჩიტორია[35] და სხვა, გვარები — ჩიტავა, ჩიტაია, ჩიტაიშვილი, ჩიტეიშვილი, ჩიტალაძე, ჩიტაური, ჩიტაძე, ჩიტიანი, ჩიტოშვილი, ჩიტუკაშვილი[36] და სხვა, აქაც ჭირს გარკვევა იმისა, ზემორე აღნიშნული ტოპონიმებიდან რომელი მომდინარეობს უშუალოდ ჩიტი სიტყვიდან და რომელი ადამიანის სახელებიდან და გვარებიდან.

იგივე კითხვა ისმის -აურ-დაბოლოებიანი და სხვა ტოპონიმების მიმართაც. თითოეული მათგანი საგანგებოდაა შესასწავლი და დასაზუსტებელი. მაგალითად, როცა ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანასა და მეზობელ სოფლებში, მამათსა და აკეთში, ცხოვრობენ ქინქლაძეები, ხოლო ჩიბათში კუკულაძეები, სარწმუნოა, რომ აცანაში ფერდობის სახელი ქ ი ნ ქ ლ-ა უ რ-ი (გვ. 109) და ჩიბათში გორაკის სახელი კ უ კ უ ლ-ა უ რ-ი (გვ. 145) ამ გვარებს უკავშირდებოდეს.

მეორე მხრივ, გვაქვს ტოპონიმები: ა ს კ ი ლ ა უ რ ი სოფელ გომბორთან, ა ს კ ი ლ ა უ რ ა — სათესი ხულოს რაიონის სოფელ პაქსაძეებში[37]. 1579 წლის გუჯარში კი ნახსენებია ა ს კ ი ლ ო ვ ა ნ ი: „ეგრეთვე ჯერ ვიჩინეთ, შევსწირეთ და მოვახსენეთ უდაბნონი, მონასტერნი, ეკლესიანი, სოფელნი და აგარაკნი, აზნაურნი და გლეხნი. მოგახსენეთ (ხო)რაუგს საწინამძღვრო მონასტერი უუავისთავი, კილმატი და ა ს კ ი ლ ო ვ ა ნ ი, კილმატის ციხე მთითა და ბარითა, ვერცხა ციხითა...“[38]. დღეს ა ს კ ი ლ ი ა ნ ი სათეს ადგილსა ჰქვია მცხეთის რაიონის სოფელ ზაქაროში, ამავე

---

[35] ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ქართველური საკუთარი სახელები, გვ. 225, 309.

[36] ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ქართული გვარსახელები, გვ. 200.

[37] ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, გვ. 122.

[38] საქართველოს სიძველენი, I, ტფ., 1920, გვ. 8.

რაიონის სოფელ ჩარდახის სამხრეთ-დასავლეთით ა ს - კ ი ლ ი ა ნ ი ველია[39] და სხვა.

ვფიქრობთ, აღნიშნული ტოპონიმები ა ს კ ი ლ ა უ რ ი, ა ს კ ი ლ ა უ რ ა მცენარის სახელიდან წარმოდგება და ნიშნავს ა ს კ ი ლ ი ს, ა ს კ ი ლ ი ა ნ ადგილს. თუმცა არის გვარი ა ს - კ ი ლ ა შ ვ ი ლ ი (ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრაში“ მუშაობს **ნინო ასკილაშვილი**) და, შესაძლებელია, ზოგან იგი ასკილა სახელის ან გვარის საფუძველზე იყოს წარმოშობილი.

ყოველივე ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ დავსვათ საკითხი: ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი, დღეს რომ **-აურ /-აულ** და **-ოურ / -ოულ**-ით ბოლოვდება, თავიდან ისინი **-ეურ / - ეულ** სუფიქსიანები ხომ არ ყოფილან?! (გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზოგიერთი **ევ**-ზე დამთავრებულ გეოგრაფიულ სახელში (მარჯანევი, ბირტყევი, მაზარევი), რომლებიც აჭარაში, მაჭახლის ხეობაში, გვხვდება, „ევ წარმოშობილია **-ეულ** სუფიქსისაგან შემდეგი საფეხურების გავლით: ეულ→ ევლ→ევ, ესე იგი: მარჯანეული →მარჯანევლი→ მარჯანევი“[40] და ა. შ.

ამრიგად, ჩვენი დასკვნით, უეჭველია, სოფელ სილაურის სახელწოდება წარმოდგება ჩ ი ტ ი ს ძველქართული სახელისაგან **სირ-ი**: **სირ-ეურ-ი // სირ-ეულ-ი →სირ-ოურ-ი // სილ-ოურ-ი →სირ-აულ-ი // სილ-აურ-ი**. შესაძლოა, იგი მოდიოდეს ამ სიტყვისაგან მიღებული ადამიანის სახელის ან გვარისაგან (ს ი რ ა ს ე ულ ი, ს ი რ ი ა ს ე უ ლ ი, ს ი რ ა ძ ი - ს ე ლ ი), უფრო კი მოსალოდნელია, საფუძვლად ედოს უშუალოდ მისი პირველადი მნიშვნელობა და ს ა ჩ ი ტ ე, ჩ ი ტ ი ან ადგილს ნიშნავდეს.

---

[39] ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, მცხეთის ტოპონიმია, II, ტოპონიმიკური ძიებანი, თბ., 1975, გვ. 42.

[40] ა. მ ს ხ ა ლ ა ძ ე, მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკისათვის, კრებ.: რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, ბათუმი, 1954, გვ. 25.

ახლა სილაურის ცალკეული ადგილის სახელთა ეტიმოლოგიის შესახებ. მათგან ბევრია ისეთი, განმარტება რომ არ სჭირდება: ნაციხური (რამდენიმე ადგილას რაღაც ნაშთები, მათ შორის გრძელი კედლისა, შემორჩენილია), სათიბე, საკირე, სამგელია, საყორნიე, სასახლე (გურიელის ნასახლარი, შემორჩენილია სუროიანი და ბარდეკლიანი ბოძები), ქვიანი, შკერისგვერდა (შკერი გურულად შქერია). გურიაშია: შკერნალი (გვ. 119), შკერპატარა (93), შკერშავის გორა (135). აჭარაში არის: შკერიქედი, შკერკაკუტა, შკერნალის ღელე[48]. მამათის ღელე სოფელ მამათიდან მოედინება, შუაღელა (მამათის ღელის შუა ნაწილი).

ზეგანი ზოგადი გეოგრაფიული სახელია. იქვე, მახლობლად, ლაშეში იგი ეწოდება სერს (გვ. 104). ბევრ ადგილს ჰქვია აჭარაში[49] და სხვაგანაც. სილაურის ზეგანი მომცრო მთიანი ადგილია და ამართლებს ამ სიტყვის შინაარსს.

ნაბაკევიც ზოგადი სახელია და ბევრ ადგილს ჰქვია საქართველოში. შორს რომ არ წავიდეთ, ვიტყვით, ამ სახელის სოფლებია სამტრედიასა და გალის რაიონებში. ნიშნავს ბაკის ნამყოფ ადგილს. ბაკი კი ამ შემთხვევაში ირგვლივ შემოზღუდული, საქონლის დასამწყვდევი ღია ადგილია.

დამპალისპირი მდებარეობს სუფსის პირას, სადაც მას რობა ერთვის. აქვეა დაჭაობებული სუფსის ძველი ნადინარი. ამ ტიპის სახელები საქართველოში ხშირია. დამპალისპირი სათესი ადგილია მეზობელ სოფელში, ჯურუყვეთში (გვ. 147). სხვა კუთხეებში არის: დამპალი[50], დამპალო[51], ჩამპალო[52], დამპალწყა-

---

[48] ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, გვ. 52, 54, 64.

[49] ი. სიხარულიძე, ნიგალი, (ლივანა), საისტორიო გეოგრაფიული მასალები, ბათუმი, 1985, გვ. 65-66; ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმიის მასალები „დროებასა“ და „იქერიაში“, კრებ.: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1983, გვ. 36.

[50] ი. სიხარულიძე, ნიგალი, გვ. 40-41; მისივე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, გვ. 61.

რო[53], დამპალღელე, დამპალყანები, დამპალჭალა[54], დამპალეთი[55] და სხვა.

კიბულა ჩაკიბული ბილიკია, რომელიც სოფელ მამათში გადადის და კიბე სიტყვიდან წარმოდგება. გურიაში კიბულა ჰქვია ღელეებს (გვ. 75, 108, 111), გორებს (106, 153), წყაროს (131). სამეგრელოში გვაქვს: „კიბულური – კიბესავით ადგილია, საფეხურიანი, ხრიოკი და კადარი"; „კიბეში – კიბის მსგავსი ფერდობი, საფეხურიან-სართულებიანი"; „კიბუდა – გორაკია კიბეების მსგავსი, სართულებიანი"[56] . აჭარაში არის: კიბე, კიბეთი, კიბითავი, ქვაკიბე[57]. ამ სიტყვიდან მიღებული ტოპონიმები არც აღმოსავლეთ საქართველოსთვისაა უცხო: კიბულა წყაროა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბაღდადში[58] და სხვა[59] .

ბოლოწვრილა ბოლოვიწროს ნიშნავს. ინწრუა სოფლის უბანია გურიაში, თხილაგანში (გვ. 130). აჭარაშია ყანაწრილა[60].

---

[51] ალ. ღლონტი, მცხეთის ტოპონიმია, გვ. 47.

[52] ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, გვ. 129, 134.

[53] იქვე, წიგნი II, გვ. 143, 148.

[54] ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, V, აწყურიდან ტაშისკარამდე, თბ., 1987, გვ. 62.

[55] თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, დასახელებული გამოცემა, გვ. 45.

[56] გ. ელიავა, აბაშისა და და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, გვ. 151, 170,112.

[57] ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, გვ. 21, 39, 41, 47, 144.

[58] ალ. ღლონტი, ტოპონიკური ძიებანი, III, ლაგოდეხის ტოპონიმია, თბ., 1981, გვ. 53.

[59] ლ. გვენეტაძე, ოკრიბის ჰიდრონომია, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 245, ენათმეცნიერება, 8, თბ., 1984, გვ. 54.

[60] ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, გვ. 109.

ქაშანი ზოგადი სახელია. სულხან-საბა ორბელიანის ახსნით, იგი „შამბთა (შ ა მ ბ ი კ ი, მისივე განმარტებით, „მაღალი და სხვილი ბალახია“) და თოვლზედ გაქელილ გზას ნიშნავს“. შ. ნიჟარაძის ცნობით, ზემო აჭარაში „ქაშანი“ „მაღალტუიან ადგილას დაშვებული ბუნებრივი თხრილია, რაშიაც შეშას ან მძიმე საშენ მასალას თრევით დააცურებენ ხოლმე“[61]. სილაურში აღნიშნულ ადგილას ამგვარი თხრილი არ არის. ჩანს, ამ ადგილმა ეს სახელი მისი პირველადი მნიშვნელობით, შამბის (ბალახის) გამო მიიღო, თუმცა ისიც შესაძლებელია, ამ გზით ძველად შეშა და ხე-ტყის მასალა გამოჰქონდათ.

ნაოჩვარიც ზოგადი სახელია. როგორც სილაურშია, გურიაში ის სათეს ადგილს ჰქვია ჭაჭიეთში (გვ. 94), ტობათში (139), ხიდმაღალაში (154). ვხვდებით აჭარის სოფლებში[62] და სხვაგანაც.

როგორც აღვნიშნეთ, ამ სიტყვას ეხება იოსებ მეგრელიძე და სწორად მიუთითებს, რომ ის წარმოდგება გეოგრაფიული სახელისაგან ო ჩ ე (ნა-ოჩე-ვარ-ი). ეს უკანასკნელი კი გურიაში სათეს ადგილსა ჰქვია კოხნარში (127), ნიგოითში (141), ლესაში (146), კიდევ მეტ ადგილს სამეგრელოში[63], გვხვდება აჭარაში[64] და სხვაგანაც.

ო ჩ ე მეგრულ-ლაზური სიტყვაა, რომელსაც მკვლევარები სხვადასხვაგვარად განმარტავენ. იოსებ ყიფშიძე პარალელს ავლებს სიტყვასთან ყ ა ნ ა და ძირითად მნიშვნელობად ასა-

---

[61] ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

[62] ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, გვ. 134 (აქვეა ნ ა უ ჩ ვ ა რ ი — გვ. 37, 51, 128, 132), წიგნი II, გვ. 12, 51.

[63] გ. ე ლ ი ა ვ ა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, გვ. 14, 23, 27, 37, 46, 51, 81, 127, 132, 139, 155, 161; მ ი ს ი ვ ე, სენაკის რაიონის ტოპონიმიკა, თბ., 1989, გვ. 23, 62, 72, 81, 87, 99.

[64] ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, გვ. 77 (აქვეა ო ჩ ი ა — გვ. 57, 117).

ხელებს „დიდ მინდორს“[65]. „დიდ ყანად“ თარგმნის გივი ელიავა, ხოლო მისივე ცნობით, ადგილობრივ ინფორმატორთა ერთი ნაწილი მას უხვმოსავლიან, ნაყოფიერ, დოვლათიან ადგილად განსაზღვრავს, სხვები კი სიტყვასიტყვით თეთრი ვაზის ჯიშად ან ისეთ ადგილად მიიჩნევენ, სადაც ასეთი ჯიშის მაღლარი ვაზი უნდა ყოფილიყო გავრცელებული (ოჩე = საჩეო, სათეთრო ადგილი)[66]. ყანის მნიშვნელობით ესმით სხვებსაც[67]. სარგის კაკაბაძის აზრით, არის „ტუეში გამოკაფული დასამუშავებელი მიწა (ახო)“[68]. ამ მოსაზრებას ენათესავება ი. მეგრელიძის ახსნა: ოჩე = საჩეხი (გვ. 84).

საგანგებო გამოკვლევაში ზაზა ალექსიძე და გივი მაჭავარიანი ამ სიტყვას ამგვარადვე შლიან, ანაწევრებენ, ოღონდ ეყრდნობიან მეგრულ-ლაზურ სიტყვას „უჩაში (=უფროსი) და წარმომავლობით მას სოციალურ ტერმინად ვარაუდობენ, რაც ნიშნავს საუხუცესოს, საუფროსოს[69]. მათი ძირითადი მსჯელობა და დასკვნა ასეთია: „ოჩე არის «ის, რაც დიდისათვის, უფროსისათვის არის განკუთვნილი», ანუ «საუფროსო, საუხუცესო». შემდეგში მნიშვნელობის დაკონკრეტების შედეგად, «უანა, მინდორი, სახნავი, რომელიც უფროსის, უხუცესის (მეგრულად უჩაშის) კუთვნილებაა» (...). ოჩე ზუსტ ანალოგიას ჰპოვებს ტერმინ ხოდაბუნთან, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არის «საბატონო დიდი უანა». ხო-

---

[65] И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб, 1914, с. 295, 420.

[66] დასახელებული წიგნი.

[67] ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, გვ. 486.

[68] ს. კაკაბაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, I, 1928, გვ. 12-14.

[69] ზ. ალექსიძე, გ. მაჭავარიანი, უძველესი ქართული სოციალური ტერმინი ოჩე (საუხუცესო // საუფროსო), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 127, ისტორიის მეცნიერებათა სერია, VII, თბ., 1968, გვ. 381-402.

დაბუნი ძველად საბატონო უანის აღმნიშვნელი იყო. საბატონო უანა, ცხადია, ვრცელი და მაღალი ხარისხისა იქნებოდა და გვიან, როცა მასში ბატონის ხელი აღარ მოჩანდა, უბრალოდ, «დიდი უანის» გაგებაღა შერჩა. ამრიგად, ო ჩ ე «საუხუცესო მიწა» > «დიდი უანა» = ხოდაბუნი, «საბატონო მიწა» > «დიდი უანა»" (გვ. 383–384).

ამ გაგებას მხარს უჭერს ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „სიმონა". აქ ვკითხულობთ: „კვირაში ოთხ დღეს მაინცდამაინც საბატონო ოჩეში, ანუ უანაში, მუშაობდა გაბრიელა, ეს ვითომცდა ბატონის ურჩები შინაყმა"[70].

სილაურის ნაოჩვარი პატარა ტერიტორიაა სუფსის ვრცელ ჭალაში (მერეში) და მას არც დიდი მინდვრის, დიდი ყანისა და არც საუფროსო სახელი შეესაბამება. ეს არის ყოფილი ტომონის შემოგარენი და, უნდა წარმოვიდგინოთ, თავიდან დაუმუშავებელი, ახო, ყამირი, შემდგომ ერთხანს უხვმოსავლიანი, ნაყოფიერნიადაგიანი (გურულად — უყი მიწა) ადგილი იქნებოდა და ამან განსაზღვრა მისი სახელი[71].

ი. მეგრელიძე ყურადღებას აქცევს ნა-ოჩ-ვ-არ-ში ვ ბგერას და ფიქრობს, ის ან სიტყვის ძირში ჩართული აფიქსია (ინფიქსი) ან ოჩ-ვ-ა ზმნის ნაშთი. ჩვენი აზრით, აღნიშნული სიტყვა ორმაგი, ევ და არ სუფიქსებით ნაწარმოები სახელი უნდა იყოს და ვ ევ-ის ნაშთია: ნა-ოჩ-ევ-არ-ი. ა. შანიძე ამგვარ სიტყვაწარმოებაზე აღნიშნავს: „ზოგ შემთხვევაში ევ სუფიქსს არ-ი დართვია და ხმოვანის ამოღების გზით (ე)ვ-არ-ი გა-

---

[70] ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გ. ქიქოძის რედაქციით, თბ., 1954, გვ. 147.

[71] სილაურელი ალექსანდრე ქილიფთარი, ეს ნაშრომი რომ „მაცნეში" წაეკითხა, ამ გაგებას დაეთანხმა და მამამისის — სარდიონ ქილიფთარისაგან გაგონილი გადმომცა: გურიელისაგან ნაოჩვარის საყანედ მიცემა (გურიელს არა მარტო ნაოჩვარი, მთელი მერე ეკუთვნოდა) დიდი პატივისცემა იყოო. სარდიონს (1880–1978) კოლმეურნეობაში და მანამდეც საყანე მიწად ნაოჩვარი ჰქონდა აღებული.

კეთებულა: *ნა-ციხ-ევ-ი (შდრ. მეგრ. ნო-ჯიხ-ევ-ი, რომელიც სოფლის სახელია)... ნა-ციხ-ვ-არ-ი (ნა-ციხ-ევ-არ-ი), *ნა-დიკ-ევ-ი (დიკა ჰურია ერთგვარი)", ნა-დიკ-ვ-არ-ი («ნადიკვარი» ადგილია თელავში); *ნა-სიმ-ევ-ი: ნა-სიმ-ვ-არ-ი" (ა. შ ა ნ ი ძ ე, თხზულებანი, III, გვ. 134).

გურიაში არის **ნა-ციხ-ვ-არი** ნაგომარში (93), **ნა-ციხ-ვ-არ-ა** აჭში (84), მთისპირში (90), ზომლეთში, ვანში (112), ზემო ტოლებში (137), აჭარაშია **ნა-ოჩ-ევ-ი**[72].

მაშასადამე, სილაურის ნაოჩვარი წარმოდგება მეგრულ-ლაზური სიტყვიდან ო ჩ ე და ნიშნავს ყოფილ უ ხ ვ მ ო ს ა ვ ლ ი ა ნ, უწინდელ ნ ო ყ ი ე რ, უ ყ ადგილს, ნ ა ყ ა მ ი რ ა ლ ს. მასში „ვ" ბგერა „-ევ" სუფიქსის ნაშთია: ნა-ოჩ-ევ-არ- ი → ნა-ოჩ-ვ-არ-ი.

ოროკი // ოროკა გურიაში უამრავ ადგილას გვხვდება: ზედა და ქვედა ორმეთში (გვ. 78-77), მელექედურში (80), ბახვში (91), ბუკნარსა და ქვენობანში (94), კაპრუანში (106), ქვემო აკეთსა და გაგურში (110), ზომლეთში (111), ამაღლებაში (113), ჯუნჯუათში (144), ჩოჩხათში (153) და სხვაგანაც.

გ. შარაშიძის „გურულ ლექსიკონში" „ოროკი" განმარტებულია ასე: „ნარიყალი ნიადაგი, სახნავ-სათესი მიწა" (ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა). იგივე აზრი გამეორებულია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ტ. VI): „ო რ ო კ-ი (ოროკისა) კუთხ. (გურ.) ნარიყალი, საყანე (შდრ. ო რ ო კ ო)". ი. მეგრელიძის ახსნითაც, „ოროკი" გურულად ნიშნავს მწირ, გამოფიტულ მიწას (გვ. 79). ამასვე აღნიშნავს რ. ძნელაძეც: „ჩვენი დაკვირვებით (ზოგჯერ ამაში ხალხური ეტიმოლოგიაც მხარს გვიჭერს), ეს სიტყვა მწირ, უნაყოფო ადგილსაც აღნიშნავს"[73].

---

[72] ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, გვ. 37, 65.

[73] რევაზ ძ ნ ე ლ ა ძ ე, გურული დიალექტის ტოპონიმური ლექსიკა, თბ., 2005, გვ. 48.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში დამოწმებულია სიტყვა „ოროკო“ და განმარტებულია: „მიწა ბაქან-ბაქანად მოვაკებული“, რაც თანამედროვე ქართულ ენაზე ნიშნავს ტ ე რ ა ს ს. ნიკო ოთინაშვილი, იმოწმებს რა სულხან-საბას ამ ახსნას, წერს: „ამჟამად ეს სიტყვა („ოროკი“, – ბ. დ.) გურიაშია შემორჩენილი და მშრალ თიხნარს ეწოდება. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში კი ასეთ მოწუობილ ბაქნებს ტერასებს უწოდებენ“[74].

ი. მეგრელიძე ვარაუდობს, რომ ო რ ო კ ი, ისე როგორც ო რ ო კ ო, მიღებულია რ ო კ სიტყვაზე მეგრული „ო“ თავსართის დართვით, რაც ქართულ „სა“-ს შეესაბამება: ო-რ ო კ-ი = საროკე. „როკი“ კი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ თანახმად, არის „ხის ტოტის ძირი ან ნუჟრიანი კაჭი“ (ტ. VI). გურულად კი, როგორც ი. მეგრელიძე წერს, – „მუხის ან წაბლის კეტი“ (გვ. 79). ჩვენი მხრივ დავუმატებთ, ასევე აკაციის ან კიდევ, საერთოდ, მაგარი ტოტი, კეტი, სარი[75].

„როკ“ სიტყვა საქართველოს მრავალ ტოპონიმში გვხვდება. საყოველთაოდ ცნობილია რ ო კ ი ს უღელტეხილი, რ ო კ ი თ ი სოფელია ბაღდათის რაიონში; რ ო კ ა / რ ო კ ე ბ ი უბანია ჭიათურის რაიონის სოფელ შუქრუთში[76], რ ო კ ო ნ ა (ე. ი. როკიანი) რამდენიმე ადგილს ჰქვია სენაკის რაიონში[77] და სხვა.

როგორია სილაურის **ოროკას** ბუნებრივი მონაცემები? აღნიშნული განმარტებებიდან მას ყველაზე მეტად ესადაგება სულხან-საბასეული ახსნა. ესაა მდინარე სუფსის ჭალაში შემაღლებული ადგილი, ერთსაფეხურიანი ვრცელი ტერასი, სწორი ზედაპირით, რომელსაც მამათის ღელე შუაზე ჰყოფს და სადაც ერთ ნაწილზე ჩაის პლანტაციაა გაშენებული, დანარჩენი სა-

---

[74] ნ. ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ცხავატის ტერასები, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 19 თებერვალი, 1991, გვ. 2.

[75] იხ. აგრეთვე: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა; ც. ნ ა რ ა კ ი ძ ე, ლაზური ლექსიკის ზოგიერთი საკითხი, კრებ.: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, გვ. 68.

[76] საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, გვ. 166.

[77] გ. ე ლ ი ა ვ ა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, გვ. 60, 71, 88, 110.

ძოვრად და სიმინდის სათესად არის გამოყენებული (მანამდე მოჰყავდათ ღომი). ოდესღაც ალბათ ეს ადგილი ტყიანიც იყო, მაგრამ ამ მხრივ იგი, მეტადრე კი მაგარმერქნიანი მცენარეებით, გამორჩეული რომ ყოფილიყო, ძალიან საეჭვოა. ამგვარ მცენარეთა გავრცელება უფრო მთაგორებსა და ფერდობებზეა სავარაუდებელი, ვიდრე დაბლობებსა და ჭალებში.

ზოგიერთი ო რ ო კ ი მართლაც ქვიანი და მწირნიადაგიანია, მაგრამ სილაურისა ამგვარი არ არის. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, ო რ ო კ ი ს მცირემოსავლიან ადგილად წარმოდგენა უფრო თვით ამ სახელმა განაპირობა, ვიდრე ნიადაგმა. გურიაში ის ბევრს ასე ესმის: ო რ ო კ ი ა ნ ი, ე. ი. ო რ ო კ ა (ოყა) მოსავალს რომ იძლევა, ისეთი ადგილი (ოკა, ოყა = 1, 36 კგ-ს)[78].

ირკვევა, სხვა ოროკებიც მომაღლო ადგილებია. ი. სიხარულიძის აღწერილობაში მხოლოდ ზედა ორმეთის ოროკზეა ნათქვამი — „შემაღლებული ადგილი“ (გვ. 76). სხვაგან ჩვეულებრივ „სათესი“ ან „ფერდობია“ მითითებული. სილაურის ო რ ო კ ზ ე „სათესი“ წერია (გვ. 105). ჩვენ კი ნამდვილად ვიცით, ქვედა აკეთში, ძიმითში, ბახვში ო რ ო კ ი შემაღლებული ადგილებია.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, სარწმუნოა სულხან-საბა ორბელიანის განმარტება, ძველად **ოროკი //ოროკო //ოროკა** ბ ა ქ ა ნ - ბ ა ქ ა ნ ა დ მ ო ვ ა კ ე ბ ულ მ ო მ ა ღ ლ ო ტ ე რ ა ს ულ ადგილებს ეწოდებოდა და ჩემს სოფელშიაც ეს სახელწოდება ამის გამო გაჩნდა.

მსგავსად ოროკისა, ზოგადი გეოგრაფიული სახელი უნდა იყოს კაჭარაც. იგი ტყიანი ფერდობია ზ ე გ ა ნ ი ს გვერდით. ამ სახელის განმარტებისას, ბუნებრივია, უპირველესად გვაგონდება კახეთის სოფელი კ ა ჭ რ ე თ ი (გურჯაანის რაიონი). ნ ა კ ა ჭ ი ადგილია ლაგოდეხის რაიონის სოფელ საქობოში[79]. ცხადია, მხედველობაში გვაქვს კოლხური სახელები: კ ა ჭ ა, კ ა-

---

[78] გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX- XIX სს.), თბ., 1873, გვ. 73-74.

[79] ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ტოპონიმიკური ძიებანი, III, გვ. 60.

ჭაია, მეტსახელი კაჭალა[80], გვარები – კაჭარავა, კაჭაროზაშვილი და კაჭარავადან სამეგრელოში მიღებული ტოპონიმები: კაჭარული, კაჭარუი[81] და სხვა.

„კაჭარ“ ფუძიდან მიღებულ სიტყვებს ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. სულხან-საბა ორბელიანის ცნობით, რომელსაც დ. ჩუბინაშვილიც იმეორებს, „კაჭარი უწულოს ალაგს რიუის მსგავსი ქვა“ არის. ეს სიტყვა დღესაც ცოცხალია. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით: „კაჭარი – მთის ქანის მონატეხი დიდი ქვა, რომელიც ჟამთა ვითარებაში მყინვარების მიერ ცოტაოდენად მომრგვალებული და გახეხილია“ (ტ. IV). გურიაში კაჭარა ზოგიერთმა ქვიან და უნაყოფო ადგილად აგვიხსნა, ზოგმა – დიდ ქვად. ახლახან გამოქვეყნებულ ერთ ნარკვევში ვკითხულობთ: ჯიქის „კვალმა უზარმაზარ კაჭრამდე მიმიუვანა. შემოვუარე იმ კაჭარს და გავოგნდი – ჯიქი ამოფარებოდა კლდეს“[82].

მეორე მხრივ, სულხან-საბა ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების განმარტებით, „კაჭრობა გველის ყიყინი, გველის ხმიანობა“, „სისინია“.

ა. მაყაშვილის ახსნით, ზემო იმერეთში კაჭარა ეწოდება კოლრაბს, მხალს კომბოსტოს ოჯახიდან, რომელსაც გურიაში კეჟერას ეძახიან[83]. ქეთევან ძოწენიძე მას კაჭარფხალის სახელით იმოწმებს[84]. ამ ახსნას ეხმიანება სულხან-საბას განმარტება: „აკაჭრება – მხალთ შეხმობის დაწუება“.

---

[80] ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები.

[81] გ. ელიავა, აბაშისა და და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, გვ. 36, 40.

[82] ა. ირემაშვილი, შეხვედრა მთაში ანუ საით მიდის ჯიქის ნაკვალევი, გაზ. „შანსი“, 7 მარტი, 1991, გვ. 7.

[83] ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, მცენარეთა სახელწოდებანი, თბ., 1961, გვ. 40.

[84] ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.

აღარაფერს ვამბობთ სიტყვების კაჭა, კაჭვა, კარჭალისა და სხვათა შესახებ, რომლებსაც ქართულ დიალექტებში სხვადასხვა გაგება აქვთ.

თუ გეოგრაფიული მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, სილაურის კაჭარას ყველაზე უფრო სულხან-საბას პირველი განმარტება შეესაბამება. ზედაპირზე არსებული რიყის ქვებით ან მთის ქანის მონატეხი დიდი ქვით იგი დღეს არ გამოირჩევა, მაგრამ უწყლო და ქვიანი ადგილი ნამდვილად არის. ბარს მიწას ვერ დააკარებ, ისეა ქვებით გატენილიო, — მითხრა ერთმა იქაურმა გლეხკაცმა[85].

ამრიგად, ჩანს, სილაურის კაჭარამ უწყლო ქვიანობის გამო მიიღო ეს სახელწოდება.

ნათელია **რობა** ღელის სახელი. აშკარაა, შინაარსობრივად იგი ისაა, რაც მეგრულად რობა, რობუ და ლაზური რუბა, — ნიშნავს ხევს, მდინარეს. გ. ელიავას აღწერილობის მიხედვით, (აბაშისა და გეგეჭკორის ტოპონიმიკა) რობა „ხრამი, ხევი", „ღრმა უფსკრული ადგილია" კურზუში (147), კიწიაში (153), გურძემში (158), თამაკონში (161). „რობანი (ხრამიანი) ჩაქცეული ადგილია" სერგიეთში (97), რობაღელე გვაქვს აჭარაში[86] და სხვა (რობა ჰქვია დასახლებულ პუნქტსაც. გაბრიელ ჭყონდიდელის მიერ მარტვილის ტაძრისადმი (სავარაუდოდ) 1753 წელს მიცემულ შეწირულობის წიგნში წერია: „ეგე შესაწირავი ძღვნად მოგიძღვენ ასე: (...) ამას გარეთ კიდევ რობას: სამი გლეხი იყო ჩვენი (...). ეს სამი გლეხი რობას ესახლენ, მაგრამ (...) წამოვიყვანეთ და გამოღმა კოდორს დავასახლეთ. (...) ამ რობელი კაცების დავთარი სუჯუნასა დაგვიძს"[87].

---

[85] შდრ.: ბ. ფოჩხუა, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, I, თბ., 1987, გვ. 109.

[86] ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, გვ. 144.

[87] ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტი გამოსცა,. შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 837.

აღსანიშნავია, რომ სილაურის რობაც, სანამ სუფსის ჭალაში დაივაკებდეს, საკმაოდ ღრმა ხევსა ქმნის.

ისიც ცხადია, **ლუხმელა** ხმელ, მშრალ რუს, ანუ, როგორც ი. სიხარულიძე შენიშნავს, ხმელ ღელეს ნიშნავს. ზემოთ უკვე ვნახეთ, გიორგი გურიელის შეწირულობის განახლების წიგნში იგი სწორედ რუხმელას სახელითაა მოხსენიებული. თანაც, ეს ღელე იმდენად პატარა და წყალმცირეა, ცხელ ზაფხულში თითქმის დაშრობამდე მიდის.

ამგვარი ტოპონიმები სხვაგანაც გვხვდება. ლუხმელა სათესი ადგილია დიდ ჯიხაიშში[88], ხოლო აჭარაში ერთგან რუხმელა ნაკადულის სახელია, მეორეგან – ტყის, მესამე შემთხვევაში რუხმელი ღელე ტყეა[89].

შინაარსობრივად ამგვარივე ტოპონიმებია: ტაბახმელა, ხმელაღელე (სათესი), ხმელტბა, ხმელი ტბა[90], ხევხმელა[91], ხმელი ხევი[92], მშრალი ღელე//მშრალღელე[93] და სხვა.

ისიც სათქმელია, რომ ძველსა და ახალ ქართულშიაც ჩვეულებრივ „რუ" სარწყავად გამოყვანილ პატარა არხსა და მასში მიმდინარე წყალსაც ეწოდება, გურულ დიალექტში კი პატარა ღელეებისა და ნაკადულების წყალსაც ჰქვია. ამიტომ არის ამ კუთხეში რუშავა ზედა ბახვში (გვ. 91), რუდიდი ნაბეღლავში (101), ნარუები ბუკნარში (94).

---

[88] საქართველოს ისტორიული გეოგრაფიული კრებული, VI, გვ. 116.

[89] ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, გვ. 54, 109.

[90] იქვე, გვ. 126, 133, 172.

[91] საქართველოს სიძველენი, II, თბ., 1909, გვ. 190; ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 51.

[92] ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, V, აწყურიდან ტაშისკარამდე, გვ. 93.

[93] ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, III, გვ. 60; მისივე, ტოპონიმიკური ძიებანი, V, გვ. 75.

სილაურის დანარჩენ ტოპონიმებზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. გამოვთქვამთ მხოლოდ ზოგიერთ ვარაუდს.

ვფიქრობთ, **ლოფართო** ღელის სახელი რობ + ფარ-თო ან რო + ფართო (შდრ. ტოპონიმი: ცხენთარო ← ცხენთა რუ[94]) სიტყვებიდან მოდის, რაც შეიძლება ნიშნავდეს: ფართო რობა, ფართო ხევი, ფართო მდინარე ან ფართო რუ. შეიძლება ითქვას, ეს ღელე ისე ვიწრო და ღრმა ხევს არსად ქმნის, როგორც რობა და ლუხმელა შუა წელამდე იძლევა.

დაბეჯითებით რაიმეს თქმა ასევე ძნელია **თინათას, თინათას ღელეს** სახელის შესახებაც. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მამათის ღელემ ეს სახელი სოფელ მამათიდან მომდინარეობის გამო მიიღო. ჩვენი აზრით, შესაძლებელია თინათას სახელიც ამგვარადვე წარმოდგებოდეს. იმ ადგილის ზემოთ, საიდანაც ეს ღელე გამოდის, ორიოდე კილომეტრის დაშორებით, არის უბანი თაინათი, რომელიც მთაგორიანია და სოფელ მამათს ეკუთვნის.

ამბროსი შევარდნაძე ზემოთ დასახელებულ *„მამათის სკოლის ისტორიაში“*, ხალხურ ეტიმოლოგიაზე დაყრდნობით, ამ სახელის წარმოშობას უკავშირებს „მამათის“, „ძიმითისა“ და „ჯუმათის“ სახელთა გაჩენას. წერს: ჯუმათში, ძიმითსა და მამათში „ჰირველთა საცხოვრებელ ტყეში «თაინათზე» «მამები» ხშირად ანთებდნენ სანთლებს, ამ უსისხლო მსხვერპლს ღმერთს სწირავდნენ და ამით «აცხოვნებდნენ» მორწმუნეთა სულებს, რის გამოც ამ მაღლობს დაერქვა სახელი «თაინათი», ე. ი. მთა ინათი «ვანმანათლებელი მთა»“ (გვ. 6). ეს შეხედულება სანდო არ არის. როგორც ი. სიხარულიძე ვარაუდობს, იგი უნდა წარმოდგებოდეს მთაინათი სიტყვიდან (გვ. 106) და ნიშნავდეს: მთა ნა-

---

[94] ი. ქავთარაძე, რუსთაველი და «ვეფხისტყაოსანი», „ცისკარი“, 1968, № 11, გვ. 116; ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, გვ. 525–526.

თ ე ლ ს, გ ა ნ ა თ ე ბ უ ლ მ თ ა ს[95]. ამ მხრივ საყურადღებოა აჭარაში, ზედაკვირიკეში, გორის სახელწოდება თ ი ნ ა თ ი ს ქ ე დ ი[96], იქვე, ჩაისუბანში, სათესი ნ ა თ ე ლ ა უ რ ი (გვ. 49), სოფელ ხალაში ტყე ნ ა თ ე ლ ქ ე დ ი (52). მეორე მხრივ, გვაქვს უ მ ზ ე უ რ ი[97].

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, ძველად თ ა ი ნ ა თ ი უფრო ვრცელ ტერიტორიას ერქვა, კერძოდ, **თინათა** ღელის სათავემდე ვრცელდებოდა და მისი სახელიც აქედან წარმოდგა: **თაინათის → თინათის** ღელე.

ისიც დასაშვებია, რადგან სუფთა და კრიალა წყაროს წყალია, მისგან არეკლილი შუქის ციალის (თინათინის) გამო მიეღო სახელი. და ბოლოს, არც ის არის გამორიცხული, იგი ადამიანის სახელს უკავშირდებოდეს.

ბ ო გ ნ ა რ ი, ნაციხურის მსგავსად, ტყიანი გორაა. როგორც ნაციხურში, აქაც გვაქვს დიდი და **პატარა ბოგნარი**. ეს გეოგრაფიული სახელი **ნარ**–ით ნაწარმოები **ბოგა** სიტყვა უნდა იყოს: **ბოგნარ**–ი, ისე როგორც ნაძვ–ნარ–ი, ქვიშ–ნარ–ი და სხვა.

ბოგა და **ბოგირ** // **ბოგილ** ფუძის შემცველი ტოპონიმები საქართველოში უამრავია. გურიაში არის ბ ო გ ა – ბუჩქნარი პატარა ოფეთში (გვ. 132), ბ ო გ ი ლ ი – სილაურთან ახლოს, ჯუმათში (103), ბ ო გ ი ლ ა – ღელე თხინვალში, გოგორეთსა (მერია) და ჭანჭათში (78, 111), ტყე – გაღმა ნიაბაურში (84), ფერდობი – ასკანაში (92), ბ ო გ ი ლ ი ს ღ ე ლ ე – ზედა ორმეთში (76), ბ ო გ ი ლ ი ს ე წ ე რ ი ვაკეა ლაითურში (82), დ ა ბ ო გ ვ ი ლ ი ტყეა ბჟოლიეთის უბან ქეციმერაში (99), ჩ ა ბ ო გ ვ ი ლ ა სა-

---

[95] იმის საჩვენებლად, რომ ერთი და იმავე ადგილის სახელი ზოგჯერ სხვადასხვაგვარად გამოითქმის, დავიმოწმებთ: თ ა მ თ ი ს წ ყ ა რ ო // თ ა ვ თ ი ს წ ყ ა რ ო // თ ა ნ თ ი ს წ ყ ა რ ო (მასალები საქართველოს გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, X–XVIII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე მ და შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე მ, თბ., 1964, გვ. 100.

[96] ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, გვ. 54.

[97] ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, მცხეთის ტოპონიმია, გვ. 67.

ძოვარი და ტყეა ლანჩხუთის ახლოს აგარაკში (143), ნა-ბოგვარა ღელის მიდამოებს ჰქვია სილაურის მეზობლად ახალსოფელში (79), ნასაბოგვარი – ტყეს ვაკიჯვრის ეწერში (89), მიწაბოგირი – ბუჩქნარს გორმაღალაში (134), ბოგანეთი – ვაკეს ნასაკირალში (81). ბოგა სოფელია ახალციხის რაიონში. ზემო იმერეთში არის ბოგირი და ბოგირები ბუჩქნარი, მინდორი, საძოვარი, სახნავი, ფერდობი, ბოგირტყე – ტყე, ბოგირმიწა – სახნავი, ბოგიროვანი – ტყე[98], ბოგირები მინდორი, საძოვარია ერწო-თიანეთში[99] და სხვა.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, „ბოგა მცირე ხიდია“, „ბოგირი – ბოგას უდიდე, მცირე ხიდი“. ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ახსნით, „ბოგა მცირე ხიდია, მიწადაურილი, ბოგირი – მოდიდო ხიდი ან საგუბარი“. გურულ და იმერულ დიალექტებში ბოგა ხიდიცაა და პირუტყვისათვის გაკეთებული ხის იატაკი, საერთოდ, ამგვარ იატაკიანი ბოსელიც. ზემო აჭარულში კი სახელდახელოდ, უბრალოდ გაკეთებულ თაროსაც ეწოდება[100].

ბოგნარში ბოგის რომელიმე სახეობა არ შეიმჩნევა, თუმცა ღელე რობა მის ზემოთ ორტოტად გამოდის და მესამე ტოტი კი გვერდით ჩაუდის.

ა. მაყაშვილის ცნობით, არსებობს ბალახის სახეობა ჩაქვის ბალახი, რომელსაც იმერულად ბოგვი ეწოდება, ხოლო მეორეს, ბერსელას – ბელესი და ბოგბალახა (გვ. 82, 17). ი. მაისურაძე იუწყება, რომ ბოგვი სოფელია თეთრიწყაროს რაიონში, ხოლო ბოგველი სახელადქცეული სადაურობის სიტყვაა, საიდანაც მივიღეთ გვარი ბოგვე-ლი-

[98] საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, გვ. 37–78.

[99] გ. ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980, გვ. 81.

[100] ქართულ კილო თქმათა სიტყვის კონა.

შვილი[101]. ისმის კითხვა: ჩვენი ბოგნარი ხომ არ წარმოდგება დასახელებული ბალახის სახელწოდებისაგან? ჩვენი აზრით, ამგვარი ვარაუდი ნაკლებ მისაღებია. ჯერ ერთი, გვაქვს ბოგნარი და არა ბოგვნარი. მეორეც, ა. მაყაშვილი იქვე მიუთითებს, რომ ჩაქვის ბალახს გურიაში ეძახიან არა ბოგვს, არამედ სხვა სახელებს: პურ-პურა, ბარბაცა, ბამბუკის ბალახი, აჭარაში – ბამბუკი, სამეგრელოში – ჩაიში მაფატია.

ერთი სიტყვით, უფრო სავარაუდოა, სილაურის ბოგნარი ბოგა სიტყვიდან წარმოდგებოდეს. აქ ძველად შეიძლება ყოფილიყო როგორც რობას ბოგები, ხიდები, ისე საქონლის სადგომი ბოგები, ბოსლები.

სილაურის ზოგიერთი ადგილის სახელი მათ მფლობელთა გვარსახელებს უნდა უკავშირდებოდეს.

ცინცაურა ფერდობია ძეგორაზე. თუ საიდან მიიღო მან ეს სახელი, არ ჩანს. გურიაში არის ტოპონიმი ცირნცაბურა//ცინცაბაღურაჲ (გვ. 109), ხოლო არც ისე შორს, ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში სათეს ადგილს ჰქვია ცინცაური[102].

ადვილი შესაძლებელია და უფრო ესაა მოსალოდნელი, სილაურის ცინცაურა ცინცაძე გვარიდან მოდიოდეს. თუმცა ეს გვარი ამ სოფელში გავრცელებული არაა და ვიცით, რომ ამჟამად იქ მცხოვრები ერთი კომლი ცინცაძის წინაპარი ძიმითიდან არის ჩამოსახლებული და იმ ადგილთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ ეს აღნიშნულ ვარაუდს ხელს არ უშლის. ამ გვარის ხალხი მეზობელ სოფლებში საკმაოდ ცხოვრობს, ჩოხატაურის რაიონში კი მათი ბუდეა და თავისუფლად დასაშვებია, რომელიმე მათ წარმომადგენელს ძველად ეს ადგილი ჰკუთვნებოდა. გვარის, ისე როგორც სახელის, ფუძე -ურ მა-

---

[101] ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, გვ. 36. აღარაფერს ვამბობთ ბოგვერაძეთა გვარზე.

[102] ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, გვ. 54.

წარმოებლის დართვით მიღებული ტოპონიმები საქართველოში უამრავია[103]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთებია აცანაში ქინქლაური, ჩიბათში – კუკულაური. ზემოთვე აღრიცხულ გურიის ტოპონიმებში ხშირად ჟღერს გურიაში გავრცელებული გვარები: გოგვაური (გოგუა, გოგუაძე), კვაჭაური (კვაჭაძე), კვერდღელაური (კვერდღელაძე), კოროშინაული (კოროშინაძე) და ა. შ. რაც გვარებზე ვთქვით, იგივე შეიძლება ადამიანის სახელებზეც გავიმეოროთ: სილაურის ცინცაურა ვინმე ცინცა სახელის მქონესაც ეკუთვნოდა.

ვფიქრობთ, მსგავსი წარმოშობისა უნდა იყოს **გოგორკული**. ასეა ჰქვია დღეს სოფლის განაპირა სათეს ადგილს სუფსის ჭალაში, რომელიც გზითაა გაყოფილი, დასავლეთი ნაწილი ჯუმათს ეკუთვნის, აღმოსავლეთი – სილაურს. ზემოთ დამოწმებულ გიორგი გურიელის მიერ ბაილეთის ეკლესიისადმი შეწირულობის განახლების წიგნში იგი მოხსენიებულია გოგორიკული სახელით[104], რაც პირვანდელი ვითარების ამსახველი უნდა იყოს. გურიაში, ლიხაურში (შეიძლება სხვაგანაც) არის გვარი გოგორიკიძე[105]. გვაქვს საკუთარი სახელი გოგორა[106], მეტსახელი გოგორი[107]. რაკი გვარია გოგორიკიძე, სავარაუდოა, იყო მოფერებითი გოგორიკა სახელიც. ამ მონაცემების მიხედვით, დასაშვებად მიგვაჩნია, სილაურისა და ჯუმათის აღნიშნული ადგილი ოდესღაც ეკუთვნოდა ვინმე გოგორიკას ან გოგორიკიძეს და აქედან მიგვეღო საძიებელი სახელი გოგორკული: გოგორიკა // გო-

---

[103] ამ სახის ტოპონიმებს ეხებიან: გ. ხორნაული, მთები და სახელები (მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმიკური მასალები და ძიებანი), გვ. 38–44; ფ. მაკალათია, ფშავის ტოპონიმიკა, გვ. 46–47 და სხვები.

[104] ქართული სამართლის ძეგლების VI წიგნში შეცდომით დაბეჭდილია გოგრიკული.

[105] სამგლოვიარო განცხადება, გაზ. „თბილისი“, 3 აპრილი, 1991.

[106] ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, გვ. 48.

[107] ალ. ღლონტი, ქართული საკუთარი სახელები.

გორიკიძე + ურ-ი → გოგორიკა-ულ-ი →გოგორიკ-ულ-ი →გ ო გ ო რ კ უ ლ ი.

ასევე ადამიანის სახელსა და გვარს უნდა უკავშირდებოდეს **გუთანაური**.

იქნებ ამ გზით აიხსნას **იანელა**-ც. იანელა პატარა ადგილია სილაურში, სადაც ახლა ჩაია გაშენებული, და რაიმე გეოგრაფიული თავისებურებით არ გამოირჩევა. სახელი თავისი ჟღერადობით მოგვაგონებს გურიაში გავრცელებულ სიტყვას მ ი წ ა ნ ე ლ ა, რაც ეწოდება ერთგვარ შავ მიწას, დამპალ, სუნიან ტალახს, რომელსაც ძველად ჩვენში საღებავად იყენებდნენ. დღეს ამ მიწას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული სახელები ჰქვია. რაჭაში კი გურულის მსგავსი ძველქართული ფორმა – მ ი წ ა ლ ე ბ ი – შემორჩენილა[108]. იგი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც არის შეტანილი. ამ ლექსიკონიდან და ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, ვიკტორ ნოზაძის ნაშრომებიდან ჩანს, რომ მ ი წ ა ლ ე ბ ი ძველი ფორმაა. მ ი წ ა ნ ე ლ ა-ში ნელ //ნილ დაბოლოება „ლები“ სიტყვის სახესხვაობა არის[109].

თუ იანელა-ში ფუძედ იან-ს მივიღებთ, მაშინ საქართველოში მის მსგავს ტოპონიმს მრავალს დავასახელებთ. სილაურთან ახლოს არის ი ა ნ ე თ ი, რომელიც ჯუმათის სასოფლო საბჭოში შედის. ამავე სახელის სოფელია სამტრედიის რაიონში. ი ა ნ ე უ ლ ი სოფელია ჩოხატაურის რაიონში. რამდენიმე ადგილს ჰქვია აჭარაში[110], ი ა ნ ა უ რ ი გორაა ზემო ჭინათში (გვ. 146).

სამტრედიის „იანეთისა“ და ჩოხატაურის „იანეულის“ შესახებ ი. სიხარულიძე წერს: „ი ა ნ ე თ ი ივანეთის სახე-

---

[108] ლ. მ ო ლ ო დ ი ნ ი, ღებვის ხალხური წესები გურიაში, კრებ.: მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1980, გვ. 118-124.

[109] იქვე, გვ. 119.

[110] ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, გვ. 35, 57.

ცვლილი ფორმაა (...). ასეთივე წარმოშობისაა ი ა ნ ე უ ლ ი-ც (ივანეული)“[111].

არსებითად ამგვარსავე განმარტებას იძლევა ზ. ჭუმბურიძე: „ი ე ნ ა შ ი სოფელია სვანეთში. ამ სოფელში დგას წმინდა იონას სახელობის ეკლესია. აქედან მომდინარეობს მისი სახელი (იონასი)“[112].

ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვიფიქროთ ი ა ნ ე ლ ა მოდის ი ვ ა ნ ე ლ ა სიტყვიდან. ჯერ იყო: ი ვ ა ნ ე ლ ა ს ა დ გ ი ლ ი, ი ვ ა ნ ე ლ ა ს ნ ა ს ა ხ ლ ა რ ი, ბოლოს: ივანელა →იანელა. **-ელა** სუფიქსით ნაწარმოები კნინობითი სახელები კი გურიაში ძლიერ გავრცელებულია. გვაქვს: გოგიელა, მარიკელა, ზურიკელა და მრავალი სხვა[113].

იანელა კნინობითი **-ელა**-ს დართვით შეიძლებოდა მიგვეღო სხვა სახელებისაგან, როგორიცაა, მაგალითად, ი ა ნ ი, ი ა ნ ო[114].

თუ იმ ფონეტიკური კანონზომიერებიდან ამოვალთ (რაც დღეს აჭარულ დიალექტშია გავრცელებული), რომ **-ეულ** სუფიქსი **-ევლ**-ად იცვლება[115], მაშინ მოსალოდნელია ი ა ნ ე ლ ა ივ-ან-ეულ-ა- საგან წარმოდგებოდეს: ივან-ეულ-ა →იან-ევლ-ა →იანელა.

---

[111] საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, გვ. 114.

[112] დედაენა ქართული, გვ. 452.

[113] ზოგჯერ აღმოსავლეთ საქართველოს მეტყველებაში **-ის** და **-ეთ** დაბოლოებიან სახელებს **-ელ** სუფიქსი პირდაპირ ფუძეზე დაერთვის: თბილისი – თბილელი, მანგლისი – მანგლელი, დუშეთი – დუშელი, კახეთი – კახელი (ა. შ ა ნ ი ძ ე, თხზულებანი თორმეტ ტომად, III, გვ. 127. ვრცლად: ლ. ლ ე ჟ ა ვ ა, **-ეთ** და **-ის** ტოპონიმთაგან სადაურობის სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, კრებ.: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, II, თბ., 1979, გვ. 175–202). ამ გაგებით ი ა ნ ე ლ ა იქნებოდა ი ა ნ ე თ ე ლ ი, მაგრამ დასავლეთ საქართველოს ენისთვის ეს დამახასიათებელი არ არის და ამგვარი გააზრებაც მოსალოდნელი არაა.

[114] ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ქართული საკუთარი სახელები, გვ. 133, 227.

[115] შ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, ბათუმი, 1961, გვ. 107–108.

იგივე უნდა ვთქვათ **ხანიაურა**-ს შესახებაც. ხანიაურა მერეში, სუფსის ჭალაში, ნაისხარის გვერდით არის. მისი სახელი ერთმა სილაურელმა გლეხკაცმა ასე აგვიხსნა: ეს ადგილი ნაისხართან შედარებით უფრო ჭონჭყოიანია (სველია), ხ ა ნ კარგ მოსავალს იძლევა, ხ ა ნ ცუდს და, ალბათ, ამის გამო თუ შეარქვეს ეს სახელიო. რა თქმა უნდა, ეს ახსნა სარწმუნო არაა.

ხ ა ნ ი არის სოფელი ბაღდათის რაიონში. იქვეა ხ ა ნ ი ს წ ყ ა ლ ი. გვაქვს საკუთარი სახელი ხ ა ნ ა ნ ა, გვარები — ხ ა ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ხ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ი. ამიტომ დასაშვებად მიგვაჩნია, ხ ა ნ ი ა უ რ ა ამ სახელიდან მომდინარედ მივიჩნიოთ — ხ ა ნ ი ს თუ ხ ა ნ ა ნ ა ს კუთვნილი ადგილი.

ნაისხარი სუფსის ჭალაში სათესი ადგილია გოგორკულსა და სათიბეს შორის. თითქოს ის **ნა–არ** სუფიქსებით ნაწარმოები სახელი უნდა იყოს. მაგრამ, თუ რას ნიშნავს **ისხ** ფუძე, ჩვენთვის უცნობია. ა. მაყაშვილის *„ბოტანიკური ლექსიკონიდან“* ვგებულობთ, რომ აჭარაში ერთგვარ ბალახს, თავშავას, ი ს ხ ა ნ ი რქმევია. აჭარა ჩემი სოფლიდან შორს არ არის და იბადება კითხვა: ამ ბალახის სახელისაგან ხომ არ წარმოდგება ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი: ნა–ისხან–არ–ი → ნა–ისხნ–არ–ი → ნაისხ–არ–ი? ვფიქრობთ, გამორიცხული არ არის.

მეორე მხრივ, გვაქვს ძველქართული სიტყვა ი ს ხ ა რ ი, რომელიც ისეთ წვიმას ჰქვია, უცებ, მოულოდნელად რომ მოვა და მალე გადაიღებს. სულხან–საბას სიტყვით: „ი ს ხ ა რ ი – ჩქარი წვიმა, ადრე მომდარებელი“. ა. შანიძის დაკვირვებით, ამ სიტყვიდან არის მიღებული „ქარიშხალი“: ქარ + ისხარი → ქარიშხალი (შდრ.: **ქარ + ბუქი**. დღეს „ბუქი“ სვანურად „ქარს“ ნიშნავს)[116].

ენობრივი თვალსაზრისით, **ნაისხარის** მიღება „ისხარ“-იდან შეუძლებელი არ უნდა იყოს. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა **–ნა** სუფიქსი სახელებს დამოუკიდებლივ აწარმოებს: ნა–ქარ–ი, ნა–ბუქ–ი, ნა–გულ–ი (ქიზიყურად — საჩეჩლის კბილებში დარჩენილი უვარგისი მატყლი ან ხვნის დროს კვალსა და კვალს შუა დარჩენილი მოუხნავი მიწა,

[116] ა. შ ა ნ ი ძ ე, თხზულებანი თორმეტ ტომად, III, გვ. 157–158.

ხარვეზი)[117], ნა-გულ-ა (ნაქუჩი), ნა-ძირ-ი (აბრეშუმის ჭიის ცურცლი და ფურცლის ნაკორტნი ღეროები, ლასტებზე დარჩენილი) (იქვე) და სხვა[118]. მაგრამ ერთია ენობრივ-გრამატიკული შესაძლებლობა და მეორე — შინაარსობრივ-გეოგრაფიული შესაბამისობა. ამ პატარა ფართობზე რატომ უნდა სცოდნოდა განსხვავებული წვიმა ისხარი?! ან გაუგებარია, ვთქვათ, მსგავსად ნაღვარევისა (სოფლებია დუშეთისა და შუახევის რაიონებში) და ნაწრეტისა (სოფელია გორის რაიონში), ამ ადგილას წვიმას რა თავისებური კვალი შეიძლებოდა დაეტოვებინა?!

ერთი სიტყვით, ნაისხარი ტოპონიმის უცილობელი ახსნა ჩვენ არ მოგვეპოვება და ის შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

ჩიჩიგურა ან **ჩიგურა** ფერდობია ძეგორას ტერიტორიაზე. ალბათ, ეს ადგილი იგულისხმება ი. სიხარულიძის აღწერილობაში, როცა ის ჩიქოქურას წერს. **ჩიგურა**, შეიძლება გვეფიქრა, არის ჩი(რ)გ(ვ)ურა, მაგრამ ის უფრო ჩიჩიგურას შემოკლებული სახე ჩანს. ამ უკანასკნელის ახსნისათვის კი რაიმე მყარი მონაცემი არ გაგვაჩნია (ადვილი შესაძლებელია, გვარსახელის ამსახველი იყოს).

ზენდგური ძეგორას ტერიტორიაზეა, მომაღლო ადგილია და ზემდგომს უნდა ნიშნავდეს, თუმცა ის ძეგორის სხვა ადგილებისაგან სიმაღლით არ გამოირჩევა[119]. შდრ.: ზენდიდი — გორაა საცავაში (გვ. 106).

ხერნალიც ძეგორაზეა და კრებითობის გამომხატველი ნარ // ნალ სუფიქსით ნაწარმოები სიტყვა უნდა იყოს, როგორიცაა

---

[117] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, თბ., 1958.

[118] ფ. მაკალათია, ფშავის ტოპონიმიკა, კრებ.: ტოპონიმიკა, I, თბ., 1976, გვ. 31.

[119] სილაურში ძველმა ხალხმა კარგ ღვინოზე იცოდა თქმა ზენდგური ღვინოაო. რას ნიშნავდა ეს გამოთქმა? უმაღლესი ხარისხის ღვინოაო თუ ზენდგურში გაშენებულმა ვაზმა კარგი ღვინო იცოდა, ან კიდევ ზენდგური ვაზის ჯიში იყო და საძიებელმა ადგილმა ეს სახელი აქედან მიიღო? ვფიქრობთ, უფრო პირველია.

ნაძვ-ნარ-ი, ჯაგ-ნარ-ი, ბარდ-ნალ-ი და სხვა. უფრო რომ დავაზუსტოთ, ყურადღებას იპყრობს შემდეგი მონაცემები: ვუკოლ ბერიძე თავის ლექსიკონში „*სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა*“ (პეტერბურგი, 1912) გამოყოფს სიტყვას ხ ე ლ ა რ ი და განმარტავს: „შხოლარი, ხის სწორი და გრძელი შტოები“. შ ხ ო ლ ი ქართლურ დიალექტში არის: „შოლტი, ჯოხი, სახრე“[120], „გრძელი წკეპლა“[121]. შ ხ ო ლ ი, ჩანს, იგივე გურულ-აჭარულ-იმერული ჩ ქ ო ლ ა ა, რაც ნიშნავს: „ნორჩი მცენარე, ახლად აზრდილი მურუანი“, ხოლო ჩ ქ ო ლ ა რ ი – ახალგაზრდა მურყნის ჭალა, გადასარგავი ნორჩი მცენარე, ნერგი...“[122], საერთოდ, ახალგაზრდა, მოზარდი. იმერულში ჩ ქ ო ლ ა ითქმის როგორც ადამიანზე[123], ისე მოზარდი საქონლის ხორცზე[124].

თ უ ხ ე ლ ა რ ი და ხ ე რ ნ ა ლ ი ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია, ვლებულობთ: სილაურის **ხერნალი** *ახალგაზრდა, ტანაყრილ ტყეს*, კერძოდ, *მურყნის*, ანუ, როგორც გურიაში ეძახიან, თ ხ მ ე ლ ი ს, თ ხ ე მ ლ ი ს ნორჩ ხეებიან ადგილს ნიშნავს.

დასასრულს, თვით ძ ე გ ო რ ა-ს შესახებ. იგი სილაურის დასახლებული უბანი, გურიის მთების ერთი მონაკვეთი, მოგრძო ქედია, ტყიანი და ციტრუსოვანი ადგილი. ეს სახელი იხსენიება XVI-XVII საუკუნეებში ნუსხურით გადაწერილ კურთხევანში, საიდანაც ირკვევა, რომ ძეგორაზე იმ დროს წმინდა გიორგის ეკლესია ყოფილა. ვედრებაში, რომელსაც დაზიანების გამო ბოლო ნაწილი აკლია, ჩამოთვლილია: „წ(მიდა)ო გ(იორგ)ი ჩხარისაო, წ-ო გ-ი სადგრისაო, წ-ო (გ-ი) ილორისაო, წ-ო გ-ი სუჯუნისაო, წ-ო გ-ი ნიგოზდიდისაო, წ-ო გ-ი ლანჩხუთისაო,

---

[120] ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

[121] ქართული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბ ე რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი, მ. მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ნ ო ზ ა ძ ე, თბ., 1981.

[122] ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

[123] ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული ლექსიკონი, გვ. VII, 458.

[124] პ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.

წ-ო გ-ი ჭინათისაო, წ-ო გ-ი გორისაო, წ-ო გ-ი მთავარმოწამისაო, წ-ო გ-ი **ძეგორისაო**, წ-ო გ-ი გულიანისაო" და ა. შ. გურიის სხვა სოფლებიდან კიდევ დასახელებულია: წითელმთა, გამოჩინებული, ბაილეთი, კახური, გოგორეთი, კონჭკათი, ამაღლება, ჯიხანჯური, შუშანეთი...[125].

ამ ტოპონიმზე საუბრისას ადგილობრივმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ასეთი მოსაზრება გამოთქვა: ძეგორა ძ ი რ გ ო რ ა-ს უნდა ნიშნავდესო.

ძ ი რ გ ო რ ა იმდენად ჩვეულებრივი და ნაცნობი სიტყვაა, ძნელი დასაჯერებელია, უცნობი შინაარსის ძ ე გ ო რ ა დ გადაკეთებულიყო. თანაც, ზემორე დამოწმებული კურთხევანი გვიჩვენებს, ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი ამ სამი საუკუნის წინათაც არსებულა.

ძეგორა-ში თითქოს გამოიყოფა სიტყვა გ ო რ ა, ფაქტობრივად როგორიცაა იგი. უფრო მეტიც: რადგან გრძელი გორაა, საფიქრებელია, ხომ არ მომდინარეობს ის გ რ ძ ე ლ გ ო რ ა სიტყვიდან? (შდრ.: შ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, აჭარული დიალექტი, ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა, ბათუმი, 1975, გვ. 106.) ქართულში თავკიდური **გ** ბგერა **ძ** აფრიკატის წინ შეიძლება დაიკარგოს.

გარდა ამისა, თუ ამ ტოპონიმის შემადგენელი ნაწილი გ ო რ ა სიტყვაა და მას მოსაზღვრე სოფლების სახელებთან კავშირში განვიხილავთ, ეს სახელი ერთგვარად შინაარსიანი ხდება.

როგორც ვთქვით, სილაურის დასავლეთით და ჩრდილოეთით ეკვრის სოფლები ჯ უ მ ა თ ი და მ ა მ ა თ ი. ეს სამი სოფელი ერთმანეთს უკავშირდება სწორედ იმ ადგილას, იმ ხაზზე, სადაც ძეგორა მდებარეობს. **ჯუმათი, მამათი და ძეგორა** ერთმანეთის უშუალო შესაყარი ადგილია.

---

[125] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ნუსხა: H 3077, გვ. 41 v–42r. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), VI, გვ. 344.

ჯ უ მ ა თ ი ს ეტიმოლოგიაზე სხვადასხვანაირი მოსაზრებაა გამოთქმული. მოსე ჯანაშვილისა და ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, შესაძლებელია, იგი უკავშირდებოდეს წარმართული ღვთაების **ჯუმა // ჯიმა** სახელს, რომლისთვისაც საქართველოში განკუთვნილი იყო ოთხშაბათი, მეგრულად ჯ უ მ ა შ ხ ა, ლაზურად ჯ უ მ ა ჩ ხ ა, სვანურად ჯ უ მ ა შ-ი.

მ. ჯანაშვილი წერს: „ჯუმა – ს(ვანურ)ი ჯიმა. მის(ი) სწორი არის ერმი, ჰერმესი (მერკვირი), მოციქული ცისა, ღრუბელთა (წვიმის) მფარველი, საბალახოებისა და მწყემსების მფარველი, თავიდან მოხერხებულად ამცილებელი უბედურებისა, მწე იმათი, ვისაც შეუძლიან მოხერხებულად ილაპარაკოს, მართალი დამალოს, მიეფეროს, გულჩათხრობილი იყოს. იგი იყო აგრეთვე მფარველი ვაჭრობის, რიტორობის, მოციქულობის. – ეს ჯუმა-ჯიმა უნდა იყოს ის მნათობი, რომელიც დილით ყველაზე ადრე იწყებს ციმციმს, ჯიმჯიმს, ჯვირვას (საბათი: «ჯიმჯიმელი არის ცა მეხუთე»)“[126].

ამ სავარაუდო **ჯუმა //ჯიმა** ანუ ჰერმესი //მერკური მნათობის კულტის კავშირი ტოპონიმ ჯ უ მ ა თ თ ა ნ ასე აქვს ახსნილი: „ღმერთებს, როგორც დღეს ფშავ-ხევსურეთში ხატებს, უნდა ჰქონოდათ თავ-თავიანთი მამულები, სახატო მიწები. მათგან, ჩვენის ფიქრით, დაუნათლა სახელები გაჩიანს (გაცი= გაჩი=გაჩიანი), ზედაზენს, არმაზთას, ცაიშს, ჯ უ მ ა თ ს, თხოთს, უფლის-ციხეს და სხვ.“ (გვ. 89).

ადრე მ. ჯანაშვილი გაკვრით, მაგრამ საგანგებოდ შენიშნავდა: „სახელები ჯ უ მ ა თ ი, ჯ უ მ ი ს წ უ ა ლ ი (სამეგრ.), ჯ ი მ ი თ ი ერთი და იმავე სიტყვის ძირისა გვგონია და აგრეთვე სიტყვები ჯ უ მ ა შ ხ ა (მეგრ. ოთხშაბათი) – ჯ ი მ ა შ (სვან. ოთხშაბათი). რადგან ძველს ქართულ ენასა და დღესაც მეგრულსა და სვანურში კვირის დღეების სახელებს დაუცავთ სახელები ძველქართულ ღმერთებისა (კვირა – მზისა, ორშაბათი – მთვარისა და სხვ.), ამიტომ ჯ უ მ ა=ჯ ი მ ა ც უნდა ღმერთის სახელი იყოს,

---

[126] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, I, უძველესი დროითგან 985 წლ. ქრ. შ., ტფილისი, 1906, გვ. 87–88.

ხოლო ჯუმათ-ი ის ადგილი, სადაც იყო ტაძარი ჯუმასი (შეადარე: ფერსათ-ი, მამა-თი, ქუთა-თი, მუხა-თი და სხვ.)"[127].

ი. ჯავახიშვილი კი აღნიშნავს: „რ. ერისთავის სიტყვით, ხევსურები თაყვანსა სცემდნენ ერთ ღვთაებას, ანუ «ხატს», რომელსაც «ჯიმაღის ჯუარი» ეწოდება. რა ღვთაება უნდა იყოს «ჯიმაღი», ამაზე არაფერს ამბობს განსვენებული ჰოეტი.

შესაძლებელია, «ჯიმაღი» ეთანასწორებოდეს იმ ღვთაების სახელს, რომლისთვისაც საქართველოში განკუთვნილი ყოფილა ოთხშაბათი: ოთხშაბათს მეგრულად «ჯუმაშხა», ჭანურად «ჯუმაჩხა», ხოლო სვანურად «ჯუმაშ»-ი ჰქვია. ს. ორბელიანის მოწმობის თანახმად კი ოთხშაბათი ქართულად «ერმის» დღედ ითვლება, ესე იგი ჰერმესისა, ან მერკურის ღვთაებისათვის ყოფილა დაწესებული. საეურადღებოა, რომ ელამიტურში «შუმუდუ» (იქნებ «ჯუმუდუ», ანუ «ჭუმუდუ»), ხოლო ვანურ ლურსმული წარწერების ენაში «შიმიშიგ» (იქნებ «ჯიმიღიშ») სწორედ მერკურსა ჰნიშნავს. ვარური «შიმიღიში», ან იქნებ «ჯიმიღი», ძალიან უახლოვდება ხევსურულ «ჯიმაღი»-ს და სვანურ «ჯუმაშს», აგრეთვე მეგრულ-ჭანურ «ჯუმა»-საც. ამიტომ «ჯიმაღის» ღვთაება და «ჯუმა», ვგონებ, უნდა ჰერმეს-მერკურის ღვთაებად აღვიაროთ"[128].

ამ თვალსაზრისს იმეორებს ენვერ გოგუაძე[129].

იმოწმებს რა ამ შეხედულებებს, ზურაბ ჭუმბურიძე დასძენს: „გასათვალისწინებელია კიდევ სხვაგვარი შესაძლებლობაც: ჯუმა არაბულად ნიშნავს ჰარასკევს, რომელიც მუსულმანებისთვის ისეთივე სადღესასწაულო დღე იყო, როგორც ებრაელებისთვის შაბათი და ქრისტიანებისთვის კვირა. ამ დღეს იმართებოდა ბაზრობა.

---

[127] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, რედაქცია მ. გ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა, ტფ., 1904, გვ. 319–320.

[128] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი თორმეტ ტომად, I, თბ., 1979, გვ. 120.

[129] ე. გ ო გ უ ა ძ ე, ისევ სახელწოდება „ჯუმათის" წარმომავლობის გარშემო, გაზ. „ლენინის დროშა", 1 მარტი, 1983, გვ. 4.

შესაძლოა, ჯუმათი, ჯუმითი ან უბრალოდ ჯუმი დარქმეოდა ბაზრობით განთქმულ ადგილს"[130].

„რომელი ვარაუდია ამათგან სწორი, – კითხვას სვამს ავტორი და თავად უპასუხებს, – ძნელი სათქმელია. რასაკვირველია, უფრო ბუნებრივი და სარწმუნო იქნებოდა, რომ ქართული ტოპონიმების ახსნა ქართულ ნიადაგშივე გვეპოვა და ქართული წარმართული ღვთაების სახელთან ან «ძმის» აღმნიშვნელ სიტყვასთან დაგვეკავშირებინა, მაგრამ მსგავსი ქღერადობის ტოპონიმი – ჯიმითი ჩვენ სოფლის სახელად გვხვდება კახეთშიც, გურჯანის რაიონში, სადაც კოლხურის რაიმე გავლენა გამორიცხულია. მაშასადამე, ეს ან უველა ისინი არაბულ ჯუმა-ს უკავშირდება. ჩვენ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა უფრო დასაშვებად მიგვაჩნია" (იქვე, გვ. 541).

სხვა მოსაზრებით, ჯუმათი დაკავშირებულია ლაზურ ჯუმა (მეგრულად ჯიმა, ქართულად ძმა) სიტყვასთან და ახსნილია როგორც ძმათი, ძმეთი. ამგვარივე წარმომავლობისად არის მიჩნეული მეორე მეზობელი სოფლის სახელი – ძიმითი[131].

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს იური სიხარულიძე. მისი სიტყვებია: „«ჯუმათი» ზანური ენის ჭანური (ლაზური) კილოდან მომდინარე სოციალური ტერმინია და ქართულად «საძმოს» ნიშნავს. «საძმო» ბასილი ზარზმელის თხზულებაშიც («ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა») იხსენიება". სოფლის ეს სახელი ი. სიხარულიძეს შორეულ წარსულში შექმნილად ესახება: „«ჯუმათი» გვაროვნული ხანის გადმონაშთია. თავისი განვითარების უკანასკნელ საფეხურზე (ე. წ. «სამხედრო დემოკრატია») დასავლეთ საქართველოს ბარში (კერძოდ, მერმინდელ გურიაში) ეს საზოგადოება მვ. წ. II–I ათასწლეულთა მიჯნაზე უნდა შემდგარიყო. ამაზე უგვიანეს არ შეიძლებოდა წარმოქმნილიყო. რადგანაც იგი ჭანთა ენაა,

---

[130] დედაენა ქართული, გვ. 540–541.

[131] И. В. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слои в гурийском, с. 68-70.

ამდენად ამ ტერიტორიის მკვიდრადაც ეს ზანური (ზოგიერთი «კოლხურს» ამჯობინებს) მოდგმის ტომი იგულისხმება (...). «ჯუმათი»-ს რღვევა ადრეკლასობრივი ხანიდან იწყება და დიდხანს გრძელდება ...“[132].

თუ მეტ ანგარიშს გავუწევთ იმ გარემოებას, რომ **ჯუმათის** უშუალოდ მოსაზღვრე სოფელია მ ა მ ა თ ი, სადაც მ ა მ ა სიტყვა პირდაპირ იკვეთება, ჭანეთში კი არის ადგილები მ ა მ ა კ ი ვ ა თ ი, პ ა პ ა თ ი, პ ა პ ი ლ ა თ ი (ლაზურად პ ა პ უ ლ ი, პ ა პ უ ბაბუას ნიშნავს, მეგრულად პ ა პ უ — დიდ პაპას, ბაბუის მამას), მაშინ თვალსაზრისი ჯ უ მ ა თ ი ს ლაზურ ჯ უ მ ა (= ძმა) სიტყვისაგან მომდინარეობის შესახებ შეიძლებოდა უფრო მყარ დებულებად მიგვეჩნია. ხოლო, თუ ამ უკანასკნელს ასეთად მივიჩნევთ, ვღებულობთ: ერთმანეთის გვერდიგვერდ თავმოყრილია მოსაზღვრე შინაარსის ტოპონიმები — მ ა მ ა თ ი, ჯ უ მ ა თ ი, ძ ე გ ო რ ა. ვინაიდან ჯუმათისა და მამათის ეს ადგილები ბევრად უფრო მაღალი მთებისაგან შედგება, უნებურად დგება საკითხი: იქნებ, ეს გეოგრაფიული და სიტყვიერი კავშირი შემთხვევითი არ იყოს და ამ ტოპონიმებში იკითხებოდეს **მამა, ძმა** და *ძე*. მ ა მ ა თ ი — *მამა მთა* ან *მამის //მამების* ადგილი, ჯ უ მ ა თ ი — ჯუმა, ანუ *ძმა, მთა* ან *ძმის // ძმების* ადგილი, ძ ე გ ო რ ა კი — *ძე, შვილი, პატარა მთა* ან *ძის, შვილის გორა*?

„მამათი“, ისე როგორც „ჯუმათი“ და „ძიმითი“, ერთად, ერთნაირი წარმომავლობის თეოფორულ სახელად არის განხილული ამბროსი შევარდნაძის ზემოთ დასახელებულ წიგნში — *„მამათის სკოლის ისტორია“*. აქ ვკითხულობთ: „ხალხური გად-

---

[132] იური ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, საიდან წარმოიშვა სახელი **ჯუმათი**, გაზ. „ლენინის დროშა“ (ოზურგეთი, მაშინდელი მახარაძე), 1982, 9 დეკემბერი, გვ. 4.

[133] Н. Я. М а р р, Из поедки в Турецкий Лазистан (Впечатления и наблюдения), Известия Императорской Академии Наук, VI серия, 1 мая, С.-Петербург, 1910, N 8, с, 610; ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ჭანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრაფიის მასალები, I, ბათუმი, 1977, გვ. 44, 76-77; წიგნი II, ბათუმი, 1979, გვ. 5, 7-8, 11.

მოცემის მიხედვით, ძველად, თურმე, ახლანდელი მამათის ცენტრთან მდებარე მაღლობზე, «თაინათზე», დიდ ტყეში ცხოვრობდნენ (თავს იფარავდნენ გურიაში მოთარეშე მაჰმადიანებისაგან) ქრისტიანი ბერები, რომლებსაც ეძახდნენ «მამებს», ხოლო ახლანდელი ძიმითის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ «ძმანი» მათნი. აქედან წარმომდგარა სოფლების სახელები «მამათი», «ძიმითი». ძნელი არაა აქაური ერთმანეთზე მიჯრილი სოფლების სახელთა გენეზისის გარკვევა. ჯუმათი («ჯუმა» იგივეა, რაც ძმა), მამათი და ძიმითი. (...) შემდეგ, ენის განვითარების შესაბამისად, ეს სახელწოდებები დახვეწილა და სოფლის სამივე ნაწილს მიუღია თანამედროვე ფორმის სახელი: მამათი (მამების საცხოვრებელი ადგილი), ძიმითი («ძმანი მათნი»)...“ (გვ. 6).

„ძეგორის“ შესახებ ზემორე გამოთქმულ ვარაუდებს, ერთსა და მეორესაც, ეწინააღმდეგება შემდეგი ფაქტი: ძ ე გ ო რ ა ტოპონიმი არის აგრეთვე ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგოითში და მას სულ სხვა გეოგრაფიული სახე აქვს. ი. სიხარულიძე მის შესახებ გვაუწყებს: „ძეგორა (გორა, ღელე)“ – გვ. 141. სინამდვილეში ნიგოითის ძეგორა ვაკე ადგილია მდინარე ფიჩორის პირას. ნაწილი საძოვარია, ნაწილი – პატარა ტყე და ბუჩქნარი. თუმცა იქაურები ამბობენ, *ძ ე გ ო რ ა ზ ე მივდივარ, ძ ე გ ო რ ზ ე ბჟოლიზა* (თუთისთვის) *ვიყავიო* და ა. შ. მაგრამ, ვიმეორებთ: მიმდებარე ტერიტორიისაგან იგი სიმაღლით არ გამოირჩევა. თუ ამ ძ ე გ ო რ ი ს სახელი სილაურის ძეგორისაგან არ მომდინარეობს (ამის დამადასტურებლად „ძეგორაზე“ ფორმის ხმარება საკმარისი ვერ იქნება, სხვა, ანგარიშგასაწევი კვალი კი არა ჩანს), მაშინ იმ ვარაუდს, რომ მისი შემადგენელი ნაწილი შეიძლება გ ო რ ა სიტყვა იყოს „გორას“, „ბორცვის“ მნიშვნელობით, საფუძველი ეცლება.

ამის შემდეგ ჩვენ წინაშე დგება საკითხი: საძიებელი ტოპონიმი ხომ არ უკავშირდება **ძეგვ** სიტყვას[134] (ვთქვათ: ძეგვ-ორ-ი

---

[134] მცხეთის რაიონის ძ ე გ ვ ი ძველ წერილობით წყაროებში მოხსენიებულია ფორმებით: ძ ე გ ვ ი, ძ ე გ უ, ძ ე გ უ ი (მასალები საქართველოს გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, გვ. 256.

→ ძეგვ-ორ ა → ძეგორა. შდრ.; ტბა — ტბ-ორ-ი). როგორც მიხეილ ალავიძე აღნიშნავს[135] და ჩვენში მიღებულია, **ძ ე გ ვ ი** ლეჩხუმურად გაუვალ, ეკლიან, ძეძვს ჰქვია[136]. კორნელი დანელიას დასკვნით, **ჯაგი** (**ჯაგვი**) — „ეს ფუძე კოლხური შესატყვისი უნდა იყოს ქართ(ული) **ძეგვ-ისა**“[137].

მეორე მხრივ, გ. ელიავას ცნობით, სენაკის რაიონის სოფელ ფოცხოში გვაქვს ადგილი **ჯ ე გ ო ლ ა** — „მაღალი გორაკი ჩირგვნარით და დაბალი ბუჩქებით დაფარული“[138]. მისივე ცნობით, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში ორ ადგილას არის **ჯ ე გ ო რ ე**[139]. სპეციალურ ლიტერატურაში კი აღნიშნულია, რომ ქართულ **ძ**-ბგერას მეგრულში **ჯ** შეესაბამება: **ძმა — ჯიმა, ძელი — ჯა**[140] და სხვა[141].

ამ მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ დასახელებული ორივე ძ ე გ ო რ ა და მეგრული ჯ ე გ ო ლ ა//ჯ ე გ ო რ ე ფონეტიკურად და შინაარსობრივად მსგავსი სიტყვებია. თუ ეს მოსაზრება სწორია, გამოდის ძ ე გ ო რ ა ეკლიან ბ უ ჩ ქ ნ ა რ, ჩ ი რ გ ვ ნ ა რ, ძ ე ძ ვ ი ა ნ ადგილს ნიშნავს.

ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ, იოსებ ყიფშიძის განმარტებით, მეგრულის **ჯ ე გ ე** ნიშნავს წმინდა გიორგის,

---

[135] მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ლექსიკონი, თბ., 1938.

[136] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII; ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

[137] კ. დ ა ნ ე ლ ი ა, მეგრულ-ჭანური ლექსიკა ს.ს ორბელიანის ლექსიკონში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 245, ენათმეცნიერება, 8, გვ. 86.

[138] სენაკის რაიონის ტოპონიმია, გვ. 117.

[139] აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, გვ. 53. სამწუხაროდ, ავტორი ამ ადგილის გეოგრაფიულ მონაცემებზე არაფერს გვეუბნება.

[140] ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს., I, გვ. 237; ჰ. ფ ე ნ რ ი ხ ი, ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990, გვ. 17, 427-437.

[141] დასახელებული წიგნი, გვ. 412.

საერთოდ, წმინდა ხატს, ეკლესიას[142]. როგორც აღვნიშნეთ, ძველად ძეგორაზე წმინდა გიორგის სალოცავი ყოფილა. უნებლიეთ გვებადება კითხვა: ამ ჯ ე გ ე სიტყვიდან ხომ არ იღებს სათავეს ჩვენი ძ ე გ ო რ ა?

სად მდებარეობდა ბაილეთის ეკლესია?[1]

ცნობილია, რომ ბაილეთის ეკლესია, რომელიც აიგო 1609 წელს, მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლი გახლდათ. მან მრავალი პირველხარისხოვანი ცნობა შემოგვინახა გურიის, აგრეთვე მის მთავართა, გურიელთა, შესახებ.

დასმულ კითხვაზე ბუნებრივი პასუხი იქნება: — ბაილეთში, მაგრამ საკითხავია: რომელ ბაილეთში, თანამედროვე ბაილეთში?

დღევანდელი ბაილეთი, როგორც ქართული ენციკლოპედიები გვამცნევენ, სოფელია გურიაში, „ოზურგეთის რაიონში, ნასაკირალის სერის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ს უ ფ ს ი ს მ ა რ ც ხ ე ნ ა ნ ა ვ ი რ ა ს, ოზურგეთ-ლანჩხუთის საავტომობილო გზაზე, ოზურგეთიდან 9 კილომეტრზე“[2]. მე ეს და სხვა წყაროები არ მჭირდება, რადგან მეზობელი სოფლიდან, სილაურიდან, ვარ და ვიცი, ადიდებული სუფსა რომ მიწას წაიღებს და კალაპოტს ბაილეთის მხარეს გადაიტანს, სილაურის მხარეს დარჩენილი ბაილეთის ის ჩამოჭრილი მცირე ზოლიც კი უკვე ბაილეთს აღარ ეკუთვნის და სილაურისად ითვლება.

ამავე ენციკლოპედიებში აღნიშნულია: „ბაილეთში შ ე მ ო რ ჩ ე ნ ი ლ ი ა შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები, აგ-

---

[142] ვრცლად ამ საკითხზე იხ.: სვანური კულტის ტერმინი ჯგვრაგ, „მაცნე“, ელს, № 2, 1973, გვ. 108–118. ა. შ ა ნ ი ძ ე, თხზულებანი თორმეტ ტომად, II, 1981, გვ. 490.

[1] იბეჭდება პირველად.

[2] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 2, თბ., 1977, გვ. 156; საქართველო, ენციკლოპედია, 1, თბ., 1997, გვ. 336–337.

ურითა და ნატეხი ქვით ნაგები ეკლესია (1609), რომელსაც XIX საუკუნეში თლილი ქვით ამოუვანილი ახალი გუმბათი დაადგეს და მოხატეს (1827). მხატვრობა შეიცავს გურიელთა გვარის წარმომადგენელთა ჰორტრეტებს". ენციკლოპედია „საქართველოში" ამ ეკლესიის პატარა სურათიცაა დაბეჭდილი.

ამის წამკითხველი, ცხადია, იფიქრებს, ბაილეთის ეკლესია მდებარეობდა და ახლაც დგას სუფსის მარცხენა მხარეს.

ყველა თანამედროვე ბეჭდურ ნაშრომში, რომელსაც მე ვიცნობ, იგივეა ნათქვამი. ნიშანდობლივია, რომ ზუსტად, სიტყვასიტყვით ამასვე იმეორებს „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი": „ბაილეთი – სოფელი ოზურგეთის რაიონში, მდ. სუფსის მარცხენა მხარეს, ოზურგეთიდან 9 კმ. სოფელში შემორჩენილია 1609 წელს აგებული ეკლესია, რომელსაც 1827 წ. გუმბათი დაადგეს და მოხატეს. მხატვრობა შეიცავს გურიელთა გვარის წარმომადგენელთა ჰორტრეტებს"[3].

სინამდვილეში დღევანდელ ბაილეთში ასეთი და, საერთოდ, ძველი ეკლესია არ არის და არც ოდესმე არსებულა.

ბაილეთიდან თითქმის ერთი კილომეტრის დაშორებით, დღევანდელი ჯუმათის ტერიტორიაზე, ჩემი სოფლის, სილაურის, საზღვრიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით. მისგან ჩრდილოეთით, მოპირდაპირე მხარეს, ასიოდე მეტრში, სერზე, გაშენებული იყო გურიელის სასახლე. ეს ადგილი დღეს სილაურს ეკუთვნის და მას „სასახლეს" ეძახიან. შემორჩენილია სუროთი და ბარდ-ეკლით შემოსილი სასახლის ნარჩენები, ბოძები, ცო-ტა ზემოთ – გალავნის ნანგრევები. ყველაფრიდან ჩანს, ძველად ბაილეთი სუფსის მარჯვენა ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა.

ბაილეთის ტერიტორია რომ სუფსის მარჯვენა მხარესაც გრძელდებოდა და ბაილეთის ეკლესიაც აქვე, მდინარე

---

[3] ავტორ-შემდგენელნი: ენრიკო გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი), მაია მამაცაშვილი, ანა ღამბაშიძე, თბ., 2007, გვ. 125.

სუფსის მარჯვენა მხარეს, ჭალაში, ანუ, როგორც აქ უწოდებენ, მერეში, მდებარეობდა, ამას, ვფიქრობ, ალი-ფაშაზე შექმნილი ხალხური სასიმღერო ლექსიც ადასტურებს:

„ალი-ფაშამ გვიღალატა, წაგვიყვანა კვირიკეთში,
იმან ფულები აიღო, ჩვენ დაკვტია რუსის ხელში,
კაი არც მას დამართია, ჯაჭვით ჩაათრიეს გემში,
მისი ყვირილი ისმოდა სუფსის გაღმა,
ბაილეთში“[4].

თუ წარმოვიდგენთ, რომ ლექსის პერსონაჟი კვირიკეთიდან გვესაუბრება, სოფელი კვირიკეთი კი ოზურგეთის ახლოს, სამხრეთ-აღმოსავლეთით, სუფსის მარცხენა მხარეს მდებარეობს, ვღებულობთ: 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როდესაც ალი-ფაშას ღალატი მოხდა, „*სუფსის გაღმა ბაილეთი*“ სუფსის მარჯვენა მხარეს იქნება.

მაგრამ რად გვინდა საჭოჭმანო ცნობა, როდესაც უტყუარი საბუთებით მტკიცდება, რომ ისტორიული ბაილეთი სუფსის მარჯვენა მხარესაც ვრცელდებოდა.

ენციკლოპედია „*საქართველოში*“ ბაილეთზე სტატიის წყაროდ, ლიტერატურად დასახელებულია **დიმიტრი ბაქრაძის** 1978 წელს სანკტპეტერბურგში რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის „*არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ)*“ **არჩილ ტოტოჩავას** მიერ შესრულებული და 1987 წელს ბათუმში გამოცემული ქართული თარგმანი.

ამ ნაშრომის რუკაზე გარკვევითაა აღნიშნული, რომ ბაილეთის ეკლესია მდებარეობს სუფსის მარჯვენა მხარეს. ამასვე გადმოგვცემს ავტორი ტექსტშიაც. ჯერ აღწერს ჯუმათის მონასტერს და შემდეგ ბაილეთის ეკლესიას.

დ. ბაქრაძე ამბობს, რომ ჯუმათის მონასტრიდან (მთიდან) სუფსის ჭალაში ჩამოვიდა, სადაც „ღამე გავათიე სუფსის

---

[4] ქართული ხალხური პოეზია, XI, ისტორიული ლექსები, თბ., 1984, გვ. 124, 311.

ჰირას მდებარე სოფელ ბაგირში, რომელიც წინათ ჯუმათელების საზამთრო სამყოფელი იყო. მეორე დღეს, 29 სექტემბერს, შევიარე სოფელ ბაილეთში, რომელიც თავად იესე გიორგის ძე გურიელს ეკუთვნის. იესეს სახლი გორაკზე დგას ძველი ციხის ნანგრევების ჰირდაჰირ. ხოლო ძველი ეკლესია დაბლობშია. იგი აშენებულია აგურითა და ნახეთქი ქვით. აქვს თლილი ქვის ახალი გუმბათი" (გვ. 225–226).

აქ, ისე როგორც დედანში (რუსულ ტექსტში, გვ. 269), „**ბაგირი**" შეცდომითაა დასახელებული. ასეთი ტოპონიმი აქ არ არის და არც ყოფილა. ეს უბანი სოფელ ჯუმათს განეკუთვნება და „**ბოგილი**" ეწოდება. მდებარეობს სუფსის მარჯვენა ნაპირას და იმ ადგილთან ახლოსაა, სადაც ბაილეთის ეკლესია იდგა.

დ. ბაქრაძე მოგვითხრობს, რომ აქედან იგი მიდის სუფსის მარცხენა მხარეს სოფელ გურიანთაში: „ბაილეთის შემდეგ მოსახილავი დამრჩა გურიის ორი ძეგლი, სახელდობრ, ციხე და ვაშნარი, რომელთაგან ჰირველი გურიანთად წოდებულ უბანში მდებარეობს. ორივე თავად ნაკაშიძეს ეკუთვნის. გურიანთა მდ. სუფსის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, მთაგორიანი ადგილია, არა აქვს ხეირიანი გზები. მე გავემართე სამხრეთ–აღმოსავლეთით, გადავედი მდინარე სუფსაზე და ავედი მთაზე" (გვ. 228).

ზემოთ უკვე ვთქვით, **იური სიხარულიძე** 1971 წელს დაბეჭდილ თავის ნაშრომში იმ უბანს, სადაც ჩვენთვის საინტერესო ეკლესია მდებარეობდა, მოიხსენიებს სახელით „ჰატარა ბაილეთი" და მიუთითებს: „უწოდებენ გაღმა ბაილეთსაც". ამ პატარა, გაღმა ბაილეთში, ასახელებს ადგილებს: „გოგორკული, **თეთრი ეკლესია**, სასახლე (გურიელის ნასახლევი), სვანის წყარო"[5].

---

[5] ი. სიხარულიძე, მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმიკა), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971, გვ. 104.

აქედან „სასახლე“ და „სვანის წყარო“ ახლა სილაურს ეკუთვნის, ხოლო „გოგორკული“ გზითაა გაყოფილი და აღმოსავლეთი ნაწილი სილაურისაა, დასავლეთი – ჯუმათის.

ჯუმათელებმა მითხრეს: იმ პატარა ადგილს, სადაც ეკლესიის ნანგრევებია, „**ბაილეთას**“ ეძახიანო.

ჩემსა და მეზობელ სოფლებში ბაილეთის ეკლესიის აგებაზე ასეთი ლეგენდა არსებობს: გურიელის ცოლი (ზოგის თქმით, ლეკის ქალი იყო) ჩვილ ბავშვებს ჭამდა. ეს გაიგო გურიელმა, ქალი ცხენის ძუას გამოაბა და ათრევინა. სადაც ცხენმა ქალი დააგდო, ეკლესია იმ ადგილას ააშენაო.

ჩემი მოსწავლეობის დროს (საშუალო სკოლა 1954 წელს დავამთავრე) ეს ეკლესია ჯერ კიდევ ფეხზე იდგა. ირგვლივ ბარდ-ეკალი ერტყა. ამბობდნენ, მორიელები ბუდობსო და შიგ შესვლას გვიშლიდნენ. ერთხელაც გავბედე და შევედი. დამამახსოვრდა, აქა-იქ ფრესკების ნაშთები ჩანდა.

ეკლესია დაანგრიეს 1958-1962 წლებში და მისი ქვები, როგორც იქვე მცხოვრებმა მამია ჩხარტიშვილმა გვითხრა, ჯუმათის საშუალო სკოლისა თუ ბოსლის მშენებლობაზე გამოიყენეს. ისიც გვითხრა: იმ დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიშა ტაკიძე შვებულებაში იმყოფებოდა და ამის გამო ძალიან გაჯავრდა, ხოლო ამ საქმის ჩამდენი ინჟინერი მალე ავარიით დაიღუპა, ტროსის მომდები ავტომობილის მძღოლი კი მაგრად დაავადდაო.

1959 წელს გამოვიდა წიგნი „*საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე*“. აქ ვკითხულობთ: „ადგილმდებარეობა: 4. **სახახლე გურიელისა**. 5. **ეკლესია გუმბათიანი**“. მეორე გრაფაშია დათარიღება. ჰირველისა: „გვიანი შუასაუკუნეები“, ეკლესიისა – „1609“ (გვ. 83).

სასაცილო და სატირალია, რომ „გურიელის სასახლე“ ამ დროს კი არა, რამდენიმე ათეული წლის წინათ, რევოლუციის შემდეგ, უკვე იყო დანგრეული, ხოლო ბაილეთის ეკლესია იმ წლებში განადგურდა.

ახლა ამ ეკლესიის ადგილას ჯაგნარით დაფარული პატარა ბორცვია დარჩენილი.

მინაწერი: 2012 წლის 26 ნოემბერს განცხადებით მივმართე საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს დავით ლორთქიფანიძეს: „ვბეჭდავ ჩემი გამოკვლევების წიგნს – „*ფილოლოგიური ძიებანი*“, სადაც შედის სტატია: „**სად მდებარეობდა ბაილეთის ეკლესია?**“ ამისთვის მჭირდება ამ ეკლესიის ფოტოსურათი. მაქვს გვიან გადაღებული და მინდა ადრინდელი, როცა ეკლესია უკეთესად გამოიყურებოდა. გთხოვთ, გამაცნოთ თქვენთან არსებული ბაილეთის ეკლესიის სურათები და აქედან ერთ-ერთი გადამაღებინოთ“.

თავის მხრივ ეროვნულ მუზეუმს, როგორც აქ მითხრეს, მიუმართავს ხელოვნების მუზეუმისათვის, მაგრამ ასეთი სურათისათვის ვერსად მიუგნიათ.

ძალიან მეეჭვება, დ. ერმაკოვსა და სხვებსაც იგი არ გადაეღოთ.

აქ, ყდაზე, ვბეჭდავთ ბაილეთის ეკლესიის იმ გვიანდელ სურათს, რომელიც დაცულია „*საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში*“ და, როგორც აქ მითხრეს, გადაღებულია იგორ გინგელდორფის მიერ. ამავე დაწესებულებაში არსებობს „ძეგლის პასპორტი“, რომელიც ო. ღამბაშიძეს 1953 წლის 4 აპრილს შეუდგენია. ალბათ, ეს სურათიც იმდროინდელია.

დარჩია– სახელი და გვარი

საქართველოში ცნობილია **დაჩი, დარჩი, დარჩო, დარჩია, დარჩინა** ადამიანთა სახელები და გვარები[1]: **დარჩია, დარჩიძეები,**

[1] გავაცანი დარჩიათა გვარის შეკრებაზე მყოფ ამ გვარის თბილისელთა ერთ ჯგუფს 2001 წლის 25 დეკემბერს. მაშინ გადავიღეთ სურათი, რომელიც დავბეჭდე გაზეთ „კრიმანჭულში“ (№ 1, 2002, გვ.

დარჩიაშვილები, დარჩაშვილები, დარჩიბეგა//დარჩიბეგაშვილები[2].

„დარჩია“ გურიაში გავრცელებული და იქიდან საქართველოს სხვა კუთხეებში (მის ფარგლებს გარეთაც) წასული ხალხის გვარია. 1995 წლის 1 თებერვლის მონაცემით, საქართველოში აღრიცხულია ამ გვარის მქონე 1819 სული. აქედან ყველაზე მეტი იყო ოზურგეთის რაიონში – 1023, თბილისში – 263, ბათუმში – 180 სული. იყვნენ და არიან საქართველოს სხვა რაიონებშიაც, მაგალითად, ლანჩხუთსა და მის სოფლებში, მაგრამ ავთანდილ სილაგაძისა და ანზორ თოთაძის წიგნში, „გვარ-სახელები საქართველოში“ (თბ., 1997), საიდანაც ამოვიწერეთ ეს მონაცემები (გვ. 72), ის ადგილები მითითებული არ არის, სადაც ამა თუ იმ გვარის რაოდენობა ორმოცდაათზე ნაკლებს შეადგენდა (ლანჩხუთის შესახებ – გვ. 252).

საიდან წარმოდგა და რას ნიშნავს ეს სახელწოდება, როგორ დგას ეს საკითხი მეცნიერებაში?

გურიაში გავრცელებული ხალხური გადმოცემების მიხედვით, ამ გვარსახელის გაჩენა პალიასტომის ტბის წარმოშობას უკავშირდება.

ეგნატე ნინოშვილი „პალიასტომის ტბაში“ წერს: „ჰალიასტომის შესახებ გურიაში არსებობს ერთი ლეგენდა: ეხლა რომ ტბაა, იმ ადგილას უწინ, თურმე, ხმელეთი იყო, ზედ ხალხი იდგა და ამ ხალხს «ჰავლიას ტომს» ეძახდნენ. ერთ დღეს ხმელეთმა ძირს დაიწია, ერთ ადგილას მიწა გაირღვა, უცბად წყალი ამოვარდა დედამიწიდან და მთელი სოფელი დაფარა. აქაური ხალხიც და ყოველივე სულდგმული დაირჩო, მხოლოდ ერთმა დიაკვანმა მოასწრო, გაიტაცა მთავარანგელოზის ხატი, აიტანა ჯუმათის

---

17). ეს სტატია გამოვაქვეყნე გაზეთ „სალიტერატურო გაზეთში“ (2011, № 4, გვ. 9).

[2] იაკობ ახუაშვილი, ქართული გვარსახელები, ქართული გვარების ისტორიისათვის, I, შესწორებული და შევსებული მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 47, 88, 370–373.

მთაზე და იქ შემდეგ ხატს ეკლესია აუშენა. ეს დიაკვანიც, გვარად დარჩია, დეკანოზად დააყენესო. ჯუმათის მთაზე ეკლესია (მონასტერი) დღესაც არსებობს. ხალხი, გვარად დარჩია, დღესაც ცხოვრობს სოფ. ჯუმათში და ბევრი მათგანი სასულიერო წოდებისაა, მაგრამ ლეგენდაში მოყვანილი ამბავი რამდენად მართალია, ამისი კი რა მოგახსენოთ. ჰალიასტომის ტბა უფრო მის მახლობლად მდებარე მთებიდან მონაწრეტსა და დაბლობში შეგროვებულ წყალსა ჰგავს, მინამ მიწისძვრისაგან ამონახეთქსა, თუმცაღა შეუძლებელი კი არც ამ უკანასკნელშია რამე“[3].

ეს ლეგენდა შთამბეჭდავია იმ მხრივ, რომ **დარჩიების** ბუდე სწორედ სოფელი ჯუმათია და ბევრი მათგანი სასულიერო პირი იყო. მაგალითად: ეგნატე ნინოშვილის დაბადების მოწმობაში („*მეტრიჩესკის წიგნი*“), რომელსაც იაკობ ბალახაშვილმა მიაგნო და დაბეჭდა, აღნიშნულია, რომ მისი ერთ-ერთი მიმრქმელია მღვდელი ნიკოლოზ დარჩია[4]. ამავე ნიკოლოზმა ეგნატეს დედას, ნინო ბარამიძეს, აღსარება ათქმევინა, აზიარა და დაკრძალვისას სათანადო წესი აუგო.

დღეს ამ გვარის ხალხი სოფელ ჯუმათის თითქმის ყველა კუთხეში სახლობს, მაგრამ, ჩანს, უპირველესი ადგილი სწორედ ჯუმათის მონასტრის უბანია. მომიჯნავე სოფლები — *სილაური* და *დაბლა მამათი*, სადაც დარჩიები ცხოვრობენ, ჯუმათის ამ უბანს უშუალოდ ესაზღვრებიან, მისი სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ფერდობებია. სილაური ჩემი მშობლიური სოფელია და აქვე, დაბლობ ადგილებში, დარჩიების ახალსახლობა ჩემ თვალწინ მოხდა.

დარჩიები ცხოვრობენ აგრეთვე სხვა ახლომახლო სოფლებსა და ქალაქებში — ბაილეთში, ლანჩხუთსა და ოზურგეთში, ფოთსა და სხვაგან, მაგრამ ისინი ან უშუალოდ ჯუმათიდან, ან კიდევ ამ მეორადი დასახლების ადგილებიდან არიან გადასული.

---

[3] ეგნატე ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, გ. ქიქოძის რედაქციით, თბ., 1954, გვ. 211.

[4] ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, თბ., 1935, გვ. 75–76.

დიახ, ამ გვარის ბუდის მიხედვით, აღნიშნული ლეგენდა მართლაც შთამბეჭდავია. მაგრამ, როგორც ეგნატე ნინოშვილს ეჭვი შეაქვს და თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერება პალიასტომის ტბის გაჩენას სხვაგვარად ხსნის, მასში დარჩია გვარსახელის წარმოშობის თვალსაზრისით სიმართლის ძიება და დანახვა ყოვლად გაუმართლებელია.

პალიასტომის ტბის რაობისა და სახელის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. შვეიცარიელმა მოგზაურმა, დასავლეთ საქართველოს გეოლოგიის პირველმა მკვლევარმა დიუბუა დე მონპერემ, რომელმაც 1831–1834 წლებში შავი ზღვის ჩრდილო–აღმოსავლეთი სანაპიროც შეისწავლა, პალიასტომის ტბის სახელი ბერძნული ენის მიხედვით ახსნა. საქართველოს ტბების მკვლევარი თ. ნუცუბიძე წერს: „მოგზაურ დიუბუას ტბის სახელწოდება სიტყვიდან «ჰალაიონ» და «ტომა» გამოჰყავს, რაც ნიშნავს უძველეს შესართავს. გეოლოგიურ წარსულში კოლხეთის დაბლობის ადგილზე უნდა ყოფილიყო შავი ზღვის უბე, რომელიც შორს იჭრებოდა ხმელეთში. ამ უბეში ჩაედინებოდა მდინარე რიონი...“[5].

საქართველოს ტბების მეორე მკვლევარი ილია აფხაზავა აღნიშნავს: „როგორც ფიქრობენ, ეს ტბა წარსულში შავი ზღვის უბეს წარმოადგენდა და მხოლოდ ისტორიულ ჰერიოდში გამოეყო იგი იმ ნალექების დაგროვების შედეგად, რომელიც ზღვაში მდინარე რიონს შეჰქონდა და ახლაც შეაქვს. იმასაც ფიქრობენ, რომ ოდესღაც ამ უბეში თვით რიონი ჩაედინებოდა. აქედან უნდა წარმოდგებოდეს მისი სახელწოდებაც – «ჰალეო», ანუ «ჰალაიოს», ხომ «ძველს» ნიშნავს ბერძნულად, ხოლო «სტომა» – «ჰირს», «შესართავს»“[6]. ავტორი აღნიშნული ლეგენდის შესახებ ასკვნის: „ამ ლეგენდას ჰალიასტომის ტბის წარმოშობასთან საერთო არ უნ-

---

[5] ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ფიზიკურ–გეოგრაფიული სერია, ტ. III, ნაკვეთი 2, თბ., 1948, გვ. 142.

[6] ი ლ ი ა ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, ტბები – ჩვენი ბუნების მშვენება, თბ., 1969, გვ. 85.

და ჰქონდეს. (...) უოველივე ეს კი ბუნების მოვლენებისადმი მოსახლეობის ინტერესსა და მათი ახსნის გზების გამოძიებისაკენ მისწრაფებაზე მიუთითებს“ (გვ. 86).

ბარემ აქვე მოვიყვანთ იმ ცნობასაც, რომ „1924 წელს ტბის სამხრეთ-დასავლეთი ნაპირიდან გაიუვანეს არხი და პირდაპირ შეუერთეს ზღვას, ხოლო 1933 წლის დეკემბერში ძლიერი ზვირთცემის შედეგად არხი გაფართოვდა და სრუტე გაჩნდა, წუალი მლაშე გახდა“[7].

აღარაფერს ვიტყვით ხსენებული ლეგენდის იმ ვერსიებზე, სადაც პალიასტომის ტბის გაჩენა ადრე ქრისტიანობის დროინდელ ამბადაა წარმოდგენილი. იური სიხარულიძის მიერ ჩაწერილ ვარიანტში ღვთის რისხვა და პავლიასტომელთა დანთქმა გამო-უწვევია ერთი ქალის მკრეხელურ საქციელს: მას არად ჩაუგდია გაფრთხილება და ხარება დღეს, რომელიც 25 მარტს აღინიშნება, ქსოვა სიცილითვე გაუგრძელებია: ხარება და ხარხარება, ჩემს ქმარ-შვილს კი გახარებაო[8].

მაგრამ დიდმნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პალიასტომის ტბის მსგავსი ლეგენდები უამრავი მოიპოვება როგორც საქართველოში, ისე ბევრ სხვა ქვეყანაში. პოეტმა და ფოლკლორისტმა ნოდარ შამანაძემ ამ საკითხს საგანგებო ნაშრომი უძღვნა და მათი შექმნის მიზეზები და წარმომავლობა სწორად განსაზღვრა[9]. მაგალითად, ჩვენში ამგვარი გადმოცემებია ახტალაზე, აგრეთვე ნატყევარასა და პა-

---

[7] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 7, თბ., 1984, გვ. 652.

[8] იური სიხარულიძე, პალიასტომის ტბის წარმოშობის შესახებ, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 11 ივნისი, 1957, № 114, გვ. 4; მისივე, ლეგენდა პალიასტომის ტბაზე და სინამდვილე, გაზ „ლენინის დროშა“, 28 თებერვალი, 1963, № 35, გვ. 4; ალეკო სანადირაძე, პალიასტომი, ჟურ. „საქართველოს ბუნება“, 1969, № 3, გვ. 10; გრ. ნუცუბიძე, პალიასტომის ტბის საიდუმლოება, გაზ. „თბილისი“, 20 დეკემბერი, 1961, № 293, გვ. 3).

[9] ნოდარ შამანაძე, ქართული ხალხური ლეგენდები, თბ., 1973, გვ. 96-97.

პაწყურის ტბების შექმნის თაობაზე[10]. სხვა ქვეყნების შესახებ წერს: „მცირე წარღვნის ქართულ ლეგენდებს მსოფლიო ფოლკლორში მრავალი პარალელი მოეპოვება“ და მოგვითხრობს: ლიტვაში რაიგრადის დაბლობის, უკრაინაში პოჩაევოს, საფრანგეთში პილერის, გერმანიაში მიუნხენის ახლოს მდებარე ტბებზე გავრცელებულ გადმოცემებზე (გვ. 97–98). ბოლოს ასკვნის: „შეგვეძლო კიდევ მოგვეყვანა მაგალითები, მაგრამ სურათი ისედაც ნათელია. ქართველთა და ახლო თუ შორეულ ხალხთა მცირე წარღვნის ლეგენდები გასაოცრად ჰგავს ერთმანეთს, ზოგჯერ კი პირდაპირ დამთხვევასთან გვაქვს საქმე. ეს აიხსნება უმთავრესად ორი მიზეზით: 1. მცირე წარღვნის ლეგენდები უველა ქვეყანაში დიდი წარღვნის ლეგენდების გავლენით იქმნებოდა, 2. მსგავსი სტიქიური უბედურებანი მსგავს სიუჟეტებს წარმოშობდა“ (გვ. 98).

კიდევ უფრო მიუღებელია მეორე თქმულება, რომელიც პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ჯუმათელ დიმიტრი დარჩიას ჯუმათში გაუგონია და მიამბო: ჯუმათის მთაზე ექვსი ძმა **მხალაძეები** და შვიდი ძმა **გოგორიშვილები** ასულან, რომლებიც ერთმანეთის ბიძაშვილ–მამიდაშვილები ყოფილან. მათ აქ მთავარანგელოზის ხატი აუტანიათ და მის სახელზე ეკლესია-სალოცავის აშენება მოუნდომებიათ, მაგრამ ხატი ვერ დაუმაგრებიათ. ხატი იმ ადგილას ამაღლებულა და გაჩერებულა, სადაც ადრე სალოცავი ყოფილა. ამ სალოცავს კი ძველი წარმართული სახელი **ჯუმა** რქმევია და ამიტომ მისი შემოგარენისათვის **ჯუმათი** შეურქმევიათ. ეკლესიის აშენების შემდეგ ძმები მხალა-

---

[10] ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურაში არ შეგხვედრივარ, აღვნიშნავ: ბონდო არველაძემ მიამბო: ხარაგაულის მაღალმთიან სოფელ ლ ე ღ ვ ა ნ შ ი არის პატარა ტბა, რომლის შესახებ აქაური მაცხოვრებელი ბონდოს ბებია ნ ა რ ო (ქ ა ჯ ა ჯ ო) ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე ჰყვებოდა: ერთი ქალი ხარება დღეს ხელსაქმობდა, ქსოვდა. სამჯერ გააფრთხილეს, *დღეს ამას ნუ აკეთებო*. როგორც პალიასტომის ტბის ლეგენდაშია, მასაც სიცილით უპასუხნია: *ხარება და ხარხარება, ჩემს ქმარ–შვილებს გახარებაო*. მაშინ მიწა ჩავარდა, ამოვარდა წყალი და ქალი და მთელი ოჯახი შიგ ჩაიტანა. ეს ტბა მას შემდეგ არისო.

ძეები და გოგორიშვილები მის მსახურებად დარჩენილან და დარჩენის გამო **დარჩია** გვარი მიუღიათო.

აშკარაა, ეს თქმულება კიდევ უფრო გვიანდელია, როდესაც საქართველოში გვარები უკვე გაჩენილა. ისიც თვალში საცემია, რომ იგი სვეტიცხოვლის ლეგენდას იმეორებს.

„**დარჩია**“ სახელისა და გვარის ეტიმოლოგია მეცნიერულად ახსნა აკაკი შანიძემ, რომელმაც ეს საკითხი სადოქტორო დისერტაციად დაამუშავა[11]. ის უპირველესად იკვლევს მამაკაცის სახელ „**დაჩის**“ წარმომავლობას, რომელიც ძველ ქართულ მწერლობაში არცთუ იშვიათად იხსენიება. კერძოდ, XI საუკუნის საისტორიო თხზულებაში „*ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა*“, რომელიც V–VIII საუკუნეთა საქართველოს ამბებს აღწერს, და რომლის ავტორად ჯუანშერი, სხვა შეხედულებით, ლეონტი მროველია მიჩნეული, ეს სახელი სპარსულ „**დარჩილთან**“ არის გაიგივებული. ერთგან წერია: „ხოლო ვახტანგ მეფესა უშვნა ცოლმა ძე და ასული მარჩხივად (ანუ ტყუპები – **ბ. დ.**), და მოკუდა შობასა შინა ბალენდუხტ დედოფალი, ასული სპარსთა მეფისა. ხოლო ვახტანგ უწოდა ძესა თჳსსა სახელი სპარსულად **დარჩილ** და ქართულად **დაჩი**“[12].

მეორე ადგილას: „და მოიუვანა ვახტანგ ძე მისი, რომელსა ერქუა სპარსულად **დარჩილ**, ხოლო ქართულად **დაჩი**. იყო ხუთისა წლისა და დაადგა გვირგვინი“ (გვ. 185. 10).

ამ მონაცემზე დაყრდნობით, 1815 წელს გერმანულად გამოცემულ წიგნში ფ. იუსტი მიიჩნევს, რომ სპარსული „**დარჩილ**“ და ქართული „**დაჩი**“ იმგვარადვეა ნაწარმოები, როგორც „**არჩილი**“.

---

[11] ა. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, თბ., 1976, გვ. 19–22.

[12] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 178. 14.

ეს შეხედულება გაიზიარა მზია ანდრონიკაშვილმა. მისი აზრით, ერთი და მეორეც საშუალი სპარსული Dārčihr სიტყვასაგან მომდინარე უნდა იყოსო. თანაც დასძენს: „არის მეორე შესაძლებლობაც: Dārčihr გავიგოთ, როგორც მიღებული საშ. სპარსული Dārāßčihr-იდან («დარიოსის მოდგმისა»)".

აკაკი შანიძე სათანადო ლიტერატურის მითითებით, იმოწმებს და უარყოფს ამ შეხედულებას. ის ასე მსჯელობს: „გამოსარკვევია შემდეგი: მართალია ვითომ ჯუანშერი, როცა ამბობს, რომ დაჩი სპარსული დარჩილ-ისაგან მოდისო? და მერე სად არის ასეთი სახელი სპარსულში? და თუ ქართულშია იგი გადმოსული, რატომ სომხურში არ ჩანს სადმე? იქ ხომ უფრო მოსალოდნელი იყო ასეთი სახელი ამა თუ იმ ფორმით და მოყვანილი იქნებოდა ჰრაჩია აჭარიანის ჰირთა სახელების ლექსიკონში. თვით იუსტი ამ დარჩილ-ს მხოლოდ ქართლის ცხორებიდან იცნობს (ბროსეს თარგმანის მიხედვით: Hist. 200), მზია ანდრონიკაშვილსაც ასეთი სახელი ვარსკვლავით მოჰყავს, მაშასადამე, აღდგენილი ფორმაა.

ვთქვათ დაჩი სპარსული დარჩილ-ისაგან მოდის. მაგრამ მაშინ რატომ არ შემოინახა ეს ფორმა დარჩილ (არჩილ-ის მსგავსად) ან რის გამო მოხდა, რომ ბოლოკიდური ლ ჩამოშორდა და შუაში რ ამოვარდა?" (გვ. 20).

ამ კრიტიკის შემდეგ ა. შანიძე დაჩი სახელის ახსნას ქართულ ნიადაგზე ცდილობს. „რადგან ამ კითხვების რიგიანი ახსნა არ ჩანს, – განაგრძობს მკვლევარი, – ხომ არ ვიფიქროთ, რომ დაჩი ქართულია, როგორც ამას ჯუანშერიც ამბობს, მაგრამ იგი უნდა ცდებოდეს, როცა ამ სახელს სპარსულ დარჩილ-ს უკავშირებს, რომელსაც იუსტი მხოლოდ ქართული წყაროდან იცნობს" (იქვე).

ბატონი აკაკი ასე ვარაუდობს: „დაჩი ქართული უნდა იყოს, რომელიც მე-2 ჰირის ფორმა მკონია დაშთომა ზმნისაგან, როგორც ფშაური გამიხარდი, ოღონდ დაჩი ბრძანებითი კილოს ფორმაა, გამიხარდი კი – თხრობითისა" (იქვე).

მეორე ადგილას აზუსტებს: „დ ა ჩ ი (...), როგორც ვთქვით, ბრძანებითის ფორმაა, რაც დღევანდელ ენაზე დ ა რ ჩ ი იქნება. მნიშვნელობით ესაა დალოცვის სიტყვა და უდრის ი ც ო ც ხ ლ ე-ს. ი. გოგებაშვილის «დედა ენიდან» მახსოვს სიტყვები: *«ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი, დაურჩი დედა-შენსაო!»*. დ ა ურ ჩ ი მიმართებითი ფორმაა (ორ-ჰირიანი), დ ა რ ჩ ი კი – მიუმართავი (ერთ-ჰირიანი) და როგორც ძველად დ ა ჩ ი, ისე მერმე დ ა რ ჩ ი სახელად იყო გამოყენებული“ (გვ. 21).

მკვლევარი გვიჩვენებს იმ ფონეტიკურ გზას, რომელიც ამ სიტყვებს უნდა გაევლო. რომ **შთ** კომპლექსის **ჩ**-დ გადაკეთება ქართულში ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგალითად: ***ჩვიდმეტი*** მიღებულია ***ათ-შვიდ-მეტი***-საგან. ან **შთა** ზმნისწინმა მოგვცა **ჩა**: ***შთა-ვიდა, შთა-აგდო, შთა-აგონა, შთა-ბერა*** და სხვა. ახალ ქართულში გადაკეთდა: ***ჩა-ვიდა, ჩა-აგდო, ჩა-აგონა, ჩა-ბერა.***

ბატონ აკაკი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს საინტერესო ფაქტს: „XI საუკუნის მწერალი გიორგი ათონელი ერთ თავის თხზულებაში („იოვანე და ეფთვიმეს ცხოვრება“ – **ბ. დ.**) ძველ **შთა**-საც ხმარობს და ახალ **ჩა**-საც“ (იქვე).

მკვლევარი გვიჩვენებს იმ ფონეტიკურ კანონზომიერებასაც, რომ **შთ**-ს, ერთი მხრივ, ისევე შეძლო მოეცა **რთ**, როგორც მივიღეთ სიტყვებში: ***შტო→რტო, სთუელი→რთველი, სჯული//შჯული→რჯული***. მეორე მხრივ: ორპირიან და-ს-ჩა//და-შ-ჩა-ში შემავალ **სჩ//შჩ** კომპლექსს შეეძლო მოეცა იგივე **რჩ**: ***დარჩა*** (იგი მას). ავტორი ასკვნის: საძიებელ სახელში „ასე თუ ისე, **რჩ** ფუძე მტკიცედ დამკვიდრდა საშუალსა და ახალ ქართულში“ (გვ. 21).

აკაკი შანიძე ამგვარადვე ხსნის სახელის **დარ-ჩა//დარჩია//დარჩო** და მისგან აღმოცენებული **დარჩია, დარჩი-აშვილი, დარჩიძე** გვართა წარმომავლობას.

აღმოსავლეთ საქართველოში **დარჩია** არის მამაკაცის ს ა ხ ე ლ ი, ისე როგორც ვაჟა-ფშაველას „*ბახტრიონშია*“, სანათა რომ ამბობს – „*ბერიძე მყვანდა ქმარია*“, – **ბერიძე** სახელია და არა გვარი. აკაკი შანიძის განმარტებით, „დ ა რ ჩ ი ა კნინობითი ფორმაა დ ა რ ჩ ი-სა“ (გვ. 22). ბატონი აკაკი ასა-

ხელებს ფშაველ **დარჩია მისრიაულს**, რომელმაც ხევისბერად გახდომისას თამარ მეფისა და ლაშარის სალოცავი თაგისი სახლის ახლოს, არაგვის ხეობიდან ივრის ხეობაში, გადაიტანა. ამის გამო მას ლექსი გამოუთქვეს:

„ნუმც გასჩენიხარ დედასა, შენ **მისრიათ დარჩიაო**!
თამარ-მეფე და ლაშარი ჩაიტანე ბარჩიაო“ (იქვე).

„*პირთა ანოტირებული ლექსიკონის*“ მეორე ტომში (XI-XVIII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბ., 1993) აღნუსხულია სახელები **დარჩა** (1601 და 1658 წწ.), **დარჩია** (1610, 1625, 1642, 1683, 1688-1703 წწ. ამავე საუკუნისა კიდევ სხვა), **დარჩინა** (XVI ს.). **დარჩია** სახელად ბევრჯერ გვხვდება XVIII საუკუნესა და მომდევნო წლებშიაც (ზოგიერთ მათგანს იმოწმებს აკაკი შანიძეც). აქ ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ ერთ მათგანს – მელიქ-მამასახლის ბებუთოვს, რომლის სახელია **დარჩია** და **დარჩი**-ც: 1797 წლის 27 იანვრის განჩინებაში ვკითხულობთ: „ოქმი მელიქ **დარჩიაზედა** და ჰენტელაშვილს იოანეზედ იყო“[13].

1797 წლის 1 ივლისის განჩინება: „ბატონი მელიქ-მამასახლისის **დარჩიასთან** და ქეთხუდებთან მეხანჯლე ავეტიკა ჩიოდა“ (იქვე, გვ 31).

1800 წლის 27 თებერვლის განჩინება: „ქ. ამ სამართლის მოწამე ვარ ქალაქის მელიქი **დარჩია**“ (იქვე, გვ. 157).

1800 წლის 2 ივლისის განჩინება: „ქ. მათს უმაღლესობას, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხუათა მეფეს გიორგის (...) ებრძანა: რომ მელიქი **დარჩია** ფითუაშვილი აღა თან დაისწარ და ამათი ანგარიში ნახეო...“ (იქვე, გვ. 210).

---

[13] ქართული სამართლის ძეგლები, VI, სასამართლო განჩინებანი, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 13.

1800 წლის 5 ივლისის განჩინება: „ქ. ამისი მოწამე ვარ მელიქ-მამასახლისი დარჩია“. იქვე დასმულია ბეჭედი – „დარჩია“ (გვ. 214).

1805 წლის თებერვლის განჩინება: „და იყო მოწერილი ამავ არზაზედ: მელიქო **დარჩიავ** და იასაულებო!... “. შემდეგ: „და ზედ მოწერილი ესრეთ მისის უწმინდესობისაგან: ბატონო მელიქო **დარჩიავ**, მამასახლისო თომავ და ქევხუდებო!...“ (იქვე, გვ. 345–346).

1801 წლის 5 სექტემბრის განჩინებაში ამ მელიქ-მამასახლისის სახელია **დარჩი**, ხოლო გვარი – **ბებუთოვი**: „...ამ ზემოხსენებულთ ამათი სარჩელი მოესმინათ და ამათის სარჩელის კმაყოფა თვით ვერ შეუძლეს, ქვემოხელმოწერილი იარანალ-მაიორი და კავალერი ივან ჰეტროვიჩი ლაზაროვი მიმიწოდეს ჰოლიციის მთავარს **დარჩი ბებუთოვ** მელიქ-მამასახლისთან. შევკრბით, ორსავ მხრის სახელი მოვისმინეთ“ (იქვე, გვ. 437).

აკაკი შანიძე ამ პიროვნების შესახებ შენიშნავს: „ამ **დარჩი ბებუთოვის** სახელი (სომხური ფორმით: დარჩი ბეჰბუთიანის სახელით) შეუტანია ჰ. აჯარიანს თავის «*სომხურ საკუთარ სახელთა ლექსიკონში*» (ტ. II, ერევანს, 1944, სომხურად, გვ. 21) და ამბობს, რომ წარმომდგარია ქართულ «**დარჩენა**» ზმნისაგან და სომხურად «მნაცაკანს» ნიშნავსო, მთლად სწორი არ არის, რადგანაც მნაცაკან «ნარჩომი» არის, **დარჩი** კი – ბრძანებითი ფორმაა «დარჩომა» ზმნისა“ (გვ. 22, სქოლიო).

1995 წელს საქართველოში აღირიცხა მამაკაცის სახელები: **დარჩო** – 200 (თბილისი– 80, თეთრიწყარო –19, გორი –17), **დაჩი** – 289 (თბილისი –93, ზუგდიდი –19, რუსთავი –13). სახელი **დარჩია** არსად ჩანს.

ცნობილია, რომ საქართველოში არსებული გვარსახელების დიდზე დიდი უმრავლესობა სწორედ სახელისაგან წარმოდგება და, რასაკვირველია, ბატონი აკაკიც ჩვენთვის საინტერესო გვარსახელ **დარჩია**-საც, ისევე როგორც ამავე ფუძის სხვა გვარსახელებს, **დარჩი//დარჩია** სახელისაგან მომდინარედ მიიჩნევს. სახელდობრ, 1995 წლის აღრიცხვით: **დარჩიაშვილი** იყო

1104 სული (თბილისი – 407, გურჯაანი -109, ახმეტა - 91), **დარჩიძე** – 763 (შუახევი – 203, ქობულეთი – 187, ოზურგეთი – 131), **დარჩაშვილი** – 332 (სიღნაღი – 249, თბილისი – 45, თელავი – 16). არის **დაჩიბერიძე**-ც: 75 სული (ქუთაისი - 28, ტყიბული - 21, ამბროლაური -10). ბატონი აკაკის სიტყვით, ეს გვარი „ისეევა ნაწარმოები, *როგორც მიქაბერიძე, სულაბერიძე, კოკიბერიძე, ტურაბელიძე (*ტურაბერიძე)* და მისთანები, სადაც ჯანურად (ლაზურად) გაფორმებულ გვარზე ქართული ძე არის დართული“ (გვ. 22).

იგივე უნდა ითქვას ქართულ ტოპონიმებზეც. საქართველოში არის სოფლები: **დარჩეთი** გურჯაანის რაიონში, იოანე ბატონიშვილის ცნობით, **დარჩიეთი, დარჩიძეები** შუახევის რაიონში, **დარჩელი** ზუგდიდის რაიონში, მდინარე **დარჩი** არის მესტიის რაიონში[14].

გვარი **დარჩია** ისევეა საკუთარი სახელისაგან მიღებული, როგორიცაა **ბარამ–ბარამია//ბარამიძე, გვარამ** (გუარამ)–**გვარამია//გვარამიძე//გვარამაძე, გრიგოლ–გრიგოლ-ია//გრიგოლაშვილი, ეზია –ეზია//ეზიაშვილი//ეზიეშვილი, ეთერი–ეთერია, ესაკა–ესაკია, თოფური** (მეგრულად – „თაფლი“)–**თოფურია//თოფურიძე, თურქა–თურქია, კვიკვინა–კვიკვინია, კიტა//კიტი–კიტია, ლორი–ლორია, მარკოზი–მარკოზია, მესხა–მესხია, მიქია–მიქია, სამსონი//სამსონია, სერგი//სერგია–სერგია, ტოჩი//ტოჩია//ტოჩიე–ტოჩია, ფიფი//ფიფა–ფიფია, შაკა//შაკო–შაკაია, შედანი//შედანა–შედანია, შენგელი–შენგელია, ჩერქეზი//ჩერქეზა–ჩერქეზია, ჩიტა//ჩიტო–ჩიტია, ძვე-**

---

[14] იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 67; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თბ., 1987; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 3, თბ., 1978, გვ. 388.

ლა//ძველია–ძველაია, ხვიჩა//ხვიჩი–ხვიჩია, ჯინორი//ჯინორა–ჯინორია, ჯოლი//ჯოლია–ჯოლია და სხვა[15].

ამდაგვარი მასალები სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლადაა აღრიცხული: ალექსანდრე ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986; ილია მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1981. საგანგებოდ უნდა მივუთითო, ამ უკანასკნელში ბატონი ილია გამოთქვამს ვარაუდს, რომ გვარი **ცხონდია** მიღებული უნდა იყოს ბრძანებითში დასმული საკუთარი სახელისაგან **ცხონდი**, როგორიცაა **დარჩი** და **გამიხარდი**).

ამრიგად: აკაკი შანიძემ, თუმცა რამდენადმე ვარაუდის სახით, მაგრამ ყოველმხრივ ნათლად და გარკვევით დაასაბუთა, რომ მამაკაცის სახელი დარჩი//დარჩია//დარჩო და გვარსახელები დარჩია//დარჩიაშვილი//დარჩიძე

---

[15] ამ ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომელიც საქმეს სხვანაირად წარმოგვიდგენს.

2011 წელს ცნობილ ქირურგ **გელა მუხაშავრიასადმი** მიძღვნილ **ნინო კვაჭანტირაძის** ავტორობითა და რედაქტორობით გამოსულ წიგნში „*ნიღბიანი კაცი უნიღბოდ*“ ჩადებულია პროექტის დირექტორის **გიორგი მისირელის** ერთი ფურცელი, სადაც გამოთქმულია ვარაუდი, რომ „მუხაშავრია“ გვარსახელი მესხური წარმოშობისაა და ნიშნავს „მუხა-შავს, „მუხაშავის“ სოფლელს, ისე როგორიცაა ***ხახულარი*** (ანუ ხახულელი), ***ხერთვისარი*** (ხერთვისელი), ***სამძივარი*** (სამძიველი), ***ცლესარი*** (ცლესელი), ***ლობიარი*** (ლობიელი). მისივე აზრით, გურიაში მცხოვრები „ლომჯარია“ და „მაღულარია“ „ასევე ისტორიული მესხეთიდან არიან წარმოშობით“–ო. ავტორი დასძენს: „გურიას ბუდობენ ასევე ე. წ. «კოლხურფორმანტიანი» გვარები: ბასილია, გოგელია, დარჩია, ბზეკალავა, მოქია, ქვილითაია. უველა ზემოხსენებული გვარი მხოლოდ გურიას სახლობს და მათ სამეგრელოსთან არანაირი კავშირი არა აქვთ“.

// დარჩაშვილი ქართული წარმომავლობისაა და მოდის დაშთომა //დარჩომა //დარჩენა ზმნისაგან[16].

მაგრამ საქართველოში გვაქვს გვარსახელები, რომლებიც სხვა ერის წარმომადგენლებს უნდა ეკუთვნოდეთ. იმავე 1995 წლის აღრიცხვით, არიან: **დარჩიევი** – 44 (თბილისი – 37, სამტრედია – 4, აბაშა – 1), **დარჩინიანი** – 58 (გურჯაანი – 1, თბილისი – 57). აკაკი შანიძე ამათ შესახებ არაფერს ამბობს. დიდი გასაკვირი არ იქნება, თუ ესენიც ქართულ ნიადაგზე წარმოიშვნენ. მაგრამ არ მავიწყდება ერთი შემთხვევა: 1958 წლის ივლისში ნავთლულის სამხედრო ნაწილში სტუდენტები სამხედრო „შეკრებაზე" ვიყავით. იქ ერთ დღეს მომცეს რუსულად დაწერილი წერილი, რომელიც, გაირკვა, იქ მომსახურე მოლდაველ ჯარისკაცს, გვარად **დარჩი**-ს, ეკუთვნოდა.

ვფიქრობთ, ეს საკითხები ცალკე კვლევას მოითხოვს.

„ჩრდილო(ეთ)(ი)" და „სამხრეთ(ი) კავკასია" თუ „იმიერკავკასია" და „ამიერკავკასია"[1]

ვინაიდან *„მთელი დასავლეთი სამყარო"*, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის ყოველმხრივ იმედად ვართ, კავკასიის მხარეთა აღსანიშნავად იყენებს, როგორც უწოდებენ, გეოპოლიტიკურ ტერმინებს **ჩრდილო(ეთ)(ი) და სამხრეთ(ი) კავკასია**, ჩვენში მთელი ძალით დადგა საკითხი, ეს ტერმინები ქართულ ენაშიც მივიღოთ და დავწეროთ. ამის მხუ-

---

[16] ზურაბ ჭუმბურიძე ორივე თვალსაზრისს წარმოგვიდგენს. „დაჩი – წერს იგი, – ქართული ფორმაა სპარსული **დარჩილისა**, რომელიც «გვარის უფროსს» ან «დარიოსის მოდგმისას» ნიშნავს (შეადარეთ **არჩილ**). სხვაგვარი ახსნით, **დაჩი** → **დარჩია** (ქართ.) ეს სახელი ქართულში უძველესი დროიდან გვხვდება: მაგალითად, დაჩი ერქვა გორგასალის ვაჟს" (ზურაბ ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 333).

[1] გამოქვეყნებული იყო: „მწერლის გაზეთი", 12–18 ივნისი, 2003, № 18, გვ. 2.

რვალე მსურველი და თავგამოდებული დამცველი ბრძანებულა ცნობილი ენათმეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თამაზ გამყრელიძე, რომელიც ქართულ სიტყვებს **იმიერკავკასიასა** და **ამიერკავკასიას** „ჩვეულსა და ჰრინციპში დასაშვებს“ უწოდებს, მაგრამ უმჯობესად (მეტადრე რუსულ „ზაკავკაზიესთან“ შედარებით) დასავლეთში შემუშავებული გამოთქმები მიაჩნია. მას ეს საკითხი ადრეც დაუყენებია და ამჟამად იგი იმდენად აუცილებელ ჭეშმარიტებად ესახება, რომ გაზეთ *„ლიტერატურულ საქართველოში“* (№ 18) იმის მოგვარებას ცდილობს, როგორი გრამატიკული სახე მიეცეს ახალ ტერმინებს — ითქვას და დაიწეროს „ჩრდილოეთი“ და „სამხრეთი კავკასია“ თუ „ჩრდილო“ და „სამხრეთ კავკასია“ (უპირატესობას უკანასკნელს ანიჭებს).

ამ საკითხებს ამავე გაზეთში გამოეხმაურნენ ენათმეცნიერები შუქია აფრიდონიძე (№ 19) და გიორგი გოგოლაშვილი (№ 20). ბატონი გიორგი მარტო ორთოგრაფიით იფარგლება და არაფერს ამბობს სიტყვათა შეცვლის აუცილებლობაზე. ქალბატონი შუქიას განსჯის მთავარი საგანიც ორთოგრაფია არის, მაგრამ უყურადღებოდ ადრინდელ ქართულ გამოთქმათა ღირსებებსაც არ ტოვებს. თუმცა მოკრძალებით, სამართლიანად წერს: „ასე რომ, ტერმინი **ამიერკავკასიაც** არათუ მხოლოდ «ჰრინციპში დასაშვები» ტერმინია, არამედ კარგა ხნის დაშვებულიცა და გავრცელებულიც – სწორედ იმიტომ, რომ იგი, როგორც ბ-ნი თამაზი შენიშნავს, «ჩვეულია», დიდი ხნის ტრადიცია მოსდგამს, სოციალური სანქცია მოპოვებული აქვს და საეჭვოა, მას **ბუნებრივი** გზით გაქრობის საფრთხე ემუქრებოდეს. ამის საწინდარი კი ისიცაა, რომ იგი ერთ სიტყვად იწერება და ამიტომ მოსახმარადაც უფრო ადვილია“. მისი დასკვნა კომპრომისულია, ორივე ტერმინის ტოლფარდოვან არსებობას უჭერს მხარს. „მაგრამ ტერმინ ამიერკავკასიის ტრადიციულობა, —წერს იგი, — ხელს არ უშლის გარკვეულ შემთხვევებში და გარკვეული მოსაზრებით **სამხრეთ კავკასიის** ხმარებასაც, სწორედ იმის გამო, რომ ისინი ერთმანეთს სრულად არ ჩაენაცვლებიან, მათი არსებობა სრულიად დასაშვებია“.

ვიდრე ამ უკანასკნელ და უმთავრეს საკითხზე მსჯელობას გავაგრძელებდეთ, მანამდე აღნიშნულ ორთოგრაფიაზე უნდა ვთქვათ: ენათმეცნიერებს მათზე შეთანხმება არ უნდა გაუჭირდეთ. ბოლოს და ბოლოს, ეს იმგვარი საკითხია, კენჭისყრითაც შეიძლება გადაიჭრეს. პირადად ჩვენთვის უფრო ჰარმონიულად *„სამხრეთ კავკასია“* ჟღერს, მაგრამ იმაშიც ვართ დარწმუნებული, მეორენაირ გამოთქმასაც (*„ჩრდილოეთი“*, *„სამხრეთი კავკასია“*) ადვილად შეეჩვევა ყური.

რაც შეეხება მთავარ საკითხს, მიგვაჩნია, რომ ბოლომდე შეუვალი უნდა ვიყოთ. რასაკვირველია, გამოთქმები „ჩრდილო(ეთ)(ი) კავკასია“ და „სამხრეთ(ი) კავკასია“ საჭიროა (მაგალითად, როდესაც ვხმარობთ „დასავლეთ“ და „აღმოსავლეთ კავკასიასთან“ ერთად) და ისინი ქართულ ენაში სათანადოდ დადგენილი სახით უნდა არსებობდნენ, მაგრამ ვერავითარ მიზანშეწონილობას ვერ ვხედავთ, ამ სიტყვებით შეიცვალოს ჩვენში მტკიცედ და საყოველთაოდ დამკვიდრებული ტერმინები: *„იმიერკავკასია“* და *„ამიერკავკასია“* ან თანაბარ გამოთქმებად მივიჩნიოთ ისინი. *„ამერი“* და *„იმერი“* ჩვენი ენის სისხლხორცეული სიტყვებია და ორივე მთელი სისრულით უნდა შევინარჩუნოთ; ისეთივე სიმტკიცე გამოვიჩინოთ, როგორც ეს მუხრან მაჭავარიანის ლექსში *„ამერ–იმერი“* არის:

„ამერ–იმერი –
სიმხდალეში უსაზღვროდ ძუნწი,
ამერ–იმერი –
არასოდეს მორჩილი ბედის,
ამერ–იმერი –
სიცოცხლეზე სიცოცხლით მეტი...“

ასე რომ, ჩვენი დაბეჯითებითი აზრით, რუსული *„სევერნი“* თუ *„ბალშოი კავკაზ“* და *„ზაკავკაზიე“* და დასავლური *„ჩრდილო(ეთ) (ი)“* და *„სამხრეთ(ი) კავკასია“* ყველგან მოურიდებლად და შეუპოვრად უნდა ვთარგმნოთ და გადმოვიღოთ *„იმიერკავკასიად“* და *„ამიერკავკასიად“*. გალაკტიონის სიტყვები რომ

გადავაკეთოთ, „ეს ამერი და იმერი – მისი მრავალჟამიერი“ გავხადოთ!

დასასრულ, იმასაც გავამჟღავნებთ, როცა ენათმეცნიერთა საქმეში ვერევით, ცოტათი ეს გვაშინებს, — *დედაბერი რომ ქვეყნის ჯავრმა მოკლა*, ისე არ დაგვემართოს. მაგრამ იმისი შეგნებაც გვამხნევებს, ეს საქმე მთლად საენათმეცნიერო არ უნდა იყოს!

მინაწერი: „ამიერკავკასიას“ მხარს უჭერს სხვებიც. **გურამ ყორანაშვილი** საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის მესამე-მეოთხე ტომებზე დაწერილ რეცენზიაში შენიშნავს: „ორივე ტომში ხან «სამხრეთ კავკასია» და ხანაც «ამიერკავკასია» იხსენიება (ბევრგან)... რასაკვირველია, აქ ენობრივი ნორმის (ასევე ქართული მსოფლმხედველობიდან მომდინარე ტრადიციის) დაცვა გვმართებს «ამიერკავკასიის» სასარგებლოდ“ (ჟურ. „ჩვენი მწერლობა“, 24 აგვისტო, 2012, № 17, გვ. 49).

მეორე თავი
ქართული ენის სიწმინდისათვის

ჩვენი მეობის საძირკველი[1]

ყველასთვის ნათელია, რომ დღეს, როგორც არასდროს, ჩვენს ცხოვრებაში პრესამ და რადიო-ტელევიზიამ უაღრესად დიდი და წარმმართველი ადგილი დაიჭირა. გვინდა თუ არ გვინდა, უიმათოდ გაძლება ერთ დღესაც გვიჭირს. ისინი გახდნენ ჩვენი ყოფის განუყრელი ნაწილი, ყველა ხელობისა და საქმიანობის ადამიანის სულისა და გონების მძლავრი მასაზრდოებელი და, რაც ამჯერად გვაინტერესებს, ჩვენი მეობის, ეროვნული არსის განმსაზღვრელის, მშობლიური ენის, ფართო მომხმარებელი, მაცოცხლებელი და ჭირისუფალი. თუმცა წიგნისადმი ლტოლვამ, უფრო ზუსტად, მისი შეძენისადმი სწრაფვამ და ზრუნვამ, კარგა ხანია, არნახულ, უკიდურეს ზღვარს მიაღწია, სინამდვილეში წიგნის რიცხვი თანდათანობით კლებულობს და ის დრო, რაც ადრე წიგნის კითხვას ხმარდებოდა, უფრო და უფრო მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, მეტადრე ტელევიზიას, ეთმობა. არადა, ცნობილია, რამდენადაც მეტია საკუთარი მწერლობის, განსაკუთრებით კლასიკოსთა, გავლენა საზოგადოებაზე, იმდენად უფრო ძლიერი და დახვეწილი ხდება ენა, იზრდება მისი სიყვარული და შესწავლის წადილი, ფართოვდება მისი მოქმედებისა და განვითარების არე. ენის სიწმინდის დაცვა, მისი ღრმა და მრავალფეროვანი სიმდიდრის წარმოჩენა, გაცხოველება და ხალხში დანერგვა ჭეშმარიტი მწერლობის ძირითადი მიზანი იყო და არის, მაგრამ ამ მამულიშვილურმა საქმემ აღნიშნული მიზეზის გამო მნიშვნელოვანწილად მრავალრიცხოვან ჟურნალისტთა ხელში გადაინაცვლა.

თუ გავითვალისწინებთ ერთისა და მეორის, მწერლისა და ჟურნალისტის, შესაძლებლობებს, მათი მოღვაწეობის თავისებურებებსა და პირობებს, იმთავითვე წინასწარ შეიძლება გან-

[1] გამოქვეყნებული იყო გაზეთ „ერში“ (1 მაისი, 1991, № 13, გვ. 13).

ვსაზღვროთ ის სიძნელეები და დაბრკოლებანი, რაც ჩვენს დედაენას საზოგადოების ყოფისა და ინტერესების ხსენებულმა გადანაცვლებამ შეუქმნა. მაშინ როდესაც მწერლობა შინაგანი მოწოდებაა და არა ... თანამდებობითი იძულება, რომ ნამდვილი შემოქმედნი არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული მხატვრული სიტყვის გამორჩეული ოსტატები არიან, რომლებსაც შეუძლიათ დინჯად, აუჩქარებლად, გულმოდგინედ იმუშაონ ენის სრულყოფაზე, ამ თვალსაზრისით ჟურნალისტთა ხვედრი გაცილებით მძიმეა. გარდა იმისა, რომ ისინი სამსახურებრივად ცხოვრების ყოველდღიურ ორომტრიალში მთლიანად არიან ჩაბმულნი და ჩვეულებრივ ნაჩქარევად, სახელდახელოდ უხდებათ სამუშაოს შესრულება, ამასთანავე, არც ის არის დასამალი, ჩვენში გაბატონებული უპასუხისმგებლობის, გულგრილობის, საქმის თავის ნებაზე მიშვების, პროტექციონიზმის გამო ჟურნალისტთა სარბიელზე, მაღალ თანამდებობებზეც კი შემთხვევითი პირები საკმაოდ ბევრია.

დასმული პრობლემა რომ ახალი არ არის, ეს ჩვენი გამოჩენილი მწერლისა და უებრო მოქართულის, მიხეილ ჯავახიშვილის, წუხილიდანაც ჩანს, რომელიც მან 1928 წელს გამოთქვა: „ზოგნი სწორად ვერ ზომავენ გაზეთის ძალას. ლიტერატორი ჰქმნის მეტი ქართულს, მკითხველი კი უფრო ჟურნალისტის ენით საუბრობს. გაზეთის ენის გავლენა ასჯერ სჭარბობს წიგნისას. გაზეთი ყოველდღიური საუბრით ადვილად შლის მკითხველის გონებაში დაწმენდილ სალიტერატურო ენას და საკუთარს აბატონებს (...). ამიტომ აქვს საგაზეთო ენას გადამწყვეტი ძალა“ (რჩეული თხზულებანი, VI, 1964, გვ. 368).

ენის ბატონობის შესაძლებლობაზე საუბრისას, რასაკვირველია, იგულისხმება არა მხატვრული, არამედ ჩვეულებრივი სასაუბრო–სალიტერატურო ენა. ძალიან გულსაკლავია ისიც, როცა მხატვრულ ნაწარმოებში საგაზეთო ენის სიჭარბე იგრძნობა, მაგრამ ეს სხვა საკითხია და ამჯერად მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ კვლავ მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებს დავიმოწმებთ, თუ როგორ იცავდა მწერალი თავს პრესისა და უცხო ენათა ზემოქმედებისაგან: „ზოგს ჰარადოქსად ეჩვენება,

მაგრამ მაინც ვიტყვი: მწერალი გაზეთს მხოლოდ გაკვრით უნდა ათვალიერებდეს. ქართველი მკითხველი განსაკუთრებულ ჰირობებშია. მას არ გააჩნია მუდმივი წუარო ქართული წიგნებისა და ამიტომ, სანამ ახალი საკითხავი წიგნი გამოვიდოდეს, ის საგაზეთო ქართულით იკვებება. ეს ქართული კი ძალაუნებურად ღარიბია, მოუქნელი, ბნელი და ერთფეროვანი. ამგვარი ქართულის კითხვა-ვარჯიშობას მე მირჩევნია ლექსიკონი და «ვისრამიანი» ვიკითხო. ამ სისტემას ნამეტან მაშინ ვასრულებ ხოლმე მტკიცედ, როცა მოთხრობას ან რომანს ვწერ. სანამ წერას შევუდგებოდე, კარგა ხანს აღარც უცხო ენაზე დაწერილ წიგნს ვეკარები. მიზანიც გასაგებია: ტვინის ენობრივი აპარატი სუფთა ქართულ მეტყველებაზე გადმომაქვს" (იქვე, გვ. 392).

ყველაზე დიდი ენობრივი ნიაღვარი, რომელიც თავანკარა ქართულს ამღვრევს, ის მოზღვავებული თარგმანებია, რომელთა უმეტესობა რუსულიდან მომდინარეობს, ყველა სფეროს მოიცავს, მათ შორის, მეცნიერებასა და მწერლობასაც, მაგრამ გაცილებით მძლავრი და სწრაფგამტარი ნაკადები, პირდაპირ და უშუალოდ ხალხის ფართო ფენებს რომ უკავშირდება, მაინც პრესა და რადიო-ტელევიზიაა.

დიახ, სად, რომელ დარგში არ შეხვდებით აზრობრივად და გრამატიკულად ქართულისათვის უცხო რუსულ კალკებს! შორს რომ არ წავიდეთ, განა ცოტაა ამგვარი ენობრივი დარღვევები ჩვენს ჰუმანიტარულ და, კერძოდ, ფილოლოგიურ მეცნიერებაში, რომელსაც ენის სიწმინდის დაცვა სხვა დარგებთან შედარებით კიდევ უფრო მეტად მოეთხოვება?! რამდენი წიგნია გამოსული ამგვარი სათაურით: ნარკვევები ან ეტიუდები ძველი, ახალი ან უახლესი ქართული ლიტერატურის, ანდა ხაზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, ან კიდევ: ლიტერატურული თუ ენობრივი ურთიერთობიდან, ნაცვლად იმისა, რომ იყოს ისტორიაზე, ურთიერთობაზე. ახლა უფრო შორს წავიდეთ. იბეჭდება წიგნები ასეთი სახელწოდებით: „ქართული ფილოსოფიური აზრის ნარკვევები". რვა ტომად გამოიცა „საქართველოს ისტორიის ნარკვევები" და ა.

შ. ვკითხულობთ თანამედროვე მწერლობაზე გამოქვეყნებულ გამოკვლევებსა და წერილებს და მათში ხშირად ისეთ უცხო, არსებითად რუსული ენიდან მექანიკურად გადმოტანილ ქართულისათვის უცნაურ შესიტყვებებსა და წინადადებებს ვხვდებით, აზრის გამოტანა ჭირს. რა თქმა უნდა, ეს არ არის ე. წ. სამეცნიერო ენა. ეს მშობლიური ენის დამახინჯებაა!

რუსული კალკებით სავსეა ჩვენი ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის ენა, რომელიც ყოველდღიურად გამუდმებით ყურს უჭედავს ქალაქად და სოფლად ყველას — მოსწავლეს, სტუდენტს, მასწავლებელს, ექიმს, ინჟინერს, მწყემსს, მევენახეს, ყანის მუშას, მეჩაიეს, დიასახლისს, მოხუცსა და ახალგაზრდას... და მერე იმდენად ეჩვევა მას ყური, იმდენად გვიჯდება ძვალსა და რბილში, უცხო და მშობლიური ერთმანეთისაგან ვეღარ გაგვირჩევია.

აი, ახლახან მიღებულ გაზეთ „*ახალგაზრდა ივერიელში*“ (№ 1, 1991) ცნობილი მწერლის, გაბრიელ მარკესის, ინტერვიუში ვკითხულობთ: „იაპონიაში ჩემი წიგნები არაჩვეულებრივი მოთხოვნილებით სარგებლობენ“. იმდენად გავითავისეთ გამოთქმები „ჰოპულარობთ სარგებლობს“, „მოთხოვნილებით სარგებლობს“, რომ აღარ გვეხამუშება ისინი, თუმცა კარგად ვიცით, აქ ლაპარაკია არა *სარგებლობაზე*, არამედ იმაზე, რაც ბუნებრივი ქართულით ასე ითქმის: „იაპონიაში ჩემს წიგნებზე არაჩვეულებრივი მოთხოვნილება არის, მოთხოვნილებაა“.

გაზეთებში იბეჭდება და რადიოდან და ცისფერი ეკრანიდან ხშირად გვესმის: ჩვენმა გუნდმა, მავანმა და მავანმა სპორტსმენმა მძაფრ ბრძოლაში პირველობა არვის დ ა უ თ მ ო, ან ამასა და ამას დ ა უ თ მ ო, თვითონ კი მეორესა თუ მესამე ადგილს დ ა ს ჯ ე რ დ ა. სინამდვილეში იქვე ჩანს, შეჯიბრება იმდენად შეუპოვარი და შეუვალი ყოფილა, „*დათმობა*“ და „*დაჯერება*“ გამორიცხულია. ამ სიტყვებში კი საკუთარი სურვილი და ნება გარკვეულწილად ყოველთვის იგულისხმება.

გაზეთები და რადიო-ტელევიზია სარკინიგზო შემთხვევებზე (რაც ამ ბოლო დროს ასე გახშირებულია!) ჩვეულებრივ ამგვარად იუწყებიან: იგი ამა და ამ ქალაქიდან ამდენი კილომეტრის დაშო-

რებით გადასარბენ ხაზზე მოხდაო. რკინიგზა მატარებლის სარბენ ხაზად ან თუნდაც გზად ქართველთა წარმოდგენისათვის რომ უცხო და მიუღებელია, ამაზე აღარ ვფიქრობთ.

რადიოდან და ტელეეკრანიდან ხშირად გვესმის: ჩვენი გადაცემები თუ პროგრამა დასასრულს მიუახლოვდაო. ზოგჯერ კი ამას მაშინაც ამბობენ, როცა გადაცემა ამ სიტყვებით მთავრდება და არც ერთი სიტყვა ან კადრი აღარ ემატება.

ცხადია, ეს სიტყვები საკავშირო ცენტრალური რადიოდან და ტელევიზიიდან მექანიკურადაა გადმოტანილი. არადა, რაც ჩვენ გვაკლია და მათგან გვმართებს სწავლა და გადმოღება, ეს უპირ-ველესად დიქტორთა და „წამყვანთა“ საუბრის მაღალი ხელოვ-ნებაა. დიდი ხიბლი აქვს ზეპირ მეტყველებას, მაგრამ, როცა ამას ვერ ვახერხებთ, ვბორძიკობთ, ვტანჯავთ მსმენელსა და მაყურებელს, ისევ სჯობს, დაწერილი წავიკითხოთ, რასაც დიქტორთა ნაწილი ცუდად როდი აკეთებს. თუკი საქმეს მეტი ყურადღებითა და ბეჯითად მივუდგებით, ძალიან გვეეჭვება, ქართველთა შორის უფრო მაღალკვალიფიციური დიქტორები და „წამყვანები“ არ შეირჩეს, ვიდრე ზოგიერთია.

რუსული პრესისა და რადიო-ტელევიზიის ზეგავლენით ამ ბოლო დროს ჩვენში ძალიან გახშირდა უცხო სიტყვების — ინ-ფორმაცია, რეალიზაცია, სტაბილიზაცია, ფუნქციონირება, დიქტა-ტი, დეფიციტი და სხვათა — ხმარება. „მაღალ წრეებში“, ოფიციალურ საუბრებსა და ნაწერებში თითქმის მთლიანად განი-დევნა მათი შესატყვისი ქართული გამოთქმები. ვწერთ და ვამ-ბობთ, „ინფორმირებული ვართ“. არადა, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ: „გავიგეთ“, „გაგვაგებინეს“, „ვიცით“, „გვაცნობეს“, „შეგვატყობინეს“.

სადაც სახელდობრ მსჯელობაა *გაყიდვაზე, გასაღებაზე* ან *განხორციელებაზე*, ამ სიტყვებს გვერდს ვუვლით და მაიცადა-მაინც განმაზოგადებელი შინაარსის „*რეალიზაციას*“ მივმარ-თავთ. სადაც ითქმება „*წესრიგი აღდგენილია*“, „*სიმშვიდეა*“ ან „დაწესებულება მუშაობას შეუდგა“, ვამჯობინებთ უცხო სიტყვებს — „მდგომარეობა სტაბილური ხდება, გახდა“, „დაწესებულება ფუნქციონირებს“.

ახლახან გაზეთმა „სამშობლომ“ გვამცნო: „ქაღალდის დეფიციტის გამო დღევანდელი ნომერი ოთხგვერდიანია“ (№ 26, 1990). გაზეთი „ერი“ კი წერდა: „რესპუბლიკაში შექმნილი საგაზეთო ქაღალდის მწვავე დეფიციტის გამო...“ (20. 12. 90). ცხადია, ქართველი კაცისათვის უფრო გასაგები, ზუსტი და მისაღები იქნებოდა, აღგვენიშნა: „ქაღალდის სიმცირის ან ნაკლებობის გამო...“

რა თქმა უნდა, იყო პირდაპირი, უხეში ადმინისტრაციული ჩარევა და „მშვიდობიანი“, მოქნილი, შემპარავი ზემოქმედებაც, მაგრამ ყველაფერს რომ საკავშირო თარგზე ვჭრიდით, უმთავრესად მაინც ჩვენი დაუდევრობისა და უნიათობის ბრალი გახლდათ.

ათეული წლების განმავლობაში ასე მკვიდრდებოდა ჩვენში სპორტულ კლუბთა სახელწოდებანი – „დინამო“, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“... და ქართულ ჟურნალ-გაზეთთა ვითომცდა ქართული სახელები – „საქართველოს კომუნისტი“, „საქართველოს ქალი“, „ნიანგი“.

სხვებს რომ თავი დავანებოთ, რატომ უნდა ერქვას ქართულ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალს „ნიანგი“? რა საერთო აქვს ამ წყალხმელეთას ჩვენს სინამდვილესთან, მით უფრო, იუმორთან? ნამდვილად არაფერი! ერთადერთი მიზეზი მისი გაჩენისა ისაა, რომ ასევე იყო სახელდებული ამგვარივე მოსკოვური რუსული ჟურნალი „კროკოდილი“. ადრინდელი ჩვენი ამ სახის გამოცემათა სახელწოდებანი კი – „ეშმაკის მათრახი“, „ეშმაკის მახე“, „ეშმაკის სალამური“, „ხუმარა“, „ტარტაროზი“ – ქართველთა ყოფისა და წარმოდგენების გამომხატველი იყო.

დაწყებული საქმე – დავიბრუნოთ ჭეშმარიტი ქართული სახელები – ბოლომდე უნდა მივიყვანოთ!

ხალხში ჩვეულებრივ იხმარება მოკლე და ტევადი ქართული სიტყვები – „შარშან“, „წელს“, „წლეულს“, „გაისად“, წიგნიერთა წრეში უფრო გავრცელებულია რუსული თარგმანი – „გასულ წელს“, „მიმდინარე წელს“, „მომავალ წელს“. „ნაშუადღევის“ მაგივრად ხშირად ვამბობთ „დღის მეორე ნახევარში“. ხან კი ამ ქართულ სიტყვასაც სწორად ვერ ვიყენებთ: კარგა ხნის

წინათ საქართველოს ტელევიზიამ შემოიღო პროგრამა „ნაშუადღევს“, რომელიც დღის პირველ საათზე იწყება. დღე-ღამის ახლანდელი, იანვრის, საათობრივი დაყოფით (და არა მაშინდელით, როცა ეს გადაცემა შემოღებულ იქნა!) დღე პირველ საათამდე მართლაც მეტია, მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევს უფლებას აღნიშნული დრო *ნაშუადღევად* მოვიხსენიოთ. ქართველთა ცნობიერებით, და ეს კიდევ უფრო ითქმის სამუშაო დღეზე, დღის პირველი-ორი საათი ყოველთვის *შუადღეა* და არა *ნაშუადღევი*.

სამწუხაროდ, ქართული ენის ნორმათა დარღვევის მაგალითთა დასახელება დაუსრულებრივ შეიძლება გაგრძელდეს. ვინ მოთვლის, რამდენი შემთხვევა სხვათა მიერ ადრეც იყო მითითებული! ისიც ცხადია, დედაენის ამღვრევის ერთადერთი მიზეზი უცხო ენები არ არის... და, თუ ჩვენ მაინც საკითხი მხოლოდ ამ კუთხით წარმოვადგინეთ და მარტივ ჭეშმარიტებაზე ასე დაწვრილებით შევჩერდით, იმიტომ, რომ ხაზგასმით წარმოგვეჩინა თანამედროვე პირობებში პრესისა და რადიო-ტელევიზიის როლი ქართული ენის სიწმინდის დაცვაში, რათა ერთიანი ძალისხმევით ვიღვაწოთ ამ საშვილიშვილო საქმის წარმატებით მოსაგვარებლად.

დასასრულს, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს, როცა ყველანი, დიდი თუ პატარა, ტელეეკრანებს ვართ მიჯაჭვულნი და გაფაციცებით ვცდილობთ, რაიმე მნიშვნელოვანი გადაცემა არ გამოგვრჩეს, ტელეპროგრამების პრესითა და რადიო-ტელევიზიით რამდენიმეჯერ გაცნობა საკმარისი აღარ არის. ჯერ ერთი, პრესას თბილისშიც დაგვიანებით ვიღებთ, რაიონებში ხომ მეორე და მესამე დღეს ჩადის. მეორეც, თუ ამას და სხვა მიზეზებსაც ჩვენი რადიო-ტელევიზიის მესვეურები გაითვალისწინებენ და ყოველი პროგრამის დასაწყისში მომდევნოსა და მისი დაწყების დროს გვეტყვიან, დიდად დაგვეხმარებიან და მნიშვნელოვან შეღავათს გაგვიწევენ სამუშაო დროის განაწილებაში.

მინაწერი: ბოლო ხანებში კერძო ტელე და რადიო მაუწყებლობის მომრავლებამ ქართული ენის სიწმინდე კიდევ უფრო დააზიანა. განმკითხველი სახელმწიფო აღარაა. ადრე საქართველოს პრეზიდენტს ექვემდებარებოდა ქართული ენის სახელმწიფო კომისია და არსებობდა ენის პალატა. ე. წ. სამეცნიერო რეფორმის შედეგად ეს დაწესებულება გადაეცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. მისმა „რეფორმატორმა“ მინისტრმა ალექსანდრე (კახა) ლომაიამ კი ისინი გააუქმა.

საქართველოს „დამოუკიდებლობამ“ და დასავლეთზე ორიენტაციამ ქართული ენა ახალი მღვრიე ნაკადებით შეავსო. ინგლისურიდან შემოგვაქვს უამრავი სიტყვა და გამოთქმა, რომელთა ბადალი არა ერთი და ორი მოგვეპოვება. საქმე იქამდე მივიდა, აქაოდა ინგლისურში ასეაო, ხმარებიდან ამოვიღეთ სიტყვა „სახელობის“. გვქონდა: *„შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი“*. გავამარტივეთ და გვაქვს: *„შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი“*. ასე შეიქმნა *„ილიას უნივერსიტეტი“* და სხვა. ახლა კი ველარ გაგვირჩევია, რა განსხვავებაა *„ილიას უნივერსიტეტსა“* და *„ილია კუჭუხიძის უნივერსიტეტს“* შორის, რომელიც კერძო დაწესებულებაა და ბატონ ილია კუჭუხიძეს ეკუთვნის. სულ სხვაა, როცა ღვთისმშობლის სახელობაზე აგებულ ეკლესიას *„ღვთისმშობლის ეკლესიად“* მოვიხსენიებთ. ამას რელიგიური გაგება აქვს: იგულისხმება, რომ ეს ტაძარი ღვთისმშობლისაა, მას ეკუთვნის.

საკითხის დამატება

8 იანვრის ტაბუ

თუმცა ეს ჩანაწერი ეთნოგრაფიულია და არა ფილოლოგიური კვლევა, მაგრამ, რადგან ლექსს ეხება, თავს უფლება მაინც მივეცით, იგი ამ წიგნში შემოგვეტანა.

ერთხელ, ჩემს ბავშვობაში, მეორე მსოფლიო ომი დამთავრებული იყო, მამაჩემი ჩვენს მეზობელთან ერთად შეშის

მოსაჭრელად ტყეში წავიდა. ზამთრის დაღვრემილი დღე იდგა. მალე ამინდი შეიცვალა. ამოვარდა გრიგალი და წვიმამ და სეტყვამ წამოუშინა. მამათის ღელე, რომელიც ჩემს სოფელში უმოკლესია ტყეში შესასვლელად და ერთადერთი გზაა ურმით შეშის გამოსატანად, როგორც ამ დროს იცის ხოლმე, ერთბაშად ისე გადაირია, ხე და მიწა მოჰქონდა. დრო გადიოდა, მაგრამ არც მამაჩემი და არც მისი თანმხლები პირი არ ჩანდა. ყველანი შევშინდით, უფრო ბებიაჩემი. შიშმა ის უფრო მას შემდეგ აიტანა, როცა გაახსენდა, რომ 8 იანვარი იდგა. მაშინ მისგან გავიგონე ლექსად ნათქვამი თქმულება:

იანვარსა რვასაო,
ნუ გადახვალ კარსაო,
ნუ ენდობი მეგობარს,
ნურცა ცოლის ძმასაო.

საღამო ხანს მამაჩემი და მისი თანმხლები მეზობელი ნაქეიფარი დაბრუნდნენ. ამინდი რომ გაფუჭებულა, ტყის პირას მცხოვრებ ერთ ოჯახში მისულან და მთელი დღე კარგად მოულხენიათ.

ბებიაჩემი კესა (კესარია) ვადაჭკორია (1860–1965) სოფელ ჭანჭათიდან (ლანჩხუთის რაიონი) იყო. ეს შეგონება შემდეგ ჩემსა და სხვა მეზობელ სოფლებშიაც მომისმენია, ოღონდ ბოლო სტრიქონებს სხვადასხვაგვარად ამბობდნენ: მაგალითად, „ნუ ენდობი მეზობელსო“.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ეს ან ამგვარი გალექსილი შეხედულება აღრიცხული და შესწავლილია თუ არა, არ ვიცი. ერთ ეთნოლოგსაც ვკითხე, მაგრამ ვერაფერი მითხრა. ვიმეორებ, აქ იგი ამიტომაც შემოვიტანეთ.

ბარემ აქვე შემოკლებით მოვიყვანთ ერთ ტექსტს, სადაც ტაბუდადებულ დღეებზეა საუბარი. 1873–1876 წლებში ერისთო მელაძის გადაწერილ კრებულში ვკითხულობთ: „1. იანვარსა აქვს შვიდი დღე ცუდი: პირველი, მეოთხე, მეთერთმეტე, მეთ(ვ)რამეტე,

მევოცე (!),მეოცდამეოთხე. იანვრის ეს დღეები ცუდია (ჩამოთვლილია 6 დღე. — **ბ. დ.**).

2. თებერვალს აქვს სამი დღე ცუდი: მეოთხე, მეთერთმეტე, მეთ(ვ)რამეტე. ეს დღეები ცუდია.

3. მარტს აქვს ვორი დღე: მეშვიდე, მეჩვიდმეტე. მარტის ეს დღეები ცუდია“ და ა. შ. (ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა A-1080, 15 v –16 r).

ეს წიგნი სასტამბოდ გავამზადე და ჩემს თავზე ერთხელ კიდევ მწარედ გამეცინა: მეც ისე ვიქცევი, როგორც აკაკი ბელიაშვილის მოთხრობა *„ქოჩორას“* ეტლის ცხენს ემართება: „პენსიაზე“ გასვლის შემდეგაც ყოველდღიურად წყალტუბო-ქუთაისში ისე მიდი-მოდის, როგორც მრავალი წლის განმავლობაში ამას აკეთებდა!

მერედა, ნიჭსა და უნარს რომი თავი დავანებოთ, რა შრომა და ხარჯები სჭირდება მარტო ერთი პატარა გამოკვლევის დაწერასა და გამოქვეყნებას?! გონებიდან არ ამომდის აკაკი შანიძის ერთი დაჩივლება, რომელიც ზემოთაც მაქვს აღნიშნული: *კარგი საქმისათვის მადლობას არავინ გეტყვისო.* ყველაზე უფრო ეს სინამდვილე დღევანდელობას ესადაგება. ველურმა კაპიტალიზმმა, რომელმაც ორი ათეული წელია, ჩვენთან შემოაბიჯა და მკვიდრდება, სულიერება დაუნდობლად გათელა და ცხოვრების ერთადერთ არსად ფული დასახა. განათლებისა და მეცნიერების ე. წ. რეფორმამ, რომელიც **მიხეილ სააკაშვილის** მთავრობამ მართლაც რომ ველურად ჩაატარა, ეს დარგები მიწასთან გაასწორა. ჩემს მაგალითზე ვიტყვი: 2008 წლის იანვრის ბოლოდან, რაც ლიტერატურის ინსტიტუტიდან „მეცნიერთა ბანდამ“ საბოლოოდ „ჩამრეცხა“ და სამსახურიდან გამაძევა, ხოლო ინსტიტუტში დატოვებულნი, მცირეზე მცირე გამონაკლისის გარდა, რა საცოდავად ჯახირობენ, მე კი, ზემონათქვამი უნდა გავიმეორო, ყოველწლიურად თითო წიგნს ვაქვეყნებ. წინამდებარე მეექვსეა (სულ ცხრაა), დაწერილი და გამოსაცემი ოთხი მრჩება, რომლებიც, ამაზე არნაკლები სიდიდისა არის. დავთვალე და 2012 წელს 250 გვერდზე მეტი მოცულობის სტატიები კომპიუტერში შემიყვანია.

და ყოველივე ამას იმ მიზერულ პენსიაზე მყოფი ვაკეთებ, რასაც სახელმწიფო, ყოფილი პარლამენტარების, ძალოვანი და სამართლებრივი მუშაკებისაგან განსხვავებით, საყოველ-

თაოდ იძლევა. უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომელთათვის არსებობს პენსიის ფორმა „ემირიტუსი“, როცა მათ პენსიაზე გასვლისას ხელფასი უნარჩუნდებათ. რა დააშავეს სხვა მეცნიერებმა, რომ რაიმე შეღავათი მიეცეთ, არ ვიცი და იმასაც ვხედავ, ამაზე ხელისუფლება არც ფიქრობს!

დიახ, ნიჭთან ერთად წიგნის დაწერასა და გამოცემას დიდი შრომა და ხარჯები სჭირდება, საქმე კი ისეა მოწყობილი, მომხმარებელი აღარა ჰყავს! სახელმწიფო მეცნიერებაზე აღარ ზრუნავს. იგი ენთუზიასტთა ანაბრად არის მიგდებული; მათი რიგები თანდათანობით მცირდება. ვინც კი რაიმე უფრო შემოსავლიანი ადგილი იპოვა, ამ „წყეულ“ ასპარეზს ტოვებს და გარბის. ახალგაზრდობა კი რა იმედით უნდა მოვიდეს?! და, თუ ვინმე მოდის, ეს ჯერ კიდევ ინერციით ხდება.

წლები გვქონდა, მიუხედავად იმისა, რომ წიგნები წარმოუდგენლად ისე დიდი ტირაჟით გამოდიოდა, დღეს არც დაგვესიზმრება, მათი შოვნა საოცრად ჭირდა. ახლა იმ რიცხობრივად შემცირებულ მკვლევრებს, რომლებსაც წიგნი სჭირდებათ, მისი შესაძენი ფული არა აქვთ. ავტორთა საქმეს ისიც უაღრესად აფუჭებს, რომ, გარდა იმისა, უმცირესი ტირაჟით გამოცემულ ნაშრომებს ვერ ასაღებს, თავის მხრივ, „საგადასახადო“ კარზე ფეხმოუცვლელ მევალედ უდგას: მეგობრების, ნათესავებისა და კოლეგებისთვის ნაჩუქარ წიგნებს გაყიდულად უთვლის და მისგან წილს მოითხოვს. ხელისუფლება გაჭრილად და პირდაპირ არ გვეუბნება, მაგრამ დაბეჯითებით გვაგრძნობინებს, ამ საქმეს თავი დაანებეთო!

ამ ვითარებაში „წიგნის კაცს“ ბევრნაირი დამცირებისა და შეურაცხყოფის მოსმენა და ატანა უხდება...

ჩემიანები გაოცებული არიან, სამსახური არა მაქვს და მაინც არქივებსა და ბიბლიოთეკებში „დავკვრები“. კიდევ უფრო იმაზე, ფულს ვსესხულობ და, თუკი ორიოდე თეთრი ვიშოვე, შრომების მომზადებასა და გამოცემას ვახარჯავ. მათგან კი არაფერს ვლებულობ. ზოგიერთს ამაზე კიდევაც ეცინება. ·

ერთხელ ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელ მდივანთან, მწერალ **ავთანდილ ადეიშვილთან**, ერთად რუსთაველის გამზირზე ვდგავარ და ვსაუბრობთ. ჩამოგვიარა მისმა ნაცნობმა მაღალმა, წარმოსადეგმა ასაკოვანმა ქალბატონმა, რომელსაც, აღარ მახსოვს, კახელი თავადიშვილის — ჯანდიერისა თუ ვაჩნაძის — გვარი ჰქონდა. ზედ ეტყობოდა, თავის დროზე რა დიდებული გარეგნობის მანდილოსანი უნდა ყოფილიყო. ჩვენთან მოვიდა და ავთოს შინაურულად გამოელაპარაკა. ავთომ ჩემი თავი გააცნო, *პროფესორიაო*. ის მომიბრუნდა და, რა თქმა უნდა, ხუმრობით მითხრა: *სხვა საქმე არაფერი გქონდაო?* მეც ვითომ ხუმრობით ბოდიში მოვუხადე, *მეტი ვერაფერი შევძელი-მეთქი!*

ბარემ თავს უფლებას მივცემ და აქ ერთ ამბავსაც მოვყვები:

შემთხვევა ავტობუსში[1]

ამას წინათ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობიდან გამოვედი. ჩვენს ეროვნულ (ყოფილ საჯარო) ბიბლიოთეკაში მივდიოდი. იქამდე ავტობუსის ორი გაჩერებაა. ამ მანძილს და კიდევ მეტს ჩვეულებრივ ფეხით გავდივარ ხოლმე, მაგრამ ამჯერად მიმეჩქარებოდა, ბიბლიოთეკაში ბლომად მოსასწრები საქმე მქონდა, ამიტომ ავტობუსით წასვლა გადავწყვიტე. უკანა კარებიდან ავედი. ცქრიალა გოგონა სკამიდან მაშინვე წამოხტა და ადგილი დამითმო. „გავჯავრდი“ და ხმამაღლა მივმართე: მე გოგოებს თვალებს ვუპრაწავ და შენ ჩემი სიბერე მთელ ქვეყანას გააგებინე-მეთქი. ამხანაგები ახლდნენ და გაიცინეს.

მერე იმავე ტონით ვუთხარი: არ გეშინია, ლომაიამ რომ დაგინახოს და დაგსაჯოს, მან ხომ გასწავლათ და გაგაფრთხილათ, ტრანსპორტში ბილეთი გაქვს ნაყიდი და ადგილი შენია, არავის დაუთმოო!

ვიღაცამ დაიძახა: *ჩანს, ეს გოგონა ოჯახშია გაზრდილიო.*

---

[1] დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (29 დეკემბერი, 2012, № 252, გვ. 12).

– რა, შენი ყურით გაიგონე, კახა ლომაიამ ეს რომ თქვა? – შემომედავა ჩემსავით ხანდაზმული, უკანა კარებთან ხელმარჯვნივ ჩვენკენ პირით მჯდომი გაუპარსავი კაცი.

– არა, მისგან არ გამიგონია, მაგრამ ბევრისგან კი ნამდვილად მსმენია. მისი მინისტრობის დროს არაერთი აბიტურიენტის მშობელს ჩემთვის უთქვამს: სახელმძღვანელოდ გამოსულ „უნარ-ჩვევების“ სამაგალითო კითხვა-პასუხებში კითხვაზე – ტრანსპორტში მოხუცს უნდა დაუთმო თუ არა ადგილი? – სამი თუ ოთხი სავარაუდო პასუხიდან სწორად მიჩნეულია – „არა!“. ასეაო ახსნილი: იმ ადგილში ფული გაქვს გადახდილი და შენ გეკუთვნისო. ყოველ შემთხვევაში, ასე რომ ლაპარაკობდნენ, ნაღდია, კვამლი კი, ამბობენ, უცეცხლოდ არ არსებობსო. ყოველ შემთხვევაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თუ სხვა ვინმეს ეს რომ გაეპროტესტებინოს, ნამდვილად არ მახსოვს!

ის კი ტელევიზიით მთელმა საქართველომ იხილა, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, სწორედ **ალექსანდრე (კახა) ლომაიამ**, რომელმაც განათლებისა და მეცნიერების ე. წ. რეფორმა ჩაატარა, თბილისელმა ქართველმა კაცმა, მოსწავლეთა წინაშე დაფაზე „ბავშვი“ რომ ვერა და ვერ დაწერა! ეს თქვენ არ გინახავთ? მაშინ რამდენი მოქმედი და ღირსეული მეცნიერი სამსახურიდან გაყარეს, „ჩარეცხეს“!

– მე მეცნიერი ვარ და ახლაც ვმუშაობ. – მანვე „წყალგაუვალი“ საბუთი მომიტანა.

– რამდენი წიგნის ავტორი ბრძანდებით? – ვეკითხები მე.

– მე ტექნიკური დარგის მეცნიერი ვარ. შენ რამდენი გაქვს?

– ცამეტი. – აღარ დავუზუსტე, რომ რვა წიგნი გამოცემული მაქვს და ხუთი – გამოსაცემად გამზადებული. არც ის მითქვამს, კახა ლომაიამ რა ძლევამოსილები გახადა თავისი ცოლის დაქალები და ერთიანად როგორ ანადგურებენ ეროვნულ ცნობიერებას და მის უპირველეს გამოხატულებას, ქართული ლმტერატურის ისტორიის შესწავლას.

— შენისთანებს კომუნისტები მოსწონთ და ლომაია არ მოეწონებათ, — აგრძელებს იგი.

— რა შუაშია აქ კომუნისტები?! რა მეცნიერიცა ბრძანდებით, მაგ ლოგიკასა და აზროვნების წესში გეტყობათ. გაეცანით ლომაიას ქონებრივ დეკლარაციას, გაზეთ „ასავალ-დასავალში“ რომ დაიბეჭდა, და ნახავთ: თავიდან რა ქონების პატრონი ბრძანდებოდა იგი (მისი მშობლები, ოჯახი) და რა ქონება იშოვა მინისტრობისას. საიდან?!

ამასობაში ავტობუსი ილიასა და აკაკის ძეგლთან მივიდა. რომ ჩავდიოდი, ჩემმა „ოპონენტმა“ მომაძახა:

— რამდენი შვილიშვილი გყავს?

— იცი, ჩემმა ღორმა რამდენი გოჭი დაყარა?! — წავიხულიგნე და მყისიერად მივახალე. ავტობუსში ხარხარი ატყდა.

¤

თუ თვალს გავუსწორებთ, ასეთია მწარე სინამდვილე!

პირთა საძიებელი

სამწუხაროდ, დაბეჭდვისას ტექსტი საგრძნობლად დაიძრა. ამიტომ გვერდთა სათვალავის ცდომილება ზოგჯერ ერთი გვერდი და აქა-იქ მეტიც მივიღეთ.

ა

აბაშელი ალექსანდრე 75.
აბაშიძე გრიგოლ 449, 456, 497.
აბაშიძე ირაკლი 209, 221, 133, 362, 435, 449.
აბაშიძისშვილი პაატა 85.
აბდულაბეგი (ბატონიშვილი) 85.
აბედათელი ბანძელა ნ *მიქაძე გივი.*
აბესაძე გურამ 467.
აბზიანიძე გიორგი 449.
აბო თბილელი ნ *ჰაბო ტფილელი.*
აბრაჰამი 115.
აბულაძე დავით 492–493.
აბულაძე თამარ 238–239.
აბულაძე ილია 6, 40,44, 209, 221, 229, 233, 279–280, 380, 407, 466.
აბულაძე იუსტინე 29, 321, 340, 349, 361, 492, 544.
აბულაძე მირიან 413–414, 416, 419, 432, 454, 459, 467, 491–496.
აბულაძე რეგინა 492.
აბულაძე სოლომონ 492.
აგაჯანოვი ჯალილა 453.
ადამი (ბიბ.) 27, 109, 145.
ადაძე 572.
ადომლიშვილი შალვა 516, 518.
ავაგი 354.
ავალიშვილი გიორგი 47, 51, 54, 112–117, 136, 149.
ავთანდილი („ვეფხისტყაოსანი") 111, 122– 123, 310.
ათანასე ათონელი 534.
ათანელიშვილი ნ. 6.
ალავიძე მიხეილ 605.
ალანია ვასილ მიხეილის ძე 447.
ალანია ილია (ილო) 447, 467–468
ალანია ნანა 470.
ალანია ნოდარ 69, 410–411, 413, 415, 447–470, 495–496.
ალასანია გიული 545.
ალექსანდრე 70, 73, 523.
ალექსანდრე მაკედონელი 16.
ალექსანდრე მეოთხე (იმერეთის მეფე) 103.
ალექსანდრე მეხუთე (იმერეთის მეფე) 103.
ალექსიძე ზაზა 581, 590.
ალი-ფაშა 608.
ალფაიძე 572.
ამაშუკელი რეზო 445.
ამილახვარი (სარდალი) 104.

ამილახვარი ათანასე, ტფილელი 101.
ამილახორი ოთარ 85.
ამირანაშვილი შალვა 397.
ამირეჯიბი ჭაბუა 328.
ამირხანაშვილი ივანე 11–13.
ამისულაშვილი გ. 304.
ამონიოს ერმისი 359.
ანა (ანახანუმი) 106, 130.
ანასტასია (დიმიტრი ბაგრატიონის ასული) 148–149.
ანდრონიკაშვილი ელეფთერ 316.
ანდრონიკაშვილი ოტია 49.
ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო 382.
ანდღულაძე ლია 319, 414, 437, 446, 491.
ანთაძე 572.
ანნა (მონაზონი) 79.
ანტონოვი ზურაბ 451.
ანტონ პირველი, ბაგრატიონი, კათალიკოსი 41–42, 116, 353.
არდაზიანი ლავრენტი 375.
არდაშელ 83.
არველაძე ბონდო 300, 333, 616.
ართმელიძე 572
არისტოტელე 23, 162, 266.
არსენა 461–462.
არსენ ბერი 356.
არსენ ბულმაისიმისძე 374–375, 382.
არსენ იყალთოელი 356, 359, 361.
არსენ პირველი დიდი 361.
არუთინა 33.
არჩილი 617–618.
არჩილი („ოთარაანთ ქვრივი“) 172, 181.
არჩილ მეორე 15–34, 119, 125, 136, 202–206, 244, 264–265, 271, 286, 352, 360, 445, 548–551, 554.
ასათიანი ლადო 471, 497.
ასათიანი ლევან 449, 455.
ასკილაშვილი 577.
ასკილაშვილი ნინო 577.
ასლანიშვილი ალეკო 484.
ასფალგი ი. 293.
აუგაიტიტე გენია 492–493.
აფრიდონიძე შუქია 559, 625.
აფხაზავა ილია 614.
აღათოკლე 371.
აღნიაშვილი ლადო 86.
აჭარიანი ჰრაჩია 618, 621.
ახალაძე ლია 269.
ახვლედიანი გიორგი 349, 395, 402–403.
ახვლედიანი გიორგი ნ *მორჩილაძე აკა.*
ახმეტელი სანდრო 341.
ახუაშვილი იაკობ 612.

ბ

ბააკაშვილი ვახტანგ (გუგული) 498.
ბაბათაშვილი 134. .
ბაბუნაშვილი ელენე 489.
ბაბუშია 573.
ბაგრატ ბატონიშვილი,

მუხრანბატონი 2, 68, 100, 360–361.
ბაგრატ ერისთავთ ერისთავი 361.
ბაგრატ მეოთხე (იმერეთის მეფე) 101, 553.
ბაგრატიონი ბარბარე 370.
ბაგრატიონი გიორგი 372.
ბაგრატიონი გიორგი ვახტანგის ძე 51.
ბაგრატიონი დავით 380.
ბაგრატიონი დიმიტრი 47, 55–56, 58–59, 136–137, 139, 142–150, 382, 444.
ბაგრატიონი ვახუშტი ნ *ვახუშტი ბატონიშვილი.*
ბაგრატიონი თეიმურაზ ნ *თეიმურაზ ბატონიშვილი.*
ბაგრატიონი იოანე 622.
ბაგრატიონი იოანე გიორგის ძე 383.
ბაგრატიონი მარინა–მაკრინა 79.
ბაგრატიონი პეტრე 150
ბაგრატიონი (მუხრანელი) გრიგოლ 150.
ბაგრატიონები 372.
ბადურაშვილი თეიმურაზ 480.
ბაიაშვილი ს. 319.
ბალახაშვილი იაკობ 613.
ბალენდუხტ დედოფალი 617.
ბალმონტი კ. 293.
ბაჟანი მიკოლა 296.
ბარათაშვილი ანასტასია 370.
ბარათაშვილი ბესარიონ, ბესიკი 370.
ბარათაშვილი იესე 369.
ბარათაშვილი თომა ავთანდილის ძე 129–134, 382.
ბარათაშვილი ლიზა 70–71, 73.
ბარათაშვილი მამუკა 46, 118, 129, 131, 215, 248, 250, 260, 367–368, 382.
ბარათაშვილი ნიკოლოზ 287, 300–301, 360, 448–450.
ბარათოვი ელო 70, 73.
ბარათოვი მარიკა 71, 73.
ბარათოვი შურა 70, 73
ბარამ, ბარამია, ბარამიძე 623.
ბარამი („ბარამგულიჯანიანი") 122, 124.
ბარამიძე ალექსანდრე 15, 28–29, 40, 45, 52, 56, 61, 64, 91, 98, 124, 128, 131, 134, 200–204, 207, 209–213, 216–219, 221–223, 225–226, 228–229, 231–234, 236–239, 241, 261, 278, 280–318, 326, 332, 349, 354, 361, 367, 373–375, 378, 380, 386, 390, 395, 398, 403, 413–414, 421–422, 427, 434, 436–437, 440, 441, 445, 491, 495, 514, 552.
ბარამიძე გიორგი 300, 303, 313.
ბარამიძე ეკა 301.
ბარამიძე თამაზ 407.
ბარამიძე თამარ 303.
ბარამიძე ლევან გიორგის ძე 303.
ბარამიძე ნინო (ეგნატე ნინოშვილის დედა) 613.
ბარამიძე ნინო არჩილის ასული 303.
ბარამიძე რევაზ 6, 40, 42, 319, 420.

ბარდაველიძე ჯონდო 407, 414.
ბარეტი დ. 293.
ბარზამი („ბარამგულიჯანია-ნი“) 123.
ბარნოვი გურამ 414, 459, 468.
ბარნოვი ვასილ 449.
ბარტი რ. 189.
ბასილია 623.
ბასილ ბაგრატის ძე 361.
ბასილაშვილი კ. ნ *მიქაძე გივი.*
ბასილი ვაჩეს ძე 361.
ბასილი საბაწმინდელი 361.
ბასილი ხანძთელი 361.
ბატონიშვილები 48.
ბატონიშვილი სვიმონ ნ *სვიმონ ბატონიშვილი.*
ბაქარ ბატონიშვილი 130.
ბაქრაძე ანა 66.
ბაქრაძე დიმიტრი **Бакрадзе Дм.** 235, 292, 566–567, 608–609.
ბაჩანა 449.
ბახტინი მიხაილ 163, 194–195.
ბებუდაშვილი მელიგზად 240.
ბებუთოვი, მელიქი, დარჩია 620–621.
ბებურიშვილი პაპუნა 434.
ბედიელი 550.
ბედოშვილი გურამ 555, 591, 622.
ბელიაშვილი აკაკი 637.
ბერაძე პანტელეიმონ 516.
ბერეკაშვილი უჩა 479.
ბერია ლავრენტი 392.
ბერიტაშვილი ივანე 402.
ბერიძე (სახელი და გვარი) 400, 572, 619.
ბერიძე ლია 409.
ბერიძე ვუკოლ 598.
ბერიძე მ. 571.
ბერიძე მერაბ 269.
ბეროზაშვილი თ. 598.
ბერულავა ხუტა 450.
ბერძენიშვილი დევი 552, 554.
ბერძენიშვილი ნიკო 15, 201, 205, 349, 390, 552, 594.
ბერძნიშვილი მამისა 79, 85.
ბერძნიშვილი მაქსიმე 118.
ბესიკი ნ *გაბაშვილი ბესარიონ.*
ბეჰმუთიანი დარჩი 621.
ბზეკალავა 623.
ბიწინაშვილი მაია 72–73.
ბლაგიძე 572.
ბლეიკი რ. 293.
ბლინინი 255.
ბოგველიშვილი 591–592.
ბოგიევი (ბოლიშვილი) 572.
ბოლქვაძე ზაურ 471–472, 482, 499–510.
ბოლქვაძე თინათინ 163, 198.
ბოლხოვიტინოვი ევგენი 375.
ბონდო 498.
ბორენი ა. 293.
ბოტარო გუსტავო დე ლა 324.
ბოჭორიშვილი ანგია 474.
ბოცო (სპასალარი) 549–551.
ბოჯგუა არტემ 462.
ბუეზინსკი ზბიგნევ 151–152.
ბრეგაძე ანზორ 477, 479–480, 483–484.
ბრეგაძე დავით 48, 83, 105, 107, 117–119, 134, 136, 208, 216.
ბრეგაძე თამარ 58.
ბრეგაძე კონსტანტინე 197.

ბრეგაძე ლევან 9–11.
ბრეგვაძე 572
ბესთაუთი გ. 339.
ბრიკი ბ. 339.
ბროსე მარი 79, 292, 424, 618.
ბუდენზინგი ჰ. 293.
ბუნიატოვი 526.
ბუნინი ი. 9.
ბურჭულაძე გენადი 570.
ბურჯანაძე ნარო (ქაჯაჯო) 616.
ბურჯანაძე შ. 566, 590.
ბუში ჯორჯ 508.

გ

გაბაშვილი ბესარიონ, ბესიკი 59–64, 68, 244, 265, 287.
გაბაშვილი ეკატერინე 454.
გაბაშვილი ზაქარია 360.
გაბაშვილი ნიკოლოზ 115.
გაბაშვილი ტიმოთე 115, 566.
გაბესკირია ვიქტორ 208–210, 212, 214–216, 221, 223–224, 239, 241.
გაბიძაშვილი ენრიკო 607
გაბრიელა („სიმონა“) 582.
გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) 531.
გაბრიელ მცირე 360, 382.
გაბრიელ ჭყონდიდელი 597.
გაბრიელი („გლახის ნაამბობი“) 165, 170, 177–178, 185.
გაბრიელი ნ. *მიქაძე გაბრიელ.*
გაბუნია ტარასი 531.
გაგუა ოთარ 459.
გამეზარდაშვილი დავით 369, 429, 446, 468.
გამიხარდი 618, 623.
გამსახურდია კონსტანტინე 294, 383, 395–396, 449, 455, 494.
გამყრელიძე თამაზ 625.
გაპონოვი ბორის 293, 317, 339.
გარაყანიძე 572.
გარითი ჟ. 293.
გარსევანიძე გიორგი 371
გაფრინდაშვილი ქეთევან გივის ასული 303
გაწერელია აკაკი 6–10, 12–13, 214–215, 235, 241, 360, 378, 439.
გაჩეჩილაძე ამბერკი 418, 432.
გაჩეჩილაძე გიორგი 243, 246, 343.
გაჩეჩილაძე პ. 598.
გეგია მერაბ 266.
გედევანიშვილი იოსებ 497.
გედევანიშვილი მიხეილ 292.
გელაძე 572.
გელოვანი აკაკი 89.
გელოვანი გაბრიელ 100–105, 382.
გელოვანი პისტი 485.
გერმანე მონაზონი 360.
გვაზავა გ. 293.
გვარამ (გუარამ), გვარამაძე გვარამია, გვარამიძე 623.
გვახარია ალექსანდრე 208, 213, 229, 234, 239, 300–302, 313, 379.
გვენეტაძე ლ. 572, 579.
გვეტაძე რაჟდენ 449.
გვინჩიძე ოთარ 413.
გვრიტიშვილი დავით 206.
გივგინეიშვილი ივანე 489, 565.

გიგინეიშვილი ოთარ 539.
გიკინა 33.
გინგელდორფი იგორ 611.
გიორგი ათონელი 534, 619.
გიორგი (წმინდა) 530, 598, 606.
გიორგი („ოთარაანთ ქვრივი") 167, 172, 181, 192.
გიორგი ბატონიშვილი (ვახტანგ მეექვსის ძე) 130–133, 137.
გიორგი გურიელი 538, 562, 566, 573, 588, 593.
გიორგი მეექვსე 449.
გიორგი მესამე 16, 312, 354.
გიორგი მერჩულე 350.
გიორგი მეოთხე (იმერეთის მეფე) 103.
გიორგი მეთერთმეტე 16, 28, 30–31, 33–34, 36, 46, 105, 125.
გიორგი მთაწმინდელი 357
გიორგი მცირე 357.
გიორგი რუსი 548.
გლურჯიძე მანუჩარ 85.
გოგებაშვილი იაკობ 91, 337, 341, 526, 619.
გოგელია 623, 572, 595.
გოგელია რეზო 452–453, 467.
გოგია ფარეში 86.
გოგიბერიშვილი ვაჟა 479, 482–483.
გოგიბერიძე 622.
გოგიბერიძე 343.
გოგიბერიძე მოსე 335, 340.
გოგილაშვილი გიორგი 625.
გოგიტიძე 97.
გოგოლაური ირაკლი 308.
გოგორა 593.
გოგორი 593.
გოგორიკა 593.
გოგორიკიძე 593–594.
გოგორიშვილები 616.
გოგოხია ლია (მაბული) 470.
გოგოხია ლილი 458, 466–470.
გოგუა 593.
გოგუაძე 572, 593.
გოგუაძე ანანია 522.
გოგუაძე გაბრიელ 520, 543, 567–568.
გოგუაძე ენვერ 601.
გოგუაძე კვიროსი 522, 527.
გოგუაძე კონსტანტინე 556.
გოგუაძე ნარგიზა 6.
გოგუაძე რაშტიელ 95.
გოგუაძე ჯაბულო, ჯამულეთი 521–527.
გოეთე 90, 92.
გოლოვკინი გ. 82.
გომართელი ამირან 405.
გონაშვილი დიმიტრი 349.
გონაშვილი ჰამლეტ 349.
გორგაძე 572.
გოტიე თეოფილე 464.
გოჭუნიე 572.
გოჩია (გიორგი მეოთხის მამა) 103.
გრიგალაშვილი ნოდარ 277.
გრანელი ტერენტი 328.
გრიგალაშვილი ნოდარ 508.
გრიგოლ, გრიგოლია, გრიგოლაშვილი 623
გრიგოლ დოდორქელი 361.
გრიგოლ მუხრანელი ბაგრატიონი ნ ბაგრატიონი გრიგოლ.
გრიშაშვილი იოსებ 65, 75, 92, 94, 296, 328, 373, 413–415, 456.

გუგუნავა დათა 339.
გუგუშვილი მერი ილიას ასული24, 319, 440–447.
გუგუშვილი ლუცინა 466.
გუგუშვილი პაატა 380.
გუდიაშვილი ლადო 328.
გუზან (შავშეთის პატრონი) 549–551.
გულანდამი 111.
გულდამწვარიები 572.
გულია დიმიტრი 339.
გულიჯანი („ბარამგულიჯანიანი“) 122, 124.
გუნავები 339.
გურამიშვილი დავით 51–53, 91, 101, 117, 133–134, 137, 244, 260, 287, 366, 424, 449, 497.
გურამიშვილი მამუკა 47–59, 137, 373, 382.
გურგენიძე დავით 475.
გურგენიძე დიმიტრი 526.
გურგენიძე ნ. 382.
გურგენიძე ნინო 73.
გურიელი 549,546, 558, 607, 610.
გურტუევი ს. 339.
გუჯაბიძე 572.
გძელიძე მოსე („კაცია–ადამიანი?!“) 183.

დ

დადიანი 549–551.
დადიანი ბეჟან 101.
დადიანი დავით 378.
დადიანი ვამეხი 537.
დადიანი შალვა 449.
დადიანი ჯოდორი 451.
დავარი („ვეფხისტყაოსანი“) 122.
დავითაია მზია 516.
დავითი (ბიბ.) 16.
დავითი („კაცია–ადამიანი“) 183.
დავითი („ქილილა და დამანას მთარგმნელი“) 240.
დავით აღმაშენებელი 2–3, 16, 265, 424.
დავით მეორე, იმამყულიხანი 78–79, 375.
დავით რექტორი 118, 369, 380.
დავით სოსლანი 264, 269, 286, 352, 355.
დათიკო („გლახის ნაამბობი“) 170.
დათულია 538.
დათუნაიშვილი 97.
დათუნაშვილი ილია 539–570.
დანელია კორნელი 605.
დანელია სერგი 376.
დარეჯანი („კაცია–ადამიანი“) 167, 171, 183–184.
დარეჯანისძე 111.
დარიოსი 618.
დარსალია 572.
დარსაძე ბორის 467.
დარჩი 611, 619–621, 623–624.
დარჩია (სახელი და გვარი) 400, 572, 611, 614, 617, 619–621, 623.
დარჩია (მელიქი) 400.
დარჩია (ალ. ბარამიძის ბებია) 307.
დარჩია ალექსანდრე (აცანდრე) 97.

დარჩია ამირან (საქო) 505.
დარჩია ბორის 249, 256, 262, 270, 275, 302, 313, 331, 416, 435–437, 482, 486, 508, 514–515.
დარჩია გიორგი ზურაბის ძე (არქიმანდრიტი) 528.
დარჩია დიმიტრი 94, 481, 616.
დარჩია ელისო 94, 97, 559.
დარჩია თამარი ნ *მეგრელიშვილი თამარ.*
დარჩია თეონა 505.
დარჩია მარია 528.
დარჩია ნანა 500.
დარჩია ნიკოლოზ 613.
დარჩია სამსონი 528, 530.
დარჩია სირმა 528, 530.
დარჩია სისონა 94–98.
დარჩია ფილიპე 528, 530.
დარჩია ჯარისმან 528, 530
დარჩია ჯაბულო 559.
დარჩიაშვილი 400, 612, 621–623.
დარჩიბეგა 612.
დარჩიბეგაშვილები 612.
დარჩიევი 624.
დარჩილ 617–618.
დარჩინა 611, 620.
დარჩინიანი 624.
დარჩიძე 400, 611, 613, 619, 622–623.
დარჩო 611, 619, 621, 623.
დაჩი 611, 617–619, 621.
დაჩიბერიძე 622.
დგებუაძე 387.
დებუა გ. 355.
დედალორა 572.
დეკანოზოვი 289.
დემოკრიტე 162.
დერჟავინი გ. 371.
დეჰლევი ხოსრო 291.
დვალი მანანა 14.
დიადუშკინა ვერა 517.
დიანოსე (მღვდელმონაზონი) 332.
დიმიტრი 71–73.
დიმიტრი თავდადებული 450.
დიმიტრი მდივანი ნ *თუმანიშვილი დიმიტრი.*
დიონისე არეოპაგელი 357–358.
დიონოსი 23.
დოდაშვილი კოტე 275.
დობორჯგინიძე 572.
დობორჯგინიძე ბენო 410–411, 454, 459, 461.
დობორჯგინიძე იზა 92.
დობროლიუბოვი ნიკოლოზ 87.
დოდაშვილი სოლომონ 449–450.
დოიაშვილი თეიმურაზ 9–11, 157–160, 468.
დოლიძე ისიდორე 77, 79–80, 82, 342, 538, 569, 587, 620.
დოლიძე ლონდა 489.
დოლიძე რომან 300.
დომენტი კათალიკოსი 115.
დონდუა ვარლამ 40, 205, 209, 221, 229, 233.
დონდუა მარო 396.
დოსითეოზ (არქიეპისკოპოსი) 150.
დოსითეოს ჭუთათელი 115.
დუდუჩავა მამია 437, 465.

დუმბაძე იაკობ ნ იაკობ *შემოქმედელი.*

ე

ებთვიმე გენათელი 115.
ებრალიძე მამია 280.
ეგარსლანი 354.
ეგნატაშვილი ბერი 538.
Едельсон Е. 90.
ევა (ბიბ.) 109, 145.
ევგენიძე 572.
ევთვიმე ქართველი 535.
ევსტატი მცხეთელი 361.
ეზია, ეზიაშვილი, ეზიეშვილი 622.
ეზოპე 371.
ეთერი 109.
ეთერი, ეთერია 622.
ეკალაძე ია 52, 128.
ეკატერინე 70, 72.
ეკატერინე 115.
ეკატერინე დედოფალი 104.
ელენე 70, 72.
ელენე (გიორგი გურიელის მეუღლე) 566.
ელიავა გივი 569, 579–581, 584, 486–587, 605.
ელიაშვილი ივანე 292, 294.
ელიაშვილი ნინო 307.
ელისაბედი (რუსეთის დედოფალი) 130.
ელიოტი ტ. 189.
ელისაბედი დიმიტრი ბაგრატიონის ასული 148–149.

ვ

ვადაჭკორია 572.
დუმბაძე ნოდარ 295, 439, 466..
დურმიშიძე სერგი 316.

ელისაბედი („კაცია ადამიანი") 166.
ენუქიძე თინა 58, 80, 571, 622.
ენფინჯიანცი ავეტიქ 380.
ერეკლე პირველი (ნაზარალიხანი) 79, 118.
ერეკლე (ირაკლი) მეორე 53, 57, 106, 130, 143, 147.
ერისთავი გიორგი 360, 449–450.
ერისთავი ელენე 71, 73.
ერისთავი ელიზბარ 382.
ერისთავი ვარლამ 382.
ერისთავი თეოდორე 533.
ერისთავი თორნიკე 450.
ერისთავი რევაზ შალვასძე 68–70, 72.
ერისთავი რაფიელ 449, 451, 601.
ერისთავი როდამი 139.
ერისთავი შანშე 85.
ერისთავი შოშიტა 103.
ერთელიშვილი ფარნაოზ 489.
ერმაკოვი დ. 611.
ესენინი სერგეი 458, 477.
ესაკა, ესაკია 622.
ეფთვიმე, ექვთიმე ათონელი 14, 356, 531, 619.
ეფთვიმე გრძელი 359.
ეფთვიმე ზიღაბენი 359.
ეფრემ მცირე 356–357.

ვადაჭკორია ზაირა 86.
ვადაჭკორია კესა (კესარია)

635.
ვანიშვილი მარო 71.
ვაჟა-ფშაველა 222, 276, 287, 328-339, 341, 349, 361, 383, 400, 449, 488.
ვარდოსანიძე იაგო 463.
ვარლამის ძე გ. ნ *მიქაძე გივი.*
ვაშალომიძე 572.
ვაშაყმაძე შოთა 332, 468.
ვაჩნაძე 639.
ვახტანგ გორგასალი 553, 617.
ვახტანგ მეექვსე 35-39, 45, 47, 76-77, 79-83, 91, 100-102, 104- 105, 115, 117-119, 120-122, 125, 135, 137, 142, 147, 207-213, 216, 221, 225, 229, 233, 235-239, 243-263, 265, 285, 287, 322, 325, 339, 353, 373, 433, 445, 478.
ვახუშტი ბატონიშვილი, ბაგრატიონი 34, 104-105, 538, 540, 550, 565-566, 601, 614452.
ვეკუა ილია 480.
ვენედიქტე 533.
ვერეში შანდორ 293.
ვივიანი ქ. 293, 312.
ვიკარი ბელა 293.
ვირსალაძე ელენე 468.
ვოლტერი 89, 171.
ვორონცოვი ვ. 380.
ვორონცოვი მიხეილ 101.

ზ

ზაბოლოცკი ნ. 339.
ზაგურსკი ე. 293.
ზაზა ნ. *ციციშვილი ზაზა.*
ზანდუკელი მიხეილ 336, 345, 426-431, 449, 476, 520.
ზაქარია რიტორი 357.
ზაქარია ქართველი 357.
ზენაიშვილი ოთარ 459, 499.
ზენონი 162.
ზილიხანი 111.
ზიჩი მიხაი 292.
ზურაბაშვილი ავლიპი 463-464.
ზურიკელა 595.

თ

თაგაური რობერტ 432.
თავდიშვილი მურმან 2, 4, 196, 270, 646-647, 551.
თავდიშვილი ქეთევან 510.
თავაქალაშვილი მამუკა 382.
თათქარიბე ლუარსაბ („კაცია-ადამიანი?!“) 59.
თალაკვაძე სოფრონ 532.
თამარ მეფე 16-19, 24, 115, 264, 267, 269, 286, 339, 352-355, 400, 549, 620.
თამარი (სოლომონ დიდის ქალი) 107.
თამარაშვილი გ. ნ *მიქაძე გივი.*
თამრო („გლახის ნაამბობი“) 170.
თანგულა, თანგულაშვილი, **Тангулов** 119.
თაქთაქიშვილი ლევან 73.
თამარაშვილი მიხეილ 106, 294.
თარხნიშვილი მიქელ 313.
თარხნიშვილები 82.
თაყაიშვილი ექვთიმე 234, 236, 287, 292-293, 313, 316, 341, 361, 445, 530, 564, 569-570.

თედო („ოთარაანთ ქვრივი“) 184.
თეიმურაზი 569.
თეიმურაზ ბატონიშვილი, ბაგრატიონი 51, 62–67, 81, 322, 327, 360, 375, 435–436, 449.
თეიმურაზ პირველი 17, 20, 24, 27, 34, 124, 146, 200–206, 244, 260, 287, 443, 445, 547.
თეიმურაზ მეორე 80, 118, 130, 147.
თეოფილაქტე (ეგზარქოსი) 115.
თეკლა 382.
თეკლა ბატონიშვილი 382.
თვარაძე რევაზ 324.
თინათინი („ვეფხისტყაოსანი“) 111, 310
თოდუა აგალი 207–208, 211, 216, 229, 232, 234–235, 240.
თოთაძე ანზორ 153–154, 612.
თოთიბაძე ნანა 402.
თომა (მამასახლისი) 621.
თომას მანი 7.
თოფური, თოფურია, თოფურიძე 622.
თოფურია ვარლამ 61, 349, 387.
თუმანიშვილი ანა 370–371
თუმანიშვილი ავთანდილ 382.
თუმანიშვილი გივი 27–29, 382.
თუმანიშვილი გიორგი 369, 382.
თუმანიშვილი დავით 369, 382.
თუმანიშვილი, მდივანი, დიმიტრი 62–67, 382.
თუმანიშვილი-ამილახვარი ანა 371.
თურქა–თურქია 622.
თურქისტანიშვილი დაუდ 29.
თუშმალიშვილი ლეილა (ქიჩო) 466.
თხაგაზიტოვი ზ. 339

ი

იანი 595.
იანო 595.
იაკობი 115.
იაკობი (თუში) 532.
იაკობ შემოქმედელი, სამებელი, დუმბაძე 3–3, 27, 68, 100, 264, 270–271, 286, 352, 360, 397.
იამანიძე მანანა 92.
იაშვილი პაოლო 420, 455.
იედლიჩკა იაროშირ 312, 341, 406.
იეზეკიელი 361.
იერობუამი 16.
იესე გიორგის ძე გურიელი 609.
ივანე ციხისჯვარელი 550.
ივანელა 595.
ივანიშვილი ბიძინა 472.
ივბიმიანე 16.
ივლიანე განდგომილი 16.
იზოლდა („ტრისტან და იზოლდა“) 322.
ილარიონ ქართველი 359.
იმედაშვილი გაიოზ 64, 275, 318–333, 361, 373, 414, 433.
იმედაშვილი იოსებ 320, 328.
იმედაშვილი კობა 319, 321, 332–333.
იმედაშვილი თამარ 321.
იმნაიშვილი ვახტანგ 315.
იმნაიშვილი ივანე 315

ინგოროყვა 98–99, 294.
ინგოროყვა პავლე 75, 98, 210, 311, 350, 361.
ინწკირველი დალი 439.
იოაკიმ (პატრიარქი) 535.
იოაკიმი (მაგისტრი) 534.
იოანე (ბიბ.) 14.
იოანე ბაგრატიონი 360, 373.
იოანე ბატონიშვილი, ბაგრატიონი 257, 375, 380.
იოანე დამასკელი 354.
იოანე, იოვანე საბანის ძე 5, 7–8, 10–12, 15.
იოანე პეტრიწი 57–58, 354, 356, 359, 361.
იოანე სინელი 356.
იოანე ტარიჭის ძე 361.
იოანე ღვთისმეტყველი 115.
იოანე შავთელი 264, 267, 269, 285, 352–353.
იოვანე ათონელი 619.
იონა (წმინდა) 595.
იონა (მიტროპოლიტი) 149.
იორგენოსი ვალტერ 476.
იორდანიშვილი სოლომონ 293, 340, 349.
იოსია (ბიბ.) 16.
ირემაშვილი ა. 586.
ირემაძე 572.
ისაკაძე ნიკოლოზ 384.
ისაკაძე სოფიო 384.
ისარლიშვილი ლუკა 375.
ისიანი სევერიან 367.
იულიუსი 243.
იურაი ბაიანი 248.
იუსტი 618.
იშტვანოვიჩი მარტონ 456.

კ

კავთიაშვილი ვენერა 89–90, 189.
კავკასიძე მელქისედეკ 237.
კაიუს//კაჲუს პელი 6.
იმედაშვილი გაიოზ.
კაკაბაძე ელისო 476.
კაკაბაძე პოლიკარპე 452.
კაკაბაძე სარგის 279, 292, 308, 340, 350, 381.
კაკაბაძე საურმაგ 343.
კაკალაშვილი სერგი 266.
კაკიაშვილი გრიგოლ 412, 415–416.
კალაკ-ტიონი 242.
კალანდაძე ალექსანდრე 89, 246.
კალანდაძე ანა 349, 455–456, 497.
კალანდაძე ვარლამ 38.
კალაძე კარლო 449, 471, 478, 486–487.
კალაძე ცირა 446.
კალმახელიძე სულა 553.
კამო 463.
კანდელაკი 573.
კანდელაკი ბორის 61.
კარანაძე თამაზ 154.
კარბელაშვილი ციალა (მარიამ) 244, 319, 386–387, 414.
კარგიშვილი ვალოდია 278.
კარენინა ანა 9–10.
კარიჭაშვილი დავით 293, 309, 444.
კარლოს მეთორმეტე 30.
კარტერი 151.

კასრაძე დავით 373.
კასრაძე ნადია 58.
კაფლანი (მამუკა გურამიშვილის პერსონაჟი) 54–55.
კაჭალა 586.
კაჭარავა 586
კაჭაროზაშვილი 586.
კახაძე რობერტ 398–399.
კეზელი 436.
კეზელი დუშიკო 348.
კეთილაძე სპირიდონ 532.
კეკელიძე ეკატერინე (კატუშა) 277, 427–428.
კეკელიძე კორნელი 17, 31, 40, 47–48, 55, 57, 63, 116, 155, 201–203, 207, 209, 216–218, 220–221, 229, 231–233, 236, 256, 258, 260–262, 277–281,284, 287, 291, 295, 297, 306, 309, 313–314, 317, 321, 323, 328, 330, 349–350, 361, 366, 369, 374, –375, 378, 380, 389–390, 394, 403–404, 406, 445, 514, 531, 599.
კეკელიძე ლიანა 15, 549.
კელენჯერიძე მელიტონ 375.
კენჭოშვილი ირაკლი 66–67, 92, 197, 243–244, 246.
კესარია კაბადუკი 535.
კესო („ოთარაანთ ქვრივი") 172, 181.
კეცხოველი ნიკო 317, 376, 390–391, 417, 462, 518.
კეჭაყმაძე იოსებ 86.
კვანტალიანი შარლოტა 159.
კვაჭანტირაძე ნინო 623.
კვაჭანტირაძე ფერიდე 93.
კვაჭაძე 593.
კვახაძე ხათუნა 273.
კვერდღელაძე 593.
კვიკვინა–კვიკვინია 622.
კვიტაიშვილი ემზარ 472, 482–483, 486–490, 509
კვიტაშვილი 343.
კიკვიძე ცოტნე 454, 459, 467–468, 495.
კიკნაძე ზაზა 390, 393, 401.
კიკნაძე ლიანა 112, 117.
კიკნაძე ლევან 389, 400.
კილაძე 95, 521, 572.
კინტრია 572.
Кипшидзе И. ნ *ყიფშიძე იოსებ.*
კირიონი 375.
კიტა, კიტი, კიტია 622.
კლდიაშვილი დავით 449, 620.
კნოტიშვილი ანდრია 112–113.
კობაიძე 571.
კობახიძე ა. 565.
კობიძე დავით 208, 216, 232.
კოდუელი ქრისტეფერ 8.
კოზლოვი ი. 69.
კოიძნები 572.
კოლანო 71, 73.
კოლი ჰელმუტ 508.
კომენსკი იან ამოს 481.
კონსტანტინე (კახეთის მეფე) 118.
კონსტანტინე (დუშელი) 532.
კონსტანტინე დიდი 16, 22, 35.
კონსტანტინე კახი 361.
კონფუცი 504.
კოპალეიშვილი მიხეილ 314.
კორნელი პიერ 371.

კოროშინაძე 593.
კოსარიკი დმიტრო, **Косарик Дмитро** 295.
კოტეტიშვილი ვახტანგ 349.
კოტეტიშვილი ვახუშტი 471, 484.
კოჩა, კოჩია 526.
კროპოტოვი გაბრიელ 104.
კუნჭულია 572.
კუკულაძეები 576.
კურიგინი ანატოლი 458–459, 466.
კუჭუხიძე ილია 634.
კურნატოვსკი 115.
კუსრაშვილი რუსუდან 60, 75.
კუტიბაშვილი ზურაბ 350.
კუცია-ღვალაძე თამარ 386.

ლ

ლადო 71, 73.
ლაზაროვი ივან პეტროვიჩი 621.
ლაისტი 90, 293.
ლანგი დ. 312.
ლარაძე პეტრე 382.
ლაფონი გ. 313.
ლაფჩინსკი კ. 293.
ლაშარი 400, 620.
ლებანიძე მურმან 43, 449.
ლევანი (ვახტანგ მეექვსის მამა) 125.
ლეთოდიანი ანა 273.
ლეილი („ლეილ-მაჯნუნიანი") 111.
ლელთ ღუნია („მგზავრის წერილები") 169, 176, 198.
ლენინი 283.
ლეონიძე გიორგი 40, 42, 105, 131, 209, 214, 221, 229, 233, 328–340, 348, 361, 363, 366, 373, 377, 406–422, 449, 455, 491, 494, 497–498.
ლეონიძე თინა 422.
ლეჟავა კონსტანტინე 388.
ლეჟავა ლია 62.
ლეჟავა ლ. 595.
ლეჟავა ნელი 389, 400, 422.
ლერმონტოვი მ. 69, 371.
ლესინგი 86–91, 93–94.
ლიხაჩოვი დიმიტრი 174.
ლოლაშვილი ალექსანდრე 346.
ლოლაშვილი ივანე ალექსანდრეს ძე 15, 40, 42, 45, 97, 302, 317, 318, 346–363, 414, 439, 452, 549.
ლოლაშვილი ივანე (მეცნიერი ივანე ლოლაშვილის პაპა) 349.
ლომაია ალექსანდრე (კახა) 153, 196, 277, 634, 639–641.
ლომაძე 572.
ლომთათიძე გ. 539, 541, 546.
ლომთათიძე ლალი 308.
ლომინაძე ბ. 382.
ლომიძე გ. 313.
ლომიძე გაგა 195–196.
ლომიძე გივი 413, 454, 465, 468.
ლომონოსოვი მ. 371.
ლორთქიფანიძე დავით 611.
ლორთქიფანიძე იოსებ (იუზა) 416, 499.
ლორთქიფანიძე კირილე 451.

ლორთქიფანიძე კონსტანტინე 449.
ლორთქიფანიძე ნიკო 373, 378, 497.
ლორი, ლორია 622.
ლორია ა. 382.
ლოუკოტკა ჩ. 382.
ლუარსაბი („კაცია-ადამიანი?!“) 166, 171, 178–179, 183–186.
ლუისი 194.
ლუკა (ბიბ.) 14.

მ

მაისურაძე ილია 576, 592–593, 623, 567.
მაკაევა ნინა 72–73.
მაკალათია ფიქრია 559, 593, 597.
მალაზონია თამარ 319.
მალაქიაშვილი (ხუროძე) ვარლამ 451.
მამაგეიშვილი ნაზი 473.
მამაცაშვილი მაია 607.
მამუკაშვილი დავით 26.
მამულეიშვილი 562, 573.
მამულაიშვილი 573.
მამფორია ოთარ 445.
მანანა 382.
მანველიშვილი ალ. 313.
მარგველაშვილი გია, გიორგი 424, 493.
მარი იური 340, 544..
მარი ნიკო, **Марр Н. Я.** 155, 274, 284, 292–293, 309, 317, 325, 340, 343, 350–351, 361, 394, 442, 544, 603.
მარია პავლოვნა 139.
მარიამ დედოფალი 372.
მარიამი (ჩერქეზთა ბატონის ასული) 125.
მარიკელა 595.
მარკესი გაბრიელ 631.
მარკოზი, მარკოზია 622.
მარო 71.
მარუაშვილი ლ. 105.
მარქსი 471–473.
მარჯანიშვილი კოტე 424, 497.
მაღლაფერიძე ვასილ (ვასიკო) 522.
მაღლაფერიძე თეიმურაზ 489, 522.
მაღულარია 623.
მაყაშვილი ა. 386, 591, 596.
მაყაშვილი სიმონ 101.
მაცაბერიძე ვალიკო 407.
მაჯნუნი („ლეილ–მაჯნუნიანი“) 111.
მაჯო ნ *ფრანცისკ მარია მაჯო.*
მაჭავარიანი გივი 581.
მაჭავარიანი მუხრან 43, 239–240, 625.
მაჩაბელი დავით 449–451.
მაჩაიძე დალი 93.
მაჩურაშვილი გიორგი 528–530.
მახათაძე მიხეილ 317, 324.
მახათაძე ნინო 134, 300.
მახარაძე ლ. 451.
მახარაძე ფილიპე 538.
მგალობლიშვილი ლევან 272.
მგელაძე 572.
მგელაძე ნარგიზა 500.
მდივანი ა. 325.

მეგრელაძე დ. 79.
მეგრელიძე იოსებ 319, 324, 331, 334–346, 361, 414,430, 439, 468, 539, 541, 555, 569, 580–581, 583, 602.
მეგრელიძე ბართლომე გრიგოლის ძე 336.
მეგრელიძე კიტა 340, 342.
მეგრელიშვილი 572.
მეგრელიშვილი გრიგოლ („მთის ნიავი“) 417.
მეგრელიშვილი (დარჩია) თამარ 530.
მეგრელიშვილი ლამარა 87–88.
მელაძე 572.
მელაძე ერისთო 635.
მელიქიშვილი გიორგი 205, 343, 567.
მელიქსეთ-ბეგი ლეონ 341.
მენაბდე დარეჯან 3–4, 105, 273, 275–276.
მენაბდე ლევან 29–31, 91, 105, 125, 208, 235, 261, 276, 302, 306–307, 309, 313, 315.
მენუა იშფენის ძე 567.
მერკვილაძე („მერკვილაძის დები“) 419.
მესარკიანი (მესარკოვი) პავლე (პოლოს) 42.
მესხა–მესხია 623.
მესხი სერგეი 451.
მესხია შოთა 201, 205.
მესხიშვილი მ. 598.
მეტრეველი ელენე 40, 45, 58, 112, 116, 208–209, 213, 229, 239, 269, 302, 319.
მეტრეველი ფირუზ 242.
მექვაბიშვილი 572.
მექვაბიშვილი ვ. 561.
მექვაბიშვილი კოტე 559.
მეშჩანინოვი ივანე 341, 343.
მეხუზლაი 97.
მზარეულაშვილი თენგიზ 365.
მზეხათუნი 372.
მთვარელიშვილი ნიკოლოზ 383.
მილორავა ინგა 197.
მიმინოშვილი რომან 498.
მირვეის(ზ)ი 33, 38–39, 102.
მირიანაშვილი ანდრო 467.
მირიან ბატონიშვილი 47, 53–55.
მირცხულავა (მაშაშვილი) ალიო 226, 449.
მისირელი გიორგი 623.
მისრიაული, მისრიათ დარჩია 400–401, 620.
მიტაფიდი იმ. 339.
მიქაბერიძე 622.
მიქაძე გაბრიელ იესეს ძე 35, 37.
მიქაძე გივი (ბასილაშვილი კ.; ბანძელა აბედათელი; გ. ვარლამის ძე; თამარაშვილი გ.;) 46, 64, 105, 120, 125, 129, 131, 134, 214, 250–252, 275, 302, 364–384.
მიქაბერიძე რუსლან 471.
მიქაძე ვარლამ ანდრიას ძე 364.
მიქაძე თამარი 373, 384
მიქაძე იესე 35.
მიქაძე ქეთევან 384.
მიქაშავიძე შოთა 453.
მიქელ მთავარანგელოზი 243.

მიქელაძე პატუ (პარასკევა) 402.
მიქია 623.
მიშველაძე რევაზ 186.
მიშა 71.
მიშა 72.
მიხეილი//მიშა 70, 72.
მოლარიშვილი გიორგი 532.
მოლოდინი ლ. 594.
მორჩილაძე აკა (გიორგი აზვალედიანი) 445.
მოსე (ბიბ.) 109.
მოურავიშვილი 134.

ნ

ნაბოკოვი ვ. 162.
ნადირაძე კოლაუ 449, 455.
ნაზარიშვილი ი.78.
ნათელა 425.
ნაკაშიძე 609.
ნაკაშიძე ნოდარ 200–201, 204–206.
ნაკაშიძე მელქისედეკ 532.
ნაკაშიძე რარა 143–144.
ნარაკიძე ც. 584.
ნარიმანი („ბარამ-გულიჯანიანი") 123.
ნატროშვილი თამაზ 487.
ნაჭყებია მაია 244–263.
ნემსაძე ადა 3, 273.
ნესტან-დარეჯანი („ვეფხისტყაოსანი") 111, 122, 310.
ნიზამი განჯელი 258–259, 291.
ნიკოლაძე ნიკო 387, 394.
ნიკოლოზი (წმინდა) 532.
ნიკოლოზი 83.
ნიკოლოზა 86.
მოჰამადი 22.
მუავანაძე ვასილ 219, 226, 237.
მუავია დომენტი 543.
მოსე 482–463.
მოქია 623.
მსხალაძე ალი 577.
მურადიანი პარუირ 389.
მუსხელიშვილი ნიკო 154, 439.
მუხაშავრია გელა 623.
მღვიმელი შიო 449.
მჭედლიშვილი ჯიმშერ 419.
მჭედლური დავით 520.
ნინიძე ქეთი 3.
ნინო (წმინდა) 361.
ნინო 70
ნინო 72.
ნინო ბატონიშვილი (ბაგრატ მეოთხის ასული) 101, 103.
ნინოშვილი ეგნატე 94–99, 339, 361, 612, 417, 427–428, 582, 613–614.
ნიჟარაძე შ. 580, 595, 599.
ნიუტონი 402.
ნიშნიანიძე შოთა 449.
ნოზაძე ვიქტორ 288, 293, 313, 326, 341, 501, 594.
ნოზაძე ლამარა 598.
ნოიკომი რუთ 293, 312.
ნონეშვილი იოსებ 296, 449.
ნოღაიდელი ჯემალ 340.
ნუცუბიძე თ. 614.
ნუცუბიძე შალვა 253, 311, 317, 340, 358, 428, 465.

ო

ობოლაძე უშანგი 524.
ოთარაანთ ქვრივი („ოთარაანთ ქვრივი“) 168, 185.
ოთინაშვილი ნიკო 584.
ომაინი 111.
ონანა მდივანი ნ *ქობულაშვილი ონანა.*
ონიანი ანზორ 68.
ორახელაშვილი მარიამ 523–524.
ორბელი იოსებ 341, 342, 344.
ორბელი რუსუდან 293, 342.
ორბელიანი გრიგოლ 449–450.
ორბელიანი დავით 383.
ორბელიანი დემეტრე 41.
ორბელიანი დიმიტრი (მწერალი) 125–129.
ორბელიანი დიმიტრი ვახტანგის ძე 383.
ორბელიანი ე. 293.
ორბელიანი ელისბარ 85, 106, 118.
ორბელიანი ერასტი 105–106.
ორბელიანი ვახტანგ 451.
ორბელიანი ვახტანგ (მწერალი) 105–111.
ორბელიანი ვახტანგ (მდივანბეგი) 105, 125.
ორბელიანი ვახტანგ ვახუშტის ძე 383.
ორბელიანი ვახუშტი 105.
ორბელიანი ზაალი 125, 130.
ორბელიანი ზოსიმე 45, 125–126.
ორბელიანი მანანა 452.
ორბელიანი მამუკა 130.
ორბელიანი ნიკოლოზ (ტფილელი) 125.
ორბელიანი პაპუნა 85.
ორბელიანი სულხან-საბა 27, 39–46, 92, 105, 121, 125–127, 207–242, 265, 285, 287, 303–304, 322, 335, 339, 359, 362, 366, 377, 383, 385, 448, 568, 571, 580, 584, 591.
ორბელიანი ქაიხოსრო 85.
ორბელიანი ყაფლან 69.
ორბელიანი ჭაბუა 62.
ორბელიშვილ-ყაფლანიშვილები 105.
ორმოცაძე 572.
ორჯონიკიძე სერგო 332.
ოსიეშვილი 572.
ოქროპირიძე ალექსანდრე 531.
ოქროქალა (ჩერქეზი) 138–139.
ოქროშიძე თამარ 392, 468.
ოყრეშიძე მედეა 392.
ოცხელი 548.

პ

პაატა ბატონიშვილი 143.
პაიჭაძე ბორის 401.
პაიჭაძე გიორგი 82–83.
პაპუნიშვილი (ქსიფილინოსი) იოანე მიხეილის ძე 382.
პარმენიდე 162.
პატარაია გურამ 362, 373, 383.
პატარაია ვასო 373.
პატარაია ლალი 274, 276, 373.

პატატაშვილი დავით 361.
პატკანოვი 396.
პენტელაშვილი იოანე 383, 620.
პეპია („გლახის ნაამბობი") 170.
პეტეფი შანდორ 456.
პეტრე („სარჩობელაზედ") 171.
პეტრე ალექსის ძე 102.
პეტრე გენათელი 356, 361.
პეტრე იბერიელი 311, 357–358.
პეტრე მგალობელი 27.
პეტრე პირველი 16, 30, 102, 104, 108, 344.
პეტრე ქართველი 361.
პეტრიწი ნ იოანე პეტრიწი.
პეჩი გ. 312.
პითაგორა 162.
პიოტროვსკი ბორის 345.
პლატონი 162.
პოლონსკი იაკობ 92.
პოლოცკი სიმეონ 255.
პროკლე დიადოხოსი 354.
პროკობი მღვდელი 361.
პუშკინი ალექსანდრე 69, 335, 362, 366, 445, 448.

ჟ

ჟენეტი ჟ. 189.
ჟორდანია გივი 565.
ჟორდანია გიზო 494
ჟორდანია თედო 292, 565, 579.
ჟორჟიკა 71, 73.
ჟუკოვსკი ვ. 69.
ჟურული ანნა 320.
ჟღენტი ბესო 391, 424.

რ

რაზიკაშვილი თედო 449, 451.
რაზმაძე სოლომონ 450–451.
რამიშვილები 521.
რამიშვილი დანიელ 520.
რასკოვა მარინა 449.
რატიანი ირმა 3, 156–157, 161–199, 273, 275, 277, 488.
რატიანი პროკობი 205.
რატიანი შალვა 276, 445.
რევაზი (ნინა მაკაევას ვაჟი) 72–73.
რეი ბრედბერი 12.
რემბო 158.
რეხა პირველი 568.
რობაქიძე გრიგოლ 326.
როდამი (ოტია ანდრონიკაშვილის ცოლის და) 49.
რომეო („რომეო და ჯულიეტა") 237.
როსტევანი („ვეფხისტყაოსანი") 310.
როსტომ მეფე 257.
როყვა 572.
როყვა ალექსანდრე (აცანდრე) 522.
როყვა ეგნატა 98.
როყვები 98–99.
როხეი კომიამა 293.
რუდაკოვი ს. 383.
რუდაქი 291.
რუსთაველი, რუსთველი შოთა 3, 27, 34, 42–43, 74, 91–92, 100, 161, 201, 206, 214, 273–274, 279, 286, 289–290, 298, 311, 313, 321, 326, 335, 339, 348, 351,

353–354, 366, 371, 382, 438, 441, 443, 447, 547.
რუსიძე 572.
რუსუდან 71, 73.
რუხაძე ტრიფონ 48, 50, 55–56, 63–65, 67, 135, 143, 278–279, 306–307

ს

სააკაშვილი მიხეილ 637.
სააკაძე ბახუტა 135.
სააკაძე ბეჟან 569.
სააკაძე გიორგი 124.
სააკაძე დიმიტრი 47–50, 134–242, 361.
სააკაძე დავითი 134.
სააკაძე ელისაბედი 134.
სააკაძე ვასილი 134.
სააკაძე იოსებ 134.
სააკაძე მიხეილ 272.
სააკაძე პეტრე პეტრეს ძე 134.
საამი 79.
საბა განწმენდილი (ჯაყელი) 535.
საბაშნიკოვები მ. ს. 293.
საბინინი მიხეილ 292.
სადამ ჰუსეინი 508.
საიათნოვა 295, 339, 448.
სალარიძე 572.
სალია კალისტრატე 288, 293, 313, 341.
სალია ნინო 288.
სალტიკოვ–შჩედრინი 250.
სამადაშვილი ნიკო 328.
სამანიშვილი პლატონ („სამანიშვილის დედინაცვალი“) 188.
სამებელი იაკობ ნ იაკობ შემოქმედელი.
სამსონ (ბიბ.) 109.
სამსონაძე გივი 477, 479–480, 483–483.
სამსონი//სამსონია 623.
სამძივარი 623.
სანადირაძე ალეკო 615.
სანათა („ბახტრიონი“) 619.
სანაძე ლეილა 60, 76, 86.
სანებლიძე არმაზ 439.
სანოძე თამარ ფილიპეს ასული 447.
სარაჯიშვილი ალექსანდრე 444.
სარდერ მეორე არ გილი უსენენი 567–568.
სარიშვილი 572.
საზოკია თედო 540, 544, 546.
სარჯველაძე ზურაბ 605.
სეით თარგმანი 361.
სერგი, სერგია 623.
სერებრიაკოვი სერგი 194, 274.
სეხნიაშვილი 572.
სეხნიაშვილი ქაიხოსრო 565.
სვანიძე ალ. 309, 341.
სვიმონ ბატონიშვილი 101.
სვინიტიძე თამარ 61.
სიგუა ალექსანდრე 207–233, 235–236, 238–239, 241.
სიგუა სერგო 527.
სიგუა სოსო 196.
სიდამონიძე ვახტანგ 60–61.
სილაგაძე ავთანდილ 612.
სილოგავა ვალერი 269.
სიმონიდე კეოსელი 89.
სირა, სირო, სირუ, სირია,

სირაძე, სირაეთ 571.
სირაძე რევაზ 3, 184, 273, 309, 313, 488.
სიხარულიძე 572.
სიხარულიძე გალაკტიონ (კუსა) 468.
სიხარულიძე იური 542, 556, 571, 575–576, 578, 580, 583, 585, 587–590, 592, 594, 597, 603–604, 609, 615.
სიხარულიძე ქსენია 468.
სოლომონ დიდი (იმერეთის მეფე) 107.
სოსელია 572.
სოსლანი დავით 549.
სოფოკლე 23.
სპირიდონ საკვირველმოქმედი 116.
სტალინი იოსებ 332, 343, 449, 460, 508, 515, 518.
სტერნი 7.
სტივენსონი რობერტ 293, 312.
სტურუა გიორგი 402.
სტურუა დევი 419.
სულავა ნესტან 266, 268–272.
სულაბერიძე 622.
სუმბათაშვილ-იუჟინი ა. 294.
სურგულაძე მზია 620.
სურგულაძე ივანე 77–78, 84.
სურგულაძე რეზო 394.
სუტ-კნეინა („გლახის ნაამბობი") 171, 179, 183.

ტ

ტაბიძე გალაკტიონ 155, 157–160, 214–215, 242, 287, 301, 328, 339, 373, 408, 423–425, 444, 449, 455, 473, 477, 497, 625.
ტაბიძე ოთარ ისიდორეს ძე 471, 473–485.
ტაბიძე ტიციან 365, 373, 420, 449, 455, 477, 493, 497.
ტაკიძე მიშა 610.
ტარასი არქიმანდრიტი 380.
ტარიელი („ვეფხისტყაოსანი") 111, 122, 312.
ტარდი ლაიოშ 312.
ტარლოვსკაია ე. 339.
ტასია 70.
ტატიშვილი ალექსანდრე 364.
ტატიშვილი ერეკლე 328.
ტატიშვილი თამარ 364.
ტატიშვილი ლამარა 136.
ტატიშვილი ნ. 142.
ტატიშვილი ნიკო 361.
ტიგურა 572.
ტიხონოვი 488.
ტოგონიძე ლუარსაბ 529–530.
ტოგონიძე მანანა 476.
ტოლსტოვი 102.
ტოლსტოი ლევ ნიკოლაევიჩ 9–10, 340, 389.
ტოტოჩავა არჩილ 566, 608.
ტოჩი, ტოჩია, ტოჩიე 622.
ტრისტან („ტრისტან და იზოლდა") 322.
ტურაბელიძე 622.
ტურიე 572.
ტუსკია გაბრიელ 531.
ტულუში 572.

ტულუში აბესალომ 542.
ტუხაშვილი ლ. 382.
ტყეშელაშვილი მირანდა 197, 199.

უ

უგრეხელიძე 572.
უზნაძე დიმიტრი 349, 463.
უკლება დ. 565.
უმიკაშვილი პეტრე 77.
ურუშაძე აკაკი 13.
ურუშაძე ვენერა 293.

ფ

ფავლენიშვილი ოტია 105.
ფავლენიშვილი ჯაგლაგა 361.
ფაილოძე ავთანდილ 543.
ფალავანდიშვილი ზაქარია 292.
ფანჯიკიძე გურამ 508–509.
ფარნავაზ ბატონიშვილი 57.
ფარნავაზ მეფე 553.
ფარსადანი („ვეფხისტყაოსანი") 310.
ფარულავა გრიგერ 6–10, 12–13, 489, 517.
ფაშვიბერტყაძე ფეშანგი 6
ფეშანგი ფაშვიბერტყაძე.
ფენრიხი ჰაინც 312, 605.
ფერაძე გრიგოლ 341.
ფეშანგი ფაშვიბერტყაძე 361
ფითუაშვილი ადა 620.
ფილიპოვი მ. 93.
ფირდოუსი 291.
ფირცხალაიშვილი რიმა 135, 319, 414, 437.
ფიფი, ფიფა, ფიფია 622.
ფოქტი ჰანს 341.
ფოჩხუა ბიძინა 587.
ფრანცისკ მარია მაძო 253.
ფრანცის ვიქტორია რუიკა 293.
ფრიდონი („ვეფხისტყაოსანი") 311.
ფსელოსი 359.
ფუთურიძე კოტე 394.
ფუკურო იპეი 293, 305, 339.
ფურცელაძე ანტონ 449.

ქ

ქავთარაძე ივანე 589, 605.
ქავთარაძე ლეო 411.
ქავთარაძე სერგო 317.
ქავთარია მიხეილ 105, 314, 452, 459, 468.
ქაიხოსრო გურიელი 537.
ქაიხოსრო, ხოსრო, ხოსრო-ხანი 36.
ქამადაძე 578.
ქამანდაძე 572.
ქამხაძე თეკლა 519.
ქამხაძე კესო 519.
ქანთარია ნანული 517.
ქართველიშვილი გიორგი 292.
ქაჯაია ლამარა 6.
ქეთევანი 70.
ქეთევანი (ერეკლე მეორის პირველი მეუღლე) 106.
ქეთევანი (ერეკლე მეორის ასული) 147.
ქეთევან დედოფალი 146, 322, 443.
ქეი–ქაუსი 322.
ქვარიანი დათუნა 361.
ქვილითაია 623.

ქვლივიძე მიხეილ 415.
ქიაჩელი ლეო 374.
ქილიფთარი 572.
ქილიფთარი ალექსანდრე 582.
ქილიფთარი სარდიონ 582.
ქინქლაძეები 576.
ქიქოძე ბესარიონ 531.
ქიქოძე ბიძინა 374.
ქიქოძე გაბრიელ ნ *გაბრიელ ეპისკოპოსი.*
ქიქოძე გერონტი 97, 449, 482, 613.
ქიქოძე მანანა 235, 237.
ქობალია ბელა 481.
ქობულაშვილი გიორგი (ონანას მამა) 118.
ქობულაშვილი გიორგი (ონანას ძე) 118.
ქობულაშვილი გურგენი 118.
ქობულაშვილი დიმიტრი 118.
ქობულაშვილი ევგენი დავითის ძე 118.
ქობულაშვილი ზურაბ 118.
ქობულაშვილი თამაზ 118.
ქობულაშვილი მამუკა 118.
ქობულაშვილი ნიკოლოზ 118.
ქობულაშვილი ოთარ დავითის ძე 118.
ქობულაშვილი ონანა, მდივანი 117–124, 383, 444.
ქობულაშვილი სიმონ იოანეს ძე 118.
ქრისტე იესუ 14–15, 68, 159.
ქრისტინე 451.
ქრისტინე (გიორგი დარჩიას დედა) 527
ქრისტოფორე მესამე (ციცქიშვილი) 530.
ქუთათელაძე ლილი 58, 126.
ქურდიანი მიხეილ 510.
ქურციკიძე ც. 6.
ქუტიძე 572.
ქსიფილინოსი ნ *პაპუნიშვილი იოანე.*

ღ

ღამბაშიძე ანა 607.
ღამბაშიძე ო. 611.
ღაფაროვი 305.
ღვინჯუა („ნატვრის ხე“) 409.
ღლონტი 97, 572.
ღლონტი ალექსანდრე 41, 127, 377–378, 385, 568, 571, 576, 579, 585, 588, 590, 593, 595, 623.
ღლონტი ნიკოლოზ 543.
ღლონტი შალვა 324.
ღობიარი 623.
ღოღობერიძე ლანა 318.

ყ

ყავრელიშვილი როინ 269.
ყაზბეგი ალექსანდრე 360, 430, 449.
ყაზბეგი დიმიტრი 430.
ყაუხჩიშვილი სიმონ 34, 349, 378, 428, 538, 552, 565, 617.
ყაფლანიშვილები ნ *ორბელიშვილ-ყაფლანიშვილები.*

ყვარყვარე ციხისჯვარელი 549.
ყიფიანი დავით 449.
ყიფიანი დიმიტრი 373.
ყიფშიძე გრიგოლ 375.
ყიფიანი ელიშერ 374.
ყიფშიძე იოსებ (**Кипшидзе И.**) 581.
ყიფშიძე ცისანა 74, 76, 86–87.
ყორანაშვილი გურამ 626.
ყუბანეიშვილი სოლომონ 40, 42, 101–102, 129, 131, 256, 361, 407.
ყუშიტაშვილი ვალიკო 418.
ყუშიტაშვილი ვასილ 508.

შ

შადური ვანო 31, 370.
შავგულიძე ლამარა 87.
შავგულიძე ლენა (ელენე) 332.
შავთელი ნ *იოანე შავთელი.*
შავიშვილი ვალერიან 543–544, 546.
შათირიშვილი ზაზა 194.
შაიშმელაშვილი ივანე 361.
შაკა, შაკაია, შაკო, 622.
შავლოხაშვილი გელა 519.
შავლოხაშვილი გიორგი 519.
შავლოხაშვილი დიანა 519.
შავლოხაშვილი ლელა 519.
შავლოხაშვილი ლუხუმი 519
შავლოხაშვილი იპოლიტე (პოლიგრატე) 500, 510–520.
შავლოხაშვილი მარიამ 519.
შავლოხაშვილი სამსონ 517.
შავლოხაშვილი ხატია 519.
შალიკაშვილი ემზარ 432.
შამანაძე ნოდარ 615.
შანიძე აკაკი 40, 68, 209, 217–220, 229–231, 233, 255–256, 280, 284, 286–288, 294; 300, 308, 316–317, 330, 349, 354, 378, 385–405, 413, 427, 433, 571, 582, 595–596, 606, 617–619, 623.
შანიძე თეოლინე 388.
შანიძე ლელა 398–399, 403.
შანიძე მზექალა 316, 385, 203, 454.
შარაშენიძე ეთერ 60, 87.
შარაშენიძე ქრისტინე 37, 57–58.
შარაშიძე გ. 583.
შარაძე გურამ 51, 300, 301–302,382, 435.
შარაძე ფილიპე 532.
შარია პეტრე 317.
შაშიაშვილი თემურ 405.
შაჰ-აბაზ(//ს) პირველი 146, 201.
შაჰ-აბას მეორე 16.
შაჰ-თამაზი 102.
შაჰ-სულთან ჰუსეინი 36, 38, 81.
შედანა, შედანი, შედანია 622.
შევარდნაძე ამბროსი 523, 589, 603.
შევარდნაძე ედუარდ 523, 589, 603, 460.
შენგელი, შენგელია 622.
შენგელია ვაჟა 458.
შიოშ (დიმიტრი სააკაძის შვილი) 134.
შიშმანაშვილი 572.
შოთა კუპრი 354.
შუშანიკი 362.

ჩ

ჩავლეიშვილი თეიმურაზ 92, 499.
ჩანჩიბაძე პორფირე 365.
ჩარკვიანი კანდიდ 347.
ჩარკვიანი პავლე 489.
ჩარკვიანი ჯანსულ 466, 471, 482, 484–487, 509.
ჩაქველები 572.
ჩაჩავა მზია 319, 414.
ჩაჩავა ნიკოლოზ 226.
ჩაჩიკაშვილი ნიკოლოზ 45.
ჩახრუხაისძე გრიგოლ 351.
ჩახრუხაძე 17–19, 21, 23–24, 264, 267, 285, 351.
ჩერკასოვი ნიკოლოზ 344.
ჩერნიშევსკი ნიკოლოზ 87, 93.
ჩერქეზა, ჩერქეზი, ჩერქეზია 622.
ჩეხოვი ა. 9.
ჩიტა 622.
ჩიტია, ჩიტო 622, 676.
ჩიტავა, ჩიტაიშვილი, ჩიტალაძე, ჩიტაური, ჩიტაძე, ჩიტეიშვილი, ჩიტიანი, ჩიტიშვილი, ჩიტუა, ჩიტუკაშვილი ჩიტუმა, ჩიტუნა 576.
ჩიქობავა არნოლდ 349.
ჩიქოვანი მიხეილ 143, 494.
ჩიქოვანი სიმონ 287, 294, 449.
ჩიჩუა ისიდორე 532.
ჩიჩუა შალვა 495.
ჩოლაბარგია 572.
ჩოლოყაშვილი გარსევან 265, 361, 373.
ჩოლოყაშვილი კოტე 420, 467.
ჩოლოყაშვილი ნიკიფორე 115–116.
ჩოლოყაშვილი სარიდან 136.
ჩუბინ ქირმანელი („ბარამგულიჯანიანი") 123.
ჩუბინაშვილი დავით 34, 76, 80–81, 83–84, 292, 375, 449, 571, 586, 591.
ჩუბინაშვილი ნიკო 586.
ჩუბინიძე დიტო 545.
ჩხაიძე 572.
ჩხარტიშვილი 572.
ჩხარტიშვილები 559.
ჩხარტიშვილი მამია 610.
ჩხატარაისძე პეტრე 361.
ჩხეიძე ირმა 485.
ჩხეიძე ნ. 239.
ჩხეიძე ოთარ 161, 449.
ჩხეიძე როსტომ 473, 478, 486.
ჩხეიძე სეხნია 34, 106.
ჩხენკელი კიტა 404.

ც

ცაგარეიშვილი ელენე 81, 85.
ცაგარელი ალექსანდრე 361, 535.
ცაიშვილი სარგის 66, 103, 204, 270, 276, 301–302, 313, 318–319, 326, 414, 431–441, 491.
ცანავა რუსუდან 189.
ცეცხლაძე გრიგოლ 449.
ცინდელიანი უჩა 407.

ცინცაძე 572, 592.
ცინცაძე იასე 101, 301.
ცინცაძე კალისტრატე 312.
ცინცაძე მერაბ 4.
ცისკარიძე ვიოლეტა 452.
ციციშვილი გიორგი 318, 431, 439, 491.
ციციშვილი ზაზა 433.
ციციშვილი ნოდარ 44.
ციცქიშვილი ქრისტიფორე ნ *ქრისტიფორე მესამე.*
ცლესარი 623.
ცუცქირიძე ზურაბ 476–477.
ცხონდი, ცხონდია 623.

ძ

ძალაძე სიმონა („სიმონა“) 96.
ძველა, ძველაია, ძველია 623.
ძნელაძე რევაზ 543, 546, 583.
ძოწენიძე გიორგი 402.
ძოწენიძე ლალი 15, 442, 549.
ძოწენიძე ქევევან 586.

წ

წერეთელი აკაკი 37, 60, 91, 158, 200, 276, 287, 292, 328, 350, 360, 449–450, 465, 641.
წერეთელი გიორგი 313.
წერეთელი გრიგოლ 375, 428.
წერეთელი ზურაბ 115, 375.
წერეთელი ილიკო 38.
წერეთელი მიხაკო 293, 353.
წივწივაძე თამაზ 472–473.
წიფურია ბელა 195–196, 277.
წულაძე სერგი 293.
წულუკიძე („წულუკიძის სიკვდილი“) 449.
წუნიაშვილი 572.

ჭ

ჭაბაშვილი მ. 565.
ჭავჭავაძე ალექსანდრე 4, 65–68, 371, 462.
ჭავჭავაძე ილია 59–61, 63, 69, 74–76, 83, 86–94, 154, 157–158, 161–193, 198, 276, 287, 292, 311, 369, 373, 379, 396, 427, 445, 449–450, 465, 493, 634, 641.
ჭავჭავაძე მიტო 71, 73.
ჭანიშვილი გივი 467.
ჭანიშვილი ვაჟა 467.
ჭანკიევი ც. 6.
ჭანტურია ტარიელ 460, 472.
ჭეიშვილი ალექსანდრე 374, 423.
ჭეიშვილი რეზო 261, 489.
ჭელიძე 572.
ჭელიძე გიზო 566, 569.
ჭელიძე ვახტანგ 413–414, 494–495.
ჭილაია ანდრო 514.
ჭილაია სერგი 486.
ჭილაშვილი ლ. 554.
ჭილაძე ოთარ 445.
ჭინჭარაული ალექსი 270, 471, 481, 572.
ჭიჭინაძე ზაქარია 279.
ჭიჭინაძე კონსტანტინე 449.
ჭოლოკავა ნოდარ 454.
ჭრელაშვილი ლევან 87–88.
ჭრიაშვილი გლახა 241.
ჭუმბურიძე ზურაბ 405, 542, 555, 568, 581, 589, 595, 601, 624.

ჭყონია ილია 210.
ჭყონია მარინე (ტუია) 408, 414.

ხ

ხაიამი ომარ 291.
ხანანა 596.
ხანანაშვილი 596.
ხანთაძე შოთა 565.
ხანიაშვილი 696.
ხანძთელი გრიგოლ 292, 372.
ხარაბაძე 572.
ხარაძე ევგენი 39.
ხაჩატურიანი არამ 345.
ხაჩიძე ლელა 319.
ხახანაშვილი (ხახანოვ) ალექსანდრე 294, 371. 535.
ხახულარი 623.
ხელაია ამბროსი 15, 529.
ხელაძე 572.
ხელმნტოსი 532.
ხერთვისარი 623.
ხერხეულიძე გრიგოლ (ქიცა)
მიხეილის ძე 413, 415–316, 455, 496–499.
ხეცურიანი ლაშა 44.
ხვარაზმშაჰის ძე 210.
ხვიჩა, ხვიჩი, ხვიჩია 623.
ხიდაშელი შალვა 361.
ხიმშიაშვილი ილია 540.
ხინთიბიძე აკაკი 265, 270, 280, 403, 478, 508.
ხინთიბიძე ელგუჯა 3, 265–267, 269, 271–272, 277, 488.
ხინთიბიძეები 268.
ხინიკაძე 572.
ხმალაძე ლია 547.
ხომერიკი მ. 541.
ხორაშანი 111.
ხორნაული გიგი 546, 593.
ხოსრო, ხოსრო-ხანი ნ *ქაიხოსრო.*
ხოსრო დეჰლევი ნ *დეჰლევი ხოსრო.*
ხოშტარია იონა 532–534.
ხოხონაშვილი 575.
ხრუშჩოვი ნიკიტა 344, 485.
ხუბუა ჯაბა 472.
ხუნდაძე ნანა 319.
ხუნდაძე სილოვან 373, 402.
ხუროძე ვარლამ ნ *მალაქიაშვილი ვარლამ.*
ხუციშვილი ნ. 81.
ხუხუნაიშვილი 573.

ჯ

ჯავახიშვილი ივანე 39, 155, 161, 195, 201, 217, 232, 265, 273, 284, 297, 290, 292, 294, 298, 314, 321, 328, 330, 334, 340–341, 350, 361–362, 380, 460, 554, 560, 594, 600–601.
ჯავახიშვილი მიხეილ 162, 629.
ჯაკობია გიორგი 124, 318.
ჯამბურია გივი 383.
ჯამი 291.
ჯანაშვილი მოსე 37, 102, 292, 600.
ჯანაშია მოსე 540, 546.
ჯანაშია სიმონ 567.
ჯანდიერი 659.
ჯანხოთელი 572.
ჯაფარიძე გ. 585.

ჯაფარიძე ბეჟან 463–464.
ჯაფარიძე დავით 26, 118.
ჯაფარიძე ვიქტორ 463.
ჯაფარიძე პავლე 532.
ჯაყელი ნ *საბა განწმენდილი.*
ჯაჯანიძე 572.
ჯექსონი 152.
ჯიბლაძე თინა 445, 449, 490–491.
ჯინორი, ჯინორა, ჯინორია 623.
ჯინჭარაძე (მღვდელი) 532.
ჯიოევი ოთარ 480–481.
ჯიქია სერგი 539.
ჯიღაური გიორგი 347.
ჯიღაური მელიტა 348.
ჯოისი 7.
ჯოლი, ჯოლია 623.
ჯონშერი („ბარამგულიჯანია–ნი“) 122–123.
ჯორბენაძე ბესარიონ 570.
ჯუანშერი 617–618.
ჯულიეტა („რომეო და ჯულიეტა“) 237.
ჯუღაშვილი იაკობ 508.
ჯღამაია ც. 6.

ჰ

ჰაბო (აბო) ტფილელი (თბილელი) 5–6, 10, 14–15.
ჰაინრიხ ჰაინე 90.
ჰაკე 89.
ჰარნაკი ადოლფ 361.
ჰაფიზი 291.
ჰერაკლიტე 162.
ჰიტლერი ადოლფ 508.
ჰიუგო ვ. 371.
ჰომეროსი 438.
ჰონიგმანი ერნესტ 311, 358, 361.

Boris Darchia

PHILOLOGICALI RESEAPCHES

(In Georgian)

Tbilisi, 2013

The general part of the book is dedicated to the literature. There are discussed old, new and the newest Georgian Writers' literature – theoretic and historical – theological tasks. There are collected polemic articles; separate letters and memoires, which describes life and creation of the famous scientists and writers, the pleasure of relation with whom enjoyed the author. The second part is linguistic and is subjectively onomastic researches.

ბორის დარჩიას
წიგნების ნუსხა[1]

1. **ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით,** თბ., „მეცნიერება“, 1975, 207 გვ.

გამოხმაურება: [მურმან თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი], ისევ ვეფხისტყაოსანი, გაზ. „სახალხო განათლება“, 16.03. 1977, №22, გვ. 2. ანოტაცია დაიბეჭდა ფრანგულ ჟურნალში: „Bedi Kartlisa“, ტ. XXXV, 1977, გვ. 295, 6.

2. **ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა,** თბ. „მეცნიერება“, 1986, 247 გვ.

გამოხმაურება: მურმან თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი, მეფე პოეზიის კარებთან, გაზ. „თბილისი“, 22 ნოემბერი, 1988, № 268, გვ. 5; ლევან მ ე ნ ა ბ დ ე, სოლიდური მონოგრაფია ვახტანგ მეექვსის პოეზიის შესახებ (მაცნე, ელს, 1990, № 4, გვ. 154–160); დიტო ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე, პასუხად ჩემს კეთილმოსურნეებს, ანუ ვის ეკუთვნის აფორიზმი: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი“, გაზ. „ასავალ-დასავალი“, 5–11 ნოემბერი, 2007, № 45, გვ. 15.

3. **ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო,** თბ., „მეცნიერება“, 1988, 440 გვ.

გამოხმაურება: მ. პ ი რ ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, მეფე-პოეტის შემოქმედებითი სამყარო, გაზ. „წიგნის სამყარო“, 7 ნოემბერი, 1988, № 21, გვ. 5; მურმან თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი, მეფე პოეზიის კარებთან, გაზ. „თბილისი“, 22 ნოემბერი, 1988, № 268, გვ. 5; მ ი ს ი ვ ე, ფსევდონიმით: მირიან რ ო ხ ა ძ ე, ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო, ჟურ, „სკოლა და ცხოვრება“, 1989, № 1, გვ. 75; თამაზ ფ ო ფ ხ ა ძ ე, კვლევის საგანია ვახტანგ მეექვსის პოეზია, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 17. 11. 1989, № 46, გვ. 6; ლევან მ ე ნ ა ბ დ ე, სოლიდური მონოგრაფია ვახტანგ მეექვსის პოეზიის შესახებ (მაცნე, ელს, 1990, № 4, გვ. 154–160); გივი მ ი ქ ა ძ ე,

---

[1] აქ არ შემოგვაქვს ჩვენი პატარა წიგნი — „ერთი პლაგიატობის კვალდაკვალ“ (თბ., 2000, — 72 გვ.), რადგან იგი მთლიანად შესულია ჩვენს წიგნში **„იაკობ შემოქმედელი“**. არ შეგვაქვს აგრეთვე ჩვენი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ავტორეფერატები, რომლებიც ბროშურებადაა გამოცემული.

ვახტანგ IV-ის ერთი ტაეპის გაგებისათვის, გაზ. „სიტყუაჲ“, მაისი-ივნისი, 1998, № 6, გვ. 7.

4. **უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში** – გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2008, 330 გვ.

გამოხმაურება: წიგნი რუსთველოლოგიაში შექმნილი საგანგაშო ვითარების შესახებ - გაზ. „მწერლის გაზეთი“, 1–15 თებერვალი, 2009, № 1, გვ. 16.

5. **იაკობ შემოქმედელი** – მონოგრაფია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2009, 575 გვ.

გამოხმაურება: მურმან თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი, ფილოლოგიური მეცნიერების სირცხვილი და ახალი სენსაციური აღმოჩენა, „მწერლის გაზეთი“, 16 ივნისი – 30 ივნისი, 2009, № 10, გვ. 14. მ ი ს ი ვ ე: დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში, თბ., გამომცემლობა „ჰარმონია“, 2010, გვ. 128.

წიგნის სურათი დაიბეჭდა ჟურალ „ჩვენი მწერლობის“ ყდის მეორე გვერდზე (7 აგვისტო, 2009, № 16).

ამ წიგნში შესული, ადრე სტატიებად გამოქვეყნებული უმთავრესი და არსებითი ნაწილის შეფასება: ალექსი ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, სიტყვა ლექსი „ვეფხისტყაოსანში“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 8 სექტემბერი, 2006, № 31, გვ. 13.

6. **რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I**, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010, 580 გვ.

გამოხმაურება: მურმან თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი, წმინდანის სისხლზე წმინდა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ივნისი, 2011, № 100, გვ. 11.

7. **ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ)** – მონოგრაფია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011, 252 გვ.

გამოხმაურება: წიგნის სურათი დაიბეჭდა ჟურალ „ჩვენი მწერლობის“ ყდის მეორე გვერდზე (5 აგვისტო, 2011, № 16).

8. **სალაღობო და ნაღვლიანი ამბები** – გამომცემლობა „ინოვაცია“, თბ., 2012, 496 გვ.

გამოხმაურება: წიგნის სურათი დაიბეჭდა ჟურალ „ჩვენი მწერლობის“ ყდის მეორე გვერდზე (4 მაისი, 2012, № 9).

9. ფილოლოგიური ძიებანი – წინამდებარე წიგნი.

სარჩევი

წინასიტყვა 3
პირველი ნაწილი – ლიტერატურა 5

პირველი თავი – ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები 5
იოვანე საბანის ძის ერთი მხატვრული სურათი 5
არჩილის ერთი ნაწარმოების გაგებისა და დათარიღებისათვის 15
ვახტანგის ერთი ლექსის დათარიღებისათვის (სიტყვა ასტრონომებს ეკუთვნით!..) 35
საბა თუ სულხან-საბა? 40
მამუკა გურამიშვილი 46
ილია ჭავჭავაძის ერთი ცნობა ბესიკის შესახებ 59
რევაზ ერისთავის კუთვნილი სახარება და მისი მინაწერები 68
ილია ჭავჭავაძის ლექსიკიდან 74
ლესინგის ერთი გამონათქვამი და ილია ჭავჭავაძე 86
ბაბუაჩემი, სისონა დარჩია და ეგნატე ნინოშვილი 94

მეორე თავი – სტატიები „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მრავალტომეულისათვის 100
XVIII–XIX საუკუნეთა სამოგზაურო პროზიდან 100
გაბრიელ ელოვანი 100
ვახტანგ ორბელიანი 105
გიორგი ავალიშვილი 111
XVII – XIX საუკუნეთა დასაწყისის ქართული ემიგრანტული მწერლობიდან 117
ონანა ქობულაშვილი–მდივანი 117
დიმიტრი ორბელიანი 124
თომა ბარათაშვილი 129
დიმიტრი სააკაძე 133
დიმიტრი ბაგრატიონი 142

მესამე თავი – ფორმალისტური ლიტერატურული მიმდინარეობები და კლასიკური ქართული ლიტერატურა 150
გალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის ინტერპრეტაცია 156

ილია ჭავჭავაძე სტრუქტურალიზმის სარეცელზე.....160

მეოთხე თავი – **პოლემიკური წერილები** 199
რაზე ვდავობთ?!.....199
უპასუხისმგებლობა?!.....206
ისევ სიყალბე და ცილისწამება.....227
რეპლიკა რეპლიკაზე – ასეთ თარიღებს შესწორება არ სჭირდება..... 241
შენიშვნები ვახტანგ მეექვსის შემოქმედების ბაროკოსადმი მიმართების საკითხზე.....242
ეგრეთ წოებული „აბდულმესიანი“ და სირაქლემობა.....263
მეცნიერება და იუბილეობანა..... 271
მეხუთე თავი – **პორტრეტები და მოგონებანი**.....277
1. კორნელი კეკელიძე 277
2 ალექსანდრე ბარამიძე.....280
მწუხრი მეცნიერისა..... 297
ანდერძი..... 301
რამდენიმე მოგონება..... 305
საკითხის დამატება. დასკვნა აკად. ალ. ბარამიძის წიგნზე „ახლო წარსულიდან“ (მეორე შევსებული გამოცემა)..... 315
3. რამდენიმე სიტყვა გაიოზ იმედაშვილზე..... 317
4. იოსებ მეგრელიძე..... 333
რამდენიმე მოგონება... 340
5. ივანე ლოლაშვილი..... 345
6. გივი მიქაძე.....363
7. რამდენიმე მოგონება აკაკი შანიძეზე..... 384
8. რამდენიმე მოგონება გიორგი ლეონიძეზე.....405
9. გალაკტიონ ტაბიძე.....422
10. მიხეილ ზანდუკელი 425
11. სარგის ცაიშვილი..... 430
12. მერი გუგუშვილი..... 439
13. ნოდარ ალანიას გახსენება..... 446
14. მეცნიერი და მახვილმესიტყვე..... 469
ისევ სადავო სხარტულათა შესახებ..... 480
15. ლიტერატურის ინსტიტუტის კოლორიტები..... 489
მირიან აბულაძე..... 490

გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძე..... 495
16. რამდენიმე მოგონება ზაურ ბოლქვაძეზე..... 498
17. იპოლიტე შავლოხაშვილის გახსენება..... 509
18. გაბრიელ გოგუაძე..... 519
19. არქიმანდრიტი გიორგი (დარჩია)..... 527

მეორე ნაწილი – ენათმეცნიერული დაკვირვებანი..... 536
პირველი თავი– **ონომასტიკური ძიებანი** 536
„ოზურგეთი“ სახელის შესახებ..... 536
სოფელ სილაურის ტოპონიმია..... 553
სად მდებარეობდა ბაილეთის ეკლესია..... 605
დარჩია – სახელი და გვარი..... 610
„ჩრდილო(ეთ)(ი)“ და „სამხრეთ(ი) კავკასია“ თუ „იმიერკავკასია“ და „ამიერკავკასია“..... 623
მეორე თავი – **ქართული ენის სიწმინდისათვის**..... 627
ჩვენი მეობის საძირკველი..... 627
საკითხის დამატება – 8 იანვრის ტაბუ..... 634
ბოლოსიტყვა..... 637
შემთხვევა ავტობუსში..... 639
პირთა საძიებელი..... 642
მოკლე რეზიუმე ინგლისურ ენაზე.....670
წიგნის დამატება – ბორის დარჩიას წიგნების ნუსხა.....671